
მორმონის წიგნი

კიდევ ერთი დამოწმება
იესო ქრისტეს შესახებ

მორმონის წიგნი

კიდევ ერთი დამოწმება
იესო ქრისტეს შესახებ

გამოქვეყნებულია
უკანასკნელ დღეთა წმინდანთა იესო ქრისტეს ეკლესიის მიერ
სოლტ-ლეიქ სიტი, იუტა, ა.შ.შ.

პირველი ინგლისური გამოცემა გამოქვეყნებულია
პალმირაში, ნიუ-იორკის შტატი, ა.შ.შ. 1830 წელი

შენიშვნები და წინადადებები გამოგვიგზავნეთ მისამართზე:
scriptures@ChurchofJesusChrist.org ან Scriptures Coordination,
50 East North Temple Street, 24th Floor, Salt Lake City, UT 84150-3220 USA.

© 2019 by Intellectual Reserve, Inc.
All rights reserved.

Printed in the United States of America 12/2019

English approval: 3/15

Translation approval: 3/15

Translation of the Book of Mormon
Georgian

მორმონის წიგნი

მორმონის ხელით

ფირფიტებზე დაწერილი ამბავი,

რომელიც აღებულია ნეფის ფირფიტებიდან

მაშასადამე, ეს არის ნეფის ხალხისა და ასევე ლამანიელთა ჩანაწერები შემოკლებული სახით. დაწერილია ლამანიელთათვის, რომლებიც არიან ისრაელის სახლის ნარჩენი, ასევე იუდეველთათვის და წარმართთათვის. დაწერილია მცნებების მიხედვით, ასევე წინასწარმეტყველებისა და გამოცხადების სულით. დაწერილი, ჩაბეჭდილი და უფლისათვის დაფარული, რათა არ განადგურებულიყო. მოველინება ღვთის ძღვენითა და ძალით, რათა ითარგმნოს. ჩაბეჭდილია მორმონის ხელით და დაფარულია უფლისთვის, რათა გამოჩნდეს შესაფერის დროს წარმართის მიერ. ნათარგმნია ღვთის ძღვენით.

ევერის წიგნიდან ასევე აღებულია შემოკლებული ჩანაწერები იარედის ხალხის, რომელიც გაიფანტა იმ დროს, როდესაც უფალმა არია ადამიანთა ენები, მათ მიერ ზეცის მისაღწევად გოდოლის მშენებლობის დროს. ამან უნდა დაანახოს ისრაელის სახლის ნარჩენს, თუ რაოდენ დიადი საქმენი გააკეთა უფალმა მათი მამებისათვის, რათა შეიცნონ უფლის აღთქმები, რომ ისინი არ არიან სამუდამოდ განდევნილნი. ასევე იუდეველისა და წარმართის დასარწმუნებლად, რომ იესო არის ქრისტე, მარადიული ღმერთი, რომელიც მოველინება ყველა ერს. და ამჟამად, თუ არის რაიმე არასწორი, ეს არის ადამიანთა შეცდომების გამო. ამიტომაც არ განკიცხოთ ღვთის საქმენი, რათა გცნონ უმწიკვლოდ ქრისტეს სამსჯავროს წინაშე.

ფირფიტებიდან ინგლისურად დედანი ითარგმნა
ჯოზეფ სმით უმცროსის მიერ.

შინაარსი

შესავალი	vii
სამი მოწმის დამოწმება	ix
რვა მოწმის დამოწმება	ix
წინასწარმეტყველ ჯოზეფ სმითის დამოწმება	xi
მოკლე განმარტება	xvi
ილუსტრაციები	xix
1 ნეფი	1
2 ნეფი	63
იაკობი	139
ენოსი	162
იარომი	165
ომნი	167
მორმონის სიტყვები	171
მოსია	173
ალმა	255
ჰელამანი	473
3 ნეფი	524
4 ნეფი	596
მორმონი	601
ეფერი	624
მორთნი	665
თემატური სარჩევი	685

შესავალი

მორმონის წიგნი არის ტომი წმინდა წერილის, რომელიც არის ბიბლიის შესადარი. ეს არის ჩანაწერი ღვთის ქმედებების შესახებ, ამერიკის კონტინენტზე უძველეს მცხოვრებთა მიმართ და მოიცავს მარადიული სახარების სისრულეს.

წიგნი დაწერილ იქნა მრავალი უძველესი წინასწარმეტყველის მიერ, წინასწარმეტყველებისა და გამოცხადების სულით. ოქროს ფირფიტებზე დაწერილი, მათი სიტყვები, ციტირებული და მოკლედ აღწერილ იქნა წინასწარმეტყველ-ისტორიკოსის მორმონის მიერ. ამ ჩანაწერში აღწერილია ორი დიდი ცივილიზაციის ამბავი. ერთი წამოვიდა იერუსალიმიდან, 600 წელი ჩვენს წელთაღრიცხვამდე, რომელიც შემდგომ გაიყო ორ ერად, რომლებიც ცნობილი არიან, როგორც ნეფიელები და ლამანიელები. მეორე ცივილიზაცია მოვიდა გაცილებით ადრე, როდესაც უფალმა არია ენები ბაბილონის გოდოლთან. ეს ჯგუფი ცნობილია, როგორც იარედიელები. რამდენიმე ათასი წლის შემდეგ ყველა მათგანი განადგურდა, ლამანიელების გარდა და ისინი არიან ამერიკელ ინდიელთა ერთ-ერთი წინაპარი.

დამაგვირგვინებელი მოვლენა, რომელიც აღწერილია მორმონის წიგნში, არის პირადად უფალი იესო ქრისტეს მიერ ნეფიელებთან მსახურება მისი აღდგომიდან ცოტა ხნის შემდეგ. მასში ახსნილია სახარების მოძღვრება, ზოგადად განმარტებულია ხსნის გეგმა და ეუბნება ადამიანს, რა უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ მიადწიოს ცხოვრებაში მშვიდობას, მომავალ ცხოვრებაში კი მარადიულ ხსნას.

როდესაც მორმონმა დაასრულა ჩანაწერები, მან გადასცა თავისი ნაწარმოები თავის შვილს, მორმონს, რომელმაც დაუმატა რამდენიმე სიტყვა და ფირფიტები დამალა ქუმორას გორაკზე. 1823 წლის 21 სექტემბერს, იგივე მორმონი, უკვე განდიდებული და აღმსდგარი, გამოეცხადა წინასწარმეტყველ ჯოზეფ სმითს, დაარიგა ის ამ ძველთაძველი ჩანაწერების შესახებ და მათი ინგლისურ ენაზე თარგმნის დანიშნულებაზე.

შესაფერის დროს ეს ფირფიტები გადაეცა ჯოზეფ სმითს, რომელმაც ისინი გადათარგმნა ღვთის ძღვენითა და ძალით. ეს ჩანაწერი ამჟამად გამოქვეყნებულია მრავალ ენაზე, როგორც ახალი და დამატებითი დამოწმება იმისა, რომ იესო ქრისტე არის ცოცხალი ღმერთის ძე და ყოველი, ვინც მასთან მოვა და დაემორჩილება მისი სახარების კანონებსა და წეს-ჩვეულებებს – გადარჩება.

ამ ჩანაწერის შესახებ წინასწარმეტყველი ჯოზეფ სმითი ამბობდა:

„მე ვუთხარი ძმებს, რომ მორმონის წიგნი იყო ყველაზე სწორი წიგნი დედამიწაზე, ჩვენი სარწმუნოების სომის ქვა და მისი სწავლებების დამორჩილებით ადამიანი უფრო დაუახლოვდება ღმერთს, ვიდრე სხვა რომელიმე წიგნის სწავლებების მიხედვით“.

ჯოზეფ სმითის გარდა, უფალმა კიდევ თერთმეტ ადამიანს მისცა შესაძლებლობა, თავად ეხილათ ოქროს ფირფიტები, ასევე, რომ ყოფილიყვნენ მორმონის წიგნის ჭეშმარიტებისა და ღვთაებრიობის განსაკუთრებული მოწმენი. აქ მოყვანილია მათი წერილობითი დამოწმებები სათაურებით „სამი მოწმის დამოწმება“ და „რვა მოწმის დამოწმება“.

ჩვენ ყველგან მოვუხმობთ ადამიანებს, წაიკითხონ მორმონის წიგნი, გულში იმსჯელონ მასში მოცემული მოწოდების შესახებ და შემდეგ ჰკითხონ ღმერთს, მარადიულ მამას, ქრისტეს სახელით, თუ არის ეს წიგნი ჭეშმარიტი. ისინი, რომლებიც მიჰყვებიან ამას და რწმენით შეეკითხებიან, სულიწმინდის ძალით მიიღებენ დამოწმებას მის ჭეშმარიტებაზე და ღვთაებრიობაზე. (იხილეთ მორონი 10:3–5.)

ისინი, ვინც სულიწმინდის მეშვეობით მიიღებენ ამ ღვთიურ დამოწმებას, ასევე გაიგებენ იგივე ძალით, რომ იესო ქრისტე არის ამა ქვეყნის მხსნელი, რომ ამ უკანასკნელ დღეებში ჯოზეფ სმითია მისი განმცხადებელი და წინასწარმეტყველი; და უკანასკნელ დღეთა წმინდანთა იესო ქრისტეს ეკლესია არის დედამიწაზე კიდევ ერთხელ დაარსებული უფლის სასუფეველი, მესიის მეორედ მოსვლის მოსამზადებლად.

სამი მოწმის დამოწმება

ცნობილი იყოს ყველა ერის, ტომის, ენისა და ხალხისათვის, ვისთანაც მივა ეს ნაშრომი, რომ ჩვენ, მამა ღმერთისა და ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს, მადლით, ვიხილეთ ეს ფირფიტები, რომელნიც მოიცავს ჩანაწერებს. ჩანაწერები, რომლებიც არის ნეფის ხალხის შესახებ, ასევე მათ ძმებზე, ლამანიელებზე, ასევე იარედის ხალხზე, რომელიც მოვიდა გოდოლიდან, რომელზეც უკვე ითქვა. ჩვენ ასევე ვიცით, რომ ისინი ითარგმნა ღვთის ძღვენითა და ძალით, ვინაიდან ეს გვაუწყა მისმა ხმამ. ამიტომ, ნამდვილად ვიცით, რომ ეს საქმე არის ჭეშმარიტი. ასევე ვმოწმობთ, რომ ვიხილეთ ამოტვიფრული გრაფიურები ფირფიტებზე და ისინი ვიხილეთ ღვთის და არა ადამიანის ძალით. ჩვენ ვაცხადებთ საყოველთაოდ, რომ ღვთის ანგელოზი ჩამოვიდა ზეციდან, მოიტანა ეს ფირფიტები და დადო ჩვენ თვალწინ, რათა გვეხილა ფირფიტები და მათზე გრაფიურები. ვიცით, რომ ყოველივე ეს ვიხილეთ ჩვენი მამა ღმერთისა და უფალი იესო ქრისტეს მადლით და ვართ მოწმენი, რომ ყოველივე ეს არის ჭეშმარიტება. და ეს არის საოცრება ჩვენს თვალში. მიუხედავად ამისა, უფლის ხმამ გვიბრძანა, ვყოფილიყავით ამის მოწმენი და ამიტომ, იმისათვის, რომ ვიყოთ ღვთის ბრძანების მორჩილნი, ჩვენ ვმოწმობთ ყოველივე ამას. და ვიცით, რომ თუ ვიქნებით ქრისტეში ერთგულნი, ამით განვწმენდთ ჩვენს სამოსს ყოველი ადამიანის სისხლისაგან და გვცნობენ უმწიკვლოდ ქრისტეს სამსჯავროს წინაშე და მასთან ვიცხოვრებთ ზეცაში სამარადისოდ. დაე, იყოს ღიდება მამისა და ძისა და სულიწმინდისა, რომელიც არის ერთი ღმერთი. ამინ.

ოლივერ ქაუდერი
ღვეიდ ვიტმერი
მარტინ ჰარისი

რვა მოწმის დამოწმება

ცნობილი იყოს ყველა ერის, ტომის, ენისა და ხალხისთვის, ვისთანაც მივა ეს ნაშრომი, რომ ჯოზეფ სმით უმცროსმა, ამ ნაშრომის მთარგმნელმა, გვაჩვენა ფირფიტები, რომლებზეც უკვე ითქვა, რომლებსაც აქვს ოქროს შესახედაობა და ყველა ეს ფირფიტა,

რომელიც გადათარგმნა მოხსენიებულმა სმითმა, გვეკავა ხელში და მათზე ვიხილეთ გრაფიურები, რომლებსაც აქვს უძველესი და ნატიფი ნაკეთობის გამოსახულება. ჩვენ საყოველთაოდ ვმოწმობთ, რომ მოხსენიებულმა სმითმა გვაჩვენა ფირფიტები, ვინაიდან დავათვალიერეთ და ხელში გვეკავა ისინი და ნამდვილად ვიცით, რომ სმითს აქვს ფირფიტები, რომლებზეც ვილაპარაკეთ. და ვაძლევთ მსოფლიოს ჩვენს სახელებს, რათა დავუმოწმოთ ქვეყანას იმაზე, რაც ვიხილეთ. და ჩვენ არ ვცრუობთ, ღმერთი არის ამის მოწმე.

ქრისტიან ვიტმერი	ჰაირამ პეიჯი
ჯეიკობ ვიტმერი	ჯოზეფ სმითი უფროსი
პიტერ ვიტმერი უმცროსი	ჰაირამ სმითი
ჯონ ვიტმერი	სამუელ ჰ. სმითი

წინასწარმეტყველ ჯოზეფ სმითის დამოწმება

წინასწარმეტყველი ჯოზეფ სმითის პირადი სიტყვები მორმონის წიგნის გამოსვლის შესახებ:

„ოცდაერთი სექტემბრის საღამოს [1823 წ.] ... მე დავიწყე ლოცვა და შევევედრე ყოვლადძლიერ ღმერთს. . . .

როდესაც შევღაღადებდი ღმერთს, დავინახე, რომ ჩემი ოთახი სინათლემ გაანათა, რომლის სიკაშკაშე თანდათან ძლიერდებოდა, იქამდე, სანამ მთელი ოთახი შუადღის შუქზე ძლიერად არ განათდა და ამასობაში საწოლთან გაჩნდა ადამიანი, რომელიც იდგა პაერში, ვინაიდან მისი ფეხები არ ეხებოდა იატაკს.

იგი შემოსილი იყო განსაკუთრებული სიქათქათის სამოსელით. ეს იყო სითეთრე, რომლის მსგავსიც მიწაზე არასდროს არაფერი მენახა. მწამს, რომ რაიმე მიწიერს არ შეეძლო ჰქონოდა ასეთი განსაკუთრებული სითეთრე და სიკაშკაშე. ხელის გულები და მაჯის ზედა ნაწილი ჰქონდა შიშველი, ისევე როგორც, ფეხები კოჭებს ცოტა ზემოთ. თავი და კისერიც არ ჰქონდა დაფარული. მე შეემძლო დამენახა, რომ სხვა არაფერი სამოსელი არ ეცვა მანტიის გარდა, რადგან ის შესხნილი ჰქონდა და მკერდი მოუჩანდა.

არა მარტო სამოსელი იყო არაჩვეულებრივი სითეთრის, არამედ მისი გარეგნობაც იყო დიდებული, რომლის აღწერაც შეუძლებელია და სახის იერი ჰქონდა ვითარცა ელვა. ოთახი ძალზედ განათებული იყო, მაგრამ ისე არა, როგორც უშუალოდ მის გარშემო. როდესაც პირველად შევხედე, შემეშინდა, მაგრამ მალე შიში გამიქრა.

მან მომმართა სახელით, და მითხრა, რომ იგი ღვთის გარემოცვიდან ჩემთან გამოგზავნილი მაცნე იყო და მისი სახელი იყო მორონი; რომ ღმერთს ჩემთვის აქვს საქმე, რომელიც უნდა გავაკეთო; და რომ ჩემი სახელი იქნება ცნობილი კეთილად და ბოროტად, ყოველ ერში, ტომსა და ენაში ანუ მოიხსენიებენ მას ყველა ხალხთა შორის, კეთილად და ბოროტად.

მან მითხრა დამალულ წიგნზე, რომელიც დაწერილია ოქროს ფირფიტებზე, რომელშიც აღწერილია ამ კონტინენტის ყოფილ მცხოვრებთა ამბავი და მათი წარმოშობის ადგილი. ასევე მითხრა, რომ ის მოიცავს მარადიული სახარების სისრულეს, როგორც ის უბოძა მხსნელმა უძველეს მცხოვრებთ.

ფირფიტებთან ერთად, ასევე დამალული იყო ორი ქვა ვერცხლის ჩარჩოში და ეს ქვები, მიმაგრებული სამკერდულზე, წარმოადგენს იმას, რასაც ეძახიან ურიმს და თუმიმს; და ისინი, ვინც ფლობდნენ

და ხმარობდნენ ამ ქვეებს, წარსულში ანუ უძველეს დროს, ხდებოდნენ 'ნათელმჭვრეტელნი' და ღმერთმა მოამზადა ეს ქვეები წიგნის გადასათარგმნად. . . .

შემდეგ მითხრა, რომ როდესაც მივიღებდი მის მიერ ნახსენებ ფირფიტებს – ვინაიდან მათ მისაღებად ჯერ არ იყო შესაფერისი დრო – მე არავისთვის არ უნდა მეჩვენებინა არც ფირფიტები და არც სამკერდული ურმიით და თუმიმით, მათ გარდა, ვისთვისაც ამის ჩვენებას უფალი მიბრძანებდა, წინააღმდეგ შემთხვევაში განადგურებულ ვიქნებოდი. როდესაც ის მესაუბრებოდა ამ ფირფიტებზე, ხილვა მივიღე გონებაში, ისე, რომ დავინახე ადგილი, სადაც ფირფიტები იყო დამალული, თანაც ისე ნათლად და მკაფიოდ, რომ მე ვიცანი ეს ადგილი, როდესაც იქ მივედი.

ამ საუბრის შემდეგ შევატყე, რომ სინათლემ უმაღვე იწყო მის გარშემო შემოკრება, ვინც მესაუბრებოდა და ასე გრძელდებოდა, სანამ ოთახში კვლავ არ დაბნელდა და სინათლე მხოლოდ მის გარშემო ანათებდა; შემდეგ, უცბად დავინახე, თითქოს მის თავზედ გასასვლელი გაიხსნა ზეცაში, რომელშიც ის ავიდა და მთლიანად გაქრა და ოთახი გახდა ისეთი, როგორც იყო მანამდე, ზეციური სინათლის გამოჩენამდე.

მე ვიწეკი და ვფიქრობდი ამ უცნაურ მოვლენაზე და ძალზედ გაოცებული ვიყავი იმით, რაც მითხრა ამ განსაკუთრებულმა მაცნემ. მაშინ, როდესაც ვიყავი ჩემს ფიქრებში, უცბად შევაძწინე, რომ ოთახი კვლავ ივსებოდა სინათლით და უცბად, იგივე მაცნე, კვლავ გამომეცხადა საწოლთან.

მან დაიწყო და კვლავ გაიმეორა ზუსტად იგივე, რაც მანამდე თქვა, პირველი გამოცხადებისას, ყოველგვარი ცვლილებების გარეშე და ამის შემდეგ შემატყობინა დიდი სასჯელის შესახებ, რომელიც დედამიწაზე მოვიდოდა შიმშილით, მახვილითა და ჭირით, რომ ეს სამწუხარო სასჯელი მოვა დედამიწაზე ამ თაობის ჟამს. თქვა რა ყოველივე ეს, იგი კვლავ ამადლდა ისე, როგორც მანამდე.

ამ დროისთვის იმდენად ძლიერი შთაბეჭდილების ქვეშ ვიყავი, რომ სულ გამიქრა ძილი, ვიწეკი გრძნობებით აღსავსე და განცვიფრებული იმით, რაც ვიხილე და გავიგე, მაგრამ როგორც იყო ჩემი გაოცება, როდესაც კვლავ გამომეცხადა იგივე მაცნე საწოლთან და მოვისმინე, როგორ გაიმეორა იგივე და გამაფრთხილა, რომ სატანა შეეცდებოდა ჩემ შეცდენას, რათა მივითვისო ეს ფირფიტები და მათი მეშვეობით გავმდიდრდე (ვინაიდან მამაჩემის ოჯახი იმყოფებოდა მძიმე მატერიალურ პირობებში). ამის გაკეთება მან ამიკრძალა და მითხრა, რომ ფირფიტების მისაღებად არ უნდა მქონდეს არანაირი

სხვა მიზანი, გარდა ღვთის დიდებისა, რომ მისი სასუფეველის შენების სურვილის გარდა არ უნდა ვიყო რაიმე სხვა გავლენის ქვეშ, თორემ ვერ მივიღებდი მათ.

ამ მესამე ვიზიტის შემდეგ იგი ამაღლდა ზეცაში, როგორც მანამდე და კვლავ მარტო დავრჩი ჩაფიქრებული იმ უცნაურ მოვლენაზე, რაც განვიცადე; და მაშინ, თითქმის დაუყოვნებლივ, როდესაც მესამედ მოვლენილი ზეციური მაცნე ამაღლდა, დაიცივლა მამალმა და დავინახე, რომ გათენებულყო. გამოდის, რომ ეს საუბრები მთელი დამე გრძელდებოდა.

ცოტა ხნის შემდეგ ავდექი საწოლიდან და ჩვეულებისამებრ წავედი ყოველდღიური სამუშაოს შესასრულებლად; მაგრამ, როგორც კი ხელი მოვკიდე სამუშაოს, ვიგრძენი ისეთი დაღლილობა, რომ საერთოდ ვერ ვაკეთებდი ვერაფერს. მამაჩემმა, რომელიც გვერდზე მუშაობდა, შემატყო, რომ ვერ ვიყავი კარგად და დამრთო ნება, სახლში წავსულიყავი. მე გავეშურე სახლისაკენ, მაგრამ როდესაც ვცდილობდი მინდორთან ღობეზე გადაძრომას, ძალა გამომეცალა და უგონოდ დავეცი მიწაზე; და ასე უგონოდ ვიწეკი რაღაც დროის განმავლობაში.

პირველი, რაც შემიძლია გავიხსენო, ეს არის ხმა, რომელმაც სახელით მომმართა. ავიხედე და აჰა, კვლავ იგივე მაცნე იდგა ჩემს თავზედ ისე, როგორც მანამდე, სინათლით გაბრწყინებული. მან კვლავ გაიმეორა იგივე, რაც მანამდე მითხრა გასულ დამეს და მიბრძანა, რომ მივსულიყავი მამაჩემთან და მეთქვა ჩემი ხილვისა და ბრძანებების შესახებ, რომელიც მივიღე.

მე დავემორჩილე, დავბრუნდი მამაჩემთან მინდორში და ყველაფერი მოვუყევი. მან მიპასუხა, რომ ყოველივე ეს ღვთისაგან იყო და მითხრა, რომ წავსულიყავი და გამეკეთებინა ყველაფერი, როგორც მაცნემ მიბრძანა. მე წამოვედი მინდვრიდან და გავეშურე იმ ადგილისკენ, სადაც მაცნეს სიტყვებით ინახებოდა ფირფიტები და რადგან იმ ადგილის შესახებ ნანახი ხილვა იმდენად მკაფიო იყო, ის მისვლისთანავე ვიცანი.

სოფელ მანჩესტერთან ახლოს, ონტარიოს ოლქში, ნიუ-იორკის შტატი, მდებარეობს საკმაოდ დიდი გორაკი, ყველაზე დიდი, რაც კი მის გარშემოა. ამ გორაკის დასავლეთ მხარეს, მწვერვალთან ახლოს, საკმაოდ დიდი ქვის ქვეშ, იდო ქვის ყუთში ჩადებული ფირფიტები. ეს ქვა იყო დიდი და შუაში გამობერილი, ხოლო ნაპირებისკენ თხელდებოდა და მიწით იყო დაფარული ისე, რომ მარტო ქვის შუა ნაწილი მოჩანდა, გარშემო ნაპირები კი მიწით იყო დაფარული.

ქვას მიწა მოვაცილე, ავიღე ჯოხი, ქვას ქვემოდან ამოვუღე და მცირე ძალისხმევით ავწიე. როდესაც შიგ ჩავიხედე, იქ ნამდვილად ვიხილე ფირფიტები, ურიმი და თუმიმი და სამკერდული, ისე როგორც მაცნემ მითხრა. ყუთი, რომელშიც ისინი ელაგა, იყო ქვის და შეკრული იყო რაღაც დულაბით. ყუთის ფსკერზე იდო ჯვარედინად ორი ქვა და ამ ქვებზე ელაგა ფირფიტები და სხვა ნივთები.

მე შევეცადე ისინი ამომეღო, მაგრამ მაცნემ ამიკრძალა და კვლავ შემატყობინა, რომ მათი მიღების დრო ჯერ არ დამდგარა და არ დადგებოდა, სანამ ამ დღიდან ოთხი წელი არ გავიდოდა. მან ასევე მითხრა, რომ უნდა მოვსულიყავი ამ ადგილზე ზუსტად ერთი წლის შემდეგ და იგი აქ შემხვდებოდა; და ასე უნდა მოვქცეულიყავი, სანამ დრო არ მოვიდოდა ფირფიტების მისაღებად.

იმისდა მიხედვით როგორც მიბრძანა, ყოველი წლის ბოლოს მივიდი იმ ადგილზე და ყოველთვის იქ მხვდებოდა იგივე მაცნე; და ყოველი ჩვენი შეხვედრისას ვიღებდი მისგან დარიგებასა და ცოდნას იმაზე, თუ რას გააკეთებდა უფალი, როგორი და რანაირი იქნებოდა მისი სასუფეველის მართვა ბოლო დღეებში. . . .

ბოლოს დადგა დრო, როდესაც უნდა ამეღო ფირფიტები, ურიმი და თუმიმი და სამკერდული. ათას რვაას ოცდაშვიდი წლის ოცდაორ სექტემბერს, ჩვეულებისამებრ, წლის ბოლოს, მივედი იმ ადგილზე, სადაც ისინი იდო და იმავე ზეციურმა მაცნემ გადმომცა ისინი შემდეგი ბრძანებით, რომ მათზე პასუხისმგებელი ვიყავი და თუ დაუდევრად მოპყრობის ან უყურადღებობის გამო მათ ხელიდან გავუშვებდი – მოკვეთილი ვიქნებოდი, მაგრამ თუ მთელი ძალისხმევით მათ დავიცავდი და მოვუფრთხილდებოდი იქამდე, სანამ მაცნე არ მოვიდოდა მათთვის, ისინი დაცული იქნებოდა.

მალე მიხვდი, თუ რატომ მივიღე ასეთი მკაცრი ბრძანება მათ უსაფრთხოდ შენახვაზე და რატომ მითხრა მაცნემ, რომ როდესაც ყველაფერს გავაკეთებდი რაც მე მომეთხოვებოდა, იგი დაბრუნდებოდა მათ წასაღებად, რადგან როგორც კი გახდა ცნობილი, რომ მე მქონდა ისინი, ძალზედ სერიოზულად შეეცადნენ, ისინი ჩემგან წაეღოთ. ყოველნაირი ხრიკები იქნა გამოყენებული, რისი მოფიქრებაც კი შეიძლებოდა იმისათვის, რომ თავიანთი მიზნისათვის მიეღწიათ. დევნა უფრო გამძაფრდა და გახდა დაუნდობელი; და მრავალი ადამიანი განუწყვეტლივ ეძებდა ჩემგან ფირფიტების დაუფლების შესაძლებლობას. მაგრამ, ღვთის სიბრძნით, ისინი უსაფრთხოდ იყო ჩემს ხელში, სანამ მათი მეშვეობით არ შევასრულე ყველაფერი, რაც მომეთხოვებოდა. როდესაც, დაპირებისამებრ, მაცნე მოვიდა მათ წასაღებად, მე ისინი გადავეცი და ფირფიტები

დღემდე მასთან არის ანუ ათას რვაას ოცდათვრამეტი წლის მაისის მეორე დღეს.“

მთლიანი ტექსტისათვის, იხილეთ ჯოზეფ სმითის ისტორია ძვირფას მარგალიტში.

ეს უძველესი ჩანაწერები, მოწვენილი მიწიდან, როგორც მტვრიდან მოსაუბრე ხალხის ხმა, გადათარგმნილი თანამედროვე ენაზე ღვთის ძღვენითა და ძალით, როგორც ეს დადასტურებულია ღვთიური დამოწმებით, გამოცემულ იქნა ამქვეყნად ინგლისურ ენაზე 1830 წელს, როგორც THE BOOK OF MORMON.

მოკლე განმარტება მორმონის წიგნის შესახებ

მორმონის წიგნი არის ამერიკის უძველესი ხალხების წმინდა ჩანაწერი. ის ამოტივტივებული იყო ლითონის ფირფიტებზე. წყაროები რომლიდანაც შედგენილია ეს ჩანაწერები, მოიცავს შემდეგს:

1. *ნეფის ფირფიტები*, რომლებიც იყო ორი სახის: პატარა და დიდი ფირფიტები. პირველი უმთავრესად ეძღვნება სულიერ საკითხებს, წინასწარმეტყველთა მსახურებასა და სწავლებას, ხოლო მეორეში მეტწილად აღწერილია მოცემული ხალხის სეკულარული ისტორია (1 ნეფი 9:2–4). მიუხედავად ამისა, მოსიას დროიდან მოყოლებული, დიდი ფირფიტებიც ასევე მოიცავს მნიშვნელოვან სულიერ საკითხებს.
2. *მორმონის ფირფიტები*, რომლებიც შედგება მორმონის მიერ შემოკლებული ნეფის დიდი ფირფიტებისგან, თანდართული მრავალი კომენტარით. ეს ფირფიტები ასევე მოიცავს მორმონის მიერ აღწერილი ისტორიის გაგრძელებას და მისი შვილის, მორმონის მიერ შეყვანილ დამატებებს.
3. *ეფერის ფირფიტები*, რომლებიც აღწერს იარედიელთა ისტორიას. ეს ჩანაწერები შეამოკლა მორმონმა, რომელმაც დაუმატა თავისი კომენტარები და წიგნში ერთ ისტორიად გააერთიანა ეს ჩანაწერები სათაურით „ეფერის წიგნი“.
4. *სპილენძის ფირფიტები*, რომელიც ლეხის ხალხმა მოიტანა იერუსალიმიდან 600 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე. ისინი მოიცავდა „მოსეს ხუთ წიგნს, . . . ასევე იუდეველთა ჩანაწერებს, დასაბამიდან, იუდას მეფის, ციდეიაჰუს, გამეფებამდე; და ასევე წმინდა წინასწარმეტყველთა წინასწარმეტყველებებს“ (1 ნეფი 5:11–13). მორმონის წიგნში არის მოყვანილი ესაიას და სხვა ბიბლიური და არაბიბლიური წინასწარმეტყველების ციტატები ამ ფირფიტებიდან.

მორმონის წიგნი შედგება თხუთმეტი მთავარი ნაწილისგან ანუ დანაყოფისგან, რომლებიც ცნობილია წიგნებად, ერთი გამონაკლისის გარდა; და როგორც წესი, წიგნი დასათაურებულია თავისი მთავარი ავტორის სახელით. პირველი ნაწილი (პირველი ექვსი წიგნი მთავრდება ომნის წიგნით) არის ნეფის პატარა ფირფიტებიდან ნათარგმნი. ომნისა და მოსიას წიგნებს შორის არის დანართი, რომელსაც ეწოდება მორმონის სიტყვები. ეს დანართი აერთიანებს

პატარა ფირფიტებზე ამოტვიფრულ ჩანაწერებს, მორმონის მიერ შემოკლებული დიდი ფირფიტების ჩანაწერებთან.


ყველაზე დიდი ნაწილი, მოსიადან მორმონის მეშვიდე თავის ჩათვლით, წარმოადგენს მორმონის მიერ ნეფის დიდი ფირფიტების შემოკლებულ ნათარგმნს. დასკვნითი ნაწილი, მორმონის მე-8 თავიდან ტომის ბოლომდე, ამოტვიფრული იყო მორმონის შვილის, მორონის მიერ, რომელმაც დაამთავრა მამამისის ცხოვრების ისტორიის წერა და შეადგინა იარედიელთა ისტორიის შემოკლებული ტექსტი (ეფერის წიგნი) და მოგვიანებით დაუმატა ნაწილები, რომლებიც ცნობილია, როგორც მორონის წიგნი.

ჩვენი წელთაღრიცხვით 421 წელს, ან დაახლოებით ამ დროს, ნეფიელთა ბოლო წინასწარმეტყველმა-ისტორიკოსმა, მორონიმ, ჩაბეჭდა ეს წმინდა ჩანაწერები და უფლისთვის დამალა, რათა ისინი გამოჩენილიყო ბოლო დღეებში, იმდაგვარად, როგორც ეს ნაწინასწარმეტყველები იყო ღვთის ხმით, მისი უძველესი წინასწარმეტყველების მიერ. ჩვენი წელთაღრიცხვით 1823 წელს, იგივე მორონი, უკვე აღმსდგარი პიროვნება, ეწვია წინასწარმეტყველ ჯოზეფ სმითს და მოგვიანებით გადასცა გრავირებული ფირფიტები.


შენიშვნა ამ გამოცემასთან დაკავშირებით: წიგნის დედანში თავფურცელი უშუალოდ წინ უძღვის შინაარსს. ის აღებულია ფირფიტებიდან და არის წმინდა ტექსტის ნაწილი. შესავალი, რომელიც დაბეჭდილია არა დახრილი შრიფტით, როგორც არის 1 ნეფი და შემდეგ მოსია თავი 9, ასევე არის წმინდა ტექსტის ნაწილი. დახრილი შრიფტით დაბეჭდილი შესავალი, არ არის ორიგინალ ტექსტში, მაგრამ არის მეცადინეობისა და კითხვის დასახმარებლად.

ზოგიერთი უმნიშვნელო შეცდომა ტექსტში არის უკვდავოფილი მორმონის წიგნის ინგლისურენოვან ძველ გამოცემებში. ამ გამოცემაში შეყვანილია სათანადო შესწორებები, რათა შეესატყვისებოდეს მოცემული მასალის პირვანდელ ხელნაწერებსა და წინასწარმეტყველ ჯოზეფ სმითის მიერ გაკეთებულ რედაქტირებებს.

ილუსტრაციები



უფალი იესო ქრისტე
ჰეინრიხ პოფმანის ნახატი



წინასწარმეტყველი ჯოზეფ სმითი
ალვინ გიტინსის ნახატი

იხილეთ „წინასწარმეტყველ ჯოზეფ სმითის დამოწმება“, გვ. xi-xv



ლეხი პოულოძს ლიჯონას
არწოდდ ფრიბეკგის ნახატი
იხილეთ 1 ნეფე 16, გვ. 39-43



ღეხი და მისი ხალხი ჩამოდიან აღთქმულ მიწაზე
არნოლდ ფრიბერგის ნახატი
იხილეთ 1 ნეფი 18, კვ. 49-51



აღმა ნათლავს მორმონის წყლებში
არხოლდ ფობეკრუგის ნახატი

იხილეთ მოსია 18, გვ. 219–222



სამუელი ღამანიელი წინასწარმეტყველებს
არნოლდ ფრიბერგის ნახატი
იხილეთ ჰელამანი 16, გვ. 521-524



იესო ქრისტე ეწვევა ამერიკის კონტინენტს
ჯონ სკოტის ნახატი

იხილეთ 3 ნეფი 11, გვ: 552-555



მორონი მარხავს ნეფიელთა ჩანაწერებს
ტომ ლოველის ნახატი
იხილეთ მორმონი 8, გვ. 616-620

ნეფის პირველი წიგნი

მისი მმართველობა და მსახურება

ამბავი ღების, მისი მეუღლე სარიას და მისი ოთხი შვილის შესახებ, რომლებსაც ერქვათ (უფროსიდან) ლამანი, ლემუელი, სემი და ნეფი. უფალი აფრთხილებს ღების, რომ იგი უნდა წავიდეს იერუსალიმის მიწიდან, ვინაიდან უწინასწარმეტყველებს ხალხს თავიანთ ურჯულოებაზე და ისინი შეეცდებიან ხელყონ მისი სიცოცხლე. იგი თავისი ოჯახით გაემართება უდაბნოში სამ დღიანი მოგზაურობით. ნეფი აიყვანს თავის ძმებს და ბრუნდება იერუსალიმის მიწაზე იუდეველების ჩანაწერებისათვის. ამბავი მათი გაჭირვების შესახებ. ისინი ცოლად შეირთავენ ისმაელის ქალიშვილებს. აიყვანენ თავიანთ ოჯახებს და წავლენ უდაბნოში. მათი ტანჯვა და გაჭირვება უდაბნოში. მოგზაურობის გეზი. მიადწევენ დიდ წყლებს. ნეფის ძმები მას აუჯანყდებიან. იგი მათ საყვედურობს და აშენებს გემს. მათ ამ ადგილს უწოდეს ბარაქიანი. გადაკვეთენ დიდ წყლებს და აღწევენ აღთქმულ მიწას და ასე შემდეგ. ეს ყველაფერი ნეფის ამბის მიხედვით, ანუ სხვა სიტყვებით, მე, ნეფიმ, ვაკეთე ეს ჩანაწერები.

თავი 1

ნეფი იწყებს თავისი ხალხის ამბის ჩანაწერებს. ღები ხედავს ხილვაში ცეცხლის სვეტს და კითხულობს წინასწარმეტყველების წიგნიდან. ის ადიდებს ღმერთს, წინასწარ იუწყება მესიის მოსვლაზე და წინასწარმეტყველებს იერუსალიმის განადგურებას. იუდეველები დევნიან მას. დაახლოებით 600 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 მე, ნეფი, დავიბადე რა კარგი მშობლებისაგან, ამიტომ მეტნაკლებად გადმომეცა მამაჩემის ყოველგვარი ცოდნა და განათლება; და ვნახე რა მრავალი

გაჭირვება ჩემი დღეების უამს, მიუხედავად ამისა, მთელი ჩემი დღენი ვიყავი რა ძალზედ მადლით მოსილი უფლისაგან; დიახ, რადგან მივიღე დიდი ცოდნა ღვთის სიკეთესა და საიდუმლოებებზე, ამიტომაც, ვაკეთებ ჩემი დღეების უამისა და ჩემი საქმეების ჩანაწერს.

2 დიახ, მე ვაკეთებ ჩანაწერს მამაჩემის ენაზე, რომელიც შეიცავს იუდეველთა ცოდნას და ეგვიპტელთა ენას.

3 და მე ვიცი, რომ ჩანაწერი, რომელსაც მე ვაკეთებ, არის ჭეშმარიტი; და მე მას ვაკეთებ ჩემი ხელით; და ვაკეთებ მას ჩემი ცოდნის შესაბამისად.

4 ვინაიდან, იყო ასე: იუდას მეფის ციდეიაჰუს მმართველობის პირველი წლის დასაწყისში (მამაჩემი, ლეხი, ცხოვრობდა იერუსალიმთან მთელი თავისი დღენი); და ზუსტად იმავე წელს გამოჩნდა მრავალი წინასწარმეტყველი, რომლებიც ხალხს უწინასწარმეტყველებდნენ, რომ უნდა მოენანიებინათ, თორემ დიდი ქალაქი იერუსალიმი აუცილებლად განადგურდებოდა.

5 ამიტომაც, იყო ასე, რომ მამაჩემი, ლეხი, მიდიოდა და მიმართავდა უფალს ლოცვით, დიახ, მთელი გულით, თავისი ხალხისათვის.

6 და იყო ასე, როდესაც იგი უფლისადმი ლოცულობდა, გაჩნდა ცეცხლის სვეტი და აღიმართა მის წინ კლდეზე; და მან დაინახა და მოისმინა მრავალი რამ; და იმის გამო, რაც იხილა და მოისმინა, მას ძლიერ გააუწუროლა და ააკანკალა.

7 და იყო ასე, რომ იგი დაბრუნდა თავის სახლში, იერუსალიმთან; დავარდა საწოლზე, რადგან დაძლია სულმა და იმან, რაც მან იხილა.

8 და იმდენად იყო ძლეული სულისაგან, რომ გაიტაცა ხილვამ ისე, რომ დაინახა გახსნილი ზეცა და მიხვდა, რომ იხილა ღმერთი თავის ტახტზე მჯდომარე, უთვალ ანგელოზთა ჯგუფებით გარშემორტყმული, რომლებიც გალობდნენ და აღიდებდნენ თავიანთ ღმერთს.

9 და იყო ასე, რომ დაინახა ერთი, რომელიც ეშვებოდა ზეცის შუაგულიდან და იხილა, რომ მისი ნათება შუადღის მზის ბრწყინვალეობაზე უფრო ძლიერი იყო.

10 და მან ასევე იხილა თორმეტი სხვა, რომლებიც მას მიჰყვებოდნენ და მათი სიკაშკაშე ჩრდილაგდა ვარსკვლავებს ცის კამარაზე.

11 და ისინი ჩამოვიდნენ და გაიარეს დედამიწის ზედაპირზე; და პირველი მიუახლოვდა მამაჩემს, წინ დაუდგა, მისცა წიგნი და უბრძანა წაეკითხა.

12 და იყო ასე, რომ კითხვისას იგი აღივსო უფლის სულით.

13 და კითხულობდა იგი ამ სიტყვებს: ვარამი, ვარამი იერუსალიმს, რადგან მე ვიხილე შენი სისაძაგლე! დიახ, ბევრი წაიკითხა მამაჩემმა იერუსალიმზე: რომ ის განადგურდებოდა თავის მაცხოვრებლებთან ერთად; და ბევრი დაიდუპებოდა მახვილით და ბევრს ტყვედ წაიყვანდნენ ბაბილონში.

14 და იყო ასე, როდესაც მამაჩემმა წაიკითხა და იხილა მრავალი დიადი და საოცარი, მან მრავალი რამ შესძახა უფლისადმი, სახელდობრ: დიადი და საოცარია შენი საქმენი, უფალო ღმერთო, ყოვლად ძლიერო! ტახტი შენი მაღლაა ზეცაში და ძალა შენი და სიკეთე და წყალობა ეფინება დედამიწის ყოველ მცხოვრებს; და რადგანაც

შენ ხარ მოწყალე, არ დაუშვებ მათ დაღუპვას, ვინც შენთან მოვა!

15 და ასეთი იყო მამაჩემის სიტყვები თავისი ღვთის სადილებლად; რადგან ხარობდა მისი სული და მთელი გული აღვსილი ჰქონდა იმის გამო, რაც იხილა, დიახ, რაც უფალმა აჩვენა მას.

16 და ახლა მე, ნეფი, არ ვაკეთებ იმის მთლიან ჩანაწერს, რაც მამაჩემმა დაწერა, ვინაიდან მან ბევრი რამ დაწერა, რაც იხილა ხილვებსა და სიზმრებში; ასევე მან ბევრი რამ დაწერა ისეთი, რაზეც წინასწარმეტყველებდა და ეუბნებოდა თავის შვილებს, ამაზეც მე არ გავაკეთებ მთლიან ჩანაწერს.

17 მაგრამ მე გავაკეთებ ჩემი დღეების საქმეების ჩანაწერებს. აჰა, მე ვამოკლებ მამაჩემის ჩანაწერებს, ფირფიტებზე, რომლებიც ჩემი ხელით გავაკეთე. ამიტომ, როდესაც შევამოკლებ მამაჩემის ჩანაწერებს, მე გავაკეთებ ჩემი ცხოვრების ჩანაწერს.

18 ამიტომაც მსურს იცოდეთ, იმის მერე, რაც უფალმა აჩვენა მამაჩემს, ლეხის, ამდენი საოცარი რამ, დიახ, იერუსალიმის განადგურებაზე, აჰა, ის გავიდა ხალხში და დაიწყო წინასწარმეტყველება და იმის გამოცხადება, რაც იხილა და მოისმინა.

19 და იყო ასე, რომ იუდეველები დასცინოდნენ იმის გამო, რასაც იგი მოწმობდა მათზე; ვინაიდან იგი ჭეშმარიტად

მოწმობდა მათ სიბოროტესა და სისაძაგლეზე და მოწმობდა იმაზე, რაც იხილა და მოისმინა, ასევე, რაც წაიკითხა წიგნში, ნათლად აცხადებდა მესიის მოსვლაზე და ასევე ამა ქვეყნის გამოსყიდვაზე.

20 და როდესაც იუდეველებმა ეს მოისმინეს, ისინი გაბრაზდნენ მასზე; დიახ, ისე, როგორც უძველეს წინასწარმეტყველებზე, რომლებიც მათ გააძევეს, ჩაქოლეს და დახოცეს; და ისინი ასევე ცდილობდნენ, მისთვის სიცოცხლე მოესწრაფათ, მაგრამ, აჰა, მე, ნეფი, დაგანახებთ, რომ უხვია უფლის დიდსულოვანი მოწყალეობა ყოველ მათგანზე, ვინც მან ამოირჩია მათი რწმენის გამო, რათა გახადოს ისინი ძლევაგამოსილნი და ხსნის ძალასაც აძლევს მათ.

თავი 2

ლეხის მიჰყავს თავისი ოჯახი უდაბნოში წითელ ზღვასთან. ისინი ტოვებენ თავიანთ ქონებას. ლეხი წირავს მსხვერპლშესაწირს უფალს და ასწავლის შვილებს მცნებების დაცვას. ლამანი და ლემუელი ბუზღუნებენ მამაზე. ნეფი მორჩილია და რწმენით აღსავსე ლოცულობს. უფალი მას ესაუბრება და იგი არის რჩეული, რათა თავის ძმებს უხელმძღვანელოს. დაახლოებით 600 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 რადგან, აჰა, იყო ასე, რომ უფალმა მიმართა მამაჩემს, დიახ, სიზმარში და უთხრა: კურთხეული ხარ შენ, ლეხი, იმისათვის, რაც გააკეთე; და რადგან ერთგული იყავი და გამოუცხადე ამ ხალხს ის, რაც გიბრძანე, აჰა, ისინი ცდილობენ სიცოცხლე მოგისწრაფონ.

2 და იყო ასე, რომ უფალმა უბრძანა მამაჩემს, დიახ, სიზმარში, რომ აიყვანოს თავისი ოჯახი და წავიდეს უდაბნოში.

3 და იყო ასე, რომ ის უფლის სიტყვისადმი იყო მორჩილი და ამიტომაც მოიქცა ისე, როგორც უბრძანა უფალმა.

4 და იყო ასე, რომ ის წავიდა უდაბნოში და მიატოვა თავისი სახლი, მემკვიდრეობის მიწა, ოქრო, ვერცხლი და ძვირფასი ნივთები და არ წაიღო თან არაფერი ოჯახის, საკვებისა და კარავის გარდა; და წავიდა უდაბნოში.

5 და მიაღწია მან წითელი ზღვის სანაპიროსთან მიწებს; და მოგზაურობდა უდაბნოში წითელი ზღვის სანაპიროსთან გვერდით მიწებზე; და უდაბნოში მოგზაურობდა ოჯახთან ერთად, რომელიც შედგებოდა დედაჩემი სარიასა და ჩემი უფროსი ძმებისაგან, რომლებიც იყვნენ ლამანი, ლემუელი და სემი.

6 და იყო ასე, რომ როდესაც მან იმოგზაურა სამი დღე უდაბნოში, მან გაშალა თავისი

კარავი ველზე, წყალთან, მდინარის შესართავის სანაპიროზე.

7 და იყო ასე, რომ მან ქვებისგან ააგო საკურთხეველი, უფლისთვის გაიღო შესაწირი და მიაგო სამადლობელი უფალს, ჩვენს ღმერთს.

8 და იყო ასე, რომ მან მდინარეს დაარქვა სახელი ლამანი; და ის ჩაედინებოდა წითელ ზღვაში; მისი შესართავის ნაპირის სიახლოვეს მდებარეობდა ველი.

9 და როდესაც მამაჩემმა იხილა, თუ როგორ ჩაედინებოდა მდინარის წყლები წითელი ზღვის სათავეში, მან მიმართა ლამანს სიტყვებით: შენ რომ იყო ამ მდინარესავით და მუდამ მიედინებოდე სიმართლის წყაროსაკენ!

10 და მან ასევე უთხრა ლემუელს: შენ რომ იყო ამ ველივით მყარი, მტკიცე და ურყევი უფლის მცნებების დაცვაში!

11 და ის ამას ამბობდა ლამანის და ლემუელის ქედვიცხელობის გამო, რადგან ისინი ბევრ რამეზე ბუზღუნებდნენ თავიანთი მამის მიმართ, რომ ის იყო კაცი, რომელიც არის ხილვების მქონე და რომელიც წაიყვანა ისინი იერუსალიმის მიწიდან, რომ მიეტოვებინათ საკუთარი მემკვიდრეობის მიწა და ოქრო და ვერცხლი და ძვირფასი ნივთები, რათა დაღუპულიყვნენ უდაბნოში. და ამბობდნენ ისინი, რომ მან ეს გააკეთა საკუთარი

გულის უგუნური წარმოსახვების გამო.

12 ამდაგვარად ლამანი და ლემუელი, იყვნენ რა უფროსები, ბუზღუნებდნენ თავიანთ მამაზე და ბუზღუნებდნენ იმიტომ, რომ არ იცოდნენ ის ღვთის საქმენი, რომელმაც ისინი შექმნა.

13 მათ ასევე არ სწამდათ, რომ იერუსალიმი, ის დიდი ქალაქი, შესაძლებელი იყო განადგურებულიყო, წინასწარმეტყველების სიტყვების შესაბამისად; და იყვნენ ისინი როგორც იუდეველები იერუსალიმთან, რომლებიც ცდილობდნენ სიცოცხლე მოესწრათ მამაჩემისათვის.

14 და იყო ასე, რომ მამაჩემმა მიმართა მათ ლემუელის ველზე, ისეთი ძალითა და სუფლით აღვსილმა, რომ ისინი მთელი ტანით აკანკალდნენ მის წინაშე. და მან შემუსრა ისე, რომ ვეღარ ბედავდნენ მის წინააღმდეგ ხმის ამოდებას, ამიტომაც აკეთებდნენ იმას, რასაც იგი უბრძანებდა.

15 და მამაჩემი ცხოვრობდა კარავში.

16 და იყო ასე, მე, ნეფი, მიუხედავად იმისა, რომ ვიყავი ძალზედ ახალგაზრდა, დიდი აღნაგობის ადამიანი და ასევე მქონდა ღმერთის საიდუმლოებების ცოდნის დიდი სურვილი, ამიტომაც შეველადადე უფალს; და აჰა, ის მეწვია, მომიღბო გული ისე, რომ ვიწამე ყოველი სიტყვა, რაც მამაჩემმა თქვა,

ამიტომაც ჩემი ძმებზე ვით არ აუფჯანყდი მას.

17 და მე მივმართე სემს, გავანდე ის, რაც უფალმა მაცნობა თავისი სულიწმინდით. და იყო ასე, რომ მან იწამა ჩემი სიტყვები.

18 მაგრამ, აჰა, ლამანი და ლემუელი ყურს არ უგდებდნენ ჩემს სიტყვებს; და ვიყავი რა განაწყენებული მათი გულქვაობის გამო, მე შეველადადე უფალს მათთვის.

19 და იყო ასე, რომ უფალმა მომმართა მე სიტყვებით: კურთხეული ხარ ნეფი, შენი რწმენისთვის, რადგან მეძებდი ბეჯითად, დამდაბლებული გულით.

20 და რამდენადაც დაიცავთ ჩემს მცნებებს, იმდენად აყვავდებით და მიგიყვანთ აღთქმულ მიწამდე; დიახ, მიწაზე, რომელიც მე მოვამზადე თქვენთვის, დიახ, მიწა, ყველა სხვა მიწათა შორის რჩეული.

21 და რამდენადაც, აგიჯანყდებიან ძმები, იმდენად იქნებიან ისინი უფლის გარემოცვიდან მოკვეთილნი.

22 და რამდენადაც დაიცავთ ჩემს მცნებებს, დაინიშნები შენი ძმების მმართველად და მასწავლებლად.

23 რადგან, აჰა, იმ დღეს, როდესაც ჩემ წინააღმდეგ აჯანყდებიან, მე დავწყევლი მათ, თან მკაცრი წყევლით და არ ექნებათ მათ ძალა შენს შთამომავლობაზე, თუ ისინიც არ ამიჯანყდებიან.

24 და თუ ეს ასე იქნება, რომ ამიჯანყდებიან, ისინი შენი შთამომავლობისთვის იქნებიან, როგორც გონს მოსაგები როზგი.

თავი 3

ლექის შვილები ბრუნდებიან იერუსალიმში სპილენძის ფირფიტების მისაღებად. ლაბანი არ უთმობს მათ ფირფიტებს. ნეფი აგულიანებს და ამხნევეს თავის ძმებს. ლაბანი მოპარავს მათ ქონებას და შეეცდება მათ დახოცვას. ლამანი და ლემუელი სცემენ ნეფის და სემს და ანგელოზი გააიციხავს მათ. დაახლოებით 600–592 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და იყო ასე, რომ მე, ნეფი, უფალთან საუბრის შემდეგ, დაებრუნდი მამაჩემის კარავში.

2 და იყო ასე, რომ მან მომმართა სიტყვებით: აჰა, დამესიზმრა სიზმარი, სადაც უფალმა მიბრძანა, რომ შენ და შენი ძმები უნდა დაბრუნდეთ იერუსალიმში.

3 რადგან, აჰა, ლაბანს აქვს იუდეველთა ჩანაწერი და ასევე ჩემი წინაპრების გვარტომობის ნუსხა და ისინი ამოტვიფრულია სპილენძის ფირფიტებზე.

4 ამიტომაც, უფალმა მიბრძანა, რომ შენ და შენი ძმები უნდა წახვიდეთ ლაბანის სახლში და მოძებნოთ ეს ჩანაწერები და ჩამოიტანოთ ისინი აქ, უდაბნოში.

5 და ახლა, აჰა, შენი ძმები

ბუზღუნებენ, ამბობენ, რომ ძნელი რამ მოვითხოვე მათგან. მაგრამ, აჰა, მე კი არ მოვითხოვე ეს მათგან, არამედ ეს არის უფლის ბრძანება.

6 ამიტომაც მიდი, შვილო, და იქნები მადლით მოსილი უფლისაგან, რადგან არ ბუზღუნებდი.

7 და იყო ასე, რომ მე, ნეფიმ, ვუთხარი მამაჩემს: წავალ და გავაკეთებ იმას, რაც უფალმა ბრძანა, რადგან ვიცი, რომ უფალი არ უბრძანებს ადამიანთა შვილებს რაიმეს, თუ არ მოუძნადებს გზას იმისთვის, რომ შეასრულონ, რასაც ის უბრძანებს.

8 და იყო ასე, რომ როდესაც მამაჩემმა მოისმინა ეს სიტყვები, მას ძალზედ გაუხარდა, რადგან იცოდა, რომ კურთხეული ვიყავი უფლისაგან.

9 და მე, ნეფი, და ჩემი ძმები, გავემართეთ უდაბნოში ჩვენი კარვებით, რათა მივსულიყავით იერუსალიმის მიწაზე.

10 და იყო ასე, რომ როდესაც მივედი იერუსალიმის მიწაზე, მე და ჩემმა ძმებმა ვითათბირეთ.

11 და წილი ვყარეთ, თუ რომელი ჩვენთაგანი წავიდოდა ლაბანის სახლში. და იყო ასე, რომ ლამანს ერგო წილი; და ლამანი შევიდა ლაბანის სახლში, დაჯდა და ესაუბრა ლაბანს მის სახლში.

12 და ის სთხოვდა ლაბანს ჩანაწერებს, რომლებიც სპილენძის ფირფიტებზე იყო ამოტვიფრული,

რომლებიც მოიცავდა მამაჩემის წინაპრების გვარტომობას.

13 და აჰა, იყო ასე, რომ ლაბანი განრისხდა და გამოაგდო იგი; და არ დაუთმო ჩანაწერები. ამიტომაც უთხრა მას: აჰა, შენ ხარ მძარცველი და მე შენ მოგკლავ.

14 მაგრამ ლამანმა თავი დააღწია მას და მოგვიყვა, რა გააკეთა ლაბანმა. და ძალიან დავლონდით და ჩემი ძმები უკვე აპირებდნენ უდაბნოში მამასთან დაბრუნებას.

15 მაგრამ, აჰა, მათ ასე ვუთხარი: ისე, როგორც ცოცხალია უფალი და როგორც ცოცხლები ვართ, არ ჩავალთ მამაჩვენთან უდაბნოში, სანამ არ შევასრულებთ იმას, რაც გვიბრძანა უფალმა.

16 ამიტომაც, მოდით ვიყოთ ერთგულნი უფლის ბრძანებების შესრულებაში და ამიტომაც ჩავიდეთ მამის მემკვიდრეობის მიწაზე, რადგან, აჰა, მან დატოვა იქ ოქრო და ვერცხლი და ყველანაირი სიმდიდრე. და ყველაფერი ეს გააკეთა მან უფლის ბრძანებით.

17 რადგან იცოდა, რომ იერუსალიმი უნდა განადგურებულიყო მისი ხალხის სობოროტის გამო.

18 რადგან, აჰა, მათ უარყვეს წინასწარმეტყველთა სიტყვები. ამიტომაც მამაჩემი რომ დარჩენილიყო ამ მიწაზე მას შემდეგ რაც, უფალმა უბრძანა, რომ გაქცეულიყო მიწიდან, აჰა, ისიც

ასევე დაიღუპებოდა. ამიტომაც აუცილებელი იყო, რომ იგი გაქცეულიყო ამ მიწიდან.

19 და აჰა, ღვთის სიბრძნე არის იმაში, რომ ჩვენ უნდა ავიღოთ ეს ჩანაწერები, რათა შევუნარჩუნოთ შვილებს ჩვენი მამების ენა.

20 და ასევე, რომ შევუნარჩუნოთ ის სიტყვები, რომლებიც ნათქვამია ყოველი წმინდა წინასწარმეტყველის პირით და რომლებიც მიეცათ მათ, ღვთის სულითა და ძალით, ქვეყნის დასაბამიდან ჩვენს დრომდე.

21 და იყო ასე, რომ ასეთი სიტყვებით ვარწმუნებდი ჩემს ძმებს, რომ ყოფილიყვნენ ერთგულნი ღვთის ბრძანებების შესრულებაში.

22 და იყო ასე, რომ ჩვენ ჩავედით ჩვენი მემკვიდრეობის მიწაზე, შევაგროვეთ ჩვენი ოქრო და ვერცხლი და ძვირფასი ნივთები.

23 და მას შემდეგ, რაც ერთად შევკრიბეთ ყოველივე ეს, ჩვენ კვლავ მივედით ლაბანის სახლში.

24 და იყო ასე, რომ შევედით ლაბანთან და ვთხოვდით, მოეცა ჩვენთვის სპილენძის ფირფიტებზე ამოტვიფრული ჩანაწერები, რომლებსაც მივცემდით ჩვენს ოქროსა და ვერცხლს და მთელ ჩვენს ძვირფას ნივთებს.

25 და იყო ასე, რომ როდესაც ლაბანმა იხილა ჩვენი ქონება და რომ ის იყო მეტისმეტად

დიდი, ისე დახარბდა მას, რომ გაგვეყარა გარეთ და ჩვენს მოსაკლავად გამოაგზავნა თავისი მსახურები, რათა დაუფლებოდა ჩვენ ქონებას.

26 და იყო ასე, რომ ჩვენ გავექცით ლაბანის მსახურებს და იძულებულნი ვიყავით, დაგვეტოვებინა ჩვენი ქონება და ის ლაბანს ჩაუვარდა ხელში.

27 და იყო ასე, რომ ჩვენ გავიქეციით უდაბნოში და ლაბანის მსახურები ვერ დაგვეწივნენ და დავიმაღეთ კლდის გამოქვაბულში.

28 და იყო ასე, რომ ლამანი იყო გაბრაზებული ჩემზე და მამაჩემზე, ასევე გაბრაზებული იყო ლემუელი, რადგან ის ყურს უგდებდა ლამანის სიტყვებს. ამიტომაც ლამანმა და ლემუელმა ბევრი უხეში სიტყვა გვიტოხრეს ჩვენ, მათ უმცროს ძმებს და ჯოხითაც კი გვცემეს.

29 და იყო ასე, როდესაც ისინი გვცემდნენ ჯოხით, აჰა, გამოჩნდა ანგელოზი უფლისა და აღუდგა წინ და მიმართა სიტყვებით: რატომ სცემთ თქვენს უმცროს ძმას ჯოხით? არ იცით, რომ უფალმა ის აირჩია თქვენს მმართველად და ეს ყველაფერი თქვენი ურჯულოებისთვის? აჰა, კვლავ წახვალთ იერუსალიმში და უფალი ლაბანს ჩაგიგდებთ ხელში.

30 და მას შემდეგ, რაც ანგელოზი დაგველაპარაკა, იგი წავიდა.

31 როდესაც ანგელოზი წავიდა, ლამანმა და ლემუელმა კვლავ დაიწყეს ბუზღუნი სიტყვებით: როგორ უნდა იყოს ეს შესაძლებელი, რომ უფალი ლაბანს ჩაგიგდებს ხელში? აჰა, ის არის ძლევამოსილი კაცი, მას შეუძლია ორმოცდაათს უხელმძღვანელოს, დიახ, მას შეუძლია ორმოცდაათიც მოკლას; და ჩვენ რატომ არა?

თავი 4

ნეფი უფლის ბრძანებით კლავს ლაბანს და შემდეგ ფანდით ეუფლება სპილენძის ფირფიტებს. ზორამი გადაწყვეტს, შეუერთდეს ლეხის ოჯახს უდაბნოში. დაახლოებით 600-592 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და იყო ასე, რომ მივმართე ჩემს ძმებს სიტყვებით: მოდით კვლავ წავიდეთ იერუსალიმში და ვიყოთ ერთგულნი უფლის ბრძანებების შესრულებაში. რადგან, აჰა, ის მთელ დედამიწაზე უფრო ძლევამოსილია და რატომ ვერ იქნება ლაბანზე და მის ორმოცდაათზე უფრო ძლევამოსილი, დიახ, თუნდაც მის ათობით ათასებზე?

2 ამიტომაც, მოდით მივიდეთ, მოდით ვიყოთ ძლიერნი, როგორც მოსე, რადგან მან ჰეშმარიტად მიმართა წითელი ზღვის წყლებს და ისინი გაიყო აქეთ და იქით და ჩვენმა მამებმა გამოიარეს შუაში, ტყვეობიდან

მშრალ მიწაზე; და ფარაონის ჯარი მათ მოსდევდა და დაიხრჩო წითელი ზღვის წყლებში.

3 ახლა, აჰა, თქვენ იცით, რომ ეს არის ჭეშმარიტება; და ასევე იცით, რომ ანგელოზი გელაპარაკათ; როგორ გეპარებათ ეჭვი? მოდით მივიდეთ; უფალს შეუძლია გამოგვისხნას ისე, როგორც გამოიხსნა ჩვენი მამები და შეუძლია გაანადგუროს ლაბანი, როგორც გაანადგურა ევიპტელები.

4 ახლა, როდესაც ვთქვი ეს სიტყვები, ისინი კიდევ გაბრაზებულები იყვნენ და ბუზღუნებდნენ, მიუხედავად ამისა, ისინი გამოყვნენ, სანამ არ მივედით იერუსალიმის კედლებამდე.

5 და იყო ეს ღამით და მე დავმალე ისინი კედლების მიღმა; და მას შემდეგ, რაც ისინი დაიმაღლნენ, მე, ნეფი, შევიპარე ქალაქში და გავემართე ლაბანის სახლისაკენ.

6 და წინ მიმიძღვოდა სული და წინასწარ არ ვიცოდი, რა უნდა მეღონა.

7 მიუხედავად ამისა, მივედი წინ და როდესაც მივუახლოვდი ლაბანის სახლს, ჩემ წინ დავინახე მიწაზე გართხმული კაცი, რადგან ის მთვრალი იყო ღვინით.

8 და როდესაც მასთან მივედი, აღმოვაჩინე, რომ ეს იყო ლაბანი.

9 და დავინახე მისი მახვილი და ამოვიღე იგი ქარქაშიდან; ტარი ჰქონდა ბაჯადლო ოქროსი

და ძალიან ლამაზი ნაკეთობა იყო და დავინახე, რომ პირი ჰქონდა ყველაზე ძვირფასი ფოლადისაგან.

10 და იყო ასე, რომ სული მაიძულებდა, მომეკლა ლაბანი, მაგრამ გულში ვთქვი: არასოდეს ცხოვრებაში არ დამიდგვრია ადამიანის სისხლი. და უკან დავიხიე, რათა არ მინდოდა მისი მოკვლა.

11 და სულმა კვლავ მითხრა: აჰა, უფალმა ჩაგიგდო ის ხელში. დიახ, ასევე ვიცოდი, რომ ლაბანი ცდილობდა ჩემი სიცოცხლის მოსწრაფებას, დიახ, და არც უგდებდა ყურს უფლის ბრძანებებს და მან ასევე ჩვენი ქონება წაიღო.

12 და იყო ასე, რომ სულმა კვლავ მითხრა: მოკალი ის, რადგან უფალმა ჩაგიგდო ხელში.

13 აჰა, უფალი კვლავ ბოროტთ, რათა განახორციელოს თავისი სამართლიანი საქმენი. უმჯობესია დაიღუპოს ერთი ადამიანი, ვიდრე ურწმუნოების გამო გადაშენდეს და დაიღუპოს მთელი ერი.

14 და ახლა, როდესაც მე, ნეფიმ, მოვისმინე ეს სიტყვები, გამახსენდა უდაბნოში ნათქვამი უფლის სიტყვები: რამდენადაც დაიცავს შენი შთამომავლობა ჩემს მცნებებს, იმდენად აყვავდება ის აღთქმულ მიწაზე.

15 დიახ, მე ასევე ვიფიქრე, რომ ისინი ვერ შეძლებენ უფლის მცნებების დაცვას მოსეს

რჯულის მიხედვით, თუ არ ექნებათ ეს რჯული.

16 და მე ასევე ვიცოდი, რომ ეს რჯული იყო ამოტვიფრული სპილენძის ფირფიტებზე.

17 და კვლავ, ვიცოდი, რომ ლაბანი უფალმა ჩამიგდო ხელში იმ მიზნით, რომ მე ამელო ჩანაწერები მისი ბრძანების შესაბამისად.

18 ამიტომაც დავემორჩილე სულის ხმას, მოვკიდე ლაბანს თავზე თმებში ხელი და მოვკვეთე თავი მისივე მახვილით.

19 და მას შემდეგ, რაც მოვკვეთე თავი მისივე მახვილით, ავიღე ლაბანის სამოსელი, გადავიცვი ტანზე, დიახ, ყველაფერი, რაც ეცვა და შევიბიწველზე მისი აბჯარი.

20 და მას შემდეგ, რაც ასე მოვიქეცი, გავემართე ლაბანის საგანძურისაკენ. და როდესაც მივდიოდი ლაბანის საგანძურისაკენ, აჰა, დავინახე ლაბანის მსახური, რომელსაც ჰქონდა საგანძურის გასაღებები. და მე მას ვუბრძანე ლაბანის ხმით, წამოსულიყო ჩემთან ერთად საგანძურში.

21 და მას ეგონა, რომ მე ვიყავი მისი პატრონი, ლაბანი, რადგან მან დაინახა სამოსელი და ჩემს წელზე შებმული მახვილი.

22 და ის მეღაპარაკებოდა იუდეველთა უხუცესებზე, იცოდა რა, რომ მისი პატრონი, ლაბანი, დამე მათთან იყო.

23 და მივმართე მას, როგორც ლაბანი.

24 და ასევე ვუთხარი, რომ მე უნდა წავიღო სპილენძის ფირფიტები გრავიურებით ჩემს უფროს ძმებთან, რომლებიც იყვნენ კედლებს მიღმა.

25 მე ასევე ვუბრძანე მას, რომ უკან გამომყოლოდა.

26 და მას, ეგონა რა, რომ ვუბნებოდი ძმებზე ეკლესიიდან და რომ მე ნამდვილად ვიყავი ლაბანი, რომელიც მოვკალი და ამიტომაც უკან გამომყვა.

27 და იგი ბევრჯერ დამელაპარაკა იუდეველთა უხუცესებზე, როდესაც მე მივემართებოდი ჩემი ძმებისაკენ, რომლებიც იყვნენ კედლებს მიღმა.

28 და იყო ასე, რომ როდესაც ლამანმა დამინახა, ის ძალზედ შეშინდა და ასევე ლემუელი და სემიც. და ისინი გაიქცნენ ჩემგან, რადგან ეგონათ, რომ ლაბანი ვიყავი და რომ მან მომკლა და ასევე მათი სიცოცხლის მოსპობას აპირებდა.

29 და იყო ასე, რომ დავუძახე და მათ გაიგეს ჩემი ხმა, ამიტომაც აღარ გამირბოდნენ.

30 და იყო ასე, რომ როდესაც ლაბანის მსახურმა დაინახა ჩემი ძმები, ის აკანკალდა და დააპირა ჩემგან გაქცევა და ქალაქ იერუსალიმში დაბრუნება.

31 და ახლა მე, ნეფი, ვიყავი რადიდი აღნაგობის ადამიანი და რადგან უფალმა უხვად მიბოძა ძალღონე, დავიჭირე ლაბანის მსახური, რომ ის არ გაქცეულიყო.

32 და იყო ასე, რომ მივმართე მას, რომ თუ ყურს დაუგდებდა ჩემს სიტყვებს, ისე, როგორც ცოცხალია უფალი და ცოცხალი ვარ მე, თუ მხოლოდ ყურს დაუგდებდა ჩვენს სიტყვებს, ჩვენ დავინდობდით მის სიცოცხლეს.

33 და მე ვუთხარი მას, დაფიცებით, რომ არ უნდა ეშინოდეს, რომ ის იქნებოდა თავის უფალი ადამიანი, ისეთივე, როგორც ჩვენ, თუ წამოვიდოდა ჩვენთან ერთად უდაბნოში.

34 და მე მას მივმართე სიტყვებით: ნამდვილად, უფალმა გვიბრძანა ამის გაკეთება და განა არ უნდა ვიყოთ ბეჯითი უფლის მცნებების დაცვაში? ამიტომაც, თუ შენ ჩამოხვალ უდაბნოში მამჩემთან, გექნება ჩვენს შორის აღვილი.

35 და იყო ასე, რომ ზორამი გამხნევდა იმ სიტყვებით, რომლებიც მე მას ვუთხარი. ახლა, მსახურის სახელი იყო ზორამი; და იგი დაგვიპირდა, რომ ჩავიდოდა უდაბნოში მამჩვენთან. დიახ, მან ასევე შემოგვფიცა, რომ ამიერიდან მომავალში ჩვენთან ერთად იქნებოდა.

36 ამჯერად, ჩვენ ვისურვეთ, რომ ის უნდა დარჩენილიყო ჩვენთან ერთად იმ მიზნით, რომ იუდეველებს არ გაეგოთ ჩვენი უდაბნოში გაქცევის შესახებ, რათა არ დაგვდევნებოდნენ და არ გავენადგურებინეთ.

37 და იყო ასე, რომ როდესაც

ზორამმა შემოგვფიცა, ჩვენი შიში მის მიმართ გაქრა.

38 და იყო ასე, რომ ავიღეთ სპილენძის ფირფიტები, ავიყვანეთ ლაბანის მსახურიც და წავედით უდაბნოში და გავემართეთ მამჩვენის კარვისაკენ.

თავი 5

სარია შესჩივის ლეხის. ორივეს უხარიათ თავიანთი შვილების დაბრუნება. ისინი შეწირავენ მსხვერპლშესაწირს. სპილენძის ფირფიტები შეიცავს მოსესა და წინასწარმეტყველების ჩანაწერებს. ფირფიტები მიუთითებს, რომ ლეხი არის იოსების შთამომავალი. ლეხი წინასწარმეტყველებს თავის შთამომავლებისა და ფირფიტების შენახვის შესახებ. დაახლოებით 600-592 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და იყო ასე, რომ მას შემდეგ, რაც ჩამოვედით უდაბნოში მამჩვენთან, აჰა, ის აღივსო სიხარულით, ასევე დედაჩვენიც, სარია, განსაკუთრებულად იყო გახარებული, რადგან ის ნამდვილად გლოვობდა ჩვენზე.

2 რადგან მას ეგონა, რომ ჩვენ უდაბნოში დავიღუპეთ და შესჩიოდა მამჩვენს, ეუბნებოდა, რომ ის იყო ხილვების მქონე კაცი, სიტყვებით: აჰა, შენ გამოგვიყვანე ჩვენი მემკვიდრეობის მიწიდან და აღარ არიან უკვე ჩემი შვილები და ჩვენც ვიღუპებით უდაბნოში.

3 და ასეთი სიტყვებით შესჩიოდა დედაჩემი მამაჩემს.

4 და იყო ასე, რომ მამაჩემმა მიმართა მას სიტყვებით: მე ვიცი, რომ ვარ ხილვების მქონე კაცი, რადგან მე რომ ხილვაში არ მენახა ღვთის საქმენი, არა თუ ვერ შევიცნობდი ღვთის სიკეთეს, არამედ დავრჩებოდი იერუსალიმთან და დავიღუპებოდი ჩემს ძმებთან ერთად.

5 მაგრამ, აჰა, მე მივიღე აღთქმული მიწა, რაც მე მიხარია, დიახ, მე ვიცი, რომ უფალი გამოიხსნის ჩემს შვილებს ლაბანის ხელიდან და კვლავ ჩამოიყვანს აქ, ჩვენთან, უდაბნოში.

6 და ასეთი სიტყვებით მამაჩემი, ლეხი, ანუგეშებდა დედაჩემს, სარიას, ჩვენს შესახებ, იმ დროს, როდესაც ჩვენ მივდიოდით უდაბნოში, იერუსალიმის მიწისაკენ, იუდეველთა ჩანაწერების ასაღებად.

7 და როდესაც ჩვენ დაგბრუნდით მამაჩემის კარავში, აჰა, აღივსნენ ისინი სიხარულით და დედაჩემი დამშვიდდა.

8 და დედაჩემმა თქვა ეს სიტყვები: ახლა მე ნამდვილად ვიცი, რომ უფალმა უბრძანა ჩემს ქმარს უდაბნოში გაქცევა, დიახ, მე ასევე ნამდვილად ვიცი, რომ უფალმა დაიცვა ჩემი შვილები და გამოიხსნა ლაბანის ხელიდან და მისცა ძალა, რომლითაც შეეძლოთ იმის გაკეთება, რაც მათ უფალმა უბრძანა. და ასეთი იყო მისი ნათქვამი სიტყვები.

9 და იყო ასე, რომ მათ ძალზედ გაუხარდათ და შეწირეს უფალს მსხვერპლშესაწირი და სრულად დასაწველი და მიუზღვეს მათ ისრაელის ღმერთს სამადლობელი.

10 და მას შემდეგ, რაც მათ მიუზღვეს სამადლობელი ისრაელის ღმერთს, მამაჩემმა, ლეხიმ, აიღო სპილენძის ფირფიტებზე ამოტვიფრული ჩანაწერები და შეისწავლა ისინი დასაწყისიდან.

11 და აჰა, მან დაინახა, რომ ისინი მოიცავდა მოსეს ხუთ წიგნს, რომლებშიც იყო აღწერილი ამა ქვეყნის შექმნისა და ასევე ადამის და ევას ამბავი, რომლებიც ჩვენი პირველი მშობლები იყვნენ;

12 და ასევე იუდეველთა ჩანაწერებს, დასაბამიდან, იუდას მეფის, ციდეკიაჰუს, გამეფებამდე;

13 ასევე წმინდა წინასწარმეტყველთა წინასწარმეტყველებებს, დასაბამიდან ციდეკიაჰუს გამეფებამდე; და ასევე იერემიას პირით გაუღებულ მრავალ წინასწარმეტყველებას.

14 და იყო ასე, რომ მამაჩემმა, ლეხიმ, სპილენძის ფირფიტებზე ასევე იპოვა თავისი მამების გვარტომობის აღწერა; და ამიტომაც მან გაიგო, რომ იყო იოსების შთამომავალი, დიახ, იმ იოსების, რომელიც იყო იაკობის შვილი, რომელიც გაყიდეს ეგვიპტეში და რომელიც გადარჩა უფლის ხელით, რათა მას გადაერჩინა მამამისი, იაკობი; და

მთელი მისი ოჯახი, შიმშილით დაღუპვისაგან.

15 და ისინი ასევე ტყვეობიდან გამოყვანილ იქნენ ეგვიპტის მიწიდან იმავე ღვთის მიერ, რომელმაც ისინი გადაარჩინა.

16 და ამგვარად მამაჩემმა, ლეხიმ, აღმოაჩინა თავისი მამების გვარტომობის აღწერა. და ლაბანიც ასევე იოსების შთამომავალი იყო, ამიტომაც ის და მისი მამები ინახავდნენ ამ ჩანაწერებს.

17 და ახლა, როდესაც მამაჩემმა დაინახა ეს ყველაფერი, ის აღივსო სულით და დაიწყო წინასწარმეტყველება მის შთამომავლობაზე –

18 რომ ეს სპილენძის ფირფიტები გავრცელდება ყოველ ერში, ტომში, ენაში და ხალხში, რომლებიც მისი შთამომავლობის იყვნენ.

19 ამიტომაც, მან თქვა, რომ ეს სპილენძის ფირფიტები არასდროს არ გაფუჭდება; არც დროისაგან გაცვდება. და ბევრი რამ იწინასწარმეტყველა მან მისი შთამომავლობის შესახებ.

20 და იყო ასე, რომ ამ დრომდე მე და მამაჩემი ვასრულებდით იმ ბრძანებებს, რომლებიც უფალმა მოგვცა.

21 და ჩვენ მივიღეთ ჩანაწერები, რომლების აღებაც უფალმა გვიბრძანა და შევისწავლეთ და აღმოვაჩინეთ, რომ ისინი იყო ნანატრი; დიახ, ჩვენთვის ძალიან ძვირფასიც, რამეთუ შეგვეძლო

ჩვენი შვილებისთვის უფლის მცნებების შენარჩუნება.

22 ამიტომაც, უფლის სიბრძნე იყო იმაში, რომ ჩვენ ისინი თან გვეტარებინა უდაბნოში აღთქმული მიწისაკენ მოგზაურობისას.

თავი 6

ნეფი წერს ღვთის საქმეთა შესახებ. ნეფის მიზანია დაარწმუნოს ადამიანები, მივიდნენ აბრაამის ღმერთთან და გადაარჩნენ. დაახლოებით 600-592 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და ახლა მე, ნეფი, ჩემი ჩანაწერის ამ ნაწილში არ მოვიხსენიებ ჩემი მამების გვარტომობას, არც მომავალში არ მოვიხსენიებ მას ამ ფირფიტებზე, რომლებზეც მე ვწერ, რადგან ის ნახსენებია ჩანაწერში, რომელსაც აკეთებდა მამაჩემი, ამიტომაც მას არ ვწერ ამ ნაშრომში.

2 რადგან საკმარისია ვთქვა, რომ ჩვენ ვართ იოსების შთამომავლები.

3 და ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს იმას, რომ არ ვამახვილებ ყურადღებას მამაჩემის ყოველი საქმის დაწვრილებით აღწერაზე, ვინაიდან მათი აღწერა ამ ფირფიტებზე შეუძლებელია, რადგან ჩემი სურვილია, იყოს ადგილი იმისათვის, რომ გწერო ღვთის საქმეებზე.

4 რადგან ჩემი ერთადერთი მიზანია – დავარწმუნო ადამიანები

იმაში, რომ მივიდნენ აბრაამის ღმერთთან, ისააკის ღმერთთან და იაკობის ღმერთთან და გადარჩნენ.

5 ამიტომაც იმას კი არ ვწერ, რაც ქვეყანას სწადია, არამედ იმას, რაც სწადია ღმერთს და მათ, ვინც არ არიან ამა ქვეყნისა.

6 ამიტომაც, მე მივცემ მცნებას ჩემს შთამომავლობას, არ შეავსონ ეს ფირფიტები იმით, რაც არ არის ადამიანთა შეილებითვის ფასეული.

თავი 7

ლეხის შეილები ბრუნდებიან იერუსალიმში და ეპატიუებიან ისმაელს და მის ოჯახს უდაბნოში ერთად სამოგზაუროდ. ლამანი და სხვები ჯანყდებიან. ნეფი მოუწოდებს თავის ძმებს, იქონიონ უფლის რწმენა. ისინი აბამენ მას თოკებით და გეგმავენ მის მოკვლას. ის თავისუფლდება რწმენის ძალით. მისი ძმები ითხოვენ შეწყალებას. ლეხი და მისი თანამეგზურნი წირავენ მსხვერპლშესაწირს და სრულად დასაწველს. დაახლოებით 600-592 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და ახლა, მე მინდა, იცოდეთ, რომ მას შემდეგ, რაც მამაჩემმა, ლეხიმ, დაამთავრა წინასწარმეტყველება მისი შთამომავლობის შესახებ, იყო ასე, რომ უფალმა კვლავ მიმართა მას სიტყვებით, რომ არ იქნება

კარგი, თუ ლეხი უდაბნოში წაიყვანს მხოლოდ თავის ოჯახს; და რომ მისმა შეილებმა უნდა შეირთონ ცოლად ასულნი, რათა მათ შეძლონ აღთქმულ მიწაზე უფლისთვის შთამომავლობის აღზრდა.

2 და იყო ასე, რომ უფალმა უბრძანა მას, რომ მე, ნეფი, და ჩემი ძმები კვლავ უნდა დაგებრუნებულყავით იერუსალიმის მიწაზე და ჩამოგვეყვანა ისმაელი და მისი ოჯახი უდაბნოში.

3 და იყო ასე, რომ მე, ნეფი, ძმებთან ერთად კვლავ გავემართე უდაბნოსკენ, რათა მივსულიყავით იერუსალიმში.

4 და იყო ასე, რომ ჩვენ მივედით ისმაელის სახლში და ისმაელის თვალში კეთილგანწყობა მოვიპოვეთ, იმდენად, რომ ვუთხარით უფლის სიტყვები.

5 და იყო ასე, რომ უფალმა იმდენად მოუღობო გული ისმაელს და მის ოჯახს, რომ ისინი ჩვენთან ერთად წამოვიდნენ უდაბნოში მამაჩვენის კარავისაკენ.

6 და იყო ასე, რომ როდესაც ჩვენ ვმოგზაურობდით უდაბნოში, აჰა, ლამანი და ლემუელი და ისმაელის ორი ქალიშვილი და ისმაელის ორი ვაჟი და მათი ოჯახები აგვიჯანყდნენ; დიახ, მე, ნეფის; და სემს და მათ მამას, ისმაელს და მის ცოლს და მათ სამ დანარჩენ ქალიშვილს.

7 და იყო ასე, რომ ამ აჯანყებით მათ სურდათ იერუსალიმის მიწაზე დაბრუნება.

8 და ახლა, მე, ნეფი, ვიყავი რა დაღონებული მათი გულქვაობით, ამიტომაც მივმართე სიტყვებით, დიახ, ლამანს და ლემუელს: აჰა, თქვენ ხართ ჩემი უფროსი ძმები, როგორ ხართ ასეთი გულქვები და გონებით ბნელნი, რათა გჭირდებათ, რომ მე, თქვენმა უმცროსმა ძმამ, მოგმართოთ, დიახ, და თქვენ მაგალითი მოგცეთ?

9 როგორ არ უგდებდით ყურს უფლის სიტყვებს?

10 როგორ დაგავიწყდათ, რომ იხილეთ უფლის ანგელოზი?

11 დიახ, და როგორ დაგავიწყდათ, როგორი დიდი საქმენი გააკეთა ჩვენთვის უფალმა ლაბანის ხელიდან გამოხსნით და ასევე რომ ჩვენ შევძელით ჩანაწერების მოპოვება?

12 დიახ, როგორ დაივიწყეთ თქვენ, რომ უფალს შეუძლია ყველაფრის გაკეთება თავისი ნების შესაბამისად, ადამიანთა შვილებისათვის, თუ იქნება ისე, რომ გამოავლენენ მისადმი რწმენას? ამიტომაც, მოდით ვიყოთ მისი ერთგულნი.

13 და თუ იქნება ისე, რომ ჩვენ ვიქნებით მისი ერთგულნი, მივიღებთ აღთქმულ მიწას; და ოდესმე მომავალში თქვენ გაიგებთ, რომ აღსრულება უფლის სიტყვა იერუსალიმის განადგურების შესახებ; ვინაიდან რაკი უფალმა თქვა იერუსალიმის განადგურებაზე, უნდა აღსრულდეს.

14 რადგან, აჰა, უფლის სული

მალე აღარ იმოქმედებს მასზე, რადგან, აჰა, მათ უარყვეს წინასწარმეტყველები და იერემიაც ჩააგდეს საპყრობილეში და ცდილობდნენ მამაჩემისთვისაც მოესწრაფათ სიცოცხლე, ასე რომ მათ გააძევეს იგი იმ მიწიდან.

15 ახლა, აჰა, გეუბნებით, რომ თუ დაბრუნდებით იერუსალიმში, თქვენც მასთან ერთად დაიდუკებით. და ახლა, თუ ასე აირჩევთ, წადით იმ მიწაზე და დაიმახსოვრეთ ეს სიტყვები, რომლებსაც გეუბნებით, რომ თუ წახვალთ, თქვენც ასევე დაიდუკებით, რადგან აი ასე მაიძულებს უფლის სული, რომ უნდა ვილაპარაკო.

16 და იყო ასე, რომ როდესაც მე, ნეფომ, ვუთხარი ეს სიტყვები ჩემს ძმებს, ისინი გაბრაზდნენ ჩემზე. და იყო ასე, მათ აღმართეს ჩემზე ხელი, რადგან, აჰა, ისინი იყვნენ ძალზედ განრისხებულნი და შემოტყეს თოკებით, რადგან ცდილობდნენ ჩემი სიცოცხლის მოსწრაფებას, რათა შეძლებოდათ ჩემი დატოვება უდაბნოში გარეული მხეცებისათვის დასაგლეჯად.

17 მაგრამ, იყო ისე, რომ ვილოცე უფლისადმი სიტყვებით: უფალო, შენდამი ჩემი რწმენის შესაბამისად, გამომიხსენი ჩემი ძმების ხელიდან, დიახ, ძალა მომეცი, რომ გაგწყვიტო ეს თოკები, რომლებითაც ვარ შებოჭილი.

18 და იყო ასე, რომ როდესაც ვთქვი ეს სიტყვები, აჰა, თოკები

მომეშვა ხელფეხიდან და დავდექი ჩემი ძმების წინაშე და კვლავ მივმართე მათ.

19 და იყო ასე, რომ ისინი კვლავ გაბრაზდნენ ჩემზე და ეცადნენ ხელი აღემართათ ჩემზე, მაგრამ, აჰა, ისმაელის ერთ-ერთი ქალიშვილი, დიახ, ასევე დედამისი და ისმაელის ერთ-ერთი შვილი ისე შეეხვეწნენ ჩემს ძმებს, რომ მოუღბეს მათ გული და მათ შეწყვიტეს მცდელობა ჩემი სიცოცხლის მოსასწრაფად.

20 და იყო ასე, რომ ისინი დაღონდნენ თავიანთი სიბოროტის გამო ისე, რომ მუხლი მოიყარეს ჩემ წინაშე და შემეხვეწნენ მეპატიებინა მათთვის ის, რაც გააკეთეს ჩემს წინააღმდეგ.

21 და იყო ასე, რომ გულწრფელად ვაპატიე მათ ყველაფერი, რაც კი გააკეთეს და მოვუწოდე ელოცათ შეწყალებისთვის უფლისადმი, თავიანთი ღვთისადმი; და იყო ასე, რომ ასეც მოიქცნენ. და მას შემდეგ, რაც მათ ილოცეს უფლისადმი, ჩვენ კვლავ გავემგზავრეთ მამაჩვენის კარავისაკენ.

22 და იყო ასე, რომ ჩვენ ჩავედით მამაჩვენის კარავთან. და მას შემდეგ, რაც მე და ჩემი ძმები და ისმაელის მთელი ოჯახი მივედით მამაჩემის კარავთან, მათ მიაგეს უფალს, თავიანთ ღმერთს, სამადლობელი და შეწირეს მას მსხვერპლშესაწირი და სრულიად დასაწველი.

თავი 8

ლექის აქვს ხილვა სიცოცხლის ხის შესახებ. ის იგემებს მის ნაყოფს და ისურვებს, რომ მისმა ოჯახმაც იგივე გააკეთოს. ის ხედავს რკინის მოაჯირს, რთულ და ვიწრო ბილიკს, ასევე ბნელეთის ბურუსს, რომელიც ეფინება ადამიანებს. სარია, ნეფი და სემი იგემებენ ნაყოფს, მაგრამ ღამანი და ლემუელი უარს ამბობენ. დაახლოებით 600-592 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და იყო ასე, რომ ჩვენ შევაგროვეთ ყველანაირი თესლი, ყველა ჯიშის, როგორც ხორბლეულის, ასევე ყველანაირი ხილის თესლი.

2 და იყო ასე, რომ იმ დროს, როდესაც მამაჩემი იმყოფებოდა უდაბნოში, მან მოგვმართა სიტყვებით: აჰა, მე ვნახე სიზმარი ანუ სხვა სიტყვებით, ვიხილე ხილვა.

3 და აჰა, იმის გამო, რაც ვიხილე, მაქვს მიზეზი ვიხარო უფალში ნეფისა და ასევე სემის გამო, რადგან მაქვს მიზეზი იმის ვარაუდისათვის, რომ ისინი და მრავალნი მათი შთამომავლობიდან გადარჩებიან.

4 მაგრამ, აჰა, ღამანი და ლემუელ, თქვენ გამო ძალიან ვშიშობ, რადგან, აჰა, მივხვდი, რომ მე ვიხილე სიზმარში ბნელი და პირქუში უდაბნო.

5 და იყო ასე, რომ დავინახე კაცი, იგი შემოსილი იყო თეთრი

სამოსელით და მოვიდა და დაღვა ჩემ წინ.

6 და იყო ასე, რომ მან მომმართა და მიბრძანა, მას გავეყოლოდი.

7 და იყო ასე, როდესაც მივეყვებოდი მას, დავინახე, რომ აღმოვჩნდი ბნელ, პირქუშ, გავერანებულ ადგილას.

8 და მას შემდეგ, რაც მრავალი საათი ვიარე წყვლიადში, დავიწყე უფლისადმი ლოცვა, რომ გამოეჩინა მოწყალება ჩემ მიმართ, მისიუხვი, დიდსულოვანი წყალობით.

9 და იყო ასე, მას შემდეგ, რაც ლოცვით მივმართე უფალს, დავინახე ფართო და ვრცელი მინდორი.

10 და იყო ასე, რომ დავინახე ხე, რომლის ნაყოფი იყო სანატრელი ადამიანის ბედნიერებისთვის.

11 და იყო ასე, რომ მივედი და ვიგეძე იმის ნაყოფი; და შევიცანი, რომ ის იყო ყველაზე ტკბილი, რომელიც ოდესმე მიგემია. დიახ, ვიხილე, რომ მისი ნაყოფი იყო თეთრი, უფრო მეტი სითეთრის, ვიდრე ოდესმე მქონდა ნანახი.

12 და როდესაც ვიგეძე იმის ნაყოფი, მან ადავსო ჩემი სული ძალზედ დიდი სიხარულით; და ამიტომაც მოვისურვე, რომ ჩემმა ოჯახმაც იგემოს იგი, რადგან ვიცოდი, რომ ის იყო ყველა სხვა ნაყოფზე უფრო მეტად სანატრელი.

13 და როდესაც მიმოვიხედე გარშემო იმედით, მეპოვნა ჩემი ოჯახი, დავინახე წყლის მდინარე; და ის მიედინებოდა და იყო იმ ხესთან ახლოს, რომლის ნაყოფიც ვიგეძე.

14 და შევხედე, რათა მენახა, საიდან მოედინებოდა ის; და შორიახლოს დავინახე მისი სათავე; და იმის სათავესთან დავინახე დედათქვენი, სარია, სემი და ნეფი; და იდგნენ ისინი, თითქოს არ იცოდნენ, საით უნდა წასულიყვნენ.

15 და იყო ასე, რომ მოვუხმე მათ და ვუთხარი ხმამაღლა, რომ მოსულიყვნენ ჩემთან და ეგემათ ნაყოფი, რომელიც იყო ყველა სხვა ნაყოფზე უფრო მეტად სანატრელი.

16 და იყო ასე, რომ ისინი მოვიდნენ ჩემთან და ასევე იგემეს ნაყოფი.

17 და იყო ასე, რომ მსურდა ლამანიც და ლემუელიც მოსულიყვნენ და ეგემათ ნაყოფი, ამიტომაც შევხედე მდინარის სათავეს იმედით, დამენახა ისინი.

18 და იყო ასე, რომ დავინახე ისინი, მაგრამ მათ არ ისურვეს ჩემთან მოსვლა და ნაყოფის დაგემოვნება.

19 და დავინახე რკინის მოაჯირი, რომელიც მიუყვებოდა მდინარის ნაპირს და მიდიოდა ხისკენ, რომელთანაც ვიდექი.

20 ასევე ვიხილე რთული და ვიწრო ბილიკი, რომელიც მიჰყვებოდა რკინის მოაჯირს იმ

ხემდე, სადაც ვიდექი; და ის ასევე მიდიოდა წყაროს სათავესთან, ფართო და ქვეყანასავით ვრცელი მინდვრისკენ.

21 და დავინახე უამრავი ხალხის თავყრილობა, მრავალი მათგანი მიისწრაფოდა წინ, რომ ხისკენ მიმავალ ბილიკთან მიედწიათ, რომელთანაც მე ვიდექი.

22 და იყო ასე, რომ ისინი წინ მოდიოდნენ და მოაბიჯებდნენ ბილიკზე, რომელიც მიდიოდა ხისკენ.

23 და იყო ასე, რომ ბნელეთის ბურუსმა წამოიწია; დიახ, ძალზედ დიდმა ბნელეთის ბურუსმა, ისეთმა, რომ ისინი, ვინც შეაბიჯებდნენ მის ბილიკზე, კარგავდნენ გზას, დაეხეტებოდნენ გზააბნეულნი და იკარგებოდნენ.

24 და იყო ასე, რომ დავინახე სხვები, რომლებიც წინ მიისწრაფოდნენ და ისინი მოდიოდნენ და ეჭიდებოდნენ რკინის მოაჯირის ბოლოს; და წინ მოისწრაფოდნენ ბნელეთის ბურუსში, ეკრობოდნენ რკინის მოაჯირს იქამდე, სანამ არ მოვიდოდნენ და არ იგემებდნენ ხის ნაყოფს.

25 და მას შემდეგ, რაც ისინი იგემებდნენ ხის ნაყოფს, მიმოიხედავდნენ გარშემო ისე, თითქოს რცხვენოდათ.

26 და მეც მიმოვიხედე გარშემო და დავინახე წყლის მდინარის იქითა ნაპირზე დიდი და ფართო შენობა; და ის იდგა თითქოს ჰაერში, მაღლა, მიწის ზევით.

27 და ის სავსე იყო ხალხით,

როგორც მოხუცებით, ასევე ახალგაზრდებით, როგორც კაცებით, ასევე ქალებით; და მათი ტანსაცმელი იყო განსაკუთრებულად მდიდრული და ისინი დასცინოდნენ და თითს იშვერდნენ მათკენ, ვინც უკვე მოვიდა და აგემოვნებდა ნაყოფს.

28 და მას შემდეგ, რაც იგემეს ნაყოფი, შერცხვათ მათი, ვინც დასცინოდნენ; და გადაცვივდნენ აკრძალულ ბილიკებზე და დაიკარგნენ.

29 და ახლა მე, ნეფი, არ ვამბობ მაშაქმის ყოველ სიტყვას.

30 მაგრამ მოკლედ რომ აღვწერო, აჰა, მან იხილა წინ მიმავალი სხვა მრავალნი; და ისინი მოდიოდნენ და ეჭიდებოდნენ რკინის მოაჯირის ბოლოს; და წინ მიდიოდნენ თავიანთ ბილიკზე, რკინის მოაჯირს მტკიცედ ჩაჭიდებულნი, სანამ არ მოვიდოდნენ და არ დაეცემოდნენ და არ იგემებდნენ ხის ნაყოფს.

31 და მან ასევე იხილა სხვა მრავალნი, რომლებიც ხელის ცეცებით იკვლევდნენ გზას იმ დიდი და ფართო შენობისაკენ.

32 და იყო ასე, რომ ბევრი მათგანი იხრჩობოდა წყაროს სიღრმეში; და ბევრი იკარგებოდა მისი სათვალავიდან, დაეხეტებოდნენ რა უცხო გზებზე.

33 და დიდი იყო მათი რაოდენობა, ვინც შევიდა იმ უცნაურ შენობაში. და მას შემდეგ, რაც შევიდნენ იმ შენობაში, ისინი

ზიზლით იშვერდნენ თითს ჩემკენ და მათკენ, ვინც ასევე აგემოვნებდა ხის ნაყოფს, მაგრამ ჩვენ არ ვუგდებდით ყურს.

34 ეს არის მამაჩემის სიტყვები: ვინაიდან ყველა, ვინც მათ ყური დაუგდო, გზას ასცდნენ.

35 და ლამანმა და ლემუელმა არ იგემეს ნაყოფი, – თქვა მამაჩემმა.

36 და იყო ასე, რომ მას შემდეგ, რაც მამაჩემმა თქვა ყოველი ეს სიტყვა მის სიზმარზე ანუ ხილვაზე, რომლებიც მრავლად ჰქონდა, მან გვითხრა იმის გამო, რაც იხილა ხილვაში, რომ მას ძალზედ ეშინოდა ლამანის და ლემუელის გამო; დიახ, მას ეშინოდა, რომ ისინი უფლის გარემოცვიდან არ იქნენ განდევნილნი.

37 და მან მოუწოდა მათ მაშინ, სათუთი მშობლის ყველა გრძნობით, რომ ყური დაეგდოთ მისი სიტყვებისათვის, რომ იქნებ უფალს გამოეჩინა მათ მიმართ მოწყალება და არ ყოფილიყვნენ გაძევებულნი, დიახ, მამაჩემმა უქადაგა მათ.

38 და მას შემდეგ, რაც მან უქადაგა მათ და ასევე უწინასწარმეტყველა ბევრ რამეზე, უბრძანა მათ, დაეცვათ უფლის მცნებები; და დაამთავრა მათთან საუბარი.

თავი 9

ნეფი აკეთებს ჩანაწერების ორ

სხვადასხვა ტომს, ორივეს ეწოდება ნეფის ფირფიტები. დიდი ფირფიტები მოიცავს საერო ისტორიას; პატარა ფირფიტებში ძირითადად განიხილება წმინდა საქმენი. დაახლოებით 600-592 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და ყველაფერი ეს მამაჩემმა დაინახა და მოისმინა და ისაუბრა, როდესაც იმყოფებოდა ლემუელის ველზე კარავში და ასევე უამრავი სხვა რამ, რისი აღწერაც ამ ფირფიტებზე შეუძლებელია.

2 და ახლა, როგორც უკვე ვთქვი ამ ფირფიტების შესახებ, აჰა, ეს არ არის ის ფირფიტები, რომლებზედაც ვაკეთებ ჩემი ხალხის ისტორიის სრულ ჩანაწერს, რადგან ფირფიტებს, რომლებზედაც ვაკეთებ ჩემი ხალხის სრულ ჩანაწერს, ვუწოდებ ნეფის ფირფიტები; ასე რომ, მათ ეწოდებათ ნეფის ფირფიტები, ჩემი სახელის შესაბამისად; და ამ ფირფიტებსაც ასევე ეწოდებათ ნეფის ფირფიტები.

3 მიუხედავად ამისა, მივიღე უფლისგან ბრძანება დავამზადო ეს ფირფიტები განსაკუთრებული მიზნისათვის, რათა არსებობდეს ამოტვიფრული ჩანაწერი ჩემი ხალხის მსახურების შესახებ.

4 სხვა ფირფიტებზე უნდა იყოს ამოტვიფრული ჩანაწერები მეფეების მმართველობის, ჩემს ხალხში ომებისა და

განხეთქილებების შესახებ; ამიტომაც, ეს ფირფიტები ეძღვნება, მეტწილად, უფლისადმი მსახურებას და სხვა ფირფიტები ეძღვნება, მეტწილად, მეუფების მმართველობას და ჩემს ხალხში ომებსა და განხეთქილებებს.

5 ამიტომაც, მიბრძანა უფალმა დამემზადებინა ეს ფირფიტები მისი ბრძნული მიზნისთვის, რომლის დანიშნულებაც ჩემთვის უცნობია.

6 მაგრამ უფალმა დასაბამიდან იცის ყოველივე; ამიტომაც ამზადებს გზას, რათა აღსრულდეს მისი ყოველი საქმე ადამიანთა შვილებს შორის; რადგან, აჰა, მას აქვს ყველანაირი ძალა, რათა აღსრულდეს მისი ყოველი სიტყვა. და ეს არის ასე. ამინ.

თავი 10

ლეხი წინასწარმეტყველებს, რომ ბაბილონიელები ტყვედ წაიყვანენ იუდეველებს. ის მოგვითხრობს იუდეველთა შორის მესიის მოსვლაზე, მხსნელსა და გამომსყიდველზე. ლეხი ასევე მოგვითხრობს იმის მოსვლის შესახებ, რომელიც მონათლავს ღვთის კრავს. ლეხი მოგვითხრობს მესიის სიკვდილსა და აღდგომის შესახებ. ის აღარებს ისრაელის გაფანტვას და შეკრებას ზეთისხილის ხეს. ნეფი მოგვითხრობს ღვთის ძის შესახებ, სულიწმინდის ძღვენზე და სამართლიანობის

აუცილებლობაზე. დაახლოებით 600-592 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და ახლა მე, ნეფი, ვაგრძელებ ამ ფირფიტებზე ჩემს საქმეზე, მმართველობასა და მსახურებაზე ჩანაწერების გაკეთებას; ამიტომაც, ჩემი ჩანაწერების გასაგრძელებლად, უნდა ვთქვა რაიმე მამაჩემისა და ასევე ჩემი ძმების საქმეებზე.

2 ვინაიდან, აჰა, ეს იყო ასე, როდესაც მამაჩემმა დაასრულა სიტყვები თავისი სიზმრის შესახებ და ასევე მათ მიმართ მოწოდება ყოველგვარი სიბეჯითისაკენ, მან ისაუბრა იუდეველებზე.

3 რომ მას შემდეგ, რაც ისინი განადგურდებიან, ის დიდი ქალაქი იერუსალიმიც და მრავალი ტყვედ იქნება წაყვანილი ბაბილონში, უფლის მიერ დანიშნული დროის შესაბამისად, ისინი კვლავ დაბრუნდებიან, დიახ, ისინი იქნებიან ტყვეობიდან დაბრუნებულნი; და მას შემდეგ, რაც ტყვეობიდან დაბრუნდებიან, ისინი კვლავ დაისაკუთრებენ თავიანთი მემკვიდრეობის მიწას.

4 დიახ, ექვსასი წლის შემდეგ, რაც მამაჩემმა დატოვა იერუსალიმი, წინასწარმეტყველს აამაღლებს იუდეველებს შორის უფალი ღმერთი, დიახ, მესიას ანუ სხვა სიტყვებით, ამა ქვეყნის მხსნელს.

5 და მან ასევე ილაპარაკა წინასწარმეტყველებზე, თუ რაოდენ ბევრი მოწმობდა ამ მოვლენებზე იმ მესიის შესახებ, რომელზედაც გვიამბო, ანუ ამა ქვეყნის ამ გამომსყიდველზე.

6 ამიტომაც, მთელი კაცობრიობა იყო დაკარგულ და დაცემულ მდგომარეობაში და მუდამ ასე იქნებოდა, თუკი არ მიენდობოდა ამ გამომსყიდველს.

7 და მან ასევე ილაპარაკა წინასწარმეტყველზე, რომელიც მოვიდოდა მესიაზე ადრე, რათა მოემზადოს გზა უფალს.

8 დიახ, ის გამოვა და შეჰღაღადებს უდაბნოში: განუმზადეთ გზა უფალს და მოასწორეთ მისი ბილიკები, რადგან თქვენ შორის დგას ის, ვისაც თქვენ არ იცნობთ და ის არის ჩემზე ბევრად ძლიერი, რომლის სანდლის თასმის გახსნის ღირსი არ ვარ. და ბევრს ლაპარაკობდა მამაჩემი ამაზე.

9 და მამაჩემმა თქვა, რომ ის მონათლავს ბეთაბარაში იორდანის გაღმა და მან ასევე თქვა, რომ ის წყლით მონათლავს; წყლით მონათლავს მესიასაც.

10 და მას შემდეგ, რაც წყლით მონათლავს მესიას, ის იხილავს და მოწმე იქნება იმისა, რომ მონათლა ღვთის კრავი, რომელიც აიღებს ამა ქვეყნის ცოდვებს.

11 და იყო ასე, რომ მას შემდეგ, რაც მამაჩემმა თქვა ეს სიტყვები, იგი ელაპარაკა ჩემს ძმებს სახარებაზე, რომელიც

იქნება იუდეველებს შორის ნაქადაგები და ასევე იუდეველების ურწმუნობაში გადაშენებაზე. და მას შემდეგ, რაც ისინი მოკლავენ მესიას, რომელიც მოვა და მას შემდეგ, რაც მოკლავენ, ის მკვდრეთით აღდგება და სულიწმინდის მეშვეობით წარმართებს გამოეცხადება.

12 დიახ, მამაჩემმა ბევრი ილაპარაკა წარმართებსა და ასევე ისრაელის სახლზე, რომ ის შეიძლება შეადარონ ზეთისხილის ხეს, რომლის რტოებს მოტეხავენ და მთელ დედამიწის ზედაპირზე გაფანტავენ.

13 ამიტომაც, თქვა მან, საჭიროა, რომ ჩვენ ყველას ერთსულოვნად გაგვიძღვნენ აღთქმული მიწისაკენ, რათა აღსრულდეს უფლის სიტყვა, რომ ვიყოთ მთელი დედამიწის ზედაპირზე გაფანტულნი.

14 და მას შემდეგ, რაც ისრაელის სახლი გაიფანტება, ის კვლავ შეიკრიბება; ანუ მას შემდეგ, რაც წარმართები მიიღებენ სახარების სისრულეს, ზეთისხილის ხის ბუნებრივი რტოები ანუ ისრაელის სახლის ნარჩენი, დაემყნობა ანუ შეიცნობს ჭეშმარიტ მესიას, თავის უფალსა და გამომსყიდველს.

15 და ასეთი სიტყვებით მამაჩემი წინასწარმეტყველებდა და ელაპარაკებოდა ჩემს ძმებს, ასევე ბევრ სხვა რამეზეც, რაზედაც მე არ ვწერ ამ წიგნში; რადგან სხვა წიგნში დავწერე

მათ შესახებ იმდენი, რამდენიც საჭიროდ მიმაჩნდა.

16 და ყველაფერი ეს, რაზედაც ვილაპარაკე, მოხდა იმ დროს, როდესაც მამაჩემი იმყოფებოდა კარავში, ლემუელის ველზე.

17 და იყო ასე, მას შემდეგ, რაც მე, ნეფიმ, მოვისმინე მამაჩემის ყოველი სიტყვა იმაზედ, თუ რა იხილა ხილვაში და ასევე იმაზედ, რაც ილაპარაკა სულიწმინდის ძალით, რომელიც მან მიიღო ღვთის ძის რწმენით და ღვთის ძე იყო ის მესია, რომელიც უნდა მოვიდეს, მე, ნეფიმ, ასევე მოვისურვე, დამენახა და მომესმინა და შემეცნო ამის შესახებ სულიწმინდის ძალით, რომელიც არის ღვთის ძღვენი ყველასთვის, ვინც ბეჯითად ეძებს მას ისე, როგორც იყო ძველ დროს და როგორც იმ დროს, როდესაც გამოეცხადება იგი ადამიანთა შვილებს.

18 რადგან იგი უცვლელია ბუშინ, დღეს და უკუნისამდე; და გზა მომზადებულია ყოველი ადამიანისთვის ამა ქვეყნის დასაბამიდან, თუ იქნება ისე, რომ მოინანიებენ და მასთან მივლენ.

19 რადგან ის, ვინც ბეჯითად ეძებს, იპოვის; და ღმერთის საიდუმლოებანი გაეხსნება მას სულიწმინდის ძალით ამ დროსაც კი, ისე, როგორც ძველად და ისე, როგორც ძველ დროს, ასევე იმ დროში, რომელიც მოვა; ამიტომ, უფლის გეზი არის ერთი მარადიული წრე.

20 ამიტომაც გახსოვდეს, ადამიანო, ყველაფრისათვის, რასაც აკეთებ, შენ წარსდგები სამსჯავროზე.

21 ამიტომ, თუ გამოცდის დღეების ჟამს ცდილობდით ბოროტებას, თქვენ უწმინდურად გცნობენ ღვთის სამსჯავროზე; და არაფერი უწმინდური არ შეიძლება ცხოვრობდეს ღვთის გვერდით; ამიტომაც თქვენ განდევნილნი უნდა იყოთ სამუდამოდ.

22 და სულიწმინდა მაძლევს უფლებამოსილებას გითხრათ ეს და არ უარყო ნათქვამი.

თავი 11

ნეფი ხედავს უფლის სულს და ხილვაში მას აჩვენებენ სიცოცხლის ხეს; ის ხედავს ღვთის ძის დედას და შეიცნობს ღვთის შემწყნარებლობას; ის ხედავს ღვთის კრავის ნათლობას, მსახურებას და ჯვარცმას. ის ასევე ხედავს ღვთის კრავის თორმეტი მოციქულის მოწოდებასა და მსახურებას. დაახლოებით 600-592 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 ვინაიდან, იყო ასე, რომ მას შემდეგ, რაც მოვისურვე ჩავწვდომოდი იმას, თუ რა იხილა მამაჩემმა და მწამდა რა, რომ უფალს შეეძლო ამის ჩემთვისაც განდობა, ვიჯექი და გულში ვმსჯელობდი ამაზე, როდესაც ამიტაცა უფლის სულმა; დიახ, განსაკუთრებით მაღალ მთაზე,

რომელიც მანამდე არასოდეს მენახა და რომელზედაც არასოდეს დამედგა ფეხი.

2 და სულმა მითხრა: აჰა, რას ისურვებ შენ?

3 და ვუთხარი: მსურს ვიხილო ის, რაც იხილა მამაჩემმა.

4 და სულმა მითხრა: გწამს, რომ მამაშენმა იხილა ის ხე, რომლის შესახებ გესაუბრათ?

5 და ვუთხარი: დიახ, შენ იცი, რომ მწამს მამაჩემის ყოველი სიტყვა.

6 და როდესაც ვუთხარი ეს სიტყვები, სულმა დიდი ხმით შესძახა: ოსანა უფალს, უზენაეს ღმერთს; რადგან ის არის ღმერთი მთელ დედამიწაზე, დიახ, ყველასა და ყველაზედ მაღალი და კურთხეული ხარ შენ, ნეფი, ვინაიდან გწამს უზენაესი ღმერთის ძე, ამიტომაც იხილავ იმას, რაც მოისურვე.

7 და აჰა, ეს მოგეცემა შენ, როგორც ნიშანი, რომ მას შემდეგ, რაც იხილავ იმ ხეს, რომელიც ისხამს იმ ნაყოფს, რომელიც მამაშენმა იგემა, შენ ასევე იხილავ ზეციდან ჩამომავალ კაცს და იქნები მისი თვითმხილველი; და მას შემდეგ, რაც გახდები მისი თვითმხილველი, დაამოწმებ, რომ ეს არის ძე ღვთისა.

8 და იყო ასე, რომ სულმა მითხრა: შეხედე! და შევხედე და დავინახე ხე; და ის იყო ისეთი, როგორც იხილა მამაჩემმა; და რომლის სილამაზე ბევრად აღემატებოდა, დიახ, აჭარბებდა

ყოველ სილამაზეს და მისი სიქათქათე აღემატებოდა მოფარვატე ფიფქების სისპეტაკეს.

9 და იყო ასე, მას შემდეგ, რაც ვიხილე ეს ხე, ვუთხარი სულს: ვხედავ, რომ შენ მაჩვენე ის ხე, რომელიც არის ყველაზე ძვირფასი.

10 და მან მითხრა: რა გსურს?

11 და მე ვუთხარი: ჩაგწვდე მის აზრს. აჰა, ვესაუბრებოდი მას, როგორც ადამიანს, რადგან დავინახე, რომ იყო ადამიანის გარეგნობით; მაგრამ მიუხედავად ამისა, ვიცოდი, რომ ის იყო უფლის სული და მესაუბრებოდა ისე, როგორც ადამიანი.

12 და იყო ასე, რომ მან მითხრა: შეხედე! და შევხედე, რათა მეხილა იგი, მაგრამ ვერ დავინახე, რადგან ის გაუჩინარდა ჩემგან.

13 და იყო ასე, რომ შევხედე და დავინახე იერუსალიმის დიდი ქალაქი და ასევე სხვა ქალაქებიც; და დავინახე ქალაქი ნაზარეთი; და ქალაქ ნაზარეთში დავინახე ქალწული და ის იყო ძალზედ ლამაზი და თეთრი.

14 და იყო ასე, რომ დავინახე, როგორ გაიხსნა ზეცა; და დაეშვა ანგელოზი და დადგა ჩემ წინ; და მითხრა: ნეფი, რას ხედავ?

15 და ვუთხარი მას: ქალწულს – ყველაზე ლამაზს და მშვენიერს სხვა ქალწულებს შორის.

16 და მან მითხრა: იცი, რა არის ღვთის შემწვენარებლობა?

17 და ვუთხარი მას: ვიცი, რომ მას უყვარს თავისი შვილები; მიუხედავად ამისა, მე არ ვიცი ყველაფრის არსი.

18 და მან მითხრა: აჰა, ქალწული, რომელსაც შენ ხედავ, არის ღვთის ძის ხორციელი ღედა.

19 და იყო ასე, რომ დავინახე: იგი აიტაცა სულმა; და მას შემდეგ, რაც სულმა იგი აიტაცა რაღაც დროით, ანგელოზმა მომმართა: შეხედე!

20 და შევხედე და კვლავ დავინახე ქალწული, ბავშვით ხელში.

21 და ანგელოზმა მითხრა: აჰა, შეხედე, ღვთის კრავი, დიახ, თვით მარადიული მამის ძე! იცი შენ არსი იმ ხის, რომელიც მამაშენმა იხილა?

22 და ვუპასუხე სიტყვებით: დიახ, ეს არის ღვთის სიყვარული, რომელიც ყველგან ეფინება ადამიანთა შვილების გულებს; ამიტომაც, ის არის ყველაზე მეტად სანატრელი.

23 და მან მომმართა სიტყვებით: დიახ, ასევე ყველაზე სასიხარულო სულისათვის.

24 მას შემდეგ, რაც თქვა ეს სიტყვები, მან მითხრა: შეხედე! და შევხედე და დავინახე ძე ღვთისა, ადამიანთა შვილებს შორის მიმავალი; და დავინახე მრავალი ადამიანი ეცემოდა მის ფერხთით, რომლებიც თაყვანს სცემდნენ მას.

25 და იყო ასე, რომ მივხვდი: რკინის მოაჯირი, რომელიც

მამაჩემმა იხილა, იყო ღვთის სიტყვა, რომელიც მიუძღვოდა ცოცხალი წყლის წყაროსაკენ ანუ სიცოცხლის ხესთან; ეს წყლები კი წარმოადგენს ღვთის სიყვარულს; და ასევე მივხვდი, რომ სიცოცხლის ხე წარმოადგენდა ღვთის სიყვარულს.

26 და ანგელოზმა კვლავ მითხრა: შეხედე და იხილე ღვთის შემწყნარებლობა!

27 და შევხედე და დავინახე ამა ქვეყნის გამომსყიდველი, რომელზედაც მამაჩემი საუბრობდა; ასევე დავინახე წინასწარმეტყველი, რომელსაც უნდა განეშაადებინა მისთვის გზა. და ღვთის კრავი მივიდა და მის მიერ მოინათლა; და მას შემდეგ, რაც ის მოინათლა დავინახე, როგორ გაიხსნა ზეცა; და სულიწმინდა, მტრედის სახით გარდმომავალი, მასზედ დაეშვა ზეციდან.

28 და დავინახე, რომ იგი წავიდა და ემსახურებოდა ხალხს ძალითა და დიადი დიდებულებით; და მრავალნი შეიკრიბნენ ერთად, რათა მისთვის მოესმინათ; და დავინახე, რომ მათ განდევნეს იგი თავიანთი გარემოციდან.

29 და ასევე დავინახე სხვა თორმეტი, რომლებიც მას მიჰყვებოდნენ; და იყო ასე, რომ ისინი აიტაცა სულმა ჩემ თვალწინ და მეტად ისინი აღარ მინახავს.

30 და იყო ასე, რომ ანგელოზმა კვლავ მომმართა სიტყვით:

შეხედე! და შეეხედე და დავინახე: კვლავ გაიხსნა ზეცა და დავინახე, ანგელოზები ეშვებოდნენ ადამიანთა შვილებთან და ისინი ემსახურებოდნენ მათ.

31 და მან კვლავ მომმართა სიტყვებით: შეხედე! და შეეხედე და დავინახე ღვთის კრავი ადამიანთა შვილებს შორის მიმავალი. და დავინახე მრავალი ადამიანი, რომლებიც ავადმყოფობდნენ და იტანჯებოდნენ ყოველგვარი სენით და ეშმაკებით და უწმიდური სულებით; და ანგელოზი მესაუბრა და დამანახა ეს ყველაფერი. და ისინი განიკურნენ ღვთის კრავის ძალით; და ეშმაკები და უწმიდური სულები იქნენ გაძევებულნი.

32 და იყო ასე, რომ ანგელოზმა კვლავ მომმართა, სიტყვით: შეხედე! და შეეხედე და დავინახე ღვთის კრავი, რომ ის იყო ადამიანების მიერ შეპყრობილი; დიახ, მარადიული ღვთის ძე, განკითხულ იქნა ამა ქვეყნის მიერ და მე ეს დავინახე და ვმოწმობ ამას.

33 და მე, ნეფიმ, ვიხილე, რომ ის აღმართეს ჯვარზედ და მოკლეს ამა ქვეყნის ცოდვებისათვის.

34 და მას შემდეგ, რაც იგი მოკლეს, ვიხილე მრავალი მიწიერი, რომელნიც ერთად იყვნენ შეკრებილნი, რათა ებრძოლათ კრავის მოციქულთა წინააღმდეგ; ვინაიდან ასე ეწოდათ იმ თორმეტს, უფლის ანგელოზის მიერ.

35 და მრავალი მიწიერი შეი-

კრიბა ერთად; და დავინახე, რომ ისინი იყვნენ დიდ და ფართო შენობაში, რომელიც ჰგავდა იმ შენობას, რომელიც მამაჩემმა ნახა; და უფლის ანგელოზმა კვლავ მომმართა სიტყვებით: შეხედე ქვეყანას და სიბრძნეს ამა ქვეყნისა; დიახ, აჰა, ისრაელის სახლი შეიკრიბა ერთად, რათა იბრძოლოს კრავის თორმეტი მოციქულის წინააღმდეგ.

36 და იყო ასე, რომ ვიხილე და ვმოწმობ, რომ ის დიდი და ფართო შენობა იყო ამა ქვეყნის ამპარტავნობა; და ის დაეცა და მისი დაცემა იყო ძალზედ ძლიერი; და უფლის ანგელოზმა კვლავ მომმართა სიტყვებით: ასეთი იქნება განადგურება ყველა ერის, ტომის, ენის და ხალხისა, რომელიც იბრძოლებს კრავის თორმეტი მოციქულის წინააღმდეგ.

თავი 12

ნეფი ხილვაში ხედავს აღთქმულ მიწას, მისი მცხოვრებთა სამართლიანობას, ურჯულთაბასა და დაცემას; მათთან ღვთის კრავის მოსვლას; ხედავს, თუ როგორ განიკითხავენ ისრაელს თორმეტი მოწაფე და თორმეტი მოციქული; მათ საზიხლარ და უწმიდურ მდგომარეობას, რომელნიც გადაშენდებიან ურწმუნოების გამო. დაახლოებით 600-592 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და იყო ასე, რომ ანგელოზმა მითხრა: შეხედე და ნახე შენი შთამომავლობა, ასევე შენი ძმების შთამომავლობა. და შეხედე და დავინახე აღთქმული მიწა; და ვნახე მრავალი ადამიანი, დიახ, ურიცხვი, როგორც ზღვის ქვიშა.

2 და იყო ასე, რომ დავინახე ერთმანეთის წინააღმდეგ საბრძოლველად შეკრებილი მრავალი ადამიანი; და დავინახე ომები და მოვისმინე ამბები ომების შესახებ და მახვილით დიდი ხოცვა-ჟლეტა ჩემს ხალხს შორის.

3 და იყო ასე, რომ დავინახე ამ მიწაზე მრავალი თაობის ცხოვრებიდან წასვლა ომებისა და განხეთქილებების გამო; და დავინახე მრავალი ქალაქი, დიახ, იმდენი, რომ ვერ დავითვალე.

4 და იყო ასე, რომ ვიხილე ბნელეთის ბურუსი აღთქმული მიწის პირზე; და ვიხილე ელვანი და მოვისმინე ჭექა-ქუხილნი და მიწისძვრები და ყველანაირი ხმაური; და ვიხილე: მიწისა და კლდეების გახლეჩა; და ვიხილე: ნაწილებად იშლებოდნენ მთები; და ვიხილე, რომ გაიპო მიწის ვაკე ადგილები; და ვიხილე მრავალი ქალაქი და მათი ჩაძირვა; და ვიხილე, რომ მრავალი მათგანი გადაწვა ცეცხლმა; და ვიხილე მრავალი, რომელიც ეცემოდა მიწისძვრისგან.

5 და იყო ასე, რომ მას შემდეგ, რაც ეს ვიხილე, დავინახე,

როგორ იფანტებოდა ბნელეთის ბურუსი დედამიწის ზედაპირიდან; და დავინახე მრავალნი, რომლებიც არ დაეცნენ უფლის დიდი და საშინელი სასჯელისაგან.

6 და ვიხილე – გაიხსნა ზეცა და ეშვებოდა ზეციდან ღვთის კრავი; და ის დაეშვა და გამოეცხადა მათ.

7 და ასევე ვიხილე და ვმოწმობ, რომ სულიწმინდა მოეფინა სხვა თორმეტს და ისინი იყვნენ ღვთის მიერ კურთხეულნი და ამორჩეულნი.

8 და ანგელოზმა მომმართა სიტყვებით: შეხედე კრავის თორმეტ მოწაფეს, რომლებიც ამორჩეულნი არიან ემსახურონ შენს შთამომავლობას.

9 და მან მითხრა: გახსოვს კრავის თორმეტი მოციქული? აჰა, ისინი არიან, რომლებიც განიკითხავენ ისრაელის თორმეტ ტომს; ამიტომაც, შენი შთამომავლობის თორმეტი მსახური იქნება განკითხული მათ მიერ; ვინაიდან თქვენ მიეკუთვნებით ისრაელის სახლს.

10 და ეს თორმეტი მსახური, რომლებსაც შენ ხედავ, განიკითხავს შენს შთამომავლობას. და აჰა, ისინი არიან სამართლიანნი მარადის; რადგან ღვთის კრავისადმი რწმენის გამო გაათეთრეს საკუთარი სამოსელი მისი სისხლით.

11 და ანგელოზმა მითხრა: შეხედე! და შევხედე და დავინახე:

სამი თაობა წავიდა ცხოვრებიდან – სამართლიანობით; და მათი სამოსი იყო თეთრი, დიახ, ისეთი, ვითარცა ღვთის კრავის. და ანგელოზმა მითხრა: ის გათეთრდა კრავის სისხლით, მათი კრავისადმი რწმენის გამო.

12 და მე, ნევიმ, ასევე მრავალი ვიხილე მეოთხე თაობიდან, რომლებიც მიდიოდნენ ცხოვრებიდან მართალნი.

13 და იყო ასე, რომ ვიხილე ერთად შეკრებილი მრავალი მიწიერი.

14 და ანგელოზმა მითხრა: შეხედე შენს შთამომავლობას, ასევე შენი ძმების შთამომავლობას.

15 და იყო ასე, რომ შევხედე და დავინახე ჩემი შთამომავლობის ხალხი, მრავლად შეკრებილი ჩემი ძმების შთამომავლობის წინააღმდეგ; და ისინი შეიკრიბნენ საბრძოლველად.

16 და ანგელოზმა მომმართა სიტყვებით: შეხედე უწმიდური წყლის წყაროს, რომელიც იხილა მამაშენმა; დიახ, ის მდინარე, რომლის შესახებაც მან ისაუბრა და მისი სიღრმე ჯოჯოხეთის სიღრმის ტოლია.

17 და ბნელეთის ბურუსი არის ცდუნება ეშმაკისა, რომელიც ადამიანთა შვილებს თვალებს უბრძავებს და გულის უქვავებს და იტყუებს მათ ფართო გზებზე ისე, რომ იღუპებიან ისინი და იკარგებიან.

18 და ის დიდი და ფართო

შენობა, რომელიც იხილა მამაშენმა, არის ადამიანთა შვილების ამაო წარმოდგენები და ამპარტავნობა. დიდი და საშინელი უფსკრული ჰყოფს მათ, დიახ, მარადიული ღმერთის სამართლის სიტყვა და მესიისა, რომელიც არის ღვთის კრავი, რომლის შესახებაც მოწმობს სულიწმინდა ქვეყნის დასაბამიდან ამ დრომდე და ამიერიდან სამარადისოდ.

19 და იმ დროს, როდესაც ანგელოზი ამბობდა ამ სიტყვებს, შევხედე და ვიხილე, რომ ჩემი ძმების შთამომავლობა ედავებოდა ჩემს შთამომავლობას, ანგელოზის სიტყვებისამებრ; და დავინახე ჩემი შთამომავლობის ამპარტავნობის და ეშმაკის ცდუნების გამო ჩემი ძმების შთამომავლები სძლევენ ჩემი შთამომავლობის ხალხს.

20 და იყო ასე, რომ ვიხილე: ჩემი ძმების შთამომავლობის ხალხმა სძლია ჩემს შთამომავლობას და ისინი მრავლად მოეფინნენ იმ მიწას.

21 და ვიხილე ისინი, მრავლად შეკრებილნი; და ვიხილე მათ შორის ომები და ამბები ომების შესახებ; და დავინახე, თუ როგორ მიდიან ცხოვრებიდან ამ ომებსა და ომების ამბებში მრავალი თაობა.

22 და ანგელოზმა მითხრა: აჰა, ესენი გადაშენდებიან ურწმუნობაში.

23 და იყო ასე, რომ დავინახე:

მას შემდეგ, რაც ისინი გადაშენდნენ ურწმუნოების გამო, ისინი იქცნენ ბნელ და საზიზღარ და უწმინდურ ხალხად, აღსავსენი უსაქმურობით და ყველანაირი სისაძაგლით.

თავი 13

ნეფი ხედავს ხილვაში წარმართებს შორის ეშმაკის ჩამოყალიბებულ ეკლესიას, ამერიკის აღმოჩენას და კოლონიზაციას, ბიბლიიდან მრავალი ნათელი და ძვირფასი ნაწილის დაკარგვას, რის გამოც წარმართებს შორის მკვიდრდება განდგომა. ნეფი ხედავს სახარების აღდგენას, უკანასკნელ დღეთა წმინდა წერილის გამოჩენას და სიონის აღშენებას. დაახლოებით 600-592 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და იყო ასე, რომ ანგელოზმა მომმართა სიტყვით: შეხედე! და შევხედე და დავინახე მრავალი ერი და სამეფო.

2 და ანგელოზმა მითხრა: რას ხედავ? და მე ვუთხარი: ვხედავ მრავალ ერსა და სამეფოს.

3 და მან მითხრა: ესენი არიან წარმართი ერები და სამეფოები.

4 და იყო ასე, რომ მე ვიხილე წარმართ ერებს შორის რომელიღაც დიდი ეკლესიის წარმოქმნა.

5 და ანგელოზმა მითხრა: შეხედე ეკლესიის წარმოქმნას, რომელიც არის ყველა დანარჩენ ეკლესიაზე უფრო ბილწი,

რომელიც ხოცავს ღვთის წმინდანებს, დიახ, აწამებს მათ და ბოჭავს და რკინის უღელში აბამს და მიჰყავს ისინი ტყვეობაში.

6 და იყო ასე, რომ დავინახე ის დიდი და ბილწი ეკლესია; და ვიხილე ეშმაკი, რომელიც იყო მისი დამაარსებელი.

7 და ვიხილე ასევე ოქრო და ვერცხლი, აბრეშუმი და ჭიაფერი და გრეხილი ბისონი და ყველანაირი ძვირფასი სამოსი; და ვიხილე მრავალი მეძავე.

8 და ანგელოზმა მომმართა სიტყვებით: აჰა, ეს ოქრო და ვერცხლი, აბრეშუმი და ჭიაფერი და გრეხილი ბისონი და ძვირფასი სამოსი და მეძავეები არიან ამ დიდი და ბილწი ეკლესიის საწადელნი.

9 და ასევე, ამა ქვეყნის ქებადიდებისათვის ისინი ანადგურებენ ღვთის წმინდანებს და მიჰყავთ ისინი ტყვეობაში.

10 და იყო ასე, რომ შევხედე და დავინახე მრავალი წყალი; და ის ყოფდა წარმართებს ჩემი ძმების შთამომავლებისგან.

11 და იყო ასე, რომ ანგელოზმა მითხრა: აჰა, ღვთის რისხვა შენი ძმების შთამომავლებზეა.

12 და შევხედე და დავინახე ადამიანი წარმართებს შორის, რომელიც მრავალი წყლით გამოყოფილი იყო ჩემი ძმების შთამომავლებისაგან; და დავინახე ღმერთის სული, რომელიც მოევლინა და იმოქმედა

ამ ადამიანზე; და ის გაემართა ბევრი წყლებისკენ, დიახ, ჩემი ძმების შთამომავლებისაკენ, რომლებიც იყვნენ აღთქმულ მიწაზე.

13 და იყო ასე, რომ მე დავინახე ღმერთის სული, რომელმაც იმოქმედა სხვა წარმართებზე; და ისინი გამოვიდნენ ტყვეობიდან ბევრ წყალზე.

14 და იყო ასე, რომ მე დავინახე აღთქმულ მიწაზე მრავლად შეკრებილი წარმართები; და მე დავინახე ღვთის რისხვა, რომ ის იყო ჩემი ძმების შთამომავლებზე და გაფანტულ იქნენ ისინი წარმართების წინ და დამარცხდნენ.

15 და მე დავინახე უფლის სული, რომელიც იყო წარმართებზე; და ისინი აყვავდნენ და მიიღეს მიწა თავიანთი მემკვიდრეობისათვის; და მე დავინახე, რომ ისინი იყვნენ თეთრი ფერის და ძალზედ ლამაზნი და მშვენიერნი, მსგავსად ჩემი ხალხისა, სანამ მათ დახოცავდნენ.

16 და იყო ასე, რომ მე, ნეფიმ, დავინახე, რომ ტყვეობიდან გამოსულმა წარმართებმა თავი დაიმდაბლეს უფლის წინაშე; და უფლის ძალა იყო მათთან.

17 და მე დავინახე, რომ მათი მონათესავე წარმართები შეკრებილნი იყვნენ წყლებზე და ასევე ხმელეთზე, რათა ებრძოლათ მათ წინააღმდეგ.

18 და დავინახე, რომ ღვთის ძალა იყო მათთან და ასევე ღვთის რისხვა იყო ყოველ

მათგანზე, რომლებიც ერთად იყვნენ შეკრებილნი, მათ წინააღმდეგ საბრძოლველად.

19 და მე, ნეფიმ, დავინახე, რომ წარმართები, რომლებიც გამოვიდნენ ტყვეობიდან, გამოსხნილნი იყვნენ ღვთის ძალით ყველა სხვა ერის ხელიდან.

20 და იყო ასე, რომ მე, ნეფიმ, დავინახე, რომ ისინი აყვავდნენ იმ მიწაზე და დავინახე წიგნი და მას დაატარებდნენ ერთმანეთში.

21 და ანგელოზმა მითხრა: იცი ამ წიგნის მნიშვნელობა?

22 და ვუთხარი მას: არ ვიცი.

23 და მან მითხრა: აჰა, ის გამოდის იუდეველის პირიდან. და მე, ნეფიმ, ის დავინახე და მან მითხრა: წიგნი, რომელსაც შენ ხედავ, არის იუდეველთა ჩანაწერი და ის მოიცავს ისრაელის სახლთან დადებულ უფლის აღთქმებს; და ის ასევე შეიცავს წმინდა წინასწარმეტყველთა მრავალ წინასწარმეტყველებას; და ეს ჩანაწერი ჰგავს გრავირებს, რომლებიც ამოტვიფრულია სპილენძის ფირფიტებზე, მაგრამ არა ასეთი რაოდენობით; მიუხედავად ამისა, ის მოიცავს უფლის აღთქმებს, რომლებიც მან აღუთქვა ისრაელის სახლს; და ამიტომაც, ისინი ძალზედ ძვირფასია წარმართთათვის.

24 და უფლის ანგელოზმა მითხრა: შენ დაინახე, რომ ეს წიგნი გამოვიდა იუდეველის პირიდან; და როდესაც ის გამოვიდა იუდეველის პირიდან, ის მოიცავდა

უფლის სახარების სისრულეს, ვისზეც მოწმობს თორმეტი მოციქული; და ისინი მოწმობენ იმ ჭეშმარიტების შესაბამისად, რომელიც არის ღვთის კრავში.

25 ამიტომაც, ეს გადადის წმინდად იუდეველებისაგან წარმართებთან, იმ ჭეშმარიტების შესაბამისად, რომელიც არის ღმერთში.

26 და მას შემდეგ, რაც იუდეველებისგან ეს გადავა კრავის თორმეტ მოციქულთა ხელით წარმართებთან, შენ ხედავ იმ დიდი და ბილწი ეკლესიის წარმოქმნას, რომელიც არის ყველა სხვა ეკლესიაზე უფრო ბილწი, რადგან, აჰა, მათ ამოიღეს კრავის სახარებიდან მრავალი ნაწილი, ნათელი და ყველაზე ძვირფასი; ასევე ამოიღეს უფლის მრავალი აღთქმა.

27 და ეს ყველაფერი მათ გააკეთეს, რათა გაემრუდებინათ უფლის სწორი გზები, რომ დაებრძალებინათ ადამიანთა შვილების თვალები და გაექვავებინათ მათი გულები.

28 ამიტომაც, შენ ხედავ, რომ მას შემდეგ, რაც ამ წიგნმა გაიარა დიდი და ბილწი ეკლესიის ხელში, მრავალი ნათელი და ძვირფასი რამ ამოღებულ იქნა ამ წიგნიდან, რომელიც არის ღვთის კრავის წიგნი.

29 და მას შემდეგ, რაც ეს ნათელი და ძვირფასი იქნა ამოღებული, ის გაავრცელეს წარმართების ყოველ ერში; და

მას შემდეგ, რაც ის იქნა გავრცელებული წარმართების ყოველ ერში, დიახ, მრავალი წყლის იქითაც, რომელნიც შენ იხილე ტყვეობიდან გამოსულ წარმართებთან ერთად, შენ ხედავ: იმის გამო, რომ მრავალი ნათელი და ძვირფასი რამ ამოღებულ იქნა წიგნიდან, ის, რაც ნათელი იყო ადამიანთა შვილების გონებისათვის, იმ ნათელის შესაბამისად, რომელიც არის ღვთის კრავში; იმის გამო, რაც ამოღებულ იქნა კრავის სახარებიდან, ძალზედ ბევრი და მრავალი დაბრკოლდა, დიახ, ისე, რომ სატანას აქვს დიდი ძალა-უფლება მათზე.

30 მიუხედავად ამისა, შენ ხედავ, რომ ტყვეობიდან გამოსული წარმართები ამოღებულნი იქნენ ღვთის ძალით ყველა სხვა ერზე იმ მიწის პირზე, რომელიც ყველა სხვა მიწათა შორის რჩეულია, რომელ მიწაზეც უფალმა ღმერთმა აღუთქვა მამაშენს, რომ მისი შთამომავლობა დაეუფლება მას, როგორც საკუთარ მემკვიდრეობის მიწას; ამიტომაც, შენ ხედავ: უფალი ღმერთი არ დაუშვებს, რომ წარმართებმა მთლიანად გაანადგურონ შენი შერეული შთამომავლობა, რომელიც არის შენს ძმებს შორის.

31 არც იმას დაუშვებს, რომ წარმართებმა გაანადგურონ შენი ძმების შთამომავლები.

32 არც იმას დაუშვებს უფალი ღმერთი, რომ წარმართები

სამუდამოდ დარჩნენ იმ საშინელი სიბრძნის მდგომარეობაში, რომელშიც, როგორც შენ ხედავ, ისინი იმყოფებიან, კრავის სახარების იმ ნათელი და ყველაზე ძვირფასი ნაწილების გამო, რომლებიც დაიტოვა იმ ბილწმა ეკლესიამ, რომლის წარმოქმნაც შენ იხილე.

33 ამიტომაც, ამბობს ღვთის კრავი: მე ვიქნები მოწყალე წარმართების მიმართ, ისრაელის სახლის ნარჩენისათვის დიდი სასჯელით მოვლენისას.

34 და იყო ასე, რომ უფლის ანგელოზმა მომმართა სიტყვებით: აჰა, ამბობს ღვთის კრავი: მას შემდეგ, რაც მოვევლინები ისრაელის სახლის ნარჩენს – და ეს ნარჩენი, რომელზედაც ვსაუბრობ, არის მამაშენის შთამომავლობა – ამიტომაც, როდესაც მათ მოვევლინები სასჯელით და დავამარცხებ წარმართების ხელით; და მას შემდეგ, რაც წარმართები ძალზედ შებრკოლებიან კრავის სახარების ყველაზე ნათელი და ძვირფასი ნაწილების გამო, რომლებიც დაიტოვა იმ ბილწმა ეკლესიამ, მეძავთა დედამ, – ამბობს კრავი, მე ვიქნები მოწყალე წარმართების მიმართ იმ დღეს, იმდენად, რომ მოვუტან ჩემი ძალით ბევრს ჩემი სახარებიდან, რაც იქნება ნათელი და ძვირფასი, – ამბობს კრავი.

35 ვინაიდან, აჰა, ამბობს კრავი: მე გამოვეცხადები შენს

შთამომავლობას, რომ მათ ჩაიწერონ ბევრი რამ, რასაც მე მათ გავანდობ, რაც იქნება ნათელი და ძვირფასი; და მას შემდეგ, რაც შენი შთამომავლობა განადგურდება და გადაშენდება ურწმუნოების გამო და ასევე შენი ძმების შთამომავლობა, აჰა, ეს ყველაფერი იქნება დაფარული, რათა მივიდეს წარმართებთან კრავის ძღვენითა და ძალით.

36 და მასში იქნება დაწერილი ჩემი სახარება, – ამბობს კრავი; და ჩემი კლდე და ჩემი ხსნა.

37 და კურთხეულნი არიან ისინი, რომლებიც იღწვიან, რომ მოუტანონ ჩემი სიონი იმ დღეს, რადგან მათ ექნებათ სულიწმინდის ძღვენი და ძალა; და თუ ისინი გაუძლებენ ბოლომდე, ამაღლებიან უკანასკნელ დღეს და გადარჩებიან კრავის მარადიულ სასუფეველში; და მშვიდობის, დიახ, დიდი სასიხარულო ამბის მაუწყებელნი, რა მშვენიერი იქნებიან ისინი მთებზე.

38 და იყო ასე, რომ მე დავინახე ჩემი ძმების შთამომავლობის ნარჩენი და ასევე ღვთის კრავის წიგნი, რომელიც გამოვიდა იუდეველის პირიდან, რომ ის გამოვიდა წარმართებისგან ჩემი ძმების შთამომავლების ნარჩენთან.

39 და მას შემდეგ, რაც ის მივიდა მათთან, დავინახე სხვა წიგნები, რომლებიც მოევლინა

მათ წარმართებისგან კრავის ძალით, რათა დაარწმუნონ წარმართები და ჩემი ძმების შთამომავლების ნარჩენი, ასევე იუდეველები, რომლებიც გაფანტულნი არიან მთელი დედამიწის ზედაპირზე, იმაში, რომ წინასწარმეტყველებისა და კრავის თორმეტი მოციქულის ჩანაწერები არის ჭეშმარიტი.

40 და ანგელოზმა მომმართა სიტყვებით: ეს უკანასკნელი ჩანაწერები, რომლებიც იხილე წარმართებს შორის, დაამტკიცებს იმ პირველთა ჭეშმარიტებას, რომლებიც არის კრავის თორმეტი მოციქულთაგან, და გაანდობს იმ ნათელს და ძვირფასს, რაც ამოღებულ იქნა მათგან; და ასევე გაანდობს ყოველ ტომს, ენასა და ხალხს, რომ ღვთის კრავი არის მარადიული მამის ძე და ამა ქვეყნის მხსნელი; და რომ ყოველი ადამიანი უნდა მივიდეს მასთან, თორემ სხვაგვარად ისინი ვერ გადარჩებიან.

41 და ისინი უნდა მოვიდნენ იმ სიტყვების თანახმად, რომლებსაც დაამტკიცებს კრავი თავისი პირით; და სიტყვები კრავისა გახდება ცნობილი შენი შთამომავლობის ჩანაწერებში, ისევე, როგორც კრავის თორმეტი მოციქულის ჩანაწერებში; და ამიტომაც, ორივე განმტკიცდება ერთიანობაში; რადგან მთელ დედამიწაზე ერთია ღმერთი და ერთია მწყემსი.

42 და მოდის ის დრო, როდესაც ის გამოეცხადება ყოველ ერს, როგორც იუდეველებს, ასევე წარმართებს; მას შემდეგ, რაც ის გამოეცხადება იუდეველებს და ასევე წარმართებს, ის გამოეცხადება წარმართებს და ასევე იუდეველებს; და უკანასკნელი იქნებიან პირველნი და პირველნი – უკანასკნელნი.

თავი 14

ანგელოზი მოუთხრობს ნეფის იმ კურთხევებისა და წყევლის შესახებ, რაც წარმართებს თავს დაატყდებათ. არსებობს მხოლოდ ორი ეკლესია: ღვთის კრავის ეკლესია და ეშმაკის ეკლესია. ღმერთის წმინდანები ყველა ერში იღვწებიან ღიღი და ბილწი ეკლესიის მიერ. მოციქული იოანე დაწერს ამა ქვეყნის დასასრულის შესახებ. დაახლოებით 600-592 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და იქნება ასე, რომ თუ წარმართები ყურს დაუგდებენ ღვთის კრავს იმ დღეს, როდესაც ის გამოეცხადება, სიტყვასა და ძალაში, ჭეშმარიტ საქმეში, რათა მოაცილოს მათ დაბრკოლების ლოდი.

2 და არ გაიქვავებენ გულს ღვთის კრავის წინააღმდეგ, ისინი ჩაითვლებიან მამაშენის შთამომავალთა შორის, დიახ, აღირიცხვებიან ისრაელის სახლში; და ისინი იქნებიან

სამუდამოდ კურთხეული ხალხი აღთქმულ მიწაზე; ვედარასდროს დაატყვევებენ მათ; და ისრაელის სახლი მეტად აღარ დამარცხდება.

3 და ის დიდი ორმო, რომელიც მათთვის ამოთხარა იმ დიდმა და ბილწმა ეკლესიამ, რომელიც ეშმაკის და მისი შვილების მიერ იყო დაარსებული, რათა შეიტყუოს ადამიანთა სულები ჯოჯოხეთში, დიახ, ის დიდი ორმო, რომელიც ამოთხრილია ადამიანთა გასანადგურებლად, ამოივსება მათსავე მიერ, ვინც ამოთხარა ის მათ საბოლოო გასანადგურებლად, – ამბობს ღვთის კრავი; მაგრამ არა მათ სულთა გასანადგურებლად, არამედ იმ ჯოჯოხეთში გასაძევებლად, რომელსაც არ აქვს დასასრული.

4 რადგან, აჰა, ეშმაკის ტყვეობისა და ასევე ღმერთის სამართლის შესაბამისად, დაატყდება ეს ყოველ მათგანს, ვინც სხადის სიბოროტესა და სისაძაგლეს მის წინაშე.

5 და იყო ასე, რომ ანგელოზმა მომმართა მე, ნეფის, სიტყვებით: შენ დაინახე, რომ თუ წარმართები მოინანიებენ, მათთან იქნება სიკეთე; და შენ ასევე იცი უფლის აღთქმათა შესახებ ისრაელის სახლის მიმართ; და შენ ასევე მოსმენილი გაქვს, რომ ვინც არ ინანიებს უნდა დაიღუპოს.

6 ამიტომ, ვარაძი წარმართებს,

თუ ისე მოხდება, რომ გაიქვავებენ გულს ღვთის კრავის წინააღმდეგ.

7 რადგან მოდის დრო, – ამბობს ღვთის კრავი, როდესაც მოვიმოქმედებ დიად და საოცარ საქმეს ადამიანთა შვილებს შორის; საქმეს, რომელიც იქნება მარადიული ან ერთი მხრიდან ან მეორედან ან მათ დასარწმუნებლად მშვიდობისა და მარადიული სიცოცხლისათვის ან მათ გასაწირად გულების გაქვავებისა და გონების დასაბნელებლად, რომელიც მათ ტყვეობამდე მიიყვანს; და ასევე გაანადგურებს ხორციელად და სულიერად ეშმაკის ტყვეობის შესაბამისად, რომელზედაც მე ვისაუბრე.

8 და იყო ასე, რომ როდესაც ანგელოზმა თქვა ეს სიტყვები, მან მითხრა: გახსოვს ისრაელის სახლთან დადებული მამის აღთქმები? მე ვუთხარი: დიახ.

9 და იყო ასე, რომ მან მითხრა: შეხედე და დაინახე ის დიდი და ბილწი ეკლესია, რომელიც არის სისაძაგლეთა დედა და რომლის დამაარსებელი არის ეშმაკი.

10 და მან მითხრა: აჰა, არსებობს მხოლოდ ორი ეკლესია; ერთი არის ეკლესია ღვთის კრავისა და მეორე – ეშმაკის ეკლესია, ამიტომაც, ვინც არ მიეკუთვნება ღვთის კრავის ეკლესიას, მიეკუთვნება იმ დიდ ეკლესიას, რომელიც არის სისაძაგლეთა დედა; და ის არის მთელი დედამიწის როსკიპი.

11 და იყო ასე, რომ მე შევხედე და დავინახე მთელი დედამიწის როსკიპი და ის იჯდა მრავალ წყალზე; და ის ბატონობდა მთელ დედამიწაზე, ყველა ერზე, ტომზე, ენასა და ხალხზე.

12 და იყო ასე, რომ მე დავინახე ღვთის კრავის ეკლესია და ის იყო მცირერიცხოვანი, მრავალ წყალზე მჯდომი როსკიპის, სიბოროტისა და სისაძაგლეთა გამო; მიუხედავად ამისა, მე დავინახე, რომ კრავის ეკლესია, რომელიც წარმოადგენდა ღვთის წმინდანებს, ასევე იყო მთელი დედამიწის ზედაპირზე; და მათი ბატონობა დედამიწის ზედაპირზე იყო უმნიშვნელო, იმ დიდი როსკიპის სიბოროტის გამო, რომელიც დავინახე.

13 და იყო ასე, მე დავინახე, რომ სისაძაგლის დიდმა დედამ ერთად შეკრიბა მრავალნი მთელი დედამიწის ზედაპირზე წარმართთა ყველა ერში, რათა ებრძოლა ღვთის კრავის წინააღმდეგ.

14 და იყო ასე, რომ მე, ნეფიმ, დავინახე ღვთის კრავის ძალა, რომ ის მოეფინა კრავის ეკლესიის წმინდანებს და უფლის ალთქმულ ხალხს, რომლებიც გაფანტულნი იყვნენ მთელი დედამიწის ზედაპირზე; და ისინი შეიარაღებულნი იყვნენ სამართლიანობით და ღმერთის ძალით, ღიადი დიდებულებით.

15 და იყო ასე, რომ მე დავინახე: ღმერთის რისხვა დაატყდა

იმ დიდ და ბილწ ეკლესიას ისე, რომ იყო ომები და ამბები ომების შესახებ დედამიწის ყველა ერსა და ტომს შორის.

16 და იმის გამო, რომ დაიწყო ომები და ამბები ომების შესახებ ყველა ერს შორის, რომელიც მიეკუთვნებოდნენ სისაძაგლის დედას, ანგელოზმა მომმართა სიტყვებით: აჰა, ღვთის რისხვა დაატყდა მეძავთა დედას და, აჰა, შენ ხედავ ამ ყველაფერს.

17 და როდესაც დადგება ის დღე, როდესაც ღვთის რისხვა დაატყდება მეძავთა დედას, მთელი დედამიწის იმ დიდ და ბილწ ეკლესიას, რომლის დამარსებელი არის ეშმაკი, იმ დღეს დაიწყება მამის სამუშაო, რათა მომზადდეს გზა მისი ალთქმების აღსასრულებლად, რომლებიც მან დალო თავის ხალხთან, რომელიც არის ისრაელის სახლიდან.

18 და იყო ასე, რომ ანგელოზმა მომმართა სიტყვით: შეხედე!

19 და მე შევხედე და დავინახე ადამიანი; და ის იყო თეთრი სამოსით შემოსილი.

20 და ანგელოზმა მითხრა: აჰა, კრავის თორმეტი მოციქულიდან ერთ-ერთი.

21 აჰა, ის ნახავს და დაწერს ამის დანარჩენს, დიახ, და ასევე მრავალი სხვა საქმის შესახებ, რაც მოხდა.

22 და ის ასევე დაწერს ამა ქვეყნის დასასრულის შესახებ.

23 ამიტომ, რასაც ის დაწერს,

სამართლიანია და ჭეშმარიტი; და ეს ყველაფერი დაწერილია იუდეველის პირიდან გამოსულ წიგნში, რომელიც შენ ნახე; და იმ დროს, როდესაც ყოველივე ეს გამოვიდა იუდეველის პირიდან ან იმ დროს, როდესაც ეს წიგნი გამოვიდა იუდეველის პირიდან ის, რაც მასში დაწერილი იყო, იყო ნათელი, წმინდა და ძალზედ ძვირფასი და ადვილად გასაგები ყველა ადამიანისათვის.

24 და, აჰა, ის, რასაც დაწერს კრავის ეს მოციქული, ბევრი რამ არის იქიდან, რაც შენ იხილე; და, აჰა, დანარჩენს შენ ნახავ.

25 მაგრამ რასაც შენ ნახავ მომავალში, არ დაწერო; რადგან ამის დასაწერად უფალმა ღმერთმა ღვთის კრავის მოციქული აკურთხა.

26 ასევე სხვებს, რომლებიც იყვნენ, მან გაანდო ყველაფერი და მათ ჩაიწერეს ეს; და ჩაბეჭდილია ეს ყველაფერი, რათა უფლისათვის შესაფერის დროს ის მოეველინოს ისრაელის სახლს თავისი სიწმინდით, იმ ჭეშმარიტების შესაბამისად, რომელიც არის კრავში.

27 და მე, ნეფიმ, მოვისმინე და ვმოწმობ, რომ კრავის მოციქულის სახელი იყო იოანე, ანგელოზის სიტყვის თანახმად.

28 და აჰა, მე, ნეფის, აკრძალული მაქვს დავწერო დანარჩენი იქიდან, რაც ვნახე და მოვისმინე; ამიტომ, რაც დავწერე, ჩემთვის არის საკმარისი;

და მე დავწერე მხოლოდ მცირეოდენი იმისა, რაც ვიხილე.

29 და მე ვმოწმობ, რომ ვიხილე ის, რაც იხილა მამაჩემმა და ეს უფლის ანგელოზმა გამანდო მე.

30 და ახლა, მე ვასრულებ საუბარს იმაზე, რაც ვიხილე იმ დროს, როდესაც სულმა ამიტაცა; და თუ არ არის ჩაწერილი ყველაფერი, რაც ვიხილე, ის, რაც მე ჩავწერე, არის ჭეშმარიტება და ეს არის ასე. ამინ.

თავი 15

ღეხის შთამომავლები უკანასკნელ დღეებში წარმართებისგან მიიღებენ სახარებას. ისრაელის შეკრება შედარებულია ზეთისხილის ხესთან, რომლის ბუნებრივი რტოები კვლავ იქნება დამყნობილი; ნეფი განმარტავს ხილვას სიცოცხლის ხის შესახებ და საუბრობს ღვთის სამართალზე ბოროტების მართალთაგან გამიჯვნაზე. დაახლოებით 600-592 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და იყო ასე, რომ მას შემდეგ, რაც მე, ნეფი, ამიტაცა სულმა და ვიხილე ეს ყველაფერი, მე დავბრუნდი მამაჩემის კარავში.

2 და იყო ასე, რომ მე დავინახე ჩემი ძმები და ისინი კამათობდნენ ერთმანეთში იმაზე, თუ რა უთხრა მათ მამაჩემმა.

3 რადგან, ჭეშმარიტად, მან ბევრი დიადი რამ უთხრა მათ, რაც ძნელი იყო გასაგებად

ადამიანისათვის, რომელიც არ ეკითხება უფალს; და რადგან ისინი იყვნენ გულქვები, ამიტომ არ შეჰყურებდნენ უფალს ისე, როგორც მათ შეეფერებოდათ.

4 და ახლა, მე, ნეფი, დავლონდი მათი გულქვაობის გამო, ასევე იმის გამო, რაც ვიხილე და ვიცოდი, რომ ეს ყველაფერი აუცილებლად უნდა ამხდარიყო, ადამიანთა შვილების დიდი სიბოროტის გამო.

5 და იყო ასე, რომ დავუძღურდი გასაჭირისგან, რადგან ვთვლიდი, რომ ჩემი ტანჯვა ყველაზე დიდი იყო ჩემი ხალხის განადგურების გამო, რადგან დავინახე მათი დაცემა.

6 და იყო ასე, მას შემდეგ, რაც მომეცა ძალა, მივმართე ჩემს ძმებს, მინდოდა რა, გამეგო მათი კამათის მიზეზი.

7 და მათ მითხრეს: აჰა, ჩვენ ვერ გავიგეთ ის სიტყვები, რაც მამაჩვენმა თქვა ზეთისხილის ხის ბუნებრივ რტოებზე და ასევე წარმართებზე.

8 და მე ვუთხარი მათ: უფალს თუ ჰკითხეთ?

9 და მათ მითხრეს: არა, რადგან უფალი არ გვანდობს არაფერს ამის მსგავსს.

10 აჰა, მე ვუთხარი მათ: როგორ არ იცავთ უფლის მცნებებს? რატომ გინდათ დაიღუპოთ საკუთარი გულქვაობის გამო?

11 განა არ გახსოვთ, რა თქვა უფალმა? თუ არ გაიქვავებთ გულს, რწმენით შემთხვოვთ და

იწამებთ, რომ მიიღებთ, ჩემი მცნებების ბეჯითად დაცვით, აუცილებლად შეიცნობთ ყოველივე ამას.

12 აჰა, მე გეუბნებით, რომ უფლის სულის მეშვეობით, რომელიც იყო მამაჩვენში, ისრაელის სახლი შეედარა ზეთისხილის ხეს; და აჰა, განა არ ვართ მოტეხილნი ისრაელის სახლისაგან და არ ვართ ისრაელის სახლის რტო?

13 და ახლა, რასაც გულისხმობს მამაჩვენი, წარმართთა სისრულის მეშვეობით ბუნებრივი რტოების დამყნობის შესახებ, არის ის, რომ უკანასკნელ დღეებში ჩვენი შთამომავლები ურწმუნოების გამო გადაშენდებიან, დიახ, მრავალი წლისა და მრავალი თაობის შემდეგ რაც მესია სხეულით გამოეცხადება ადამიანთა შვილებს, მესიის სახარების სისრულე მივა წარმართებთან და წარმართებისაგან ჩვენი შთამომავლების ნარჩენთან.

14 და იმ დღეს ჩვენი შთამომავლობის ნარჩენი გაიგებს, რომ მიეკუთვნება ისრაელის სახლს და რომ ის არის უფლის აღთქმული ხალხი; და მაშინ ისინი გაეცნობიან თავიანთ წინაპრებს და მიიღებენ ცოდნას მათზე და ასევე თავიანთი გამომსყიდველის სახარებაზე, რომელიც მან უქადაგა მათ მამებს, ამიტომ, ისინი შეიცნობენ თავიანთ გამომსყიდველს და მისი სწავლების ყოველ წვრილმანს, რათა

იცოდნენ, როგორ მივიდნენ მასთან და გადარჩნენ.

15 და მაშინ, იმ დღეს, ნუთუ არ გაუხარდებათ და არ აღიდეგენ თავიანთ მარადიულ ღმერთს, მათ კლდეს და მათ ხსნას? დიახ, იმ დღეს, ნუთუ არ მიიღებენ ძაღას და საზრდოს ჭეშმარიტი ვაზისგან? დიახ, ნუთუ არ შევლენ ისინი ღმერთის ჭეშმარიტ ფარაში?

16 აჰა, მე გეუბნებით თქვენ: დიახ, ისინი კვლავ იქნებიან მოხსენიებულნი ისრაელის სახლში; არიან რა ზეთისხილის ხის ბუნებრივი რტო, ისინი იქნებიან დამყნობილნი ჭეშმარიტ ზეთისხილის ხეზე.

17 და ეს არის ის, რასაც მამაჩვენი გულისხმობს; და ის გულისხმობს, რომ ეს არ აღსრულდება, სანამ ისინი არ იქნებიან წარმართების მიერ გაფანტულნი; და ის გულისხმობს, რომ ეს მოხდება წარმართების მეშვეობით, რათა უფალმა აჩვენოს თავისი ძალა წარმართებს იმ მიზეზის გამო, რომ ის იქნება უარყოფილი იუდეველების ანუ ისრაელის სახლის მიერ.

18 ამიტომაც მამაჩვენი საუბრობდა არა მარტო ჩვენს შთამომავლობაზე, ასევე მთლიანად ისრაელის სახლზე, მიუთითებდა რა იმ აღთქმაზე, რომელიც უნდა აღსრულდეს უკანასკნელ დღეებში; ეს აღთქმა უფალმა დადო მამაჩვენთან, აბრაამთან, სიტყვებით: შენს თესლში კურთხეული იქნება დედამიწის ყოველი ტომი.

19 და იყო ასე, რომ მე, ნეფომ, ბევრი ვესაუბრე ამის შესახებ; დიახ, მე ვესაუბრე მათ იუდეველთა აღდგენაზე უკანასკნელ დღეებში.

20 და მე გავუმეორე მათ ესაიას სიტყვები, რომელმაც ისაუბრა იუდეველების ანუ ისრაელის სახლის აღდგენაზე; და მას შემდეგ, რაც აღდგებიან, ისინი აღარ დამარცხდებიან, ასევე აღარ გაიფანტებიან. და იყო ასე, რომ მრავალი რამ ვუთხარი ჩემს ძმებს ისე, რომ დამშვიდნენ და თავი დაიმდაბლეს უფლის წინაშე.

21 და იყო ასე, რომ მათ კვლავ მომმართეს სიტყვებით: რას ნიშნავს ის, რაც იხილა მამაჩვენმა სიზმარში? რას ნიშნავს ის ხე, რომელიც მან იხილა?

22 და მე ვუთხარი მათ: ის წარმოადგენს სიცოცხლის ხეს.

23 და მათ მითხრეს: რას ნიშნავს რკინის მოაჯირი, რომელიც იხილა მამაჩვენმა და რომელიც ხესთან მიდიოდა?

24 და მე ვუთხარი მათ: ეს არის ღვთის სიტყვა; და ყოველი, ვინც ყურს დაუგდებს ღვთის სიტყვას და მას მტკიცედ ჩაეჭიდება, არასდროს არ დაიღუპება და მას მტრის ცდუნებები და მისი გავარვარებული ისრები ვერ სძლევენ და ვერც დააბრმავებენ განადგურებამდე მისაყვანად.

25 ამიტომ, მე, ნეფომ, მოვუწოდე მათ ყური დაეგდოთ უფლის

სიტყვისათვის; დიახ, მოვუწოდე მათ ჩემი სულის მთელი ძალით და მთელი ჩემი შესაძლებლობებით, ყური დაეგდოთ ღვთის სიტყვისათვის და დაემახსოვრებინათ, დაეცვათ მისი მცნებები ყოველთვის და ყველაფერში.

26 და მათ მითხრეს: რას ნიშნავს წყლის მდინარე, რომელიც იხილა მამაჩვენმა?

27 და მე ვუთხარი მათ: წყალი, რომელიც იხილა მამაჩვენმა, ნიშნავს სიბინძურეს; და მისი გონება იმდენად იყო დაკავებული სხვა აზრებით, რომ მან ვერ დაინახა იმ წყლის სიბინძურე.

28 და მე ვუთხარი მათ, რომ ეს იყო საშინელი უფსკრული, რომელიც მიჯნავდა ბოროტ სიცოცხლის ხისგან და ასევე ღვთის წმინდანებისაგან.

29 და მე ვუთხარი მათ, რომ ის წარმოადგენს იმ საშინელ ჯოჯოხეთს, რომელიც, როგორც ანგელოზმა მითხრა, მომზადებული იყო ბოროტათვის.

30 და მე ვუთხარი მათ, რომ მამაჩვენმა ასევე იხილა, რომ ღმერთის სამართალი, ასევე ყოფდა ერთმანეთისაგან ბოროტ და მართალთ და მისი სიკაშკაშე მსგავსია აალებული ცეცხლის სიკაშკაშისა, რომელიც აღწევს ღმერთამდე უკუნითი უკუნისამდე და არ აქვს დასასრული.

31 და მათ მითხრეს: ნიშნავს თუ არა ეს გამოცდის ჟამს სხეულის ტანჯვას, თუ ეს ნიშნავს

სულის საბოლოო მდგომარეობას ხორციელი სხეულის სიკვდილის შემდეგ, თუ აქ საუბარია იმაზედ, რაც ხორციელია?

32 და იყო ასე, რომ მე ვუთხარი მათ: ეს წარმოადგენს ხორციელს და სულიერს, რადგან დადგება დღე, როდესაც ისინი უნდა განიკითხონ თავიანთი საქმეებისამებრ, დიახ, იმ ნამოქმედარისთვის, რაც ჩაიდინეს ხორციელი სხეულით, თავიანთი გამოცდის ჟამს.

33 ამიტომაც, თუ დაიხოცებიან თავიანთ სიბოროტეში, ისინი გაძევებულნი უნდა იქნენ იმისგან, რაც სულიერებას ეხება და რაც სამართლიანობას თან ახლავს; და ამიტომ, ისინი ღმერთის წინაშე უნდა იყვნენ მიყვანილნი, რათა განიკითხულ იქნენ ჩადენილისთვის; და თუ მათი ნამოქმედარი იყო ბინძური, მაშინ თვითონაც ბინძურნი არიან; და თუ ისინი იქნებიან ბინძურნი, მაშინ მათ ღვთის სასუფეველში არ დაედგომებათ, რადგან ასე რომ ყოფილიყო, ღვთის სასუფეველიც ბინძური იქნებოდა.

34 მაგრამ, აჰა, მე გეუბნებით: ღვთის სასუფეველი არ არის ბინძური და ვერაფერი უწმიდური ვერ შევა ღვთის სასუფეველში; ამიტომაც საჭიროა, რომ ბინძური ადგილი იყოს მომზადებული იმისათვის, რაც ბინძურია.

35 და მომზადებულია ადგილი, დიახ, ის საშინელი ჯოჯოხეთი, რომელზედაც მე ვისაუბრე და

ეშმაკია მისი მომზადებული; ამიტომაც, ადამიანთა სულის საბოლოო მდგომარეობა არის ღვთის სასუფეველში ყოფნა ან გაძევება იმ სამართლის გამო, რომლის შესახებაც ვილაპარაკე.

36 ამიტომაც, ბოროტნი უარყოფილნი არიან მართალთაგან და ასევე იმ სიცოცხლის ხისგან, რომლის ნაყოფი ყველა სხვა ნაყოფზე ძვირფასი და სანატრელია, ღიახ, ეს არის ღვთის უდიდესი ძღვენი. და ასე ვესაუბრებოდი ჩემს ძმებს. ამინ.

თავი 16

ბოროტნი მძიმედ იტანენ ჭეშმარიტებას. ლეხის შვილები ცოლად ირთავენ ისმაელის ქალიშვილებს. ღიახონა გზას უჩვენებს უდაბნოში. დროდადრო ღიახონაზე ჩნდება წარწერები უფლის მითითებებით. კვდება ისმაელი; მისი ოჯახი ბუზღუნებს გაჭირვების გამო. დაახლოებით 600-592 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და ახლა, იყო ასე, რომ მას შემდეგ, რაც მე, ნეფიმ, დავამთავრე ჩემს ძმებთან ლაპარაკი, აჰა, მათ მითხრეს: შენ იმაზე მეტად მძიმე სიტყვები გვითხარი, იმაზე მეტად მძიმე, რისი ატანაც ჩვენ შეგვიძლია.

2 და იყო ასე, რომ მე გუთხარი მათ: ვიცი, რომ გითხარით მძიმე სიტყვები ბოროტთა წინააღმდეგ, ჭეშმარიტების თანახმად;

და მე გავამართლე მართალნი და ვმოწმობდი, რომ უკანასკნელ დღეს ისინი ამალღებიან, ამიტომაც დამნაშავენი მძიმედ იტანენ ჭეშმარიტებას, რადგან ის პირდაპირ გულზე ხვდებათ.

3 და ახლა, ჩემო ძმებო, თქვენ რომ იყოთ მართალნი და მზად იყოთ დაუგდოთ ყური ჭეშმარიტებას და შეიგნოთ ის, რომ იყოთ ღმერთის წინაშე უბიწოდ მავალნი, მაშინ არ იბუზღუნებდით ჭეშმარიტების გამო და არ იტყოდით: შენ ამბობ მძიმე სიტყვებს ჩვენ წინააღმდეგ.

4 და იყო ასე, რომ მე, ნეფი, მთელი სიბეჯითით მოგუწოდებდი მათ, დაეცვათ უფლის მცნებები.

5 და იყო ასე, რომ მათ თავი დაიმდაბლეს უფლის წინაშე იმდენად, რომ მე გამეხარდა და მომეცა დიდი იმედი მათზე, რომ ივლიდნენ სამართლიანობის ბილიკზე.

6 ახლა, ყველაფერი ეს ითქვა და გაკეთდა მაშინ, როდესაც მამაჩემი იმყოფებოდა კარავში ველზე, რომელსაც მან სახელად ლემუელი დაარქვა.

7 და იყო ასე, რომ მე, ნეფიმ, ცოლად შევირთე ისმაელის ერთ-ერთი ქალიშვილი; და ასევე ჩემმა ძმებმაც ცოლად შეირთეს ისმაელის ქალიშვილები; და ზორამმაც შეირთო ისმაელის უფროსი ქალიშვილი ცოლად.

8 და ასეთნაირად შეასრულა

მამაჩემმა უფლის ყოველი ბრძანება, რომელიც მას ჰქონდა მიღებული. ასევე მე, ნეფიც, განსაკუთრებულად კურთხეული ვიყავი უფლისაგან.

9 და იყო ასე, რომ უფლის ხმამ მიმართა მამაჩემს ღამე და უბრძანა, რომ მომდევნო დღეს გამეზავრებულიყო უდაბნოში.

10 და იყო ასე, რომ როდესაც მამაჩემი დილით წამოდგა და გაემართა კარვის გასასვლელისკენ, მისდა გასაოცრად, მიწაზე იპოვა ბირთვი, ნატიფი ნაკეთობის; და ის სუფთა სპილენძის იყო; და შიგ ბირთვში იყო ორი ისარი: ერთი მიუთითებდა გეზს, საითაც უდაბნოში უნდა გვევლო.

11 და იყო ასე, რომ მოვაგროვეთ ერთად ყველაფერი, რაც უნდა წაგველო უდაბნოში და ყველაფერი, რაც დარჩა ჩვენი სურსათ-სანოვაგისგან, რომელიც გვიბოძა უფალმა და ავიღეთ ყველანაირი თესლი, რათა წაგველო უდაბნოში.

12 და იყო ასე, რომ ჩვენ ავიღეთ კარვები და წავედით უდაბნოში, მდინარე ლამანის გაღმა.

13 და იყო ასე, რომ ვიმოგზაურეთ ოთხი დღის განმავლობაში, დაახლოებით სამხრეთის, სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით და კვლავ გავშალეთ კარვები და ამ ადგილს დავარქვით სახელად შაზერი.

14 და იყო ასე, რომ ავიღეთ მშვილდ-ისრები და წავედით

უდაბნოში, რათა მოგვენადირებინა ჩვენი ოჯახებისათვის საჭმელი; და მას შემდეგ, რაც მოვინადირეთ საჭმელი ოჯახებისათვის, კვლავ დავებრუნდით ოჯახებს უდაბნოში, შაზერის ადგილს. და გავუდექით გზას უდაბნოში და მივუყვებოდით იგივე მიმართულებით, უდაბნოს ყველაზე ნაყოფიერ ადგილებს, წითელი ზღვის სანაპიროს საზღვრებთან.

15 და იყო ასე, რომ ჩვენ ვმოგზაურობდით მრავალი დღის განმავლობაში, გზადაგზა ნადირობით ვმოულობდით საჭმელს მშვილდებითა და ისრებით, ქვებითა და შურდულებით.

16 და მივყვებოდით ბირთვზე ნაჩვენებ მიმართულებას, რომელსაც მივყავდით უდაბნოს უფრო ნაყოფიერი ადგილებისკენ.

17 და მას შემდეგ, რაც მრავალი დღე ვიმოგზაურეთ, გავშალეთ კარვები, რათა ცოტა ხნით კვლავ დაგვესვენა და მოგვეპოვებინა საჭმელი ჩვენი ოჯახებისათვის.

18 და იყო ასე, რომ მაშინ, როდესაც მე, ნეფი, წავედი საჭმლის მოსანადირებლად, აჰა, გამიტყდა მშვილდი, რომელიც გაკეთებული იყო სუფთა ფოლადისაგან; და მას შემდეგ, რაც მშვილდი გამიტყდა, აჰა, ჩემი ძმები გაბრაზდნენ ჩემზე მშვილდის დაკარგვის გამო, რადგან ვერ მოვიპოვეთ საჭმელი.

19 და იყო ასე, რომ დავუბრუნ-
დით ოჯახებს საჭმლის გარეშე
და იყვნენ რა ძალზედ დაქან-
ცულნი მოგზაურობის გამო,
ისინი მეტად იტანჯებოდნენ სა-
ჭმლის უკმარისობისაგან.

20 და იყო ასე, რომ ლამანმა და
ლემუელმა და ისმაელის ვაჟი-
შვილებმა დაიწვეს მეტისმეტად
ბუზღუნნი მათი უდაბნოში ტან-
ჯვისა და გაჭირვების გამო; და
ასევე მამაჩემმაც დაიწყო ბუზ-
ღუნნი უფალზე, თავის ღმერთზე;
დიახ, ყოველი მათგანი ძალზედ
დაღონდა, ისე, რომ უფალზეც
ბუზღუნებდნენ.

21 ახლა, იყო ასე, რომ მე,
ნეფი, იმის გამო, რომ ვიტან-
ჯებოდი ჩემს ძმებთან მშვილ-
დის დაკარგვის გამო და რადგან
მათმა მშვილდებმა დაკარგეს
დრეკადობა, ძალზედ გაგვი-
ჭირდა, დიახ, ისე, რომ ვეღარ
ვშოულობდით საჭმელს.

22 და იყო ასე, რომ მე, ნეფი,
ბევრს ვესაუბრებოდი ჩემს
ძმებს, ვინაიდან მათ კვლავ გა-
უქვავდათ გული, იქამდეც, რომ
უფალზე, თავიანთ ღმერთზეც კი
ჩიოდნენ.

23 და იყო ასე, რომ მე, ნე-
ფიმ, ხისგან გავაკეთე მშვილდი
და სწორი ჯოხისგან ისარი; ასე
რომ, შევიარადლი მშვილდით და
ისრით, შურდულითა და ქვებით.
და მე ვუთხარი მამაჩემს: საით
წავიდე, რომ ვიშოვო საჭმელი?

24 და იყო ასე, რომ მან
ჰკითხა უფალს, რადგან მათ

თავი დაიმდაბლეს ჩემი სიტყვე-
ბის გამო; რამეთუ ბევრი რამ
ვუთხარი, მთელი ჩემი სულის
ძალდონით.

25 და იყო ასე, რომ უფლის
ხმამ მიმართა მამაჩემს; და ის
განკიცხულ იქნა ნამდვილად,
უფლის წინააღმდეგ ბუზღუნ-
სათვის, იმდენად, რომ ის ღრმა
მწუხარებამ მოიცვა.

26 და იყო ასე, რომ უფლის
ხმამ მას უთხრა: შეხედე ბირთვის
და ნახე, რა აწერია.

27 და იყო ასე, როდესაც მა-
მაჩემმა დაინახა ის, რაც ეწერა
ბირთვზე, მას ძალზედ შეეშინდა
და ძლიერ აკანკალდა, ასევე
ჩემი ძმებიც, ისმაელის ვაჟი-
შვილებიც და ჩვენი ცოლებიც.

28 და იყო ასე, რომ მე, ნეფიმ,
დავინახე ისრები, რომლებიც
ბირთვში იყო; და ისინი იმის
შესაბამისად მოქმედებდნენ, თუ
რამდენ რწმენას, სიბეჯითეს და
ყურადღებას ვუთმობდით მათ.

29 და მათზე დაიწერა ახალი
წარწერა, რაც ნათლად იკით-
ხებოდა და გვაძლევდა წარ-
მოდგენას უფლის გზებზე; და
ის ღროდადრო იწერებოდა და
იცვლებოდა ჩვენი რწმენის და
სიბეჯითის შესაბამისად, რო-
მელსაც მას ვუთმობდით. და
ამგვარად ვხედავთ, რომ მცირე
შესაძლებლობებით უფალს შე-
უძლია განახორციელოს დიდი
საქმენი.

30 და იყო ასე, რომ მე, ნეფი,
ავედი მთის მწვერვალზე იმ

მიმართულების მიხედვით, რომელიც ბირთვზე იყო ნაჩვენები.

31 და იყო ასე, რომ დაგზოცე გარეული ცხოველები; ასე მოვიპოვე საჭმელი ჩვენი ოჯახებისათვის.

32 და იყო ასე, რომ დაგბრუნდი ჩვენს კარვებთან, თან მომქონდა დახოცილი ცხოველები და როდესაც დაინახეს, რომ მოვიპოვე საჭმელი, რაოდენ დიდი იყო მათი სიხარული! და იყო ასე, რომ მათ თავი დაიმდაბლეს უფლის წინაშე და მიაგეს სამადლობელი.

33 და იყო ასე, რომ კვლავ გავემგზავრეთ თითქმის იგივე მიმართულებით, როგორც დასაწყისში; და მრავალი დღის მოგზაურობის შემდეგ ჩვენ კვლავ გავშალეთ კარვები, რათა გავჩერებულიყავით გარკვეული დროით.

34 და იყო ასე, რომ ისმაელი მოკვდა და ადგილს, სადაც ის დაიმარხა, ეწოდა ნაჰომი.

35 და იყო ასე, რომ ისმაელის ქალიშვილები ძალზედ გლოვობდნენ თავიანთი მამის გარდაცვალებას და ასევე უდაბნოში გაჭირვების გამო; და ისინი ბუზღუნებდნენ მამაჩემზე, რადგან მან გამოიყვანა ისინი იერუსალიმის მიწიდან, სიტყვებით: მამაჩვენი მკვდარია; დიახ, ჩვენ ბევრი ვიხეტიალეთ უდაბნოში და გადავიტანეთ მრავალი გაჭირვება, შიმშილი, წყურვილი და დაქანცულობა; და ყველა ამ

ტანჯვის შემდეგ უდაბნოში შიმშილით უნდა დავიღუპოთ.

36 და ასე ბუზღუნებდნენ ისინი მამაჩემსა და ჩემ წინააღმდეგ; და ისინი ნატრობდნენ უკან, იერუსალიმში დაბრუნებას.

37 და ლამანმა უთხრა ლემუელს და ასევე ისმაელის ვაჟიშვილებს: აჰა, მოდით მოვკლათ მამაჩვენი და ასევე ჩვენი ძმა, ნეფიც, რომელმაც თავის თავზე აიღო ჩვენზედ ხელმძღვანელობა და მასწავლებლობა, თავის უფროს ძმებზე.

38 ახლა ის ამბობს, რომ უფალი დაელაპარაკა მას და ანგელოზებიც ემსახურებოდნენ. მაგრამ, აჰა, ვიცით, რომ ის ჩვენ გვატყუებს; და გვიყვება ამას და აკეთებს ბევრ რამეს მზაკვრული ხელოვნებით, რათა შეძლოს ჩვენი თვალის ახვევა, ალბათ ფიქრობს, რომ შეძლებს ჩვენს წაყვანას სადმე უცხო უდაბნოში; და მას შემდეგ, რაც წაგვიყვანს, ჩაფიქრებული აქვს, თვითონ გახდეს ჩვენი მეფე და მმართველი, რათა მოგვექცეს საკუთარი სურვილისა და სიამოვნების თანახმად. და ამგვარად, ჩემი ძმა, ლამანი, აღვივებდა მათ გულებში წყრომას.

39 და იყო ასე, რომ უფალი ჩვენთან იყო, დიახ, უფლის ხმა გაისმა და უთხრა მათ მრავალი სიტყვა და ძლიერ განკიცხა ისინი და მას შემდეგ, რაც უფლის ხმით განკიცხულ იქნენ, მათ შეწყვიტეს გულისწყრომა

და მონანის თავიანთი ცოდვები იმდენად, რომ უფალმა კვლავ დაგვლოცა საჭმლით, ამდენად არ დავიღუპეთ.

თავი 17

უფალი უბრძანებს ნევის გემის აშენებას. მას ძმები ეწინააღმდეგებიან. ის ამხნევებს მათ ღვთისა და ისრაელის ურთიერთობის ისტორიის მოთხრობით. ნევი აღსავსეა ღვთის ძალით. მის ძმებს ეკრძალებათ მასზედ ხელის შეხება, რათა არ დაჭკნენ ხმელი ღერწამივით. დაახლოებით 592-591 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და იყო ასე, რომ კვლავ გავემგზავრეთ უდაბნოში; და იმ დროიდან ვმოგზაურობდით დაახლოებით აღმოსავლეთის მიმართულებით. და ვმოგზაურობდით და მრავალ გაჭირვებას ვიტანდით უდაბნოში; და ჩვენი ქალები აჩენდნენ შვილებს უდაბნოში.

2 და იმდენად დიდი იყო უფლის კურთხევა ჩვენზე, რომ იმ დროს, როდესაც უდაბნოში უშიხორციტ ვარსებობდით, ჩვენს ქალებს საკმარისი რძე ჰქონდათ შვილებისთვის და ისინი იყვნენ ძლიერნი, დიახ, ისეთნი, როგორც კაცები; და უკვე ბუზღუნის გარეშე იტანდნენ მოგზაურობას.

3 და ამგვარად ვხედავთ, რომ ღვთის ბრძანებები უნდა სრულდებოდეს. და თუ ისე იქნება,

რომ აღამიანთა შვილები დაიცავენ ღვთის მცნებებს, ის ასაზრდოებს მათ, გააძლიერებს და მისცემს შესაძლებლობებს, რომელთა მეშვეობითაც ისინი შეძლებენ იმის შესრულებას, რაც მათ უბრძანეს; ამიტომაც, ის გვაძლევდა შესაძლებლობებს ჩვენი უდაბნოში ყოფნის დროს.

4 და ვცხოვრობდით უდაბნოში მრავალი წლის განმავლობაში, დიახ, რვა წელი გავატარეთ უდაბნოში.

5 და მივედით მიწაზე, რომელსაც დავარქვით ბარაქიანი, ხილისა და გარეული თაფლის სიუხვის გამო; და ყველაფერი ეს მომზადებული იყო უფლის მიერ, რათა არ დავღუპულიყავით. და დავინახეთ ზღვა, რომელსაც დავარქვით ირეანთუმი, რაც ნიშნავს მრავალ წყალს.

6 და იყო ასე, რომ გავშალეთ კარები ზღვისპირას; და მიუხედავად იმისა, რომ გადაიტანეთ მრავალი გაჭირვება და მრავალი სიძნელე, დიახ, იმდენი, რომ ვერც კი აღვწერთ ყველას, ძალიან გაგვიხარდა, როდესაც მივედით ზღვისპირას; და ამ ადგილს დავარქვით ბარაქიანი, ხილით სიუხვის გამო.

7 და იყო ასე, რომ მე, ნევის, მას შემდეგ, რაც ბარაქიანის მიწაზე გავატარე მრავალი დღე, უფლის ხმამ მომმართა სიტყვებით: ადექი და ადი მთაზე. და იყო ასე, რომ ავდექი და ავედი მთაზე და უფალს შევლაღადე.

8 და იყო ასე, რომ უფალმა მომმართა სიტყვებით: ააშენე ისეთი გემი, როგორსაც მე გაჩვენებ, რათა შევძლო შენი ხალხის ამ წყლებზედ გადაყვანა.

9 და მე ვთქვი: უფალო, სად წავიდე მადნის საშოვნელად, რომ გადავადნო და დავამზადო სამუშაო იარაღები ისეთი გემის ასაშენებლად, როგორც შენ მაჩვენე?

10 და იყო ასე, რომ უფალმა მითხრა, სად უნდა წავსულიყავი, რომ მეპოვნა მადანი იარაღების დასამზადებლად.

11 და იყო ასე, რომ მე, ნეფიმ, გავაკეთე ცხოველების ტყავისგან საბერველი ცეცხლის გასაღვივებლად; და მას შემდეგ, რაც გავაკეთე საბერველი, რათა გამეღვივებინა ცეცხლი, ორი ქვა გავკარი ერთმანეთს ცეცხლის ასანთებად.

12 რადგან უფალი ამ დრომდე უდაბნოში მოგზაურობის უამს არ გვაძლევდა იმის ნებას, რომ ხშირად დაგვენთო ცეცხლი; რადგან მან თქვა: მე დავატკობ თქვენს საჭმელს, რომ არ მოგიწიოთ მისი მზადება;

13 და მე ასევე ვიქნები თქვენი ნათელი უდაბნოში; და მოგიმზადებთ გზას, თუ იქნება ისე, რომ დაიცავთ ჩემს მცნებებს; ამიტომაც, როგორც დაიცავთ ჩემს მცნებებს, ისე მიგიყვანთ აღთქმულ მიწამდე; და თქვენ გეცოდინებათ, რომ მე ვარ თქვენი წინამძღოლი.

14 დიახ, უფალმა ასევე თქვა: მას შემდეგ, რაც მოხვალთ აღთქმულ მიწაზე, თქვენ შეიცნობთ, რომ მე, უფალი, ვარ დმერთი; და რომ მე, უფალმა, გიხსენით განადგურებისაგან; დიახ, მე გამოგიყვანეთ იერუსალიმის მიწიდან.

15 ამიტომაც, მე, ნეფი, ვიდწვოდი დამეცვა უფლის მცნებები და მოვუწოდებდი ჩემს ძმებს ერთგულებისა და სიბეჯითისაკენ.

16 და იყო ასე, რომ მე დავამზადე იარაღები მადნისაგან, რომელიც გამოვადნე კლდიდან.

17 და როდესაც ჩემმა ძმებმა დაინახეს, რომ ვაპირებდი გემის აშენებას, მათ დაიწყეს ჩემზე ბუზღუნი სიტყვებით: ჩვენი ძმა არის უგუნური, რადგან ჰგონია, რომ შეუძლია გემის აშენება; დიახ, მას ასევე ჰგონია, რომ შეუძლია ამ დიდი წყლის გადაკვეთა.

18 და ამგვარად გამოხატავდნენ უკმაყოფილებას ჩემ მიმართ ჩემი ძმები და არ სურდათ მუშაობა, რადგან არ სწამდათ, რომ შევძლებდი გემის აშენებას; ასევე არ სწამდათ იმისაც, რომ უფალი მასწავლიდა.

19 და იყო ასე, რომ მე, ნეფი, ძალზედ დავღონდი მათი გულქვაობის გამო; და ახლა, როდესაც მათ დაინახეს, რომ დავღონდი, გაიხარეს გულით, იმდენად, რომ დამცინოდნენ სიტყვებით: ვიცოდით, რომ შენ ვერ შეძლებდი გემის აშენებას,

რადგან ვიცოდით, რომ არ გაქვს სათანადო ცოდნა, ამგვარად, ვერ შეძლებ ასეთი დიდი საქმის შესრულებას.

20 და შენ ისეთივე ხარ, როგორც მამაჩვენი, გულის უგუნური წარმოსახვებით გატაცებული; დიახ, მან გამოგვიყვანა იერუსალიმის მიწიდან და ამ მრავალი წლის განმავლობაში დავეხეტებოდით უდაბნოში; და ჩვენი ქალები შრომობდნენ ორსულობის ბოლო თვეებშიც; და მათ გააჩინეს შვილები უდაბნოში და იტანჯებოდნენ ყველაფრით, გარდა სიკვდილისა; და იქნებოდა უკეთესი, რომ ამდენი გაჭირვების ნაცვლად დახოცილიყვნენ, სანამ იერუსალიმიდან წამოვიდოდნენ.

21 აჰა, მრავალი წლის მანძილზე ვიტანჯებოდით უდაბნოში, მაშინ, როდესაც შეგვეძლო დავმტკბარიყავით ჩვენი ქონებით და ჩვენი მემკვიდრეობის მიწით; დიახ, შეგვეძლო ვყოფილიყავით ბედნიერნი.

22 და ვიცით, რომ ხალხი, რომელიც იყო იერუსალიმის მიწაზე, იყო მართალი ხალხი, რადგან იცავდა უფლის წესებსა და სამართალს და ყველა მის მცნებას მოსეს რჯულის მიხედვით; ამიტომ, ვიცით, რომ ის ხალხი არის მართალი; და მამაჩვენმა განსაჯა ისინი და წაგვიყვანა, რადგან ყური დავუბადეთ მის სიტყვებს; დიახ, ჩვენი ძმაც მას ჰგავს. ასეთი

სიტყვებით ბუზღუნებდნენ და ჩიოდნენ ჩემი ძმები ჩვენ წინააღმდეგ.

23 და იყო ასე, რომ მე, ნევიმ, მივმართე მათ სიტყვებით: ნუთუ გწამთ, რომ ჩვენი მამები, რომლებიც იყვნენ ისრაელის შვილები, იქნებოდნენ ეგვიპტელთა ხელიდან გამოყვანილნი, რომ არ დაეგდოთ ყური უფლის სიტყვებისთვის?

24 დიახ, ნუთუ გგონიათ, რომ ისინი გამოყვანილ იქნებოდნენ მონობიდან, რომ არ ებრძანებინა უფალს მოსესთვის მათი მონობიდან გამოყვანა?

25 ახლა თქვენ იცით, რომ ისრაელის შვილები იყვნენ მონობაში; და იცით, რომ დატვირთულნი იყვნენ სამუშაოებით, რომლებიც მათთვის მძიმე ასატანი იყო; ამიტომაც, თქვენ იცით, რომ მათივე სიკეთისათვის საჭირო იყო მათი მონობიდან გამოყვანა.

26 ახლა თქვენ იცით, რომ მოსემ უფლისგან მიიღო ბრძანება, გაეკეთებინა ეს დიდი საქმე; და თქვენ იცით, რომ მისი სიტყვის თქმით წითელი ზღვის წყლები გაიყო აქეთ და იქეთ და მათ გაიარეს მშრალ მიწაზე.

27 მაგრამ თქვენ იცით, რომ ეგვიპტელები, რომელნიც იყვნენ ფარაონის ჯარში, წითელ ზღვაში დაინთქნენ.

28 და თქვენ ასევე იცით, რომ ისინი უდაბნოში მანანით იკვებებოდნენ.

29 დიახ, თქვენ ასევე იცით, რომ მოსემ თავის სიტყვით, ღვთის ძალის შემწვობით, რომელიც მასში იყო, კლდეს დაჰკრა და იქიდან წყალი გადმოვიდა, რათა ისრაელის შვილებს წყურვილი მოეკლათ.

30 და მიუხედავად იმისა, რომ უფალი, მათი ღმერთი, მათი გამომსყიდველი, მიდიოდა მათ წინ, მიუძღვოდა დღისით და უნათებდა ღამით და მათთვის აკეთებდა ყველაფერს, რაც ადამიანისთვის სასიკეთოა, მათ გაიქვავეს გული და დაიბნელებს გონება და მოსეს, ასევე ჭეშმარიტ და ცოცხალ ღმერთსაც, ლანძღავდნენ.

31 და იყო ასე, რომ თავის სიტყვისამებრ, ის ანადგურებდა მათ; და თავის სიტყვისამებრ მიუძღვოდა მათ; და თავის სიტყვისამებრ ყველაფერს აკეთებდა მათთვის; და არაფერი არ ხდებოდა მისი სიტყვის გარეშე.

32 და მას შემდეგ, რაც მათ გადაკვეთეს მდინარე იორდანე, მან ისინი გააძლიერა იმდენად, რომ გააძევა იმ მიწის შვილები, დიახ, იმდენად, რომ ისინი გაფანტეს და გაანადგურეს.

33 და ახლა, ნუთუ გგონიათ, რომ ამ მიწის შვილები, რომლებიც იყვნენ აღთქმულ მიწაზე, რომლებიც გაძევებულ იქნენ ჩვენი მამების მიერ, ნუთუ გგონიათ, რომ იყვნენ მართალნი? აჰა, მე თქვენ გეუბნებით: არა.

34 ნუთუ გგონიათ, რომ ჩვენი

მამები იქნებოდნენ მათზე უფრო რჩეულნი, მართალნი რომ ყოფილიყვნენ? მე გეუბნებით: არა.

35 აჰა, უფალი ყველა ხორციელს ერთნაირად უყურებს; მას, ვინც მართალია, ღმერთი წყალობს. მაგრამ, აჰა, ამ ხალხმა უარყო ღვთის ყოველი სიტყვა და მომწიფდა ურჯულოებაში; და მოვიდა მათზედ ღვთის რისხვა სისავსით და უფალმა დაწყევლა მათთვის მიწა და აკურთხა ის ჩვენი მამებისათვის; დიახ, მან დაწყევლა ის მათსავე გასანადგურებლად და აკურთხა ჩვენი მამებისათვის, რათა მოეპოვებინათ ძალაუფლება მასზედ.

36 აჰა, უფალმა შექმნა დედამიწა, რათა ის ყოფილიყო დასახლებული; და შექმნა მან თავისი შვილები, რათა მას დაეუფლონ.

37 და ის აღზრდის სამართლიან ერს და ანადგურებს ბოროტთა ერებს.

38 და მას მართალნი მიჰყავს ძვირფას მიწებზე და ანადგურებს ბოროტებს და მათ გამოწყევლის მათსავე მიწას.

39 იგი მალლა ზეცაში მართავს, რადგან ის მისი ტახტი და ეს დედამიწა – მისი კვარცხლბეკი.

40 და მას უყვარს ისინი, ვისაც სურს, რომ იყოს მათი ღმერთი. აჰა, მან შეიყვარა ჩვენი მამები და დადო მათთან აღთქმები, დიახ, აბრაამთან, ისააკთან და იაკობთან; და მას ახსოვდა აღ-

თქმები, რომლებიც ადრე დადო; ამიტომაც, მან გამოიყვანა ისინი ეგვიპტის მიწიდან.

41 და მან დასაჯა ისინი უდაბნოში თავისი კვერთხით, რადგან მათ თქვენსავით გაიქცავეს გული; და უფალმა დასაჯა ისინი ურჯულოების გამო. მან გაუზზავნა ცეცხლოვანი ფრთოსანი გველები; და მას შემდეგ, რაც მათ დაკბინეს ისინი, მან მოამზადა მათთვის განკურნების გზა; და მოქმედება, რომელიც მათ ამისათვის უნდა შეესრულებინათ, იყო შეხედვა; და ამ გზის სიმარტივის ან სიადვილის გამო მრავალნი დაიდუპნენ.

42 და ისინი დროდადრო იქცავებდნენ გულს და ლანძღავდნენ მოსეს და ასევე ღმერთს; მიუხედავად ამისა, თქვენ იცით, რომ მის უბადლო ძალას მიჰყავდა ისინი აღთქმულ მიწაზე.

43 და ახლა, ყოველივე ამის შემდეგ, დადგა ის დრო, როდესაც ისინი გაბოროტდნენ, დიახ, თითქმის მომწიფდნენ სიბოროტეში და ვფიქრობ, რომ ამ დღეს უკვე განადგურების პირას არიან მისულნი; მაგრამ ვიცი, რომ ნამდვილად დადგება დღე, როდესაც ისინი განადგურდებიან, რამდენიმე გადარჩენილის გარდა, რომლებსაც წაიყვანენ ტყვეობაში.

44 ამიტომაც, უფალმა უბრძანა მამაჩემს წასულიყო უდაბნოში; და იუდეველებიც ცდილობდნენ მისი სიცოცხლის მოსწრაფებას;

დიახ, და თქვენც ასევე ლამობდით მისი სიცოცხლის მოსწრაფებას; ამიტომაც, თქვენ ხართ მკვლევები თქვენს გულებში და თქვენც მათი მსგავსნი ხართ.

45 თქვენ მკვირცხლნი ხართ ურჯულოების ჩადენაში, მაგრამ ზანტნი უფლის, თქვენი ღმერთის, გახსენებაში. თქვენ იხილეთ ანგელოზი და იგი გესაუბრათ; დიახ, დროდადრო გესმოდათ მისი ხმა; და ის გესაუბრებოდათ წყნარი, ჩუმი ხმით, მაგრამ თქვენ გახდით უგრძობნი და ვეღარ გრძობდით მის სიტყვებს; ამიტომაც, ის მოგმართავდათ ვითარცა ჭექა-ქუხილის ხმით, რომლისგანაც მიწა ზანზარებდა ისე, თითქოს ლამობდა შუაზე გაპობას.

46 და თქვენც ასევე იცით, რომ მისი ყოვლადძლიერი სიტყვის ძალით მას შეუძლია დედამიწის განადგურება; დიახ, თქვენ იცით, რომ თავის სიტყვით მას შეუძლია გადაასწოროს უსწორმასწორო ადგილი; და სწორი ადგილები გაიპობა. და აბა როგორ შეგიძლიათ იყოთ ასეთი გულქვები?

47 აჰა, სული ჩემი იხლიჩება ტანჯვისგან თქვენ გამო და გული მტკივა; და მეშინია, რომ საუკუნოდ არ გაგაძევოთ უფალმა. აჰა, სავსე ვარ ღვთის სულით იმდენად, რომ აღარ მაქვს ძალა სხეულში.

48 და ახლა, იყო ასე, რომ როდესაც ვთქვი ეს სიტყვები,

ისინი ჩემზე გაბრაზდნენ და მოისურვეს ზღვის სიღრმეში ჩემი ჩაგდება; და როდესაც მომიახლოვდნენ, რომ ხელი აღმართათ ჩემზე, მე მივმართე მათ სიტყვებით: ყოვლადძლიერი ღვთის სახელით გიბრძანებთ, რომ ხელი არ დამაკაროთ, რადგან ისე ვარ ღვთის ძალით სავსე, რომ შთანთქმავს ჩემს ხორცს; და ყოველი, ვინც ხელს დამაკარებს, დატყენება, გამხმარი ლერწამივით; და არარაობად იქცევა ღვთის ძალის წინაშე, რადგან ღმერთი დასჯის მას.

49 და იყო ასე, რომ მე, ნეფიმ, ვუთხარი მათ, რომ მეტად აღარ იბუზღუნონ თავიანთი მამის წინააღმდეგ, ასევე მეტად აღარ აარიდონ თავი ჩემთან მუშაობას, რადგან გემის აშენება ღმერთმა მიბრძანა.

50 და მე ვუთხარი მათ: თუ ღმერთი მიბრძანებდა გამეკეთებინა ყველაფერი, მე შევძლებდი ყოველივე ამის გაკეთებას. თუ ის მიბრძანებს ვუთხრა ამ წყალს: მიწად იქეცი, ის იქცევა მიწად; და თუ ამას ვიტყვი, ეს ასეც იქნება.

51 და ახლა, თუ უფალს აქვს ასეთი დიდი ძალა და მოახდინა ამდენი სასწაული ადამიანთა შეილებს შორის, მაშინ რატომ ვერ მასწავლის გემის აშენებას?

52 და იყო ასე, რომ მე, ნეფიმ, ვუთხარი მრავალი რამ ჩემს ძმებს ისე, რომ ისინი იყვნენ შერცხვენილნი და ვეღარ

მეღავებოდნენ, ჩემზე ვეღარ ბედავდნენ ხელის აღმართვას ან თითოთ შეხებას მრავალი დღის განმავლობაში. იმდენად ძლიერი იყო ღმერთის სული, რომ მათ ვერ გაბედეს ამის გაკეთება, რათა არ გამხმარიყვნენ ჩემ წინაშე; და ამგვარად იმოქმედა ამან მათზე.

53 და იყო ასე, რომ უფალმა მითხრა: კვლავ გაუწოდე ხელი შენს ძმებს და არ გახმებიან ისინი შენ წინაშე, თუმცა მე მათ შევძრავ, – ამბობს უფალი, და ამას გავაკეთებ, რათა მათ იცოდნენ, რომ ვარ უფალი, მათი ღმერთი.

54 და იყო ასე, რომ მე გავეწოდე ხელი ჩემს ძმებს და არ გახმნენ ისინი ჩემ წინაშე; არამედ უფალმა შეაზანზარა ისინი თავისი სიტყვის შესაბამისად, როგორც მან თქვა.

55 და ახლა მათ თქვეს: ნამდვილად ვიცით, რომ უფალი შენთან არის, რადგან ვიცით, რომ ეს არის უფლის ძალა, რომელმაც შეგვაზანზარა. და ისინი დაეცნენ ჩემ წინაშე და მზად იყვნენ თავყვანი ეცათ ჩემთვის, მაგრამ მე არ მივეცი ამის ნება და ვუთხარი: მე თქვენი ძმა ვარ, დიახ, თქვენი უმცროსი ძმა; ამიტომაც, თავყვანი ეცით უფალს, თქვენს ღმერთს და პატივი ეცით თქვენს მამას და დედას, რათა დღეგრძელები იყოთ მიწაზე, რომელსაც გაძლევთ უფალი, თქვენი ღმერთი.

თავი 18

გემის შენება დასრულდა. მოიხსენიება იაკობის და იოსების დაბადება. ჯგუფი გემით მიემგზავრება აღთქმული მიწისაკენ. ისმაელის შვილები და მათი ცოლები ერთად მიეცემიან თავაშეებულ ღრეობას და ჯანეს. ნეფი დაბმულია და საშინელ გრიგალს გემი უკან მიჰყავს. ნეფი თავისუფლდება და მისი ღოცვით ქარიშხალი წყნარდება. ადამიანები აღწევენ აღთქმულ მიწას. დაახლოებით 591-589 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და იყო ასე, რომ მათ თავყვანი სცეს უფალს და ჩემთან ერთად წამოვიდნენ და დავამზადეთ ხეში ნაკვეთი ნატიფი ნაკეთობანი. და უფალი დროდადრო მაჩვენებდა, როგორ უნდა შემესრულებინა გემისთვის ხეზე კვეთა.

2 და ახლა მე, ნეფი, არ ვამუშავებდი ხეს იმ წესით, როგორც ამას ადამიანები აკეთებდნენ; და არც გემს ვაშენებდი ისე, როგორც ადამიანები; მაგრამ ვაშენებდი მას ისე, როგორც უფალი მაჩვენებდა; ამიტომაც ის არ იყო ისეთი, როგორც ადამიანთა შორის გვხვდება.

3 და მე, ნეფი, ხშირად ავდიოდი მთაზე და ხშირად ვლოცულობდი უფლისადმი, ამიტომაც უფალმა დამანახა დიადი მოვლენები.

4 და იყო ასე, რომ მას შემდეგ, რაც დავამთავრე გემის შენება უფლის სიტყვის მიხედვით, ჩემმა ძმებმა დაინახეს, რომ ის იყო კარგი და აგებული იყო ძალზედ მშვენივრად, ამიტომაც, მათ კვლავ დაიმდაბლეს თავი უფლის წინაშე.

5 და იყო ასე, რომ უფლის ხმამ მამაჩემს მიმართა, რომ ავმდგარიყავით და გემში შევსულიყავით.

6 და იყო ასე, რომ მომდევნო დღეს, მას შემდეგ, რაც მოვამზადეთ ყველაფერი, ბევრი ხილი და ხორცი უდაბნოდან და უხვად თაფლი და საგზალი იმის მიხედვით, რაც უფალმა გვიბრძანა, შევედით გემში მთელი ჩვენი ბარგითა და თესლით და ყველაფერი, რაც მოვიტანეთ, ყოველმა თავისი წლოვანების შესაბამისად; ამიტომაც, ყველანი შევედით გემში, ჩვენს ცოლებთან და შვილებთან ერთად.

7 და მამაჩემს შეეძინა ორი შვილი უდაბნოში; უფროსს დაარქვეს იაკობი და უმცროსს - იოსები.

8 და იყო ასე, რომ მას შემდეგ, რაც ყველანი შევედით გემში და თან წავიდეთ საგზალი და ის, რაც გვებრძანა, ჩვენ გავედით ზღვაში და ქარმა წავგიყვანა წინ აღთქმული მიწისაკენ.

9 და მას შემდეგ, რაც მრავალი დღის განმავლობაში ქარს წინ მივყავდით, აჰა, ჩემი ძმები და ისმაელის შვილები და ასევე მათი

ცოლები, გამხიარულდნენ ისე, რომ დაიწყეს ცეკვა, სიმღერა და ძალზედ უხამსი ლაპარაკი, დიახ, ისე, რომ დაავიწყდათ, რა ძალამ მოიყვანა ისინი იქ; დიახ, მეტისმეტ უხამსობამდე აღზევდნენ.

10 და მე, ნეფის, ძალზედ შემეშინდა, რომ უფალი განაწყენდებოდა ჩვენზე და დაგვსჯიდა ჩვენი ურჯულოების გამო, რომ ჩავინთქმებოდით ზღვის სიღრმეში; ამიტომაც მე, ნეფიმ, სრული კეთილგონიერებით მოვუწოდე მათ, მაგრამ, აჰა, ისინი გაბრაზდნენ ჩემზე და მითხრეს: არ გვსურს, რომ ჩვენი უმცროსი ძმა იყოს ჩვენი ბატონი.

11 და იყო ასე, რომ ლამანმა და ლემუელმა მომკიდეს ხელი და დამაბეს თოკებით; და მომექცნენ ძალზედ უხეშად; მიუხედავად ამისა, უფალმა დაუშვა ეს, რათა ეჩვენებინა თავისი ძალა საკუთარი სიტყვის აღსრულებისათვის, რომელიც მან ბოროტებზე თქვა.

12 და იყო ასე, რომ მას შემდეგ, რაც მათ ისე დამაბეს, რომ ვერ ვინძროდი, კომპასი, რომელიც უფლის მიერ იყო მომზადებული, აღარ მუშაობდა.

13 ამიტომაც მათ არ იცოდნენ, საით უნდა წაეყვანათ გემი, ასე რომ, ამოვარდა დიდი ქარიშხალი; დიახ, დიდი და საშინელი გრიგალი და სამი დღის განმავლობაში წყლებს უკან მიყვავდით და მათ ძალზედ შეეშინდათ, რომ ზღვაში დაიხრჩობოდნენ; მიუხე-

დავად ამისა, მაინც არ გამანთავისუფლეს.

14 და მეოთხე დღეს, როდესაც უკან მიყვავდით, გრიგალი განსაკუთრებულად გაუარესდა.

15 და იყო ასე, რომ სულ ცოტა გვაკლდა, რომ ზღვის სიღრმეში ჩავინთქმებოდით. და მას შემდეგ, რაც ოთხი დღის განმავლობაში წყლებს უკან მიყვავდით, ჩემმა ძმებმა დაიწყეს იმის გააზრება, რომ ღვთის სასჯელი იყო მათზე და უნდა დაღუპულიყვნენ, თუ არ მოინანიებდნენ თავიანთ ურჯულოებას; ამიტომაც, ჩემთან მოვიდნენ და მომხსნეს თოკები მაჯებიდან; და, აჰა, ხელები ძალზედ დამისივდა და ასევე დამისივდა კოჭებიც; და ამის გამო დიდი იყო ტკივილი.

16 ამისდა მიუხედავად, მე ღმერთს შევცქეროდი და ვადიდებდი მას მთელი დღის განმავლობაში და ჩემი გაჭირვების გამო არ ვბუზღუნებდი უფლის წინააღმდეგ.

17 და ახლა მამაჩემმა, ლეხიმ, მათ ბევრი რამ უთხრა და ასევე ისმაელის შვილებსაც; მაგრამ, აჰა, ისინი მუქარით სუნთქავდნენ ნებისმიერის წინააღმდეგ, ვინც ჩემ დასაცავად ლაპარაკობდა და ჩემმა მშობლებმა, რომლებიც იყვნენ მოხუცებულნი, იწვნიეს რა დიდი დარდი თავიანთი შვილების გამო, დაღონდნენ, დიახ და ლოგინადაც ჩავარდნენ.

18 მათი დარდისა და ღრმა მწუხარების გამო და ასევე ჩემი

ძმების ურჯულოების გამო, ლამის წასულიყვნენ ამ ქვეყნიდან თავიანთ ღმერთთან შესახვედრად; დიახ, მათი ჭაღარა ლამის დასამარებელიყო და მტვრად ქცეულიყო, დიახ, დარდისგან ლამის იყო წყლის სამარეში ჩაცვენილიყვნენ.

19 ასევე იაკობი და იოსებიც, იყვნენ რა ყმაწვილები, ჭარბ კვებას მოითხოვდნენ და დაღონებულები იყვნენ თავიანთი დედის გაჭირვების გამო; ვერც ჩემმა ცოლმა, თავის ცრემლებით და ლოცვებით, და ვერც ჩემმა შვილებმა ვერ შეძლეს ჩემი ძმების გულის მოღობვა, რათა გავენთავისუფლებინე.

20 და ღმერთის ძალის გარდა, რომელიც ემუქრებოდა მათ განადგურებით, ვერაფერმა ვერ შეძლო მათი გულის მოღობვა; ამიტომ, როდესაც დაინახეს, რომ ცოტაც და ზღვის სიღრმეში ჩაინთქმებოდნენ, მათ მოინანიეს ის, რაც ჩაიდინეს, იმდენად, რომ გამანთავისუფლეს.

21 და იყო ასე, რომ როდესაც მათ გამანთავისუფლეს, აჰა, ავიდე კომპასი და ის ამუშავდა, ისე, როგორც მე მსურდა. და იყო ასე, რომ მე ლოცვით მივმართე უფალს; და მას შემდეგ, რაც ვილოცე, ქარი ჩადგა და ქარიშხალიც ჩაწყინარდა და ჩამოღვა დიადი სიმშვიდე.

22 და იყო ასე, რომ მე, ნეფიმ, წავიყვანე გემი ისე, რომ კვლავ გავცურეთ ალთქმული მიწისაკენ.

23 და იყო ასე, რომ მრავალდღიანი ცურვის შემდეგ, მივაღწიეთ ალთქმულ მიწას; და გადავედით მიწაზე, და გავშალეთ კარგები; და ვუწოდეთ მას ალთქმული მიწა.

24 და იყო ასე, რომ დავიწყეთ მიწის დამუშავება; და დავიწყეთ თესლების დათესვა; დიახ, მიწაში ჩავთესეთ ყველა თესლი, რომელიც მოვიტანეთ იერუსალიმის მიწიდან. და იყო ასე, რომ მათ ძალზედ კარგად იხარეს, ამიტომაც უხვი კურთხევა მივიღეთ.

25 და იყო ასე, რომ უდაბურ ადგილებში მოგზაურობისას, ალთქმულ მიწაზე აღმოვაჩინეთ, რომ ტყეებში იყო ყველანაირი მხეცი, ძროხა და ხარი, ვირი და ცხენი, თხა და ნიამორი; და ყველანაირი გარეული ცხოველი, რომლებსაც სარგებლობა მოაქვთ ადამიანებისთვის. და ვიპოვეთ ყველანაირი მადანი, ოქროსი და ვერცხლის და სპილენძის.

თავი 19

ნეფი ამზადებს ფირფიტებს მადნისგან და იწერს თავისი ხალხის ისტორიას. ისრაელის ღმერთი მოვა ექვსასი წლის შემდეგ, რაც ლეხიმ დატოვა იერუსალიმი. ნეფი აღწერს მის ტანჯვასა და ჯვარცმას. იუდეველები იქნებიან უგულვებლყოფილნი და გაფანტულნი

უკანასკნელ დღეებამდე, სანამ არ მივლენ უფალთან. დაახლოებით 588-570 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და იყო ასე, რომ უფალმა მიბრძანა და ამიტომაც დავაძამხადე ფირფიტები მადნისგან, რათა ამომეტვიფრა მათზე ამბავი ჩემი ხალხის შესახებ. და ჩემ მიერ დამზადებულ ფირფიტებზე მე ამოვტვიფრე მამაჩემისა და ჩვენი უდაბნოში მოგზაურობის ამბავი და მამაჩემის წინასწარმეტყველებანი; ასევე მათზე ამოვტვიფრე ჩემი მრავალი წინასწარმეტყველება.

2 და იმ დროს, როდესაც მათ ვამზადებდი, არ ვიცოდი, რომ უფალი მიბრძანებდა ამ ფირფიტების დამზადებას; ამიტომაც, მამაჩემის ამბავი და მისი მამების გვარტომობა და უდაბნოში ჩვენი ნამოქმედარის დიდი ნაწილი ამოტვიფრულია იმ პირველ ფირფიტებზე, რომლებზედაც მე ვისაუბრე; ამიტომაც, ის მოვლენები, რაც მოხდა ამ ფირფიტების დამზადებამდე, ჭეშმარიტად უფრო დაწვრილებით მოხსენიებულია პირველ ფირფიტებზე.

3 და მას შემდეგ, რაც დავაძამხადე ეს ფირფიტები, ბრძანებისამებრ, მე, ნეფიმ, მივიღე ბრძანება, რომ მსახურება და წინასწარმეტყველებანი, მათი უფრო ნათელი და ძვირფასი ნაწილები, ჩავწერო ამ

ფირფიტებზე; და ის, რაც დაიწერა მათზე, უნდა შეინახოს, როგორც რჩევა-დარიგება ჩემი ხალხისთვის, რომელიც დაეუფლება ამ მიწას და ასევე სხვა ბრძნული მიზნებისათვის, რომლებიც უფალმა იცის.

4 ამიტომაც, მე, ნეფიმ, გავაკეთე ჩანაწერები სხვა ფირფიტებზე, სადაც აღწერილია ამბავი ანუ უფრო დაწვრილებით აღწერილია ჩემი ხალხის ომების, განხეთქილებებისა და ახრებების ამბავი. და ეს გავაკეთე და ვუბრძანე ჩემს ხალხს, რა უნდა მოიმოქმედონ მას შემდეგ, რაც აღარ ვიქნები; და ეს ფირფიტები უნდა გადადიოდეს ერთი თაობიდან მეორეზე ან ერთი წინასწარმეტყველისაგან მეორეზე, სანამ უფლისაგან არ მიიღებენ სხვა ბრძანებებს.

5 და ჩემ მიერ ამ ფირფიტების დამზადების შესახებ ჩანაწერები მოცემული იქნება შემდგომში; და შემდეგ, აჰა, მე ვიმოქმედებ ისე, როგორც ვთქვი; და ამას ვაკეთებ იმისთვის, რომ უფრო წმინდა რამ შენახულ იქნას ჩემი ხალხის ცოდნისათვის.

6 მიუხედავად ამისა, მე ამ ფირფიტებზე არ ვწერ არაფერს იმის გარდა, რასაც მივიჩნევ წმინდად. და თუ მე ახლა ვცდები, ესე იგი ცდებოდნენ ძველადაც; თავს ვიმართლებ არა სხვა ადამიანების გამო, არამედ იმ სისუსტის გამო, რომელიც არის ჩემში ხორციელად, ვიმართლებ თავს.

7 რადგან რასაც ზოგიერთი ადამიანი მიიჩნევს ძვირფასად სხეულისთვისა და სულისათვის, სხვები არად აგდებენ და ფეხით თელავენ. დიახ, თვით ისრაელის ღმერთს ადამიანები ფეხით თელავენ; მე ვამბობ „ფეხით თელავენ“, მაგრამ ვიტყვოდი სხვა სიტყვებით: ისინი მას არად აგდებენ და ყურს არ უგდებენ მის დარიგების ხმას.

8 და აჰა, ის მოდის ანგელოზის სიტყვების შესაბამისად, ექვსასი წლის შემდეგ, რაც მამჩემმა იერუსალიმი დატოვა.

9 და ქვეყანა თავისი ურჯულოების გამო განსჯის მას, როგორც არარაობას; ამიტომაც მას გაშოლტავენ და ის ამას აიტანს; და მას სცემენ და ის ამას აიტანს. დიახ, შეაფურთხებენ მას და ის ამას აიტანს თავისი ადამიანთა შვილების მიმართ გასაოცარი გულკეთილობისა და სულგრძელობის გამო.

10 და ღმერთი ჩვენი მამებისა, რომელნიც გამოყვანილ იქნენ ეგვიპტიდან მონობიდან და მის მიერ გადარჩენილნი იქნენ უდაბნოში, დიახ, აბრაამის ღმერთი და ისააკისა და იაკობის ღმერთი, ჩაბარდება როგორც ადამიანი, ანგელოზის სიტყვებისამებრ, ბოროტი ადამიანების ხელში, რათა ზენოქის სიტყვებისამებრ, ამაღლებულ იქნას და ნეუმის სიტყვებისამებრ ჯვარცმული და აკლდამაში დამარხული ზენოსის სიტყვებისამებრ,

რომლებიც მან თქვა ბნელეთის იმ სამი დღის შესახებ, რაც იქნებოდა მისი სიკვდილის ნიშანი, მათთვის, ვინც დასახლდებიან ზღვის კუნძულებზე და განსაკუთრებულად მათთვის, ვინც მიეკუთვნება ისრაელის სახლს.

11 რადგან ასე თქვა წინასწარმეტყველმა: იმ დღეს უფალი ღმერთი აუცილებლად ეწვევა ისრაელის მთელ სახლს. ზოგს თავისი ხმით, მათი სამართლიანობის გამო, მათი დიდი სიხარულისა და ხსნისათვის და სხვებს თავისი ძალის ჭეჭა-ქუხილითა და მეხით, ქარიშხლით, ცეცხლითა და კვამლით და ბნელეთის ბურუსით, გამსკდარი მიწითა და მთებით, რომლებიც აიზვირთება.

12 და ყველაფერი ეს აუცილებლად ახდება, – ამბობს წინასწარმეტყველი ზენოსი. და დედამიწის კლდეები უნდა გაიხლიჩოს; და მიწის კვნესისგან, ღმერთის სულის გავლენით, ზღვის კუნძულების მრავალი მეფე სულის ძრწოლით შესახებს: ბუნების ღმერთი იტანჯება!

13 და მათ შესახებ, რომელნიც არიან იერუსალიმთან, ამბობს წინასწარმეტყველი: ისინი დაისჯებიან ყოველი ადამიანის მიერ, ვინაიდან ჯვარს აცვამენ ისრაელის ღმერთს და გაირყვნიან გულს ნიშნებისა და საოცრებების და ისრაელის

დმერთის ძალისა და დიდების უარყოფით.

14 და ვინაიდან მათ გული გაირყვნეს, – ამბობს წინასწარმეტყველი, და ისრაელის წმინდა აბუჩად აიგდეს, ისინი იხეტიალებენ ხორციელად და დაიდუპებიან და მათ დასცილებენ და გაამასხარავენ და შეიძულებენ ყველა ერში.

15 მიუხედავად ამისა, როდესაც მოვა ის დღე, – ამბობს წინასწარმეტყველი, როდესაც ისინი ისრაელის წმინდის მიმართ აღარ გაირყვნიან გულს, მაშინ ის გაიხსენებს იმ აღთქმებს, რომლებიც მან დადო მათ მამებთან.

16 დიახ, იმ დროს ის გაიხსენებს ზღვის კუნძულებს; დიახ, ყოველ ადამიანს, რომელიც მიეკუთვნება ისრაელის სახლს, მე შევკრებ, – ამბობს უფალი, წინასწარმეტყველი ზენოსის სიტყვებისამებრ, დედამიწის ოთხივე კიდიდან.

17 დიახ, მთელი დედამიწა იხილავს უფლის ხსნას, – ამბობს წინასწარმეტყველი; ყველა ერი, ტომი, ენა და ხალხი იქნება კურთხეული.

18 და მე, ნეფიმ, დაგუწერე ეს ჩემს ხალხს, ეგებ შევძლო მათი დარწმუნება, ახსოვდეთ უფალი, მათი გამომსყიდველი.

19 ამიტომ, მე მივმართავ მთელ ისრაელის სახლს, თუ იქნება ასე, რომ ისინი მიიღებენ ამას.

20 რადგან, აჰა, მე განვიცდი

დღევას სულში, რომელიც მქანცავს ისე, რომ ყველა სახსარი დამისუსტდა, მათ გამო, ვინც იერუსალიმთან არის; რადგან უფალი რომ არ ყოფილიყო ასე მოწყალე, რომ არ ეჩვენებინა ჩემთვის ის, რაც მათ ეხებოდათ, როგორც ეს აჩვენა მან ძველად წინასწარმეტყველებს, მეც ასევე დავიღუპებოდი.

21 და მან ნამდვილად დაანახა ძველად წინასწარმეტყველებს ყველაფერი მათ შესახებ; და ასევე მან დაანახა მრავალს ის, რაც ჩვენ გვეხება; ამიტომაც, აუცილებელია, რომ ვიცოდეთ ის, რაც ეხება მათ, რადგან ეს დაწერილია სპილენძის ფირფიტებზე.

22 ახლა, იყო ასე, რომ მე, ნეფი, ვასწავლიდი ჩემს ძმებს ამას; და იყო ასე, რომ მათ ბევრს ვუკითხავდი, რაც ამოტვიფრული იყო სპილენძის ფირფიტებზე, რათა სცოდნოდათ მათ უფლის ნამოქმედარის შესახებ უძველეს ხალხთან სხვა მიწებზე.

23 და ბევრი რამ წავუკითხე, რაც მოსეს წიგნებში ეწერა; მაგრამ იმისთვის, რომ ისინი მეტად დამერწმუნებინა ეწამათ უფალი, მათი გამომსყიდველი, ვუკითხავდი მათ იმას, რაც დაწერილი იყო წინასწარმეტყველ ესაიას მიერ; რადგან ყოველ წმინდა წერილს ვუსადაგებდი ჩვენ თავს, რომ ყოფილიყო ჩვენთვის სასარგებლო და ჭკუის სასწავლებელი.

24 ამიტომაც მე მათ მივმართე: მოისმინეთ წინასწარმეტყველის სიტყვები, თქვენ, ისრაელის სახლის ნარჩენო, რტო, რომელიც მოტეხილ იქნა; მოისმინეთ წინასწარმეტყველის სიტყვები, რომლებიც იყო დაწერილი მთელი ისრაელის სახლისთვის და მიუსადაგეთ ისინი საკუთარ თავს, რათა გქონდეთ იმედი ისევე, როგორც თქვენს ძმებს, რომელთაგანაც თქვენ ხართ მოტეხილნი, რადგან ასე დაწერა წინასწარმეტყველმა.

თავი 20

უფალი თავის მიზნებს უცხადებს ისრაელს. ისრაელი გამოსცადეს წამების ბრძმედში და უნდა წამოვიდეს ბაბილონიდან. შეადარეთ ესაია 48. დაახლოებით 588–570 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 ყური დაუგდე და მოისმინე ეს, იაკობის სახლო, რომელსაც ეწოდება ისრაელის სახლი და გამოვიდა იუდას წყლებიდან ანუ ნათლობის წყლებიდან, რომელიც იფიცებს უფლის სახელს და მოიხსენიებს ისრაელის ღმერთს, თუმცა არ იფიცებს არც გულწრფელად და არც სამართლიანად.

2 მიუხედავად ამისა, ისინი საკუთარ თავს უწოდებენ წმინდა ქალაქის ხალხს, მაგრამ არ ეყრდნობიან ისრაელის ღმერთს, რომელიც არის ცაბაოთ უფალი;

დიახ, ცაბაოთ უფალი არის მისი სახელი.

3 აჰა, მე თავიდან ვაუწყებ წარსულ ამბებზე; და ეს გამოდიოდა ჩემი პირიდან და მე გამოუვლინე მათ. მოულოდნელად გამოუვლინე.

4 და მე ეს მოვიმოქმედე, რადგან ვიცოდი, რომ ხარ ჯიუტი და შენი კისერია რკინის მყესი და შუბლი – სპილენძი.

5 და დასაბამიდანვე გამოგიცხადე; სანამ მოხდებოდა ეს დაგანახე; და დაგანახე იმის შიშით, რომ არ გეთქვა: ჩემმა კერპმა ქნა ეს და ჩემმა ქანდაკებამ და ჩემმა ჩამოსხმულმა კერპმა ასე ბრძანა.

6 შენ დაინახე და მოისმინე ყოველივე ეს; და ნუთუ არ გამოაცხადებ? და ამიერიდან დაგანახე ახალი, დაფარულიც, რაც არ იცოდი.

7 ეს ახლად შექმნილია და არა დასაბამიდან და გამოგეცხადა იმ დღეზე ადრე, სანამ გაიგებდი მის შესახებ, რომ არ გეთქვა: აჰა, მე ეს ვიცოდი.

8 დიახ, შენ არ გქონდა გაგებულები; დიახ, შენ არ იცოდი; დიახ, იმ დროს ყური არ გქონდა გახსნილი; რადგან ვიცოდი, რომ ძალზედ მზაკერულად მოიქცეოდი და საშოდანვე დაგერქვა ცოდვილი.

9 მიუხედავად ამისა, ჩემი სახელისათვის მე შევაკავებ ჩემს რისხვას და ჩემი დიდებისათვის თავს შევიკავებ შენს მიმართ, რათა არ მოგკვეთო.

10 რადგან, აჰა, მე გამოვადნე, გამოვცადე წამების ბრძმედში.

11 ჩემთვის, დიახ, ჩემი გულისთვის, გავაკეთებ ამას, რადგან არ დავუშვებ, რომ ჩემი სახელი იქნას წაბილწული და არ დავუთმობ სხვას ჩემს დიდებას.

12 დამიგდე ყური, იაკობო და ისრაელო, ჩემ მიერ მოწოდებულო, რადგან მე ვარ იგივე; მე ვარ პირველიც და უკანასკნელიც.

13 ჩემი ხელია ასევე მიწის ჩამოყალიბებაში და მარჯვენამ შეკრა ზეცა, მივმართავ მათ და დადგებიან ერთად.

14 ყველანი შეიკრიბეთ და მოისმინეთ; მათ შორის ეს ვინ გამოუცხადა მათ? უფალმა შეიყვარა იგი; დიახ, ის შეასრულებს თავის სიტყვას, რომელიც გამოაცხადა მათი შემწეობით; და ის აღასრულებს თავის ნებას ბაბილონზე; და მისი ხელი აღიმართება ქალდეველებზე.

15 ასევე ამბობს უფალი: მე, უფალმა, დიახ, მე ვთქვი; დიახ, მე მოვუწოდე მას გამოაცხადოს, მე მოვიყვანე იგი და ის წარმატებისკენ გაიკვლევს გზას.

16 მოდით, მომიახლოვდით; მე არ ვლაპარაკობდი საიდუმლოდ; დასაბამიდანვე, იმ დროიდან, როდესაც ეს იყო გამოცხადებული, ვლაპარაკობდი; და უფალმა ღმერთმა და მისმა სულმა გამომაგზავნეს.

17 და ასე ამბობს უფალი, შენი გამომსყიდველი, ისრაელის

წმინდა: მე გამოვაგზავნე იგი, უფალმა, ღმერთმა შენმა, რომელიც გასწავლის სასარგებლოს, რომელსაც მიჰყავხარ იმ გზით, რომლითაც უნდა იარო, მოვახდინე ეს.

18 შენ რომ ყური დაგეგდო ჩემი მცნებებისთვის, შენი მშვიდობა იქნებოდა მდინარესავით და შენი სიმართლე იქნებოდა, როგორც ზღვის ტალღები.

19 ასევე შენი შთამომავლობა იქნებოდა, როგორც ქვიშა, წილის ნაყოფი – როგორც მისი მარცვლები; სახელი მისი არ იქნებოდა არც მოკვეთილი და არც განადგურებული ჩემ წინაშე.

20 გამოდით ბაბილონიდან, გაექექით ქალდეველებს, სიმღერით აუწყეთ და მოყევით ეს, ილაპარაკეთ ამაზე, დედამიწის კიდემდე თქვით: უფალმა გამოსიყვარა თავისი მსახური იაკობი.

21 და მათ არ სწყუროდათ; მას ისინი მიჰყავდა უდაბნოში; მათთვის მან კლდიდან წყალი აღინა; გააპო კლდე და წყალმა გადმოჩქევა.

22 და მიუხედავად იმისა, რომ მან ყოველივე ეს გააკეთა და ამაზე უფრო მეტიც, არ არის მშვიდობა ბოროტათთვის, ამბობს უფალი.

თავი 21

მესია იქნება სინათლე წარმართთათვის და ტყვეებს გაათავის-

უფლებს. ისრაელი ძლევამოსილებით შეიკრიბება უკანასკნელ დღეებში. მეფენი იქნებიან მათი გამზრდელნი. შეადარეთ ესაია 49. დაახლოებით 588-570 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და კვლავ: ისრაელის სახლო, ყური დაუგდეთ თქვენ, რომლებიც ხართ ჩამოტეხილნი და განდევნილნი ჩემი ხალხის მოძღვართა სიბოროტის გამო; დიახ, თქვენ ყველანი, რომლებიც ხართ ჩამოტეხილნი და ყველგან გაფანტულნი, რომლებიც ხართ ჩემი ხალხთაგანნი, ისრაელის სახლო! მომისმინეთ, კუნძულებო და ყური დამიგდეთ, შორეულო ხალხებო; უფალმა მომიწოდა საშოდანვე; დედაჩემის მუცლიდანვე მოიხსენია ჩემი სახელი.

2 და ჩემი პირი გახადა ბასრი, როგორც მახვილი; თავის ხელის ჩრდილში შემოიფარა და მაქცია წამახვილებულ ისრაელ; თავის კაპარტში დამმალა;

3 და მითხრა: შენ ხარ ჩემი მსახური, ისრაელო, რომელშიც მე განვდიდდები.

4 შემდეგ მე ვთქვი: ამაოდ ვშრომობდი, არაფრისთვის და ამაოდ დავხარჯე ძალა; ჭეშმარიტად, სამართალი ჩემი არის უფალთან და საქმე ჩემი არის ღმერთთან.

5 და ახლა, ამბობს უფალი, რომელმაც გამაჩინა საშოდან, რათა ვყოფილიყავი მისი მსახური, რომ კვლავ მიმეყვანა

მასთან იაკობი, თუმცა არ შეიკრიბა ისრაელი, მე მაინც განვდიდდები უფლის თვალში და ჩემი ღმერთი იქნება ჩემი ძალა.

6 და მან თქვა: არ არის საკმარისი ის, რომ შენ ჩემი მსახური იქნები, რათა აღზარდო იაკობის ტომები და აღადგინო გადაჩენილი ისრაელისა. მე ასევე გადაგაქცევ წარმართთა სინათლედ, რათა შენ იყო ჩემი ხსნა დედამიწის კიდით კიდემდე.

7 ასე უთხრა უფალმა, ისრაელის გამომსყიდველმა, მისმა წმინდამ, რომელსაც აბუჩად იგდებს ადამიანი, რომელიც სძულთ ერებს, მმართოველთა მსახურს: მეფენი იხილავენ და ფეხზე ადგებიან, მთავარიც ასევე ეთაყვანებიან უფლის გამო, რომელიც ერთგულია.

8 ასე ამბობს უფალი: სასურველ დროს მე გავიგონე თქვენი ხმა, ზღვის კუნძულებო; ხსნის დღეს მე თქვენ დაგეხმარეთ; დაგიფარავთ და მოგცემთ ჩემს მსახურს, ხალხის აღთქმისათვის, რომ დაარსდეს მიწა, რათა დამკვიდრდეს დაკარგული შემკვიდრობა;

9 რათა უთხრა ტყვეთ: გამოდით; მათ კი, ვინც სხედან ბნელეთში: გამოჩნდით! ისინი მოძოვენ გზებზე და მათი საძოვრები ყველგან მაღალ ადგილებზე იქნება.

10 მათ არც მოშივდებათ, არც მოსწყურდებათ, არ დაჰკრავს მათ არც სიცხე, არც მზე;

რადგან ის, ვინც მათ წყალობს, იქნება მათი წინამძღოლი. ის წყლის წყაროებზეც გაუძღვება მათ.

11 და ჩემს ყველა მთას გზად ვაქცევ და ბილიკები ამადლდება.

12 და შემდეგ, ისრაელის სახლო, აჰა, ესენი მოვლენ შორიდან; დიახ, ესენი – ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან; და ესენი – სინიმის მიწიდან.

13 იმდერე ზეცავ; და გაიხარე მიწავ; რადგან მათი ფეხები, რომელნიც აღმოსავლეთში არიან, გამყარდება; და ამდერდით მთებო; რადგან ისინი აღარ დამარცხდებიან; რამეთუ უფალმა ანუგეშა თავისი ხალხი და შეიწყალებს თავის ტანჯულთ.

14 მაგრამ, აჰა, სიონმა თქვა: უფალმა მიმატოვა და დამივიწყა ჩემმა უფალმა; მაგრამ ის დავგანახებს, რომ ეს ასე არ არის.

15 ვინაიდან, შეუძლია ქალს დაივიწყოს თავისი ძუძუმწოვარი ბავშვი, რომ არ ჰქონდეს სიბრალული მისი საშოს შვილისადმი? დიახ, მათ შესაძლოა დაავიწყდეთ, მაგრამ მე არ დამავიწყდები, ისრაელის სახლო.

16 აჰა, მე ამოგტიფორე შენ საკუთარ ხელისგულებზე; შენი კედლები არის მუდამ ჩემ წინ.

17 შენი შვილები გაემშრებიან შენს დამანგრეველთა წინააღმდეგ; და ის, ვინც აგაოხრა, შენგან გავა.

18 აწიე თვალები და მიმოიხედე; ესენი ყველანი ერთად იკრიბებიან

და შენთან მოვლენ. და როგორც მე ცოცხალი ვარ, ამბობს უფალი, შენ აისხამ ყოველ მათგანს სამკაულივით და მოიკაზმები, როგორც პატარძალი.

19 შენი აოხრებული და გაპარტახებული ადგილები და შენი განადგურებული მიწა ახლა უკვე ძალზედ შევიწროვდება მაცხოვრებელთა გამო; და შენი ჩამყლაპავნი შორს იქნებიან.

20 შვილები, რომლებიც გეყოლება მას შემდეგ, რაც დაკარგავ პირველებს, კვლავ გეტყვიან ყურში: ეს ადგილი არის ძალზედ ვიწრო ჩემთვის; მომეცი ადგილი, სადაც შევძლებ ცხოვრებას.

21 მაშინ შენ იტყვი გულში: ვინ გამიჩინა ესენი, რადგან დავკარგე შვილები და ვარ უნაყოფო, დატყვევებული და დავხეტიალობ აქეთ-იქით? და ვინ გაზარდა ესენი? აჰა, მე მარტოდ მიმატოვეს, სად იყვნენ ისენი?

22 ასე ამბობს უფალი ღმერთი: აჰა, მე ხელს გავუწვდი წარმართებს და ხალხს აღვუმართავ ჩემს დროშას; და ისინი მოიყვანენ შენს შვილებს ხელში აყვანილთ და შენს ასულებს – მხრებზე შემომსხდრებს.

23 და მეფენი იქნებიან შენი გამზრდელნი და მათი დედოფლები იქნებიან შენი ძიძები; მოიხრიან ქედს შენ წინაშე პირქვე დამხობით და ალოკავენ შენს ფერხთა მტვერს; და შენ შეიცნობ, რომ მე ვარ უფალი და არ შე-

რცხვებიან ისინი, ვინც მე მელოდებიან.

24 ნუთუ ნადავლი წაერთმევა ძლევა მოსილს ან გამოეხსნებიან კანონიერად დატყვევებულნი?

25 მაგრამ ასე ამბობს უფალი: დატყვევებულნი ჩამოერთმევიან ძლევა მოსილს და საშინელისგან გამოეხსნება ნადავლი; რადგან მე შევებრძოლები მას, ვინც შენ გებრძვის და მე გადავარჩენ შენს შვილებს.

26 და ვაჭმევ მათ, ვინც შენ გაგიწროვებს, მათსავე საკუთარ ხორცს და დათვრებიან საკუთარი სისხლით, ვითარცა ტკბილი ღვინით; და ყველა ხორციელს ეცოდინება, რომ მე, უფალი, ვარ შენი მხსნელი და შენი გამომსყიდველი, ძლევა მოსილი იაკობისა.

თავი 22

ისრაელი გაიფანტება მთელი დედამიწის ზედაპირზე. წარმართები აღზრდიან და გამოკვებავენ ისრაელს სახარებით უკანასკნელ დღეებში. ისრაელი შეიკრიბება და გადაარჩება, ბოროტები ნამჯასავით დაიწვებიან. ეშმაკის სამეფო განადგურდება და სატანა შეიბოჭება. დაახლოებით 588-570 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და ახლა, იყო ასე, რომ მას შემდეგ, რაც მე, ნეფომ, წავიკითხე ის, რაც ამოტვიფრული იყო სპილენძის ფირფიტებზე,

ჩემი ძმები მოვიდნენ ჩემთან და მითხრეს: რას ნიშნავს ის, რაც წავიკითხე? აჰა, უნდა გავიგოთ ეს იმის შესატყვისად, რაც არის სულიერი, რაც ახდება შესაბამისად სულისა და არა ხორციელის?

2 და მე, ნეფომ, ვუთხარი მათ: აჰა, ეს წინასწარმეტყველს გამოეცხადა სულის ხმის მეშვეობით; ვინაიდან სულის მეშვეობით ეცხადებათ წინასწარმეტყველებს ყველაფერი, რაც მოუვათ ადამიანთა შვილებს ხორციელის შესაბამისად.

3 ამიტომ, ის, რაც წავიკითხე, ეხება როგორც ხორციელს, ასევე სულიერსაც; რადგან ჩანს, რომ ისრაელის სახლი, ადრე თუ გვიან, გაიფანტება მთელი დედამიწის ზედაპირზე და ყველა ერში.

4 და აჰა, ბევრნი არიან ისეთნი, რომლებსაც უკვე არ ცნობენ ისინი, ვინც იერუსალიმთან არიან. დიახ, ყველა ტომის დიდი ნაწილი უკვე წაყვანილია; და ისინი გაფანტულნი არიან აქეთ-იქით ზღვის კუნძულებზე; და სად არიან ისინი არცერთმა ჩვენთაგანმა არ იცის, მხოლოდ ვიცით, რომ ისინი წაიყვანეს.

5 და რადგან ისინი წაიყვანეს, ეს მათზე ნაწინასწარმეტყველები იყო და ასევე ყველაზე, რომლებიც მომავალში იქნებიან გაფანტულნი და შემუხრულნი ისრაელის წმინდის გამო; ვინაიდან მის წინააღმდეგ გაიქვავებენ

ისინი გულებს; ამიტომ, იქნებიან გაფანტულნი ყველა ერს შორის და ყოველი ადამიანის მიერ შეძლებულნი.

6 მიუხედავად ამისა, მას შემდეგ, რაც ისინი წარმართთა მიერ აღიზრდებიან და უფალი ხელს ადაპყრობს წარმართებზე და აღმართავს მათ ვითარცა დროშას და მათ შვილებს ხელით ატარებენ და ასულებს ატარებენ მხრებზე, აჰა, ეს არის, რაც მოხსენიებულია, როგორც მიწიერი; რადგან ასეთია უფლის აღთქმები ჩვენს მამებთან; და ასეა ნათქვამი ჩვენზე მომავლის დღეებში და ასევე ყველა ჩვენს ძმაზე, რომლებიც მიეკუთვნებიან ისრაელის სახლს.

7 და ეს ნიშნავს, რომ მოვა დრო, რომ მას შემდეგ, რაც ისრაელის მთელი სახლი იქნება გაფანტული და შემუსრული, უფალი ღმერთი აღზრდის წარმართთა შორის ძლევაგამოსილ ერს, დიახ, ამ მიწის პირზე; და ჩვენი შთამომავლობა მათ მიერ იქნება გაფანტული.

8 და მას შემდეგ, რაც ჩვენი შთამომავლობა იქნება გაფანტული, უფალი ღმერთი მოახდენს საოცარ საქმეს წარმართთა შორის, რაც ძალზედ ძვირფასი იქნება ჩვენი შთამომავლობისათვის; ამიტომაც, ის შედარებულია მათი წარმართების მიერ გამოკვებას და მათ მიერ ხელით და მხრებზე ტარებას.

9 ის ასევე ძალზედ ძვირფასი

იქნება წარმართთათვის; და არა მარტო წარმართთათვის, არამედ მთელი ისრაელის სახლისათვისაც, რომ ცნობილი იყოს ზეცის მამის აღთქმები აბრაამისადმი, სადაც ნათქვამია: შენს შთამომავლობაში იკუთხება დედამიწის ყველა ტომი.

10 და, ჩემო ძმებო, მინდა, იცოდეთ, რომ დედამიწის ყველა ტომი ვერ იკუთხება, თუ ის არ გაიშიშვლებს მკლავს ერების თვალწინ.

11 ამიტომ, უფალი ღმერთი მკლავს გაიშიშვლებს ყველა ერის თვალწინ, მისი აღთქმების და სახარების განხორციელებაში, მათთვის, ვინც ისრაელის სახლს მიეკუთვნება.

12 ამიტომ, ის კვლავ გამოიყვანს მათ ტყვეობიდან და ისინი ერთად შეიკრიბებიან თავიანთი მემკვიდრეობის მიწებზე; და გამოყვანილნი იქნებიან წყვდიადიდან და ბნელეთიდან; და ისინი შეიცნობენ, რომ უფალი არის მათი მსხნელი და გამომსყიდველი, ძლევაგამოსილი ისრაელისა.

13 და სისხლი იმ დიდი და ბილწი ეკლესიისა, რომელიც არის მთელი დედამიწის როსკიპი, მათსავე თავებზე გადაიხსმება; რადგან ისინი იომებენ ერთმანეთში და მათ ხელში მყოფი მახვილი დაეცემა მათსავე თავებზე და დათვრებიან საკუთარი სისხლით.

14 და ყოველი ერი, რომელიც იომებს შენ წინააღმდეგ,

ისრაელის სახლო, ერთმანეთს დაუპირისპირდება; და ჩავარდება იმავე ორმოში, რომელიც ამოთხარეს უფლის ხალხის დასატყვევებლად. და ყველა, ვინც იბრძვის სიონის წინააღმდეგ, იქნება განადგურებული და ის დიდი როსკიპი, რომელმაც გაამრუდა უფლის სწორი გზები, დიახ, ის დიდი და ბილწი ეკლესია, მტვერში ჩავარდება და დიდი იქნება მისი დაცემა.

15 რადგან, აჰა, ამბობს წინასწარმეტყველი, მალე დადგება დრო, როდესაც სატანას აღარ ექნება ძალა ადამიანთა შვილების გულუბზე; რადგან მალე დადგება ის დღე, როდესაც ყველა ამპარტავანი და სიბოროტის ჩამდენი იქნება ნამჯასავით; და დადგება დღე, როდესაც ისინი უნდა დაიწვნენ.

16 რადგან მალე დადგება ის დრო, როდესაც ღვთის რისხვა სისავსით დაატყდება ადამიანთა ყველა შვილს; რადგან ის არ დაუშვებს, რომ ბოროტებმა განადგურონ მართალნი.

17 ამიტომ, ის დაიცავს მართლებს თავისი ძალით, თუნდაც იყოს ისე, რომ მისი რისხვა სისავსით გახდეს მოსასველელი და მართალნი იყვნენ დაცულნი მათი მტრების ცეცხლით განადგურებითაც. ამიტომაც, მართლებს არ უნდა ეშინოდეთ; რადგან ამას ამბობს წინასწარმეტყველი: ისინი გადარჩებიან, თუნდაც ეს ცეცხლით აღსრულდეს.

18 აჰა, ჩემო ძმებო, მე გეუბნებით თქვენ, რომ ეს ყველაფერი მალე უნდა ახდეს; დიახ, ჭეშმარიტად, სისხლი, ცეცხლი და კვამლის ბურუსი უნდა მოვიდეს; და ეს უნდა მოხდეს ამ დედამიწის პირზე; და ეს მოეკლინება ადამიანებს ხორციელის შესაბამისად, თუ იქნება ისე, რომ ისინი გაიქცევიან გულს ისრაელის წმინდის წინააღმდეგ.

19 რადგან, აჰა, მართლები არ დაიდუპებიან, რადგან აუცილებლად დადგება ის დრო, როდესაც მოკვეთილნი იქნებიან ყველანი, ვინც იბრძვიან სიონის წინააღმდეგ.

20 და უფალი აუცილებლად მოამზადებს გზას თავისი ხალხისათვის, მოსეს სიტყვების აღსასრულებლად, რომლებიც მან წარმოთქვა: უფალი, თქვენი ღმერთი, ჩემ მსგავსს წინასწარმეტყველს აღგიზრდით; მისი ყოველი ნათქვამი უნდა შეისმინოთ, რასაც გეტყვით და იქნება ასე, რომ ვინც არ მოუსმენს იმ წინასწარმეტყველს, იქნება ხალხისაგან მოკვეთილი.

21 და ახლა მე, ნეფი, თქვენ გიცხადებთ, რომ ეს წინასწარმეტყველი, რომელზედაც ილაპარაკა მოსემ, არის ისრაელის წმინდა; ამიტომ, ის მართლად აღასრულებს სამართალს.

22 და მართლებს არ უნდა ეშინოდეთ, რადგან ეს ისინი არიან, რომლებიც არ იქნებიან

შემქსრულნი. თუმცა აშენდება ადამიანთა შვილებს შორის ეშმაკის სამეფო, რომელიც ჩამოყალიბდება მათ შორის, რომლებიც არიან ხორციელნი.

23 რადგან ძალე დადგება დრო, როდესაც ყოველი ეკლესია, რომელიც ანგარებისთვის არის აშენებული და ყოველი ის, რომელიც აშენდა ხორციელზე ძალაუფლების მოსაპოვებლად და ისინი, რომლებიც აშენდა, რათა პატივსაცემნი იყვნენ ამა ქვეყნის თვალში და ისინი, რომლებსაც სურთ ხორციელი ვნება და მიწიერი კეთილდღეობა და ყველანაირი ურჯულოების ჩადენა; დიახ, საერთოდ ყველანი, რომლებიც მიეკუთვნებიან ეშმაკის სამეფოს, არიან ისინი, ვისაც უნდა ეშინოდეთ და კანკალებდნენ და თრთოდნენ; ესენი არიან, რომლებიც უნდა დამცირდნენ მტვერში; ესენი ნამჯასავით უნდა დაიწვნენ; და ეს არის წინასწარმეტყველის სიტყვების შესაბამისად.

24 და მოდის დრო, როდესაც მართალნი ბაგის ხბორებივით უნდა ატარონ და ისრაელის წმინდამ უნდა იმეფოს ბატონობით, ძღვევამოსილებით, ძალითა და ღიადი ღიდებულებით.

25 და იგი აგროვებს თავის შვილებს დედამიწის ოთხივე კიდიდან; და ითვლის თავის ცხვრებს და ისინი სცნობენ მას; და იქნება ერთი ფარა და ერთი მწყემსი; და იგი მომწყემსავს

თავის ცხვრებს და მასში ჰპოვებენ ისინი საძოვარს.

26 და მისი ხალხის სამართლიანობის გამო, სატანას არ აქვს ძალა; ამიტომ, ის ვერ იქნება განთავისუფლებული მრავალი წლის განმავლობაში; რადგან მას არ აქვს ძალა ადამიანთა გულზედ, რადგან ისინი ცხოვრობენ სამართლიანად და ისრაელის წმინდა მეფობს.

27 და ახლა, აჰა, მე, ნეფი, გეუბნებით თქვენ, რომ ყველაფერი ეს უნდა ახდეს ხორციელის თანახმად.

28 მაგრამ, აჰა, ყოველი ერი, ტომი, ენა და ხალხი იცხოვრებს უსაფრთხოდ ისრაელის წმინდაში, თუ ისე იქნება, რომ ისინი მოინანიებენ.

29 და ახლა მე, ნეფი, ვასრულებ; რადგან ამაზე მეტის თქმას ჯერჯერობით ვერ ვბედავ.

30 ამიტომაც, ჩემო ძმებო, მე მსურს, რომ თქვენ ჩათვალთ ჭეშმარიტად ის, რაც წერია სპილენძის ფირფიტებზე; და ის მოწმობს, რომ ადამიანი უნდა იყოს ღმერთის მცნებებისადმი მორჩილი.

31 ამიტომაც, თქვენ არ უნდა იფიქროთ, რომ მე და მამჩემი ვართ ერთადერთნი, ვინც ვმოწმობდით და ასევე ვასწავლიდით ამას. ამიტომ, თუ თქვენ იქნებით მორჩილნი მცნებებისადმი და გაძლებთ ბოლომდე, უკანასკნელ დღეს გადარჩებით. და ეს არის ასე, ამინ.

ნეფის მეორე წიგნი

ამბავი ლეხის გარდაცვალების შესახებ. ძმები ჯანყდებიან ნეფის წინააღმდეგ. უფალი აფრთხილებს ნეფის, რომ უნდა წავიდეს უდაბნოში. მისი უდაბნოში მოგზაურობა და ასე შემდეგ.

თავი 1

ლეხი წინასწარმეტყველებს თავისუფლების მიწის შესახებ. მისი შთამომავლობა გაიფანტება და განადგურდება, თუ უარყოფს ისრაელის წმინდას. ის მოუწოდებს თავის შვილებს აისხან სამართლიანობის აბჯარი. დაახლოებით 588–570 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და ახლა, იყო ასე, რომ მას შემდეგ, რაც მე, ნეფიმ, დავასრულე ჩემი ძმების სწავლება, მამაჩვენი, ლეხი, ასევე ბევრი ელაპარაკა მათ და გაუმეორა, რაოდენ დიდი რამ გაუკეთა უფალმა იერუსალიმის მიწიდან გამოყვანით.

2 და ის ელაპარაკა მათ, წყლებზე მათი აჯანყებისა და დმერთის მოწყალების შესახებ, რომელმაც შეიწყალა მათი სიცოცხლე, რომ არ ჩანთქმულიყვნენ ისინი ზღვაში.

3 და ის ასევე ელაპარაკებოდა მათ ალთქმული მიწის შესახებ, რომელიც მათ მიიღეს; და როგორი მოწყალე იყო უფალი, რომ გაგვაფრთხილა, გავქცეულიყავით იერუსალიმის მიწიდან.

4 რადგან, აჰა, მან თქვა: მე

ვიხილე ხილვა, საიდანაც ვიცი, რომ იერუსალიმი განადგურებულია; და რომ დავრჩენილიყავით იერუსალიმში, ჩვენც ასევე დავიღუპებოდით.

5 მაგრამ, თქვა მან, მიუხედავად ჩვენი გაჭირვებისა, მივიღეთ ალთქმული მიწა, მიწა, ყველა სხვა მიწათა შორის რჩეული; მიწა, რომელიც აღმითქვა უფალმა დმერთმა, როგორც ჩემი შთამომავლობის მემკვიდრეობის მიწა. დიახ, უფალმა აღმითქვა ეს მიწა მე და ჩემს შვილებს სამარადისოდ, ასევე ყველას, რომლებიც გამოყვანილნი იქნებიან უფლის ხელით სხვა ქვეყნებიდან.

6 ამიტომ, მე, ლეხი, ვწინასწარმეტყველებ სულის კარნახის მიხედვით, რომელიც არის ჩემში, რომ ვერავინ ვერ მოვა ამ მიწაზე, თუ უფლის ხელით არ იქნება მოყვანილი.

7 ამიტომ, ეს მიწა მიძღვნილია მათთვის, ვისაც ის მოიყვანს. და თუ იქნება ასე, რომ ისინი ემსახურებიან მას, მის მიერ მიცემული მცნებების შესაბამისად, ეს იქნება თავისუფლების მიწა მათთვის; ამიტომ, ველარასდროს დაატყვევებენ მათ; თუ ასე მოხდება, ეს მოხდება

ურჯულოების გამო; რადგან თუ უხვად იქნება ურჯულოება, დაწყველილი იქნება ეს მიწა მათ გამო, მაგრამ მართალთათვის კურთხეული იქნება მარადის.

8 და აჰა, ეს არის სიბრძნე, რომ ეს მიწა უნდა დარჩენილიყო უცნობი სხვა ერებისთვის, რადგან, აჰა, მრავალი ერი აავსებდა ამ მიწას ისე, რომ იქ აღარ იქნებოდა ადგილი მემკვიდრეობისათვის.

9 ამიტომ, მე, ლეხიმ, მივიღე დაპირება, რომ რამდენადაც დაიცავენ მცნებებს ისინი, რომლებსაც უფალი ღმერთი გამოიყვანს იერუსალიმის მიწიდან, იმდენად აყვავდებიან ამ მიწაზე და დაფარულნი იქნებიან ყველა სხვა ერისაგან, რათა მხოლოდ ისინი ფლობდნენ ამ მიწას; და თუ ასე იქნება, რომ დაიცავენ მის მცნებებს, კურთხეულნი იქნებიან ამ მიწაზე და ვერავინ ვერ დაჩაგრავს მათ, ვერც მათი მემკვიდრეობის მიწას ვერ წაართმევს; და სამარადისოდ მშვიდობიანად იცხოვრებენ.

10 მაგრამ, აჰა, როდესაც დადგება ასეთი ღრო, როდესაც ისინი გადაშენდებიან ურწმუნოებაში მას შემდეგ, რაც უფლის ხელით მიიღებენ ასეთ ღიად კურთხევებს, აქვთ რა ცოდნა ღუდამიწისა და ყოველი ადამიანის შექმნის შესახებ, აქვთ რა ცოდნა ამა ქვეყნის დასაბამიდან უფლის ღიადი და საოცარი საქმეების შესახებ; მიღებული

აქვთ რა ძალა, რომელიც მიეცათ იმისთვის, რომ აკეთონ ყველაფერი რწმენით; აქვთ რა ყველა მცნება დასაბამიდან და მოყვანილნი იყვნენ რა მისი უსახვრო მოწყალებით ამ ძვირფას ალთქმულ მიწაზე, აჰა, მე ვამბობ, თუ დადგება ისეთი ღლე, როდესაც ისინი უარყოფენ ისრაელის წმინდას, ჭეშმარიტ მესიას, თავიანთ გამომსყიდველსა და ღმერთს, აჰა, იმის სასჯელი, ვინც არის სამართლიანი, მოვა მათზე.

11 დიახ, ის მოიყვანს მათთან სხვა ერებს და მისცემს მათ ძალას და ის მათ წაართმევს კუთვნილ მიწებს და მოახდენს ისე, რომ ისინი გაიფანტებიან და დაიხოცებიან.

12 დიახ, სანამ ერთი თაობა შეცვლის მეორეს, ერთმანეთში სისხლისღვრები და დიდი სასჯელი მოველინებათ; ამიტომ, ჩემო შვილებო, მსურს, რომ თქვენ ეს გახსოვდეთ; დიახ, მინდა, რომ ყური დაუგდოთ ჩემს სიტყვებს.

13 თქვენ რომ გაგეღვიძათ! გაიღვიძეთ ღრმა ძილისგან, დიახ, ჯოჯოხეთის ძილისგან და ჩამოიბერტყეთ ეს საშინელი ჯაჭვები, რომლებითაც შებოჭილნი ხართ; ჯაჭვები, რომლითაც შებოჭილნი არიან ადამიანთა შვილები, რათა ტყვედ ჩაიყვანონ უბედურებისა და ვარამის მარადიულ უფსკრულში.

14 გაიღვიძეთ! და აღსდექით

მტვრიდან და შეისმინეთ აკან-კალეზული მშობლის სიტყვები, რომლის სხეულის ჩაწვენა მალე მოგიწევთ ცივ და ჩუმ სამარეში, საიდანაც ვერც ერთი მოგზაური ვერ დაბრუნდება; კიდევ რამდენიმე დღე და მე წავალ ყოველი მიწიერის გზით.

15 მაგრამ, აჰა, უფალმა გამოიხიდა ჩემი სული ჯოჯოხეთიდან; მე ვიხილე მისი დიდება და მარადიულად მოქცეული ვარ მის სიყვარულით აღსავსე ხელებში.

16 და მე მსურს, რომ თქვენ გახსოვდეთ, რომ უნდა დაიცვათ უფლის წესები და სამართალი; აჰა, ეს იყო ჩემი სულის წუხილი თავიდანვე.

17 გული ხანდახან დამძიმებული მქონდა დარდით, რადგან მეშინოდა, რომ უფალი, თქვენი ღმერთი, მოგვევლინებოდათ მთელი თავისი რისხვით თქვენივე გულქვაობის გამო და რომ მოკვეთილნი და განადგურებულნი იქნებოდით სამუდამოდ.

18 ან, რომ დაგატყდებოდათ წყველა თქვენ და თქვენს მრავალ თაობას; და გეწვეოდათ მახვილი და შიშშილი; და იქნებოდით შეძულებულნი და ივლიდით ეშმაკის სურვილისა და ტყვეობის მიხედვით.

19 ჩემო შვილებო, დაე, ნუ აგიხდებათ ეს ყველაფერი, არამედ შეძლოთ იყოთ უფლის მიერ მოწონებული და რჩეული ხალხი. მაგრამ, აჰა, დაე, იყოს ნება

მისი; რადგან მისი გზები არის მარად სამართლიანი.

20 და მან თქვა ასე: რამდენადაც დაიცავთ ჩემს მცნებებს, იმდენად აყვავდებით ამ მიწაზე; მაგრამ რამდენადაც არ დაიცავთ ჩემს მცნებებს, იმდენად იქნებით ჩემი გარემოცვიდან მოკვეთილნი.

21 და ახლა, იმისთვის, რომ ჩემმა სულმა იხაროს თქვენში და ჩემმა გულმა დატოვოს ეს ქვეყანა თქვენ გამო სიხარულით, რომ არ ჩავიდეთ სამარეში დარდითა და მწუხარებით, აღსდექით მტვრიდან, ჩემო შვილებო, და იყავით მამაკაცები, ერთიანი გულით და გონებით, ერთსულოვანნი ყველაფერში, რათა არ ჩაცვივდეთ ტყვეობაში.

22 რომ არ იყოთ დაწყევლილნი მწარე წყევლით და ასევე არ იწვნიოთ საკუთარ თავზე ღვთის სამართლიანი წყენა განადგურებით, დიახ, სულისა და ხორცის მარადიული განადგურებით.

23 გამოიღვიძეთ, ჩემო შვილებო; აისხით სამართლიანობის აბჯარი. ჩამოიბერტყეთ ჯაჭვები, რომლებითაც ხართ შებოჭილნი, გამოდით წყვდიადიდან და აღსდექით მტვრიდან.

24 ნუღარ აუჯანყდებით თქვენს ძმას, რომლის ხილვები ყოფილა დიადი და რომელიც იცავს მცნებებს მას შემდეგ, რაც გამოვედით იერუსალიმიდან; და ის იყო იარაღი ღვთის ხელში, აღ-თქმულ მიწაზე ჩვენი მოყვანისას;

რადგან ის რომ არა, უდაბნოში დავიდუპებოდით შიმშილით; მიუხედავად ამისა, თქვენ ცდილობდით მისი სიცოცხლის მოსწრაფებას; დიახ, თქვენ გამო, მან მრავალი დარდი გადაიტანა.

25 და ძალზედ მეშინია და ვკანკალებ თქვენ გამო, რომ კიდევ არ დაიტანჯოს იგი, რადგან, აჰა, თქვენ მას ბრალი დასდეთ, რომ ისწრაფოდა თქვენზედ ხელისუფლებასა და მართველობისკენ; მაგრამ მე ვიცი, რომ იგი არ ისწრაფოდა არც ხელისუფლებისკენ და არც მმართველობისკენ, არამედ ისწრაფოდა ღმერთის სიდიადისა და პირადად თქვენი მარადიული კეთილდღეობისკენ.

26 და თქვენ ბუზღუნებდით იმის გამო, რომ ის პირდაპირი იყო თქვენ მიმართ. ამბობდით, რომ იყენებდა სიმკაცრეს; თქვენ ამბობდით, რომ განრისხებული იყო თქვენზე, მაგრამ, აჰა, მისი სიმკაცრე იყო ღვთის სიტყვის ძალის სიმკაცრე, რომელიც არის მასში; და რასაც თქვენ უწოდებთ რისხვას, იყო ჭეშმარიტება შესაბამისად იმისა, რაც არის ღმერთში, რაზედაც თავს ვერ იკავებდა და ხმამაღლა აცხადებდა თქვენი ურჯულოების გამო.

27 და საჭიროა, რომ მასთან იყოს ღვთის ძალა, რათა მან გიბრძანოთ, თქვენ კი დაემორჩილოთ. მაგრამ, აჰა, ეს იგი კი არა, არამედ უფლის სული იყო,

რომელიც იყო მასში და აღებდა პირს სალაპარაკოდ ისე, რომ ვეღარ ჩუმდებოდა.

28 და ახლა, ჩემო შვილო, ღამან, და ასევე ლემუელ და სემ; და ასევე ჩემო შვილებო, რომლებიც ხართ ისმაელის შვილები, აჰა, თუ თქვენ ყურს დაუგდებთ ნეფის ხმას – არ დაიდუპებით; და თუ მას დაუგდებთ ყურს, მე დაგიტოვებთ კურთხევას, დიახ, ჩემს პირველ კურთხევას.

29 მაგრამ თქვენ თუ მას არ დაუგდებთ ყურს, მე წაგართმევთ ჩემს პირველ კურთხევას, დიახ, ჩემს კურთხევას, და ის იქნება მასზედ.

30 და ახლა, ზორამ, მე გეუბნები: აჰა, შენ ხარ ლაბანის მსახური; მიუხედავად ამისა, შენ გამოყვანილ იქენ იერუსალიმის მიწიდან და მე ვიცი, რომ შენ ხარ ჩემი შვილის, ნეფის, ჭეშმარიტი მეგობარი სამარადისოდ.

31 ამიტომაც, იმისათვის, რომ შენ იყავი ერთგული, შენი შთამომავლობა იქნება კურთხეული მის შთამომავლობასთან ერთად, ამიტომ ის დიდხანს იცხოვრებს კეთილდღეობაში ამ მიწის პირზე; და ვერაფერი, თუ არ იქნება მათ შორის ურჯულოება, ვერასოდეს ვერ ავნებს და ვერ დაარღვევს მათ კეთილდღეობას ამ მიწის პირზე სამარადისოდ.

32 ამიტომ, თუ თქვენ დაიცავთ უფლის მცნებებს, უფალს მიძღვნილი აქვს ეს მიწა შენი

შთამომავლობის უსაფრთხოებისათვის, ჩემი შვილის შთამომავლობასთან ერთად.

თავი 2

გამოსყიდვა მოდის წმინდა მესიის მეშვეობით. არჩევანის თავისუფლება აუცილებელია არსებობისა და განვითარებისათვის. ადამი დაეცა, რათა ადამიანები ყოფილიყვნენ. ადამიანები არიან თავისუფალნი თავისუფლებისა და მარადიული სიცოცხლის არჩევანში. დაახლოებით 588-570 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და ახლა, მე მოგმართავ შენ, იაკობ: შენ ხარ ჩემი განსაცდელის ჟამს უდაბნოში გაჩენილი პირმშო და აპა, ბავშვობისას იგემე გაჭირვება და საკმაოდ დარდი შენი ძმების უხეშობის გამო.

2 მიუხედავად ამისა, იაკობ, ჩემო უდაბნოში გაჩენილო პირმშო, შენ იცი ღვთის სიდიადე და ის აკურთხებს შენს გაჭირვებას შენსავე სასარგებლოდ.

3 ამიტომაც, შენი სული იქნება კურთხეული; და იცხოვრებ მშვიდობით შენს ძმასთან, ნეფისთან და გაატარებ დღეებს შენი ღმერთის მსახურებაში. ვინაიდან ვიცი, გამომსყიდველის სამართლიანობის გამო ხარ გამოსყიდული, ვინაიდან ჩაწვდი, რომ ჟამთა სისრულის დროს ის

მოვა, რათა მოუტანოს ხსნა კაცობრიობას.

4 და შენ იხილე ყმაწვილობისას მისი დიდება, ამიტომაც ხარ კურთხეული, ვითარცა ისინი, ვისთვისაც იქნება მსახური ხორციით, რადგან სული უცვლელია, გუშინ, დღეს და უკუნისამდე. და ადამიანის დაცემიდან გზა მომზადებულია და ხსნა არის უსასყიდლო.

5 და ადამიანებმა საკმარისი დარიგებანი მიიღეს, რომ განასხვავონ კეთილი ბოროტისაგან. კანონი მიეცათ ადამიანებს. და ამ კანონით, არცერთი ხორციელი არ არის გამართლებული; ანუ კანონით ადამიანები არიან მოკვეთილნი. დიახ, მიწიერი კანონით იყვნენ ისინი მოკვეთილნი; და ასევე სულიერების კანონით იღუპებიან, შორდებიან კეთილს და ხდებიან უბედურნი მარადის.

6 ამიტომაც, გამოსყიდვა მოდის წმინდა მესიაში და მისი მეშვეობით, რადგან ის აღსავსეა მადლითა და ჭეშმარიტებით.

7 აპა, იგი თავს წირავს მსხვერპლად ცოდვებისთვის, რათა აღასრულოს კანონის მიზანი ყოველი მათგანისათვის, ვისაც აქვს მოდრეკილი გული და მომნანიებელი სული; და ამ კანონის მიზანი სხვა არავისათვის არ აღსრულდება.

8 ამიტომაც, რა დიდია ამ ცოდნის გაზიარების მნიშვნელობა დედამიწის მაცხოვრებლებისათვის, რათა მათ იცოდნენ, რომ

არ არსებობს ხორციელი, რომელიც შეძლებს იცხოვროს ღვთის გარემოცვაში, თუ არა წმინდა მესიის დამსახურებით, წყალობითა და მადლით, რომელიც სიცოცხლეს შესწირავს ხორციელისამებრ და კვლავ მიიღებს მას სულის ძალით, რათა განახორციელოს მეკდრეთით აღდგომა, იქნება რა პირველი, რომელიც აღდგება.

9 ამიტომაც, ის არის პირველნაყოფი ღვთისათვის, რადგან ის გაუწევს შუამდგომლობას ადამიანთა ყოველ შვილს; და ისინი, ვინც მას ირწმუნებენ, მასში გადარჩებიან.

10 და ყველასათვის გაწეული შუამდგომლობის გამო, ყოველი ადამიანი მოვა ღმერთთან; ამიტომაც, ისინი წარსდგებიან მის წინაშე, რომ განკითხულ იქნენ მისგან ჭეშმარიტებისა და სიწმინდის მიხედვით, რომელიც არის მასში. ამიტომაც, იმ კანონის მიზანი, რომელიც მოგვცა წმინდამ, რათა აღსრულდეს დანიშნული სასჯელი; სასჯელი კი, რომელიც არის დანიშნული, საპირისპიროა იმ ბედნიერების, რომელიც დანიშნულია, რათა აღსრულდეს გამოსყიდვის მიზანი.

11 ვინაიდან საჭიროა, რომ ყველაფერს ჰქონდეს საპირისპირო. ასე რომ არ ყოფილიყო, ჩემო უდაბნოში გაჩენილო პირმშო, არ აღსრულდებოდა სამართალი, არც სიბოროტე, არც

სიწმინდე და არც უბედურება, არც კარგი და არც ცუდი. ამიტომაც, ყველაფერი უნდა იყოს თანწყობილი ერთში; ამგვარად, რომ ყოფილიყო ერთი სხეული, აუცილებლად დარჩებოდა, როგორც მკვდარი, არ ექნებოდა არც სიცოცხლე და არც სიკვდილი, არც ხრწნა და არც უხრწნელობა, არც ბედნიერება და არც უბედურება, არც გონება და არც უგონობა.

12 ამიტომაც, ის აუცილებლად იქნებოდა არარაობად შექმნილი; ამიტომაც არ იქნებოდა არანაირი მიზანი მის შექმნაში; ამიტომაც ეს აუცილებლად განადგურებდა ღვთის სიბრძნესა და მის მარადიულ მიზნებს, ასევე ღვთის ძალას, წყალობასა და სამართალს.

13 და თუ იტყვით, რომ არ არის კანონი, მაშინ ასევე იტყვით, რომ არ არის ცოდვა. თუ იტყვით, რომ არ არის ცოდვა, ასევე იტყვით, რომ არ არის სამართალი, და თუ არ იქნებოდა სამართალი, მაშინ არ იქნებოდა ბედნიერება. და თუ არ იქნებოდა არც სამართალი და არც ბედნიერება, არ იქნებოდა არც სასჯელი და არც უბედურება. და თუ ეს ყველაფერი არ იქნება, მაშინ არ იქნება ღმერთიც, და თუ არ იქნებოდა ღმერთი, ჩვენც არ ვიარსებებდით, არც დედამიწა, რადგან არ იქნებოდა რაიმე არსებულის შექმნა, არც იმისა, რაც მოქმედებს, არც

იმისა, რაზედაც მოქმედებენ, ამიტომაც ყველაფერი უნდა გამქრალიყო.

14 და ახლა, ჩემო შვილებო, ამას გეუბნებით თქვენ სასარგებლოდ და რომ ისწავლოთ; ვინაიდან ღმერთი არსებობს და მან შექმნა ყველაფერი – ზეცაც და დედამიწაც, ასევე ყველაფერი, რაც მათში არსებობს, როგორც ის, რაც მოქმედებს, ასევე ის, რაზედაც მოქმედებენ.

15 და ადამიანის მიმართ მისი მარადიული მიზნების აღსასრულებლად, მას შემდეგ, რაც მან შექმნა ჩვენი პირველი მშობლები, ასევე ველის მხეცეები, ცის ფრინველები და საერთოდ ყველაფერი, რაც შექმნილია, საჭირო იყო საპირისპირო, აკრძალული ნაყოფიც კი სიცოცხლის ხის საპირისპირო; ერთი ტკბილი, მეორე კი მწარე.

16 ამიტომ, უფალმა ღმერთმა უბოძა ადამიანს, ემოქმედა საკუთარი ნების მიხედვით. ამიტომაც, ადამიანი ვერ მოიქცეოდა თავისი ნებით, რომ არ ყოფილიყო ცდუნებული ერთით ან მეორეთი.

17 და მე, ლეხიმ, იმის მიხედვით, რაც წავიკითხე, უნდა ვივარაუდო, რომ ღვთის ანგელოზი, იმისდა მიხედვით, რაც წერია, დაეცა ზეციდან; ამიტომაც, იგი გახდა ეშმაკი, რადგან ეძებდა იმას, რაც იყო ბოროტება ღვთის წინაშე.

18 და რადგან ის დაემხო

ზეციდან და გახდა სამუდამოდ უბედური, მას მიზნად ჰქონდა მთელი კაცობრიობის გაუბედურება. ამიტომაც, მან უთხრა ევას, დიახ, იმ ძველმა გველმა, რომელიც არის ეშმაკი, რომელიც არის ყოველი ტყუილის მამა, ამიტომაც მან თქვა: იგემეთ აკრძალული ხილი და არ მოკვდებით, არამედ იქნებით ღმერთივით, კეთილისა და ბოროტის შემცნობნი.

19 და მას შემდეგ, რაც ადამმა და ევამ იგემეს აკრძალული ხილი, ისინი განდევნილნი იქნენ ედემის ბაღიდან მიწის დასამუშავებლად.

20 და გააჩინეს მათ შვილები, დიახ, მთელი დედამიწის ოჯახი.

21 და გაუგრძელდათ დღეები ადამიანთა შვილებს ღვთის ნების თანახმად, რათა შექმლონ მონანიება ხორცში ყოფნისას; ამიტომაც, მათი ვითარება გადაიქცა გამოცდის მდგომარეობად და გაუხანგრძლივდათ სიცოცხლე იმ მცნებების თანახმად, რომელნიც მისცა უფალმა ღმერთმა ადამიანთა შვილებს. ვინაიდან მან მისცა მცნება, რომ ყოველმა ადამიანმა უნდა მოინანიოს; ვინაიდან მან დაანახა ყოველ ადამიანს, რომ ის დაკარგული იყო თავისი მშობლების შეცოდების გამო.

22 და ახლა, აჰა, ადამს რომ არ ჩაედინა დანაშაული, ის არ დაეცემოდა, არამედ დარჩებოდა ედემის ბაღში. და ყველაფერი,

რაც იყო შექმნილი, უნდა დარჩენილიყო იმავე მდგომარეობაში, რომელშიც იყო შექმნის შემდეგ; და ასე უნდა ყოფილიყო მარადის და არ ექნებოდა ამას დასასრული.

23 და არ ეყოლებოდათ მათ შვილები; ამიტომაც, დარჩებოდნენ ისინი უმანკოების მდგომარეობაში, ვერ განიცდიდნენ სიხარულს, რადგან არ ეცოდინებოდათ უბედურება; ვერ გააკეთებდნენ სიკეთეს, რადგან არ ეცოდინებოდათ ცოდვა.

24 მაგრამ, აჰა, ყველაფერი გაკეთდა იმის სიბრძნით, ვინც იცის ყველაფრის არსი.

25 ადამი დაეცა, რათა ადამიანები ყოფილიყვნენ და ადამიანები არსებობენ, რათა განიცადონ სიხარული.

26 და მესია მოვა ჟამთა სისრულის დროს, რათა გამოისყიდოს ადამიანთა შვილები დაცემისგან. და რადგან ისინი არიან გამოსყიდულნი დაცემისაგან, ისინი გახდნენ სამარადისოდ თავისუფალნი, კეთილის და ბოროტის ცოდნით; რომ იმოქმედონ თავიანთი ნებით და არა რომ მათზე სხვებმა იმოქმედონ, გარდა კანონის სასჯელისა იმ დიდ და უკანასკნელ დღეს, ღვთის მიერ მიცემული მცნებების თანახმად.

27 ამიტომაც, ადამიანები თავისუფალნი არიან ხორცში; და ყველაფერი მიეცათ მათ, რაც არის ადამიანისთვის აუცილებელი.

და ისინი თავისუფალნი არიან აირჩიონ თავისუფლება და მარადიული სიცოცხლე, ყოველი ადამიანის დიდი ქომაგის მეშვეობით, ან აირჩიონ ტყვეობა და სიკვდილი, ეშმაკის დამატყვევებელი ძალის მიხედვით; რადგან ის ცდილობს, გახადოს უბედური ყოველი ადამიანი, ისეთივე, როგორიც თვითონ არის.

28 და ახლა, ჩემო შვილებო, მე მსურს, რომ თქვენ მიმართოდ დიდ ქომაგს და შეისმინოთ მისი დიადი მცნებები; და იყოთ ერთგულნი მისი სიტყვებისადმი და აირჩიოთ მარადიული სიცოცხლე, მისი სულიწმინდის ნების თანახმად;

29 და არ აირჩიოთ მარადიული სიკვდილი, ხორციელის ნებისა და მასში ბოროტების არსებობით, რაც აძლევს ეშმაკის სულს ძალას, დაგატყვევოთ და ჩაგითრიოთ ჯოჯოხეთში, რათა იმეფოს თქვენზე თავის საკუთარ სამეფოში.

30 ეს რამდენიმე სიტყვა ყველას გითხარით, ჩემო შვილებო, ჩემი გამოცდის ბოლო დღეებში; და მე ამოვირჩიე უკეთესი ხვედრი, წინასწარმეტყველის სიტყვების თანახმად. და არ მაქვს სხვა მიზანი, გარდა თქვენი სულების მარადიული კეთილდღეობისა. ამინ.

თავი 3

ეგვიპტეში იოსებმა ხილვაში

ნახა ნეფიელები. მან იწინასწარმეტყველა ჯოზეფ სმითზე, უკანასკნელი დღეთა ნათელმჭვრეტელზე; მოსეზე, რომელიც გაანთავისუფლებდა ისრაელს და მორმონის წიგნის გამოქვეყნებაზე. დაახლოებით 588-570 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და ახლა მე გეუბნები შენ, იოსებ, ჩემო ნაბოლარავ. შენ დაიბადე უდაბნოში ჩემი გაჭირვებისას; დიახ, ჩემი ყველაზე ღრმა დარდის დღეებში შენ გააჩინა დედაშენმა.

2 და ეს მიწა, რომელიც არის ძალზედ ძვირფასი მიწა, დაე, ასევე აკურთხოს უფალმა შენთვის, შენი მემკვიდრეობისათვის და შენი შთამომავლობის მემკვიდრეობისათვის შენს ძმებთან ერთად, თქვენი უსაფრთხოებისათვის მარადის, თუ კი თქვენ დაიცავთ ისრაელის წმინდის მცნებებს.

3 და ახლა, იოსებ, ჩემო ნაბოლარავ, უდაბნოში გაჭირვების უამს დაბადებულ, დაე, გაკურთხოს უფალმა სამარადისოდ, რადგან სრულიად არ განადგურდება შენი შთამომავლობა.

4 ვინაიდან, აჰა, შენ ხარ ჩემი საზარდულის ნაყოფი; და მე ვარ იოსების შთამომავალი, რომელიც ტყვედ წაიყვანეს ეგვიპტეში. და დიადი იყო უფლის აღთქმები, რომელიც მან დადო იოსებთან.

5 ამიტომაც, იოსებმა ნამდვილად იხილა ჩვენი დღე. და მან მიიღო უფლის დაპირება, რომ მისი საზარდულის ნაყოფისაგან უფალი ღმერთი აღუზრდიდა ისრაელის სახლს მართალ ყლორტს; არა მესიას, არამედ ყლორტს, რომელიც ჩამოტყდებოდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მოსხენიებული იქნებოდა უფლის აღთქმებში, რომ მესია გამოეცხადებოდა მათ უკანასკნელ დღეებში ძალის სულით, რათა ამოიყვანოს ისინი ბნელეთიდან სინათლეში. დიახ, მალული ბნელეთიდან და ტყვეობიდან, თავისუფლებაზე.

6 რადგან იოსები ჭეშმარიტად მოწმობდა სიტყვებით: ნათელმჭვრეტელს აღზრდის უფალი, ჩემი ღმერთი, რომელიც იქნება რჩეული ნათელმჭვრეტელი, ჩემი საზარდულის ნაყოფისათვის.

7 დიახ, იოსებმა ჭეშმარიტად თქვა: ასე მეუბნება უფალი: მე აღზრდი რჩეულ ნათელმჭვრეტელს შენი საზარდულის ნაყოფისაგან; და ის იქნება დიდად დაფასებული შენი საზარდულის ნაყოფთა შორის. და მე მივცემ მას მცნებას, რომ გააკეთოს საქმე შენი საზარდულის ნაყოფისათვის, მისი ძმებისათვის, საქმე, რომელიც მათთვის იქნება ძვირფასი იმდენად, რომ მიიყვანს მათ იმ აღთქმების ცოდნისკენ რომლებიც მე დავდე შენს მამებთან.

8 და მე მივცემ მას მცნებას,

რომ არ გააკეთოს სხვა საქმე, გარდა იმისა, რასაც მე ვუბრძანებ და მას ჩემს თვალში განვადიდებ, რადგან გააკეთებს ჩემს საქმეს.

9 და ის გახდება დიადი, როგორც მოსე, რომელსაც, როგორც მე ვბრძანებ, აღვზრდი თქვენთვის, რათა გაანთავისუფლოს ჩემი ხალხი, ისრაელის სახლო.

10 და მოსეს აღვზრდი, რათა გამოიხსნას შენი ხალხი ეგვიპტეს მიწიდან.

11 მაგრამ ნათელმჭკრეტელს აღვზრდი შენი საზარდულის ნაყოფისაგან; და მე მას მივცემ ძალას – გამოუცხადოს ჩემი სიტყვა შენი საზარდულის შთამომავლობას და არა მარტო გამოუცხადოს ჩემი სიტყვა, – ამბობს უფალი, ასევე დაარწმუნოს ისინი ჩემს სიტყვაში, რომელიც უკვე მათ შორის გავრცელდა.

12 ამიტომაც, შენი საზარდულის ნაყოფი დაწერს; და იუდას საზარდულის ნაყოფიც დაწერს; და ის, რაც იქნება დაწერილი შენი საზარდულის ნაყოფის მიერ და ასევე იუდას საზარდულის ნაყოფის დაწერილი გაერთიანდება, რათა დაამარცხოს ცრუ მოძღვრებები, შეწყვიტოს განხეთქილება და დაამყაროს მშვიდობა შენი საზარდულის ნაყოფთა შორის და უკანასკნელ დღეებში ის მათ მიიყვანს მათვე მამების ცოდნასა და ჩემი აღთქმების ცოდნისკენ, – ბრძანებს უფალი.

13 და სუსტისაგან ის იქცევა ძლიერად იმ დღეს, როდესაც დაიწყება ჩემი სამუშაო ყველა ჩემს ხალხს შორის, რათა აღდგე შენ, ისრაელის სახლო, – ბრძანებს უფალი.

14 და ასე წინასწარმეტყველებდა იოსები სიტყვებით: აჰა, იმ ნათელმჭკრეტელს უფალი აკურთხებს; და ისინი, ვინც შეეცდებიან მის განადგურებას, იქნებიან შემუსრულნი, რადგან დაპირება, რომელიც მივიღე უფლისაგან ჩემი საზარდულის ნაყოფის შესახებ, აღსრულებული იქნება. აჰა, მე ვარ დარწმუნებული ამ დაპირების აღსრულებაში.

15 და მას დაერქმევა ჩემი სახელი; და ეს იქნება მისი მამის სახელი და ის იქნება ჩემი მსგავსი; რადგან იმას, რასაც უფალი მოავლენს თავისი ხელით, უფლის ძალით, მიიყვანს ჩემს ხალხს ხსნამდე.

16 დიახ, ასე წინასწარმეტყველებდა იოსები: მე ამაში დარწმუნებული ვარ ისე, როგორც დარწმუნებული ვარ მოსეს დაპირებაში; რადგან უფალმა მითხრა: მე დავიცავ შენს შთამომავლობას სამუდამოდ.

17 და თქვა უფალმა: მე აღვზრდი მოსეს; და მივცემ მას ძალას კვერთხში; და მივცემ მას სიბრძნეს წერაში. მაგრამ მე არ გავუხსნი მას ენას, რომ ბევრი ილაპარაკოს, რადგან მე არ გავხდი მას ძლევა მოსილს სიტყვით. მაგრამ მე დაუწერ მას ჩემს კა-

ნონს ჩემი თითით; და დავეუნიშნავ მას მჭერმეტყველს.

18 და უფალმა ასევე მითხრა: მე აღვზრდი ერთს შენი საზარდულის ნაყოფისათვის; და მე დავეუნიშნავ მას მჭერმეტყველს. და მე, აჰა მე, ვუბოძებ, დაწეროს წერილი შენი საზარდულის ნაყოფისა, შენი საზარდულის ნაყოფისათვის; და მჭერმეტყველი შენი საზარდულისა აუწყებს მას.

19 და სიტყვებს, რომლებსაც ის დაწერს, იქნება სიტყვები, რომლებმაც ჩემი სიბრძნით უნდა მიადწიონ შენი საზარდულის ნაყოფამდე და ეს იქნება ისე, როგორც შენი საზარდულის ნაყოფი შეჰკლადებდეს მათ მტვრიდან; რადგან მე ვიცი მათი რწმენა.

20 და ისინი მტვრიდან შეჰკლადებენ; დიახ, საკუთარ ძმებს მოუწოდებენ მონანიებისკენ, მრავალი თაობის გასვლის შემდეგაც. და ისე იქნება, რომ მათი ღაღადი გავრცელდება, დიახ, მათი სიტყვების უბრალოების თანახმად.

21 მათი რწმენის გამო მათი სიტყვები ამოვა ჩემი პირიდან მათი ძმებისათვის, რომლებიც არიან შენი საზარდულის ნაყოფი; და მათ რწმენაში მათ სუსტ სიტყვებს მივცემ ძალას, რათა ახსოვდეთ ჩემი აღთქმა, რომელიც მე დავდე შენს მამებთან.

22 და ახლა, აჰა, ჩემო შვილო,

იოსებ, აი ასე წინასწარმეტყველებდა მამაჩემი ძველად.

23 ამიტომ, ამ აღთქმის გამო, შენ ხარ კურთხეული; რადგან შენი შთამომავლობა არ იქნება განადგურებული, რამეთუ ისინი შეისმენენ ამ წიგნის სიტყვებს.

24 და მათ შორის აღიზრდება ერთი ძლიერი, რომელიც გააკეთებს მრავალ სიკეთეს, როგორც სიტყვით, ასევე საქმით, იქნება რა ღვთის ხელში ღრმა რწმენის მქონე იარაღი, რომ მოახდინოს ძლიერი საოცრებები და აკეთოს ის, რაც დიდია ღვთის თვალში ისრაელის სახლისა და შენი ძმების შთამომავლობის მნიშვნელოვნად აღდგენისათვის.

25 და ახლა, კურთხეული ხარ შენ, იოსებ. აჰა, შენ ხარ პატარა; ამიტომაც შეისმინე შენი ძმის, ნეფის, სიტყვები და მოგეზღვება შენ იმ სიტყვების თანახმად, რომლებიც მე ვთქვი. გახსოვდეს შენი მომაკვდავი მამის სიტყვები. ამინ.

თავი 4

ლეხი არიგებს და ლოცავს თავის შთამომავლობას. ის მოკვდა და დაასაფლავეს. ნეფი ხარობს ღვთის სიკეთეში. ნეფი უფალს ანდობს თავის სასოებას სამუდამოდ. დაახლოებით 588-570 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და ახლა მე, ნეფი, ვლაპარაკობ იმ წინასწარმეტყველებებზე,

რომლებზეც ილაპარაკა მამა-ჩემმა იოსების შესახებ, რომელიც წაყვანილი იქნა ეგვიპტეში.

2 ვინაიდან, აჰა, ის ჭეშმარიტად წინასწარმეტყველებდა მთელს თავის შთამომავლობაზე. და ბევრი არ მოიძებნება მის მიერ დაწერილ წინასწარმეტყველებებზე უფრო მეტად დიდი წინასწარმეტყველება. და მან იწინასწარმეტყველა ჩვენზე და ჩვენს მომავალ თაობებზე; და ეს დაწერილია სპილენძის ფირფიტებზე.

3 ამიტომაც, მას შემდეგ, რაც მამაჩემმა დაამთავრა იოსების წინასწარმეტყველებებზე ლაპარაკი, მან დაუძახა ლამანის შვილებს, მის ძეებსა და ასულებს და უთხრა მათ: აჰა, ჩემო ძენო და ასულნო, რომელნიც ხართ ჩემი პირმშოს ძენი და ასულნი, მინდა, რომ დაუგდოთ ყური ჩემს სიტყვებს.

4 რამეთუ უფალმა ღმერთმა თქვა: რამდენადაც დაიცავთ ჩემს მცნებებს, იმდენად აყვავდებით ამ მიწაზე; და რამდენადაც არ დაიცავთ ჩემს მცნებებს, იმდენად იქნებით ჩემი გარემოცვიდან მოკვეთილნი.

5 მაგრამ, აჰა, ჩემო ძენო და ასულნო, მე ვერ ჩავალ სამარეში ისე, რომ არ დაგიტოვოთ ჩემი კურთხევა; ვინაიდან აჰა, მე ვიცი, რომ თუ თქვენ იმ გზაზე აღიზრდებით, რომლითაც უნდა იართოთ, თქვენ მას არ გადაუხვევთ.

6 ამიტომაც, თუ დაწყველილნი იქნებით, აჰა, მე გიტოვებთ ჩემს კურთხევას, რომ წყევლა მოიხსნას თქვენგან და გადავიდეს თქვენი მშობლების თავზე.

7 ამიტომაც, ჩემი კურთხევის გამო, უფალი ღმერთი არ დაუშვებს, რომ თქვენ დაიღუპოთ; ამიტომაც, ის იქნება მოწყალე თქვენ მიმართ და თქვენი შთამომავლობის მიმართ მარადის.

8 და იყო ასე, რომ მას შემდეგ, რაც მამაჩემმა დაასრულა ლაპარაკი ლამანის ძეებთან და ასულებთან, მან მოიხმო ღემუჯლის ძენი და ასულნი.

9 და მან მიმართა მათ სიტყვებით: აჰა, ჩემო ძენო და ასულნო, რომლებიც ხართ ჩემი მეორე შვილის ძენი და ასულნი; აჰა, მე გიტოვებთ იგივე კურთხევას, რომელიც დაგუტოვე ლამანის ძეებსა და ასულებს; და ამიტომ, თქვენ არ იქნებით ბოლომდე განადგურებულნი; არამედ ბოლოს თქვენი შთამომავლობა იქნება კურთხეული.

10 და იყო ასე, როდესაც მამაჩემმა დაასრულა მათთან ლაპარაკი, აჰა, მან მიმართა ისმაელის ძეებს, დიახ, მთელ მის სახლს.

11 და როდესაც მან დაასრულა მათთან საუბარი, მიმართა სემს სიტყვებით: კურთხეული ხარ შენ და შენი შთამომავლობა; რადგან შენ მემკვიდრეობით მიიღებ მიწას ისევე, როგორც შენი ძმა, ნეფი. და შენი შთამომავლობა

ადირიცხება მის შთამომავლობასთან ერთად; და შენ იქნები ისეთი, როგორც არის შენი ძმა, შენი შთამომავლობა კი ისეთი, როგორც მისი შთამომავლობა და შენც იქნები კურთხეული მთელი შენი დღენი.

12 და იყო ასე, მას შემდეგ, რაც მამაჩემი, ლეხი, ელაპარაკა მთელ თავის სახლს, გულის გრძნობებისა და უფლის სულის თანახმად, რომელიც იყო მასში, ის დაბერდა. და იყო ასე, რომ მოკვდა და დაასაფლავეს.

13 და იყო ასე, რომ არ გასულა მრავალი დღე მისი სიკვდილის შემდეგ, რაც ლამანი და ლემუელი და ისმაელის ვაჟიშვილები განაწყენდნენ ჩემზე უფლის დარიგებების გამო.

14 რამეთუ მე, ნეფი, იძულებული ვიყავი მათთან მელაპარაკა მისი სიტყვის თანახმად; რამეთუ მათ ბევრი ველაპარაკე, ასევე მამაჩემიც, სიკვდილის წინ; იმ ნათქვამიდან მრავალი რამ ჩაწერილია ჩემს სხვა ფირფიტებზე; ვინაიდან ჩემ სხვა ფირფიტებზე ჩაწერილია უფრო ისტორიული ნაწილი.

15 და ამ ფირფიტებზე ვწერ იმას, რაც ჩემს სულშია და მრავალ წმინდა წერილს, რომელიც ამოტვიფრულია სპილენძის ფირფიტებზე. რადგან სული ჩემი ხარობს წმინდა წერილებით და გული ჩემი მსჯელობს მათზე და წერს მათ, ჩემი შვილების სასწავლებლად და სასარგებლოდ.

16 აჰა, ჩემი სული ხარობს უფლის საქმეებით და ჩემი გული განუწყვეტლივ მსჯელობს იმაზე, რაც მე ვნახე და მოვისმინე.

17 მაგრამ, მიუხედავად უფლის დიდი სიკეთისა, დამანახა რა, თავისი დიადი და საოცარი საქმენი, გული შემძახის, რა უბადრუკი ადამიანი ვარ! დიახ, გული ჩემი დაღონებულია ჩემი ხორცის გამო; სული ჩემი წუხს ჩემი ურჯულოებისგან.

18 გარშემორტყმული ვარ ცდუნებებითა და ცოდვებით, რომლებიც ასე ადვილად მაბრკოლებს.

19 და როდესაც მინდა გავიხარო, გული კენესის ჩემი ცოდვების გამო; მიუხედავად ამისა, მე ვიცი, ვის მიმართ მქონდა სასოება.

20 ჩემი ღმერთი იყო ჩემი საყრდენი; იგი გამიძღვა გაჭირვების უამს უდაბნოში; და გადამარჩინა წყლებში დიდი სიღრმისა.

21 მან აღმავსო თავისი სიყვარულით ისე, რომ ლამის შთაინთქა ხორცი ჩემი.

22 მან შემუსრა ჩემი მტრები, ააცახცახა ისინი ჩემ წინაშე.

23 აჰა, მან გაიგონა დღისით ჩემი ღაღადი და ღამე ხილგვებით მომცა ცოდნა.

24 და დღისით ვხდებოდი მამაცი, ძლიერი ლოცვით მის წინაშე; დიახ, ხმა მივაწვდინე მაღლა; და ჩამოვიდნენ ანგელოზები და მემსახურნენ.

25 და მისი სულის ფრთებზე

ჩემი სხეული იქნა წაღებული ძალზედ მაღალ მთებზე. და ჩემმა თვალებმა იხილეს უამრავი დიადი რამ, დიახ, ადამიანისათვის მეტად დიადი; იმიტომაც, მიბრძანეს, რომ ეს არ დამეწერა.

26 მაშინდა რატომ, თუ მე ვნახე ამდენი დიადი, თუ უფალი, თავის შემწეობით ადამიანთა შვილებისადმი, ეწვია ადამიანს ასეთი წყალობით, მაშინ რატომ უნდა ტიროდეს გული ჩემი და სული ჩემი რჩებოდეს მწუხარების ველზე და ხორცი ჩემი დნებოდეს და ჩემი ძალა სუსტდებოდეს გაჭირვების გამო?

27 და რატომ უნდა დავნებდე ცოდვას ჩემი ხორცის გამო? დიახ, რატომ უნდა დავეუთმო გზა ცდუნებას, რომ იმ ბოროტმა იქონიოს ადგილი ჩემს გულში, რათა გამინადგუროს სიმშვიდე და წუხდეს ჩემი სული? რატომ ვარ გაბრაზებული ჩემი მტრის გამო?

28 გაიღვიძე, სულო ჩემო! ნუღარ ჭკნები ცოდვის გამო! გაიხარე, გულო ჩემო, და ნუღარ დაიტევ შენში ჩემი სულის მტერს.

29 ნუღარ გაბრაზდები კვლავ ჩემი მტრების გამო. ნუღარ დამისუსტებ ძალას გაჭირვების გამო.

30 გაიხარე, ჩემო გულო, შეჰღაღადე უფალს და თქვე: უფალო, მე გადიდებ შენ მარადის, დიახ,

ჩემი სული გაიხარებს შენში, ჩემო ღმერთო და კლდეთ ჩემი ხსნისა.

31 უფალო, გამოიხიდი ჩემს სულს? გამოიხსნი მტრის ხელიდან? გამხდი ისეთად, რომ ვკანკალებდე ცოდვის გამოჩენისას?

32 დაე, ჯოჯოხეთის კარიბჭე მუდამ დახურული იყოს ჩემ წინაშე, რადგან გული ჩემი არის მოდრეკილი და სული ჩემი მომნანიებული! უფალო, ნუ დახურავ სამართლიანობის კარიბჭეს ჩემ წინაშე, რათა შეეძლო სიარული ქვედა ველის ბილიკზე, რათა სწორად ვიარო სწორი გზით!

33 უფალო, შემოსე შენი სამართლიანობის სამოსით! უფალო, დამისახე გზა, რომ გავეცალო მტერს! გაასწორე ჩემ წინ ბილიკი! ნუ დადებ ჩემს გზაზე დაბრკოლების ლოდს, არამედ გამისუფთავე გზა და ნუ გადამიღობავ გზას, არამედ გადაუღობე ჩემს მტერს გზები.

34 უფალო, მე გენდობოდი შენ და სამუდამოდ გენდობი. მე არ მივანდობ სასოებას ხორციელის ხელს; რადგან ვიცი, რომ წყეულია ის, ვინც ანდობს თავის სასოებას ხორციელის ხელს; დიახ, წყეულია ის, ვინც ანდობს თავის სასოებას ადამიანს ან ხორციელს გაიხდის თავის ძალად.

35 დიახ, მე ვიცი, რომ ღმერთი გულუხვად აძლევს იმას, ვინც სთხოვს. დიახ, ჩემი ღმერთი მომცემს, თუ არ მოეთხოვ ცუდს;

ამიტომაც, ავიმალღებ ხმას შენკენ; დიახ, მე შეგლადღებ, ჩემო ღმერთო, ჩემო სამართლიანობის კლდეო. აჰა, ჩემი ხმა სამუდამოდ ამაღლდება შენკენ, ჩემო კლდეო, ჩემო მარადიულო ღმერთო. ამინ.

თავი 5

ნეფიელები ემიჯნებიან ლამანიელებს, იცავენ მოსეს რჯულს და აშენებენ ტაძარს. ლამანიელები თავიანთი ურწმუნობის გამო არიან მოკვეთილნი უფლის გარემოცვიდან, დაწვევლილნი და მათრახად გადაიქცევიან ნეფიელებისთვის. დაახლოებით 588-559 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 აჰა, იყო ასე, რომ მე, ნეფიმ, მრავალჯერ შეგლადღე უფალს, ჩემს ღმერთს, ჩემი ძმების რისხვის გამო.

2 მაგრამ, აჰა, მათი რისხვა ჩემს წინააღმდეგ უფრო გაიზარდა, იმდენად, რომ ისინი ცდილობდნენ ჩემი სიცოცხლის მოსწრაფებას.

3 დიახ, ისინი ბუზღუნებდნენ ჩემზე სიტყვებით: ჩვენი უმცროსი ძმა ფიქრობს ჩვენზედ მმართველობაზე; და მის გამო, მოგვიწია მრავალი გაჭირვების ნახვა, ამიტომ, ახლა, მოდით ის მოვკლათ, რათა მეტი აღარ მოგვიწიოს მისი სიტყვების გამო გაჭირვების ატანა. რადგან, აჰა, არ გვსურს, რომ ის იყოს ჩვენი

მმართველი; რადგან ჩვენ, რომლებიც ვართ უფროსი ძმები, გვეკუთვნის ვიყოთ მმართველები ამ ხალხზედ.

4 ახლა, მე არ ვწერ ამ ფირფიტებზე ყველა იმ სიტყვას, რომლებითაც ისინი ბუზღუნებდნენ ჩემზე. მაგრამ საკმარისია ვთქვა, რომ ისინი ცდილობდნენ ჩემი სიცოცხლის მოსწრაფებას.

5 და იყო ასე, რომ უფალმა გამაფრთხილა, რომ მე, ნეფი, უნდა წავსულიყავი მათგან და გავქცეულიყავი უდაბნოში და ასევე ყველა, ვინც მოისურვებდა ჩემთან ერთად წამოსვლას.

6 ამიტომ, ეს იყო ასე, რომ მე, ნეფიმ, წავიყვანე ჩემი ოჯახი და ასევე ზორამი და მისი ოჯახი და სემი, ჩემი უფროსი ძმა და მისი ოჯახი და იაკობი და იოსები, ჩემი უმცროსი ძმები, ასევე ჩემი ძმები და ყველა, ვინც ჩემთან ერთად მოისურვა წამოსვლა. და ყველანი, ვინც ჩემთან ერთად მოისურვა წამოსვლა, იყვნენ ისინი, რომლებსაც სწამდათ ღვთის გაფრთხილებებისა და გამოცხადებებისა. ამიტომაც, მათ დაუგდეს ყური ჩემს სიტყვებს.

7 და ავიღეთ კარვები და ყველაფერი, რისი აღებაც შეიძლებოდა ჩვენთვის და ვიმოგზაურეთ უდაბნოში მრავალი დღის განმავლობაში. და მას შემდეგ, რაც ვიმოგზაურეთ მრავალი დღის განმავლობაში, გაეშალეთ კარვები.

8 და ჩემმა ხალხმა მოისურვა ამ ადგილისთვის სახელად გვეწოდა ნეფი; ამიტომაც ადგილს ნეფი ვუწოდეთ.

9 და ყველანი, ვინც ჩემთან ერთად იყვნენ, გადაწყვიტეს თავიანთი თავისთვის ეწოდებინათ ნეფის ხალხი.

10 და გულმოდგინედ ვიცავდით უფლის სამართალს, წესებსა და მცნებებს ყველაფერში, მოსეს რჯულის შესაბამისად.

11 და უფალი იყო ჩვენთან; და განსაკუთრებით წარმატებულნი გავხდით; რადგან ვთესავდით თესვს და კვლავ უხვად ვიძიოდით; და დავიწყეთ წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონლის და სხვა ყველანაირი ცხოველის მოშენება.

12 და მე, ნეფიმ, ასევე მოვიტანე ჩანაწერები, რომლებიც ამოტვიფრული იყო სპილენძის ფირფიტებზე; ასევე ბირთვი ანუ კომპასი, რომელიც უფლის ხელით იყო დამზადებული მამაჩემისთვის, იმის შესაბამისად, რაც დაწერილია.

13 და იყო ასე, რომ დავიწყეთ ამ მიწაზე განსაკუთრებულად აყვავება და გამრავლება.

14 და მე, ნეფიმ, ავიღე ლაბანის მახვილი და იმის მიხედვით დავამზადე მრავალი ხმალი, იმ შემთხვევისთვის, რომ ხალხი, რომელიც ლამანიელებად იწოდებოდა, როგორმე არ დაგვსხმოდა თავს და არ გავენადგურებინეთ; რადგან მე

ვიცოდი მათი სიძულვილის შესახებ ჩემსა და ჩემი შვილების მიმართ და მათ მიმართ, ვინც ჩემს ხალხად იწოდებოდა.

15 და მე ვასწავლე ჩემს ხალხს შენობების აშენება და ყველანაირი ხის დამუშავება და რკინის, სპილენძისა და თითბრის და ფოლადისა და ოქროს და ვერცხლის და ძვირფასი მადნის, რომელიც ძალზედ უხვად მოიპოვებოდა, დამუშავება.

16 და მე, ნეფიმ, ავაშენე ტაძარი; და ავაგე ის სოლომონის ტაძრის მსგავსად, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ის არ იყო იმდენი ძვირფასი მასალით აშენებული; რადგან ამ მიწაზე ისინი არ მოიპოვებოდა, ამიტომაც შეუძლებელი იყო მისი აშენება სოლომონის ტაძრის მსგავსად. მაგრამ ეს ნაგებობა იყო სოლომონის ტაძრის მსგავსი და მოპირკეთებული იყო ძალზედ ლამაზად.

17 და იყო ასე, რომ მე, ნეფი, მოვუწოდებდი ჩემს ხალხს, ყოფილიყვნენ შრომისმოყვარენი და თავიანთი ხელით ეშრომათ.

18 და იყო ასე, რომ მათ მოისურვეს მათი მეფე გავმხდარიყავი, მაგრამ მე, ნეფის, მსურდა, რომ მათ არ ჰყოლოდათ არანაირი მეფე; მიუხედავად ამისა, ვაკეთებდი მათთვის იმას, რისი ძალაც შემწევდა.

19 და აჰა, ჩემს ძმებს აუხდათ უფლის სიტყვა, ის, რაც მან მათ შესახებ თქვა, რომ მე

ვიქნებოდი მათი მმართველი და მასწავლებელი. ამიტომ, ვიყავი მათი მმართველი და მასწავლებელი, უფლის ბრძანების შესაბამისად, იქამდე, სანამ მათ არ მოისურვეს ჩემი სიცოცხლის მოსწრაფება.

20 ამიტომ, აღსრულდა უფლის სიტყვა, რომელიც მან მითხრა, ამბობდა რა: რამდენადაც არ დაუგდებენ ისინი ყურს შენს სიტყვებს, იმდენად მოკვეთილნი იქნებიან ისინი უფლის გარემოცვიდან. და აჰა, ისინი მოკვეთილნი იქნენ მისი გარემოცვიდან.

21 და მან მოავლინა მათზე წყევლა, დიახ, სასტიკი წყევლა, მათი ურჯულოების გამო. რადგან, აჰა, მათ გაიქვავეს გული მის წინააღმდეგ იმდენად, რომ გახდნენ კაჟის ქვის მსგავსნი; ამიტომ, იყვნენ რა თეთრნი და განსაკუთრებულად ლამაზნი და სასურველნი, რათა არ ყოფილიყვნენ მიმზიდველნი ჩემი ხალხისათვის, უფალმა ღმერთმა მოახდინა ისე, რომ ისინი შავი კანით დაიფარნენ.

22 და ასე ამბობს უფალი ღმერთი: მე ვიზამ ისე, რომ ისინი იქნებიან საზიზღარნი შენი ხალხისთვის, თუკი არ მონანიებენ თავიანთ ურჯულობას.

23 და წყეული იქნება იმის შთამომავლობა, ვინც აირვეა მათ შთამომავლობასთან; რადგან დაწყევლილნი იქნებიან

ისინი იგივე წყევლით. და ეს უფალმა თქვა და ასეც ახდა.

24 და წყევლის გამო, რომლითაც იყვნენ დაწყევლილნი, ისინი იქცნენ ზარმაც ხალხად, სიავით და ვერაგობით აღვსილნი; და ნადირობდნენ ისინი უდაბნოში გარეულ მხეცეებზე.

25 და უფალმა ღმერთმა მითხრა: ისინი შენი შთამომავლობისათვის იქნებიან, როგორც ჩემს მოსაგონებლად გონს მოსაგები მათრახი; და რამდენადაც აღარ ვეხსომები მათ და აღარ დაუგდებენ ჩემს სიტყვას ყურს, იმდენად გაამათრახებენ ისინი მათ, ბოლომდე განადგურებამდეც კი.

26 და იყო ასე, რომ მე, ნეფომ, ვაკურთხე იაკობი და იოსები, ყოფილიყვნენ მღვდლები და მასწავლებლები ჩემი ხალხის მიწაზე.

27 და იყო ასე, რომ ბედნიერი ცხოვრებით ვცხოვრობდით.

28 და გავიდა ოცდაათი წელი, რაც იერუსალიმიდან წამოვედით.

29 და მე, ნეფი, იმ დრომდე ვაკეთებდი ჩანაწერებს ჩემი ხალხის შესახებ ფირფიტებზე, რომლებიც დავამზადე.

30 და იყო ასე, რომ უფალმა ღმერთმა მითხრა: დაამზადე სხვა ფირფიტები; და შენ მათზე ამოტიფურავ ბევრს, რაც მართალია ჩემს თვალში, შენი ხალხის სასარგებლოდ.

31 ამიტომ, მე, ნეფი, უფლის

ბრძანებებისადმი მორჩილი რომ ვყოფილიყავი, წავედი და დავა-
მზადე ეს ფირფიტები, რომლებ-
ზეც ეს ამბები ამოვტვიფრე.

32 და მე ამოვტვიფრე ის, რაც ღვთისათვის არის სასურველი. და თუ ჩემი ხალხისათვის სასურველია ღვთის საქმენი, მაშინ სასურველი იქნება ამ ფირფიტებზე ჩემ მიერ ამონატვიფრიც.

33 და თუ ჩემს ხალხს სურს დაწვრილებით შეიცნოს ჩემი ხალხის ისტორიის გარკვეული ნაწილი, უნდა შეისწავლოს ჩემი სხვა ფირფიტები.

34 და საკმარისია ვთქვა, რომ გავიდა ორმოცი წელი და უკვე გეკონდა ომები და განხეთქილებები ჩვენს ძმებთან.

თავი 6

იაკობი მოგვითხრობს იუდეველების ისტორიას: ტყვეობას ბაბილონში და უკან დაბრუნებას; ისრაელის წმინდის მსახურებას და ჯვარცმას; წარმართთაგან მიღებულ დახმარებასა და იუდეველთა აღდგენას უკანასკნელ დღეებში, როდესაც ისინი მესიას ირწმუნებენ. დაახლოებით 559-545 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 ნეფის ძმის, იაკობის სიტყვები, რომელნიც მან უთხრა ნეფის ხალხს:

2 აჰა, ჩემო საყვარელო ძმებო, მე, იაკობი, ვიყავი რა ღვთის მიერ მოწოდებული და მივიღე

კურთხევა მისი წმინდა წესის შესაბამისად; და ვიყავი რა, ჩემი ძმის, ნეფის მიერ კურთხეული, რომელსაც თქვენ უყურებთ, როგორც მეფეს ან მფარველს და ვისზეც არის დამოკიდებული თქვენი უსაფრთხოება, აჰა, თქვენ იცით, რომ გითხარით ძალზედ ბევრი რამ.

3 მიუხედავად ამისა, მე კვლავ მოგმართავთ თქვენ, რადგან მსურს თქვენი სულების კეთილდღეობა. დიახ, დიდია ჩემი წუხილი თქვენ მიმართ; და თქვენ იცით, რომ ეს ყოველთვის ასე იყო. რადგან მე მოგიწოდებდით მთელი სიბეჯითით; და გასწავლიდით მამაჩემის სიტყვებს; და მე გეუბნებოდით იმ ყველაფერზე, რაც დაწერილია ქვეყნის დასაბამიდან.

4 და ახლა, აჰა, მე მინდა გესაუბროთ იმაზე, რაც არის ამჟამად და რაც მოხდება; ამიტომ, მე თქვენ წავიკითხავთ ესაიას სიტყვებს. და ეს არის სიტყვები, რომლებიც ჩემმა ძმამ ისურვა, თქვენთვის მეთქვა. და მე გეუბნებით თქვენთვის, რათა ისწავლოთ და აღიდოთ თქვენი ღმერთის სახელი.

5 და ახლა, სიტყვები, რომლებსაც მე წავიკითხავ, არის ის სიტყვები, რომლებიც ესაიამ თქვა მთელი ისრაელის სახლის შესახებ; ამიტომ, ისინი გეხებათ თქვენც, რადგან თქვენ მიეკუთვნებით ისრაელის სახლს. და არის ბევრი რამ, რაზედაც

საუბრობდა ესაია, რაც თქვენ გეხებათ, რადგან მიეკუთვნებით ისრაელის სახლს.

6 და ახლა, აი ეს სიტყვები: ასე ამბობს უფალი ღმერთი: აჰა, მე ხელს გაეუწვდი წარმართებს და ხალხს აღვუმართავ ჩემს დროშას; და ისინი მოიყვანენ შენს შვილებს ხელში აყვანილთ და შენს ასულებს – მხრებზე შემომსხდრებს.

7 და მეფენი იქნებიან შენი გამზრდელნი და მათი დედოფლები იქნებიან შენი ძიძები; მოიხრიან ქედს შენ წინაშე პირქვე დამხოვით და ალოკავენ შენს ფეხთა მტვერს; და შენ შეიცნობ, რომ მე ვარ უფალი და არ შერცხვებიან ისინი, ვინც მე მელოდებიან.

8 და ახლა მე, იაკობს, მსურს გითხრათ ცოტაოდენი ამ სიტყვების შესახებ. რადგან, აჰა, უფალმა მაჩვენა, რომ ისინი, ვინც იყვნენ იერუსალიმში, საიდანაც წამოვედით, დახოცეს და ტყვედ წაიყვანეს.

9 მიუხედავად ამისა, უფალმა მაჩვენა, რომ ისინი კვლავ დაბრუნდებიან. და მან ასევე მაჩვენა, რომ უფალი ღმერთი, ისრაელის წმინდა, გამოეცხადება მათ ხორციელად; და მას შემდეგ, რაც ის მათ გამოეცხადება, ისინი მას გაამათრახებენ და ჯვარს აცვამენ ანგელოზის სიტყვების მიხედვით, რომელმაც ეს მითხრა.

10 და მას შემდეგ, რაც ისინი გაიქცევიან გულს და გაიფიც-

ხებენ ქედს ისრაელის წმინდის წინააღმდეგ, აჰა, მათ მოეკლინებათ ისრაელის წმინდის სასჯელი. და დადგება დღე, როდესაც ისინი იქნებიან ნაცემნი და დატანჯულნი.

11 ამიტომ, მას შემდეგ, რაც ისინი იქნებიან დევნილნი აქეთ-იქით, ასე ამბობს ანგელოზი: მრავალი დაიტანჯება ხორციით და ერთგულთა ღოცვების გამო უფალი არ დაუშვებს მათ დაღუპვას; ისინი იქნებიან გაფანტულნი, ნაცემნი და შეძულებულნი; მიუხედავად ამისა, უფალი მოწყალე იქნება მათ მიმართ, ვინაიდან როდესაც ისინი შეიცნობენ მათ გამომსყიდველს, კვლავ შეიკრიბებიან ერთად თავიანთი მემკვიდრეობის მიწებზე.

12 და კურთხეულნი არიან წარმართნი, ისინი, რომლებზედაც დაწერა წინასწარმეტყველმა; რადგან, აჰა, თუ ისინი მოინანიებენ და არ იბრძოლებენ სიონის წინააღმდეგ და არ შეურთდებიან იმ დიდ და ბილწეკლესიას, ისინი გადარჩებიან; რადგან უფალი ღმერთი შეასრულებს თავის აღთქმებს, რომლებიც დადო შვილებთან; და ამ მიზნით დაწერა წინასწარმეტყველმა ეს ყველაფერი.

13 ამიტომ, ისინი, ვინც იბრძვიან სიონის და უფლის აღთქმული ხალხის წინააღმდეგ, ალოკავენ მათ ფერხთა მტვერს; და უფლის ხალხი არ შერცხვება. რადგან

უფლის ხალხნი არიან ისინი, ვინც მას ელოდებიან; რადგან ისინი აქამდე ელოდებიან მესიის მოსვლას.

14 და აჰა, წინასწარმეტყველის სიტყვების მიხედვით, მესია კვლავ ინებებს მათ დაბრუნებას მეორეჯერ; ამიტომ, ის გამოეცხადება მათ, ძალითა და დიადი დიდებულებით, მათი მტრების გასანადგურებლად, როდესაც დადგება ის დღე, როდესაც ისინი ირწმუნებენ მას; და ის არ გაანადგურებს მათ, ვისაც მისი სწამთ.

15 და ისინი, რომლებსაც არ სწამთ მისი, განადგურებულნი იქნებიან ცეცხლითა და ქარიშხლებით, მიწისძვრებითა და სისხლისღვრით და ჭირით და შიმშილით. და ისინი შეიცნობენ, რომ უფალი არის ღმერთი, ისრაელის წმინდა.

16 ნუთუ ნადავლი წაერთმევა ძლევაგამოსილს ან გამოეხსნებიან კანონიერად დატყვევებულნი?

17 მაგრამ ასე ამბობს უფალი: დატყვევებულნი ჩამოერთმევიან ძლევაგამოსილს და საშინელისგან გამოეხსნება ნადავლი; რადგან ძლევაგამოსილი ღმერთი გამოიხსნის თავის აღთქმულ ხალხს. რამეთუ ასე ამბობს უფალი: მე შევებრძოლები მათ, ვინც შენ გებრძვის.

18 და ვაჭმევ მათ, ვინც შენ გავიწროვებს, მათსავე საკუთარ ხორცს და დათვრებიან საკუთარი სისხლით, ვითარცა

ტკბილი ღვინით; და ყველა ხორციელს ეცოდინება, რომ მე, უფალი, ვარ შენი მხსნელი და შენი გამომსყიდველი, ძლევაგამოსილი იაკობისა.

თავი 7

იაკობი აგრძელებს ესაიას კითხვას: ესაია ქადაგებს, როგორც მესია. მესია ილაპარაკებს სწავლულთა ენით. ის მცემელთ ზურგს მიუშვერს. იგი არ შერცხვება. შეადარეთ ესაია 50. დაახლოებით 559-545 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 დიახ, ასე ამბობს უფალი: მე გაგიშვი თუ მოგკვეთე სამუდამოდ? რადგან ასე ამბობს უფალი: სად არის დედათქვენის გაყრის წერილი? ვისთან გაგიშვი? ან რომელ ჩემს მეგალეს მიგყიდეთ თქვენ? დიახ, ვის მიგყიდეთ? აჰა, თქვენივე ურჯულოების გამო გაციდეთ საკუთარი თავი და თქვენი შეცოდებების გამო გაშვებულთა დედათქვენი.

2 ამიტომ, როდესაც მოვედი, არავინ იყო; როდესაც ვიძახდი, დიახ, არავინ მპასუხობდა. ისრაელის სახლო, ნუთუ დამიმოკლდა ხელი, რომ ვერ გამოისყიდოს, ან აღარ შემწევს გამოხსნის ძალა? აჰა, მუქართი ვაშრობ ზღვას, მათ მდინარეებს უდაბნოდ ვაქცევ და მათი თევზი ყარს, რადგან დამშრალია წყლები და ისინი წყურვლით იხოცებიან.

3 მე შევმოსავ ზეცას წყვლიადით და ძაძას ვაფარებ მოსასხამად.

4 უფალმა ღმერთმა მომცა სწავლულთა ენა, რათა დროულად შევძლო გითხრა სიტყვა, ისრაელის სახლო. როდესაც ხართ დაქანცულნი, ის ყოველ დღე გაღვიძებთ დილაობით, ის აღვიძებს ჩემს ყურს, რათა ვუსმინო სწავლულთა მსგავსად.

5 უფალმა ღმერთმა გამიხსნა ყური; და მე არ ავუჯანყდი მას და არ დავიხიე უკან.

6 ზურგი მივუშვირე ჩემს მცემელთ და ლოყები – თმის მგლეჯელთ. სახეს არ ვიფარავდი სირცხვილისა და შევუერთებობისგან.

7 რადგან უფალი ღმერთი დამეხმარება, არ ვიქნები შერცხვენილი. ამიტომაც კაჟად ვიქციე სახე და ვიცი, რომ არ შევრცხვები.

8 და უფალი ახლოსაა და მამართლებს. ვინ შემედაგება? მოდით ერთად დავდგეთ. ვინ არის ჩემი მოწინააღმდეგე? დაე, მომიახლოვდეს და მას დავამარცხებ ჩემი სიტყვის ძალით.

9 ვინაიდან მე უფალი ღმერთი დამეხმარება. და ყველა ის, ვინც განმსჯის მე, აჰა, ყველა სამოსელივით დაძველდება და ჩრჩილი შეჭამს მათ.

10 ვინ არის თქვენ შორის, ვისაც ეშინია უფლისა, ვინც ემორჩილება მისი მსახურის ხმას, რომელიც ბნელეთში დადის და არა აქვს ნათელი?

11 აჰა, თქვენ, ცეცხლის გამჩაღებელნი, ნაპერწკლების დამკავებელნი, იარეთ თქვენი ცეცხლის შუქსა და ნაპერწკლებში, რომლებიც თქვენ დაანთეთ. ეს გელით თქვენ ჩემი ხელიდან: დაწვებით მწუხარებაში.

თავი 8

იაკობი აგრძელებს ესაიას კითხვას: უკანასკნელ დღეებში უფალი ანუგეშებს სიონს და შეკრებს ისრაელს. გამოსყიდულნი სიონში მოვლენ დიდი სიხარულით. შეადარეთ ესაია 51 და 52:1-2. დაახლოებით 559-545 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 დამიგდეთ ყური, თქვენ, სამართლიანობის მიმდევარნი. შეხედეთ იმ კლდეს, რომლისგანაც ხართ გამოკვეთილნი და ორმოს სიღრმეს, რომლიდანაც ხართ ამოთხრილნი.

2 შეხედეთ მამათქვენს, აბრაამს, და სარას, იმას, რომელმაც გაგაჩინათ; რადგან იმ ერთს მოვუხმე და ვაკურთხე იგი.

3 ვინაიდან უფალი ანუგეშებს სიონს, ის ანუგეშებს მის ყოველ აოხრებულ ადგილს; და ედემად აქცევს მის ხრიოკს და მის უდაბნოს – უფლის წალკოტად. სიხარული და ბედნიერება იქნება მასში, სამადლობელი და გალობის ხმა.

4 დამიგდეთ ყური, ჩემო ხალხო,

და მომისმინე, ჩემო ერო. რადგან ჩემგან წამოვა რჯული და სამართალი, ჩემი იქნება სინათლე ხალხისათვის.

5 ჩემი სამართალი ახლოსაა; ხსნა ჩემი გამოვიდა და ჩემი მკლავი განსჯის ხალხებს. კუნძულები დამენდობა და ჩემს მკლავს დაეყრდნობა.

6 მიაპყართ თვალები ზეცას და დახედეთ დედამიწას ქვემოთ; რადგან ზეცა კვამლივით გაიფანტება და დედამიწა სამოსელივით დაძველდება; და ისინი, რომლებიც მასზე ცხოვრობენ, მისწაირადვე დაიხოცებიან. მაგრამ სამარადისო იქნება ჩემი ხსნა და ჩემი სამართალი არ შეწყდება.

7 დამიგდეთ ყური, სამართლის მცოდნენო, ხალხო, რომელთა გულებშიც დავწერე ჩემი რჯული, ნუ გექნებათ ადამიანთაგან გინების შიში და ნურც მათი ლანძღვის შეგეშინდებათ.

8 რადგან შეჭამს მათ ჩრჩილი სამოსელივით და მატლი შეჭამს, როგორც მატყლს; მაგრამ სამართალი ჩემი იქნება სამარადისო და ხსნა ჩემი – თაობიდან თაობამდე.

9 გაიღვიძე, გაიღვიძე! შეიმოსე ძალა, უფლის მკლავო. გაიღვიძე, როგორც ძველ დღეებში. ნუთუ შენ არ ხარ ის, რომელმაც დაანაკუწა რაჰაბი და მოკლა ურჩხული?

10 ნუთუ არ ხარ ის, რომელმაც დააშრო ზღვა, დიდი სიღრმის

წყლები; ის, რომელმაც ზღვის სიღრმენი გზად აქცია გამოსყიდულთა გასაგვლელად?

11 ამიტომ, უფლის მიერ გამოსყიდულნი დაბრუნდებიან და სიმღერით მოვლენ სიონში; და მათ თავზედ მოეფინება მარადიული სიხარული და სიწმინდე; და მიიღებენ ბედნიერებასა და სიხარულს; ჩამოსცილდებით დარდი და გლოვა.

12 ის მე ვარ; დიახ, მე ვარ ის, ვინც თქვენ განუგეშებთ. აჰა, ვინ ხარ შენ, რომ გეშინია ადამიანისა, რომელიც მოკვდება და ადამიანის ძისა, რომელიც ბალახად იქცევა?

13 და გავიწყდება უფალი, შენი შემქმნელი, რომელმაც გადაჭიმა ზეცა და დაუდო საფუძველი დედამიწას და განუწყვეტლივ ყოველი დღე გეშინია მზავრელის მრისხანების, თითქოს მზად იყოს განადგურებისათვის? და სად არის მზავრელის მრისხანება?

14 დატყვევებული დევნილი ჩქარობს, განთავისუფლდეს და ორმოში არ მოკვდეს და არც პური გაუთავდეს.

15 მაგრამ მე ვარ უფალი, შენი ღმერთი, რომლის ტალღები ღრიალებდა; ცაბაოთ უფალია ჩემი სახელი.

16 და პირში ჩაგიდე სიტყვები და გადაგაფარე ჩემი ხელის ჩრდილი, რათა დამეთესა ზეცა და დამედო საფუძველი დედამიწისთვის და მეთქვა სიონისთვის: აჰა, შენ ხარ ჩემი ხალხი.

17 გაიღვიძე, გაიღვიძე, ადექი, იერუსალიმო, რომელმაც უფლის ხელიდან შესვა მისი მრისხანების თასი. შენ ბოლომდე შესვი მისი თრთოლვის თასი თავის ნალექით.

18 და არა ჰყავს მას გამძლოლი შვილთა შორის, რომლებიც მან შვა; არც ხელის დამჭერი შვილთა შორის, რომლებიც მან გაზარდა.

19 ეს ორი შვილი მოვიდა შენთან, ვინ იდარდებს შენზე, შენს აოხრებასა და ნგრევაზე, შიმშილსა და მახვილზე და ვისი მეშვეობით უნდა განუგეშო?

20 შვილები შენი, ამ ორის გარდა, დაუძღურდნენ; ისინი წვანან ყოველი ქუჩის თავში, როგორც გარეული ხარი ასმანაკში, აღსავსენი უფლის რისხვით, შენი ღმერთის საყვედურით.

21 ამიტომ, მოისმინე ახლა ეს, შენ, გაჭირვებულ და მთვრალე, თუმცა არა ღვინით;

22 ასე ამბობს შენი უფალი, უფალი და შენი ღმერთი ქომაგობს თავის ხალხს; აჰა, მე გამოგართვი ხელიდან თრთოლვის თასი, ჩემი რისხვის თასის ნალექი; შენ მას მეტად აღარ შესვამ.

23 მაგრამ მე მას მივცემ ხელში შენს მტანჯველთ, რომლებიც ეუბნებოდნენ შენს სულს: ქედი მოიხარე, რომ შენზე გავიართო; და შენ დადე შენი სხეული, როგორც მიწა და ქუჩა მათთვის, ვინც მასზე დადის.

24 გაიღვიძე, გაიღვიძე, შეიმოსე ძალით, სიონო; ჩაიცვი მშვენიერი სამოსი, იერუსალიმო, წმინდა ქალაქო; რადგან ამიერიდან ვეღარ შემოვა შენში წინდა-უცვეთავი და უწმინდური.

25 ჩამოიბერტყე მტვერი, აღსდექ, ამხედრდი, იერუსალიმო, მოიხსენი ბორკილები კისრიდან, სიონის დატყვევებულ ასულო.

თავი 9

იაკობი განმარტავს, რომ იუდეველები შეკრებილნი იქნებიან თავიანთ ყოველ აღთქმულ მიწაზე. გამოსყიდვა ადამიანს გამოისყიდის დაცემისაგან. გარდაცვლილთა სხეულები აღდგება საფლავებიდან, მათი სულები კი - ჯოჯოხეთიდან და სამოთხიდან. ისინი იქნებიან განკითხულნი. გამოსყიდვა გადაარჩენს სიკვდილის, ჯოჯოხეთის, ეშმაკისა და უსასრულო წამებისგან. მართალნი გადაარჩებიან ღვთის სასუფეველში. ცოდვებისათვის დანიშნულია სასჯელი. ისრაელის წმინდა არის კარიბჭის მცველი. დაახლოებით 559-545 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და ახლა, ჩემო საყვარელო ძმებო, მე წავიკითხე ეს ყველაფერი, რათა თქვენ იცოდეთ უფლის აღთქმების შესახებ, რომელნიც მან აღუთქვა ისრაელის სახლს.

2 რომლებზედაც ის ეუბნებოდა

იუდეველებს, მისი წმინდა წინასწარმეტყველების პირით, დიახ, დასაბამიდანვე და შემდეგ თაობიდან თაობამდე, სანამ არ მოვიდოდა დრო, როდესაც ისინი აღდგენილნი იქნებოდნენ ჭეშმარიტ ეკლესიაში და ღვთის ფარაში; როდესაც შეიკრიბებიან სახლში მათი მემკვიდრეობის მიწებზე და დამკვიდრებიან თავიანთ ყოველ აღთქმულ მიწაზე.

3 აჰა, ჩემო საყვარელო ძმებო, მე გეუბნებით ამას, რათა გაიხაროთ, აიმაღლეთ თავი სამარადისოდ, იმ კურთხევების გამო, რომლებსაც უფალი ღმერთი უბოძებს თქვენს შვილებს.

4 რადგან მე ვიცი, რომ მრავალმა თქვენგანმა ბევრი იკვლია, რათა გაგეგოთ მომავლის შესახებ; ამიტომ, მე ვიცი, რომ თქვენ იცით – ჩვენი ხორცი უნდა გამოიფიტოს და მოკვდეს; მიუხედავად ამისა, ჩვენ სხეულში ვიხილავთ ღმერთს.

5 დიახ, მე ვიცი, რომ თქვენ იცით, რომ ის სხეულით გამოეცხადება მათ, ვინც არიან იერუსალიმთან, საიდანაც მოვედით; რადგან აუცილებელია, რომ ეს მოხდეს მათ შორის; ვინაიდან დიადი შემოქმედისთვის აუცილებელია, ნება მისცეს საკუთარ თავს მორჩილებდეს ხორციელ ადამიანს და მოკვდეს ყოველი ადამიანისათვის, რათა ყოველი ადამიანი მორჩილებდეს მას.

6 ვინაიდან სიკვდილი ერგო ყოველ ადამიანს; რათა აღ-

სრულდეს დიადი შემოქმედის მოწყალე გეგმა, აუცილებელია იყოს აღდგომის ძალა და აუცილებელია აღდგომა მივიდეს ადამიანთან დაცემის შედეგად; დაცემა კი მოვიდა შეცოდების შედეგად; და რადგან ადამიანი დაეცა, ის მოკვეთილ იქნა უფლის გარემოცვიდან.

7 ამიტომ, აუცილებელია იყოს უსაზღვრო გამოსყიდვა; რომ არა უსაზღვრო გამოსყიდვა, ვერ შეიმოსებოდა ეს ხრწნადი უხრწნელობით. ამიტომ, პირველი სასჯელი, რომელიც ადამიანს მიეზღო, აუცილებლად უნდა დარჩენილიყო უსასრულოდ. და თუ ასე იქნებოდა, ეს ხორცი უნდა ჩაწოლილიყო ღმობისთვის და მშობელ მიწაში მტვრად ქცევისთვის, რომ მეტად აღარ აღმდგარიყო.

8 ო, ღვთის სიბრძნე, მისი წყალობა და მადლი! რადგან, აჰა, ხორცი რომ აღარასდროს აღმსდგარიყო, ჩვენი სული უნდა ყოფილიყო იმ ანგელოზის ძალაუფლების ქვეშ, რომელიც დაეცა მარადიული ღვთის გარემოცვიდან და იქცა ეშმაკად, რომ აღარ აღმსდგარიყო.

9 და ჩვენი სულები უნდა გამხდარიყო მისნაირი და ვიქცეოდით ეშმაკებად, ეშმაკის ანგელოზებად, რათა არ ვყოფილიყავით დაშვებულნი ჩვენი ღმერთის გარემოცვაში და დავრჩენილიყავით ტყუილების მამასთან უბედურებაში, როგორც

ის თვითონაა; დიახ, იმ არსებასთან, რომელმაც შეაცდინა ჩვენი პირველი მშობლები, რომელიც გარდაისახება თითქმის სინათლის ანგელოზად და უბიძგებს ადამიანთა შვილებს საიდუმლო შეთქმულებების მკვლელობებისა და ბნელეთის ყოველგვარი საიდუმლო საქმეებისაკენ.

10 რაოდენ დიდია ჩვენი ღვთის სიკეთე, რომელიც გვიმზადებს გამოხსნის გზას ამ საზარელი ურჩხულის ხელიდან; დიახ, იმ ურჩხულისაგან, სიკვდილისა და ჯოჯოხეთისგან, რომელსაც მე ვუწოდებ სხეულის სიკვდილს და ასევე სულის სიკვდილს.

11 და ჩვენი ღვთის, ისრაელის წმინდის გამოხსნის გზის შედეგად, ეს სიკვდილი, რომელზედაც მე ვლაპარაკობდი, რომელიც არის მიწიერი, გამოიხსნის მის მკვდრებს; ეს სიკვდილი კი არის საფლავი.

12 და ეს სიკვდილი, რომელზეც მე ვლაპარაკობდი, რომელიც არის სულიერი სიკვდილი, გამოიხსნის მის მკვდრებს; ეს სულიერი სიკვდილი არის ჯოჯოხეთი; ამიტომ, სიკვდილმა და ჯოჯოხეთმა უნდა გამოიხსნან თავიანთი მკვდრები, ჯოჯოხეთმაც უნდა გამოიხსნას თავისი დატყვევებული სულები და საფლავმა უნდა გამოიხსნას თავისი დატყვევებული სხეულები და ადამიანების ეს სხეულები და სულები ერთმანეთისთვის აღდგებიან; და ეს მოხდება

ისრაელის წმინდის აღდგომის ძალით.

13 ო, რაოდენ დიდია ღვთის გეგმა! ვინაიდან მეორე მხრივ, ღვთის სამოთხემ უნდა გამოიხსნას მართალთა სულები და საფლავმა გამოიხსნას მართალთა სხეულები; და სული და სხეული კვლავ აღდგებიან ერთმანეთისთვის; და ყველა ადამიანი გახდება უხრწელი და უკვდავი; და იქნებიან ცოცხალი სულები, ექნებათ სრულყოფილი ცოდნა, როგორც ჩვენ, ხორციელთ, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ჩვენი ცოდნა იქნება სრულყოფილი.

14 ამიტომ, ჩვენ გვექნება სრულყოფილი ცოდნა ყველა ჩვენი დანაშაულის, უწმინდურობისა და სიშიშვლის შესახებ; და მართლებს ექნებათ სრულყოფილი ცოდნა თავიანთი ტკობის და სიმართლის შესახებ, იქნებიან რა სიწმინდით შემოსილნი, დიახ, სამართლიანობის სამოსელითაც.

15 და იქნება ასე: როდესაც ყოველი ადამიანი გადავა ამ პირველი სიკვდილიდან სიცოცხლეში, რამდენადაც გახდებიან უკვდავნი, ისინი უნდა წარსდგნენ ისრაელის წმინდის სამსჯავროზე; და შემდეგ მოვა განკითხვა და ისინი განიკითხებიან ღვთის წმინდა სამართლის შესაბამისად.

16 და უეჭველად, ისე, როგორც ცოცხალია უფალი, რადგან ეს

თქვა უფალმა ღმერთმა და ეს არის მისი მარადიული სიტყვა, რომელიც ვერ გადავა, რომ ისინი, რომლებიც არიან მართალნი, კვლავ იქნებიან მართლები და ისინი, რომლებიც არიან ბინძურნი, კვლავ იქნებიან ბინძურნი; ამიტომ, ისინი, რომლებიც არიან ბინძურნი, არიან ეშმაკი და მისი ანგელოზები; და ისინი წავლენ მათთვის მომზადებულ მარადიულ ცეცხლში; და წამება მათი არის როგორც ცეცხლისა და გოგირდის ტბა, რომლის ალი აღის მაღლა უკუნითი უკუნისამდე და არის უსასრულო.

17 ო, ჩვენი ღმერთის სიდიადე და სამართალო! რადგან ის აღასრულებს თავის ყოველ სიტყვას და მისი პირიდან გამოვიდა ეს სიტყვები და უნდა აღსრულდეს მისი კანონი.

18 მაგრამ, აჰა, მართალნი, წმინდანები ისრაელის წმინდისა, ისინი, ვინც იწამეს ისრაელის წმინდა, ისინი, ვინც გაუძლო ამა ქვეყნის ჯვარს და სძულს მისგან სირცხვილი, ისინი მემკვიდრეობით მიიღებენ ღვთის სასუფეველს, რომელიც ქვეყნის დასაბამიდან იყო მათთვის მომზადებული და მათი სიხარული იქნება სავსე სამარადისოდ.

19 ჩვენი ღვთის, ისრაელის წმინდის წყალობა! რადგან ის გამოიხსნის მის წმინდანებს იმ საზარელი ურჩხულის, ეშმაკისა და სიკვდილისაგან და ჯოჯო-

ხეთისგან და იმ ცეცხლისა და გოგირდის ტბისგან, რომელიც არის უსასრულო წამება.

20 ო, როგორი ღიაღია სიწმინდე ჩვენი ღვთისა! რადგან მან იცის ყველაფერი და არ არსებობს რაიმე ისეთი, რაც მან არ იცის.

21 და ის მოდის ამქვეყნად, რათა შეძლოს ყოველი ადამიანის გადარჩენა, თუ ისინი მის ხმას დაუგდებენ ყურს; რადგან, აჰა, ის იტანს ყოველი ადამიანის ტკივილს, დიახ, ყოველი ცოცხალი არსების ტკივილს, როგორც კაცების, ასევე ქალებისა და ბავშვების, რომლებიც მიეკუთვნებიან ადამის ოჯახს.

22 და ის იტანს ამას, რათა ყოველ ადამიანთან მივიდეს აღდგომა, რომ ყველა წარსდგეს მის წინაშე ღიღსა და განკითხვის დღეს.

23 და ის უბრძანებს ყოველ ადამიანს, მოინანიოს და მოინათლოს მისი სახელით, იქონიოს სრულყოფილი რწმენა ისრაელის წმინდაში, სხვაგვარად ისინი ვერ გადარჩებიან ღვთის სასუფეველში.

24 და თუ არ მოინანიებენ და არ იწამებენ მის სახელს და არ მოინათლებიან მისი სახელით და არ გაძლებენ ბოლომდე, იქნებიან განწირულნი, რადგან უფალმა ღმერთმა, ისრაელის წმინდამ, ასე თქვა.

25 ამიტომ, მან მოგვცა რჯული; და იქ, სადაც არ არის მოცემული

რჯული, არ იქნება სასჯელი; და იქ, სადაც არ არის სასჯელი, არ იქნება განაჩენი; და იქ, სადაც არ არის განაჩენი, ისრაელის წმინდის მოწყალება მოეფინება მათ გამოსყიდვის გამო; რადგან ისინი გამოსხნილნი არიან მისი ძალით.

26 რადგან გამოსყიდვა აკმაყოფილებს მისი სამართალის მოთხოვნას ყოველი მათგანის მიმართ, ვისაც არ მიეცა რჯული, ასე რომ, ისინი გამოსხნილნი არიან იმ საზარელი ურჩხულის, სიკვდილისა და ჯოჯოხეთისგან და ეშმაკისაგან და ცეცხლისა და გოგირდის ტბისგან, რომელიც არის უსასრულო წამება; და ისინი დაბრუნებულნი არიან იმ ღმერთთან, რომელმაც მათ სუნთქვა აჩუქა, რომელიც არის ისრაელის წმინდა.

27 მაგრამ ვარამი მას, ვისაც მიეცა რჯული, დიახ, რომელსაც აქვს ღმერთის ყველა მცნება, როგორც ჩვენ, ვინც არღვევენ მათ და ფლანგავენ მისი გამოცდის დღეებს, რადგან საშინელია მისი მდგომარეობა.

28 ო, იმ ბოროტის ცბიერი გეგმა! ადამიანების ამაოება, სისუსტენი და უგუნურება! როდესაც არიან სწავლულნი ფიქრობენ, რომ არიან ბრძენნი და ყურს არ უგდებენ ღმერთის რჩევას, რადგან მას გვერდზე გადადებენ, ჰგონიათ რა, რომ თვითონ იციან. ამიტომ, მათი სიბრძნე არის უგუნურება და მას არ

მოაქვს მათთვის სარგებელი. და ისინი დაიღუპებიან.

29 მაგრამ კარგია იყო სწავლული, თუ ყურს დაუგდებ ღვთის რჩევებს.

30 მაგრამ ვარამი მდიდრებს, რომლებიც არიან მდიდარნი მიწიერი კეთილდღეობის გაგებით. ვინაიდან თავიანთი სიმდიდრის გამო მათ სძულთ ღარიბნი და ღვენიან თვინიერთ; და მათი გულები მათ საგანძურებშია; ამიტომ, მათი საგანძურები არის მათი ღმერთი. და აჰა, მათი საგანძურიც დაიღუპება მათთან ერთად.

31 და ვარამი დაყრუებულთ, რომლებსაც არ სურთ მოსმენა; რადგან ისინი დაიღუპებიან.

32 ვარამი ბრძებს, რომლებსაც არ სურთ დანახვა, რადგან ისინიც დაიღუპებიან.

33 ვარამი გულით წინდაუცვეთლებს, რადგან მათი ურჯულოების ცოდნა დაღუპავს მათ უკანასკნელ დღეს.

34 ვარამი ტყუილის მთქმელს, რადგან ის ჩაგდებული იქნება ჯოჯოხეთში.

35 ვარამი მკვლელს, რომელიც კლავს წინასწარ განზრახვით, რადგან იგი მოკვდება.

36 ვარამი მათ, ვინც მრუშობს, რადგან ისინი ჩაგდებულნი იქნებიან ჯოჯოხეთში.

37 დიახ, ვარამი მათ, ვინც კერპებს ეთაყვანება, რადგან ყველა ეშმაკთა ეშმაკი ხარობს მათში.

38 და ბოლოს, ვარამი მათ

ყველას, რომელნიც კვდებიან თავიანთ ცოდვებში, რადგან ისინი დაბრუნდებიან თავიანთ ღმერთთან და იხილავენ მის სახეს და დარჩებიან თავიანთ ცოდვებში.

39 ჩემო საყვარელო ძმებო, გახსოვდეთ, როგორი საშინელია წმინდა ღმერთის წინააღმდეგ დანაშაულის ჩადენა და ასევე როგორი საშინელია იმ ცბიერის ცდუნებისდაყოლა. გახსოვდეთ, ხორციელი აზროვნება არის სიკვდილი, სულიერი აზროვნება არის მარადიული სიცოცხლე.

40 ჩემო საყვარელო ძმებო, დაუგდეთ ყური ჩემს სიტყვას. გახსოვდეთ ისრაელის წმინდის სიღიადე. ნუ იტყვი, რომ მე ვთქვი მძიმე სიტყვები თქვენ წინააღმდეგ; რადგან, თუ ასე მოიქცევით, თქვენ გალანძღავთ ჭეშმარიტებას; რადგან მე ვთქვი თქვენი შემქმნელის სიტყვები. მე ვიცი, რომ ჭეშმარიტების სიტყვები არის მძიმე ყოველგვარი უწმინდურობისთვის, მაგრამ მართლებს არ ეშინიათ მათი, რადგან უყვართ ჭეშმარიტება და არიან უდრეკნი.

41 მაშინ, ჩემო საყვარელო ძმებო, მოდით უფალთან, წმინდასთან. გახსოვდეთ, რომ მისი გზა არის მართალი. აჰა, გზა ადამიანისთვის არის ვიწრო, მაგრამ ის სწორად მიემართება მის წინ და ისრაელის წმინდა არის კარიბჭის მცველი; და არ ჰყავს იქ დაქირავებული მსახური და არ არსებობს სხვა გზა, გარდა

ამ კარიბჭისა; რადგან ის ვერ მოტყუვდება, ვინაიდან უფალი ღმერთია მისი სახელი.

42 და ვინც დააკაკუნებს, იგი გაუღებს; და ბრძენნი, სწავლულნი და ისინი, რომლებიც არიან მდიდარნი, ვინც არიან გაყოფილებულნი საკუთარი სწავლულობის, სიბრძნისა და სიმდიდრისგან, დიახ, ესენი არიან, ვინც მას სძულს; და თუ არ ჩამოიშორებენ ამ ყველაფერს და არ სცნობენ თავიანთ თავს ღვთის წინაშე უცოდინრებად და არ მოიყრიან მუხლს ღრმა თავმდაბლობით, ის მათ არ გაუღებს.

43 მაგრამ რაც არის ბრძენთა და წინდახედულთათვის, ის დაფარული იქნება მათთვის სამუდამოდ; დიახ, ის ბედნიერება, რაც მომზადებულია წმინდანთათვის.

44 ჩემო საყვარელო ძმებო, დამახსოვრეთ ჩემი სიტყვები. აჰა, მე ვიხდი სამოსს და ვფერთხავ თქვენ წინაშე; მე ვლოცულობ ჩემი ხსნის ღმერთისადმი, რათა შემომხედოს თავის ყოვლისმხილველი თვალით; ამიტომ, მაშინ, როდესაც ყველა ადამიანი განიკითხება თავისი საქმეებისთვის უკანასკნელ დღეს, თქვენ გაიგებთ, რომ ისრაელის ღმერთი იყო მოწმე იმისა, რომ მე ჩამოვფერთხე თქვენი ურჯულოება ჩემი სულიდან და რომ ვდგავარ მის წინაშე გაბრწყინებული და თქვენი სისხლისაგან განწმენდილი.

45 ჩემო საყვარელო ძმებო, ზურგი აქციეთ ცოდვებს; ჩამოიყარეთ იმის ჯაჭვები, ვისაც სურს, ძლიერ შეგბოჭოთ; მოდით იმ ღმერთთან, რომელიც არის კლდე თქვენი ხსნისა.

46 მოიმზადეთ სული იმ დიდებული დღისთვის, როდესაც სამართალი მიეზღვებათ მართლებს, განკითხვის დღეს რომ არ შეძრწუნდნენ საშინელი შიშით; რომ არ გახსოვდეთ თქვენი საშინელი დანაშაული სრულად და არ მოგიწიოთ წამოძახება: წმინდაა, წმინდა შენი სასჯელი, უფალო ღმერთო ყოვლადძლიერო, მაგრამ ვიცი ჩემი დანაშაული; დავარღვიე შენი კანონი და მეკუთვნის ჩემი შეცოდებანი; და დამეუფლა ეშმაკი და ვარ მისი საშინელი უბედურების მსხვერპლი.

47 მაგრამ, აჰა, ჩემო ძმებო, ნუთუ არის საჭირო გაგადვიდოთ ამ ყველაფრის საშინელი სინამდვილისთვის? ნუთუ ავაფორიაქებდი თქვენს სულებს, თქვენი გონება რომ წმინდა ყოფილიყო? ნუთუ ვიქნებოდი პირდაპირი თქვენ მიმართ, ამ ჭეშმარიტების სინათლის შესაბამისად, თქვენ ცოდვისგან თავისუფლები რომ ყოფილიყავით?

48 აჰა, თქვენ რომ ყოფილიყავით წმინდანები, მე დაგელაპარაკებოდით სიწმინდეზე; მაგრამ, რადგან არ ხართ წმინდანები და მიყურებთ როგორც მასწავლებელს, მაშინ აუცილებლად

საჭიროა გასწავლოთ ცოდვის შედეგების შესახებ.

49 აჰა, ჩემს სულს ეზიზღება ცოდვა და გული ჩემი ხარობს სამართლიანობაში; და მე ვაქებ ჩემი ღვთის წმინდა სახელს.

50 მოდით, ჩემო ძმებო, ყოველო მწყურვალნო, მოდით წყლებთან; და ფულის უქონელნო, მოდით და შეიძინეთ და ჭამეთ. დიახ, მოდით და შეიძინეთ ღვინო და რძე უფულოდ და უსასყიდლოდ.

51 ამიტომ, ნუ დახარჯავთ ფულს იმაზე, რაც არაფრად ღირებულია; ნურც თქვენს შრომას იმაზე, რაც ვერ დაგაკმაყოფილებთ. ბეჯითად დამიგდეთ ყური და დაიმახსოვრეთ სიტყვები, რომლებიც მე ვთქვი; და მოდით ისრაელის წმინდასთან და გამართეთ ნადიმი იმით, რაც არ გაფუჭდება და არც გაიხრწნება; და მოილხინოს თქვენმა სულმა სიმსუყეში.

52 აჰა, ჩემო საყვარელო ძმებო, გახსოვდეთ თქვენი ღმერთის სიტყვები, განუწყვეტლივ ილოცეთ მისადმი დღისით და მიაგეთ მადლი ღამით მის წმინდა სახელს. დაე, გაიხარონ თქვენმა გულებმა.

53 და აჰა, რაოდენ დიადია უფლის აღთქმები და რაოდენ დიადია მისი შემწყნარებლობა ადამიანთა შვილებისადმი; და მისი სიდიადის, მადლისა და წყალობის გამო ის დაგვპირდა, რომ ჩვენი შთამომავლობა არ იქნება მთლიანად განადგურე-

ბული შესაბამისად ხორციელისა, მაგრამ ის გადაარჩენს მათ და მომავალ თაობებში ისინი გახდებიან ისრაელის სახლის სამართლიანი ყლორტი.

54 და ახლა, ჩემო ძმებო, მე მსურს უფრო მეტი გელაპარაკოთ, მაგრამ დანარჩენ ჩემს სიტყვებს გამოგიცხადებთ ხვალ. ამინ.

თავი 10

იაკობი განმარტავს, რომ იუდეველები ჯვარს აცვამენ თავიანთ ღმერთს. ისინი იქნებიან გაფანტულნი, სანამ მას არ იწამებენ. ამერიკა გახდება თავისუფლების მიწა, სადაც მეფე არ იმეფებს. შეურიგდით ღმერთს და მიიღეთ ხსნა მისი მადლით. დაახლოებით 559-545 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და ახლა მე, იაკობი, კვლავ გეუბნებით, ჩემო საყვარელო ძმებო, ამ სამართლიანი რტოს შესახებ, რომელზეც მე ვსაუბრობდი.

2 რადგან, აჰა, დაპირებები, რომლებიც მივიღეთ, არის ხორციელის შესაბამისი დაპირებები, ამიტომ, როგორც მე დამანახეს, მრავალი ჩვენი შვილი დაიდუპება ხორციელად ურწმუნოების გამო, მიუხედავად ამისა, ღმერთი მოწყალე იქნება მრავალი მათგანის მიმართ; და ჩვენი შვილები აღდგებიან, რათა მიაღწიონ იმას, რაც მისცემს

მათ ჭეშმარიტ ცოდნას თავიანთ გამომსყიდველზე.

3 ამიტომ, როგორც ვითხარით, აუცილებლად საჭიროა, რომ ქრისტე – რამეთუ გასულ დამეს ანგელოზმა მითხრა, რომ ეს იქნებოდა მისი სახელი – მოვა იუდეველთა შორის, მათ შორის, რომელნიც არიან ამა ქვეყნის ყველაზე ბოროტი ნაწილი; და ისინი ჯვარს აცვამენ მას, რადგან ღმერთისათვის ეს აუცილებელია; და არ არსებობს სხვა ერი დედამიწაზე, რომელიც ჯვარს აცვამდა თავის ღმერთს.

4 რადგან ასეთი დიდი სასწაულები რომ მომხდარიყო სხვა ერებში, ისინი მოინანიებდნენ და ეცოდინებოდათ, რომ იგი მათი ღმერთია.

5 მაგრამ სამღვდელოების ვერცხლისმოყვარეობისა და ურჯულოების გამო, ისინი, ვინც იერუსალიმთან არიან, ისე გაიფიცებენ ქედს მის წინააღმდეგ, რომ ჯვარს აცვამენ მას.

6 ამიტომ, თავიანთი ურჯულოების გამო, მათ თავს დაატყდებათ განადგურება, შიმშილი, ჭირი და სისხლისღვრა; და ისინი, ვინც არ განადგურდებიან – გაიფანტებიან ყველა ერში.

7 მაგრამ, აჰა, ასე ამბობს უფალი ღმერთი: როდესაც დაღება დღე, რომ ისინი მე მიწამებენ, ირწმუნებენ, რომ მე ვარ ქრისტე, მაშინ, როგორც აღვუთქვი მათ მამებს, ისინი

დაბრუნდებიან ხორციელად დედამიწაზე, მათი მემკვიდრეობის მიწაზე.

8 და იქნება ასე, რომ ისინი დიდი ხნით გაფანტვის შემდეგ, შეიკრიბებიან ზღვის კუნძულებიდან და დედამიწის ოთხივე კუთხიდან; და დიადნი იქნებიან წარმართთა ერები ჩემს თვალში, – ამბობს ღმერთი, რადგან მოიყვანენ მათ თავიანთი მემკვიდრეობის მიწაზე.

9 დიას, წარმართთა მეფენი იქნებიან მათი გამზრდელნი და მათი დედოფლები გახდებიან მათი ძიძები; ამიტომ, დიადია უფლის დანაპირები წარმართთათვის, რადგან ეს თქვა მან და ვინ შეეკამათება?

10 მაგრამ, აჰა, ეს მიწა, – თქვა ღმერთმა, – იქნება შენი მემკვიდრეობის მიწა და წარმართნი კურთხეულნი იქნებიან ამ მიწაზე.

11 და ეს მიწა იქნება წარმართთათვის თავისუფლების მიწა; და ამ მიწაზე არ იქნებიან მეფენი, რომელნიც აღიმართებიან წარმართებს.

12 და მე გავაძლიერებ ამ მიწას ყველა სხვა ერის წინააღმდეგ.

13 და ის, ვინც იბრძვის სიონის წინააღმდეგ, დაიღუპება, – ამბობს ღმერთი.

14 ვინაიდან ის, ვინც აღმართავს მეფეს ჩემს წინააღმდეგ, დაიღუპება, რადგან მე, უფალი, მეფე ზეცისა, ვიქნები მათი მეფე და მარად ვიქნები სინათლე

მათთვის, ვისაც ესმით ჩემი სიტყვები.

15 ამიტომ, იმისთვის, რომ აღსრულდეს ჩემი აღთქმები, რომლებიც დავდე ადამიანთა შვილებთან და რომლებსაც აღვასრულებ, სანამ ისინი ხორციელნი იქნებიან, მე აუცილებლად უნდა გავანადგურო ბნელეთის, მკვლევლობებისა და სისაძაგლეთა საიდუმლო საქმენი.

16 ამიტომ, ის, ვინც იბრძვის სიონის წინააღმდეგ, – იუდეველიც და წარმართიც, მონათუ თავისუფალი, მამრი თუ მდედრი – დაიღუპება, რადგან ისინი არიან როსკიპნი მთელი დედამიწისა; რადგან ისინი, ვინც ჩემთან არ არიან, არიან ჩემ წინააღმდეგ, – ამბობს ჩვენი ღმერთი.

17 ვინაიდან მე აღვასრულებ ჩემს დანაპირებს, რომლებსაც დავპირდი ადამიანთა შვილებს, რომლებსაც შევესრულებ მათ, სანამ ისინი არიან ხორციელნი –

18 ამიტომ, ჩემო საყვარელო ძმებო, ასე ამბობს ჩვენი ღმერთი: მე წარმართთა ხელით დავჩაგრავ შენს შთამომავლობას; მიუხედავად ამისა, მოგულობობ გულს წარმართთ, რათა ისინი მათთვის იყვნენ, როგორც მამები; ამიტომ, კურთხეულ იქნებიან წარმართნი და ჩათვლებიან ისრაელის სახლში.

19 ამიტომ, ამ მიწას სამუდამოდ მივუძღვნი შენს შთამომავლებს

და მათ, ვინც ჩაითვლება შენს შთამომავლობაში, მათი მემკვიდრეობის მიწად, რადგან ეს არის რჩეული მიწა, – მეუბნება ღმერთი, – ყველა სხვა მიწაზე უფრო მეტად და ამიტომ მოვახდენ ისე, რომ ყოველი ადამიანი, რომელიც იქ იმყოფება, თაყვანს მცემს მე, – ამბობს ღმერთი.

20 და ახლა, ჩემო საყვარელო ძმებო, ვხედავთ რა, რომ ჩვენმა მოწყალე ღმერთმა მოგვცა ასეთი დიდი ცოდნა ყოველივე ამის შესახებ, დაე, გვახსოვდეს იგი და გვერდზე გადავდოთ ცოდვები და ნუ ჩაჰქინდრავთ თავს, რადგან არ ვართ გაძევებულნი; მიუხედავად ამისა, გამოგვდევნეს ჩვენი მემკვიდრეობის მიწიდან; მაგრამ მოგვიყვანეს უკეთეს მიწაზე, რადგან უფალმა ზღვა აქცია ჩვენს ბილიკად და ზღვის კუნძულზე ვიმყოფებით.

21 მაგრამ დიდია უფლის დაპირებანი მათთვის, ვინც იმყოფება ზღვის კუნძულებზე; ამიტომ, როგორც ნათქვამია კუნძულები, საჭიროა იყოს ამაზე მეტი და ისინიც ასევე დასახლებულია ჩვენი ძმებით.

22 რადგან, აჰა, უფალ ღმერთს ხანდახან თავისი სურვილისა და ნების თანახმად, მიჰყავდა ისრაელის სახლიდან. და აჰა, ახლა, უფალს ახსოვს ყველა, ვინც იქნა მომტვრეული, ამიტომ მას ჩვენც ვახსოვართ.

23 ამიტომ, გაიმხნევეთ გული

და გახსოვდეთ, რომ ხართ თავისუფალნი იმოქმედოთ საკუთარი ნებით – აირჩიოთ ან მარადიული სიკვდილის ან მარადიული სიცოცხლის გზა.

24 ამიტომ, ჩემო საყვარელო ძმებო, შეურიგდით ღვთის ნებას და არა ეშმაკისა და ხორცის ნებას; და გახსოვდეთ, რომ მას შემდეგ, რაც ღმერთს შეურიგდებით, მხოლოდ ღმერთის მადლში და მადლით გადაარჩებით.

25 ამიტომ, დაე, ღმერთმა აგამაღლოთ სიკვდილიდან აღდგომის ძალით, ასევე მარადიული სიკვდილიდან გამოსყიდვის ძალით, რათა მიღებულ იყოთ ღვთის მარადიულ სასუფეველში, რათა აღიღოთ იგი ღვთაებრივი მადლით. ამინ.

თავი 11

იაკობმა იხილა თავისი გამომსყიდველი. მოხეს რჯული განასახიერებს ქრისტეს და ადასტურებს, რომ იგი მოვა. დაახლოებით 559–545 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და ახლა, იაკობმა მრავალი რამ უთხრა ჩემს ხალხს იმ დროს; მიუხედავად ამისა, მე მხოლოდ ეს ჩავაწერინე, რადგან ჩემთვის საკმარისია ის, რაც ჩავიწერე.

2 და ახლა, მე, ნეფი, ვწერ ესაიას უფრო მეტ სიტყვას, რადგან ჩემი სული ტკბება მისი სიტყვებით. რადგან მის სიტყვებს

მიუხსადაგებ ჩემს ხალხს და გავუგზავნი მათ ჩემს ყველა შვილს, რადგან ჭეშმარიტად იხილა მან ჩემი გამომსყიდველი ისე, როგორც მე ვიხილე იგი.

3 და ჩემმა ძმამ, იაკობმა, ასევე იხილა იგი ისე, როგორც მე ვიხილე; ამიტომ მათ სიტყვებს მე გავუგზავნი ჩემს შვილებს, რათა დაუშმტკიცო მათ, რომ ჩემი სიტყვები ჭეშმარიტია. ამიტომ, სამივეს სიტყვებით, – თქვა ღმერთმა, – მე დავამტკიცებ ჩემს სიტყვას. მიუხედავად ამისა, ღმერთი გვიგზავნის მეტ მოწმეს და ამტკიცებს თავის ყოველ სიტყვას.

4 აჰა, ჩემი სული ხარობს, გუმტკიცებ რა ჩემს ხალხს ჭეშმარიტებას ქრისტეს მოსვლაზე; რადგან ამ მიზნით იყო მოცემული მოსეს რჯული; და ყველაფერი, რაც ადამიანს ებოძა ღმერთის შესახებ ქვეყნის დასაბამიდან, განასახიერებს მას.

5 და ასევე ჩემი სული ხარობს უფლის აღთქმებში, რომლებიც მან დადო ჩვენს მამებთან; დიახ, სული ჩემი ხარობს მის მადლში, მის სამართალში, ძალასა და წყალობაში, სიკვდილისაგან გამოსხნის დიდსა და მარადიულ გეგმაში.

6 და სული ჩემი ხარობს, როდესაც ვუმტკიცებ ჩემს ხალხს, რომ თუ არა ქრისტეს მოსვლა, ყოველი ადამიანი უნდა დაიღუპოს.

7 ვინაიდან, რომ არ იყოს ქრისტე, არ იქნებოდა ღმერთი;

და რომ არ იყოს ღმერთი, არ ვიქნებოდით ჩვენ, რადგან არ იქნებოდა შექმნა. მაგრამ ღმერთი არსებობს; და ის არის ქრისტე და ის მოდის თავის უამთა სისრულის დროს.

8 და ახლა მე ვწერ ესაიას ზოგიერთ სიტყვას, რომ ჩემი ხალხისგან ყველა, ვინც იხილავს ამ სიტყვებს, გულით გამხნევდეს და იხაროს ყოველი ადამიანისთვის. აი ეს არის სიტყვები და თქვენ შეგიძლიათ მიუხსადაგოთ ისინი საკუთარ თავს და ყოველ ადამიანს.

თავი 12

ესაია ხედავს უკანასკნელი დღეების ტაძარს, ისრაელის შეკრებას და ათასწლეულის სამსჯავროსა და მშვიდობას. ამპარტავანნი და ბოროტნი იქნებიან დამდაბლებულნი მეორედ მოსვლისას. შეადარეთ ესაია 2. დაახლოებით 559-545 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 სიტყვა, რომელიც იხილა ესაიამ, ამოცის ძემ, იუდასა და იერუსალიმის შესახებ:

2 და იქნება ასე უკანასკნელ დღეებში, როდესაც უფლის სახლის მთა მთებს ზემოთ მოექცევა და ამადლდება გორაკებზე და მისკენ დაიძრება ყოველი ერი.

3 მივა მრავალი ხალხი და იტყვის: მოდით, ავიდეთ უფლის მთაზე, იაკობის ღმერთის სახლში; და გვასწავლის ის

თავის გზებს და ჩვენ ვივლით მისი ბილიკებით; რადგან სინიდან გამოვა რჯული და იერუსალიმიდან – უფლის სიტყვა.

4 და ის განიკითხავს ერებს შორის და განიკიცხავს მრავალ ადამიანს: და გადააკეთებენ ისინი თავიანთ მახვილებს სახნისებად და თავიანთ შუბებს – ნამგლებად; ერი ერზე აღარ აღმართავს მახვილს და აღარ ისწავლიან მეტად ომს.

5 იაკობის სახლო, მოდით და ვიაროთ უფლის ნათელში, დიახ, მოდით, რადგან თქვენ ყველამ გზიდან გადაუხვიეთ, თითოეულმა თქვენს ბოროტ გზებზე.

6 ამიტომ, უფალო, შენ მიატოვე შენი ხალხი, იაკობის სახლი, რადგან გაივსნენ აღმოსავლეთიდან და ყურს უგდებენ ფილისტიმელთა მსგავსს გრძნეულებს; და უცხოტომელთა შვილებით ტკებებიან.

7 მათი მიწა ასევე ვერცხლითა და ოქროთია სავსე და ბოლო არ უჩანს მათ საგანძურებს; მიწა მათი ასევე სავსეა ცხენებით და ბოლო არ უჩანს მათ ეტლებს.

8 მათი მიწა ასევე სავსეა კერპებით; ეთაყვანებიან თავიანთი ხელით შექმნილს, იმას, რაც მათ თითებმა გააკეთეს.

9 და უბრალო კაცი არ იხრის ქედს; და არ იმდაბლებს თავს წარჩინებული, ამიტომ არ აპატიო მას.

10 თქვენ, ბოროტნი, შედით

კლდეში და დაიმაღეთ მტვერში, რადგან უფლის შიში და მისი დიდებულების სიდიადე განგემირავთ თქვენ.

11 და იქნება ასე, რომ ადამიანის ქედმაღალი მხერა დამდაბლება და ქედს მოიხრის კაცთა ამპარტავნობა და მხოლოდ უფალი ამაღლდება იმ დღეს.

12 რადგან მალე მოვა ყოველ ერში ცაბაოთ უფლის დღე, დიახ, ყოველ მათგანზე; ამპარტავანზე და მედიდურზე და ყოველ მათგანზე, რომელიც აღზევებულია და იქნებიან ისინი დამდაბლებულნი.

13 დიახ, და ლიბანის ყოველ კედარისთვის დადგება უფლის დღე, რადგან ისინი არიან აღზევებულნი და ზეაზიდულნი; და ბაშანის ყოველ მუხაზე;

14 და ყოველ მაღალ მთაზე და ყოველ გორაკზე და ყოველ აღზევებულ ერზე და ყველა ხალხზე;

15 და ყოველ მაღალ კოშკზე; და ყოველ გამაგრებულ გალავანზე;

16 და ზღვის ყველა გემზე და ყველა თარშიშის ხომალდზე; და ყველა სასიამოვნო ხელზე.

17 და ადამიანის ქედმაღლობა დამცირდება და ადამიანთა ამპარტავნობა დამდაბლდება და მხოლოდ უფალი ამაღლდება იმ დღეს.

18 და ის საბოლოოდ მოსპობს კერპებს.

19 და შევლენ ისინი კლდეების

ხვრელებში და მიწის გამოქვაბულებში, რადგან უფლისადმი შიში მოვა მათზედ და მისი დიდებულების სიდიადე განგმირავს მათ, როდესაც იგი აღდგება, რათა სასტიკად შეაზანზაროს დედამიწა.

20 იმ დღეს ადამიანი გადაუყრის თხუნელებსა და ღამურებს თავის ვერცხლისა და ოქროს კერპებს, რომლებიც მან სათაყვანოდ შექმნა.

21 რათა შევიდნენ კლდეთა მღვიმეებში და უსწორმასწორო კლდეთა მწვერვალებზე, რადგან მათ მოეფინებათ უფლისადმი შიში და მისი დიდებულების დიდება განგმირავს მათ, როდესაც აღდგება იგი, რათა სასტიკად შეაზანზაროს დედამიწა.

22 ნუღარ მიენდობით ადამიანს, რომლის სუნთქვაც მის ნესტოებშია; რამეთუ რად ღირს იგი?

თავი 13

იუდა და იერუსალიმი დაიხჯებიან თავიანთი ურჩობისათვის. უფალი შუამდგომლობს და განსჯის თავის ხალხს. სიონის ასულნი იქნებიან დაწყველილნი და ნაწამებნი თავიანთი მიწიერი ამოების გამო. შეადარეთ ესაია 3. დაახლოებით 559-545 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 რადგან, აჰა, უფალი, ცაბაოთ უფალი, წაართმევს იერუსალიმსა და იუდას მხარდაჭერას

და არსებობას, პური სრულყოფნას და წყლის სრულ არსებობას -

2 ღონიერ ადამიანსა და მეომარს, მსაჯულსა და წინასწარმეტყველს, გონიერსა და უხუცესს;

3 ორმოცდაათის სარდალსა და პატივისცემ ადამიანს, მრჩეველსა და დახელოვნებულ ოსტატს; და მჭერმეტყველს.

4 და დავუყენებ მათ უფლისწულებად ყმაწვილთ და ჩვილნი იმეფებენ მათზე.

5 და ხალხში ერთი დაჩაგრავს მეორეს და ყოველს დაჩაგრავს თავისი მოყვასი; გაუთავხედდება ბავშვი მოხუცს და მდაბალი - პატივცემულს.

6 როდესაც კაცი ჩაეჭიდება ძმას თავისი მამის სახლში და ეტყვის: სამოსელი გაქვს, გახდი ჩვენი მთავარი და არ დაუშვა, რომ შენს ხელში მოხდეს ეს ნგრევა -

7 დაიფიცებს იმ დღეს და იტყვის: არ ვიქნები მკურნალი; არ მაქვს სახლში არც პური და არც სამოსელი; ნუ დამაყენებთ ამ ხალხის მთავრად.

8 რადგან დაინგრა იერუსალიმი და დაეცა იუდა იმის გამო, რომ ენები მათი და საქმენი უფლის საწინააღმდეგო იყო, შეურაცხყოფელი მისი დიდების თვალისთვის.

9 მათი სახის გამომეტყველება მოწმობს მათსავე წინააღმდეგ; და აცხადებს მათ ცოდვას

სოდომისებრს და ისინი ვერ მალავენ მას. ვარამი მათ სულელებს, რადგან ბოროტება მიაგეს საკუთარ თავს!

10 უთხარით მართალთ, რომ ეს სიკეთეა მათთვის, რადგან ისინი შეტყაშნენ საკუთარი ნამოქმედარის ნაყოფს.

11 ვარამი ბოროტთა, რადგან დაიდუკებინან; რადგან მიეზღვება მათ თავიანთი ხელის ნამოქმედარი!

12 და ხალხი ჩემი – ბავშვები არიან მათი მჩაგვრელნი და ქალები ბატონობენ მათზე. ჩემო ხალხო, თქვენს წინამძღვრებს შეცდომაში შეჰყავხართ და სავალ გზას გინადგურებენ.

13 წარსდგება უფალი საშუამდგომლოდ და ღვას ხალხთა განსასჯელად.

14 უფალი მსჯავრს სდებს თავისი ერის უხუცესებს და უფლისწულებს, რადგან თქვენ გააჩანაგეთ ვენახი და ღარიბთაგან წართმეული თქვენს სახლებშია.

15 რას გულისხმობთ? თქვენ კუწავთ ჩემს ხალხს და უჩქრქავთ სახეს და ჩაგრავეთ ღარიბს, – ამბობს ცაბაოთ უფალი დემერთი.

16 გარდა ამისა, უფალი ამბობს: რადგან გამედიდურდნენ სიონის ასულნი, ყელმოდერებულნი დაურცხვი მზერით მიმოდინან, ლაღად მოცუნცულებენ ფეხის მოსართავთა ჟღარუნით –

17 ამიტომ, უფალი გაუქანლებს

თხემს სიონის ასულთ და უფალი გამოაჩენს მათ სარცხვინელს.

18 იმ დღეს აართმევს მათ უფალი ჟღარუნა სამკაულების ბრწყინვალეებას და თავსაკრავებს და მთვარისებულ სამკაულებს;

19 ძეწკვებს, სამაჯურებსა და საბურველებს;

20 თავსაბურავებს, ფეხსამკაულებს და ბაფთებს, სურნელის კოლოფებსა და საყურებს;

21 ბეჭდებსა და ნესტოს რგოლებს;

22 ნაირნაირ ტანსაცმელსა და ფარდაგებს, მოსასხამებს და მანდილებსა და აგვაროზებს;

23 სარკეებს, ძვირფას ქსოვილებს, დოღბანდებსა და პირბადეებს.

24 და იქნება ასე, სურნელების ნაცვლად იქნება სიმყრალე; სარტყელის ნაცვლად – ნაგლეჯი; და კოხტა ვარცხნილობის ნაცვლად – სიქანლე; და მოსასხამის ნაცვლად ძაძის სარტყელი; სილამაზის ნაცვლად – ცეცხლის დადი.

25 შენი კაცნი მახვილით დაეცემიან და შენი ძლევა მოსილნი – ომში.

26 მისი ბჭენი იქვითინებენ და იგლოვებენ; და თავად გამოცარიელდება და იჯდება მიწაზე.

თავი 14

სიონი და მისი ასულნი გამოისყიდებიან და განიწმინდებიან

ათასწლეულის დღეს. შეადარეთ ესაია 4. დაახლოებით 559-545 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და იმ დღეს, შვიდი ქალი ჩაეჭიდება ერთ კაცს, სიტყვებით: ჩვენ შეეჭამთ ჩვენს პურს და ჩვენი საკუთარი სამოსელით შევიმოსებით; ოღონდ გვეწოდოს შენი სახელი, ჩამოგვაცილე ჩვენი სირცხვილი.

2 იმ დღეს უფლის ყლორტი იქნება მშვენიერი და დიდებული; მიწის ნაყოფი - ჩინებული და ლამაზი მათთვის, ვინც არის ისრაელიდან და გამოეხსნა.

3 და იქნება ასე, რომ სიონში დარჩენილნი და იერუსალიმში გადარჩენილნი წმინდანებად იქნებიან წოდებულნი, ყოველი მათგანი, რომელიც ჩაწერილია იერუსალიმის ცოცხალთა შორის.

4 როდესაც ჩამორეცხავს უფალი სიონის ასულთ სიბინძურეს და გაწმენდს იერუსალიმის სისხლს მისსავე შემოგარენში სამსჯავროსა და ცეცხლის სუფლით.

5 და უფალი შექმნის სიონის მთის ყოველ საცხოვრებელ ადგილზე და მის საკრებულოზე, ღრუბელსა და კვამლს დღისით და აელვარებული ცეცხლის სიკაშკაშეს ღამით, რათა სიონის მთელ დიდებაზე იყოს მცველი.

6 და იქნება კარავი ჩრდილისთვის დღისით პაპანაკებისას და

ადგილი თავშესაფარად და სახიზნავი, ღვარცოვისა და წვიმისგან.

თავი 15

უფლის ვენახი (ისრაელი) გაპარტახდება და მისი ხალხი გაიფანტება. ვარამი ეწევა მათ განდგომილ და გაფანტულ მდგომარეობაში. უფალი აღმართავს დროშას და შეკრიბავს ისრაელს. შეადარეთ ესაია 5. დაახლოებით 559-545 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და მაშინ მე ვუმღერებ ჩემს შეყვარებულს სიმღერას ჩემს შეყვარებულზე, მისი ვენახის შესახებ. ჩემს შეყვარებულს აქვს ვენახი ნაყოფიერ გორაკზე.

2 და მან შემოღობა ის და გაასუფთავა ქვებისგან და დარგო ნარჩევი ვაზი; და ააგო კოშკი მის შუაგულში, ასევე გააკეთა საწნახელი მასში. და იგი მოელოდა, რომ ყურძენს მოისხამდა და მან ველური ყურძენი მოისხა.

3 და ახლა, იერუსალიმის მცხოვრებნი და იუდას კაცნი, გვედრებით: განსაჯეთ ჩემსა და ჩემს ვენახს შორის.

4 მეტი რისი გაკეთება შეიძლებოდა ჩემი ვენახისთვის და არ გავუკეთე? ამიტომ, როდესაც მოველოდი, რომ ყურძენს მოისხამდა, მან ველური ყურძენი მოისხა.

5 და ახლა, აჰა; მე გეტყვით, რას ვუზამ ჩემს ვენახს: მე

მოვხსნი მის ღობეს და მუსრს გაავლებენ მას და მოვანგრევ ზღუდეს და გაითელება;

6 და გავაპარტახებ მას; არც გაისხლება და არც დაიბარება იგი; მაგრამ გაიზრდება იქ ჯანარი და ნარ-ეკალი; მე ასევე ვუბრძანებ ღრუბლებს არ აწვიმონ მასზედ წვიმა.

7 რადგან ცაბაოთ უფლის ვენახი არის ისრაელის სახლი და იუდას კაცნი არიან მისი სასიამოვნო ნერგები; და იგი ეძებდა სამართალს და აჰა – ჩაგვრა; სიმართლეს და აჰა – დადადი.

8 ვარამი მათ, ვინც სახლს სახლზე ამატებს, სანამ არ იქნება ადგილი, რომ მარტოდ დარჩნენ დედამიწაზე!

9 მითხრა ყურში ცაბაოთ უფალმა: ჭეშმარიტად, მრავალი სახლი დაცარიელდება; დიდი და მშვენიერი ქალაქები იქნება მცხოვრებთა გარეშე.

10 დიახ, ათი უღელი ვენახი ერთ ბათს გამოიღებს და ხომერის თესლი გამოიღებს ევას.

11 ვარამი მათ, ვინც დილით ადრე დგებიან, რათა სდიონ მათრობელ სასმელს, ვინც დაღამებამდე აგრძელებს და ღვინო აალებს მათ!

12 და ქნარი და ებანი, დაფი, სტვირი და ღვინო არის მათ ნადიმებზე; მაგრამ ისინი არ ხედავენ უფლის საქმეს, არც მის ხელთა ნამოქმედარს აფასებენ.

13 ამიტომ, ჩემი ხალხი ტყვედ წაიყვანეს, რადგან არა აქვთ

ცოდნა; და მათი საპატივცემულო ადამიანები არიან დამშეულნი; და მრავალი მათგანი დაშრნენ წყურვილით.

14 ამიტომ, ჯოჯოხეთმა გააფართოვა თავისი თავი და გახსნა უზარმაზარი ხახა; და მასში ჩავა მათი ღიდება, მათი უმრავლესობა და მათი სიუხვე და მათი ზარხეიმიც და მოხეიმიც.

15 და დამცირდება უბრალო კაცი და ძლევა მოსილი დამდაბლდება; და ქედმაღლის თვალები დამდაბლდება.

16 მაგრამ ცაბაოთ უფალი ამალღდება სამართალით; და წმინდა ღმერთი განიწმინდება სიმართლით.

17 და კრავები დაიმწყემსებიან თავიანთი წესით; და უცხონი შეჭამენ ნასუქალის ნარჩენებს გაპარტახებულ ადგილებზე.

18 ვარამი მათ, ვინც მოიზიდავენ ურჯულოებას ამაოების ღვედებით და ცოდვას, როგორც ურმის თოკით.

19 რომლებიც ამბობენ: ისწრაფოს, დააჩქაროს თავისი საქმე, რათა ვიხილოთ იგი; და მოახლოვდეს და მოვიდეს რჩევა ისრაელის წმინდისა, რომ შევიტყოთ იგი.

20 ვარამი მათ, რომელნიც ბოროტს კარგს უწოდებენ და კარგს – ბოროტს, ბნელს ნათლად თვლიან და ნათელს – ბნელად, სიმწარეს სიტკბოდ თვლიან და სიტკბოს – სიმწარედ!

21 ვარამი მათ, ვინც ბრძენნი

არიან საკუთარ თვალში და გონიერნი თავიანთ შეხედულები-სამებრ.

22 ვარამი ძლიერებს ღვინის სმაში და ვაჟკაცთ მათრობელი სასმელის ჩამოსხმაში;

23 რომელნიც ბოროტს გა-ამართლებენ ქრთამის გუ-ლისთვის და მართალს მის სამართალს წაართმევენ!

24 ამიტომ, როგორც ცეცხლი ჭამს ნამჯასა და ალი შთა-ნთქავს ბზეს, ასე ჩაღპება მათი ფესვი და მტვერივით გა-იფანტება მათი ყვაილი; რად-გან უკუაგდეს ცაბაოთ უფლის რჯული და ისრაელის წმინდის სიტყვა არად ჩააგდეს.

25 ამიტომ, აინთო უფლის რის-ხვა თავისი ხალხის მიმართ; და ხელი მოუდერა მათ და დაჰ-კრა; შედრენენ გორაკნი და მათი გვამები დაგლეჯილი ეყარა ქუ-ჩებში. ამ ყველაფრის მიუხედა-ვად, მაინც არ შებრუნდება მისი რისხვა და კვლავ მოდერებულია მისი ხელი.

26 და იგი აღუმართავს დროშას შორეულებს, სტვენით მოუხმობს მათ ღედამიწის კიდიდან და აჰა, მოვლენ ისინი სწრაფად და მარ-დად; არ იქნება მათ შორის არც დაღლილი და არც მობარბაცე.

27 არცერთი არც ჩათვლემს და არც დაიძინებს; არც წელზე შემოსარტყმელი არ შეეხსნებათ და არც ფეხსაცმლის თასმა არ გაუწყდებათ;

28 მათი ისრები იქნება აღე-

სილი და ყველა მშვილდი მო-ზიდული; კაჟად ჩათვლიან მათი ცხენის ფლოქვებს და მათ ბორ-ბლებს – როგორც გრიგალს, მათი ღრიალი ლომის ღრიალი-ვითაა.

29 ახალგაზრდა ლომებივით იღრიალებენ; დიახ, დაიდრია-ლებენ და მსხვერპლს სტაცე-ბენ და გაიტაცებენ სამუდამოდ და ვერავინ იხსნის.

30 და იმ დღეს ისინი დაუღრია-ლებენ მათ, როგორც ღრიალებს ზღვა; თუ დახედავენ მიწას, იხი-ლავენ ბნელეთსა და წუხილს და სინათლე დაბინდდება ზე-ცაში მათზე.

თავი 16

ესაია ხედავს უფალს. ესაიას მიეტკევა ცოდვები. მას მოუწო-დეს წინასწარმეტყველობისკენ. იგი წინასწარმეტყველებს, რო-გორ უარყოფენ ქრისტეს სწავ-ლებას იუდეველები. ნარჩენი დაბრუნდება. შეადარეთ ესაია 6. დაახლოებით 559-545 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 მეფე ყუზიაჰუს სიკვდილის წელს ვიხილე უფალი, მჯდარი მაღალ და აღზევებულ ტახტზე და მისი კალთები ავსებდა ტა-ძარს.

2 მის ზემოთ სერაფიმები იდგნენ; ექვს-ექვსი ფრთა ესხა თითოეულ მათგანს; ორით იფა-რავდა სახეს, ორით იფარავდა ფეხებს და ორით დაფრინავდა.

3 და გასძახოდა ერთი მეორეს და ამბობდა: წმინდაა! წმინდაა! წმინდაა ცაბაოთ უფალი! მისი დიდებით სავსეა მთელი დედამიწა.

4 და შეიძრა კარიბჭის სვეტები ამის დამძახებლის ხმაზე და კვამლით აივსო სახლი.

5 მაშინ ვთქვი: ვაი მე! დავიღუპე, რადგან ბაგეუწმიდური კაცი ვარ და ბაგეუწმიდურ ხალხში ვცხოვრობ; ჩემმა თვალებმა კი იხილეს მეუფე, ცაბაოთ უფალი.

6 შემდეგ მოფრინდა ჩემთან ერთი სერაფიმითაგანი, ხელში მუგუხალით, რომელიც მაშით აიღო საკუთხეველიდან.

7 და ბაგეზე შემახო და მითხრა: აჰა, შეეხო ეს შენს ბაგეს და მოგცილდა ურჯულოება და განწმენდილია შენი ცოდვა.

8 ასევე მომესმა ხმა უფლისა, რომელიც ამბობდა: ვინ მივაგლინო და ვინ წაგა ჩვენთვის? მაშინ ვთქვი: აჰა, აქ ვარ, მე მიმავლინე.

9 და მან თქვა: წადი და უთხარი ამ ხალხს: გულდასმით მოისმინეთ. მაგრამ მათ ვერ გაიგეს; გულდასმით შეხედეთ, მაგრამ ვერ მიხვდნენ.

10 გაასუქე ამ ხალხის გული და დაუძიძე ყურები და თვალებიც დაახუჭინე, რომ ვერ იხილონ საკუთარი თვალებით, თავისი ყურით ვერ მოისმინონ და გულით ვერ გაიგონ, რათა არ მოიქცნენ და არ განიკურნონ.

11 შემდეგ ვთქვი: როდემდე უფალო? და მან მითხრა: მანამდე, სანამ არ დაცარიელდება მცხოვრებთაგან ქალაქები, ადამიანებისგან – სახლები; და სანამ მიწა მთლიანად არ გაუკაცრიელდება.

12 და მოიშორებს უფალი ადამიანებს, რადგან იქნება დიდი უგულვებელყოფა ამ მიწის გულზე.

13 მაგრამ მაინც იქნება მეათედი და ისინიც დაბრუნდებიან და შეტყმულ იქნებიან, როგორც ტერებიითო და მუხა, რომელთა არსი რჩება მათში, როდესაც სცვივათ ფოთლები; ასევე წმინდა თესლი იქნება მისი არსი.

თავი 17

ეფრემი და სირია ეომებიან იუდას. ქრისტეს გააჩენს ქალწული. შეადარეთ ესაია 7. დაახლოებით 559-545 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და იყო ასე, იუდას მეფის, ახაზის, დღეებისას, იოთამის ძისა, ყუზიაჰუს ძის, რომ რეცინი, სირიის მეფე და ისრაელის მეფე ფეკახ რემალიაჰუს ძე, იერუსალიმისაკენ გაემართნენ, რათა მის წინააღმდეგ ეომათ, მაგრამ ვერ დაიპყრეს.

2 და ემცნო ეს დავითის სახლს სიტყვებით: სირია მოკავშირეა ეფრემთან. მაშინ შეირხა მისი გული და მისი ხალხის გული,

როგორც ხეები ირხევიან ტყეში ქარისაგან.

3 მაშინ უთხრა უფალმა ესაიას: გადით ახაზის შესახვედრად შენ და შენი შვილი, შეარ-იაშუბი, ზემო ტბორის წყალსადენის ბოლოს, მრეცხავთა მინდვრის გზაზე;

4 და უთხარი: ყურადღებით და მშვიდად იყავი; ნუ შეგეშინდება და ნუ იქნები სულმოკლე ამ აკვამლებული მუგუზლების ორი კუდის გამო, რეცინის, სირიისა და რემალიაჰუს ძის ანთებული რისხვის გამო.

5 რადგან სირიამ, ეფრემმა და რემალიაჰუს ძემ ბოროტი ჩაიფიქრეს შენ წინააღმდეგ, ამბობენ რა:

ნმოდი წავიდეთ იუდას წინააღმდეგ, ავაღლეოთ და გავტეხოთ ის ჩვენთვის; და გავამეფოთ მასში მეფედ, დიახ, ტაბეალის ძე.

7 ასე ამბობს უფალი ღმერთი: ეს არ შესრულდება, ეს არ მოხდება!

8 რადგან სირიას თავი დამასკოა და დამასკოს თავი - რეცინი. კიდევ სამოცდახუთი წელი და ეფრემი დაილეწება და აღარ იარსებებს როგორც ხალხი.

9 და ეფრემის თავი სამარიია და სამარიის თავი - რემალიას ძე. თუ არ დაიჯერებთ ჭეშმარიტად თქვენ ვერ იქნებით განმტკიცებულნი.

10 ამის გარდა, კვლავ მიმართა უფალმა ახაზს, სიტყვებით:

11 მოსთხოვე უფალს, შენს

ღმერთს, შენთვის ნიშანი; მოსთხოვე ის დაბლა ქვესკნელში ან მაღლა ცაში.

12 მაგრამ ახაზმა თქვა: არ მოვთხოვ და არ გამოვცდი უფალს.

13 და მან თქვა: ახლა ისმინე, დავითის სახლო; ცოტაა თქვენთვის, რომ ადამიანებს აწუხებთ, ჩემი ღმერთიც გინდათ შეაწუხოთ?

14 ამიტომ, უფალი თავად მოცემს ნიშანს. აჰა, დაორსულდება ქალწული და შობს ძეს და უწოდებს მას სახელად ემანუელს.

15 ერობსა და თაფლს შეჭამს, რათა ისწავლოს ბოროტების უარყოფა და სიკეთის არჩევა.

16 რადგან სანამ ბავშვი ისწავლიდეს ბოროტის უარყოფას და სიკეთის არჩევას, ის მიწა, რომელიც შენ გჰუღს, მიტოვებულ იქნება მისი ორივე მეფის მიერ.

17 უფალი მოგივლენს დღეებს შენ და შენს ხალხს და შენი მამის სახლს, როგორც არ მოუვლენია ეფრემის, აშურის მეფის, იუდასი, განდგომის დღიდან

18 და იქნება ასე, რომ იმ დღეს, სტვენით მოუხმობს უფალი ბუზს, ეგვიპტის უკიდურეს ნაწილში რომ არის და ფუტკრებს, აშურის ქვეყანაში რომ არიან.

19 და მოვლენ და დაიბუდებენ დაცარიელებულ ველებზე, კლდეთა ნაპრალებში, ყოველ ეკალსა და ყოველ ბუჩქებზედ.

20 იმავე დღეს გაპარსავს უფალი მდინარის გაღმიდან

ნაქირავეები სამართებლით – აშურის მეფით, თავს და ფეხის ბალანს; და წვერსაც მოაცილებს.

21 და იქნება ასე, იმ დღეს გამოკვებავს კაცი ერთ დეკეულსა და ორ ცხვარს.

22 და იქნება ასე, რძის სიჭარბისგან, რომელსაც მოიწველიან, შეტამს ერბოს, რადგან ერბოთი და თაფლით გამოიკვებება ყოველი, ვინც ამ მიწაზე დარჩა.

23 და იქნება ასე, იმ დღეს ყოველი ადგილი, სადაც ათასი ვერცხლის საღირალი ათასი ვაზი იყო, ჯაგნარად და ეკლიან ბუჩქებად გადაიქცევა.

24 ისრებით და მშვილდებით მოვლენ იქ კაცნი, რადგან მთელი ქვეყანა ჯაგნარად იქნება გადაქცეული.

25 და ყოველ მთას, რომელიც თოხით ითოხნებოდა, არ შეეშინდება ჯაგნარისა და ნარ-ეკლის; მაგრამ ის იქნება ხარების საძოვარი და წვრილფეხა საქონლის გასათელი გახდება იგი.

თავი 18

ქრისტე იქნება დაბრკოლების ლოდი ან წინაღობის კლდე. ეძიეთ უფალი და არა მოწრიპინე ჯადოქრები. მიუბრუნდით რჯულს და მოწმობას რჩევისათვის. შეადარეთ ესაია 8. დაახლოებით 559–545 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 იმის გარდა, უფლის სიტყვამ

მითხრა: აიღე შენთვის დიდი გრაგნილი და ზედ ადამიანის კალმით დაწერე მაჰერ-შალალ-ხაშ-ბაზის შესახებ.

2 და ავიყვანე ერთგული მოწმეები, რათა ჩაიწერონ ურია მღვდელი და ზაქარია იბერეკია აპუს ძე.

3 და დაეუახლოვდი წინასწარმეტყველ ქალს; და დაორსულდა და შვა ძე. შემდეგ უფალმა მითხრა: დაარქვი სახელად მაჰერ-შალალ-ხაშ-ბაზ.

4 რადგან, აჰა, ბავშვი ვერ შეძლებს დამახებას: მამა და დედა, სანამ დამასკოს დოვლათს და სამარიის ნადავლს აშურის მეფის წინაშე არ წაართმევენ.

5 უფალმა კვლავ მომმართა სიტყვებით:

6 იმის გამო, რომ შეიძულა ამ ხალხმა წყნარად მომდინარე შილოახის წყალი და შეჰხარის რეცინისა და რემალიაპუს ძეს;

7 ამიტომაც, აჰა, უფალი გადმოაქცევს მათზე მდინარის წყალს, ძლიერს და უზღვავეს – აშურის მეფესაც კი და მთელ მის დიდებას და ამოვა მისი ყველა კალაპოტიდან და გადმოვა მისი ყველა ნაპირიდან.

8 და გაივლის ის იუდაში; წაღეკავს და ანიაღვრდება, კისრამდეც ასწვდება; და მისი გაშლილი ფრთები დაფარავს შენი ქვეყნის სიგანეს, ემანუელ!

9 გაერთიანდით ხალხებო და იქნებით ნაწილებად დამსხვრეულნი; ყური უგდეთ შორეულ

ქვეყნებში; შემოსარტყლეთ და იქნებით ნაწილებად დამსხვრეულნი; შემოსარტყლეთ და იქნებით ნაწილებად დამსხვრეულნი.

10 ერთმანეთში ითათბირეთ, თუმცა არაფერს მოიტანს, თქვით სიტყვა და არ შესრულდება, რადგან ჩვენთან არის ღმერთი.

11 რადგან ასე მითხრა უფალმა ძლიერი ხელით და გამაფრთხილა – არ მევლო ამ ხალხის გზით; მითხრა:

12 ნუ დაარქმევთ შეთქმულებას ყველაფერს, რასაც ეს ხალხი შეთქმულებას ეძახის; და ნუ შეგაშინებთ მისი შიში, ნურც დაფრთხებით.

13 ეკრძალვით თვით ცაბაოთ უფალს, დაე, იყოს ის თქვენი შიში და დაე, იყოს იგი თქვენი შემკრთობი.

14 ის იქნება, როგორც სიწმინდე; მაგრამ ისრაელის ორივე სახლისთვის დაბრკოლების ღოდო და წინაღობის კლდე, მახე დაბადე იერუსალიმის მკვიდრთათვის.

15 და ბევრი მათ შორის წაბორძიკდება მასზე, დაეცემა და დაილეწება, გაებმება, გაიხლართება და იქნება აყვანილი.

16 შეკარი მოწმობა, დაბეჭდე რჯული ჩემს მოწაფეებს შორის.

17 და მე დაველოდები უფალს, რომელიც სახეს იფარავს იაკობის სახლისგან და ვესავ მას.

18 აჰა, მე და ბავშვები, რომლებიც უფალმა მომცა ნიშნებად

და საოცრებებად ისრაელში ცაბაოთ უფლისგან, რომელიც სიონის მთაზეა დაგანებული.

19 და როდესაც გეტყვიან: გამოჰკითხეთ მესულთანებსა და ჯადოქრებს, რომლებიც წრიბინებენ და ბუტბუტებენ, განა თავის ღმერთს არ უნდა ეკითხებოდეს ხალხი, რათა ცოცხლებს ესმოდეთ მკვდრების?

20 ეძიეთ რჯული და მოწმობა და თუ არ ლაპარაკობენ ამ სიტყვის მიხედვით, ეს იმიტომ, რომ მათში არ არის სინათლე.

21 და ისინი გაივლიან ამას, მწარედ გატანჯულნი და მშიერნი; და იქნება ასე, რომ როდესაც იქნებიან მშიერნი, გაღიზიანდებიან, დაწყევლიან თავიანთ მეფეს და ღმერთს და აიხედავენ ზემოთ.

22 და დახედავენ მიწას და აჰა – უბედურება და სიბნელე, ტანჯვის ბურუსი და განიდევნებიან ბნელეთში.

თავი 19

ესაია ლაპარაკობს მესიაზე. ბნელეთში მყოფი ხალხი იხილავს დიდ სინათლეს. ძე შეგვეძინა ჩვენ. ის იქნება მშვიდობის უფლისწული და იმეფებს დავითის ტახტზე. შეადარეთ ესაია 9. დაახლოებით 559-545 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 მიუხედავად ამისა, ეს ბურუსი არ იქნება ისეთი, როგორც იყო მისი ჩაგვრისას, როდესაც მან

ჯერ რბილად დასაჯა მიწა ზე-
ბულუნისა და ნაფთალის მიწა,
მაგრამ შემდეგ უფრო მძიმედ
დასაჯა წითელი ზღვისკენ მი-
მავალ გზაზე, იორდანის გაღმა
ერთა გალილეაში.

2 ბნელეთში მოსიარულე
ხალხმა იხილა დიდი სინათლე;
სიკვდილის აჩრდილის მიწაზე
მცხოვრებლებზე სინათლე გა-
ბრწყინდა.

3 შენ გაამრავლე ერი, გაუ-
ხარდე მას სიხარული; მხიარუ-
ლობდნენ შენ წინაშე, როგორც
მოსავლის აღებისას იციან სი-
ხარული, როგორც ხარობენ ადა-
მიანები ნადავლის გაყოფისას.

4 რადგან შენ დაღუწე მისი
ტვირთის უღელი, მისი ბე-
ჭის კეტი და მისი მჩაგვრელის
კვერთხი.

5 რადგან მეომრის ყოველ
ბრძოლას თან სდევს არეული
ხმაური და სამოსელი, სისხლში
ნათრევი, მაგრამ ეს დასაწვავი
იქნება და ცეცხლის საწვავი.

6 რადგან ძე შეგვეძინა, მო-
გვეცა ძე და მთავრობა იქნება
მის მხრებზე; და უწოდებენ მას
სახელად საკვირველს, მრჩე-
ველს, ძღვევამოსილ ღმერთს,
სამარადისო მამას, მშვიდობის
უფლისწულს.

7 ზრდა მთავრობისა და მშვი-
დობისა დაუსრულებელია დავი-
თის ტახტზე და მის სამეფოში,
მის გასამყარებლად და დასა-
ფუძნებლად გამჭრიახობაში და
სამართალში ამიერიდან და

უკუნისამდე. ცაბაოთ უფლის
გულმოდგინება აღასრულებს
ამას.

8 სიტყვა გამოგზავნა უფალმა
იაკობთან და გადმოვიდა ისრა-
ელზე.

9 და გაიგებს მთელი ხალხი,
ეფრემიც და სამარიის მცხოვრე-
ბელნიც, რომლებიც ამპარტავ-
ნად და გულქვად ამბობენ:

10 აგურები ჩამოცვენილია,
მაგრამ გათლილი ქვებით ავა-
შენებთო; ნეკერჩხალი გაიჩეხა,
მაგრამ კედართი შევცვლითო.

11 ამიტომ, უფალი აუმხედრებს
მას რეცინის მოწინააღმდეგეებს
და გააერთიანებს მის მტრებს;

12 სირიელთ წინ და ფილის-
ტიმელთ უკან – და შეჭამენ
ისრაელს პირდაღებულნი. ამ
ყველაფრის მიუხედავად, მაინც
არ შებრუნდება მისი რისხვა
და კვლავ მოღერებულია მისი
ხელი.

13 რადგან ხალხი არ უბრუნ-
დება იმას, ვინც მას სცემს და
არც ცაბაოთ უფალს არ დაე-
ძებს.

14 ამიტომ, მოჰკვეთს უფალი
ისრაელს თავს და კუდს, რტო-
ებს და ლერწამს ერთ დღეს.

15 მოხუცი არის თავი; და წი-
ნასწარამტყველი, რომელიც ცრუ
მოძღვარია – კუდი.

16 რადგან ამ ხალხს მათი წი-
ნამძღოლნი გზა-კვალს ურევენ
და მათი მიმყოლნი არიან გა-
ნადგურებულნი.

17 ამიტომ, მათ ჭაბუკებზე

არ გაიხარებს უფალი და მათ ქვრივ-ობლებს არ შეიწყალებს, რადგან ყოველი მათგანი არის თვალთმაქცი და ბოროტმოქმედი და ყოველი ბაგე სისულელეს ლაპარაკობს. ამ ყველაფრის მიუხედავად, მაინც არ შებრუნდება მისი რისხვა და კვლავ მოღერებულია მისი ხელი.

18 რადგან აგიზგიზდა სიბოროტე, როგორც ცეცხლი, შთანთქავს ასკილსა და ეკლიან ბუჩქებს და აბრიალდება დაბურულ ტყეში და აღიმართებიან ისინი, როგორც კვამლის სვეტები.

19 ცაბაოთ უფლის რისხვისაგან დაბნელდა მიწა და ხალხი იქნება, როგორც ცეცხლის საწვავი, საკუთარ ძმას აღარ დაინდობს კაცი.

20 და სტაცებს მარჯვენა ხელს – მშვიერი დარჩება; მარცხნივ შეჭამს – ვერ გაძლებიან. ყველა ადამიანი თავის მკლავის ხორცს შეჭამს.

21 მენაშე ეფრემს და ეფრემი მენაშეს, ორივენი ერთად იქნებიან იუდას წინააღმდეგ. მაგრამ ამ ყველაფრის მიუხედავად, მაინც არ შებრუნდება მისი რისხვა და კვლავ მოღერებულია მისი ხელი.

თავი 20

აშურის განადგურება მეორე მოსვლისას ბოროტთა განადგურების სიმბოლოა. ცოტანი

გადარჩებიან უფლის მეორედ მოსვლის შემდეგ. იაკობის ნარჩენი დაბრუნდება იმ დღეს. შეადარეთ ესაია 10. დაახლოებით 559–545 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 ვარამი მათ, ვისაც გამოაქვთ უსამართლო ბრძანებები და წერენ შეურაცხმყოფელ გადაწყვეტილებებს;

2 რათა სამართლისგან განაირიღონ ლატაკნი, უფლება წაართვან ჩემი ხალხის ღარიბთ, რათა ქვრივები მათი ნადავლი გახდეს და ძარცვონ ობლები!

3 და რას იზამთ მოვლინების დღეს და აოხრებისას, რომელიც შორიდან მოვა? ვისთან გაიქცევით დახმარებისათვის? და სად დატოვებთ თქვენს დიდებას?

4 უჩემოდ მუხლს მოიყრიან ტყვეთა შორის და დაეცემიან დახოცილთა შორის. მაგრამ ამ ყველაფრის მიუხედავად, მაინც არ შებრუნდება მისი რისხვა და კვლავ მოღერებულია მისი ხელი.

5 ვაი აშურო, კვერთხო ჩემი რისხვისა, კეტი მათ ხელში არის მათი გულისწყრომა.

6 გავაგზავნი მას თვალთმაქცი ერის წინააღმდეგ და ჩემი რისხვის ხალხზე გალაშქრებას ვუბრძანებ, რათა აიღოს ნაძარცვი და ნადავლი და ფეხქვეშ გათელოს ქუჩის ტალახით.

7 მაგრამ ის ასე არ ფიქრობს და არც მისი გული ასე არ

განიზრახავს; მაგრამ არა ერთი ერის განადგურება და მოსპობა აქვს გულში.

8 რადგან ამბობს: განა ჩემი უფლისწულები ყველანი მეფენი არ არიან?

9 განა ქარქემიშივით არ არის ქალნი? განა არფადივით არ არის ხამათი? განა დამასკოსავით არ არის სამარია?

10 ვინაიდან ჩემმა ხელმა დააარსა კერპთა სამეფოები, რომელთა ქანდაკებებმა გადაატარბეს იერუსალიმის და სამარიას ქანდაკებებს.

11 როგორც სამარიას და მის კერპებს მოვექცევი, განა ისევე არ მოვექცევი იერუსალიმს და მის კერპებს?

12 ამიტომ, იქნება ასე: როდესაც უფალი სრულად აღასრულებს თავის საქმეს სიონის მთაზე და იერუსალიმში, მაშინ იტყვის: მე დავსჯი აშურის მეფის დიდგულობის ნაყოფს და მისი ქედმაღლური მზერის დიდებას.

13 რადგან ის ამბობს: ჩემი ხელის ძალით და ჩემი სიბრძნით ვქმენი ეს ყველაფერი, რადგან გონიერი ვარ; მე გადავწიე ხალხთა საზღვრები და გავძარცვე მათი საგანძურები და ბუმბერაზივით დავამხე მცხოვრებნი.

14 და მოძებნა ჩემმა ხელმა, ბუდესავით, ხალხთა სიმდიდრენი; და როგორც მიტოვებულ კვერცხებს კრეფენ, ისე ამოვკრიფე მთელი მიწა; და არავინ

არ შეარხია ფრთა, არ ამოიღო ხმა და არ დაიწვილა.

15 იტრაბახებს ცული მისით მჩუხელზე? ან ხერხი განდიდება მის გამწვევზე? ვითომ შეირხევა კვერთხი მის აღმმართველზე ან აღმართება თავისით კეტი, თითქოს ხის არ იყოს!

16 ამიტომ, უფალი, ცაბაოთ უფალი, მოუვლენს მის მსუქნებს სიმჭლევეს; და მისი დიდების ქვეშ ცეცხლს დაანთებს, როგორც აალებული ხანძარი.

17 და ისრაელის ნათელი ცეცხლად გადაიქცევა და მისი წმინდა – ალად და დაწვავს და გადაბუგავს მის ნარ-ეკალსა და ჯაგნარს ერთ დღეში;

18 და დაწვავს მისი ტყის დიდებას, მის ნაყოფიერ მინდორს, სულსა და სხეულს; და იქნებიან ისინი ისე, თითქოს ძირს დაეცა მათი მედროშე უსულოდ.

19 და მისი ტყეების ნარჩენი იმდენად ცოტა იქნება, რომ ბავშვიც კი აღნუსხავს მათ.

20 და იმ დღეს იქნება ასე, რომ ისრაელის ნარჩენი და იაკობის სახლის გადარჩენილნი აღარ დაეყრდნობიან თავიანთ დამმარცხებელს, არამედ ჭეშმარიტად დაეყრდნობიან უფალს, ისრაელის წმინდას.

21 ნარჩენი, დიახ, ნარჩენი იაკობისა, დაუბრუნდება ძლევაძმოსილ ღმერთს.

22 შენი ხალხი, ისრაელ, ზღვის ქვიშასავითაც რომ იყოს, მხოლოდ მისი ნარჩენი დაბრუნდება;

ნაბრძანები განადგურება გადმო-
იღვრება სამართლიანობით.

23 რადგან ცაბაოთ უფალი
ღმერთი აღასრულებს განადგუ-
რებას, რომელიც დადგენილია
მთელ მიწაზე.

24 ამიტომ, ასე ამბობს ცაბაოთ
უფალი ღმერთი: ჩემო ხალხო,
სიონის მცხოვრებნო, ნუ გეშინ-
იათ აშურისა; ის კვერთხით
გცემთ და თავის კეცს აღმარ-
თავს შენზედ, ეგვიპტესავით.

25 რადგან, კიდევ ცოტაც და
შეწყდება გულისწყრომა და ჩემი
რისხვა შეწყდება მათი დაქცე-
ვით.

26 და მათრახს აღმართავს მას-
ზედ ცაბაოთ უფალი, როგორც
მიდიანის დახოცვისას ყორების
კლდესთან; და როგორც ზღვაზე
იყო მისი კვერთხი, ისევე აღ-
მართავს იგი მას, როგორც ეგ-
ვიპტეზე.

27 და იქნება იმ დღეს – ჩამოგე-
ხსნება მისი ტვირთი მხრებიდან
და მისი უღელი კისრიდან და
ზეთისცხების გამო დაიმსხვრევა
უღელი.

28 ის მიდის ყაიათზე, ჩაიარა
მიგრონი; მიქმაში აყენებს თა-
ვის ალაღს.

29 მათ გაიარეს გასასვლელი,
გებაყში გაჩერდნენ ღამის გა-
სათევად; რამათი შეშინდა; სა-
ულის გიბყა გაიქცა.

30 ხმა აღიმალღე, გაღიმის
ასულო, დაე, ისმოდეს ის ლაი-
შაში, საბრალლო ყანათოთ!

31 მადმენა წავიდა, გებიმის

მცხოვრებნიც იკრიბებიან გასა-
ქცევად.

32 იმ დღეს ის ნობშიც დაყოფნ-
დება; ხელს მოუქნევს სიონის
ასულის მთას, იერუსალიმის
ბორცვს.

33 აჰა, უფალი, ცაბაოთ უფალი,
ზარდაცემით ლეწავს რტოებს;
ტანმალანი მოიჭრებიან და მე-
დიდურები დამდაბლდებიან.

34 და რკინით გააკაფავს იგი
ტყის უღრანებს და დაეცემა ლი-
ბანი ძლევამოსილისგან.

თავი 21

*იესეს ღერო (ქრისტე) განსჯის
სამართლიანად. ათასწლეულის
ჟამს ცოდნა ღმერთის შესახებ
მოეფინება დედამიწას. უფალი
აღმართავს დროშას და შეკრებს
ისრაელს. შეადარეთ ესაია 11.
დაახლოებით 559–545 წწ. ჩვენს
წელთაღრიცხვამდე.*

1 და ამოვა ყლორტი იესეს ღე-
როდან და რტო გაიზრდება მისი
ფესვებიდან.

2 და დაივანებს მასზე უფლის
სული, სული სიბრძნისა და
გონიერების, სული რჩევისა და
ძლიერების, სული ცოდნისა და
უფლისადმი შიშის;

3 და აქცევს მას გამგებიანად
უფლისადმი შიშის წინაშე; და
თავისი თვალთახედვით არ გან-
კიცხავს და თავისი ყურთასმე-
ნით არ ამხელს.

4 სამართალით განსჯის ღა-
რიბთ, სისწორით გააკიცხავს

მიწის თვინიერთა გულისათვის; და დაკრავს მიწას თავისი პირის კვერთხით; და თავის ბაგეთა სუნთქვით დახოცავს ბოროტთ.

5 და სიმართლე იქნება სარტყელი მისი წელისა და ერთგულება - სარტყელი მისი თეძოებისა.

6 მგელი იცხოვრებს კრავთან ერთად და ავაზა ციკნის გვერდით წამოწევა; და ხბო, ლომის ბოკვერი და ხარი ერთად იქნებიან; და პატარა ბავშვი წაუძღვება მათ.

7 ძროხა და დათვი ერთად მოძოვენ და მათი შვილები ერთად წამოწევიან; და ლომი ხარივით შეჭამს ჩალას.

8 ძუძუთა ბავშვი ასპიტის ხვრელზე ითამაშებს და ძუძუს მოწყვეტილი, გვეღგესლის ბუნავს შეეხება ხელით.

9 არ იბოროტებენ ისინი და არ გაანადგურებენ არაფერს მთელ ჩემს წმინდა მთაზე, რადგან აივსება მიწა უფლის ცოდნით, როგორც წყლებით დაფარულია ზღვა.

10 და იმ დღეს იქნება იესეს ფესვი, რომელიც წარსდგება ხალხის დროშად; მისკენ გაემართებიან წარმართნი; და დიდი იქნება მისი სასვენებელი.

11 და იქნება ასე, იმ დღეს, კვლავ, მეორედ გაიწვდის უფალი ხელს, რომ დააბრუნოს თავისი ხალხის ნარჩენი, რომელიც დარჩება აშურიდან და ეგვიპტიდან, ფათროსიდან და ქუშიდან,

ყელამიდან და შინყარიდან, ხამათიდან და ზღვის კუნძულებიდან.

12 და ის დროშას აღუმართავს ერებს და შეკრებს გაძევებულთ ისრაელიდან და დედამიწის ოთხივე კიდიდან ერთად შეაგროვებს იუდიდან გაფანტულთ.

13 გაქრება ასევე ეფრემის შური და იუდას მტრები მოკვეთილნი იქნებიან; ეფრემს აღარ შემშურდება იუდასი და იუდა აღარ შეაჭირვებს ეფრემს.

14 მაგრამ დააფრინდებიან ფილისტიმელთა მხრებს დასავლეთით, ერთად გაძარცვავენ მათ, ვინც არის აღმოსავლეთით, ხელს დაადებენ ედომს და მოაბს და ყამონის შვილები დაემორჩილებიან მათ.

15 და უფალი მთლიანად გაანადგურებს ეგვიპტის ზღვის ენას; და ხელს მოიქნევს მდინარეზე თავის ქარტეხილში, შვიდ ნაკადად განწვალავს მას, რომ ადამიანმა ფეხშემოსილმა მშრალზე გადაიაროს.

16 და ექნება დიდი გზასავალი მისი ხალხის ნარჩენს, რომელიც დარჩება აშურიდან, როგორც ჰქონდა ისრაელს იმ დღეს, როდესაც ეგვიპტის მიწიდან გამოვიდა.

თავი 22

ათასწლეულის დღეს ყოველი ადამიანი უფალს აღიდებს. ის იცხოვრებს მათ შორის. შეა-

დარეთ ესაია 12. დაახლოებით 559-545 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და იტყვი იმ დღეს: უფალო, მე შენ გადიდებ, თუმცა შენ იყავი განრისხებული ჩემზე, დაცხრა შენი რისხვა და მანუგეშებ.

2 აჰა, ღმერთია ჩემი ხსნა, მივენდობი და არ შემეშინდება, რადგან უფალი იეჰოვა არის ჩემი ძალა და სიმღერა; ის ასევე გახდა ჩემი ხსნა.

3 ამიტომ, სიხარულით ამოხაპავთ წყალს ხსნის წყაროებიდან.

4 და იმ დღეს იტყვი: ადიდეთ უფალი, მოუხმეთ მის სახელს, გამოაცხადეთ მისი საქმენი ხალხში, გაახსენეთ, რომ ამადლებულია მისი სახელი.

5 უმღერეთ უფალს, რადგან დიდებული რამ მოიმოქმედა მან; მთელ დედამიწას მოედო ეს ამბავი.

6 ილხინე და იგალობე, სიონის მცხოვრებო, რადგან დიდია თქვენ შორის ისრაელის წმინდა!

თავი 23

ბაბილონის განადგურება არის მეორე მოსვლისას განადგურების სიმბოლო. ეს იქნება რისხვისა და შურისგების დღე. ბაბილონი (მსოფლიო) დაეცემა სამუდამოდ. შეადარეთ ესაია 13. დაახლოებით 559-545 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 განაჩენი ბაბილონზე, რომელიც იხილა ესაიამ, ამოცის ძემ: 2 მაღალ მთაზე აღმართეთ დროშა, ხმამაღლა გასძახეთ, ხელი დაუქნიეთ, რომ შევიდნენ წარჩინებულთა კარიბჭით.

3 მე ვუბრძანე ჩემს განწმენდილთ, მოვუხმე ასევე ჩემს ძლევამოსილთ, რადგან ჩემი რისხვა არ არის მათზე, ვინც ზემოობს ჩემს სიდიადეში.

4 მრავალთა ხმაურია მთებში, თითქოს მრავალი ხალხისაგან, ერთად თავშეყრილი ერების სამეფოთა აურზაურის ხმა, ცაბათ უფალი აგროვებს საომრად გამზადებულ ლაშქარს.

5 მოდიან შორეული ქვეყნიდან, ცის კიდიდან, დიახ, უფალი და მისი გულისწყრომის იარაღები, მთელი ქვეყნის დასაქცევად.

6 იქვეითინეთ, რადგან ახლოს არის უფლის დღე; მოდის, როგორც განადგურება ყოვლადძლიერისგან.

7 ამიტომაც დაუძღვრდება ყველას ხელები, ყოველი ადამიანის გული დადნება;

8 და შეეშინდებათ; მძაფრი ტკივილი და დარდი შეიპყრობს მათ; გაკვირვებულნი შეხედავენ ერთმანეთს; სახეები ექნებათ, როგორც ჩირადნები.

9 აჰა, მოდის უფლის დღე – სასტიკი, რისხვითა და მძვინვარე წყრომით, ქვეყნის გასაპარტახებლად; და განადგურებს იქ ცოდვილებს.

10 რადგან ზეცის ვარსკვლავები

და მისი თანავარსკვლავები აღარ გამოსცემენ შუქს; მზე დაბნელებს ამოსვლისას და მთვარე აღარ მოჰყენს თავის ნათელს.

11 და მე დავსჯი ამასოფელს სიბოროტისთვის და ბოროტთ – თავიანთი ურჯულოებისათვის; ბოლოს მოვუღებ ამპარტავანთა ქედმაღლობას და მტარვალთა სიამაყეს დავამდაბლებ.

12 კაცს ბაჯადლო ოქროზე ძვირფასად ვაქცევ; ადამიანს – ოფირის ოქროს სოლზე მეტად.

13 ამიტომაც შევარყევ ზეცას და დაიძვრება დედამიწა თავისი ადგილიდან ცაბაოთ უფლის რისხვისას და მისი მძვინვარე გულისწყრომის დღეს.

14 და იქნება, როგორც დევნილი შველი და ცხვარი, რომელსაც არავინ არ აიყვანს და ყველა ადამიანი თავის ხალხს დაუბრუნდება და ყველა თავის ქვეყნისკენ გაიქცევა.

15 ყოველი ამპარტავანი განიგმირება; დიახ, ყოველი, ვინც შეუერთდება ბოროტთ, მახვილით დაეცემა.

16 მათი შვილები მათ თვალწინ დანაკუწდებიან, მათი სახლები გაიძარცვება, მათი ცოლები პატივყრილნი იქნებიან.

17 აჰა, აღვძრავ მათზე მიდიელებს, რომლებიც არად აგდებენ ვერცხლსა და ოქროს და არ ტკებებიან მასში.

18 მათი მშვილდები ასევე დაანაკუწებს ყმაწვილკაცებს;

მუცლის ნაყოფს არ შეიწყალებენ; მათი თვალები ბავშვებს არ ზოგავენ.

19 და ბაბილონი – სამეფოთა დიდება, ქალდეველთა დიდების სილამაზე, დაემსგავსება უფლისგან დამხობილ სოდომსა და გომორას.

20 არასდროს დასახლება იგი, თაობიდან თაობამდე არავინ იცხოვრებს მასში, არც არაბი არ გაშლის იქ კარავს და არც მწყემსები არ ააშენებენ თავიანთ ფარებს.

21 მაგრამ დაწვებიან იქ უდაბნოს გარეული მხეცები და აივსება მათი სახლები უწმინდური არსებებით; ჭოტები დასახლდებიან და ჭინკები იცეკვებენ იქ.

22 და კუნძულების გარეული მხეცები იმწველებენ მათ აოხრებულ სახლებში და ურჩხულები – მათ საზეიმო სასახლეებში; და მალე დადგება მისი ჟამი და აღარ გაგრძელდება მისი დღე, რადგან გავანადგურებ მას დაუყოვნებლივ; დიახ, რადგან ვიქნები მოწყალე ჩემი ხალხის მიმართ, თუმცა ბოროტნი დაიღუპებიან.

თავი 24

ისრაელი შეიკრიბება და დატკებება ათასწლეული დასვენებით. ლუციფერი ჩამოგდებულ იქნა ზეციდან ჯანყის გამო. ისრაელი გაიმარჯვებს ბაბილონზე (მსოფლიოზე). შეადარეთ ესაია

14. დაახლოებით 559-545 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 რადგან შეიწყალეს უფალი იაკობს და კიდევ აირჩევს ისრაელს და დაასახლებს მათ თავიანთ მიწაზე; და უცხონი შეუერთდებიან მათ და მიეკრობიან იაკობის სახლს.

2 და ხალხი აიყვანს მათ და მიიყვანს მათსავე ადგილზე; დიახ, შორიდან, დედამიწის კიდით კიდემდე; და დაბრუნდებიან ისინი თავიანთ აღთქმულ მიწებზე. და ისრაელის სახლი დაიმკვიდრებს მიწებს და უფლის მიწა იქნება მოსამსახურეებისა და მხევლებისთვის; და დაატყვევებენ მათ, ვისი ტყვეებიც თვითონ იყვნენ; და თავიანთ მჩაგვრელებზე იბატონებენ.

3 და ასე იქნება იმ დღეს, რომ უფალი დაგასვენებს შენი მწუხარების შიშისა და მძიმე მონობისგან, რომელშიც გაიძულელებდნენ მსახურებას.

4 და ასე იქნება იმ დღეს, რომ შენ წარმოთქვამ ამ იგავს ბაბილონის მეფის წინააღმდეგ და იტყვი: როგორ დაცხრა მჩაგვრელი, მოედო ბოლო ოქროს ქალაქს!

5 გატეხა უფალმა ბოროტთა კვერთხი, მბრძანებელთა არგანი.

6 ის, რომელიც გამუდმებით სცემდა ხალხს რისხვით, ის, რომელიც წყრომით ბრძანებლობდა ერებზე, ახლა იდევნება და ხელს არავინ უშლის!

7 მთელი დედამიწა ისვენებს და სიმშვიდეა; და მათ იწყეს გალობა.

8 დიახ, კვიპაროსები შეგხარიან შენ, ასევე ლიბანის კედრებიც, სიტყვებით: მას შემდეგ, რაც შენ დაწექი, აღარ ამოსულა არავინ ჩვენ მოსაჭრელად.

9 ჯოჯოხეთი ქვემოთ შეიძრა შენ გამო, შენ შესახვედრად; აღვიძებს შენთვის მკვდრებს, დედამიწის ყველა ბელადსაც კი; წამოაყენა თავიანთი ტახტებიდან ერთა ყველა მეფე.

10 ყველანი აღაპარაკებიან და გეტყვიან: ნუთუ შენც ჩვენსავით დაუძღურდი? ნუთუ ჩვენ დაგვემსგავსე?

11 შენი დიდება საფლავში ჩაინთქა; შენი ვიოლების ხმაური აღარ ისმის; ქვეშ მატლი გიფენია და ჭიები გაფარია.

12 როგორ ჩამოვარდი ზეციდან, ლუციფერო, ძეო განთიადისა! ნუთუ მიწაზე მოგაკეთეს შენ, რომელიც აუძღურებდი ერებს!

13 რადგან შენს გულში ამბობდი: ცად ავხდები, ჩემს ტახტს ღმერთის ვარსკვლავთა ზემოთ ავამაღლებ; დავჯდები ასევე საკრებულო მთაზე, ჩრდილოეთის მხარეს;

14 მე ავიჭრები ღრუბლების მწვერვალებზე, ვიქნები, როგორც ყოვლად მაღალი.

15 მაგრამ ჯოჯოხეთში იქნები ჩაგდებული, ქვესკნელის კიდევლებზე.

16 ისინი, ვინც დაგინახავენ,

მოგაშტერდებიან და დაგაკვირდებიან და იტყვიან: ეს ის კაცია, მიწას რომ არყევდა, სამეფოებს რომ ახანზარებდა?

17 და ქვეყანა რომ უდაბნოდ აქცია და მისი ქალაქები დაანგურია და მის ტყვეებს სახლი არ გაუხსნა?

18 ერთა ყოველი მეფე, დიახ, ყოველი მათგანი, დიდებაში განისვენებს, თითოეული საკუთარ სახლში.

19 მაგრამ შენ გაძევებული ხარ შენი საფლავიდან, როგორც ბილწი რტო და მახვილით განგმირული დახოცილთა ნარჩენები, ორმოს ქვებზე ჩაგდებული, როგორც ფეხით გათელილი გვამი.

20 ვერ შეუერთდები მათ დამარხვისას, რადგან გაანადგურე შენი მიწა და დახოცე შენი ხალხი; ბოროტმოქმედთა შთამომავლობა აღარასდროს იქნება ცნობილი.

21 განუმზადე ჟლეტა მის შვილებს მათი მამების ურჯულოების გამო, რათა არ აღდგნენ და არ დაიმკვიდრონ ქვეყანა, არც ქალაქებით არ აავსონ დედამიწის პირი.

22 რადგან აღვსდგები მათზედ, – ამბობს ცაბაოთ უფალი, და მოვკვეთ ბაბილონიდან სახელს და ნარჩენს და შვილს და ძმისშვილს, – ამბობს უფალი.

23 მე ასევე ვაქცევ მას წყლის ფრინველთა სამკვიდროდ და ჭაობებად; და განადგურების

ცოცხით გამოვხვეტავ მას, – ამბობს ცაბაოთ უფალი.

24 ცაბაოთ უფალმა დაიფიცა სიტყვებით: ჭეშმარიტად, როგორც ჩავიფიქრე, ისე იქნება; და როგორც განვიზრახე, ისე მოხდება.

25 რომ მოვიყვან აშურს ჩემს მიწაზე და ფეხით გავთელავ მას ჩემს მთებზე; მაშინ გადაგდებული იქნება მისი უღელი მათგან და მხრებიდან ტვირთი ჩამოეხსნებათ.

26 ესაა მიზანი, რომელიც მთელი დედამიწისთვის არის განზრახული და ესაა ხელი, რომელიც ყოველ ერზეა მოღერებული.

27 რადგან ცაბაოთ უფალმა განიზრახა, ვინ გააუქმებს და მოღერებულია მისი ხელი და ვინ შეაბრუნებს?

28 მეფე ახაზის სიკვდილის წელს ასეთი იყო განაჩენი.

29 ნუ გიხარია, სრულიად ფილისტიმია, იმის გამო, რომ დაილეწა შენი მცემელის კვერთხი, რადგან გველის ფესვიდან გამოვა გველგესლა და მისი ნაყოფი ცეცხლოვანი მფრინავი გველები იქნება.

30 და ღარიბთა პირმშონი გამოიკვებებიან და ღატაკნი უსაფრთხოდ წამოწვებიან; და შიმშილით მოვკლავ შენს ფესვს და ის შენს ნარჩენს დახოცავს.

31 იქვითინე, კარიბჭეე; იტირე, ქალაქო; მთლიანად დაშლილი ხარ შენ ფილისტიმავ; რადგან ჩრდილოეთიდან მოვა კვამლი და

არავინ იქნება მარტო მისთვის დანიშნულ დროს.

32 მაშინ რას უპასუხებენ ხალხთა წარგზავნილნი? რომ უფალმა დააფუძნა სიონი და რომ მისი ხალხის ღარიბნი მასში კპოვებენ თავშესაფარს.

თავი 25

ნეფი ხარობს ნათელში. ესაიას წინასწარმეტყველებანი გასაგები გახდება უკანასკნელ დღეებში. იუდეველები ბაბილონიდან დაბრუნდებიან, ჯვარს აცვამენ მესიას და იქნებიან გაფანტულნი და გამათრახებულნი. მათ აღადგენენ, როდესაც მესიას იწამებენ. ის პირველად მოვა ექვსასი წლის შემდეგ, რაც ლეხიმ დატოვა იერუსალიმი. ნეფიელები იცავენ მოსეს რჯულს და სწამთ ქრისტე, რომელიც არის ისრაელის წმინდა. დაახლოებით 559-545 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 ახლა, მე, ნეფი, ვლაპარაკობ ჩემ მიერ დაწერილ სიტყვებზე, რომლებიც ესაიას პირით იყო ნათქვამი. რადგან, აჰა, ესაიამ თქვა ბევრი რამ ისეთი, რაც ჩემ ხალხში მრავალი ადამიანისთვის იყო ძნელად გასაგები; რადგან მათ არ იციან იუდეველთა შორის წინასწარმეტყველების წესის შესახებ.

2 რადგან, მე, ნეფი, არ ვასწავლიდი მათ ბევრს იქიდან, რაც ეხებოდა იუდეველთა წესებს;

რამეთუ მათი საქმიანობა იყო ბნელეთის საქმენი და მათი საქციელი იყო სისაძაგლეთა საქციელი.

3 ამიტომ, მე ვუწერ ჩემს ხალხს - ყველას, ვინც შემდგომ მიიღებს იმას, რასაც მე დავწერ, რათა იცოდნენ ღვთის სასჯელი, რომ ისინი მოევლინება ყველა ერს, იმ სიტყვის მიხედვით, რომელიც მან თქვა.

4 ამიტომ, შეიგნე, ჩემო ხალხო, რომელნიც მიეკუთვნებით ისრაელის სახლს; და ყური დაუგდეთ ჩემს სიტყვებს; რადგან მიუხედავად იმისა, რომ ესაიას სიტყვები არ არის თქვენთვის ნათელი, ისინი ნათელია მათთვის, ვინც აღვსილია წინასწარმეტყველების სულით. მაგრამ მე მოგცემთ წინასწარმეტყველებას იმ სულის მიხედვით, რომელიც ჩემშია; ამიტომ, ვიწინასწარმეტყველებ იმ სინათლის მიხედვით, რომელიც ჩემთან არის იმ დროიდან, რაც იერუსალიმიდან გამოვედი მამაჩემთან ერთად; რადგან, აჰა, ჩემი სული ხარობს ნათელში ჩემი ხალხისათვის, რათა მათ შეძლონ სწავლა.

5 დიახ, და ჩემი სული ხარობს ესაიას სიტყვებში, რადგან გამოვედი იერუსალიმიდან და ჩემმა თვალებმა იხილეს იუდეველთა საქმენი და ვიცი, რომ იუდეველებს მართლაც ესმით წინასწარმეტყველთა სიტყვები და არ არსებობს სხვა ხალხი, რომელსაც მათსავით ესმის ის, რაც

ნათქვამია იუდეველებისათვის, თუკი ისინი არ იქნებიან განსწავლულნი იუდეველთა წესების მიხედვით.

6 მაგრამ, აჰა, მე, ნეფი, არ ვასწავლიდი ჩემს შვილებს იუდეველთა წესების მიხედვით; მაგრამ, აჰა, თავად ვცხოვრობდი იერუსალიმში და ამიტომ ვიცი მისი შემოგარენის შესახებ; და შევახსენე ჩემს შვილებს ღვთის სასჯელების შესახებ, რომლებიც ახლა იუდეველთა შორის, შევახსენე ჩემს შვილებს ყოველივე იმის მიხედვით, რაც ესაიამ ილაპარაკა და ამას არ დაეწერ მათ.

7 მაგრამ, აჰა, ვაგრძელებ ჩემს წინასწარმეტყველებას, შესაბამისად ჩემი უბრალოებისა, რისი წყალობითაც ვიცი, რომ არავინ არ შეცდება; მიუხედავად ამისა, იმ დღეებში, როდესაც ახდება ესაიას წინასწარმეტყველებები, ადამიანებს ზუსტად ეცოდინებათ, იმ დღეებში, როდის აღსრულდება ისინი.

8 ამიტომ, ისინი ძვირფასია ადამიანთა შვილებისთვის და ის, ვინც ფიქრობს, რომ ისინი არ არის მათთვის ძვირფასი, მათ მიემართავ განსაკუთრებულად და შევუზღუდავ ამ სიტყვებს ჩემს საკუთარ ხალხს; რადგან მე ვიცი, რომ ისინი იქნება ძალზედ ძვირფასი მათთვის უკანასკნელ დღეებში. რადგან იმ დღეს ისინი გაიგებენ მათ; ამიტომ, მათ სასიკეთოდ დავწერე ისინი.

9 და ისე, როგორც ერთი თაობა იქნა განადგურებული იუდეველთა შორის ურჯულოებისათვის, ასევე ნადგურდებოდნენ ისინი თაობიდან თაობამდე, მათი ურჯულოების მიხედვით; და არცერთი მათგანი არ იყო განადგურებული უფლის წინასწარმეტყველთა გაფრთხილების გარეშე.

10 ამიტომ, მათ უთხრეს იმ განადგურების შესახებ, რომელიც დაუყოვნებლივ მოევლინებოდათ, მამაჩემის მიერ იერუსალიმის დატოვების შემდეგ. მიუხედავად ამისა, მათ გაიქვავეს გული და ჩემი წინასწარმეტყველების შესაბამისად ისინი განადგურდნენ, მათ გარდა, რომლებიც ბაბილონში ტყვედ წაიყვანეს.

11 და ახლა, ამას მე ვლაპარაკობ იმ სულის გამო, რომელიც ჩემშია. და მიუხედავად იმისა, რომ ისინი წაიყვანეს, ისინი კვლავ დაბრუნდებიან და დაისაკუთრებენ იერუსალიმის მიწას; ამიტომ, ისინი კვლავ აღდგებიან თავიანთი მეძვიდრეობის მიწაზე.

12 მაგრამ, აჰა, მათ ექნებათ ომები და ამბები ომების შესახებ; და როდესაც დადგება დღე, როდესაც მამის მხოლოდშობილი, დიახ, ზეცისა და დედამიწის მამა, გამოეცხადება მათ ხორციელად, აჰა, ისინი უარყოფენ მას, თავიანთი ურჯულოებისა და გულქვაობის გამო და თავიანთი ქედფიცხელობით.

13 აჰა, ისინი ჯვარს აცვა-
მენ მას; და მას შემდეგ, რაც
აკლდამაში დააწვენენ სამი
დღის განმავლობაში, ის აღ-
დგება მკვდრეთით, კურნება
იქნება მის ფრთებზე და ყველა,
ვინც მის სახელს იწამებს, გადა-
რჩება ღვთის სასუფეველში. ამი-
ტომ, ხარობს ჩემი სული მასზე
წინასწარმეტყველებით, რადგან
მე ვიხილე მისი დღე და გული
ჩემი ადიდებს მის წმინდა სა-
ხელს.

14 და აჰა, ასე იქნება, რომ მას
შემდეგ, რაც მესია აღდგება
მკვდრეთით და გამოეცხადება
თავის ხალხს, ყველას, ვინც
მის სახელს იწამებს, აჰა, იე-
რუსალიმი კვლავ განადგურ-
დება, რადგან ვარამი მათ, ვინც
იბრძვის ღმერთისა და მისი ეკ-
ლესიის ხალხის წინააღმდეგ.

15 ამიტომაც, იუდეველები გა-
ფანტულნი იქნებიან ყველა
ერებს შორის; დიახ, და ასევე
განადგურდება ბაბილონიც;
ამიტომაც იუდეველები გაფან-
ტულნი იქნებიან სხვა ერების
მიერ.

16 და მას შემდეგ, რაც ისინი
გაიფანტებიან და უფალი
ღმერთი გაამათრახებს მათ სხვა
ერების მეშვეობით, მრავალი თა-
ობის განმავლობაში, დიახ, თა-
ობიდან თაობამდე, სანამ არ
დაარწმუნებენ, იწამონ ქრისტე,
მე ღვთისა და გამოსყიდვა, რომელიც
უსასრულოა მთელი კა-
ცობრიობისათვის; და როდესაც

მოვა ის დღე, როდესაც ისინი
იწამებენ ქრისტეს და მისი სა-
ხელით თავიანთ სცემენ მამას,
წმინდა გულით და სუფთა ხე-
ლებით და აღარ დაელოდებიან
სხვა მესიას, მაშინ, იმ დროს,
მოვა ის დღე, როდესაც იქნება
საჭირო, რომ მათ ეს იწამონ.

17 და უფალი კვლავ მეორედ
მოუღერებს ხელს, რათა აღა-
დგინოს თავისი ხალხი თავია-
ნთი დაკარგული და დაცემული
მდგომარეობიდან. ამიტომ, იგი
დაიწყებს საოცარი საქმის კე-
თებასა და სასწაულების მოხდენას
აღამიანთა შეილებს შორის.

18 ამიტომ, იგი შეატყობინებს
მათ თავის სიტყვებს, იმ სი-
ტყვებს, რომლებითაც განიკით-
ხავს მათ უკანასკნელ დღეს,
რადგან ისინი მიეცემათ, რათა
ირწმუნონ ჭეშმარიტი მესია,
რომელიც მათ მიერ იყო უარ-
ყოფილი; და მათსავე დასარწმუნ-
ებლად, რომ აღარ სჭირდებათ
სხვა მესიის მოსვლის ლოდინი,
რადგან მეორე არ მოვა, თუ არა
რომელიმე ცრუ მესია, რომელიც
აღამიანებს შეაცდენს; რადგან
არის მხოლოდ ერთი მესია,
რომელზეც ლაპარაკობდნენ წი-
ნასწარმეტყველები და ეს მესია
არის ის, რომელიც უნდა უარ-
ყონ იუდეველებმა.

19 რადგან, წინასწარმე-
ტყველთა სიტყვების მიხედვით,
მესია მოვა ექვსასი წლის შემ-
დეგ იმ დროიდან, როდესაც მა-
მაჩემმა დატოვა იერუსალიმი და

წინასწარმეტყველთა სიტყვების და ასევე ღმერთის ანგელოზის სიტყვების მიხედვით, მისი სახელი იქნება იესო ქრისტე, ძე ღვთისა.

20 და ახლა, ჩემო ძმებო, მენათლად ვთქვი, რომ არ შეგეშალოთ. და როგორც ცოცხალია უფალი ღმერთი, რომელმაც გამოიყვანა ისრაელი ეგვიპტის მიწიდან და მისცა მოსეს ძალა, რათა განეკურნა ერები მას შემდეგ, რაც ისინი გესლიანმა გველებმა დაკბინეს, თუ ისინი მიაპყრობდნენ მზერას გველს, რომელიც მათ წინ აღმართა, ასევე მისცა ძალა – დაეკრა კლდისათვის და წყალი წამოსულიყო; დიახ, აჰა, მე გეუბნებით, რომ როგორც არის ჭეშმარიტი ეს საქმენი და როგორც ცოცხალია უფალი ღმერთი, არ არის მიცემული ზეცის ქვეშ სხვა სახელი ამის გარდა – იესო ქრისტე, რომელზეც მე ვლაპარაკობდი, რომლის შემწევობით შეიძლება ადამიანის ხსნა.

21 ამიტომ, ამ მიზნისთვის, უფალი ღმერთი დამპირდა, რომ ის, რასაც ვწერ, იქნება დაცული და შეინახება და გადაეცემა ჩემს შთამომავლობას თაობიდან თაობამდე, რათა აღსრულდეს იოსებისადმი მიცემული დაპირება, რომ მისი შთამომავლობა არასდროს არ დაიღუპება, სანამ იდგება დედამიწა.

22 ამიტომ, ეს ჩანაწერები გადავა თაობიდან თაობამდე, სანამ

დედამიწა იდგება; და გადაეცემა მული იქნება ღვთის ნებისა და სურვილისამებრ; და ერები, რომელთა მფლობელობაში ისინი იქნებიან, მათში დაწერილი სიტყვების მიხედვით იქნებიან განკითხულნი.

23 რადგან ჩვენ ბეჯითად ვშრომობთ, რომ დაეწეროთ, რათა დავარწმუნოთ ჩვენი შვილები, ასევე ჩვენი ძმები, იწამონ ქრისტე და შეურიგდნენ ღმერთს; რადგან ჩვენ ვიცით, რომ მაღლით გადავრჩებით, მას შემდეგ, რაც გავაკეთებთ ყველაფერს, რაც ჩვენ შეგვიძლია.

24 და მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ გვწამს ქრისტე, ჩვენ ვიცავთ მოსეს რჯულს და მტკიცედ მოველით ქრისტეს მანამ, სანამ რჯული არ აღსრულდება.

25 რადგან ამ მიზნით იყო მიცემული რჯული; ამიტომ, ეს რჯული ჩვენთვის გახდა მკვდარი და გაგვაცოცხლა ქრისტეში ჩვენი რწმენის გამო; მიუხედავად ამისა, მცნებების გამო ჩვენ ვიცავთ რჯულს.

26 და ჩვენ ვლაპარაკობთ ქრისტეზე, ჩვენ ვხარობთ ქრისტეში, ჩვენ ვქადაგებთ ქრისტეზე, ჩვენ ვწინასწარმეტყველებთ ქრისტეზე და ჩვენ ვწერთ ჩვენი წინასწარმეტყველებების შესახებამისად, რათა ჩვენმა შვილებმა იცოდნენ, რომელ წყაროს დაეყრდნონ თავიანთი ცოდვების მისატყვევებლად.

27 ამიტომ, ჩვენ ვლაპარაკობთ

რჯულზე, რათა ჩვენმა შვილებმა გაიგონ ამ რჯულის უსიცოცხლობა; და რომ მათ, რჯულის უსიცოცხლობის ცოდნით შეძლონ დაელოდონ იმ ცხოვრებას, რომელიც ქრისტეშია და იცოდნენ, თუ რა მიზნით არის მოცემული რჯული. და რომ მას შემდეგ, რაც ქრისტეში აღსრულდება რჯული, მათ არ დასჭირდებათ თავიანთი გულის გაქვავება მის წინააღმდეგ მაშინ, როდესაც საჭირო გახდება რჯულის გაუქმება.

28 და ახლა, აჰა, ჩემო ხალხო, თქვენ ხართ ქედფიცხელი ხალხი; ამიტომ გელაპარაკეთ ნათლად, რომ არასწორად არ გაიგოთ. და ის სიტყვები, რომლებიც მე ვთქვი, იქნება როგორც დამოწმება თქვენ წინააღმდეგ, რადგან ისინი საკმარისია, რომ ასწავლონ ნებისმიერ ადამიანს სწორი გზა; რადგან სწორი გზა არის იწამოთ ქრისტე და არ უარყოთ იგი, რადგან მისი უარყოფით თქვენ უარყოფთ წინასწარმეტყველებს და რჯულს.

29 და ახლა, აჰა, მე გეუბნებით, რომ სწორი გზა არის – იწამოთ ქრისტე და არ უარყოთ იგი; და ქრისტე არის ისრაელის წმინდა; ამიტომ, თქვენ ქედი უნდა მოიხაროთ მის წინაშე და ეთაყვანოთ მთელი ძალით, გონებითა და სიძლიერით და მთელი სულით; და თუ თქვენ ამას გააკეთებთ, თქვენ არავითარ შემთხვევაში არ იქნებით გაძევებულნი.

30 და რამდენადაც ეს იქნება აუცილებელი, თქვენ უნდა დაცვათ ღვთის ადამ-წესები და წეს-ჩვეულებები, სანამ არ აღსრულდება რჯული, რომელიც მოსესთვის იქნა მიცემული.

თავი 26

ქრისტე მსახურებას გაუწევს ნეფიელებს. ნეფი წინასწარმეტყველებს მისი ხალხის განადგურებას. ისინი ილაპარაკებენ საფლავის მტვრიდან. წარმართები შექმნიან ცრუ ეკლესიებს და საიდუმლო კავშირებს. უფალი უკრძალავს ადამიანებს სამღვდელოებაში ვერცხლისმოყვარეობას. დაახლოებით 559–545 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და მას შემდეგ, რაც ქრისტე მკვდრეთით აღდგება, ის თქვენ გამოგეცხადებათ, ჩემო შვილნო და საყვარელო ძმებო; და სიტყვები, რომლებსაც ის გეტყვით, იქნება კანონი, რომელიც თქვენ უნდა შეასრულოთ.

2 რადგან, აჰა, მე თქვენ გეუბნებით, რომ დავინახე, როგორ ჩაივილის მრავალი თაობა და იქნება დიდი ომები და დიდი განხეთქილებები ჩემს ხალხთა შორის.

3 და მას შემდეგ, რაც მესია მოვა, ჩემს ხალხს მიეცემა ნიშნები მისი შობის შესახებ და ასევე მის სიკვდილსა და აღდგომაზე. და დიდი და საშინელი

იქნება ის დღე ბოროტთათვის, რადგან დაიღუპებიან; და ისინი დაიღუპებიან იმიტომ, რომ აძევებენ წინასწარმეტყველებს და წმინდანებს, ქვებით ქოლავენ და ხოცავენ მათ; ამიტომ, მათ წინააღმდეგ წმინდანთა სისხლის დაღადი მიწიდან მიღწევს ღმერთს.

4 ამიტომ, ყოველ ამპარტავანს და სიბოროტის ჩამდენს, ის დღე, რომელიც მოვა, დაწვავს მათ, – ამბობს ცაბაოთ უფალი, რადგან ნამჯასავით იქნებიან.

5 და მათ, რომლებიც კლავენ წინასწარმეტყველებს და წმინდანებს, მიწის უფსკრულები შთანთქავენ, – ამბობს ცაბაოთ უფალი; და მთები დაფარავენ მათ და გრიგალნი წაიღებენ და შენობები დაეცემათ და დაამსხვრევენ მათ და მტვრად დაფქვავენ.

6 და მათ ეწვევათ ჭექა-ქუხილი და ელვა, მიწისძვრები და ყველანაირი ნგრევა, რადგან უფლის რისხვის ცეცხლი აინთება მათზე და იქნებიან ნამჯასავით და ის დღე, რომელიც მოვა, დაწვავს მათ, – ამბობს ცაბაოთ უფალი.

7 ჩემი სულის ტკივილი და ტანჯვა დანაკარგისგან, ჩემი ხალხისგან დახოცილთა გამო! რადგან მე, ნეფიმ, ვიხილე ეს და ლამის შთანთქა ამან უფლის გარემოცვაში; მაგრამ მე უნდა შევღაღადო ჩემს ღმერთს: სამართლიანია შენი გზები.

8 მაგრამ, აჰა, მართლები, რომ-

ლებიც ყურს უგდებენ წინასწარმეტყველთა სიტყვებს და არ ანადგურებენ მათ, არამედ მტკიცედ ელიან ქრისტეს ნიშნების შესრულებას, რომლებიც მოცემულია, ყველა დევნის მიუხედავად, აჰა, ეს ისინი არიან, რომლებიც არ დაიღუპებიან.

9 მაგრამ მათ გამოეცხადება ძე სამართლიანობისა და იგი განკურნავს მათ და ექნებათ მშვიდობა მასთან, სანამ არ ჩაივლის სამი თაობა და მრავალნი მეოთხე თაობიდან არ ჩაივლიან სამართლიანობაში.

10 და როდესაც ეს ყველაფერი ჩაივლის, სწრაფი განადგურება მოეკლინება ჩემს ხალხს; ვინაიდან მიუხედავად ჩემი სულის ტკივილისა, მე ეს ვიხილე, ამიტომ ვიცი, რომ ეს ასე იქნება და ისინი ყიდიან თავიანთ თავს არაფრის ფასად, რადგან თავიანთი ამპარტავნობისა და უგუნურობის საზღაურად მოიმიკიან განადგურებას; რადგან იმის გამო, რომ უთმობენ ეშმაკს და ირჩევენ ბნელეთის და არა სინათლის საქმეებს, ამიტომ უნდა ჩავიდნენ ჯოჯოხეთში.

11 რადგან უფლის სული ყოველთვის არ მოქმედებს ადამიანზე, და როდესაც სული წყვეტს ადამიანთან ყოფნას, მაშინ მოდის სწრაფი განადგურება და ეს აღონებს ჩემს სულს.

12 და როგორც მე ვლაპარაკობდი იუდეველთა დარწმუნებაზე, რომ იესო არის თვით

ქრისტე, აუცილებელია, რომ წარმართებიც ასევე დარწმუნდნენ, რომ იესო არის ქრისტე, მარადიული ღმერთი;

13 და რომ ის გამოეცხადება ყველას, ვისაც მისი სწამს, სულიწმინდის ძალით; დიახ, ყველა ერს, ტომს, ენას და ხალხს, მოავლენს დიდ სასწაულებს, ნიშნებს და საოცრებებს ადამიანთა შვილებს შორის მათი რწმენის შესაბამისად.

14 მაგრამ, აჰა, მე გიწინასწარმეტყველებთ უკანასკნელი დღეების შესახებ; იმ დღეებზე, როდესაც უფალი ღმერთი ამ ყველაფერს მოავლენს ადამიანთა შვილებზე.

15 მას შემდეგ, რაც ჩემი შთამომავლობა და ჩემი ძმების შთამომავლობა გადაშენდება ურწმუნობაში და დამარცხდება წარმართების მიერ; დიახ, მას შემდეგ, რაც უფალი ღმერთი დაბანაკდება მათ გარშემო და შემოარტყამს ალყას და აღმართავს მათ წინააღმდეგ გოდოლებს; და მას შემდეგ, რაც დამცირდებიან მტკერში, ისე, რომ აღარ იქნებიან, მაინც, მართალთა სიტყვები იქნება ჩაწერილი და ერთგულთა ლოცვები იქნება მოსმენილი და არავინ, ვინც გადაშენდება ურწმუნობაში, არ იქნება დავიწყებული.

16 რადგან ისინი, რომლებიც იქნებიან განადგურებულნი, მიმართავენ მათ მიწიდან და ყრუდ გამოვა მტკერიდან მათი საუბარი

და მათი ხმა იქნება, როგორც სულების გამომძახებლის ხმა, რადგან უფალი ღმერთი მისცემს მას ძალას იწურწულოს მათ შესახებ, დიახ, ისე, თითქოს მიწიდან; და მათი ნათქვამი ჩურჩულით ამოვა მტკერიდან.

17 რადგან ასე ამბობს უფალი ღმერთი: ისინი ჩაიწერენ იმას, რაც მოხდება მათ შორის და ეს ყველაფერი ჩაიწერება და ჩაიბეჭდება წიგნში; და მათ, რომლებიც გადაშენდნენ ურწმუნობაში, ეს არ ექნებათ, რადგან ცდილობენ გაანადგურონ ღმერთის საქმენი.

18 ამიტომ, როგორც ისინი, ვინც განადგურდნენ, სწრაფად იქნენ განადგურებულნი; და მრავალნი მათი საშინელნი იქნებიან განიავებულნი ბხესავით. დიახ, ასე ამბობს უფალი ღმერთი: ეს მოხდება უეცრად, მოულოდნელად.

19 და იქნება ასე, რომ ისინი, რომლებიც გადაშენდნენ ურწმუნობაში, წარმართთა ხელით დამარცხდებიან.

20 და წარმართნი ამადლებულან თავიანთი თვალის ამპარტავნობით და წაბორძიკდნენ თავიანთი დაბრკოლების ლოდის სიმძიმის გამო, იმდენად, რომ მათ შექმნეს მრავალი ეკლესია; მიუხედავად ამისა, ისინი ამცირებენ ღვთის ძალასა და სასწაულებს და ადიდებენ თავიანთ ქადაგებებში საკუთარ სიბრძნეს და საკუთარ სწავლეულობას,

რათა მიიღონ სარგებელი, ღარიბი ჩაგრონ და სახე უჩეჩქონ.

21 და შენდება მრავალი ეკლე-სია, რომელიც ხდება შურის, დაპირისპირებისა და ღვარძლის მიზეზი.

22 და იქ არიან საიდუმლო შე-თქმულებები ისე, როგორც ძვე-ლად, ეშმაკის შეთქმულებების შესაბამისად, რადგან ის არის ამ ყველაფრის დამაარსებელი; დიახ, მკვლელობისა და ბნელე-თის საქმეთა დამაარსებელი; დიახ, და ის მიუძღვება მათ კი-სერზე სელის ბაწრით იქამდე, სანამ არ შებოჭავს მათ სამუ-დამოდ თავისი მაგარი თოკებით.

23 რადგან, აჰა, ჩემო საყვა-რელო ძმებო, მე გეუბნებით, რომ უფალი ღმერთი არ აკეთებს საქ-მეს სიბნელეში.

24 ის ისეთს არაფერს აკე-თებს, რომ არ იყოს ამა ქვეყ-ნისთვის სასარგებლო, რადგან მას ისე უყვარს ქვეყანა, რომ სიცოცხლესაც შესწირავს, რათა მოიზიდოს ყველა ადამიანი თავისთან. ამიტომ, ის არ უბრძა-ნებს არავის, რომ არ იგემონ მისი ხსნისაგან.

25 აჰა, ნუთუ შეჰღაღადებს ვინმეს სიტყვებით: წადი ჩემ-გან? აჰა, მე გეუბნებით: არა; არამედ ის ამბობს: მოდი ჩემ-თან, თქვენ, დედამიწის ყველა კიდენო, იყიდეთ რძე და თაფლი უფულოდ და უსასყიდლოდ.

26 აჰა, ნუთუ უბრძანა მან ვინმეს, რომ წასულიყვნენ სი-

ნაგოგებიდან ან სამლოცველო სახლებიდან? აჰა, მე გეუბნე-ბით: არა.

27 ნუთუ უბრძანა მან ვინმეს არ იგემონ მის ხსნისგან? აჰა, მე გეუბნებით: არა; არამედ მან მისცა ეს უსასყიდლოდ ყველა ადამიანს; და ის უბრძანებს თავის ხალხს, დაარწმუნონ ყო-ველი ადამიანი, რომ მოინანიონ.

28 აჰა, ნუთუ უბრძანებს უფალი ვინმეს, რომ მათ არ უნდა იგემონ მისი სიკეთე? აჰა, მე გეუბნებით: არა; არამედ ყოველ ადამიანს აქვს უპირატესობა, როგორც ერთს, ასევე მეორეს და არავის-თვის არ არის აკრძალული.

29 ის ბრძანებს, რომ არ უნდა იყოს სამღვდელთაში ვერც-ხლის მოყვარეობა; რადგან, აჰა, სამღვდელთების მზაკვრობა არის მაშინ, როდესაც ადამია-ნები ქადაგებენ და წარმოადგე-ნენ თავიანთ თავს ამაქვეყნის სინათლედ, რათა იპოვონ სარ-გებელი და ამა ქვეყნის ქება; მაგრამ ისინი არ ეძებენ სიონის კეთილდღეობას.

30 აჰა, უფალმა ეს აკრძალა; ამიტომ, უფალმა ღმერთმა მოგვცა მცნება, რომ ყოველმა ადამიანმა გულმოწყალება უნდა იქონიოს, გულმოწყალება, რომელიც არის სიყვარული. და გულმოწყალება რომ არ ჰქონო-დათ, იქნებოდნენ არარაობანი. ამიტომ, თუ ექნებათ გულმოწყა-ლება, არ დაუშვებენ სიონში მო-ღვაწის დაღუპვას.

31 რადგან სიონში მოღვაწე იშრომებს სიონისათვის; ვინაიდან თუ ისინი ფულისთვის შრომობენ – დაიღუპებიან.

32 და კვლავ, უფალმა ღმერთმა ბრძანა, რომ ადამიანებმა არ უნდა ჰკლან; რომ არ უნდა იცრუნონ; არ უნდა იქურდონ; არ უნდა წარმოთქვან უფლის, თავიანთი ღმერთის, სახელი ამოდ; რომ არ უნდა შურდეთ; არ უნდა იქონიონ ღვარძლი; არ დაუპირისპირდნენ ერთი მეორეს; რომ არ იმრუშონ და არ ჩაიდიონ არაფერი ამდაგვარი; რადგან ყველა, ვინც ამას ჩაიდენს – დაიღუპება.

33 რადგან არცერთი ეს ურჯულოება არ მოდის უფლისგან; ვინაიდან ის აკეთებს იმას, რაც არის კეთილი ადამიანთა შვილებს შორის და არ აკეთებს არაფერს, გარდა იმისა, რაც ნათელია ადამიანთა შვილებისათვის; და ის მოუხმობს ყველას, მივიდნენ მასთან და იგემონ მისი სიკეთე და არავის არ ეუბნება უარს, ვინც მასთან მიდის – შავსა თუ თეთრს, მონასა თუ თავისუფალს, მამრსა თუ მდედრს; და ახსოვს მას კერპთაყვანისმცემელიც და ყველა ერთია ღვთისთვის, ორივე – იუდეველიც და წარმართიც.

თავი 27

სიბნელე და განდგომა მოიცავს დედამიწას უკანასკნელ

დღეებში. გამოვა მორმონის წიგნი. სამი მოწმე დაამოწმებს ამ წიგნის შესახებ. სწავლული ადამიანი იტყვის, რომ ვერ კითხულობს ჩაბეჭდილ წიგნს. უფალი მოავლენს საოცარ საქმესა და სასწაულს. შეადარეთ ესაი 29. დაახლოებით 559-545 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 მაგრამ, აჰა, უკანასკნელ დღეებში ანუ წარმართთა დღეებში, დიახ, აჰა, წარმართთა ყველა ერი და ასევე იუდეველები, როგორც ისინი, რომლებიც ამ მიწაზე მოვლენ, ასევე ისინი, რომლებიც სხვა მიწებზე იქნებიან, დიახ, დედამიწის ყოველ მიწაზე, აჰა, ისინი დათვრებიან ურჯულოებითა და ყველანაირი სისაძაგლით.

2 და როდესაც მოვა ის დღე, მათ ეწვევათ ცაბაოთ უფალი, ჭექა-ქუხილითა და მიწისძვრით და დიდი ხმაურით, ქარიშხლით, გრიგალითა და მშთანთქმელი ცეცხლის ალით.

3 და ყველა ერი, რომელიც იბრძვის სიონის წინააღმდეგ და ავიწროებს მას, იქნება, როგორც ღამის სიზმარი; დიახ, მათთვის იქნება, როგორც მშვიერს ესიზმრება, თითქოს ჭამს, გაედვიძება და, აჰა, მისი სული არის ცარიელი; ან როგორც მწყურვალს ესიზმრება, თითქოს სვამს, გაედვიძება და, აჰა, ღონემიხილია და სწყურია მის სულს. დიახ,

ასე იქნება ერების სიმრავლე, რომელიც იბრძვის სიონის მთის წინააღმდეგ.

4 რადგან, აჰა, თქვენ ყველა, ვინც ურჯულოებას სწადიხართ, შეჩერდით და გაოცდით, რადგან შესტირებთ და შეჰღაღადებთ; დიახ, მთვრალნი იქნებით, მაგრამ არა ღვინისგან, იბარბაცებთ, მაგრამ არა მათრობელი სასმელისგან.

5 რადგან, აჰა, გადმოღვარა თქვენზე უფალმა ძილქუშის სული. რადგან, აჰა, დახუჭეთ თვალები და უარყავით წინასწარმეტყველები; და თქვენი მმართველნი და ნათელმჭვრეტელნი მან დაფარა თქვენი ურჯულოების გამო.

6 და იქნება ასე, რომ უფალი ღმერთი მოაგვლენს თქვენზედ წიგნის სიტყვებს და ეს იქნება მძინარეთა სიტყვები.

7 და აჰა, ეს წიგნი იქნება ჩაბეჭდილი; და ამ წიგნში იქნება ღმერთის გამოცხადება ქვეყნის დასაბამიდან დასასრულამდე.

8 ამიტომ, იმის გამო, რაც არის ჩაბეჭდილი, არ იქნება გადაცემული ის, რაც ჩაბეჭდილია ხალხის სიბოროტისა და სისაბაგლის დღეს. ამიტომ, ეს წიგნი დაფარული იქნება მათგან.

9 მაგრამ ეს წიგნი გადაეცემა ადამიანს და ის გადასცემს ამ წიგნის სიტყვებს, რომლებიც არის მათი სიტყვები, ვინც მიძინებულნი იყვნენ მტვერში და ის ამ სიტყვებს სხვას გადასცემს;

10 მაგრამ, ის არ გადასცემს არც სიტყვებს, რომლებიც ჩაბეჭდილია, და არც წიგნს. რადგან წიგნი ჩაბეჭდილი იქნება ღვთის ძალით და გამოცხადება, რომელიც იყო ჩაბეჭდილი, იქნება შენახული წიგნში უფლისათვის შესაფერის დრომდე, რათა მათ შეძლონ გამოსვლა; რადგან, აჰა, ისინი ცხადს ხდიან ყველაფერს ქვეყნის დასაბამიდან მის დასასრულამდე.

11 და მოვა დღე, როდესაც იმ წიგნის სიტყვებს, რომლებიც იყო ჩაბეჭდილი, წაიკითხავენ სახლთა ერდოებზე და წაიკითხავენ ქრისტეს ძალით; და ადამიანთა შვილებისთვის ყველაფერი გახდება ცხადი, რაც ოდესმე ყოფილა ადამიანთა შვილებს შორის და რაც ოდესმე იქნება დედამიწის დასასრულამდე.

12 ამიტომ, იმ დღეს, როდესაც წიგნი გადაეცემა ადამიანს, რომელზეც მე ვილაპარაკე, ეს წიგნი დაფარული იქნება ამა ქვეყნის თვალისაგან, რათა არავის თვალებმა არ იხილონ იგი, გარდა სამი მოწმისა, რომლებიც იხილავენ მას ღმერთის ძალით, გარდა იმისა, ვისაც ეს წიგნი გადაეცემა; და ისინი დაამოწმებენ ამ წიგნის ჭეშმარიტებას და იმას, რაც მასშია.

13 და არ არის არავინ, ვინც მას იხილავს, რამდენიმეს გარდა, ღვთის ნების შესაბამისად, რომლებიც დაუმოწმებენ ადამიანთა

შვილებს მის სიტყვას, რადგან უფალმა ღმერთმა თქვა, რომ ერთგულთა სიტყვები ილაპარაკებს ისე, როგორც გარდაცვლილთაგან.

14 ამიტომ, უფალი ღმერთი მოაველენს ამ წიგნის სიტყვებს; და იმდენი მოწმეთა პირით, რამდენიც მისთვის იქნება სასარგებლო, იგი დაამტკიცებს თავის სიტყვას; და ვარამი მას, ვინც უარყოფს ღვთის სიტყვას!

15 მაგრამ, აჰა, იქნება ასე, რომ უფალი ღმერთი ეტყვის მას, ვისაც გადასცემს წიგნს: აიღე ეს სიტყვები, რომლებიც არ არის ჩაბეჭდილი და გადაეცი სხვას, რათა მან შეძლოს მათი სწავლისათვის ჩვენება, სიტყვებით: ეს წაიკითხე, გვედრები. და სწავლული იტყვის: მოიტანე წიგნი და წავიკითხავ იმ სიტყვებს.

16 და ახლა, ამა ქვეყნის დიდებისა და სარგებელის მიღების გამო იტყვიან ისინი ამას და არა ღმერთის დიდებისთვის.

17 და ის ადამიანი იტყვის: მე ვერ მოგიტან ამ წიგნს, რადგან ის ჩაბეჭდილია.

18 მაშინ სწავლული ეტყვის: მე არ შემიძლია ამის წაიკითხვა.

19 ამიტომ, იქნება ასე, რომ უფალი ღმერთი კვლავ გადასცემს ამ წიგნს და მის სიტყვებს მას, ვინც არის უსწავლელი; და ადამიანი, რომელიც არის უსწავლელი, იტყვის: მე უსწავლელი ვარ.

20 მაშინ უფალი ღმერთი მას ეტყვის: სწავლულები მათ ვერ წაიკითხავენ, რადგან მათ უარყვეს ისინი და მე მძალუძს ჩემი საკუთარი საქმის კეთება; ამიტომ, შენ წაიკითხავ სიტყვებს, რომლებსაც მე მოგცემ.

21 ნუ შეეხები იმას, რაც ჩაბეჭდილია, რადგან მათ მოვავლენ ჩემთვის შესაფერის დროს; რადგან მე დავანახებ ადამიანთა შვილებს, რომ მე მძალმძის ჩემი საკუთარი საქმის კეთება.

22 ამიტომ, როდესაც წაიკითხავ სიტყვებს, რომლებიც მე გიბრძანე და მიიღებ მოწმეებს, რომლებსაც დაგპირდი, მაშინ შენ კვლავ ჩაბეჭდავ ამ წიგნს და დამალავ ჩემთვის, რომ შევძლო შევინახო სიტყვები, რომლებიც შენ არ წავიკითხავს, იქამდე, სანამ არ ჩავთვლი საჭიროდ ყველაფრის გამოცხადებას, ჩემი სიბრძნის თანახმად, ადამიანთა შვილებისათვის.

23 რადგან, აჰა, მე ვარ ღმერთი; და მე ვარ სასწაულების ღმერთი; და მე დავანახებ ქვეყანას, რომ ვარ უცვლელი, გუშინ, დღეს და უკუნისამდე; და არ ვმოქმედებ ადამიანთა შვილებს შორის, თუ არა მათივე რწმენის შესაბამისად.

24 და კვლავ, იქნება ასე, რომ უფალი ეტყვის მას, ვინც წაიკითხავს სიტყვებს, რომლებიც მას გადაეცემა:

25 რადგან, მიახლოვდება ეს ხალხი, პირითა და ბაგით

პატივს მცემს, ხოლო გულით კი ჩემგან შორს არის; და ჩემ მიმართ მათი შიში ისწავლება ადამიანთა სწავლებების მიხედვით.

26 ამიტომ, მე მოვახდენ საოცარ საქმეს ამ ხალხში; დიახ, საოცარ საქმესა და სასწაულს, რადგან მათი ბრძენთა და სწავლულთა სიბრძნე დაიდუკება და მათ გონიერთა გონიერება დაიფარება.

27 და ვარამი მათ, რომლებიც ცდილობენ, ღრმად დამაღონ უფლისგან თავიანთი ზრახვა! და მათი საქმენი არის ბნელში; და ამბობენ ისინი: ვინ გვხედავს და ვინ გვცნობს? და ისინი ასევე ამბობენ: ჭეშმარიტად, შენი უკუღმართობა ჩაითვლება, როგორც მექოთნის თიხა. მაგრამ, აჰა, მე მათ დავანახებ, – ამბობს ცაბაოთ უფალი, რომ მე ვიცი ყველა მათი საქმენი. რადგან, ნუთუ იტყვის ნაკეთობა თავის გამკეთებელზე – არ გავუკეთებ ივარო? ან ნუთუ იტყვის ქმნილება თავის შემქმნელზე – არა ჰქონია გონიერებაო?

28 მაგრამ, აჰა, ამბობს ცაბაოთ უფალი: მე დავანახებ ადამიანთა შეილებს, რომ კიდევ ცოტაც და ლიბანი გადაიქცევა ნაყოფიერ მინდვრად და ნაყოფიერი მინდორი ტყედ ჩაითვლება.

29 და იმ დღეს მოისმენენ ყრუნი ამ წიგნის სიტყვებს და ბრმათა თვალები დაინახავენ წყვილიადიდან და ბნელეთიდან.

30 და თვინიერნიც განდიდდებიან და მათი სიხარული იქნება უფალში და ღარიბნი ადამიანთა შორის ისრაელის წმინდაში გაიხარებენ.

31 რადგან ჭეშმარიტად, ისე, როგორც ცოცხალია უფალი, დაინახავენ, რომ არარაობად იქცა საშინელი და შთაინთქა მგმობელი და მოკვეთილია ურჯულოების ყველა მადიებელი.

32 და ისინი, რომლებიც ადამიანს დამნაშავედ ხდიან სიტყვისათვის და მახეს უგებენ კარიბჭესთან მამხილებელს და მართალს აძევებენ, როგორც არარაობას.

33 ამიტომ, ასე ამბობს უფალი, რომელმაც გამოისყიდა აბრაამი, იაკობის სახლის შესახებ: ამიერიდან იაკობი აღარ იქნება შერცხვენილი, არც მისი სახე არ გაფითრდება.

34 მაგრამ როდესაც იხილავს თავის შეილებს, ჩემს ხელთა ქმნილებას მათ წიაღში, ისინი განწმენდენ ჩემს სახელს და განწმენდენ იაკობის წმინდას და ისრაელის ღმერთის შიში იქნებათ.

35 ისინიც, რომლებიც სულით ცდებოდნენ, გონს მოვლენ და ისინი, რომლებიც ბუზღუნებდნენ – მოძღვრებას ისწავლიან.

თავი 28

მრავალი ცრუ ეკლესია შეიქმნება უკანასკნელ დღეებში.

ისინი ასწავლიან ცრუ, ამო და უგუნურ მოძღვრებებს. ცრუ მასწავლებლების გამო გავრცელება განდგომა. ეშმაკი გამძვინვარდება ადამიანთა გულში. ის ასწავლის ყველანაირ ცრუ მოძღვრებას. დაახლოებით 559-545 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და ახლა, აჰა, ჩემო ძმებო, მე მოგმართეთ ისე, როგორც სული მაიძულებდა; და ამიტომ მე ვიცი, რომ ეს ყველაფერი აუცილებლად მოხდება.

2 და ის, რაც იქნება ამოწერილი ამ წიგნიდან, ადამიანთა შვილებისთვის ძალიან ძვირფასი იქნება და განსაკუთრებით ჩვენი შთამომავლებისთვის, რომელნიც არიან ისრაელის სახლის ნარჩენი.

3 რადგან იმ დღეს იქნება ასე, რომ ეკლესიები, რომლებიც არიან შექმნილნი, თუმცა არა უფლისთვის, როდესაც ერთი მეორეს ეტყვის: აჰა, მე, მე ვარ უფლისა; და სხვები ეტყვიან: მე, მე ვარ უფლისა; და ასე იტყვის ყოველი, რომელმაც შექმნა ეკლესიები, თუმცა არა უფლისთვის.

4 და ისინი იკამათებენ ერთმანეთში და მათი მღვდლები იკამათებენ ერთმანეთში და ასწავლიან თავიანთი ცოდნით და უარყოფენ სულიწმინდას, რომელიც ამტყვევლებს.

5 და ისინი უარყოფენ ღვთის

ისრაელის წმინდის ძალას და ხალხს ეუბნებიან: ყური დაგვიდეთ და მოისმინეთ ჩვენი სწავლება, რადგან, აჰა, არ არის ღმერთი დღეს, რადგან უფალმა და გამომსყიდველმა გააკეთა თავისი საქმე და ადამიანებს მისცა თავისი ძალა;

6 აჰა, ყური დაუდეთ ჩემს სწავლებას; და თუ ისინი იტყვიან, რომ სასწაული უფლის ხელით მოხდა – არ დაიჯეროთ; რადგან დღეს ის არ არის სასწაულების ღმერთი; მან შეასრულა თავისი საქმე.

7 დიახ, და ბევრნი იქნებიან, რომლებიც იტყვიან: ჭამეთ, სვით და იმხიარულეთ, რადგან ხვალ მოვკვდებით; და ჩვენ კარგად ვიქნებით.

8 და იქნებიან ასევე ბევრნი, რომლებიც იტყვიან: ჭამეთ, სვით და იმხიარულეთ; მიუხედავად ამისა გეშინოდეთ ღმერთის – ის გაამართლებს პატარა ცოდვის ჩამდენს; დიახ, ცოტა იცრუეთ, გამოიყენეთ ადამიანი მისივე სიტყვებისთვის, ამოუთხარეთ ორმო მოყვასს – ამაში ცუდი არაფერია; და გააკეთეთ ყოველივე ეს, რადგან ხვალ ჩვენ მოვკვდებით და თუ ისე იქნება, რომ ჩვენ ვიქნებით დამნაშავენი, ღმერთი რამდენჯერმე გაგვამთრახებს და საბოლოოდ გადავრჩებით ღვთის სასუფეველში.

9 დიახ, და იქნებიან ბევრნი, რომელნიც ამგვარად ასწავლიან ცრუ, ამო და უგუნურ

მოძღვრებებს და გაყოფილებიან გულში და ეცდებიან ღრმად დამაღონ თავიანთი ზრახვები უფლისგან; და მათი საქმენი სიბნელეში იქნება.

10 და წმინდანთა სისხლი მიწიდან შესტირებს მათ წინააღმდეგ.

11 დიახ, ყველანი გზას ასცდნენ, ისინი გაიხრწნენ.

12 ამპარტავნობის, ცრუ მასწავლებლებისა და ცრუ მოძღვრებების გამო მათი ეკლესიები გაიხრწნა და არის აღზევებული; ამპარტავნობის გამო ყოფილბენ.

13 ისინი ძარცვავენ ღარიბს თავიანთი მოკაზმული სამლოცველოების გამო; ისინი ძარცვავენ ღარიბს მოკაზმული ტანსაცმლის გამო; და დევნიან თვინიერს და ღარიბს გულში, რადგან თავიანთ ამპარტავნობაში არიან გაყოფილებულნი.

14 ისინი არიან ქედფიცხელნი და არიან ყოყონნი; დიახ, ამპარტავნობის და სიბოროტისა და სისაძაგლეთა და მრუშობის გამო მათ ყველამ გზას გადაუხვიეს, გარდა რამდენიმესი, რომლებიც ქრისტეს თავმდაბალი მიმდევრები არიან; მიუხედავად ამისა, მათ წინ მიუძღვიან, ისე, რომ ხშირ შემთხვევაში ისინი ცდებიან, რადგან მათ ასწავლიან ადამიანთა სწავლებებს.

15 ბრძენნი და სწავლულნი და მდიდარნი, რომელნიც გაყოფილებულნი არიან თავიანთ გულთა ამპარტავნობით; და ყველა ის,

ვინც ცრუ მოძღვრებებს ქადაგებს და ყოველი ის, რომელიც მრუშობს და ამრუდებს უფლის სწორ გზას – ვარამი, ვარამი, ვარამი მათზედ, – ამბობს უფალი ღმერთი ყოველადმლიერი, რადგან ისინი ჩაგდებულნი იქნებიან ჯოჯოხეთში!

16 ვარამი მათ, რომელნიც მართალს აძეგებენ, როგორც არარაობას და ლანძღავენ იმას, რაც კარგია და ამბობენ, რომ ამას არა აქვს ფასეულობა! რადგან მოვა დღე, როდესაც უფალი ღმერთი სწრაფად მოევლინება დედამიწის მცხოვრებთ; და იმ დღეს, როდესაც ბოლომდე მომწიფდებიან ურჯულოებაში, ისინი დაიღუპებიან.

17 მაგრამ, აჰა, თუ დედამიწის მცხოვრებნი მონანიებენ თავიანთ სიბოროტესა და სისაძაგლეს, ისინი არ იქნებიან განადგურებულნი, – ამბობს ცაბათო უფალი.

18 მაგრამ, აჰა, ის დიდი და ბილწი ეკლესია, მთელი დედამიწის როსკიპი, უნდა დაეცეს მიწაზე და დიდი იქნება მისი დაცემა.

19 რადგან ეშმაკის სამეფო უნდა შეძრწუნდეს და საჭიროა, რომ ისინი, ვინც მას მიეკუთვნებიან, მოუწოდონ მონანიებისკენ, თორემ ეშმაკი შეიპყრობს მათ თავისი მარადიული ჯაჭვებით და გააღვივებს მათ გულეებში წყრომას და დაიღუპებიან ისინი;

20 რადგან, აჰა, იმ დღეს ის

გამძვინვარდება ადამიანთა შვილების გულში და მათში წყრომას გაადვივებს, საწინააღმდეგოდ იმისა, რაც კარგია.

21 და სხვებს ის დააწყნარებს და დაამშვიდებს ხორციელი სიმშვიდით, ისე, რომ ისინი იტყვიან: ყველაფერი კარგადაა სიონში; დიახ, სიონი ყვავის, ყველაფერი კარგად არის! ამგვარად ეშმაკი ატყუებს მათ სულებს და ფრთხილად ჩაჰყავს ისინი ჯოჯოხეთში.

22 და აჰა, იგი სხვებს პირვერობით აცდენს გზას და ეუბნება, რომ არ არსებობს ჯოჯოხეთი; და ეუბნება: მე არ ვარ ეშმაკი, რადგან ასეთი არ არსებობს; და ასე ჩასჩურჩულებს მათ ყურებში, სანამ არ შეიპყრობს თავისი საშინელი ჯაჭვებით, საიდანაც არ არის ხსნა.

23 დიახ, ისინი შეპყრობილნი არიან სიკვდილითა და ჯოჯოხეთით; და სიკვდილი, ჯოჯოხეთი და ეშმაკი და ყველანი, ვინც იქნენ მათ მიერ დაჭერილნი, უნდა წარსდგნენ ღვთის ტახტის წინაშე და უნდა განიკითხონ თავიანთი საქმეების შესაბამისად, საიდანაც უნდა წავიდნენ მათთვის მომზადებულ ადგილზე ანუ ცეცხლისა და გოგირდის ტბაში, რომელიც არის უსასრულო წამება.

24 ამიტომ, ვარამი მას, რომელიც გულმშვიდად არის სიონში!

25 ვარამი მას, რომელიც დაღაღებს: ყველაფერი კარგადაა!

26 დიახ, ვარამი მას, რომელიც ყურს უგდებს ადამიანთა სწავლებებს და უარყოფს ღვთის ძალასა და სულიწმინდის ძღვენს!

27 დიახ, ვარამი მას, რომელიც ამბობს: ჩვენ მივიღეთ და მეტი აღარ გვჭირდება!

28 და ბოლოს, ვარამი ყველას, რომლებიც კანკალებენ და ბრახობენ ღვთის ჭეშმარიტების გამო! რადგან, აჰა, ის, რომელიც კლდეზეა აგებული, იღებს მას სიხარულით და ის, რომელიც აგებულია ქვიშის საძირკველზე – კანკალებს, რათა არ წაიქცეს.

29 ვარამი მას, რომელიც იტყვის: ჩვენ მივიღეთ ღვთის სიტყვა და მეტი აღარ გვჭირდება ღვთის სიტყვები, რადგან ჩვენ საკმარისად გვაქვს.

30 რადგან, აჰა, ასე ამბობს უფალი ღმერთი: მე მივცემ ადამიანთა შვილებს სტრიქონს სტრიქონზე, სწავლებას სწავლებაზე, ცოტას აქ და ცოტას იქ; და კურთხეულ არიან ისინი, რომლებიც ისმენენ ჩემს სწავლებებს და ყურს უგდებენ ჩემს რჩევას, რადგან ჩაწვდებიან სიბრძნეს; ვინაიდან მას, ვინც მიიღებს – მივცემ უფრო მეტს; და რომლებიც იტყვიან: ჩვენ საკმარისი გვაქვს, მათ წაერთმევათ ისიც, რაც აქვთ.

31 წყეულია ის, ვინც საკუთარ სასოებას ანდობს ადამიანს ან ხორციელს გაიხდის თავის ძალად ან ყურს დაუგდებს

აღამიანთა სწავლებებს, თუკი მათი სწავლებანი არ იქნება მოცემული სულიწმინდის ძალით.

32 ვარაში წარმართებს – ამბობს ცაბათო უფალი ღმერთი! რადგან, მიუხედავად იმისა, რომ დღიდან დღემდე მე მათ გავუწვი ხელს, ისინი უარმყოფენ; მიუხედავად ამისა, მე მოწყალე ვიქნები მათ მიმართ, – ამბობს უფალი ღმერთი, თუ ისინი მოინანიებენ და მოვლენ ჩემთან, რადგან ჩემი ხელი მთელი დღე არის გაწვდილი, – ამბობს ცაბათო უფალი ღმერთი.

თავი 29

მრავალი წარმართი უარყოფს მორმონის წიგნს. ისინი იტყვიან: არ გვჭირდება სხვა ბიბლია. უფალი მიმართავს მრავალ ერს. ის განიკითხავს ქვეყანას იმ წიგნებით, რომლებიც დაიწერება. დაახლოებით 559–545 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 მაგრამ, აჰა, ბევრნი იქნებიან იმ დღეს, როდესაც მათ შორის მოვახდენ საოცარ საქმეს, რათა გავიხსენო ჩემი აღთქმები, რომლებიც დავდე აღამიანთა შვილებთან, რომ მეორეჯერ მოვუღერო ხელი, რათა დავაბრუნო ჩემი ხალხი, რომელიც მიეკუთვნება ისრაელის სახლს.

2 და ასევე იმისთვის, რომ გავიხსენო დაპირებები, რომლებიც მოგეცი შენ, ნეფი, ასევე შენს მამას, რომ გავიხსენებ შენს

შთამომავლობას; და რომ შენი შთამომავლების სიტყვები ჩემი პირიდან გამოვა შენს შთამომავლობაზე; და ჩემი სიტყვები სისინით გავრცელდება დედამიწის კიდით კიდემდე, როგორც დროშა ჩემი ხალხისთვის, რომელიც ისრაელის სახლს ეკუთვნის;

3 და რადგან გავრცელდება ჩემი სიტყვები, მრავალი წარმართი იტყვის: ბიბლია! ბიბლია! ჩვენ გვაქვს ბიბლია და შეუძლებელია იყოს სხვა ბიბლია.

4 მაგრამ ასე ამბობს უფალი ღმერთი: უგუნურები, მათ ექნებათ ბიბლია; და იგი გამოვა იუდეველებისგან, ჩემი უძველესი და აღთქმული ხალხისგან. და როგორ უხდიან მადლობას იუდეველებს ბიბლიისათვის, რომელსაც მათგან იღებენ? და რას გულისხმობენ წარმართნი? ნუთუ ახსოვთ იუდეველთა ტანჯვა, შრომა და ტკივილი და მათი სიბეჯითე ჩემ მიმართ, რათა ხსნა მოუტანონ წარმართთ?

5 თქვენ, წარმართნო, გახსოვდათ იუდეველები, ჩემი უძველესი და აღთქმული ხალხი? არა; თქვენ წყევლიდით მათ და გძულდათ ისინი და არ ცდილობდით მათ დაბრუნებას. მაგრამ ამ ყველაფერს მე დავაბრუნებ თქვენს საკუთარ თავებზედ, რადგან მე, უფალმა, არ დავივიწყე ჩემი ხალხი.

6 შენ, უგუნურო, რომ ამბობ: ბიბლია, ჩვენ გვაქვს ბიბლია და სხვა ბიბლია არ გვჭირდება.

განა მიიღებდით ბიბლიას, რომ არა იუდეველები?

7 ნუთუ არ იცით, რომ არსებობს ერთზე მეტი ერი? ნუთუ არ იცით, რომ მე, უფალმა, თქვენმა ღმერთმა, შევექმენი ყოველი ადამიანი და მახსოვს ისინი, რომლებიც არიან ზღვის კუნძულებზე; და რომ მე ვბატონობ მაღლა ზეცაში და დაბლა მიწაზე; და მე ვაუწყებ ჩემს სიტყვას ადამიანთა შვილებს, დიახ, დედამიწის ყოველ ერს?

8 რის გამო ბუზღუნებთ, ნუთუ იმიტომ, რომ უფრო მეტს მიიღებთ ჩემი სიტყვიდან? ნუთუ არ იცით, რომ ორი ერის დამოწმება არის მოწმობა თქვენთვის, რომ მე ვარ ღმერთი, რადგან მე მახსოვს ერთი ერი ისევე, როგორც მეორე? ამიტომ მე მივმართავ იგივე სიტყვებით როგორც ერთ ერს, ასევე მეორეს. და როდესაც ეს ორი ერი გაერთიანდება, ამ ორი ერის დამოწმებაც ასევე ერთიანი გახდება.

9 და მე ვაკეთებ ამას, რათა ბევრს დავუმტკიცო, რომ ვარ უცვლელი გუშინ, დღეს და უკუნისამდე; და მივმართავ ჩემს სიტყვებს საკუთარი ნების შესაბამისად. და იმის გამო, რომ ვთქვი ერთი სიტყვა, თქვენ არ უნდა იფიქროთ, რომ არ შემოიძლია ვთქვა მეორე, რადგან ჩემი საქმე ჯერ არ დამთავრებულა, არც დამთავრდება ადამიანის ბოლომდე, არც მას შემდეგ, ამერიდან უკუნისამდე.

10 ამიტომ, იმის გამო, რომ გაქვთ ბიბლია, არ უნდა იფიქროთ, რომ ის მოიცავს ჩემს ყოველ სიტყვას; არც ის უნდა იფიქროთ, რომ მე ისე არ მოვიმოქმედე, რომ მეტი არ დაწერილიყო.

11 რადგან მე ვუბრძანებ ყოველ ადამიანს, როგორც აღმოსავლეთით, ისე დასავლეთით, როგორც ჩრდილოეთით, ასევე სამხრეთით და ზღვის კუნძულებზე, რომ ჩაიწერონ სიტყვები, რომლებითაც მათ მივმართავ; რადგან იმ წიგნებით, რომლებიც დაიწერება, მე განვიკითხავ ქვეყანას, ყოველ ადამიანს, თავისი საქმეების შესაბამისად, იმის შესაბამისად, რაც არის დაწერილი.

12 რადგან, აჰა, მე მივმართავ იუდეველებს და ისინი ჩაიწერენ ამას; და მე ასევე მივმართავ ნეფიელებს და ისინიც ჩაიწერენ ამას; და მე მივმართავ ასევე ისრაელის სახლის სხვა ტომებს, რომლებიც გამოვიყვანე და ისინი ჩაიწერენ ამას; და მე ასევე მივმართავ დედამიწის ყოველ ერს და ისინი ჩაიწერენ ამას.

13 და იქნება ასე, რომ იუდეველებს ექნებათ ნეფიელთა სიტყვები და ნეფიელებს ექნებათ იუდეველთა სიტყვები; და ნეფიელებს და იუდეველებს ექნებათ ისრაელის დაკარგულ ტომთა სიტყვები; და ისრაელის დაკარგულ ტომებს ექნებათ ნეფიელებისა და იუდეველების სიტყვები.

14 და იქნება ასე, რომ ჩემი ხალხი, რომელიც მიეკუთვნება ისრაელის სახლს, შეიკრიბება სახლში, თავიანთი მემკვიდრეობის მიწებზე; და ჩემი სიტყვაც გამოთლდება ერთში. და მე დავანახებ მათ, რომლებიც იბრძვიან ჩემი სიტყვის წინააღმდეგ და ჩემი ხალხის წინააღმდეგ, რომელნიც მიეკუთვნებიან ისრაელის სახლს, რომ მე ვარ ღმერთი; და რომ მე დავეც ალექსა აბრაამთან, რომ მემახსოვრება მისი შთამომავლობა სამარადისოდ.

თავი 30

მოქცეული წარმართები აღი-რიცხებიან ალექსულ ხალხთან. მრავალი ლამანიელი და იუდეველი იწამებს სიტყვას და ვახდებიან სასიამოვნო ხალხი. ისრაელი აღდგება და ბოროტნი განადგურდებიან. დაახლოებით 559-545 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და ახლა, აჰა, ჩემო საყვარელო ძმებო, მე მინდა მოგმართოთ, რადგან მე, ნეფიმ, არ მინდა დაეუშვა იფიქროთ, რომ იმაზე უფრო მართალნი ხართ, ვიდრე წარმართნი იქნებიან. რადგან, აჰა, თუ არ დაიცავთ ღვთის მცნებებს, თქვენ ყველანი იგივენაირად დაიღუპებით; და იმ სიტყვების გამო, რომლებიც ითქვა, არ უნდა იფიქროთ, რომ წარმართნი მთლიანად განადგურდებიან.

2 რადგან, აჰა, მე გეუბნებით, რომ წარმართთა შორის ყველა, ვინც მოინანიებს, უფლის ალექსული ხალხი იქნება; და იუდეველთაგან ის, ვინც არ მოინანიებს, იქნება გაძევებული; რადგან უფალი არავისთან არ დებს ალექსას, გარდა იმათთან, ვინც ინანიებს და სწამს მისი ძის, რომელიც არის ისრაელის წმინდა.

3 და ახლა, მე მინდა კიდევ ცოტა მეტი ვიწინასწარმეტყველო იუდეველთა და წარმართთა შესახებ. რადგან მას შემდეგ, რაც წიგნი, რომელზეც მე ვლაპარაკობდი, გამოვა და დაიწერება წარმართთათვის და კვლავ ჩაიბეჭდება უფლისთვის, მრავალნი იქნებიან, რომლებიც იწამებენ დაწერილ სიტყვებს; და ისინი მიიტანენ მათ ჩვენი შთამომავლობის ნარჩენთან.

4 და მაშინ, ჩვენი შთამომავლობის ნარჩენი გაიგებს ჩვენზე, თუ როგორ გამოვედით იერუსალიმიდან და რომ ისინი იუდეველთა შთამომავლები არიან.

5 და იესო ქრისტეს სახარება იქნება მათ შორის გამოცხადებული; ამიტომ, ისინი დაუბრუნდებიან ცოდნას თავიანთი მამების შესახებ, ასევე ცოდნას იესო ქრისტეს შესახებ, რომელიც არსებობდა მათ მამებს შორის.

6 და შემდეგ ისინი გაიხარებენ; რადგან გაიგებენ, რომ ეს კურთხევა მათზედ ღვთის ხელიდან

არის და მათი თვალებიდან ბნელეთის ქერცლი დაიწყებს ცვენას; და არ ჩაივლის მრავალი თაობა და ისინი წმინდა და მიმზიდველი ხალხი გახდებიან.

7 და იქნება ასე, რომ იუდეველები, რომლებიც არიან გაფანტულნი, ასევე იწამებენ ქრისტეს; და დაიწყებენ შეკრებას მიწის პირზე; და ყველა, ვინც იწამებს ქრისტეს, ასევე გახდება მიმზიდველი ხალხი.

8 და იქნება ასე, რომ უფალი ღმერთი დაიწყებს თავის საქმეს ყველა ერს, ტომს, ენასა და ხალხს შორის, რათა აღასრულოს თავისი ხალხის აღდგენა დედამიწაზე.

9 და სამართლიანობით განიკითხავს უფალი ღმერთი ღარიბთა და გაკიცხავს მიუკერძოებლად დედამიწის თვინიერთ. და იგი დაამარცხებს დედამიწას თავისი პირის კვერთხით; და თავის ბაგეთა სუნთქვით მოკლავს ბოროტთ.

10 რადგან სწრაფად მოდის ღრო, როდესაც უფალი ღმერთი მოახდენს ხალხს შორის დიდ გაყოფას და ბოროტთ ის გაანადგურებს; და თავის ხალხს ის დაიცავს, დიახ, ცეცხლითაც რომ მოუწიოს ბოროტთა განადგურება.

11 და სიმართლე იქნება სარტყელი მისი წელისა და ერთგულება – სარტყელი მისი თემობისა.

12 და მაშინ მგელი იცხოვრებს

კრავთან ერთად და ავაზა ციკნის გვერდით წამოწვება; და ხბო, ლომის ბოკვერი და ხარი ერთად იქნებიან; და პატარა ბავში წაუძღვება მათ.

13 და ძროხა და დათვი ერთად მოძოვენ; და მათი შვილები ერთად წამოწვებიან; და ლომი ხარივით შეჭამს ჩალას.

14 და ძუძუთა ბავში ასპიტის ხვრელზე ითამაშებს და ძუძუს მოწვევტილი, გველგესლის ბუნავს შეეხება ხელით.

15 არ იბოროტებენ და არ გაანადგურებენ არაფერს მთელ ჩემს წმინდა მთაზე; რადგან აივსება მიწა უფლის ცოდნით, როგორც დაფარულია წყლებით ზღვა.

16 ამიტომ ყველა ერის საქმენი გახდება ცნობილი; დიახ, ყველა საქმე გახდება ცნობილი ადამიანთა შვილებისათვის.

17 არაფერია ისეთი საიდუმლო, რაც არ გახდება ცხადი; არ არის ბნელეთის საქმე, რაც არ გამოვლინდება სინათლეში; და არაფერი არ არის ჩაბეჭდილი დედამიწაზე, რაც არ იქნება გახსნილი.

18 ამიტომ, ყველაფერი, რაც ცხადი გახდა ადამიანთა შვილებისათვის, ცხადი გახდება იმ დღეს; და დიდი ხნის განმავლობაში აღარ ექნება სატანას ძალაუფლება ადამიანთა შვილების გულებზე. და ახლა, ჩემო საყვარელო ძმებო, მე ვამთავრებ ჩემს სიტყვებს.

თავი 31

ნეფი მოგვითხრობს, რატომ მოინათლა ქრისტე. იმისათვის, რომ გადარჩნენ, ადამიანები უნდა მიჰყვნენ ქრისტეს, მოინათლონ, მიიღონ სულიწმინდა და გაძლონ ბოლომდე. მონანიება და ნათლობა არის რთული და ვიწრო ბილიკის კარიბჭე. მარადიული სიცოცხლე მოდის მათთან, რომლებიც ნათლობის შემდეგ იცავენ მცნებებს. დაახლოებით 559-545 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და ახლა მე, ნეფი, ვასრულებ თქვენთვის წინასწარმეტყველებას, ჩემო საყვარელო ძმებო. და მე შემიძლია დავწერო მხოლოდ რამდენიმე მოვლენის შესახებ, რომელიც ვიცი, აუცილებლად უნდა ახდეს; და მე შემიძლია დავწერო ჩემი ძმის, იაკობის, მხოლოდ რამოდენიმე სიტყვა.

2 ამიტომ, ის, რაც დავწერე, საკმარისია ჩემთვის, გარდა რამდენიმე სიტყვისა, რომელიც უნდა ვთქვა ქრისტეს მოძღვრების შესახებ; ამიტომ, მე გელაპარაკებით ნათლად, ჩემი წინასწარმეტყველებების სინათლის შესაბამისად.

3 რადგან ჩემი სული ხარობს ნათელში; რადგან ასე აკეთებს უფალი ღმერთი თავის საქმეს ადამიანთა შვილებს შორის. ვინაიდან უფალი ღმერთი გვაძლევს ნათელს გონიერებისთვის; რადგან ესაუბრება

ადამიანებს მათი ენის შესაბამისად, მათთვის გასაგებად.

4 ამიტომ, მე მსურს, რომ გახსოვდეთ ის, რაც გელაპარაკეთ იმ წინასწარმეტყველის შესახებ, რომელიც უფალმა დამანახა; რომელიც მონათლავს ღვთის კრავს, რომელიც აიღებს ამა ქვეყნის ცოდვებს.

5 და ახლა, თუ ღვთის კრავი, იყო რა წმინდა, უნდა ყოფილიყო წყლით მონათლული, რათა აღესრულებინა ყოველგვარი სამართალი, მაშინ რამდენად დიდი აუცილებლობაა ჩვენთვის, ვართ რა უწმინდურნი, რომ მოვინათლოთ, დიახ, წყლით!

6 და ახლა, მინდა შეგეკითხოთ, ჩემო საყვარელო ძმებო, როგორ აღასრულა ღვთის კრავმა ყოველგვარი სამართალი წყალში ნათლობით?

7 ნუთუ არ იცით, რომ ის იყო წმინდა? მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ არის წმინდა, ის დაანახებს ადამიანთა შვილებს, რომ ხორციელის თანახმად მამის წინაშე თავს იმდაბლებს და მოწმობს მამისათვის, რომ მორჩილი იქნება მისი მცნებების დაცვაში.

8 ამიტომ, მას შემდეგ, რაც წყალში მოინათლა, სულიწმინდა მოევიდნა მასზედ მტრედის სახით.

9 და კვლავ, ეს უჩვენებს ადამიანთა შვილებს ბილიკის სირთულესა და კარიბჭის სივიწროვეს, რომელშიც ისინი უნდა

შევიდნენ, უჩვენა რა მათ მაგალითი.

10 და მან უთხრა ადამიანთა შვილებს: გამოძყევით. ამიტომ, ჩემო საყვარელო ძმებო, შევძლებთ მივყვეთ იესოს, თუ არ ვიქნებით მზად დავიცვათ მამის მცნებანი?

11 და მამამ უთხრა: მოინანიეთ, მოინანიეთ და მოინათლეთ ჩემი საყვარელი ძის სახელით.

12 და ასევე, ძის ხმამ მომმართა სიტყვებით: მას, ვინც მოინათლება ჩემი სახელით, სულიწმინდას მისცემს მამა, ისევე, როგორც მე; ამიტომ, მომყევით და მიბაძეთ ჩემს ნამოქმედარს, რომელიც იხილეთ.

13 ამიტომ, ჩემო საყვარელო ძმებო, მე ვიცი, რომ თუ მიჰყვებით ძეს გულის მთელი მოწადინებით, იმოქმედებთ ღმერთის წინაშე ყოველგვარი პირმოთნეობისა და თვალთმაქცობის გარეშე, ნამდვილი მოწადინებით და მოინანიებთ ცოდვებს მამისადმი დამოწმებით, რომ მზად ხართ საკუთარ თავზე აიღოთ ქრისტეს სახელი ნათლობით – დიახ, მიჰყვებით თქვენს უფალსა და მხსნელს წყალში, მისი სიტყვებისამებრ, აჰა, მაშინ მიიღებთ სულიწმინდას; დიახ, მაშინ მოდის ცეცხლითა და სულიწმინდით ნათლობა; და მაშინ შეგიძლიათ ილაპარაკოთ ანგელოზების ენით, შესძახოთ ქებანი ისრაელის წმინდას.

14 მაგრამ, აჰა, ჩემო საყვარელო

ძმებო, ძის ხმამ ასე მომმართა, სიტყვებით: მას შემდეგ, რაც მოინანიებთ ცოდვებს და წყალში ნათლობით დაუმოწმებთ მამას, რომ მზად ხართ დაიცვათ ჩემი მცნებები და მიიღებთ ცეცხლითა და სულიწმინდით ნათლობას და შეძლებთ ახალი ენით ლაპარაკს, დიახ, ანგელოზთა ენითაც ლაპარაკს და თუ ამის შემდეგ თქვენ უარყოფთ მე, მაშინ თქვენთვის უკეთესი იქნებოდა, რომ არ შეგეცანიოთ.

15 და მე მომესმა მამის ხმა, მეუბნებოდა რა: დიახ, ჩემი საყვარელი ძის სიტყვები არის ჭეშმარიტი და სარწმუნო. გადარჩება ის, რომელიც გაძლებს ბოლომდე.

16 და ახლა, ჩემო საყვარელო ძმებო, აქედან ვიცი, რომ ვერ გადარჩება ადამიანი, თუ არ გაუძლებს ბოლომდე, ცოცხალი ღმერთის ძის მაგალითის მიყოლით.

17 ამიტომ, გააკეთეთ, როგორც გითხარით, რომ მე ვიხილე, რასაც თქვენი უფალი და გამომსყიდველი აკეთებდა; რადგან იმ მიზნით დამანახეს ეს ყველაფერი, რომ იცოდეთ კარიბჭე, რომლითაც უნდა შეხვიდეთ. რადგან კარიბჭე, რომლითაც უნდა შეხვიდეთ, არის მონანიება და წყლით ნათლობა; და შემდეგ მოდის თქვენი ცოდვების მიტევება ცეცხლითა და სულიწმინდით.

18 და შემდეგ აღმოჩნდებით

იმ რთულ და ვიწრო ბილიკზე, რომელსაც მარადიული სიცოცხლისაკენ მიჰყავხართ; დიახ, თქვენ შეხვედით კარიბჭით; თქვენ მოიქეცით მამისა და ძის მცნებების მიხედვით და მიიღეთ სულიწმინდა, რომელიც მოწმობს მამისა და ძის შესახებ, რათა აღსრულდეს მის მიერ მოცემული დაპირება, რომ თუ ამ გზას შეუდგებით, თქვენ მიიღებთ.

19 და ახლა, ჩემო საყვარელო ძმებო, მას შემდეგ, რაც თქვენ ამ რთულ და ვიწრო ბილიკს დაადექით, მე მინდა გკითხოთ: ნუთუ ყველაფერი გაკეთდა? აჰა, გეუბნებით: არა; რადგან თქვენ ვერ მოხვიდოდით აქამდე, რომ არა ქრისტეს სიტყვა, მასში ურყევი რწმენა, სრული ნდობა მისი მადლისადმი, რომელსაც აქვს ხსნის ძალა.

20 ამიტომ, თქვენ წინ უნდა მიისწრაფოდეთ, სიმტკიცით ქრისტეში, იმედის სრულყოფილი ნათელი და ღმერთისა და ყოველი ადამიანისადმი სიყვარულით. ამიტომ, თუ თქვენ წინ მიისწრაფით, ქრისტეს სიტყვით ინადიმებთ და გაუძლებთ ბოლომდე, აჰა, ასე ამბობს მამა: თქვენ გექნებათ მარადიული სიცოცხლე.

21 და ახლა, აჰა, ჩემო საყვარელო ძმებო, ეს არის გზა და არ არსებობს ზეცის ქვეშ მიცემული სხვა არანაირი გზა ან სახელი, რომლითაც ადამიანის

გადარჩენა შეიძლება ღვთის სასუფეველში და ახლა, აჰა, ეს არის ქრისტეს მოძღვრება, ერთადერთი და ჭეშმარიტი მოძღვრება, მამისა და ძისა და სულიწმინდისა, რომელიც არის ერთი ღმერთი, უსასრულო. ამინ.

თავი 32

ანგელოზები ლაპარაკობენ სულიწმინდის ძალით. ადამიანებმა უნდა ილოცონ და მიიღონ ცოდნა სულიწმინდისგან. დაახლოებით 559-545 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და ახლა, აჰა, ჩემო საყვარელო ძმებო, მე ვვარაუდობ, რომ თქვენ მეტნაკლებად მსჯელობთ გულში იმის შესახებ, რა უნდა გააკეთოთ, როდესაც უკვე ამ გზით შეხვედით. მაგრამ, აჰა, რატომ მსჯელობთ ასე გულში?

2 ნუთუ არ გახსოვთ, რაც მე გითხარით: სულიწმინდის მიღების შემდეგ თქვენ შეძლებთ ანგელოზთა ენით ლაპარაკს? და ახლა, როგორ შეძლებდით ანგელოზთა ენით ლაპარაკს, რომ არა სულიწმინდით?

3 ანგელოზები ლაპარაკობენ სულიწმინდის ძალით; ამიტომ, ისინი ლაპარაკობენ ქრისტეს სიტყვებს. ამიტომ, მე გითხარით: ინადიმეთ ქრისტეს სიტყვებით; რადგან, აჰა, ქრისტეს სიტყვები გეტყვიან ყველაფერს, რაც უნდა გააკეთოთ.

4 ამიტომ, ახლა, მას შემდეგ,

რაც ეს სიტყვები ვილაპარაკე, თუ თქვენ ვერ შეძლებთ მათ გაგებას, ეს იქნება იმიტომ, რომ თქვენ არც სთხოვთ და არც აკაკუნებთ; ამიტომ, სინათლეზე კი არ გამოგიყვანეს, არამედ უნდა დაიღუპოთ ბნელში.

5 რადგან, აჰა, კვლავ გეუბნებით, თუ შეხვალთ ამ გზით და მიიღებთ სულიწმინდას, ის დაგანახებთ ყველაფერს, რაც თქვენ უნდა გააკეთოთ.

6 აჰა, ეს არის ქრისტეს მოძღვრება და არ მოგეცემათ სხვა მოძღვრება, სანამ იგი არ გამოგეცხადებათ ხორციელად. და როდესაც გამოგეცხადებათ ხორციელად, რასაც ის გეტყვით, იზრუნეთ, რომ შეასრულოთ.

7 და ახლა მე, ნეფი, მეტს ვერ ვიტყვი; სული მიბრკოლებს მეტყველებას და ისღა დამრჩენია, რომ ვიგლოვო ურწმუნოების და სიბოროტის და უმეცრების და ადამიანთა ქედფიცხელობის გამო; რადგან არ ეძებენ ცოდნას, არც ესმით დიადი ცოდნის, რომელიც მათ ეძლევათ ნათლად, დიახ, იმდენად ნათლად, როგორც შესაძლებელია ნათელი იყოს სიტყვა.

8 და ახლა, ჩემო საყვარელო ძმებო, მე ვხედავ, რომ თქვენ ჯერ კიდევ მსჯელობთ გულებში; და მაღონებს ის, რომ უნდა ვილაპარაკო ამაზე. რადგან თქვენ რომ ყურს უგდებდეთ სულს, რომელიც ასწავლის ადამიანს ღოცვას, თქვენ გეცოდინებოდით, რომ

უნდა ილოცოთ; რადგან ბოროტი სული ადამიანს ღოცვას კი არ ასწავლის, არამედ ასწავლის იმას, რომ მან არ უნდა ილოცოს.

9 მაგრამ, აჰა, მე გეუბნებით, რომ თქვენ უნდა ყოველთვის ილოცოთ და არ მოგებზრდეთ; რომ არ გააკეთოთ არაფერი უფლისათვის, სანამ არ ილოცვით მამისადმი ქრისტეს სახელით, რათა მან აკურთხოს თქვენი საქმენი, რომ საქმენი თქვენი იყოს თქვენი სულის კეთილდღეობისათვის.

თავი 33

ნეფის სიტყვები ჭეშმარიტია. ისინი მოწმობს ქრისტეს შესახებ. მათ, ვისაც სწამთ ქრისტე, იწამებენ ნეფის სიტყვებს, რომელნიც სამსჯავროს წინაშე იქნებიან, როგორც მოწმობა. დაახლოებით 559-545 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და ახლა, მე, ნეფი, ვერ ვწერ ყველაფერ იმას, რაც იყო ნაქადაგები ჩემს ხალხს შორის; არც ვარ ძლიერი წერაში ისე, როგორც ლაპარაკში; რადგან როდესაც ადამიანი ლაპარაკობს სულიწმინდის ძალით, სულიწმინდის ძალას მიაქვს ნათქვამი ადამიანთა შვილების გულებამდე.

2 მაგრამ, აჰა, არიან ბევრნი, რომლებიც იმდენად გულქვაობენ სულიწმინდის წინააღმდეგ,

რომ ის ვერ ჰპოვებს მათში ადგილს; ამიტომ, ისინი უარყოფენ ბევრ ისეთს, რაც დაწერილია, როგორც არარაობას.

3 მაგრამ მე, ნეფიმ, დავწერე ის, რაც დავწერე და ვთვლი, რომ ეს არის ძვირფასი, განსაკუთრებულად ჩემი ხალხისთვის. რადგან მე განუწყვეტლივ ვლოცულობ მათთვის დღისით; და ჩემი თვალები ასველებს ბაღის ღამე მათ გამო; და მე შეველადადებ ჩემს ღმერთს რწმენით და ვიცი, რომ ის შეისმენს ჩემს ღაღადს.

4 და მე ვიცი: უფალი ღმერთი აკურთხებს ჩემს ღოცვებს ჩემი ხალხის სასარგებლოდ. და ჩემი სისუსტისას დაწერილი სიტყვები გახდება მათთვის ძლიერი; რადგან უბიძგებს მათ სიკეთის კეთებისკენ; ის მათ აძლევს ცოდნას თავიანთ ძალებზე; და ის ლაპარაკობს იესოს შესახებ და უბიძგებს მასში რწმენისა და ბოლომდე გაძლებისაკენ, რაც არის მარადიული სიცოცხლე.

5 და ის მკაცრად ლაპარაკობს ცოდვის წინააღმდეგ, ჭეშმარიტების სინათლის შესაბამისად; ამიტომ, არცერთი ადამიანი არ გაბრაზდება იმ სიტყვებზე, რომლებიც მე დავწერე, გარდა იმისი, რომელიც იქნება ეშმაკის სულისგან.

6 მე ვხარობ ნათელში; მე ვხარობ ჭეშმარიტებაში; მე ვხარობ ჩემს იესოში, რადგან მან

ჩემი სული ჯოჯოხეთიდან გამოისყიდა.

7 მე ჩემი ხალხისადმი მაქვს გულმოწყალება და დიდი რწმენა ქრისტესი, რომ შევხვდები მრავალ უმწიკვლო სულს მისი სამსჯავროს წინაშე.

8 მე მაქვს გულმოწყალება იუდეველთა მიმართ. მე ვამბობ იუდეველთ, რადგან ვგულისხმობ მათ, საიდანაც მოვედი.

9 მე მაქვს გულმოწყალება ასევე წარმართთა მიმართ. მაგრამ, აჰა, ამათგან არცერთის იმედი არ შემძლია ვიქონიო, თუ არ შეურიგდებიან ქრისტეს და არ შევლენ ვიწრო კარიბჭეში და არ ივლიან რთულ ბილიკზე, რომელიც მიდის სიცოცხლისაკენ და თუ არ დაჩნებიან ამ ბილიკზე გამოცდის დღის ბოლომდე.

10 და ახლა, ჩემო საყვარელო ძმებო, ასევე იუდეველნო და თქვენ, დედამიწის ყველა კიდენო, ყური დაუბდეთ ამ სიტყვებს და იწამეთ ქრისტე; და თუ არ გწამთ ამ სიტყვების, იწამეთ ქრისტე. და თუ იწამებთ ქრისტეს, თქვენ იწამებთ ამ სიტყვებს, რადგან ეს ქრისტეს სიტყვებია და ისინი მან მომცა; და ისინი ყოველ ადამიანს ასწავლის, რომ მათ უნდა აკეთონ სიკეთე.

11 და თუ ეს არ არის ქრისტეს სიტყვები, თავად განსაჯეთ, რადგან უკანასკნელ დღეს ქრისტე დაგანახებთ ძალითა და დიდი დიდებულებით, რომ ეს არის მისი სიტყვები; და

თქვენ და მე წარვსდგებით პირისპირ მისი სამსჯავროს წინაშე; და თქვენ გაიგებთ, რომ მან მიბრძანა ამის დაწერა ჩემი სისუსტის მიუხედავად.

12 და მე ვლოცულობ მამისადმი ქრისტეს სახელით, რომ მრავალი ჩვენგანი, თუ არა ყველა, იქნეს გადარჩენილი მის სასუფეველში იმ დიდ და უკანასკნელ დღეს.

13 და ახლა, ჩემო საყვარელო ძმებო, ყველა, ვინც მიეკუთვნება ისრაელის სახლს და თქვენ, დედამიწის ყველა კიდევ, მე თქვენ მოგმართავთ, ვითარცა მტვრიდან მოღალადე: იმ დიდი დღის მოსვლამდე გემშვიდობებით.

14 და თქვენ რომ არ გსურთ, იგემოთ ღვთის სიკეთისა და პატივი სცეთ იუდეველთა სიტყვებს და ასევე ჩემს სიტყვებს და იმ სიტყვებს, რომლებიც გამოვა ღვთის კრავის პირიდან, აჰა, თქვენ გემშვიდობებით სამუდამოდ, რადგან ეს სიტყვები მსჯავრს დაგდებენ უკანასკნელ დღეს.

15 რადგან ის, რასაც ჩავბეჭდავ დედამიწაზე, მოტანილი იქნება თქვენ წინააღმდეგ სამსჯავროზე; რადგან ასე მიბრძანა უფალმა და მე უნდა დავემორჩილო მას. ამინ.

იაკობის წიგნი

ნეფის ძმისა

მისი ქადაგების სიტყვები თავისი ძმებისათვის. იგი შემუსრავს ადამიანს, რომელიც ცდილობს ქრისტეს მოძღვრების დამხობას. რამდენიმე სიტყვა ნეფის ხალხის ისტორიის შესახებ.

თავი 1

იაკობი და იოსები ცდილობენ დაარწმუნონ ადამიანები, იწამონ ქრისტე და დაიცვან მისი მცნებები. ნეფი კვდება. სიბოროტე ვრცელდება ნეფიელთა შორის. დაახლოებით 544–421 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 რადგან, აჰა, იყო ასე, რომ გავიდა ორმოცდათხუთმეტი წელი,

რაც ლეხიმ დატოვა იერუსალიმი, ამიტომ ნეფიმ მომცა მე, იაკობს, ბრძანება პატარა ფირფიტების შესახებ, რომლებზეც ეს სიტყვები არის ამოტვიფრული.

2 და მე, იაკობს, მომცა ბრძანება, დამეწერა ამ ფირფიტებზე მცირედი რამ იმაზე, რაც მიმჩნია ყველაზე ღირებულად; და თუ შევეხებოდი, მხოლოდ მოკლედ, ამ ხალხის ისტორიას,

რომელთაც ნეფის ხალხი ეწოდებათ.

3 რადგან მან თქვა, რომ მისი ხალხის ისტორია უნდა იყოს ამოტვიფრული მის სხვა ფირფიტებზე, რომ მე უნდა შევიანახო ეს ფირფიტები და გადავცე ისინი ჩემს შთამომავლობას, თაობიდან თაობაზე.

4 და თუ იქნებოდა წმინდა ქადაგება, ან დიდი გამოცხადება, ან წინასწარმეტყველება, მე ეს უნდა ამომეტვიფრა ამ ფირფიტების მთავარ ნაწილზე და შევხებოდი მათ, რამდენადაც შესაძლებელი იქნებოდა, ქრისტესა და ჩემი ხალხისათვის.

5 რადგან რწმენისა და დიდი ზრუნვის გამო, ჩვენ ჭეშმარიტად გვამცნეს ჩვენი ხალხის შესახებ, თუ რა მოუვა მათ.

6 და ჩვენ ასევე გვქონდა მრავალი გამოცხადება და დიდი წინასწარმეტყველების სული და ამიტომ ჩვენ ვიცოდით ქრისტესა და მისი სასუფეველის შესახებ, რომელიც მოვა.

7 ამიტომ, ჩვენ ბეჯითად ვშრომობდით ჩვენს ხალხს შორის, რათა შეგვძლებოდა დაგვერწმუნებინა ისინი, ქრისტესთან მოსულიყვნენ და ეგემათ ღვთის სიკეთე, რათა შესულიყვნენ მის სიმშვიდეში, რომ არავითარ შემთხვევაში არ დაეფიცა მას მრისხანებაში, რომ ვერ შევიდოდნენ ისინი იქ, როგორც გამოწვევისას, ცდუნების ჟამს, როდესაც ისრაელის შვილები უდაბნოში იყვნენ.

8 ამიტომ, ჩვენ ვევედრებოდით ღმერთს, რომ დაგვერწმუნებინა ყოველი ადამიანი, არ აჯანყებულიყო ღმერთის წინააღმდეგ, რათა არ გამოეწვია მისი რისხვა, რომ ყველა ადამიანი იწამოს ქრისტე და დაფიქრდეს მის სიკვდილზე და ატაროს მისი ჯვარი და აიტანოს ამა ქვეყნის სირცხვილი; ამიტომ, მე, იაკობი, საკუთარ თავზე ვიღებ ჩემი ძმის, ნეფის, ბრძანებების შესრულებას.

9 ახლა, ნეფიმ იგრძნო თავისი სიბერე და იხილა, რომ მალე უნდა გარდაიცვალოს; ამიტომ მან სცხო ზეთი ერთ ადამიანს, რათა ყოფილიყო იგი მისი ხალხის მეფე და მმართველი, შესაბამისად მეფეთა მმართველობისა.

10 ხალხს ძალზედ შეუყვარდა ნეფი, რადგან ის იყო მათთვის დიდი მფარველი, ლაბანის მახვილის მფლობელი მათ დასაცავად; და მთელი თავისი დღენი მშრომელი მათი კეთილდღეობისთვის –

11 ამიტომ, ხალხმა ისურვა, რომ შემოენახათ მისი სახელი მხსიერებაში. ამიტომ, ვინც კი მეფობდა მის შემდეგ, ხალხი მას უწოდებდა მეორე ნეფის, მესამე ნეფის და ასე შემდეგ, მეფეთა მმართველობის შესაბამისად; და ასე უწოდებდა ხალხი მათ, რა სახელიც არ უნდა რქმოდათ.

12 და იყო ასე, რომ ნეფი მოკვდა.

13 ამგვარად, ხალხი, რომელნიც არ იყვნენ ღამანიელები, იყვნენ ნეფიელები; მიუხედავად ამისა, ისინი მოიხსენიებოდნენ, როგორც ნეფიელები, იაკობიელები, იოსებიელები, ზორამიელები, ღამანიელები, ლემუელიელები და ისმაელიელები.

14 მაგრამ მე, იაკობი, აღარ გამოვარჩევ მათ ამ სახელებით, მაგრამ ვუწოდებ ღამანიელებს მათ, რომლებიც ცდილობენ ნეფის ხალხის განადგურებას და მათ, რომლებიც არიან მეგობრულად განწყობილნი ნეფის მიმართ, ვუწოდებ ნეფიელებს ანუ ნეფის ხალხს, მეფეთა მმართველობის შესაბამისად.

15 და ახლა, იყო ასე, რომ ნეფის ხალხმა, მეორე მეფის მმართველობისას, დაიწყო გულის გაქვავება და ნაწილობრივ მიეცნენ ბოროტ ჩვევებს, მსგავსად ძველი დროის დავითისა, რომელიც იყო მრავალი ცოლისა და ხარჭების მოსურნე და ასევე სოლომონისა – მისი შვილისა.

16 დიახ, და მათ ასევე დაიწყეს ბევრი ოქროსა და ვერცხლის ძებნა; და დაიწყეს აღზევება ამპარტავნობით.

17 ამიტომ, მე, იაკობმა, გამოვუცხადე მათ ეს სიტყვები, როდესაც ტაძარში ვასწავლიდი, მივიღე რა, უფლისგან ჩემი დავალება.

18 რადგან მე, იაკობი, და ჩემი ძმა, იოსები, ნეფიმ გვაკურთხა

ამ ხალხის მღვდლებად და მასწავლებლებად.

19 და ჩვენ ვადიდებდით ჩვენს რწმუნებულებას უფლისადმი, ვიღებდით რა პასუხისმგებლობას და თავით ვაგებდით პასუხს ამ ხალხის ცოდვებზე, თუ არ ვასწავლიდით მათ ღვთის სიტყვას მთელი სიბეჯითით; ამიტომ, ვშრომობდით მთელი ჩვენი ძალით, რათა მათი სისხლი არ გადმოსულიყო ჩვენს სამოსელზე; წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი სისხლი გადმოვიდოდა ჩვენს სამოსელზე და ვერ გვცნობდნენ უმწიკვლოდ უკანასკნელ დღეს.

თავი 2

იაკობი გმობს სიმდიდრისადმი სიყვარულს, ამპარტავნობასა და ბიწიერებას. ადამიანებს შეუძლიათ ეძიონ სიმდიდრე თავიანთი თანამოძმის დასახმარებლად. უფალი ბრძანებს, რომ ნეფიელებს შორის არცერთ კაცს არ უნდა ჰყავდეს ერთ ცოლზე მეტი. უფალი ხარობს ქალთა უბიწოებით. დაახლოებით 544-421 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 ნეფის ძმის, იაკობის სიტყვები, რომლებიც მან უთხრა ნეფის ხალხს, ნეფის სიკვდილის შემდეგ.

2 ახლა, ჩემო საყვარელო ძმებო, მე, იაკობი, იმ პასუხისმგებლობის შესაბამისად, რომელიც მაკისრია ღმერთის წინაშე,

რათა კეთილგონიერებით ვადიდო ჩემი რწმუნებულება და რომ განვწმინდო თქვენი ცოდვებისგან ჩემი სამოსელი, მოვედი ტაძარში ამ დღეს, რათა გაუწყოთ ღვთის სიტყვა.

3 და თქვენ თვითონ იცით, რომ მე აქამდე ვიყავი ბეჯითი ჩემი მოწოდების რწმუნებულების შესრულებაში; მაგრამ დღეს, უფრო მეტად, ვიდრე აქამდე, დამწუხრებული ვარ მეტი სურვილითა და მოუსვენრობით, თქვენი სულების კეთილდღეობის გამო.

4 რადგან, აჰა, თქვენ აქამდე მორჩილნი იყავით უფლის სიტყვისადმი, რომელსაც მე გაძლევდით.

5 მაგრამ, აჰა, ყური დამიგდეთ და გაიგეთ, რომ ზეცისა და დედამიწის, ყოვლისშემძლე შემოქმედის დახმარებით, შემიძლია გითხრათ თქვენი აზრების შესახებ, თუ როგორ მიეცემით ცოდვას, რომელი ცოდვაც არის ძალზედ ბილწი ჩემთვის, დიახ, ბილწი ღმერთისათვის.

6 დიახ, ეს აღონებს ჩემს სულს და მაიძულებს სირცხვილისგან მოვიკუნტო ჩემი შემქმნელის წინაშე, რადგან მე მიწვევს დაგიმოწმით თქვენი გულის სიბოროტის შესახებ.

7 და ასევე, მალონებს ის, რომ უნდა მკაცრად ვილაპარაკო თქვენ შესახებ, თქვენი ცოდვებისა და შვილების წინაშე, რომელთა მრავალი გრძნობა ღმერთის წინაშე არის ნაზი და

წმინდა, რაც ღმერთისათვის საამოა;

8 და ვფიქრობ, რომ ისინი აქ მოვიდნენ ღვთის საამო სიტყვის მოსასმენად, დიახ, იმ სიტყვის, რომელიც კურნავს დაჭრილ სულს.

9 ამიტომ, ჩემს სულს ამძიმებს ის, რომ იძულებული ვარ, მკაცრი ბრძანების გამო, რომელიც მივიღე ღმერთისგან, დაგარიგოთ თქვენი დანაშაულებების შესაბამისად, გავადრმაგო დაჭრილთა ჭრილობები მათი ჭრილობების დაამებისა და განკურნების ნაცვლად; და ისინი, რომლებიც არ არიან დაჭრილნი, იმის ნაცვლად, რომ ინადიმონ ღვთის საამო სიტყვით, იღებენ მიბჯენილ ხანჯლებს, რათა განიგმიროს მათი სულები და დაიჭრას მათი ფაქიზი ცნობიერება.

10 მაგრამ, ამ დავალების სიდიადის მიუხედავად, მე უნდა მოვიქცე ღვთის მკაცრი ბრძანებების შესაბამისად და გითხრათ თქვენი სიბოროტისა და სისაძაგლის შესახებ მათ წინაშე, რომლებიც არიან გულით სუფთანი და გულმოდრეკილნი; და ყოვლადძლიერი ღმერთის განგმირავი თვალის ქვეშ.

11 ამიტომ, უნდა გითხრათ სიმართლე ღვთის სიტყვის სინათლის შესაბამისად. რადგან, აჰა, როდესაც ვთხოვე უფალს, მე ასეთი სიტყვა მივიღე: იაკობ, ადი ხვალ ტაძარში და ამ

ხალხს აუწყე სიტყვა, რომელსაც მოგცემ.

12 და ახლა, აჰა, ჩემო ძმებო, ეს არის სიტყვა, რომელსაც მე თქვენ გიცხადებთ, რომ მრავალმა თქვენგანმა დაიწყო ოქროსა და ვერცხლის ძიება; და ასევე ყველანაირი ძვირფასი მადნისა, რითიც ეს მიწა – რომელიც არის აღთქმული მიწა თქვენი და თქვენი შთამომავლებისათვის, არის უხვად მდიდარი.

13 და ბარაქიანმა ხელმა გაგიღიმათ ყველაზე საამოდ, იმდენად, რომ მიიღეთ მრავალი სიმდიდრე; და იმის გამო, რომ ზოგიერთმა თქვენგანმა უფრო უხვად მიიღო, ვიდრე თქვენმა ძმებმა, აღზევდით თქვენი გულის ამპარტავნობით და გახდით ქედფიცხელნი და ყოყონობით თქვენი ტანსაცმლის სიძვირფასის გამო და დევნით თქვენს ძმებს, რადგან ფიქრობთ, რომ ხართ მათზე უკეთესნი.

14 და ახლა, ჩემო ძმებო, ნუთუ ფიქრობთ, რომ ღმერთი ამაში გაგამართლებთ? აჰა, მე გეუბნებით: არა. თუმცა ის დაგდებთ მსჯავრს და თუ იქნებით უდრეენი ამ საქმეში, მისი სასჯელი სწრაფად მოგვევლინებათ.

15 ო, მას რომ ეხვეწებინათ თქვენთვის, რომ შეუძლია განგემიროთ და ერთი თვალის შევლებით შეუძლია მტვრად გაცივით!

16 ო, მას რომ განეწმინდეთ ამ ურჯულოებისაგან და

სისაძაგლისგან და თქვენ რომ ყური დაგვედოთ მისი ბრძანებების სიტყვებისათვის და გულის ამპარტავნობისთვის არ მიგეცათ სული გასანადგურებლად!

17 იფიქრეთ თქვენს ძმებზე, როგორც საკუთარ თავზე და იყავით მეგობრულნი ყველას მიმართ და გულუხვნი თქვენი ქონებით, რათა ისინი გახდნენ თქვენსავით მდიდრები.

18 მაგრამ სანამ სიმდიდრის ძებნას დაიწყებთ, ეძიეთ ღვთის სასუფეველი.

19 და მას შემდეგ, რაც ქრისტეში იმედს მიიღებთ, მიიღებთ სიმდიდრესაც, თუ ეძიებთ მას; და მას ეძიებთ იმ მიზნით, რომ აკეთოთ სიკეთე, შემოსოთ შიშველნი და დააპუროთ მშიერნი, გაანთავისუფლოთ დატყვევებულნი და მოუტანოთ შვება ავადმყოფთ და გაჭირვებულთ.

20 და ახლა, ჩემო ძმებო, მე მოგმართეთ ამპარტავნობის შესახებ; და თქვენ შორის მათ, რომლებმაც განაჭირში ჩააგდეთ თქვენი მოყვასი და დევნიდით მას იმის გამო, რომ გულში ამპარტავნობდით იმით, რაც ღმერთმა მოგცათ, რას იტყვით ამაზე?

21 ნუთუ არ ფიქრობთ, რომ ასეთი საქმენი არის ბილწი მისთვის, ვინც შექმნა ყველა ხორციელი? და მის თვალში ერთი არსება ისევე ძვირფასია, როგორც მეორე. და ყველა ხორციელი არის მტერიდან; და ამ მიზნისთვისაც შექმნა მან ისინი,

რათა დაიცვან მისი მცნებები და მარადის აღიდონ იგი.

22 და ახლა მე ვამთავრებ თქვენ მიმართ საუბარს ამ ამპარტავნობის შესახებ. და თქვენთვის უფრო მძიმე დანაშაულის შესახებ რომ არ უნდა მელაპარაკა, ჩემი გული ძალზედ გაიხარებდა თქვენ გამო.

23 მაგრამ ღვთის სიტყვა მამძიმებს თქვენი უფრო დიდი დანაშაულებისათვის. რადგან, აჰა, ასე ამბობს უფალი: ეს ხალხი იწყებს ურჯულოებაში ჩაფლობას; მათ არ ესმით წმინდა წერილების, რადგან ცდილობენ გაიმართლონ თავი მრუშობის ჩადენისას იმის გამო, რაც ეწერა დავითზე და სოლომონზე, მის შვილზე.

24 აჰა, დავითს და სოლომონს ჭეშმარიტად ჰყავდათ მრავალი ცოლი და ხარჭა, რაც ბილწი იყო ჩემ წინაშე, – ამბობს უფალი.

25 ამიტომ, ასე ამბობს უფალი: მე გამოვიყვანე ეს ხალხი იერუსალიმის მიწიდან ჩემი ხელის ძალით, რათა აღვზარდო ჩემთვის მართალი რტო იოსების საზარდულის ნაყოფიდან.

26 ამიტომ, მე, უფალი ღმერთი, არ დავუშვებ, რომ ეს ხალხი მოიქცეს ისე, როგორც ისინი, ძველად.

27 ამიტომ, ჩემო ძმებო, მომისმინეთ და ყური დაუგდეთ უფლის სიტყვას: არც ერთ კაცს თქვენ შორის არ ჰყავდეს ერთ

ცოლზე მეტი და არ ჰყავდეს არც ერთი ხარჭა.

28 რადგან, მე, უფალი ღმერთი, ვხარობ ქალთა უბიწოებით. და მრუშობა არის სისაძაგლე ჩემ წინაშე, – ასე ამბობს ცაბაოთ უფალი.

29 ამიტომ, ეს ხალხი დაიცავს ჩემს მცნებებს, – ამბობს ცაბაოთ უფალი, ან იქნება მიწა მათ გამო დაწყევლილი.

30 რადგან, თუ მე მოვისურვებ, – ამბობს ცაბაოთ უფალი, რომ აღვზარდო ჩემთვის შთამომავლობა, მე ვუბრძანებ ჩემს ხალხს; სხვაგვარად, ისინი ამას დაუგდებენ ყურს.

31 რადგან, აჰა, მე, უფალმა, ვიხილე ჩემი ხალხის ქალიშვილთა დარდი და გლოვა იერუსალიმის მიწაზე, დიახ, ჩემი ხალხის ყველა მიწაზე, მათი ქმრების სიბოროტისა და სისაძაგლის გამო.

32 და მე არ დავუშვებ, – ამბობს ცაბაოთ უფალი, რომ ღაღადი ამ ხალხის ღამაზი ქალიშვილებისა, რომლებიც გამოვიყვანე იერუსალიმის მიწიდან, მოვიდეს ჩემამდე, ჩემი ხალხის კაცების წინააღმდეგ, – ამბობს ცაბაოთ უფალი.

33 რადგან ისინი ვერ წაიყვანენ ტყვედ ჩემი ხალხის ქალიშვილებს მათი სინაზის გამო, თორემ მოვევლინები მათ მკაცრი წყევლით, განაღვურებთაც კი; რადგან არ ჩაიდენენ მრუშობას, როგორც ისინი ძველად, – ამბობს ცაბაოთ უფალი.

34 და ახლა, ჩემო ძმებო, თქვენ იცით, რომ ეს მცნებები მიეცა მამაჩვენს, ლეხის; ამიტომ, თქვენ ისინი ადრეც იცოდით; და თქვენ მოხვედით დიდ სასჯელამდე; რადგან ჩაიდინეთ ის, რაც არ უნდა ჩაგედინათ.

35 აჰა, თქვენ ჩაიდინეთ უფრო მძიმე ურჯულოება, ვიდრე ლამანიელებმა, ჩვენმა ძმებმა. თქვენ გაუტყბეთ გული თქვენს ნაზ ცოლებს და დაკარგეთ შვილების ნდობა მათ წინაშე თქვენი ცუდი მაგალითის გამო; და მათი გულის ქვითინი თქვენ წინააღმდეგ, აღწევს ღმერთამდე. და ღვთის სიტყვის სიმკაცრის გამო, რომელიც ჩამოდის თქვენ წინააღმდეგ, მრავალი გული დაიღუპა, ღრმა ჭრილობებით განგმირული.

თავი 3

გულით სუფთანი იღებენ ღვთის საამო სიტყვას. ლამანიელთა სამართლიანობა აღემატება ნეფიელებისას. იაკობი აფრთხილებს სიძვის, ავხორცობისა და ყოველგვარი ცოდვის წინააღმდეგ. დაახლოებით 544-421 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 მაგრამ, აჰა, მე, იაკობმა, მინდა მოგმართოთ თქვენ, ვინც ხართ გულით სუფთანი. მიენდეთ ღმერთს მტკიცე გონებით და ილოცეთ მისადმი ღრმა რწმენით და ის განუგეშებთ გასაჭირში და იქნება თქვენი ქომაგი და მოავლენს სასჯელს მათზედ,

რომლებიც ცდილობენ თქვენ განადგურებას.

2 ყველანი, ვინც გულით სუფთანი ხართ, აწიეთ თავი და მიიღეთ ღვთის საამო სიტყვა და ინადიმეთ მისი სიყვარულით; ამას შეძლებთ, თუ გონება მუდამ მტკიცე გექნებათ.

3 მაგრამ ვარამი, ვარამი თქვენ, რომლებიც არ ხართ გულით სუფთანი, რომლებიც ღვთის წინაშე ხართ ბინძურნი ამ დღეს, რადგან თუ არ ინანიებთ, თქვენ გამო მიწა დაწყევლილია და ლამანიელები, რომლებიც არ არიან თქვენსავით ასეთი ბინძურნი, მიუხედავად იმისა, რომ არიან დაწყევლილნი მწარე წყევლით, გაგამათრახებენ თქვენ, განადგურებამდეც კი.

4 და სწრაფად მოდის ის ღრო, რომ თუ არ მოინანიებთ, ისინი დაეუფლებიან თქვენი მემკვიდრეობის მიწას და უფალი ღმერთი წაიყვანს სამართლიანებს თქვენი გარემოცვიდან.

5 აჰა, ლამანიელები, თქვენი ძმები, რომლებიც გძულთ მათი სიბინძურისა და წყევლის გამო, რომელიც მათ კანზედ გადმოვიდა, არიან თქვენზე უფრო სამართლიანნი; რადგან მათ არ დაივიწყეს უფლის მცნება, რომელიც მიეცა ჩვენს მამას, რომ არ უნდა ჰყავდეთ ერთ ცოლზე მეტი და ხარჭები არ ჰყავდეთ და არ უნდა იყოს მრუშობა მათ შორის.

6 და ახლა, ამ მცნებას ისინი

გულდასმით იცავენ, ამიტომ, ამ ძალისხმევის გამო, ამ მცნების დაცვისათვის, უფალი ღმერთი არ განადგურებს მათ, არამედ მოწყალე იქნება მათ მიმართ და ერთ დღეს ისინი კურთხეულ ხალხად იქცევიან.

7 აჰა, მათ ქმრებს უყვართ თავიანთი ცოლები და მათ ცოლებს უყვართ თავიანთი ქმრები; და მათ ქმრებსა და ცოლებს უყვართ თავიანთი შვილები; და მათი ურწმუნოება და სიძულვილი თქვენ მიმართ არის მათი მამების ურჯულოების გამო, ამიტომ, რამდენად უკეთესნი ხართ მათზე თქვენი დიდი შემქმნელის თვალში?

8 ჩემო ძმებო, მე ვშიშობ, რომ თუ არ მოინანიებთ თქვენს ცოდვებს, მათი კანი უფრო თეთრი იქნება, ვიდრე თქვენი, როდესაც მათთან ერთად მიყვანილ იქნებით ღმერთის ტახტის წინაშე.

9 ამიტომ, ბრძანებას გაძლევთ, რომელიც არის ღვთის სიტყვა, რომ აღარ გაღანძღავთ მათ მუქი კანის გამო და აღარ გაღანძღავთ მათი სიბინძურის გამო, მაგრამ გემახსოვრებათ საკუთარი სიბინძურე და გეხსოვებათ, რომ მათი სიბინძურე მოვიდა მათი მამების გამო.

10 ამიტომ, თქვენ გაიხსენებთ საკუთარ შვილებს, თუ როგორ დაუღონეთ მათ გული იმ მაგალითის გამო, რომელსაც თქვენ მათ აძლევდით; და ასევე გახსოვდეთ, რომ შესაძლოა თქვენი

სიბინძურის გამო, თქვენი შვილები განადგურებამდე მიიყვანოთ და მათი ცოდვები თავზე დაგემხოზობათ უკანასკნელ დღეს.

11 ჩემო ძმებო, ყური დაუგდეთ ჩემს სიტყვებს; გამოაღვიძეთ თქვენი სულების შესაძლებლობები; შეკრთით, რომ გამოიღვიძოთ სიკვდილის ძილისგან; და განთავისუფლდით ჯოჯოხეთის ტკივილისაგან, რათა არ იქცეთ ანგელოზებად ეშმაკისათვის, ცეცხლისა და გოგირდის ტბაში ჩასაგდებად, რაც მეორე სიკვდილია.

12 და ახლა, მე, იაკობი, ველაპარაკე უფრო მეტი ნეფის ხალხს, ვაფრთხილებდი რა, სიძვისა და ავხორცობის შესახებ; და ყველანიარ ცოდვაზე უყყებოდით მათ ამის საშინელ შედეგებზე.

13 და ამ ხალხის, რომელთაც დაიწყეს გამრავლება, საქმეთა ერთი მესაედის ჩაწერა შეუძლებელია ამ ფირფიტებზე, მაგრამ მრავალი მათი საქმე ჩაწერილია დიდ ფირფიტებზე და მათი ომები და მათი განხეთქილებები და მათი მეფეთა მმართველობანი.

14 ამ ფირფიტებს ეწოდება იაკობის ფირფიტები, რომლებიც დამზადებულია ნეფის ხელით. და მე ვამთავრებ ამ სიტყვების თქმას.

თავი 4

ყველა წინასწარმეტყველი ქრისტეს სახელით ეთავყვანებოდა

მამას. აბრაამის მიერ ისააკის მსხვერპლად შეწირვა იყო ღმერთისა და მისი მხოლოდშობილის მსგავსი. ადამიანები უნდა შეურიგდნენ ღმერთს გამოსყიდვის მეშვეობით. იუდეველები უარყოფენ ქვაკუთხედს. დაახლოებით 544-421 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 ახლა, აჰა, იყო ასე, რომ მე, იაკობი, ბევრი ვემსახურე სიტყვით ჩემს ხალხს (და მე შემოძლია დავწერო ჩემი სიტყვების მხოლოდ მცირეოდენი ნაწილი, ფირფიტებზე ჩვენი სიტყვების ამოტვიფრის სირთულის გამო) და ჩვენ ვიცით, რომ ის, რასაც ფირფიტებზე ვიწერთ, უნდა შენახულ იქნას;

2 რადგან ყველაფერი, რასაც არ ვწერთ ფირფიტებზე, უნდა განადგურდეს და გაქრეს; მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ფირფიტებზე დავწეროთ რამდენიმე სიტყვა, რაც მისცემს ჩვენს შვილებს და ასევე ჩვენს საყვარელ ძმებს ცოტაოდენ ცოდნას ჩვენზედ ან მათი მამების შესახებ.

3 და ახლა, ჩვენ ვხარობთ ამით და ბეჯითად ვშრომობთ, რათა ეს სიტყვები ფირფიტებზე ამოტვიფროთ იმედით, რომ ჩვენი საყვარელი ძმები და ჩვენი შვილები მიიღებენ მათ მადლიერი გულით, და შეხედავენ მათ, რათა სიხარულით და არა მწუხარებით ან ზიზღით, შეძლონ

შეიტყონ თავიანთი პირველი მშობლების შესახებ.

4 რადგან ამ მიზნისათვის დავწერეთ ჩვენ ეს ყველაფერი, რათა მათ გაიგონ ის, რომ ჩვენ ვიცოდით ქრისტეს შესახებ და მისი დიდების იმედი გვქონდა მის მოსვლამდე ასობით წლით ადრე; და არა მარტო ჩვენ გვქონდა მისი დიდების იმედი, არამედ ყველა წმინდა წინასწარმეტყველსაც, რომლიც ჩვენამდე იყო.

5 აჰა, მათ სწამდათ ქრისტე და ეთავყვანებოდნენ მამას მისი სახელით და ჩვენც ასევე ვეთაყვანებით მამას მისი სახელით. და ამ მიზნის გამო ჩვენ ვიცავთ მოსეს რჯულს, იგი მიმართავს ჩვენს სულებს მისკენ; და ამიტომ, იგი ჩვენთვის წმინდანად არის მიღებული სამართლიანობისათვის, ისევე, როგორც ეს ებოძა აბრაამს უდაბნოში თავისი ღმერთის ბრძანებების მორჩილებისათვის, თავისი ძის, ისააკის მსხვერპლად შეწირვისას, რაც არის ღმერთისა და მისი მხოლოდშობილი ძის მავარი.

6 ამიტომ, ჩვენ შევისწავლით წინასწარმეტყველებს და გვაქვს მრავალი გამოცხადება და წინასწარმეტყველების სული; და გვაქვს რა, ყველა ეს მოწმობა, ვიდებთ იმედს და ჩვენი რწმენა ხდება ურყევი იმდენად, რომ ჩვენ ჭეშმარიტად ვბრძანებთ იესოს სახელით და ხეებოც

კი გვემორჩილება; ან თუნდაც მთები ან ზღვის ტალღები.

7 მიუხედავად ამისა, უფალი ღმერთი ჩვენს სისუსტეს გვაჩვენებს, რათა ვიცოდეთ, რომ მხოლოდ მისი მადლითა და მისი დიდი შემწყნარებლობით ადამიანთა შვილებისადმი, ჩვენ გვაქვს ძალა ვაკეთოთ ეს საქმენი.

8 აჰა, დიადი და საოცარია უფლის საქმენი. როგორ მიუწვდომელია მისი საიდუმლოთა სიღრმეები და შეუძლებელია, ადამიანი ჩაწვდეს ყველა მის გზას და არც ერთმა ადამიანმა არ იცის მისი გზების შესახებ, თუ არ გაანდეს მას ისინი; ამიტომ, ძმებო, ნუ შეიძულებთ ღვთის გამოცხადებებს.

9 რადგან, აჰა, მისი სიტყვის ძალით, ადამიანი მოვიდა დედამიწის ზედაპირზე, მიწაზე, რომელიც შექმნილ იქნა მისი სიტყვის ძალით. ამიტომ, თუ ღმერთს შესწევს ძალა, რომ თქვას: და იყო სამყარო; და თქვას: და შეიქმნა ადამიანი, – მაშინ რატომ არ უნდა შესწევდეს ძალა, უბრძანოს დედამიწას ან მის პირზე თავისი ხელით შექმნილს, მისი ნებისა და სურვილის მიხედვით?

10 ამიტომ, ძმებო, ნუ შეეცდებით, ურჩიოთ უფალს, არამედ ეცადეთ მიიღოთ რჩევა მისი ხელიდან. რადგან, აჰა, თქვენ თვითონ იცით, რომ ის იძლევა რჩევას სიბრძნითა და

სამართალით და დიდი წყალობით თავის ყოველ ქმნილებაზედ.

11 ამიტომ, საყვარელო ძმებო, შეურიგდით მას, მისი მხოლოდ-შობილი ძის, ქრისტეს, გამოსყიდვით და შეძლებთ მიიღოთ აღდგომა აღდგომის ძალის შესაბამისად, რომელიც არის ქრისტეში და იყოთ წარსდგენილნი ღმერთისადმი, როგორც ქრისტეს პირველი ნაყოფი, რწმენით და მასში მიღებული დიდების მყარი იმედით, სანამ ის მოევლინება ხორციელად.

12 და ახლა, საყვარელო, ნუ გოცდებით, რომ მე ამას გეუბნებით; რადგან რატომ არ უნდა მოგმართოთ ქრისტეს გამოსყიდვაზე და არ მივადწიოთ მასზე სრულყოფილ ცოდნას და ასევე არ მივადწიოთ ცოდნას აღდგომისა და მომავალი სამყაროს შესახებ?

13 აჰა, ჩემო ძმებო, ის, რომელიც წინასწარმეტყველებს, დაე, იწინასწარმეტყველოს ადამიანთა გასაგებად, რადგან სული ლაპარაკობს ჭეშმარიტებას და არ ცრუობს. ამიტომ, ის ლაპარაკობს ყველაფერზე, როგორც სინამდვილეში არის და ყველაფერზე, რაც ნამდვილად იქნება, ამიტომ ეს ყველაფერი გამოგვეცხადა ნათლად ჩვენი სულების გადასარჩენად. მაგრამ, აჰა, არა მარტო ჩვენ ვართ ამ ყველაფრის მოწმენი; რადგან ღმერთი ასევე ელაპარაკა ამაზედ წინასწარმეტყველებს ძველად.

14 მაგრამ, აჰა, იუდეველნი იყვნენ ქედფიცხელი ხალხი; და მათ სძულდათ ნათელი სიტყვები და ჰკლავდნენ წინასწარმეტყველებს და ეძებდნენ იმას, რაც არ ესმოდათ. ამიტომ, მათი სიბრმავის გამო, იმ სიბრმავის, რომელიც გაჩნდა, რადგან ისინი იყურებოდნენ მიზნის მიღმა, უნდა დაეცნენ; რადგან ღმერთმა ჩამოართვა მათ თავისი სინათლე და მისცა მრავალი რამ, რისი გაგებაც ვერ შეძლეს, რადგან მათ ეს სურდათ. და რადგან მათ ეს სურდათ, ღმერთმა მოახდინა ისე, რომ ისინი წაბორძიკდნენ.

15 და ახლა მე, იაკობს, მიმიძღვის სული წინასწარმეტყველებისაკენ; რადგან მე სულის ზემოქმედებით, რომელიც ჩემშია, ვხედავ, რომ წაბორძიკების გამო იუდეველნი უარყოფენ იმ ქვას, რომელზეც ისინი შეძლებდნენ შენებას და ექნებოდათ უსაფრთხო საფუძველი.

16 მაგრამ, აჰა, წმინდა წერილების შესაბამისად, ეს ქვა გახდება დიადი და უკანასკნელი; და ერთადერთი მყარი საფუძველი, რომელზედაც იუდეველები შეძლებენ შენებას.

17 და ახლა, ჩემო საყვარელნო, როგორ არის შესაძლებელი, რომ ესენი, უარყოფენ რა ასეთ მყარ საფუძველს, ოდესმე შეძლებდნენ შენებას მასზე, რომ ის გამხდარიყო მათი მთავარი კუთხე?

18 აჰა, ჩემო საყვარელო ძმებო, მე გაგიმხელთ ამ საიდუმლოებას,

თუ არ შევკრთი სულის სიმტკიცეში რაიმე მიზეზის გამო და არ წავბორძიკდი თქვენზე დიდი წუხილის გამო.

თავი 5

იაკობი ახდენს ზენოსის ციტირებას, ბალისა და ველური ზეთისხილის ხეებთან ალევორიულ მიმართებაში. ისინი განასახიერებენ ისრაელსა და წარმართებს. მოასწავებენ ისრაელის გაფანტვასა და შეკრებას. მოიხსენიებიან ნეფიელები, ლამანიელები და მთლიანად ისრაელის სახლი. წარმართნი დაემყნობიან ისრაელს. ვენახი საბოლოოდ დაიწვევა. დაახლოებით 544-421 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 აჰა, ჩემო ძმებო, აღარ გახსოვთ, თუ როგორ კითხულობით წინასწარმეტყველი ზენოსის სიტყვებს, რომლებითაც მან მიმართა ისრაელის სახლს:

2 ყური დამიგდე, ისრაელის სახლო და გაიგე ჩემი, უფლის წინასწარმეტყველის, სიტყვები.

3 რადგან, აჰა, ასე ამბობს უფალი: მე შეგადარებ, ისრაელის სახლო, ბალის ზეთისხილის ხეს, რომელიც ადამიანმა აიღო და ვენახში გააპოხიერა; და ის გაიზარდა და დაბერდა და დაიწყო ღპობა.

4 და იყო ასე, რომ გამოვიდა ვენახის პატრონი და დაინახა, რომ მისმა ზეთისხილის ხემ

ლპობა დაიწყო; და თქვა: გავსხლავ მას და შემოვუბარავ; და გავაპოხიერებ მას და იქნებ ამოხეთქოს ახალი და ნაზი ყლორტები და არ დაიღუპოს.

5 და იყო ასე, რომ მან გასხლას ის და შემოუბარა და აპოხიერებდა საკუთარი სიტყვისამებრ.

6 და იყო ასე, რომ მრავალი დღის შემდეგ მან დაიწყო რამდენიმე ახალი და ნაზი ყლორტის ამოყრა, მაგრამ, აჰა, მისმა მთავარმა რტომ დაიწყო გახმობა.

7 და იყო ასე, რომ ვენახის პატრონმა ეს დაინახა და თავის მსახურს უთხრა: ამ ხის დაკარგვა მალონებს, ამიტომ მიდი, ყლორტები მოამტვრიე ველურ ზეთისხილის ხეს და აქ მომიტანე; და ჩვენ მოვამტვრევთ იმ მთავარ ყლორტებს, რომლებიც იწყებს გახმობას და ჩავყრით ცეცხლში დასაწავად.

8 და აჰა, ამბობს ვენახის პატრონი: მე ავიღებ ამ ახალგაზრდა და ნაზი ყლორტებიდან ბევრს და დავამყნობ იქ, სადაც მომესურვება; და არ აქვს მნიშვნელობა, თუ მოხდება ისე, რომ ამ ხის ფესვები დაიღუპება, მე შევძლებ ჩემთვის მისი ნაყოფის გადარჩენას; ამიტომ, ავიღებ ამ ახალგაზრდა და ნაზ ყლორტებს და დავამყნობ იქ, სადაც მომესურვება.

9 აიდე ველური ზეთისხილის ხის ყლორტები და დაამყნე ისინი ამათ ადგილას; და

ამათ, რომლებიც მოვამტვრიე, ცეცხლში ჩაყრი და დაწვავ, რათა ჩემი ვენახის მიწა არ დაიკავონ.

10 და იყო ასე, რომ ვენახის პატრონის მსახური მოიქცა ვენახის პატრონის სიტყვის თანახმად და დაამყნო ველური ზეთისხილის ხის ყლორტები.

11 და ვენახის პატრონმა იბრუნა იმაზედ, რომ შემოებართა და გაესხლათ და გაეპოხიერებინათ ის, ეუბნებოდა რათავის მსახურს: მე მალონებს ამ ხის დაკარგვა; ამიტომ, მისი ფესვების გადასარჩენად, რომ არ დაღუპულიყვნენ და შემძლებოდა მათი ჩემთვის გადარჩენა, ასე მოვიქეცი.

12 ამიტომ, ასე გააგრძელე; მიხედუ ხეს და გააპოხიერე ჩემი სიტყვების თანახმად.

13 და ამათ მე მოვათავსებ ჩემი ვენახის ყველაზე მოშორებულ ადგილზე, სადაც მომესურვება და შენთვის ამას არ აქვს მნიშვნელობა; და ამას ვაკეთებ, რათა ჩემთვის გადავარჩინო ამ ხის ბუნებრივი ყლორტები; ასევე, რათა ჩემთვის მოვიმარაგო მისი ნაყოფი საჭირო დრომდე; რადგან მალონებს ამ ხის და მისი ნაყოფის დაკარგვა.

14 და იყო ასე, რომ ვენახის პატრონმა გააგრძელა მისებურად და დამალა ბაღის ზეთისხილის ხის ბუნებრივი ყლორტები ვენახის ყველაზე მოშორებულ ადგილას; ზოგი ერთ ადგილას

და ზოგი მეორე ადგილას, თავისი ნებისა და სურვილის შესაბამისად.

15 და იყო ასე, რომ დიდმა დრომ გაიარა და ვენახის პატრონმა უთხრა თავის მსახურს: მოდი წავიდეთ ვენახში, რათა ვიმუშაოთ ვენახში.

16 და იყო ასე, რომ ვენახის პატრონი და მისი მსახურიც წავიდნენ ვენახში სამუშაოდ. და იყო ასე, რომ მსახურმა უთხრა თავის პატრონს: აჰა, აქეთ მოიხედე, ამ ხეს შეხედე.

17 და იყო ასე, რომ ვენახის პატრონმა შეხედა და იხილა ხე, რომელზეც დამყნობილი იყო ველური ზეთისხილის ხის ყლორტები; და ის აყვავებულიყო და ნაყოფის მოსხმაც დაეწყო. და მან იხილა, რომ ის კარგი იყო და მისი ნაყოფი იყო, როგორც ბუნებრივი ნაყოფი.

18 და მან უთხრა თავის მსახურს: აჰა, ველური ხის ყლორტებმა მიიღო მისი ფესვების სინოტივე, ამგვარად, მისმა ფესვმა მისცა დიდი ძალა; და მისი ფესვის დიდი ძალის გამო, ველურმა ყლორტებმა მოისხეს ბაღის ნაყოფი. ახლა, ჩვენ რომ არ დაგვემყნო ეს ყლორტები, მათი ხე დაიღუპებოდა. და ახლა, აჰა, მე მოვიმარაგებ ბლომად ნაყოფს, რომელიც ამ ხემ მოისხა; და მის ნაყოფს ჩემთვის მოვიმარაგებ საჭირო დრომდე.

19 და იყო ასე, რომ ვენახის პატრონმა უთხრა მსახურს:

მოდი, მივიდეთ ვენახის ყველაზე მოშორებულ ადგილზე და ვნახოთ, ამ ხის ბუნებრივმა ყლორტებმა თუ მოისხა ბევრი ნაყოფი, რათა ჩემთვის მოვიმარაგო მისი ნაყოფი საჭირო დრომდე.

20 და იყო ასე, რომ ისინი მივიდნენ იქ, სადაც პატრონმა დამალა ხის ბუნებრივი ყლორტები და მან უთხრა მსახურს: შეხედე მათ; და მან იხილა, რომ პირველმა მოისხა ბევრი ნაყოფი და ასევე დაინახა, რომ ნაყოფი იყო კარგი. და მან უთხრა მსახურს: მოკრიფე ნაყოფი და მოიმარაგე საჭირო დრომდე, რათა ჩემთვის შევინახო; რადგან, აჰა, – თქვა მან, მე მას დიდი ხანი ვაპოხიერებდი და მან ბევრი ნაყოფი მოისხა.

21 და იყო ასე, რომ მსახურმა უთხრა თავის პატრონს: ან ამ ხის ჩასარგავად რატომ მოხვედი აქ და ან ამ ხის ყლორტის? რადგან, აჰა, ეს იყო შენი ვენახის მიწის ყველაზე ცუდი ადგილი.

22 და ვენახის პატრონმა უთხრა მას: რჩევას ნუ მაძლევ; მე ვიცოდი, რომ ეს იყო მიწის ცუდი ადგილი; ამიტომაც გითხარი, რომ მას დიდი ხანი ვაპოხიერებდი და შენ ხედავ, რომ მან ბევრი ნაყოფი მოისხა.

23 და იყო ასე, რომ ვენახის პატრონმა უთხრა თავის მსახურს: აქეთ მოიხედე; აჰა, მე ჩავრგე ხის მეორე ყლორტი; და შენ იცი, რომ მიწის ეს ნაკვეთი

პირველზე უარესი იყო. მაგრამ, შეხედე ხეს. მე ისე დიდ ხანს ვაპოხიერებდი მას და მან მოისხა ბევრი ნაყოფი, ამიტომ შეაგროვე ის და მოიმარავე საჭირო დრომდე, რომ შევინახო ის ჩემთვის.

24 და იყო ასე, რომ ვენახის პატრონმა კვლავ უთხრა თავის მსახურს: აქეთ მოიხედე და იხილე სხვა ყლორტიც, რომელიც ჩავრგე; აჰა, ამას ასევე ვაპოხიერებდი; და მანაც მოისხა ნაყოფი.

25 და მან უთხრა მსახურს: აქეთ მოიხედე და ნახე ბოლო ყლორტი. აჰა, ეს ჩავრგე მიწის კარგ ადგილას; და დიდ ხანს ვაპოხიერებდი და მხოლოდ ხის ნაწილმა მოისხა ბადის ნაყოფი და ხის დანარჩენმა ნაწილმა მოისხა ველური ნაყოფი; აჰა, ამ ხეს ვაპოხიერებდი ისე, როგორც სხვებს.

26 და იყო ასე, რომ ვენახის პატრონმა უთხრა მსახურს: მოამტკრიე ის ყლორტები, რომლებმაც არ მოისხა კარგი ნაყოფი და ცეცხლში ჩაყარე.

27 მაგრამ, აჰა, მსახურმა უთხრა მას: მოდი გავსხლათ და შემოვუბაროთ და ვაპოხიეროთ ცოტა უფრო დიდი ხნით, და იქნებ მან კარგი ნაყოფი მოისხას შენთვის, რომ შეძლო მისი საჭირო დრომდე მომარაგება.

28 და იყო ასე, რომ ვენახის პატრონი და მისი მსახური აპოხიერებდნენ ვენახის ყველანაირ ხეხილს.

29 და იყო ასე, რომ ბევრი დრო გავიდა; და ვენახის პატრონმა უთხრა თავის მსახურს: მოდი, წავიდეთ ვენახში, რომ კვლავ ვიმუშაოთ ვენახში. რადგან, აჰა, ახლოვდება დრო და მალე დასასრული მოვა; ამიტომ, მე ჩემთვის უნდა მოვიმარაგო ნაყოფი საჭირო დრომდე.

30 და იყო ასე, რომ ვენახის პატრონი და მისი მსახური ჩავიდნენ ვენახში და მივიდნენ ხესთან, რომელსაც ბუნებრივი ყლორტები ჰქონდა მომტკრეული და დამყნობილი ჰქონდა ველური ყლორტები; და აჰა, ის ხე იყო დახუნძლული ყველანაირი სახის ნაყოფით.

31 და იყო ასე, რომ ვენახის პატრონმა გასინჯა ყველა ჯიშის ნაყოფი მისი რაოდენობის მიხედვით; და ვენახის პატრონმა თქვა: აჰა, ასე დიდ ხანს ვაპოხიერებდით ამ ხეს და მე მოვიმარაგე ჩემთვის ბევრი ნაყოფი საჭირო დრომდე.

32 მაგრამ, აჰა, ამჯერად მან მოისხა ბევრი ნაყოფი, მაგრამ მათ შორის არცერთი არ არის კარგი. და აჰა, აქ არის ყველანაირი ცუდი ნაყოფი; და არ მოაქვს არანაირი სარგებელი, მთელი ჩვენი შრომის მიუხედავად; და ახლა მადონებს ამ ხის დაკარგვა.

33 და ვენახის პატრონმა უთხრა მსახურს: რა გავუკეთოთ ამ ხეს, რომ კვლავ მოვიმარაგო მისი კარგი ნაყოფი ჩემთვის?

34 და მსახურმა უთხრა თავის პატრონს: აჰა, რადგან შენ დამყნე ველური ზეთისხილის ხის ყლორტები, მათ გააპოხიერეს ფესვები, ამიტომ ისინი ცოცხალია და არ დაიდუპნენ; ამიტომ, შენ ხედავ, რომ ისინი ჯერ კიდევ ვარგისნიარიან.

35 და იყო ასე, რომ ვენახის პატრონმა უთხრა თავის მსახურს: ეს ხე მე არაფრით არ მახეირებს და მის ფესვებსაც არ მოაქვთ ჩემთვის არანაირი ხეირი იქამდე, სანამ ცუდ ნაყოფს ისხამს.

36 მიუხედავად ამისა, მე ვიცი, რომ ფესვები კარგია და ჩემი საკუთარი მიზნისთვის შევინახე ისინი; და მათი დიდი ძალის გამო, მათ ველური ყლორტებისგან აქამდე კარგი ნაყოფი გამოჰქონდათ.

37 მაგრამ, აჰა, ველური ყლორტები გაიზარდა და დაჩაგრეს მისი ფესვები; და იმის გამო, რომ ველურმა ყლორტებმა გამოფიტეს მისი ფესვები, ის ისხამდა ბევრ ცუდ ნაყოფს; და რადგან ის ისხამდა ასეთ ბევრ ცუდ ნაყოფს შენ ხედავ, რომ მან დაიწყო კვდომა; და მალე გახმება, რომ შემდეგ შესაძლებელი გახდეს მისი ცეცხლში ჩაგდება, თუ რამეს არ გავაკეთებთ მის გადასარჩენად.

38 და იყო ასე, რომ ვენახის პატრონმა უთხრა თავის მსახურს: მოდი, მივიდეთ ვენახის ყველაზე მოშორებულ ადგილზე

და ვიხილოთ ბუნებრივი ყლორტები, მათაც მოისხეს თუ არა უვარგისი ნაყოფი.

39 და იყო ასე, რომ ისინი ჩავიდნენ ვენახის ყველაზე მოშორებულ ადგილზე; და იყო ასე, რომ მათ იხილეს, რომ ბუნებრივი ყლორტების ნაყოფიც იყო გაფუჭებული; დიახ, პირველიც, მეორეც და ბოლოც და ყველა გაფუჭდა.

40 და ბოლო ველურმა ნაყოფმა სძლია ხის იმ ნაწილს, რომელიც ისხამდა კარგ ნაყოფს, იმდენად, რომ ყლორტი გახმა და მოკვდა.

41 და იყო ასე, რომ ვენახის პატრონი ატირდა და თავის მსახურს უთხრა: ამაზე მეტი რა უნდა გამეკეთებინა ჩემი ვენახისთვის?

42 აჰა, მე ვიცოდი, რომ ვენახის ყოველი ნაყოფი, ამათ გარდა, გაფუჭდა. და ახლა, ესენი, რომლებიც ოდესღაც ისხამდა კარგ ნაყოფს, ასევე გაფუჭდა; და ახლა ჩემი ვენახის არც ერთი ხე არაფრად არ ვარგა, გარდა იმისა, რომ მოიკვეთოს და ცეცხლში იქნას ჩაგდებული.

43 და აჰა, ეს ბოლო, რომლის ყლორტი გახმა, მე დავრგე მიწის კარგ ადგილზე, დიახ, იმაზე, რომელიც ჩემთვის რჩეული იყო ჩემი ვენახის ყველა სხვა ნაკვეთებს შორის.

44 და შენ ხედავ, რომ მე ასევე გავკაფე ის, რაც იკავებდა მიწის

ამ ადგილს, რათა შემეძლო ჩამერგო ეს ხე იმის ნაცვლად.

45 და შენ ხედავ, რომ მისმა ნაწილმა მოისხა კარგი ნაყოფი, ნაწილმა კი მოისხა ველური ნაყოფი; და რადგან მე არ მოვამტვრიე მას ყლორტები და არ ჩავეარე ისინი ცეცხლში, აჰა, მათ სძლიეს კარგ ყლორტს, ამიტომ ის გახმა.

46 და ახლა, ყოველი ჩვენი ზრუნვის მიუხედავად, რომლითაც ვუვლიდით ჩემს ვენახს, მისი ხეები გაფუჭდა, ასე რომ არ ისხამენ კარგ ნაყოფს; და მე იმედი მქონდა მათი გადარჩენისა, რომ მათი ნაყოფი ჩემთვის მომემარაგებინა საჭირო დრომდე, მაგრამ, აჰა, ისინი დაემსგავსნენ ველურ ზეთისხილის ხეს და აღარაფრად არ ვარგანან გარდა იმისა, რომ იქნენ მოკვეთილნი და ცეცხლში ჩაყრილნი; და მალონებს, რომ ისინი უნდა დაგკარგო.

47 მაგრამ მეტი რა უნდა გამეკეთებინა ჩემი ვენახისთვის? ნუთუ მოვადუნე ხელი ისე, რომ არ ვაპოხიერებდი? არა, მე მას ვაპოხიერებდი და გარშემო ვუბარავდი და ვსხლავდი და ნაკელს ვუყრიდი; და თითქმის მთელი დღე აღმართული მქონდა ხელი და ახლოვდება დასასრული. და მალონებს ჩემი ვენახის ყველა ხის გაკაფვა და დასაწვაად ცეცხლში ჩაყრა. ვინ გააფუჭა ჩემი ვენახი?

48 და იყო ასე, რომ მსახურმა

უთხრა თავის პატრონს: შენი ვენახის სიმაღლის გამო ხომ არა? ხომ არ ფიტავდნენ მისი ყლორტები კარგ ფესვებს? და იმის გამო, რომ ყლორტები ფიტავდნენ მის ფესვებს, აჰა, ისინი იზრდებოდნენ უფრო სწრაფად, ვიდრე ფესვების ძალა, იღებდნენ რა მის ძალას. აჰა, მე ვამბობ: ნუთუ ეს არ იყო იმის მიზეზი, რომ შენი ვენახის ხეები გაფუჭდა?

49 და იყო ასე, რომ ვენახის პატრონმა უთხრა თავის მსახურს: მოდი, წავიდეთ და გავკაფოთ ხეები ვენახში და ჩავეაროთ ცეცხლში, რომ აღარ დაიკაფონ მათ ჩემი ვენახის მიწა, რადგან მე ყველაფერი გავაკეთე. მეტი რა უნდა გამეკეთებინა ჩემი ვენახისთვის?

50 მაგრამ, აჰა, მსახურმა უთხრა ვენახის პატრონს: დაინდე კიდევ ცოტა ხნით.

51 და პატრონმა თქვა: დიახ, დავინდობ კიდევ ცოტა ხნით, რადგან მალონებს ჩემი ვენახის ხეების დაკარგვა.

52 ამიტომ, მოდი ავიღოთ რამდენიმე ამ ყლორტებიდან, რომლებიც ჩავრგე ჩემი ვენახის ყველაზე მოშორებულ ადგილებში და დავამყნოთ იმ ხეზე, რომლისგანაც ისინი აიღეს; და მოვამტვრიოთ ის ყლორტები, რომელთა ნაყოფიც ყველაზე მწარეა და მათ მაგივრად დავამყნოთ ხის ბუნებრივი ყლორტები.

53 და ამას გავაკეთებ, რათა ხე არ დაიღუპოს, რომ იქნებ შევძლო ჩემთვის მისი ფესვების გადარჩენა ჩემი საკუთარი მიზნისათვის.

54 და აჰა, იმ ხის ბუნებრივი ყლორტების ფესვები, რომლებიც დავრგე იქ, სადაც მინდოდა, ჯერ კიდევ ცოცხალნი არიან: ამიტომ, რომ შევძლო ჩემი საკუთარი მიზნისთვის მათი გადარჩენაც, ავიღებ ამ ხის რამდენიმე ყლორტს და მათზე დავამყნობ. დიახ, მათზე დავამყნობ მათივე მშობელი ხის ყლორტებს, რათა ასევე შევძლო ჩემთვის მათი ფესვების გადარჩენა, რომ როდესაც ისინი იქნებიან საკმაოდ ძლიერი, იქნებ მოისხან ჩემთვის კარგი ნაყოფი და შევძლებ, ჩემი ვენახის ნაყოფით, დიდების მოპოვებას.

55 და იყო ასე, რომ მათ აიღეს ბუნებრივი ხისგან, რომელიც გაველურდა და დაამყნეს ბუნებრივ ხეებზე, რომლებიც ასევე გაველურდა.

56 და მათ ასევე აიღეს ბუნებრივი ხეებისგან, რომლებიც გაველურდა, და დაამყნეს თავიანთ მშობელ ხეზე.

57 და ვენახის პატრონმა მსახურს უთხრა: ნუ მოამტვრევ ველურ ყლორტებს ხეებს, გარდა იმათი, რომლებიც ყველაზე მწარენი არიან და მათზე უნდა დავამყნო ისე, როგორც მე ვითხარი.

58 და ჩვენ კვლავ გავაპოხიერებთ ვენახის ხეებს და

გავსხლავთ მის ყლორტებს და ხეებს მოვამტვრევთ იმ ყლორტებს, რომლებიც გახმნენ ისე, რომ უნდა დაიღუპონ და ცეცხლში ჩავყრიოთ.

59 და მე ვაკეთებ ამას, რომ იქნებ მათმა ფესვებმა ძალა მოიკრიბონ, რადგან ისინი ვარგისნი არიან; და რომ მათი ყლორტების შეცვლით კარგებმა სძლიონ ცუდებს.

60 და იმის გამო, რომ გადავარჩინე მათი ბუნებრივი ყლორტები და ფესვები და რადგან ბუნებრივი ყლორტები კვლავ დავამყნე მათ მშობელ ხეზე და გადავარჩინე მათი მშობელი ხის ფესვები, რომ, იქნებ, ჩემი ვენახის ხეებმა კვლავ შეძლონ კარგი ნაყოფის მოსხმა; და მე შემეძლოს კვლავ მივიღო სიხარული ჩემი ვენახის ნაყოფისგან და იქნებ ძალზედ გავიხარო, რომ გადავარჩინე პირველი ნაყოფის ფესვები და ყლორტები.

61 ამიტომ, წადი და დაუძახე მსახურებს, რათა ბეჯითად ვიშრომით ვენახში ჩვენი ძალით, რომ მოვამზადოთ გზა, რათა კვლავ მივიღოთ ბუნებრივი ნაყოფი და ეს ბუნებრივი ნაყოფი არის კარგი და ყველაზე ძვირფასი სხვა ნაყოფზედ.

62 ამიტომ, მოდი თელი ძალით ვიშრომით ამ ბოლო ჯერზე, რადგან, აჰა, ახლოვდება დასასრული და უკანასკნელად ვსხლავ ჩემს ვენახს.

63 დაამყნეთ ყლორტები;

დაიწყეთ ბოლოდან, რათა ისინი გახდნენ პირველნი და პირველნი გახდნენ ბოლონი და შემოუბარეთ როგორც ძველებს, ასევე ახალგაზრდებს, პირველებსა და ბოლოებს; და ბოლოებს და პირველებს, რათა ყველანი კიდევ ერთხელ საბოლოოდ იყვნენ გამოხიერებულნი.

64 ამიტომ, შემოუბარეთ და გასხალით და დაუყარეთ ნაკელი კიდევ ერთხელ, საბოლოოდ, რადგან ახლოვდება დასასრული. და თუ ასე იქნება, რომ ესენი, ბოლოს დამყნობილნი, გაიზრდებიან და მოისხამენ ბუნებრივ ნაყოფს, მაშინ მოამზადეთ მათთვის გზა, რათა მათ შეძლონ ზრდა.

65 და როდესაც ზრდას დაიწყებენ, თქვენ მოაცლით ყლორტებს, რომლებიც მწარე ნაყოფს ისხამენ, კარგი ყლორტების ძალისა და ზომის შესაბამისად; მაგრამ ცუდ ყლორტებსაც არ მოაცლით ერთბაშად, რათა მათი ფესვები მეტისმეტად არ გაძლიერდნენ ლერწისთვის, რომ არ დაიღუპოს მათი ლერწი და არ დაეკარგო ჩემი ვენახის ხეები.

66 რადგან მალონებს მე ის, რომ ჩემი ვენახის ხეები უნდა დაეკარგო, ამიტომ თქვენ მოაცილებთ უვარგისს, იმ დროს, როდესაც გაიზრდებიან კარგები, რომ ფესვი და წვერი თანაბარი ძალის იყოს, სანამ ვარგისნი არ სძლევენ უვარგისს და უვარგისნი არ მოიკვეთებიან და

ცეცხლში არ ჩაიყრებიან, რათა მათ არ დაიკაონ ჩემი ვენახის მიწა; და ასეთნაირად მე გამოვხვეტავ უვარგისებს ჩემი ვენახიდან.

67 და ბუნებრივი ხის ყლორტებს მე კვლავ დავამყნობ ბუნებრივ ხეზე;

68 და ბუნებრივი ხის ყლორტებს დავამყნობ ბუნებრივი ხის ყლორტებზე; და ასეთნაირად მე მათ კვლავ გავაერთიანებ, რათა მოისხან ბუნებრივი ნაყოფი და ისინი ერთნი იქნებიან.

69 და ცუდები გადაიყრება, დიახ, ჩემი ვენახის მთელი მიწიდან, რადგან, აჰა, მხოლოდ ამ ჯერზე მე გავსხლავ ჩემს ვენახს.

70 და იყო ასე, რომ ვენახის პატრონმა გააგზავნა თავისი მსახური; და წავიდა მსახური და გააკეთა ისე, როგორც პატრონმა უბრძანა და მოიყვანა სხვა მსახურებიც; და ისინი ცოტანი იყვნენ.

71 და ვენახის პატრონმა მათ უთხრა: წადით და იშრომეთ ვენახში მთელი თქვენი ძალით. რადგან, აჰა, უკანასკნელად გამოხიერებ ჩემს ვენახს, რადგან დასასრული უკვე ახლოსაა და ის დრო სწრაფად მოდის; და თუ თქვენ იშრომებთ ჩემთან თქვენი ძალ-ღონით, თქვენ მიიღებთ სიხარულს იმ ნაყოფისგან, რომელსაც მე მოვიმარაგებ იმ დრომდე, რომელიც მალე მოვა.

72 და იყო ასე, რომ მსახურები

მივიდნენ და მთელი ძალით შრომობდნენ და ვენახის პატრონიც მათთან ერთად შრომობდა; და ისინი ყველაფერში ვენახის პატრონის ბრძანებებს ემორჩილებოდნენ.

73 და კვლავ გამოჩნდა ბუნებრივი ნაყოფი ვენახში და ბუნებრივმა ყლორტებმაც დაიწყეს არაჩვეულებრივი ზრდა და გამრავლება; და დაიწყეს ველური ყლორტების მომტვრევა და გადაყრა; და ისინი ინარჩუნებდნენ ხის ფესვს და წვერს თანაბრად, მათი სიძლიერის მიხედვით.

74 და ასე შრომობდნენ ისინი, მთელი სიბეჯითით, ვენახის პატრონის ბრძანებების შესაბამისად, დიახ, სანამ ცუდი ყლორტები არ გადაიყარა ვენახიდან და სანამ პატრონმა თავისთვის არ გადაარჩინა ბუნებრივი ხეები, ისე რომ ამ ხეებმა კვლავ მოისხეს ბუნებრივი ნაყოფი; და გახდნენ როგორც ერთი სხეული; და ნაყოფნი იყვნენ თანაბარნი; და ვენახის უფალმა თავისთვის შეინახა ბუნებრივი ნაყოფი, რომელიც იყო ყველაზე ძვირფასი მისთვის თავიდანვე.

75 და იყო ასე, რომ როდესაც ვენახის პატრონმა იხილა, რომ მისი ნაყოფი იყო კარგი და მისი ვენახი აღარ იყო გაფუჭებული, მან მოუხმო თავის მსახურებს და უთხრა მათ: აჰა, უკანასკნელად გავაპოხიერეთ ჩემი ვენახი; და თქვენ ხედავთ, რომ მე მოვიქეცი ჩემი ნების მიხედვით და

შვეინარჩუნე ბუნებრივი ნაყოფი, ასე რომ, ის არის კარგი, ისეთი, როგორც იყო დასაწყისში. და კურთხეულნი ხართ თქვენ; რადგან იმის გამო, რომ იყავით ბეჯითნი, შრომობდით რა ჩემთან ერთად ჩემს ვენახში და ასრულებდით ჩემს ბრძანებებს და კვლავ მომიტანეთ ბუნებრივი ნაყოფი, რომ ჩემი ვენახი აღარ არის გაფუჭებული და უვარგისი გადაყრილია, აჰა, თქვენ მიიღებთ ჩემთან ერთად სიხარულს ჩემი ვენახის ნაყოფის გამო.

76 რადგან, აჰა, დიდი ხნისათვის მოვიმარაგებ ვენახის ნაყოფს ჩემთვის, საჭირო დრომდე, რომელიც სწრაფად მოდის; და უკანასკნელად გავაპოხიერე ჩემი ვენახი და გავსხალი იგი, და დავბარე და ნაკელი დაგუყარე; ამიტომ მე მოვიმარაგებ ჩემთვის ნაყოფს დიდი ხნისათვის, იმის მიხედვით, რაზედაც ვილაპარაკე.

77 და როდესაც მოვა ის დრო, რომ ცუდი ნაყოფი კვლავ მოვა ჩემს ვენახში, მაშინ მე ისე გავაკეთებ, რომ კარგი და ცუდი ნაყოფი დაიკრიფება; და კარგს ჩემთვის შევინახავ და ცუდს მისსავე ადგილზე გადავყრი. და მაშინ მოვა დრო და დასასრული და მე გავაკეთებ ისე, რომ ჩემი ვენახი დაიწყება ცეცხლით.

თავი 6

უფალი უკანასკნელ დღეებში

შეკრებს ისრაელს. შემდეგ ქვეყანა დაიწვება ცეცხლით. აღამიანები ქრისტეს უნდა მიჰყვნენ, რათა თავი აარიდონ ცეცხლისა და გოგირდის ტბას. დაახლოებით 544-421 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და ახლა, აჰა, ჩემო ძმებო, როგორც მე ვითხარით, რომ მე ვიწინასწარმეტყველებდი, აჰა, ჩემი წინასწარმეტყველება: სიტყვები, რომლებიც თქვა წინასწარმეტყველმა ზენოსმა ისრაელის სახლის შესახებ, რომელშიც მან ის ბაღის ზეთისხილის ხეს შეადარა, აუცილებლად უნდა ახდეს.

2 და ის დღე, როდესაც იგი კვლავ, მეორეჯერ აღმართავს ხელს, რათა შეკრიბოს თავისი ხალხი, არის დღე, როდესაც უკანასკნელად უფლის მსახურნი გაემართებიან მისი ძალით, რომ გააპოხიერონ და გასხლან მისი ვენახი; და ამის შემდეგ მალე მოვა დასასრული.

3 და რაოდენ კურთხეულნი არიან ისინი, რომლებიც ბეჯითად შრომობდნენ მის ვენახში; და რაოდენ დაწყევლილნი არიან ისინი, რომლებიც იქნებიან გაძევებულნი თავიანთ საკუთარ ადგილზე! და ქვეყანა დაიწვება ცეცხლით.

4 და როგორი მოწყალეა ჩვენ მიმართ ჩვენი ღმერთი, რადგან მას ახსოვს ისრაელის სახლი, როგორც ფესვები, ასევე

ყლორტები; და ის მთელი დღის განმავლობაში გაიწვდის მათკენ ხელს; და ისინი არიან ქედფიცხელი და ურჩი ხალხი, მაგრამ ყველანი, ვინც არ გაიქვავებს გულს, ღვთის სასუფეველში გადარჩებიან.

5 ამიტომ, ჩემო საყვარელო ძმებო, გემუდარებით კეთილგონიერი სიტყვებით, რომ მოინანიოთ და მოხვიდეთ გულის მთელი მოწადინებით; და ელტვოდეთ ღმერთს ისე, როგორც ის გელტვით თქვენ. და სანამ მისი მოწყალე ხელი გამოწვდილია თქვენკენ დღის სინათლეში, ნუ გაიქვავებთ გულს.

6 დიახ, დღეს თუ გინდათ მოისმინოთ მისი ხმა, ნუ გაიქვავებთ გულს; განა რატომ უნდა მოკვდეთ?

7 რადგან, აჰა, მას შემდეგ, რაც მთელი დღე გკვებავდნენ ღვთის კეთილი სიტყვით, ნუთუ მოისხამთ ცუდ ნაყოფს ისე, რომ მოსაკვეთი და ცეცხლში ჩასაყრელნი გახდეთ?

8 აჰა, ნუთუ უარყოფთ ამ სიტყვებს? ნუთუ უარყოფთ წინასწარმეტყველთა სიტყვებს და ნუთუ უარყოფთ ყველა სიტყვას, რომელიც ითქვა ქრისტეს შესახებ, მას შემდეგ, რაც ასე ბევრმა ილაპარაკა მის შესახებ; ნუთუ უარყოფთ ქრისტეს კეთილ სიტყვას და ღვთის ძალასა და სულიწმინდის ძღვენს? და ნუთუ ჩააქრობთ სულიწმინდას და დასცინებთ გამოსყიდვის

დიდ გეგმას, რომელიც თქვენთვის არის დაწესებული?

9 ნუთუ არ იცით, რომ თუ ამას გააკეთებთ, გამოსყიდვის და აღდგომის ძალა, რომელიც არის ქრისტეში, მოგიყვანთ სირცხვილითა და საშინელი დანაშაულით ღმერთის სამსჯავროს წინაშე?

10 და სამართლის ძალის შესაბამისად, რადგან სამართლის უარყოფა შეუძლებელია, თქვენ უნდა წახვიდეთ ცეცხლისა და გოგირდის ტბაში, რომლის ალი ჩაუქრობელია და რომლის კვამლი ადის მაღლა უკუნიით უკუნისამდე და ეს ცეცხლისა და გოგირდის ტბა არის უსასრულო წამება.

11 მაშინ, ჩემო საყვარელო ძმებო, მოინანიეთ, შედით ვიწრო კარიბჭით და დარჩით გზაზე, რომელიც არის ვიწრო, სანამ არ მიიღებთ მარადიულ სიცოცხლეს.

12 იყავით გონიერნი; მეტი რისი თქმა შემიძლია?

13 ბოლოს, მე გემშვიდობებით იქამდე, სანამ არ შეგხვდებით ღმერთის საამო სამსჯავროს წინაშე, რომელი სამსჯავროც განგმირავს ბოროტთა საშინელი ძრწოლვითა და შიშით. ამინ.

თავი 7

შერევი უარყოფს ქრისტეს, უპირისპირდება იაკობს, ითხოვს ნიშანს და ღმერთის მიერ ისჯება.

ყველა წინასწარმეტყველი ლაპარაკობდა ქრისტესა და მისი გამოსყიდვის შესახებ. განსაცდელში დაბადებულმა და ლამანიელებისაგან შეძლებულმა ნეფიელებმა ხეტიალში გაატარეს თავიანთი ცხოვრება. დაახლოებით 544-421 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და ახლა, იყო ასე, რომ რამდენიმე წლის შემდეგ, ნეფის ხალხში გამოჩნდა ადამიანი, რომელსაც სახელად შერემი ერქვა.

2 და იყო ასე, რომ მან დაიწყო ხალხში ქადაგება და გამოუცხადა მათ, რომ ქრისტე არ იქნება. და ის ქადაგებდა ბევრ ისეთ რამეს, რითაც ხალხს ეპირფერებოდა; და ამას აკეთებდა, რათა ქრისტეს მოძღვრება დაემარცხებინა.

3 და ის ბეჯითად შრომობდა, რომ გზას აეცდინა ხალხის გულები, ამგვარად, მან გზას მრავალი გული ააცდინა; იცოდა რა, რომ მე, იაკობს, მწამდა ქრისტე, რომელიც უნდა მოსულიყო, ის მონდომებით ეძებდა იმის შესაძლებლობას, რომ ჩემთან მოსულიყო.

4 და ის განსწავლული იყო, რადგან სრულყოფილად იცოდა ამ ხალხის ენა, ამიტომ მას შეეძლო პირფერობისა და სიტყვის დიდი ძალის გამოყენება, ეშმაკის ძალის შესაბამისად.

5 და მას იმედი ჰქონდა, რომ

რწმენას შემიძრეყვდა, მრავალი გამოცხადების და იმ ბევრი რამის მიუხედავად, რაც მე ვიხილე ამის შესახებ; რადგან, მე ჭეშმარიტად ვიხილე ანგელოზები და ისინი მემსახურებოდნენ. და ასევე, მე მოვისმინე უფლის ხმა, რომელიც დროდადრო მომმართავდა ნამდვილი სიტყვით; ამიტომ, ჩემი შერყევა შეუძლებელი იყო.

6 და იყო ასე, რომ ის ჩემთან მოვიდა და ასეთნაირად მომმართა სიტყვებით: ძმაო იაკობ, მე მონდომებით ვეძებდი შენთან საუბრის შესაძლებლობას; რადგან მე გავიგე და ასევე ვიცი, რომ შენ ბევრს დადიხარ და ქადაგებ იმას, რასაც სახარებას ანუ ქრისტეს მოძღვრებას, უწოდებთ.

7 და თქვენ მრავალნი აიყოლიეთ ამ ხალხისგან ისე, რომ ისინი ამრუდებენ ღმერთის სწორ გზას და არ იცავენ მოსეს რჯულს, რომელიც არის სწორი გზა; და მოსეს რჯულს გადააქცევენ არსების თაყვანისცემად, რომელიც, როგორც თქვენ ამბობთ, მრავალი ასეული წლის შემდეგ მოვა. და ახლა, აჰა, მე, შერევი, გიცხადებ, რომ ეს არის მკრეხელობა, რადგან არც ერთმა ადამიანმა არ იცის ასეთი რამ, რადგან მას არ შეუძლია იცოდეს ის, რაც იქნება. და ასეთნაირად მეკამათებოდა შერევი.

8 მაგრამ, აჰა, უფალმა ღმერთმა ისე გადმოღვარა თავისი სული

ჩემს სულში, რომ შევმუსრე იგი მის ყოველ სიტყვაში.

9 და მე მას ვუთხარი: უარყოფ თუ არა ქრისტეს, რომელიც მოვა? და მან თქვა: რომ ყოფილიყო ქრისტე, მე მას არ უარყოფდი, მაგრამ მე ვიცი, რომ ქრისტე არ არსებობს, არც ყოფილა და არც არასდროს იქნება.

10 და მე მას ვუთხარი: გწამს თუ არა წმინდა წერილები? და მან თქვა: დიახ.

11 და მე მას ვუთხარი: მაშინ შენ არ გესმის ისინი; რადგან ისინი ჭეშმარიტად მოწმობენ ქრისტეზე. აჰა, მე გეუბნები შენ, რომ არც ერთ წინასწარმეტყველს არც დაუწერია და არც უწინასწარმეტყველებია ისე, რომ არ ელაპარაკა ქრისტეზე.

12 და ეს არ არის ყველაფერი; ეს მე გამომეცხადა, რადგან მესმოდა და ვხედავდი; და ეს ასევე გამომეცხადა სულიწმინდის ძალით; ამიტომ, მე ვიცი, თუ არ იქნება გამოსყიდვა, მთელი კაცობრიობა დაიკარგება.

13 და იყო ასე, რომ მან მითხრა: დამანახე ნიშანი ამ სულიწმინდის ძალით, რომლის მეშვეობითაც თქვენ ასე ბევრი რამ იცით.

14 და მე მას ვუთხარი: ვინ ვარ მე, რომ ღმერთი გამოვცადო, რათა შენ დაგანახოს იმის ნიშანი, რაც შენ იცი, რომ არის ჭეშმარიტება? შენ მაინც უარყოფ ამას, ვინაიდან შენ ხარ ეშმაკისაგან. მიუხედავად ამისა,

არა ჩემი ნება აღსრულდება; მაგრამ თუ ღმერთი დაგსჯის, დაე, ეგ იყოს შენთვის ნიშანი, რომ მას აქვს ძალა ზეცაშიც და დედამიწაზეც და ასევე, რომ ქრისტე მოვა. დაე, შენი ნება იყოს, უფალო, და არა ჩემი.

15 და იყო ასე, რომ როდესაც მე, იაკობმა, ეს სიტყვები ვთქვი, უფლის ძალა გადმოვიდა მასზე და ისე, რომ ის მიწაზე დაეცა. და იყო ასე, რომ მას კვებადნენ მრავალი დღის განმავლობაში.

16 და იყო ასე, რომ მან მიმართა ხალხს: ერთად შეიკრიბეთ ხვალ, რადგან მე მოგვედები, ამიტომ, მსურს მიმართო ხალხს, სანამ მოგვედები.

17 და იყო ასე, რომ მომდევნო დღეს მრავალნი შეიკრიბნენ ერთად და მან ნათლად მიმართა მათ და უარყო ის, რასაც მათ ასწავლიდა, აღიარა ქრისტე და სულიწმინდის ძალა და ანგელოზთა მსახურება.

18 და მან ნათლად მიმართა მათ, რომ მოტყუებული იყო ეშმაკის ძალით. და ის ლაპარაკობდა ჯოჯოხეთზე და მარადისობაზე და მარადიულ სასჯელზე.

19 და მან თქვა: მე ვშიშობ, რომ ჩავიდინე მიუტკეპბელი ცოდვა, რადგან ვიცრუე ღმერთის წინაშე; რადგან უარყოფდი ქრისტეს და ვთქვი, რომ მწამს წმინდა წერილები; და ისინი ჭეშმარიტად მასზე მოწმობენ. იმის გამო, რომ ასე ვცრუობდი

ღმერთის წინაშე, მე ძალზედ ვშიშობ, რომ ჩემი მდგომარეობა იქნება საშინელი; მაგრამ, მე აღსარებას ვეუბნები ღმერთს.

20 და იყო ასე, რომ როდესაც მან წარმოთქვა ეს სიტყვები, მეტი ვერაფერი თქვა და სული განუტკევა.

21 და როდესაც მრავალნი გახდნენ მოწმენი, რომ მან ეს ილაპარაკა, სანამ სული განუტკევდა, ისინი იყვნენ ძალზედ გაოცებულნი; იმდენად, რომ ღვთის ძალა მოეფინა მათზე და სძლია მათ ისე, რომ მიწაზე დაემხნენ.

22 და ახლა, ეს სასიხარულო იყო ჩემთვის, იაკობისათვის, რადგან ამას ვთხოვდი ჩემს მამას, რომელიც ზეცაშია; რადგან მან შეისმინა ჩემი ღაღადი და უპასუხა ჩემს ლოცვას.

23 და იყო ასე, რომ მშვიდობა და ღვთის სიყვარული კვლავ აღდგენილ იქნა ადამიანებს შორის; და ისინი იკვლევდნენ წმინდა წერილებს და ყურს აღარ უდებდნენ ამ ბოროტი კაცის სიტყვებს.

24 და იყო ასე, რომ მრავალი საშუალება მოიფიქრეს, რათა მოებრუნებინათ ჭეშმარიტების ცოდნისკენ და აღედგინათ ლამანიელები; მაგრამ ყველაფერი ამას იყო, რადგან ისინი ხარობდნენ ომებითა და სისხლისღვრით და მათ ჰქონდათ მარადიული სიძულვილი თავიანთი ძმების, ჩვენ მიმართ. და

გამუდმებით ცდილობდნენ ჩვენს განადგურებას თავიანთი იარაღის ძალით.

25 ამიტომ, ნეფის ხალხი გამაგრდა მათ წინააღმდეგ თავიანთი იარაღით და მთელი თავიანთი ძალით, ღმერთისა და ხსნის კლდის ნდობით; ამიტომ, ისინი ჯერ კიდევ იყვნენ მტრებზე გამარჯვებულნი.

26 და იყო ასე, რომ მე, იაკობმა, ვიგრძენი ჩემი სიბერე; და რადგან ამ ხალხის ჩანაწერები ინახება ნეფის სხვა ფირფიტებზე, მე ამ ჩანაწერებს ვამთავრებ და ვაცხადებ, რომ გწერდი ჩემი საუკეთესო ცოდნის შესაბამისად და ვამბობ, რომ ჩვენმა დრომ ჩაიარა, ასევე ჩვენმა ცხოვრებამ ჩაიარა, თითქოს ის სიზმარი ყოფილიყოს, ვიყავით რა ეული და გულხათხრობილი ხალხი, მოხეტიალე

და იერუსალიმიდან გაძევებული, გაჭირვებაში უდაბნოში დაბადებული და ჩვენი ძმებისაგან შეძულებული, რამაც გამოიწვია ომები და განხეთქილებები. ამიტომ, ჩვენ გავატარეთ ჩვენი დღეები მწუხარებაში.

27 და მე, იაკობმა, დავინახე, რომ მალე საფლავში უნდა ჩავიდე, ამიტომ მივმართე ჩემს შვილს, ენოსს: აიღე ეს ფირფიტები. და მოვუყევი იმაზე, რაც მიბრძანა ჩემმა ძმამ, ნეფიმ; და იგი დამპირდა, რომ ბრძანებებს დაემორჩილებოდა. და მე ვამთავრებ ჩემს ჩანაწერებს ამ ფირფიტებზე, რომელი ჩანაწერებიც იყო მოკლე და მე ვეთხოვები მკითხველს, მაქვს რა იმედი, რომ ჩემი ძმებიდან მრავალნი წაიკითხავენ ჩემს სიტყვებს. მშვიდობით, ძმებო.

ენოსის წიგნი

ენოსი მხურვალედ ლოცულობს და აღწევს ცოდვების მიტევებას. უფლის ხმა ჩაესმა გონებაში, ჰპირდება რა მომავალ დღეს ლამანიელთა ხსნას. ნეფიელები ცდილობდნენ ლამანიელთა დაბრუნებას თავიანთ დროს. ენოსი ხარობს თავის გამომსყიდველში. დაახლოებით 420 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 აჰა, იყო ასე, რომ მე, ენოსმა, ვიცოდი, რომ მამანემი მართალი ადამიანი იყო, რადგან მასწავლიდა თავის ენას და ასევე უფლის სწავლებებსა და დარიგებებს. და ამისათვის, კურთხეული იყოს ჩემი ღმერთის სახელი.

2 და მე გვიამბობთ იმ ბრძოლის შესახებ, რომელიც მქონდა

ღვთის წინაშე, სანამ არ მივიღე ცოდვების მიტევება.

3 აჰა, მე ტყეში წავედი მხეცებზე სანადიროდ და სიტყვები, რომლებიც ხშირად მესმოდა მამაჩემისგან მარადიული სიცოცხლისა და წმინდანთა სიხარულის შესახებ, ღრმად ჩამებუჭდა გულში.

4 და ჩემი სული შიმშილობდა; მე მუხლი მოვიყარე ჩემი შემქმნელის წინაშე, და შევღაღადე ძლიერი ლოცვითა და ვედრებით ჩემი სულის გამო. და მთელი დღის განმავლობაში მე მას შევღაღადებდი. დიახ, და როდესაც დაღამდა, მე კვლავ ხმამაღლა ვღაღადებდი, ისე რომ ჩემმა ხმამ ზეცას მიაღწია.

5 და ხმამ მომმართა, ამბობდა რა: ენოს, შენი ცოდვები მიპატიებია და იქნები კურთხეული.

6 და მე, ენოსმა, ვიცოდი, რომ ღმერთი ვერ იცრუებდა, ამიტომ, ჩემი დანაშაული ჩამოირეცხა.

7 და მე ვთქვი: უფალო, ეს როგორ მოხდა?

8 და მან მითხრა: ქრისტეში შენი რწმენის გამო, რომლისთვისაც შენ ადრე არასდროს არ მოვისმენია და არ გინახავს. და მრავალი წელი გაგა, სანამ ის ხორციელად გამოცხადდება; ამიტომ, წადი, შენმა რწმენამ განგკურნა.

9 ახლა, იყო ასე, რომ როდესაც მოვისმინე ეს სიტყვები, მე დამებადა სურვილი ჩემი ძმების, ნეფილების, კეთილდღეობისთვის;

ამიტომ, მთელი ჩემი სული ღმერთის წინაშე მათთვის გადმოვღვარე.

10 და როდესაც მე ასე ვიბრძოდი სულში, აჰა, უფლის ხმა კვლავ ჩამესმა გონებაში, ამბობდა რა: მე მოვევლინები შენს ძმებს მათ მიერ ჩემი მცნებების დაცვის სიბეჯითის შესაბამისად. მე მათ ეს მიწა მივეცი და ეს არის წმინდა მიწა; და მე მას არ ვწყევლი, გარდა ურჯულოების გამო; ამიტომ, მოვევლინები შენს ძმებს იმის მიხედვით, რაც ვთქვი; და მათ შეცოდებებს დარდით დაევანთებე მათსავე თავზე.

11 და მას შემდეგ, რაც მე, ენოსმა, მოვისმინე ეს სიტყვები, ჩემი რწმენა უფალში გახდა ურყევი; და მის მიმართ ვლოცულობდი, ჩემი ძმების, ლამანიელთათვის, მრავალ ხანგრძლივ ჭიდილში.

12 და იყო ასე, რომ მას შემდეგ, რაც ვლოცულობდი და ვშრომობდი მთელი სიბეჯითით, უფალმა მითხრა: მე დაგაჯილდოვებ შენი სურვილების შესაბამისად, შენი რწმენის გამო.

13 და ახლა, აჰა, ეს იყო სურვილი, რომელიც მსურდა მისგან – რომ თუ იქნება ასე, თუ ჩემი ხალხი, ნეფიელები, შეცოდებაში ჩაცვივდებიან ან თუ როგორმე განადგურდებიან და ლამანიელები არ განადგურდებიან, რათა უფალმა ღმერთმა შეინახოს ჩემი ხალხის, ნეფიელთა, ჩანაწერები;

თუნდაც მისი წმინდა ხელის ძალით იქნება ისე, რომ რომელიმე მომავალ დღეს, ის წარსდგენილ იქნას ლამანიელების წინაშე, რომ იქნებ, ხსნასთან იყენენ მიყვანილნი -

14 რადგან, ამჟამად ამო იყო ჩვენი ძალისხმევა, რათა ისინი ჭეშმარიტ რწმენაში აღგვედგინა. მათ დაიფიცეს თავიანთ მრისხანებაში, რომ თუ იქნებოდა შესაძლებელი, ისინი ჩვენც და ჩვენს ჩანაწერებსაც გაანადგურებდნენ და ასევე ჩვენი მამების ყველა ჩვეულებას.

15 ამიტომ, ვიცოდი რა, რომ უფალ ღმერთს შეუძლია შეინახოს ჩვენი ჩანაწერები, მე მის მიმართ განუწყვეტლივ ვლაღაღებდი, რადგან მან მითხრა: რაც არ უნდა მთხოვო რწმენით და გწამდეს რა, რომ ქრისტეს სახელით მიიღებ, შენ მიიღებ ამას.

16 და მე მქონდა რწმენა და შეგვლადებდი ღმერთს, რომ შეენახა ეს ჩანაწერები; და მან აღმითქვა, რომ ის ლამანიელებს წარუდგენდა მათ, მისთვის შესაფერის დროს.

17 და მე, ენოსმა, ვიცოდი, რომ ეს იქნება იმ აღთქმის შესაბამისად, რომელიც მან დადო და ამიტომ ჩემი სული დამშვიდდა.

18 და უფალმა მითხრა: შენი მამებიც მთხოვდნენ ამას; და ეს მოხდება მათთვის, მათივე რწმენის შესაბამისად; რადგან მათი რწმენა იყო შენი რწმენის მსგავსი.

19 და ახლა, იყო ასე, რომ მე, ენოსი, დავდიოდი ნეფის ხალხთა შორის, ვწინასწარმეტყველებდი იმაზე, რაც მოხდებოდა და ვმოწმობდი იმაზე, რაც მოვისმინე და ვიხილე.

20 და მე ვმოწმობ, რომ ნეფის ხალხი ბეჯითად ცდილობდა ლამანიელთა აღდგენას ღმერთის ჭეშმარიტ რწმენაში. მაგრამ ჩვენი შრომა იყო ამო, მათი სიძულვილი იყო მტკიცე და მათ წინ მიუძღვოდა თავიანთი ბოროტი ბუნება იმდენად, რომ ისინი გახდნენ ველური, სასტიკი და სისხლმორწყობული ხალხი, კერპთაყვანისმცემლობითა და სიბინძურით სავსე; იკვებებოდნენ გარეული მხეცებით; ცხოვრობდნენ კარვებში და დახეტიალობდნენ უდაბნოში, წელზე შემოხვეული ტყავით და გადაპარსული თავებით; და მათი სიმარჯვე იყო მშვილდისა და მახვილის და ნაჯახის ხმარებაში და მრავალი მათგანი არ ჭამდა არაფერს, უმი ხორცის გარდა; და ისინი გამუდმებით ცდილობდნენ ჩვენს განადგურებას.

21 და იყო ასე, რომ ნეფის ხალხი ამუშავებდა მიწას და მოჰყავდა ყველანაირი მარცვლეული და ნაყოფი, ამრავლებდა წვრილფეხა საქონლის ფარებს და ყველანაირ მსხვილფეხა საქონლის ნახირს და თხებსა და ნიამორს და ასევე მრავალ ცხენს.

22 და ჩვენ შორის იყო ძალ-
ხედ ბევრი წინასწარმეტყველი.
და ხალხი იყო ქედფიცხელი,
ძნელად გამგები.

23 და არ იყო არაფერი, გარდა
მეტისმეტი სისასტიკისა, ქადაგე-
ბებისა და წინასწარმეტყველე-
ბისა ომებზე და განხეთქილებებსა
და განადგურებებზე; და მათთვის
მუდმივი შესენება სიკვდილისა
და მარადიულობის ხანგრძლივო-
ბის შესახებ, ღვთის სასჯელსა
და ძალაზე და ყველა იმ საქ-
მეზე, რომელიც განუწყვეტლივ
აღვივებდა მათში უფლისადმი
შიშს. მე ვამბობ, რომ არ იყო
არაფერი ამის გარდა და სი-
ტყვის განსაკუთრებული სინათ-
ლისა, რათა შეეკავებინათ ისინი
სწრაფი დაცემისგან. და ამგვარად
ვწერ მათზე.

24 და მე ვიხილე ომები ნეფიე-
ლებსა და ლამანიელებს შორის
ჩემი დღეების ჟამს.

25 და იყო ასე, რომ მე ვი-
გრძენი ჩემი სიბერე და ას

სამოცდაცხრამეტი წელი გა-
ვიდა, რაც ჩვენმა მამამ, ლეხიმ,
დატოვა იერუსალიმი.

26 და ვიხილე, რომ მალე უნდა
ჩავიდე სამარეში; მოქმედებდა
რა ღვთის ძალა ჩემზე, რომ
უნდა მექადაგა და მეწინასწარ-
მეტყველებინა ამ ხალხისათვის;
და მეუწყებინა სიტყვა, ჭეშმარი-
ტების შესაბამისად, რომელიც
არის ქრისტეში. და მე მას ვა-
ცხადებდი მთელი ჩემი დღენი და
ამით უფრო მეტად ვხარობდი,
ვიდრე ქვეყნიერისაგან.

27 და მალე წავალ ჩემი დასვე-
ნების ადგილზე, რომელიც არის
ჩემს გამომსყიდველთან, რადგან
ვიცი, რომ მასში დავისვენებ. და
მე ვხარობ იმ დღით, როდესაც
ჩემი მოკვდავი შეიმოსება უკვდა-
ვებით და წარსდგება მის წინაშე;
მაშინ ვიხილავ მის სახეს სიხა-
რულით და ის მეტყვის: მოდი
ჩემთან, კურთხეულო, მამაჩემის
საგანებებში შენთვის ადგილი
არის მომზადებული. ამინ.

იარომის წიგნი

*ნეფიელები იცავენ მოსეს
რჯულს, მოელიან ქრისტეს მო-
სვლას და მიწაზე აყვავდებიან.
მრავალი წინასწარმეტყველი
შრომობს, რათა შეინარჩუ-
ნოს ადამიანები ჭეშმარიტების
გზაზე. დაახლოებით 399–361 წწ.
ჩვენს წელთაღრიცხვამდე.*

1 ახლა, აჰა, მე, იარომი, ვწერ
რამდენიმე სიტყვას მამაჩემის,
ენოსის, ბრძანების შესაბამისად,
რათა ჩვენი გვარტომობა იყოს
ჩაწერილი.

2 და რადგან ეს ფირფიტები
პატარებია და ეს სიტყვები
დაწერილია იმ მიზნით, რომ

სარგებელი მოუტანონ ჩვენს ძმებს, ღამანიელებს, აუცილებელია, რომ მე ცოტაოდენი დაგწერო, მაგრამ არ დაგწერ ჩემს წინასწარმეტყველებებზე და არც ჩემს გამოცხადებებზე. რადგან იმაზე მეტი რა შემიძლია დაგწერო, რაც ჩემმა მამებმა დაგწერეს? რადგან, ნუთუ მათ არ გაგვანდეს ხსნის გეგმა? მე გეუბნებით, ღიახ; და ეს საკმარისია ჩემთვის.

3 აჰა, აუცილებელია, რომ ბევრი გაკეთებულიყო ამ ხალხს შორის მათი გაქვავებული გულების, დაყრუბული ყურებისა და მათი გონების დაბნელების და მათი ქედფიცხელობის გამო; მიუხედავად ამისა, ღმერთი ძალზედ მოწყალეა მათ მიმართ და ჯერჯერობით არ აღუგვია ისინი მიწის პირიდან.

4 და ჩვენ შორის არიან ბევრნი, რომლებსაც აქვთ მრავალი გამოცხადება, რადგან ისინი არ არიან ყველანი ქედფიცხელნი. და ყველანი, რომლებიც არ არიან ქედფიცხელნი და აქვთ რწმენა, თანახიარნი არიან სულიწმინდასთან, რომელიც უცხადებს ადამიანთა შვილებს, მათი რწმენის შესაბამისად.

5 და ახლა, აჰა, ორასი წელი გავიდა და ნეფის ხალხი მყარად დამკვიდრდა ამ მიწაზე. ისინი ცდილობდნენ მოსეს რჯულისა და შაბათი დღის წმინდად დაცვას უფლისათვის. და არ ბილწობდნენ; არც მკრეხელობდნენ.

და ქვეყნის კანონებიც იყო ძალზედ მკაცრი.

6 და ისინი ამ მიწის პირზე, შორს იყვნენ გაფანტულნი, ასევე ღამანიელებიც. და ისინი იყვნენ უფრო მეტად მრავალრიცხოვანნი, ვიდრე ნეფიელები; და მათ უყვარდათ ხოცვა და მხეცთა სისხლს სვამდნენ.

7 და იყო ასე, რომ ისინი მრავალჯერ მოვიდნენ ჩვენი, ნეფიელების, წინააღმდეგ საომრად. მაგრამ ჩვენი მეფენი და წინამძღვარნი იყვნენ ძლევა მოსილნი უფლის რწმენაში; და ისინი ხალხს ასწავლიდნენ უფლის გზას; ამიტომ, ჩვენ გავუძელით ღამანიელებს და გამოვრეკეთ ჩვენი მიწებიდან და დავიწყეთ ჩვენი ქალაქების ან ჩვენი მემკვიდრეობის ყველანაირი ადგილების გამაგრება.

8 და ჩვენ ძალზედ გავმრავლდით და გავფართოვდით მიწის პირზე; და გაგხდით ძალზედ მდიდარნი ოქროთი და ვერცხლით და ძვირფასი ნივთებით, ხისგან ნატიფი ნაკეთობებით, ნაგებობებითა და მექანიზმებით, ასევე რკინითა და სპილენძით და თითბრით და ფოლადით, ვაკეთებდით რა ყველანაირ იარაღს მიწის დასამუშავებლად და საბრძოლო იარაღს, ღიახ, ბასრად წაწვეტებულ ისარსა და კაპარჭს, ხელშუბსა და სატყორცნ შუბს და ყოველგვარ საომარ სამზადისს.

9 და რადგან ჩვენ მომზადე-

ბუნნი ვიყავით ლამანიელთა დასახვედრად, მათ ჩვენ წინააღმდეგ წარმატებას ვერ მიაღწიეს. მაგრამ დამოწმდა უფლის სიტყვა, რომელიც მან ჩვენს მამებს უთხრა: რამდენადაც დაიცავთ ჩემს მცნებებს, იმდენად აყვავდებით ამ მიწაზე.

10 და იყო ასე, რომ უფლის წინასწარმეტყველნი ეშუქებოდნენ ნეფის ხალხს, ღვთის სიტყვის მიხედვით, რომ თუ არ დაიცავენ მცნებებს და ჩაცვივდებიან შეცოდებაში, მიწის პირიდან იქნებიან განადგურებულნი.

11 ამიტომ, წინასწარმეტყველებიცა და მღვდლებიც და მასწავლებლებიც ბეჯითად შრომობდნენ, მთელი თავიანთი სულგრძელობით მოუწოდებდნენ ხალხს სიბეჯითისაკენ, ასწავლიდნენ რა მოსეს რჯულს და იმ მიზანს, რომლისთვისაც ის იყო მოცემული; არწმუნებდნენ მათ, დალოდებოდნენ მესიას და ეწამათ მისი მოსვლა ისე, თითქოს ის უკვე მოსული იყო. და ამგვარად ასწავლიდნენ ისინი მათ.

12 და იყო ასე, რომ ამგვარი ქმედებით ისინი მათ მიწის პირიდან განადგურებისაგან იცავდნენ, რადგან ისინი ქენჯინდნენ მათ გულებს სიტყვით, გამუდმებით უბიძგებდნენ მათ მონანიებისკენ.

13 და იყო ასე, რომ ორას ოცდათვრამეტმა წელმა ჩაიარა – ომებსა და განხეთქილებებში და უთანხმოებაში – დროის უმეტესმა ნაწილმა.

14 და მე, იარომი, არ ვწერ მეტს, რადგან ფირფიტები პატარებია. მაგრამ, აჰა, ჩემო ძმებო, თქვენ შეგიძლიათ მიმართოთ ნეფის სხვა ფირფიტებს, რადგან, აჰა, მათზეა ამოტვიფრული ჩანაწერები ჩვენს ომებზე, მეფეთა ნაწერების მიხედვით ან რაც მათ ბრძანეს, რომ ჩაწერილიყო.

15 და მე გადავცემ ამ ფირფიტებს ჩემი შვილის, ომნის, ხელში, რათა ისინი შენახულ იქნენ ჩემი მამების ბრძანებების შესაბამისად.

ომნის წიგნი

ომნი, ამარონი, ჩემიში, აბინადომი და ამაღეკი, ყოველი მათგანი რიგრიგობით აწარმოებს ჩანაწერებს. მოსია აღმოაჩენს ზარაჰემლას ხალხს, რომელიც მოვიდა იერუსალიმიდან

ციდეკიაჰუს დღეების ჟამს. მოსია ინიშნება მათ მეფედ. ზარაჰემლაში მყოფმა მულეკიელებმა აღმოაჩინეს კორიანთუმრი, უკანასკნელი იარუდიელებისგან. მეფე ბენიამინი ცვლის მოსიას.

ადამიანებმა უნდა მიუძღვნან სული ქრისტეს, როგორც შესაწირი. დაახლოებით 323-130 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 აჰა, იყო ასე, რომ მე, ომნიმ, მამაჩემისგან, იარომისგან, მივიღე ბრძანება, რომ რაიმე დამეწერა ამ ფირფიტებზე, რათა შემენარჩუნებინა ჩვენი გვარტომობა.

2 ამიტომ, ჩემი დღეების უამს, მე მინდა იცოდეთ, რომ ბევრს ვიბრძოდი მახვილით ჩემი ხალხის, ნეფიელების, დასაცავად, რათა არ ჩავარდნილიყვნენ მათი მტრების, ლამანიელთა ხელში. მაგრამ მე თვითონ ბოროტი კაცი ვარ, არ ვიცავდი უფლის წესებსა და მცნებებს ისე, როგორც უნდა შემესრულებინა.

3 და იყო ასე, რომ ორას სამოცდათექვსმეტი წელი გავიდა და ჩვენ ბევრჯერ გექონდა მშვიდობიანი დრო; და ჩვენ ბევრჯერ გექონდა სერიოზული ომისა და სისხლისღვრის დრო. დიახ, და ბოლოს, გავიდა ორას ოთხმოცდაორი წელი და მე შევინახე ეს ფირფიტები ჩვენი მამების ბრძანებების შესაბამისად; და გადავეცი ისინი ჩემს შვილს, ამარონს. და მე ვამთავრებ.

4 და ახლა, მე, ამარონი, ვწერ რა ამ ყველაფერს, რასაც ვწერ, რაც არის ცოტა, მამაჩემის წიგნში.

5 აჰა, იყო ასე, რომ სამას ოცი წელი გავიდა და ნეფიელთა

უფრო ბოროტი ნაწილი განადგურდა.

6 რადგან უფალი არ მოითმენდა, მას შემდეგ, რაც მან ისინი იერუსალიმის მიწიდან გამოიყვანა, ინახავდა და იცავდა მათ მტრის ხელში ჩავარდნისაგან, დიახ, არ მოითმენდა, რომ არ დამტკიცებულიყო ის სიტყვები, რომლებიც უთხრა ჩვენს მამებს, ამბობდა რა: რამდენადაც არ დაიცავთ ჩემს მცნებებს, იმდენად არ აყვავდებით ამ მიწაზე.

7 ამიტომ, უფალი მოევლინა მათ დიდი სასჯელით; ამის მიუხედავად, მან დაინდო მართალნი, რათა ისინი არ დაღუპულიყვნენ, მაგრამ გამოიხსნა მტრის ხელიდან.

8 და იყო ასე, რომ მე გადავეცი ეს ფირფიტები ჩემს ძმას, ჩემიშს.

9 და ახლა, მე, ჩემიში, ვწერ იმ მცირედს, რასაც ვწერ, იმავე წიგნში ჩემს ძმასთან ერთად, რადგან, აჰა, მე ვიხილე ბოლო, რაც მან დაწერა, რომ მან ის დაწერა თავისი ხელით; და მან დაწერა იმ დღეს, როდესაც მე ისინი გადმომცა. და ამგვარად ჩვენ ვაწარმოებთ ამ ჩანაწერებს, რადგან ეს შეესაბამება ჩვენი მამების ბრძანებებს. და მე ვამთავრებ.

10 აჰა, მე, აბინადომი, ვარ ჩემიშის ძე. აჰა, იყო ასე, რომ ვიხილე მრავალი ომი და განხეთქილება ჩემს ხალხს, ნეფიე-

ლებსა და ლამანიელებს შორის; და ჩემი საკუთარი მახვილით ბევრ ლამანიელს წავართვი სიცოცხლე ჩემი ძმების დაცვისას.

11 და აჰა, ჩანაწერი ამ ხალხის შესახებ ამოტვიფრულია ფირფიტებზე, რომლებიც მეფეებს აქვთ თაობების შესაბამისად; და მე არ ვიცი არცერთი გამოცხადება, არც ერთი წინასწარმეტყველება მათ გარდა, რომლებიც არის ჩაწერილი, ამიტომ, რაც დაიწერა, საკმარისია და მე ვამთავრებ.

12 აჰა, მე ვარ ამაღლეი, აბინადომის ძე. აჰა, ცოტაოდენს გეტყვით მოსიას შესახებ, რომელიც მეფედ იყო დანიშნული ზარაჰემლას მიწაზე, რადგან, აჰა, ის გაფრთხილებულ იქნა უფლის მიერ, რომ უნდა გაქცეულიყო ნეფის მიწიდან და ყველა, ვინც ყურს დაუგდებდა უფლის ხმას, იმ მიწიდან მასთან ერთად უდაბნოში უნდა წასულიყო –

13 და იყო ასე, რომ იგი მოიქცა ისე, როგორც მას უფალმა უბრძანა. და ისინი წავიდნენ იმ მიწიდან უდაბნოში, იმდენნი, რამდენმაც ყური დაუგდო უფლის ხმას; და მათ მიუძღვოდა მრავალი ქადაგება და წინასწარმეტყველება. და მათ გამუდმებით არიგებდნენ ღვთის სიტყვით; და მისი ხელის ძალა იყო მათი წინამძღოლი უდაბნოში იქამდე, სანამ არ მივიდნენ მიწაზე, რომელსაც ჰქვია ზარაჰემლას მიწა.

14 და მათ აღმოაჩინეს ხალხი,

რომლებსაც ეწოდათ ზარაჰემლას ხალხი. და აჰა, ზარაჰემლას ხალხს შორის იყო დიდი სიხარული და თვითონ ზარაჰემლაც ძალზედ ხარობდა, რადგან უფალმა გამოაგზავნა მოსიას ხალხი სპილენძის ფირფიტებით, რომლებშიც იყო იუდეველთა ჩანაწერები.

15 აჰა, იყო ასე, რომ მოსიამ აღმოაჩინა, რომ ზარაჰემლას ხალხი გამოვიდა იერუსალიმიდან იმ დროს, როდესაც იუდას მეფე, ციდეიაჰუ, ბაბილონში ტყვედ წაიყვანეს.

16 და ისინი მოგზაურობდნენ უდაბნოში და უფლის ხელით მოყვანილ იყვნენ დიდი წყლების გადაღმა იმ მიწაზე, სადაც მოსიამ აღმოაჩინა ისინი და იმ დროიდან ისინი იქ ცხოვრობდნენ.

17 და იმ დროისათვის, როდესაც ისინი მოსიამ აღმოაჩინა, ისინი ძალზედ გამრავლდნენ. მიუხედავად ამისა, მათ ჰქონდათ მრავალი ომი და სერიოზული განხეთქილებები; და ხანდახან მახვილისგან ეცემოდნენ. და ენა მათი შეილახა; და თან არ წამოიღეს არანაირი ჩანაწერები და უარყოფდნენ თავიანთი შემქმნელის არსებობას. და არც მოსიას, არც მოსიას ხალხს, არ შეეძლოთ მათი გაგება.

18 მაგრამ, იყო ასე, რომ მოსიამ ბრძანა, მათთვის მისი ენა ესწავლებინათ. და იყო ასე, რომ მას შეეძლო, რაც მათ ასწავლეს

მოსიას ენა, ზარაჰემლამ წარმოადგინა მისი მამების გვარტომობა, თავისი მეხსიერების შესაბამისად; და ისინი ჩაწერილია, მაგრამ არა ამ ფირფიტებზე.

19 და იყო ასე, რომ ზარაჰემლას და მოსიას ხალხი გაერთიანდა; და მოსია იქნა მეფედ დანიშნული.

20 და იყო ასე, რომ მოსიას დღეებისას, მას მოუტანეს დიდი ქვა გრავიურებით; და მან, ღვთის ძღვენითა და ძალით, ის გრავიურები განმარტა.

21 და მათში მოხსენიებული იყო კორიანტუმრისა და მისი ხალხის დახოცილთა შესახებ. და კორიანტუმრი აღმოაჩინა ზარაჰემლას ხალხმა; და ის მათთან იმყოფებოდა ცხრა თვის განმავლობაში.

22 ასევე მასში ნათქვამი იყო რამდენიმე სიტყვა მისი მამების შესახებ. და მისი პირველი მშობლები გამოვიდნენ კოშკიდან იმ დროს, როდესაც უფალმა შემუსრა ადამიანთა ენა; და უფლის სიმკაცრე მოვიდა მათზედ, სასჯელის შესაბამისად, რომელიც არის სამართლიანი; და მათი ძეგლები ჩრდილოეთისკენ მიწაზე არის მიმოფანტული.

23 აჰა, მე, ამალეკი, დავიბადე მოსიას დღეებში და ცხოვრების ჟამს ვიხილე მისი სიკვდილი; და ბენიამინი, მისი ძე, მეფობს მის ნაცვლად.

24 და აჰა, მეფე ბენიამინის დღეებში მე ვიხილე მძიმე ომი

და დიდი სისხლისღვრა ნეფიელთა და ლამანიელთა შორის. მაგრამ, აჰა, ნეფიელებმა მიადწიეს მათზე დიდ უპირატესობას; დიახ, ისეთს, რომ მეფე ბენიამინმა ისინი ზარაჰემლას მიწიდან განდევნა.

25 და იყო ასე, რომ ვიგრძენი ჩემი სიბერე; და არ მყავს რა შთამომავლობა და ვიცი, რომ მეფე ბენიამინი არის მართალი კაცი უფლის წინაშე, ამიტომ, მე ამ ფირფიტებს მას გადავცემ, მოვუწოდებ რა ყოველ ადამიანს, რომ ღმერთთან, ისრაელის წმინდასთან მივიდეს და იწამოს წინასწარმეტყველება და გამოცხადება, ანგელოზთა მსახურება და ენებზე ლაპარაკის ძღვენი; და ენებიდან თარგმნის ძღვენი და ყველაფერი, რაც კეთილია, ვინაიდან არ არსებობს რაიმე კეთილი, რაც არ მოდის უფლისაგან; და რაც ბოროტია – მოდის ეშმაკისგან.

26 და ახლა, ჩემო საყვარელო ძმებო, მე მსურს, რომ თქვენ მოხვიდეთ ქრისტესთან, რომელიც არის ისრაელის წმინდა და იგემოთ მისი ხსნა და გამოსყიდვის ძალა. დიახ, მოდით მასთან და მიუძღვენით მთელი თქვენი სული, როგორც მისადმი შესაწირი და გააგრძელეთ მარხვა და ლოცვა; და გაუძელოთ ბოლომდე; და ისე, როგორც ცოცხალია უფალი, თქვენ გადარჩებით.

27 და ახლა, მე მინდა ვთქვა ცოტაოდენი რამ გარკვეულ

ჯგუფზე, რომელიც წავიდა უდაბნოში, რათა დაბრუნებულიყო ნეფის მიწაზე; რადგან ძალზედ ბევრნი იყვნენ ისინი, რომლებსაც სურდათ თავიანთი მემკვიდრეობის მიწის დაუფლება.

28 ამიტომ, ისინი წავიდნენ უდაბნოში და მათი წინამძღვარი იყო ძლიერი და ძლევამოსილი კაცი, კაცი ქედფიცხელი, ამიტომ მან გამოიწვია განხეთქილება მათ შორის; და ისინი უდაბნოში ყველანი დახოცილ იქნენ, ორმოცდაათის გარდა. და ისინი

კვლავ დაბრუნდნენ ზარაჰემლას მიწაზე.

29 და იყო ასე, რომ მათ ასევე წაიყვანეს სხვა ხალხიც, საკმაო რაოდენობისა, და კვლავ უდაბნოში გაემართნენ.

30 და მე, ამაღლეკს, მყავდა ძმა, რომელიც მათთან ერთად წავიდა; და მას შემდეგ მათ შესახებ არაფერი არ ვიცი. და მე უკვე მზად ვარ სამარეში ჩავწვე. და ეს ფირფიტებიც შევსებულია. და მე ვამთავრებ ჩემს საუბარს.

მორმონის სიტყვები

მორმონი ამოკლებს ნეფის დიდ ფირფიტებს. ის ალაგებს პატარა ფირფიტებს სხვა ფირფიტებთან ერთად. მეფე ბენიამინი მიწაზე მშვიდობას ამყარებს. დაახლოებით 385 წ. ჩვენი წელთაღრიცხვით.

1 და ახლა, მე, მორმონი, მზად ვარ გადავცე ჩანაწერები, რომლებსაც ვაწარმოებდი, ჩემი შვილის, მორმონის ხელში; აჰა, მე ვიყავი მოწმე ჩემი ხალხის, ნეფიელების, თითქმის მთლიანად განადგურებისა.

2 და ქრისტეს მოსვლიდან მრავალი ასწლეულის შემდეგ, ამ ჩანაწერებს მე გადავცემ ჩემი შვილის ხელში; და ვფიქრობ, ის იხილავს ჩემი ხალხის

მთლიანად განადგურებას. მაგრამ, დაე, ღმერთმა უბოძოს მას შესაძლებლობა იცოცხლოს მათზე დიდხანს, რათა შეძლოს დაწეროს ცოტაოდენი რამ მათ შესახებ და ცოტაოდენი ქრისტეზე, რომ ეგებ ოდესმე ამან მათ სარგებლობა მოუტანოს.

3 და ახლა, მე ვამბობ ცოტაოდენს იმის შესახებ, თუ რა დავწერე; რადგან, მას შემდეგ, რაც შევამოკლე ნეფის ფირფიტების ჩანაწერები მეფე ბენიამინის მეფობის აღწერამდე, რომელზეც ლაპარაკობდა ამაღლეკი, მე ვეძებდი ჩანაწერებს შორის, რომელნიც ხელში გადმომეცა და ვიპოვე ეს ფირფიტები, რომლებიც მოიცავს წინასწარმეტყველების მოკლე ჩანაწერებს,

იაკობიდან მეფე ბენიამინის მმართველობამდე და ასევე მრავალს ნეფის სიტყვებიდან.

4 და ის, რაც ამ ფირფიტებზეა, მახარებს ქრისტეს მოსვლაზე წინასწარმეტყველებების გამო; და ჩემმა მამებმა იციან, რომ მრავალი მათგანი უკვე აღსრულდა; დიახ, მე ასევე ვიცი, რომ ყველაფერი, რაც ჩვენზე ნაწინასწარმეტყველები იყო, ამ დღემდეც კი, უკვე აღსრულდა; ასევე რაც ამ დღის მერე იქნება, აუცილებლად უნდა აღსრულდეს.

5 ამიტომ, მე ამოვირჩიე ესენი, რათა მათზე დამემთავრებინა ჩემი ჩანაწერები; და ჩემი ჩანაწერების დანარჩენ ნაწილს ნეფის ფირფიტებიდან ავიღებ; და ჩემს ხალხზე მესხედი ნაწილის დაწერაც კი არ შემიძლია.

6 მაგრამ, აჰა, ავიღებ ამ ფირფიტებს, რომელნიც მოიცავს ამ წინასწარმეტყველებებს და გამოცხადებებს და მათ ჩავდებ ჩემი ჩანაწერების დანარჩენ ნაწილში, ვინაიდან ისინი ძვირფასია ჩემთვის; და ვიცი, რომ ძვირფასნი იქნებიან ჩემი ძმებისათვის.

7 და მე ამას ვაკეთებ კეთილგონივრული მიზნით; რადგან ეს შთამეგონება უფლის სულის ზემოქმედების შესაბამისად, რომელიც არის ჩემში. და ახლა, მე არ ვიცი ყველაფერი; მაგრამ უფალმა იცის ყველაფერი, რაც მოხდება; ამიტომ, ის მიბიძგებს,

ვიმოქმედო მისი ნების მიხედვით.

8 და ჩემი ლოცვა ღმერთისადმი ეხება ჩემს ძმებს, რათა ისინი, კიდევ ერთხელ, შეიცნობდნენ ღმერთს, დიახ, ქრისტეს გამოსყიდვას, რათა კვლავ გახდნენ მიმზიდველი ხალხი.

9 და ახლა, მე, მორმონი, ვაგრძელებ, რათა დავასრულო ჩემი ჩანაწერი, რომელიც ავიღე ნეფის ფირფიტებიდან; და ვაკეთებ ამას ჩემი ცოდნისა და გონიერების შესაბამისად, რომელიც ღმერთმა მარგუნა.

10 ამიტომ, იყო ასე, რომ მას შემდეგ, რაც ამაღეკმა მეფე ბენიამინს გადასცა ხელში ეს ფირფიტები, მან ისინი აიღო და ჩაღო სხვა ფირფიტებთან ერთად, რომლებიც მოიცავდნენ ჩანაწერებს, რომლებიც თაობიდან თაობას გადმოეცემოდა, მეფეების მიერ, მეფე ბენიამინის დღეებამდე.

11 და ისინი მეფე ბენიამინისგან გადაეცემოდა თაობიდან თაობას, სანამ ისინი ჩემს ხელში არ ჩავარდა. და მე, მორმონი, ვლოცულობ ღმერთისადმი, რომ ისინი შენახულ იქნას ამიერიდან უკუნისამდე. და ვიცი, რომ ისინი შეინახება, რადგან მათზე დაწერილია დიადი სიტყვები, რომლებითაც ჩემს ხალხს და მათ ძმებს განიკითხავენ დიდსა და უკანასკნელ დღეს, ღვთის სიტყვის შესაბამისად, რაც დაწერილია.

12 და ახლა, რაც ეხება ამ მეფეს, ბენიამინს, მას საკუთარ ხალხში ჰქონდა გარკვეული განხეთქილება.

13 და იყო ასე, რომ ლამანიელთა ჯარები ასევე მოვიდნენ ნეფის მიწიდან, რათა ებრძოლათ მისი ხალხის წინააღმდეგ. მაგრამ, აჰა, მეფე ბენიამინმა შეკრიბა თავისი ჯარები და წინ აღუდგა მათ და ის იბრძოდა თავისი მკლავის ძალით, ლაბანის მახვილით.

14 და უფლის ძალით, ისინი იბრძოდნენ თავიანთი მტრების წინააღმდეგ, სანამ არ დახოცეს მრავალი ათასი ლამანიელი. და იყო ასე, რომ ისინი ებრძოდნენ ლამანიელებს, სანამ არ განდევნეს ისინი თავიანთი მემკვიდრეობის ყველა მიწიდან.

15 და იყო ასე, რომ მას შემდეგ, რაც იყვნენ ცრუ ქრისტენი და ბაგენი მათი იყო დახურული და იყვნენ დასჯილნი თავიანთი დანაშაულის შესაბამისად;

16 და მას შემდეგ, რაც იყვნენ ცრუ წინასწარმეტყველნი და

ცრუ მქადაგებელნი და მასწავლებელნი, ხალხთა შორის და ისინი ყველანი დასჯილნი იქნენ თავიანთი დანაშაულების შესაბამისად; და მას შემდეგ, რაც იყო მრავალი განხეთქილება და მრავალი ლამანიელთა მხარეზე გადასული, აჰა, იყო ასე, რომ მეფე ბენიამინმა, წმინდა წინასწარმეტყველების თანადგომით, რომლებიც იყვნენ მის ხალხში –

17 რადგან, აჰა, მეფე ბენიამინი იყო წმინდანი კაცი და ის სამართლიანად მეფობდა თავის ხალხზე; და იმ მიწაზე იყო მრავალი წმინდანი მამაკაცი და ისინი აცხადებდნენ ღვთის სიტყვას, ძალითა და უფლებამოსილებით; და მიმართავდნენ დიდ სიმკაცრეს ხალხის ქედფიცხელობის გამო.

18 ამიტომ, მათი დახმარებით, მეფე ბენიამინმა, რომელიც შრომობდა მთელი თავისი სხეულის ძალითა და სულის შესაძლებლობებით და ასევე წინასწარმეტყველებმა, კიდევ ერთხელ დაამყარეს მშვიდობა იმ მიწაზე.

მოსიას წიგნი

თავი 1

მეფე ბენიამინი ასწავლის თავის შვილებს მათი მამების ენასა და ნაწინასწარმეტყველებს. მათი სარწმუნოება და

ცივილიზაცია გადარჩა იმ ჩანაწერების მადლით, რომლებიც ინახებოდა სხვადასხვა ფირფიტებზე. მოსია მეფედ არის არჩეული და მას გადაეცა მეურვეობისათვის ფირფიტები

და სხვა საგნები. დაახლოებით 130-124 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და ახლა, აღარ იყო განხეთქილებები ზარაპემლას მთელ მიწაზე, მთელ ხალხს შორის, რომელიც მიეკუთვნებოდა მეფე ბენიამინს, ასე რომ მეფე ბენიამინს მშვიდობა ჰქონდა განუწყვეტლივ, თავის ყველა დარჩენილ დღეებში.

2 და იყო ასე, რომ მას ჰყავდა სამი შვილი. და მან დაარქვა მათ სახელები: მოსია, ჰელორუმი და ჰელამანი. და მან უზრუნველყო, რომ მათთვის ესწავლებინათ მისი მამების ენაზე ყველაფერი, რათა ასეთნაირად ისინი გონიერი მამაკაცები გამხდარიყვნენ; და რომ მათ სცოდნოდათ წინასწარმეტყველებების შესახებ, რომელნიც ითქვა მათი მამების პირით და რომელნიც მიეცათ მათ უფლის ხელით.

3 და ის მათ ასევე ასწავლიდა ჩანაწერების შესახებ, რომლებიც ამოტვიფრული იყო სპილენძის ფირფიტებზე, სიტყვებით: ჩემო შვილებო, მსურს დაიმახსოვროთ: რომ არა ეს ფირფიტები, რომლებიც მოიცავს ამ ჩანაწერებს და ამ მცნებებს, ჩვენ დღევანდელ დღემდე მოგვიწევდა უმეცრებაში ტანჯვა და არ გვეცოდინებოდა ღმერთის საიდუმლოებანი.

4 რადგან შეუძლებელი იქნე-

ბოდა მამაჩვენი, ლეხისთვის, ამ ყველაფრის დამახსოვრება, რომ ესწავლებინა თავისი შვილებისათვის, თუ არა ამ ფირფიტების დახმარებით; რადგან, იყო რა განსწავლული ეგვიპტელთა ენაში, ამიტომ შეეძლო ამ გრავიურების წაკითხვა და მათი თავისი შვილებისათვის სწავლება, რომ მათაც შეეძლებოდათ თავიანთი შვილებისთვის სწავლება მათი მეშვეობით, აღასრულებდნენ რა ამით ღმერთის მცნებებს, ამჟამინდელი დროის ჩათვლითაც კი.

5 მე გეუბნებით, ჩემო შვილებო: რომ არა ესენი, რომლებიც ინახებოდა და გადარჩა ღვთის ხელით, რათა ჩვენ შევძლოთ მისი საიდუმლოებანის წაკითხვა და გაგება და მისი მცნებები ყოველთვის თვალწინ გვქონდეს, რომ ჩვენი მამებიც კი გადაშენდებოდნენ ურწმუნოებაში და ჩვენ დავემსგავსებოდით ჩვენს ძმებს, ლამანიელებს, რომლებმაც არაფერი იციან მათ შესახებ და არც კი სწამთ მათი, როდესაც მათ ასწავლიან, თავიანთი მამების ჩვეულებების გამო, რომლებიც არასწორია.

6 ჩემო შვილებო, მე მსურს გახსოვდეთ, რომ ეს სიტყვები არის ჭეშმარიტი და ასევე ეს ჩანაწერები არის ჭეშმარიტი. და აჰა, ნუფის ფირფიტებიც, რომლებიც მოიცავს ჩვენი მამების ჩანაწერებსა და სიტყვებს იმ დროიდან, როდესაც მათ

იერუსალიმი დატოვეს, დღემდე და ისინი არის ჭეშმარიტი; და ჩვენ შეგვიძლია ვიცოდეთ მათი ჭეშმარიტების შესახებ, რადგან ისინი თვალწინ გვაქვს.

7 და ახლა, ჩემო შვილებო, მე მსურს დაიმახსოვროთ, რომ საჭიროა მათი ბეჯითად შესწავლა, რათა მისგან სარგებელი გქონდეთ; და მე მსურს, რომ დაცვათ ღვთის მცნებები, რათა აყვავდეთ ამ მიწაზე იმ დანაპირებების შესაბამისად, რომლებიც უფალმა აღუთქვა ჩვენს მამებს.

8 და ბევრი სხვა რამ ასწავლა მეფე ბენიამინმა თავის შვილებს, რაც არ არის ამ წიგნში დაწერილი.

9 და მას შემდეგ, რაც მეფე ბენიამინმა დაასრულა თავისი შვილების სწავლება, ის დაბერდა და იხილა, რომ ძალიან მალე უნდა წასულიყო მიწიერთა გზით; ამიტომ, მან იფიქრა, საჭირო იყო, რომ თავისი ერთ-ერთი შვილისთვის დამტკიცებინა სამეფო.

10 ამიტომ, მან მოსია თავისთან მოიხმო და აი, ის სიტყვები, რომლებიც მას უთხრა: ჩემო შვილო, მე მსურს, რომ შენ გამოაცხადო მთლიანად ამ მიწაზე და მთლიანად ამ ხალხისათვის ანუ, ზარაკემლას ხალხში და მოსიას ხალხში, რომლებიც ცხოვრობენ ამ მიწაზე, რომ ერთად შეიკრიბონ, რადგან მომავალ დღეს მე გამოვუცხადებ ამ

ჩემს ხალხს ჩემი პირით, რომ შენ ხარ მეფე და მმართველი ამ ხალხზედ, რომელიც მოგვცა უფალმა, ჩვენმა ღმერთმა.

11 და ამის გარდა, მე დავარქმევ ამ ხალხს სახელს, რომ ამგვარად გამორჩეულნი იყვნენ ყველა ხალხს შორის, რომლებიც უფალმა ღმერთმა გამოიყვანა იერუსალიმის მიწიდან; და მე ამას ვაკეთებ, რადგან ისინი იყვნენ ბეჯითი ხალხი უფლის მცნებების დაცვაში.

12 და მე ვარქმევ მათ სახელს, რომელიც არასოდეს არ იქნება ამოშლილი, თუ არა შეცოდებით.

13 დაიხ, ამის გარდა, გეუბნები, რომ თუ ეს ხალხი არის რა უფლისგან ძალზედ მოწონებული, ჩავარდება შეცოდებაში და იქცევა ბოროტ, მრუშ ხალხად, მაშინ უფალი მიატოვებს მათ, რათა ისინი თავიანთი ძმებივით დასუსტდნენ; და ის აღარ გადაარჩენს მათ თავისი უბადლო და გასაოცარი ძალით ისე, როგორც აქამდე იცავდა ჩვენს მამებს.

14 ამიტომ გეუბნებით: მას რომ არ გაეწოდა თავისი ხელი ჩვენი მამების გადასარჩენად, ისინი ლამანიელთა ხელში უნდა ჩავარდნილიყვნენ და გახდებოდნენ მათი მრისხანების მსხვერპლი.

15 და იყო ასე, რომ მას შემდეგ, რაც მეფე ბენიამინმა დაასრულა ამ სიტყვების თავისი შვილისადმი თქმა, მან გადასცა მას სამეფოს ყველა საქმეზე მეტვალყურობა.

16 და ამის გარდა, მან გადასცა მას მეთვალყურეობა ჩანაწერებზე, რომლებიც ამოტვიფრული იყო სპილენძის ფირფიტებზე; და ასევე ნეფის ფირფიტებზე; და ასევე ლაბანის ხმაღზე და ბირთვზე ანუ მახვენებელზე, რომელმაც გამოიყვანა ჩვენი მამები უდაბნოდან, რომელიც უფლის ხელით იყო დამზადებული, რომ ამგვარად ისინი ყოფილიყვნენ გამოყვანილნი, თითოეული თავისი ყურადღებისა და სიბეჯითის მიხედვით, რომელსაც მისადმი იჩენდა.

17 ამიტომ, ურწმუნოების უამს, ისინი ვერ აღწევდნენ წარმატებას და ვერც წინ მიიწევდნენ თავიანთი მოგზაურობის დროს, არამედ უკან მიემართებოდნენ და თავზე იწვევდნენ ღმერთის წყენას; და ამიტომ, ისინი ისჯებოდნენ შიმშილითა და მწარე გაჭირვებით, როგორც მათი მოვალეობის მოსაგონებელი, გონს მოსაგები მათრახი.

18 და ახლა, იყო ასე, რომ მოსია მივიდა და გააკეთა ისე, როგორც მამამისმა უბრძანა და გამოუცხადა მთელს ხალხს, რომელიც იყო ზარაკემლას მიწაზე, რომ ერთად შეკრებილიყვნენ, რათა მისულიყვნენ ტაძართან, რომ მოესმინათ სიტყვები, რომლებსაც მამამისი მათ ეტყოდა.

თავი 2

მეფე ბენიამინი მიმართავს თავის

ხალხს. ის მოუთხრობს თავისი მმართველობის მიუკერძოებლობის, სამართლიანობისა და სულიერების შესახებ. ის ურჩევს მათ, ემსახურონ თავიანთ ზეციურ მეფეს. ისინი, რომლებიც აჯანყდებიან ღმერთის წინააღმდეგ, იწვევენ ტანჯვას, ვითარცა უქრობი ცეცხლი. დაახლოებით 124 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და იყო ასე, რომ მას შემდეგ, რაც მოსიამ გააკეთა ისე, როგორც მამამისმა უბრძანა და მთელს მიწაზე გამოაცხადა, რომ ხალხი შეკრებილიყო მთელ მიწაზე, რათა მისულიყვნენ ტაძართან, რომ მოესმინათ სიტყვები, რომლებსაც მეფე ბენიამინი ეტყოდა.

2 და იყვნენ დიდი რაოდენობით, იმდენად ბევრნი, რომ არ დათვალეს, რადგან ისინი ძალზედ გამრავლდნენ და იმ მიწაზე მრავალრიცხოვანნი იყვნენ.

3 ასევე მათ მოიყვანეს ნახირების პირმშოთაგან, რათა შეეწირათ მსხვერპლშესაწირი და სრულად დასაწველი მოსეს რჯულის შესაბამისად;

4 და ასევე, რათა მიეგოთ სამადლობელი უფლისთვის, თავიანთი ღმერთისთვის, რომელმაც გამოიყვანა ისინი იერუსალიმის მიწიდან, რომელმაც გამოიხსნა ისინი თავიანთი მტრის ხელიდან და დაუნიშნა მასწავლებლად მართალი კაცნი, ასევე

მართალი კაცი, რათა ყოფილიყო მათი მეფე, რომელმაც დაამყარა მშვიდობა ზარაჰემლას მიწაზე და რომელმაც ასწავლა ღვთის მცნებების დაცვა, რათა მათ გაეხარათ და აღესილიყვნენ სიყვარულით ღმერთისა და ყოველი ადამიანის მიმართ.

5 და იყო ასე, რომ, როდესაც ისინი ტაძართან მივიდნენ, მის გარშემო კარვები გაშალეს, ყოველმა კაცმა თავისი ოჯახისამებრ, შემდგარი ცოლითა და ვაჟიშვილებით და ქალიშვილებით და მათი ვაჟიშვილებითა და ქალიშვილებით, უფროსიდან უმცროსამდე; და ყოველი ოჯახი განცალკევებული იყო ერთმანეთისგან.

6 და მათ გაშალეს თავიანთი კარვები ტაძრის გარშემო, ყოველმა კაცმა კარავი გაშალა შესასვლელით ტაძრისაკენ, რათა ამგვარად შეძლებოდათ კარავში დარჩენილიყვნენ და მოესმინათ სიტყვები, რომლებსაც მეფე ბენიამინი მათ ეტყოდა.

7 ვინაიდან, იმდენად დიდი იყო შეკრებილთა რაოდენობა, რომ მეფე ბენიამინმა ვერ შეძლო ყველასთვის ესწავლებინა ტაძრის კედლებში, ამიტომ მან ბრძანა, აეშენებინათ კოშკი, რათა ამგვარად მის ხალხს შეძლებოდა სიტყვების მოსმენა, რომლებსაც ის მათ ეტყოდა.

8 და იყო ასე, რომ მან დაიწყო მიმართვა თავისი ხალხისადმი კოშკიდან; და ყველას არ შეეძლო მისი სიტყვების გაგონება

შეკრებილთა სიმრავლის გამო, ამიტომ მან ბრძანა, რომ სიტყვები, რომლებსაც იტყოდა, ჩაწერილიყო და გავრცელებულიყო მათ შორის, რომლებთანაც ვერ აღწევდა მისი ხმა, რომ მათაც მიეღოთ მისი სიტყვები.

9 და ეს არის სიტყვები, რომლებიც მან თქვა და ბრძანა, რომ ჩაეწერათ, ამბობდა რა: ჩემო ძმებო, თქვენ, ყველა ერთად შეკრებილთ, რომლებსაც გესმით ჩემი სიტყვები, რომლებსაც გეტყვით ამ დღეს; რადგან მე გიბრძანეთ აქ მოსვლა არა იმისთვის, რომ უმნიშვნელოდ ჩათვალოთ სიტყვები, რომლებსაც მე ვილაპარაკებ, არამედ იმისთვის, რომ ყური დამიგდოთ და გაიხსნათ ყურები, რომ გაიგოთ და გულები – რათა მიხვდეთ და გონება – რათა ღმერთის საიდუმლოებანი გაიხსნას თქვენთვის.

10 და მე გიბრძანეთ აქ მოსულიყავით არა იმისათვის, რომ ჩემი გეშინოდეთ, ან იფიქროთ, რომ მე ვარ მოკვდავ კაცზე მეტი.

11 მაგრამ მე ვარ ისეთი, როგორც თქვენ, სხეულისა და გონების ყოველგვარი უძღურებანის გავლენის ქვეშ; მიუხედავად ამისა, ამ ხალხმა ამირჩია და კურთხევა მივიღე მამისგან და უფლის ხელით ვიყავი დაშვებული, ვიყო მმართველი და მეფე ამ ხალხისა; და ვარ დაცული და გადარჩენილი მისი უბადლო ძალით, რომ თქვენ გამსახუროთ,

მთელი ძალით, გონებითა და სიძლიერით, რომელიც უფალმა მიბოძა.

12 მე გეუბნებით, მქონდა რა მოცემული ნება თქვენს სამსახურში გამეტარებინა ჩემი დღეები, დღევანდელ დღემდეც კი; და თქვენგან არ ვითხოვდი არც ოქროსა და არც ვერცხლს და არც არანაირ სიმდიდრეს;

13 და არ ვუშვებდი, რომ თქვენ დიღეებში ჩაეყარეთ, ან ერთს მეორე დაემონებინა, არც ერთმანეთი დაგეხცვათ ან გაგეძარცვათ ან მოგეპარათ, ან გემრუშათ; არც ის დამიშვია, რომ რაიმე სიბოროტე ჩაგედინათ და გასწავლიდით უფლის მცნებების დაცვას ყველაფერში, რაც მან გიბრძანათ -

14 და მე თვითონაც კი ვშრომობდი ჩემი ხელით, რათა თქვენთვის შემსახურა და თქვენ რომ არ დამძიმებულიყავით გადასახადებით და რომ არაფერი არ მოგსვლოდათ, რაც მძიმე იქნებოდა ასატანად; და ყოველივე ამის, რაც ვთქვი, თქვენ თვითონ ხართ დღეს მოწმენი.

15 მაინც, ჩემო ძმებო, არ ვაკეთებდი ყოველივე ამას დასაკეხნად, არც იმიტომ გეუბნებით, რომ ამით ბრალი დაგდოთ, არამედ გეუბნებით ამას, რათა იცოდეთ, რომ მე შემიძლია სუფთა სინდისით პასუხი ვაგო დღეს ღმერთის წინაშე.

16 აჰა, მე გეუბნებით: რადგან ვთქვი, რომ მე გავატარე ჩემი

დღეები თქვენს სამსახურში, არ მაქვს სურვილი დავიკეხო, რადგან მხოლოდ ღმერთის სამსახურში ვიყავი.

17 და აჰა, ყოველივე ამას გეუბნებით, რომ თქვენ ჩაწვდეთ სიბრძნეს, რათა შეიცნოთ, რომ როდესაც ემსახურებით მოყვასს, თქვენ ემსახურებით მხოლოდ თქვენს ღმერთს.

18 აჰა, თქვენ თქვენს მეფედ მიწოდეთ; და თუ მე, რომელსაც მიწოდებთ თქვენს მეფეს, ვშრომობ, რათა თქვენ გემსახუროთ, ნუთუ არ უნდა შრომობდეთ თქვენ, ერთმანეთის სამსახურში?

19 და აჰა, თუ მე, რომელსაც თქვენ მიწოდებთ თქვენს მეფეს, რომელმაც გავატარე ჩემი დღეები თქვენს სამსახურში, ამისდა მიუხედავად, ვემსახურებოდი რა ღმერთს, ვარ თუ არა ღირსი თქვენგან რაიმე მადლობის, ოჰ, როგორ უნდა გადაუხადოთ მადლობა თქვენს ზეციურ მეფეს!

20 მე გეუბნებით, ჩემო ძმებო, თქვენ რომ მიგეზღათ ყველა მადლიერება და ქება, მთელი თქვენი სულის ძალით, იმ ღმერთისთვის, რომელმაც შეგქმნათ, დაგიცვათ და გადაგარჩინათ და მოახდინა ისე, რომ იხაროთ და ნება გიბოძათ შეგედლოთ მშვიდობიანად გეცხოვრათ ერთმანეთის გვერდით -

21 მე გეუბნებით, თქვენ რომ ემსახურებოდეთ მას, ვინც შეგქმნათ დასაბამიდან და გინახავთ

დღიდან დღემდე, გასუნთქებთ, რომ იცოცხლოთ, იმოძრაოთ და იმოქმედოთ თქვენი საკუთარი სურვილის შესაბამისად და მხარშიც გიდგებათ ერთი მეყიდან მეორემდე – მე ვამბობ: თქვენ რომ ემსახურებოდეთ მას, მთელი თქვენი სულით, მაინც უხეირო მსახურნი იქნებოდით.

22 და აჰა, ყველაფერს, რასაც ის ითხოვს თქვენგან, ეს არის მისი მცნებების დაცვა; და იგი დაგპირდათ, რომ თუ დაიცავთ მის მცნებებს, აყვავდებით ამ მიწაზე; და ის არასდროს არ გადათქვამს თავის ნათქვამს; ამიტომ, თუ თქვენ იცავთ მის მცნებებს, ის გაკურთხებთ და აგაყვავებთ.

23 და ახლა, პირველ რიგში, მან შეგქმნათ და სიცოცხლე გაჩუქათ, რომლითაც ვალში ხართ მის წინაშე.

24 და მეორე რიგში, ის მოითხოვს, რომ აკეთოთ ისე, როგორც გიბრძანათ, და რომ თუ ასე მოიქცევით, ის დაუყოვნებლივ გაკურთხებთ; ამიტომ, მან უკვე აგინაზღაურათ. და თქვენ კვლავ ვალში ხართ მის წინაშე და ხართ და იქნებით უკუნითი უკუნისამდე, ამიტომ რითი უნდა დაიკვეხნოთ?

25 და ახლა მე გეკითხებით: შეგიძლიათ თქვენი თავისთვის თქვათ რაიმე? გიპასუხებთ: არა. თქვენ ვერ იტყვით იმასაც კი, რომ ხართ მიწის მტვრის თანაბარნი; თუმცა მიწის მტვრისგან

ხართ შექმნილნი; მაგრამ, აჰა, ის ეკუთვნის მას, ვინც შეგქმნათ.

26 და მე თვითონაც კი, ვისაც თქვენ მეფეს მიწოდებთ, არ ვარ თქვენზე უკეთესი; რადგან მეც მტვრისგან ვარ და თქვენ ხედავთ, რომ ვარ მოხუცი და ახლოს ვარ, მივცე ეს მოკვდავი სხეული მშობელ მიწას.

27 ამიტომ, როგორც მე გითხარით, რომ გემსახურებოდით, დავდიოდი რა ღვთის წინაშე სუფთა სინდისით, აი ამიტომ, მე ვბრძანე, ახლა ერთად შეკრებილიყავით, რათა მე მცნონ უმწიკვლოდ, რომ თქვენი სისხლი არ გადმოვიდეს ჩემზე იმ დროს, როდესაც მე წარვსდგები ღმერთის წინაშე, რომ განვიკითხო იმისათვის, რაც მან მიბრძანა თქვენს შესახებ.

28 მე გეუბნებით, რომ ვბრძანე ერთად შეკრებილიყავით, რათა განვიწმინდო სამოსელი თქვენი სისხლისაგან, ახლა, როდესაც ახლოს ვარ იმასთან, რომ ჩავიდე სამარეში, რომ მშვიდობით ჩავიდე და ჩემი უკვდავი სული შეუერთდეს მადლა მგალობელთა გუნდს, მართალი ღმერთის სადიდებელ გალობაში.

29 და ამის გარდა, გეუბნებით, რომ ვბრძანე, ერთად შეკრებილიყავით, რათა გაუწყოთ, რომ მე ვეღარ ვიქნები ვერც თქვენი მასწავლებელი, ვერც თქვენი მეფე;

30 რადგან ამ დროსაც კი, ძალზედ მიკანკალებს სხეული,

როდესაც ვცდილობ თქვენ წინაშე ვილაპარაკო; მაგრამ უფალი ღმერთი მხარს მიჭერს და ნება დამართო, ვილაპარაკო თქვენ წინაშე და მიბრძანა, ამ დღეს გაუწყოთ, რომ ჩემი შვილი, მოსია, თქვენს ზედ არის მეფე და მმართველი.

31 და ახლა, ჩემო ძმებო, მე მსურს, რომ თქვენ ასე მოიქცეთ, როგორც აქამდე იქცეოდით. ისე, როგორც იცავდით ჩემს ბრძანებებს, ასევე მამაჩემის ბრძანებებს და იყავით აყვავებულნი და დაცულნი, რათა არ ჩავარდნილიყავით მტრის ხელში; ზუსტად ასე, თუ დაიცავთ ჩემი შვილის ბრძანებებს ან ღვთის ბრძანებებს, რომლებიც მოგეცემათ მისი მეშვეობით, მაშინ თქვენ აყვავდებით ამ მიწაზე და მტერს არ ექნება ძალა თქვენზედ.

32 მაგრამ, ჩემო ხალხო, ფრთხილად იყავით, რომ არ გაჩნდეს თქვენ შორის განხეთქილება და არ მოისურვოთ ბოროტი სულისადმი დამორჩილება, რომელზეც მამაჩემი, მოსია, ლაპარაკობდა.

33 რადგან, აჰა, ვარამია ნათქვამი მასზე, რომელიც ისურვებს იმ სულისადმი დამორჩილებას, რადგან ის, რომელიც მოისურვებს მისადმი დამორჩილებას, თავის ცოდვებში რჩება და კვდება; იგი სვამს საკუთარი სულის წყევლას; რადგან იღებს როგორც საზღაურს, მარადიულ სასჯელს, ღმერთის კანონის

დარღვევის გამო, თავისი ცოდნის საპირისპიროდ.

34 მე გეუბნებით, რომ თქვენ შორის არ არის არავინ, გარდა თქვენი პატარა ბავშვებისა, რომლებსაც ეს არ ასწავლეს, რომლებმაც არ იციან ეს, რომ ხართ მარადიულად ვალში თქვენი მამაზეციერის წინაშე, რომ მიუძღვნათ მას ყველაფერი, რაც გაქვთ და რაც ხართ; ასევე ის, ვინც არ არის განსწავლული ჩანაწერების შესახებ, რომლებიც მოიცავს წინასწარმეტყველებებს, რომლებზეც ლაპარაკობდნენ წმინდა წინასწარმეტყველები, იმ დრომდეც კი, როდესაც მამაჩვენმა, ლეხიმ, დატოვა იერუსალიმი.

35 და ასევე, ყველაფერი ის, რაც აქამდე ითქვა ჩვენი მამების მიერ. და აჰა, ისინიც ლაპარაკობდნენ იმას, რაც უფლისგან ჰქონდათ ნაბრძანები; ამიტომ, ისინი არიან მართალი და ჭეშმარიტი.

36 და ახლა, მე გეუბნებით, ჩემო ძმებო, რომ მას შემდეგ, რაც თქვენ ეს გაიგეთ და ისწავლეთ ეს ყველაფერი, თუ კვლავ ჩაიდნთ დანაშაულს და წახვალთ იმის წინააღმდეგ, რაც ითქვა, ისე, რომ თქვენ უფლის სულს განუდგებით და მისი ადგილი არ იქნება თქვენში, რათა გაგიძღვეთ სიბრძნის ბილიკებზე, რათა იყოთ კურთხეულნი, აყვავებულნი და გადარჩენილნი.

37 მე გეუბნებით, რომ ის

ადამიანი, რომელიც ამას აკეთებს, ღიად უჯანყდება ღმერთს, ამიტომ სურს ბოროტი სული-სადმი დამორჩილება და ხდება ყოველი სამართალის მტერი; ამიტომ, უფლის ადგილი არ არის მასში, რადგან ის არ იმყოფება უწმინდურ ტაძრებში.

38 ამიტომ, თუ ასეთი ადამიანი არ ინანიებს, ღმერთის მტრად რჩება და კვდება, ღვთიური სამართალის მოთხოვნა უბიძგებს მის უკვდავ სულს მისი დანაშაულის მკვეთრად შეგრძნებისაკენ, რაც აიძულებს უფლის გარემოცვიდან მოიკუნტოს და მკერდი გაუვსოს დანაშაულის გრძნობით, ტკივილითა და ტანჯვით, ვითარცა უქრობი ცეცხლი, რომლის ალი ადის მაღლა, უკუნითი უკუნისამდე.

39 და ახლა, მე გეუბნებით, რომ წყალობა ვერ მოითხოვს თავისას ასეთ კაცზე, ამიტომ, მისი საბოლოო განაჩენია უსასრულო წამების გაძლება.

40 თქვენ, მოხუცებულნი, ასევე ახალგაზრდებო და თქვენ, პატარა ბავშვებო, რომლებსაც შეგიძლიათ ჩემი სიტყვის გაგება, რადგან მე გელაპარაკებოდით ნათლად, რათა გაგეგოთ; მე ვლოცულობ, რომ გაიღვიძოთ მათი საშინელი მდგომარეობის გახსენებით, რომელნიც შეცოდებაში ჩაცვიფდნენ.

41 ამის გარდა, მე მსურს, რომ იფიქროთ მათ კურთხეულ და ბედნიერ მდგომარეობაზე,

რომლებიც იცავენ ღვთის მცნებებს. რადგან, აჰა, ისინი კურთხეულნი არიან ყველაფერში – ხორციელშიც და სულიერშიც; და თუ ისინი დარჩებიან ერთგულნი ბოლომდე, მათ მიიღებენ ზეცაში, რათა ამგვარად იყვნენ ღმერთთან, მარადიული ბედნიერების მდგომარეობაში. გახსოვდეთ, გახსოვდეთ, რომ ეს სიტყვები არის ჭეშმარიტი, რადგან უფალმა ღმერთმა წართქვა ისინი.

თავი 3

მეფე ბენიამინი აგრძელებს მმართველს. უფალი ყოველმხედრობელი იმსახურებს ადამიანთა შორის, თიხის სამლოცველოში. სისხლი წამოუვა ყოველი ფორიდან, როდესაც ის გამოისყიდის ამა ქვეყნის ცოდვებს. მისი სახელი არის ერთადერთი, რომლითაც მოდის ხსნა. ადამიანებს შეუძლიათ დათმონ ხორციელი ადამიანი და გამოსყიდვის მეშვეობით გახდნენ წმინდანნი. ბოროტთა წამება იქნება, როგორც ცეცხლისა და გოგირდის ტბა. დაახლოებით 124 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და კვლავ, ჩემო ძმებო, მინდა გავამახვილო თქვენი ყურადღება, რადგან მაქვს კიდევ რაღაც თქვენთვის სათქმელი; რადგან, აჰა, მე თქვენთვის კიდევ მაქვს რაღაც სათქმელი იმის შესახებ, რაც მოხდება.

2 და რასაც გეტყვით, ღმერთის ანგელოზმა მაცნობა და მან მითხრა: გაიღვიძე; და მე გამეღვიძა და აჰა, ის იდგა ჩემ წინ.

3 და მან მითხრა: გაიღვიძე და შეისმინე სიტყვები, რომლებსაც გეტყვი; რადგან, აჰა, მე მოვედი, რათა გაუწყო სასიხარულო ამბები დიდი ბედნიერებისა.

4 რადგან უფალმა შეისმინა შენი ლოცვები და შენი სამართლიანობა სცნო; და გამომავზავნა, რათა გაუწყო, რომ იხარო; და შენს ხალხს აუწყო, რომ ისინიც აღივსნენ სიხარულით.

5 რადგან, აჰა, დრო მოდის და არ არის შორს, როდესაც უფალი ყოვლისმპყრობელი, რომელიც მართავს, რომელიც იყო და არის მარადიულობიდან მარადისობამდე, ჩამოვა ზეციდან ადამიანთა შვილებს შორის და იქნება თიხის სამლოცველოში; და ივლის ადამიანთა შორის და მოახდენს დიდ სასწაულებს, როგორც არის: ავადმყოფის განკურნება, მკვდართა აღდგომა, ხეიბრისთვის სიარულის უნარის, ბრმისათვის – თვალის ჩინის და ყრუსათვის – სმენის დაბრუნება და განკურნავს ყველანიირ დაავადებას.

6 და ის ამეკვებს ეშმაკებს ანუ ბოროტ სულებს, რომლებიც არიან ადამიანთა შვილების გულში.

7 და აჰა, ის გადაიტანს ცდუნებასა და სხეულის ტკივილს, შიმშილს, წყურვილს და

დაქანცულობას, იმაზე მეტს, ვიდრე ადამიანი აიტანს, თუ არ მოკვდება ამით; რადგან, აჰა, სისხლი წამოუვა ყოველი ფორიდან, იმდენად დიდი იქნება მისი ტანჯვა, თავისი ხალხის სიბოროტისა და სისაძაგლისთვის.

8 და მას უწოდებენ იესო ქრისტეს, ღვთის ძეს, ზეცისა და მიწის მამას, ყველაფრის შემქმნელს დასაბამიდან; და დედამისს უწოდებენ მარიამს.

9 და აჰა, ის მოდის თავისიანებთან, რათა მოვიდეს ხსნა ადამიანთა შვილებისათვის, დიახ, მის სახელში რწმენით; და ყოველივე ამის შემდეგ, ისინი მას ადამიანად ჩათვლიან და იტყვიან, რომ მასში ეშმაკია, გაამათრახებენ მას და ჯვარს აცვამენ.

10 და ის მკვდრეთით აღდგება მესამე დღეს; და აჰა, ის დგას, რათა განიკითხოს ქვეყანა; და აჰა, ეს ყველაფერი გაკეთდა, რათა სამართლიანი სამსჯავრო მოვიდეს ადამიანთა შვილებზე.

11 რადგან, აჰა, მისი სისხლი ასევე გამოისყიდის მათ ცოდვებს, რომლებიც დაეცნენ ადამის შეცოდების გამო, ვინც მოკვდა და არ იცოდა ღვთის ნების შესახებ თავის თავზე ან ვინც უმეტრებით შესცოდა.

12 მაგრამ, ვარამი, ვარამი მას, რომელმაც იცის, რომ ღმერთის წინააღმდეგ ჯანყდება! რადგან ხსნა არ მოვა ასეთთან, თუ არა მონანიების და უფლის, იესო ქრისტეს, რწმენის მეშვეობით.

13 და უფალმა ღმერთმა გააგზავნა თავისი წმინდანი წინასწარმეტყველები ადამიანთა ყველა შვილს შორის, რათა აუწყონ ეს ყველაფერი ყოველ ტომს, ერსა და ენას, რომ ყოველმა, ვინც იწამებს, რომ ქრისტე მოვა, შეძლოს მიტევების მიღება საკუთარი ცოდვებისათვის და გაიხაროს ძალზედ დიდი სიხარულით, ისე, ვითარცა უკვე მათ შორის მოსულია.

14 მიუხედავად ამისა, უფალმა ღმერთმა იხილა, რომ მისი ხალხი იყო ქედვიცხელი ხალხი და მან მისცა მათ რჯული – მოსეს რჯული.

15 და დაანახა მათ მრავალი ნიშანი და საოცრებები და სიმბოლოები და გამოსახულებები თავისი მოსვლის შესახებ. ასევე წმინდა წინასწარმეტყველები ეუბნებოდნენ მათ მისი მოსვლის შესახებ; და მათ მაინც გაიქვავეს გული და არ ესმოდათ, რომ მოსეს რჯულს არა აქვს სხვა სარგებელი, თუ არა მისი სისხლით გამოსყიდვა.

16 და შესაძლებელიც რომ ყოფილიყო, პატარა ბავშვებს შეძლებოდათ ცოდვის ჩადენა, ისინი ვერ გადარჩებოდნენ; მაგრამ მე გეუბნებით: ისინი არიან კურთხეულნი; რადგან როგორც ადამში ანუ ბუნებით, ეცემიან ისინი, ისევე ქრისტეს სისხლი გამოისყიდის მათ ცოდვებს.

17 ამის გარდა, მე გეუბნებით, არ იქნება სხვა სახელი

ან რაიმე სხვა გზა, ან საშუალება, რომლითაც ხსნა მოვიდოდა ადამიანთა შვილებზე, თუ არა უფლის, ყოვლისმპყრობელი ქრისტეს სახელში და სახელით.

18 რადგან, აჰა, ის განიკითხავს და მისი სამსჯავრო არის მართალი; და არ დაიღუპება ბავშვი, რომელიც გარდაიცვლება ჩვილობაში; მაგრამ ადამიანები სვამენ საკუთარი სულის წყევლას, თუ არ დაიმდაბლებენ თავს, როგორც პატარა ბავშვები და არ იწამებენ, რომ ხსნა იყო, არის და იქნება ქრისტეს, უფლის ყოვლისმპყრობლის გამომსყიდველ სისხლში და სისხლით.

19 რადგან ხორციელი ადამიანი არის ღმერთის მტერი და ასე ყოფილა ადამის დაცემიდან და იქნება უკუნისიდან უკუნისამდე, თუ არ დაუთმობს სულიწმინდის მოპატიუებას და არ დათმობს ხორციელ ადამიანს და არ გახდება წმინდანი უფალი ქრისტეს გამოსყიდვის მეშვეობით და არ გახდება, როგორც ბავშვი – მორჩილი, თვინიერი, თავმდაბალი, მომთმენი, სიყვარულით აღსავსე, მზადყოფნით დაემორჩილოს ყველაფერს, რასაც უფალი ჩათვლის მასზედ მოსავლენად, როგორც ბავშვი ემორჩილება მამას.

20 ამის გარდა, მე გეუბნებით: მოვა დრო, როდესაც ცოდნა მხსნელის შესახებ გავრცელდება ყველა ერს, ტომს, ენასა და ხალხს შორის.

21 და აჰა, როდესაც ის დრო მოვა, არავის არ სცნობენ უმწიკვლოდ ღმერთის წინაშე, პატარა ბავშვების გარდა, მხოლოდ მონანიებისა და ყოვლისმპყრობელი უფალი ღმერთის რწმენის მეშვეობით.

22 და ამ დროსაც კი, როდესაც ასწავლი შენს ხალხს იმას, რაც უფალმა, შენმა ღმერთმა გიბრძანა, მაშინაც კი, მათ აღარ სცნობენ უმწიკვლოდ ღმერთის თვალში მხოლოდ იმ სიტყვების შესაბამისად, რომლებიც მე გითხარი.

23 და ახლა, მე ვთქვი ის სიტყვები, რომლებიც უფალმა ღმერთმა მიბრძანა.

24 და ასე ამბობს უფალი: განკითხვის დღეს ისინი იქნებიან, როგორც კაშკაშა დამოწმებები ამ ხალხის წინააღმდეგ, ამიტომ, ისინი იქნებიან განკითხულნი – ყოველი ადამიანი საკუთარი საქმეებისამებრ, თუნდაც იყოს კეთილი ან ბოროტი.

25 და თუ საქმენი იქნება ბოროტი, ისინი განწირულნი არიან იხილონ თავიანთი დანაშაულისა და სისამაგლის საშინელი სანახაობა, რაც აიძულებს მათ მოიკუნტონ უფლის გარემოცვიდან უბედურებისა და უსასრულო წამების მდგომარეობაში, საიდანაც ვეღარასდროს დაბრუნდებიან; ამიტომ, მათ შესვეს საკუთარი სულების წყევლა.

26 ამიტომ, მათ შესვეს ღვთის რისხვის ფიალიდან, რისთვისაც

მათ სამართალი უარს ვერ ეტყოდა, როგორც ვერ უარყოფდა იმას, რომ ადამი უნდა დაცემულიყო, იგემა რა აკრძალული ხილი; ამიტომ, წყალობა ვეღარ მოითხოვდა მათზე თავისას, მარადის.

27 და მათი წამება არის, როგორც ცეცხლისა და გოგორდის ტბა, რომლის ალი უქრობია და რომლის კვამლი ადის მაღლა უკუნითი უკუნისამდე. ასე მიბრძანა უფალმა. ამინ.

თავი 4

მეფე ბენიამინი აგრძელებს თავის მიმართვას. ხსნა მოდის გამოსყიდვის შედეგად. იწამეთ ღმერთი, რათა გადარჩეთ. ერთგულებით შეინარჩუნეთ ცოდვების მიტკვება. უწილადეთ თქვენი ქონება ღარიბებს. გააკეთეთ ყველაფერი სიბრძნითა და წესისამებრ. დაახლოებით 124 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და ახლა, იყო ასე, რომ როდესაც მეფე ბენიამინმა დაასრულა თავისი სიტყვების თქმა, რომლებიც მას უფლის ანგელოზმა მიუტანა, მან შეკრებილთ თვალი მიმოავლო და აჰა, ისინი მიწაზედ დაეცნენ, რადგან მათ უფლისადმი შიში მოეფინათ.

2 და მათ იხილეს თავიანთი თავი ხორციელ მდგომარეობაში, მიწის მტვერზე ნაკლებიც კი. და მათ ყველამ ერთხმად ხმამაღლა შესტირეს, სიტყვებით:

შეგვიწყალე და გამოიყენე ქრისტეს გამომსყიდველი სისხლი, რათა მივიღოთ ცოდვების მიტევება და ჩვენი გული განიწმინდოს; რადგან ჩვენ გვწამს იესო ქრისტე, ძე ღვთისა, რომელმაც შექმნა ზეცა და მიწა და ყველაფერი; რომელიც ჩამოვა ადამიანთა შვილებს შორის.

3 და იყო ასე, რომ მას შემდეგ, რაც მათ თქვეს ეს სიტყვები, მათზედ მოეფინა უფლის სული და ისინი აღივსნენ სიხარულით, მიიღეს რა თავიანთი ცოდვების მიტევება და დამშვიდებული სინდისი, ჰქონდათ რა ღრმა რწმენა იესო ქრისტესი, რომელიც უნდა მოვიდეს იმ სიტყვებისამებრ, რომლებიც მეფე ბენიამინმა მათ უთხრა.

4 და მეფე ბენიამინმა კვლავ გახსნა ბაგე და დაიწყო მათთან საუბარი სიტყვებით: ჩემო მეგობრებო და ჩემო ძმებო, ჩემო ნათესავებო და ჩემო ხალხო, მე მინდა კვლავ გავამახვილო თქვენი ყურადღება, რათა მოისმინოთ და გაიგოთ ჩემი დანარჩენი სიტყვები, რომლებსაც გატყვით.

5 რადგან, აჰა, თუ ღვთის სიკეთის ცოდნამ აშქამად გაადვილა თქვენში თქვენი არარაობის გრძნობა და თქვენი უვარგისი და დაცემული მდგომარეობა –

6 მე გეუბნებით, თუ თქვენ ღვთის სიკეთის ცოდნასთან მოხვედით და მის უბადლო ძალისკენ და მის სიბრძნისკენ და მის

მოთმინებისკენ და ადამიანთა შვილებისათვის სულგრძელობისკენ; და ასევე გამოსყიდვისაკენ, რომელიც მომზადებული იყო ქვეყნის დასაბამიდან, რათა მისი მეშვეობით ხსნა მოვიდეს მასთან, ვინც უფალს მიანდობს თავის სასოებას და იქნება ბეჯითი მისი მცნებების დაცვაში და თავის ცხოვრებას ბოლომდე გააგრძელებს რწმენით, მე ვგულისხმობ მოკვდავი სხეულის ცხოვრებას –

7 მე ვამბობ, რომ ეს არის ადამიანი, რომელიც მიიღებს ხსნას გამოსყიდვის მეშვეობით, რომელიც მომზადებული იყო ქვეყნის დასაბამიდან მთელი კაცობრიობისათვის, რომელიც ოდესმე ყოფილა ადამის დაცემის შემდეგ, ან აშქამად არსებობს, ან ოდესმე იარსებებს, ამა ქვეყნის დასასრულამდე.

8 და ეს არის ის, რითიც მოდის ხსნა. და არ არსებობს არანაირი სხვა ხსნა, გარდა იმისა, რომლის შესახებაც ითქვა; და არც არის სხვა არანაირი პირობები, რომლებითაც ადამიანი გადარჩება, გარდა იმ პირობებისა, რომლებიც მე გითხარით.

9 იწამეთ ღმერთი; გწამდეთ, რომ ის არის და მან შექმნა ყველაფერი ზეცაშიც და დედამიწაზეც; გწამდეთ, რომ ის ფლობს სრულ სიბრძნესა და სრულ ძალას ზეცაშიც და დედამიწაზეც; იწამეთ, რომ ადამიანისათვის ყველაფერი, რასაც

უფალი ჩასწვდება, მისაწვდომი არ არის.

10 და კვლავ, იწამეთ, რომ თქვენი ცოდვები უნდა მოინანიოთ და მიატოვოთ ისინი და თავი დაიმდაბლოთ ღმერთის წინაშე; და წრფელი გულით სთხოვოთ, რომ გაპატიოთ; და ახლა, თუ თქვენ ეს ყველაფერი გწამთ, მაშინ ეს შეასრულეთ.

11 და კვლავ, მე გეუბნებით, როგორც ადრე გეუბნებოდით, რომ თუ მიხვედით ღმერთის დიდების ცოდნისკენ ან თუ შეიცანით მისი სიკეთე და იგემეთ მისი სიყვარული და მიიღეთ საკუთარი ცოდვების მიტევება, რაც იწვევს ასეთ დიდ სიხარულს თქვენს სულებში, ამიტომ მე მსურს, რომ გახსოვდეთ და მუდამ გქონდეთ მეხსიერებაში ღმერთის სიდიადე და თქვენი არარაობა, მისი სიკეთე და სულგრძელობა თქვენ მიმართ, უღირსო არსებებო, და დაიმდაბლეთ თავი, ღრმა თავმდაბლობით, ყოველდღიურად უფლის სახელის ხსენებით, მტკიცე რწმენით იმაში, რაც მოხდება, რაც ითქვა ანგელოზის პირით.

12 და აჰა, მე გეუბნებით, რომ თუ ამას გააკეთებთ, ყოველთვის გაიხარებთ და სავსენი იქნებით ღვთის სიყვარულით და ყოველთვის შეინარჩუნებთ ცოდვების მიტევებას; და თქვენ გაიზრდებით მისი დიდების ცოდნაში, რომელმაც შეგქმნათ ანუ იმის

ცოდნაში, რაც მართალია და ჭეშმარიტი.

13 და ერთმანეთისათვის ზიანის მიყენება კი არა, არამედ მშვიდობიანად ცხოვრება გექნებათ ჩაფიქრებული და ყოველი ადამიანისთვის იმის მიგება, რაც მას შეესაბამება.

14 და თქვენ არ დაუშვებთ, რომ თქვენი შვილები დადიოდნენ მშიერი ან შიშველნი; არც იმას დაუშვებთ, რომ მათ დაარღვიონ ღმერთის კანონები, იჩხუბონ და იდავონ ერთმანეთში და ემსახურონ ეშმაკს, რომელიც არის ცოდვის ოსტატი ანუ ბოროტი სული, რომელზეც ლაპარაკობდნენ ჩვენი მამები, არის რა ყოველი სამართლის მტერი.

15 მაგრამ თქვენ მათ ასწავლით, იარონ ჭეშმარიტებისა და კეთილგონიერების გზით; დიახ, თქვენ მათ ასწავლით ერთმანეთის სიყვარულსა და სამსახურს.

16 და ასევე, თქვენ თვითონ დაეხმარებით მათ, ვისაც თქვენი დახმარება სჭირდება; თქვენ უწილადებთ თქვენი ქონებიდან მათ, ვინც გაჭირვებაშია; და არ დაუშვებთ, რომ მათხოვარი ამოდ გთხოვდეთ სათხოვარს და არ გააგდებთ დასაღუპად.

17 შეიძლება თქვათ: ამ ადამიანმა თვითონ მოავლინა საკუთარ თავზე უბედურება, ამიტომ შევაკავებ საკუთარ ხელს და არ მივცემ ჩემი საკვებიდან, არც ჩემი ქონებიდან არ ვუწილადებ,

რათა აღარ დაიტანჯოს, რადგან მისი სასჯელი არის სამართლიანი –

18 მაგრამ მე გეუბნები, ადამიანო: მას, ვინც ასე იქცევა, აქვს მოსანანიებლად ძალზედ მნიშვნელოვანი მიზეზი და თუ არ მოინანიებს იმას, რაც გააკეთა, სამარადისოდ დაიღუპება და არ აქვს მას წილი ღვთის სასუფეველში.

19 რადგან, აჰა, განა ყველანი მათხოვრები არ ვართ? განა არ ვართ ყველანი დამოკიდებულნი ერთსა და იმავე არსებაზე, ღმერთზე, ყველანი იქონებისთვის, რაც გაგვანია, საკვებისა და სამოსისთვის და ოქროსა და ვერცხლისთვის; და ყველანი იგივე სიმდიდრისათვის, რაც გაგვანია?

20 და აჰა, ამ დროსაც კი, თქვენ ახსენებდით მის სახელს და ევედრებოდით თქვენი ცოდვების მიტევებას და ნუთუ დაუშვა მან, რომ ამოდ ევედრებოდით? არა; მან გადმოღვარა თავისი სული თქვენზე და მოახდინა ისე, რომ თქვენი გული ავსებულყო სიხარულით და გააკეთა ისე, რომ თქვენი ბაგენი დადუმდეს, რათა სიტყვები ვერ იპოვოთ, ასე ძალზედ დიდი იყო თქვენი სიხარული.

21 და ახლა, თუ ღმერთი, რომელმაც შეგქმნათ და რომელზედაც დამოკიდებულია თქვენი სიცოცხლე და ყველაფერი, რაც გაქვთ და ვინც ხართ, გიბოძებთ

ყველაფერს, რასაც სთხოვთ, რაც სწორია, რწმენით, გწამთ რა, რომ მას მიიღებთ, მაშინ როგორ არ უნდა უწილადედეთ ერთმანეთს ქონებას, რომელიც გაქვთ!

22 და თუ განსჯით კაცს, რომელიც თქვენი ქონებიდან სათხოვარს გთხოვდეთ, რათა არ დაიღუპოს და თქვენ მას განსჯით, რამდენად სამართლიანი იქნება განსჯა თქვენი იმისათვის, რომ უარი უთხარით თქვენი ქონებიდან, რომელიც თქვენ კი არ გეკუთვნით, არამედ ღმერთს, რომელსაც ასევე ეკუთვნის თქვენი სიცოცხლე; მაგრამ სათხოვარს არ სთხოვთ, არც ინანიებთ იმას, რაც ჩაიდინეთ.

23 მე გეუბნებით: ვარამი ასეთ ადამიანს, რადგან მისი ქონება დაიღუპება მასთან ერთად; და ახლა, მე ვეუბნები ამას მათ, ვინც მდიდარია ამქვეყნიური საგნებით.

24 და კვლავ, მე ვეუბნები დარბით, თქვენ, რომლებსაც არ გაქვთ და მაინც გაქვთ საკმარისი, საარსებო დღიდან დღემდე; მე ვგულსხმობ ყოველ თქვენგანს, რომლებიც უარყოფთ სათხოვარს, რადგან არ გაქვთ; მინდა, რომ ასე თქვათ გულში: მე არ გავცემ იმიტომ, რომ არ მაქვს, მაგრამ რომ მქონოდა – გავცემდი.

25 და ახლა, თუ ამას იტყვით გულში, თქვენ დარჩებით უდანაშაულონი, სხვაგვარად, თქვენ ხართ განსჯილნი; და თქვენი

სასჯელი იქნება მართალი, რადგან გასურთ ის, რაც არ მიიღეთ.

26 და ახლა, ამ ყველაფრისთვის, რაც მე გითხარით ანუ თქვენი ცოდვების მიტევების შენარჩუნებისათვის, დღიდან დღემდე, რათა იართო უდანაშაულოდ ღმერთის წინაშე, მინდა, რომ ღარიბებს უწილადოთ თქვენი ქონებიდან, ყოველმა ადამიანმა იმის მიხედვით, რაც აქვს: მშვიერთა დაპურება, შიშველთა შემოსვა, ავადმყოფთა მონახულება და შეების მიცემა სულიერად და მატერიალურად, მათი მოთხოვნების მიხედვით.

27 და იყავით ყურადღებით, რათა ყოველივე ეს კეთებოდეს სიბრძნითა და წესისამებრ, რადგან არ არის საჭირო, რომ ადამიანი გარბოდეს იმაზე სწრაფად, ვიდრე მას შესწევს ძალა. და კვლავ, საჭიროა, რომ იყოს ბეჯითი, რათა ასეთნაირად მიიღოს ჯილდო, ამიტომ ყველაფერი უნდა გააკეთდეს წესისამებრ.

28 და მე მსურს, გახსოვდეთ, რომ ყოველი თქვენგანი, რომელიც სესხულობს თავის მოყვასისგან, უნდა დააბრუნოს ის, რაც ისესხა, იმისდა მიხედვით, როგორც მოელაპარაკა, თორემ სნადიხარ ცოდვას და შეიძლება მოყვასსაც ასევე უბიძგო ცოდვის ჩადენისაკენ.

29 და ბოლოს, მე არ შემიძლია გითხრათ ყველაფერი იმის შესახებ, რითაც შეგიძლიათ ცოდვის

ჩადენა; რადგან არსებობს მრავალგვარი გზა და საშუალება, იმდენად ბევრი, რომ არ შემიძლია მათი ჩამოთვლა.

30 მაგრამ შემიძლია გითხრათ მხოლოდ ის, რომ თუ არ მიხედავთ საკუთარ თავს და საკუთარ ფიქრებს და საკუთარ სიტყვებს და საკუთარ ქმედებებს და არ დაიცავთ ღმერთის მცნებებს და არ გააგრძელებთ იმის რწმენით, რაც მოისმინეთ ჩვენი უფლის მოსვლის შესახებ, თქვენი ცხოვრების ბოლომდე, მაშინ უნდა დაიღუპოთ; და ახლა, ადამიანო, გახსოვდეს და არ დაიღუპო.

თავი 5

რწმენის მეშვეობით, წმინდანები ხდებიან ქრისტეს ძენი და ასულნი. შემდგომში მათ ქრისტეს სახელი ეწოდებათ. მეფე ბენიამინი მოუწოდებს მათ იყვნენ მტკიცენი და ურყევენი კეთილ საქმეებში. დაახლოებით 124 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და ახლა, იყო ასე, რომ როდესაც მეფე ბენიამინი ასე ელაპარაკა თავის ხალხს, მან გააგზავნა მათთან, სურდა რა გაეგო თავისი ხალხისგან, თუ იწამეს მისი სიტყვები, რომლებიც მათ უთხრა.

2 და მათ ყველამ ერთხმად წამოიძახეს სიტყვები: დიახ, ჩვენ გვწამს ყოველი სიტყვა, რომელიც შენ გვითხარი; ასევე

ვიციტ მათი სიმართლისა და ჭეშმარიტების შესახებ, ვინაიდან ყოვლისმპყრობელი უფლის სულმა მოახდინა ჩვენში ანუ ჩვენს გულებში ძლიერი ცვლილება, რომ აღარ გვაქვს სიბოროტის კეთების სურვილი, არამედ მუდმივად გვაქვს სიკეთის კეთების სურვილი.

3 და ასევე ჩვენ თვითონ, ღვთის უსაზღვრო სიკეთისა და მისი სულის გამოცხადების მეშვეობით, გვაქვს სრული წარმოდგენა იმაზე, თუ რა მოხდება; და საჭირო რომ ყოფილიყო, ჩვენ შევძლებდით წინასწარმეტყველებას ყოველივე ამის შესახებ.

4 და ეს არის ის რწმენა, რაც გვქონდა იმაზე, რაც ჩვენმა მეფემ გვითხრა, რომელმაც მიგვიყვანა ამ დიად ცოდნისკენ, რის გამოც ჩვენ ვხარობთ ძალზე დიდი სიხარულით.

5 და გვსურს დავდოთ აღთქმა ჩვენს ღმერთთან, რომ შევასრულებთ მის ნებას და ვიქნებით მორჩილნი მისი მცნებებისადმი ყველაფერში, რასაც ის გვიბრძანებს, ჩვენი ყველა დარჩენილი დღეების განმავლობაში, რათა არ მოვაველინოთ ჩვენს თავზე უსასრულო წამება, როგორც ითქვა ანგელოზის მიერ, რათა არ შევსვათ ღვთის რისხვის ფიალიდან.

6 და ახლა, ეს არის ის სიტყვები, რომლებიც მეფე ბენიამინს სურდა მათგან, ამიტომ მათ უთხრა: თქვენ თქვით ის

სიტყვები, რომლებიც მე მსურდა და აღთქმა, რომელიც დადეთ, არის სამართლიანი აღთქმა.

7 და ახლა, ამ აღთქმის შედეგად, რომელიც თქვენ დადეთ, თქვენ გიწოდებენ ქრისტეს შვილებს, მის ძეებსა და ასულებს; რადგან, აჰა, ამ დღეს მან გშვათ სულიერად; რადგან თქვენ ამბობთ, რომ მის სახელში რწმენით შეგეცვალათ გული; ამიტომ, მისგან გაჩენილნი ხართ და გახდით მისი ძენი და ასულები.

8 და ამ სახელით თქვენ განთავისუფლდით, და არ არსებობს სხვა სახელი, რომლითაც თქვენ შეძლებთ გახდეთ თავისუფალნი. არ არის ბოძებული სხვა სახელი, რომლითაც მოვახსნა; ამიტომ, მსურს, რომ აიღოთ საკუთარ თავზე ქრისტეს სახელი, თქვენ ყველამ, რომლებმაც ღმერთთან დადეთ აღთქმა, რომ მორჩილნი იქნებით თქვენი ცხოვრების ბოლომდე.

9 და იქნება ასე, რომ ყოველი, ვინც ასე მოიქცევა, აღმოჩნდება ღმერთის მარჯვენა ხელის მხარეს, რადგან მას ეცოდინება სახელი, რომელიც მას ეწოდა; რადგან ის ქრისტეს სახელით იქნება წოდებული.

10 და ახლა, იქნება ასე, რომ რომელიც არ აიღებს საკუთარ თავზე ქრისტეს სახელს, მას უნდა ეწოდოს სხვა სახელი; ამიტომ, ის აღმოჩნდება ღმერთის მარცხენა ხელის მხარეს.

11 და მე მსურს, რომ ასევე

გახსოვდეთ, რომ ეს არის ის სახელი, რომელსაც, როგორც გითხარით, გიწოდებთ და რომელიც არასდროს ამოიშლება, გარდა შეცოდების ჩადენისა; ამიტომ, იყავით ყურადღებით, რომ დანაშაული არ ჩაიდინოთ, რათა ეს სახელი არ ამოიშალოს თქვენი გულიდან.

12 მე გეუბნებით: მსურს დაიმახსოვროთ, რომ მუდამ შეინარჩუნოთ სახელი, რომელიც ჩაწერილია თქვენს გულებში, რათა ღმერთის მარცხენა ხელის მხარეს კი არ აღმოჩნდეთ, არამედ გესმოდეთ და სცნობდეთ ხმას, რომლითაც მოგიწოდებენ, ასევე სახელს, რომლითაც იგი მოგმართავთ.

13 რადგან როგორ იცნოს ადამიანმა მეფე, რომელსაც არ ემსახურებოდა და რომელიც უცხოა მისთვის და შორს არის მისი გულის ფიქრებისა და ზრახვებისაგან?

14 და კვლავ, წაიყვანს ადამიანი ვირს, რომელიც მის მოყვასს ეკუთვნის და შეინახავს მას? მე გეუბნებით: არა; ის იმასაც არ დაუშვებს, რომ მის ფარებში იკვებოს, არამედ გააგდებს და გააძევეს. მე გეუბნებით, რომ ასეც იქნება თქვენ შორის, თუ არ გეცოდინებათ სახელი, რომელიც გეწოდათ.

15 ამიტომ, მინდა, რომ იყოთ მტკიცენი და ურყენი, ყოველთვის კეთილი საქმეებით აღსავსენი, რომ ქრისტემ, უფალმა

ღმერთმა ყოვლისმპყრობელმა, თქვენ თავისიანად დაგამტკიცოთ, რომ ზეცაში იქნეთ აყვანილნი, რათა იქონიოთ სამარადისო ხსნა და მარადიული სიცოცხლე, მისი სიბრძნითა და ძალით და სამართალით და მისი წყალობით, რომელმაც ყველაფერი შექმნა ზეცაში და დედამიწაზე, რომელიც არის ღმერთი ყველაფერზედ. ამინ.

თავი 6

მეფე ბენიამინი იწერს ადამიანების სახელებს და ნიშნავს მღვდლებს, მათ განსასწავლად. მოსია მმართველობს, როგორც სამართლიანი მეფე. დაახლოებით 124-121 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და ახლა, მეფე ბენიამინმა გადაწყვიტა, რომ შესაფერისი იქნებოდა ხალხისადმი მიმართვის შემდეგ ჩაეწერა ყოველი იმ ადამიანის სახელი, ვინც ღმერთთან დადო აღთქმა, რომ დაიცავდნენ მის მცნებებს.

2 და იყო ასე, რომ არ იყო არც ერთი სული, გარდა პატარა ბავშვებისა, რომელმაც არ დადო აღთქმა და არ აიღო საკუთარ თავზე ქრისტეს სახელი.

3 და კვლავ, იყო ასე, რომ როდესაც მეფე ბენიამინმა დაამთავრა ეს ყველაფერი და აკურთხა თავისი შვილი, მოსია, მმართველად და მეფედ თავის ხალხზედ და გადასცა

სამეფოსთან დაკავშირებული ყველა ვალდებულება და ასევე დანიშნა მღვდლები მათ განსასწავლად, რათა ამგვარად ხალხს მოესმინა და სცოდნოდა ღმერთის მცნებები, რათა გამოეღვიძებინათ მათში ხსოვნა ფიცის შესახებ, რომელიც მათ დადეს, შემდეგ მან გაუშვა შეკრებილნი და ისინი დაბრუნდნენ საკუთარ სახლებში, ყოველი თავის ოჯახში.

4 და მოსიამ დაიწყო მმართველობა მამამისის მაგივრად. და მან დაიწყო მმართველობა მისი ცხოვრების ოცდამეათე წელს, რაც დაახლოებით შეადგენს ოთხას სამოცდა თექვსმეტ წელს იმ დღიდან, რაც ლეხიმ დატოვა იერუსალიმი.

5 და მეფე ბენიამინმა იცხოვრა სამი წელი და გარდაიცვალა.

6 და იყო ასე, რომ მეფე მოსია დადიოდა უფლის გზებით და იცავდა მის სამართალსა და წესებს და იცავდა მის მცნებებს ყველაფერში, რასაც კი იგი უბრძანებდა მას.

7 და მეფე მოსიამ უბრძანა თავის ხალხს, რომ მიწა დაემუშავებინათ. ასევე თვითონაც ამუშავებდა მიწას ისე, რომ ტვირთად არ დასწოლოდა თავის ხალხს, რომ მოქცეულიყო იმისდა მიხედვით, როგორც მამამისი იქცეოდა ყველაფერში; და არ იყო განხეთქილება მის ხალხში სამი წლის განმავლობაში.

თავი 7

ამონი პოულობს ლეხი-ნეფის მიწას, სადაც ლიმხი არის მეფე. ლიმხის ხალხი ლამანიელთა მონობაშია. ლიმხი ყვება მათ ისტორიას. წინასწარმეტყველმა (აბინადიმ) დაამოწმა, რომ ქრისტე არის ყველაფრის ღმერთი და მამა. ის, ვინც სიბინძურეს თესავს, გრიგალს მოიმკის, ვინც თავის სასოებას მიანდობს უფალს, იქნება გამოხსნილი. დაახლოებით 121 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და ახლა, იყო ასე, რომ მას შემდეგ, რაც მეფე მოსიას სამი წლის განმავლობაში განუწყვეტლივ მშვიდობიანი დრო ედგა, მან მოისურვა გაეგო იმ ადამიანების შესახებ, რომლებიც წავიდნენ ლეხი-ნეფის მიწაზე ანუ ლეხი-ნეფის ქალაქში, საცხოვრებლად; რადგან ხალხს არაფერი სმენია მათგან იმ დროიდან, რაც მათ დატოვეს ზარაპემლას მიწა; ამიტომ, მათ შეაწუხეს იგი შეკითხვებით.

2 და იყო ასე, რომ მეფე მოსიამ მათ შორის თექვსმეტ ძლიერ კაცს ნება დართო, წასულიყვნენ ლეხი-ნეფის მიწაზე, რათა თავიანთი ძმების შესახებ გაეგოთ.

3 და იყო ასე, რომ მომდევნო დღეს ისინი გზას დაადგნენ, თან ჰყავდათ ვინმე ამონი, ძლიერი და ძლევაგამოსილი ადამიანი და ზარაპემლას შთამომავალი; და ის ასევე იყო მათი წინამძღვარი.

4 და ახლა, მათ არ იცოდნენ, რა გზით უნდა ევლოთ უდაბნოში, რომ მისულიყვნენ ლეხინეფის მიწაზე; ამიტომ, ისინი დაეხეტებოდნენ მრავალი დღის განმავლობაში უდაბნოში, ორმოცი დღეც კი დაეხეტებოდნენ.

5 ორმოცი დღის ხეტიალის შემდეგ, ისინი მივიდნენ ერთ გორაკზე, რომელიც შილომის მიწიდან ჩრდილოეთით მდებარეობს და იქ გაშალეს კარვები.

6 და ამონმა თან სამი ძმობილი წაიყვანა; და მათი სახელები იყო: ამალეკი, ჰელემი და ჰემი, და ისინი ჩავიდნენ ნეფის მიწაზე.

7 და აჰა, ისინი შეხვდნენ იმ ხალხის მეფეს, რომელიც იყო ნეფისა და შილომის მიწებზე; და ისინი გარშემორტყმულნი იქნენ მეფის მცველებით, ისინი შეიპყრეს დაშეპოჭეს და საპყრობილეში ჩაყარეს.

8 და იყო ასე, როდესაც მათ ორი დღე გაატარეს საპყრობილეში, ისინი კვლავ მიიყვანეს მეფესთან და ბორკილები მოხსნეს; და ისინი იდგნენ მეფის წინ და მათ ნება დართეს, თუმცა უფრო უბრძანეს, რომ პასუხები გაეცათ შეკითხვებზე, რომლებსაც ის მათ დაუსვამდა.

9 და მან უთხრა მათ: აჰა, მე ვარ ლიმხი, ნოეს შვილი, რომელიც იყო ხენიფის შვილი, რომელიც წამოვიდა ზარაჰემლას მიწიდან, რათა მემკვიდრეობით მიეღო ეს მიწა, რომელიც იყო

მათი მამების მიწა, იგი, რომელიც იყო ხალხის ხმით მეფედ არჩეული.

10 და ახლა, მე მსურს ვიცოდე იმის მიზეზი, რომლის გამოც თქვენ ასე თამამად მოუახლოვდით ქალაქის კედლებს, როდესაც მე თვითონ, ჩემს მცველებთან ერთად, ვიყავი ჭიშკრის გარეთ.

11 და ახლა, ამის გამო, მე დავუშვი, რომ თქვენ გადაერჩინეთ, რათა თქვენთვის შეკითხვა დამესვა, თორემ ვუბრძანებდი ჩემს მცველებს, რომ მოეკალით. ნებას გრთავთ, ილაპარაკოთ.

12 და ახლა, როდესაც ამონმა იხილა, რომ ლაპარაკის ნება დართეს, წინ გამოვიდა და ქედი მოიხარა მეფის წინაშე; და როდესაც ადგა, თქვა: მეფეო, მე დიდად მადლიერი ვარ ღმერთისადმი ამ დღეს, რომ ჯერ კიდევ ცოცხალი ვარ და ლაპარაკის ნება დამრთეს; და შევეცდები, თამამად ვილაპარაკო;

13 რადგან დარწმუნებული ვარ, თქვენ რომ მიცნობდეთ, არ დაუშვებდით, რომ მეტარებინა ეს ბორკილები, რადგან მე, ამონი, ვარ ზარაჰემლას შთამომავალი და მოვედი ზარაჰემლას მიწიდან, რათა გამომეკითხა ჩვენი ძმების შესახებ, რომლებიც ზენიფმა წამოიყვანა იმ მიწიდან.

14 და ახლა, იყო ასე, რომ როდესაც ლიმხიმ მოისმინა ამონის სიტყვები, მას ძალზედ გაუხარდა და თქვა: ახლა ნამდვილად

ვიცი, რომ ჩემი ძმები, რომლებიც იყვნენ ზარაკმლას მიწაზე, ჯერ კიდევ ცოცხლები არიან. და ახლა, მე გავიხარებ; და ხვალ ვიზამ ისე, რომ ასევე გაიხარებს ჩემი ხალხიც.

15 რადგან, აჰა, ჩვენ ლამანიელთა მონობაში ვართ და ბევრად გვადევს გადასახდელი, რომელიც მძიმე ასატანია. და ახლა, აჰა, ჩვენი ძმები გამოგვიხსნიან მონობიდან ანუ ლამანიელთა ხელიდან და გავხდებით მათი მონები, რადგან სჯობს ვიყოთ ნეფიელთა მონები, ვიდრე ხარკი ვუხადოთ ლამანიელთა მეფეს.

16 და ახლა, მეფე ლიმხიმ უბრძანა თავის მცველებს, რომ მეტად აღარ გაეკოჭათ არც ამონი და არც მისი ძმები და უბრძანა, რომ წასულიყვნენ გორაკისკენ, რომელიც მდებარეობდა შილომისაგან ჩრდილოეთით და მოეყვანათ თავიანთი ძმები ქალაქში, რომ მათ ამგვარად, ეჭამათ, ესვათ და გზისგან დაესვენათ; რადგან მათ ბევრი რამ გადაიტანეს; მათ გადაიტანეს შიმშილი, წყურვილი და დაქანცულობა.

17 და ახლა, იყო ასე: მომდევნო დღეს, მეფე ლიმხიმ გაუგზავნა შეტყობინება თავის ხალხს, რომლის შესაბამისად ყველანი უნდა შეკრებილიყვნენ ტაძართან, რათა მოესმინათ სიტყვები, რომლებითაც ის მათ მიმართავდა.

18 და იყო ასე, რომ როდესაც

ისინი ერთად შეიკრიბნენ, მან მათ მიმართა ასეთი სიტყვებით: თქვენ, ჩემო ხალხო, აწიეთ თავი და დამწვიდით; რადგან, აჰა, ახლოს არის დრო ანუ, არ არის შორი, როდესაც აღარ უნდა ვიყოთ ჩვენი მტრების მორჩილებაში, ჩვენი მრავალი ძალისხმევის მიუხედავად, რომელიც ამაო იყო; მაინც, მე ვიმედოვნებ, რომ დაგვრჩა კიდევ ერთი ქმედითი ძალისხმევის გამოყენება.

19 ამიტომ, აწიეთ თავი და გაიხარეთ და მიანდეთ თქვენი სასოება ღმერთს, იმ ღმერთს, რომელიც იყო აბრაამის, ისააკის და იაკობის ღმერთი; ასევე იმ ღმერთს, რომელმაც გამოიყვანა ისრაელის შვილები ეგვიპტის მიწიდან და მოახდინა ისე, რომ მათ წითელ ზღვაზე, მშრალ მიწაზე გაიარეს და მანანით კვებავდა მათ, რომ უდაბნოში არ დაღუპულიყვნენ; და მრავალი სხვა რამ მოახდინა მან მათთვის.

20 და კვლავ, იმავე ღმერთმა გამოიყვანა ჩვენი მამები იერუსალიმის მიწიდან და ამ დღემდეც კი ინახავდა და იცავდა თავის ხალხს; და აჰა, ჩვენი ურჯულოებისა და სისაძაგლის გამო, მან მონობაში ჩაგვყარა.

21 და დღეს, თქვენ ყველანი მოწმენი ხართ, რომ ზენიფი, რომელიც მეფედ იყო დანიშნული ამ ხალხზედ, იყო რა ზედმეტად გულმოდგინე

სურვილით – მემკვიდრეობით მიეღო თავისი მამების მიწა, ამის გამო მოტყუებულ იქნა მეფე ლამანის მზაკვრობითა და ვერაგობით, რომელმაც დადო ხელშეკრულება მეფე ზენიფთან და მას ხელთ გადასცა მიწის ნაწილი ანუ თვით ქალაქი ლეხი-ნეფი და ქალაქი შილომი და მის გარშემო მიწა –

22 და ეს ყველაფერი მან გააკეთა მხოლოდ ერთი მიზნით: ეს ხალხი დაემორჩილებინა ანუ ჩაეგდო მონობაში. და აჰა, ამჟამად ჩვენ ლამანიელთა მეფეს ვუხდით ხარკს, სიმინდის, ქერის და მთელი ჩვენი ყველანაირი ხორბლეულის ნახევრით; და ჩვენი წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონლის მოგებულის ნახევრით; და ლამანიელთა მეფე ასევე მოითხოვს ჩვენგან ყველაფრის ნახევარს, რაც გაგვაჩნია და ვფლობთ ან მოითხოვს ჩვენს სიცოცხლეს.

23 და ახლა, ნუთუ ეს არ არის მძიმე ასატანი? ნუთუ ჩვენი გაჭირვება არ არის დიდი? ახლა, აჰა, რამდენად დიდია იმის მიზეზი, რომ ვიგლოვით.

24 დიახ, გეუბნებით, დიდია მიზეზები, რის გამოც ჩვენ უნდა ვიგლოვით, რადგან, აჰა, რამდენი ჩვენი ძმათაგანი დაიხოცა და მათი სისხლი ამაოდ დაიდგარა; და ეს ყველაფერი – ურჯულოების გამო.

25 ვინაიდან, ეს ხალხი რომ არ ჩავარდნილიყო შეცოდებაში,

უფალი არ დაუშვებდა, რომ ეს დიდი ბოროტება მათზედ მოვლენილიყო. მაგრამ, აჰა, მათ ყური არ დაუგდეს მის სიტყვებს; და წარმოიქმნა განხეთქილებები მათ შორის, იმდენად დიდი, რომ ერთმანეთის სისხლიც კი დაღვარეს.

26 და მათ მოკლეს უფლის წინასწარმეტყველი; დიახ, ღმერთის ამორჩეული კაცი, რომელიც მათ ეუბნებოდა თავიანთი სიბოროტისა და სისაძაგლის შესახებ და წინასწარმეტყველებდა მრავალ რამეს, რაც უნდა მოხდეს, დიახ, ქრისტეს მოსვლაზეც კი.

27 და რადგან მან უთხრა, რომ ქრისტე არის ღმერთი, ყველაფრის მამა და თქვა, რომ მიიღებდა ადამიანის ხატებას და ეს იქნებოდა ხატება, რომლის მიხედვითაც ადამიანი იყო შექმნილი დასაბამიდანვე ანუ სხვა სიტყვებით, მან თქვა, რომ ადამიანი შექმნილია ღმერთის ხატად და ღმერთი ჩამოვა ადამიანთა შვილებს შორის, მიიღებს საკუთარ თავზე ხორცსა და სისხლს და ივლის დედამიწის ზედაპირზე.

28 და ახლა, იმის გამო, რომ მან ეს თქვა, მათ ის მოკლეს; და კიდევ მრავალი რამე ჩაიდინეს მათ, რამაც მათზე ღმერთის რისხვა მოაგვლინა. ამიტომ, ვის უკვირს, რომ არიან მონობაში და მწარე გაჭირვებისგან ნაცემნი?

29 რადგან, აჰა, უფალმა თქვა: მე არ დავეხმარები ჩემს ხალხს

მათი შეცოდების ჩადენის დღეს; არამედ გზას გადაუჯობავ მათ, რათა ვერ აყვავდნენ; და საქმენი მათი იქნება მათ წინ, როგორც დაბრკოლების ლოდი.

30 და კვლავ, ის ამბობს: თუ ჩემი ხალხი დათესავს სიბინძურეს, ისინი გრივალში მის ბზეს მოიძიან; და შხამი იქნება ამის შედეგი.

31 და კვლავ, ის ამბობს: თუ ჩემი ხალხი დათესავს სიბინძურეს, ის მოიძიეს აღმოსავლეთის ქარს, რომელსაც მოაქვს მყისიერი განადგურება.

32 და ახლა, აჰა, უფლის დაპირება აღსრულდა და თქვენ ხართ ნაცემნი და გაჭირვებულნი.

33 მაგრამ, თუ მიუბრუნდებით უფალს, გულის მთელი მოწადინებით და მას მიანდობთ თქვენს სასოებას და ემსახურებით გონების მთელი სიბეჯითით, თუ ასე იზამთ, მაშინ ის, მისი ნებისა და სურვილის შესაბამისად, მონობიდან გამოგიხსნით.

თავი 8

ამონი ასწავლის ლიმხის ხალხს. ის შეიტყობს იარედიელთა ოცდაოთხი ფირფიტის შესახებ. ნათელმჭკვრეტელებს შეუძლიათ უძველესი ჩანაწერების თარგმნა. არ არსებობს ნათელმჭკვრეტელობაზე უფრო დიდი ძღვენი. დაახლოებით 121 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და იყო ასე, რომ მას შემდეგ,

რაც მეფე ლიმხიმ დაამთავრა თავისი ხალხისადმი მიმართვა, რადგან ის მათ ბევრ რამეზე ელაპარაკა და მე მხოლოდ ცოტადენი ჩავწერე ამ წიგნში, მან უთხრა თავის ხალხს ყველაფერი თავიანთი ძმების შესახებ, რომლებიც იყვნენ ზარაჰემლას მიწაზე.

2 და მან ბრძანა, რომ ამონი გამოსულიყო შეკრებილთა წინაშე და კიდევ ერთხელ მოეთხრო მათთვის ყველაფერი, რაც მათ ძმებს თავს გადახდათ მას შემდეგ, რაც ზენიფი წამოვიდა იმ მიწიდან, მანამდე, სანამ ის თვითონ წამოვიდოდა იმ მიწიდან.

3 და მან ასევე გაუშეორა მათ უკანასკნელი სიტყვები, რომლებიც მათ მეფე ბენიამინმა ასწავლა და აუხსნა ისინი მეფე ლიმხის ხალხს, რათა მათ გაეგოთ ყოველი სიტყვა, რომელიც მან ილაპარაკა.

4 და იყო ასე, რომ მას შემდეგ, რაც მან ეს ყველაფერი გააკეთა, მეფე ლიმხიმ გაუშვა შეკრებილნი და ბრძანა, რომ ყოველი მათგანი დაბრუნებულიყო საკუთარ სახლში.

5 და იყო ასე: მან ბრძანა, რომ ფირფიტები, რომლებიც მოიცავს თავისი ხალხის ჩანაწერებს, იმ დროიდან, რაც მათ დატოვეს ზარაჰემლას მიწა, უნდა მოეტანათ ამონთან, რათა მას ისინი წაეკითხა.

6 ახლა, როგორც კი ამონმა

წაიკითხა ჩანაწერები, მეფემ ჰკითხა, რათა გაეგო, შეეძლო თუ არა მას ენებიდან თარგმნა და ამონმა უთხრა, რომ მას არ შეეძლო.

7 და მეფემ მას უთხრა: ვიყავი რა დამწუხრებული ჩემი ხალხის გაჭირვებით, ვბრძანე, რომ ჩემი ხალხისგან ორმოცდასამი კაცი წასულიყო უდაბნოში სამოგზაუროდ, რათა მათ ამრიგად ეპოვნათ ზარაჰემლას მიწა, რომ თხოვნით მიგვემართა ჩვენი ძმებისათვის, გამოგვეხენით მოზობიდან.

8 და ისინი მრავალი დღის განმავლობაში დაკარგულნი იყვნენ უდაბნოში, იყვნენ ბეჯითნი, მაგრამ ვერ იპოვეს ზარაჰემლას მიწა, თუმცა დაბრუნდნენ ამ მიწაზე, იმოგზაურეს რა მიწაზე მრავალ წყლებს შორის, აღმოაჩინეს მიწა, ადამიანთა და მხეცთა ძვლებით დაფარული და ასევე დაფარული ყველანაირი შენობების ნანგრევებით, აღმოაჩინეს მიწა, ოდესღაც ადამიანებით დასახლებული, რომელნიც ისეთივე მრავალრიცხოვანნი იყვნენ, როგორც ისრაელის ლაშქარი.

9 და იმის მოწმობად, რომ მათ მიერ ნათქვამი იყო ჭეშმარიტება, მათ მოიტანეს გრავიურებით დაფარული ოცდაოთხი ფირფიტა და ისინი სუფთა ოქროსია.

10 და აჰა, ასევე მათ მოიტანეს სამკერდულები, რომლებიც

დიდებია და სპილენძისა და თითბრისგან არის გამოჭედილი, შესანიშნავ მდგომარეობაში.

11 და ასევე, მათ მოიტანეს ხმლები, რომელთა სახელურები იყო დაკარგული და პირები ჟანგისგან იყო შეჭმული; და ამ მიწაზე არავინ არის ისეთი, ვინც შეძლებდა იმ ენიდან ანუ ფირფიტებზე ამოტვიფრული გრავიურების, გადათარგმნას, ამიტომ გკითხე, შეგიძლია თუ არა თარგმნა?

12 და მე კვლავ გეუბნები: იცი თუ არა ვინმე, ვისაც თარგმნა შეუძლია? რადგან მე მსურს, რომ ეს ჩანაწერები გადაითარგმნოს ჩვენს ენაზე; რადგან, იქნებ მათმოგვცენ ცოდნა იმ ხალხის ნარჩენის შესახებ, რომელიც განადგურდა, საიდანაც მოვიდა ეს ჩანაწერები; ან, იქნებ, მათ მოგვცენ ცოდნა ზუსტად ამ ხალხის შესახებ, რომელიც განადგურდა და მე მსურს, გავიგო მათი განადგურების მიზეზი.

13 ახლა ამონმა მას უთხრა: მე დანამდვილებით შემიძლია გითხრა, მეფეო, იმ კაცზე, რომელსაც შეუძლია ამ ჩანაწერების თარგმნა; რადგან მას აქვს რაღაც, რაშიც შეუძლია ჩაიხედოს და გადათარგმნოს ყველა უძველესი ჩანაწერი. და ეს არის ძღვენი ღმერთისაგან. და იმ საგნებს ჰქვია სათარგმნი ხელსაწყოები და არავის არ შეუძლია მათში ჩახედვა, თუ მას ეს ნაბრძანები არ აქვს, რათა არ

ექებოს ის, რაც არ არის საჭირო და არ დაიდუჰოს. და ვისაც ნაბრძანები აქვს მათში ჩახედვა, ჰქვია ნათელმჭკრეტელი.

14 და აჰა, იმ ხალხის მეფე, რომელიც არის ზარაჰემლას მიწაზე, არის ის ადამიანი, რომელსაც აქვს ნაბრძანები ამის კეთება და რომელსაც აქვს ეს უმაღლესი ძღვენი ღმერთისაგან.

15 და მეფემ თქვა, რომ ნათელმჭკრეტელი უფრო დიდია, ვიდრე წინასწარმეტყველი.

16 და ამონმა თქვა, რომ ნათელმჭკრეტელი ასევე არის გამომცხადებელი და წინასწარმეტყველი; და ამაზე უფრო დიდ ძღვენს ვერ მიიღებს ვერცერთი ადამიანი, თუ მას არ ექნება ღვთის ძალა, რაც შეუძლებელია ადამიანისთვის; თუმცა მაინც, ადამიანს შეუძლია ჰქონდეს ღმერთისგან ნაბრძანები დიდი ძალა.

17 მაგრამ ნათელმჭკრეტელს შეუძლია იცოდეს ის, რაც იყო და ასევე ის, რაც იქნება; და მათი მეშვეობით ყველაფერი ცხადი გახდება ანუ საიდუმლო გამოვლინდება და დაფარული გამოვა სინათლეზე; და რაც უცნობია გახდება ცნობილი მათი მეშვეობით, ასევე მათგან გახდება ცნობილი ის, რისი ცოდნაც სხვანაირად შეუძლებელი იქნებოდა.

18 ამგვარად, ღმერთმა მოგვცა საშუალება, ადამიანმა, რწმენის მეშვეობით, შეძლოს ძღვეამო-

სილი სასწაულების მოხდენა; ამიტომ, ის დიდ სიკეთედ მოეკლინება თავის მოყვასთ.

19 და ახლა, როდესაც ამონმა დაასრულა ამ სიტყვების წარმოთქმა, მეფეს ძალზედ გაუხარდა და მადლობა შესწირა ღმერთს სიტყვებით: უეჭველად, ამ ფირფიტებში ინახება დიდი საიდუმლო და ეს მთარგმნელი ხელსაწყოები უეჭველად მომზადებული იყო იმისათვის, რომ ადამიანთა შვილებისთვის გაეხსნათ ყველა ასეთი საიდუმლოება.

20 რაოდენ საოცარია უფლის საქმენი და რაოდენ დიდხანს უთმენს ის თავის ხალხს; დიახ, როგორი ბრმა და შეუვალია ადამიანთა შვილების შეგნება; რადგან არ ეძებენ სიბრძნეს და არც სურთ, რომ ის იყოს მათი მმართველი!

21 დიახ, ისინი არიან, როგორც გაველურებული ფარა, რომელიც მწყემსს გაურბის და გაიფანტება და ტყის მხეცების მიერ იღვენება და იჭმევა.

ზენიფის ჩანაწერები. მისი ხალხის ამბავი, იმ დროიდან, როდესაც დატოვეს ზარაჰემლას მიწა იმ დრომდე, როდესაც გამოხსნილნი იქნენ ლამანიელთა ხელიდან.

შეიცავს მე-9-დან 22-ე თავის ჩათვლით.

თავი 9

ზენიფი მიუძღვება წინ ჯგუფს ზარაჰემლადან, რათა დაეუფლოს ლეხი-ნეფის მიწას. ლამანიელთა მეფე ნებას რთავს მათ, რომ სამემკვიდრეოდ მიიღონ ის მიწა. ლამანიელთა და ზენიფის ხალხს შორის ომია. დაახლოებით 200-187 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 მე, ზენიფი, ვიყავი რა განსწავლული სრულიად ნეფიელთა ენაზე და მქონდა ცოდნა ნეფის მიწის შესახებ ანუ ჩვენი მამების პირველი მემკვიდრეობის მიწაზე და ვიყავი რა მოგზაენილი, როგორც მზვერაფი ლამანიელთა შორის, რათა თვალი მედევნებინა მათი ძალებისთვის, რათა ჩვენს ჯარს შეძლებოდა მათზე თავდასხმა და განადგურება. მაგრამ როდესაც ვიხილე ის, რაც კარგი იყო მათ შორის, ვისურვე, რომ არ განადგურებულევნენ ისინი.

2 ამიტომ, მე დავუპირისპირდი ჩემს ძმებს უდაბნოში, რადგან მსურდა, რომ ჩვენს მმართველს დაედო მათთან ზავი; მაგრამ მან, იყო რა სასტიკი და სისხლს მოწყურებული კაცი, ბრძანა, რომ მოვეკალი; მაგრამ გადავრჩი დიდი სისხლისღვრის შედეგად; მამა მამას ებრძოდა და ძმა ძმას, იქამდე, სანამ უდაბნოში ჩვენი ჯარის უმეტესი ნაწილი არ განადგურდა; და ჩვენ, რომლებიც გადავრჩით,

დავბრუნდით ზარაჰემლას მიწაზე, რათა მოგვეყოლა ეს ამბავი მათი ცოლებისათვის და მათი შვილებისთვის.

3 და რადგან მე მეტისმეტად მსურდა ჩვენი მამების მიწის მემკვიდრეობით მიღება, შევეკრიბე ყველა, ვინც მოისურვა წამოსვლა, რათა დაგვეპყრო ის მიწა და კვლავ გავეშურეთ უდაბნოში, რომ მივსულიყავით მიწაზე; მაგრამ ჩვენ დაგვამარცხა შიმშილმა და მწარე გაჭირვებამ; რადგან უფლის, ჩვენი ღმერთის გახსენებაში ვიყავით ზანტნი.

4 მიუხედავად ამისა, უდაბნოში მრავალი დღის ხეტიალის შემდეგ, ჩვენ გავშალეთ კარვები იმ ადგილზე, სადაც დახოცილნი იყვნენ ჩვენი ძმები, რომელიც შორიახლოს იყო ჩვენი მამების მიწიდან.

5 და იყო ასე, რომ მე, ჩემს ოთხ კაცთან ერთად, კვლავ შევედი ქალაქში მეფესთან, რათა გამეგო მეფის განწყობა და მცოდნოდა, შევძლებდი თუ არა ჩემს ხალხთან ერთად წასვლას და იმ მიწის მშვიდობიანად დაუფლებას.

6 და მე მივედი მეფესთან და მან დადო ჩემთან აღთქმა, რომ მე შემემლო დავუფლებოდი ლეხი-ნეფისა და შილომის მიწას.

7 და მან ასევე ბრძანა, რომ მისი ხალხი გამოსულიყო იმ მიწიდან და მე და ჩემი ხალხი შევსულიყავით მიწაზე, რათა მას დავუფლებოდით.

8 და ჩვენ დავიწყეთ შენობების შენება და ქალაქის კედლების შეკეთება, დიახ, ლეხი-ნეფის ქალაქისა და შილომის ქალაქის კედლებისა.

9 და ჩვენ დავიწყეთ მიწის დამუშავება, დიახ, ყველანაირი თესლით, სიმინდითა და ხორბლით და ქერით და ნეასითა და შეუმით, ასევე ხილის ყველანაირი თესლით; და ჩვენ დავიწყეთ გამრავლება და აყვავება ამ მიწაზე.

10 მაგრამ ეს იყო მეფე ლამანის მზაკრობა და ვერაგობა, რათა ჩემი ხალხი მონობაში ჩაეგდო, რისთვისაც მან გადმოგვცა მიწა მფლობელობაში.

11 ამიტომ, იყო ასე, რომ მას შემდეგ, რაც ჩვენ ამ მიწაზე თორმეტი წელი ვიცხოვრეთ, მეფე ლამანი შეშფოთებამ მოიცვა, რომ ჩემი ხალხი როგორმე არ გამტკიცებულყო ამ მიწაზე, რომ ისინი ველარ შეძლებდნენ მათ დაძლევას და მონობაში ჩაგდებას.

12 ახლა, ისინი იყვნენ ზარმაცი და კერპთაყვანისმცემელი ხალხი; ამიტომაც სურდათ ჩვენი მონობაში ჩაგდება, რათა გამძარიყვნენ ჩვენი ხელის ნაშრომით; დიახ, რომ ენადიმათ ჩვენი ფარებით მინდვრებზე.

13 ამიტომ, იყო ასე, რომ მეფე ლამანმა დაიწყო თავისი ხალხის აღრევა, რომ ისინი ჩემს ხალხს დაპირისპირებოდნენ; ამიტომ, ამ მიწაზე დაიწყო ომები და განხეთქილებები.

14 რადგან, ნეფის მიწაზე ჩემი მმართველობის მეცამეტე წელს, შილომის მიწიდან მოშორებით, სამხრეთისკენ, როდესაც ჩემი ხალხი ასმევედა და აძოვებდა საკუთარ ფარებს და ამუშავებდა საკუთარ მიწას, ლამანი-ელთა მრავალრიცხოვანი ჯარი თავს დაესხა მათ და დაიწყო მათი ხოცვა და მათი ფარებისა და მათი მინდვრებიდან სიმინდის წართმევა.

15 დაიხ, იყო ასე, რომ ისინი გაიქცნენ, ვინც ვერ შეიპყრეს, ყველანი ნეფის ქალაქში გაიქცნენ და დაცვას მოხვდნენ.

16 და იყო ასე, რომ შევაიარაღე ისინი მშვილდებითა და ისრებით, ხმლებითა და მახვილებით, ხელკეტებითა და შურდულებით და ყველანაირი იარაღით, რისი გამოგონებაც შეგვეძლო; და მე და ჩემმა ხალხმა დავიწყეთ ლამანიელების წინააღმდეგ ბრძოლა.

17 დიახ, უფლის ძალით, ჩვენ ჩავერთეთ ბრძოლაში ლამანიელების წინააღმდეგ; რადგან მე და ჩემი ხალხი მხურვალედ შევვადიდებდით უფალს, რომ გამოვეხსენით მტრის ხელიდან, რადგან ჩვენში ჩვენი მამების გამოსხნის ხსოვნამ გამოიღვიძა.

18 და ღმერთმა შეისმინა ჩვენი ღაღადი და უპასუხა ჩვენს ლოცვებს; და წინ წავედით მისი ძალით; დიახ, ჩავერთეთ ბრძოლაში ლამანიელთა წინა-

აღმდეგ; და ერთ დღესა და ღამეში დაეხოცეთ სამი ათას ორმოცდასამი; და ვხოცავდით მათ იქამდე, სანამ არ განვდევნეთ ჩვენი მიწიდან.

19 და მე თვითონ, ჩემი ხელით ვეხმარებოდი მათი მკვდრების დამარხვაში. და აჰა, ჩვენდა საგოდებლად და დიდად სამწუხაროდ, ჩვენს ძმათაგან ორას სამოცდაცხრამეტი იყო მოკლული.

თავი 10

მეფე ლამანი კვდება. მისი ხალხი არის ველური, სასტიკი და სწამთ ცრუ ჩვეულებები. ზენიფი და მისი ხალხი მათ ამარცხებენ. დაახლოებით 187-160 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და იყო ასე, რომ ჩვენ კვლავ დავიწყეთ სამეფოს ჩამოყალიბება და კვლავ ვფლობდით იმ მიწას მშვიდობიანობაში. და მე ვბრძანე, რომ დამზადებულიყო ყველანაირი საომარი იარაღი, რათა ამგვარად, ჩემი ხალხისთვის მქონოდა იარაღი იმ დროისათვის, როდესაც ლამანიელები კვლავ მოვიდოდნენ ჩემი ხალხის წინააღმდეგ საომრად.

2 და მე დავაყენე მცველები მიწის გარშემო, რათა ლამანიელებს ვერ შეძლებოდათ კვლავ მოულოდნელად თავდასხმა და ჩვენი განადგურება; და ამგვარად, მე ვიცავდი ჩემს ხალხსა და ფარებს და ვუფრთხილდებოდი,

რომ არ ჩავარდნილიყვნენ მტრის ხელში.

3 და იყო ასე, რომ ჩვენ ვფლობდით მამების მიწას მრავალი წლის განმავლობაში, დიახ, ოცდაორი წლის განმავლობაში.

4 და მე ვბრძანე, რომ კაცებს მიწა დაემუშავებინათ და მოეყვანათ ყველანაირი მარცვლეული და ყველანაირი ხილი, ყოველი სახეობისა.

5 და მე ვბრძანე, რომ ქალებს დაერთოთ ნართი და ეშრომათ და ემუშავათ და დაემზადებინათ ყველანაირი დახვეწილი თეთრეული, დიახ, და ყველანაირი სამოსი, რათა დაგვეფარა ჩვენი სიშიშველე. და ასეთნაირად ვყვოდით ამ მიწაზე, ასეთნაირად გვქონდა უწყვეტი მშვიდობა იმ მიწაზე ოცდაორი წლის განმავლობაში.

6 და იყო ასე, რომ მეფე ლამანი მოკვდა და მისმა შვილმა დაიწყო მის მაგივრად მმართველობა. და მან დაიწყო თავისი ხალხის აღრევა, რათა ისინი აჯანყებულიყვნენ ჩემი ხალხის წინააღმდეგ; ამიტომ, მათ დაიწყეს ომისათვის მზადება და იმისათვის, რომ წამოსულიყვნენ ჩემი ხალხის წინააღმდეგ საბრძოლველად.

7 მაგრამ მე გავაგზავნე ჩემი მზვერავები შემლონის მიწის გარშემო, რათა შეძლებოდა შემეტყუო მათი მზადების შესახებ, რომ დაცული ვყოფილიყავი მათ წინააღმდეგ, რომ ჩემს ხალხს

თავს არ დასხმოდნენ და არ განადგურებინათ ისინი.

8 და იყო ასე, რომ ისინი წამოვიდნენ ჩრდილოეთით, შილომის მიწიდან, თავიანთი უამრავი მხედრებით, მეომრებით, მშვილდებითა და ისრებით შეიარაღებულნი, ხმლებითა და მახვილებით, ქვებითა და შურდულებით; და თავები მთლიანად გადაპარსული ჰქონდათ და ტყავის სარტყელი თეძოზე ჰქონდათ შემოხვეული.

9 და იყო ასე: ვბრძანე, რომ ჩემი ხალხის ქალები და ბავშვები გადაემაღათ უდაბნოში; და ასევე ვბრძანე, რომ ყველა ჩემი მოხუცი კაცი, რომელიც შეძლებდა იარაღის ტარებას, ასევე ყველა ჩემი ახალგაზრდა მამაკაცი, რომელიც შეძლებდა იარაღის ტარებას, ერთად შეკრებილიყვნენ, რათა ერთად წასულიყვნენ ღამანიელთა წინააღმდეგ საბრძოლველად; და მე ჩავამწკრივე ისინი რიგებად, ყოველი კაცი თავის წლოვანების შესაბამისად.

10 და იყო ასე, რომ ჩვენ წავედით ღამანიელების წინააღმდეგ საბრძოლველად; და მე, მეც კი, ჩემს ხნიერ ასაკში, ღამანიელთა წინააღმდეგ საბრძოლველად წავედი. და იყო ასე, რომ უფლის ძალით წავედით საბრძოლველად.

11 ახლა, ღამანიელებმა არაფერი იცოდნენ უფლის შესახებ, არც უფლის ძალაზე, ამიტომ

ეყრდნობოდნენ მხოლოდ საკუთარ ძალას. და მაინც, ადამიანური ძალის მიხედვით, ისინი ძლიერი ხალხი იყვნენ.

12 ისინი იყვნენ ველურნი და სასტიკნი და სისხლს მოწყურებული ხალხი, სწამდათ რა თავიანთი მამების ჩვეულებების ანუ იმის, რომ განდევნეს იერუსალიმის მიწიდან თავიანთი მამების ურჯულოების გამო და რომ უდაბნოში ძმები მათ უსამართლოდ მოექცნენ და ასევე უსამართლოდ მოექცნენ მათ ზღვის გადაკვეთისას;

13 და კიდევ, რომ მათ უსამართლოდ მოექცნენ, როდესაც იმყოფებოდნენ თავიანთი პირველი მემკვიდრეობის მიწაზე, მას შემდეგ, რაც ზღვა გადმოკვეთეს და ეს ყველაფერი იმიტომ, რომ ნეფი უფრო ერთგული იყო უფლის მცნებების დაცვაში, ამიტომ იგი იყო უფლისგან მადლით მოსილი, რადგან უფალმა შეისმინა მისი ღოცვები და უპასუხა მათ და წინ გაუძღვა მათ უდაბნოში მოგზაურობისას.

14 და ძმები განრისხებულნი იყვნენ მასზე, რადგან არ ესმოდათ უფლის საქმენი; ასევე იყვნენ მასზე განრისხებულნი წყლებზე, რადგან მათ გაიქვავეს გული უფლის წინააღმდეგ.

15 და კიდევ, ისინი იყვნენ მასზე განრისხებულნი, როდესაც მოვიდნენ აღთქმულ მიწაზე, რადგან ამბობდნენ, რომ მან ხელიდან გამოსტაცა მათ ხალხზე

მმართველობა; და ცდილობდნენ მის მოკვლას.

16 და კიდევ, ისინი იყვნენ განრისხებულნი მასზე, რადგან ის წავიდა უდაბნოში, როგორც უფალმა უბრძანა მას და წაიღო ჩანაწერები, რომლებიც ამოტვიფრული იყო სპილენძის ფირფიტებზე და ამბობდნენ, რომ მან ისინი გაძარცვა.

17 და ასეთნაირად ასწავლიდნენ ისინი თავიანთ შვილებს, რომ სძულდეთ ისინი და დახოცონ და რომ უნდა ძარცვონ და აპარტახონ ისინი და აკეთონ ყველაფერი, რაც შეუძლიათ, მათ გასანადგურებლად; ამიტომ, მათ ნეფის შვილებისადმი აქვთ მარადიული სიძულვილი.

18 ზუსტად ამ მიზნის გამო, მეფე ლამანმა, თავისი მზაკვრობით, ვერაგობითა და ღამაზი დაპირებებით მომატყუა, რომ მომეყვანა ეს ჩემი ხალხი ამ მიწაზე, რომ შეეძლოთ მათი განადგურება; დიახ, ამ მრავალი წლის განმავლობაში ჩვენ ვიტანჯებოდით ამ მიწაზე.

19 და ახლა, მე, ზენიფი, მას შემდეგ, რაც ვუთხარი ეს ყველაფერი ჩემს ხალხს ლამანიელთა შესახებ, მოვუწოდე მათ, რომ წასულიყვნენ საბრძოლველად თავიანთი ძალით, უფლისადმი სასოების ნდობით; ამიტომ, ჩვენ შეგვბრძოლეთ მათ, პირისპირ.

20 და იყო ასე, რომ ჩვენ კვლავ განვდევნეთ ისინი ჩვენი მიწიდან;

და იმდენი მათგანი დავხოცეთ დიდ ხოცვა-ჟლეტაში, რომ აღარ დავთვალოთ.

21 და იყო ასე, რომ ჩვენ კვლავ დავბრუნდით ჩვენს საკუთარ მიწაზე და ჩემმა ხალხმა კვლავ დაიწყო საკუთარი ფარების მწყემსვა და მიწის დამუშავება.

22 და ახლა, ვარ რა მოხუცი, გადავეცი სამეფო ჩემს ერთ-ერთ შვილს, ამიტომ, მე მეტს აღარაფერს ვიტყვი. დაე, უფალმა აკურთხოს ჩემი ხალხი. ამინ.

თავი 11

მეფე ნოე მმართველობს სიბოროტით. ის ტკბება თავაშეებული ცხოვრებით ცოლებთან და ხარჭებთან. აბინადი წინასწარმეტყველებს იმაზე, რომ ხალხი მონობაში ჩავარდება. მეფე ნოე ცდილობს მისი სიცოცხლის მოსწრაფებას. დაახლოებით 160–150 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და ახლა, იყო ასე, რომ ზენიფმა გადასცა მეფობა თავის ერთ-ერთ შვილს, ნოეს; ამიტომ, ნოემ დაიწყო მის მაგივრად მმართველობა; და იგი არ მიჰყვებოდა მამამისის გზებს.

2 რადგან, აჰა, ის არ იცავდა ღმერთის მცნებებს, მაგრამ მისდევდა საკუთარი გულის სურვილებს. და მას ჰყავდა მრავალი ცოლი და ხარჭა და დასაშვებს ხდიდა, რომ თავის ხალხს ცოდვა ჩაედინა და გაეკეთებინა

ის, რაც ბილწი იყო უფლის თვალში. დიახ, ისინი სწადიოდნენ მრუშობასა და ყოველგვარ სიბოროტეს.

3 და მან ბეგარა დაადო მთელი მათი ქონების ერთ მეხუთედს: მათი ოქროსი და ვერცხლის ერთ მეხუთედს, ზიფისა და თითბირის ერთ მეხუთედსა და მათი სპილენძისა და რკინის; და ნასუქი საქონლის ერთ მეხუთედსა და ასევე მათი ხორბლის ერთ მეხუთედს.

4 და ამ ყველაფერს იღებდა, რათა ერჩინა საკუთარი თავი და ცოლები და ხარჭები; და ასევე თავისი მღვდლები და მათი ცოლები და ხარჭები; ასეთნაირად მან შეცვალა სამეფოს საქმენი.

5 რადგან მან გაყარა მამამისის მიერ ნაკურთხი ყველა მღვდელი და მათ ნაცვლად ახლები აკურთხა, რომლებიც აღზევებულნი იყვნენ გულის ამპარტავნობით.

6 დიახ, ამგვარად, მათ უზრუნველყოფდნენ თავიანთ სიზარმაცეში და კერპთაყვანისმცემლობაში და მრუშობაში ბეგართ, რომელიც მეფე ნოემ დაუწესა თავის ხალხს; ამგვარად, ხალხი მეტისმეტად ბევრს შრომობდა, რათა ურჯულოება ერჩინა.

7 დიახ, ისინი ასევე გახდნენ კერპთაყვანისმცემლები, რადგან მოტყუებულ იქნენ მეფისა და მღვდელთა ამო და პირფრული სიტყვებით; რადგან ისინი

უკუნებოდნენ მათ პირფრულ სიტყვებს.

8 და იყო ასე, რომ მეფე ნოემ ააშენა მრავალი ლამაზი და ფართო შენობა; და მოაპირკეთა ისინი ლამაზი ხის ნაკეთობებით და ყველანაირი ძვირფასი ნივთებით, ოქროსა და ვერცხლის, რკინისა და სპილენძის და ზიფისა და თითბირისგან;

9 და მან ასევე აიშენა ფართო სასახლე და მის შუაგულში – ტახტი; და ეს ყველაფერი იყო ძვირფასი ხისგან და მოპირკეთებული იყო ოქროთი და ვერცხლით და ძვირფასი ნივთებით.

10 და მან ბრძანა, რომ მის ხელოსნებს დაემზადებინათ ყველანაირი ლამაზი ნაკეთობები ტაძრის კედლებში, ძვირფასი ხის და თითბრისა და სპილენძისგან.

11 და სკამები, რომლებიც გამოყოფილი იყო მღვდელმთავრებისთვის, რომლებიც ყველა დანარჩენ სკამებზე მაღალი იყო, მან მოაპირკეთა სუფთა ოქროთი; და ბრძანა, რომ გაეკეთებინათ მათ წინ მოაჯირი, რათა მოესვენებინათ მასზედ ტანი და ხელები, ადამიანებისთვის ცრუ და ამო სიტყვების თქმისას.

12 და იყო ასე, რომ მან ააგო კოშკი ტაძართან ახლოს; დიახ, ძალზედ მაღალი კოშკი, იმდენად მაღალი, რომ მას შეეძლო მის წვერზე დამდგარიყო და ზემოდან ეცქირა შილომის

მიწისათვის და ასევე შემლონის მიწისათვის, რომელსაც ფლობდნენ ლამანიელები; და ასევე შეეძლო ექცირა გარშემო მთელი მიწისთვის.

13 და იყო ასე, რომ მან ბრძანა, აეშენებინათ მრავალი შენობა შილომის მიწაზე; და ბრძანა, რომ დიდი კოშკი აშენებულიყო გორაკზე, შილომიდან ჩრდილოეთით, რომელიც იყო თავშესაფარი ნეფის შვილებისათვის იმ დროს, როდესაც ისინი მიწიდან გაიქცნენ; და ამგვარად ექცეოდა იგი იმ სიმდიდრეებს, რომელთაც თავისი ხალხის გადასახადებიდან იღებდა.

14 და იყო ასე, რომ მან საკუთარი გული გადააფარა თავის სიმდიდრეს და ატარებდა დროს თავაშეებულ ცხოვრებაში, თავის ცოლებსა და ხარჭებთან, ასევე მღვდლებიც ატარებდნენ დროს მეძავეებთან.

15 და იყო ასე, რომ მან დარგო ვენახი მიწის გარშემო და ააშენა ღვინის საწურები და გააკეთა ბევრი ღვინო; და ამიტომ გახდა ის ღვინის მსმელი და ასევე მისი ხალხიც.

16 და იყო ასე, რომ ლამანიელებმა დაიწყეს მის ხალხზე თავდასხმები, პატარა ჯგუფებზე და ხოცავდნენ მათ მინდვრებში იმ დროს, როდესაც ისინი მწყემსავდნენ ფარებს.

17 და მეფე ნოემ გააგზავნა მცველები მიწის გარშემო, რათა არ მოეშვათ ისინი; მაგრამ არ

გააგზავნა საკმარისი რაოდენობა და ლამანიელები დაესხნენ მათ თავს და დახოცეს ისინი და მიწიდან წაიყვანეს მათი მრავალი ნახირი; ამგვარად, ლამანიელებმა დაიწყეს მათი განადგურება და თავიანთი სიძულვილის გამოვლენა მათზედ.

18 და იყო ასე, რომ მეფე ნოემ გააგზავნა თავისი ჯარები მათ წინააღმდეგ და ისინი უკუგდებულ იქნენ ანუ ისინი რაღაც დროით უკუგდებულნი იყვნენ; ამიტომ, ისინი უკან დაბრუნდნენ, თავიანთი ნადავლით გახარებულნი.

19 და ახლა, ამ დიდი გამარჯვების გამო, ისინი თავიანთი გულების ამპარტავნობით აღზევდნენ; ტრაბახობდნენ საკუთარი ძალით, ამბობდნენ რა, რომ ორმოცდაათ მათგანს შეეძლო წინააღმდეგობა გაეწია ათასობით ლამანიელთათვის; ამგვარად ტრაბახობდნენ და ტკებუოდნენ სისხლით და თავიანთი ძმების სისხლისღვრით და ეს იყო მათი მეფისა და მღვდლების სიბოროტის გამო.

20 და იყო ასე, რომ მათ შორის იყო კაცი, რომელსაც ერქვა აბინადი; და იგი დადიოდა მათ შორის და დაიწყო წინასწარმეტყველება სიტყვებით: აჰა, ასე ამბობს უფალი და ასე მიბრძანა სიტყვებით: წადით და ამ ხალხს უთხარით: ასე ამბობს უფალი – ვარამი ამ ხალხს, რადგან მე

ვიხილე მათი სისაძაგლე და მათი სიბოროტე და მრუშობა; და თუ არ მოინანიებენ, მოგვევლინები მათ ჩემი რისხვით.

21 და თუ არ მოინანიებენ და არ მიუბრუნდებიან უფალს, თავიანთ ღმერთს, აჰა, მე მათ ჩავაგდებ მტრის ხელში; დიახ, ჩააგდებენ მონობაში; და დაიტანჯებიან მტრის ხელით.

22 და ასე იქნება, ისინი შეიცნობენ, რომ მე ვარ უფალი, მათი ღმერთი და ვარ შურისმგებელი ღმერთი, ჩემი ხალხის ურჯულოების დამსჯელი.

23 და იქნება ასე, რომ თუ ეს ხალხი არ მოინანიებს და არ მიუბრუნდება უფალს, თავიანთ ღმერთს, მას მონობაში ჩააგდებენ და არავინ არ გამოიხსნის, უფლის, ყოვლადძლიერი ღმერთის გარდა.

24 დიახ, იქნება ასე, რომ როდესაც შემომღალადებენ, მე არ ვიჩქარებ მათი ღალადის მოსმენას; დიახ, დავუშვებ, რომ ნაცემნი იყვნენ მტრის მიერ.

25 და თუ არ მოინანიებენ, ძაძებში და ნაცარში, და არ შეჰღალადებენ მხურვალედ უფალს, თავიანთ ღმერთს, მე არ მოვისმენ მათ ლოცვებს და არც გამოვიხსნი მათ გაჭირვებიდან; და ასე ამბობს უფალი და ასე მიბრძანა მე.

26 ახლა იყო ასე, როდესაც აბინადიმ უთხრა ეს სიტყვები, ისინი განრისხდნენ მასზე და შეეცადნენ მისი სიცოცხლის

მოსწრაფებას; მაგრამ უფალმა გამოიხსნა იგი მათი ხელიდან.

27 და ახლა, როდესაც მეფე ნოემ გაიგო იმ სიტყვების შესახებ, რომლებიც აბინადიმ უთხრა ხალხს, ისიც განრისხდა და თქვა: ვინ არის აბინადი, რომ მე და ჩემს ხალხს გესჯის, ან ვინ არის უფალი, რომელიც ჩემს ხალხზე მოაგვლენს ასეთ დიდ გაჭირვებას?

28 მე გიბრძანებთ: მოიყვანოთ აქ აბინადი, რათა მოგვლა, რადგან მან თქვა ეს ყველაფერი, რომ ჩემს ხალხში გაადვივოს წყრომა ერთმანეთის მიმართ და გამოიწვიოს განხეთქილება ჩემს ხალხში; ამის გამო მე მას მოგვკლავ.

29 ახლა, ამ ხალხის თვალები დაბრმავებულ იქნა; ამიტომ, მათ გაიქვავეს გული აბინადის სიტყვების მიმართ და მას შემდეგ ცდილობდნენ მის შეპყრობას. და მეფე ნოემ გაიქვავა გული უფლის სიტყვების მიმართ და არ მოინანია თავისი ბოროტი საქმენი.

თავი 12

აბინადი დაპატიმრებულია იმისათვის, რომ წინასწარმეტყველებდა ხალხის განადგურებასა და მეფე ნოეს სიკვდილის შესახებ. ცრუ მღვდლებს მოჰყავთ სიტყვები წმინდა წერილებიდან და თავი მოაქვთ, თითქოს მოსეს რჯულს იცავენ. აბინადი იწყებს

მათთვის ათი მცნების სწავლებას. დაახლოებით 148 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და იყო ასე, რომ ორი წლის შემდეგ აბინადი გამოჩნდა მათ შორის შენიღბული, ისე რომ მათ ის ვერ იცნეს და მან დაიწყო მათ შორის წინასწარმეტყველება, სიტყვებით: ასე მიბრძანა მე უფალმა, სიტყვებით: აბინადი, წადი და უწინასწარმეტყველე ამ ჩემს ხალხს, რადგან მათ გაიქვავეს გული ჩემი სიტყვების მიმართ; მათ არ მოინანიეს თავიანთი ბოროტი საქმენი; ამიტომ, მე მათ მოვევლინები რისხვით, დიახ, საშინელი რისხვით მოვევლინები მათ მათსავე ურჯულოებასა და სისაძაგლეში.

2 დიახ, ვარამი ამ თაობას! და უფალმა მითხრა: გაუწოდე ხელი და უწინასწარმეტყველე სიტყვებით: ასე ამბობს უფალი, იქნება ასე, რომ ამ თაობას, საკუთარი ურჯულოების გამო, ჩააგდებენ მონობაში და სახეში სცემენ, დიახ, იქნება ადამიანების მიერ დევნილი და მოკლული; დიახ, ცის ორბები და ძაღლები, დიახ გარეული მხეცები შეჭამენ მათ ხორცს.

3 და იქნება ასე, რომ მეფე ნოეს სიცოცხლის ფასი გაუტოლდება სამოსელს გავარვარებულ ღუმელში; რადგან ის გაიგებს, რომ მე ვარ უფალი.

4 და იქნება ასე, რომ მე განვგმირავ ამ ხალხს მწარე

გაჭირვებით, დიახ, შიმშილითა და ჭირით; და ვაიძულებ, რომ იკვნესონ მთელი დღე.

5 დიახ, მე ისე მოვახდენ, რომ მათ ზურგზე ტვირთი ექნებათ მიბმული და მათ გარეკავენ, როგორც უტყვ სახედარს.

6 და იქნება ასე, რომ მე სეტყვას მოვაველენ მათზე და ის მათ განგმირავს; ასევე მათ განგმირავს აღმოსავლეთის ქარი; და მწერები დაფარავენ მათ მიწას და შეჭამენ მათ ხორბალს.

7 და მოედება მათ დიდი ჭირი. და ამ ყველაფერს გავაკეთებ მათი ურჯულოებისა და სისაძაგლის გამო.

8 და იქნება ასე, რომ თუ არ მოინანიებენ, მე მათ მთლიანად გავანადგურებ დედამიწის ზედაპირიდან; მაგრამ ისინი მაინც დატოვებენ ჩანაწერებს და მე მათ შევინახავ სხვა ერებისათვის, რომლებიც მიწას დაეუფლებიან; დიახ, ამას მე ვიზამ, რათა სხვა ერებს ვაცნობო ამ ხალხის სისაძაგლენი. და მრავალი რამ იწინასწარმეტყველა აბინადიმ ამ ხალხის საწინააღმდეგოდ.

9 და იყო ასე, რომ ისინი მასზე განრისხდნენ; და შეიპყრეს იგი და წარადგინეს მეფის წინაშე შებოჭილი და მეფეს უთხრეს: აჰა, ჩვენ მოგვკარეთ ადამიანი, რომელმაც ცუდი იწინასწარმეტყველა შენს ხალხზე და ამბობს, რომ ღმერთი მათ გაანადგურებს.

10 და იგი ასევე ცუდს წინასწარმეტყველებს შენს სიცოცხლეზე და ამბობს, რომ შენი სიცოცხლე იქნება, როგორც სამოსელი ცეცხლის ღუმელში.

11 და კიდევ, იგი ამბობს, რომ იქნები ღეროსავით, მინდვრის გამხმარი ღეროსავითაც კი, რომელზეც მხეცები გადაირბენენ და ფეხქვეშ გათელავენ.

12 და კიდევ, იგი ამბობს, რომ იქნები, როგორც ბრტყელეკალას ყვავილი, რომელიც, როდესაც ბოლომდე მწიფდება, ქარი დაუბერავს და მიმოიფანტება მიწის პირზე. და იგი თავს ისე აჩვენებს, თითქოს ეს უფალმა თქვა. და იგი ამბობს, რომ ეს ყველაფერი შენზედ მოვა, თუ არ მოინანიებ და ეს შენი ურჯულოების გამო იქნება.

13 და ახლა, მეფეო, განა რა დიდი ბოროტება ჩაიდინე ან რა დიდი ცოდვები ჩაიდინა შენმა ხალხმა, რომ ღმერთის მიერ ვიყოთ მსჯავრდებულნი ან ამ კაცის მიერ განსჯილნი?

14 და ახლა, მეფეო, აჰა, ჩვენ უდანაშაულონი ვართ და შენ, მეფეო, არ შეგიცოდავს; ამიტომ, ეს კაცი ცრუობდა შენზედ და ამოდ წინასწარმეტყველებდა.

15 და აჰა, ჩვენ ვართ ძლიერნი, ჩვენ მონობაში არ ჩავცვივდებით და არც მტრის მიერ არ ვიქნებით დატყვევებულნი; დიახ, და შენც აყვავდი ამ მიწაზე და კიდევაც აყვავდები.

16 აჰა, აქ არის ეს კაცი, ჩვენ

მას გადმოგცემთ; შეგიძლია მოექცე მას, როგორც გენებოს.

17 და იყო ასე, რომ მეფე ნოემ ბრძანა აბინადი საპყრობილეში ჩაეგდოთ და მან ბრძანა, რომ მღვდლები ერთად შეკრებილიყვნენ, რათა მათთან ეთათბირა, თუ რა უნდა ექნათ მისთვის.

18 და იყო ასე, რომ მათ მეფეს უთხრეს: აქ მოიყვანე, რათა მისი დაკითხვა შეგძლოთ; და მეფემ ბრძანა, რომ ის მათ წინაშე მოეყვანათ.

19 და მათ დაიწყეს მისი დაკითხვა, რათა ემხილებინათ იგი, რომ ამგვარად რამეში ბრალის დადება შეძლებოდათ; მაგრამ ის მათ პასუხობდა თამამად და უმკლავდებოდა მათ ყოველ შეკითხვას, დიახ, მათ გასაკვირად; რადგან იგი გაუმკლავდა მათ ყოველ შეკითხვას და დაამარცხა მათსავე ყველა სიტყვაში.

20 და იყო ასე, რომ ერთ-ერთმა მათგანმა მას უთხრა: რას ნიშნავს ის სიტყვები, რომლებიც დაწერილია და რასაც ასწავლიდნენ ჩვენი მამები?

21 რა მშვენიერია მთებზე ფეხი იმისა, რომელსაც მოაქვს სასიხარულო ამბები, რომელიც აუწყებს მშვიდობაზე, რომელსაც მოაქვს სასიხარულო ამბები სიკეთისა, რომელიც აუწყებს ხსნას, რომელიც ეუბნება სიონს: მეფობს შენი ღმერთი;

22 შენი გუშაგები აიმაღლებენ ხმას; ერთად იმღერებენ; რადგან თავისი თვალით დაინახავენ,

როდესაც უფალი კვლავ აღადგენს სიონს;

23 მხიარულად შემოსძახეთ; ერთად იმღერეთ, თქვენ, იერუსალიმის გაპარტახებულ მოედნებო; რადგან უფალმა ანუგეშა თავისი ხალხი, მან იერუსალიმი გამოისყიდა;

24 გაიშიშვლა უფალმა წმინდა მკლავი ყველა ერის თვალწინ და დედამიწის ყველა კიდე იხილავს ჩვენი ღმერთის ხსნას?

25 და ახლა, აბინადიმ მათ უთხრა: ხართ კი თქვენ მღვდლები, მოგაქვთ თავი, თითქოს ასწავლით ამ ხალხს და გესმით წინასწარმეტყველების სულის და მაინც ჩემგან გსურთ გაიგოთ, რას ნიშნავს ეს ყველაფერი?

26 მე გეუბნებით: ვარამი თქვენ იმისათვის, რომ ამრუდებთ უფლის გზებს! ვინაიდან თქვენთვის ეს სიტყვები გასაგებიც რომ ყოფილიყო, თქვენ ისინი არ გისწავლებიათ მათთვის; ამიტომ, თქვენ გაამრუდეთ უფლის გზები.

27 თქვენ არ დაუდეთ გული, რათა გაგეგოთ; ამიტომ, გონიერნი არ იყავით. ამიტომ, რას ასწავლით თქვენ ამ ხალხს?

28 და მათ თქვეს: ჩვენ მოსეს რჯულს ვასწავლით.

29 და კვლავ, მან მათ უთხრა: თუ მოსეს რჯულს ასწავლით, მაშინ რატომ არ იცავთ მას? რატომ მიუძღვენით გული სიმდიდრეს? რატომ მრუშობთ და ხარჯავთ მეძაგებთან ძალას,

დიახ, და უბიძგებთ ამ ხალხს ცოდვის ჩადენისაკენ, რის გამოც უფალმა მიბრძანა, რომ მეწინასწარმეტყველებინა ამ ხალხის წინააღმდეგ, დიახ, ამ ხალხის წინააღმდეგ დიდ ბოროტებაზეც კი.

30 ნუთუ არ იცით, რომ სიმართლეს ვლაპარაკობ? დიახ, თქვენ იცით, რომ მე სიმართლეს ვლაპარაკობ და თქვენ უნდა იკანკალოთ ღმერთის წინაშე.

31 და იქნება ასე, რომ დაისჯებით თქვენი ურჯულოებისათვის, რადგან თქვენ თქვით, რომ ასწავლით მოსეს რჯულს. და რა იცით მოსეს რჯულის შესახებ? ნუთუ მოდის მოსეს რჯულით ხსნა? რას იტყვიოთ?

32 და მათ უპასუხეს და თქვეს, რომ ხსნა მოსეს რჯულით მოდის.

33 მაგრამ, ახლა, აბინადიმ მათ უთხრა: მე ვიცი, თუ დაიცავთ ღვთის მცნებებს, – გადარჩებით; დიახ, თუ დაიცავთ იმ მცნებებს, რომელნიც უფალმა მისცა მოსეს სინაის მთაზე, სიტყვებით:

34 მე ვარ უფალი, შენი ღმერთი, რომელმაც გამოგიყვანა ეგვიპტის მიწიდან, მონობის სახლიდან.

35 არ იყოლიო სხვა ღმერთი ჩემ გარდა.

36 არ შეიქმნა ქანდაკება, არც არანაირი ხატი იმისა, რაც მაღლა ზეცაშია ან რაც დაბლა დედამიწაზეა.

37 ახლა, აბინადიმ მათ უთხრა:

შეასრულეთ ეს ყველაფერი? მე თქვენ გეუბნებით – არა, არ შეგისრულებიათ. ასწავლიდით ამ ხალხს, რომ მათ ეს ყველაფერი შეესრულებინათ? მე გეუბნებით – არა, არ გისწავლებიათ.

თავი 13

აბინადი დაცულია ღვთიური ძალით. ის ასწავლის ათ მცნებას. მხოლოდ მოსეს რჯულით ხსნა არ მოვა. ღმერთი თავად გაიდებს გამოსასყიდს და გამოისყიდის თავის ხალხს. დაახლოებით 148 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და ახლა, როდესაც მეფემ მოისმინა ეს სიტყვები, მან თავის მღვდლებს უთხრა: წაიყვანეთ ეს კაცი და მოკალით იგი; რამეთუ რა გვესაქმება მასთან, ვინაიდან იგი შეშლილია.

2 და ისინი წინ წამოვიდნენ და შეეცადნენ მისთვის ხელი ეტაცათ; მაგრამ ის შეეწინააღმდეგა მათ და უთხრა:

3 ნუ შემეხებით, რადგან ღმერთი დაგხოცავთ, ხელს თუ დამაკარებთ, რადგან მე ჯერ არ გადამიცია გზავნილი, რომლის გადმოსაცემადაც უფალმა გამომავგზავნა; და მე ჯერ არ მითქვამს ის, რასაც თქვენ ითხოვდით, რომ მეთქვა; ამიტომ, ღმერთი არ დაუშვებს, რომ ახლა გამანადგუროთ.

4 მაგრამ მე უნდა შევასრულო ბრძანებანი, რომელნიც ღმერთმა

მიბრძანა; და ვინაიდან მე გითხარით სიძარტლე, თქვენ ჩემზე განრისხებულნი ხართ. და კვლავ, იმის გამო, რომ მე ვთქვი ღვთის სიტყვა, თქვენ განსაჯეთ, რომ მე შეშლილი ვარ.

5 ახლა, იყო ასე, მას შემდეგ, რაც აბინადიმ თქვა ეს სიტყვები, მეფე ნოეს ადამიანებმა ვერ გაბედეს მასზე ხელის დაკარება, რადგან უფლის სული იყო მასზე; და მისი სახე ანათებდა კაშკაშა სინათლით, ისე, როგორც მოსე სინაის მთაზე ყოფნისას, უფალთან ლაპარაკის დროს.

6 და ის ლაპარაკობდა ღმერთის ძალითა და უფლებამოსილებით; და აგრძელებდა თავის მიმართვას სიტყვებით:

7 ხედავთ, რომ არ გაქვთ ჩემი მოკვლის ძალა, ამიტომ, მე დავასრულებ ჩემს გზავნილს. დიახ, და მე მესმის, რომ ეს გულში გჭრით, რადგან გეუბნებით სიძარტლეს თქვენი ურჯულოების შესახებ.

8 დიახ, ჩემი სიტყვები გავსებთ გაოცებით, გაკვირებითა და სიბრაზით.

9 მაგრამ მე ვამთავრებ ჩემს გზავნილს; და შემდეგ არა აქვს მნიშვნელობა სად წავალ, თუ იქნება ისე, რომ გადავრჩები.

10 მაგრამ მე ამას გეტყვით: იმას, რასაც თქვენ ამის შემდეგ მიზამთ, იქნება სიმბოლო და აჩრდილი იმისა, რაც მოვა.

11 და ახლა, მე გიკითხავთ

ღვთის დანარჩენ მცნებებს, რადგან მესმის, რომ ისინი არ გაქვთ გულზე დაწერილი; მე მესმის, რომ სწავლობდით და ასწავლიდით ურჯულოებას თქვენი ცხოვრების უმეტეს ნაწილს.

12 და ახლა, თქვენ გახსოვთ, რაც გითხარით: არ შეიქმნა ქანდაკება, არც არანაირი ხატი იმისა, რაც მაღლა ზეცაშია, ან რაც დაბლა დედამიწაზეა, ან რაც წყალშია, მიწის ქვემოთ.

13 და კიდევ: თაყვანი არ სცემათ და არც ემსახურო, რადგან მე ვარ უფალი, ღმერთი შენი, ღმერთი შურისმგებელი, რომელიც მამათა ურჯულოებას შვილებს მოგკითხავ, ჩემს მოძულეთა მესამე და მეოთხე თაობას;

14 და წყალობის მყოფელი ჩემს მოყვარულთა და ჩემი მცნებების დამცველთა მრავალ ათასეულ თაობებისათვის.

15 არ წარმოთქვა უფლის, შენი ღმერთის, სახელი ამოდ; რამეთუ უფალი დაუსჯელს არ დატოვებს მას, ვინც მის სახელს ამოდ ახსენებს.

16 გახსოვდეს შაბათი დღე, რათა წმინდაჰყო იგი.

17 ექვსი დღე იმუშავე და აკეთე ყველა შენი საქმე;

18 მაგრამ მეშვიდე დღეს, უფლის, შენი ღმერთის შაბათს, არა საქმე არ აკეთო არც შენ, არც შენმა ძემ, არც შენმა ასულმა, არც შენმა მსახურმა,

არც შენმა მხევალმა, არც შენმა პირუტყვმა, არც შენმა ხიზანმა, რომელიც შენთან ცხოვრობს.

19 რადგან ექვს დღეში შექმნა უფალმა ცა და მიწა, ზღვა და ყველაფერი, რაც მასშია, ამიტომაც აკურთხა უფალმა შაბათი დღე და წმინდაჰყო იგი.

20 პატივი ეცი მამაშენსა და დედაშენს, რათა დღეგრძელი იყო მიწაზე, რომელსაც გაძღვეს უფალი, შენი ღმერთი.

21 არა კლა.

22 არ იმრუშო. არ იქურდო.

23 არ გამოხვიდე ცრუ მოწმედ შენი მოყვასის წინააღმდეგ.

24 არ ისურვო შენი მოყვასის სახლი, არ ისურვო შენი მოყვასის ცოლი, არც მისი მსახური, არც მისი მხევალი, არც მისი ხარი, არც მისი სახედარი და არც არაფერი, რაც შენი მოყვასისაა.

25 და იყო ასე, რომ როდესაც აბინადიმ დაასრულა ეს სიტყვები, მან მათ უთხრა: ასწავლიდით თუ არა ამ ხალხს, გულმოდგინედ შეესრულებინათ ეს ყველაფერი, რომ დაეცვათ ეს მცნებები?

26 მე გეუბნებით – არა; რადგან თქვენ რომ ეს ყველაფერი გაგეკეთებინათ, უფალი არ იზამდა ისე, რომ მე აქ მოვიდოდი და ცუდს ვიწინასწარმეტყველებდი ამ ხალხზე.

27 და ახლა თქვენ თქვით, რომ ხსნა მოდის მოსეს რჯულით. მე გეუბნებით: საჭიროა, რომ თქვენ

ჯერჯერობით დაიცვათ მოსეს რჯული; მაგრამ მოვა დრო, როდესაც აღარ იქნება საჭირო მოსეს რჯულის დაცვა.

28 და ამის გარდა, მე გეუბნებით, რომ ხსნა მოდის არა მხოლოდ რჯულით; და რომ არა გამოსყიდვა, რომელსაც თვით ღმერთი აღასრულებს საკუთარი ხალხის ცოდვებისა და ურჯულოებისთვის, მაშინ უნდა აუცილებლად დაიღუპონ, მოსეს რჯულის მიუხედავად.

29 და ახლა მე გეუბნებით, რომ საჭირო იყო რჯულის მიცემა ისრაელის შვილებისათვის, დიახ, ძალიან მკაცრი რჯულის მიცემაც კი; რადგან ისინი იყვნენ ქედვიცხელი ხალხი, სწრაფნი ურჯულოების ჩადენაში და ზანტნი უფლის, თავიანთი ღმერთის, გახსენებაში.

30 ამიტომ, მათ მიეცათ რჯული, დიახ, რჯული ადათ-წესებისა და წეს-ჩვეულებების, რჯული, რომელიც მათ მკაცრად უნდა დაეცვათ, დღიდან დღემდე, რათა შეინარჩუნონ ხსოვნა ღმერთისა და მის წინაშე მათი ვალის შესახებ.

31 მაგრამ, აჰა, მე გეუბნებით, რომ ეს ყველაფერი იყო სიმბოლოები იმისა, რაც მოვა.

32 და ახლა, ჩაწვდნენ კი ისინი რჯულს? მე გეუბნებით – არა, ისინი ყველანი ვერ ჩაწვდნენ რჯულს და ეს მათი გულქვაობის გამო; რადგან ვერ გაიგეს, რომ ვერცერთი ადამიანი ვერ

გადარჩება ღმერთის გამოსყიდვის გარეშე.

33 რადგან, აჰა, განა არ იწინასწარმეტყველა მოსემ მათთვის მესიის მოსვლის შესახებ, რომ ღმერთი გამოისყიდოდა თავის ხალხს? დიახ, და ყველა წინასწარმეტყველებიც კი, რომლებიც ოდესმე წინასწარმეტყველებდნენ ქვეყნის დასაბამიდან, ნუთუ ისინი არ ლაპარაკობდნენ მეტნაკლებად ამის შესახებ?

34 ნუთუ არ ამბობდნენ, რომ ღმერთი თავად ჩამოვა ადამიანთა შვილებს შორის, მიიღებს ადამიანის იერსახეს და ძლევა-მოსილი ძალით ივლის დედამიწის ზედაპირზე?

35 დიახ, ნუთუ ასევე არ ამბობდნენ ისინი, რომ ის განახორციელებს მკვდრების აღდგომას; და ის თავად იქნება ჩაგრული და ტანჯული?

თავი 14

ესაია საუბრობს მესიის შესახებ. მოიხსენიება მესიის დამცირება და ტანჯვა. მსხვერპლად შეწირავს საკუთარ სულს ცოდვებისათვის და გაუწევს შუამდგომლობას დამნაშავეებს. შეადარეთ ესაია 53. დაახლოებით 148 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 დიახ, ნუთუ არ ამბობს ესაია: ვინ ირწმუნა ჩვენს მიერ გაგონილი და ვის გამოეცხადა უფლის მკლავი?

2 რადგან ამოიზრდება როგორც მორჩი მის წინაშე და როგორც ფესვი ურწყავი მიწიდან; არც ტანადობა აქვს მას, არც სილამაზე; და როდესაც ვიხილავთ მას, არც მშვენებით იქნება მიმზიდველი.

3 შესაზიზღია ის და კაცთაგან გაკიცხული; კაცი დადარდიანებული და დამწუხარებას ნაზიარები; და ჩვენ სახეს ვარიდებდით მას, შესაზიზღი იყო და არაფრად ვაგდებდით.

4 ნამდვილად, მან იტვირთა ჩვენი მწუხარება და ზიდა ჩვენი დარდი; ჩვენ კი ვფიქრობდით, რომ ნაგვემი იყო, ღვთის მიერ ნაცემი და ტანჯული.

5 მაგრამ ის ჩვენი შეცოდებებისთვის იყო დაჭრილი, ჩვენი ურჯულოებისთვის დაღეწილი; მას დააწვა სასჯელი ჩვენი მშვიდობისათვის; და მისი ჭრილობებით ჩვენ განვიკურნეთ.

6 ჩვენ ყველა, ცხვრებივით ავცდით გზას; თითოეული ჩვენგანი საკუთარ გზას დაადგა და უფალმა მას დააკისრა ყოველი ჩვენგანის ურჯულოება.

7 შევიწროებული იყო და გაჭირვებული, მაგრამ არ გაუხსნია ბაგე; როგორც კრავი, მიჰყავთ იგი დასაკლავად და როგორც მპარსველის წინაშე დადუმებულ ცხვარს, მასაც არ გაუხსნია ბაგე.

8 საპყრობილიდან და სამსჯავროდან იქნა წაყვანილი; და ვინ აუწყებს მისი მოდგმის შესახებ? რადგან მოკვეთილ იქნა

ცოცხალთა მიწიდან; ჩემი ხალხის შეცოდებების გამო იგი განიგმირა.

9 მან ბოროტთა შორის ჰპოვა სამარე და მდიდართა გვერდით იყო თავის სიკვდილში; რადგან ბოროტება არ ჩაუდენია და არც სიცრუე ყოფილა მის ბაგეში.

10 მაგრამ უფალს სურდა მისი დაღეწვა; წამებაში ჩააგდო; როდესაც მისი სული შეეწირება ცოდვის მსხვერპლად, იგი იხილავს თავის შთამომავლობას, მას გაუხანგრძლივდება დღეები და უფლის ნება მისი ხელით მიაღწევს წარმატებას.

11 იგი იხილავს თავისი სულის წამებას და დაკმაყოფილდება; მისი ცოდნით, ჩემი მართალი მსახური ბევრს გაამართლებს; რადგან მათ ურჯულოებას იტვირთავს.

12 ამიტომ, მივცემ მას წილს ღიადთა შორის; და ძლიერებთან ერთად გაინაწილებს ნადავლს; რადგან სასიკვდილოდ გაწირა თავისი სული; და დამნაშავეთა შორის აღირიცხა; და მრავალთა ცოდვები იტვირთა და დამნაშავეთ გაუწია შუამდგომლობა.

თავი 15

როგორ არის ქრისტე მამაც და ძეც. ის უწევს შუამდგომლობას და იტვირთავს თავისი ხალხის შეცოდებებს. ისინი და ყველა წმინდა წინასწარმეტყველი არიან მისი შთამომავლები.

ის ახორციელებს აღდგომას. პატარა ბავშვებს მარადიული სიცოცხლე აქვთ. დაახლოებით 148 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და ახლა, აბინადიმ მათ უთხრა: მე მინდა თქვენ გაიგოთ, რომ ღმერთი თავად ჩამოვა ადამიანთა შვილებს შორის და გამოისყიდის თავის ხალხს.

2 და იმის გამო, რომ იქნება ხორციელი, ის წოდებული იქნება ღმერთის ძე; და რადგან მამის ნებას დაუმორჩილებს ხორცს, არის რა მამაც და ძეც –

3 მამა, რადგან ჩასახულ იქნა ღვთის ძალით; და ძე, ხორცის გამო; ამგვარად, ის გახდა მამაც და ძეც –

4 და ისინი არიან ერთი ღმერთი, დიახ, მარადიული მამა ზეცისა და დედამიწის.

5 ამგვარად, ხორცი სულს ემორჩილება ანუ ძე – მამას, არის რა ღმერთი ერთი, იტანს ცდუნებას და არ უთმობს იმ ცდუნებას, მაგრამ იტანს თავის დაცინვას, მათრახით ცემას და თავის ხალხისაგან გაძევებასა და უარყოფას.

6 და ყოველივე ამის შემდეგ და ადამიანთა შვილებს შორის ამღენი დიდი სასწაულის მოხდენის შემდეგ, მას წაიყვანენ, დიახ, ისე, როგორც თქვა ესაიამ, როგორც ცხვარს, დადუმებულს მპარსველის წინაშე, ასევე მას არ გაუხსნია ბაგე.

7 დიახ, ასეც წაიყვანენ, ჯვარს

აცვამენ და მოკლავენ, ხორცი სიკვდილს დაემორჩილება, შვილის ნებას კი მამის ნება შთანთქავს.

8 ამგვარად, ღმერთი ამსხვრევს სიკვდილის ბორკილებს, იმარჯვებს რა სიკვდილზე; ძალას აძლევს ძეს, რათა გაუწიოს შუამდგომლობა ადამიანთა შვილებს –

9 ზეცაში ამადლებული, აქვს რა წყალობის წიაღი; აღვსილია სიბრალულით ადამიანთა შვილების მიმართ; დგას მათსა და სამართალს შუა; და ამსხვრია რა სიკვდილის ბორკილები, აიღო თავის თავზე მათი ურჯულოება და შეცოდებანი, გამოისყიდა რა ისინი და დააკმაყოფილა სამართლის მოთხოვნილებანი.

10 და ახლა, მე გეუბნებით, ვინ აუწყებს მისი მოდგმის შესახებ? აჰა, მე გეუბნებით, რომ როდესაც მისი სული ცოდვის მსხვერპლად შეიწირება, ის იხილავს თავის შთამომავლობას. და ახლა, თქვენ რას იტყვით? და ვინ იქნება მისი შთამომავალი?

11 აჰა, მე თქვენ გეუბნებით: ყოველმა, ვინც მოისმინა წინასწარმეტყველების სიტყვები, დიახ, ყველა წმინდა წინასწარმეტყველის, რომელნიც წინასწარმეტყველებდნენ უფლის მოსვლაზე, მე გეუბნებით, რომ ყველამ, ვინც ყური დაუგდო მათ სიტყვებს და იწამა, რომ უფალი გამოისყიდიდა თავის ხალხს და

მოელოდნენ იმ დღეს თავიანთი ცოდვების მიტევებისათვის, გეუბნებით, რომ ესენი არიან მისი შთამომავლები ანუ ისინი არიან ღვთის სასუფევლის მემკვიდრენი.

12 რადგან ესენი არიან, ვისი ცოდვებიც მან იტვირთა; ესენი არიან, რომლებსთვისაც ის მოკვდა, რათა გამოეყიდა ისინი თავიანთი შეცოდებებისაგან. და ახლა, ნუთუ არ არიან ისინი მისი შთამომავლები?

13 დიახ, ნუთუ არ არიან წინასწარმეტყველნი მისი შთამომავლები, ყველა, ვინც გახსნეს ბაგე, რათა ეწინასწარმეტყველებინათ, ვინც არ ჩავარდა შეცოდებაში, მე ვგულისხმობ ყველა წმინდა წინასწარმეტყველს ქვეყნის დასაბამიდან? მე გეუბნებით, რომ ისინი არიან მისი შთამომავლები.

14 და ესენი არიან, რომლებმაც აუწყეს მშვიდობა, რომლებმაც მოიტანეს კეთილი ამბები, რომლებმაც აუწყეს ხსნა; და უთხრეს სიონს: მეფობს შენი ღმერთი!

15 და რა მშვენიერი იყო მთებზე მათი ფეხი!

16 და კვლავ, რა მშვენიერია მთებზე მათი ფეხი, რომლებიც ჯერ კიდევ აუწყებენ მშვიდობას!

17 და კვლავ, რა მშვენიერია მთებზე მათი ფეხი, რომლებიც მომავალშიც აუწყებენ მშვიდობას, დიახ, ამიერიდან სამარადისოდ!

18 და აჰა, მე გეუბნებით, ეს არ არის ყველაფერი, რადგან რა

მშვენიერია მთებზე მისი ფეხი, რომელსაც მოაქვს კეთილი ამბები, რომელიც არის მშვიდობის მქმნელი, დიახ, თვით უფალი, რომელმაც გამოისყიდა თავისი ხალხი; დიახ, იგი, რომელმაც თავის ხალხს ხსნა აჩუქა.

19 რადგან, რომ არა გამოეყიდა, რომელიც მან თავისი ხალხისთვის ჩაიდინა, რომელიც მომზადებული იყო ქვეყნის დასაბამიდან, მე გეუბნებით: ეს რომ არა, მთელი კაცობრიობა უნდა დაღუპულიყო.

20 მაგრამ, აჰა, სიკვდილის ბორკილები იქნება დამსხვრეული და მე მეფობს და აქვს ძალა მკვდრებზე; ამიტომ, ის ახდენს მკვდართა აღდგომას.

21 და მოდის აღდგომა, პირველი აღდგომა; დიახ, მათი აღდგომა, რომლებიც იყვნენ, არიან და იქნებიან, ქრისტეს აღდგომამდე, რადგან ასე ერქმევა მას.

22 და ახლა, ყველა წინასწარმეტყველთა აღდგომა და ყველასი, ვინც იწამა მათი სიტყვები ანუ ყველანი, რომლებიც იცავდნენ ღვთის მცნებებს, გამოვლენ პირველ აღდგომაში; ამიტომ, ისინი არიან პირველი აღდგომა.

23 ისინი აღდგებიან, რომ იცხოვრონ ღმერთთან, რომელმაც ისინი გამოისყიდა; ამგვარად, მათ აქვთ მარადიული სიცოცხლე ქრისტეს მეშვეობით, რომელმაც დაამსხვრია სიკვდილის ბორკილები.

24 და ესენი არიან, ვინც მონაწილეობენ პირველ აღდგომაში; და ესენი არიან, რომლებიც გარდაიცვალნენ ქრისტეს მოსვლამდე, თავიანთ უმეცრებაში, რომლებსაც არ ეუწყათ ხსნის შესახებ. და ამგვარად, უფალი ახდენს მათ აღდგენას და ისინი მონაწილეობენ პირველ აღდგომაში ანუ აქვთ მარადიული სიცოცხლე, არიან რა უფლისგან გამოსყიდულნი.

25 და პატარა ბავშვებსაც აქვთ მარადიული სიცოცხლე.

26 მაგრამ, აჰა, გეშინოდეთ და კანკალებდეთ ღმერთის წინაშე, რადგან უნდა გაკანკალებდეთ; რადგან უფალი არ გამოისყიდის მათ, რომლებიც მის წინააღმდეგ ჯანყდებიან და კვდებიან თავიანთ ცოდვებში; დიახ, ყველანი, რომლებიც დაიდუპვნენ თავიანთ ცოდვებში ქვეყნის დასაბამიდან, რომლებიც შეგნებულად აჯანყდნენ ღმერთის წინააღმდეგ, რომლებმაც იცოდნენ ღმერთის მცნებები და არ იცავდნენ მათ, ესენი არიან, რომლებიც არ მონაწილეობენ პირველ აღდგომაში.

27 ამიტომ, ნუთუ არ უნდა გაკანკალებდეთ? რადგან არცერთი მათგანისთვის ხსნა არ მოდის; რადგან არცერთი ასეთი უფალს არ გამოუსყიდია; დიახ, და არც შეუძლია უფალს გამოისყიდოს ასეთი; რადგან არ შეუძლია უარყოს საეუთარი თავი; რადგან არ შეუძლია უარყოს

სამართალი, როდესაც იგი თავისას ითხოვს.

28 და ახლა, მე გეუბნებით, რომ დრო დადგება, როდესაც უფლის ხსნა გამოეცხადება ყოველ ერს, ტომს, ენასა და ხალხს.

29 დიახ, უფალო, შენი გუშაგები აიმაღლებენ ხმას; ერთად იმღერებენ; რადგან თავისი თვალთ დაინახავენ, როდესაც უფალი კვლავ აღადგენს სიონს.

30 მხიარულად შემოსძახეთ, ერთად იმღერეთ, თქვენ, იერუსალიმის გაპარტახებულო ადგილებო; რადგან უფალმა ანუგეშა თავისი ხალხი, მან იერუსალიმი გამოსყიდა.

31 გაიშიშვლა უფალმა წმინდა მკლავი ყველა ერის თვალწინ და დედამიწის ყველა კიდე იხილავს ჩვენი ღმერთის ხსნას.

თავი 16

ღმერთი გამოისყიდის ადამიანებს მათი დაკარგული და დაცემული მღვდმარეობიდან. ისინი, რომლებიც ხორციელნი არიან, რჩებიან ისე, თითქოს არც ყოფილა გამოსყიდვა. ქრისტე ახორციელებს აღდგომას უსასრულო სიცოცხლის ან უსასრულო წყევლისაკენ. დაახლოებით 148 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და ახლა, იყო ასე, რომ მას შემდეგ, რაც აბინადიმ თქვა ეს სიტყვები, გაიწოდა ხელი და თქვა: დადგება დრო, როდესაც ყველა იხილავს უფლის

ხსნას, როდესაც ყოველი ერი, ტომი, ენა და ხალხი იხილავს თავისი თვალით და აღიარებს ღმერთის წინაშე, რომ სასჯელი მისი არის სამართლიანი.

2 და მაშინ ბოროტნი იქნებიან გაძევებულნი და მათ ექნებათ კვნესის, ტირილის, გოდებისა და კბილების ღრჭიალის მიზეზი; და ეს იმის გამო, რომ უფლის ხმას არ უგდებდნენ ყურს; ამიტომ, უფალი მათ არ გამოისყიდის.

3 რადგან ისინი არიან ხორციელნი და ეშმაკისეულნი; და ეშმაკს აქვს ძალა მათზედ; დიახ, იმ ძველ გველს, რომელმაც შეაცდინა ჩვენი პირველი მშობლები, რამაც გამოიწვია მათი დაცემა, რამაც გამოიწვია ის, რომ მთელი კაცობრიობა გახდა ხორციელი, ავხორცი და ეშმაკისეული, კეთილის ბოროტისაგან მცოდნე და ექვემდებარებიან ეშმაკს.

4 ამგვარად დაიკარგა მთელი კაცობრიობა და აჰა, ის იქნებოდა უსასრულოდ დაკარგული, რომ ღმერთს არ გამოესყიდა თავისი ხალხი მათი დაკარგული და დაცემული მდგომარეობიდან.

5 მაგრამ გახსოვდეთ: ის, რომელიც დაუძინებთ რჩება თავის ხორციელ ბუნებაში და აგრძელებს ცოდვისა და ღმერთის წინააღმდეგ ჯანყის გზებით სვლას, რჩება საკუთარ დაცემულ მდგომარეობაში და ეშმაკს მასზე აქვს სრული ძალა. ამიტომ, მისთვის თითქოს არც

ყოფილა გამოსყიდვა, არის რა ღმერთის მტერი და ასევე ეშმაკიც არის ღმერთის მტერი.

6 და ახლა ქრისტე რომ არ მოსულიყო ამქვეყნად, ვსაუბრობ რა მომავალზე, როგორც უკვე მომხდარზე, არ იქნებოდა გამოსყიდვა.

7 და ქრისტე რომ არ აღმსდგარიყო მკვდრეთით ან არ დაემსხვრია სიკვდილის ბორკილები, რათა საფლავს არ გაემარჯვებინა და სიკვდილს არ ჰქონოდა ნესტარი, მაშინ აღდგომაც ვერ მოხდებოდა.

8 მაგრამ აღდგომა არის, ამიტომ საფლავმა ვერ გაიმარჯვა და ქრისტეში შთაინთქა სიკვდილის ნესტარი.

9 იგი არის ამაქვეყნის სინათლე და სიცოცხლე; დიახ, სინათლე, რომელიც უსასრულოა, რომელიც ვერასდროს ვერ ჩაქრება; დიახ, ასევე სიცოცხლე, რომელიც უსასრულოა, ასე რომ, ვეღარ იქნება სიკვდილი.

10 ეს მოკვდავიც კი შეიმოსება უკვდავებით, ეს ხრწნადი შეიმოსება უხრწნელობით და მიყვანილ იქნება, რათა წარსდგეს ღმერთის სამსჯავროს წინაშე, რომ განკითხულ იქნას მის მიერ, თავიანთი საქმეების შესაბამისად, იყოს ისინი კეთილი თუ ბოროტი -

11 და თუ ისინი იქნება კეთილი - უსასრულო სიცოცხლისა და ბედნიერების აღდგომისაკენ; და თუ ისინი იქნება

ბოროტი – უსასრულო წყევლის აღდგომისაკენ და გადაეცემიან ეშმაკს, რომელმაც ისინი დაიმორჩილა, რაც არის წყევლა –

12 რადგან წავიდნენ საკუთარი ხორციელი ნებისა და სურვილების შესაბამისად; არასდროს არ შესთხოვეს უფალს, როდესაც მოწყალების ხელი გაწვდილი იყო მათკენ; რადგან წყალობის ხელი გაწვდილი იყო მათკენ, მაგრამ მათ უარი თქვეს; ისინი გააფრთხილეს თავიანთ ურჯულოებაზე და მაინც არ ისურვეს მათი დათმობა; და მათ ებრძანათ, რომ მოენანიებინათ, მაგრამ მათ არ ისურვეს მონანიება.

13 და ახლა, ნუთუ არ უნდა კანკალებდეთ და ინანიებდეთ თქვენს ცოდვებს და გახსოვდეთ, რომ მხოლოდ ქრისტეში და ქრისტეს მეშვეობით შეგიძლიათ გადარჩენა?

14 ამიტომ, თუ ასწავლით მოსეს რჯულს, ასევე ასწავლეთ, რომ ის არის აჩრდილი იმისა, რაც უნდა მოვიდეს –

15 ასწავლეთ მათ, რომ გამოსყიდვა მოდის უფალი ქრისტეს მეშვეობით, რომელიც არის ჭეშმარიტი მარადიული მამა. ამინ.

თავი 17

აღმას სწამს აბინადის სიტყვების და იწერს მათ. აბინადი კვდება ცეცხლით. ის თავის მკვლელებზე სნეულეებითა და ცეცხლით სიკვდილს

წინასწარმეტყველებს. დაახლოებით 148 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და ახლა, ეს იყო ასე, რომ როდესაც აბინადიმ დაასრულა ეს სიტყვები, მეფემ მღვდლებს უბრძანა, წაეყვანათ ის და ისე ექნათ, რომ იგი მომკვდარიყო.

2 მაგრამ მათ შორის იყო ერთი, რომელსაც ერქვა სახელად ალმა, ის ასევე იყო ნეფის შთამომავალი. და ის იყო ახალგაზრდა კაცი და მან იწამა სიტყვები, რომლებიც აბინადიმ ილაპარაკა, რადგან მან იცოდა იმ ურჯულოების შესახებ, რომელზედაც აბინადი მოწმობდა მათ წინააღმდეგ; ამიტომ, მან დაუწყო მეფეს ხვეწნა, რომ ის არ განრისხებულიყო აბინადიზე, არამედ ნება მიეცა, მშვიდობით წასულიყო.

3 მაგრამ მეფე უფრო მეტად განრისხდა და ბრძანა, რომ ალმა გაექვევინათ თავიანთი გარემოციდან და უკან მსახურები გააყოლა, რათა ის მოეკლათ.

4 მაგრამ იგი მათ გაექცა და დაიშალა, რათა ვერ ეპოვათ. და მიმალული იყო რა მრავალი დღის განმავლობაში, ჩაიწერა აბინადის ყოველი სიტყვა, რაც მან ილაპარაკა.

5 და იყო ასე, რომ მეფემ უბრძანა თავის მცველებს, რომ ალყაში მოექციათ აბინადი და შეეპყროთ იგი; და მათ ის

შებოტეს და საპყრობილეში ჩა-
აგდეს.

6 და სამი დღის შემდეგ, თავის
მღვდლებთან თათბირის შემდეგ,
მან ბრძანა, რომ იგი კვლავ მო-
ყვანათ მასთან.

7 და მიმართა მას: აბინადი,
ჩვენ მოვძებნეთ შენ წინააღმდეგ
ბრალდება და შენ ხარ სიკვდი-
ლის ღირსი.

8 რადგან შენ თქვი, რომ თავად
ღმერთი ჩამოვა ადამიანთა შვი-
ლებს შორის; და აი ამის გამო
შენ მიეცემი სიკვდილს, თუ არ
წაიღებ უკან ყოველ სიტყვას,
რომელიც შენ ბოროტად წარ-
მოთქვი ჩემზე და ჩემს ხალხზე.

9 ახლა აბინადიმ მას უთხრა:
მე გეუბნებით, უკან არ წავი-
ღებ ჩემს სიტყვებს, რომლებიც
გითხარით ამ ხალხზე, რადგან
ისინი ჭეშმარიტია; და იმის-
თვის, რომ გაგვეგოთ მათი ჭეშ-
მარიტების შესახებ, მე დაუშვი,
რომ ჩავგარდნილიყავი თქვენს
ხელში.

10 დიახ, მე სიკვდილამდეც კი
გავძლებ და არ წავიღებ ჩემს
სიტყვებს უკან; და ისინი იქნება,
როგორც დამოწმება თქვენ წი-
ნააღმდეგ. და თუ თქვენ მე
მომკლავთ, თქვენ დაღვრით
უდანაშაულო სისხლს და ესეც
ასევე იქნება, როგორც დამოწ-
მება თქვენ წინააღმდეგ, უკანას-
კნელ დღეს.

11 და ახლა, მეფე ნოემ ლა-
მის გაუშვა იგი, რადგან შეე-
შინდა მისი სიტყვების; რადგან

შეეშინდა, რომ ღვთის სასჯელი
მასზე მოვიდოდა.

12 მაგრამ მღვდლებმა აღიმაღ-
ლეს ხმა მის წინააღმდეგ და
დაიწყეს მისი დადანაშაულება,
სიტყვებით: მან შეურაცხყო
მეფე. ამიტომ მეფის წყრომა გა-
ღვივდა მის წინააღმდეგ და მან
გადასცა იგი მოსაკლავად.

13 და იყო ასე, რომ მათ ის წა-
იყვანეს და შებოტეს და გაროზ-
გეს მისი კანი ფიჩხის კონებით,
დიახ, სიკვდილამდეც კი.

14 და ახლა, როდესაც ცეც-
ხლმა დაიწყო მისი შთანთქვა,
მან შეჰღაღადა მათ სიტყვებით:

15 აჰა, ისე, როგორც თქვენ
მე მომეკეცით, იქნება ისე, რომ
თქვენი შთამომავლებიც მრავალთ
ისეთსავე ტკივილს მი-
აყენებენ, რომელსაც მე ვიტან,
ცეცხლისაგან სიკვდილის ტკი-
ვილსაც კი; და ეს იმის გამო,
რომ ისინი, უფლით, თავიანთი
ღმერთით, ხსნას იწამებენ.

16 და იქნება ასე, რომ თქვენი
ურჯულოების გამო, ყველანა-
ირი სნულებებით იქნებით ტან-
ჯუღნი.

17 დიახ, თქვენ ყველა მხრიდან
იქნებით ნაცემნი, განდევნილნი
და გაფანტულნი აქეთ-იქეთ, რო-
გორც ველურ ფარას დევნიან
ველური და სასტიკი მხეცები.

18 და იმ დღეს თქვენზე ინადი-
რებენ და ხელში იქნებით აყვა-
ნილნი თქვენი მტრების მიერ
და მაშინ თქვენც ისე დაიტან-
ჯებით, როგორც მე ვიტანჯები

ცეცხლისაგან სიკვდილის ტკივილით.

19 ასეთნაირად ღმერთი აღასრულებს შურისგებას მათზედ, რომლებიც ანადგურებენ მის ხალხს. ღმერთო, მიიღე ჩემი სული.

20 და ახლა, როდესაც აბინადიმ თქვა ეს სიტყვები, ის დაეცა ცეცხლისაგან სიკვდილით; დიახ, მოკლეს, რადგან არ უარყო ღმერთის მცნებები, თავისი სიკვდილით ჩაბეჭდა საკუთარი სიტყვების ჭეშმარიტება.

თავი 18

აღმა ქადაგებს ფარულად. იგი განუმარტავს ნათლობის აღთქმას და ნათლავს მორმონის წყლებში. იგი აარსებს ქრისტეს ეკლესიას და ახდენს მღვდელთა ხელდასხმას. ისინი თავადვე უზრუნველყოფენ თავის თავს და ასწავლიან ხალხს. აღმა და მისი ხალხი გაიქცევა მეფე ნოესგან უდაბნოში. დაახლოებით 147-145 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და იყო ასე, რომ აღმამ, რომელიც გაექცა მეფე ნოეს მსახურთ, მოინანია საკუთარი ცოდვები და ურჯულოება და წავიდა ფარულად ხალხთა შორის და დაიწყო აბინადის სიტყვების სწავლება -

2 დიახ, იმაზედ, თუ რა მოხდებოდა და ასევე მკედართა აღდგომისა და ადამიანთა

გამოსყიდვის შესახებ, რაც უნდა განხორციელებულიყო ქრისტეს ძალის, ტანჯვისა და სიკვდილის მეშვეობით; და მისი აღდგომისა და ზეცაში ამადლებით.

3 და ის ასწავლიდა ყველას, ვინც მოისმენდა მის სიტყვებს. და იგი ასწავლიდა ფარულად, რათა ამის შესახებ არ შეეტყო მეფეს. და მრავალმა იწამა მისი სიტყვები.

4 და იყო ასე, რომ ყველა, ვინც იწამა მისი, მიდიოდა მეფის მიერ მორმონად წოდებულ ადგილზე და იმყოფებოდა მიწის საზღვრებთან, სადაც უხვად, წლების განმავლობაში, ბინადრობდნენ გარეული მხეცები.

5 ახლა, მორმონში იყო სუფთა წყლის წყარო და აღმა იქ აფარებდა თავს; იმ ადგილას, წყალთან ახლოს, იყო პატარა ხეების ტევრი, სადაც დღისით იმალებოდა მეფის მეძებრებისგან.

6 და იყო ასე, რომ ყველა, ვისაც მისი სწამდა, მიდიოდა იქ, რათა მოესმინათ მისი სიტყვები.

7 და იყო ასე, რომ მრავალი დღის შემდეგ, მორმონის ადგილზე, შეიკრიბნენ საკმაოდ დიდი რაოდენობის ადამიანები, რათა მოესმინათ აღმას სიტყვები. დიახ, ყველა, ვისაც სწამდა მისი სიტყვის, ერთად იკრიბებოდნენ, რომ მისთვის მოესმინათ. და იგი ასწავლიდა და ქადაგებდა მათთვის მონანიებას, გამოსყიდვასა და უფალში რწმენას.

8 და იყო ასე, რომ მან უთხრა:

აჰა, აქ არის მორმონის წყლები (რადგან ასე ეწოდებოდათ) და ახლა, თქვენ გსურთ, რომ შეხვიდეთ ღმერთის ფარაში და გეწოდოთ მისი ხალხი და მზად ხართ ატაროთ ერთმანეთის ტვირთი, რათა იგი შემსუბუქდეს;

9 დიახ, ხართ მზად, იგლოვოთ მათთან ერთად, ვინც გლოვობს; დიახ, ანუგეშოთ ისინი, რომლებსაც სჭირდებათ ნუგეში და ყოველთვის, ყველაფერში და ყველგან, სადაც არ უნდა იყოთ, ღმერთის მოწმენი იყოთ, სიკვდილამდეც კი, რათა გამოსყიდულ იქნეთ ღმერთის მიერ და ჩაითვალოთ პირველი აღდგომის აღმდგართა შორის, რათა იქონიოთ მარადიული სიცოცხლე –

10 ახლა მე გეუბნებით: თუ ეს არის თქვენი გულის საწადელი, მაშინ რა გაქვთ უფლის სახელით ნათლობის საწინააღმდეგო, როგორც მოწმობა მის წინაშე იმისა, რომ აღთქმა დადეთ მასთან, რომ იმსახურობთ მისთვის და დაიცავთ მის მცნებებს, რათა მან უფრო უხვად გადმოღვაროს თავისი სული თქვენზე?

11 და ახლა, როდესაც ხალხმა მოისმინა ეს სიტყვები, მათ სიხარულისგან ტაში შემოჰკრეს და შესძახეს: ეს არის ჩვენი გულის საწადელი.

12 და ახლა, ეს იყო ასე, რომ აღმამ აიყვანა ჰელამი, რომელიც იყო ერთ-ერთი პირველთაგანი, მივიდა და ჩადგა წყალში და შეჰღალადა სიტყვებით:

უფალო, გადმოღვარე შენი სული შენს მსახურზედ, რათა მან გულის სიწმინდით შეძლოს ამ საქმის გაკეთება.

13 და როდესაც მან ეს სიტყვები წარმოთქვა, უფლის სული მოეფინა მასზედ და თქვა: ჰელამ, მე გნათლავ შენ, მაქვს რა უფლებამოსილება ყოვლადღიერი ღმერთისგან, იმის დასამოწმებლად, რომ დადე აღთქმა, ემსახურო მას შენი მოკვდავი სხეულის სიკვდილამდე; დაე, უფლის სული გადმოიღვაროს შენზე, დაე, გიბოძოს მარადიული სიცოცხლე ქრისტეს გამოსყიდვით, რომელიც მან მოამზადა ქვეყნის დასაბამიდან.

14 და მას შემდეგ, რაც აღმამ წარმოთქვა ეს სიტყვები, ორთავე, აღმა და ჰელამი, ჩაწვნენ წყალში და აღგნენ და გახარებულნი ამოვიდნენ წყლიდან, იყვნენ რა სულით აღვსილნი.

15 და კვლავ, აღმამ აიყვანა სხვა და მეორეჯერ ჩავიდა წყალში და მონათლა პირველის მსგავსად, მხოლოდ თვითონ აღარ ჩაწვა წყალში.

16 და ამგვარად, მან მონათლა ყოველი, რომელიც მივიდა მორმონის ადგილზე; და ისინი იყვნენ რაოდენობით დაახლოებით ორას ოთხი სული; დიახ, და ისინი მონათლნენ მორმონის წყლებში და იყვნენ ღმერთის მადლით აღვსილნი.

17 და იმ დროიდან მათ ეწოდათ ღვთის ეკლესია ანუ ქრისტეს

ეკლესია. და იყო ასე, რომ ღმერთის ძალითა და უფლებამოსილებით ყოველი მონათლული დაემატა მის ეკლესიას.

18 და იყო ასე, რომ აღმამ, ჰქონდა რა უფლებამოსილება ღმერთისგან, მოახდინა მღვდელთა კურთხევა – ყოველ ორმოცდაათ მათგანზე ერთი მღვდელი, რათა ექადაგათ მათთვის და ესწავლებინათ მათთვის იმის შესახებ, რაც ღვთის სასუფეველს ეხება.

19 და მან უბრძანა, რომ არ ესწავლებინათ სხვა არაფერი იმის გარდა, რასაც თვითონ ასწავლიდა და რაც ნათქვამი იყო წმინდა წინასწარმეტყველების პირით.

20 დიახ, მან ისიც უბრძანა მათ, რომ არ ექადაგათ სხვა არაფერი მონანიებისა და უფალში რწმენის გარდა, რომელმაც გამოიხსიდა თავისი ხალხი.

21 და მან უბრძანა, რომ მათ შორის არ ყოფილიყო უთანხმოება, არამედ საერთო თვალთ ეცქირათ წინ, ჰქონოდათ ერთი რწმენა და ერთი ნათლობა, ერთობითა და ერთმანეთისადმი სიყვარულში ურთიერთ გადაჭდობილი გულები.

22 და ამგვარად, მან უბრძანა მათ, რომ ექადაგათ. და ამგვარად, ისინი გახდნენ ღმერთის შვილები.

23 და მან უბრძანა მათ, დაეცვათ შაბათი დღე და წმინდა ყოთ იგი და ასევე ყოველ დღე

მადლობა გადაეხადათ თავიანთი უფალი ღმერთისათვის.

24 და მან ასევე უბრძანა მათ, რომ მღვდლებმა, რომლებიც მან აკურთხა, იშრომონ საკუთარი ხელებით, თავისი თავის უზრუნველსაყოფად.

25 და ყოველ კვირას იყო ერთი დღე, რომელიც გამოყოფილი იყო იმისათვის, რომ ერთად შეკრებილიყვნენ, ხალხისთვის ესწავლებინათ და თაყვანი ეცათ უფლისათვის, თავიანთი ღმერთისათვის. და ასევე, რომ ერთად შეკრებილიყვნენ იმდენჯერ, რისი ძალაც შესწევდათ.

26 და მღვდლები არ უნდა ყოფილიყვნენ დამოკიდებულნი ხალხზე საკუთარი თავის უზრუნველყოფისას; არამედ თავიანთი შრომით უნდა მიეღოთ ღმერთის მადლი, რომ სულთ განმტკიცებულებიყვნენ ღმერთის შესახებ ცოდნით, რომ შეძლებოდათ ესწავლებინათ ღვთის ძალითა და უფლებამოსილებით.

27 და კვლავ, აღმამ ბრძანა, რომ ეკლესიის წევრებს ეწილადებინათ თავიანთი ქონებიდან, ყოველ მათგანს, იმის მიხედვით, თუ რამდენი ჰქონდა; თუ ვინმეს ჰქონდა უფრო უხვად, მას უნდა ეწილადებინა უფრო უხვად; და მას, რომელსაც ჰქონდა ცოტაოდენი, მხოლოდ ცოტაოდენი მოეთხოვებოდა და ვისაც არ ჰქონდა, მას მიეცემოდა.

28 და ამგვარად, მათ უნდა ეწილადებინათ თავიანთი ქონე-

ბიდან, საკუთარი თავისუფალი ნებითა და კეთილი სურვილით ღმერთის მიმართ და იმ მღვდლებისთვის, რომლებიც გაჭირვებაში იმყოფებოდნენ, დიახ, და ყოველი ღატაკი და შიშველი სულისთვის.

29 და მან ეს უთხრა მათ ღმერთის ბრძანებით; და ისინი იყვნენ ღმერთის წინაშე უბიწოდ მავალნი, უწილადებდნენ ერთმანეთს მატერიალურსა და სულიერს, მათი საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

30 და ახლა, იყო ასე, რომ ეს ყველაფერი ხდებოდა მორმონში, დიახ, მორმონის წყლებთან ტყეში, რომელიც მდებარეობდა მორმონის წყლებთან ახლოს; დიახ, ადგილი მორმონი, მორმონის წყლები, ტყე მორმონისა, როგორი მშვენიერება იყო ეს მათი თვალისთვის, რომლებმაც იქ შეიცნეს თავიანთი გამომსყიდველი; დიახ, და რაოდენ კურთხეულნი არიან ისინი, რადგან მარადის იმღერებენ მის სადიდებელს.

31 და ეს ყველაფერი მოხდა იმ მიწის საზღვრებთან, რათა მეფისთვის არ გამხდარიყო ცნობილი.

32 მაგრამ, აჰა, იყო ასე, რომ მეფემ შეამჩნია რა მის ხალხში მოძრაობა, მიაგზავნა თავისი მსახურები, რომ ეთვალთვალათ მათთვის. ამიტომ, იმ დღეს, როდესაც ისინი ერთად იკრიბე-

ბოდნენ, რომ მოესმინათ უფლის სიტყვა, მეფემ ისინი ამხილა.

33 და ახლა, მეფემ თქვა, რომ ალმა ხალხს უბიძგებდა მის წინააღმდეგ ჯანყისაკენ; ამიტომ, მან მიაგზავნა თავისი ჯარი მათ გასანადგურებლად.

34 და იყო ასე, რომ ალმასა და უფლის ხალხს შეატყობინეს მეფის ჯარის მოახლოების შესახებ; ამიტომ, მათ აკრიფეს თავიანთი კარვები და ოჯახები და წავიდნენ უდაბნოში.

35 და ისინი იყვნენ რაოდენობით დაახლოებით ოთხას ორმოცდაათი სული.

თავი 19

გიდეონი ცდილობს მეფე ნოეს მოკვლას. ლამანიელები შემოესევნიან მიწას. მეფე ნოე ცეცხლით კვდება. ლიმხი მმართველობს მოხარკე მეფესავით. დაახლოებით 145–121 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და იყო ასე, რომ მეფის ჯარი უფლის ხალხის ამაოდ ძებნის შემდეგ უკან დაბრუნდა.

2 და ახლა, აჰა, მეფის ჯარი იყო მცირერიცხოვანი, რადგან იყო შემცირებული და დარჩენილ ხალხს შორის დაიწყო განხეთქილება.

3 და მცირე ნაწილმა, მეფის წინააღმდეგ დაიწყო მუქარის გადმოფრქვევა და მათ შორის დაიწყო დიდი განხეთქილება.

4 და ახლა, მათ შორის იყო

ადამიანი, რომელსაც ერქვა გიდეონი და ის იყო ძლიერი ადამიანი და მეფის მტერი, ამიტომ, ამოიღო თავისი მახვილი და მრისხანებაში დაიფიცა, რომ მეფეს მოკლავდა.

5 და იყო ასე, რომ ის შეებრძოლა მეფეს; და როდესაც მეფემ იხილა, რომ ის თითქმის დაძლეულ იქნა, იგი გაიქცა და ავიდა ტაძართან ახლოს მდებარე კოშკში.

6 და გიდეონი უკან გამოედევნა და თითქმის ავიდა კოშკში მეფის მოსაკლავად და მეფემ თვალი მიაპყრო შემლონის მიწას და აჰა, ლამანიელთა ჯარი უკვე მიწის საზღვრებში იყო.

7 და ახლა, მეფემ თავისი სულის ტანჯვაში, წამოიძახა: გიდეონ, შემინდე, რადგან ლამანიელები მოდიან ჩვენზე და ისინი გაგვანადგურებენ; დიახ, გაანადგურებენ ჩემს ხალხს.

8 და მეფე იმდენად არ ზრუნავდა თავის ხალხზე, როგორც საკუთარ სიცოცხლეზე; მიუხედავად ამისა, გიდეონმა დაინდო მისი სიცოცხლე.

9 და მეფემ უბრძანა ხალხს, რომ ლამანიელებისაგან გაქცეულიყვნენ, თვითონ მათ წინ წავიდა და ისინი გაიქცნენ უდაბნოში, თავიანთი ქალებითა და ბავშვებით.

10 და იყო ასე, რომ ლამანიელები მათ გამოედევნენ და დაეწივნენ და დაიწყეს მათი ხოცვა.

11 ახლა, იყო ასე, რომ მეფემ უბრძანა მათ, რომ ყოველ კაცს მიეტოვებინა ცოლი და შვილები და გაქცეულიყვნენ ლამანიელთაგან.

12 ახლა, იყვნენ ბევრნი, რომლებმაც არ მიატოვეს ისინი, არამედ არჩიეს დარჩენილიყვნენ და მათთან ერთად დაღუპულიყვნენ. და დანარჩენებმა მიატოვეს თავიანთი ცოლები და შვილები და გაიქცნენ.

13 და იყო ასე, რომ მათ, ვინც დარჩნენ თავიანთ ცოლებთან და შვილებთან, მოახდინეს ისე, რომ მათი ლამაზი ქალიშვილები წინ დადგნენ და შეევედრნენ ლამანიელებს, რომ მათ არ დაეხოცათ ისინი.

14 და იყო ასე, რომ ლამანიელებმა იქონიეს სიბრალული მათზედ, რადგან მოიხიბლნენ მათ ქალთა სილამაზით.

15 ამიტომ, ლამანიელებმა შეინდეს მათი სიცოცხლე, ტყვედ აიყვანეს და უკან ნეფის მიწაზე წაიყვანეს და ნება დართეს, დაუფლებოდნენ იმ მიწას, იმ პირობით, რომ ლამანიელთა ხელში ჩააბარებდნენ მეფე ნოეს და მისცემდნენ თავიანთ ქონებას, ყველაფრის ნახევარსაც კი, რაც მათ ჰქონდათ, თავიანთი ოქროსა და ვერცხლის და მათი ყველა ძვირფასი ნივთების ნახევარს; და ამგვარად, მათ უნდა ეხადათ ლამანიელთა მეფისთვის ხარკი, წლიდან წლამდე.

16 და ახლა, დატყვევებულთა

შორის იყო მეფის ერთი შვილი, რომელსაც ერქვა ლიმხი.

17 და ახლა, ლიმხის სურდა, რომ მამამისი არ განადგურებულიყო; მიუხედავად ამისა, ლიმხიმ იცოდა მამამისის ურჯულოების შესახებ, თავად კი პატიოსანი კაცი იყო.

18 და იყო ასე, რომ გიდეონმა ფარულად გაუშვა კაცები უდაბნოში, რომ მოექნათ მეფე და ისინი, ვინც მასთან იყვნენ. და იყო ასე, რომ ისინი უდაბნოში წააწყდნენ ხალხს, ყველას, გარდა მეფისა და მისი მღვდლების.

19 ახლა, მათ გულში დაიფიცეს, რომ დაბრუნდებოდნენ ნეფის მიწაზე და თუ მათი ცოლები და შვილები და ისინი, ვინც მათთან ერთად დარჩნენ, იქნებოდნენ დახოცილნი, მაშინ შურს იძიებდნენ და მათთან ერთად დაიღუპებოდნენ.

20 და მეფემ უბრძანა მათ, რომ არ დაბრუნებულიყვნენ; და ისინი გაბრაზდნენ მეფეზე და აწამეს, თვით ცეცხლით სიკვდილითაც კი.

21 და ისინი მზად იყვნენ, რომ მღვდლებიც ასევე აეყვანათ და დაეხოცათ და ისინი გაექცნენ მათ.

22 და იყო ასე, რომ ისინი მზად იყვნენ უკან ნეფის მიწაზე დასაბრუნებლად და შეხვდნენ გიდეონის კაცებს. და გიდეონის კაცებმა მათ უთხრეს ყველაფერი, რაც მოუვიდათ მათ ცოლებსა და შვილებს, რომ

ლამანიელებმა ნება დართეს, დაუფლებოდნენ იმ მიწას ლამანიელთათვის ხარკის საფასურად, მათი ქონების ყველაფრის ნახევრის გადახდით.

23 და ხალხმა გიდეონის კაცებს უთხრა, რომ მათ მეფე მოკლეს და მისი მღვდლები უდაბნოში უფრო შორს გაიქცნენ.

24 და იყო ასე, რომ როდესაც მათ დაასრულეს ცერემონია, ისინი დაბრუნდნენ ნეფის მიწაზე სიხარულით, რომ მათი ცოლები და შვილები არ იყვნენ დახოცილნი; და მათ გიდეონს მოუყვნენ, თუ რა უქნეს მეფეს.

25 და იყო ასე, რომ ლამანიელთა მეფემ მათთან ფიცი დადო, რომ მისი ხალხი არ დახოცავდა მათ.

26 და ასევე ლიმხი, იყო რა მეფის ძე და ჰქონდა რა მეფობა ხალხის მიერ არჩეული, ფიცი დაუდო ლამანიელთა მეფეს, რომ თავისი ხალხი მას გადაუხდიდა ხარკს, ყველაფრის ნახევარსაც კი, რაც მათ გააჩნდათ.

27 და იყო ასე, რომ ლიმხიმ დაიწყო სამეფოს ჩამოყალიბება და მშვიდობის დამყარება საკუთარ ხალხში.

28 და ლამანიელთა მეფემ დააყენა მცველები მიწის გარშემო, რომ დაეკავებინათ ლიმხის ხალხი იმ მიწაზე, რათა ვერ წასულიყვნენ უდაბნოში და თავის მცველებს ინახავდა იმ ხარკით, რომელსაც იღებდა ნეფიელებისგან.

29 და ახლა, მეფე ლიმხის თავის სამეფოში ჰქონდა უწყვეტი მშვიდობა ორი წლის განმავლობაში, როდესაც ლამანიელები არ აწუხებდნენ მათ და არ ცდილობდნენ მათ განადგურებას.

თავი 20

ლამანიელთა ზოგიერთ ქალიშვილს იტაცებენ ნოეს მღვდლები. ლამანიელები ეომებიან ლიმხისა და მის ხალხს. ლამანიელთა ჯარები არიან უკუგდებულნი და დაშოშმინებულნი. დაახლოებით 145-123 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 ახლა, შემლონში იყო ადგილი, სადაც ლამანიელთა ქალიშვილები იკრიბებოდნენ სიმღერის, ცეკვისა და მხიარულებისთვის.

2 და იყო ასე, რომ ერთ დღეს რამდენიმე მათგანი ერთად შეიკრიბა, რათა ემღერათ და ეცეკვათ.

3 და ახლა, მეფე ნოეს მღვდლებს, რცხვენოდათ რა ნეფის ქალაქში დაბრუნება, დიახ, და ასევე ეშინოდათ, რომ ხალხი მათ დახოცავდა, ამიტომ ვერ ბედავდნენ უკან დაბრუნებას თავიანთ ცოლებთან და შვილებთან.

4 და დარჩნენ რა უდაბნოში და აღმოაჩინეს რა ლამანიელთა ქალიშვილები, ისინი ჩაწვნენ და დაუწყეს მათ თვალითა;

5 და როდესაც იქ სულ რამდენ-

იმე საცეკვაოდ შეკრებილი იყო, ისინი გამოვიდნენ თავიანთი სამალავიდან და შეიპყრეს ისინი და წაიყვანეს უდაბნოში; დიახ, ლამანიელთა ოცდაოთხი ქალიშვილი მათ უდაბნოში წაიყვანეს.

6 და იყო ასე, როდესაც ლამანიელებმა აღმოაჩინეს, რომ მათი ქალიშვილები დაკარგულიყვნენ, ისინი განრისხდნენ ლიმხის ხალხზე, რადგან იფიქრეს, რომ ეს ლიმხის ხალხის ჩადენილი იყო.

7 ამიტომ, მათ გამოაგზავნეს თავიანთი ჯარები, დიახ, თავად მეფეც კი მიდიოდა თავისი ხალხის წინ; და ისინი წავიდნენ ნეფის მიწაზე, რათა გაენადგურებინათ ლიმხის ხალხი.

8 და ახლა, ლიმხიმ კოშკიდან შენიშნა ისინი, მან მათი ომისთვის მზადებაც კი შენიშნა, ამიტომ, ერთად შეკრიბა თავისი ხალხი და ჩაუსაფრდა მათ მინდვრებსა და ტყეებში.

9 და იყო ასე, რომ როდესაც მოვიდნენ ლამანიელები, ლიმხის ხალხი თავს დაესხა მათ თავიანთი სამალავებიდან და დაუწყეს მათ ხოცვა.

10 და იყო ასე, რომ ბრძოლა გახდა მეტისმეტად სასტიკი, რადგან ისინი ისე იბრძოდნენ, როგორც ღომები თავიანთი ნადავლისათვის.

11 და იყო ასე, რომ ლიმხის ხალხმა დაიწყეს ლამანიელთა წინ გარეკვა; თუმცა ისინი რაოდენობრივად ლამანიელთა

ნახევარიც კი არ იყვნენ. მაგრამ იბრძოდნენ თავიანთი სიცოცხლისათვის და თავიანთი ცოლებისა და შვილებისათვის; ამიტომ, აღზევდნენ და ურჩხულებივით იბრძოდნენ.

12 და იყო ასე, რომ მათ იპოვეს ღამანიელთა მეფე თავიანთ დახოცილთა შორის; მაგრამ იგი არ იყო მკვდარი, ეგდო დაჭრილი მიწაზე და მიტოვებული. ასეთი სწრაფი იყო მისი ხალხის უკან დახვეა.

13 და მათ აიყვანეს იგი და შეუხვიეს ჭრილობები და მოუყვანეს ღიმხის და თქვეს: აჰა, ეს არის ღამანიელთა მეფე; იყო რა დაჭრილი და მათ დახოცილთა შორის დაგდებული და მათ მიატოვეს იგი; და აჰა, ჩვენ ის მოგიყვანეთ; და ახლა მოდით მოვკლათ იგი.

14 მაგრამ ღიმხიმ მათ უთხრა: თქვენ მას არ მოკლავთ, არამედ აქ მოიყვანთ, რათა ვიხილო იგი. და მათ ის მოიყვანეს. და ღიმხიმ მას უთხრა: რა გაიძულეობთ, რომ მოდიხართ ჩემი ხალხის წინააღმდეგ საომრად? აჰა, ჩემს ხალხს არ დაურღვევია ფიცი, რომელიც მე თქვენ მოგეცით; მაშინ, რატომ დაადვიეთ ფიცი, რომელიც ჩემს ხალხს მიეცით?

15 და ახლა, მეფემ მიუგო: მე ფიცი დავარღვეე, რადგან შენმა ხალხმა გაიტაცა ჩემი ხალხის ქალიშვილები, ამიტომ, რისხვისას ვბრძანე, რომ ჩემი ხალხი

მოსულიყო შენი ხალხის წინააღმდეგ საომრად.

16 და ახლა, ღიმხის არაფერი სმენია ამის შესახებ, ამიტომ მან თქვა: მე დავიწყებ ჩემს ხალხს შორის ძებნას და ვინც ეს ჩაიდინა – დაიღუპება. ამიტომ, მან ბრძანა, რომ მის ხალხს შორის ძებნა დაწყებულიყო.

17 ახლა, როდესაც ეს ყველაფერი მოისმინა გიდეონმა, იყო რა მეფის მთავარსარდალი, წინ გამოვიდა და მეფეს უთხრა: მე გუთხოვ, თავი შეიკავო და არ ეძებო ამ ხალხს შორის და არ წაუყენო მათ ყოველივე ამის ბრალი.

18 რადგან, ნუთუ არ გახსოვს მამაშენის მღვდლები, რომელთა განადგურებასაც ცდილობდა ეს ხალხი? განა ისინი უდაბნოში არ არიან? და განა მათ არ მოიტაცეს ღამანიელთა ქალიშვილები?

19 და ახლა, აჰა, უთხარი მეფეს ეს ყველაფერი, რომ მან უთხრას თავის ხალხს, რომ ისინი დაშოშმინდნენ ჩვენს მიმართ; რადგან, აჰა, ისინი უკვე ემზადებიან ჩვენს წინააღმდეგ გამოსასვლელად; და აჰა, ჩვენ სულ ცოტანი ვართ.

20 და აჰა, ისინი მოდიან თავიანთი ურიცხვი ლაშქართით და მეფე თუ არ დააშოშმინებს მათ ჩვენ მიმართ, ჩვენ აუცილებლად დავიღუპებით.

21 რადგან, ნუთუ არ ახდა აბინადის სიტყვები, რომელიც ჩვენ საწინააღმდეგოდ

წინასწარმეტყველებდა – და ეს ყველაფერი იმიტომ, რომ არ გვინდოდა ყური დაგვეგდო უფლის სიტყვებისათვის და ზურგი გვექცია ჩვენი ურჯულოებისთვის.

22 და ახლა, მოდით, დავაშოშმინოთ მეფე და შევასრულოთ ფიცი, რომელიც მას მივეცით, რადგან ჩვენი სიცოცხლის დაკარგვას სჯობია მონობაში ვიყოთ; ამიტომ, მოდით ბოლო მოვუღოთ ამდენ სისხლისღვრას.

23 და ახლა, ლიმხიმ უთხრა მეფეს ყველაფერი მისი მამის შესახებ და მღვდლებზე, რომლებიც უდაბნოში გაიქცნენ და მათ დასდო ბრალი მათი ქალიშვილების გატაცებაში.

24 და იყო ასე, რომ მეფე დაშოშმინდა მისი ხალხის მიმართ და მათ უთხრა: მოდით, უიარაოდო ვავიდეთ ჩემი ხალხის შესახებდრად; და საფიცარით ვფიცავ თქვენ წინაშე, რომ ჩემი ხალხი აღარ დახოცავს შენს ხალხს.

25 და იყო ასე, რომ ისინი მეფეს გაჰყენენ და უიარაოდო გამოვიდნენ ლამანიელთა შესახებდრად. და იყო ასე, რომ ისინი შეხვდნენ ლამანიელებს და ლამანიელთა მეფემ ქედი მოიხარა მათ წინაშე და შეევედრა, შეეწყალებინა ლიმხის ხალხი.

26 და როდესაც ლამანიელებმა იხილეს, რომ ლიმხის ხალხი იყო იარაღის გარეშე, შეიბრალეს ისინი და მათ მიმართ დაშოშმინდნენ და თავიანთ მე-

ფესთან ერთად მშვიდობით დაბრუნდნენ საკუთარ მიწაზე.

თავი 21

ლიმხის ხალხი ნაცემი და დამარცხებულია ლამანიელთა მიერ. ლიმხის ხალხი ხვდება ამონს და რწმენაში მოიქცევა. ისინი მოუყვებიან ამონს იარედიელების ოცდაოთხი ფირფიტის შესახებ. დაახლოებით 122-121 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და იყო ასე, რომ ლიმხი და მისი ხალხი დაბრუნდნენ ქალაქ ნეფიში და კვლავ მშვიდობიანად დაიწყეს იმ მიწაზე ცხოვრება.

2 და იყო ასე, რომ მრავალი დღის შემდეგ ლამანიელებში კვლავ დაიწყო ნეფიელთა წინააღმდეგ წყრომის გაღვივება და მათ დაიწყეს მიწის გარშემო საზღვრებში შემოჭრა.

3 მაგრამ ისინი მათ დახოცვას ვერ ბედავდნენ, რადგან მათ მეფემ ფიცი დაუდო ლიმხის; თუმცა ისინი სილას აწნავდნენ და ავლენდნენ თავიანთ ძალაუფლებას მათზე; და კისერზე ჰკიდებდნენ მძიმე ტვირთს და მიერეკებოდნენ, როგორც უტყვე სახედრებს.

4 დიახ, ეს ყველაფერი კეთდებოდა, რათა უფლის სიტყვა აღსრულებულიყო.

5 და ახლა, დიდი იყო ნეფიელთა გაჭირვება და არ არსებობდა გზა, რომლითაც შეეძლოთ გამოეხსნათ თავი

მათი ხელიდან, რადგან ლამანიელებმა ისინი ყოველი მხრიდან ალყაში მოაქციეს.

6 და იყო ასე, რომ ხალხმა დაიწყო ბუზღუნი მეფესთან გაჭირვების გამო; და მოისურვეს მათ წინააღმდეგ საბრძოლველად წასვლა. და მწარედ დაამწუხრეს მეფე თავიანთი საჩივრებით; ამიტომ, მან დართო მათ ნება, რომ მოქცეულიყვნენ თავიანთი სურვილების შესაბამისად.

7 და ისინი კვლავ შეიკრიბნენ ერთად, აისხეს აბჯარი და წავიდნენ წინ ლამანიელთა წინააღმდეგ საომრად, რათა მიწიდან გაეძევინათ ისინი.

8 და იყო ასე, რომ ლამანიელებმა ისინი დაამარცხეს, უკან გამორეკეს და ბევრი მათგანი დახოცეს.

9 და ახლა, ლიმხის ხალხს შორის იყო დიდი გლოვა და გოდება: ქვრივები გლოვობდნენ ქმრებს, ვაჟები და ქალიშვილები გლოვობდნენ თავიანთ მამებს და ძმები – თავიანთ ძმებს.

10 და ახლა, დიდი ოდენობით ქვრივები იყვნენ იმ მიწაზე და ისინი ძლიერ ტიროდნენ დღიდან დღემდე, რადგან ლამანიელთა მიმართ დიდმა შიშმა მოიცვა ისინი.

11 და იყო ასე, რომ მათ განუწყვეტლივ ტირილმა ლიმხის ხალხის დარჩენილ ნაწილში გაადვივა წყრომა ლამანიელთა წინააღმდეგ და ისინი კვლავ საბრძოლველად წავიდნენ; მაგრამ

კვლავ უკან გამოდევნეს, დიდი დანაკარგით დაზარალებულნი.

12 დიახ, ისინი მესამეჯერაც კი წავიდნენ და იგივენაირად დაზარალდნენ; და ისინი, რომლებიც არ იყვნენ დახოცილნი, კვლავ დაბრუნდნენ ნევის ქალაქში.

13 და მათ თავი დაიმდაბლეს მტვრამდეც კი, დაემორჩილნენ რა მონობის უღელს. დაემორჩილნენ იმას, რომ იყვნენ ნაცემნი და დევნილნი აქეთ-იქეთ და მათი მტრების სურვილისამებრ დატვირთულნი.

14 და მათ დაიმდაბლეს თავი, ღრმა თავმდაბლობითაც კი; და ძლიერად შეჰღაღადეს ღმერთს; დიახ, მთელი დღის განმავლობაშიც კი შეჰღაღადებდნენ თავიანთ ღმერთს, რათა ისინი გამოეხსნა გაჭირვებიდან.

15 და ახლა, უფალი არ ჩქარობდა მათი ღაღადის მოსმენას მათ ურჯულოების გამო; მიუხედავად ამისა, უფალმა შეისმინა მათი ღაღადი და დაიწყო ლამანიელთა გულების მოღობა ისე, რომ მათ დაიწყეს მათთვის ტვირთის შემსუბუქება; მაგრამ უფალმა არ ჩათვალა საჭიროდ მათი მონობიდან გამოხსნა.

16 და იყო ასე, რომ მათ დაიწყეს მიწაზე თანდათანობით აყვავება და უფრო უხვად დაიწყეს ხორბლის, წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონლის მოყვანა, ასე რომ, ისინი შიმშილისგან არ იტანჯებოდნენ.

17 ახლა, იქ იყვნენ ქალები

დიდი რაოდენობით, უფრო მეტნი, ვიდრე კაცები; ამიტომ, მეფე ლიმხიმ ბრძანა, რომ ყოველ კაცს უნდა წილი გამოეყო ქვრივებისა და მათი შვილების შესანახად, რათა ისინი შიმშილისგან არ დაღუპულიყვნენ; და ისინი ამას აკეთებდნენ მათგან დახოცილთა უზარმაზარი რაოდენობის გამო.

18 ახლა, ლიმხის ხალხი ერთად იყო, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო და იცავდნენ თავიანთ ხორბალსა და ფარებს;

19 და მეფე თავად არ იყო დარწმუნებული საკუთარ თავში ქალაქის კედლებს მიღმა, თუ თან არ წაიყვანდა თავის მცველებს, შიშობდა რა, რომ როგორღაც არ ჩავარდნილიყო ლამანიელთა ხელში.

20 და მან უბრძანა თავის ხალხს, რომ თვალ-ყური ედევნებინათ მიმდებარე მიწებისთვის, რომ რამენაირად შეეპყროთ ის მღვდლები, რომლებიც უდაბნოში გაიქცნენ, რომლებმაც გაიტაცეს ლამანიელთა ქალიშვილები, რამაც მათზე ასეთი დიდი განადგურება მოიტანა.

21 რადგან სურდათ მათი შეპყრობა, რომ დაესაჯათ; რადგან ისინი ნეფის მიწაზე მოდიოდნენ ღამით და მიჰქონდათ მათი ხორბალი და ბევრი ძვირფასი რამ, ამიტომაც ისინი მათ ჩაუსაფრდნენ.

22 და იყო ასე, რომ მეტი აღარ იყო არეულობები ლამანიელთა

და ლიმხის ხალხს შორის, იმ დრომდეც კი, როდესაც ამონი და მისი ძმები მოვიდნენ ამ მიწაზე.

23 და მეფემ, იმყოფებოდა რა ქალაქის კარიბჭის გარეთ თავისი მცველებით, შენიშნა ამონი და მისი ძმები, ფიქრობდა რა, რომ ესენი იყვნენ ნოეს მღვდლები, ამიტომ უბრძანა, რომ ისინი შეეპყროთ, შეებოჭათ და საპყრობილეში ჩაეყარათ. და რომ ყოფილიყვნენ ნოეს მღვდლები, ის უბრძანებდა, რომ დაეხოცათ ისინი.

24 მაგრამ, როდესაც მან შეიტყო, რომ ნოეს მღვდლები კი არა არამედ მისი ძმები იყვნენ და მოვიდნენ ზარაპემლას მიწიდან, ის ძალზედ დიდი სიხარულით აღივსო.

25 ახლა, მეფე ლიმხიმ, ამონის მოსვლამდე, გააგზავნა ადამიანთა პატარა ჯგუფი ზარაპემლას მიწის მოსაძებნად; მაგრამ მათ ის ვერ იპოვეს და უდაბნოში დაიკარგნენ.

26 მიუხედავად ამისა, მათ იპოვეს მიწა, რომელიც ოდესღაც დასახლებული იყო; დიახ, მიწა, რომელიც დაფარული იყო გამომშრალი ძვლებით; დიახ, მიწა, რომელიც ოდესღაც დასახლებული იყო, მაგრამ განადგურდა; და ეგონათ რა, რომ ეს იყო ზარაპემლას მიწა, ნეფის მიწაზე დაბრუნდნენ და ამონის მოსვლამდე მიწის საზღვრებთან არც თუ ისე ბევრი დღით ადრე მივიდნენ.

27 და მათ თან მოიტანეს ჩანაწერი, ჩანაწერი იმ ადამიანებზე, რომელთა ძეგლებიც იპოვეს; და ის ამოტვიფრული იყო მადნის ფირფიტებზე.

28 და ახლა, ლიმხი კვლავ აღივსო სიხარულით, როდესაც გაიგო ამონის პირიდან, რომ მეფე მოსიას აქვს ღმერთისაგან ძღვენი, რომლითაც მას შეუძლია ამ გრაიფურების თარგმნა; დაახ, ამონსაც ასევე გაუხარდა.

29 ამისდა მიუხედავად, ამონი და მისი ძმები დარდით იყვნენ აღვსილნი, რადგან მათი ამდენი ძმა იყო დახოცილი;

30 და ასევე, რომ მეფე ნოემ და მისმა მღვდლებმა მოახდინეს ისე, რომ ამ ხალხმა ამდენი ცოდვა და ურჯულოება ჩაიდინა ღმერთის წინააღმდეგ; და ისინი ასევე გლოვობდნენ აბინადის სიკვდილს; ასევე აღმას წასვლას და იმ ხალხს, რომელიც მას გაჰყვა, რომლებმაც დააარსეს ღმერთის ეკლესია ღმერთის ძლიერებითა და ძალით და აბინადის მიერ ნათქვამი სიტყვებისადმი რწმენით.

31 დაახ, ისინი გლოვობდნენ მათ წასვლას, რადგან არ იცოდნენ, სად გაიქცნენ ისინი. ახლა ისინი სიხარულით შეუერთდებოდნენ მათ, რადგან თავად დადეს ღმერთთან აღთქმა, რომ ემსახურებოდნენ მას და დაიცავდნენ მის მცნებებს.

32 და ახლა, ამონის მოსვლიდან, მეფე ლიმხიმაც დადო

აღთქმა ღმერთთან და ასევე მრავალმა მისი ხალხისგან, რომ ემსახურებოდნენ მას და დაიცავდნენ მის მცნებებს.

33 და იყო ასე, რომ მეფე ლიმხის და მრავალს მისი ხალხისგან მონათვლა სურდათ; მაგრამ არ იყო არავინ იმ მიწაზე, ვისაც ჰქონდა ღმერთისგან უფლებამოსილება. და ამონმა უარი თქვა ამის გაკეთებაზე, თვლიდა რა თავის თავს უდიდეს მსახურად.

34 ამიტომ, იმ დროს ისინი ეკლესიად არ ჩამოყალიბდნენ, რადგან უფლის სულს მოელოდნენ. ახლა, მათ სურდათ, გამხდარიყვნენ აღმასა და მისი ძმების მსგავსნი, რომლებიც უდაბნოში გაიქცნენ.

35 მათ სურდათ მონათულიყვნენ, როგორც დამოწმება და მტკიცება იმისა, რომ მზად იყვნენ ღმერთისათვის ემსახურათ მთელი თავიანთი გულით; მიუხედავად ამისა, მათ ეს გადადეს; და მათი ნათლობის შესახებ ჩანაწერი შემდგომში იქნება მოცემული.

36 და ახლა, ამონის და მისი ხალხის და მეფე ლიმხისა და მისი ხალხის მთელი საზრუნავი იყო, როგორ გამოეხსნათ თავიანთი თავი ლამანიელთა ხელიდან და მონობიდან.

თავი 22

ლამანიელთა მონობიდან ხალხის გასაქცევად შედგენილია

გეგმა. ლამანიელებს ათრობენ. ხალხი გარბის, ბრუნდება ზარაჰემლაში და ხდება მეფე მოსიას ქვეშემდგომი. დაახლოებით 121-120 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და ახლა, იყო ასე, რომ ამონმა და მეფე ლიმხიმ დაიწყეს ხალხთან თათბირი, თუ როგორ გამოეხსნათ თავი მონობიდან; და მათ ყოველ ადამიანს უბრძანეს, ერთად შეკრებილიყვნენ; და ასე მოიქცნენ იმისათვის, რომ ხალხის ხმა მოესმინათ ამ საქმის შესახებ.

2 და იყო ასე, რომ მათ ვერ მოძებნეს მონობიდან გამოსხნის გზა, გარდა იმისა, რომ აეყვანათ თავიანთი ქალები და ბავშვები და თავიანთი წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონელი და აეღოთ კარვები და წასულიყვნენ უდაბნოში, რადგან ლამანიელნი იყვნენ იმდენად მრავალრიცხოვანნი, რომ ლიმხის ხალხისათვის შეუძლებელი იყო მათთან ბრძოლა, მსხვილით მონობიდან განთავისუფლების მიზნით.

3 ახლა, იყო ასე, რომ გიდეონი გამოვიდა და დადგა მეფის წინ და უთხრა: ახლა, მეფეო, შენ აქამდე ბევრჯერ დაუგდე ყური ჩემს სიტყვებს, როდესაც ვებრძოდით ჩვენს ძმებს, ლამანიელებს.

4 და ახლა, მეფეო, თუ შენ არ მთვლი უხეირო მსახურად ან თუ ჯერ კიდევ ყურს უგდებ ჩემს

სიტყვებს და ისინი სასარგებლოა შენთვის, ამგვარად მსურს, რომ ახლაც მოისმინო ჩემი სიტყვები და მე ვიქნები შენი მსახური და მონობისაგან გამოვიხსნი ამ ხალხს.

5 და მეფემ მას ლაპარაკის ნება დართო. და გიდეონმა მას უთხრა:

6 აგერ, გასასვლელი უკანა კედლიდან, ქალაქის უკანა მხრიდან. ლამანიელნი ანუ ლამანიელთა გუშაგები, ღამე მთვრალნი არიან; ამიტომ, მოდით, გაუგზავნოთ მოწოდება მთელ ხალხს, რომ შეკრიბონ ერთად თავიანთი წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონელი, რათა ღამე შეძლონ მათი უდაბნოში გაყვანა.

7 და მე, შენი ბრძანებისამებრ, მივალ და გადავუხდი ლამანიელებს უკანასკნელ ღვინის ხარკს; და ისინი დათვრებიან და ჩვენ გამოვალთ საიდუმლო გამოსასვლელიდან, მათი ბანაკიდან მარცხნივ, როდესაც დათვრებიან და დაიძინებენ.

8 ამგვარად, ჩვენ წავალთ ჩვენ ქალებთან და ბავშვებთან ერთად, ჩვენს წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონელთან ერთად უდაბნოში; და შილომის მიწას გარშემო შემოვუვლით.

9 და იყო ასე, რომ მეფემ ყური უგდო გიდეონის სიტყვებს.

10 და მეფე ლიმხიმ ბრძანა, რომ მის ხალხს ერთად შეეკრიბათ თავისი ფარა; და გაუგზავნა

ღვინის ხარკი ლამანიელებს; და მან ასევე გაუგზავნა მათ უფრო მეტი ღვინო საჩუქრად; და ისინი თავისუფლად სვამდნენ ღვინოს, რომელიც მეფე ლიმხიმ მათ გაუგზავნა.

11 და იყო ასე, რომ მეფე ლიმხის ხალხი ღამე უდაბნოში გავიდა თავიანთი წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონლით; და მათ გარშემო შემოუარეს შილომის მიწას უდაბნოში და მიმართულემა აიღეს ზარაპემლას მიწისაკენ, მიუძღოდათ რა წინ ამონი და მისი ძმები.

12 და მათ მთლიანად წაიღეს თავიანთი ოქრო და ვერცხლი და ყოველი ძვირფასი ნივთი, რისი წაღებაც შეეძლოთ და ასევე თავიანთი სანოვაგე, უდაბნოში; და შეუდგნენ თავიანთ მოგზაურობას.

13 და უდაბნოში მრავალი დღის ყოფნის შემდეგ, ისინი მივიდნენ ზარაპემლას მიწაზე და შეუერთდნენ მოსიას ხალხს და გახდნენ მისი ქვეშემდგომნი.

14 და იყო ასე, რომ მოსიამ ისინი სიხარულით მიიღო; და მან ასევე მიიღო მათი ჩანაწერები, ასევე ის ჩანაწერებიც, რომლებიც ლიმხის ხალხმა იპოვა.

15 და ეს იყო ასე, რომ როდესაც ლამანიელებმა აღმოაჩინეს, რომ ლიმხის ხალხი ღამე წავიდა იმ მიწიდან, მათ გააგზავნეს უდაბნოში ჯარი, რათა უკან გამოსდევნებოდნენ.

16 და მას შემდეგ, რაც ისინი მისდევდნენ მათ ორი დღის განმავლობაში, ვედარ შეძლეს მათი კვალის მიყოლა, ამიტომ ისინი უდაბნოში დაიკარგნენ.

ამბავი აღმასა და უფლის ხალხზე, რომელნიც განდევნილნი იყვნენ უდაბნოში მეფე ნოეს მიერ.

მოიცავს 23-ე და 24-ე თავებს.

თავი 23

აღმა უარს ამბობს მეფობაზე. ის მსახურობს, როგორც მღვდელმთავარი. უფალი განკიცხავს თავის ხალხს, ლამანიელები კი იპყრობენ ჰელამის მიწას. ამჟღინი, ნოეს ბოროტი მღვდლების წინამძღვარი, მმართველობს, ემსახურება რა ლამანიელთა მეფეს ქვეშემდგომობით. დაახლოებით 145-121 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 ახლა, აღმა იყო რა უფლისგან გაფრთხილებული, რომ მეფე ნოეს ჯარები თავს დაესხმებოდნენ, გააფრთხილა თავისი ხალხი ამის შესახებ, ამიტომ მათ შეკრიბეს საკუთარი ფარები, აიღეს თავიანთი ხორბლის ნაწილი და მეფე ნოეს ჯარებისგან წავიდნენ უდაბნოში.

2 და უფალმა ისინი განამტკიცა იმდენად, რომ მეფე ნოეს

ხალხი მათ ვერ დაეწია, რომ განადგურებინათ.

3 და ისინი რვა დღის განმავლობაში გარბოდნენ უდაბნოში.

4 და ისინი მოვიდნენ მიწაზე, დიახ, მიწაზე ძალზედ მშვენიერსა და კარგზე, მიწაზე სუფთა წყაროთი.

5 და მათ გაშალეს თავიანთი კარგები და დაიწყეს მიწის დამუშავება; და დაიწყეს შენობების აგება, დიახ, ისინი იყვნენ შრომისმოყვარენი და ბევრს შრომობდნენ.

6 და ხალხმა ისურვა, რომ ალმა მათი მეფე გამხდარიყო, რადგან ხალხს იგი უყვარდა.

7 მაგრამ მან უთხრა მათ: აჰა, არ არის მიზანშეწონილი, რომ ჩვენ მეფე გვყავდეს, რადგან ასე ამბობს უფალი: არ განადიდებთ ერთ ხორციელს მეორეზედ ანუ ერთმა კაცმა არ უნდა დააყენოს საკუთარი თავი მეორეზე მაღლა; ამიტომ, მე გეუბნებით, რომ არ არის მიზანშეწონილი თქვენთვის მეფის ყოლა.

8 მიუხედავად ამისა, შესაძლებელი რომ ყოფილიყო, მეფეებად ყოველთვის სამართლიანი ადამიანები გყოლოდათ, მაშინ კარგი იქნებოდა მეფის ყოლა.

9 მაგრამ, გახსოვდეთ მეფე ნოესა და მისი მღვდლების ურჯულობა; და მე თვითონაც მახეში ვიყავი გაბმული და ვაკეთებდი ბევრ ისეთ რამეს, რაც უფლის თვალში იყო სიბილწე, რამაც მწარე მონანიებისაკენ მიიბიძგა;

10 ამისდა მიუხედავად, ამდენი ტანჯვის შემდეგ, უფალმა შეისმინა ჩემი ღაღადი და უპასუხა ჩემს ლოცვებს; და თავის ხელში იარაღად მაქცია, მრავალი თქვენგანის ჭეშმარიტების ცოდნისაკენ მოსაყვანად.

11 ამისდა მიუხედავად, ამით მე არ ვამაყობ, რადგან არ ვარ ღირსეული, ვიამაყო საკუთარი თავით.

12 და ახლა, გეუბნებით, თქვენ ჩაგრულნი იყავით მეფე ნოეს მიერ, მისსა და მისივე მღვდლების მონობაში იყავით და მათ მიერ იყავით ურჯულობაში ჩათრეული; ამიტომ შებოჭილნი იყავით ურჯულობის ბორკილებით.

13 და ახლა, რადგან ხართ გამოხსნილნი ამ ბორკილებიდან ღმერთის ძალით; დიახ, მეფე ნოესა და მისი ხალხის ხელიდანაც კი და ასევე ურჯულობის ბორკილებიდან, მე მსურს, რომ მყარად იდგეთ ამ თავისუფლებაში, რომლის მეშვეობითაც თქვენ განთავისუფლდით და არ ანდოთ არცერთ ადამიანს თქვენზედ მეფობა.

14 და ასევე, არ ანდოთ არცერთ ადამიანს, რომ იყოს თქვენი მასწავლებელი ან მოძღვარი, გარდა ღმერთის კაცისა, მისი გზებით მოსიარულესი და მისი მცნებების დამცველისა.

15 ასე ასწავლიდა ალმა თავის ხალხს, რომ ყოველ ადამიანს ჰყვარებოდა თავისი მოყვასი,

როგორც საკუთარი თავი, რომ არ ყოფილიყო განხეთქილება მათ შორის.

16 და ახლა, აღმა იყო მათი მღვდელმთავარი, იყო რა მათი ეკლესიის დამაარსებელი.

17 და იყო ასე, რომ არავინ არ მიიღებდა ქადაგებისა ან სწავლების უფლებამოსილებას, გარდა ღმერთისგან, მისი მეშვეობით. ამიტომ, მან აკურთხა მათი ყველა მღვდელი და მათი ყველა მასწავლებელი; და არავის არ აკურთხებდა, პატროსანი ადამიანების გარდა.

18 ამიტომ, ისინი მეთვალყურეობდნენ თავიანთ ხალხს და კვებავდნენ მათ იმით, რაც სამართლიანობას ეხებოდა.

19 და იყო ასე, რომ მათ დაიწყეს ძალზედ აყვავება ამ მიწაზე; და მათ მიწას უწოდეს ჰელამი.

20 და იყო ასე, რომ ისინი ძალზედ გამრავლდნენ და აყვავდნენ ჰელამის მიწაზე; და მათ ააშენეს ქალაქი, რომელსაც უწოდეს ჰელამის ქალაქი.

21 მიუხედავად ამისა, უფალი თვლის შესაფერისად თავისი ხალხის განციცხვას; დიახ, ის ცდის მათ მოთმინებასა და რწმენას.

22 ამისდა მიუხედავად, ვინც მას ანდობს თავის სასოებას, იგი ამაღლდება უკანასკნელ დღეს. დიახ, და ასე იყო ეს ხალხიც.

23 რადგან, აჰა, მე დაგანახებთ, რომ მათ დაიმონებენ და ვერავინ

ვერ გამოიხსნის მათ უფლის, მათი ღმერთის, გარდა, დიახ, ღმერთის აბრაამისა, ისააკისა და იაკობისა.

24 და იყო ასე, რომ მან ისინი გამოიხსნა და მათ დაანახა თავისი ძლევა მოსილი ძალა; და დიდი იყო მათი სიხარული.

25 რადგან, აჰა, იყო ასე, რომ როდესაც იყვნენ ჰელამის მიწაზე, დიახ, ქალაქ ჰელამში, როდესაც ამუშავებდნენ მის გარშემო მიწას, აჰა, ლამანიელთა ჯარი გამოჩნდა მიწის საზღვრებში.

26 და ახლა, იყო ასე, რომ აღმას ძმები გამოიქცნენ მინდვრებიდან და ერთად შეიკრიბნენ ქალაქ ჰელამში და ძალზედ შეშინებულნი იყვნენ ლამანიელთა გამოჩენით.

27 მაგრამ აღმა გამოვიდა და მათ შორის დადგა და მოუწოდა, რომ არ შეშინებოდათ, არამედ ხსომებოდათ უფალი, თავიანთი ღმერთი, და ის მათ გამოიხსნიდა.

28 ამიტომ, მათ დაიოკეს შიში და დაიწყეს უფლისადმი დღაღი, რომ მას მოელებო ლამანიელთა გულები, რათა მათ დაენდოთ ისინი და მათი ცოლები და შვილები.

29 და იყო ასე, რომ უფალმა მოულებო გული ლამანიელებს. და აღმა და მისი ძმები წინ წავიდნენ და მათ ხელში ჩაბარდნენ; და ლამანიელები დაუუფლნენ ჰელამის მიწას.

30 ახლა, ლამანიელთა ჯარები, რომლებიც მიჰყვებოდნენ მეფე ლიმხის ხალხს, დაკარგულნი იყვნენ უდაბნოში მრავალი დღის განმავლობაში.

31 და აჰა, მათ იპოვეს მეფე ნოეს მღვდლები და ადგილი, რომელსაც ისინი უწოდებდნენ ამულონს; და მათ დაიწყეს ამულონის მიწის დაუფლება და მიწის დამუშავება.

32 ახლა, იმ მღვდელთა წინამძღვრის სახელი იყო ამულონი.

33 და იყო ასე, რომ ამულონიც შეევედრა ლამანიელებს; და მან ასევე წინ გაუშვა მათი ცოლები, რომლებიც იყვნენ ლამანიელთა ქალიშვილები, რათა შეევედრებოდნენ თავიანთ ძმებს, რომ არ გაენადგურებინათ მათი ქმრები.

34 და ლამანიელებმა იქონიეს სიბრალული ამულონზე და მის ძმებზე და არ გაანადგურეს ისინი მათი ცოლების გამო.

35 და ამულონი და მისი ძმები შეუერთდნენ ლამანიელებს და ისინი მოგზაურობდნენ უდაბნოში ნეფის მიწის ძებნისას, როდესაც აღმოაჩინეს ჰელამის მიწა, რომელიც აღმასა და მისი ძმების მფლობელობაში იყო.

36 და იყო ასე, რომ ლამანიელები აღმასა და მის ძმებს დაპირდნენ, რომ თუ ისინი მათ უჩვენებდნენ გზას ნეფის მიწისაკენ, ისინი მათ სიცოცხლესა და თავისუფლებას აჩუქებდნენ.

37 მაგრამ, მას შემდეგ, რაც აღმამ აჩვენა გზა ნეფის მიწისაკენ,

ლამანიელებმა არ შეასრულეს თავიანთი დანაპირები, არამედ მათ დააყენეს მცველები ჰელამის მიწის გარშემო, აღმასა და მის ძმებზე.

38 და დანარჩენნი წავიდნენ ნეფის მიწაზე; და მათი ნაწილი დაბრუნდა ჰელამის მიწაზე და თან მოიყვანეს იმ მიწაზე დატოვებული მცველების ცოლები და შვილები.

39 და ლამანიელთა მეფემ ნება დართო ამულონს, რომ ყოფილიყო მეფე და მმართველი თავის ხალხზე, რომელიც ცხოვრობდა ჰელამის მიწაზე; მიუხედავად ამისა, მას არ ჰქონდა ძალაუფლება, გაეკეთებინა რამე ლამანიელთა მეფის ნების საწინააღმდეგოდ.

თავი 24

ამულონი დევნის აღმასა და მის ხალხს. თუ ილოცებენ, მათ სიკვდილით დასჯიან. უფალი მოახდენს ისე, რომ მათ ტვირთი მსუბუქად მოეჩვენებათ. იგი მათ მონობიდან გამოიხსნის და ისინი დაბრუნდებიან ზარაჰემლას მიწაზე. დაახლოებით 145-120 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და იყო ასე, რომ ამულონმა ლამანიელთა მეფის თვალში კეთილგანწყობა მოიპოვა და ამიტომ, ლამანიელთა მეფემ ნება დართო მას და მის ძმებს, რომ მასწავლებლებად

დანიშნულიყვნენ მის ხალხზედ, დიახ, იმ ხალხზედ, რომელიც იყო შემლონის მიწაზე, შილომის მიწაზე და ამულონის მიწაზე.

2 რადგან ლამანიელები დაეუფლნენ ყველა ამ მიწას; ამის გამო ლამანიელთა მეფემ დანიშნა ყოველ ამ მიწაზე მეფე.

3 და ახლა, ლამანიელთა მეფის სახელი იყო ლამანი, ეწოდა რა თავისი მამის სახელი და ამიტომ, მას ეწოდა მეფე ლამანი; და ის იყო უთვალავი ხალხის მეფე.

4 და მან დანიშნა მასწავლებლები ამულონის ძმათაგან ყოველ მიწაზე, რომელიც იყო მისი ხალხის მფლობელობაში; და ამგვარად, ნეფის ენის სწავლება დაიწყო ლამანიელთა მთელს ხალხს შორის.

5 და ისინი ერთმანეთის მიმართ იყვნენ მეგობრულად განწყობილი ხალხი; მიუხედავად ამისა, ისინი არ სცნობდნენ ღმერთს; დიახ, ამულონის ძმები მათ არაფერს არ ასწავლიდნენ, რაც ეხებოდა უფალს, მათ ღმერთს, არც მოსეს რჯულს, არც აბინადის სიტყვებს არ ასწავლიდნენ;

6 მაგრამ ასწავლიდნენ, რომ თავიანთი ჩანაწერები შეენახათ, რათა ერთმანეთისთვის მიეწერათ.

7 და ამგვარად, ლამანიელებმა დაიწყეს სიმდიდრის დაგროვება და დაიწყეს ერთმანეთში ვაჭრობა და გაძლიერება; და დაიწყეს მზაკვარ და ბრძენ ხალხად ქცევა, ამა ქვეყნის სიბრძნის

მიხედვით, დიახ, მზაკვარი, ცბიერი ხალხი, ტკბებოდნენ რა ყოველგვარი სიბოროტითა და ძარცვით, მხოლოდ არა თავიანთ ძმებს შორის.

8 და ახლა, იყო ასე, რომ ამულონმა დაიწყო თავისი უფლებამოსილების გამოყენება აღმაზე და მის ძმებზე; და დაიწყო მისი დევნა და გამოიწვია ის, რომ მისი შვილები დევნიდნენ მათ შვილებს.

9 რადგან ამულონი იცნობდა აღმას, რომ ის იყო მეფის ერთ-ერთი მღვდელთაგანი და იყო ის, ვინც აბინადის სიტყვები იწამა და განდევნილ იქნა მეფის მიერ; ამიტომ, ის განრისხებული იყო მასზე, რადგან თავად ემორჩილებოდა მეფე ლამანს, მაგრამ მაინც, ის იყენებდა მათზე უფლებამოსილებას და ავალებდა სამუშაოებს და ზედამხედველებს აყენებდა მათზედ.

10 და იყო ასე, რომ მათი გაჭირვება იმდენად დიდი იყო, რომ დაიწყეს ღმერთისადმი ძლიერად დაღაღი.

11 და ამულონმა უბრძანა, რომ უნდა შეეწყვიტათ დაღაღი; და მათ დაუყენა მცველები, რომ ეთვალთვალათ მათთვის, რომ მოეკლათ ნებისმიერი, ვისაც ღმერთისადმი დაღაღში შენიშნავდნენ.

12 აღმამ და მისმა ხალხმა არ აღიმაღლეს ხმა უფლისადმი, მაგრამ გულს უღვრიდნენ მას და მან იცოდა მათი გულის ფიქრები.

13 და იყო ასე, რომ უფლის ხმა მოველინათ მათ თავიანთ გაჭირვებისას, სიტყვებით: აწიეთ თავი და დამშვიდდით, რადგან მე ვიცი იმ აღთქმის შესახებ, რომელიც თქვენ ჩემთან დადეთ; და მე დაგდებ ჩემს ხალხთან აღთქმას და მონობიდან გამოვიხსნი მათ.

14 და მე ასევე შეგიმსუბუქებთ ტვირთს, რომელიც მხრებზე გაწევთ, რომ თქვენ ვერც იგრძნობთ მას მხრებზე, მაშინაც კი, როდესაც მონობაში ხართ; და ამას გავაკეთებ, რომ ამიერიდან იყოთ ჩემი მოწმენი და რათა ნამდვილად იცოდეთ, რომ მე, უფალი ღმერთი, ვეწვევი ჩემს ხალხს მათი გაჭირვების უამს.

15 და ახლა, ეს იყო ასე, რომ ტვირთი, რომლითაც იყო დამძიმებული ალმა და მისი ძმები, შესუბუქდა, დიახ, უფალმა ისინი ძლიერები გახადა, რომ მათ ადვილად ეტარებინათ თავიანთი ტვირთი და ისინი სიხარულით და მოთმინებით დაემორჩილნენ უფლის სრულ ნებას.

16 და იყო ასე, რომ იმდენად დიდი იყო მათი რწმენა და მოთმინება, რომ უფლის ხმა კვლავ მოველინათ სიტყვებით: დამშვიდდით, რადგან ხვალ მონობიდან გამოვიხსნით.

17 და მან უთხრა ალმას: შენ წახვალ ამ ხალხის წინ და მე შენთან ერთად წამოვალ და ამ ხალხს მონობიდან გამოვიხსნი.

18 ახლა, იყო ასე, რომ ალმამ და მისმა ხალხმა, ღამის

უამს, შეაგროვეს თავიანთი ფარები ერთად და ასევე თავიანთი ხორბალი; დიახ, მთელი ღამე აგროვებდნენ თავიანთ ფარებს.

19 და დილით უფალმა ღრმა ძილი მოჰგვარა ლამანიელებს; დიახ, და ყველა მათი ზედამხედველი იყო ღრმა ძილში.

20 და ალმა და მისი ხალხი წავიდნენ უდაბნოში; და როდესაც იმოგზაურეს მთელი დღე, გაშალეს კარვები ველზე და უწოდეს ამ ველს ალმა, რადგან იგი მიუძღვოდა მათ წინ უდაბნოში.

21 დიახ, და ველზე მათ გადმოაფრქვიეს თავიანთი მადლობები ღმერთისადმი, რადგან ის იყო მოწყალე მათ მიმართ და შეუსუბუქა ტვირთი და მონობიდან გამოიხსნა, ვინაიდან ისინი იყვნენ მონობაში და ვერავინ ვერ გამოიხსნიდა მათ უფლის, მათი ღმერთის გარდა.

22 და მათ მადლობა შესწირეს ღმერთს, დიახ, მათმა ყველა კაცმა და მათმა ყველა ქალმა და მათმა ყველა ბავშვმა, რომლებსაც ლაპარაკი შეეძლოთ, აღიმაღლეს ხმა თავიანთი ღმერთის სადიდებლად.

23 და ახლა უფალმა უთხრა ალმას: იჩქარე და ამ ხალხთან ერთად გამოდი ამ მიწიდან, რადგან ლამანიელებმა გამოიღვიძეს და უკან მოგდევნენ; ამიტომ, გადი ამ მიწიდან და მე გავაჩერებ ლამანიელებს ამ ველზე, რომ ისინი მეტს ვეღარ ივლიან ამ ხალხის უკან მისადევნად.

24 და იყო ასე, რომ ისინი გამოვიდნენ ველიდან და გაემართნენ უდაბნოსკენ.

25 და მას შემდეგ, რაც უდაბნოში გაატარეს თორმეტი დღე, მათ მიაღწიეს ზარაჰემლას მიწას; და მეფე მოსიამ ისინი სიხარულით მიიღო.

თავი 25

მულეკის შთამომავლები ზარაჰემლაში გახდებიან ნეფიელები. ისინი შეიტყობენ აღმასა და ზენიფის ხალხის შესახებ. აღმა ნათლავს ლიმხის და მთელს მის ხალხს. მოსია აძლევს აღმას უფლებამოსილებას, რომ ჩამოაყალიბოს დმერთის ეკლესია. დაახლოებით 120 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და ახლა, მეფე მოსიამ ბრძანა, რომ ყველა ადამიანი ერთად შეკრებილიყო.

2 ახლა, არ იყვნენ იმდენი ნეფის შვილები, არც ისინი, რომლებიც იყვნენ ნეფის შთამომავლები, რამდენიც იყო ზარაჰემლას ხალხი, რომელიც მულეკის შთამომავალი იყო, ასევე მათი, რომლებიც მასთან ერთად მოვიდნენ უდაბნოში.

3 და ისინი, რომლებიც მიეკუთვნებოდნენ ნეფის ხალხს და ზარაჰემლას ხალხს, არ იყვნენ იმდენი, რამდენიც ღამანიელები იყვნენ; დიახ, ისინი ნახევარიც კი არ იყვნენ მათი რაოდენობისა.

4 და ახლა, მთელი ნეფის ხალხი ერთად იყო შეკრებილი, ასევე მთელი ზარაჰემლას ხალხი და ისინი შეკრებილნი იყვნენ ორ ჯგუფად.

5 და იყო ასე, რომ მოსიამ წაიკითხა და ბრძანა, რომ მისი ხალხისთვის წაეკითხათ ზენიფის ჩანაწერები; დიახ, მან წაიკითხა ზენიფის ხალხის ჩანაწერები იმ დროიდან, როდესაც მათ დატოვეს ზარაჰემლას მიწა, იმ დრომდე, როდესაც ისინი კვლავ უკან დაბრუნდნენ.

6 და იგი ასევე კითხულობდა ჩანაწერებს აღმასა და მის ძმებზე, ასევე მათ გაჭირვებაზე, იმ დროიდან, როდესაც მათ დატოვეს ზარაჰემლას მიწა, იმ დრომდე, როდესაც ისინი უკან დაბრუნდნენ.

7 და ახლა, როდესაც მოსიამ დაასრულა ამ ჩანაწერების კითხვა, მისი ხალხი, რომელიც ამ მიწაზე დარჩა, შეძრწუნებული იყო გაკვირებისა და გაოცების გამო.

8 რადგან მათ არ იცოდნენ, რა ეფიქრათ; რამეთუ როდესაც მათ იხილეს ისინი, რომლებიც მონობიდან იქნენ გამოხსნილნი, ისინი აღივსნენ ძალზედ დიდი სიხარულით.

9 და კიდევ, როდესაც ისინი დაფიქრდნენ თავიანთ ძმებზე, რომლებიც მოკლულნი იქნენ ღამანიელთა მიერ, ისინი აღივსნენ მწუხარებით და მრავალი მწუხარების ცრემლიც კი დაღვარეს.

10 და კვლავ, როდესაც ისინი დაფიქრდნენ ღვთის უშუალო სიკეთის შესახებ და მის ძალაზე აღმასა და მისი ძმების ლამანიელთა ხელიდან და მონობიდან გამოსნისას, მათ აღიმადღეს ხმები და ღმერთს მადლობა გაუხადეს.

11 და ასევე, როდესაც მათ იფიქრეს ლამანიელთა შესახებ, რომლებიც მათი ძმები იყვნენ, მათ ცოდვილ და დაბინძურებულ მდგომარეობაზე, ისინი აღივსნენ ტკივილითა და ტანჯვით მათი სულების კეთილდღეობისათვის.

12 და იყო ასე, რომ ისინი, რომლებიც იყვნენ ამულონისა და მისი ძმების შვილები, რომლებმაც ცოლებად მოიყვანეს ლამანიელთა ქალიშვილები, უკმაყოფილონი იყვნენ თავიანთი მამების ქცევით და აღარ სურდათ თავიანთი მამების სახელის ტარება, ამიტომ, მათ აიღეს თავის თავზე ნეფის სახელი, რათა მათ რქმოდან ნეფის შვილები და ჩათვლილ იყვნენ მათ შორის, რომლებსაც ერქვათ ნეფიელები.

13 და ახლა, მთელი ზარაპემლას ხალხი აღრიცხულ იქნა ნეფიელებთან და ეს იმიტომ, რომ მეფობა არავისზე არ მტკიცდებოდა მათ გარდა, ვინც იყვნენ ნეფის შთამომავლები.

14 და ახლა, იყო ასე, რომ როდესაც მოსიამ დაასრულა თავისი გამოსვლა და ხალხისათვის კითხვა, მან მოისურვა, რომ აღმასაც მიემართა ხალხისათვის.

15 და აღმამ მათ მიმართა, როდესაც ისინი ერთად, დიდ ჯგუფებად იყვნენ შეკრებილნი და ის მიდიოდა ერთი ჯგუფიდან მეორესთან, უქადაგებდა რა ხალხს მონანიებასა და უფალში რწმენას.

16 და მან მოუწოდა ლიმხის ხალხსა და თავის ძმებს, ყველას, რომლებიც მონობიდან იქნენ გამოსნნილნი, რათა მათ ხსომებოდან, რომ ეს იყო უფალი, რომელმაც ისინი გამოიხსნა.

17 და იყო ასე, რომ მას შემდეგ, რაც აღმამ ასწავლა ხალხს ბევრი რამ და დაასრულა თავისი სიტყვა მათ მიმართ, მეფე ლიმხიმ მოისურვა, რომ მონათლულიყო და მთელმა მისმა ხალხმა ასევე მოისურვა მონათვლა.

18 ამიტომ, აღმა ჩავიდა წყალში და მონათლა ისინი; დიახ, მან ისინი მონათლა იმ წესით, რომლითაც ნათლაგდა თავის ძმებს მორმონის წყლებში; დიახ, რამდენიც მან მონათლა, მიეკუთვნებოდნენ ღმერთის ეკლესიას; და ეს იყო მათი აღმას სიტყვებისადმი რწმენის გამო.

19 და იყო ასე, რომ მეფე მოსიამ აღმას ნება უბოძა, რომ ეკლესიები ჩამოეყალიბებინა ზარაპემლას მთელ მიწაზე; და მისცა მას უფლებამოსილება, რომ ყოველ ეკლესიაში ეკურთხებინა მღვდლად და მასწავლებლად.

20 და ახლა, ეს შესრულდა

იმის გამო, რომ იმდენად ბევრი ხალხი იყო, რომ ერთი მასწავლებელი ვერ უხელმძღვანელებდა მათ ყველას; ასევე ყველა ვერ მოისმენდა ღვთის სიტყვას ერთი შეკრებით;

21 ამიტომ, ისინი შეიკრიბნენ ერთად სხვადასხვა ჯგუფებში, ეწოდებოდნენ რა ეკლესიები; ყოველ ეკლესიას ჰყავდა საკუთარი მღვდლები და მასწავლებლები და ყოველი მღვდელი ქადაგებდა სიტყვას იმის მიხედვით, თუ როგორ გადაეცა ის აღმას პირით.

22 ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ იყო ბევრი ეკლესია, ისინი ყველა ერთი ეკლესია იყვნენ, დიახ, ღმერთის ეკლესია; რადგან ყოველ ამ ეკლესიაში მონანიებისა და ღმერთში რწმენის გარდა არ იქადაგებოდა სხვა არაფერი.

23 და ახლა, ზარაკემლას მიწაზე შეიდი ეკლესია იყო; და იყო ასე, რომ ყველას, ვისაც თავის თავზე უნდოდა ქრისტეს ანუ ღმერთის სახელის აღება, ისინი უერთდებოდნენ ღმერთის ეკლესიებს.

24 და მათ ეწოდათ ღვთის ხალხი. და უფალმა გადმოღვარა თავისი სული მათზე და ისინი იყვნენ კურთხეულნი და აყვავდნენ იმ მიწაზე.

თავი 26

ეკლესიის მრავალი წევრი ურწმუნოებს ცოდვაში შეჰყავთ.

აღმა იღებს მარადიული სიცოცხლის დაპირებას. მათ, რომლებიც ინანიებენ და ინათლებიან, მიეტკევათ. ცოდვაში მყოფ ეკლესიის წევრებს, რომლებიც ინანიებენ და აღსარებას ეუბნებიან აღმასა და უფალს, მიეტკევათ; სხვაგვარად ისინი არ ჩაითვლებიან ეკლესიის ხალხად. დაახლოებით 120-100 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 იყო ასე, რომ იქ იყვნენ ბევრი მოზარდი თაობიდან, რომლებიც ვერ იგებდნენ მეფე ბენიამინის სიტყვებს, იყვნენ რა პატარა ბავშვები იმ დროს, როდესაც ის ელაპარაკა თავის ხალხს და მათ არ სწამდათ თავიანთი მამების ჩვეულებისა.

2 მათ არ სწამდათ იმის, რაც ითქვა მკვდრეთით აღდგომის შესახებ, არც ქრისტეს მოსვლის არ სწამდათ.

3 და ახლა, თავიანთი ურწმუნოების გამო, ისინი ვერ სწავდებოდნენ ღვთის სიტყვას; და მათი გულები გაქვავებული იყო.

4 მათ არ სურდათ მონათლულიყვნენ, არც ეკლესიას არ უერთდებოდნენ. და ისინი იყვნენ განცალკევებული ხალხი თავიანთი რწმენის მხრივ და ასე დარჩნენ შემდეგშიც, თავიანთ ხორციელ და ცოდვილ მდგომარეობაში; რადგან არ სურდათ მიემართათ უფლისთვის, თავიანთი ღმერთისთვის.

5 და ახლა, მოსიას მმართველო-

ბის დროს, ისინი რაოდენობრივად ღვთის ხალხის ნახევარიც კი არ იყვნენ, მაგრამ ძმებს შორის უთანხმოების გამო, ისინი უფრო მომრავლდნენ.

6 რადგან, იყო ასე, რომ ისინი პირფერული სიტყვებით ატყუებდნენ ბევრს, რომლებიც ეკლესიაში იყვნენ და აიძულებდნენ, ჩაედინათ მრავალი ცოდვა, ამიტომ გახდა საჭირო, რომ ისინი, რომლებიც ცოდვას ჩაიდენდნენ, რომლებიც ეკლესიაში იყვნენ, ეკლესიის მიერ უნდა ყოფილიყვნენ გაფრთხილებულნი.

7 და იყო ასე, რომ ისინი მიიყვანეს მღვდლებთან და მღვდლებისთვის ისინი მასწავლებლების მიერ იქნენ გადაცემულნი, მღვდლებმა კი ისინი მიიყვანეს აღმასთან, რომელიც იყო მღვდელმთავარი.

8 ახლა, მეფე მოსიამ აღმას უბოძა უფლებამოსილება ეკლესიაზე.

9 და იყო ასე, რომ აღმამ არ იცოდა მათ შესახებ, მაგრამ მათ წინააღმდეგ იყვნენ მრავალი მოწმენი; დიახ, ხალხი უხვად მოწმობდა მათიშესახებ.

10 ახლა, მანამდე მსგავსი არაფერი არ მომხდარა ეკლესიაში, ამიტომ აღმა აღელვდა სულში და ბრძანა, რომ ისინი მიეყვანათ მეფესთან.

11 და მან უთხრა მეფეს: აჰა, აქ არიან მრავალნი, რომლებიც მოვიყვანეთ თქვენ წინაშე, რომლებსაც ბრალს სდებენ

თავიანთი ძმები; დიახ, ისინი მხილებულნი იქნენ სხვადასხვა ურჯულოებებში და არ ინანიებენ თავიანთ ურჯულოებას. ამიტომ, ისინი მოვიყვანეთ შენ წინაშე, რომ განსაჯო თავიანთი დანაშაულის შესაბამისად.

12 მაგრამ მეფე მოსიამ აღმას უთხრა: აჰა, მე მათ არ განვსჯი; ამიტომ, მე გადმოგცემ მათ შენ ხელთ, რომ განისაჯონ.

13 და ახლა, აღმა კვლავ აღელვდა სულში; წავიდა და ჰკითხა უფალს, რა უნდა გაეკეთებინა ამის შესახებ, რადგან ეშინოდა, რომ არასწორად არ მოქცეულიყო ღმერთის თვალში.

14 და იყო ასე, რომ მას შემდეგ, რაც მან მთელი თავისი სული გადმოუღვარა ღმერთს, უფლის ხმა მოესმა მას, რომელიც ამბობდა:

15 კურთხეული ხარ შენ, აღმა, და კურთხეულნი არიან ისინი, რომლებიც მოინათლნენ მორმონის წყლებში. კურთხეული ხარ ჩემი მსახურის, აბინადის, მხოლოდ სიტყვების ღრმა რწმენისათვის.

16 და კურთხეულნი არიან ისინი თავიანთი ღრმა რწმენისათვის მხოლოდ სიტყვებში, რომელნიც შენ მათ უთხარი.

17 და კურთხეული ხარ იმისათვის, რომ ჩამოაყალიბე ეკლესია ამ ხალხს შორის; და იქნებიან ისინი განმტკიცებულნი და იქნებიან ჩემი ხალხი.

18 დიახ, კურთხეულია ეს ხალხი, რომელიც მზად არის, ატაროს ჩემი სახელი; რადგან ჩემი სახელით იქნებიან წოდებულნი; და ისინი არიან ჩემნი.

19 და რადგან შენ მკითხე დამნაშავეების შესახებ, შენ ხარ კურთხეული.

20 შენ ხარ ჩემი მსახური; და მე აღთქმას ვდებ შენთან, რომ გექნება მარადიული სიცოცხლე; და შენ მომემსახურები და წინ წახვალ ჩემი სახელით და შეკრიბავ ერთად ჩემს ცხვრებს.

21 და ის, რომელიც მოისმენს ჩემს სიტყვას, იქნება ჩემი ცხვარი; და მას შენ მიიღებ ეკლესიაში და მას ასევე მე მივიღებ.

22 რადგან, აჰა, ეს არის ჩემი ეკლესია; ყოველი, ვინც ინათლება, მონათლება მოსანანიებლად და ვისაც მიიღებ, იწამებს ჩემს სახელს და მე მას სულგრძელად ვაპატიებ.

23 რადგან მე ვარ ის, რომელიც იღებს საკუთარ თავზე ამა ქვეყნის ცოდვებს; რადგან მე ვარ ის, რომელმაც ისინი შექმნა; და მე ვარ ის, რომელიც უბოძებს ადგილს ჩემი მარჯვენა ხელისკენ მას, რომელსაც ბოლომდე სწამს.

24 რადგან, აჰა, ჩემი სახელით არიან ისინი წოდებულნი; და თუ მცნობენ, გამოვლენ და მარადიულად ექნებათ ადგილი ჩემი მარჯვენა ხელისკენ.

25 და იქნება ასე, რომ როდესაც გაისმება მეორე საყვირის ხმა, მაშინ გამოვლენ ისინი, რომლებიც

არასდროს არ მცნობდნენ და ჩემ წინაშე წარსდგებიან.

26 და მათ ეცოდინებათ, რომ მე ვარ უფალი, მათი ღმერთი, რომ ვარ მათი გამომსყიდველი, მაგრამ მათ არ სურდათ გამოსყიდვა.

27 და მაშინ მე მათ განვუცხადებ, რომ მათ არასდროს ვიცნობდი და წავლენ ისინი მარადიულ ცეცხლში, რომელიც გამზადებულია ეშმაკისა და მისი ანგელოზებისთვის.

28 ამიტომ, მე გეუბნები: რომელსაც არ სურს ჩემი ხმის მოსმენა, მას არ მიიღებთ ჩემს ეკლესიაში, რადგან უკანასკნელ დღეს მე მას არ მივიღებ.

29 ამიტომ, მე შენ გეუბნები: წადი და ყოველს, ვინც ჩემ წინააღმდეგ დანაშაულს ჩაიდენს, განიკითხავ მას მის მიერ ჩადენილი ცოდვების შესაბამისად; და თუ ის აღიარებს თავის ცოდვებს შენსა და ჩემ წინაშე და გულით, გულწრფელად მოინანიებს, მას შენ აპატიებ და მეც ასევე ვაპატიებ მას.

30 დიახ, რამდენჯერაც ჩემი ხალხი მოინანიებს, მე მათ ვაპატიებ ჩემ წინააღმდეგ შეცოდებებს.

31 და თქვენც ასევე აპატიეთ ერთმანეთს თქვენი შეცოდებები, რადგან ჭეშმარიტად გეუბნებით: ის, რომელიც მოყვასს ცოდვებს არ ჰპატიობს, როდესაც იგი ამბობს, რომ ინანიებს, მაშინ ის თავის თავზე იწვევს განაჩენს.

32 ახლა, მე გეუბნები: წადი და ვინც არ მოინანიებს საკუთარ ცოდვებს, ის არ ჩაითვლება ჩემს ხალხს შორის და ეს ასე იქნება, ამიერიდან მომავალში.

33 და იყო ასე, რომ როდესაც აღმამ მოისმინა ეს სიტყვები, მან ჩაიწერა ისინი, რათა ჰქონოდა ისინი, რომ განეკითხა იმ ეკლესიის ადამიანები ღმერთის მცნებების შესაბამისად.

34 და იყო ასე, რომ აღმა წავიდა და განიკითხა უფლის სიტყვის მიხედვით ისინი, რომლებიც მხილებულნი იყვნენ ურჯულოებაში.

35 და რომელნიც ინანიებდნენ თავიანთ ცოდვებს და აღიარებდნენ მათ, ის მათ თვლიდა ეკლესიის ხალხად.

36 და ისინი, რომლებიც არ აღიარებდნენ საკუთარ ცოდვებს და არ ინანიებდნენ თავიანთ ურჯულოებას, არ ითვლებოდნენ ეკლესიის ხალხს შორის და მათი სახელები ამოიშალა.

37 და იყო ასე, რომ აღმა აწესრიგებდა ეკლესიის ყველა საქმეს და მათთან კვლავ დამყარდა მშვიდობა და ეკლესიის საქმეებში დაიწყეს ძალზედ აყვავება, დადიოდნენ წინდახედულად ღმერთის წინაშე, მრავალთ იღებდნენ და მრავალთ ნათლავდნენ.

38 და ახლა, ამ ყველაფერს აკეთებდნენ აღმა და მისი თანამოძმენი, რომლებიც ეკლესიას ხელმძღვანელობდნენ და

დადიოდნენ რა მთელი სიბეჯითით, ასწავლიდნენ ღვთის სიტყვას ყველაფერში, იტანდნენ ყველანაირ გაჭირვებას, იყვნენ რა დევნილნი ყველა მათ მიერ, რომელნიც არ მიეკუთვნებოდნენ ღმერთის ეკლესიას.

39 და ისინი თავიანთ ძმებს არიგებდნენ; და თავადაც ასევე იყვნენ დარიგებულნი, ყოველი მათგანი ღვთის სიტყვით, თავისი ცოდვების შესაბამისად ანუ იმ ცოდვებისა, რომლებიც მან ჩაიდინა, ჰქონდათ რა ნაბრძანები ღმერთის მიერ, რომ ელოცათ განუწყვეტლივ და მადლიერნი ყოფილიყვნენ ყველაფერში.

თავი 27

მოსია კრძალავს დევნას და ბრძანებს, რომ დამყარდეს თანასწორობა. უმცროსი აღმა და მოსიას ოთხი შვილი ცდილობენ ეკლესიის განადგურებას. მოეკვლინებათ ანგელოზი და უბრძანებს მათ, რომ შეწყვიტონ ბოროტი საქმე. აღმა დამუნჯდება. მთელი კაცობრიობა უნდა ხელახლა იშვას, რათა ხსნა მიიღოს. აღმა და მოსიას შვილები აუწყებენ სასიხარულო ამბებს. დაახლოებით 100-92 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და იყო ასე, რომ დევნა, რომელსაც განიცდიდა ეკლესია ურწმუნოთა მხრიდან, იმდენად გაძლიერდა, რომ ეკლესიის წევრებმა დაიწყეს ბუზღუნი

და ჩივილი ამის გამო თავიანთ ხელმძღვანელებთან; და აღმასთან იჩივლეს ამის შესახებ. და აღმამ ეს საქმე მეფე მოსიას მოახსენა. და მოსია ეთათბირა თავის მღვდლებს.

2 და იყო ასე, რომ მეფე მოსიამ გაგზავნა მოწოდება მთელი მიწის შემოგარენში, რომ არცერთ ურწმუნოს არ უნდა ედევნა არცერთი მათგანი, ვინც ღმერთის ეკლესიას მიეკუთვნებოდა.

3 და იყო მკაცრი ბრძანება, ყველა ეკლესიაში, რომ არ ყოფილიყო მათ შორის დევნა, რომ ყველა ადამიანთა შორის ყოფილიყო თანასწორობა;

4 რომ არც ამპარტავნობამ და არც სიამაყემ არ დაარღვიოს მათი მშვიდობა; რომ ყოველი ადამიანი პატივს სცემდეს თავის მოყვასს, როგორც საკუთარ თავს, საკუთარი ხელის შრომით უზრუნველყოს თავისი თავი.

5 დიახ, მათ ყველა მღვდელსა და მასწავლებელს, საკუთარი ხელით ეშრომათ თავიანთი თავის უზრუნველსაყოფად, ყველა შემთხვევაში, ავადმყოფობისა და მძიმე სიდუხჭირის გარდა; და ამის დაცვით, ისინი უხვად იღებდნენ ღმერთის მადლს.

6 და მიწაზე კვლავ დამყარდა სრული მშვიდობა; და ხალხმა იწყო ძალზედ გამრავლება და დაიწყო დედამიწის ზედაპირზე გავრცელება, დიახ, ჩრდილოეთსა და სამხრეთისკენ, აღმოსავლეთსა და დასავლეთისკენ,

აშენებდნენ რა დიდ ქალაქებსა და სოფლებს მიწის ყოველ კიდეში.

7 და უფალი მათ მოეველინათ და ააყვავა ისინი; და ისინი გახდნენ მრავალრიცხოვანი და მდიდარი ხალხი.

8 ახლა, მოსიას შვილები ითვლებოდნენ ურწმუნოთა შორის; ასევე აღმას ერთ-ერთი შვილიც ითვლებოდა მათ შორის და სახელად ერქვა აღმა, თავისი მამის სახელი; მიუხედავად ამისა, ის გახდა ძალზედ ბოროტი და კერპთაყვანისმცემელი ადამიანი. და ის იყო მჭერმეტყველი კაცი და ხალხთან ბევრს პირფერობდა; ამიტომ, მან ხალხთა შორის მრავალს უბიძგა, მის მსგავსად ჩაედინათ ურჯულოება.

9 და ის იქცა დიდ დაბრკოლებად ღმერთის ეკლესიის აყვავებისთვის; იტაცებდა ადამიანთა გულებს; იწვევდა ადამიანებში მრავალ უთანხმოებას; აძლედა ღმერთის მტერს საშუალებას, გამოეველინა მისი ძალა მათზე.

10 და ახლა, იყო ასე, რომ იმ დროს, როდესაც ის დადიოდა, ცდილობდა რა ღმერთის ეკლესიის განადგურებას, ვინაიდან ის დადიოდა ფარულად, მოსიას შვილებთან ერთად, ცდილობდა რა ეკლესიის განადგურებას და უფლის ხალხის გზიდან აცდენას, ღმერთის ბრძანებების საწინააღმდეგოდ ან თვით მეფისაც კი -

11 და როგორც მე გითხარით,

იმ დროს, როდესაც ისინი დადიოდნენ, ჯანყდებოდნენ რა ღმერთის წინააღმდეგ, აჰა, გამოეცხადათ მათ უფლის ანგელოზი; და ის დაეშვა ისე, ვითარცა ღრუბელში ყოფილიყო; და ილაპარაკა, ვითარცა ჭექა-ქუხილის ხმით, რაც აზანზარებდა მიწას, რომელზედაც ისინი იდგნენ.

12 და იმდენად დიდი იყო მათი გაოცება, რომ მიწაზე დაეცნენ და არ ესმოდათ იმ სიტყვების, რომლებსაც ის მათ ეუბნებოდა.

13 ამისდა მიუხედავად, მან კვლავ შესძახა სიტყვებით: ალმა, ადექი და წინ გამოდი, რატომ სდევნი ღმერთის ეკლესიას? რამეთუ უფალმა თქვა: ეს არის ჩემი ეკლესია და მე დავაარსებ მას და ვერაფერი ვერ დაამხობს მას, ჩემი ხალხის შეცოდების გარდა.

14 და კიდევ ანგელოზმა თქვა: აჰა, უფალმა ისმინა თავისი ხალხის ლოცვები და ასევე ლოცვები მისი მსახურის, აღმასი, რომელიც არის მამაშენი; რადგან ის ლოცულობდა შენზე დიდი რწმენით, რათა შენ მიყვანილი ყოფილიყავი ჭეშმარიტების ცოდნისკენ; ამიტომ, ამ მიზნით მოვედი, რათა დაგარწმუნო ღმერთის ძალასა და უფლებამოსილებაში, რომ მისმა მსახურთა ლოცვებმა ჰპოვონ თავიანთი რწმენის შესაბამისი პასუხი.

15 და ახლა, აჰა, ნუთუ შე-

გიძლიათ ღმერთის ძალასთან დავა? განა არ აზანზარებს ჩემი ხმა მიწას? ნუთუ ვერ მხედავთ თქვენ წინაშე? და მე ღმერთისგან ვარ გამოგზავნილი.

16 ახლა მე გეუბნები: წადი და გახსოვდეს შენი მამების ტყვეობა ჰელამისა და ნეფის მიწაზე; და გახსოვდეს, რა დიადი საქმენი გააკეთა მან მათთვის; რადგან მონობაში იყვნენ და მან ისინი გამოიხსნა. და ახლა მე შენ გეუბნები: ალმა, წადი შენი გზით და ნუღარ ეცდები ეკლესიის განადგურებას, რათა მათ ლოცვებმა პასუხი ჰპოვონ, თუნდაც შენ თვითონ ისურვო, რომ იყო გაძევებული.

17 და ახლა, იყო ასე, რომ ეს იყო უკანასკნელი სიტყვები, რაც ანგელოზმა ალმას უთხრა და ის წავიდა.

18 და ახლა, ალმა და ისინი, რომლებიც მასთან იყვნენ, კვლავ მიწაზე დაეცნენ, რადგან დიდი იყო მათი გაოცება; ვინაიდან საკუთარი თვალთ იხილეს უფლის ანგელოზი; და მისი ხმა იყო ჭექა-ქუხილის მაგვარი, რომელიც მიწას აზანზარებდა; და მათ იცოდნენ, რომ არ იყო არაფერი, გარდა ღმერთის ძალისა, რასაც შეეძლო მიწა შეეზანზარებინა და შეეძრა ისე, ლამის ნაწილებად დამსკდარიყო.

19 და ახლა, ალმას გაოცება იმდენად დიდი იყო, რომ ის დამუნჯდა, აღარ შეეძლო პირის გაღება; დიახ, ის დასუსტდა

ისე, რომ ხელებსაც კი ვეღარ ამოძრავებდა; ამიტომ, ის აიყვანეს მათ, ვინც მასთან იყვნენ და ატარეს უმწუო მანამ, სანამ მამამისის წინ არ დააწვინეს.

20 და ისინი მოუყვნენ მამამისს ყველაფრის შესახებ, რაც შეემთხვათ; და მამამისს გაუხარდა, რადგან იცოდა, რომ ეს იყო ღმერთის ძალა.

21 და მან ბრძანა, რომ მრავალნი შეკრებილიყვნენ ერთად, რომ ყოფილიყვნენ იმის მოწმენი, რა უქნა უფალმა მის შვილს და ასევე მათ, ვინც მასთან იყვნენ.

22 და ბრძანა, რომ მღვდლები ერთად შეკრებილიყვნენ; და დაიწყეს მარხვა და ლოცვა უფლისადმი, მათი ღმერთისადმი, რომ მას აღმასთვის პირი გაეხსნა, რომ შეძლებოდა ლაპარაკი, ასევე, რომ მის კიდურებს ძალა მისცემოდა, რომ ხალხს თვალეები გახელოდა, რათა ენახათ და შეეცნოთ ღმერთის სიკეთე და დიდება.

23 და იყო ასე, რომ მას შემდეგ, რაც მათ იმარხულეს და ილოცეს ორი დღის და ორი ღამის განმავლობაში, აღმას კიდურებს დაუბრუნდა ძალა, იგი წამოდგა და მიმართა მათ თხოვნით, დამშვიდებულიყვნენ.

24 რადგან, - თქვა მან, მე მოვინანიე ჩემი ცოდვები და გამომისყიდა უფალმა; აჰა, მე სულისაგან ვარ შობილი.

25 და უფალმა მითხრა: ნუ გაცდები, რომ მთელი კაცობრი-

ობა, დიახ, კაცი და ქალი, ყველაერი, ტომი, ენა და ხალხი უნდა ხელახლა იშვას; დიახ, იშვას ღვთისგან, შეცვალონ თავიანთი ხორციელი და დაცემული მდგომარეობა სამართლიანით, გამოსყიდულნი რა ღმერთის მიერ, იქცვიან მის შვილებად და ქალიშვილებად.

26 და ამგვარად, ისინი იქცვიან ახალ ქმნილებებად; და თუ ასე არ მოიქცვიან, ვერანაირად ვერ დაიმკვიდრებენ ღვთის სასუფეველს.

27 მე გეუბნებით: თუ ასე არ იქნება, მაშინ უნდა იყვნენ გაძევებულნი; და ეს მე ვიცი, რადგან მეც თითქმის გაძევებული ვიყავი.

28 ამისდა მიუხედავად, მას შემდეგ, რაც გადავიტანე მრავალი განსაცდელი, ვინანიებდი რა ღამის სიკვდილამდე, უფალმა თავისი წყალობით გადაწყვიტა, გამოეგლიჯა ჩემი თავი მარადიული წვისგან; და ვარ ღვთისგან შობილი.

29 ჩემი სული გამოსყიდულია მწარე ნაღველისგან და ურჯულეობის ბორკილებისგან. მე ვიყავი ყველაზე ბნელ უფსკრულში, მაგრამ ახლა ვუცქერ ღმერთის საოცარ სინათლეს. ჩემი სული იყო მარადიული წამებით ნაწამები, მაგრამ მე მან გამომგლიჯა და მეტი აღარ იტანჯება ჩემი სული.

30 მე უარყოფდი ჩემს გამომსყიდველს და უარს ვამბობდი იმაზე, რაც ჩვენი მამების მიერ

ითქვა; მაგრამ ახლა, რათა შეძლონ წინასწარ განჭვრიტონ, რომ ის მოვა და მას ახსოვს მის მიერ შექმნილი ყოველი არსება, იგი ყველას გამოეცხადება.

31 დიახ, ყოველი მუხლი მოიდრიკება და ყოველი ენა იტყვის აღსარებას მის წინაშე. დიახ, უკანასკნელ დღესაც კი, როდესაც ყოველი ადამიანი წარსდგება, რათა განკითხულ იქნას მის მიერ, მაშინ აღიარებენ ისინი, რომ ის არის ღმერთი; მაშინ აღიარებენ ისინი, რომლებიც უღმერთოდ ცხოვრობენ ამ ქვეყნად, რომ მართალია მათზე მარადიული სასჯელის სამართალი; და აცახცახდებიან და იკანკალებენ და მოიკუნტებიან მისი ყოვლისმხილველი მზერის ქვეშ.

32 და ახლა, იყო ასე, რომ ამ დროიდან აღმამ დაიწყო ხალხის სწავლება, ასევე მათ, რომლებიც აღმასთან ერთად იყვნენ, როდესაც ანგელოზი გამოეცხადათ; და ისინი მოგზაურობდნენ მთელს მიწაზე, აუწყებდნენ მთელს ხალხს იმაზე, რაც მოისმინეს და იხილეს; და ქადაგებდნენ ღვთის სიტყვას დიდ გაჭირებაში, იტანდნენ რა სასტიკ დევნას ურწმუნოთაგან და ცემას მრავალი მათგანისგან.

33 მაგრამ, ამისდა მიუხედავად, მათ მოჰქონდათ დიდი ნუგეში ეკლესიის წევრებისათვის, ამტკიცებდნენ რა მათ რწმენას და მოუწოდებდნენ

სულგრძელობითა და მძიმე შრომით დაეცვათ ღმერთის მცნებები.

34 და ოთხი მათგანი იყო მოსიას შვილი; და მათი სახელები იყო ამონი და აარონი და ომნერი და ხიმნი. ეს იყო მოსიას შვილების სახელები.

35 და ისინი მოგზაურობდნენ მთელ ზარაჰემლას მიწაზე და ყველა ადამიანს შორის, რომლებიც მეფე მოსიას ქვეშემდგომობაში იყვნენ, გულითადად ცდილობდნენ, აენახლაურებიანთ ყველა ის ზიანი, რაც მათ ეკლესიას მიაყენეს, აღიარებდნენ რა თავიანთ ცოდვებს და აუწყებდნენ ყველაფერს, რაც იხილეს, უხსნიდნენ რა წინასწარმეტყველებებს და წმინდა წერილებს ყველას, ვისაც სურდა მათი მოსმენა.

36 და ამგვარად, ისინი ღმერთის ხელში იყვნენ იარაღი, მრავალთა ჭეშმარიტების ცოდნისაკენ მისაყვანად, დიახ, მათი გამომსყიდველის ცოდნისაკენ.

37 და რაოდენ კურთხეულნი არიან ისინი! რადგან აუწყებდნენ მშვიდობაზე, აუწყებდნენ სასიხარულო ამბებს კეთილზე; და უცხადებდნენ ხალხს, რომ უფალი მეფობს.

თავი 28

მოსიას შვილები მიდიან ლამანიელთათვის საქადაგებლად. ნათელმჭვრეტი ორი ქვის

მეშვეობით, მოსია გადათარგმნის იარედიელების ფირფიტებს. დაახლოებით 92 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 ახლა, იყო ასე, რომ მას შემდეგ, რაც მოსიას შვილებმა ეს ყველაფერი გააკეთეს, მათ თან წაიყვანეს რამდენიმე ადამიანი და თავიანთ მამასთან, მეფესთან, დაბრუნდნენ და მოისურვეს მისგან, რომ მას ნება დაერთო მათთან ერთად, რომლებიც ამოირჩიეს, წასულიყვნენ ნეფის მიწაზე, რათა ექადაგათ ის, რაც მოისმინეს, რათა გაეზიარებინათ ღვთის სიტყვა თავიანთ ძმებისთვის, ლამანიელებისთვის.

2 რათა იქნებ, წაეყვანა ისინი უფლის, თავიანთი ღმერთის ცოდნისკენ და თავიანთი მამების ურჯულოებაზე დაერწმუნებინა ისინი; და იქნებ განკურნებულყვნენ ნეფიელთა მიმართ სიძულვილისგან, რათა ისინიც მიყვანილნი ყოფილიყვნენ უფლის, თავიანთი ღმერთის, სიხარულში, რომ ისინი ერთმანეთის მიმართ მეგობრულები გამხდარიყვნენ და აღარ ყოფილიყო განხეთქილება მთელ მიწაზე, რომელიც უფალმა ღმერთმა მათ უბოძა.

3 ახლა, მათ სურდათ, რომ ხსნის შესახებ ეუწყებინათ ყოველი არსებისთვის, რადგან არ შეეძლოთ აეტანათ, რომ რომელიმე ადამიანის სული დაღუპულიყო; დიახ, იმის გაფიქრებაც კი,

რომ რომელიმე სული იწვნევედა უსასრულო წამებას, აკანკალებდა და აცახცახებდა მათ.

4 ამგვარად, უფლის სულმა იმოქმედა მათზე, რადგან ისინი ცოდვილთა შორის ყველაზე ბილწნი იყვნენ. და უფალმა, თავისი უსაზღვრო წყალობით, ჩათვალა საჭიროდ, რომ შეენდო ისინი. მიუხედავად ამისა, ისინი განიცდიდნენ ძლიერ სულიერ ტანჯვას თავიანთი ურჯულოების გამო, ძლიერ განიცდიდნენ და ეშინოდათ, რომ ისინი იქნებოდნენ სამუდამოდ გაძევებულნი.

5 და იყო ასე, რომ მრავალი დღის განმავლობაში ევედრებოდნენ თავიანთ მამას, რომ შეძლებოდათ ნეფის მიწაზე წასვლა.

6 და მეფე მოსია წავიდა და ჰკითხა უფალს, დაერთო თუ არა ნება თავისი შვილებისათვის, ლამანიელთა შორის სიტყვის საქადაგებლად წასვლაზე.

7 და უფალმა უთხრა მოსიას: ნება უბოძე წავიდნენ, რადგან მრავალნი ირწმუნებენ მათ სიტყვებს და მათ ექნებათ მარადიული სიცოცხლე; და გამოვიხსნი შენს შვილებს ლამანიელთა ხელიდან.

8 და იყო ასე, რომ მოსიამ დაერთო ნება, რომ ისინი წასულიყვნენ და მოქცეულიყვნენ თავიანთი თხოვნისამებრ.

9 და ისინი გაემგზავრნენ უდაბნოში, რათა წასულიყვნენ სიტყვის საქადაგებლად ლამა-

ნიელთა შორის; და შემდეგში მოვიყვან ჩანაწერებს მათი საქმიანობის შესახებ.

10 ახლა, მეფე მოსიას არ ჰყავდა არავინ, ვისზეც შეიძლებოდა სამეფოს გადაცემა, რადგან არავინ იყო მის შვილთაგან, რომელიც მიიღებდა სამეფოს.

11 ამიტომ, მან აიღო ჩანაწერები, რომლებიც ამოტვიფრული იყო სპილენძის ფირფიტებზე, ასევე ნეფის ფირფიტები და ყველა ნივთი, რომელსაც იცავდა და ინახავდა ღმერთის ბრძანებების შესაბამისად, მას შემდეგ, რაც გადათარგმნა და ბრძანა, რომ გაეკეთებინათ ჩანაწერები, რომლებიც იყო ამოტვიფრული ოქროს ფირფიტებზე, რომლებიც ნაპოვნი იყო ლიმხის ხალხის მიერ და რომელნიც ლიმხის ხელით იყო მისთვის ნაბოძები.

12 და მან ეს გააკეთა თავის ხალხზე დიდი ზრუნვის გამო, რადგან მათ ძალზედ სურდათ გაეგოთ იმ ხალხის შესახებ, რომელიც განადგურდა.

13 და ახლა, მან გადათარგმნა ისინი იმ ორი ქვის მეშვეობით, რომლებიც ჩასმული იყო ორ ფოსლიან ჩარჩოში.

14 ახლა, ეს საგნები მომზადებული იყო დასაბამიდანვე და გადაეცემოდა თაობიდან თაობას, ენების გადათარგმნის მიზნით.

15 და ისინი იყო უფლის ხელით შენახული და დაცული, რომ მას გაენდო ყოველი ადამიანისთვის,

რომელიც დაეუფლებოდა მიწას, მისი ხალხის ურჯულოება და სისაძაგლე;

16 და ყოველი, ვინც ვლობდა ამ ნივთებს, ნათელმჭკვრეტელად იწოდებოდა ისე, როგორც ძველად.

17 და ახლა, მას შემდეგ, რაც მოსიამ დაასრულა ამ ჩანაწერების თარგმნა, აჰა, მათში მოცემული იყო იმ ხალხის ამბავი, რომელიც განადგურდა, მათი განადგურებიდან იმ დიდი კოშკის მშენებლობამდე, როდესაც უფალმა არია ხალხთა ენა და ისინი მთელი დედამიწის პირზე იქნენ გაფანტულნი, დიახ, იმ დროიდან ადამის შექმნამდეც კი.

18 ახლა, ამ ამბავმა მოსიას ხალხში გამოიწვია ღრმა გლოვა, დიახ, ისინი აღვსილნი იყვნენ დარდით; მიუხედავად ამისა, მან მისცა მათ დიდი ცოდნა, რომლითაც ისინი ხარობდნენ.

19 და ეს ამბავი დაიწერება ამის შემდეგ; რადგან, აჰა, საჭიროა, რომ ყველამ გაიგოს, თუ რა წერია ამ ჩანაწერებში.

20 და ახლა, როგორც მე გითხარით, მას შემდეგ, რაც მეფე მოსიამ გააკეთა ეს ყველაფერი, მან აიღო სპილენძის ფირფიტები და ყველაფერი, რასაც ინახავდა და გადასცა აღმას, რომელიც იყო აღმას შვილი; დიახ, ყველა ჩანაწერი, ასევე მთარგმნელი ხელსაწყოები და გადასცა ისინი მას და უბრძანა, რომ დაეცვა

და შეენახა ისინი, ასევე ეწარმოებინა ჩანაწერები ხალხზე, გადაეცა ისინი ერთი თაობიდან მეორეზე ისე, როგორც მათ გადმოსცემდნენ იმ დროიდან მოყოლებული, როდესაც ლეხიმი დატოვა იერუსალიმი.

თავი 29

მოსიას შემოაქვს წინადადება, რომ მეფის მაგივრად არჩეულ იქნენ მოსამართლეები. უსამართლო მეფეებს ცოდვაში შეჰყავთ თავიანთი ხალხი. ხალხის ხმით უმცროსი აღმა არჩეულია მთავარ მოსამართლედ. ის ასევე არის ეკლესიის მღვდელმთავარი. უფროსი აღმა და მოსია გარდაიცვალნენ. დაახლოებით 92-91 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და ახლა, როდესაც მოსიამ ეს გააკეთა, მან გააგზავნა მოწოდება მთელ მიწაზე, მთელი ხალხისთვის, იმის სურვილით, რომ გაეგო მათი ნება იმის შესახებ, თუ ვინ უნდა ყოფილიყო მათი მეფე.

2 და იყო ასე, რომ მოადწია ხალხის ხმამ სიტყვებით: ჩვენ გვსურს, რომ აარონი, შენი შვილი, იყოს ჩვენი მეფე და ჩვენი მმართველი.

3 ახლა, აარონი წასული იყო ნეფის მიწაზე, ამიტომ მეფეს არ შეეძლო მასზე მეფობის გადაცემა; არც აარონი დათანხმდებოდა მასზედ მეფობის

გადაცემაზე; არც ერთ მოსიას შვილს არ სურდა მეფობის საკუთარ თავზე აღება.

4 ამიტომ, მეფე მოსიამ კვლავ გააგზავნა ხალხში; დიახ, დაწერილი სიტყვაც კი გაუგზავნა ხალხს. და სიტყვები, რომლებიც ეწერა, იუწყებოდა:

5 აჰა, თქვენ, ჩემო ხალხო ანუ ჩემო ძმებო, რადგან ასე გთვლით თქვენ, მსურს, რომ განიხილოთ საქმე, რომელიც მოწოდებულნი ხართ განიხილოთ, რადგან გსურთ, რომ მეფე გყავდეთ.

6 ახლა, მე გიცხადებთ, რომ მან, ვისაც მეფობა კანონით ეკუთვნის, უარი თქვა და არ აიღებს მეფობას თავის თავზე.

7 და ახლა, სხვა თუ დაინიშნა მის მაგივრად, აჰა, მე ვშიშობ, ეს შეიძლება გახდეს თქვენ შორის განხეთქილების მიზეზი. და ვინ იცის, ჩემი შვილი, რომელსაც მეფობა ეკუთვნის, არ გაბრაზდება და თან არ გაიყოლიებს ამ ხალხის ნაწილს, რაც გამოიწვევს ბევრ სისხლისღვრას და უფლის გზის გამრუდებას, დიახ და მრავალი ადამიანის სულის განადგურებას.

8 ახლა, მე გეუბნებით: მოდით ვიყოთ ბრძენნი და განვიხილოთ ეს საქმენი, რადგან არ გვაქვს ჩემი შვილის განადგურების უფლება, არც უნდა გვქონდეს რაიმე უფლება სხვის გასანადგურებლად, თუ დაინიშნება მის მაგივრად.

9 და თუ ჩემი შვილი კვლავ მიუბრუნდა თავის ამპარტავნობას და ამოო საქმეებს, ის უკან წაიღებს ყოველივე იმას, რაც თქვა და მოითხოვდა უფლებას მეფობაზე, რაც აიძულებდა მას და ასევე ამ ხალხს, მრავალი ცოდვის ჩადენას.

10 და ახლა, მოდით ვიყოთ გონიერნი და დაველოდოთ ყოველივე ამას და გავაკეთოთ ის, რაც მშვიდობას მოუტანს ამ ხალხს.

11 ამიტომ, მე ვიქნები თქვენი მეფე ჩემს დანარჩენილ დღეებში; მიუხედავად ამისა, მოდით დაენიშნოთ მოსამართლეები, რომ განსაჯონ ეს ხალხი ჩვენი კანონის შესაბამისად და ჩვენ თავიდან მოვაწყობთ ამ ხალხის საქმეებს, რადგან დაენიშნავთ ბრძენ კაცთ მოსამართლეებად, რომლებიც განსჯიან ამ ხალხს ღმერთის მცნებების შესაბამისად.

12 ახლა, აჯობებს, რომ კაცი განსჯილ იქნას ღმერთის მიერ, ვიდრე კაცისაგან, რადგან ღმერთის სამსჯავრო ყოველთვის სამართლიანია, ხოლო ადამიანის სამსჯავრონი არ არის ყოველთვის სამართლიანი.

13 ამიტომ, თუ იქნებოდა შესაძლებელი, რომ თქვენ გყოლოდათ პატიოსანი კაცნი მეფეებად, რომელნიც დაამყარებდნენ ღმერთის კანონებს და განსჯიდნენ ამ ხალხს მისი მცნებების შესაბამისად, დიახ, თქვენ რომ გყოლოდათ მეფეებად კაცნი, რომელნიც

გაკეთებდნენ იგივეს, რასაც აკეთებდა მამაჩემი ბენიამინი ამ ხალხისთვის, მე თქვენ გეუბნებით: ეს რომ ყოველთვის ასე ყოფილიყო, მაშინ თქვენ უნდა ყოველთვის გყოლოდათ მეფენი, რომლებიც იქნებოდნენ თქვენზედ მმართველნი.

14 და მე თვითონაც კი ვშრომობდი მთელი ჩემი ძალით და შესაძლებლობებით, რაც გამაჩნდა, რომ მესწავლებინა თქვენთვის ღმერთის აღთქმები და დამემყარებინა მშვიდობა მთელ მიწაზე, რომ არ ყოფილიყო არც ომები, არც განხეთქილებები, არც ქურდობა, არც ძარცვა, არც მკვლევლობები, არც არანაირი ურჯულოება;

15 და ყოველს, ვინც ჩაიდენდა ურჯულოებას, მე დანაშაულის შესაბამისად ვსჯიდი, რომელიც მან ჩაიდინა, იმ რჯულის შესაბამისად, რომელიც მოგვცეს ჩვენმა მამებმა.

16 ახლა, მე გეუბნებით, ვინაიდან ყველა ადამიანი არ არის მართალი, არ არის საჭირო, რომ თქვენ გყავდეთ მეფე ან მეფეები, რომლებიც თქვენზედ იქნებიან მმართველნი.

17 რადგან, აჰა, რამდენ ურჯულოების ჩადენას იწვევს ერთი ბოროტი მეფე, დიახ, და რა დიდ განადგურებას!

18 დიახ, გაიხსენეთ მეფე ნოე, მისი სიბოროტე და სისაძაგლე, ასევე მისი ხალხის ბოროტება და სისაძაგლე. აჰა, რაოდენ

დიდი განადგურება მოეწვინა მათზედ; და ასევე მათივე ურჯულოების გამო მონობაში ჩაცვივდნენ.

19 და რომ არ ჩარეულიყო ყოვლადბრძენი შემქმნელი, მათი გულწრფელი მონანიების გამო, ისინი აუცილებლად აქამდეც მონობაში დარჩებოდნენ.

20 მაგრამ, აჰა, მან ისინი გამოიხსნა, ვინაიდან მათ დაიმდაბლეს თავი მის წინაშე; და რადგან მას შეჰღაღადეს ძლიერად, მან გამოიხსნა ისინი მონობიდან. და ასე აკეთებს ყველაფერს უფალი თავისი ძალით ადამიანთა შეილებს შორის; უწვდის წყალობის ხელს მათ, რომელნიც მას ანდობენ სასოებას.

21 და აჰა, ახლა მე თქვენ გეუბნებით, თქვენ ვერ შეძლებთ ურჯულო მეფის ჩამოგდებას, მხოლოდ დიდი განხეთქილებითა და დიდი სისხლისღვრით.

22 რადგან, აჰა, მას ჰყავს თავისი მეგობრები ურჯულოებაში და თან ჰყავს მცველები; და მათ კანონებს ანადგურებს, რომელნიც მანამდე სამართალით მართველობდნენ და ფეხქვეშ თელავს ღმერთის მცნებებს.

23 და ის აწესებს კანონებს და აგზავნის მათ საკუთარ ხალხში, დიახ, კანონებს, მისი სიბოროტის შესატყვისად; და ვინც არ ემორჩილება მის კანონებს, იგი ბრძანებს, რომ განადგურონ; და რომლებიც აჯანყდებიან მის წინააღმდეგ, ის გააგზავნის თავის

ჯარებს მათ წინააღმდეგ საომრად; და თუ შეძლებს, ის მათ განადგურებს; და ამგვარად ამრუდებს უსამართლო მეფე ყოველი სამართლიანის გზას.

24 და ახლა, აჰა, მე თქვენ გეუბნებით, არ არის საჭირო, რომ ამგვარი სისაძაგლე თქვენ მოგვევლინოთ.

25 ამიტომ, აირჩიეთ ამ ხალხის ხმით, მოსამართლენი, რათა განისაჯოთ იმ კანონების შესაბამისად, რომლებიც ჩვენმა მამებმა მოგვცათ, რომელნიც არიან სწორი, რომელნიც მათ უფლის ხელით მიეცათ.

26 ახლა, არ არის ჩვეულებრივი, რომ ხალხის ხმა მოითხოვს იმის საწინააღმდეგოს, რაც არის მართალი; მაგრამ ჩვეულებრივია ხალხის მცირე ნაწილისთვის, რომ ისურვონ ის, რაც არასწორია; ამიტომ, თქვენ ეს უნდა დაიცვათ და აქციოთ თქვენს კანონად – ხალხის ხმით თქვენი საქმის კეთება.

27 და თუ დადგება ისეთი დრო, რომ ხალხის ხმა აირჩევს ურჯულოებას, მაშინ ეს არის დრო, როდესაც ღმერთის სასჯელი მოგვევლინებათ; დიახ, ეს არის დრო, როდესაც ის მოგვევლინებათ დიდი განადგურებით, ისე, როგორც ის აქამდე ეწვია ამ მიწას.

28 და ახლა, თუ თქვენ გეყოლება მოსამართლენი, რომლებიც არ განგსჯიან ამ კანონის შესაბამისად, რომელიც მოგვცათ,

მაშინ შეგიძლიათ ისე მოაწყოთ, რომ ისინი განსჯილნი იქნენ ზემდგომი მოსამართლის მიერ.

29 თუ თქვენი ზემდგომი მოსამართლენი არ განსჯიან სამართლიანად, თქვენ ისე უნდა მოაწყოთ, რომ ქვემდგომი მოსამართლეების მცირე რაოდენობა ერთად შეიკრიბოს და განსაჯონ თქვენი ზემდგომი მოსამართლენი, ხალხის ხმის შესაბამისად.

30 და მე გიბრძანებთ, რომ ეს ყველაფერი გააკეთოთ უფლისადმი შიშით; და გიბრძანებთ, რომ ასე გააკეთოთ და არ იყოლიოთ მეფე; რადგან თუ ეს ხალხი ცოდვებს და ურჯულოებებს ჩაიდენს, საკუთარ თავზე მიიღებს პასუხს.

31 რადგან, აჰა, მე თქვენ გეუბნებით, მრავალ ადამიანთა ცოდვები გამოწვეული იყო მათი მეფეთა ურჯულოების გამო; ამიტომ, მათი ურჯულოების საზღაური არის მათსავე მეფეთა თავზე.

32 და ახლა, მე მსურს, რომ ეს უთანასწორობა აღარ იყოს ამ მიწაზე, განსაკუთრებით ამ ჩემს ხალხს შორის; ვინაიდან მე მსურს, რომ ეს მიწა იყოს მიწა თავისუფლებისა; და ყოველ ადამიანს შეეძლოს ერთნაირად დატკბეს საკუთარი უფლებებით და უპირატესობით იქამდე, სანამ უფალი ჩათვლის შესაფერისად, რომ ვიცხოვროთ და მემკვიდრეობით მივიღოთ მიწა,

ღიას, იქამდე, სანამ რომელიმე ჩვენი შთამომავლობიდან იქნება ამ მიწის პირზე.

33 და კიდევ მრავალი რამ მიწერა მათ მეფე მოსიამ, გაანდო მათ სამართლიანი მეფის ყველა გაჭირვება და საზოგადოებრივი, ღიას, სულის ყველა სატანჯველი მათი ხალხისათვის, ასევე ხალხის ყოველგვარი ჩივილი მათი მეფისადმი; და ეს ყველაფერი მათ აუხსნა.

34 და უთხრა მათ, რომ ეს ასე არ უნდა იყოს, არამედ ტვირთი უნდა დააწვეს მთელ ხალხს, რომ ყოველმა კაცმა იწვინოს საკუთარი წილი.

35 და ასევე გაანდო მათ ყველა ნაკლოვანება, რომელთა ატანაც მათ მოუწევდათ, უსამართლო მეფე რომ ჰყოლოდათ მათზედ მმართველად.

36 ღიას, ყველა მისი ურჯულოება და სისაძაგლე და ყველა ომი და განხეთქილება და სისხლისღვრა, და ქურდობა და ძარცვა, და მრუშობის ჩადენა და ყოველნაირი ურჯულოება, რაც შეუძლებელია ჩამოითვალოს, ეუბნებოდა მათ, რომ ეს ყველაფერი არ უნდა იყოს, რომ ეს ყველაფერი აშკარად ეწინააღმდეგება ღმერთის მცნებებს.

37 და ახლა, იყო ასე, რომ მას შემდეგ, რაც მეფე მოსიამ ეს ყველაფერი ხალხში გააგზავნა, ისინი დარწმუნდნენ მისი სიტყვების ჭეშმარიტებაში.

38 ამიტომ, მათ უარი თქვეს

მეფესთან დაკავშირებით თავი-
ანთ სურვილებზე და გახდნენ
ძალზედ მონდომებულნი, რომ
ყოველ ადამიანს ჰქონოდა თა-
ნაბარი უფლებები მთელს მი-
წაზე. დიახ, და ყველა ადამიანმა
გამოთქვა სურვილი, პასუხი ეგო
საკუთარი ცოდვებისთვის.

39 ამიტომ იყო ასე, რომ ისინი
ერთად შეიკრიბნენ ჯგუფებად
მთელ მიწაზე, რათა ხმა მიეცათ
იმათთვის, ვინც უნდა ყოფილიყო
მათი მოსამართლენი, რათა გან-
საჯონ ისინი მათთვის მიცემული
კანონის შესაბამისად; და ძალ-
ზედ უხაროდათ ის თავისუფ-
ლება, რომელიც მათ ებოძათ.

40 და მათი სიყვარული მო-
სიას მიმართ გაიზარდა; დიახ,
ისინი პატივს სცემდნენ მას
უფრო მეტად, ვიდრე სხვა რომელიმე
კაცს; რადგან მას უყუ-
რებდნენ არა როგორც ტირანს,
რომელიც სარგებელს ეძებს,
დიახ, იმ სარგებელს, რომელიც
სუფს ხრწნის, რადგან ის არ
ართმევდა მათ სიმდიდრეებს,
არც სისხლისღვრით ხარობდა,
არამედ დაამყარა მშვიდობა
მიწაზე და ნება დართო თავის
ხალხს, განთავისუფლებულიყო
ყოველგვარი მონობისგან; ამი-
ტომ, ისინი პატივს სცემდნენ
მას, დიახ, განსაკუთრებულად
და უსახლგროდ.

41 და იყო ასე, რომ მათ და-
ნიშნეს მოსამართლეები, რომ
ემართათ მათზედ ან კანონის
შესაბამისად განესაჯათ ისინი.

და ეს მათ გააკეთეს მთელ მი-
წაზე.

42 და იყო ასე, რომ აღმა იყო
დანიშნული პირველ მთავარ მო-
სამართლედ, იყო რა ის ასევე
მღვდელმთავარი, რადგან მა-
მამისმა დაამტკიცა მასზე ეს
წოდება; ასევე დააკისრა მას
პასუხისმგებლობა ეკლესიის
ყველა საქმეზე.

43 და ახლა, იყო ასე, რომ
აღმა დადიოდა უფლის გზე-
ბით და იცავდა მის მცნებებს
და აღასრულებდა მართალ გა-
ნაჩენს; და მთელ მიწაზე იყო
მუდმივი მშვიდობა.

44 და ასე დაიწყო მოსამართ-
ლეთა მმართველობა ზარაკემ-
ლას მთელ მიწაზე, მთელ ხალხს
შორის, რომელთაც ეწოდებო-
დათ ნეფიელები. და აღმა იყო
პირველი მთავარი მოსამართლე.

45 და ახლა, იყო ასე, რომ
მამამისი გარდაიცვალა, იყო
რა ოთხმოცდა ორი წლის და
იცხოვრა რა ღმერთის მცნებე-
ბის დაცვით.

46 და იყო ასე, რომ მოსიაც
ასევე გარდაიცვალა, მისი მმართ-
ველობის ოცდა მეცამეტე წელს,
იყო რა სამოცდა სამი წლის, რაც
მთლიანად ხუთას ცხრა წელი
გამოდის იმ დროიდან, როდესაც
ლენიმ დატოვა იერუსალიმი.

47 და ასე დამთავრდა მეფეთა
მმართველობა ნეფის ხალხზე
და ასე დასრულდა აღმას დღე-
ები, რომელიც იყო მათი ეკლე-
სიის ფუძემდებელი.

აღმას შვილი

აღმას წიგნი

აღმას მონათხრობი, რომელიც იყო აღმას შვილი, ნეფის ხალხის პირველი და მთავარი მოსამართლე, ასევე ეკლესიის მღვდელმთავარი. ამბავი მოსამართლეთა მმართველობის და ხალხს შორის ომებსა და განხეთქილებებს. ასევე ამბავი ომის შესახებ ნეფიელებსა და ლამანიელებს შორის, პირველი და მთავარი მოსამართლის, აღმას ჩანაწერების მიხედვით.

თავი 1

ნეპორი ასწავლის ცრუ მოძღვრებებს, აარსებს ეკლესიას, იწყებს სამღვდელოებაში ვერცხლისმოყვარეობას და კლავს გიდეონს. ნეპორი სიკვდილით ისჯება თავის დანაშაულებების გამო. სამღვდელოების მზაკვრობა და დევნა ვრცელდება ხალხში. მღვდლები თავად უზრუნველყოფენ საკუთარ თავს, ხალხი ზრუნავს ღარიბებზე და ეკლესია ყვავის. დაახლოებით 91-88 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 ახლა, იყო ასე, ნეფის ხალხზე მოსამართლეთა მმართველობის პირველი წლიდან მეფე მოსიას, იარა რა ყოველი მიწიერის გზით, იყო კარგი მეომარი, ღმერთის წინაშე უბიწოდ მავალი, არავინ არ დაუტოვებია მმართველად; მიუხედავად ამისა, მან დააწესა კანონები და ხალხმა ისინი სცნო; ამიტომ, ხალხი ვალდებული იყო დამორჩილებოდა კანონებს, რომლებიც მან დააწესა.

2 და იყო ასე, რომ მოსამართლის სავარძელზე აღმას მმართველობის პირველ წელს, მასთან მოიყვანეს კაცი განსასჯელად – კაცი ტანმოსული და ჯან-ღონით ცნობილი.

3 და ის დადიოდა ხალხში, უქადაგებდა მათ იმას, რასაც თვითონ უწოდებდა ღვთის სიტყვას, გამოდიოდა რა ეკლესიის წინააღმდეგ, ხალხს უცხადებდა, რომ ყოველი მღვდელი და მასწავლებელი უნდა გახდეს პატივსაცემი და საკუთარი ხელით კი არ უნდა შრომობდეს, არამედ ხალხი უნდა ინახავდეს მას.

4 და ის ასევე ხალხში მოწმობდა, რომ უკანასკნელ დღეს გადარჩებოდა მთელი კაცობრიობა და არ იყო საჭირო შიში და კანკალი, რომ შეეძლოთ თავი მადლა აეწიათ და გაეხარათ; რადგან უფალმა შექმნა ყველა ადამიანი და ასევე გამოისყიდა ყველა ადამიანი; და ბოლოს, ყოველ ადამიანს უნდა პქონდეს მარადიული სიცოცხლე.

5 და იყო ასე, რომ ის იმდენს

ასწავლიდა ამ ყველაფერს, რომ მრავალმა დაიჯერა მისი სიტყვები, იმდენმაც კი, რომ მათ დაიწყეს მისი შენახვა და ფულის მიცემაც კი დაიწყეს.

6 და დაიწყო მან საკუთარი გულის ამპარტავნობით აღზევება და ძალზედ ძვირფასი ტანსაცმლის ტარება, დიახ, ეკლესიის დაარსებაც კი წამოიწყო საკუთარი მოძღვრების შესაბამისად.

7 და იყო ასე, როდესაც ის მიიღოდა საქადაგებლად მათთვის, ვისაც მისი სიტყვების სწამდა, მას შეხვდა კაცი, რომელიც ღვთის ეკლესიას მიეკუთვნებოდა, დიახ, იყო ერთ-ერთი მასწავლებელი; და მან მწვავედ დაიწყო მასთან კამათი, რათა გადაებრებინა ეკლესიის ხალხი; მაგრამ კაცი უპირისპირდებოდა, არიგებდა რა მას, ღმერთის სიტყვით.

8 ახლა, ამ კაცის სახელი გახლდათ გიდეონი; და ეს იყო ის, რომელიც ლიმხის ხალხის მონობიდან გამოხსნისას წარმოადგენდა იარაღს ღმერთის ხელში.

9 ახლა, რადგან გიდეონი უპირისპირდებოდა მას ღმერთის სიტყვებით, ის განრისხდა გიდეონზე, ამოიღო მახვილი და დაიწყო მისი ჩეხვა. რადგან გიდეონი იყო ხანდაზმული, ამიტომ ვერ შეძლო მისი დარტყმების მოგერიება და ამიტომ ის მახვილით იქნა მოკლული.

10 და ადამიანი, რომელმაც ის მოკლა, ეკლესიის ხალხმა შეიპყრო და აღმასთან მიიყვანა, რათა განსჯილიყო იმ დანაშაულების შესაბამისად, რომლებიც მან ჩაიდინა.

11 და იყო ასე, რომ ის წარსდგა აღმას წინ და დიდი თავდაჯერებით თავს იცავდა.

12 მაგრამ აღმამ მას უთხრა: აჰა, ამ ხალხში პირველად წამოიჭრა სამღვდელოების ვერცხლისმოყარეობა. აჰა, შენ დამნაშავე ხარ არა მარტო სამღვდელოების ვერცხლისმოყვარეობაში, არამედ იმაში, რომ ცდილობდი მათი მახვილის მეშვეობით თავზე მოხვევას; და სამღვდელოების მზაკვრობების ამ ხალხში განმტკიცებას, რაც მოიტანდა მათ მთლიან განადგურებას.

13 და შენ დაღვარე სამართლიანი კაცის სისხლი, დიახ, კაცის, რომელმაც ბევრი სიკეთე გააკეთა ამ ხალხში; და ჩვენ რომ შეგინდოთ, მისი სისხლი ჩვენზედ გადმოვა შურისძიებისათვის.

14 ამიტომ, შენ მოგესაჯა სიკვდილი, იმ კანონის მიხედვით, რომელიც გვიბოძა მოსიამ, ჩვენმა უკანასკნელმა მეფემ; და კანონი მიღებულ იქნა ამ ხალხის მიერ; ამიტომ, ამ ხალხმა უნდა დაიცვას ეს კანონი.

15 და იყო ასე, რომ მათ ის შეიპყრეს; და მისი სახელი იყო ნეჰორი; და წაიყვანეს ის მანტის

გორაკის წვერზე და იქ ის იძულებული იყო, თუმცა უფრო აღიარა, ზეცასა და მიწას შორის, რომ რასაც იგი ასწავლიდა ხალხს, იყო ღვთის სიტყვის წინააღმდეგ; და იქ მან იწვინია სამარცხვინო სიკვდილი.

16 ამისდა მიუხედავად, ამან ბოლო არ მოუღო იმ მიწაზე სამღვდელეობაში ვერცხლისმოყვარეობის გავრცელებას, რადგან იქ მრავალნი იყვნენ, რომლებსაც უყვარდათ ამქვეყნიური ამოებანი და ისინი მიდიოდნენ და ქადაგებდნენ ცრუ მოძღვრებებს; და აკეთებდნენ ამას სიმდიდრისა და პატივისათვის.

17 ამისდა მიუხედავად, ვერ ბედავდნენ ტყუილის თქმას, ვინიცობაა ეს ცნობილი გამხდარიყო, ეშინოდათ რა კანონის, ვინაიდან მატყუარებს სჯიდნენ; ამიტომაც თავი მოჰქონდათ, რომ ქადაგებდნენ საკუთარი რწმენის შესაბამისად და კანონს არ ჰქონდა ძალა ადამიანზე მისი რწმენის გამო.

18 და ისინი ვერ ბედავდნენ ქურდობას, ეშინოდათ რა კანონის, რადგან ასეთნი ისჯებოდნენ, ვერც ძარცვას ვერ ბედავდნენ, ვერც მკვლელობას, რადგან ის, ვინც კლავდა, სიკვდილით ისჯებოდა.

19 მაგრამ იყო ასე, რომ მათ, რომელნიც არ მიეკუთვნებოდნენ ღმერთის ეკლესიას, დაიწყეს მათი დევნა, რომლებიც ღმერთის ეკლესიას მიეკუთვნებოდნენ

და თავიანთ თავზე ქრისტეს სახელი ჰქონდათ აღებული.

20 დიახ, ისინი მათ დევნიდნენ და ჩაგრავენენ ყველანაირი სიტყვებით და ეს მათი თავმდაბლობის გამო; რადგან არ იყვნენ ამპარტავანნი საკუთარ თვალში და იმიტომ, რომ ერთმანეთს ღვთის სიტყვას უფულოდ და უსასყიდლოდ უზიარებდნენ.

21 ახლა, ეკლესიის ხალხს შორის იყო მკაცრი კანონი, რომ არცერთ ადამიანს, რომელიც ეკლესიას მიეკუთვნებოდა, არ დაეწყო მათი დევნა, რომელნიც ეკლესიას არ მიეკუთვნებოდნენ და რომ არ ყოფილიყო თავად მათ შორის დევნა.

22 მიუხედავად ამისა, მათ შორის იყვნენ ბევრნი, რომლებიც ხდებოდნენ ამპარტავანნი და მწვავედ კამათობდნენ თავიანთ მოწინააღმდეგეებთან, მუშტიკრივითაც კი; დიახ, ისინი ერთმანეთს მუშტებით სცემდნენ.

23 ახლა, ეს იყო აღმას მმართველობის მეორე წელს და ეს იყო ეკლესიისთვის მრავალი გაჭირვების მიზეზი; დიახ, ეს იყო ეკლესიისთვის დიდი გამოცდის მიზეზი.

24 რადგან მრავალთა გული გაქვავებული იყო და მათი სახელები ამოიშალა, ისე რომ მათ აღარ იხსენიებდნენ ღმერთის ხალხს შორის. ასევე მრავალი თავად წავიდა მათგან.

25 ახლა, ეს იყო დიდი გამოცდა მათთვის, რომლებიც მტკიცედ

იდგენ რწმენაში; ისინი იყვნენ მტკიცენი და ურყევენი ღმერთის მცნებების დაცვაში და მოთმინებით იტანდნენ დევნას, რომელიც მათ თავს დაატყდა.

26 და როდესაც მღვდლები ტოვებდნენ თავიანთ სამუშაოს, რათა გაეზიარებინათ ღვთის სიტყვა, ხალხიც ასევე ტოვებდა თავის სამუშაოს, რათა მოესმინათ ღვთის სიტყვა. და როდესაც მღვდელი აუწყებდა მათ ღვთის სიტყვას, ისინი კვლავ ბეჯითად უბრუნდებოდნენ სამუშაოს; და მღვდელი არ აყენებდა საკუთარ თავს თავის მსმენელებზე ზევით, რადგან მქადაგებელი არ იყო მსმენელზე უკეთესი, არც მასწავლებელი არ იყო მოსწავლეზე უკეთესი; და ამგვარად ისინი თანასწორნი იყვნენ და აკეთებდნენ ყველა სამუშაოს, ყოველი ადამიანი საკუთარი ძალის შესაბამისად.

27 და ისინი უზიარებდნენ საკუთარ ქონებას, ყოველი ადამიანი, რაც მას გააჩნდა, ღარიბებისა და ღატაკებისთვის, ავადმყოფისთვის და გაჭირვებულთათვის; და ისინი არ ატარებდნენ ძვირფას ტანსაცმელს, თუმცა სუფთად და ფაქიზად გამოიყურებოდნენ.

28 ამგვარად მათ განამტკიცეს ეკლესიის საქმენი; და ამგვარად, მათ კვლავ ჰქონდათ უწყვეტი მშვიდობა, მიუხედავად მათი ყოველგვარი დევნისა.

29 და ახლა, ეკლესიის სიმტკიცის

გამო, მათ დაიწყეს მეტისმეტად გამდიდრება, ყველაფერი უხვად ჰქონდათ, რაც სჭირდებოდათ – უხვად წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონელი, ყველანი იყვნენ ნასუქალი პირუტყვი, ასევე უხვად ხორბალი და ოქრო და ვერცხლი და ძვირფასი ნივთები და უხვად აბრეშუმის და გრებილი ბისონი და ყველანი იყვნენ კარგი სადა ქსოვილი.

30 და ასე, თავიანთ აყვავებულ პირობებში, ისინი არ ტოვებდნენ არავის, ვინც იყო შიშველი ან მშიერი, მწყურვალი ან ავადმყოფი, ან კვებას იყო მოკლებული; და არ უძღვნიდნენ სიმდიდრეს საკუთარ გულებს, ამიტომ იყვნენ დიდსულოვანი ყველას მიმართ – მოხუცისა და ახალგაზრდისადმი, მონებისა და თავისუფლებისადმი, მამაკაცებისა და ქალებისადმი, ყოფილიყვნენ ეკლესიის თუ არა ეკლესიის, არ ჰქონდათ არანაირი მიკერძოება არავის მიმართ, ვინც გაჭირვებაში იმყოფებოდა.

31 და ამგვარად, ისინი ყვოდნენ და მათზე ბევრად უფრო მეტად მდიდრდებოდნენ, რომლებიც არ მიეკუთვნებოდნენ ეკლესიას.

32 რადგან ისინი, რომლებიც ეკლესიას არ მიეკუთვნებოდნენ, ჩათრეულნი იყვნენ გრძნეულობაში და კერპთაყვანისმცემლობაში ან სიზარმაცესა და ყბედობაში, შურსა და დაპირისპირებაში, იცმევდნენ ძვირფას ტანსაცმელს, ამპარტავნობით

აღზევებულნი იყვნენ საკუთარ თვალში; ავიწროებდნენ, იტყუებოდნენ, ქურდობდნენ, ძარცვაუდნენ, სჩადიდოდნენ მრუშობებს და მკვლელობებს და ყველანაირ სიბოროტეს. მიუხედავად ამისა, კანონი სრულდებოდა, როგორც შესაძლებელი იყო, ყოველ მათგანზე, ვინც მას არღვევდა.

33 და იყო ასე, რომ ამგვარად მათზე კანონის აღსრულებით, ყოველი ადამიანი იტანჯებოდა იმისდა მიხედვით, თუ რა ჰქონდა ჩადენილი, ისინი მეტად დამშვიდდნენ და ვერ ბედავდნენ რაიმე სიბოროტის ჩადენას, ვინცობაა ეს ცნობილი გამხდარიყო, ამიტომ ნეფის ხალხს შორის იყო დიდი მშვიდობა მოსამართლეთა მმართველობის მეხუთე წლამდე.

თავი 2

ამლიქი ცდილობს გახდეს მეფე და ხალხის ხმით იქნა უარყოფილი. მისი მიმდევრები მას მეფედ აღიარებენ. ამლიქიელები იწყებენ ომს ნეფიელთა წინააღმდეგ და მარცხდებიან. ლამანიელნი და ამლიქიელნი აერთიანებენ ძალებს და მარცხდებიან. აღმა კლავს ამლიქის. დაახლოებით 87 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და იყო ასე, რომ მათი მმართველობის მეხუთე წლის დასაწყისში, ხალხს შორის წამოიჭრა განხეთქილება; რადგან ერთი

კაცი, რომელსაც ერქვა ამლიქი, იყო რა ძალზედ მზაკვარი ადამიანი, დიახ, ბრძენი კაცი ამქვეყნიური სიბრძნით, იყო რა იმ წესის მიმდევარი, როგორც ის კაცი, რომელმაც მოკლა მახვილით გიდეონი, რომელიც კანონის შესაბამისად სიკვდილით დაისაჯა –

2 ახლა, ამ ამლიქიმ, თავისი მზაკვრობით, აიყოლია მრავალი ხალხი; იმდენი, რომ ისინი გახდნენ მეტად ძლიერნი; და შეეცადნენ, ამ ხალხის მეფედ ამლიქი დაესვათ.

3 ახლა, ამან შეაშფოთა ეკლესიის ხალხი, ასევე ყველანი, რომელნიც არ აპყვნენ ამლიქის შთაგონებებს, რადგან მათ იცოდნენ, რომ თავიანთი კანონის შესაბამისად, ასეთი რამ უნდა დამტკიცებულიყო ხალხის ხმით.

4 ამიტომ, შესაძლებელი რომ ყოფილიყო, ამლიქის მიეღო ხალხის ხმით მხარდაჭერა, იყო რა ბოროტი ადამიანი, წაართმევდა მათ ეკლესიის უფლებებსა და უპირატესობებს, რადგან მას განზრახული ჰქონდა ღმერთის ეკლესიის განადგურება.

5 და იყო ასე, რომ ხალხი ერთად შეიკრიბა მთელ მიწაზე განცალკევებულ ჯგუფებად, ყოველი საკუთარი აზრით, იყო იგი ამლიქის მომხრე თუ მოწინააღმდეგე, და მათ შორის იყო დიდი კამათი და უჩვეულო ურთიერთ დაპირისპირება.

6 და ასე შეიკრიბა ხალხი

ერთად, რომ ხმა მიეცათ ამ საქმის შესახებ; და ისინი წარსდგენილ იქნენ მოსამართლეთა წინაშე.

7 და იყო ასე, რომ ხალხმა ხმა მისცა ამლიქის წინააღმდეგ, ამიტომ იგი არ გახდა ხალხის მეფე.

8 ახლა, ამან გამოიწვია დიდი სიხარული იმათ გულებში, რომლებიც მის წინააღმდეგ იყვნენ; მაგრამ ამლიქიმ გააღვივა წყრომა თავის მომხრეებში მათ მიმართ, ვინც მისი წინააღმდეგი იყო.

9 და იყო ასე, რომ ისინი ერთად შეიკრიბნენ და აკურთხეს ამლიქი თავიანთ მეფედ.

10 ახლა, როდესაც ამლიქი მათი მეფე გახდა, მან უბრძანა, იარაღი აღემართათ თავიანთი ძმების წინააღმდეგ; და ეს მან გააკეთა, რათა ისინი დაემორჩილებინა.

11 ახლა ამლიქის ხალხს განასხვავებდნენ ამლიქის სახელით, უწოდებდნენ რა ამლიქიელებს და დანარჩენები იწოდებოდნენ ნეფიელებად ან ღმერთის ხალხად.

12 ამიტომაც, ნეფიელთა ხალხმა იცოდა ამლიქიელთა განზრახვის შესახებ და ამიტომ ისინი მოემზადნენ მათ დასახვედრად; დიახ, ისინი შეიარაღდნენ ხმლებითა და მახვილებით, მშვიდლებითა და ისრებით, ქვებითა და შურდულებით; და ყველანი იარაღით, ყველა სახისა.

13 ასე რომ, მომზადებულნი

იყვნენ ამლიქიელთა დასახვედრად, იმ დროისთვის, როდესაც მოვიდოდნენ. და დანიშნულები იყვნენ სარდლები და უფროსი სარდლები და მთავარსარდლები, მათი რაოდენობის მიხედვით.

14 და იყო ასე, რომ ამლიქიმ შეიარაღა თავისი ხალხი ყველანი იარაღით, იარაღით, ყველა სახის; და მან ასევე დანიშნა მმართველები და წინამძღოლები თავის ხალხზე, თავიანთი ძმების წინააღმდეგ ომში წინ გასაძღოლად.

15 და იყო ასე, რომ ამლიქიელნი ავიდნენ ამნიჰუს გორაკზე, რომელიც მდინარე სიდონის აღმოსავლეთით იყო, რომელიც მიედინებოდა ზარაჰემლას მიწაზე და იქ დაიწყეს მათ ნეფიელებთან ომი.

16 ახლა აღმა, იყო რა მთავარი მოსამართლე და ნეფის ხალხის მმართველი, გამოვიდა თავის ხალხთან ერთად, დიახ, თავის სარდლებთან და მთავარსარდლებთან, დიახ, თავისი ჯარების სათავეში, ამლიქიელთა წინააღმდეგ საბრძოლველად.

17 და მათ დაიწყეს ამლიქიელთა ხოცვა, გორაკზე სიდონის აღმოსავლეთიდან. და ამლიქიელნი ებრძოდნენ ნეფიელებს დიდი ძალით, ასე რომ მრავალი ნეფიელი დაეცა ამლიქიელთა წინ.

18 ამისდა მიუხედავად, უფალმა განამტკიცა ნეფიელთა ხელი იმდენად, რომ მათ

ამოხოცეს ამლიქიელნი დიდ ხოცვა-ჟლეტაში, ისე, რომ მათ დაიწყეს გაქცევა.

19 და იყო ასე, რომ ნეფიელნი მისდევდნენ ამლიქიელებს მთელი იმ დღის განმავლობაში და დახოცეს ისინი დიდ ხოცვა-ჟლეტაში, ისე, რომ ამლიქიელთაგან მოკლული იქნა თორმეტი ათას ხუთას ოცდათორმეტი სული. და ნეფიელთაგან მოკლული იქნა ექვსი ათას ხუთას სამოცდაორი სული.

20 და იყო ასე, რომ როდესაც აღმამ მტად ველარ მისდია ამლიქიელებს, მან უბრძანა თავის ხალხს, რომ გაეშალათ კარგები გიდეონის ველზე, იმ ველზე, რომელსაც სახელი ეწოდა იმ გიდეონისა, რომელიც მახვილით, ნეჰორის ხელით იქნა მოკლული; და ამ ველზე ნეფიელებმა გაშალეს ღამით კარგები.

21 და აღმამ გააგზავნა მზევრავები, რომ უკან გაყოლოდნენ ამლიქიელებს, რათა შეეტყო მათი გეგმები და შეთქმულებები, რის შემწეობითაც მათგან თავს დაიცავდა, რათა გადაერჩინა თავისი ხალხი განადგურებისგან.

22 ახლა, მათ, რომლებიც მან გააგზავნა ამლიქიელთა ბანაკის სათვალთვალოდ, ერქვათ ზერამი, ამნორი, მანტი და ლიმპერი; ესენი იყვნენ, რომლებიც თავიანთი რაზმით წავიდნენ ამლიქიელთა ბანაკის სათვალთვალოდ.

23 და იყო ასე, რომ მეორე დღეს ისინი სასწრაფოდ დაბრუნდნენ

ნეფიელთა ბანაკში, იყვნენ რა ძალზედ გაოცებულნი და ძლიერი შიშით შეპყრობილნი და ამბობდნენ:

24 აჰა, ჩვენ მივსდით ამლიქიელთა ბანაკს და ჩვენდა დიდად გასაოცრად, მინონის მიწაზე, ზარაჰემლას მიწის ზევით, ნეფის მიწისაკენ მიმავალ გზაზე, ჩვენ ვიხილეთ ღამანიელთა მრავალრიცხოვანი ჯარი და აჰა, ამლიქიელნიც მათ შეუერთდნენ;

25 და ისინი თავს ესხმიან ჩვენს ძმებს იმ მიწაზე; და ისინი გამოვლიან მათგან თავიანთი ფარებითა და ცოლებით ჩვენი ქალაქისკენ და თუ არ ვიჩქარებთ, ისინი დაიპყრობენ ჩვენს ქალაქს და დახოცავენ ჩვენს მამებსა და ცოლებს და ჩვენს შვილებს.

26 და იყო ასე, რომ ნეფის ხალხმა აიღო კარგები და გიდეონის ველიდან წავიდა თავიანთი ქალაქის მიმართულებით, რომელიც იყო ზარაჰემლას ქალაქი.

27 და აჰა, როდესაც ისინი მდინარე სიდონზე გადადიოდნენ, ღამანიელნი და ამლიქიელნი, იყვნენ რა ურიცხვი ვითარცა ზღვის ქვიშა, თავს დაესხნენ მათ, რომ გაენადგურებინათ.

28 მიუხედავად ამისა, ნეფიელები, იყვნენ რა უფლის ხელით განმტკიცებულნი, ძლიერად ღოცულობდნენ მისადმი, რათა მას ისინი მტრის ხელიდან გამოეხსნა, ამიტომ უფალმა შეისმინა მათი ღაღადი და განამტკიცა ისინი და ღამანიელნი და

ამლიქიელნი დაეცნენ მათ წინაშე.

29 და იყო ასე, რომ აღმა მახვილით იბრძოდა ამლიქის პირისპირ; და ისინი ერთმანეთს ძლიერად ებრძოდნენ.

30 და იყო ასე, რომ აღმა, იყო რა ღვთის კაცი, გამოწრთობილი დიდი რწმენით, შეპლადადა სიტყვებით: უფალო, შემიწყალე და შეინდე ჩემი სიცოცხლე, რათა ვიყო შენს ხელში იარაღი ამ ხალხის გადასარჩენად და დასაფარად.

31 ახლა, როდესაც აღმამ თქვა ეს სიტყვები, ის კვლავ შეებრძოლა ამლიქის; და იგი იყო განმტკიცებული ისე, რომ მან მახვილით მოკლა ამლიქი.

32 ის ასევე ებრძოდა ლამანიელთა მეფეს; მაგრამ ლამანიელთა მეფე უკან გაიქცა აღმასგან და მიუგზავნა მას თავისი გუშაგები აღმასთან საბრძოლველად.

33 მაგრამ აღმა, თავის გუშაგებთან ერთად, ებრძოდა ლამანიელთა მეფის გუშაგებს იქამდე, სანამ არ დაამარცხა და უკან არ გაყარა ისინი.

34 და ამგვარად მან გაწმინდა მიწა, უფრო ზუსტად – სანაპირო, რომელიც იყო მდინარე სიდონის დასავლეთით. დახოცილი ლამანიელთა გვამები სიდონის წყლებში ჩაყარეს, რომ ამგვარად მის ხალხს მდინარეზე გადასასვლელად და ლამანიელებსა და ამლიქიელებთან საბრძოლველად

ადგილი ჰქონოდათ მდინარე სიდონის დასავლეთ ნაპირზე.

35 და იყო ასე, როდესაც მათ ყველამ მდინარე სიდონი გადალახეს, ლამანიელებმა და ამლიქიელებმა დაიწყეს მათგან გაქცევა, იმისდა მიუხედავად, რომ ისინი იმდენად მრავალრიცხოვანნი იყვნენ, რომ შეუძლებელი იყო მათი დათვლა.

36 და ისინი გარბოდნენ ნეფიელებისგან უდაბნოსკენ, რომელიც იყო დასავლეთით და ჩრდილოეთით, მიწის საზღვრებს იქით; და ნეფიელნი მთელი ძალით მისდევდნენ მათ უკან და ხოცავდნენ.

37 დიახ, მათ ყოველი მხრიდან ეწეოდნენ და ხოცავდნენ და დევნიდნენ, იქამდე, სანამ არ გაფანტეს დასავლეთითა და ჩრდილოეთით, იქამდე, სანამ არ მიაღწიეს უდაბნოს, რომელსაც ჰერმაუნტის ერქვა; და ის იყო იმ უდაბნოს ნაწილი, რომელიც სავსე იყო გარეული და მძვინვარე მხეცებით.

38 და იყო ასე, რომ მრავალნი დაიხოცნენ უდაბნოში ჭრილობების გამო და მათ სჭამდნენ ის მხეცები და ასევე ცის სვავები; და მათი ძვლები იქნა ნაპოვნი და მიწაზე გროვად შეკრებილი.

თავი 3

ამლიქიელებმა ნიშანი დაიდეს ნაწინასწარმეტყველები სიტყვის შესაბამისად. ლამანიელნი

საკუთარი ჯანყისათვის დაწყევლილ იქნენ. ადამიანები საკუთარ თავზე თავადვე იწვევენ წყევლას. ნეფიელები ამარცხებენ ლამანიელთა კიდევ ერთ ჯარს. დაახლოებით 87-86 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და იყო ასე, რომ ნეფიელებმა, რომლებიც საომარი იარაღით არ იყვნენ დახოცილნი, დახოცილთა დამარხვის შემდეგ - დახოცილთა რაოდენობა არ იყო დათვლილი, მათი დიდი რაოდენობის გამო - მას შემდეგ, რაც მათ დაასრულეს თავიანთი მკვდრების დამარხვა, ყველანი დაუბრუნდნენ თავიანთ მიწებს და თავიანთ სახლებს და თავიანთ ცოლებსა და შვილებს.

2 ახლა, მრავალი ქალი და ბავშვი დახოცეს მახვილით, ასევე ბევრი მათი წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონელი; ასევე მათი მრავალი ხორბლის მინდორი იქნა განადგურებული, რადგან ფეხქვეშ იქნა გადათელილი ადამიანთა ბრბოს მიერ.

3 და ახლა, ეს ყველა ლამანიელი და ამლიქიელი, რომელნიც მდინარე სიდონის ნაპირზე იყვნენ დახოცილნი, ჩაყარეს სიდონის წყალში; და აჰა, მათი ძვლები ზღვის ფსკერზეა და ისინი მრავლადაა.

4 და ამლიქიელნი გამოირჩოდნენ ნეფიელებისგან, რადგან მათ წითელი ნიშანი დაიდეს შუბლზე, ლამანიელთა წესით; მიუხედავად

ამისა, მათ არ გადაიპარეს თავები, როგორც ლამანიელებმა.

5 ახლა, ლამანიელებს თავები ჰქონდათ გადაპარსული და იყვნენ შიშველნი, გარდა იმ ტყავისა, რომელიც შემოხვეული ჰქონდათ თეძოზე და ასევე აბჯარი, რომელიც ჰქონდათ ასხმული და მშვილდები და ისრები და მათი ქვები და შურდულები და ასე შემდეგ.

6 და ლამანიელთა კანი იყო მუქი, იმ ნიშნის მიხედვით, რომელიც დაისვა მათ მამებზე, რაც მათზე იყო წყველა მათი შეცოდებისა და ჯანყის გამო თავიანთი ძმების წინააღმდეგ, რომლებიც იყვნენ ნეფი, იაკობი, იოსები და სემი, რომლებიც იყვნენ მართალი და წმინდა ადამიანები.

7 და მათი ძმები ცდილობდნენ მათ განადგურებას, ამიტომ ისინი დაწყევლილ იქნენ; და უფალმა ღმერთმა ნიშანი დაადო მათ, დიახ, ლამანსა და ლემუელს, ასევე ისმაელის შვილებს და ისმაელიელ ქალებს.

8 და ეს გაკეთდა იმისათვის, რომ მათი შთამომავლობა გამორჩეულიყო თავიანთი ძმების შთამომავლობისაგან, რათა ამგვარად უფალ ღმერთს შეძლებოდა დაეფარა საკუთარი ხალხი, რომ ისინი არ შერეოდნენ მათ და არ ეწამათ არასწორი ჩვეულებები, რომლებიც მათ განადგურებამდე მიიყვანდა.

9 და იყო ასე, რომ ნებისმიერი, რომელიც შეურევდა

შთამომავლობას ლამანიელებს, იგივე წყევლას მოიტანდა თავის შთამომავლობაზე.

10 ამიტომ, ყოველი, ვინც ნებას რთავდა, რომ ლამანიელებს წაეყვანათ, იწოდებოდა იმ სახელით და მასზედ ნიშანი იდებოდა.

11 და იყო ასე, რომ ვისაც არ სწამდა ლამანიელთა ჩვეულებების, არამედ სწამდა იმ ჩანაწერების, რომლებიც გამოტანილ იყო იერუსალიმის მიწიდან და ასევე სწამდა მამების ჩვეულებების, რომლებიც იყო მართალი; ვისაც სწამდა ღმერთის მცნებების და მათ იცავდნენ, იმ დროიდან შემდგომში ეწოდებოდათ ნეფიელები ანუ ნეფის ხალხი –

12 და ესენი არიან, რომლებიც ინახავდნენ ჩანაწერებს, რომლებშიც არის სიმართლე მათ ხალხზე და ასევე ლამანიელებზე.

13 ახლა, ჩვენ კვლავ დავუბრუნდებით ამლიქიელებს, რადგან მათზეც იქნა ნიშანი დადებული; დიახ, მათ თავად დაიდეს ნიშანი, დიახ, წითელი ნიშანი შუბლზე.

14 ამგვარად აღსრულდა ღვთის სიტყვა, რადგან ეს არის სიტყვები, რომლებიც მან უთხრა ნეფის: აჰა, მე დაწვევლე ლამანიელნი და მათ დავადებ ნიშანს, რომ ისინი და მათი შთამომავლები განცალკავებულნი იყვნენ შენგან და შენი შთამომავლობისგან ამიერიდან სამარადისოდ, თუ არ მოინანიებენ თავიანთ სიბოროტეს და

არ მომიბრუნდებიან, რათა ისინი შევიწყალო.

15 და კიდევ, მე ნიშანს დავადებ მას, რომელიც შეურევს თავის შთამომავლობას შენს ძმებთან, რომ ისინიც ასევე წყეულნი იყვნენ.

16 და კიდევ, მე ნიშანს დავადებ მას, ვინც შენსა და შენი შთამომავლობის წინააღმდეგ იბრძოლებს.

17 და კიდევ, მე გეუბნები: ის, რომელიც შენ განგიდგება, აღარ იქნება წოდებული შენს შთამომავლად; და მე გაკურთხებ შენ და ყველას, ვინც იქნებიან შენს შთამომავლებად წოდებულნი, ამიერიდან სამარადისოდ; და ეს იყო უფლის დაპირებები ნეფისადმი და მისი შთამომავლებისადმი.

18 ახლა, ამლიქიელებმა არ იცოდნენ, რომ ღვთის სიტყვას ასრულებდნენ, როდესაც მათ დაიწყეს შუბლზე ნიშნის დადება; მიუხედავად ამისა, ისინი ღიად უჯანყდებოდნენ ღმერთს, ამიტომ საჭირო იყო, რომ წყევლა დატყდომოდა მათზედ.

19 ახლა, მე მსურს, დაინახოთ, რომ მათ გამოიწვიეს ეს წყევლა თავიანთ თავზე; ამგვარად აკეთებს ყოველი ადამიანი, რომელიც არის დაწყევლილი, თავადვე იწვევს საკუთარ თავზე სასჯელს.

20 და ახლა, იყო ასე, რომ არ გასულა მრავალი დღე ზარაჰემლას მიწაზე ამლიქიელებთან

და ლამანიელებთან ბრძოლის შემდეგ, რაც ლამანიელთა კიდევ ერთი ჯარი დაესხა თავს ნეფის ხალხს, იმავე ადგილას, სადაც ამლიქიელებს დახვდათ პირველი ჯარი.

21 და იყო ასე, რომ გაგზავნილ იქნა ჯარი, რათა ისინი თავიანთი მიწიდან განედევნათ.

22 ახლა, აღმა, იტანჯებოდა რა თავისი ჭრილობისაგან, ამჯერად არ წავიდა ლამანიელთა წინააღმდეგ საბრძოლველად.

23 მაგრამ, გააგზავნა უთვალავი ჯარი მათ წინააღმდეგ; და ისინი წავიდნენ და მრავალი ლამანიელი დახოცეს და მათი გადარჩენილნი განდევნეს მიწის საზღვრებიდან.

24 და შემდეგ კვლავ დაბრუნდნენ და დაიწყეს მშვიდობის დამყარება იმ მიწაზე და ერთ ხანს აღარ იყვნენ შეწუხებულნი თავიანთი მტრებისგან.

25 ახლა, ეს ყველაფერი მოხდა, დიახ, ყველა ეს ომი და განხეთქილება დაიწყო და დასრულდა მოსამართლეთა მმართველობის მეხუთე წელს.

26 და ერთ წელიწადში, ათასობით და ათი ათასობით სული იქნა გაგზავნილი მარადიულ სამყაროში თავიანთი საქმეების შესაბამისად ჯილდოს მისაღებად, იყვნენ რა ისინი კარგები თუ ცუდები, რათა მიეღოთ მარადიული ბედნიერება ან მარადიული უბედურება, იმ სულის მიხედვით, რომლის დამორჩილე-

ბაც ისურვეს, იყო რა ის კეთილი სული თუ ბოროტი.

27 რადგან ყოველი ადამიანი იღებს საზღაურს იმისაგან, ვისთვის დამორჩილებასაც იგი ისურვებს; და ეს არის წინასწარმეტყველების სულის სიტყვების შესაბამისად; და ამიტომ, დაე, იყოს ეს ჭეშმარიტების შესაბამისი. და ასე მთავრდება მოსამართლეთა მმართველობის მეხუთე წელი.

თავი 4

აღმა ნათლავს ათასობით ახლადმოქცეულს. ეკლესიაში შემოდის ურჯულოება და ხელს უშლის ეკლესიის განვითარებას. ნეფიჰა ინიშნება მთავარ მოსამართლედ. აღმა, როგორც მღვდელმთავარი, საკუთარ თავს უძღვნის მსახურებას. დაახლოებით 86-83 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 ახლა, იყო ასე, რომ ნეფის ხალხზე მოსამართლეთა მმართველობის მეექვსე წელს, ზარაჰემლას მიწაზე არ იყო არც განხეთქილებები და არც ომები.

2 მაგრამ ხალხი გატანჯული იყო, დიახ, დიდად იტანჯებოდა თავიანთი ძმების დაკარგვით და ასევე თავიანთი წვრილფეხა და მსხილფეხა საქონლის დაკარგვით და ასევე თავიანთი მარცვლეულის მინდვრების დაკარგვით, რომლებიც ფეხ ქვეშ გათელილ და განადგურებულ იქნა ლამანიელთა მიერ.

3 და იმდენად დიდი იყო მათი გაჭირვება, რომ ყოველ სულს ჰქონდა გლოვის მიზეზი; და მათ სწამდათ, რომ ეს იყო მათზედ მოვლენილი ღმერთის სასჯელი, მათი სიბოროტისა და სისაძაგლისათვის; ამიტომ, მათ გამოიღვიძეს, რათა გაეხსენებინათ თავიანთი მოვალეობა.

4 და მათ დაიწყეს ეკლესიის უფრო სრულად განმტკიცება; დიახ, და მრავალი მოინათლა სიდონის წყლებში და შეუერთდა ღმერთის ეკლესიას; დიახ, ისინი მოინათლნენ აღმას ხელით, რომელიც ეკლესიის ხალხზე მღვდელმთავრად იყო კურთხეული მამამისის, აღმას ხელით.

5 და მოსამართლეთა მმართველობის მეშვიდე წელს იყო ასე, რომ დაახლოებით სამი ათას ხუთასი სული შეუერთდა ღმერთის ეკლესიას და მოინათლა. და ასე დასრულდა ნეფის ხალხზე მოსამართლეთა მმართველობის მეშვიდე წელი; მთელი ამ დროის განმავლობაში უწყვეტი მშვიდობა სუფევდა.

6 და იყო ასე, რომ მოსამართლეთა მმართველობის მერვე წელს, ეკლესიის ხალხმა დაიწყო ამპარტავნობაში ჩაფლობა, თავიანთი მეტისმეტი სიმდიდრის გამო და მათი ძვირფასი აბრეშუმისა და გრეხილი ბისონის გამო და მათი მრავალი წვრილფეხა და მსხვილფეხა ნახირის გამო და მათი ოქროსა და ვერცხლის და ყველანაირი ძვირფასეულობების

გამო, რომლებიც მათ მიიღეს თავიანთი შრომის მოყვარეობით; და ამ ყველაფერში, ისინი თავიანთი თვალების ამპარტავნობით აღზევდნენ, რადგან დაიწყეს ძალზედ ძვირფასი ტანსაცმლის ტარება.

7 ახლა, ეს იყო აღმას დიდი მწუხარების მიზეზი, დიახ, და მრავალი ადამიანისა, რომლებიც აღმამ აკურთხა მასწავლებლებად და მღვდლებად და ეკლესიის უხუცესებად; დიახ, მრავალი მათგანი ღრმად დამწუხრებული იყო იმ სიბოროტის გამო, რომელსაც ისინი ხედავდნენ, რაც მათ ხალხში დაიწყო.

8 რადგან დიდი მწუხარებით დაინახეს და შეამჩნიეს, რომ ეკლესიის ხალხმა დაიწყო თავიანთ თვალში ამპარტავნობით აღზევება და გულის მიძღვნა სიმდიდრისა და ამქვეყნიური ამოებობისთვის, რომ მათ დაიწყეს ერთმანეთის მიმართ ზიზღის გამოხატვა და დევნა, ვისაც არ სწამდა მათი ნებისა და სურვილის შესაბამისად.

9 და მოსამართლეთა მმართველობის ამ მერვე წელს, დაიწყო დიდი დაპირისპირება ეკლესიის ხალხს შორის; დიახ, იყო შური და დაპირისპირება და ღვარძლი და დევნა და ამპარტავნობა, ისეთი, რომ იმათ ამპარტავნობასაც კი გადააჭარბა, ვინც არ მიეკუთვნებოდა ღმერთის ეკლესიას.

10 და ასე დასრულდა მო-

სამართლეთა მმართველობის მერვე წელი; და ეკლესიის სიბოროტე იქცა დიდ დაბრკოლების ქვად მათთვის, ვინც არ მიეკუთვნოდა ეკლესიას; და ამგვარად ეკლესიის განვითარებამ დაიწყო შენელება.

11 და იყო ასე, რომ მეცხრე წლის დასაწყისში აღმამ იხილა ეკლესიის სიბოროტე და ასევე იხილა, რომ ეკლესიის თვალსაჩინო მაგალითი უბიძგებდა ურწმუნოებს ერთი ურჯულოებიდან მეორესკენ და ამგვარად, მოქონდა ხალხის განადგურება.

12 დიახ, მან იხილა ხალხს შორის დიდი უთანასწორობა, ზოგნი აღზევებულნი იყვნენ თავიანთ ამპარტავნობით, სძულდათ სხვები, ზურგს აქცევდნენ დატაკებსა და შიშველებს და მშიერთ და მწყურვალთ და ავადმყოფთ და ტანჯულთ.

13 ახლა, ეს იყო ხალხს შორის გოდებისათვის დიდი მიზეზი, იმავე დროს, სხვები თავს იმდაბლებდნენ, ეხმარებოდნენ მათ, რომლებსაც სჭირდებოდათ დახმარება, როგორცაა: უზიარებდნენ თავიანთ ქონებას ღარიბებსა და გაჭირვებულებს, აპურებდნენ მშიერს და იტანდნენ ყველანაირ გაჭირვებას ქრისტეს გულისათვის, რომელიც უნდა მოსულიყო, წინასწარმეტყველების სულის შესაბამისად.

14 იმ დღის მოლოდინში, ამგვარად ინარჩუნებდნენ საკუთარი

ცოდვების მიტევებას; აღვსილნი იყვნენ დიდი სიხარულით მკვდრეთით აღდგომის გამო, იესო ქრისტეს ნებისა და ძალისა და სიკვდილის ბორკილებიდან გამოსხნის შესაბამისად.

15 და ახლა, იყო ასე, რომ აღმამ, იხილა რა ღმერთის თავმდაბალ მიმდევართა გაჭირვება და დევნა, რომელიც მათ თავს დაატყდათ თავისი ხალხის დანარჩენი ნაწილისაგან და იხილა რა მათი ყველა უთანასწორობა, დაიწყო ძალზედ ღრმად წუხილი; მიუხედავად ამისა, უფლის სულმა იგი არ მიატოვა.

16 და მან აირჩია ბრძენი კაცი, რომელიც იყო ეკლესიის უზუცესთა შორის და მისცა მას ძალაუფლება, ხალხის ხმის შესაბამისად, რომ მას ჰქონოდა კანონების აღსრულების ძალაუფლება, იმ კანონების შესაბამისად, რომელნიც მოცემული იყო; და მათი აღსრულება ხალხის სიბოროტისა და დანაშაულების მიხედვით.

17 ახლა, ამ კაცის სახელი იყო ნეფიჰა და იგი დანიშნულ იქნა მთავარ მოსამართლედ; და ის დაბრძანდა მოსამართლის სავარძელზე, რომ ხალხი განესაჯა და ემართა.

18 ახლა, აღმამ მას კი არ უბოძა ეკლესიის მღვდელმთავრის წოდება, არამედ თავისთვის დაიტოვა მღვდელმთავრის წოდება; მაგრამ ნეფიჰას გადასცა მოსამართლის სავარძელი.

19 და ეს მან გააკეთა, რათა თავად წასულიყო თავის ხალხში ანუ ნეფის ხალხში, რომ შეძლებოდა ექადაგა მათთვის ღვთის სიტყვა, რათა ისინი გაეღვიძებინა თავიანთი მოვალეობის მოსაგონებლად, რომ ღვთის სიტყვით მას შეძლებოდა ჩაეხშო მთელი ამპარტავნობა და მზაკვრობა და ყოველი განხეთქილება, რომელიც იყო მის ხალხს შორის, ვერ ხედავდა რა მათი გამოსწორებისთვის სხვა გზას, გარდა წმინდა დამოწმების გაზიარებისა მათ წინააღმდეგ.

20 და ასე, ნეფის ხალხზე მოსამართლეთა მმართველობის მეცხრე წლის დასაწყისში, აღმამ გადასცა მოსამართლის სავარძელი ნეფიჰას და მთლიანად მიუძღვნა თავი ღმერთის წმინდა წესის მღვდელმთავრობას, სიტყვის მოწმობას, გამოცხადებისა და წინასწარმეტყველების სულის მიხედვით.

სიტყვები, რომლებიც ღმერთის წმინდა წესით წოდებულმა მღვდელმთავრმა აღმამ მიიტანა ხალხთან მთელი მიწის ქალაქებსა და სოფლებში.

იწყება მე-5 თავიდან.

თავი 5

ხსნის მისაღებად, ადამიანებმა უნდა მოინანიონ და დაიცვან

მცნებები, ხელახლა იშვან, განწმინდონ თავიანთი სამოსელი ქრისტეს სისხლით, იყვნენ თავმდაბალნი და განიმოსონ ამპარტავნობისა და შურისაგან და აკეთონ სამართლიანი საქმენი. მწყემსი კეთილი მოუწოდებს თავის ხალხს. ისინი, რომლებიც სჩადიან ბოროტ საქმეებს, არიან ეშმაკის შვილები. აღმა მოწმობს თავისი მოძღვრების ჭეშმარიტებაზე და მონანიებას უბრძანებს ადამიანებს. მართალთა სახელები სიცოცხლის წიგნში ჩაიწერება. დაახლოებით 83 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 ახლა, იყო ასე, რომ აღმამ დაიწყო ღვთის სიტყვის მიტანა ხალხისათვის, თავდაპირველად ზარაჰემლას მიწაზე და იქიდან მთელ იმ მიწაზე.

2 და ეს არის სიტყვები, რომლებიც მან უთხრა ხალხს ქალაქ ზარაჰემლაში დაარსებულ ეკლესიაში, საკუთარი ჩანაწერების მიხედვით, ეუბნებოდა რა:

3 მე, აღმა, მივიღე რა მამაჩემისგან, აღმასგან, კურთხევა ვიყო ღმერთის ეკლესიაზე მღვდელმთავარი და მას ჰქონდა ძალა და უფლებამოსილება ღმერთისგან, რომ გაეკეთებინა ეს, აჰა, მე გეუბნებით, რომ მან დაიწყო ეკლესიის დაარსება მიწაზე, რომელიც იყო ნეფის საზღვრებში; დიახ, მიწაზე, რომელსაც ერქვა მორმონის მიწა;

დიახ, და მან მონათლა თავისი ძმები მორმონის წყლებში.

4 და აჰა, მე გეუბნებით: ისინი გამოხსნილნი იქნენ მეფე ნოეს ხელიდან, ღმერთის წყალობითა და ძალით.

5 და აჰა, მას შემდეგ ისინი უდაბნოში ლამანიელთა ხელით ჩაცვივდებიან მონობაში; დიახ, მე თქვენ გეუბნებით, ისინი იყვნენ მონობაში და კვლავ უფალმა გამოიხსნა ისინი მონობიდან, თავისი სიტყვის ძალით; და ჩვენ მოგვიყვანა ამ მიწაზე და ჩვენ აქაც ასევე დავიწყეთ ღმერთის ეკლესიის დაარსება მთელი ამ მიწის გარშემო.

6 და ახლა, აჰა, მე თქვენ გეუბნებით, ჩემო ძმებო, თქვენ, რომლებიც ამ ეკლესიას ეკუთვნით, საკმარისად შემოგრჩათ მეხსიერებაში თქვენი მამების ტყვეობა? დიახ, და საკმარისად შემოგრჩათ მეხსიერებაში მისი წყალობა და სულგრძელობა მათ მიმართ? და ამის გარდა, საკმარისად შემოგრჩათ მეხსიერებაში, რომ მან ჯოჯოხეთიდან გამოიხსნა მათი სულები?

7 აჰა, მან შეცვალა მათი გულები; დიახ, მან გამოადვიდა ისინი ღრმა ძილისაგან და მათ გაიდვიძეს ღმერთისადმი. აჰა, ისინი იყვნენ ბნელეთის შუაგულში; ამისდა მიუხედავად, მათი სულები განათლდა მარადიული სიტყვის სინათლით; დიახ, მათ გარს ერტყათ სიკვდილის ბორკილები და ჯოჯოხეთის

ჯაჭვები; და მათ ელოდათ მარადიული განადგურება.

8 და ახლა, მე თქვენ გეკითხებით, ჩემო ძმებო, იქნენ ისინი განადგურებულნი? აჰა, მე თქვენ გეუბნებით: არა, არ იქნენ.

9 და კვლავ, მე გეკითხებით, დაიმსხვრა თუ არა სიკვდილის ბორკილები და გაწყვეტილ იქნა ჯოჯოხეთის ჯაჭვები, რომელნიც მათ გარს ერტყათ? მე თქვენ გეუბნებით: დიახ, ისინი გაწყვეტილ იქნა და მათი სულები განთავისუფლდნენ; და გალობდნენ გამომსყიდველ სიყვარულზე. და მე თქვენ გეუბნებით, რომ ისინი არიან გადარჩენილნი.

10 და ახლა, გეკითხებით, რა პირობებით არიან ისინი გადარჩენილნი? დიახ, რა საფუძველი ჰქონდათ მათ ხსნის იმედისათვის? რა არის იმის მიზეზი, რომ გამოხსნილ იქნენ სიკვდილის ბორკილებიდან? დიახ, ასევე ჯოჯოხეთის ჯაჭვებიდან?

11 აჰა, მე შემიძლია გითხრათ – ნუთუ არ იწამა მამაჩემმა, ალმამ, აბინადის პირით ნათქვამი სიტყვები? და ნუთუ არ იყო იგი წმინდა წინასწარმეტყველი? ნუთუ არ ლაპარაკობდა ღმერთის სიტყვებს და მამაჩემს, ალმას, არ სწამდა მათი?

12 და თავისი რწმენის შესაბამისად, ძლიერი ცვლილება მოხდა მის გულში. აჰა, მე თქვენ გეუბნებით, რომ ეს ყველაფერი არის ჭეშმარიტი.

13 და აჰა, ის უქადაგებდა

თქვენს მამებს სიტყვას და მათ გულებშიც ასევე მოხდა ძლიერი ცვლილება და მათ დაიმდაბლეს თავი და მიანდეს სასოება ჭეშმარიტ და ცოცხალ ღმერთს. და აჰა, ისინი ბოლომდე ერთგულნი იყვნენ; ამიტომაც გადარჩნენ.

14 და ახლა, აჰა, მე თქვენ გეკითხებით, ჩემო ძმებო ეკლესიიდან, ხართ თუ არა სულიერად ღვთისგან შობილნი? მიიღეთ მისი ხატება თქვენს სახეზე? განიცადეთ ეს ძლიერი ცვლილება თქვენს გულში?

15 ავლენთ თუ არა რწმენას თქვენი შემქმნელის გამოსვიდაში? უყურებთ თუ არა მომავალს რწმენის თვალთ და ხედავთ თუ არა ამ მოკვდავ სხეულს უკვდავებაში აღმსდგარს და ამ ხრწნადს უხრწნელობაში აღმსდგარს, რათა წარსდგეთ ღმერთის წინაშე, რომ განიკითხოთ იმ საქმეების შესაბამისად, რაც ჩადენილ იქნა მოკვდავ სხეულში?

16 მე თქვენ გეუბნებით, შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რომ მოისმენთ უფლის ხმას, რომელიც იმ დღეს გეტყვით: მოდიო ჩემთან, კურთხეულნო, რადგან, აჰა, თუ იყო თქვენი საქმენი სამართლიანობისა დედამიწის ზედაპირზე?

17 ან თუ წარმოიდგენთ, რომ შეძლებთ უფლის წინაშე ტყუილის თქმას იმ დღეს და იტყვით: უფალო, ჩვენი საქმენი იყო საქმენი სამართლიანობისა

დედამიწის ზედაპირზე, – და ის თქვენ გიხსნით?

18 ანუ სხვაგვარად, შეგიძლიათ წარმოიდგინოთ თავი ღმერთის სასამართლოს წინაშე წარმსდგარი, დანაშაულითა და სინანულით სავსე სულით, ყველა თქვენ მიერ ჩადენილი დანაშაულით მეხსიერებაში, დიახ, ნათლად გეხსომებათ ყოველი თქვენი სიბოროტე, დიახ, ხსოვნა იმისა, რომ ღმერთის მცნებებს უგულბებელიყოფით?

19 მე გეუბნებით: შეძლებთ ახელოთ მაღლა ღმერთს იმ დღეს, სპეტაკი გულითა და სუფთა ხელებით? მე გეუბნებით: შეძლებთ აიხედოთ ღმერთის ხატების გამოსახულებით თქვენს სახეებზე?

20 მე გეუბნებით: შეგიძლიათ იფიქროთ გადარჩენაზე, როდესაც საკუთარი თავი ეშმაკს დაუთმეთ?

21 მე გეუბნებით: იმ დღეს თქვენ გაიგებთ, რომ ვერ გადარჩებით; რადგან ვერცერთი ადამიანი ვერ გადარჩება, თუ მისი სამოსელი არ იქნება სითეთრემდე გარეცხილი; დიახ, მისი სამოსელი უნდა განიწმინდოს იქამდე, სანამ არ გაიწმინდება ყველა ლაქისგან იმისი სისხლით, რომელზეც ჩვენმა მამებმა ილაპარაკეს, რომელიც მოვა თავისი ხალხის ცოდვებისაგან გამოსასყიდად.

22 და ახლა, მე თქვენ გეკითხებით, ჩემო ძმებო, როგორ იგრძნობს ნებისმიერი თქვენგანი

თავს, თუ წარსდგებით ღმერთის სამსჯავროს წინაშე, სისხლითა და ყველანაირი სიბინძურით წაბილწული სამოსელით? აჰა, რას დაამოწმებს ყოველივე ეს თქვენ წინააღმდეგ?

23 აჰა, ნუთუ არ დაამოწმებს, რომ თქვენ ხართ მკვლელები, დიახ, ასევე ყველანაირ ბოროტებაში დამნაშავენი?

24 აჰა, ჩემო ძმებო, ნუთუ გგონიათ, რომ ასეთ ვინმეს შეუძლია ჰქონდეს ადგილი, დაჯდეს ღვთის სასუფეველში, აბრაამთან, ისაკთან და იაკობთან და ასევე ყველა წმინდა წინასწარმეტყველთან, რომელთა სამოსელი განწმენდილია და არის უმწიკვლო, წმინდა და თეთრი?

25 მე გეუბნებით: არა; თუკი არ აქცევთ ჩვენ შემქმნელს მატყუარად დასაბამიდანვე ანუ დაუშვებთ, რომ ის დასაბამიდანვე არის მატყუარა, თქვენ ვერ დაუშვებთ იმას, რომ ასეთებს შეუძლიათ ადგილი იქონიონ ცათა სასუფეველში; არამედ გაძევებულნი იქნებიან, რადგან არიან ეშმაკის სამეფოს შვილები.

26 და ახლა, აჰა, მე თქვენ გეუბნებით, ჩემო ძმებო, თუ თქვენ განიცადეთ გულში ცვლილება და თუ იგრძენით გამომსყიდველ სიყვარულზე გალობის სურვილი, მე მინდა გკითხოთ, ახლა თუ გრძნობთ ამას?

27 იღწვოდით, რომ ყოფილიყავით ღმერთის წინაშე უმწიკვლოდ? ამჟამად თქვენ რომ

სიკვდილისკენ მოგიწოდონ, გულში იმის თქმას თუ შეძლებდით, რომ იყავით სათანადოდ თავმდაბლნი? რომ თქვენ სამოსელი განწმენდილი და გათეთრებულია ქრისტეს სისხლით, რომელიც მოვა თავისი ხალხის ცოდვებისაგან გამოსასყიდად?

28 აჰა, განიმოსეთ ამპარტავნობა? მე თქვენ გეუბნებით: თუ არა – მაშინ არ ხართ მზად ღმერთთან შესახვედრად. აჰა, თქვენ უნდა სწრაფად მოემზადოთ; რადგან ცათა სასუფეველი ახლოვდება და ასეთს მარადიული სიცოცხლე არ ექნება.

29 აჰა, მე ვამბობ: არის ვინმე თქვენ შორის, რომელიც არ განიმოსა შურისგან? მე გეუბნებით, რომ ასეთი არ არის მზად და მინდა, რომ სწრაფად მოემზადოს; რადგან დრო მოახლოვდა და მან არ იცის, როდის მოვა ეს დრო, რადგან ასეთი უდანაშაულოდ არ არის ცნობილი.

30 და კიდევ, მე გეუბნებით: არის ვინმე თქვენ შორის ისეთი, რომელიც დასცინის საკუთარ ძმას ან დევნის მას?

31 ვარამი ასეთს, რადგან ის მზად არ არის და ახლოს არის ჟამი, რომ უნდა მოინანიოს, თორემ ვერ გადარჩება!

32 დიახ, ვარამი თქვენ ყველას, ურჯულოების ჩამდენო; მოინანიეთ, მოინანიეთ, რადგან ეს თქვა უფალმა ღმერთმა!

33 აჰა, ის იწვევს ყოველ

ადამიანს, რადგან მოწყალე ხელები გაწვდილია მათკენ და ეუბნება: მოინანიეთ და მიგიღებთ.

34 დიახ, იგი ამბობს: მოდით ჩემთან და იგემებთ სიცოცხლის ხის ნაყოფს, დიახ, თქვენ შეჭამთ და შესვამთ სიცოცხლის პურსა და წყალს თავისუფლად;

35 დიახ, მოდით ჩემთან და აკეთეთ სამართლიანობის საქმენი და არ იქნებით მოკვეთილნი და ცეცხლში ჩაყრილნი.

36 რადგან, აჰა, ახლოს არის უამი, როდესაც ყოველ ადამიანს, რომელსაც არ მოაქვს კარგი ნაყოფი ან ყოველ ადამიანს, რომელიც არ სჩადის სამართლიანობის საქმეებს, აქვს გოდებისა და გლოვის მიზეზი.

37 თქვენ, ურჯულოების ჩამდენო; თქვენ, რომელნიც ხართ გაყოფილებულნი ამქვეყნიური ამოებით, თქვენ, რომელნიც ამტკიცებთ, რომ იცით სამართლიანობის გზები, მიუხედავად ამისა, მაინც გზიდან გადაუხვიეთ, როგორც ცხვრებმა მწყემსის გარეშე, მიუხედავად იმისა, რომ მწყემსმა თქვენ დაგიძახათ და კვლავ გეძახით, მაგრამ თქვენ არ უგდებთ ყურს მის ხმას!

38 აჰა, მე გეუბნებით: მწყემსი კეთილი გეძახით, დიახ, და თავისი სახელით გეძახით, რომელიც არის ქრისტეს სახელი; და თუ თქვენ არ დაუგდებთ ყურს მწყემსი კეთილის ხმას, იმ სახელს, რომლითაც მოწოდებულნი

ხართ, აჰა, თქვენ არ ხართ მწყემსი კეთილის ცხვრები.

39 და ახლა, თუ თქვენ არ ხართ კეთილი მწყემსის ცხვრები, მაშინ რომელი ფარისა ხართ? აჰა, მე თქვენ გეუბნებით, რომ ეშმაკია თქვენი მწყემსი და თქვენ ხართ მისი ფარის; და ახლა ვის შეუძლია ამის უარყოფა? აჰა, მე თქვენ გეუბნებით: ის, რომელიც ამას უარყოფს, არის მატყუარა და ეშმაკის შვილი.

40 ამიტომ, მე გეუბნებით, რომ ყოველი, რაც კეთილია – ღმერთისგან მოდის და ყოველი, რაც ბოროტია – ეშმაკისგან მოდის.

41 ამიტომ, თუ ადამიანი სჩადის კეთილ საქმეებს, ის ყურს უგდებს მწყემსი კეთილის ხმას და მას მისდევს; მაგრამ ყოველი, რომელიც სჩადის ბოროტ საქმეებს, ხდება ეშმაკის შვილი, რადგან მის ხმას უგდებს ყურს და მას მისდევს.

42 და ყოველმა, რომელიც ამას აკეთებს, უნდა მიიღოს თავისი საზღაური მისგან; ამიტომ, მის საზღაურად იგი მიიღებს სიკვდილს, რაც კავშირშია სამართლიანობასთან, იქნება რა მკვდარი ყოველი კეთილი საქმისათვის.

43 და ახლა, ჩემო ძმებო, მსურს, რომ მომისმინოთ, რადგან ვლპარაკობ ჩემი სულის ძალით; რადგან, აჰა, მე ნათლად გელაპარაკებოდით, რათა არ შემცდარიყავით ანუ გელაპარაკეთ ღმერთის მცნებების შესაბამისად.

44 რადგან მოწოდებული ვარ, ამგვარად ვილაპარაკო ღმერთის წმინდა წესის შესაბამისად, რომელიც არის ქრისტე იესოში; დიახ, მე ნაბრძანები მაქვს, დავდგე და დავემოწმო ამ ხალხს ის, რაც ჩვენმა მამებმა თქვეს იმის შესახებ, რაც მოსასვლელია.

45 და ეს არ არის ყველაფერი. ნუთუ გგონიათ, რომ მე თვითონ არ ვიცი ამის შესახებ? აჰა, მე თქვენთვის ვმოწმობ, რომ ვიცი: რაც ვთქვი, არის ჭეშმარიტება. და როგორ გგონიათ, საიდან ვიცი მე მათი ჭეშმარიტების შესახებ?

46 აჰა, მე თქვენ გეუბნებით: ეს გავიგე ღმერთის სულიწმინდის ძალით. აჰა, მე ვიმარხულე და ვილოცე მრავალი დღე, რათა თავად გამეგო ეს. და ახლა, მე თვითონ ვიცი, რომ ეს არის ჭეშმარიტება, რადგან უფალმა ღმერთმა გამომიცხადა ეს თავისი სულიწმინდით; და ეს არის გამოცხადების სული, რომელიც არის ჩემში.

47 და გარდა ამისა, გეუბნებით: ამრიგად გამომეცხადა, რომ სიტყვები, რომლებიც ითქვა ჩვენი მამების მიერ, არის ჭეშმარიტი, ზუსტად ასე, წინასწარმეტყველების სულის შესაბამისად, რომელიც ჩემშია, რომელიც ასევე არის ღმერთის სულის გამოცხადებით.

48 მე გეუბნებით, რომ თავად ვიცი: რასაც გეტყვით იმაზე,

რაც მოსასვლელია, არის ჭეშმარიტება; და მე გეუბნებით, რომ ვიცი, იესო ქრისტე მოვა, დიახ, ძე, მამის მხოლოდშობილი, მადლით, წყალობითა და ჭეშმარიტებით სავსე. და აჰა, ეს არის ის, რომელიც მოდის, რათა აიღოს ამა ქვეყნის ცოდვები, დიახ, ცოდვები ყოველი ადამიანისა, რომელსაც მტკიცედ სწამს მისი სახელი.

49 და ახლა, მე თქვენ გეუბნებით: ეს არის წესი, რომლითაც მომიწოდეს, დიახ, რათა ვუქადაგო ჩემს საყვარელ ძმებს, დიახ, ასევე ყოველს, რომელიც ამ მიწაზე იმყოფება; დიახ, ვუქადაგო ყველას: მოხუცებსა და ახალგაზრდებს, მონებსა და თავისუფლებს; დიახ, მე გეუბნებით, ხანში შესულებსა და შუახნის ასაკში მყოფთ და მოზარდ თაობას; დიახ, რომ შევლადლო მათ, რომ უნდა მოინანიონ და ხელახლა იქნენ შობილნი.

50 დიახ, ამას ამბობს სული, მოინანიეთ, თქვენ, დედამიწის ყველა კიდენო, რადგან ცათა სასუფეველი ახლოვდება; დიახ, ღმერთის ძე მოდის თავისი დიდებით, თავისი ძღვევამოსილებით, სიდიადით, ძალითა და ბატონობით. დიახ, ჩემო საყვარელო ძმებო, მე თქვენ გეუბნებით, რომ სული ამბობს: აჰა, მთელი დედამიწის მეფის დიდება; ასევე ზეცის მეფე მალე გაბრწყინდება ადამიანთა ყველა შვილს შორის.

51 და ასევე სულიწმინდა მეუბნება, დიახ, შემომღალადებს ძლიერი ხმით, სიტყვებით: წადი და უთხარი ამ ხალხს: მოინანიეთ, რადგან თუ არ მოინანიებთ, თქვენ ვერანაირად ვერ მიიღებთ მემკვიდრეობით ცათა სასუფეველს.

52 და კიდევ, მე გეუბნებით, სული ამბობს: აჰა, ცული დევს ხის ფესვთან; ამიტომ ყოველ ხეს, რომელიც კარგ ნაყოფს არ გამოიღებს, მოკვეთენ და ცეცხლში ჩააგდებენ, დიახ, ცეცხლში, რომლის ჩაქრობაც შეუძლებელია, დიახ, უქრობ ცეცხლში. აჰა, და გახსოვდეთ, ეს წმინდამ ილაპარაკა.

53 და ახლა, ჩემო საყვარელო ძმებო, მე თქვენ გეუბნებით: შეგიძლიათ შეეწინააღმდეგოთ ამ ნათქვამს; დიახ, შეგიძლიათ გვერდზე გადადოთ ესენი და გათელოთ წმინდა თქვენს ფეხქვეშ; დიახ, შეგიძლიათ თქვენს გულებში გაყოფოხდეთ ამპარტავნობით; დიახ, კვლავ ჯიუტად ატარებთ ძვირფას ტანსაცმელს და მიუძღვნით გულს ამქვეყნიურ ამაოებას, თქვენს სიმდიდრეს?

54 დიახ, კვლავ ჯიუტად ჩათვლით, რომ თქვენ უკეთესნი ხართ სხვებზე; დიახ, კვლავ ჯიუტად დევნით თქვენს ძმებს, რომლებიც თავს დაიმდაბლებენ და დადიან ღმერთის წმინდა წესის შესაბამისად, რომლის მეშვეობით ისინი მოყვანილ იქნენ ამ ეკლესიაში, იყვნენ რა

განწმენდილნი სულიწმინდით და აკეთებენ მონანიების შესაფერის საქმეებს -

55 დიახ, კვლავ ჯიუტად შეაქცევთ ზურგს ღარიბებსა და დატაკებს და თავს შეიკავებთ საკუთარი ქონებიდან მათთვის გაღებაზე?

56 და ბოლოს, ყველანი, ვინც სიბოროტეში დარჩებით, გეუბნებით, ეს არიან ისინი, რომლებსაც მოკვეთენ და ცეცხლში ჩაყრიან, თუ სწრაფად არ მოინანიებენ.

57 და ახლა, მე თქვენ გეუბნებით: ყველა თქვენ, რომლებსაც გსურთ მიჰყვეთ მწყემსი კეთილის ხმას, წამოდით ბოროტაგან და გაემიჯნეთ მათ და ნუ შეეხებით მათ უწმინდურ საქმეს; და აჰა, მათი სახელები ამოიშლება, რათა ბოროტთა სახელები არ ჩაითვალოს მართალთა სახელებს შორის, რათა აღსრულდეს ღვთის სიტყვა, რომელიც ამბობს: ბოროტთა სახელები არ აირევა ჩემი ხალხის სახელებთან;

58 რადგან მართალთა სახელები სიცოცხლის წიგნში იქნება ჩაწერილი და მათ მე ვუბოძებ მემკვიდრეობას ჩემი მარჯვენა ხელისკენ. და ახლა, ჩემო ძმებო, რა გაქვთ ამის საწინააღმდეგოდ სათქმელი? მე გეუბნებით: თუ თქვენ ლაპარაკობთ ამის საწინააღმდეგოდ, არ აქვს ამას მნიშვნელობა, რადგან ღვთის სიტყვა უნდა აღსრულდეს.

59 რადგან რომელი მწყემსია

თქვენ შორის, რომ ჰყავს მრავალი ცხვარი და თვალ-ყურს არ ადევნებს მათ, რომ მგლები არ შევიდნენ და არ შეჭამონ მისი ფარა? და აჰა, თუ მგელი შევა მის ფარაში, ნუთუ ის მას არ გააძევებს? დიახ, და ბოლოს: თუ შეძლებს, ის მას მოკლავს.

60 და ახლა, მე გეუბნებით, რომ მწყემსი კეთილი გეძახით; და თუ თქვენ ყურს დაუგდებთ მის ხმას, ის თავის ფარაში მიგიყვანთ და თქვენ მისი ცხვრები ხართ; და ის გიბრძანებთ, რომ არცერთ გაუმაძღარ მგელს არ დართოთ თქვენთან შემოსვლის ნება, რომ არ იქნეთ განადგურებულნი.

61 და ახლა, მე, აღმა, გიბრძანებთ იმის ენით, ვინც მე მიბრძანა, რომ შეასრულოთ ის სიტყვები, რომლებიც მე ვითხარით.

62 მე მოგმართავთ ბრძანებით თქვენ, რომლებიც ეკლესიას მიეკუთვნებით; და ყველას, რომლებიც არ მიეკუთვნებით ეკლესიას, მე მივმართავ მოწვევის სახით, სიტყვებით: მოდიეთ და მონათლეთ მოსანანიებლად, რომ თქვენც ასევე იგემოთ სიცოცხლის ხის ნაყოფი.

თავი 6

ეკლესია ზარაჰემლაში განიწმინდა და მოწესრიგდა. აღმა მიდის გიდუონში საქადაგებლად. დაახლოებით 83 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და ახლა, იყო ასე, რომ რო-

დესაც აღმამ დაასრულა ქალაქ ზარაჰემლაში დაარსებული ეკლესიის ხალხისთვის სიტყვით მიმართვა, მან თავად მოახდინა მღვდლად და უხუცესებად კურთხევა, ღვთის წესის შესაბამისად, ეკლესიაზე თავკაცობისა და მეთვალყურეობისთვის.

2 და იყო ასე, რომ ვინც არ მიეკუთვნებოდა ეკლესიას და ინანიებდა საკუთარ ცოდვებს, ინათლებოდა მოსანანიებლად და ეკლესიაში იღებდნენ მას.

3 და ასევე იყო, რომ ვინც მიეკუთვნებოდა ეკლესიას, მაგრამ არ ინანიებდა საკუთარ სიბოროტეს და არ იმდაბლებდა თავს ღმერთის წინაშე, მე ვგულისხმობ მათ, რომლებიც აღზევებულნი იყვნენ საკუთარი გულის ამპარტავნობით, ასეთები უარყოფილნი იქნენ და მათი სახელები ამოშლილ იქნა, რათა მათი სახელები არ ჩაეთვალიათ მართალთა შორის.

4 და ამგვარად, მათ დაიწყეს ქალაქ ზარაჰემლაში ეკლესიაში წესრიგის დამყარება.

5 ახლა, მე მინდა, თქვენ გესმოდეთ, რომ ღვთის სიტყვა ყველასათვის ხელმისაწვდომი იყო, ისე რომ არავის ჰქონდა ჩამორთმეული ღვთის სიტყვის მოსასმენად, ერთად შეკრების უპირატესობა.

6 ამისდა მიუხედავად, ღმერთის შვილებს ნაბრძანები ჰქონდათ, რომ ხშირად შეკრებილიყვნენ ერთად და გაერთიანებულიყვნენ

მარხვითა და მხურვალე ლოც-
ვით იმ სულების კეთილდღე-
ობისათვის, რომლებიც არ
იცნობდნენ ღმერთს.

7 და ახლა, იყო ასე, რომ რო-
დესაც აღმამ დააწესა ეს წე-
სები, ის წავიდა მათგან, დიახ,
ეკლესიიდან, რომელიც იყო ქა-
ლაქ ზარაპემლაში და გაემართა
სიდონის მდინარიდან აღმოსაფ-
ლეთით, გიდეონის ველზე, სა-
დაც ქალაქი იყო აშენებული,
რომელსაც გიდეონის ქალაქი
ერქვა, რომელიც იყო ველზე,
რომელსაც ერქვა გიდეონი, იმ
კაცის სახელით წოდებული, რო-
მელიც მახვილით, ნეპორის ხე-
ლით, იქნა მოკლული.

8 და აღმა მივიდა და დაი-
წყო ღვთის სიტყვის ქადაგება
ეკლესიაში, რომელიც დაარსე-
ბული იყო გიდეონის ველზე, იმ
სიტყვების ჭეშმარიტების გამო-
ცხადების შესაბამისად, რომე-
ლიც ნათქვამი იყო მისი მამების
მიერ, და წინასწარმეტყველების
სულის შესაბამისად, რომელიც
მასში იყო, შესაბამისად იესო
ქრისტეს დამოწმებისა, ღმერთის
ძისა, რომელიც უნდა მოვიდეს
თავისი ხალხის ცოდვებისაგან
გამოსასყიდად და წმინდა წე-
სისა, რომლითაც ის იყო მოწო-
დებული. და ასეა ეს დაწერილი.
ამინ.

აღმას სიტყვები, რომლებიც
მან ხალხისთვის წარმოთქვა

გიდეონში, მისი საკუთარი ჩა-
ნაწერების მიხედვით.

მოიცავს მე-7 თავს.

თავი 7

*ქრისტე იშვება მარიამის მიერ.
ის გაწყვეტს სიკვდილის ბორკი-
ლებს და თავის თავზე აიღებს
საკუთარი ხალხის ცოდვებს.
ისინი, ვინც ინანიებენ, ინათლე-
ბიან და მცნებებს იცავენ, მიი-
ღებენ მარადიულ სიცოცხლეს.
უწმიდური ვერ დაიმკვიდრებს
ღვთის სასუფეველს. საჭიროა
თავმდაბლობა, რწმენა, იმედი
და გულმოწყალება. დაახლო-
ებით 83 წ. ჩვენს წელთაღრიც-
ხვამდე.*

1 აჰა, ჩემო საყვარელო ძმებო,
ნება მიბოძეს რა თქვენთან მოვ-
სულიყავი, ვეცდები მოგმართოთ
ჩემს ენაზე; დიახ, ჩემი საკუ-
თარი პირით, ვინაიდან ეს არის
პირველად, როდესაც თქვენ
მოგმართავთ ჩემს ბაგეთაგან
სიტყვებით, რადგან მთლიანად
შეზღუდული ვიყავი მოსამართ-
ლის სავარძლის გამო, მქონდა
რა იმდენი საქმე, რომ ვერ შევ-
ძელი თქვენთან მოსვლა.

2 ახლაც კი, ამ დროს, ვერ მო-
ვიდოდი თქვენთან, მოსამართ-
ლის სავარძელი სხვისთვის რომ
არ გადაეცათ, რათა ჩემ მაგივ-
რად ემართა; და უფალმა დიდი
წყალობით მიბოძა ნება, თქვენ-
თან მოვსულიყავი.

3 და აჰა, მე მოვედი, მაქვს რადიდი იმედები და ძლიერი სურვილი, დავინახო, რომ თავი დაიმდაბლეთ ღმერთის წინაშე და გააგრძელეთ ვედრება მისი მადლის მისაღებად, დავინახო, რომ უდანაშაულონი ხართ მის წინაშე, დავინახო, რომ არ ხართ ისეთ საშინელ მდგომარეობაში, როგორც იყვნენ ჩვენი ძმები ზარაკემლაში.

4 მაგრამ კურთხეული იყოს ღმერთის სახელი, რადგან მაუწყა, დიახ, ძალზედ დიდი სიხარული მიბოძა იმის ცოდნით, რომ ისინი კვლავ განმტკიცდნენ მისი სამართლიანობის გზაზე.

5 და მე ვიმედოვნებ, ღმერთის სულის თანხმობით, რომელიც ჩემშია, რომ თქვენ გამოც გავიხარებ; მიუხედავად ამისა, მე არ მსურს, რომ თქვენ გამო სიხარული მოვიდეს ჩემთან იმდენი გაჭირვებისა და დარდის გზით, რაც მე გადავიტანე ჩემი ძმების გამო ზარაკემლასთან, რადგან, აჰა, მეღირსა სიხარული მათ გამო მრავალი გაჭირვებისა და დარდის გადატანის შედეგად.

6 მაგრამ, აჰა, მე ვიმედოვნებ, რომ თქვენ არ ხართ ისეთ დიდ ურწმუნო მდგომარეობაში, როგორც თქვენი ძმები იყვნენ; ვიმედოვნებ, რომ არ აღზევდით თქვენი გულის ამპარტავნობით; დიახ, ვიმედოვნებ, რომ არ მიუძღვებით გული სიმდიდრესა და ამქვეყნიურ ამოებას; დიახ, ვიმედოვნებ, რომ კერპებს არ

ეთაყვანებით, არამედ ეთაყვანებით ჭეშმარიტ და ცოცხალ ღმერთს და თქვენ, მარადიული რწმენით, მოვლით თქვენი ცოდვების მიტევებას, რომელიც მოვა.

7 რადგან, აჰა, მე გეუბნებით, მოსასვლელია მრავალი რამ; და აჰა, არის ერთი რამ, რაც ყველაფერ დანარჩენზე უფრო მნიშვნელოვანია, რადგან, აჰა, არ არის შორს ის დრო, სადაც გამომსყიდველი ცხოვრობს და მოდის თავის ხალხთან.

8 აჰა, მე არ ვამბობ, რომ ის მოვა ჩვენ შორის იმ დროს, როდესაც იცხოვრებს თავის მოკვდავ ტაძარში; რადგან, აჰა, სულმა არ მითხრა, რომ ასე იქნება. ახლა, ამის შესახებ მე არ ვიცი; მაგრამ ვიცი, რომ უფალ ღმერთს აქვს იმის ძალა, გააკეთოს ყველაფერი, რაც შეესაბამება მის სიტყვას.

9 მაგრამ, აჰა, სულმა მითხრა ამდენი, სიტყვებით: შეჰქადადე ამ ხალხს: მოინანიეთ თქვენ და განუმზადეთ გზა უფალს და იარეთ მისი ბილიკებით, რომლებიც სწორია; რადგან, აჰა, მოახლოვდა ცათა სასუფეველი და ძე ღვთისა მოდის დედამიწის ზედაპირზე.

10 და აჰა, ის იშვება მარიამისგან, იერუსალიმთან, რომელიც ჩვენი წინაპრების მიწაა, მარიამი, არის რა ქალწული, ძვირფასი და რჩეული ჭურჭელი, რომელიც იქნება დაჩრდილული

და ნაყოფი ჩაისახება სული-
წმინდის ძალით და იშვება ძე,
ღიახ, ძე ღვთისა. ღმერთის ძე.

11 და ის ივლის, აიტანს რა
ყველანაირ ტკივილსა და ტან-
ჯვას და ცდუნებას; და ეს
ყველაფერი იმისათვის, რომ აღ-
სრულდეს სიტყვა, რომელიც ამ-
ბობს: ის აიღებს თავის თავზე
საკუთარი ხალხის ტკივილსა
და ავადმყოფობას.

12 და ის თავის თავზე აიღებს
სიკვდილს, რათა გაწყვიტოს სი-
კვდილის ბორკილები, რომლები-
თაც შებოჭილია მისი ხალხი;
და ის აიღებს თავის თავზე მათ
უძღურებას, რათა მისი წიაღი
წყალობით აღივსოს ხორციე-
ლისამებრ, რათა მან შეიცნოს
ხორციელის შესაბამისად, თუ
როგორ დაეხმაროს საკუთარ
ხალხს მისივე უძღურების შე-
საბამისად.

13 ახლა, სულმა იცის ყველა-
ფერი; მიუხედავად ამისა, ძე
ღვთისა იტანჯება ხორციელი-
სამებრ, რათა საკუთარ თავზე
აიღოს თავისი ხალხის ცოდვები,
რათა წაშალოს მათი შეცოდებ-
ანი თავისი გამოძხვნილი ძალის
შესაბამისად; და ახლა, ეს არის
დამოწმება, რომელიც ჩემშია.

14 ახლა, მე თქვენ გეუბნებით,
რომ უნდა მოინანიოთ და იშვათ
ხელახლა; რადგან სული ამ-
ბობს: თუ არ იქნებით ხელახლა
შობილნი, ვერ მიიღებთ მეგვიდ-
რეობით ცათა სასუფეველს; ამი-
ტომ, მოდით და მოინათლეთ

მოსანანიებლად, რათა ჩამოგე-
რეცხოთ ცოდვები, რათა იქო-
ნიოთ რწმენა ღვთის კრავში,
რომელიც იღებს ცოდვებს
ამა ქვეყნისა, რომელსაც აქვს
ხსნისა და ყოველგვარი უკეთუ-
რობისაგან განწმენდის ძალა.

15 ღიახ, თქვენ გეუბნებით, მო-
დით და ნუ გეშინიათ და უარ-
ყვეთ ყოველი ცოდვა, რომელიც
ადვილად გაბრკოლებთ, რომე-
ლიც გბოჭავთ გასანადგურებ-
ლად, ღიახ, მოდით და იარეთ წინ
და დაახხეთ თქვენს ღმერთს,
რომ მზად ხართ თქვენი ცოდ-
ვების მოსანანიებლად და მას-
თან აღთქმის დასადებად, რომ
დაიცავთ მის მცნებებს და და-
უმოწმებთ ამ დღეს ნათლობის
წყალში ჩასვლით.

16 და ყველას, ვინც ასე იქცევა
და იცავს ღვთის მცნებებს, ამი-
ერიდან ემახსოვრება, რას ვეუბ-
ნები მას, ღიახ, მას ემახსოვრება
ის, რაც ვუთხარი, რომ ექნება
მარადიული სიცოცხლე, სული-
წმინდის დამოწმებისამებრ, რო-
მელიც ჩემში მოწმობს.

17 და ახლა, ჩემო საყვარელო
ძმებო, გწამთ ამ ყველაფრის?
აჰა, მე გეუბნებით, ღიახ, ვიცი,
რომ გწამთ ამისი; და გზა, რომ-
ლითაც, ვიცი რომ გწამთ ამისა,
არის სულის გამოცხადება, რო-
მელიც არის ჩემში. და ახლა,
ვინაიდან თქვენი რწმენა ამის
შესახებ არის ძლიერი, ღიახ,
იმის შესახებ, რაც ვილაპარაკე,
დიდია ჩემი სიხარული.

18 რადგან, როგორც თავიდანვე გეუბნებოდით, მქონდა დიდი სურვილი, არ ყოფილიყავით თქვენი ძმების მდგომარეობაში; და ამგვარად ვიხილე, რომ ჩემი სურვილი ახდა.

19 რადგან ვხვდები, რომ ხართ სამართლიანობის გზაზე; მე მივხვდი, რომ ხართ გზაზე, რომელიც მიდის ღმერთის სასუფევლისკენ; დიახ, მე მივხვდი, რომ ასწორებთ მის ბილიკებს.

20 ვხვდები, რომ თქვენ მისი სიტყვის დამოწმებით გაგენდოთ ის, რომ მას არ შეუძლია მრუდე ბილიკებით სიარული; და არც გადათქვამს თავის ნათქვამს; არც მარჯვნიდან მარცხნივ ცვლილების ჩრდილი არ ახლავს მას ანუ იმისგან, რაც ჭეშმარიტია, იმისკენ, რაც არის ტყუილი; ამიტომ, გეზი მისი არის ერთი მარადიული წრე.

21 და ის არ იმყოფება ბილწ ტაძრებში; არც სიბინძურე ან რაიმე სისაძაგლე იქნება ღვთის სასუფეველში მიღებული; ამიტომ, მე გეუბნებით, რომ მოვადრო, დიახ, და ეს იქნება უკანასკნელ დღეს, რომ ის, რომელიც არის ბინძური, დარჩება თავის სიბინძურეში.

22 და ახლა, ჩემო საყვარელო ძმებო, მე თქვენ გითხარით ეს ყველაფერი, რათა გაგადვიდოთ, რათა იგრძნოთ ღმერთის წინაშე თქვენი მოვალეობა, რომ თქვენ უდანაშაულოდ იართოთ მის წინაშე, რათა იართოთ ღმერთის

წმინდა წესის შესაბამისად, რომლითაც თქვენ იყავით მიღებული.

23 და ახლა, მე მინდა, რომ იყოთ თავმდაბალნი და იყოთ მორჩილნი და კეთილნი; გულისხმიერნი თხოვნისადმი; მოთმინებითა და სულგრძელობით აღსავსენი; იყოთ ზომიერნი ყველაფერში, ყოველთვის იყოთ ბეჯითნი ღმერთის მცნებების დაცვაში; სთხოვეთ ყველაფერი, რაც დაგჭირდებათ, როგორც სულიერი, ისე მიწიერი; ყოველთვის გადაუხადეთ მადლობა ღმერთს ყველაფრისთვის, რასაც იღებთ.

24 და თვალ-ყური ადევნეთ, რომ გქონდეთ რწმენა, იმედი და გულმოწყალება და მაშინ თქვენ ყოველთვის აღსავსენი იქნებით კეთილი საქმეებით.

25 დაე, უფალმა გაკურთხოთ და დაიცვას თქვენი სამოსელი უმწიკვლოდ, რომ საბოლოოდ იქნეთ მიყვანილნი, რათა დასხდეთ აბრაამთან, ისააკთან და იაკობთან და წმინდა წინასწარმეტყველებთან, რომლებიც იყვნენ ქვეყნის დასაბამიდანვე, და რომ გქონდეთ სამოსელი უმწიკვლო, დიახ, უმწიკვლო, როგორც მათი სამოსელი, ცათა სასუფეველში რომ იმყოფებიან, რათა აღარ გამოხვიდეთ გარეთ.

26 და ახლა, ჩემო საყვარელო ძმებო, მე გითხარით ეს სიტყვები სულის შესაბამისად, რომელიც მოწმობს ჩემში; და სული ჩემი ძალზედ ხარობს

განსაკუთრებული სიბეჯითისთვის და ყურადღებისთვის, რომელიც თქვენ მიუძღვენით ჩემს სიტყვებს.

27 და ახლა, დაე, იყოს ღვთის მშვიდობა თქვენზე და თქვენს სახლებზე და მიწებზე და თქვენს წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონელზე და ყველაფერზე, რაც გაქვთ, თქვენს ქალებსა და შვილებზე, თქვენი რწმენისა და კეთილი საქმეების შესაბამისად, აწ და მარადის. და ეს ასე ვთქვი. ამინ.

თავი 8

აღმა მილექში ქადაგებს და ნათლავს. მას უარყოფენ ამონიჰაში და იგი იქიდან მიდის. ანგელოზი უბრძანებს, დაბრუნდეს და შეჰღაღადოს ხალხს მონანიება. მას მიიღებს ამულეკი და ორივე ქადაგებს ამონიჰაში. დაახლოებით 82 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და ახლა, იყო ასე, რომ აღმა დაბრუნდა გიდეონის მიწიდან მას შემდეგ, რაც გიდეონის ხალხს ასწავლა ბევრი რამ, რისი დაწერაც შეუძლებელია და დაამყარა ეკლესიაში წესრიგი, იმისდა მიხედვით, როგორც ეს მან გააკეთა ამის წინ ზარაჰემლას მიწაზე, დიახ, ის თავის სახლში, ზარაჰემლაში, დაბრუნდა, რათა დაესვენა იმ სამუშაოსგან, რომელიც მან შეასრულა.

2 და ასე დასრულდა ნეფის ხალხზე მოსამართლეთა მმართველობის მეცხრე წელი.

3 და იყო ასე, რომ ნეფის ხალხზე მოსამართლეთა მმართველობის მეათე წლის დასაწყისში, აღმა წავიდა იქიდან და გაემართა მილექის მიწისკენ, მდინარე სიდონის დასავლეთით, უდაბნოს საზღვრებიდან დასავლეთისკენ.

4 და მან დაიწყო მილექის მიწაზე ხალხის სწავლება, ღმერთის წმინდა წესის შესაბამისად, რომლითაც ის იყო მოწოდებული; და მან დაიწყო ხალხის სწავლება მილექის მთელ მიწაზე.

5 და იყო ასე, რომ ხალხი მასთან მოდიოდა მიწის ყველა კიდიდან, რომელიც იყო უდაბნოს მხარეს. და ისინი მთელ მიწაზე ინათლებოდნენ;

6 ასე რომ, როდესაც მან დაასრულა თავისი სამუშაო მილექში, ის წავიდა იქიდან და სამი დღის განმავლობაში მოგზაურობდა მილექის მიწის ჩრდილოეთით; და მივიდა ქალაქში, რომელსაც ერქვა ამონიჰა.

7 ახლა, ნეფის ხალხის წესი იყო ასეთი: თავიანთ მიწებს და თავიანთ ქალაქებსა და თავიანთ სოფლებს, დიახ, თავიანთ პატარა სოფლებსაც კი, მის სახელს არქმევდნენ, რომელიც პირველად ფლობდა მათ; და ასე იყო ამონიჰას მიწაზე.

8 და იყო ასე, რომ როდესაც აღმა მოვიდა ქალაქ ამონიჰაში,

მან დაიწყო მათთვის ღვთის სიტყვის ქადაგება.

9 ახლა, სატანამ დიდ გავლენას მიადწია ამონიჰას ქალაქის ხალხის გულებზე; ამიტომ, მათ არ სურდათ აღმას სიტყვებისთვის ყურის დაგდება.

10 ამისდა მიუხედავად, აღმა ბევრს იღვწოდა სულში, მსურვალე ლოცვით ეჭიდებოდა ღმერთს, რათა მას გადმოედგარა მისი სული ხალხზედ, რომელიც ქალაქში იყო; რომ მას ასევე ნება ებოძა, მოენათლა ისინი მოსანანიებლად.

11 ამისდა მიუხედავად, მათ გაიქვავეს გული და მას ეუბნებოდნენ: აჰა, ჩვენ ვიცით, რომ შენ ხარ აღმა; და ჩვენ ვიცით, რომ შენ ხარ იმ ეკლესიაში მღვდელმთავარი, რომელიც შენ დაარსე ამ მიწის მრავალ ნაწილში, შენი ჩვეულების შესაბამისად; და ჩვენ არ ვართ შენი ეკლესიისა და არ გვწამს ამ უგუნური ჩვეულებების.

12 და ახლა, ჩვენ ვიცით: იმის გამო, რომ ჩვენ არ ვართ შენი ეკლესიისა, ჩვენ ვიცით, რომ შენ არ გაქვს ჩვენზედ ძალა; და შენ გადაეცი ნეფიჰას მოსამართლის სავარძელი, ამიტომ შენ არ ხარ მთავარი მოსამართლე ჩვენსზედ.

13 ახლა, როდესაც ხალხი ამას ამბობდა და ეწინააღმდეგებოდა მის ყოველ სიტყვას და ღანძლავდა და აფურთხებდა მას და ისე მოახდინეს, რომ იგი

გაექვევებინათ მათი ქალაქიდან, ის წავიდა იქიდან და გაემართა ქალაქისკენ, რომელსაც ერქვა აარონი.

14 და იყო ასე, რომ როდესაც ის მიემგზავრებოდა იქითკენ, იყო რა დარდით დამძიმებული, იტანდა მრავალ განსაცდელსა და სულიერ ტანჯვას ადამიანთა სიბოროტის გამო, რომლებიც იყვნენ ქალაქ ამონიჰაში, იყო ასე – იმ დროს, როდესაც აღმა ასე დამძიმებული იყო დარდით, აჰა, უფლის ანგელოზი გამოეცხადა მას სიტყვებით:

15 კურთხეული ხარ, აღმა; ამიტომ, აიმაღლე თავი და გაიხარე, რადგან გაქვს დიდი მიზეზი სიხარულისათვის; რადგან ერთგული იყავი ღმერთის მცნებების დაცვაში იმ დროიდან, როდესაც მისგან პირველი გზავნილი მიიღე. აჰა, მე ვარ ის, რომელმაც იგი გადმოგცა.

16 და აჰა, მე გამომგზავნა, რათა გიბრძანო, დაბრუნდე ქალაქ ამონიჰაში და კვლავ უქადაგო ამ ქალაქის ხალხს; დიახ, უქადაგე მათ. დიახ, უთხარი მათ: თუ არ მოინანიებენ, უფალი ღმერთი მათ გაანადგურებს.

17 რადგან, აჰა, ამჟამად ისინი არკვევენ, როგორ შეძლონ შენი ხალხის თავისუფლების განადგურება (რადგან ამას ამბობს უფალი) რაც საწინააღმდეგოა წესების, სამართლისა და მცნებებისა, რომელნიც მან მისცა თავის ხალხს.

18 ახლა, იყო ასე, რომ მას შემდეგ, რაც აღმამ მიიღო მოწოდება უფლის ანგელოზისგან, იგი სწრაფად დაბრუნდა ამონიპას მიწაზე. და იგი შევიდა ქალაქში სხვა გზით, დიახ, გზით, რომელიც არის ქალაქ ამონიპას სამხრეთით.

19 და როდესაც იგი ქალაქში შევიდა, მას შიოდა და ერთ კაცს უთხრა: აჭმევ რაიმეს ღმერთის თავმდაბალ მსახურს?

20 და კაცმა უთხრა მას: მე ნეფიელი ვარ და ვიცი, რომ ხარ ღმერთის წმინდა წინასწარმეტყველი, ვინაიდან შენ ხარ ის კაცი, რომელზეც ანგელოზმა თქვა ხილვაში: შენ მიიღებ. ამიტომ, წამოდი ჩემთან, ჩემს სახლში და მე გიწილადებ საჭმელს; და ვიცი, რომ შენ კურთხევა იქნები ჩემთვის და ჩემი სახლისათვის.

21 და იყო ასე, რომ ამ კაცმა ის მიიღო თავის სახლში; და კაცს ერქვა ამულეკი; და მან მოიტანა პური და ხორცი და აღმას წინ დაუდო.

22 და იყო ასე, რომ აღმამ შეჭამა პური და დანაყრდა; და მან აკურთხა ამულეკი და მისი სახლი და მადლობა შესწირა ღმერთს.

23 და მას შემდეგ, რაც მან შეჭამა და დანაყრდა, ამულეკს უთხრა: მე ვარ აღმა და მთელს ამ მიწაზე ვარ ღვთის ეკლესიის მღვდელმთავარი.

24 და აჰა, მე მომიწოდეს, რომ

მთელ ამ ხალხში ვიქადაგო ღვთის სიტყვა გამოცხადებისა და წინასწარმეტყველების სულის შესაბამისად; და მე ვიყავი ამ მიწაზე და მათ არა თუ არ ისურვეს ჩემი მიღება, არამედ გარეთ გამაძევეს და მზად ვიყავი სამუდამოდ ზურგი მექცია ამ მიწისათვის.

25 მაგრამ, აჰა, მე მიბრძანეს, რომ კვლავ მოვბრუნებულიყავი და მეწინასწარმეტყველებინა ამ ხალხისათვის, დიახ, რომ დამემოწმებინა მათ წინააღმდეგ, მათი ურჯულოების შესახებ.

26 და ახლა, ამულეკ, რადგან დამაპურე და შემეფარე, კურთხეული ხარ, რადგან ვიყავი მშვიერი, ვმარხულობდი რა მრავალი დღე.

27 და აღმამ მრავალი დღე გაატარა ამულეკთან, სანამ დაიწყებდა ხალხისთვის ქადაგებას.

28 და იყო ასე, რომ ხალხი უფრო ღრმად ჩაეფლო საკუთარ ურჯულოებაში.

29 და ასეთმა სიტყვამ მოაღწია აღმამდე: წადი და ასევე უთხარი ჩემს მსახურს, ამულეკს: წადი და უწინასწარმეტყველე ამ ხალხს სიტყვებით – მონიანიეთ, თქვენ, რადგან ასე ამბობს უფალი – თუ არ მონიანიებთ, მე მოვევლინები ამ ხალხს ჩემი რისხვით; დიახ, ჩემს საშინელ რისხვას არ აგარიდებთ.

30 და წავიდა აღმა ხალხში, ასევე ამულეკიც, რათა ეუწყებინათ მათთვის ღმერთის

სიტყვები; და ისინი აღივსნენ სულიწმინდით.

31 და მათ ებოძათ ძალა, ისეთი, რომ მათ ვერ ჩაყრიდნენ საპრობილეში; ვერც ერთი ადამიანი ვერ მოკლავდა მათ; მიუხედავად ამისა, ისინი არ ავლენდნენ თავიანთ ძალას იქამდე, სანამ ბორკილებით არ შებოჭეს და საპრობილეში არ ჩააგდეს. ახლა, ეს მოხდა იმისთვის, რომ უფალს შეძლებოდა მათში საკუთარი ძალის გამოყენება.

32 და იყო ასე, რომ ისინი წავიდნენ და დაიწყეს ხალხისთვის ქადაგება და წინასწარმეტყველება, იმ სულისა და ძალის შესაბამისად, რომელიც მათ უფალმა უბოძა.

აღმას სიტყვები და ასევე ამუღეკის, რომლებიც უქადაგეს ხალხს ამონიჰას მიწაზე. მათ ჩაყრიან საპრობილეში და ისინი განთავისუფლდებიან ღმერთის საოცარი ძალით, რომელიც იყო მათში, აღმას ჩანაწერების მიხედვით.

შეიცავს მე-9-დან 14-ე თავის ჩათვლით.

თავი 9

აღმა უბრძანებს ამონიჰას ხალხს, რომ მოინანიონ. უფალი მოწყალე იქნება ლამანიელთა მიმართ უკანასკნელ დღეებში.

თუ ნეფიელები სინათლეს განუდგებიან, ისინი განადგურებულნი იქნებიან ლამანიელთა მიერ. მალე მოვა ძე ღვთისა. ის გამოისყიდის მათ, ვინც მოინანიებს, მოინათლება და იწამებს მის სახელს. დაახლოებით 82 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და კვლავ, მე, აღმამ, მქონდა რა ნაბრძანები ღმერთისგან, რომ ამეყვანა ამუღეკი და წავსულიყავი და კვლავ მექადაგა ამ ხალხისათვის ანუ ხალხისათვის, რომელიც იმყოფებოდა ქალაქ ამონიჰაში, იყო ასე, რომ როდესაც დავიწყე მათთვის ქადაგება, მათ დაიწყეს ჩემთან კამათი სიტყვებით:

2 შენ ვინ ხარ? ნუთუ გგონია, რომ ჩვენ დავიჯერებთ ერთი ადამიანის დამოწმებას, მიუხედავად იმისა, რომ ის გვიქადაგებს, რომ დედამიწა გადაივილის?

3 ახლა არ ესმოდათ იმ სიტყვების, რასაც ამბობდნენ, რადგან არ იცოდნენ, რომ დედამიწა გადაივილიდა.

4 და მათ ასევე თქვეს: ჩვენ არ დავიჯერებთ შენი სიტყვების, თუმცა იწინასწარმეტყველებ, რომ ეს დიდი ქალაქი ერთ დღეში დაინგრევა.

5 ახლა, მათ არ იცოდნენ, რომ ღმერთს შეუძლია მოახდინოს ასეთი საოცარი საქმენი, რადგან გულქვა და ქედფიცხელი ადამიანები იყვნენ.

6 და მათ თქვეს: ვინ არის

ღმერთი, რომელიც ამ ხალხში არ აგზავნის არანაირ უფლებამოსილებას, გარდა ერთი კაცისა, რათა აუწყოს მათ ჭეშმარიტება ასეთ დიდ და საოცარ საქმეებზე?

7 და ისინი წინ წამოვიდნენ, რათა ხელი დაედოთ ჩემზე; მაგრამ, აჰა, მათ ვერ შეძლეს. და მე თამამად ვიდექი, რომ მეუწყა მათთვის, დიახ, თამამად დავუმოწმე მათ სიტყვებით:

8 აჰა, თქვენ, ბოროტო და უკუღმართო თაობავ, როგორ დაივიწყეთ თქვენი მამების ჩვეულება, დიახ, როგორ მალე დაივიწყეთ ღმერთის მცნებები.

9 ნუთუ არ გახსოვთ, რომ ჩვენი მამა, ლეხი, იერუსალიმიდან ღვთის ხელით იქნა გამოყვანილი? ნუთუ არ გახსოვთ, რომ ის წინ მიუძღოდა ყოველ მათგანს უდაბნოში?

10 ნუთუ ასე მალე დაგავიწყდათ, რამდენჯერ გამოიხსნა მან ჩვენი მამები მტრის ხელიდან და გადაარჩინა განადგურებას, თავიანთი საკუთარი ძმების ხელიდანაც კი?

11 დიახ, რომ არა მისი უბადლო ძალა და მისი წყალობა და მისი სულგრძელობა ჩვენ მიმართ, ჩვენ აუცილებლად მოკვეთილნი ვიქნებოდით დედამიწის ზედაპირიდან, დიდი ხნით ადრე ამ დრომდე და ალბათ ჩაცვივებოდით უსასრულო უბედურებისა და ვარამის მდგომარეობაში.

12 აჰა, ახლა გეუბნებით, რომ

ის გიბრძანებთ, მოინანიოთ; და თუ არ მოინანიებთ, თქვენ ვერანაირად ვერ დაიმკვიდრებთ ღვთის სასუფეველს. მაგრამ, აჰა, ეს არ არის ყველაფერი, მან გიბრძანათ მონანიება, თორემ მთლიანად გაგანადგურებდათ დედამიწის ზედაპირიდან; დიახ, იგი მოგვევლინებათ თავისი რისხვით და თავის საშინელ რისხვაში არ განგერიდებათ.

13 აჰა, ნუთუ არ გახსოვთ სიტყვები, რომლებიც მან უთხრა ლეხის, ეუბნებოდა რა: რამდენადაც დაიცავთ ჩემს მცნებებს, იმდენად აყვავდებით ამ მიწაზე? და კვლავ, ნათქვამია: რამდენადაც არ დაიცავთ ჩემს მცნებებს, იმდენად მოკვეთილნი იქნებით უფლის გარემოცვიდან.

14 ახლა, მე მსურს, რომ თქვენ გახსოვდეთ: ისე, რამდენადაც ლამანიელნი არ იცავდნენ ღმერთის მცნებებს, ისინი მოკვეთილნი იყვნენ უფლის გარემოცვიდან. ახლა, ჩვენ ვხედავთ, რომ უფლის სიტყვა ამაში ახდა; და ლამანიელნი მოკვეთილ იქნენ მისი გარემოცვიდან ამ მიწაზე, მათ შეცოდებათა დასაწყისშივე.

15 მიუხედავად ამისა, მე თქვენ გეუბნებით, რომ განკითხვის დღეს მათ უფრო გაუადვილდებათ, ვიდრე თქვენ, თუ თქვენ დარჩებით თქვენს ცოდვებში, დიახ, უფრო გაუადვილდებათ მათ ამ ცხოვრებაში, ვიდრე თქვენ, თუ არ მოინანიებთ.

16 რადგან არის მრავალი

დაპირება, რომელიც მიეცა ლამანიელებს; ვინაიდან თავიანთი მამების ჩვეულების გამო, ისინი დარჩნენ თავიანთ უმცურების მდგომარეობაში, ამიტომ უფალი მოწყალე იქნება მათ მიმართ და გაუხანგრძლივებს მათ მიწაზე ყოფნას.

17 და როდესაც მოვა დრო, ისინი მიყვანილნი იქნებიან, რომ იწამონ მისი სიტყვა და გაიგონ თავიანთი მამების ჩვეულებების სიმცდარე; და მრავალი მათგანი გადარჩება, რადგან უფალი მოწყალე იქნება ყველა მათგანის მიმართ, რომლებიც შეჰკლადებენ მის სახელს.

18 მაგრამ, აჰა, მე გეუბნებით, რომ თუ თქვენ ჯიუტად დარჩებით თქვენს სიბოროტეში, მაშინ თქვენი დღეები არ გახანგრძლივდება მიწაზე, რადგან ლამანიელნი იქნებიან თქვენზედ მოგზავნილნი; და თუ არ მონანიებთ, ისინი მოვლენ იმ დროს, რომელიც არ იცით და მოგვევლინებათ სრული განადგურება; და ეს იქნება უფლის საშინელი რისხვის შესაბამისად.

19 რადგან ის არ დაუშვებს, რომ თქვენ იცხოვროთ თქვენს ურჯულეობაში მისი ხალხის გასანადგურებლად. მე გეუბნებით – არა; ის უფრო დაუშვებს, რომ ლამანიელებმა გაანადგურონ მთელი მისი ხალხი, რომელსაც ჰქვია ნეფის ხალხი, მათი ცოდვებში და შეცოდებებში გადავარდნა რომ შესაძლებელი ყოფილიყო, მას

შემდეგ, რაც ამდენი სინათლე და ამდენი ცოდნა ნაბოძები ჰქონდათ უფლის, მათი ღმერთის, მიერ;

20 დიახ, მას შემდეგ, რაც იყვნენ ასე, უფლისგან ძალზედ მოწონებული ხალხი; დიახ, მას შემდეგ, რაც უფრო მეტად იყვნენ ძალზედ მოწონებულნი ყველა სხვა ერზე, ტომზე, ენაზე და ხალხზე, მას შემდეგ, რაც მათ გაენდოთ ყველაფერი, მათი სურვილების და მათი რწმენისა და მათი ლოცვების თანახმად იმაზედ, თუ რა იყო, რა არის და რაც მოსასვლელია;

21 იყვნენ რა ღმერთის სულით წვეულნი; ელაპარაკნენ რა ანგელოზებს და იყვნენ რა უფლის ხმით მოწოდებულნი; აქვთ რა წინასწარმეტყველების სული და სული გამოცხადებისა და ასევე მრავალი ძღვენი, ენებზე ლაპარაკის ძღვენი და ქადაგების ძღვენი და სულიწმინდის ძღვენი და თარჯიმნობის ძღვენი;

22 დიახ, და მას შემდეგ, რაც ღმერთის მიერ გამოხსნილ იქნენ იერუსალიმის მიწიდან უფლის ხელით; იყვნენ რა გადარჩენილნი შიმშილისგან და ავადმყოფობებისგან და ყველანი ირად დაავადებებისგან, ყოველი სახის; და იყვნენ რა ბრძოლებში განმტკიცებულნი, რომ არ განადგურებულიყვნენ; მონობიდან არაერთხელ გამოხსნილნი და აქამდე დაცულნი და შენახულნი; და აყვავდნენ იქამდე, სანამ მდიდარნი გახდნენ ყველაფერში –

23 და ახლა, აჰა, მე თქვენ გეუბნებით, რომ თუ ეს ხალხი, რომელმაც მიიღო ამდენი კურთხევები უფლის ხელიდან, დანაშაულს სწადის სინათლისა და ცოდნის წინააღმდეგ, რომელსაც იგი ფლობს, მე გეუბნებით, რომ თუ ეს ასე იქნება, რომ ისინი ჩაცვიფრდნენ შეცოდებაში, ღამანიელებს ბევრად უფრო გაუადვილებათ, ვიდრე მათ.

24 რადგან, აჰა, უფლის დანაპირები არის ღამანიელთათვის, მაგრამ ის თქვენთვის არ მოუცია, თუ ჩადიხართ დანაშაულს; რადგან, ნუთუ ნათლად არ დაგპირდათ და მტკიცედ არ გიბრძანათ უფალმა, რომ თუ მის წინააღმდეგ აჯანყდებით, იქნებით მთლიანად განადგურებული დედამიწის პირიდან?

25 და ახლა, ამ მიზეზით რომ არ იყოთ განადგურებული, უფალმა მოავლინა ანგელოზი, რათა ეწვიოს მრავალთ მის ხალხში, გამოუცხადოს მათ, რომ წინ უნდა წავიდნენ და ძლიერად შეჰღადადონ ამ ხალხს სიტყვებით: მონანიეთ, რადგან ცათა სასუფეველი მოახლოვებულია;

26 და არ დარჩა დიდი დრო იქამდე, როდესაც ღმერთის ძე მოვა თავისი დიდებით; და მისი დიდება იქნება დიდება მამის მხოლოდშობილისა, სავსე მადლით, მიუკერძოებლობით და ჭეშმარიტებით, სავსე მოთმინებით, წყალობითა და სულგრძელობით, გულისხმიერად

მომსმენი, რათა შეისმინოს თავისი ხალხის ღაღადი და უპასუხოს მათ ლოცვებს.

27 და აჰა, ის მოდის, რათა გამოისყიდოს ისინი, რომლებიც მონათლებიან მოსანანიებლად, მის სახელში რწმენით.

28 ამიტომ, განუმზადეთ გზა უფალს, რადგან ახლოს არის ჟამი, როდესაც ყოველი ადამიანი მოიძვის ჯილდოს თავისი საქმეებისამებრ, იმისდა შესაბამისად, რაც იყო, თუ იყო სამართლიანი, თავიანთი სულების ხსნას მოიმკიან, იესო ქრისტეს ძალისა და გამოსხნის შესაბამისად; და თუ იყო ბოროტი, ისინი მოიძვიან თავიანთი სულის წყევლას, ეშმაკის დამატყვევებელი ძალის შესაბამისად.

29 და ახლა, აჰა, ეს არის ხალხისადმი მოღალადე ანგელოზის ხმა.

30 და ახლა, ჩემო საყვარელო ძმებო, რადგან ხართ ჩემი ძმები და უნდა მიყვარდეთ და თქვენ უნდა აკეთოთ საქმენი, რომლებიც მონანიებას შეეფერება, ვხედავ, რომ გული ძალზედ გაგიქვავდათ ღვთის სიტყვის მიმართ და ვხედავ, რომ ხართ დაკარგული და დაცემული ხალხი.

31 ახლა, იყო ასე, რომ, როდესაც მე, აღმამ, ვთქვი ეს სიტყვები, აჰა, ხალხი ჩემზე განრისხდა, რადგან ვუთხარი, რომ ისინი არიან გულქვა და ქედფიცხელი ხალხი.

32 და ასევე იმისათვის, რომ

ვუთხარი, რომ ისინი იყვნენ დაკარგული და დაცემული ხალხი, გაბრაზდნენ ჩემზე და შეეცადნენ ჩემზე თავიანთი ხელის დადებას, რათა საპყრობილეში ჩავეგდე.

33 მაგრამ იყო ასე, რომ უფალმა არ დაუშვა, რომ მათ იმ დროს ავეყვანე და საპყრობილეში ჩავეგდე.

34 და იყო ასე, რომ ამუღეკი გამოვიდა და წინ დადგა და ასევე დაიწყო მათთვის ქადაგება. და ახლა, ამუღეკის სიტყვები ყველა არ არის ჩაწერილი, მიუხედავად ამისა, მისი სიტყვების ნაწილი დაწერილია ამ წიგნში.

თავი 10

ლეხი არის მენაშის შთამომავალი, ამუღეკი იხსენებს ანგელოზის ბრძანებას, იზრუნოს აღმაზე. სამართლიანთა ღოცვები არის ხალხის გადარჩენის მიზეზი. უსამართლო კანონთმცოდნეები და მოსამართლეები საფუძველს უყრიან ხალხის განადგურებას. დაახლოებით 82 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 ახლა, ეს არის სიტყვები, რომლებიც ამუღეკმა უქადაგა ხალხს, რომელიც იყო ქალაქ ამონიჰაში:

2 მე ვარ ამუღეკი, გიდონას შვილი, რომელიც იყო ისმაელის ძე, რომელიც იყო ამინადის შთამომავალი; და ეს ის

ამინადია, რომელმაც გადათარგმნა წარწერა ტაძრის კედელზე, რომელიც ღვთის თითით იყო დაწერილი.

3 და ამინადი, იყო რა ნეფის შთამომავალი, რომელიც ლეხის შვილი იყო, რომელიც იერუსალიმის მიწიდან წამოვიდა, რომელიც იყო მენაშის შთამომავალი, რომელიც იყო იოსების ძე, რომელიც მისი ძმების ხელით ეგვიპტეში იქნა გაყიდული.

4 და აჰა, მე ასევე ვარ კაცი, არანაკლებ პატივცემული თქვენ შორის, რომელნიც მიცნობთ; დიახ, აჰა, მე მყავს მრავალი ნათესავი და მეგობარი, ასევე მოვიხვეჭე დიდი სიმდიდრენი, საკუთარი ხელის შრომით.

5 მიუხედავად ამისა, ყოველივე ამის შემდეგ, მე არასდროს არ ვიცოდი ბევრი რამ უფლის გზებზე და მის საიდუმლოებებზე და გასაოცარი ძალის შესახებ. მე ვთქვი, რომ არასდროს არ ვიცოდი ბევრი რამ ამის შესახებ; მაგრამ, აჰა, ვცდებოდი, რადგან ბევრი რამ მაქვს ნანახი მის საიდუმლოებებსა და გასაოცარი ძალის შესახებ. დიახ, ამ ხალხის სიცოცხლის გადარჩენაშიც კი.

6 ამისდა მიუხედავად, მე გავიქვავე გული, რადგან ბევრჯერ მომიწოდეს და არ ვუსმენდი; ასე რომ ვიცოდი ამის შესახებ, მაგრამ მაინც არ მინდოდა გაგება; ასე რომ, მე ვაგრძელებდი ღმერთის წინააღმდეგ ჯანყს ჩემი გულის სიბოროტით, ამ მეშიდღე

თვის, მეოთხე დღემდეც კი, რომელიც არის მოსამართლეთა მმართველობის მეათე წელი.

7 როდესაც მივემგზავრებოდი ძალიან ახლო ნათესავის სანახავად, აჰა, უფლის ანგელოზი გამომეცხადა და მითხრა: ამუღეკ, დაბრუნდი სახლში, რადგან უნდა დააპურო უფლის წინასწარმეტყველი; დიახ, წმინდა ადამიანი, რომელიც არის ღმერთის რჩეული; რადგან მრავალი დღე მარხულობდა იგი ამ ხალხის ცოდვების გამო და მას შია; და შენ უნდა მიიღო იგი შენს სახლში და დააპურო და იგი გაკურთხებს შენ და შენს სახლს; და უფლის კურთხევები იქნება შენზე და შენს სახლზე.

8 და იყო ასე, რომ დავემორჩილე ანგელოზის ხმას და დავბრუნდი სახლისკენ. და როდესაც იქითკენ მივემართებოდი, შემხვდა კაცი, რომელზეც ანგელოზმა მითხრა: შენ უნდა მიიღო იგი შენს სახლში; და აჰა, ეს იყო ნამდვილად ის კაცი, რომელიც გელაპარაკებოდათ ღმერთის საქმეებზე.

9 და ანგელოზმა მითხრა, რომ იგი წმინდა კაცი იყო; ამიტომ, მე ვიცი, რომ ის წმინდა კაცია, რადგან ეს ღმერთის ანგელოზმა თქვა.

10 და კიდევ, მე ვიცი, რომ ყველაფერი, რაზედაც ის მოწმობს, არის ჭეშმარიტება; რადგან, აჰა, მე გეუბნებით: ისე, როგორც ცოცხალია უფალი, ისევე

მოავლინა თავისი ანგელოზი, ამის ჩემთვის საუწყებლად; და ეს მან გააკეთა, როდესაც აღმა ჩემს სახლში იყო.

11 რადგან, აჰა, მან აკურთხა ჩემი სახლი, მან მაკურთხა მე და ჩემი ქალები და ჩემი შვილები და მამაჩემი და მთელი ჩემი ნათესაობა; დიახ, მთელი ჩემი ტომი იყო ნაკურთხი და უფლის კურთხევები მოგვეფინა იმ სიტყვების შესაბამისად, რაც მან ილაპარაკა.

12 და ახლა, როდესაც ამუღეკმა თქვა ეს სიტყვები, იგი გაოცდა, ხედავდა რა, რომ ერთ მოწმეზე მეტი იყო, რომელიც მოწმობდა იმაზე, რაშიც მათ ბრალს სდებდნენ, ასევე იმაზე, რაც უნდა მომხდარიყო, წინასწარმეტყველების სულის შესაბამისად, რომელიც იყო მათში.

13 ამისდა მიუხედავად, მათ შორის იყვნენ ზოგიერთნი, რომლებიც ფიქრობდნენ დაეკითხათ ისინი, რათა თავიანთი მზაკვრული ხერხებით დაეჭირათ ისინი მათსავე სიტყვებზე, რომ სამხილი ეპოვნათ მათ წინააღმდეგ, რათა შეძლებოდათ მათი მოსამართლეებთან მიყვანა, რომ კანონის შესაბამისად გაესამართლებინათ და შეძლებოდათ მათი დახოცვა ან საპყრობილეში ჩაყრა, იმ დანაშაულის შესაბამისად, რომელიც შეეძლოთ წარმოეჩინათ ან დაემოწმებინათ მათ წინააღმდეგ.

14 ახლა, ეს ისინი იყვნენ,

რომლებიც მათ განადგურებას ლამობდნენ, რომლებიც იყვნენ კანონთმცოდნეები, რომლებიც იყვნენ დაქირავებული ან დანიშნულნი ხალხის მიერ, რომ კანონი აღესრულებინათ მათი სასამართლო გარჩევების დროს ანუ მოსამართლეთა წინაშე, ადამიანთა დანაშაულების გარჩევისას.

15 ახლა, ეს კანონთმცოდნეები გაწაფულნი იყვნენ ხალხის ყველანიან ხელოვნებასა და მზაკრობაში; რათა მარჯვენი ყოფილიყვნენ თავიანთ ხელობაში.

16 და იყო ასე, რომ მათ დაიწყეს ამუღეკის დაკითხვა, რათა ამგვარად იგი იძულებული გაეხადათ უარი ეთქვა საკუთარ სიტყვებზე ან ეთქვა საწინააღმდეგო იმ სიტყვებისა, რომლებსაც ილაპარაკებდა.

17 ახლა, მათ არ იცოდნენ, რომ ამუღეკს შეეძლო მათი ზრახვების გაგება. ამიტომ, იყო ასე, რომ როდესაც მათ დაიწყეს მისი დაკითხვა, მან გამოიცნო მათი ფიქრები და უთხრა: თქვენ, ბოროტო და უკუღმართო თაობავ, თქვენ, კანონთმცოდნეებო და ფარისევლებო, რადგან საფუძველს უყრით ეშმაკისეულს; რადგან მახეებსა და ხაფანგებს აგებთ ღვთის წმინდანების დასაჭერად.

18 თქვენ აწყობთ გვემებს, რათა გაამრუდოთ სამართლიანთა გზები და მოავლინოთ ღმერთის რისხვა თქვენს თავზედ, ამ

ხალხის მთლიანი განადგურებაც კი.

19 დიახ, მოსიამ, რომელიც ჩვენი ბოლო მეფე იყო, კარგად თქვა, როდესაც აპირებდა მეფობის გადაცემას და არ ჰყავდა არავინ, ვისზედაც ამას დაამტკიცებდა, დაუშვა რა, რომ ამ ხალხს თვითონ ემართა საკუთარი ხმით, დიახ, კარგად თქვა, რომ თუ მოვა დრო, როდესაც ეს ხალხი ამოირჩევს ურჯულოებას ანუ, თუ მოვა ასეთი დრო, რომ ეს ხალხი ჩავარდება შეცოდებაში, ისინი მომწიფდებიან განადგურებისათვის.

20 და ახლა, მე გეუბნებით, რომ კარგად განიკითხავს უფალი თქვენს ურჯულოებას; კარგად შეჰღაღადებს ამ ხალხს, თავისი ანგელოზების ხმით: მონანიეთ თქვენ, მონანიეთ, რადგან ცათა სასუფეველი მოახლოვდა.

21 დიახ, კარგად შეჰღაღადებს თავისი ანგელოზების ხმით: ჩამოვალ ჩემს ხალხში, მიუკერძოებლობითა და სამართლით ხელში.

22 დიახ, და მე გეუბნებით: რომ არა სამართლიანთა ღოცვები, რომლებიც ახლა მიწაზეა, თქვენ ახლაც კი მოგეკლინებოდით სრული განადგურება; თუმცა, ეს არ იქნებოდა წყალდიდობა, როგორც ეს დაემართა ხალხს ნოეს უამს, არამედ იქნებოდა შიმშილით, ჭირითა და მახვილით.

23 მაგრამ, სამართლიანთა ღოცვებით ხართ გადარჩენილნი;

ახლა, ამიტომ, თუ თქვენ მათ გააძევეთ თქვენი გარემოცვიდან, მაშინ უფალი არ შეაკავებს თავის ხელს; არამედ საშინელი რისხვით გამოვა თქვენ წინააღმდეგ; მაშინ დაისჯებით შიმშილითა და ჭირით და მახვილით; და ეს დრო მალე მოვა, თუ არ მოინანიებთ.

24 და ახლა, იყო ასე, რომ ხალხი უფრო მეტად განრისხდა ამულეკზე და მათ შეჰყვირეს, სიტყვებით: ეს კაცი ლანძღავს ჩვენს კანონებს, რომლებიც სამართლიანია და ჩვენს ბრძენ კანონთმცოდნეებს, რომლებიც ჩვენ ავირჩიეთ.

25 მაგრამ ამულეკმა გაიწოდა ხელი და უფრო ძლიერად შეჰლაღადა, სიტყვებით: თქვენ, ბოროტო და უკუღმართო თაობავ, რატომ აქვს სატანას ასეთი დიდი ზეგავლენა თქვენს გულებზე? რატომ უთმობთ მას თქვენს თავს, რათა მან თქვენზე იქონიოს ძალაუფლება, რომ დაგიბრძავოთ თვალები ისე, რომ ვერ გაიგებთ სიტყვებს, რომლებსაც ლაპარაკობენ, მათი ჭეშმარიტებისამებრ.

26 რადგან, აჰა, ნუთუ თქვენი კანონის წინააღმდეგ ვმოწმობ? თქვენ არ გესმით; თქვენ ამტკიცებთ, რომ ვლაპარაკობდი თქვენი კანონის წინააღმდეგ; მაგრამ არა, მე ვლაპარაკობდი თქვენი კანონის სასარგებლოდ, თქვენს განსახველად.

27 და ახლა, აჰა, მე გეუბნებით,

რომ ამ ხალხის განადგურების საფუძვლის ჩაყრა იწყება თქვენი კანონთმცოდნეებისა და მოსამართლეთა უკეთურობით.

28 და ახლა, ეს იყო ასე, რომ როდესაც ამულეკმა თქვა ეს სიტყვები, ხალხმა წამოიძახა მის წინააღმდეგ სიტყვები: ახლა ჩვენ ვიცით, რომ ეს არის ეშმაკის შვილი, რადგან მან მოგვატყუა; რადგან ის ჩვენი კანონის წინააღმდეგ ლაპარაკობდა. ახლა ის ამბობს, რომ არ ლაპარაკობდა მის წინააღმდეგ.

29 და კვლავ, მან გალანძღა ჩვენი კანონთმცოდნეები და მოსამართლეები.

30 და იყო ასე, რომ კანონთმცოდნეებმა გულში ჩაიდეს, რომ დაიმახსოვრებდნენ ამ ყველაფერს მის წინააღმდეგ.

31 და მათ შორის იყო ერთი, სახელად ზიზრომი. ახლა, ის იყო აღმასა და ამულეკის მთავარი მსჯავრმდებელი, იყო რა მათ შორის ყველაზე მცოდნე, ჰქონდა რა უამრავი საქმე ხალხში გასაკეთებელი.

32 ახლა, ამ კანონთმცოდნეების მიზანი იყო სარგებლის მიღება; და ისინი იღებდნენ სარგებელს თავიანთი სამუშაოს შესაბამისად.

თავი 11

განიხილება ნეფიელთა ვუღადი სისტემა. ამულეკი უპირისპირდება ზიზრომს. ქრისტე

არ გამოიხსნის ცოდვებში მყოფ ადამიანებს. გადარჩებიან მხოლოდ ისინი, რომლებიც მემკვიდრეობით მიიღებენ ცათა სასუფეველს. ყოველი ადამიანი აღდგება უკვდავებაში. აღდგომის შემდეგ სიკვდილი არ იქნება. დაახლოებით 82 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 ახლა, ეს იყო მოსიას კანონი, რომ ყოველ კაცს, რომელიც კანონის მოსამართლე იყო ან მათ, რომლებიც მოსამართლეებად იყვნენ დანიშნულნი, ჯამაგირი უნდა მიეღოთ იმ დროის შესაბამისად, რაც მათ იშრომეს, რათა გაესამართლებინათ ისინი, რომლებიც მოჰყავდათ მათ წინაშე გასასამართლებლად.

2 ახლა, თუ ერთ ადამიანს ვალი ჰქონდა და არ უხდიდა მოვალეს, მაშინ მასზე მოვალე ჩიოდა მოსამართლესთან; და მოსამართლე იყენებდა უფლებამოსილებას და აგზავნიდა გუშაგებს, რათა ის ადამიანი მასთან მიეყვანათ; და იგი ასამართლებდა ამ კაცს, კანონისა და სამხილების შესაბამისად, რომლებსაც მის წინააღმდეგ აყენებდნენ; და ამგვარად, ადამიანს აიძულებდნენ ვალის გადახდას, თუ არადა, ან კარგავდა ქონებას, ან აძევებდნენ ხალხისგან, როგორც ქურდსა და ავაზაკს.

3 და მოსამართლე ჯამაგირს იღებდა დროის მიხედვით – დღეში

ოქროს სენინს ან ვერცხლის სენუმს, რაც ოქროს სენინის ტოლფასი იყო; და ეს იმ კანონის შესაბამისად, რომელიც მოცემული იყო.

4 ახლა, ეს არის მათი სხვადასხვა ოქროსა და ვერცხლის მონეტების დასახელება, მათი ღირებულების შესაბამისად. და ეს სახელწოდებები დარქმეულ იქნა ნეფიელების მიერ, რადგან ისინი არ ითვლიდნენ ისე, როგორც იუდეველნი, რომლებიც იყვნენ იერუსალიმთან; არც იუდეველებივით არ ზომავდნენ; არამედ მოსამართლეთა მმართველობამდე ყოველ თაობაში ცვლიდნენ თავიანთ გამოთვლებსა და ზომებს ხალხის მოსაზრებებისა და პირობების შესაბამისად და ისინი დამტკიცებულნი იქნენ მეფე მოსიას მიერ.

5 ახლა, ასე ანგარიშობდნენ – ოქროს სენინი, ოქროს სეონი, ოქროს შუმი და ოქროს ლიმნა.

6 ვერცხლის სენუმი, ვერცხლის ამნორი, ვერცხლის ეზრომი და ვერცხლის ონტი.

7 ვერცხლის სენუმი ტოლფასი იყო ოქროს სენინის და ყოველი მათგანი იყო ქერის საზომი და ასევე ყველანაირი ხორბლეულის საფასურის საზომი.

8 ახლა, ოქროს სეონის ღირებულება, სენინის ღირებულებას ორჯერ აღემატებოდა.

9 და ოქროს შუმი ორჯერ აღემატებოდა სეონის ღირებულებას.

10 და ოქროს ღიმილს ღირებულება ყველას ტოლფასი იყო.

11 ვერცხლის ამნორი, ორი სენუმის ტოლფასი იყო.

12 და ვერცხლის ეზრომი იყო ოთხი სენუმის ტოლფასი.

13 და ყველა მათი ღირებულების ტოლფასი იყო ონტი.

14 ახლა, ასეთია მათ მიერ გამოთვლილი მცირე ერთეულების ღირებულება -

15 შიბლონი არის სენუმის ნახევარი, ამიტომ შიბლონი არის ქერის საზომის ნახევრის ტოლფასი.

16 შიბლუმი არის შიბლონის ნახევარი.

17 და ლეა არის შიბლუმის ნახევარი.

18 ახლა, ეს არის რაოდენობა მათი ანგარიშის მიხედვით.

19 ახლა, ოქროს ანტიონი სამი შიბლონის ღირებულების ტოლფასია.

20 ახლა, ეს მხოლოდ ერთი მიზნისთვის იყო - სარგებლის მისაღებად, რადგან ისინი იღებდნენ ჯამაგირს თავიანთი სამუშაოს შესაბამისად, ამიტომ ისინი ხალხში აღვივებდნენ წყრომას, ჯანყს, ყოველგვარ მღელვარებასა და სიბოროტეს, რათა ბევრი სამუშაო ჰქონოდათ, რომ ფული ეშოვნათ იმ სასამართლო დაგებით, რომლებსაც მათ წინაშე წარადგენდნენ; ამიტომ, მათ გაადვივეს წყრომა ხალხში, აღმასა და ამულეკის წინააღმდეგ.

21 და ამ ზიზრომმა დაიწყო ამულეკის დაკითხვა სიტყვებით: მიპასუხებ თუ არა რამდენიმე კითხვაზე, რომლებსაც დაგისვამ? ახლა, ზიზრომი იყო კაცი, რომელიც მარჯვედ ფლობდა ეშმაკისეულ ფანდებს, რათა შეძლებოდა იმის განადგურება, რაც კარგი იყო, ამიტომ, მან უთხრა ამულეკს: მიპასუხებ თუ არა შეკითხვებზე, რომლებსაც დაგისვამ?

22 და ამულეკმა უპასუხა: დიახ, თუ ეს იქნება უფლის სულის შესაბამისი, რომელიც არის ჩემში, რადგან მე არაფერს ვიტყვი უფლის სულის საწინააღმდეგოს. და ზიზრომმა მას უთხრა: აი აქ არის ექვსი ვერცხლის ონტი; და ამ ყველაფერს მოგცემ, თუ უარყოფ უზენაესი არსების არსებობას.

23 ახლა, ამულეკმა უთხრა: შე ჯოჯოხეთის შვილო, რატომ მაცდუნებ? ნუთუ არ იცი, რომ მართალნი არ ნებდებიან ასეთ ცდუნებებს?

24 ნუთუ გწამს, რომ არ არის ღმერთი? მე გეუბნები: არა, შენ იცი, რომ ღმერთი არის, მაგრამ შენ მასზე მეტად სარგებელი უფრო გიყვარს.

25 და ახლა, შენ იცრუე ჩემთან ღმერთის წინაშე. შენ მითხარი: აჰა, ეს ექვსი ონტია, რომელსაც აქვს დიდი ფასი, მე მოგცემ მათ შენ, როდესაც გულში ჩაიფიქრე, რომ მათ არ მომცემდი; და შენი ერთადერთი სურვილი

იყო, რომ უარმყო ჭეშმარიტი და ცოცხალი ღმერთი, რომ შენ მიზეზი გქონოდა ჩემი განადგურებისათვის. და ახლა, აჰა, ამ დიდი ბოროტებისათვის შენ მიიღებ შენს საზღაურს.

26 და ზიზრომმა მას უთხრა: შენ ამბობ, რომ არის ჭეშმარიტი და ცოცხალი ღმერთი?

27 და ამულეკმა მიუგო: დიახ, არის, ჭეშმარიტი და ცოცხალი ღმერთი.

28 ახლა ზიზრომმა თქვა: არის ერთზე მეტი ღმერთი?

29 და მან უპასუხა: არა.

30 ახლა, ზიზრომმა მას კვლავ უთხრა: ეს ყველაფერი საიდან იცი?

31 და მან მიუგო: ეს ანგელოზმა გამანდო.

32 და ზიზრომმა კვლავ თქვა: ვინ არის ის, რომელიც მოვა? არის ის ღმერთის ძე?

33 და მან მიუგო მას: დიახ.

34 და ზიზრომმა კვლავ თქვა: გადაარჩენს იგი თავის ხალხს თავიანთ ცოდვებში? და ამულეკმა უპასუხა და უთხრა მას: მე შენ გეუბნები - არა, რადგან მას არ შეუძლია საკუთარი სიტყვის უარყოფა.

35 ახლა, ზიზრომმა უთხრა ხალხს: შეხედეთ, რათა დაიმახსოვროთ ყოველივე ეს; რადგან მან თქვა, რომ არის მხოლოდ ერთი ღმერთი, მიუხედავად ამისა, ამბობს, რომ მოვა ძე ღვთისა, მაგრამ არ გადაარჩენს თავის ხალხს, თითქოს

აქვს უფლებამოსილება ღმერთს უბრძანოს.

36 ახლა, ამულეკმა მას კვლავ უთხრა: აჰა, შენ იცრუე, რადგან ამბობდი, რომ მე ვილაპარაკე, თითქოს უფლებამოსილება აქვს, ღმერთს უბრძანოს, ვინაიდან მე ვთქვი, რომ ის არ გადაარჩენს თავის ხალხს თავიანთ ცოდვებში.

37 კვლავ გეუბნები, რომ მას არ შეუძლია გადაარჩინოს ისინი თავიანთ ცოდვებში; რადგან არ შემიძლია მისი სიტყვების უარყოფა და მან თქვა, რომ არაფერ უწმინდურს არ შეუძლია მემკვიდრეობით მიიღოს ცათა სასუფეველი, ამიტომ როგორ იქნებით გადარჩენილნი, თუ ცათა სასუფეველს მემკვიდრეობით არ მიიღებთ? ამიტომ, თქვენ ვერ გადარჩებით თქვენს ცოდვებში.

38 ახლა, ზიზრომმა კვლავ უთხრა მას: მართალია, რომ ძე ღვთისა არის ნამდვილი მარადიული მამა?

39 და ამულეკმა მას მიუგო: დიახ, ის არის ნამდვილი მარადიული მამა, ზეცისა და დედამიწისა და ყველაფრისა, რაც მასზეა; ის არის დასაბამი და დასასრული, პირველი და ბოლო;

40 და ის მოვა ქვეყანაზე, რათა გამოისყიდოს თავისი ხალხი; და თავის თავზე აიღებს იმათ შეცოდებას, რომლებსაც მისი სახელი სწამთ; და ესენი არიან, რომლებსაც ექნებათ მარადიული

სიცოცხლე და ხსნა სხვასთან არავისთან არ მოდის.

41 ამიტომ, ბოროტნი რჩებიან, თითქოს არც მომხდარიყო გამოსყიდვა, გარდა იმისა, რომ დაიმსხვრევა სიკვდილის ბორკილები, რადგან, აჰა, მოდის ის ღღე, როდესაც მკვდრებით ყველა აღდგება და წარსდგება ღმერთის წინაშე და განკითხულნი იქნებიან თავიანთი საქმეების შესაბამისად.

42 და ახლა, არის სიკვდილი, რომელსაც ეწოდება ხორციელი სიკვდილი; და ქრისტეს სიკვდილი დაამსხვრევს ხორციელი სიკვდილის ბორკილებს, ასე რომ, ყველა აღდგება ხორციელი სიკვდილისგან.

43 სული და სხეული კვლავ ერთიანდება სწორი და სრულყოფილი ფორმით; კიდურებიც და სახსრებიც აღდგება შესაფერის სხეულში, ისე, როგორც ვართ ახლა, ამ დროს; და მიგვიყვანენ ღმერთის წინაშე წარსადგენად იმ ცოდნით, რაც ახლა გვაქვს, და საღად გვემახსოვრება ჩვენი ყველა დანაშაული.

44 ახლა, ეს აღდგენა ყველასთან მოვა: მოხუცთან და ახალგაზრდასთან, მონასთან და თავისუფალთან, მამრთან და მდედრთან, ბოროტთან და მართალთან; თმის ღერიც არ დაეკარგებათ მათ, არამედ ყველაფერი აღდგება თავის სრულყოფილ სხეულში ისე, როგორც არის ახლა ანუ სხეულში; და

მოყვანილნი იქნებიან და წარსდგებიან სასამართლოს წინაშე – ძე ქრისტესი და მამა ღმერთისა და სულიწმინდისა, რომელნიც არიან ერთი მარადიული ღმერთი, რათა განიკითხონ თავიანთი საქმეების შესაბამისად, იყო რა ისინი კეთილი თუ ბოროტი.

45 ახლა, აჰა, მე გელაპარაკებ მოკვდავი სხეულის სიკვდილის შესახებ, ასევე მოკვდავი სხეულის აღდგომაზე. მე გეუბნებით, რომ ეს მოკვდავი სხეული აღმდგარია უკვდავ სხეულში ანუ სიკვდილიდან ანუ პირველი სიკვდილიდან სიცოცხლეში, რათა ვეღარ შეძლონ სიკვდილი; მათი სულები ერთიანდება მათ სხეულებთან, რათა აღარასდროს არ დაშორდნენ ერთმანეთს; ამგვარად, ერთიანი ხდება სულიერი და უკვდავი, რათა აღარ იხილონ ხრწნა.

46 ახლა, როდესაც ამულეკმა დაასრულა ეს სიტყვები, ხალხმა კვლავ იწყო გაოცება, ასევე ზიზრომიც აკანკალდა. და ასე დასრულდა ამულეკის სიტყვები ანუ ეს არის ყველაფერი, რაც დავწერე.

თავი 12

აღმა ელაპარაკება ზიზრომს. ღმერთის საიდუმლოებების განდობა შეიძლება მხოლოდ ერთგულთათვის. ადამიანი განიკითხება საკუთარი ფიქრების,

რწმენის, სიტყვებისა და საქმეთა შესაბამისად. ბოროტნი იწვენევენ სულიერ სიკვდილს. მოკვდავი ცხოვრება არის გამოცდის ქამი. გამოსყიდვის გემის მეშვეობით ხდება აღდგომა და რწმენის მეშვეობით – ცოდვების მიტევება. მომნანიებელთ აქეთ შეწყალების უფლება მხოლოდშობილი ძის მეშვეობით. დაახლოებით 82 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 ახლა აღმამ, როდესაც იხილა, რომ ამულეკის სიტყვებმა გააჩუმა ზიზრომი, რადგან მან დაინახა, რომ ამულეკმა იგი სიცრუეში და ტყუილში გამოიჭირა, რომ გაენადგურებინა იგი და დაინახა რა, რომ ის აკანკალდა საკუთარი დანაშაულის შეგნების გამო, მან გახსნა ბაგე და დაიწყო მასთან საუბარი და ამულეკის სიტყვების დადასტურება და უფრო ღრმად ახსნა ანუ წმინდა წერილების განმარტება იმაზე ღრმად, რაც ამულეკმა გააკეთა.

2 ახლა, სიტყვები, რომლებიც ზიზრომს აღმამ უთხრა, გაიგეს გარშემო მყოფმა ხალხმა, ვინაიდან დიდი იყო შეკრებილთა რაოდენობა და მან უთხრა შემდეგი:

3 ახლა, ზიზრომ, ხედავ, რომ დაგიჭირეს სიცრუეში და მზაკვრობაში, რადგან შენ იცრუე არა მარტო ადამიანის, არამედ იცრუე ღმერთის წინაშე; რადგან,

აჰა, მან იცის შენი ყოველი აზრი და ხედავ, რომ შენი აზრები გაგვენდო მისი სულის მეშვეობით;

4 და შენ ხედავ – ვიცით, რომ შენი გეგმა იყო ძალზედ მზაკვრული, ეშმაკის მზაკვრობის შესაბამისი, რომ იცრუო და მოატყუო ეს ხალხი, რათა განაწყო იგი ჩვენ წინააღმდეგ, რომ გაგვლანძღონ და გაგვაძევიონ – 5 და ეს იყო შენი მტრის ჩანაფიქრი და მან გამოავლინა საკუთარი ძალა შენში. და ახლა, მსურს, დაიმახსოვრო, რომ რასაც შენ გეუბნები, მე ვეუბნები ყველას.

6 და აჰა, მე თქვენ ყველას გეუბნებით, რომ ეს იყო მტრის მახე, რომელიც მან დაავო, რათა დაიჭიროს ეს ხალხი, რომ დაგიმორჩილოთ, რათა გარს შემოგარტყათ თავისი ჯაჭვები, რათა მარადიულ განადგურებას მიგაჯაჭვოთ, საკუთარი ტყვეობის ძალის შესაბამისად.

7 ახლა, როდესაც აღმამ თქვა ეს სიტყვები, ზიზრომი უფრო მეტად აკანკალდა, რადგან იგი სულ უფრო მეტად და მეტად რწმუნდებოდა ღმერთის ძალაში; ასევე დარწმუნდა იმაში, რომ აღმა და ამულეკი ფლობდნენ ცოდნას მასზედ, რადგან იგი დარწმუნებული იყო, რომ მათ იცოდნენ მისი გულის ფიქრები და წადილი; რადგან ძალა მიეცათ მათ, სცოდნოდათ ამაზე, წინასწარმეტყველების სულის შესაბამისად.

8 და ზიზრომმა გუღდას-
მით დაიწყო მათი გამოკითხვა,
რათა მეტი გაეგო ღვთის სა-
სუფეველზე. და მან უთხრა
აღმას: რას ნიშნავს ის, რაც
ამულეკმა ილაპარაკა მკვდრე-
თით აღდგომაზე, რომ ყველა
აღდგება მკვდრეთით, სამართ-
ლიანნიც და უსამართლონიც და
წარსდგებიან ღმერთის წინაშე,
რათა განიკითხონ თავიანთი სა-
ქმეების შესაბამისად?

9 და ახლა, აღმამ დაუწყო მას
ამის ახსნა, სიტყვებით: ბევრისა-
თვის არის ნაბოძები, იცოდნენ
ღმერთის საიდუმლოებანი; მი-
უხედავად ამისა, მათ მკაცრად
აქვთ ნაბრძანები, არ გაამხილონ
ეს, გარდა მისი სიტყვის იმ ნა-
წილისა, რომელსაც იგი აძლევს
აღამიანთა შვილებს მათი ყუ-
რადღებისა და სიბეჯითის შესა-
ბამისად, რომელსაც ისინი მის
მიმართ იჩენენ.

10 და ამიტომ ის, რომელიც
გულს იქვავებს, იღებს სიტყვის
მცირედ ნაწილს; და ის, რომე-
ლიც არ გაიქვავებს გულს, მას
სიტყვის უფრო დიდი ნაწილი მი-
ეცემა, სანამ არ გაენდობა ღმერ-
თის საიდუმლოებების ცოდნა,
იქამდე, სანამ სრულად არ ჩა-
წვდება მათ.

11 და მათ, რომლებიც გულებს
იქვავებენ, ეძლევათ სიტყვის
უფრო მცირე ნაწილი, იქამდე,
სანამ არაფერი აღარ ეცოდინე-
ბათ მის საიდუმლოებებზე; და
მაშინ ისინი ეშმაკის მიერ არიან

დატყვევებულნი და მისი ნებით
მიჰყვებიან განადგურებისაკენ.
ახლა, ეს არის ის, რაც ჯოჯო-
ხეთის ჯაჭვებში იგულისხმება.

12 და ამულეკმა ნათლად ილა-
პარაკა სიკვდილის შესახებ და
ამ მიწიერი ცხოვრებიდან უკვდავ
მდგომარეობაში აღდგომაზე და
ღმერთის სამსჯავროს წინაშე
მიყვანაზე, რათა განკითხულნი
ვიქნეთ ჩვენი საქმეების შესა-
ბამისად.

13 მაშინ, თუ გული გვექნება
გაქვავებული, დიახ, თუ ჩვენ
გულს გავიქვავებთ სიტყვის მი-
მართ, ისე, რომ ის არ იქნება
ჩვენში ნაპოვნი, მაშინ საშინელი
იქნება ჩვენი მდგომარეობა, რად-
გან მაშინ ჩვენ ვიქნებით გან-
სჯილნი.

14 რადგან ჩვენ განგვსჯის
ჩვენი სიტყვები, დიახ, ყველა
ჩვენი საქმე განგვსჯის; ჩვენ
ვერ გვცნობენ უმწიკვლოდ; და
ჩვენი აზრები ასევე განგვსჯის;
და ასეთ საშინელ მდგომარეო-
ბაში, ჩვენ ვერ გავბედავთ ღმერ-
თისთვის შეხედვას; და ძალზედ
გახარებულნი ვიქნებოდით, რომ
შეგვძლებოდა გვებრძანებინა
კლდეებისა და მთებისთვის, ზედ
დაგვცემოდნენ, რათა დავეფა-
რეთ მისი გარემოცვიდან.

15 მაგრამ ეს შეუძლებელია;
ჩვენ უნდა გამოვიდეთ და დაფ-
დგეთ მის წინაშე, მის დიდე-
ბაში და მის ძალაში და მის
ძალ-ღონეში, დიდებულებაში
და ბატონობაში; და ვაღიაროთ

სამუდამოდ ჩვენდა სამარცხვინოდ, რომ ყველა მისი სასჯელი სამართლიანია; რომ ყველა მისი საქმე არის სამართლიანი და ის მოწყალეა ადამიანთა შვილები-სადმი, რომ მას სრული ძალა შესწევს გადაარჩინოს ყოველი ადამიანი, რომელსაც სწამს მისი სახელი და მოაქვს მონანიებისათვის შესაფერისი ნაყოფი.

16 და ახლა, აჰა, გეუბნებით: შემდეგ მოდის სიკვდილი, მეორე სიკვდილიც კი, რაც არის სულიერი სიკვდილი; შემდეგ დგება დრო, როდესაც ვინც საკუთარ ცოდვებში მოკვდება ხორციელი სიკვდილით, ასევე მოკვდება სულიერი სიკვდილით; დიახ, ის მოკვდება იმისთვის, რაც სამართლიანობას ეხება.

17 მაშინ მოვა დრო, როდესაც მათი წამება იქნება, როგორც ცეცხლისა და გოგირდის ტბა, რომლის ალი ადის მადლა უკუნითი უკუნისამდე; და მაშინ მოვა ისეთი დრო, როდესაც ისინი იქნებიან მარადიულ განადგურებაზე მიჯაჭვულნი, სატანის ძალისა და დატყვევების მიხედვით, დაიმორჩილებს რა მათ, საკუთარი ნების თანახმად.

18 შემდეგ, მე თქვენ გეუბნებით, ისინი იქნებიან ისე, თითქოს არც მომხდარიყო გამოსყიდვა; რადგან ისინი ვერ იქნებიან გამოსყიდულნი ღმერთის სამართლის შესაბამისად; და ისინი ვერ შეძლებენ სიკვდილს, რადგან აღარ იქნება ხრწნა.

19 ახლა, ეს იყო ასე, რომ როდესაც აღმამ დაამთავრა ამ სიტყვების თქმა, ხალხმა უფრო მეტად იწყო გაცეცხება;

20 მაგრამ იქ იყო ვინმე ანტიონა, რომელიც მათ შორის მთავარი მმართველი იყო, იგი წინ გამოვიდა და მას უთხრა: რა თქვი შენ, რომ ადამიანი აღდგება მკვდრეთით და გადავა ამ მოკვდავი მდგომარეობიდან უკვდავში ისე, რომ მისი სული არასდროს არ მოკვდება?

21 რას ნიშნავს ეს წმინდა წერილი, რომელიც ამბობს, რომ ღმერთმა ქერუბიმი და ცეცხლოვანი მახვილი გაამწვსა ედემის ბაღის აღმოსავლეთით, რათა ჩვენი პირველი მშობლები ვერ შესულიყვნენ და არ ეგემათ სიცოცხლის ხის ნაყოფი და ვერ ეცოცხლათ მარადის? და ამგვარად ვხედავთ, რომ არ იყო იმის შესაძლებლობა, რომ მათ ეცხოვრათ მარადის.

22 ახლა, აღმამ მას უთხრა: ეს არის ის, რის ახსნასაც ვაპირებდი. ახლა ჩვენ ვხედავთ, რომ ადამი დაეცა, იგემა რა აკრძალული ხილი, ღვთის სიტყვის შესაბამისად; და ამგვარად ვხედავთ, რომ მისი დაცემით მთელი კაცობრიობა იქცა დაკარგულ და დაცემულ ხალხად.

23 და ახლა, აჰა, მე თქვენ გეუბნებით, ადამისთვის შესაძლებელი რომ ყოფილიყო სიცოცხლის ხის ნაყოფის დაგემოვნება იმ დროს, არ იქნებოდა სიკვდილი

და სიტყვა გახდებოდა ფუჭი და აქცევდა ღმერთს მატყუარად, რადგან მან თქვა: თუ შევჭამ – აუცილებლად მოკვდები.

24 და ჩვენ ვხედავთ, რომ სიკვდილი მოეწევა კაცობრიობას, დიახ, ის სიკვდილი, რომელიც არის ხორციელი სიკვდილი, რომელზედაც ლაპარაკობდა ამულეკი; მიუხედავად ამისა, ადამიანს მიეცა დრო, როდესაც მას შეუძლია მონანიოს; ამიტომ, ეს ცხოვრება გახდა გამოსაცდელი მდგომარეობა; ღმერთთან შესახვედრად მოსამზადებელი დრო; იმ მარადიული მდგომარეობისათვის მოსამზადებელი დრო, რაზედაც ჩვენ ვილაპარაკეთ, რომელიც დადგება მკვდართა აღდგომის შემდეგ.

25 ახლა, გამოსყიდვის გეგმა რომ არ ყოფილიყო, რომელიც ქვეყნის დასაბამიდან იყო დაგეგმილი, არც მკვდართა აღდგომა არ იქნებოდა; მაგრამ დაიდო გამოსყიდვის გეგმა, რომლითაც მოხდება მკვდრების აღდგომა, რაზედაც უკვე ითქვა.

26 და ახლა, აჰა, შესაძლებელი რომ ყოფილიყო, ჩვენი პირველი მშობლები მისულიყვნენ და ეგემათ სიცოცხლის ხიდან, ისინი დარჩებოდნენ სამუდამოდ უბედურნი, არ ექნებოდათ მოსამზადებელი მდგომარეობა და ამგვარად, გამოსყიდვის გეგმა ჩაიშლებოდა და ღვთის სიტყვა იქნებოდა ცარიელი, არ ექნებოდა არანაირი შედეგი.

27 მაგრამ, აჰა, ეს ასე არ იყო; თუმცა ადამიანებს დაუდგინდათ, რომ უნდა მომკვდარიყვნენ და სიკვდილის შემდეგ უნდა წარმსდგარიყვნენ განკითხვისთვის, იმ განკითხვისათვის, რომელზეც ჩვენ ვილაპარაკეთ, რაც არის დასასრული.

28 და მას შემდეგ, რაც ღმერთმა დაადგინა, რომ ეს ყველაფერი ადამიანს დაემართებოდა, აჰა, მან იხილა, რომ ადამიანმა უნდა იცოდეს ამ ყველაფრის შესახებ, რაც მათ დაუდგინა;

29 ამიტომ, მან გამოაგზავნა ანგელოზები მათთან სალაპარაკოდ, რომლებმაც მოახდინეს ისე, რომ ადამიანებმა იხილეს მისი დიდებისა.

30 და იმ დროიდან, მათ დაიწყეს მისი სახელის ღალადი; ამიტომ, ღმერთი ელაპარაკა ადამიანებს და გაანდო მათ გამოსყიდვის გეგმა, რომელიც მომზადებული იყო ქვეყნის დასაბამიდან; და ეს გაანდო მათ მათი რწმენისა, მონანიებისა და მათი წმინდა საქმეების შესაბამისად.

31 ამიტომ, მან ადამიანებს მცნებები მისცა; მათ, დაარღვიეს რა პირველი კანონები ხორციელი ცხოვრების შესახებ, გახდნენ ღმერთებივით, განასხვავედნენ კეთილს ბოროტისაგან, ჩააყენეს საკუთარი თავი ან იქნენ ჩაყენებულნი ისეთ მდგომარეობაში, სადაც მოიქცეოდნენ საკუთარი ნებისა და

სიამოვნების შესაბამისად, კეთილისა ან ბოროტის კეთებაში –

32 ამიტომ, ღმერთმა მათ მისცა მცნებები მას შემდეგ, რაც გაანდო მათ გამოსყიდვის გეგმა, რათა მათ არ ჩაედინათ ბოროტება, რისი სასჯელიც არის მეორე სიკვდილი, რაც არის მარადიული სიკვდილი სამართლისათვის; რადგან ასეთებისთვის გამოსყიდვის გეგმას არ ექნებოდა ძალა, რადგან ღვთის სიკეთის შესაბამისად, მართალთა საქმენი ვერ იქნება განადგურებული.

33 მაგრამ ღმერთმა მოუწოდა ადამიანს, თავისი ძის სახელით (ეს იყო გამოსყიდვის გეგმა, რომელიც იყო დაგეგმილი) უთხრა: თუ მონანიებთ და არ გაიქვავებთ გულს, მაშინ შეგიწყალებთ ჩემი მხოლოდშობილი ძის მეშვეობით;

34 ამიტომ, ყველას, ვინც მონანიებს და არ გაიქვავებს გულს, ჩემი მხოლოდშობილი ძის მეშვეობით ექნება შეწყალების უფლება ცოდვების მისატყვევებლად და ესენი შევლენ ჩემს სავანეში.

35 და ყოველი, ვინც გაიქვავებს გულს და ჩაიდენს ურჯულობას, აჰა, მე ვფიცავ ჩემს მრისხანებაში, რომ ვერ შევა ჩემს სავანეში.

36 და ახლა, ჩემო ძმებო, აჰა, გუებნებით, რომ თუ გაიქვავებთ გულს, ვერ შეხვალთ უფლის სავანეში; ამიტომ, თქვენი

ურჯულოება განარისხებს მას ისე, რომ იგი მოაფლენს თქვენზედ თავის რისხვას ისე, როგორც პირველი განრისხებისას, დიახ, საკუთარი სიტყვის შესაბამისად, ბოლო განრისხებისას, ისევე, როგორც პირველისას, თქვენი სულების სამუდამო განადგურებისთვის; ამიტომ, საკუთარი სიტყვის შესაბამისად, ბოლო სიკვდილისთვის ისევე, როგორც პირველისთვის.

37 და ახლა, ჩემო ძმებო, იმის გამო, რომ ვიცით ყოველივე ეს და არის რა ეს ჭეშმარიტება, მოდით მოვინანიოთ და გულს ნუ გავიქვავებთ, რომ არ განვარისხოთ უფალი, ჩვენი ღმერთი, რომ არ მოავლინოს ჩვენზე თავისი რისხვა ამ მეორე მცნებებში, რომელნიც მან მოგცვა; მაგრამ, მოდით, შევიდეთ ღვთის სავანეში, რომელიც მისი სიტყვის შესაბამისად არის მომზადებული.

თავი 13

მამაკაცები არჩეულ იქნენ მღვდელმთავრებად, თავიანთი ღრმა რწმენისა და კეთილი საქმეებისათვის. მათ უნდა ასწავლონ მცნებები. სამართლიანობით ისინი განწმენდილნი არიან და შედიან უფლის სავანეში. ერთ-ერთი მათგანი იყო მელქიციდეგი. ანგელოზები აუწყებენ სასიხარულო ამბებს მთელ მიწაზედ. ისინი აცხადებენ ქრისტეს ნამდვილ

მოსვლაზე. დაახლოებით 82 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და კიდევ, ჩემო ძმებო, მე მსურს, რომ მიაპყროთ გონება იმ დროს, როდესაც უფალმა ღმერთმა მისცა ეს მცნებები თავის შვილებს; და მე მსურს, რომ გახსოვდეთ: უფალმა ღმერთმა აკურთხა მღვდლად, საკუთარი წმინდა წესისამებრ, რომელიც იყო მისი ძის წესისამებრ, რათა ეს ყველაფერი ხალხისთვის ესწავლებინათ.

2 და იმ მღვდლებმა მიიღეს კურთხევა მისი ძის წესისამებრ, იმგვარად, რომ ხალხს სცოდნოდა, როგორ დალოდებოდა მისი ძის გამოსყიდვას.

3 და ეს არის წესი, რომლის მიხედვითაც მათ მიიღეს კურთხევა, იყვნენ რა მოწოდებულნი და მომზადებულნი ქვეყნის დასაბამიდან, ღმერთის წინასწარმცოდნეობის მიხედვით, მათი უდიდესი რწმენისა და კეთილი საქმეებისთვის; თავდაპირველად იყვნენ თავის ნებაზე მიშვებულნი კეთილისა და ბოროტის არჩევანში; რადგან არჩიეს რა კეთილი და გამოიჩინეს ღრმა რწმენა, მოხმობილნი არიან წმინდა მოწოდებით, დიახ, იმ წმინდა მოწოდებით, რომელიც მომზადებული იყო ამგვართავის, წინასწარ მომზადებულ გამოსყიდვასთან ერთად და მის შესაბამისად.

4 და ამგვარად, ისინი არჩეულ

იქნენ ამ წმინდა მოწოდებისათვის, მათი რწმენის შესაბამისად, როდესაც სხვები უარყოფდნენ ღმერთის სულს, თავიანთი გაქვავებული გულებისა და გონების სიბრმავის გამო, იმავე დროს, ეს რომ არა, მათაც ექნებოდათ დიდი უპირატესობა, ისე, როგორც მათ ძმებს.

5 ანუ მოკლედ რომ ვთქვათ, თავიდან ისინი იყვნენ ერთნაირ მდგომარეობაში თავიანთ ძმებთან ერთად; ამგვარად, ეს წმინდა მოწოდება, მომზადებულია რა ქვეყნის დასაბამიდან მათთვის, რომლებიც არ გაიქვავებდნენ გულს, გამოსყიდვის ნაწილია და მიიღწევა მხოლოდშობილი ძის მეშვეობით, რომელიც იყო მომზადებული –

6 და ამგვარად, არიან რა მოხმობილნი ამ წმინდა წოდებით და მიიღეს მღვდელმთავრობის კურთხევა ღმერთის წმინდა წესის შესაბამისად, რათა მისი მცნებები ასწავლონ ადამიანთა შვილებს, რომ მათაც შეძლონ მის სავანეში შესვლა –

7 ეს მღვდელმთავრობა, არის რა მისი ძის წესის მიხედვით, რომელი წესიც იყო ქვეყნის დასაბამიდან; ანუ სხვა სიტყვებით – არ აქვს დღეების დასაწყისი და არც წლების დასასრული, არის მომზადებული მარადიულობიდან სრულიად მარადისობამდე, მისი ყველაფრის წინასწარჭერეტის შესაბამისად –

8 ახლა მათ მიიღეს კურთხევა ასეთი წესის მიხედვით, იყვნენ რა არჩეულნი წმინდა წოდებაზე და წმინდა წეს-ჩვეულებით ხელდასხმულნი და თავის თავზე იღებდნენ წმინდა წესის მღვდელმთავრობას, რომელ მოწოდებასა და წეს-ჩვეულებას და მღვდელმთავრობას არა აქვს არც დასაწყისი არც დასასრული –

9 ამგვარად, ისინი სამუდამოდ ხდებიან მღვდელმთავრები, ძის წესის მიხედვით, მამის მხოლოდშობილისა, რომელსაც არ აქვს დღეების დასაწყისი და არც წლების დასასრული, რომელიც სავსეა მადლით, მიუკერძოებლობითა და ჭეშმარიტებით. და ეს არის ასე. ამინ.

10 ახლა, როგორც მე ვთქვი წმინდა წესის შესახებ ანუ ამ მღვდელმთავრობაზე, იყვნენ მრავალნი, რომლებმაც მიიღეს კურთხევა და გახდნენ ღმერთის მღვდელმთავარნი; და ეს იყო მათი ღრმა რწმენისა და მონანიებისათვის და მათი სამართლიანობისათვის ღმერთის წინაშე, ირჩიეს რა, მოენანიებინათ და აღესრულებინათ სამართალი, ვიდრე დაღუპულიყვნენ;

11 ამიტომ, ისინი იყვნენ არჩეულნი ამ წმინდა წესის მიხედვით და განიწმინდნენ და მათი სასამოსელი სითეთრემდე გაირეცხა კრავის სისხლის მეშვეობით.

12 ახლა, ისინი, სულიწმინდის მეშვეობით განწმინდის შემდეგ, ჰქონდათ რა გათეთრებული

სამოსელი, იყვნენ რა წმინდა და უმწიკვლონი ღმერთის წინაშე, სხვაგვარად უკვე ვეღარ უყურებდნენ ცოდვას, თუ არა ზიზღით; და იქ ასეთნი ბევრნი იყვნენ, ძალზედ ბევრნი, რომლებიც განიწმინდნენ და შევიდნენ უფლის, თავიანთი ღმერთის, სავანეში.

13 და ახლა, ჩემო ძმებო, მსურს, დაიმდაბლოთ თავი ღმერთის წინაშე და მოიტანოთ მონანიებისათვის შესაფერისი ნაყოფი, რათა თქვენც ასევე შეხვიდეთ იმ სავანეში.

14 დიახ, დაიმდაბლეთ თავი, ისე, როგორც ხალხი მელქიცედეკის დღეებისას, რომელიც ასევე მღვდელმთავარი იყო იმავე წესის მიხედვით, რომელზედაც ვილაპარაკე, რომელმაც ასევე სამუდამოდ აიღო თავის თავზე მღვდელმთავრობა.

15 და ეს იყო ის მელქიცედეკი, რომელსაც აბრაამი მეათედს უხდიდა; დიახ, ჩვენი მამა აბრაამიც კი იხდიდა მთელი თავისი ქონების ერთ მეათედს.

16 ახლა, ეს წეს-ჩვეულებები მოცემულ იქნა იმგვარად, რომ მათი მეშვეობით ადამიანები დალოდებოდნენ ღმერთის ძეს; და ეს იყო მისი წესის სიმბოლო ანუ იყო მისი წესი; და ეს, რათა მას დალოდებოდნენ თავიანთი ცოდვების მისატყვევლად, რათა შესულიყვნენ უფლის სავანეში.

17 ახლა, მელქიცედეკი იყო სალიმის მიწის მეფე; და მისი

ხალხი ჩაეფლო ურჯულოებაში და სისაძაგლეში; დიახ, ისინი ყველანი ასცდნენ გზას; ისინი აღვსილნი იყვნენ ყველანაირი სიბოროტით;

18 მაგრამ მელქიცედეკმა, გამოავლინა რა ძალზედ ძლიერი რწმენა და მიიღო მღვდელმთავრის წოდება ღმერთის წმინდა წესის შესაბამისად, უქადაგებდა მონანიებას თავის ხალხს. და აჰა, მათ მოინანიეს და მელქიცედეკმა დაამყარა მშვიდობა მიწაზე თავის დღეებში; ამიტომ, მას ეწოდა მშვიდობის უფლისწული, რადგან ის იყო სალიმის მეფე; და იგი თავისი მამის მეტვალყურეობის ქვეშ მეფობდა.

19 ახლა, მრავალნი იყვნენ მის მოსვლამდე და მრავალნი მის შემდეგ, მაგრამ არცერთი არ იყო მასზე უფრო დიდი; ამიტომ, მას უფრო ხშირად მოიხსენიებენ.

20 ახლა, არ მჭირდება ამის გამეორება; საკმარისია, რაც ვთქვი. აჰა, წმინდა წერილები თქვენ წინაშეა; თუ მათ დაამახინჯებთ, ეს თქვენ თავადვე განადგურებთ.

21 და ახლა, იყო ასე, რომ როდესაც აღმამ მათ უთხრა ეს სიტყვები, მან ხელი მათკენ გაიწოდა და ძლიერი ხმით შეჰყვირა სიტყვებით: ახლა, დადგადრო მონანიებისათვის, რადგან ხსნის დღე ახლოვდება;

22 დიახ, უფლის ხმა, ანგელოზთა პირით ამას უცხადებს

ყველა ერს; დიახ, აუწყებს, რათა მათ იქონიონ სასიხარულო ამბები დიდი ბედნიერებისა; დიახ, ის აუწყებს ამ სასიხარულო ამბებს მთელ თავის ხალხს, დიახ, მათაც, რომლებიც გაფანტულნი არიან დედამიწის პირზე; ამიტომაც, ისინი მოვიდნენ ჩვენთან.

23 და ისინი გვამცნობენ ნათელი გამოთქმებით, რათა გავიგოთ და არ შევცდეთ; და ეს იმიტომ, რომ ვართ უცხო მიწაზე მოხეტიალენი; ამიტომ, ჩვენ ვართ ძალზედ მოწონებულნი, რადგან ეს სასიხარულო ამბები გვეუწყა ჩვენი ვენახის ყოველ კუთხეში.

24 რადგან, აჰა, ანგელოზები ამჟამად ამას მრავალთ აუწყებენ ჩვენს მიწაზე; და ეს ადამიანთა შვილების გულების მომზადების მიზნით, რათა მიიღონ მისი სიტყვა მისი დიდებით მოსვლის ჟამს.

25 და ახლა, ჩვენ მხოლოდ ველოდებით, რომ გავიგოთ ჩვენთვის ანგელოზთა პირით გამოცხადებული სასიხარულო ამბები მისი მოსვლის შესახებ; რადგან ეს დრო მოდის, მაგრამ არ ვიცით, რამდენად მალე. ღმერთმა ქნას, რომ ეს ჩემს დღეებში მოხდეს; თუმცა იქნება ეს ადრე თუ გვიან, მე ამაში გავიხარებ.

26 და ამას გაანდობენ მართალ და წმინდა კაცებს, ანგელოზთა პირით, მისი მოსვლის ჟამს, რათა აღსრულდეს ჩვენი

მამების სიტყვები იმის შესაბამისად, რასაც ისინი ამბობდნენ მასზე, რაც შეესაბამისებოდა წინასწარმეტყველების სულს, რომელიც მათში იყო.

27 და ახლა, ჩემო ძმებო, მე მსურს ჩემი გულის სიღრმიდან, ღიახ, დიდი შემოფოთებით, ტკივილითაც კი, რომ ყური დაუგდოთ ჩემს სიტყვებს და უარყოთ ცოდვები და არ გადადოთ თქვენი მონანიების დღე;

28 არამედ, დაიმდაბლოთ თავი უფლის წინაშე და შესთხოვოთ მისი წმინდა სახელით და განუწყვეტლივ იფხიზლოთ და ილოცოთ, რომ არ იყოთ ცდუნებულნი იმაზე მეტად, რისი ატანაც შეგიძლიათ და ასე გაგძლოდათ სულიწმინდა, გამხდარიყავით თავმდაბალნი, თვინიერნი, მორჩილნი, მომთმენნი, აღვსილნი სიყვარულითა და სულგრძელობით;

29 უფალში რწმენით; იმედით, რომ მიიღებთ მარადიულ სიცოცხლეს; თქვენს გულებში ყოველთვის ღმერთის სიყვარულით, რათა უკანასკნელ დღეს ამაღლდეთ და შეხვიდეთ მის სავანეში.

30 დაე, უფალმა გიბოძოთ მონანიება, რათა არ იწვნიოთ მისი რისხვა, რათა არ იქნათ ჯოჯოხეთის ჯაჭვებით შებოჭილნი, რათა არ იტანჯოთ მეორე სიკვდილით.

31 და აღმამ მრავალი სხვა სიტყვა უთხრა ხალხს, რაც არ არის ამ წიგნში ჩაწერილი.

თავი 14

აღმას და ამულეკს ატყვევებენ და სცემენ. მორწმუნეებს და მათ წმინდა წერილებს ცეცხლში დაწვავენ. ეს წამებულნი უფლის მიერ არიან მიღებულნი დიდებაში. საპყრობილის კედლები სკდება და ეცემა. აღმა და ამულეკი განთავისუფლებულნი არიან, ხოლო მათ მღევნელთ ხოცავენ. დაახლოებით 82-81 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და იყო ასე, რომ მას შემდეგ, რაც მან დაასრულა ხალხისადმი მიმართვა, მრავალმა მათგანმა იწამა მისი სიტყვები და დაიწყო მონანიება და წმინდა წერილების კვლევა.

2 მაგრამ ხალხის უმეტეს ნაწილს სურდა აღმასა და ამულეკის განადგურება; რადგან ისინი ძალზედ განრისხებულნი იყვნენ აღმაზე, ზიზრომისადმი მისი სიტყვების სისადავის გამო; და ასევე ამბობდნენ, რომ ამულეკმა მათ ტყუილი უთხრა და ლანძღავდა მათ კანონს და ასევე მათ კანონთმცოდნეებსა და მოსამართლეებს.

3 და ასევე განრისხებულნი იყვნენ აღმაზე და ამულეკზე; და იმის გამო, რომ ასე ნათლად მოწმობდნენ მათი სიბოროტის წინააღმდეგ, მათ სურდათ ჩუმად დაეხოცათ ისინი.

4 მაგრამ იყო ასე, რომ ასე არ მოიქცნენ; არამედ აიყვანეს ისინი, შებოჭეს მაგარი თოკებით

და მიიყვანეს იმ მიწის მთავარ მოსამართლესთან.

5 და ხალხი მივიდა და დაამოწმა მათ წინააღმდეგ, მოწმობდა რა, რომ ისინი ლანძღავდნენ მიწის კანონსა და მათ კანონმცოდნეებს და მოსამართლეებს, ასევე მთელ ხალხს, რომელიც იმ მიწაზე იყო; და ასევე მოწმობდნენ, რომ არის მხოლოდ ერთი ღმერთი და რომ იგი ხალხში გამოავხანის თავის ძეს, მაგრამ არ გადაარჩენს მათ; და მრავალ ასეთ რამეს მოწმობდა ხალხი აღმასა და ამულექის წინააღმდეგ. ახლა, ეს მოხდა მიწის მთავარი მოსამართლის წინაშე.

6 და იყო ასე, რომ ზიზრომი გაცემული იყო სიტყვებით, რომლებიც ითქვა; და მან ასევე იცოდა გონების სიბრძნის შესახებ, რაც მან ხალხში გამოიწვია თავისი ცრუ სიტყვებით; და მას სული აუფორიაქდა საკუთარი დანაშაულის შეგნებისაგან; დიახ, მის გარშემო ჯოჯოხეთის ტკივილმა იწყო შემოხვევა.

7 და იყო ასე, რომ მან დაიწყო ხალხისადმი ღაღადი სიტყვებით: აჰა, მე ვარ დამნაშავე და ეს კაცი არის უმწიკვლო ღმერთის წინაშე. და იმ დროიდან მოყოლებული დაიწყო მან მათთვის ვედრება; მაგრამ ისინი ლანძღავდნენ მას სიტყვებით: შენც ეშმაკმა შეგიპყრო? და ისინი მას აფურთხებდნენ და გააძევეს თავიანთი

გარემოცვიდან, ასევე ისინიც, ვისაც სწამდა აღმასა და ამულექის ნათქვამი სიტყვები; და მათ გააძევეს ისინი და დაადევნეს ხალხი ქვების სასროლად.

8 და მათ ერთად შეკრიბეს მათი ცოლები და შვილები და ყველა, ვისაც სწამდა ან ასწავლეს ღვთის სიტყვა, ნაბრძანები იყო, ცეცხლში ჩაეყარათ ისინი; ასევე მათ მოიტანეს მათი ჩანაწერები, რომლებიც მოიცავდა წმინდა წერილებს და ისინიც ცეცხლში ჩაყარეს, რათა ცეცხლში დამწვარიყვნენ და განადგურებულიყვნენ.

9 და იყო ასე, რომ მათ აიყვანეს აღმა და ამულექი და მიიყვანეს საწამებელ ადგილზე, რათა ენახათ იმათი განადგურება, ვისაც ცეცხლი შთანთქავდა.

10 და როდესაც ამულექმა იხილა ქალებისა და ბავშვების ტანჯვა, რომლებიც ცეცხლში შთაინთქმებოდნენ, ისიც ტკივილმა შეიპყრო; და მან უთხრა აღმას: როგორ შეგვიძლია ამ საშინელი ამბის ყურება? ამიტომ, მოდი გავიწოდოთ ხელები და გამოვიყენოთ ღმერთის ძალა, რომელიც ჩვენშია და გადავარჩინოთ ისინი ცეცხლისგან.

11 მაგრამ აღმამ უთხრა მას: სული მაიძულებს არ გავიწოდო ხელი; რადგან, აჰა, უფალი იღებს მათ თავის დიდებაში; და იგი დაუშვებს, რომ მათ ეს ჩაიდინონ ანუ რომ ხალხმა მათ ეს გაუკეთოს გაქვავებული

გულების შესაბამისად, რათა სამართალი, რომელსაც იგი მათზე მოაველენს მრისხანებაში, იყოს სამართლიანი; და უდანაშაულოთა სისხლი მათ წინააღმდეგ დაამოწმებს, დიახ, და ძლიერად შეჰდაღადებს მათ წინააღმდეგ უკანასკნელ დღეს.

12 ახლა ამუღეკმა უთხრა აღმას: აჰა, ალბათ ისინი ჩვენც დაგვწვავენ.

13 და აღმამ თქვა: იყოს უფლის ნებისამებრ. მაგრამ, აჰა, ჩვენი საქმე არ დასრულებულა; ამიტომ, ისინი ჩვენ არ დაგვწვავენ.

14 ახლა, ეს იყო ასე, რომ როდესაც შთაინთქა მათი სხეულები, რომლებიც იყო ცეცხლში ჩაყრილი და ასევე ჩანაწერები, რომლებიც მათთან ერთად ჩაყარეს, მთავარი მოსამართლე მოვიდა და დადგა აღმასა და ამუღეკის წინ, როდესაც ისინი იყვნენ შებოჭილნი; და მან სილა გააწნა და უთხრა მათ: მას შემდეგ, რაც იხილეთ, უქადაგებთ კიდევ ამ ხალხს, რომ ისინი ჩაცვენილნი იქნებიან ცეცხლისა და გოგირდის ტბაში?

15 აჰა, თქვენ ხედავთ, რომ არ გქონდათ ძალა გადაგერჩინათ ცეცხლში ჩაყრილნი; არც ღმერთმა არ გადაარჩინა ისინი, რადგან იყვნენ თქვენი რწმენის. და მოსამართლემ მათ კვლავ გააწნა სილა და ჰკითხა: რას იტყვით თავის დასაცავად?

16 ახლა, ეს მოსამართლე იყო

ნეჰორის წესისა და რწმენის მიმდევარი, რომელმაც მოკლა გიდეონი.

17 და იყო ასე, რომ აღმამ და ამუღეკმა არაფერი არ უპასუხეს; და მან კვლავ გაარტყა მათ და გადასცა გუშმაგებს, რათა საპურობილეში ჩაეყარათ ისინი.

18 და როდესაც საპურობილეში იქნენ ჩაყრილნი სამი დღის განმავლობაში, იქ მრავალი კანონთმცოდნე და მოსამართლე, მღვდელი და მასწავლებელი მოვიდა, რომლებიც ნეჰორის მიმდევრები იყვნენ; და შევიდნენ საპურობილეში მათ სანახავად და დაკითხეს მრავალი სიტყვის შესახებ; მაგრამ ისინი არ პასუხობდნენ.

19 და იყო ასე, რომ მოსამართლე დადგა მათ წინაშე და უთხრა: რატომ არ პასუხობთ ამ ხალხის სიტყვებს? ნუთუ არ იცით, რომ ჩვენ გვაქვს თქვენი ცეცხლში ჩაყრის ძალა? და მან უბრძანა, ელაპარაკათ, მაგრამ მათ არაფერი არ უპასუხეს.

20 და იყო ასე, რომ ისინი წავიდნენ და გააგრძელეს თავიანთი საქმიანობა, მაგრამ მომდევნო დღეს კვლავ დაბრუნდნენ; და მოსამართლემ კვლავ გააწნა სილა. და მრავალნი მივიდნენ და სცემეს ისინი, თან ეუბნებოდნენ: კიდევ დადგებით და განიკითხავთ ამ ხალხს და განსჯით ჩვენს კანონს? თუ გაქვთ ასეთი დიდი ძალა, რატომ არ გამოიხსნით თავს?

21 და ბევრი ასეთი რამ უთხრეს მათ, მათზედ კბილების ღრჭიალითა და ფურთხებით და ამბობდნენ: როგორნი გავხდებით, როდესაც ვიქნებით განწირულნი?

22 და ბევრ ასეთ რამეს, დიახ, მრავალ ამდაგვარს ეუბნებოდნენ მათ; და ასე დასცინოდნენ მათ მრავალი დღის განმავლობაში. და არ აძლევდნენ საჭმელს, რათა ეშიმშილათ და წყალს, რათა ყოფილიყვნენ მწყურვალნი; და მათ ასევე წაართვეს ტანსაცმელი, რომ ყოფილიყვნენ შიშველნი; და გაკოჭილნი იყვნენ ისინი მაგარი თოკებით და საპყრობილეში დამწყვდეულნი.

23 და იყო ასე, რომ მას შემდეგ, რაც ისინი ასე იტანჯნენ მრავალი დღის განმავლობაში (და ეს იყო ნეფის ხალხზე მოსამართლეთა მმართველობის მეათე წლის მეათე თვის მე-თორმეტე დღეს) რომ ამონიჰას მიწის მთავარი მოსამართლე და მრავალი მათი მასწავლებელი და კანონმცოდნე გაემართა იმ საპყრობილეში, სადაც აღმა და ამულეკი იყვნენ თოკებით შებოჭილნი.

24 და მთავარი მოსამართლე დადგა მათ წინ და კვლავ სცემა და უთხრა მათ: თუ თქვენ გაქვთ ღმერთის ძალა, გამოიხსენით თავი ამ თოკებისგან და მაშინ ჩვენ დავიჯერებთ, რომ უფალი გაანადგურებს ამ ხალხს, თქვენი სიტყვების შესაბამისად.

25 და იყო ასე, რომ ისინი

ყველანი მოდიოდნენ და მათ სცემდნენ, ამბობდნენ რა იგივე სიტყვებს, ბოლო მათგანიც კი; და როდესაც ბოლო მათგანმა მათ მიმართა, ღმერთის ძალა იყო აღმასა და ამულეკზე და ისინი წამოდგნენ და ფეხზე დადგნენ.

26 და აღმამ შეჰვალადა სიტყვებით: რამდენი ხანი უნდა ვიტანჯოთ ამ დიდი გაჭირვებით, უფალო? უფალო, მოგვეცი ძალა გამოსახსნელად ჩვენი რწმენისამებრ, რომელიც არის ქრისტეში. და მათ გაწყვიტეს თოკები, რომლებითაც იყვნენ შებოჭილნი; და როდესაც ხალხმა ეს დაინახა, მათ იწყეს გაქცევა, რადგან განადგურების შიშმა მოიცვა ისინი.

27 და იყო ასე, რომ იმდენად დიდი იყო მათი შიში, რომ დაეცნენ მიწაზე და ვერ მიაგნეს საპყრობილის გასასვლელ კარებს; და მიწა მძლავრად შეირყა და საპყრობილის კედელი შუაზე გაიპო ისე, რომ მიწაზე დაეცა; და მთავარი მოსამართლე და კანონმცოდნეები და მღვდლები და მასწავლებლები, რომლებიც აღმას და ამულეკს სცემდნენ, ნანგრევების ქვეშ დაიხოცნენ.

28 და აღმა და ამულეკი გამოვიდნენ საპყრობილიდან და უგნებელნი იყვნენ; რადგან უფალმა უბოძა მათ ძალა, მათი რწმენისამებრ, რომელიც ქრისტეშია. და ისინი პირდაპირ გამოვიდნენ საპყრობილიდან და გამოხსნილნი იქნენ ბორკილებიდან;

და საპყრობილე დაემხო მიწაზე და ყოველი სული მის კედლებში დაიდუპა, აღმასა და ამულეკის გარდა; და ისინი პირდაპირ ქალაქში გამოვიდნენ.

29 ახლა, ხალხმა, გაიგო რა დიდი ხმაური, ჯგუფ-ჯგუფად გამორბოდა, რათა გაეგოთ ამის მიზეზი; და როდესაც მათ იხილეს აღმა და ამულეკი, რომლებიც გამოდიოდნენ საპყრობილიდან და რომ მიწაზე დაეცა მისი კედლები, ისინი დიდმა შიშმა შეიპყრო და გაიქცნენ აღმასა და ამულეკის გარემოცვიდან ისე, როგორც თხა გაურბის ორ ღოძს თავისი ციკნით; და ასე გარბოდნენ ისინი აღმასა და ამულეკისაგან.

თავი 15

აღმა და ამულეკი მიდიან სილომში და აარსებენ ეკლესიას. აღმა განკურნავს ზიზრომს, რომელიც უერთდება ეკლესიას. მრავალნი ინათლებიან და ეკლესია აყვავდება. აღმა და ამულეკი მიდიან ზარაჰმელაში. დაახლოებით 81 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და იყო ასე, რომ აღმას და ამულეკს უბრძანეს, წასულიყვნენ იმ ქალაქიდან; და ისინი წავიდნენ და მიაღწიეს სილომის მიწას; და აჰა, იქ მათ ყველა ის ადამიანი იპოვეს, რომელიც ამონიჰას მიწიდან წავიდა, რომლებიც გააძევეს და ჩაქო-

ლეს, რადგან აღმას სიტყვები იწამეს.

2 და ისინი მოუყვნენ მათ ყველაფერზე, რაც მათ ცოლებსა და შვილებს თავს გადახდათ და ასევე თავის თავსა და გამოხსნის ძალაზე.

3 და ზიზრომიც ასევე იწვა სილომში, ავადმყოფი, მსურვალე ციებ-ცხელებით, რაც გამოწვეული იყო მისი გონების დიდი უბედურებით, მისი სიბოროტით, რადგან მას ეგონა, რომ აღმა და ამულეკი აღარ იყვნენ ამქვეყნად; და მას ეგონა, რომ ისინი მოკლულნი იყვნენ მისი ურჯულოების გამო. და ეს დიდი ცოდვა და მისი მრავალი სხვა ცოდვა უფორიაქებდა მას გონებას, სანამ ძლიერი ტანჯვა არ განიცადა, არ ჰქონდა რა ხსნა; ამიტომ, იწვოდა ცეცხლოვანი სიმხურვალით.

4 ახლა, როდესაც მან გაიგო, რომ აღმა და ამულეკი იყვნენ სილომის მიწაზე, გულში იგრძნო სიმამაცე; და დაუყოვნებლივ გაუგზავნა მათ გზავნილი, სურდა რა, რომ ისინი მასთან მისულიყვნენ.

5 და იყო ასე, რომ ისინი დაუყოვნებლივ გაემშრნენ, ემორჩილებოდნენ რა გზავნილს, რომელიც მან მათ გაუგზავნა; და ისინი შევიდნენ სახლში ზიზრომთან; და ის ლოგინად ჩავარდნილი იპოვეს, ავადმყოფი, ძალზედ დასუსტებული მსურვალე ციებ-ცხელებისგან; ასევე

გონებაც კჳონდა ძალზედ დაავადებული, მისი ურჯულოების გამო; და როდესაც მან დაინახა ისინი, გაიწოდა მათკენ ხელი და შეევედრა, რომ მათ ის განეკურნათ.

6 და იყო ასე, რომ აღმამ მას უთხრა, მოკიდა რა ხელი: გწამს შენ ქრისტეს ძალა ხსნისათვის?

7 და მან უპასუხა და უთხრა: დიახ, მე მწამს ყოველი სიტყვა, რომელიც თქვენ მასწავლეთ.

8 და აღმამ უთხრა: თუ შენ გწამს ქრისტეს გამოსყიდვის, შეგიძლია განიკურნო.

9 და მან უთხრა: დიახ, მე მწამს შენი სიტყვების შესაბამისად.

10 და შემდეგ აღმამ შეჰღაღადა უფალს სიტყვებით: უფალო, ჩვენო ღმერთო, შეიწყალე ეს კაცი და განკურნე მისი რწმენისამებრ, რომელიც ქრისტეშია.

11 და როდესაც აღმამ თქვა ეს სიტყვები, ზიზრომი წამოდგა ფეხზე და დაიწყო სიარული; და ეს მოხდა მთელი ხალხის დიდად გასაოცრად და ამბავი ამის შესახებ მთელი სიდომის მიწაზე გავრცელდა.

12 და აღმამ მონათლა ზიზრომი უფლისადმი; და მას შემდეგ, მან დაიწყო ხალხისათვის ქადაგება.

13 და აღმამ სიდომის მიწაზე ეკლესია დააარსა და აკურთხა მღვდლად და მასწავლებლებად მიწაზე, რათა მონათლონ უფლისადმი ყოველი, ვისაც მონათვლა სურდა.

14 და იყო ასე, რომ ისინი ბევრი იყვნენ; რადგან სიდომის მიწის შემოგარენიდან მოედინებოდნენ და ინათლებოდნენ.

15 მაგრამ, ხალხი, რომელიც ამონიჰას მიწაზე იყო, ჯერ კიდევ გულქვა და ქედღიცხელი ადამიანები იყვნენ; და არ ინანიებდნენ ცოდვებს, მიაწერდნენ რა ეშმაკს აღმასა და ამულეკის მთელ ძალას, რადგან იყვნენ ნეჰორის მიმდევრები და საკუთარი ცოდვების მონანიების არ სწამდათ.

16 და იყო ასე, აღმა და ამულეკი – ამულეკმა, მიატოვა რა ღვთის სიტყვისათვის მთელი თავისი ოქრო და ვერცხლი და ძვირფასი ნივთები, რომლებიც იყო ამონიჰას მიწაზე, იყო რა უარყოფილი მათ მიერ, რომლებიც ოდესღაც იყვნენ მისი მეგობრები და ასევე მამისა და ნათესავების მიერ;

17 ამიტომ, მას შემდეგ, რაც სიდომში აღმამ ეკლესია დააარსა, იხილა რა დიდი მორჯულება, დიახ, იხილა რა ხალხის გულის ამჰარტავნობის მორჯულება და დაიწყეს თავის დამდაბლება ღმერთის წინაშე და დაიწყეს თავიანთ სამლოცველოებში ერთად შეკრება, რათა საკურთხეველის წინ ღმერთისათვის თაყვანი ეცათ, ფხიზლობდნენ და განუწყვეტილად ლოცულობდნენ, რათა გამოხსნილიყვნენ სატანის, სიკვდილისა და განადგურებისაგან –

18 ახლა, როგორც ვთქვი, იხილა რა აღმამ ყოველივე ეს, ამიტომ აიყვანა აშულეკი და წამოვიდა ზარაჰემლას მიწაზე და თავის სახლში წაიყვანა და ემსახურებოდა განსაცდელის ჟამს და განმტკიცებდა მას უფალში.

19 და ასე დასრულდა ნეფის ხალხზე მოსამართლეთა მმართველობის მეათე წელი.

თავი 16

ლამანიელნი ანადგურებენ ამონიჰას ხალხს. ზორამს მიჰყავს ნეფიელნი ლამანიელებზე გამარჯვებისაკენ. აღმა, აშულეკი და მრავალი სხვა ქადაგებენ სიტყვას. ისინი ასწავლიან, რომ ქრისტე გამოეცხადება ნეფიელებს თავისი აღდგომის შემდეგ. დაახლოებით 81-77 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და იყო ასე, რომ ნეფის ხალხზე მოსამართლეთა მმართველობის მეთერთმეტე წლის მეორე თვესა და მეხუთე დღეს, იყო რა ხანგრძლივი მშვიდობა ზარაჰემლას მიწაზე, არ იყო რა ომები, არც განხეთქილებები რამდენიმე წლის განმავლობაში, მეორე თვისა და მეთერთმეტე წლის მეხუთე დღემდეც კი, მთელს მიწაზე დაირხა ხმა ომზე.

2 რადგან, აჰა, ლამანიელთა ჯარები შემოვიდნენ უდაბნოს მხრიდან, მიწის საზღვრებში, ქალაქ ამონიჰამდეც კი და

დაიწყეს ხალხის ხოცვა და ქალაქის განადგურება.

3 და ახლა, იყო ასე, რომ სანამ ნეფიელები მოაგროვებდნენ საკმარის ჯარს, რათა ისინი მიწიდან განედევნათ, მათ გაანადგურეს ხალხი, რომელიც ქალაქ ამონიჰაში იყო, ასევე ზოგი ნოეს საზღვრების გარშემო და დანარჩენი ტყვედ წაიყვანეს უდაბნოში.

4 ახლა, იყო ასე, რომ ნეფიელებს სურდათ, დაებრუნებინათ ისინი, რომლებიც უდაბნოში ტყვედ იყვნენ წაყვანილნი.

5 ამიტომ, ის, რომელიც დანიშნულ იქნა ნეფიელთა ჯარების მთავარსარდლად (და მისი სახელი იყო ზორამი და მას ჰყავდა ორი შვილი - ლეხი და ახა) - ახლა ზორამმა და მისმა ორმა შვილმა, იცოდნენ რა, რომ აღმა იყო ეკლესიის მღვდელმთავარი და გაიგეს, რომ მას ჰქონდა წინასწარმეტყველების სული, მივიდნენ მასთან და მოისურვეს შეეტყოთ, თუ საით სურდა უფალს, წასულიყვნენ უდაბნოში თავიანთი ძმების სამძებნელად, რომლებიც ლამანიელთა მიერ იყვნენ დატყვევებულნი.

6 და იყო ასე, რომ აღმამ ამის შესახებ ჰკითხა უფალს. და აღმა დაბრუნდა და უთხრა მათ: აჰა, ლამანიელები მდინარე სიდონზე გადმოვლენ უდაბნოს სამხრეთ ნაწილიდან, შორს მანტის მიწის საზღვრებს იქით. და

აჰა, იქ შეხვდებით მათ მდინარე სიდონის აღმოსავლეთით და უფალი იქ თქვენთვის გამოიხსნის თქვენს ძმებს, რომლებიც ლამანიელთა მიერ იქნენ ტყვედ აყვანილნი.

7 და იყო ასე, რომ ზორამი და მისი შვილები, თავიანთი ჯარებით, გადავიდნენ მდინარე სიდონზე და ღრმად შევიდნენ მანტის საზღვრებში, უდაბნოს სამხრეთში, რომელიც იყო მდინარე სიდონის აღმოსავლეთი ნაწილი.

8 და ისინი თავს დაესხნენ ლამანიელთა ჯარებს და ლამანიელები უდაბნოში გაფანტულნი და განდევნილნი იქნენ; და მათ წაართვეს თავიანთი ძმები, რომლებიც დატყვევებულნი იყვნენ ლამანიელთა მიერ და არც ერთი სული მათგან, რომლებიც დატყვევებულნი იყვნენ, არ იქნა დაკარგული. და იყვნენ მოყვანილნი თავიანთი ძმების მიერ, რათა დაპატრონებოდნენ თავიანთ მიწებს.

9 და ასე დამთავრდა მოსამართლეთა მმართველობის მეთერთმეტე წელი, ლამანიელნი განდევნილნი იყვნენ მიწიდან და ამონიჰას ხალხი განადგურდა; დიახ, ამონიჰელთა ყოველი ცოცხალი სული განადგურდა და ასევე მათი დიდი ქალაქი, რომელზეც ისინი ამბობდნენ, ღმერთს არ შეეძლო მისი განადგურება, თავისი სიდიადის გამო.

10 მაგრამ, აჰა, ერთ დღეს ის გაპარტახდა და გვაგები

ძაღლებმა და უდაბნოს გარეულმა მხეცებმა შეჭამეს.

11 ამისდა მიუხედავად, მრავალი დღის შემდეგ, მათი მკვდარი სხეულები გროვებად იქნა შეგროვებული მიწაზე და თხელი მიწის ფენით დაიფარა. და ახლა, იმდენად ყარდა იქაურობა, რომ ხალხი მრავალი წელი არ შედიოდა იქ, ამონიჰას მიწის დასაუფლებლად. და ამას ეწოდა ნეჰორის აოხრება; რადგან ისინი, რომლებიც დახოცეს, იყვნენ ნეჰორის მიმდევრები და მათი მიწები რჩებოდა აოხრებული.

12 და ლამანიელები აღარ მოდიოდნენ ნეფიელებთან საომრად, ნეფის ხალხზე მოსამართლეთა მმართველობის მეთოთხმეტე წლამდე. და ასე, სამი წლის განმავლობაში, ნეფის ხალხს ჰქონდა განუწყვეტლივი მშვიდობა მთელს მიწაზე.

13 და აღმა და აშულეკი წინ მიდიოდნენ ხალხისათვის მონაწიების საქადაგებლად მათ ტაძრებში და მათ სამლოცველოებში, ასევე მათ სინაგოგებში, რომლებიც აშენებული იყო იუდაეველთა წესის მიხედვით.

14 და რამდენიც მოისურვებდა მათი სიტყვების მოსმენას, იმდენს განუწყვეტლივ უზიარებდნენ ღვთის სიტყვას, ყოველგვარი გამორჩევის გარეშე.

15 და ასე მიდიოდნენ წინ აღმა და აშულეკი, ასევე მრავალნი, რომლებიც ამორჩეულნი იყვნენ

ამ საქმისთვის, რათა ექადაგათ სიტყვა მთელ მიწაზე. და ეკლესიის დაარსება გახდა საყოველთაო მთელ მიწაზე, მიწის ყოველ მხარეში, მთელ ნეფიელთა ხალხში.

16 და მათ შორის არ იყო უთანასწორობა; უფალმა სრულად გადმოღვარა თავისი სული იმ მიწის პირზე, რათა მოემზადებინა ადამიანთა შვილების გონება ან მოემზადებინა მათი გულები, რათა მიეღოთ სიტყვა, რომელსაც მათ შორის ისწავლიან მისი მოსვლის დროს –

17 რათა არ გახდნენ სასტიკნი სიტყვის წინააღმდეგ, რომ არ იყვნენ ურწმუნონი და არ წავიდნენ განადგურებისაკენ, არამედ მიიღონ სიტყვა სიხარულით და ყლორტვიით დაემყნონ ჭეშმარიტვაზზე, რომ შექცეობდათ შესულიყვნენ უფლის, მათი ღმერთის, სავანეში.

18 და ახლა ის მღვდლები, რომლებიც გავიდნენ ხალხში, ქადაგებდნენ ყოველი სიცრუისა და მაცდურის, შურისა და დაპირისპირების, ღვარძლისა და ბილწსიტყვაობის, ქურდობის, ძარცვის, ყაჩაღობისა და მკვლევლობების, მრუშობისა და ყველანაირი ავხორცობის წინააღმდეგ, ღაღადებდნენ, რომ ეს ყველაფერი არ უნდა ყოფილიყო –

19 ქადაგებდნენ იმას, რაც მაღე უნდა მოსულიყო; დიახ, ქადაგებდნენ ღმერთის ძის მოსვლას, მის

ტანჯვასა და სიკვდილს, ასევე მკვდრეთით აღდგომას.

20 და მრავალი ადამიანი ეკითხებოდა იმ ადგილის შესახებ, სადაც ძე ღვთისა უნდა მოსულიყო; და მათ ასწავლიდნენ, რომ ის გამოეცხადებოდათ მათ თავისი აღდგომის შემდეგ; და ხალხი ამას ისმენდა დიდი სიხარულითა და ბედნიერებით.

21 და ახლა, მას შემდეგ, რაც ეკლესია დაარსდა მთელ მიწაზე, გაიმარჯვა რა ეშმაკზე და მთელ მიწაზე ღვთის სიტყვა იქადაგებოდა მთელი თავისი სიწმინდით და უფალი ხალხზე ღვრიდა თავის კურთხევას – ასე დასრულდა ნეფის ხალხზე მოსამართლეთა მმართველობის მეთოთხმეტე წელი.

ამბავი მოსიას შვილების შესახებ, რომლებმაც ღვთის სიტყვისათვის უარყვეს საკუთარი უფლებები მეფობაზე და წავიდნენ ნეფის მიწაზე, რათა ექადაგათ ლამანიელთათვის. მათი ტანჯვა და გამოსხნა აღმას ჩანაწერების შესაბამისად.

შეიცავს მე-17-დან 27-ე თავის ჩათვლით.

თავი 17

მოსიას შვილებს აქვთ წინასწარმეტყველების და გამოცხადების სული. ისინი მიდიან

სხვადასხვა გზებით, რათა ლამანიელებს აუწყონ სიტყვა. ამონი მიდის ისმაელის მიწაზე და ხდება მეფე ლამონის მსახური. ამონი გადაარჩენს მეფის ფარას და სებუსის წყლებთან მეფის მტრებს დახოცავს. მუხლები 1-3 დაახლოებით 77 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე, მუხლი 4 დაახლოებით 91-77 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე და მუხლები 5-39 დაახლოებით 91 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და ახლა, იყო ასე, რომ როდესაც აღმა მიემგზავრებოდა გიდონის მიწიდან სამხრეთით მანტის მიწისაკენ, აჰა, მისდა გასაოცრად, მას შემოხვდნენ მოსიას შვილები, რომლებიც ზარაჰემლას მიწისაკენ მიემგზავრებოდნენ.

2 ახლა, მოსიას ეს შვილები იყვნენ აღმასთან იმ დროს, როდესაც მას პირველად გამოეცხადა ანგელოზი, ამიტომ აღმას ძალზედ გაუხარდა თავისი ძმების ნახვა; მის სიხარულს ასევე დაემატა ის, რომ ისინი კვლავ მისი ძმები იყვნენ უფალში, დიახ, ისინი უფრო განმტკიცებულნი იყვნენ ჭეშმარიტების ცოდნაში, რადგან იყვნენ სადად მოაზროვნე ადამიანები და ბეჯითად იკვლევდნენ წმინდა წერილს, რათა სცოდნოდათ ღვთის სიტყვა.

3 მაგრამ, ეს არ არის ყველაფერი; მათ საკუთარი თავი

მიუძღვნეს ბევრ ღოცვასა და მარხვას; ამიტომ, ჰქონდათ წინასწარმეტყველების სული და სული გამოცხადებისა; და როდესაც ისინი ასწავლიდნენ, ასწავლიდნენ ღმერთის ძალითა და უფლებამოსილებით.

4 და ისინი ასწავლიდნენ ღვთის სიტყვას ლამანიელთა შორის თოთხმეტი წლის განმავლობაში, ჰქონდათ რა დიდი წარმატება მრავალთა ჭეშმარიტების ცოდნისკენ მიყვანაში; დიახ, მათი სიტყვის ძალით, მრავალნი იქნენ მიყვანილნი ღმერთის საკურთხეველთან მისი სახელის მოსახსენიებლად და მის წინაშე საკუთარი ცოდვების აღიარებისთვის.

5 ახლა, ასეთი იყო გარემოებები, რომლებიც მათ თან ახლდათ მოგზაურობისას, რადგან მათ გადაიტანეს მრავალი გაჭირვება; ბევრი იტანჯეს, როგორც ფიზიკურად, ისე გონებრივად, განიცადეს რა შიმშილი, წყურვილი და დაქანცულობა, ასევე დიდად იღვაწეს სულში.

6 ახლა, ასეთი იყო მათი მოგზაურობა: გამოემშვიდობნენ რა თავიანთ მამას, მოსიას, მოსამართლეთა პირველ წელს; უარი თქვეს მეფობაზე, რომელიც მამამისს სურდა მათზე დაემტკიცებინა და ასეთივე იყო ხალხის სურვილიც;

7 მიუხედავად ამისა, ისინი წავიდნენ ზარაჰემლას მიწიდან

და აიღეს ხმლები და შუბები, მშვილდები, ისრები და შურდულები; და ეს ყველაფერი მათ გააკეთეს, რათა უდაბნოში საკუთარი თავის საკვებით უზრუნველყოფა შეძლებოდათ.

8 და ასე გაემართნენ ისინი უდაბნოში, სხვებთან ერთად, რომლებიც მათ ამოარჩიეს, რათა წასულიყვნენ ნეფის მიწაზე, ლამანიელთათვის ღვთის სიტყვის საქადაგებლად.

9 და იყო ასე, რომ მათ მრავალი დღე იმოგზაურეს უდაბნოში და ბევრს მარხულობდნენ და ღოცულობდნენ, რათა უფალს მათთვის ებოძა თავისი სულის ნაწილი, რომ ის თან ხლებოდა და ყოფილიყო მათთან, რათა ყოფილიყვნენ იარაღი ღმერთის ხელში, რომ თუ ეს შესაძლებელი იქნებოდა, მიეყვანათ თავიანთი ძმები, ლამანიელები, ჭეშმარიტების ცოდნისკენ, მათი მამების ჩვეულებების უსაფუძვლოების გააზრებამდე, რომლებიც იყო არასწორი.

10 და იყო ასე, რომ უფალი მოეკვლინათ თავისი სულით და მათ უთხრა: დამშვიდდით. და ისინი დამშვიდდნენ.

11 და უფალმა ასევე მათ უთხრა: წადით ლამანიელებთან, თქვენს ძმებთან და მათ შორის დააფუძნეთ ჩემი სიტყვა; თუმცა იყავით მომთმენნი სულგრძელობაში და გაჭირვებაში, რათა მათ დაანახოთ კარგი მაგალითი ჩემში და მე თქვენ გადაგაქცევთ

იარაღად ჩემს ხელში, მრავალი სულის გადასარჩენად.

12 და იყო ასე, რომ მოსიას შვილების გულები და ასევე მათი, ვინც იმყოფებოდნენ მათთან ერთად, აღივსო სიმაძაცით, რათა წასულიყვნენ წინ ლამანიელებთან და ეუწყებინათ მათთვის ღვთის სიტყვა.

13 და იყო ასე, რომ როდესაც ისინი მივიდნენ ლამანიელთა მიწის საზღვრებში, განცალკევდნენ და ერთმანეთს დაშორდნენ უფალში სასოებით, რათა კვლავ შეხვედროდნენ ერთმანეთს თავიანთი მოსავლის აღების ბოლოს; რადგან თვლიდნენ, რომ დიდი იყო საქმე, რომელიც მათ წამოიწყეს.

14 და იგი ნამდვილად დიდი იყო, რადგან მათ წამოიწყეს ღვთის სიტყვის ქადაგება ველური, გულქვა და სასტიკი ხალხისათვის; ხალხისთვის, რომელიც ნეფიელთა ხოცვით, მათი ძარცვითა და ყაჩაღობით ხარობდა; და მათი გულები მიმართული იყო სიმდიდრისაკენ ანუ ოქროსა და ვერცხლისკენ და ძვირფასი ქვებისკენ; თუმცა ამ ყველაფრის შოვნას ცდილობდნენ მკვლევლობებითა და ყაჩაღობით, რათა არ ეშრომათ საკუთარი ხელით.

15 ასე, იყვნენ ისინი ძალზედ ზარმაცი ხალხი, მრავალი მათგანი კერპებს ეთაყვანებოდა და ღმერთის წყევლა დაატყდათ მათ თავიანთი მამების ჩვეულებების

გამო; ამისდა მიუხედავად, მათ, მონანიების პირობით, მიეცათ უფლის დაპირებები.

16 ამიტომ, ეს იყო მიზეზი, რისთვისაც მოსიას შვილებმა ეს საქმე წამოიწყეს, რომ იქნებ ისინი მონანიებამდე მიეყვანათ; რომ იქნებ ისინი გამოსყიდვის გეგმის ცოდნისკენ მიეყვანათ.

17 ამიტომ, ისინი განცალკევდნენ და წავიდნენ ლამანიელთა შორის, თითოეული ცალ-ცალკე, ღვთის სიტყვისა და ძალის შესაბამისად, რომელიც მას მიეცა.

18 ახლა, ამონი მთავარი იყო მათ შორის, თუმცა უფრო მეტად – ემსახურებოდა მათ და წავიდა მათგან მას შემდეგ, რაც აკურთხა ისინი, თავიანთი განსხვავებული მოწოდებების შესაბამისად, გაუზიარა რა მათ ღვთის სიტყვა ანუ ემსახურა მათ თავის გამგზავრებამდე; და ისინი გაემგზავრნენ მთელს მიწაზე სხვადასხვა გზებით.

19 და ამონი გაემართა ისმაელის მიწაზე, მიწაზე, რომელსაც ერქვა ისმაელის შვილების სახელი, რომელნიც ასევე ლამანიელები გახდნენ.

20 და როგორც კი ამონი შევიდა ისმაელის მიწაზე, ლამანიელებმა შეიპყრეს იგი და გაკოჭეს თავიანთი წესისამებრ, რომლის მიხედვითაც უნდა გაეკოჭათ ყოველი ნეფიელი, რომელიც მათ ხელში ჩაუვარდებოდათ და მიეყვანათ მეფესთან; და ასე, მეფის ნებაზე იყო დამოკიდებული, იგი

მოეკლათ, მონობაში დაეტოვებინათ, საპყრობილეში ჩაეგდოთ თუ მიწიდან გაეძევებინათ, მისი ნებისა და სურვილის შესაბამისად.

21 და ასე, მიიყვანეს ამონი მეფის წინაშე, რომელიც ისმაელის მიწაზე მეფობდა; და მისი სახელი იყო ლამონი; და ის იყო ისმაელის შთამომავალი.

22 და მეფემ ამონს დაუსვა შეკითხვა, სურს თუ არა იცხოვროს მიწაზე ლამანიელთა შორის ანუ მის ხალხს შორის.

23 და ამონმა მას უთხრა: დიახ, მე მსურს ამ ხალხს შორის ცხოვრება გარკვეული დროით; დიახ, შეიძლება ჩემი სიკვდილის დღემდეც კი.

24 და იყო ასე, რომ მეფე ლამონი ძალზედ კმაყოფილი იყო ამონით და ბრძანა, რომ ბორკილები მოეხსნათ; და მოისურვა, რომ ამონს ცოლად შეერთო მისი ერთ-ერთი ქალიშვილი.

25 მაგრამ ამონმა მას უთხრა: არა, მაგრამ მე ვიქნები შენი მსახური. ამიტომ, ამონი გახდა მეფე ლამონის მსახური. და იყო ასე, რომ დაინიშნა სხვა მსახურებთან ერთად ლამონის ფარის მეთვალყურედ, ლამანიელთა ჩვეულებისამებრ.

26 და მას შემდეგ, რაც იგი მეფის მსახურად სამი დღე იყო, როდესაც სხვა ლამანიელ მსახურებთან ერთად მიდიოდა რა მათი ფართი წყლიან ადგილზე, რომელსაც ეწოდებოდა სებუსის წყლები და ყველა ლამანიელს

იქ მიჰყავდა თავისი ფარები წყლის დასალევად –

27 ამიტომ, როდესაც ამონს და მეფის მსახურებს მიჰყავდათ ფარა ამ წყლიან ადგილზე, აჰა, ზოგიერთმა ლამანიელმა, რომელიც იყო თავისი ფარებით წყალთან, ადგა და გაფანტა ამონისა და მეფის მსახურების ფარა და მათ ისინი ისე გაფანტეს, რომ მრავალი სხვადასხვა მიმართულებით გაიქცნენ.

28 და ახლა, მეფის მსახურებმა დაიწყეს ბუზღუნი სიტყვებით: ახლა, მეფე ჩვენ დაგვხოცავს, ისე, როგორც დახოცა ჩვენი ძმები, რადგან მათი ფარა გაფანტულ იქნა ამ ადამიანთა სიბოროტის გამო. და მათ დაიწყეს მოთქმით ტირილი სიტყვებით: აჰა, ჩვენი ფარა უკვე გაიფანტა.

29 ახლა, ისინი ტიროდნენ იმის შიშით, რომ დახოცილ იქნებოდნენ. ახლა, როდესაც ამონმა დაინახა ეს, მას გული სიხარულით აღევსო, რადგან მან თქვა: მე ვაჩვენებ ჩემს ძალას ამ ჩემს მეგობარ მსახურებს ანუ ძალას, რომელიც არის ჩემში, მეფისათვის ამ ფარის აღდგენით, რომ შევძლო ჩემი მეგობარი მსახურების გულის მოგება, რათა დავიყოლიო ისინი, ირწმუნონ ჩემი სიტყვები.

30 და ახლა, ასეთი იყო ამონის ფიქრები, როდესაც მან იხილა მათი გაჭირვება, რომლებსაც თავის ძმებს უწოდებდა.

31 და იყო ასე, რომ მან ისინი

სიტყვით გაამხნევა, უთხრა რა: ჩემო ძმებო, გამხნევდით, მოდით წავიდეთ ფარის საძებრად და ერთად შევაგროვებთ მათ და უკან წყლიან ადგილზე მივიყვანო, ასე შევინარჩუნებთ მეფისათვის ფარას და ის არ დაგვხოცავს.

32 და იყო ასე, რომ ისინი წავიდნენ ფარის საძებრად და მიჰყვებოდნენ ამონს და წინ მიქროდნენ დიდი სისწრაფით და მიჰყავდათ მეფის ფარა და კვლავ ერთად შეკრიბეს ისინი წყლიან ადგილას.

33 და ის ადამიანები კვლავ აღგნენ, რათა მათი ფარა გაეფანტათ, მაგრამ ამონმა უთხრა თავის ძმებს: ფარის გარშემო დადექით, რომ ისინი არ გაიქცნენ და მე მივალ და დავუპირისპირდები ამ ადამიანებს, რომლებიც ფარას გვიფანტავენ.

34 ასე რომ, ისინი მოიქცნენ, როგორც ამონმა უბრძანა და იგი წინ გავიდა და დადგა, რომ დაპირისპირებოდა მათ, რომლებიც იდგნენ სებუსის წყლებთან; და ისინი არ იყვნენ რაოდენობით მცირენი.

35 ამიტომ, მათ არ ეშინოდათ ამონის, რადგან ფიქრობდნენ, რომ რომელიმე მათგანი, სურვილისამებრ, შეძლებდა მის მოკვლას, რადგან არ იცოდნენ, რომ უფალი დაპირდა მოსიას, რომ ის გამოიხსნიდა თავის შვილებს მათი ხელიდან; არც იცოდნენ არაფერი უფალზე, ამიტომ ხარობდნენ თავიანთი

ძმების განადგურებით; და ამ მიზეზით იღვნენ მეფის ფარის გასაფანტად.

36 მაგრამ ამონი წინ იღვა და დაუწყო მათ თავისი შურდულით ქვების სროლა; დიახ, დიდი ძალით ესროდა მათ ქვებს და ასე დახოცა მათი გარკვეული რაოდენობა ისე, რომ ისინი გააოცა მისმა ძალამ; მიუხედავად ამისა, ისინი განრისხდნენ თავიანთი დახოცილი ძმების გამო და გადაწყვიტეს, რომ ის უნდა დაცემულიყო; ამიტომ, ხელადნენ რა, რომ ვერ არტყამდნენ ქვებს, წამოვიდნენ ხელკეტებით მის მოსაკლავად.

37 მაგრამ, აჰა, ყოველ ადამიანს, რომელმაც თავისი ხელკეტი აიღო ამონის მოსაკლავად, ის თავისი მახვილით ხელს ჰკვეთდა; რადგან ასე ეწინააღმდეგებოდა მათ დარტყმებს, ჰკვეთდა რა მახვილის პირით მათ ხელებს, ასე რომ გაოცდნენ და იწყეს მისგან გაქცევა; დიახ, და ისინი არ იყვნენ ცოტანი; და მან, საკუთარი ხელის ძალით, აიძულა ისინი, გაქცეულიყვნენ.

38 ახლა, ექვსი მათგანი დაცვა შურდულისგან, მაგრამ მან არცერთი არ მოკლა თავისი მახვილით, გარდა მათი წინამძღოლისა; და მან მოჰკვეთა მათ იმდენი ხელი, რამდენიც იყო მის წინააღმდეგ აღმართული და ისინი არ იყვნენ მცირე რაოდენობის.

39 და როდესაც ისინი შორს

განდევნა, იგი დაბრუნდა და მათ წყალი დააღვინეს თავიანთ ფარას და დააბრუნეს ისინი მეფის საძოვრებზე; და შემდეგ, შევიდნენ მეფესთან, თან მიჰქონდათ ამონის მახვილით მოკვეთილი ხელები, მათი, რომლებსაც სურდათ მისი მოკვლა; და ისინი მეფეს მიუტანეს იმის დასამოწმებლად, რაც გააკეთეს.

თავი 18

მეფე ლამონი თვლის, რომ ამონი არის დიადი სული. ამონი ასწავლის მეფეს შექმნის შესახებ, ღმერთის ადამიანისადმი ურთიერთობის შესახებ და გამოსყიდვაზე, რომელიც ქრისტეს მეშვეობით მოდის. ლამონი იწამებს და მიწაზე დაეცემა, ვითარცა მკვდარი. დაახლოებით 90 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და იყო ასე, რომ მეფე ლამონმა ბრძანა, რომ მისი მსახურები წარმსდგარიყვნენ და დაემოწმებინათ ყველაფერზე, რაც მათ იხილეს ამ საქმის შესახებ.

2 და როდესაც ყველამ დაამოწმა იმაზე, რაც იხილეს და მან გაიგო ამონის ერთგულების შესახებ მისი ფარის შენახვისას და ასევე მის დიდ ძალაზე მათთან ბრძოლაში, რომლებსაც მისი მოკვლა სურდათ, იგი ძალზედ გაოცებული იყო და თქვა: ნამდვილად, ის უფრო მეტია, ვიდრე ადამიანი. აჰა, ნუთუ ეს

არ არის დიადი სული, რომელიც უგზავნის ამ ხალხს ასეთ დიდ სასჯელს მათი მკვლევობების გამო?

3 და მათ მეფეს უპასუხეს და უთხრეს: დიადი სულია იგი თუ ადამიანი – ჩვენ არ ვიცით; მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ მას ვერ მოკლავენ მეფის მტრები; ისე, როგორც ვერ გაფანტავენ მეფის ფარას, როდესაც ის ჩვენთან არის, მისი შესაძლებლობისა და დიდი ძალ-ღონის გამო; ამიტომ, ჩვენ ვიცით, რომ ის არის მეფისათვის მეგობარი. და ახლა, მეფეო, ჩვენ არ გვწამს, რომ ადამიანს აქვს ასეთი დიდი ძალა, რადგან ვიცით: მისი მოკვლა შეუძლებელია.

4 და ახლა, როდესაც მეფემ მოისმინა ეს სიტყვები, მან მათ უთხრა: ახლა მე ვიცი, რომ ეს არის დიადი სული; და ის მოგვევლინა ამ დროს, რათა გადაერჩინა თქვენი სიცოცხლე, რომ არ დამეხოცეთ თქვენი ძმებივით. ახლა, ეს არის დიადი სული, რომელზეც ჩვენი მამები ლაპარაკობდნენ.

5 ახლა, ეს იყო ლამონის ჩვეულება, რომელიც მან მისი მამისგან მიიღო, რომ არსებობდა დიადი სული. იმისდა მიუხედავად, რომ სწამდათ დიადი სულის, ისინი ფიქრობდნენ, რომ რასაც არ აკეთებდნენ, ყველაფერი სწორი იყო; მიუხედავად ამისა, ლამონი ძალზედ შეშინდა იმის შიშით, რომ არასწორად

იქცეოდა თავისი მსახურების ხოცვისას;

6 რადგან მან ბევრი მათგანი დახოცა იმის გამო, რომ მათმა ძმებმა ფარა გაუფანტეს წყლიან ადგილზე; ასე რომ, ისინი დახოცეს იმის გამო, რომ ფარა გაუფანტეს.

7 ახლა, ამ ლამანიელების ჩვევა იყო – სეზუსის წყლებთან დგომა, რათა გაეფანტათ ამ ხალხის ფარა, რომ ამგვარად გაეტაცათ ბევრი გაფანტული თავიანთ მიწაზე და ასეთი იყო მათი ძარცვის ჩვევა.

8 და იყო ასე, რომ მეფე ლამონმა ჰკითხა თავის მსახურებს: სად არის ეს კაცი, რომელსაც აქვს ასეთი დიდი ძალა?

9 და მათ უთხრეს მას: აჰა, ის ატყვევს შენს ცხენებს. ახლა, მეფემ უბრძანა თავის მსახურებს, რომ სანამ წყლის სასმელად მიიყვანდნენ თავიანთ ფარას, მისი ცხენები და ეტლები მოემზადებინათ და გაეცილებინათ იგი ნეფის მიწისკენ; რადგან ნეფის მიწაზე დანიშნული იყო დიდი ნადიმი ლამონის მამის მიერ, რომელიც იყო მთელი მიწის მეფე.

10 ახლა, როდესაც მეფე ლამონმა შეიტყო, რომ ამონი ამზადებდა თავის ცხენებსა და ეტლებს, იგი უფრო მეტად გაროცდა ამონის ერთგულებით და თქვა: ნამდვილად, არ ყოფილა არც ერთი მსახური, ყველა ჩემს მსახურთა შორის, რომელიც იყო

ისე ერთგული, როგორც ეს კაცი, რადგან მას ჩემი ყოველი ბრძანებაც კი ახსოვს, რათა შეასრულოს ისინი.

11 ახლა, მე ნამდვილად ვიცი, რომ ის არის დიადი სული და მე მსურს მისგან, რომ იგი ჩემთან შემოვიდეს, მაგრამ ვერ ვბედავ.

12 და იყო ასე, რომ როდესაც ამონმა მოამზადა ცხენები და ეტლები მეფისა და მისი მსახურებისთვის, იგი მივიდა მეფესთან და დაინახა, რომ მეფეს იერსახე შეეცვალა, ამიტომ იგი ლამის უკან გაბრუნდა მისგან.

13 და მეფის ერთ-ერთმა მსახურმა მას უთხრა: რაბანა, რაც ითარგმნება როგორც ძლიერი ან დიდი მეფე, თვლიდა რა თავის მეფეებს ძლიერებად, და ასე მიმართა მას: რაბანა, მეფეს სურს, რომ შენ დარჩე.

14 ამიტომ, ამონი მიუბრუნდა მეფეს და უთხრა: რა გსურს, რომ შენთვის გავაკეთო, მეფე? და მეფემ მას არ უპასუხა ერთი საათის განმავლობაში, მათი დროის მიხედვით, რადგან მან არ იცოდა, რა ეთქვა მისთვის.

15 და იყო ასე, რომ ამონმა მას კვლავ უთხრა: რა გსურს ჩემგან? მაგრამ მეფემ არ უპასუხა.

16 და იყო ასე, რომ ამონმა, იყო რა აღსავსე ღმერთის სულით, გაიგო მეფის ფიქრები. და მას უთხრა: ეს იმის გამო, რომ გაიგე, მე დავიცავი შენი მსახურები, შენი ფარა და

შურდულითა და მახვილით დავხოცე მათი შვიდი ძმა და დანარჩენებს ხელები მოვკვეთე, რათა დამეცვა შენი ფარა და მსახურნი; აჰა, ეს არის ის, რაც იწვევს შენს გაოცებას?

17 მე გეუბნები: რატომ არის, რომ ასეთი დიდია შენი გაოცება? აჰა, მე ვარ კაცი და ვარ შენი მსახური; ამიტომ, რასაც კი ისურვებ, რაც იქნება სამართლიანი, მე გავაკეთებ.

18 ახლა, როდესაც მეფემ მოისმინა ეს სიტყვები, იგი კვლავ გაოცდა, რადგან დაინახა, რომ ამონს შეეძლო მისი ფიქრების ამოცნობა; მაგრამ ამის მიუხედავად, მეფე ლამონმა გახსნა ბაგე და მას უთხრა: ვინ ხარ? შენ ხარ ის დიადი სული, რომელმაც ყველაფერი იცის?

19 ამონმა უპასუხა და თქვა: მე არ ვარ.

20 და მეფემ თქვა: როგორ გაიგე ჩემი გულის ფიქრები? შეგიძლია თამამად ილაპარაკო და მითხრა ამის შესახებ, ასევე მითხარი, როგორი ძალით დახოცე და მოჰკვეთე ხელები ჩემს ძმებს, რომლებმაც ჩემი ფარა გაფანტეს -

21 და ახლა, თუ მომიყვები ყოველივე ამაზე, რასაც კი მოისურვებ - მოგცემ; და თუ საჭირო იქნება, მე ჩემი ჯარებით დაგიცავ; მაგრამ ვიცი, რომ შენ მათზე ყველაზე ძლიერი ხარ; მიუხედავად ამისა, რასაც კი მოისურვებ ჩემგან, მე შენ გიბოძებ.

22 ახლა, ამონი, იყო რა ბრძენი, მაგრამ უწყინარი, უთხრა ლამონს: დაუგდებ ყურს ჩემს სიტყვებს, თუ გეტყვი, რა ძალით ვაკეთებ ამას? და ეს არის ის, რაც მსურს შენგან.

23 და მეფემ მას უპასუხა და თქვა: დიახ, მე ვიწამებ ყოველ შენს სიტყვას. და ასე ეშმაკურად იქნა იგი სიტყვით დაჭერილი.

24 და ამონმა თამამად დაუწყო ლაპარაკი და უთხრა: გწამს, რომ არსებობს ღმერთი?

25 და მან უპასუხა: მე არ ვიცი, ეგ რას ნიშნავს.

26 და შემდეგ ამონმა უთხრა: თუ გწამს, რომ არსებობს ღიადი სული?

27 და მან თქვა: დიახ.

28 და ამონმა უთხრა: ეს ღმერთია. და ამონმა კვლავ უთხრა მას: გწამს, რომ ამ ღიადმა სულმა, რომელიც არის ღმერთი, შექმნა ყველაფერი, რაც არის ზეცაში და დედამიწაზე?

29 და მან თქვა: დიახ, მე მწამს, რომ მან შექმნა ყველაფერი, რაც არის დედამიწაზე, მაგრამ არ ვიცი ზეცის შესახებ.

30 და ამონმა მას უთხრა: ზეცა არის ადგილი, სადაც იმყოფება ღმერთი და მისი ყველა წმინდა ანგელოზი.

31 და მეფე ლამონმა თქვა: ეს არის მიწის ზევით?

32 და ამონმა მიუგო: დიახ, და ის ქვევით ადამიანთა შვილებს უყურებს და იცის მათი გულის

ყოველი ფიქრი და ზრახვა; რადგან ისინი ყველანი მისი ხელით იყვნენ შექმნილნი დასაბამიდან.

33 და მეფე ლამონმა თქვა: მე მწამს ეს ყველაფერი, რაც შენ ილაპარაკე. შენ ღმერთისგან მოვლენილი ხარ?

34 ამონმა მიუგო: მე ვარ ადამიანი; და ადამიანი დასაბამიდან შექმნილ იქნა ღმერთის ხატად და მოწოდებული ვარ მისი სულიწმინდით ვასწავლო ეს ამ ხალხს, რომ შესაძლებელი იქნეს მათი მიყვანა იმის ცოდნამდე, რაც მართალი და ჭეშმარიტია;

35 და ამ სულის ნაწილი ჩემში იმყოფება, რაც მაძლევს ცოდნას, ასევე ძალას, ღმერთში ჩემი რწმენისა და სურვილების შესაბამისად.

36 ახლა, როდესაც ამონმა თქვა ეს სიტყვები, მან დაიწყო ქვეყნის დასაბამიდან და ასევე ადამის შექმნიდან და უთხრა მას ყველაფერი ადამიანის დაცემამაზე, მოუთხრო და განუმარტა ხალხის ჩანაწერები და წმინდა წერილები, რომლებზეც ლაპარაკობდნენ წინასწარმეტყველები, იმ დრომდე კი, როდესაც მათმა მამამ, ლეხიმ, დატოვა იერუსალიმი.

37 და მან ასევე მოუთხრო მათ (მეფესა და მის მსახურებს) მათი მამების უდაბნოში ყველა მოგზაურობის შესახებ და ყოველ მათ გაჭირვებაზე შიმშილისა და წყურვილისგან და მათ მძიმე შრომაზე და ასე შემდეგ.

38 და მან ასევე მოუთხრო ლამანის, ლამუელისა და ისმაელის შვილების აჯანყების შესახებ, დიახ, მათი ყოველი აჯანყების შესახებ მოუყვა მათ; და განუმარტა ყველა მაშინდელი ჩანაწერი და წმინდა წერილი, იმ დროიდან, როდესაც ლეხიმ დატოვა იერუსალიმი, დღევანდელ დღემდე.

39 მაგრამ ეს არ არის ყველაფერი, რადგან მან განუმარტა მათ გამოსყიდვის გეგმა, რომელიც მომზადებულ იქნა ქვეყნის დასაბამიდან; ასევე მან აუწყო მათ ქრისტეს მოსვლის შესახებ და უფლის ყველა საქმეზე აუწყო მათ.

40 და იყო ასე, რომ, მას შემდეგ, რაც მან თქვა ეს ყველაფერი და მეფეს განუმარტა, მეფემ იწამა მისი ყოველი სიტყვა.

41 და დაიწყო უფლისადმი ღაღადი, სიტყვებით: უფალო, შემიწყალე; შენი გულუხვი წყალობისამებრ, რომელიც შენ გადმოღვარე ნეფის ხალხზე, მოავლინე ჩემზე და ჩემს ხალხზე.

42 და ახლა, როდესაც მან ეს თქვა, ის დაეცა მიწაზე, ვითარცა მკვდარი.

43 და იყო ასე, რომ მისმა მსახურებმა აიყვანეს იგი და მიიყვანეს ცოლთან და საწოლზე დააწვინეს; და ის იწვა ორი დღისა და ღამის განმავლობაში, ვითარცა მკვდარი; და მისი ცოლი, ვაჟები და ქალიშვილები გლოვობდნენ მას ღამანიელთა

წესის მიხედვით, მწარედ გოდებდნენ მის დაკარგვას.

თავი 19

ღამონი მიიღებს მარადიული სიცოცხლის სინათლეს და იხილავს გამომსყიდველს. მისი ოჯახი გაოგნდება და მრავალნი იხილავენ ანგელოზებს. ამონი სასწაულებრივ გადარჩება. იგი მონათლავს მრავალთ და მათთან დააარსებს ეკლესიას. დაახლოებით 90 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და იყო ასე, რომ ორი დღის და ორი ღამის შემდეგ, ისინი უკვე თითქმის მზად იყვნენ აეღოთ მისი სხეული და ჩაეწვინათ სამარხში, რომელიც მათ მოამზადეს თავიანთ გარდაცვლილთა დასამარხად.

2 ახლა, დედოფალმა გაიგო ამონის დიდების შესახებ, ამიტომ გააგზავნა მსახურები და მოისურვა, რომ ის მასთან მოსულიყო.

3 და იყო ასე, რომ ამონი ისე მოიქცა, როგორც უბრძანეს და მივიდა დედოფალთან და მოისურვა შეეტყო, რა სურდა დედოფალს მისგან.

4 და დედოფალმა მას უთხრა: ჩემი ქმრის მსახურებმა შემატყობინეს, რომ შენ ხარ წმინდა ღმერთის წინასწარმეტყველი და გაქვს ძალა - აკეთო მრავალი ძლევა მოსილი საქმე მისი სახელით.

5 ამიტომ, თუ ეს ასეა, მე მსურს, რომ შენ მიხვიდე და მოინახულო ჩემი ქმარი, რადგან იგი ორი დღე და ორი ღამეა თავის საწოლში წევს; და ზოგიერთნი ამბობენ, რომ ის არ არის მკვდარი, მაგრამ, ზოგიერთნი ამბობენ, რომ ის მკვდარია და ყარს და აკლდამაში უნდა განთავსდეს; მაგრამ, ჩემი აზრით, იგი არ ყარს.

6 ახლა, ეს იყო ის, რაც ამონს სურდა, რადგან იცოდა, რომ მეფე ლამონი ღმერთის ძალის შემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა; მან იცოდა, რომ გონებიდან ურწმუნოების ბნელი საბურველი სძვრებოდა და სინათლე, რომელმაც მას გონება გაუნათა, რომელიც იყო სინათლე ღმერთის დიდებისა და იყო მისი სიკეთის საოცარი სინათლე – დიახ, ამ სინათლემ მის სულში ისეთი სიხარული გაადვიდა, ბნელეთის ღრუბელი გაფანტა და აენტო მარადიული სიცოცხლის სინათლე მის სულში, დიახ, მან იცოდა, რომ ამან სძლია მის ბუნებრივ არსს და ის ღმერთის მიერ იყო გატაცებული –

7 ასე რომ ის, რაც სურდა მისგან დედოფალს, იყო მისი ერთადერთი სურვილი. ამიტომ, ის შევიდა მეფის სანახავად იმისდა შესაბამისად, როგორც დედოფალს სურდა; და მან დაინახა მეფე და მიხვდა, რომ ის არ იყო მკვდარი.

8 და მან დედოფალს უთხრა:

ის არ არის მკვდარი, არამედ ღმერთში სძინავს და მომდევნო დღეს კვლავ წამოდგება; ამიტომ, არ დამარხოთ იგი.

9 და ამონმა დედოფალს უთხრა: გწამს შენ ამისი? და მან მიუგო: მე არ მაქვს არაფერი სხვა დამოწმება, გარდა შენი სიტყვისა და მსახურთა სიტყვის; ამისდა მიუხედავად, მე მწამს, რომ იქნება ისე, როგორც შენ თქვი.

10 და ამონმა დედოფალს უთხრა: კურთხეული ხარ შენი ღრმა რწმენის გამო; მე გეუბნები, ქალო, ნეფიელთა ხალხს შორის არ ყოფილა ასეთი დიდი რწმენა.

11 და იყო ასე, რომ დედოფალი ფხიზლობდა ქმრის საწოლთან იმ დროიდან, მომდევნო დღის იმ დრომდე კი, რომელიც ამონმა დანიშნა, რომ ის უნდა წამომდგარიყო.

12 და იყო ასე, რომ ის წამოდგა, ამონის სიტყვების შესაბამისად; და იგი წამოდგა, გაიწოდა ხელი ქალისაკენ და თქვა: კურთხეული იყოს სახელი ღვთისა და კურთხეული ხარ შენ.

13 რადგან, ისე ცხადად, როგორც შენ ცოცხალი ხარ, აჰა, ასევე მე ვიხილე ჩემი გამომსყიდველი; და ის მოვა და იშვება ქალისაგან და გამოისყიდის მთელ კაცობრიობას, რომელიც იწამებს მის სახელს. ახლა, როდესაც მან ეს სიტყვები თქვა, მისი გული სიხარულით

ადივსო და იგი კვლავ დაეცა სიხარულისაგან; და დედოფალიც ასევე დაეცა, იყო რა სულის მიერ დაძლეული.

14 ახლა, ამონმა, იხილა რა, თუ როგორ გადმოიღვარა უფლის სული მისი ლოცვების შესაბამისად ლამანიელებზე, მის ძმებზე, რომლებიც ასეთ დიდ გლოვას იწვევდნენ ნეფიელთა შორის ანუ ღმერთის ყველა ხალხში, თავიანთი ურჯულოებისა და ჩვეულების გამო, ის მუხლებზე დაეცა და თავისი სული ლოცვაში და ღმერთისადმი სამადლობელში გადმოღვარა იმისათვის, რაც მან გააკეთა მისი ძმებისთვის; და ის ასევე სიხარულით იყო აღსავსე და ასე, სამივენი მიწაზე დაეცნენ.

15 ახლა, როდესაც მეფის მსახურებმა დაინახეს, რომ ისინი დაეცნენ, მათაც დაიწყეს ღმერთისადმი ღაღადი, რადგან მათზეც გადმოვიდა უფლისადმი შიში, რადგან ისინი იყვნენ, რომელნიც მეფის წინაშე იდგნენ და ამონის დიდ ძალაზე მოწმობდნენ.

16 და იყო ასე, რომ ისინი მთელი ძალისხმევით მოუხმობდნენ უფლის სახელს იქამდე, სანამ ყველანი მიწაზე არ დაეცნენ, გარდა ერთი ლამანიელი ქალისა, რომელსაც სახელად აბიში ერქვა, რომელიც უფლის რწმენაში მოიქცა მრავალი წლის წინ, მამამისის არაჩვეულებრივი ხილვის გამო –

17 ასე რომ, იყო რა უფალში მოქცეული და არასდროს არ გაუმხელია ეს, ამიტომ, როდესაც მან იხილა, რომ ლამონის ყველა მსახური მიწაზე დაეცა და ასევე მისი ქალბატონიც, დედოფალი და მეფე, და ამონიც მიწაზე განრთხმული, ქალმა იცოდა, რომ ეს იყო ღმერთის ძალა და ფიქრობდა, რომ თუ ხალხს შეატყობინებდა იმას, რაც მოხდა მათ შორის, ამ სცენის ხილვა გამოიწვევდა მათში ღმერთის ძალაში რწმენას, ამიტომ, ის დარბოდა სახლიდან სახლში, რათა ხალხისათვის ემცნო ამის შესახებ.

18 და მათ დაიწყეს მეფის სახლში შეკრება. და იქ მოვიდნენ მრავალნი. და თავისდა გასაოცრად, მათ იხილეს მეფე და დედოფალი და მათი მსახურნი მიწაზე განრთხმულნი; და ისინი იქ იწვნენ, ვითარცა მკვდრები; მათ ასევე იხილეს ამონი და აჰა, იგი ნეფიელი იყო.

19 და ახლა, ხალხმა ერთმანეთში დაიწყო ბუზღუნი; ზოგი ამბობდა, რომ ეს იყო დიდი ბოროტება, რომელიც მათ მოევლინათ ანუ მეფესა და მის სახლს, იმისათვის, რომ მან ნეფიელს ამ მიწაზე დარჩენის ნება დართო.

20 მაგრამ სხვები მათ საყვედურობდნენ სიტყვებით: მეფემ თავის სახლზე ბოროტება მოავლინა, რადგან ხოცავდა თავის მსახურებს, რომლებსაც ფარა გაეფანტათ სებუსის წყლებთან.

21 და მათ ასევე საყვედურობ-

დნენ ის ადამიანები, რომლებიც იდგნენ სებუსის წყლებთან და ფანტავდნენ ფარას, რომელიც მეფის იყო, რადგან ამონზე იყვნენ განრისხებულნი, მის მიერ სებუსის წყლებთან მრავალი მათი ძმის დახოცვის გამო, როდესაც იცავდა მეფის ფარას.

22 ახლა, ერთ-ერთმა მათგანმა, რომლის ძმაც მოკლულ იქნა ამონის მახვილით, იყო რა მეტისმეტად განრისხებული ამონზე, ამოიღო თავისი მახვილი და წინ გამოვიდა, რათა ის ამონის თავს დასცემოდა და მოეკლა იგი, მაგრამ როგორც კი მან მახვილი აღმართა მის მოსაკლავად, აჰა ის მკვდარი დაეცა.

23 ახლა, ვხედავთ, რომ ამონის მოკვლა იყო შეუძლებელი, რადგან უფალმა უთხრა მის მამას, მოსიას: მე დავიცავ მას და ეს იქნება მისთვის შენი რწმენის შესაბამისად, ამიტომ, მოსიამ იგი მიანდო უფალს.

24 და იყო ასე, რომ, როდესაც მრავალმა იხილა, რომ ის კაცი, რომელმაც მახვილი აღმართა ამონის მოსაკლავად, მკვდარი დაეცა, ყველა მათგანი შიშმა მოიცვა და ვერ ბედავდნენ ხელის წინ გაშვებას, რომ მას შეხებოდნენ ან რომელიმეს, ვინც დაეცა; და მათ კვლავ იწყეს ერთმანეთში გაოცება, თუ რას შეეძლო გამოეწვია ეს დიდი ძალა ანუ რას შეეძლება ნიშნავდეს ეს ყველაფერი.

25 და იყო ასე, რომ მათ შორის

იყვნენ მრავალნი, რომლებმაც თქვეს, რომ ამონი იყო დიადი სული და სხვები ამბობდნენ – იგი დიადი სულის მიერ იყო მოვლენილი;

26 მაგრამ სხვები საყვედურობდნენ მათ ყველას, ამბობდნენ რა, რომ ის არის ურჩხული, რომელიც მოგზავნილი იყო ნეფიელებისგან მათ საწამებლად.

27 და იქ იყვნენ ზოგიერთნი, რომლებიც ამბობდნენ, რომ ამონი მოვლენილი იყო დიადი სულის მიერ, რათა დატანჯოს ისინი მათი ურჯულოების გამო; და რომ დიადი სული იყო ის, რომელიც ყოველთვის ახლავდა ნეფიელთ, რომელმაც გამოიხსნა ისინი მათი ხელიდან; და ისინი ამბობდნენ, რომ ის იყო დიადი სული, რომელმაც გაანადგურა მრავალი მათი ძმა, ლამანიელი.

28 და ასე, მათ შორის განხეთქილებამ მეტისმეტად იწყო გამწვავება; და იმ დროს, როდესაც ისინი ასე კამათობდნენ, მოვიდა მსახური ქალი, რომელმაც მოახდინა ის, რომ მრავალნი ერთად შეკრებილიყვნენ; და როდესაც მან იხილა ეს განხეთქილება, რომელიც იყო მრავალთა შორის, ქალი დანადგლიანდა, ცრემლებამდეც კი.

29 და ეს იყო ასე, რომ მსახური ქალი მივიდა და დედოფალს ხელი მოკიდა, რათა იგი მიწიდან წამოეყენებინა; და როგორც კი ის მის ხელს შეეხო, იგი წამოდგა და ფეხზე დადგა და

ხმამაღლა შესტირა სიტყვებით: კურთხეულო იესო, რომელმაც მიხსნა საშინელი ჯოჯოხეთიდან! კურთხეულო ღმერთო, შეიწყალე ეს ხალხი!

30 და როდესაც დედოფალმა ეს თქვა, მან ტაში შემოჰკრა, აღესიღმა სიხარულით, წარმოთქვამდა მრავალ სიტყვას, რომლებიც გაუგებარი იყო; და როდესაც მან ეს დაასრულა, ხელი მოკიდა მეფე ღამონს და აჰა, იგი წამოდგა და ფეხზე დადგა.

31 და მან დაუყოვნებლივ, იხილა რა განხეთქილება თავის ხალხში, წინ გამოვიდა და დაიწყო მათთვის საყვედურის თქმა და იმ სიტყვების სწავლება, რომლებიც მან ამონის პირიდან მოისმინა; და რამდენმაც მოისმინა მისი სიტყვები, იწამა ისინი და მოიქცა უფლის რწმენაში.

32 მაგრამ მათ შორის იყვნენ მრავალნი, რომლებმაც არ ისურვეს მისი სიტყვების მოსმენა, ამიტომ, ისინი წავიდნენ თავიანთი გზით.

33 და იყო ასე, რომ როდესაც ამონი წამოდგა, ისიც ასევე ემსახურა მათ, ასევე ღამონის ყველა მსახურიც; და ყოველი მათგანი აუწყებდა ხალხს იგივეს – რომ მათი გული შეიცვალათ; რომ აღარ აქვთ ბოროტების ჩადენის სურვილი.

34 და აჰა, მრავალნი აუწყებდნენ ხალხს, რომ იხილეს ანგელოზები და მათთან საუბ-

რობდნენ; და ასე ეუბნებოდნენ მათ ღმერთის საქმეებისა და მის სამართლიანობის შესახებ.

35 და იყო ასე, რომ იქ იყვნენ მრავალნი, რომლებმაც იწამეს მათი სიტყვები და რამდენმაც იწამა – მონათლა; და ისინი მართალი ხალხი გახდნენ და მათთან ეკლესია დააარსეს.

36 და ასე დაიწყო უფლის საქმე ღამანიელთა შორის; ასე დაიწყო უფალმა მათზე თავისი სულის გადმოდგრა; და ჩვენ ვხედავთ, რომ მისი ხელი გაწვდილია ყოველი ადამიანისადმი, რომელიც მონანიებს და მის სახელს იწამებს.

თავი 20

უფალი აგ ზაენის მიდონში ამონს თავისი ძმების გამოსახსნელად. ამონი და ღამონი ხვდებიან მთელი იმ მიწის მეფეს – ღამონის მამას. ამონი აიძულებს მოხუც მეფეს, დათანხმდეს მისი ძმების განთავისუფლებაზე. დაახლოებით 90 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და იყო ასე: როდესაც მათ იმ მიწაზე დააარსეს ეკლესია, მეფე ღამონმა მოისურვა, რომ ამონი მასთან ერთად წასულიყო ნეფის მიწაზე, რათა მას იგი საკუთარი მამისათვის ეჩვენებინა.

2 და უფლის ხმა მოესმა ამონს და ამბობდა: არ წახვიდე ნეფის მიწაზე, რადგან, აჰა, მეფე მოისურვებს შენი სიცოცხლის

მოსწრაფებას; თუმცა წადი მიდონის მიწაზე; რადგან, აჰა, შენი ძმა, აარონი, ასევე მულოკი და ამაჰი, საპყრობილეში არიან.

3 ახლა, იყო ასე, რომ როდესაც ამონმა გაიგო ეს, მან უთხრა ლამონს: აჰა, ჩემი ძმა და ძმობილები საპყრობილეში არიან მიდონში და მე მივდივარ მათ გამოსახსნელად.

4 ახლა, ლამონმა უთხრა ამონს: მე ვიცი, უფლის ძალით შენ ყველაფრის გაკეთება შეგიძლია. მაგრამ, აჰა, მე შენთან ერთად წამოვალ მიდონის მიწაზე; რადგან მიდონის მიწის მეფე, სახელად ანტიომნო, ჩემი მეგობარია; ამიტომ, მე წამოვალ მიდონის მიწაზე, რათა მოვთაფლო ამ მიწის მეფე და მან შენი ძმები საპყრობილიდან გამოუშვას. ახლა, ლამონმა უთხრა მას: ვინ გითხრა, რომ შენი ძმები საპყრობილეში არიან?

5 და ამონმა უთხრა მას: არავინ არ მითხრა, გარდა ღმერთისა; და მან მითხრა: წადი და გამოიხსენი შენი ძმები, რადგან ისინი საპყრობილეში არიან მიდონის მიწაზე.

6 ახლა, როდესაც ლამონმა ეს მოისმინა, მან ბრძანა, რომ მის მსახურებს მისი ცხენები და ეცლები მოემზადებინათ.

7 და მან უთხრა ამონს: მოდი მე შენთან ერთად წამოვალ მიდონის მიწაზე და იქ მე შევეხვეწები მეფეს, რომ შენი ძმები საპყრობილიდან გამოუშვას.

8 და იყო ასე, რომ როდესაც ამონი და ლამონი იქით მიემგზავრებოდნენ, მათ შემოხვდათ ლამონის მამა, რომელიც მთელი მიწის მეფე იყო.

9 და აჰა, ლამონმა მას უთხრა: რატომ არ მოხვედი ზეიმზე იმ დიდ დღეს, როდესაც მე ნადიმი მოვაწყე ჩემი შვილებისთვის და ხალხისათვის?

10 და მან ასევე თქვა: საით მიდიხარ ამ ნეფიელთან ერთად, რომელიც არის მატყუარას ერთი შვილი?

11 და იყო ასე, რომ ლამონმა აუხსნა, საით მიდიოდა, რადგან ეშინოდა, არ გაენაწყენებინა იგი.

12 და მან ასევე სრულად მოუყვა სამეფოში თავისი დარჩენის მიზეზი, რის გამოც ის არ წავიდა თავისი მამის მიერ გამართულ ნადიმზე.

13 და ახლა, როდესაც ლამონმა აუხსნა ეს ყველაფერი, აჰა, მისდა გასაოცრად, მამამისი განრისხდა მასზე და თქვა: ლამონ, შენ მიდიხარ ამ ნეფიელთა გამოსახსნელად, რომლებიც მატყუარას შვილები არიან. აჰა, მან გაძარცვა ჩვენი მამები; და ახლა მისი შვილებიც მოვიდნენ ჩვენს შორის, რათა თავიანთი მზაკვრობითა და სიცრუით მოგვატყუონ, რომ მათ კვლავ გაგვძარცვონ და წაიღონ ჩვენი ქონება.

14 ახლა, ლამონის მამამ მას უბრძანა, ამონი მახვილით მოეკლა. და მან ასევე უბრძანა,

არ წასულიყო მიდონის მიწაზე, მაგრამ მასთან ერთად უკან, ის-მაელის მიწაზე, უნდა დაბრუნებულიყო.

15 მაგრამ ლამონმა მას უთხრა: მე არ მოგვკლავ ამონს, არც ის-მაელის მიწაზე დავბრუნდები, მაგრამ წავალ მიდონის მიწაზე ამონის ძმების გამოსახსნელად, რადგან ვიცი, რომ ისინი არიან მართალნი და ჭეშმარიტი ღმერთის წმინდა წინასწარმეტყველნი.

16 ახლა, როდესაც მამამისმა მოისმინა ეს სიტყვები, ის გაბრაზდა მასზე და ამოიღო მახვილი, რათა მიწაზე დაენარცხებინა იგი.

17 მაგრამ ამონი წინ გამოვიდა და უთხრა მას: აჰა, შენ არ მოკლავ საკუთარ შვილს; მიუხედავად ამისა, უკეთესი იქნებოდა, რომ იგი დაცემულიყო და არა შენ, რადგან, აჰა, მან მოინანია ცოდვები; მაგრამ, თუ ახლა შენს მრისხანებაში დაეცემი, შენი სული ვერ გადარჩება.

18 და კვლავ, საჭიროა, თავი შეიკავო; რადგან, თუ მოკლავ შვილს, არის რა იგი უდანაშაულო კაცი, მისი სისხლი მიწიდან შეჰღაღადებს უფალს, მის ღმერთს, რომ შურისგება მოგვევლინოს; და შეიძლება დაკარგო სული.

19 ახლა, როდესაც ამონმა ეს უთხრა მას, მან უპასუხა სიტყვებით: მე ვიცი, თუ მოგვკლავ ჩემს შვილს – დაღვრი უდანაშაულო სისხლს; რადგან ეს შენ

იყავი, რომელიც ცდილობდი მის განადგურებას.

20 და მან გაიწოდა ხელი ამონის მოსაკლავად. მაგრამ ამონმა მოიგერია მისი დარტყმები და ასევე მკლავში დაჭრა, რათა ის ვეღარ ეხმარა.

21 ახლა, როდესაც მეფემ იხილა, რომ ამონს შეეძლო მისი მოკვლა, მან დაუწყო ამონს ვედრება, დაენდო მისი სიტყვცხლე.

22 მაგრამ, ამონმა ასწია მახვილი და უთხრა მას: აჰა, მახვილს დაგკრავ, თუ არ მიბოძებ იმის ნებას, რომ ჩემი ძმები საპყრობილიდან გამოუშვან.

23 ახლა, მეფემ იმის შიშით, რომ სიტყვცხლეს გამოესაღმებოდა, თქვა: თუ დამინდობ, – გიბოძებ ყველაფერს, რასაც კი მთხოვ, სამეფოს ნახევარსაც კი.

24 ახლა, როდესაც ამონმა დაინახა, რომ მან, თავისი სურვილისამებრ, გავლენა მოახდინა მოხუც მეფეზე, მან მას უთხრა: თუ ნებას მიბოძებ, რომ ჩემი ძმები გამოუშვან საპყრობილიდან და ასევე ლამონმა შეინარჩუნოს თავისი სამეფო და შენ არ იქნები მისი უკმაყოფილო და ნებას დართავ, მოიქცეს საკუთარი სურვილების შესაბამისად, რასაც არ უნდა ფიქრობდეს – მაშინ დაგინდობ; სხვაგვარად, მიწაზე დაგანარცხებ.

25 ახლა, როდესაც ამონმა თქვა ეს სიტყვები, მეფეს საკუთარი სიტყვცხლისთვის გაუხარდა.

26 და როდესაც მან იხილა, რომ ამონს არ ჰქონდა მისი განადგურების სურვილი, ასევე როდესაც იხილა დიდი სიყვარული, რომელიც ამონს ჰქონდა მისი შვილის, ლამონის მიმართ, იგი ძალზედ გაოცდა და თქვა: რადგან ყველაფერი, რაც შენ ისურვე, არის ის, რომ გამოვუშვა შენი ძმები და დავუშვა, რომ ჩემმა შვილმა, ლამონმა, შეინარჩუნოს საკუთარი სამეფო, ამ დროიდან და სამუდამოდ; და მას აღარასოდეს არ ვუხელმძღვანელებ -

27 და მე ასევე გიბოძებ, რომ შენი ძმები საპყრობილიდან გამოუშვან და შენს ძმებთან ერთად შეძლებ ჩემთან, ჩემს სამეფოში, მოსვლას; რადგან, ძალზედ მსურს შენი ნახვა. რადგან მეფე ძალზედ გაოცებული იყო სიტყვებით, რომელიც მან თქვა, ასევე სიტყვებით, რომელიც თქვა მისმა შვილმა, ლამონმა, ამიტომ, მას სურდა მათი გაგება.

28 და იყო ასე, რომ ამონმა და ლამონმა გააგრძელეს მოგზაურობა მიდონის მიწისკენ. და ლამონმა მეფის თვალში მადლი მოიპოვა; ამიტომ, ამონის ძმები საპყრობილიდან იქნენ გამოყვანილნი.

29 და როდესაც ამონი მათ შეხვდა, ის ძალზედ დანადგლიანდა, რადგან ისინი შიშველნი იყვნენ და მათ კანი ჰქონდათ ძალზედ დაბეჟილი, რადგან გა-

კოჭილები იყვნენ მაგარი თოკებით. მათ ასევე იწვნის შიმშილი, წყურვილი და ყოველგვარი გაჭირვება; ამისდა მიუხედავად, ისინი მომთმენნი იყვნენ ყოველ გაჭირვებაში.

30 და რაც მოხდა, ეს მათი ხვედრი იყო, ჩავარდნილიყვნენ უფრო გულქვა და ქედფიცხელი ხალხის ხელში; ამიტომაც, ისინი არ უგდებდნენ ყურს მათ სიტყვებს და მათ გააძევეს ისინი და სცემეს და დევნიდნენ მათ სახლიდან სახლში, ადგილიდან ადგილზე, სანამ არ მიადწიეს მიდონის მიწას; და იქ ისინი შეიპყრეს და საპყრობილეში ჩაყარეს და შებოჭეს მაგარი თოკებით და ამყოფეს საპყრობილეში მრავალი დღის განმავლობაში და ლამონისა და ამონის მიერ იქნენ გამოსხნილნი.

ამბავი აარონის, მულოკისა და მათი ძმების ლამანიელთათვის ქადაგების შესახებ.

შეიცავს 21-დან 25-ე თავის ჩათვლით.

თავი 21

აარონი ასწავლის ამაღლეკიელებს ქრისტესა და მისი გამოსყიდვის შესახებ. აარონი და მისი ძმები დაპატიმრებულნი არიან მიდონში. თავიანთი გამოსხნის შემდეგ ისინი ასწავლიან

სინაგოგებში და მრავალთ მოაქცევენ. ლამონი უბოძებს ისმაელის მიწის ხალხს რელიგიურ თავისუფლებას. დაახლოებით 90-77 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 ახლა, როდესაც ამონი და მისი ძმები დაშორდნენ ერთმანეთს ლამანიელთა მიწის საზღვრებთან, აჰა, აარონი გაემართა მიწისკენ, რომელსაც ლამანიელნი უწოდებდნენ იერუსალიმს, თავიანთი მამების წარმოშობის მიწის სახელწოდების მიხედვით; და ის იყო შორს და უერთდებოდა მორმონის საზღვრებს.

2 ახლა, ლამანიელებმა, ამაღეკიელებმა და ამულონის ხალხმა ააშენეს დიდი ქალაქი, რომელსაც იერუსალიმი ერქვა.

3 ახლა, ლამანიელები თავად იყვნენ საკმაოდ გულქვანი, მაგრამ ამაღეკიელები და ამულონიელები უფრო გულქვანი იყვნენ; ამიტომ, ისინი უბიძგებდნენ ლამანიელებს უფრო მეტი გულქვაობისკენ, რომ ისინი უფრო ჩაფლულიყვნენ სიბოროტესა და სისაძაგლეში.

4 და იყო ასე, რომ აარონი მოვიდა ქალაქ იერუსალიმში და პირველ რიგში ამაღეკიელებს დაუწყო ქადაგება. და დაუწყო მათ ქადაგება სინაგოგებში, რადგან მათ სინაგოგები ააშენეს ნეჰორიელთა წესის მიხედვით; რადგან მრავალი ამაღეკიელი

და ამულონიელი ნეჰორიელთა წესისა იყო.

5 ამიტომ, როგორც კი აარონი შევიდა მათ ერთ-ერთ სინაგოგაში, რათა ხალხისთვის ექადაგა და როდესაც მათ ელაპარაკებოდა, აჰა, ამაღეკიელი წამოდგა და დაიწყო მასთან დაპირისპირება სიტყვებით: რა არის ის, რაზედაც მოწმობ? იხილე შენ ანგელოზი? ჩვენ რატომ არ გვეცხადებიან ანგელოზები? ნუთუ ეს ხალხი არ არის ისეთივე კარგი, როგორიც შენი?

6 შენ ასევე ამბობ: თუ არ მოვინანიებთ - დავიღუპებით. საიდან იცი ჩვენი გულის ფიქრები და ზრახვები? საიდან იცი, რომ მონანიებისათვის გვაქვს მიზეზი? საიდან იცი, რომ ჩვენ არ ვართ სამართლიანი ხალხი? აჰა, ჩვენ ავაშენეთ საკურთხევლები და ერთად ვიკრიბებით, რათა თაყვანი ვცეთ ღმერთს. ჩვენ გვწამს, რომ ღმერთი გადაარჩენს ყოველ ადამიანს.

7 და ახლა, აარონმა მას უთხრა: გწამს თუ არა, რომ ძე ღვთისა მოვა კაცობრიობის ცოდვებისგან გამოსასყიდად?

8 და კაცმა მას უთხრა: ჩვენ არ გვწამს, რომ შენ იცი რაიმე ასეთი. ჩვენ არ გვწამს ამ უგუნური ჩვეულებებისა. ჩვენ არ გვწამს, რომ შენ იცი იმაზედ, რაც მოვა, ჩვენ არც ის გვწამს, რომ შენმა მამებმა და ასევე ჩვენმა მამებმა იცოდნენ იმის

შესახებ, რასაც ლაპარაკობდნენ, იმაზედ, რაც უნდა მოვიდეს.

9 ახლა, აარონმა დაიწყო მათთვის წმინდა წერილების ახსნა, ქრისტეს მოსვლისა და ასევე მკვდრეთით აღდგომის შესახებ, რომ არ იქნება კაცობრიობის გამოსყიდვა, გარდა ქრისტეს სიკვდილისა და ტანჯვის მეშვეობით და მისი სისხლის გამოსყიდვით.

10 და იყო ასე, რომ როდესაც მან დაიწყო მათთვის ამის ახსნა, ისინი მასზე ძალზედ განრისხდნენ და დაიწყეს მისი დაცინვა; და არ ისმენდნენ სიტყვებს, რომლებსაც ის მათ ეუბნებოდა.

11 ამიტომ, როდესაც მან იხილა, რომ ისინი არ უსმენდნენ მის სიტყვებს, ის გავიდა მათი სინაგოგიდან და წავიდა სოფელში, რომელსაც ეწოდებოდა ანი-ანტი და იქ იპოვა მულოკი, რომელიც მათ სიტყვას უქადაგებდა; ასევე ამაჰი და მისი ძმები. და ისინი მრავალთ ეკამათებოდნენ სიტყვის შესახებ.

12 და იყო ასე, რომ მათ იხილეს, რომ ხალხმა გაიქცავეა გული, ამიტომ ისინი წავიდნენ და მივიდნენ მიდონის მიწაზე. და მათ ბევრს უქადაგეს სიტყვა და რამდენიმემ იწამა სიტყვები, რომლებსაც ისინი ასწავლიდნენ.

13 ამისდა მიუხედავად, აარონი და მისი ძმებისაგან რამდენიმე შეიპყრეს და საჰყრობილეში ჩაყარეს და დანარჩენნი მიდონის მიწიდან გაიქცნენ შემოგარენში.

14 და მათ, რომლებიც საჰყრობილეში ჩაყარეს, გადაიტანეს მრავალი რამ და გამოხსნილ იქნენ ლამონისა და ამონის ხელით; და ისინი დააპურეს და შემოსეს.

15 და ისინი კვლავ წინ წავიდნენ, რათა სიტყვა ეუწყებინათ; და ამგვარად, ისინი პირველად გამოხსნილ იქნენ საჰყრობილედან; და ასე დაიტანჯნენ ისინი.

16 და ისინი წინ მიდიოდნენ, სადაც კი უფლის სული გაუძღვებოდათ, ქადაგებდნენ რა ღვთის სიტყვას ამაღლეკიელთა ყოველ სინაგოგაში ან ლამანიელთა ყოველ შეკრებაზე, სადაც შეიძლებოდა მათი დასწრება.

17 და იყო ასე, რომ უფალმა დაიწყო მათი კუროთხევა, ისე, რომ მრავალი მოიყვანეს ჭეშმარიტების ცოდნისკენ, დიახ, მათ ბევრი დაარწმუნეს საკუთარი ცოდვებისა და მათი მამების ჩვეულებების შესახებ, რომლებიც არასწორი იყო.

18 და იყო ასე, რომ ამონი და ლამონი დაბრუნდნენ მიდონის მიწიდან ისმაელის მიწაზე, რომელიც მათი მემკვიდრეობის მიწა იყო.

19 და მეფე ლამონმა არ დაუშვა, რომ ამონს ემსახურა მისთვის ან ყოფილიყო მისი მსახური.

20 მაგრამ ბრძანა, ისმაელის მიწაზე აშენებულყო სინაგოგები; და ბრძანა, რომ მისი ხალხი ანუ ხალხი, რომელიც

იმყოფებოდა მისი მმართველობის ქვეშ, ერთად შეკრებილიყო.

21 და მას უხაროდა მათ გამო და ასწავლიდა ბევრ რამეს. და მან ასევე აუწყა მათ, რომ ისინი არიან მისი მმართველობის ქვეშ მყოფი ხალხი და რომ არიან თავისუფალი ხალხი და არიან თავისუფალნი მისი მამის, მეფის, ჩაგვრისგან; რადგან მისმა მამამ უბოძა მას, ყოფილიყო ხალხის მმართველი, რომელიც იყო ისმაელის მიწაზე და მის შემოგარენში.

22 და მან ასევე აუწყა მათ, რომ შეეძლოთ თავისუფალნი ყოფილიყვნენ თავიანთი უფალი ღმერთის თაყვანისცემაში, საკუთარი სურვილის შესაბამისად, სადაც არ უნდა ყოფილიყვნენ, თუ ეს იქნებოდა მიწაზე, რომელზეც მეფე ლამონი მმართველობდა.

23 და ამონმა უქადაგა მეფე ლამონის ხალხს; და იყო ასე, რომ მან ასწავლა ყველაფერი, რაც ეხებოდა სამართლიანობას. და მთელი სიბეჯითით მათ ყოველდღიურად ამხნევებდა; და ისინი ყურადღებით უსმენდნენ მის სიტყვას და იყვნენ გულმოდგინეი ღმერთის მცნებების დაცვაში.

თავი 22

აარონი ასწავლის ლამონის მამას შექმნის, ადამის დაცემის და ქრისტეს მეშვეობით

გამოსყიდვის გემის შესახებ. მეფე და მთელი მისი ოჯახი რწმენაში მოიქცევიან. განმარტებულია მიწის გაყოფა ნეფელთა და ლამანიელთა შორის. დაახლოებით 90-77 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 ახლა, როდესაც ამონი ამგვარად განუწყვეტილად ასწავლიდა ლამონის ხალხს, ჩვენ დავუბრუნდებით აარონისა და მისი ძმების ჩანაწერებს; რადგან მას შემდეგ, რაც იგი გაემგზავრა მიდონის მიწიდან, მას მიუძღვოდა სული ნეფის მიწისაკენ, მეფის სახლამდეც კი, რომელიც მმართველობდა მთელს მიწაზე, ისმაელის მიწის გარდა; და იგი იყო ლამონის მამა.

2 და ეს იყო ასე, რომ იგი შევიდა მასთან მეფის სასახლეში თავის ძმებთან ერთად და ქედი მოიხარა მეფის წინაშე და უთხრა: აჰა, მეფეო, ჩვენ ვართ ამონის ძმები, რომლებიც შენ საპყრობილიდან გამოიხსენი.

3 და ახლა, მეფეც, თუ შენ დაინდობ ჩვენს სიცოცხლეს, ვიქნებით შენი მსახურნი. და მეფემ მათ უთხრა: წამოდექით, რადგან მე გიბოძებთ სიცოცხლეს და არ დავუშვებ, რომ თქვენ იყოთ ჩემი მსახურნი; მაგრამ მე მოვითხოვ, რომ დამეხმაროთ; რადგან ფიქრებში შეცბუნებული ვარ თქვენი ძმის, ამონის სულგრძელობისა და მისი სიტყვების დიდების გამო; და მე მსურს ვიცოდე, რა

მიზეზით არ მოვიდა იგი მიდრიდან თქვენთან ერთად.

4 და აარონმა უთხრა მეფეს: აჰა, უფლის სულმა მას მოუწოდა სხვა გზისკენ; იგი წავიდა ისმაელის მიწაზე, რათა ასწავლოს ლამონის ხალხს.

5 ახლა, მეფემ მათ უთხრა: რა თქვით უფლის სულის შესახებ? აჰა, ეს არის ის, რაც მე მაწუხებს.

6 და ასევე, რა არის ის, რაც ამონმა თქვა: თუ მოინანიებთ – გადარჩებით და თუ არ მოინანიებთ – გაძევებულნი იქნებით უკანასკნელ დღეს?

7 და აარონმა უპასუხა და უთხრა: თუ გწამს, რომ ღმერთი არსებობს? და მეფემ თქვა: მე ვიცი, ამაღლეილები ამბობენ, რომ ღმერთი არსებობს და მე ნება დავრთე მათ, აეშენებინათ სამლოცველოები, რათა ერთად შეკრებილიყვნენ, რომ თაყვანი ეცათ მისთვის. და თუ შენ ამბობ, რომ ღმერთი არსებობს – აჰა მე ვიწამებ.

8 და ახლა, როდესაც აარონმა ეს მოისმინა, მისმა გულმა გაიხარა და მან თქვა: აჰა, ეს ისეთივე ჭეშმარიტებაა, როგორც შენ ხარ ცოცხალი, მეფეო, ასევე არსებობს ღმერთი.

9 და მეფემ თქვა: ნუთუ ღმერთი არის ის დიადი სული, რომელმაც გამოიყვანა ჩვენი მამები იერუსალიმიდან?

10 და აარონმა მას უთხრა: დიახ, ის არის ის დიადი სული

და მან შექმნა ყველაფერი როგორც ზეცაში, ასევე მიწაშიც. გწამს ამის?

11 და მან თქვა: დიახ, მე მწამს, რომ დიადმა სულმა შექმნა ყველაფერი და მე მსურს, რომ შენ მომიყვე ამ ყველაფრის შესახებ და მე ვიწამებ შენს სიტყვებს.

12 და იყო ასე: როდესაც აარონმა დაინახა, რომ მეფე იწამებს მის სიტყვებს, მან დაიწყო ადამის შექმნიდან, უკითხავდა რა მეფეს წმინდა წერილებს, თუ როგორ შექმნა ღმერთმა ადამიანი საკუთარ ხატად და რომ ღმერთმა მისცა მას მცნებები და რომ შეცოდების გამო ადამიანი დაეცა.

13 და აარონი უხსნიდა მას წმინდა წერილებს ადამის შექმნიდან, განუმარტავდა რა ადამიანის დაცემასა და მის ხორციელ მდგომარეობას და ქრისტეს მეშვეობით გამოსყიდვის გეგმას, რომელიც მომზადებული იყო ქვეყნის დასაბამიდან, ყველასთვის, ვინც იწამებს მის სახელს.

14 და ვინაიდან ადამიანი დაეცა, მას არ შეეძლო თავად დაემსახურებინა რაიმე; მაგრამ ქრისტეს ტანჯვა და სიკვდილი გამოისყიდის მათ ცოდვებს რწმენითა და მონანიებით და ასე შემდეგ; და რომ ის დაამსხვრევს სიკვდილის ბორკილებს, რათა საფლავმა არ გაიმარჯვოს, რათა სიკვდილის ნესტარი შთაინთქას დიდების

იმედში; და აარონმა ეს ყველაფერი მეფეს აუხსნა.

15 და იყო ასე, რომ მას შემდეგ, რაც აარონმა მას აუხსნა ეს ყველაფერი, მეფემ თქვა: რა უნდა გავაკეთო, რომ ვიქონიო მარადიული სიცოცხლე, რომლის შესახებაც შენ ლაპარაკობდი? დიახ, რა უნდა მოვიმოქმედო, რომ ღვთისგან ვიშვა, მკერდიდან ამ ბოროტი სულის მოსათხრელად და მივიღო მისი სული, რათა აღვივსო სიხარულით, რომ უკანასკნელ დღეს არ ვიქნა გაძევებული? აჰა, მან თქვა: მე დავთმობ ყველაფერს, რაც მებადია, დიახ, მე დავთმობ ჩემს სამეფოს, რათა მივიღო ეს დიდი სიხარული.

16 მაგრამ აარონმა მას უთხრა: თუ შენ გსურს ეს ყველაფერი, თუ შენ ქედს მოიხრი ღმერთის წინაშე, დიახ, თუ მოინანიებ შენს ყველა ცოდვას და ქედს მოიხრი ღმერთის წინაშე და რწმენით შეჰღადადე მის სახელს, იწამებ რა, რომ მიიღებ, მაშინ მიიღებ იმ იმედს, რომელსაც მოისურვებ.

17 და იყო ასე, რომ როდესაც აარონმა თქვა ეს სიტყვები, მეფემ, დაჩოქილმა, ქედი მოიხარა უფლის წინაშე: დიახ, მიწაზეც დაემხო და მხურვალედ შეჰღადადა სიტყვებით:

18 ღმერთო, აარონმა მითხრა, რომ ღმერთი არსებობს; და თუ ღმერთი არსებობს და თუ შენ ხარ ღმერთი, შემაცნობინე შენი თავი და დავთმობ ყველა

ცოდვას, რათა შეგიცნო და შევძლო მკვდრეთით აღდგომა და გადავრჩე უკანასკნელ დღეს. და ახლა, როდესაც მეფემ ეს სიტყვები თქვა, იგი დაეცა, ვითარცა მკვდარი.

19 და იყო ასე, რომ მისი მსახურები გაიქცნენ და დედოფალს უთხრეს ყველაფერი, რაც მეფეს დაემართა. და იგი მოვიდა მეფესთან; და როდესაც იხილა იგი განრთხმული, ვითარცა მკვდარი და ასევე აარონი და მისი ძმები, მდგომნი ისე, თითქოს ისინი იყვნენ მისი დაცემის მიზეზი, დედოფალი განრისხდა მათზე და ბრძანა, რომ მისმა ანუ მეფის მსახურებმა, შეიპყრონ ისინი და დახოცონ.

20 ახლა, მსახურებმა მეფის დაცემის მიზეზი დაინახეს, ამიტომ ვერ ბედავდნენ აარონზე და მის ძმებზე ხელის აღმართვას; და ისინი შეეხვეწნენ დედოფალს სიტყვებით: რატომ გვიბრძანებ ამ კაცების დახოცვას, როდესაც აჰა, ერთი მათგანი უფრო ძლიერია, ვიდრე ჩვენ ყველანი ერთად? ამიტომ, ჩვენ მათ წინაშე დავეცემით.

21 ახლა, როდესაც დედოფალმა იხილა მსახურთა შიში, მასაც ასევე ძალზედ შეეშინდა, რომ მასზედ არ მოვლენილიყო რაიმე ბოროტი. და მან უბრძანა თავის მსახურებს, რომ წასულიყვნენ და ხალხისთვის დაეძახათ, რათა მათ დაეხოცათ აარონი და მისი ძმები.

22 ახლა, როდესაც აარონმა იხილა დედოფლის შეუპოვრობა, იცოდა რა ხალხის გულქვაობის შესახებ, შეეშინდა, რომ არ შეკრებილიყვნენ ერთად მრავალნი და მათ შორის არ მომხდარიყო დიდი განხეთქილება და არეულობა, ამიტომ, მან გაიწოდა ხელი და მეფე მიწიდან წამოაყენა და უთხრა: ადექი. და ის ფეხზე დადგა, მიიღო რა ძალ-ღონე.

23 ახლა, ეს მოხდა დედოფლისა და მისი მრავალი მსახურის თანდასწრებით. და როდესაც მათ ეს იხილეს, დიდად გაოცდნენ და შეეშინდათ. და მეფე წინ გამოვიდა და მიმართა მათ. და იგი მოძღვრავდა მათ ისე, რომ მთელი ოჯახი მოიქცა უფლის რწმენაში.

24 ახლა, დედოფლის ბრძანების გამო, იქ მრავალნი შეიკრიბნენ და მათ შორის წარმოიქმნა დიდი უკმაყოფილება აარონისა და მისი ძმების გამო.

25 მაგრამ მეფე გამოვიდა წინ მათ შორის და მათ ემსახურა. და ისინი დამშვიდდნენ აარონისა და მათ გამო, ვინც მასთან იყო.

26 და იყო ასე, რომ როდესაც მეფემ იხილა, რომ ხალხი დამშვიდდა, მან ბრძანა, რომ აარონი და მისი ძმები წინ დამდგარიყვნენ ხალხში, რათა მათთვის სიტყვა ექადაგათ.

27 და იყო ასე, რომ მეფემ გაავაზვნა მთელს მიწაზე მოწოდება, მთელ თავის ხალხში, რომლებიც იყვნენ მის მიწაზე, რომლებიც

იყვნენ მთელ შემოგარენში, რომელიც ზღვასაც კი ესაზღვრებოდა აღმოსავლეთითა და დასავლეთით და რომელიც გაყოფილი იყო ზარაჰემლას მიწიდან უდაბნოს ვიწრო ზოლით, რომელიც მოდიოდა აღმოსავლეთის ზღვიდან დასავლეთის ზღვამდე და ზღვის სანაპიროს ნაპირებამდე და უდაბნოს საზღვრებამდე, რომელიც იყო ზარაჰემლას მიწის ჩრდილოეთით, მანტის საზღვრებს იქით, სიდონის მდინარის სათავეში, მიმდინარე აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ; ასე იყვნენ ლამანიელები და ნეფიელები გაყოფილნი.

28 ახლა, ლამანიელთა უფრო ზარმაცი ნაწილი ცხოვრობდა უდაბნოში და იმყოფებოდა კარვებში; და ისინი გაფანტულნი იყვნენ უდაბნოში დასავლეთით, ნეფის მიწაზე; დიახ, ასევე ზარაჰემლას მიწის დასავლეთისკენ, ზღვის სანაპიროს მიდამოებში და ნეფის მიწის დასავლეთით, მათი მამების პირველი მემკვიდრეობის ადგილზე და ამგვარად ესაზღვრებოდა ზღვის სანაპიროს.

29 და ასევე იყო მრავალი ლამანიელი აღმოსავლეთით ზღვის სანაპიროზე, სადაც ისინი ნეფიელებმა განდევნეს. ამგვარად, ნეფიელები თითქმის გარშემორტყმულნი იყვნენ ლამანიელებით, ამისდა მიუხედავად, ნეფიელები დაეუფლნენ მიწის ჩრდილოეთის ყველა ნაწილს,

უდაბნოს საზღვრებთან და მდინარე სიდონის სათავესთან, აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ, უდაბნოს ნაპირის გაყოფებით ჩრდილოეთში, სანამ არ მოვიდნენ იმ მიწაზე, რომელსაც უწოდეს ბარაქიანი.

30 და ის ესაზღვრებოდა მიწას, რომელსაც უწოდეს აოხრებული, რომელიც იმდენად შორს იყო ჩრდილოეთით, რომ აღწევდა მიწას, რომელიც ოდესღაც იყო დასახლებული და განადგურებული, რომელთა ძვლებიც ჩვენ მოვიხსენიეთ, რომლებიც აღმოაჩინა ზარაკემლას ხალხმა, ეს იყო მათი გადმოსხმის პირველი ადგილი.

31 და ისინი მოვიდნენ იქიდან, სამხრეთის უდაბნოში. ამგვარად, ჩრდილოეთისკენ მიწას ეწოდა აოხრებული და მიწას სამხრეთისკენ ეწოდა ბარაქიანი, რადგან ის მიწა სავსე იყო ყველანაირი გარეული ცხოველებით, ყოველი ჯიშის, რომელთა ნაწილი ჩრდილოეთის მიწიდან მოვიდა საკვებისთვის.

32 და ახლა, ეს დღენახევრის სავალი იყო ნეფიელისათვის, მანძილი აღმოსავლეთსა და დასავლეთ ზღვებს შორის, ბარაქიანსა და აოხრებულ მიწებს შორის; ამგვარად, ნეფის მიწა და ზარაკემლას მიწა იყო თითქმის წყლით გარშემორტყმული და იყო პატარა ხმელეთის ყელი ჩრდილოეთისა და სამხრეთის მიწებს შორის.

33 და იყო ასე, რომ ნეფიელებმა დაასახლეს მიწა ბარაქიანი, აღმოსავლეთიდან დასავლეთის ზღვისკენაც კი; და ასე ნეფიელებმა სიბრძნით, გუშაგებითა და ჯარებით შემოზღუდეს ლამანიელები სამხრეთით, რათა მათ აღარ ჰქონოდათ მამული ჩრდილოეთისკენ, რომ ჩრდილოეთისკენ ვეღარ დაეპყროთ მიწები.

34 ამიტომ, ლამანიელებს აღარ შეეძლოთ ჰქონოდათ არანაირი მამული, გარდა ნეფის მიწისა და უდაბნოს გარშემო. ახლა, ასე იყო ნეფიელთა სიბრძნის შედეგად, ვინაიდან ლამანიელები მათთვის იყვნენ მტრები და არ სურდათ ყოველი მხრიდან მათი შემოტევების მოგერიება; ასევე, რათა მათ ჰქონოდათ ქვეყანა, საითაც შეძლებდნენ გაქცევას, სურვილის შესაბამისად.

35 ახლა, ვთქვი რა ეს ყველაფერი, ვუბრუნდები ამონისა და აარონის, ომნერისა და ხიმნის და მათი ძმების ამბავს.

თავი 23

გამოცხადებულია რელიგიური თავისუფლება. შვიდ მიწაზე და ქალაქზე, ლამანიელნი რწმენაში არიან მოქცეულნი. ისინი თავიანთ თავს უწოდებენ ანტი-ნეფი-ლეხიელებს და წყევლისგან განთავისუფლებულნი არიან. ამაღლეკიელები და ამულონიელები უარყოფენ ჭეშმარიტებას. დაახლოებით

90-77 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 აპა, ახლა, იყო ასე, რომ ღამანიელთა მეფემ გააგზავნა მოწოდება მთელს თავის ხალხში, რომ ხელი არ აღემართათ ამონზე, აარონზე, ომნერზე ან ხიმნიზე, არცერთ მათ ძმაზე, რომლებიც წავიდოდნენ ღმერთის სიტყვის საქადაგებლად, სადაც არ უნდა ყოფილიყვნენ, მათი მიწის ნებისმიერ ნაწილში.

2 დიახ, მან გაუგზავნა ბრძანება, არ აღემართათ ხელი მათ შესაბოჭად ან საპყრობილეში ჩასაგდებად, არც უნდა ეფურთხებინათ მათთვის, არც ეცემათ, არც თავიანთი სინაგოგებიდან არ უნდა გაეძევებინათ, არც გაემართახებინათ და არც ქვები დაეშინათ, არამედ უნდა ჰქონოდათ თავისუფლად შესვლის უფლება მათ სახლებში, ასევე მათ ტაძრებსა და სამლოცველოებში.

3 ამგვარად, მათ შეეძლოთ ევლოთ და ექადაგათ სიტყვა თავიანთი სურვილისამებრ, რადგან მეფე მოქცეული იყო უფლის რწმენაში და მთელი მისი ოჯახიც; ამიტომ, მან გაუგზავნა მოწოდება თავის ხალხს მთელ მიწაზე, რათა ღვთის სიტყვას არ ჰქონოდა არანაირი წინააღმდეგობა, არამედ, რომ მთელ მიწაზე გავრცელებულიყო, რათა მისი ხალხი დარწმუნებულიყო თავიანთი მამების წეს-ჩვეულებების

ბოროტებაში და იმაში, რომ ისინი ყველანი ძმები არიან და არ უნდა ჰკლან, არ გაძარცვონ, არ იქურდონ და არ იმრუშონ, რათა არ ჩაიდინონ რაიმე სიბოროტე.

4 და ახლა, იყო ასე, რომ როდესაც მეფემ გააგზავნა მოწოდება, აარონი და მისი ძმები დადიოდნენ ქალაქიდან ქალაქში, ერთი სამლოცველო სახლიდან მეორეში, აარსებდნენ რა ეკლესიებს და აკურთხებდნენ მღვდლებსა და მასწავლებლებს მთელ მიწაზე ღამანიელთა შორის, რათა მათ შორის ექადაგათ და ესწავლებინათ ღვთის სიტყვა; და ამგვარად, მათ დაიწყეს დიდი წარმატების მიღწევა.

5 და ათასები იქნენ მიყვანილნი უფლის ცოდნამდე, დიახ, ათასები იქნენ მიყვანილნი, რათა ერწმუნათ ნეფიელთა ჩვეულებები; და მათ ასწავლიდნენ ჩანაწერებსა და წინასწარმეტყველებებს, რომლებმაც გადმოცემით მოაღწიეს დღევანდელ დღემდე.

6 და ისე, როგორც ცოცხალია უფალი, ისევე ჭეშმარიტია, რომ მათ, ვინც იწამეს ანუ ყველა, ვინც მიყვანილი იქნა ჭეშმარიტების ცოდნამდე, ამონისა და მისი ძმების ქადაგებების მეშვეობით, შესაბამისად გამოცხადების სულისა და წინასწარმეტყველებისა და ღმერთის ძალის, რომელიც მათში სასწავლებს ახდენს – დიახ, მე გეუბნებით: ისე, როგორც ცოცხალია

უფალი, ისე ყველა ლამანიელი, რომელმაც იწამა მათი ქადაგება და მოქცეულ იქნა უფლის რწმენაში, არასდროს აღარ ასცდნია გზას.

7 რადგან იქცნენ მართალ ხალხად; დათმეს თავიანთი ჯანყის იარაღი, ისე, რომ მეტად აღარ იბრძოდნენ არც ღმერთისა, არც რომელიმე თავიანთი ძმების წინააღმდეგ.

8 ახლა, ესენი არიან, რომლებიც მოიქცნენ უფლის რწმენაში:

9 ლამანიელთა ხალხი, რომელიც იყო ისმაელის მიწაზე;

10 და ასევე ლამანიელთა ხალხი, რომელიც იყო მიდონის მიწაზე;

11 და ასევე ლამანიელთა ხალხი, რომელიც იყო ნეფის ქალაქში;

12 და ასევე ლამანიელთა ხალხი, რომელიც იყო შილომის მიწაზე და ისინი, რომლებიც იყვნენ შემლონის მიწაზე და ასევე ლემუელის ქალაქში და შიმნილომის ქალაქში.

13 და ეს არის ლამანიელთა ქალაქების სახელწოდებები, რომლებიც უფლის რწმენაში მოიქცნენ; და ესენი არიან, რომლებმაც დათმეს თავიანთი ჯანყის იარაღი, დიახ, მთელი თავიანთი საომარი იარაღი; და ისინი ყველანი ლამანიელები იყვნენ.

14 და ამაღეკიელები არ იქნენ მოქცეულნი, გარდა ერთისა; ასევე არცერთი ამჟღონიელთაგან; მაგრამ მათ გაიქვავეს

გული, ასევე ლამანიელებს გაუქვავეს გული მიწის იმ ნაწილში, სადაც ისინი ცხოვრობდნენ, დიახ, მათ ყველა სოფელსა და ქალაქში.

15 ამიტომ, ჩვენ მოვიხსენიეთ ლამანიელთა ყველა ქალაქი, სადაც მათ მოინანიეს და მოვიდნენ ჭეშმარიტების ცოდნისკენ და მოქცეულ იქნენ.

16 და ახლა, იყო ასე, რომ მეფეს და მათ, რომლებიც მოქცეულ იქნენ, სურდათ, რომ სახელი რქმეოდათ, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა მათი განსხვავება თავიანთი ძმებისგან; ამიტომ, მეფემ ითათბირა აარონთან და მათ მრავალ მღვდელთან, იმ სახელის შესახებ, რომელიც მათ უნდა დარქმეოდათ, რათა ყოფილიყვნენ განსხვავებულნი.

17 და იყო ასე, რომ მათ დაირქვეს სახელი – ანტი-ნეფილები; და იწოდებოდნენ ამ სახელით და მათ აღარ უწოდებდნენ ლამანიელებს.

18 და ისინი გახდნენ ძალზედ შრომისმოყვარე ხალხი; დიახ, და ისინი იყვნენ ნეფიელების მიმართ კეთილგანწყობილნი; ამიტომ, ისინი დამეგობრდნენ და მათ ღმერთის წყევლა აღარ მისდევდათ.

თავი 24

ლამანიელები გამოდიან ღმერთის ხალხის წინააღმდეგ. ანტი-

ნეფი-ლექიელები ხარობენ ქრისტეში და მათ ეწვევიან ანგელოზები. ისინი თავის დაცვას სიკვდილს არჩევენ. უფრო მეტი ლამანიელი მოიქცევა რწმენაში. დაახლოებით 90-77 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და იყო ასე, რომ ამაღეიკიელებში და ამულონიელებში და ლამანიელებში, რომლებიც იყვნენ ამულონის მიწაზე, ასევე ჰელამის მიწაზე და ისინი, რომლებიც იყვნენ იერუსალიმის მიწაზე ანუ გარშემო მთელს მიწაზე, რომლებიც არ მოიქცნენ რწმენაში და არ დაირქვეს სახელად ანტი-ნეფი-ლექი, ამაღეიკიელებმა და ამულონიელებმა მათში წყრომა გაადვივეს თავიანთი ძმების წინააღმდეგ.

2 და მათი მრისხანება ძალზედ გაღვივდა მათ წინააღმდეგ, იმდენადაც კი, რომ მათ დაიწყეს მეფის წინააღმდეგ ჯანყი ისე, რომ აღარ უნდოდათ, იგი მათი მეფე ყოფილიყო; ამიტომ, მათ აღმართეს იარაღი ანტი-ნეფი-ლექის ხალხის წინააღმდეგ.

3 ახლა, მეფემ გადასცა სამეფო თავის შვილს და მას უწოდა ანტი-ნეფი-ლექი.

4 და მეფე მოკვდა იმავე წელს, როდესაც ლამანიელებმა დაიწყეს ომისათვის მზადება ღმერთის ხალხის წინააღმდეგ.

5 ახლა, როდესაც ამონმა და მისმა ძმებმა და ყველამ, ვინც მათთან ერთად მოვიდა, იხილეს

ლამანიელთა მზადება მათი ძმების გასანადგურებლად, ისინი წავიდნენ მიდიანის მიწაზე და იქ ამონი შეხვდა თავის ყველა ძმას; და იქიდან ისინი მივიდნენ ისმაელის მიწაზე, რათა ეთათბირათ ლამონთან და ასევე მის ძმასთან, ანტი-ნეფი-ლექისთან, იმის შესახებ, რა უნდა მოემოქმედათ ლამანიელებისაგან თავის დასაცავად.

6 ახლა, მთელ ხალხში არ იყო არცერთი სული, რომელიც მოიქცა უფლის რწმენაში, რომელიც აღმართავდა იარაღს თავისი ძმების წინააღმდეგ; არა, ისინი არც კი ემზადებოდნენ ომისთვის; დაიხ, ასევე უბრძანა მეფემაც, რომ ეს არ გაეკეთებინათ.

7 ახლა, ეს არის სიტყვები, რომლებიც მან უთხრა ხალხს ამის შესახებ: მე მადლობას ვუხდი ჩემს ღმერთს, ჩემო საყვარელო ხალხო, რომ ჩვენმა დიდმა ღმერთმა თავისი სიკეთით მოგვიგზავნა ეს ჩვენი ძმები, ნეფიელები, რათა ექადაგათ ჩვენთვის და დავერწმუნებინეთ ჩვენი ძმების ჩვეულებების სიბოროტეში.

8 და აჰა, მე მადლობას ვუხდი ჩემს დიად ღმერთს, რომ მან გვიბოძა თავისი სულის ნაწილი, რათა მოეღობო ჩვენი გულები, რომ დავემგობრებულიყავით ამ ძმებთან, ნეფიელებთან.

9 და აჰა, მე ასევე მადლობას ვუხდი ჩემს ღმერთს, რომ ამ დამეგობრებით ჩვენ დავრწმუნდით

ჩვენს ცოდვებში და მრავალ მკვლელობაში, რომელნიც ჩვენ ჩავიდინეთ.

10 და მე ასევე მადლობას ვუხდი ჩემს ღმერთს, დიახ, დიად ღმერთს, რომ მან ნება გვიბოძა, მოგვენანიებინა ეს ყველაფერი და ასევე იმისათვის, რომ მან გვაპატიო ეს ჩვენი მრავალი ცოდვა და მკვლელობა, რომელნიც ჩვენ ჩავიდინეთ და გულუბიდან მოგვაცილა დანაშაული თავისი ძის მადლით.

11 და ახლა, აჰა, ჩემო ძმებო, რაკილა ეს არის ყველაფერი, რისი გაკეთებაც ჩვენ შეგვიძლია (რადგან მთელი კაცობრიობიდან ჩვენ თავად ვიყავით ყველაზე მეტად დაკარგულნი) რომ მოვინანიოთ ყველა ჩვენი ცოდვა და მრავალი მკვლელობა, რომლებიც ჩვენ ჩავიდინეთ და შეუთხოვით ღმერთს, მოგვაცილოს ისინი გულიდან, რადგან ეს იყო ყველაფერი, რისი გაკეთებაც შეგვიძლო, რათა საკმარისად მოგვენანიებინა ღმერთის წინაშე, რომ მას მოეცილებინა ჩვენი ლაქა -

12 ახლა, ჩემო საუკეთესო, საყვარელო ძმებო, ვინაიდან ღმერთმა მოგვაცილა ლაქები და ჩვენი ხმლები აელვარდა, მოდით ნუღარ დავსვრით ხმლებს ჩვენი ძმების სისხლით.

13 აჰა, გეუბნებით: არა, მოდით შევაკავოთ ხმლები, რათა არ დაისვაროს ჩვენი ძმების სისხლით; რადგან, თუ ჩვენ კვლავ

დავსვრით ჩვენს ხმლებს, ისინი ველარ განიწმინდება ისე, რომ აელვარდეს ჩვენი დიადი ღმერთის ძის სისხლით, რომელიც დაიდვრება ჩვენი ცოდვების გამოსასყიდად.

14 და დიადმა ღმერთმა შეგვიწყალა და გაგვანდო ეს ყველაფერი, რათა არ დავღუპულიყავით; დიახ, მან გაგვანდო ეს ყველაფერი წინასწარ, რადგან მას უყვარს ჩვენი სულები ისე, როგორც უყვარს ჩვენი შვილები; ამიტომ, თავისი მოწყალებით ის გვევლინება საკუთარი ანგელოზებით, რათა ხსნის გეგმა გახდეს ცნობილი ჩვენთვის, ასევე მომავალი თაობებისთვის.

15 როგორი მოწყალეა ჩვენი ღმერთი! და ახლა, აჰა, რადგან ეს არის ყველაფერი, რისი გაკეთებაც ჩვენ შეგვიძლია ჩვენივე ცოდვების მოსაცილებლად და ჩვენი ხმლების ასაელვარებლად, მოდით დავმალეთ ისინი, რათა დარჩნენ ელვარენი, როგორც დამოწმება ჩვენი ღმერთისადმი უკანასკნელ დღეს ანუ იმ დღეს, როდესაც მის წინაშე წარვსდგებით, რათა ვიქნეთ განკითხულნი, რომ არ დავსვარეთ ჩვენი ხმლები ძმების სისხლით მაშინ, როდესაც გაგვიზიარა თავისი სიტყვა და ამით განგვწმინდა.

16 და ახლა, ჩემო ძმებო, თუ ჩვენს ძმებს სურთ ჩვენი განადგურება, აჰა, ჩვენ დავმალავთ ხმლებს, დიახ, ჩვენ მათ მიწაში

ღრმადაც ჩავმარხავთ, რათა ისინი დარჩნენ მოელვარე, როგორც დამოწმება უკანასკნელ დღეს, რომ ჩვენ ისინი არასდროს არ გამოგვიყენებია; და თუ ჩვენი ძმები გაგვანადგურებენ, აჰა, ჩვენ წავალთ ჩვენს ღმერთთან და გადავრჩებით.

17 და ახლა, ეს იყო ასე, რომ როდესაც მევემ დაასრულა ეს სიტყვები და მთელი ხალხი იყო ერთად შეკრებილი, მათ აიღეს ხმლები და მთელი იარაღი, რომელიც ადამიანის სისხლის საღვრულად გამოიყენებოდა და ისინი მიწაში ღრმად დამარხეს.

18 და ასე მოიქცნენ ისინი, იყო რა ეს მათ თვალში დამოწმება ღმერთისათვის და ასევე ადამიანებისათვის, რომ ისინი აღარ გამოიყენებდნენ იარაღს ადამიანის სისხლის დასაღვრულად; და ასე მოიქცნენ ღმერთისთვის დასადასტურებლად და აღთქმისათვის, რომ ძმების სისხლის დაღვრის მაგივრად ისინი შესწირავდნენ საკუთარ სიცოცხლეს და იმის მაგივრად, რომ წაერთმიათ ძმისთვის, ისინი დათმობდნენ თავისას და იმის მაგივრად, რომ გაეტარებინათ დღეები სიზარმაცეში, ისინი ბევრს იშრომებდნენ საკუთარი ხელით.

19 და ამგვარად ვხედავთ, რომ როდესაც ეს ლამანიელები მოყვანილნი იქნენ რწმენისა და ჭეშმარიტების ცოდნისაკენ, ისინი იყვნენ მტკიცენი და

არჩევდნენ დატანჯულიყვნენ სიკვდილამდე, ვიდრე ჩაედინათ ცოდვა; და ამგვარად ვხედავთ, რომ მათ დამარხეს თავიანთი მშვიდობის იარაღი ანუ მათ ჩამარხეს საომარი იარაღი მშვიდობისათვის.

20 და იყო ასე, რომ მათი ძმები, ლამანიელები, მოემზადნენ ომისთვის და მოვიდნენ ნეფის მიწაზე მეფის განადგურების მიზნით, რათა სხვა დაესვათ მის მაგივრად და ასევე იმისთვის, რომ ანტი-ნეფი-ლეხის ხალხი აღეგავათ ამ მიწიდან.

21 ახლა, როდესაც ხალხმა იხილა, რომ ისინი მოდიოდნენ მათ წინააღმდეგ, გამოვიდნენ მათ დასახვედრად და მიწაზე განერთხნენ მათ წინაშე და მოუწოდებდნენ უფლის სახელს; და ასეთ მდგომარეობაში იყვნენ, როდესაც ლამანიელები თავს დაესხნენ და დაიწყეს მახვილებით მათი ხოცვა.

22 და ასე, არ შეხვდათ რა არანაირი წინააღმდეგობა, მათ დახოცეს ათას ხუთი მათგანი და ჩვენ ვიცით, რომ ისინი არიან კურთხეულნი, რადგან წავიდნენ თავიანთ ღმერთთან საცხოვრებლად.

23 ახლა, როდესაც ლამანიელებმა იხილეს, რომ მათი ძმები ხმალს არ გაუბოდნენ და არ ერიდებოდნენ მას არც მარცხნიდან და არც მარჯვნიდან, არამედ წვებოდნენ და იღუპებოდნენ და ადიდებდნენ ღმერთს,

მახვილით სიკვდილის დროსაც კი -

24 ახლა, როდესაც ლამანიელებმა ეს იხილეს, თავი შეიკავეს მათი ხოცვისაგან და იყვნენ ბევრნი, რომლებსაც გული აუჩუყდათ თავიანთი ძმებისთვის, რომლებიც მახვილის ქვეშ დაეცნენ, რადგან ინანიებდნენ იმას, რაც ჩაიდინეს.

25 და იყო ასე, რომ მათ დაყარეს საომარი იარაღი და აღარ სურდათ მისი აღება, რადგან სინდისი ქვეყნიდათ ჩადენილი მკვლევლობების გამო; და მიწაზე დაეშვნენ თავიანთი ძმებით, მიენდნენ მათ მოწყალებას, რომელთა იარაღიც აღმართული იყო მათ დასახოცად.

26 და იყო ასე, რომ იმ დღეს ღმერთის ხალხის რაოდენობა უფრო გაიზარდა, ვიდრე დახოცილთა რიცხვი და ისინი, რომლებიც დაიხოცნენ, იყვნენ მართალი ხალხი, ამიტომ არ გვაქვს მიზეზი დავუჭვდეთ იმაში, რომ ისინი გადარჩნენ.

27 და დახოცილთა შორის არ იყო ბოროტი ადამიანი; მაგრამ ათასზე მეტი მოყვანილ იქნა ჭეშმარიტების ცოდნამდე; ამგვარად ვხედავთ, რომ უფალი მოქმედებს მრავალი გზით თავისი ხალხის გადასარჩენად.

28 და ახლა, უმრავლესობა ლამანიელთა შორის, რომლებმაც დახოცეს ამდენი თავიანთი ძმა, იყვნენ ამაღლეკიელები და ამჟღონიელები, რომელთა

უმრავლესობა ნეჰორის ზნეჩვეულების მიმდევარი იყო.

29 ახლა, მათ შორის, ვინც შეუერთდა უფლის ხალხს, არ იყო არცერთი ამაღლეკიელი ან ამჟღონიელი ან ვინმე, რომელიც მისდევდა ნეჰორის წესს, არამედ იყვნენ ლამანისა და ლემუელის პირდაპირი შთამომავლები.

30 და ასე, ჩვენ ნათლად ვხედავთ, რომ მას შემდეგ, რაც ხალხი, რომელიც ერთხელ განათლდა ღმერთის სულით და ჰქონდა დიდი ცოდნა სამართლიანობის შესახებ და შემდეგ ჩავარდა ცოდვაში და შეცოდებაში, გახდა უფრო მეტად ხისტი და ამგვარად, მათი მდგომარეობა ხდება იმაზე უარესი, ვიდრე იქნებოდა მაშინ, თუ არ ეცოდინებოდათ ყოველივე ამის შესახებ.

თავი 25

ლამანიელთა აგრესია იზრდება. ნოეს მღვდელთა შთამომავლობა იღუპება ისე, როგორც აბინადიმ იწინასწარმეტყველა. მრავალი ლამანიელი მოიქცა და შეუერთდა ანტი-ნეფი-ლების ხალხს. მათ სწამთ ქრისტე და იცავენ მოსეს რჯულს. დაახლოებით 90-77 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და აჰა, ახლა იყო ასე, რომ ის ლამანიელები იყვნენ უფრო განრისხებულნი, რადგან დახოცეს საკუთარი ძმები; ამიტომ, მათ დაიფიცეს, რომ შერს

იძიებდნენ ნეფიელებზე; და იმ დროს აღარ ცდილობდნენ ანტი-ნეფი-ლექის ხალხის ხოცვას.

2 მაგრამ მათ წაიყვანეს საკუთარი ჯარი და მივიდნენ ზარაჰემლას მიწის საზღვრებთან და თავს დაესხნენ ხალხს, რომელნიც იყვნენ ამონიჰაჰის მიწაზე და გაანადგურეს ისინი.

3 და მას შემდეგ, მათ ჰქონდათ მრავალი ბრძოლა ნეფიელებთან, სადაც მათ სდევნიდნენ და ხოცავდნენ.

4 და იმ ლამანიელთა შორის, რომლებიც დახოცილნი იქნენ, იყო ამულონისა და მისი ძმების თითქმის მთელი შთამომავლობა, რომელნიც იყვნენ ნოეს მღვდლები და ისინი ნეფიელთა ხელით იქნენ დახოცილნი;

5 და დანარჩენებმა, გაიქცნენ რა აღმოსავლეთ უდაბნოში და მიიტაცეს ხელისუფლება და უფლებამოსილება ლამანიელებზე, ბრძანეს, რომ მრავალი ლამანიელი დაღუპულიყო ცეცხლში მათი რწმენის გამო.

6 რადგან მრავალმა მათგანმა, გადაიტანა რა ამდენი დანაკარგი და გაჭირვება, იწყო გახსენება იმ სიტყვების, რომლებიც აარონმა და მისმა ძმებმა უქადაგეს მათ თავიანთ მიწაზე; ამიტომ, მათ დაიწყეს თავიანთი მამების ჩვეულებების უარყოფა და რწმენა უფალში და იმაში, რომ მან მისცა დიდი ძალა ნეფიელებს და ამგვარად მრავალი მათგანი იქნა უდაბნოში მოქცეული.

7 და იყო ასე, რომ იმ მმართ-ველებმა, რომლებიც შემორჩნენ ამულონის შვილებისგან, ბრძანეს, რომ ისინი დახოცავდნენ, დიახ, ყველას, ვინც იწამებდა ყოველივე ამას.

8 ახლა, ამ მოწამეობამ მრავალ მათ ძმაში გაადვივა წყრომა; და უდაბნოში განხეთქილება დაიწყო და ლამანიელებმა დაიწყეს ამულონისა და მისი ძმების შთამომავლებზე ნადირობა და მათი ხოცვა; და ისინი აღმოსავლეთ უდაბნოში გაიქცნენ.

9 და აჰა, ლამანიელები მათზე დღემდეც ნადირობენ. ასე ახდა აბინადის სიტყვები, რომელნიც მან თქვა მღვდელთა შთამომავლობაზე, რომელთა გამოც იგი ცეცხლში ტანჯვით მოკვდა.

10 რადგან მან უთხრა მათ: რასაც თქვენ მიზამთ, იქნება სიმბოლო იმისა, რაც მოვა.

11 და ახლა, აბინადი იყო პირველი, რომელიც ცეცხლისაგან სიკვდილით დაიტანჯა, ღმერთში თავისი რწმენის გამო; და აი ამას გულისხმობდა, რომ მრავალი დაიტანჯებოდა ცეცხლში სიკვდილით ისე, როგორც თავად დაიტანჯა.

12 და მან უთხრა ნოეს მღვდლებს, რომ მათი შთამომავლობა მრავალს დახოცავდა ისევე, როგორც მას; და მათ შორს გაფანტავდნენ და დახოცავდნენ ისე, როგორც უმწყემსო ცხვრებს სდევნიან და ხოცავენ გარეული მხეცები; და აჰა, ეს სი-

ტყეები ახდა, რადგან მათ სდევნიდნენ ლამანიელნი და მათზე ნადირობდნენ და სცემდნენ.

13 და იყო ასე, რომ როდესაც ლამანიელებმა იხილეს, რომ ვერ დასძლეოდნენ ნეფიელებს, ისინი კვლავ დაბრუნდნენ საკუთარ მიწაზე და მრავალი მათგანი ისმაელის და ნეფის მიწაზე მივიდა საცხოვრებლად და შეუერთდა ღმერთის ხალხს, რომელიც იყო ანტი-ნეფი-ლეხის ხალხი.

14 და მათ ასევე ჩამარხეს თავიანთი საომარი იარაღი, საკუთარი ძმებისამებრ და მართალ ხალხად იწყეს ცხოვრება და დადიოდნენ უფლის გზებით და ცდილობდნენ, დაეცვათ მისი მცნებები და წესები.

15 დიახ, ისინი იცავდნენ მოსეს რჯულს, რადგან საჭირო იყო, რომ ამ დრომდე მათ დაეცვათ მოსეს რჯული, რადგან ის მთლიანად ჯერ არ იყო აღსრულებული. მაგრამ მოსეს რჯულის მიუხედავად, ისინი ელოდნენ ქრისტეს მოსვლას, თვლიდნენ, რომ მოსეს რჯული იყო მისი მოსვლის სიმბოლო და სწამდათ, რომ მათ უნდა დაეცვათ ის გარეგნული ადათ-წესები იმ დრომდე, სანამ იგი მათ გამოეცხადებოდათ.

16 ახლა, მათ არ ეგონათ, რომ მოსეს რჯულით მოვიდოდა ხსნა, მაგრამ მოსეს რჯული ამტკიცებდა მათ რწმენას ქრისტეში და ასე ინარჩუნებდნენ ისინი მარადიული ხსნის იმედს, რწმენის

მეშვეობით, ენდობოდნენ რა წინასწარმეტყველების სულს, რომელიც ლაპარაკობდა იმაზე, რაც მოვა.

17 და ახლა, აჰა, ამონმა და აარონმა და ომნერმა და ხიმნიმ და მათმა ძმებმა ძალზედ გაიხარეს იმ წარმატებით, რომელსაც მათ მიაღწიეს ლამანიელთა შორის, ხედავდნენ რა, რომ უფალმა უბოძა მათ თავიანთი ღოცვების შესაბამისად და რომ ასევე მათ ყოველწაირად დაუმტკიცა თავისი სიტყვა.

თავი 26

ამონი ადიდებს უფალს. ერთგულნი ძლიერდებიან უფლის მიერ და მათ ეძლევათ ცოდნა. რწმენით ადამიანს შეუძლია ათასობით სულის მონანიება მდე მიყვანა. ღმერთს აქვს მთელი ძალა და სწვდება ყველაფერს. დაახლოებით 90-77 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და ახლა, ეს არის ამონის სიტყვა თავისი ძმების მიმართ: ჩემო ძმებო და ძმობილებო, აჰა, მე თქვენ გეუბნებით, რაოდენ დიდი მიზეზი გვაქვს სიხარულისთვის, რადგან განა შეგვეძლო წარმოგვედგინა, როდესაც ვიწყებდით ზარაპემლას მიწიდან, რომ ღმერთი ასეთ დიდ კურთხევებს გვიბოძებდა?

2 და ახლა, მე გეკითხებით, რა დიდი კურთხევები მოაგვლინა მან ჩვენზე? შეგიძლიათ თქვათ?

3 აჰა, მე ვუპასუხებ თქვენს მაგიერად; ჩვენი ძმები, ლამანიელნი, იყვნენ წყვილიადში, დიახ, უბნელეს უფსკრულში, მაგრამ, აჰა, რამდენი მათგანია მოყვანილი, რათა იხილოს ღმერთის საოცარი სინათლე! და ეს არის ჩვენზედ მოვლენილი კურთხევა, რომ გაეხდით იარაღად ღმერთის ხელში, რათა შეგვესრულებინა ეს დიდი საქმე.

4 აჰა, ათასობით მათგანი ხარობს და ღმერთის ფარაში არიან მოყვანილნი.

5 აჰა, მინდორი იყო მომწიფებული და ხართ კურთხეულნი, რადგან იქნევდით ნამგალს და მთელი თქვენი ძალით იმკიდით მოსავალს, დიახ, მთელი დღე შრომობდით; და აჰა, შეხედეთ, რამდენი ძნა შეგიკვირიათ! და ისინი შეგროვდება ბელელში, რათა არ განიავდეს.

6 დიახ, ისინი არ დაეცემა ქარიშხალში უკანასკნელ დღეს; დიახ, არც გრივალი არ ჩააგდებს მათ განსაცდელში; არამედ როდესაც ქარიშხალი მოვა, ისინი შეგროვდება ერთად თავის ადგილზე, რათა ქარიშხალმა ვერ ავნოს; დიახ, მათ ვერც საშინელი ქარები ვერ განდევნის იქით, საითაც მტერს სურს მათი წაყვანა.

7 მაგრამ, აჰა, ისინი არიან სამკლის უფლის ხელში და არიან მისი; და ის, უკანასკნელ დღეს, მათ აღამაღლებს.

8 კურთხეული იყოს ჩვენი

ღმერთის სახელი; მოდით ვიმღეროთ მისი სადიდებელი, დიახ, მოდით, მადლიერებით აღვაკლინოთ მისი წმინდა სახელი, რადგან იგი აღასრულებს სამართალს სამარადისოდ.

9 რადგან ჩვენ რომ არ წავსულიყავით ზარაპემლას მიწიდან, ეს ჩვენი ძალზედ საყვარელი ძმები, რომლებმაც ასე ძლიერად შეგვიყვარეს, კვლავ ეწამებოდნენ ჩვენს მიმართ სიძულვილის გამო, დიახ, და ასევე იქნებოდნენ უცხონი ღმერთისათვის.

10 და ეს იყო ასე, რომ როდესაც ამონმა თქვა ეს სიტყვები, მისმა ძმამ, აარონმა, უსაყვედურა, სიტყვებით: ამონ, მე ვშიშობ, რომ შენ სიხარულს მიჰყევხარ ტრაბახისკენ.

11 მაგრამ ამონმა მიუგო: მე არ ვტრაბახობ არც ჩემი ძალით და არც ჩემი სიბრძნით; მაგრამ, აჰა, ჩემი სიხარული არის სრული, დიახ, გული პირამდე ამევსო სიხარულით და გავიხარებ ჩემს ღმერთში.

12 დიახ, ვიცი, რომ ვარ არარაობა; ხოლო რაც შეეხება ჩემს ძალას, ვარ სუსტი; ამიტომ, არ ვტრაბახობ საკუთარი თავით, მაგრამ ვიტრაბახებ ჩემი ღმერთით, რადგან მისი ძალით შემიძლია ყველაფრის გაკეთება; დიახ, აჰა, მრავალი ძლიერი სასწაული მოვახდინეთ ამ მიწაზე, რის გამოც ჩვენ სამუდამოდ განვადიდებთ მის სახელს.

13 აჰა, რამდენი ათასი ჩვენი

ძმა გამოეხსნა ჯოჯოხეთის ტკივილს; და მოყვანილნი არიან, რათა იგალობონ გამომსყიდველი სიყვარული და ეს მისი სიტყვის ძალის გამო, რომელიც არის ჩვენში, ამიტომ, ნუთუ არ გვაქვს დიდი სიხარულის მიზეზი?

14 დიახ, ჩვენ გვაქვს მიზეზი, ვადიდოთ იგი მარადის, რადგან ის არის უხენაესი ღმერთი და მან ჩვენი ძმები ჯოჯოხეთის ჯაჭვებისგან გამოიხსნა.

15 დიახ, ისინი გარშემორტყმულნი იყვნენ მარადიული წყვდიადითა და განადგურებით; მაგრამ, აჰა, მან ისინი მოიყვანა მარადიულ სინათლეში, დიახ, მარადიულ ხსნაში და გარშემორტყმულნი არიან მისი უბადლო სიყვარულის მადლით; დიახ, და ჩვენ ვიყავით იარაღი მის ხელში, ამ დიადი და საოცარი საქმის კეთებისას.

16 ამიტომ, მოდით ვადიდოთ, დიახ, ჩვენ ვადიდებთ უფალს; დიახ, გავიხარებთ, რადგან ჩვენი სიხარული არის სავსე; დიახ, ჩვენ სამუდამოდ ვადიდებთ ჩვენს ღმერთს. აჰა, ვის შეუძლია, ზედმეტად ადიდოს უფალი? დიახ, ვის შეუძლია, თქვას მეტისმეტი მის დიდ ძალაზე და მის წყალობაზე და მის სულგრძელობაზე ადამიანთა შვილების მიმართ? აჰა, მე თქვენ გეუბნებით, მე მცირედის თქმაც კი არ შემიძლია იმისა, რასაც ვგრძნობ.

17 ვის შეეძლო ეფიქრა, რომ

ჩვენი ღმერთი იქნებოდა ისეთი მოწყალე, რომ ამოგვიყვანდა ჩვენი საშინელი ცოდვით სავსე დაბინძურებული მდგომარეობიდან?

18 აჰა, ჩვენ წინ წავედით, განრისხებულნი, მძვინვარე მუქართადაც კი, მისი ეკლესიის გასანადგურებლად.

19 რატომ არ გაგვწირა საშინელი განადგურებისათვის, დიახ, რატომ არ დაგვეცა მისი სამართლის მახვილი და არ გაგვწირა მარადიული სასოწარკვეთილებისათვის?

20 თითქმის სული მეპარება ამაზე ფიქრისას. აჰა, მან არ გამოიყენა თავისი სამართალი ჩვენზე, არამედ მისი დიდი წყალობით გადაგვიყვანა სიკვდილისა და უბედურების მარადიულ უფსკრულზე ჩვენი სულების გამოსახსნელად.

21 და ახლა, აჰა, ჩემო ძმებო, რომელმა ხორციელმა ადამიანმა იცის ეს? მე გეუბნებით, არცერთმა არ იცის, მომნანიებლის გარდა.

22 დიახ, ის, რომელიც ინანიებს და ავლენს რწმენას და აკეთებს კეთილ საქმეებს, ღოცულობს მუდმივად, განუწყვეტლივ - ასეთს ებოძება ცოდნა ღმერთის საიდუმლოებების შესახებ; დიახ, ასეთს ებოძება იმის გამოცხადების ძვენი, რაც არასდროს გამოცხადებულა; დიახ, ებოძება ეს ძვენი, რათა ათასობით სული მოიყვანოს

მონანიებამდე, როგორც გვებოძა ეს ძღვენი, რათა მიგვეყვანა ეს ჩვენი ძმები მონანიებამდე.

23 ახლა, გახსოვთ, ჩემო ძმებო, რა ვუთხარით ჩვენს ძმებს ზარაჰემლას მიწაზე, რომ წავიდოდით ნეფის მიწაზე, რათა გვექადაგა ჩვენი ძმებისთვის, ლამანიელუბისთვის; და ისინი ზიზღით დაგვეცინოდნენ?

24 რადგან მათ გვითხრეს: ნუთუ გგონიათ, რომ შეძლებთ ლამანიელთა მოყვანას ჭეშმარიტების ცოდნისკენ? ნუთუ გგონიათ, რომ დაარწმუნებთ ლამანიელთ თავიანთი მამების ჩვეულებების სიმცდარეში, ისეთი ქედფიცხელი ხალხისთვის, როგორებიც არიან; რომელთა გულები სისხლისღვრით ხარობენ, რომელთა დღეები გადის უმძიმეს ურჯულლებაში, რომელთა გზა იყო გზა დამნაშავეთა დასაწყისიდანვე? ახლა, ჩემო ძმებო, გახსოვთ, რომ ეს იყო მათი სიტყვები.

25 და ამის გარდა, ისინი ამბობდნენ: მოდით, აღვმართოთ იარაღი მათ წინააღმდეგ, რომ ამ მიწაზე გავანადგუროთ ისინი და მათი ურჯულლება, რათა არ შემოგვესიონ და არ გავგანადგურონ.

26 მაგრამ, აჰა, ჩემო საყვარელო ძმებო, ჩვენ მოვედით უდაბნოში არა ჩვენი ძმების განადგურების მიზნით, არამედ განზრახვით ეგებ გადაგვერჩინა მათი რამდენიმე სული.

27 როდესაც გული გვქონდა

დაღონებული და ლამის უკან გამოვბრუნდით, აჰა, უფალმა დაგვამშვიდა და თქვა: წადით თქვენ ძმებს ლამანიელებს შორის და მოითმინეთ, გადაიტანეთ თქვენი გაჭირვება და გიბოძებთ წარმატებას.

28 და ახლა, აჰა, ჩვენ მოვედით და ვიყავით მათ შორის; და მომთმენნი ვიყავით ჩვენს ტანჯვაში და ვიტანჯებოდით რა ყოველნაირი სიდუხჭირით, დიახ, დავდიოდით სახლიდან სახლში, ვიყავით ქვეყნის მოწყალეების ანაბარა, არა მხოლოდ ქვეყნის მოწყალეების, არამედ ღვთის მოწყალეებისა.

29 და ჩვენ შევდიოდით მათ სახლებში და ვასწავლიდით მათ მათსავე ქუჩებში; დიახ, ვასწავლიდით თავიანთ გორაკებზე, ასევე შევდიოდით მათ ტაძრებში და სინაგოგებში და ვასწავლიდით; და ჩვენ გვაძეგვებდნენ, დაგვეცინოდნენ და გვაფურთხებდნენ, სილას გვაწინდნენ, ქვებით გვეკლავდნენ და მაგარი თოკებით გვეკოჭავდნენ და საპყრობილეში გვეყრიდნენ; და ღმერთის ძალითა და სიბრძნით ჩვენ კვლავ ვიქენით გამოხსნილნი.

30 და ჩვენ ვიტანდით ყველანაირ გაჭირვებას და ეს ყველაფერი იმისათვის, რომ ვყოფილიყავით რომელიმე სულის გადასარჩენი საშუალება; და ვთვლიდით, რომ ჩვენი სიხარული იქნებოდა სრული, თუ

შევძლებდით ვყოფილიყავით ზოგის გადასარჩენი საშუალება.

31 ახლა, აჰა, შეგვიძლია შეეხედოთ და დავინახოთ ჩვენი შრომის ნაყოფი; ნუთუ ცოტაა? მე გეუბნებით – არა, ეს ბევრია; და შეგვიძლია დავამოწმოთ მათი გულწრფელობა თავიანთი ძმებისა და ჩვენს მიმართ სიყვარულის გამო.

32 რადგან, აჰა, ისინი უფრო შესწირავენ თავიანთ სიცოცხლეს, ვიდრე ხელს აღმართავენ მტრის სიცოცხლეზე; და მათ ჩამარხეს თავიანთი საომარი იარაღი ღრმად მიწაში, თავიანთი ძმების მიმართ სიყვარულის გამო.

33 და ახლა, აჰა, მე გეუბნებით, იყო თუ არა ასეთი დიდი სიყვარული მთელ მიწაზე? აჰა, მე გეუბნებით: არა, არ ყოფილა, ნეფიელთა შორისაც კი.

34 რადგან, აჰა, ისინი თავის ძმებზე იარაღს აღმართავდნენ, ისინი თავს არ შეაკლავდნენ, მაგრამ, აჰა, რამდენმა ამათაგანმა შესწირა სიცოცხლე; და ჩვენ ვიცით, რომ ისინი თავიანთ ღმერთთან წავიდნენ, თავიანთი სიყვარულისა და ცოდვისადმი სიძულვილის გამო.

35 ახლა, ნუთუ არ გვაქვს მიზეზი, გავიხაროთ? დიახ, მე გეუბნებით, არ ყოფილა ასეთი ადამიანი, რომელსაც, სიხარულის ჩვენზე უფრო დიდი მიზეზი ჰქონია ქვეყნის დასაბამიდან; დიახ, და ჩემი სიხარული

ტრაბახში გადაიზარდა, ჩემი ღმერთის მიმართაც კი, რადგან მას აქვს მთელი ძალა, მთელი სიბრძნე და გონიერება; იგი სწვდება ყველაფერს და არის მოწყალე არსება მათ ხსნისათვის, რომლებიც მოინანიებენ და იწამებენ მის სახელს.

36 ახლა, თუ ეს არის ტრაბახი, მაშინ მე ვიტრაბახებ, რადგან ეს არის ჩემი სიცოცხლე და ჩემი სინათლე, სიხარული და ხსნა და ჩემი გამოსყიდვა მარადიული ვარამიდან. დიახ, კურთხეულია ჩემი ღმერთის სახელი, რომელიც ზრუნავს საკუთარ ხალხზე, რომელიც არის ისრაელის ხის ყლორტი და ხიდან მოტეხილ იქნა უცხო მიწაზე; დიახ, მე ვამბობ – კურთხეული იყოს ჩემი ღმერთის სახელი, რომელიც ზრუნავს ჩვენზე – უცხო მიწაზე მოხეტიალეებზე.

37 ახლა, ჩემო ძმებო, ჩვენ ვხედავთ, რომ ღმერთი ზრუნავს ყოველ ხალხზე, რომელ მიწაზეც არ უნდა იყვნენ ისინი; დიახ, ის ითვლის საკუთარ ხალხს და მისი წიაღი აღსავსეა წყალობით მთელი დედამიწისათვის. ახლა, ეს არის ჩემი სიხარული და დიდი მადლიერება; დიახ, მე ჩემი ღმერთის უკუნისამდე მადლიერი ვიქნები. ამინ.

თავი 27

უფალი უბრძანებს ამონს, წაიყვანოს ანტი-ნეფი-ლეხის ხალხი

უსაფრთხო ადგილზე. აღმას-
თან შეხვედრისას ამონს სი-
ხარულისგან ძალა ეცლება.
ნეფიელნი აძლევენ ანტი-ნეფი-
ლეხიელებს იერშონის მიწას.
მათ უწოდებენ ამონის ხალხს.
დაახლოებით 90-77 წწ. ჩვენს
წელთაღრიცხვამდე.

1 ახლა, ეს იყო ასე, რომ რო-
დესაც იმ ლამანიელებმა, რომ-
ლებიც ნეფიელების წინააღმდეგ
საომრად წავიდნენ, მათი განად-
გურების მრავალი მცდელობის
შემდეგ, აღმოაჩინეს, რომ ამა-
ოება იყო მათი განადგურების
მცდელობა, კვლავ ნეფის მიწაზე
დაბრუნდნენ.

2 და ეს იყო ასე, რომ ამაღეკი-
ელები, მათი დანაკარგის გამო,
იყვნენ ძალზედ განრისხებულნი.
და როდესაც მათ დაინახეს, რომ
ვერ იძიებდნენ შურს ნეფიე-
ლებზე, დაიწყეს ხალხში წყრო-
მის გაღვივება, თავიანთი ძმების
მიმართ, ანტი-ნეფი-ლეხის ხალ-
ხის, წინააღმდეგ; ამიტომ, კვლავ
იწყეს მათი განადგურება.

3 ახლა, ეს ხალხი კვლავ
უარზე იყო, თავისი იარაღი აე-
ლოთ, და მტრის სურვილის თა-
ნახმად, თავი შეაკლეს მათ.

4 ახლა, როდესაც ამონმა და
მისმა ძმებმა იხილეს ეს განად-
გურება მათ შორის, რომლებიც
ასე ძალზედ უყვარდათ და მათ
შორის, რომლებსაც ასე ძალ-
ზედ უყვარდათ ისინი, რად-
გან მათ ექცეოდნენ, ვითარცა

ღმერთისგან მოვლენილ ანგელო-
ზებს, რათა გადაერჩინათ ისინი
მარადიული განადგურებისგან,
ამიტომ, როდესაც ამონმა და
მისმა ძმებმა იხილეს ეს დიდი
განადგურება, ისინი შეძრა სი-
ბრალულმა და მეფეს უთხრეს:

5 მოდით ერთად შევკრიბოთ
უფლის ეს ხალხი და წავიდეთ
ზარაჰემლას მიწაზე, ჩვენს ძმებ-
თან, ნეფიელებთან; და გავუ-
სხლტეთ მტერს ხელიდან, რათა
ვერ გაგვანადგუროს.

6 მაგრამ მეფემ მათ მიუგო: აჰა,
ნეფიელები გაგვანადგურებენ
ჩვენი მრავალი მკვლევლობისა
და ცოდვების გამო, რომლებიც
მათ წინააღმდეგ ჩავიდინეთ.

7 და ამონმა თქვა: მე წავალ
და უფალს ვკითხავ და თუ ის
გვეტყვის: წადით თქვენს ძმებ-
თან, – თქვენ წამოხვალთ?

8 და მეფემ მას მიუგო: დიახ,
თუ უფალი გვეტყვის: წადით, –
ჩვენ წავალთ ჩვენს ძმებთან და
ვიქნებით მათი მონები, სანამ
არ ავუნაზღაურებთ იმ მრავალ
მკვლევლობას და ცოდვას, რომ-
ლებიც ჩვენ მათ წინააღმდეგ ჩა-
ვიდინეთ.

9 მაგრამ ამონმა მას უთხრა:
ეს ეწინააღმდეგება ჩვენი ძმების
კანონს, რომელიც ჩამოაყალიბა
მამაჩემმა, რომ არ ყოფილიყო
არცერთი მონა მათ შორის; ამი-
ტომ, მოდით ჩავიდეთ და მიგე-
ნდოთ ჩვენი ძმების მოწყალებას.

10 მაგრამ მეფემ მას უთხრა:
ჰკითხე უფალს და თუ გვეტყვის:

წადით, – ჩვენ წავალთ; სხვაგვარად ამ მიწაზე დავიღუპებით.

11 და იყო ასე, რომ ამონი წავიდა და უფალს ჰკითხა და უფალმა მას უთხრა:

12 ეს ხალხი ამ მიწიდან გაიყვანე, რომ არ დაიღუპოს, რადგან სატანას აქვს დიდი გავლენა ამალეკიელთა გულებზე, რომლებიც აღვივებენ წყრომას ღამანიელებში თავიანთი ძმების წინააღმდეგ, რათა დახოცონ ისინი; ამიტომ, გადით ამ მიწებიდან და კურთხეულია ეს ხალხი ამ თაობაში, რადგან მე მათ შევინახავ.

13 და ახლა, იყო ასე, რომ ამონი მივიდა და მეფეს მოახსენა ყოველი სიტყვა, რომელიც უფალმა მას უთხრა.

14 და მათ ერთად შეკრიბეს მთელი თავიანთი ხალხი, დიახ, უფლის მთელი ხალხი; და ერთად შეკრიბეს მთელი თავიანთი წერილფეხა და მსხვილფეხა საქონელი და წავიდნენ ამ მიწებიდან და მივიდნენ უდაბნოში, რომელიც ნეფის მიწას ჰყოფდა ზარაჰემლას მიწისგან და მიუახლოვდნენ იმ მიწის საზღვრებს.

15 და იყო ასე, რომ ამონმა მათ უთხრა: აჰა, მე და ჩემი ძმები წავალთ ზარაჰემლას მიწაზე და ჩვენს დაბრუნებამდე თქვენ აქ დარჩებით; და ჩვენ გამოვცდით ჩვენი ძმების გულებს, თუ არიან თანახმანი, რომ თქვენ მათ მიწაზე მიხვიდეთ.

16 და იყო ასე, რომ როდესაც

ამონი მიდიოდა იმ მიწისკენ, იგი და მისი ძმები შეხვდნენ აღმას იმ ადგილზე, რომელზეც უკვე ითქვა; და აჰა, ეს იყო სასიხარულო შეხვედრა.

17 ახლა, ამონის სიხარული იმდენად დიდი იყო, რომ მან მთლიანად მოიცვა იგი; დიახ, თავისი ღმერთისადმი სიხარულმა შთანთქა, ძალის დაკარგვამდეც კი; და კვლავ მიწაზე დაეცა.

18 ახლა, ნუთუ არ იყო ეს უდიდესი სიხარული? აჰა, ეს არის სიხარული, რომელსაც ვერავინ აღწევს, გარდა ჭეშმარიტად მომნანიებელი და თავმდაბალი ბედნიერების მაძიებლისა.

19 ახლა, აღმას სიხარული თავისი ძმების შეხვედრისას იყო ჭეშმარიტად უდიდესი და ასევე აარონის, ომნერისა და ხიმნის სიხარულიც; მაგრამ, აჰა, მათმა სიხარულმა არ გადააჭარბა მათ ძალას.

20 და ახლა, იყო ასე, რომ აღმა გაუძღვა თავის ძმებს უკან, ზარაჰემლას მიწისკენ; თავის საკუთარ სახლამდეც კი. და ისინი მივიდნენ მთავარ მოსამართლესთან და მოუყვნენ ყველაფრის შესახებ, რაც ნეფის მიწაზე მათ ღამანიელ ძმებთან, თავს გადახდათ.

21 და იყო ასე: მთავარმა მოსამართლემ გააგზავნა განცხადება მთელს მიწაზე, სურდა რა გაეგო ხალხის აზრი თავიანთი ძმების, ანტი-ნეფი-ლესის ხალხის, შემოშვების შესახებ.

22 და იყო ასე, რომ ხალხის ხმამ მოაღწია სიტყვებით: აჰა, ჩვენ დაგუთმობთ იერშონის მიწას, რომელიც მდებარეობს აღმოსავლეთით, ზღვასთან, რომელიც უერთდება ბარაქიანის მიწას, რომელიც არის ბარაქიანის მიწის სამხრეთით; და ეს იერშონის მიწა არის ის მიწა, რომელსაც მიეცემთ ჩვენს ძმებს მემკვიდრეობისთვის.

23 და აჰა, ჩვენ დავაყენებთ ჩვენს ჯარებს იერშონისა და ნეფის მიწებს შორის, რათა დავიცვათ ჩვენი ძმები იერშონის მიწაზე; და ამას ვაკეთებთ ჩვენი ძმებისთვის, მათი შიშის გათვალისწინებით, რომ არ აღმართონ იარაღი თავიანთი ძმების წინააღმდეგ, რათა არ ჩაიდინონ ცოდვა. და მათი ეს დიდი შიში მოვიდა მათივე მწარე მონანიების გამო, რომელიც მათ გამოსცადეს მრავალი მკვლელობებისა და საშინელი სიბოროტის შედეგად.

24 და ახლა, აჰა, ამას გავაკეთებთ ჩვენი ძმებისთვის, რათა მათ მემკვიდრეობით მიიღონ იერშონის მიწა; და ჩვენ, ჩვენი ჯარებით, დავიცავთ მათ თავიანთი მტრებისგან იმ პირობით, რომ დასახმარებლად მოგვცემენ თავიანთი ქონების ნაწილს, რათა ვარჩინოთ ჩვენი ჯარები.

25 ახლა, იყო ასე, როდესაც ამონმა ეს გაიგო, იგი დაუბრუნდა ანტი-ნეფი-ლექის ხალხს უდაბნოში, სადაც მათ ჰქონდათ

კარგები გაშლილი და აღმაც მასთან ერთად იყო და შეატყობინეს ყველაფერი. და აღმამ ასევე აცნობა მათ თავისი მოქცევის ამბავი ამონთან, აარონთან და მის ძმებთან ერთად.

26 და იყო ასე, რომ ამან გამოიწვია დიდი სიხარული მათ შორის. და წავიდნენ იერშონის მიწაზე და აიღეს იერშონის მიწის მამული; და მათ ნეფიელებმა უწოდეს ამონის ხალხი, ამიტომ, ამის შემდეგ, ისინი ამ სახელით გამოირჩეოდნენ.

27 და ისინი იყვნენ ნეფის ხალხს შორის და ასევე ითვლებოდნენ ღმერთის ეკლესიის ხალხად. და ისინი ასევე გამოირჩეოდნენ ღმერთისადმი და ასევე ადამიანებისადმი თავიანთი გულმოდგინებით, რადგან იყვნენ პატიოსანნი და კეთილშობილნი ყველაფერში; და იყვნენ მტკიცენი ქრისტეს რწმენაში, ბოლომდე.

28 და ისინი უყურებდნენ თავიანთი ძმების სისხლისღვრას უდიდესი ზიზღით; და მათ ვერასდროს ვერ აიძულებდნენ, აღეპართათ იარაღი თავიანთი ძმების წინააღმდეგ; და არასდროს არ უყურებდნენ სიკვდილს, თუნდაც მცირედი შიშითაც კი, ქრისტეში და აღდგომაში მათი იმედისა და შეხედულებების გამო; ამიტომ, მათთვის ქრისტეს გამარჯვებამ შთანთქა სიკვდილი.

29 ამიტომაც, ერჩივნათ სიკვდილით დასჯილიყვნენ, ყველაზე

მძიმე და ტანჯული გზით, რომლის მიყენებასაც შეძლებდნენ თავიანთი ძმები, იქამდე, სანამ ხმაღს ან მახვილს აიღებდნენ მათ მოსაკლავად.

30 და ასე, ისინი იყვნენ გულმოდგინე და საყვარელი ხალხი, უფლისგან ძალზედ მოწონებული ხალხი.

თავი 28

ლამანიელნი მარცხდებიან საშინელ ბრძოლაში. ათობით ათასნი იხოცებიან. ბოროტნი განწირულები არიან უსასრულო ვარამისათვის; მართალნი მიაღწევენ მარადიულ ბედნიერებას. დაახლოებით 77-76 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და ახლა, ეს იყო ასე, რომ მას შემდეგ, რაც ამონის ხალხი განმტკიცდა იერშონის მიწაზე, ეკლესიაც ჩამოყალიბდა იერშონის მიწაზე და ნეფიელთა ჯარები იყო განლაგებული იერშონის მიწის გარშემო, დიახ, ზარაჰემლას მიწის ყველა საზღვრებში; აჰა, ლამანიელთა ჯარები მოსდევდნენ თავიანთ ძმებს უდაბნოში.

2 მაშასადამე, მოხდა საშინელი ბრძოლა; დიახ, ისეთი, როგორიც ჯერ არ იცოდა ამ მიწის ხალხმა იმ დროიდან, როდესაც ლეხიმ დატოვა იერუსალიმი; დიახ, ათობით ათასი ლამანიელი იქნა დახოცილი და საზღვრებს გარეთ გაფანტული.

3 დიახ, და ასევე იყო საშინელი

ხოცვა-ჟლეტა ნეფის ხალხს შორის; ამისდა მიუხედავად, ლამანიელნი განდევნილნი და გაფანტულნი იქნენ; და ნეფის ხალხი კვლავ დაუბრუნდა საკუთარ მიწას.

4 და ახლა, ეს იყო დრო, როდესაც მთელს მიწაზე ისმოდა დიდი გლოვა და გოდება, ნეფის მთელ ხალხში.

5 დიახ, ქმრებზე მგლოვიარე ქვრივთა ტირილი, ასევე მამების გლოვა საკუთარ ვაჟიშვილებზე და ქალიშვილების ძმებზე, დიახ, ძმების მამებზე; და ასე ისმოდა გლოვის ტირილი მათ შორის, გლოვობდნენ რა თავიანთ ნათესავებზე, რომლებიც დახოცილ იქნენ.

6 და ახლა, ჭეშმარიტად, ეს იყო მწუხარე დღე; დიახ, დრო სამძიმრისა და ბევრი მარხვისა და ლოცვისა.

7 და ასე მთავრდება ნეფის ხალხზე მოსამართლეთა მმართველობის მეთხუთმეტე წელი;

8 და ეს არის ამონისა და მისი ძმების ამბავი, ნეფის მიწაზე მოგზაურობისა, იმ მიწაზე ტანჯვის, მათი მწუხარებისა და გაჭირვების და მათი მიუწოდომელი სიხარულის და ძმების მიერ იერშონის მიწაზე მათი მიღების და უსაფრთხოების. და ახლა, დაე, უფალმა, ყოველი ადამიანის გამომსყიდველმა, აკურთხოს მათი სულები სამუდამოდ.

9 და ეს არის ამბავი ნეფიელებს შორის ომებსა და გან-

ხეთქილებებზე და ასევე ომებზე ნეფიელებსა და ლამანიელებს შორის; და დამთავრდა მოსამართლეთა მმართველობის მეთუთმეტე წელი.

10 და პირველი წლიდან მეთუთმეტემდე განადგურდა მრავალი ათასი სიცოცხლე; დიახ, ამ წლებში მოხდა საშინელი სისხლისღვრა.

11 და ათასობით სხეული წევს ღრმად მიწაში, იმ დროს, როდესაც ათასობით სხეული იხრწნება მიწის პირზე გროვებად; დიახ, მრავალი ათასნი გლოვობენ თავიანთი ნათესავების დაკარგვას, რადგან მათ შიშის მიზეზი აქვთ, უფლის დაპირებისამებრ, რომ განწირულნი არიან უსასრულო ვარამისათვის.

12 იმ დროს, როდესაც ათასობით სხვანი ჭეშმარიტად გლოვობენ თავიანთი ნათესავების დაკარგვას, მიუხედავად ამისა, ისინი ხარობენ და ზეიმობენ ნეტარებაში და იციან, უფლის დაპირებისამებრ, რომ ისინი ამაღლდნენ იმისთვის, რომ იმყოფებოდნენ ღმერთის მარჯვენა ხელისკენ, მარადიულ ბედნიერებაში.

13 და ამგვარად, ვხედავთ, თუ როგორი დიდია უთანასწორობა ადამიანებში, ცოდვისა და შეცოდების გამო, ასევე ეშმაკის ძაღლისა, რაც ჩნდება მზაკერული გეგმის შესაბამისად, რომელიც მან ჩაიფიქრა, რათა დაატყვეოს ადამიანთა გულები.

14 და ამგვარად ვხედავთ დიდ მოწოდებას სიბეჯითისკენ ადამიანებისთვის, რათა იშრომონ უფლის ვენახში; და ამგვარად ვხედავთ მიზეზს დიდი წუხილისა და ასევე სიხარულისთვის; წუხილის – ადამიანთა შორის სიკვდილისა და განადგურების გამო და სიხარულის – ქრისტეს სინათლისათვის.

თავი 29

აღმას სურს, შეჰღადადოს მონანიება ანგელოზის გულმოდგინებით. უფალი ყოველ ერს უბოძებს მასწავლებლებს. აღმა აღიღებს უფლის საქმეს და ამონისა და მისი ძმების წარმატებას. დაახლოებით 76 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 ო, ანგელოზი რომ ვყოფილიყავი და შემძლებოდა ჩემი გულის საწადელის აღსრულება, რომ შემძლებოდა წავსულიყავი და ღმერთის საყვირით, ხმით, რომელიც შეაზანზარებდა დედამიწას, შემემძახა და ყოველი ხალხისადმი მონანიება მეღაღადა!

2 დიახ, ჭექა-ქუხილის ხმით ვაუწყებდი ყოველ სულს მონანიებასა და გამოსყიდვის გეგმას, რომ უნდა მოინანიონ და ჩვენს ღმერთთან მოვიდნენ, რათა დედამიწის პირზე აღარ იყოს დარდი.

3 მაგრამ, აჰა, მე ვარ ადამიანი და ვცოდავ ჩემს სურვილში;

რადგან უნდა ვიყო კმაყოფილი იმით, რაც უფალმა მარგუნა.

4 არ უნდა ავაფორიაქო ჩემი სურვილებით სამართლიანი ღმერთის მტკიცე გადაწყვეტილებები, რადგან ვიცი, რომ იგი მიუზღავს ადამიანებს თავიანთი სურვილისამებრ, თუნდაც იყოს სასიკვდილო ან სასიცოცხლო; დიახ, ვიცი, რომ იგი არგუნებს ადამიანს, დიახ, ადგენს განაწესებს, რომლებიც უცვლელია მათი სურვილების მიუხედავად, თუნდაც იყვნენ ისინი მიმართულნი ხსნისკენ ან განადგურებისკენ.

5 დიახ, და მე ვიცი, რომ კეთილი და ბოროტი ყოველი ადამიანის წინ იჩენს თავს; ის, რომელიც ვერ არჩევს კეთილს ბოროტისაგან, არის უმწიკვლო, მაგრამ ის, რომელიც არჩევს კეთილს ბოროტისაგან, მას მიეზღვება საკუთარი სურვილების შესაბამისად, რასაც კი არ ისურვებს, კეთილსა თუ ბოროტს, სიცოცხლეს თუ სიკვდილს, სიხარულს თუ სინდისის ქენჯნას.

6 ახლა, რადგან მე ვიცი ეს ყველაფერი, რატომ უნდა ვისურვო უფრო მეტი, გარდა იმ სამუშაოსი, რომლის შესასრულებლად ვარ მოწოდებული?

7 რატომ უნდა ვისურვო ანგელოზად ყოფნა, რომ ველაპარაკო დედამიწის ყველა კიდეზე?

8 რადგან, აჰა, უფალი უბოძებს ყოველ ერს, მათ ქვეყანაში და

ენაზე ასწავლონ მისი სიტყვა, დიახ, სიბრძნით, ყველაფერი, რასაც იგი მიიჩნევს, რომ მათ უნდა ჰქონდეთ; ამიტომ ვხედავთ, რომ უფალი ასწავლის სიბრძნით, იმისდა მიხედვით, რაც მართალია და ჭეშმარიტი.

9 მე ვიცი, რაც მიბრძანა უფალმა და მე ვხარობ ამით. მე არ ვხარობ საკუთარი თავით, მაგრამ ვხარობ იმით, რაც უფალმა მიბრძანა; დიახ, და ეს არის ჩემი დიდება, რომ იქნებ ვიყო იარაღი ღმერთის ხელში, რათა რომელიმე სული მონანიებად მე მივიყვანო; და ეს არის ჩემი სიხარული.

10 და აჰა, როდესაც ვხედავ მრავალს ჩემი ძმებისგან, ინანიებენ რა ჭეშმარიტად და მოდიან უფალთან, თავიანთ ღმერთთან, ჩემი სული ივსება სიხარულით; როდესაც მახსენდება, რა გააკეთა უფალმა ჩემთვის, დიახ, რომ შეისმინა ჩემი ლოცვა, დიახ, მაშინ მახსენდება მისი მოწყალე ხელი, რომელიც მან ჩემკენ გამოიწოდა.

11 დიახ, და მე ასევე მახსენდება ჩემი მამების ტყვეობა; რადგან ნამდვილად ვიცი, რომ უფალმა ისინი მონობიდან გამოიხსნა და ამით დააარსა საკუთარი ეკლესია; დიახ, უფალმა ღმერთმა, ღმერთმა აბრაამისამ, ღმერთმა ისააკისამ და ღმერთმა იაკობისამ, გამოიხსნა ისინი მონობიდან.

12 დიახ, მე ყოველთვის

მახსოვდა ჩემი მამების ტყვეობა; და იგივე ღმერთმა, რომელმაც გამოიხსნა ისინი ეგვიპტელთა ხელიდან, ისინი მონობიდან იხსნა.

13 დიახ, და იგივე ღმერთმა დააარსა თავისი ეკლესია მათ შორის; დიახ, და იგივე ღმერთმა მომიწოდა წმინდა წოდებით, ვუქადაგო სიტყვა ამ ხალხს და დიდი წარმატება მომანიჭა, რომელშიც აღსავსეა ჩემი სიხარული.

14 მაგრამ მე არ ვხარობ მხოლოდ ჩემი წარმატებით, არამედ ჩემი სიხარული უფრო აღსავსეა ჩემი ძმების წარმატებით, რომლებიც იყვნენ ნეფის მიწაზე.

15 აჰა, ისინი მეტისმეტად ბევრს შრომობდნენ და მოიტანეს უხვი ნაყოფი და რა დიადი იქნება მათი საზღაური!

16 ახლა, როდესაც ვფიქრობ ჩემი ძმების ამ წარმატებაზე, ჩემი სული მიქრის, ლამის სხეულს მოსცილდეს, ასეთი დიდია ჩემი სიხარული.

17 და ახლა, დაე, ჩემმა ღმერთმა უბოძოს მათ, ჩემს ძმებს, დასხდნენ ღვთის სასუფეველში; დიახ, და ყველანი, რომლებიც არიან მათი შრომის ნაყოფნი, იქიდან აღარ გამოვიდნენ, არამედ სამარადისოდ აღიდონ იგი. დაე, ღმერთმა დაუშვას, რომ ეს ყველაფერი ახდეს ჩემი სიტყვებისამებრ ისე, როგორც მე ვთქვი. ამინ.

თავი 30

ანტიქრისტე ყორიპორი დასცინის ქრისტეს, გამოსყიდვასა და წინასწარმეტყველების სულს. იგი ასწავლის, რომ არ არსებობს ღმერთი, არ არსებობს ადამიანის დაცემა, არ არსებობს სასჯელი ცოდვისათვის და არ არსებობს ქრისტე. აღმა მოწმობს, რომ ქრისტე მოვა და ყველაფერი ამაზე მეტყველებს, რომ ღმერთი არსებობს. ყორიპორი მოითხოვს ნიშანს და დამუწმუნება. ყორიპორს ანგელოზის სახით ეშმაკი გამოეცხადა და ასწავლა, რაზედაც უნდა ელაპარაკა. ყორიპორს ფეხქვეშ თელავენ და იგი კვდება. დაახლოებით 76-74 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 აჰა, ახლა იყო ასე, მას შემდეგ, რაც ამონის ხალხი დამკვიდრდა იერშონის მიწაზე, დიახ, ასევე მას შემდეგ, რაც ლამანიელები განდევნეს ამ მიწიდან და მათი დახოცილები დამარხა ამ მიწის ხალხმა -

2 ახლა, მათი დახოცილები არ იქნა დათვლილი, დიდი რაოდენობის გამო; არც ნეფიელთა დახოცილები დათვალეს, მაგრამ, მოხდა ასე: გლოვის, მარხვისა და ლოცვის დღეების შემდეგ, მათ დამარხეს თავიანთი დახოცილები (და ეს იყო ნეფის ხალხზე მოსამართლეთა მმართველობის მეთექვსმეტე წელს) იქ დაისადგურა ხანგრძლივმა მშვიდობამ მთელს მიწაზე.

3 დიახ; და ხალხი გუღმოდგი-
ნედ იცავდა უფლის მცნებებს;
და ისინი მკაცრნი იყვნენ ღმერ-
თის წეს-ჩვეულებების დაცვაში,
მოსეს რჯულის შესაბამისად;
რადგან მათ ასწავლიდნენ მო-
სეს რჯულის დაცვას, სანამ ის
არ აღსრულდება.

4 და ასე, ნეფის ხალხზე მო-
სამართლეთა მმართველობის
მთელი მეთექვსმეტე წლის გან-
მავლობაში, ამ ხალხში არ ჰქო-
ნია ადგილი მღელვარებას.

5 და იყო ასე, რომ მოსამართ-
ლეთა მმართველობის მეჩვიდ-
მეტე წლის დასაწყისში, იქ
სუფევდა ხანგრძლივი მშვიდობა.

6 მაგრამ იყო ასე, რომ მეჩვიდ-
მეტე წლის ბოლოს, ზარაკემლას
მიწაზე მოვიდა ადამიანი და იგი
იყო ანტიქრისტე, რადგან დაი-
წყო ხალხში ქადაგება იმ წინას-
წარმეტყველებების წინააღმდეგ,
რომლებზეც ლაპარაკობდნენ წი-
ნასწარმეტყველები იესო ქრის-
ტეს მოსვლის შესახებ.

7 ახლა, არ იყო კანონი ადამი-
ანის რწმენის შესახებ; რადგან
ეს იყო ღმერთის მცნებების სა-
წინააღმდეგო, რათა ყოფილიყო
კანონი, რომელიც ადამიანებს
უთანასწორო პირობებში ჩააყუ-
ნებდა.

8 რადგან წმინდა წერილი ასე
მეტყველებს: დღეს აირჩიეთ, ვის
ემსახურებით.

9 ახლა, თუ ადამიანს სურდა
ღმერთისათვის მსახურება,
ეს იყო მისი უპირატესობა;

უფრო სწორად, თუ მას სწამდა
ღმერთი, ეს იყო მისი უპირატე-
სობა – ემსახუროს მას; მაგრამ,
თუ მას იგი არ სწამდა, არ არ-
სებობდა კანონი მის დასასჯე-
ლად.

10 მაგრამ, თუ იგი ვინმეს მო-
კლავდა – სიკვდილით დაისჯე-
ბოდა; და თუ გაძარცვავდა და
იქურდებდა – დაისჯებოდა; და
თუ მრუშობას ჩაიდენდა, – დაი-
სჯებოდა; დიახ, ყველა ამ სიბო-
როტისთვის ისინი ისჯებოდნენ.

11 რადგან იყო კანონი, რის
მიხედვითაც ადამიანებს გან-
სჯიდნენ საკუთარი დანაშაულე-
ბისამებრ. მიუხედავად ამისა, არ
იყო კანონი ადამიანის რწმენის
წინააღმდეგ, ამიტომ ადამიანს
სჯიდნენ მხოლოდ იმ დანაშაუ-
ლებებისათვის, რომლებსაც ჩაი-
დენდა; ამიტომ, ყველა ადამიანი
იყო თანასწორი.

12 და ამ ანტიქრისტემ, რომ-
ლის სახელიც იყო ყორიპორი
(და კანონით ვერ დაისჯებოდა)
დაიწყო ქადაგება ხალხში, რომ
ქრისტე არ იქნება. და ამგვარად
ქადაგებდა იგი სიტყვებით:

13 თქვენ, რომლებიც შებო-
ჭილნი ხართ უგუნური და
ამაო იმედით, რატომ ებმებით
ულელში ამ უგუნურობით? რა-
ტომ მოვლით ქრისტეს? რადგან
არცერთ ადამიანს არ შეუძლია
იცოდეს რაიმე იმაზე, რაც მოვა.

14 აჰა, ყველაფერს, რასაც
უწოდებთ წინასწარმეტყვე-
ლებებს, რასაც ამბობთ, რომ

გადმოგეცათ წმინდა წინასწარმეტყველების მიერ, აჰა, ესენი არის თქვენი მამების უგუნური ჩვეულებები.

15 საიდან იცით, რომ ისინი არის მართალი? აჰა, თქვენ არ შეგიძლიათ იცოდეთ იმის შესახებ, რასაც ვერ ხედავთ; ამიტომ, არც ის გეცოდინებათ, რომ იქნება ვინმე ქრისტე.

16 თქვენ მომავლისკენ იყურებით და ამბობთ, რომ ხედავთ თქვენი ცოდვების მიტევებას, მაგრამ, აჰა, ეს არის შეშლილი გონების შედეგი და ეს შეშლილობა თქვენი გონებისა მოდის თქვენი მამების ჩვეულებებიდან, რომლებსაც მიჰყავხართ იმის რწმენისაკენ, რაც არ არის მართალი.

17 და მან კიდევ ბევრი ასეთი რამ უთხრა მათ, ეუბნებოდა, რომ არ მოხდებოდა გამოსყიდვა ადამიანების ცოდვებისა, არამედ ყოველი ადამიანი ამ ცხოვრებაში იღებს საკუთარი ქმედებების თანახმად; ამიტომ, ყოველი ადამიანი აღწევს საკუთარი შესაძლებლობების შესაბამისად და რომ ყოველი ადამიანი იმარჯვებს საკუთარი ძალის შესაბამისად; და რაც არ უნდა გააკეთოს ადამიანი – არ ჩაითვლება დანაშაულებად.

18 და ასე ქადაგებდა მათ წინაშე, გზა აუბნია მრავალთა გულებს, უბიძგებდა, თავი აღემართათ თავიანთ სიბოროტეში, დიახ, აიყოლია მრავალი ქალი

და ასევე მამაკაცი, რათა ჩაედინათ მრუშობა, ეუბნებოდა რა, რომ როდესაც ადამიანი კვდება, ეს არის მისი დასასრული.

19 ახლა, ეს კაცი ასევე მივიდა იერშონის მიწაზე, რათა ექადაგა ეს ყველაფერი ამონის ხალხში, რომელიც ოდესღაც ლამანიელთა ხალხი იყო.

20 მაგრამ, აჰა, ისინი მეტად ბრძენნი იყვნენ, ვიდრე მრავალი ნეფიელი; რადგან შეიპყრეს იგი და შებოჭეს და მიიყვანეს ამონის წინაშე, რომელიც იყო ამ ხალხის მღვდელმთავარი.

21 და იყო ასე, რომ მან ბრძანა, გაეყვანათ იგი მიწიდან. და იგი მივიდა გიდეონის მიწაზე და მათაც დაუწყო ქადაგება; და აქ არ ჰქონდა დიდი წარმატება, რადგან იგი შეიპყრეს და შებოჭეს და მიიყვანეს მღვდელმთავრისა და იმ მიწის მთავარი მოსამართლის წინაშე.

22 და იყო ასე, რომ მღვდელმთავარმა მას უთხრა: რატომ დადიხარ ყველგან და ამრუდებ უფლის გზას? რატომ ასწავლი ამ ხალხს, რომ ქრისტე არ იქნება, რათა შეწყვიტო მათი სიხარული? რატომ ლაპარაკობ ყველა წმინდა წინასწარმეტყველთა წინასწარმეტყველების საწინააღმდეგოდ?

23 ახლა, მღვდელმთავრის სახელი იყო გიდონა; და ყორიჰორმა მას უთხრა: რადგან მე არ ვასწავლი თქვენი მამების უგუნურ ჩვეულებებს და რადგან

მე არ ვასწავლი ამ ხალხს, შეიბოჭონ თავი უგუნური წეს-ჩვეულებებითა და ადათ-წესებით, რომლებიც გადმოცემულ იქნა უძველესი მღვდლების მიერ, რათა მათზე მიიტაცონ ხელისუფლება და უფლებამოსილება, რათა ჰყოლოდათ ისინი უმეცრებაში, რათა არ აეწიათ თავი, არამედ დამცირებულნი ყოფილიყვნენ შენი სიტყვების შესაბამისად.

24 თქვენ ამბობთ, რომ ეს ხალხი არის თავისუფალი. აჰა, მე ვამბობ, რომ ისინი არიან მონობაში. თქვენ ამბობთ, რომ ეს უძველესი წინასწარმეტყველებები ჭეშმარიტია. აჰა, მე გეუბნებით, თქვენ არ იცით, რომ ისინი ჭეშმარიტია.

25 თქვენ ამბობთ, რომ ეს ხალხი არის დამნაშავე და დაცემული, მათი მშობლის შეცოდების გამო. აჰა, მე გეუბნებით, რომ შვილი არ არის დამნაშავე თავისი მშობლების გამო.

26 და თქვენ ასევე ამბობთ, რომ ქრისტე მოვა. მაგრამ, აჰა, მე ვამბობ, რომ თქვენ არ იცით, რომ იქნება ქრისტე; და ასევე ამბობთ, რომ მას მოკლავენ ამა ქვეყნის ცოდვებისათვის.

27 და ამრიგად, თქვენ მიგყავთ ეს ხალხი თქვენი მამების უგუნური ჩვეულებების კვალდაკვალ და თქვენი საკუთარი სურვილების თანახმად; და თქვენ ისინი დამორჩილებულნი გყავთ, როგორც მონობაში, რათა დატკბეთ

მათი ხელის შრომით, რომ ვერ გაბედონ უშიშრად ამოხედვა და ვერ დატკბნენ თავიანთი უფლებებითა და უპირატესობებით.

28 დიახ, ისინი ვერ ბედავენ იმის გამოყენებას, რაც მათ ეკუთვნით, რათა არ შეურაცხყონ თავიანთი მღვდლები, რომლებიც უღელში აბავენ ადამიანებს სურვილისამებრ და აიძულებენ ირწმუნონ, საკუთარი ჩვეულებებით, სიზმრებით, ახირებებით, ხილვებითა და მოგონილი საიდუმლოებებით, რომ თუ არ მოიქცევიან მათი სიტყვების შესაბამისად, შეურაცხყოფენ უცნობ არსებას, რომელსაც უწოდებენ ღმერთს, იმ არსებას, რომელიც არასდროს არც უნახავთ და არც იცნობდნენ, რომელიც არასდროს იყო და არც არასდროს იქნება.

29 ახლა, როდესაც მღვდელმთავარმა და მთავარმა მოსამართლემ იხილეს მისი გულქვაობა, დიახ, როდესაც მათ იხილეს, რომ იგი ღმერთის წინააღმდეგაც ილანძვებოდა, არაფერი უპასუხეს მის სიტყვებს; მაგრამ ბრძანეს, იგი შეებოჭათ; და გადასცეს გუშაგებს ხელში და გააგზავნეს ზარაჰემლას მიწაზე, რათა მიეყვანათ აღმასა და მთავარი მოსამართლის წინაშე, რომელიც მმართველობდა მთელ იმ მიწაზე.

30 და იყო ასე, რომ როდესაც იგი აღმასა და მთავარი მოსამართლის წინაშე მიიყვანეს, მან

იგივე გაიმეორა, რაც გიდეონის მიწაზე; დიახ, მან გამოაბა გარძედა.

31 და აღმას წინაშე წარმოთქვა მალაფარდოვანი სიტყვები და ილანძებოდა მღვდლებისა და მასწავლებლების წინააღმდეგ, ბრალს სდებდა მათ იმაში, რომ ხალხი მიჰყავდათ მათი მამების უგუნური ჩვეულებების კვლად-კვალ, რათა ხალხის შრომით გამძღარიყვნენ.

32 ახლა, აღმამ მას უთხრა: შენ იცი, რომ ჩვენ ამ ხალხის შრომით არ ვძლებით, რადგან, აჰა, მე ვშრომობდი მოსამართლეთა მმართველობის დასაწყისიდან აქამდე, ჩემი საკუთარი ხელით, თავის გამოსაკვებად, მიუხედავად ჩემი მრავალი მოგზაურობებისა ამ მიწის ირგვლივ, რათა ღვთის სიტყვა მეუწყებინა ჩემი ხალხისადმი.

33 და დიდი შრომის მიუხედავად, რომელიც მე ეკლესიაში გავწიე, ჩემი შრომისთვის არასდროს მიმიღია ერთი სენინიც კი; არც ჩემს რომელიმე ძმას, მოსამართლის სავარძელში სამსახურის გარდა; და მაშინ ჩვენ ვიღებდით საფასურს მხოლოდ კანონის შესაბამისად, ჩვენ მიერ დახარჯულ დროში.

34 და ახლა, თუ არაფერს არ ვიღებთ ეკლესიაში ჩვენი შრომისათვის, რისთვის ვშრომობთ ეკლესიაში, გარდა საუწყებლად ჭეშმარიტებისა, რათა ვიხაროთ ჩვენი ძმების სიხარულით?

35 მაშინ, რატომ ამბობ, რომ სარგებლის მისაღებად ვქადაგებთ ამ ხალხის წინაშე, რადგან შენ თვითონ არ იცი, რომ არ ვიღებთ სარგებელს? და ახლა, ნუთუ გწამს, რომ ჩვენ ვატყუებთ ამ ხალხს, ვიწვევთ რა ასეთ სიხარულს მათ გულებში?

36 და ყორიჰორმა უპასუხა: დიახ.

37 და შემდეგ, აღმამ მას უთხრა: გწამს ღმერთის არსებობა?

38 და მან უპასუხა: არა.

39 და აღმამ მას უთხრა: ნუთუ კვლავ უარყოფ ღმერთის არსებობას და ასევე უარყოფ ქრისტეს? რადგან, აჰა, გეუბნები: მე ვიცი, რომ ღმერთი არსებობს და ასევე ის, რომ ქრისტე მოვა.

40 და ახლა, რა მტკიცებულება გაქვს, რომ ღმერთი არ არსებობს ან რომ არ მოვა ქრისტე? მე გეუბნები, რომ არ გაქვს, გარდა შენი სიტყვისა.

41 მაგრამ, აჰა, მე მაქვს ყველაფერი, როგორც მოწმობა იმისა, რომ ყოველივე ეს ჭეშმარიტებაა; და შენც გაქვს ყველაფერი, როგორც მოწმობა შენთვის, რომ ეს ჭეშმარიტებაა; და ნუთუ უარყოფ ამას? გწამს, რომ ეს ყველაფერი არის ჭეშმარიტი?

42 აჰა, მე ვიცი, რომ გწამს, მაგრამ შეპყრობილი ხარ მატყუარა სულით და ღმერთის სული მოიშორე, რათა არ ჰქონდეს მას ადგილი შენში; არამედ ეშმაკს აქვს შენზე ძალა და დაჰყავხარ

ყველგან, აწყობს რა გეგმებს, რომ შეძლოს ღმერთის შვილეთის განადგურება.

43 და ახლა, ყორიპორმა აღმას უთხრა: თუ დამანახებ ნიშანს, რომ დაერწმუნდე ღმერთის არსებობაში, დიახ, დამანახე, რომ მას შესწევს ძალა, მაშინ მე დაერწმუნდები შენი სიტყვების ჭეშმარიტებაში.

44 მაგრამ, აღმამ მიუგო: შენ გქონდა საკმარისი ნიშნები; ნუთუ სცდი შენს ღმერთს? ნუთუ იტყვი: დამანახე ნიშანი, როდესაც გაქვს შენი ყველა ძმის დამოწმება, ასევე ყველა წმინდა წინასწარმეტყველის? წმინდა წერილები დევს შენ წინაშე, დიახ, ყველაფერი მიუთითებს, რომ ღმერთი არსებობს, დიახ, თვით დედამიწა და ყველაფერი, რაც არის დედამიწის პირზე, დიახ, მისი მოძრაობა, დიახ, ყველა პლანეტა, რომელიც მოძრაობს თავისი ჩვეული წესით, არის მოწმე, რომ არსებობს უზენაესი შემქმნელი.

45 და მაინც, დადიხარ ყველგან და ამ ხალხის გულები სწორი გზიდან გადაგყავს, მათ წინაშე მოწმობ, რომ ღმერთი არ არსებობს? და მაინც, ნუთუ უარყოფ ყველა ამ დამოწმებას? და მან უთხრა: დიახ, მე უარყოფ, თუ არ დამანახებ ნიშანს.

46 და ახლა, იყო ასე, რომ, აღმამ მას უთხრა: აჰა, მე ვწუხვარ შენი გულქვაობის გამო, დიახ, რომ შენ ჯერ კიდევ ეწინააღ-

მდეგები ჭეშმარიტების სულს, რაც გაანადგურებს შენს სულს.

47 მაგრამ, აჰა, სჯობს, რომ სული დაკარგო, ვიდრე გახდე მრავალი სულის განადგურების მიზეზი, შენი სიცრუითა და პირფერული სიტყვებით; ამიტომ, შენ თუ კვლავ უარყოფ, აჰა, ღმერთი დაგსჯის ისე, რომ დამუნჯდები, რომ მეტად ვეღარ გახსნა ბაგე, რომ ეს ხალხი მეტი ვეღარ მოატყუო.

48 ახლა, ყორიპორმა მას უთხრა: მე არ უარყოფ ღმერთის არსებობას, მაგრამ არ მწამს, რომ არის ღმერთი; და ასევე ვამბობ: შენ არ იცი, რომ ღმერთი არსებობს; და თუ არ დამანახებ ნიშანს – არ დავიჯერებ.

49 ახლა, აღმამ მას უთხრა: მე შენ იმას მოგცემ ნიშნად, რომ დამუნჯდები, ჩემი სიტყვებისამებრ; და მე ვამბობ, რომ ღმერთის სახელით შენ დამუნჯდები, რომ ვეღარ შეძლებ მეტყველებას.

50 ახლა, როდესაც აღმამ ეს სიტყვები წარმოთქვა, ყორიპორი დამუნჯდა ისე, რომ წაერთვა მეტყველება, აღმას სიტყვების შესაბამისად.

51 და ახლა, როდესაც მთავარმა მოსამართლემ ეს იხილა, მან გაიწოდა ხელი და ყორიპორს დაუწერა: დარწმუნდი ღმერთის ძალაში? ვისზე ისურვებდი აღმას ეჩვენებინა მისი ნიშანი? გსურდა, რომ სხვები დაეტანჯა, რათა შენთვის ნიშანი

დაენახებინა? აჰა, მან გაჩვენა ნიშანი, კიდევ გსურს კამათი?

52 და ყორიპორმა ხელი გამოიწოდა და დაწერა სიტყვები: ვიცი, რომ ვარ მუნჯი, რადგან ვერ ვლაპარაკობ; და ვიცი, რომ ვერაფერი ვერ მოავლენდა ამას ჩემზედ, ღმერთის ძალის გარდა; დიახ, მე ყოველთვის ვიცოდი, რომ ღმერთი არსებობდა.

53 მაგრამ, აჰა, ეშმაკმა შემატყინა, რადგან ანგელოზის სახით მომეველინა და მითხრა: წადი და ჭეშმარიტებისკენ მოაბრუნე ეს ხალხი, რადგან იგი ყველა გზას ასცდა, მიჰყვა რა უცხო ღმერთს. და მან მითხრა: არ არსებობს ღმერთი; დიახ, მან მასწავლა ის, რაც უნდა მელაპარაკა. და ვასწავლიდი მის სიტყვებს; და ვასწავლიდი მათ, რადგან საამო იყო ხორციელი ჭკუისათვის; და ვასწავლიდი იქამდე, სანამ არ მივალწიე საკმაო წარმატებას, ასე რომ, მე ნამდვილად დავიჯერე, რომ ისინი იყო ჭეშმარიტი; და ამ მიზეზით ვეწინააღმდეგებოდი ჭეშმარიტებას იქამდე, სანამ არ მოვაველინე ჩემს თავზედ ეს დიდი წყევლა.

54 ახლა, როდესაც ეს თქვა, იგი შეევედრა, რომ აღმას ელოცა ღმერთისადმი, რათა წყევლა მოხსნილიყო მისგან.

55 მაგრამ აღმამ მიუგო: ეს წყევლა რომ მოგხსნოდა, შენ კვლავ აიყოლიებდი ამ ხალხის გულებს, ამიტომ, უფლის ნების შესაბამისად იქნება შენთვის.

56 და იყო ასე, რომ ეს წყევლა არ მოეხსნა ყორიპორს; მაგრამ ის გააძევეს და დადიოდა სახლიდან სახლში საკვების სამათხოროდ.

57 ახლა, ამბავი იმის შესახებ, რაც მოუვიდა ყორიპორს, დაუყოვნებლივ გავრცელდა მთელს მიწაზე; დიახ, მიწის მთელი ხალხისადმი მოწოდება გაიგზავნა მთავარი მოსამართლის მიერ, აუწყებდა რა მათ, ვისაც სწამდა ყორიპორის სიტყვები, რომ უნდა სწრაფად მოენანიებინათ, რათა მათზეც არ მოვლენილიყო იგივე სასჯელი.

58 და იყო ასე, რომ ისინი ყველანი დარწმუნდნენ ყორიპორის სიბოროტეში, ამიტომ კვლავ უფლისაკენ მოიქცნენ; და ამან მოუღო ბოლო ყორიპორის წესის ურჯულოებას და ყორიპორი დადიოდა სახლიდან სახლში, მათხორობდა რა საჭმელს თავის სარჩენად.

59 და იყო ასე, რომ როდესაც წავიდა ხალხში, დიახ, იმ ხალხს, რომელიც გამოეყო ნეფიელებს და უწოდა თავის თავს ზორამიელები, წინამძღოლობდა კაცი, რომელსაც ერქვა ზორამი; და როდესაც იგი მათთან მივიდა, აჰა, იგი ფეხქვეშ გათელეს, თანაც იმდენჯერ, სანამ არ მოკვდა.

60 და ამგვარად, ვხედავთ იმის დასასრულს, ვინც ამრუდებს უფლის გზებს; და ამგვარად ვხედავთ, რომ უკანასკნელ დღეს ეშმაკი არ ამოუდგება მხარში

თავის შვილებს, არამედ სწრაფად ჩაითრევს მათ ჯოჯოხეთში.

თავი 31

აღმა ხელმძღვანელობს მისიას განდგომილი ზორამიელების დასაბრუნებლად. ზორამიელები უარყოფენ ქრისტეს, სწამთ ცრუ წარმოდგენა რჩეულთა შესახებ და ლოცულობენ უცვლელი, დადგენილი ლოცვებით. მისიონერები სულიწმინდით არიან აღვსილნი. მათი გაჭირვება შთაინთქმება ქრისტეს სიხარულში. დაახლოებით 74 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 ახლა, ეს იყო ასე, რომ ყორიჰორის სიკვდილის შემდეგ, აღმამ მიიღო რა შეტყობინებები, რომ ზორამიელები ამრუდებდნენ უფლის გზას და ზორამი, რომელიც იყო მათი წინამძღვარი, უბიძგებდა ადამიანთა გულებს, ქედი მოეხარათ უტყვი კერპების წინაშე, მისი გული კვლავ დარდით აღივსო ამ ხალხის ურჯულოების გამო.

2 რათა ეს იყო აღმას დიდი მწუხარების მიზეზი – გაეგო თავის ხალხს შორის ურჯულოების შესახებ; ამიტომ მისი გული მეტისმეტად დამწუხრდა, რადგან ზორამიელნი ნეფიელებს გამოეყვნენ.

3 ახლა, ზორამიელები ერთად შეიკრიბნენ მიწაზე, რომელსაც უწოდეს ანტიონუმი, რომელიც იყო ზარაჰემლას

მიწის აღმოსავლეთით, რომელიც მდებარეობდა თითქმის ზღვის სანაპიროზე, რომელიც მდებარეობდა იერშონის მიწის სამხრეთით, რომელიც ასევე ესაზღვრებოდა სამხრეთის უდაბნოს, რომელიც სავსე იყო ლამანიელებით.

4 ახლა, ნეფიელებს ძალზედ ეშინოდათ, რომ ზორამიელები დაამყარებდნენ კავშირს ლამანიელებთან, რაც დიდ ზარალს მიაყენებდა ნეფიელთა მხარეს.

5 და ახლა, ვინაიდან სიტყვის ქადაგებას ჰქონდა დიდი თვისება – ხალხს გაძლოლოდა იმის საკეთებლად, რაც მართალია – დიახ, მას ჰქონდა უფრო ძლიერი გავლენა ხალხის შეგნებაზე, ვიდრე ხმალს ან სხვა რაიმეს, რაც მათ თავს გადახდომიათ; ამიტომ, აღმამ იფიქრა, რომ საჭირო იყო, გამოეცადათ ღვთის სიტყვის ძალა.

6 ამიტომ, მან აიყვანა ამონი, აარონი და ომნერი; ხოლო ხიმნი დატოვა ზარაჰემლაში, ეკლესიაში; მაგრამ პირველი სამი თან წაიყვანა, ასევე ამულექი და ზიზრომიც, რომლებიც იყვნენ მილექში; და ასევე წაიყვანა თავისი ორი შვილი.

7 ახლა, თავისი შვილებიდან თან არ წაიყვანა უფროსი და მას ერქვა ჰელამანი; რომლებიც თან წაიყვანა, მათ სახელად ერქვათ შიბლონი და კორიანტონი; და ეს არის მათი სახელები, რომლებიც მასთან ერთად

წავიდნენ ზორამიელებთან, რათა სიტყვა ექადაგათ მათთვის.

8 ახლა, ზორამიელები იყვნენ ნეფიელებისგან განდგომილები, ამიტომ, მათთვის ღვთის სიტყვა უკვე ნაქადაგები იყო.

9 მაგრამ მათ დიდი შეცდომები დაუშვეს, რადგან არ სურდათ გულმოდგინედ დაეცვათ ღმერთის მცნებები და წესები, მოსეს რჯულის შესაბამისად.

10 ისინი არც საეკლესიო ადათ-წესებს იცავდნენ, რომ განუწყვეტლივ ელოცათ და ყოველდღიურად შევედრებოდნენ ღმერთს, რომ არ ჩავარდნილიყვნენ ცდუნებაში.

11 დიახ, ანუ, ისინი ძალიან ხშირ შემთხვევებში ამრუდებდნენ უფლის გზას; ამიტომ, ამის გამო, აღმა და მისი ძმები წავიდნენ იმ მიწაზე, რათა ექადაგათ მათთვის სიტყვა.

12 ახლა, როდესაც ისინი მივიდნენ იმ მიწაზე, აჰა, თავისდა გასაოცრად აღმოაჩინეს, რომ ზორამიელებმა ააშენეს სინაგოგები და კვირის ერთ დღეს ერთად იკრიბებოდნენ, რომელსაც უფლის დღე უწოდეს; და ისინი ისე ღოცულობდნენ, რომლის მსგავსიც არც აღმას და არც მის ძმებს არასდროს ენახათ.

13 რადგან მათ სინაგოგის შუაში აგებული ჰქონდათ დასადგომი ადგილი, რომელიც იყო თავს ზემოთ; და მასზედ ერთ ადამიანს შეეძლო დგომა.

14 ამიტომ, ყოველს, ვისაც

სურდა თაყვანი ეცა, უნდა წინ გამოსულიყო, დამდგარიყო ამ სადგომზე, გაეწოდა ხელები ზეცისაკენ და ხმამაღლა ელაღადა სიტყვები:

15 წმინდაო, წმინდა ღმერთო; გვწამს, რომ ხარ ღმერთი და გვწამს, რომ ხარ წმინდა და რომ იყავი სული და ხარ სული და იქნები სული უკუნისამდე.

16 წმინდაო ღმერთო, ჩვენ გვწამს, რომ შენ გამოგვყავი ჩვენი ძმებისგან და არ გვწამს ჩვენი ძმების ჩვეულებანი, რომლებიც მათ გადაეცათ მათივე ძმების უგუნურობის გამო; მაგრამ ჩვენ გვწამს, რომ ამოგვირჩიე შენს წმინდა შვილებად და გავგანდე, რომ ქრისტე არ იქნება.

17 მაგრამ შენ ხარ უცვლელი გუშინ, დღეს და უკუნისამდე; და ამოგვირჩიე, რათა გადავრჩეთ მაშინ, როდესაც ჩვენს გარშემო ყველა არჩეულია, რათა შენი რისხვით ჩაცვენილ იქნენ ჯოჯოხეთში; და ამ სიწმინდისათვის ჩვენ მადლობას გიხდით, ღმერთო; და მადლობას გიხდით, რომ ამოგვარჩიე, რათა არ წავსულიყავით ჩვენი ძმების უგუნური ჩვეულებებისკენ, რომლებიც ბოჭავს მათ ქრისტეს რწმენით, რასაც მათი გულები სახეტიალოდ მიჰყავს შენგან შორს, ჩვენო ღმერთო.

18 და კვლავ, ჩვენ მადლობას გიხდით, ღმერთო, რომ ვართ გამორჩეული და წმინდა ხალხი. ამინ.

19 ახლა, იყო ასე, რომ როდესაც აღმამ და მისმა ძმებმა და მისმა შვილებმა მოისმინეს ეს ლოცვები, ისინი უზომოდ გაცოდნენ.

20 რადგან ყოველი კაცი წინ გამოდიოდა და ამბობდა იგივე ლოცვებს.

21 ახლა, ამ ადგილს უწოდებდნენ რამეუმპტომს, რაც ნიშნავს წმინდა სადგომს.

22 ახლა, ამ ადგილიდან დაღლებდნენ ისინი, ყოველი ადამიანი, ერთსა და იმავე ლოცვას ღმერთისადმი, მადლობას უხდიდნენ თავიანთ ღმერთს, რომ იყვნენ მის მიერ ამორჩეულნი, რომ არ წაიყვანა ისინი თავიანთი ძმების ჩვეულებებისაკენ, რომ მათი გულები არ აჰყვნენ მომავლის ამბების რწმენას, რის შესახებაც მათ არაფერი იცოდნენ.

23 ახლა, მას შემდეგ, რაც ხალხმა ამგვარად გადაიხადა სამადლობელი, ისინი დაუბრუნდნენ საკუთარ სახლებს, მეტად აღარ საუბრობდნენ თავიანთ ღმერთზე იქამდე, სანამ კვლავ არ შეიკრიბებოდნენ ამ წმინდა სადგომთან, რათა თავიანთი ადათისამებრ ელაღადათ მადლიერება.

24 როდესაც აღმამ ეს იხილა, მისი გული დაღონდა; რადგან დაინახა, რომ ესენი იყვნენ ბოროტი და უკუღმართი ხალხი; დიახ, რომ მათი გულები მიმართული იყო ოქროსა და ვერცხლისკენ; და ყოველგვარი ძვირფასეულობებისკენ.

25 დიახ, მან ასევე იხილა, რომ მათი გულები აღზევებული იყო დიდი ტრაბახით თავიანთ ამპარტავნობაში.

26 და მან აღიმაღლა ხმა ზეცისაკენ და შეჰდაღადა სიტყვებით: როდემდე დაუშვებ, უფალო, რომ შენი მსახურნი ცხოვრობდნენ აქ ხორციელად, რათა უცქირონ ასეთ დიდ სიბოროტეს ადამიანთა შვილებს შორის?

27 აჰა, ღმერთო, ისინი შენ შეგლაღადებენ, მაგრამ გულები ჩაძირული აქვთ ამპარტავნობაში. აჰა, ღმერთო, ისინი შემოგლაღადებენ თავიანთი ბავით იმ დროს, როდესაც ყოყონობენ, სიღიადემდეც კი, ამქვეყნიური ამაოებით.

28 აჰა, ჩემო ღმერთო, მათი ძვირფასი სამოსი და ბეჭდები და სამაჯურები და მათი ოქროს სართავები და ყოველგვარი ძვირფასეულობა, რომლითაც არიან მორთულები; და აჰა, მათი გულები მათკენ არის მიმართული, ისინი შეგლაღადებენ და ამბობენ: ჩვენ მადლობას გიხდით, ღმერთო, იმისათვის, რომ ვართ რჩეული ხალხი, როდესაც სხვები დაიდუპებიან.

29 დიახ, და ისინი ამბობენ, რომ შენ მათ გაანდე, რომ ქრისტე არ იქნება.

30 უფალო ღმერთო, რამდენ ხანს მოითმენ ამდენ ბოროტებასა და ამდენ ურწმუნობას ამ ხალხში? უფალო, მომეცი ძალა, რათა შევძლო ჩემი უძღურების

ატანა. რადგან ვარ უძღური და ასეთი სიბოროტე ამ ხალხში სულს მტკენს.

31 უფალო, ჩემი გული ძალზედ დამწუხრებულია; მინუგეშე სული ქრისტეში. უფალო, ძალა მიბოძე, მოთმინებით ავიტანო ის გაჭირვებანი, რომელნიც მომეველინება ამ ხალხის ურჯულოების გამო.

32 უფალო, მინუგეშე სული და მომეცი წარმატება, ასევე ჩემს ძმობილ მშრომელებს, რომლებიც ჩემთან არიან, დიახ, ამონს და აარონს, ომნერს და ასევე ამულეკსა და ზიზრომს, ასევე ჩემს ორ შვილს. დიახ, ანუგეშე ისინი, უფალო. დიახ, ანუგეშე მათი სულები ქრისტეში.

33 უბოძე, ჰქონდეთ ძალა, გადაიტანონ თავიანთი გაჭირვებანი, რომლებიც მათ მოეველინებათ, ამ ხალხის ურჯულოების გამო.

34 უფალო, გვიბოძე, გვექონდეს წარმატება, რომ ისინი კვლავ შენთან მოვიყვანოთ ქრისტეში.

35 აჰა, უფალო, მათი სულები ძვირფასია და მრავალი მათგანი ჩვენი ძმავა; ამიტომ, მოგვეცი, უფალო, ძალა და სიბრძნე, რომ კვლავ შენთან მოვიყვანოთ ეს ჩვენი ძმები.

36 ახლა, იყო ასე, რომ როდესაც აღმამ თქვა ეს სიტყვები, მან დაადო ხელი ყველას, ვინც მასთან იყო. და აჰა, როდესაც მან დაადო ხელი მათ, ისინი აღივსნენ სულიწმინდით.

37 და ამის შემდეგ ისინი

დასცილდნენ ერთმანეთს, არ ფიქრობდნენ, რა უნდა ეჭამათ ან ესვათ, ან რა ჩაეცვათ.

38 და უფალმა მათ უბოძა, არ ყოფილიყვნენ არც მშიერნი და არც მწყურვალნი, დიახ, და მან ასევე მისცა მათ ძალა, რათა არ ეწვნიათ არანაირი გაჭირვება, გარდა იმისა, რომელიც შთაინთქმებოდა ქრისტეს სიხარულით. ახლა, ეს იყო აღმას ლოცვის შესაბამისად, ვინაიდან ის ლოცულობდა რწმენით.

თავი 32

აღმა ასწავლის ღარიბებს, რომლებიც გაჭირვებამ გახადა თავმდაბალნი. რწმენა არის იმედი იმ უხილავისა, რაც ჭეშმარიტია. აღმა მოწმობს, რომ ანგელოზები ემსახურებიან კაცებს, ქალებსა და ბავშვებს. აღმა სიტყვას ადარებს თესლს; ის უნდა დაითესოს და იკვებოს. შემდეგ ის გადაიქცევა ხედ, რომელზედაც მარადიული სიცოცხლის ნაყოფს კრევენ. დაახლოებით 74 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და იყო ასე, რომ ისინი წინ წავიდნენ და დაიწყეს ხალხისათვის ღმერთის სიტყვის ქადაგება, შედიოდნენ მათ სინაგოგებში და სახლებში; დიახ, მათ ქუჩებშიც კი ქადაგებდნენ სიტყვას.

2 და იყო ასე, რომ მათ შორის დიდი შრომის შემდეგ, მათ მიაღწიეს წარმატებას ხალხის

ღარიბ ნაწილში; რადგან, აჰა, ისინი გაძევებულნი იყვნენ სინაგოგებიდან უხეში ტანსაცმლის გამო -

3 ამიტომ, მათ არ უშვებდნენ თავიანთ სინაგოგებში ღმერთისათვის თაყვანის საცემად, რადგან სიბინძურედ თვლიდნენ; ამიტომაც იყვნენ ღარიბნი; დიახ, მათ თავიანთი ძმები თვლიდნენ ხენჯად; ამიტომ, იყვნენ ღარიბნი ამქვეყნიური საგნებით და ასევე ღარიბნი იყვნენ გულით.

4 ახლა, როდესაც აღმა ასწავლიდა და ელაპარაკებოდა ხალხს ონიდას გორაკზე, მასთან მივიდნენ მრავალნი, რომლებიც იყვნენ ისინი, რომლებზეც ვსაუბრობდით, რომლებიც ღარიბნი იყვნენ გულით, საკუთარი სიღარიბის გამო ამქვეყნიური საგნების მიმართ.

5 და ისინი მივიდნენ აღმასთან და რომელიც მთავარი იყო მათ შორის, მას უთხრა: აჰა, რა აკეთონ ჩემმა ამ ძმებმა, რადგან ისინი არიან ყველას მიერ აბუჩად აგდებულნი თავიანთი სიღარიბის გამო, დიახ, განსაკუთრებით ჩვენი მღვდლების მიერ; რადგან გაგვაძევეს ჩვენი სინაგოგებიდან, რომელთა მშენებლობებზე ბევრი ვიშრომეთ საკუთარი ხელით; და მათ გაგვაძევეს ჩვენი მეტისმეტი სიღარიბისათვის; და არ გვაქვს ადგილი, ვეთაყვანოთ ჩვენს ღმერთს და აჰა, რა ვქნათ?

6 და ახლა, როდესაც აღმამ ეს

მოისმინა, იგი მიუბრუნდა მას სახით და შეხედა დიდი სიხარულით; რადგან დაინახა, რომ გაჭირვებამ ნამდვილად დაამდაბლებინა მათ თავი და მზად იყვნენ სიტყვის მოსასმენად.

7 ამიტომ, მან აღარაფერი უთხრა დანარჩენ შეკრებილებს; გაიწოდა ხელი და მიმართა მათ, რომლებიც დაინახა, რომ იყვნენ ნამდვილად მომნანიებელნი, და მათ უთხრა:

8 ვხედავ, რომ ხართ გულით თავმდაბალნი და თუ ეს ასეა, თქვენ ხართ კურთხეულნი.

9 აჰა, თქვენმა ძმამ თქვა: რა ვქნათ? რადგან გაგვაძევეს ჩვენი სინაგოგებიდან, რათა ვერ შევძლოთ თაყვანი ვცეთ ჩვენს ღმერთს.

10 აჰა, გეუბნებით: ნუთუ გგონიათ, რომ არ შეგიძლიათ თაყვანი სცეთ თქვენს ღმერთს, თქვენი სინაგოგებში ყოფნის გარდა?

11 და გარდა ამისა, მინდა გკითხოთ: ნუთუ გგონიათ, რომ კვირაში ერთ ჯერზე მეტად არ უნდა სცეთ თაყვანი ღმერთს?

12 მე გეუბნებით: ეს კარგია, რომ გაძევებულნი ხართ თქვენი სინაგოგებიდან, რათა იყოთ თავმდაბალნი და შეიცნოთ სიბრძნე; რადგან საჭიროა, რომ შეიცნოთ სიბრძნე; იმის გამო, რომ ხართ გაძევებულნი, რომ ხართ აბუჩად აგდებულნი თქვენი ძმების მიერ, თქვენი ძალზედ სიღარიბის გამო ხართ გულით დამდაბლებულნი;

რადგან იძულებით ხართ თავმდაბალნი.

13 და ახლა, ვინაიდან ხართ იძულებულნი იყოთ თავმდაბალნი, თქვენ ხართ კურთხეულნი; რადგან ადამიანი, თუ იძულებული ხდება იყოს თავმდაბალი, ხანდახან ეძებს მონანიებას; და ახლა ნამდვილად, ვინც არ უნდა მონანიოს, მოწყალებას მოიპოვებს; და გადარჩება, ვინც წყალობას ჰპოვებს და ბოლომდე გაძლებს.

14 და ახლა, როგორც მე გითხართ, ვინაიდან იძულებულნი იყავით, თავი დაგემდაბლებინათ, თქვენ იყავით კურთხეულნი; ნუთუ არ ფიქრობთ იმაზედ, რომ ისინი უფრო კურთხეულნი არიან, რომლებიც ჭეშმარიტად თავს იმდაბლებენ სიტყვის გამო?

15 დიახ, ვინც ჭეშმარიტად თავს დაიმდაბლებს და საკუთარ ცოდვებს მონანიებს და ბოლომდე გაძლებს, ის იქნება კურთხეული. დიახ, იმაზე მეტად კურთხეული, ვიდრე ისინი, რომლებიც იძულებულნი არიან თავი დაიმდაბლონ მძიმე სიღარიბის გამო.

16 ამიტომ, კურთხეულნი არიან ისინი, ვინც თავს იმდაბლებენ იძულების გარეშე თავმდაბლობისთვის; ანუ, სხვა სიტყვებით, კურთხეული არის ის, ვისაც სწამს ღვთის სიტყვა და გულში სიჯიუტის გარეშე ინათლება, დიახ, სიტყვის ცოდნისაკენ მიყვანის გარეშე ანუ ცოდნის

იძულების გარეშეც, სანამ ისინი ირწმუნებენ.

17 დიახ, არიან მრავალნი, რომლებიც ამბობენ: თუ დაგვანახებ ნიშანს ზეციდან, მაშინ ნამდვილად გვეცოდინება; მაშინ ვიწამებთ.

18 ახლა მე გეკითხებით: ეს არის რწმენა? აჰა, მე გეუბნებით: არა; რადგან ადამიანმა თუ იცის რაიმე, მას აღარ აქვს მიზეზი იწამოს, რადგან მან ეს უკვე იცის.

19 და ახლა, რამდენად უფრო წყევლია ის, რომელმაც იცის ღვთის ნება და არ ასრულებს მას, ვიდრე ის, რომელსაც მხოლოდ სწამს ან აქვს მხოლოდ რწმენის მიზეზი და ვარდება შეცოდებაში?

20 ახლა, თქვენ ამის შესახებ უნდა განსაჯოთ. აჰა, მე გეუბნებით, რომ ეს ისევე ნათელია ერთი მხრიდან, როგორც მეორედან; და ყოველ ადამიანს მიუხედავად საკუთარი საქმეების შესაბამისად.

21 და ახლა, როგორც მე ვთქვი რწმენის შესახებ, რწმენა არ ნიშნავს სრულყოფილ ცოდნას რაიმეს შესახებ; ამიტომ, თუ გაქვთ რწმენა, მაშინ გაქვთ იმედი იმისა, რაც უხილავია, რაც არის ჭეშმარიტი.

22 და ახლა, აჰა, მე გეუბნებით და მსურს დაიმახსოვროთ, რომ ღმერთი მოწყალება ყველას მიმართ, ვისაც სწამს მისი სახელი; ამიტომ, მას სურს,

პირველ რიგში, რომ თქვენ იწამოთ, დიახ, მისი სიტყვა.

23 და ახლა, იგი ადამიანებს უზიარებს თავის სიტყვას ანგელოზების მეშვეობით, დიახ, არა მარტო კაცებს, არამედ ქალებსაც. ახლა, ეს არ არის ყველაფერი, პატარა ბავშვებსაც ბევრჯერ ეძლევათ სიტყვები, რომლებიც ამარცხებენ ბრძენებს და სწავლულებს.

24 და ახლა, ჩემო საყვარელო ძმებო, როგორც თქვენ მოისურვებთ, გაგეგოთ ჩემგან, რა უნდა აკეთოთ, ვინაიდან ხართ გაჭირვებულნი და გაძევებულნი, ახლა მე არ მსურს იფიქროთ, რომ მე ვაპირებ განგიკითხოთ, გარდა იმისა, რაც ჭეშმარიტია -

25 რადგან არ ვგულისხმობ, რომ თქვენ ყველა იძულებულნი ხართ თავი დაიმდაბლოთ; რადგან მე ნამდვილად მჯერა, რომ თქვენ შორის არიან ისინი, რომლებიც თავს დაიმდაბლებდნენ, როგორ პირობებშიც არ უნდა იმყოფებოდნენ.

26 ახლა, როგორც მე ვთქვი რწმენის შესახებ, რომ ის არ არის სრულყოფილი ცოდნა, იგივე ეხება ჩემს სიტყვებსაც. თავიდან თქვენ ვერ გაიგებთ მათ ჭეშმარიტებას სრულყოფილად, ისევე როგორც რწმენა არ არის სრულყოფილი ცოდნა.

27 მაგრამ, აჰა, თუ გამოაფხიზლებთ და გამოაღვიძებთ თქვენი სულების შესაძლებლობებს ჩემი სიტყვების გამოსაცდელად და

გამოავლენთ მცირედენ რწმენას, დიახ, რომ გქონდეთ დაჯერების თუნდაც სურვილი, ნება მიეცით ამ სურვილს, იმოქმედოს თქვენზე იქამდე, სანამ არ იწამებთ ისე, რომ თქვენში იპოვით ადგილს ჩემი სიტყვების ნაწილისთვის მაინც.

28 ახლა, ჩვენ სიტყვას შევადარებთ თესლს. ახლა, თუ თქვენ ადგილს გამოყოფთ იმისთვის, რომ თესლი დაითესოს თქვენს გულში, აჰა, თუ ეს იქნება ჭეშმარიტი თესლი ანუ კარგი თესლი, თუ არ გააძევებთ მას თქვენი ურწმუნობით, უფლის სულისადმი წინააღმდეგობით, აჰა, იგი თქვენს მკერდში დაიწყებს გაფუებას; და როდესაც იგრძნობთ ამ ზრდას, თქვენ ეტყვიანთ საკუთარ თავს: ეს ალბათ არის კარგი თესლი ანუ ეს კარგი სიტყვაა, რადგან აფართოებს ჩემს სულს, დიახ, ის ანათლებს ჩემს გაგებას, დიახ, ის საამო ხდება ჩემთვის.

29 ახლა, აჰა, ნუთუ ეს არ გაზრდიდა თქვენს რწმენას? მე გეუბნებით: დიახ; მიუხედავად ამისა, ის ჯერ არ გაზრდიდა სრულყოფილ ცოდნამდე.

30 მაგრამ, აჰა, იმ დროს, როდესაც თესლი ფუვდება და ღვივდება და იწყებს ზრდას, მაშინ უნდა თქვათ, რომ ეს არის კარგი თესლი; რადგან, აჰა, ის ფუვდება და ღვივდება და იწყებს ზრდას. და ახლა, აჰა, ნუთუ არ განამტკიცებს ეს თქვენს რწმენას?

დიახ, ის განამტკიცებს რწმენას, რადგან თქვენ იტყვით: მე ვიცი: ეს არის კარგი თესლი, რადგან, აჰა, ის ყვავის და იწყებს ზრდას.

31 და ახლა, აჰა, დარწმუნებული ხართ, რომ ეს არის კარგი თესლი? მე გეუბნებით: დიახ, რადგან ყოველი თესლი ისხამს თავის მაგვარს.

32 ამიტომ, თუ თესლი იზრდება – ის კარგია, მაგრამ თუ არ იზრდება – აჰა, ის არ არის კარგი, ამიტომ მას აგდებენ.

33 და ახლა, აჰა, რადგან გააკეთეთ ეს ცდა და თესლი დათესეთ და იგი ფუჭდება და ღვივდება და იწყებს ზრდას, თქვენ უნდა იცოდეთ, რომ ეს თესლი არის კარგი.

34 და ახლა, აჰა, ნუთუ სრულყოფილია თქვენი ცოდნა? დიახ, თქვენი ცოდნა სრულყოფილია ამაში და თქვენი რწმენა თვლემს; და ეს იმიტომ, რომ იცით; რადგან თქვენ იცით, რომ ამ სიტყვამ აღამაღლა თქვენი სულები და თქვენ ასევე იცით, რომ ის გაღვივდა, ასე რომ, თქვენი გაგება იწყებს განათებას და გონება – გაფართოებას.

35 მაშინ, ნუთუ არ არის ეს ჭეშმარიტი? მე თქვენ გეუბნებით: დიახ, რადგან ეს არის სინათლე; და რაც არის სინათლე, არის კარგი, რადგან ცხადია, ამიტომ, თქვენ უნდა იცოდეთ, რომ ეს არის კარგი; და ახლა, აჰა, მას შემდეგ, რაც თქვენ იგემეთ ეს სინათლე, ნუთუ სრულყოფილია თქვენი ცოდნა?

36 აჰა, მე გეუბნებით: არა; მაგრამ არც თქვენი რწმენა არ უნდა გადადოთ გვერდზე, რადგან თქვენ გამოავლინეთ რწმენა მხოლოდ იმისთვის, რომ ეს თესლი დათესოთ, რათა ჩაატაროთ ეს ცდა, რომ გაიგოთ, იყო თუ არა ეს თესლი კარგი.

37 და აჰა, როდესაც ხე დაიწყებს ზრდას, თქვენ იტყვით: მოდით გამოვკვებოთ ის დიდი ზრუნვით, რათა ფესვი გაიდგას, გაიზარდოს და მოისხას ნაყოფი ჩვენთვის. და ახლა, აჰა, თუ თქვენ კვებავთ მას დიდი ზრუნვით, იგი ფესვს გაიდგავს, გაიზრდება და ნაყოფს მოისხამს.

38 მაგრამ, თუ თქვენ უგულვებლყოფთ ხეს და არ იფიქრებთ იმაზე, თუ როგორ კვებოთ იგი, აჰა, ის ვერ გაიდგამს ფესვს; და როდესაც მზის მზურვალეობა მოადგება და გატრუსავს მას, რადგან ფესვები არ ექნება, იგი გახმება და თქვენ მას ამოაძრობთ და გადააგდებთ.

39 ახლა, ეს არა იმიტომ, რომ თესლი არ იყო კარგი, არც იმიტომ, რომ მისი ნაყოფი არ იყო სასურველი; არამედ იმიტომ, რომ თქვენი ნიადაგი არის უნაყოფო და არ გსურთ გაანოყიეროთ ეს ხე, ამიტომ თქვენ არ გქენებათ მისი ნაყოფი.

40 და ამგვარად, თუ თქვენ არ გამოკვებავთ სიტყვას რწმენით, მომავალში მისი ნაყოფის ხედვით, თქვენ ვერასდროს მოწყვიტავთ სიცოცხლის ხის ნაყოფს.

41 მაგრამ, თუ თქვენ გამოკვებავთ სიტყვას, დიახ, გამოკვებავთ ხეს, როდესაც ის ზრდას დაიწყებს, თქვენი რწმენით, დიდი სიბეჯითით და მოთმინებით, ნაყოფის მოლოდინით, იგი გაიღვამს ფესვს; და აჰა, ეს იქნება ხე, რომელიც გადაიზრდება მარადიულ სიცოცხლეში.

42 და თქვენი სიბეჯითის, რწმენისა და მოთმინების შედეგად, მისი მასაზრდოებელი სიტყვით, რომ მან გაიღვას ფესვი თქვენში, აჰა, თქვენ მალე მოწყვეტთ მის ნაყოფს, რომელიც არის ყველაზე ძვირფასი, რომელიც არის უტკბესი ტკბილთა შორის და რომელიც არის უსპეტაკესი თეთრი, დიახ, რომელიც არის ყველა წმინდაზე წმინდა და დანაყრდებით ამ ნაყოფით იქამდე, სანამ არ დანაყრდებით ისე, რომ არ მოგშივდეთ, არც იყოთ მწყურვალნი.

43 შემდეგ, ჩემო ძმებო, თქვენ მოიძიეთ ჯილდოს თქვენი რწმენის, სიბეჯითის, მოთმინების, სულგრძელობის, მრავალი ტანჯვისა და მოლოდინისთვის – როდის მოისხამს ეს ხე თქვენთვის ნაყოფს.

თავი 33

ზენოსი ასწავლის, რომ ადამიანმა უნდა ილოცოს და თაყვანი სცეს ღმერთს ყველგან და რომ განაჩენი აცილებულია ძის მეშვეობით. ზენოქი ასწავლის,

რომ წყალობა მოვლენილია ძის მეშვეობით. მოსე უდაბნოში აღმართავს ღმერთის ძის სიმბოლოს. დაახლოებით 74 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 ახლა, მას შემდეგ, რაც აღმამ ეს სიტყვები თქვა, მიაგზავნეს მასთან, რათა გაეგოთ, ერწმუნათ თუ არა ერთი ღმერთი, რომ მიედოთ ის ნაყოფი, რომლის შესახებაც იგი საუბრობდა ან როგორ დაეთესათ თესლი ან სიტყვა, რომლის შესახებაც იგი ლაპარაკობდა, რომელიც, მისი სიტყვებით, უნდა დაითესოს მათ გულებში; ან როგორ უნდა დაიწყონ საკუთარი რწმენის გამოვლენა.

2 და აღმამ უთხრა მათ: აჰა, თქვენ მითხარით, რომ არ შეგიძლიათ თქვენი ღმერთისადმი თაყვანისცემა, რადგან გაგაძევეს თქვენი სინაგოგებიდან. მაგრამ, აჰა, მე გეუბნებით: თუ გგონიათ, რომ არ შეგიძლიათ ღმერთის თაყვანისცემა, ძალიან ცდებით და უნდა შეისწავლოთ წმინდა წერილები; თუ გგონიათ, რომ მათ ეს გასწავლეს, მაშინ თქვენ არ გესმით მათი.

3 თუ გახსოვთ რა წაიკითხეთ, რაც ძველმა წინასწარმეტყველმა, ზენოსმა, თქვა – ლოცვის ან თაყვანისცემის შესახებ?

4 რადგან მან თქვა: მოწყალე ხარ ღმერთო, რადგან ჩემი ლოცვები შეისმინე, უდაბნოში ყოფნისასაც კი; დიახ, შენ იყავი მოწყალე, როდესაც ვლოცუ-

ლობდი მათზედ, რომელნიც ჩემი მტრები იყვნენ და შენ ისინი ჩემს მხარეს მოაბრუნე.

5 დიახ, ღმერთო, და შენ მოწყალე იყავი ჩემს მიმართ, როდესაც ჩემს მინდორში შეგღაღადე; როდესაც ჩემს ლოცვაში შეგღაღადე და შენ შეისმინე ჩემი.

6 და კვლავ, ღმერთო, როდესაც მოვბრუნდი სახლში, შენ შეისმინე ჩემი ლოცვა.

7 და როდესაც მოვბრუნდი ჩემს ოთახში, უფალო, და შენ შეგღაღადე, შენ შეისმინე ჩემი.

8 დიახ, შენი შვილების მიმართ ხარ მოწყალე, როდესაც ისინი შეგღაღადებენ, რათა შეისმინო მათი შენ და არა ადამიანებმა და შენ შეისმენ მათსას.

9 დიახ, ღმერთო, შენ იყავი მოწყალე ჩემს მიმართ და შეისმინე ჩემი ღაღადი შენს შეკრებილთა შორის.

10 დიახ, შენ ასევე გესმოდა ჩემი, როდესაც ვიყავი გაძევებული და მოძულეებული მტრის მიერ; დიახ, შენ შეისმინე ჩემი ღაღადი და განურისხდი ჩემს მტრებს და რისხვაში მოევლინე მათ სწრაფი განადგურებით.

11 და შენ შეისმინე ჩემი, ჩემი გაჭირვებისა და გულწრფელობის გამო; და ეს არის შენი ძის მადლი, რომ იყავი ასე მოწყალე ჩემსადმი, ამიტომ მე შემოგღაღადე ყოველ ჩემს გაჭირვებაში, რადგან შენშია ჩემი სიხარული; რადგან ამარიდე შენი განაჩენი შენი ძის მადლით.

12 და ახლა, აღმამ მათ უთხრა: გწამთ ამ წმინდა წერილების, რომლებიც დაიწერა უძველესთა მიერ?

13 აჰა, თუ გწამთ, უნდა იწამოთ რაც ზენოსმა თქვა, რადგან, აჰა, მან თქვა: შენ აარიდე შენი განაჩენი შენი ძის მადლით.

14 ახლა, აჰა, ჩემო ძმებო, მე მინდა გკითხოთ, წაკითხული გაქვთ წმინდა წერილები? თუ გაქვთ, როგორ არ გწამთ ძე ღვთისა?

15 რადგან არ წერია, რომ მარტო ზენოსმა ილაპარაკა ამ ყველაფრის შესახებ, არამედ ზენოქმაც ილაპარაკა მათზე.

16 რადგან, აჰა, მან თქვა: შენ ხარ განრისხებული, უფალო, ამ ხალხზე, რადგან მათ არ სურთ შენი მრავალი მოწყალების გაგება, რაც მოავლინე მათზე შენი ძის მადლით.

17 და ახლა, ჩემო ძმებო, თქვენ ხედავთ, რომ მეორე ძველმა წინასწარმეტყველმა დაამოწმა ღვთის ძის შესახებ და ვინაიდან ხალხს არ სურდა ჩასწვდომოდა მის სიტყვებს, მათ სასიკვდილოდ ჩაქოლეს იგი.

18 მაგრამ, აჰა, ეს არ არის ყველაფერი; მარტო ამათ არ ულაპარაკიათ ღვთის ძის შესახებ.

19 აჰა, მასზე ილაპარაკა მოსემ; დიახ, აჰა, სიმბოლო აღიმართა უდაბნოში, რომ ვინც მას შეხედავდა – გადარჩებოდა. და მრავალმა შეხედა და გადარჩა.

20 მაგრამ, ცოტანი ჩასწვდნენ

მის მნიშვნელობას და ეს იყო მათი გაქვავებული გულების გამო. მაგრამ იქ იყვნენ მრავალნი, რომლებმაც ისე გაიქვავეს გული, რომ არ სურდათ შეეხედათ, ამიტომაც ისინი დაიღუპნენ. ახლა, მიზეზი, რომ არ სურდათ შეეხედვა, იყო ის, რომ არ სწამდათ, რომ ეს მათ განკურნავდა.

21 ჩემო ძმებო, რომ შეგძლებოდათ განკურნებულიყავით მხოლოდ მზერით, რათა განკურნებულიყავით, ნუთუ დაუყოვნებლივ არ შეხედავდით, თუ გაიქვავებდით გულს ურწმუნობაში და იქნებოდით ზანტნი ისე, რომ არ შეხედავდით და ამის გამო დაიღუპებოდით?

22 თუ ეს ასეა, ვარამი მოგვევლინებათ, მაგრამ თუ ეს ასე არ არის, მაშინ შეხედეთ და იწამეთ ძე ღვთისა, რომ ის მოვა საკუთარი ხალხის გამოსასყიდად, რომ დაიტანჯება და მოკვდება, რათა გამოისყიდოს მათი ცოდვები; და რომ კვლავ აღდგება მკვდრეთით, რაც მოიტანს აღდგომას და ასე ყოველი ადამიანი წარსდგება მის წინაშე, რომ განიკითხოს უკანასკნელ, განიკითხვის დღეს, თავისი საქმეების შესაბამისად.

23 და ახლა, ჩემო ძმებო, მე მსურს, რომ დათესოთ ეს სიტყვა თქვენს გულებში და როდესაც ის დაიწყებს ზრდას, გაანოყიერეთ იგი თქვენი რწმენით. და აჰა, ის გადაიქცევა ხედ, გადა-

იზრდება თქვენში მარადიულ სიცოცხლედ. და შემდეგ, დაე, ღმერთმა გიბოძოთ, რომ თქვენი ტვირთი შემსუბუქდეს, მის ძეში სიხარულით. და თქვენ შეძლებთ ყველაფერ ამას, შეძლებთ, თუ მოისურვებთ. ამინ.

თავი 34

ამუღეკი მოწმობს, რომ სიტყვა ქრისტეში არის ხსნისთვის. რომ არა გამოსყიდვა, მთელი კაცობრიობა დაიღუპებოდა. მოსეს რჯული მთლიანად მიუთითებს ღვთის ძის შეწირვაზე. მარადიული გამოსყიდვის გეგმა დაფუძნებულია რწმენასა და მონანიებაზე. ილოცეთ მიწიერი და სულიერი კურთხევებისთვის. ეს ცხოვრება არის დრო ადამიანისათვის, მოემზადოს ღმერთთან შესახვედრად. ღვთის წინაშე შიშით, ისწრაფეთ საკუთარი ხსნისათვის. დაახლოებით 74 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და ახლა, იყო ასე, რომ როდესაც აღმამ მათ უთხრა ეს სიტყვები, იგი დაჯდა მიწაზე. ამუღეკი კი წამოდგა და დაიწყო მათი სწავლება სიტყვებით:

2 ჩემო ძმებო, ვფიქრობ, შეუძლებელია არ იცოდეთ იმაზედ, რაც ითქვა ქრისტეს მოსვლის შესახებ, რომელიც, ჩვენი სწავლებისამებრ, იქნება ძე ღვთისა; დიახ, მე ვიცი, რომ ყოველივე ამას თქვენ უშურველად

გასწავლიდნენ, სანამ ჩვენ გამოგვეყოფოდით.

3 და რადგან თქვენ მოისურვეთ ჩემი საყვარელი ძმისგან, გაცნობოთ, რა უნდა მოიმოქმედოთ თქვენი გაჭირვების გამო; და მან გითხრათ ცოტაოდენი რამ, რათა მოემზადებინა თქვენი გონება; დიახ, მან მოგიწოდათ რწმენისა და მოთმინებისკენ –

4 დიახ, იმდენი რწმენა მაინც რომ გქონოდათ, დაგეთესათ თქვენს გულში სიტყვა, რათა გამოგეცადათ მისი სიკეთე.

5 და ჩვენ ვიხილეთ, რომ დიადი შეკითხვა, რომელზეც ფიქრობთ, არის ასეთი: ღვთის ძეშია სიტყვა, თუ ქრისტე არ იქნება?

6 და თქვენ ასევე იხილეთ, რომ ჩემმა ძმამ დაგიმტკიცათ, მრავალი მაგალითით, რომ სიტყვა ქრისტეში არის ხსნისათვის.

7 ჩემმა ძმამ მიგითითათ ზენოსის სიტყვებზე, რომ გამოსყიდვა მოდის ღვთის ძის მეშვეობით და ზენოქის სიტყვებზეც; და ისიც ასევე მიუთითებდა მოსეზე, რათა დაემტკიცებინა, რომ ყოველივე ეს ჭეშმარიტია.

8 და ახლა, აჰა, მე თავად დაგიმწმებთ, რომ ყოველივე ეს არის ჭეშმარიტი. აჰა, გეუბნებით, რომ ვიცი, ქრისტე მოვა ადამიანთა შვილებს შორის, რათა თავის თავზე აიღოს თავისი ხალხის შეცოდებანი და რომ ის გამოსყიდის ამა ქვეყნის ცოდვებს, რადგან უფალმა ღმერთმა თქვა ეს.

9 რადგან საჭიროა, რომ მოხდეს გამოსყიდვა; რადგან მარადიული ღმერთის დიდი გეგმის შესაბამისად, უნდა მოხდეს გამოსყიდვა, თორემ მთელი კაცობრიობა აუცილებლად დაიღუპება; დიახ, ყველა გულქვაობს, დიახ, ყველა დაცემულია და დაკარგული და უნდა დაიღუპოს, რომ არა გამოსყიდვა, რომელიც საჭიროა, რომ მოხდეს.

10 რადგან საჭიროა, რომ იყოს დიდი და უკანასკნელი მსხვერპლშეწირვა; დიახ, არა ადამიანის მსხვერპლშეწირვა, არც ცხოველის, არც რაიმე ფრინველის; რადგან ეს არ იქნება ადამიანის მსხვერპლშეწირვა; არამედ იქნება უსაზღვრო და მარადიული მსხვერპლშეწირვა.

11 ახლა, არ არსებობს ადამიანი, რომელსაც შეუძლია შესწიროს საკუთარი სისხლი, რომელიც გამოსყიდის სხვის ცოდვებს. ახლა, თუ ადამიანი მოკლავს, ნუთუ ჩვენი კანონი, რომელიც არის სამართლიანი, წაართმევს მის ძმას სიცოცხლეს? მე გეუბნებით – არა.

12 მაგრამ კანონი მოითხოვს იმის სიცოცხლეს, რომელმაც მოკლა; ამიტომ, ვერ იქნება ვერაფერი, რაც უსაზღვრო გამოსყიდვაზე ნაკლებია, რაც საკმარისი იქნება ამა ქვეყნის ცოდვების დასაფარად.

13 ამიტომ, საჭიროა, იყოს დიდი და უკანასკნელი მსხვერპლშეწირვა და შემდეგ იქნება ან

უნდა იყოს ისე, რომ შეწყდეს სისხლისღვრა; მაშინ აღსრულდება მოსეს რჯული; დიახ, ის აღსრულდება ყოველი იოტი და წერტილით და არცერთი არ გაქრება.

14 და აჰა, ამაშია რჯულის მთელი აზრი, ყოველი იოტი მიუთითებს იმ დიდსა და უკანასკნელ მსხვერპლშეწირვაზე; და ის დიდი და უკანასკნელი მსხვერპლშეწირავი იქნება ძეღვთისა, დიახ, უსაზღვრო და მარადიული.

15 და ასე მოუტანს ხსნას ყველას, ვინც იწამებს მის სახელს; და მიზანი ამ უკანასკნელი მსხვერპლშეწირვისა არის – აღძრას წყალობის წიაღი, რომელიც დაძლევეს სამართალს, რომელიც მისცემს ადამიანებს საშუალებას, იქონიონ რწმენა მოსანანიებლად.

16 და ასე, წყალობა დააკმაყოფილებს სამართლის მოთხოვნებს და მოაქცევს მათ უსაფრთხო ხელში, მაშინ როდესაც ის, რომელიც არ ავლენს რწმენას მონანიებისთვის, ექვემდებარება სამართლის ყველა მოთხოვნას; ამიტომ, მხოლოდ მათთვის, ვისაც აქვს რწმენა მონანიებისთვის, აღსრულებულია ეს დიდი და მარადიული გამოსყიდვის გეგმა.

17 ამიტომ, დაე, ღმერთმა ქნას, ჩემო ძმებო, რომ დაიწყეთ მონანიებისთვის რწმენის გამოვლენა, რომ დაიწყეთ წმინდა

სახელის ხსენება, რათა მან შევიწყალოთ;

18 დიახ, შეჰვალადეთ წყალობისათვის; რადგან მას აქვს ხსნის ძალა.

19 დიახ, თავი დაიმდაბლეთ და იყავით მისადმი ლოცვაში.

20 შეჰვალადეთ მას, როდესაც იქნებით თქვენს მინდვრებში, დიახ, მთელ თქვენს ფარებზე.

21 შეჰვალადეთ მას თქვენს სახლებში, დიახ, თქვენი ოჯახის ყოველ წევრზე, დილით, შუადღესა და საღამოს.

22 დიახ, შეჰვალადეთ მას, თქვენი მტრების ძალის საწინააღმდეგოდ.

23 დიახ, შეჰვალადეთ მას ეშმაკის საწინააღმდეგოდ, რომელიც არის ყოველი სიმართლის მტერი.

24 შეჰვალადეთ მას თქვენი ხორბლის მინდვრებზე, რათა მათში აყვავდეთ.

25 შეჰვალადეთ თქვენი მინდვრების ფარებზე, რათა მათ იმრავლონ.

26 მაგრამ ეს არ არის ყველაფერი, უნდა გადმოღვართ სული თქვენს ოთახებში და საიდუმლო ადგილებში და თქვენს უდაბნოში.

27 დიახ, როდესაც არ შეჰვალადებთ უფალს, დაე, აგვესოთ გულები მისადმი განუწყვეტელი ლოცვით თქვენი კეთილდღეობისათვის, ასევე მათი კეთილდღეობისათვის, ვინც თქვენს გარშემოა.

28 და ახლა, აჰა, ჩემო საყვა-რელო ძმებო, მე თქვენ გეუბნებით: არ გეგონოთ, რომ ეს არის ყველაფერი; რადგან მას შემდეგ, რაც თქვენ ყოველივე ამას შეასრულებთ, თუ გააგდებთ ღატაკსა და შიშველს და არ ეწვევით ავადმყოფსა და გაჭირვებულს და არ გაუხიარებთ თქვენს ქონებას, თუკი ის გაქვთ, მათ, ვინც გაჭირვებაშია, მე თქვენ გეუბნებით: თუ არ შეასრულებთ აქედან არცერთს, მაშინ, აჰა, თქვენი ღოცვა ამაოა და არაფერს არ გარგებთ; და ხართ თვალთმაქცებივით, რომელნიც რწმენას უარყოფენ.

29 ამიტომ, თუ არ გესმით, რომ უნდა იყოთ მოწყალები, თქვენ ხართ როგორც ხენჯი, რომელსაც მებრძმედები ყრიან (რადგან არაფრად არ ვარგა) რომელსაც ადამიანები ფეხქვეშ თელავენ.

30 და ახლა, ჩემო ძმებო, მე მსურს, რომ მას შემდეგ, რაც თქვენ მიიღეთ ამდენი დამოწმება, იხილეთ რა, რომ წმინდა წერილი მოწმობს ყოველივე ამის შესახებ, გამოხვიდეთ წინ და მოიტანოთ მონანიებისთვის ნაყოფი.

31 დიახ, მე მსურს, რომ წინ გამოხვიდეთ და მეტად აღარ გაიქვავოთ გული; რადგან, აჰა, ახლა არის თქვენი ხსნის დრო და დღე; ამიტომ, თუ მოინანიებთ და გულს არ გაიქვავებთ, დაუყოვნებლივ აღსრულდება თქვენთვის გამოსყიდვის დიდი გეგმა.

32 რადგან, აჰა, ეს ცხოვრება არის დრო ადამიანისათვის, მოემზადოს ღმერთთან შესახვედრად; დიახ, აჰა, ამ ცხოვრების დღე ადამიანისათვის არის დღე, როდესაც ადამიანმა უნდა აკეთოს საკუთარი საქმენი.

33 და ახლა, როგორც მე მანამდე გითხარით, მიიღეთ რა ამდენი დამოწმება, მე გვედრებით, არ გადადოთ დასასრულამდე თქვენი მონანიების დღე; რადგან ცხოვრების ამ დღის შემდეგ, რომელიც მოგვეცა მარადისობისათვის მოსამზადებლად, აჰა, თუ ჩვენ ამ ცხოვრებაში უკეთესად არ გამოვიყენებთ დროს, მაშინ მოვა ბნელეთის ღამე, როდესაც ვერანაირი საქმე ვერ გაკეთდება.

34 როდესაც მიყვანილნი იქნებით იმ საშინელ ზღვრამდე, თქვენ ვერ იტყვით: მე მოვინანიებ, დაუბრუნდები ჩემს ღმერთს. ვერა, ვერ იტყვით ამას, რადგან ის სული, რომელიც ფლობს თქვენს სხეულს ამ ცხოვრებიდან წასვლის უამს, იგივე სულს ექნება ძალა, დაეუფლოს თქვენს სხეულს მარადიულ სამყაროში.

35 რადგან, აჰა, თუ გადადეთ თქვენი მონანიების დღე გარდაცვალებამდე, აჰა, თქვენ დაექვემდებარეთ ეშმაკის სულს და ის თავისიანებად გამტკიცებთ; ამიტომ, უფლის სული დაგშორდათ და აღარ აქვს ადგილი თქვენში; და ეშმაკს აქვს ყოველი ძალა

თქვენზედ; და ასეთია ბოროტთა საბოლოო მდგომარეობა.

36 და ეს ვიცი, რადგან უფალმა თქვა, რომ ის არ ცხოვრობს უწმინდურ ტაძრებში, არამედ მართალთა გულებში იმყოფება; დიახ, მან ასევე თქვა, რომ მართალნი დასხდებიან მის სასუფეველში, რათა აღარ გამოვიდნენ; მათი სამოსელი კი გათეთრდება კრავის სისხლის მეშვეობით.

37 და ახლა, ჩემო საყვარელო ძმებო, მე მსურს, რომ დაიმახსოვროთ ეს ყველაფერი, რომ ისწრაფოთ თქვენი ხსნისაკენ ღვთის შიშით, რომ აღარ უარყოთ ქრისტეს მოსვლა;

38 რომ აღარ დაუპირისპირდეთ სულიწმინდას, არამედ მიიღოთ იგი და საკუთარ თავზე აიღოთ ქრისტეს სახელი; რომ დაიმდაბლოთ თავი მტვრამდეც კი და თაყვანი სცეთ ღმერთს, სადაც არ უნდა იყოთ, სულითა და ჭეშმარიტებით და რომ ყოველი დღე იცხოვროთ მადლიერებით მრავალი წყალობისა და კურთხევებისთვის, რომლებსაც იგი თქვენზედ მოავლენს.

39 დიახ, ასევე მოგიწოდებთ, ჩემო ძმებო, განუწყვეტლივ იყავით ფხიზელნი ღოცვისათვის, რათა ვერ ჩაგითრიოთ ეშმაკის ცდუნებამ, რომ ვერ დაგძლიოთ, რომ ვერ გახდეთ მისი ქვედგომნი უკანასკნელ დღეს; რადგან, აჰა, იგი არაფრით კარგით არ გაჯილდოებთ.

40 და ახლა, ჩემო საყვარელო

ძმებო, მოგიწოდებთ, იქონიოთ მოთმინება და გადაიტანოთ ყველანაირი გაჭირვება, რომ არ გალანძლოთ ისინი, რომლებიც გაძევებენ თქვენი განსაკუთრებული სიღარიბის გამო, რათა არ იქცეთ მათნაირ ცოდვილებად;

41 არამედ, რომ იქონიოთ მოთმინება და გადაიტანოთ ეს გაჭირვება მტკიცე იმედით, რომ ერთ დღეს დაისვენებთ ყოველი თქვენი გაჭირვებისგან.

თავი 35

სიტყვის ქადაგება ანადგურებს ზორამიელთა მზაკვრობას. ისინი დევნიან ახლად მოქცეულებს, რომლებიც შეუერთდებიან ამონის ხალხს იერშონში. აღმა დამწუხრებულია ხალხის სიბოროტის გამო. დაახლოებით 74 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 ახლა, ეს იყო ასე, რომ მას შემდეგ, რაც ამუღეკმა დაასრულა ეს სიტყვები, ისინი წამოვიდნენ შეკრებილთაგან და მოვიდნენ იერშონის მიწაზე.

2 დიახ, მათი დანარჩენი ძმებიც, მას შემდეგ, რაც მათ უქადაგეს სიტყვა ზორამიელებს, ასევე მოვიდნენ იერშონის მიწაზე.

3 და იყო ასე, რომ მას შემდეგ, რაც ზორამიელთა მეტად რჩეულმა ნაწილმა ერთმანეთში მოითათბირა იმ სიტყვების შესახებ, რომლებიც მათ ექადაგათ, ისინი განრისხდნენ სიტყვის

გამო, რადგან მან გაანადგურა მათი მზაკვრობა; ამიტომ, მათ არ სურდათ ამ სიტყვებისთვის ყურის დაგდება.

4 და მათ გაგზავნეს მაცნეები და შეკრიბეს ერთად მთელი ხალხი მთელი მიწიდან და ითათბირეს მათთან იმ სიტყვების შესახებ, რომლებიც ითქვა.

5 ახლა, მათმა მმართველებმა და მათმა მღვდლებმა და მასწავლებლებმა არ შეატყობინეს ხალხს თავიანთი სურვილების შესახებ; ამიტომ, მათ ფარულად შეიტყვეს ხალხის აზრი.

6 და იყო ასე, რომ, მას შემდეგ, რაც მათ შეიტყვეს ხალხის აზრი, ისინი, რომლებიც კეთილად იყვნენ განწყობილნი აღმასა და მისი ძმების სიტყვების მიმართ, მიწიდან გააძევეს; და ასეთნი იყვნენ ბევრნი და ისინიც ასევე იერშონის მიწაზე ჩამოვიდნენ.

7 და იყო ასე, რომ აღმა და მისი ძმები მათ ემსახურნენ.

8 ახლა, ზორამიელთა ხალხი განრისხებული იყო ამონის ხალხზე, რომელიც იერშონში იყო და ზორამიელთა ბელადმა, იყო რა იგი ძალზედ ბოროტი კაცი, შეუთვალა ამონის ხალხს თავისი სურვილი – გაეძევებინათ მიწიდან ყველა, რომლებიც მათ მიწაზე გადავიდნენ.

9 და მან გადმოაფრქვია მრავალი მუქარა მათ წინააღმდეგ. და ახლა, ამონის ხალხს არ შეეშინდა მათი სიტყვების; ამიტომ,

არა თუ არ გააძევეს ისინი, არამედ მიიღეს ყველა ღარიბი ზორამიელი, ვინც მათთან მივიდა; და გამოკვებეს, ჩააცვეს და მისცეს მიწები მათი შემკვიდრობისათვის; და ემსახურებოდნენ მათი მოთხოვნილებების შესაბამისად.

10 ახლა, ამან გააღვივა წყრომა ზორამიელებში ამონის ხალხის წინააღმდეგ და მათ დაიწყეს ლამანიელებთან გაერთიანება და ასევე მათშიც წყრომის გაღვიძება ამონის ხალხის წინააღმდეგ.

11 და ასე, ზორამიელებმა და ლამანიელებმა დაიწყეს ომისთვის მზადება, ამონის ხალხისა და ასევე ნეფიელთა წინააღმდეგ.

12 და ასე დასრულდა ნეფის ხალხზე მოსამართლეთა მმართველობის მეზვიდმეტე წელი.

13 და ამონის ხალხი წავიდა იერშონის მიწიდან და მივიდა მილქის მიწაზე; და იერშონში მიწა ნეფიელთა ჯარს დაუთმეს, რათა ისინი ლამანიელთა და ზორამიელთა ჯარებს შებრძოლებოდნენ; და ასე დაიწყო ომი ლამანიელებსა და ნეფიელებს შორის მოსამართლეთა მმართველობის მეთვრამეტე წელს; და ქვემოთ მოყვანილი იქნება ამბავი მათ ომებზე.

14 და აღმა და ამონი და მათი ძმები და აღმას ორი შვილიც ერთად დაბრუნდნენ ზარაჰემლას მიწაზე მას შემდეგ, რაც იყვნენ ღმერთის ხელში

იარაღი მრავალი ზორამიელის მონანიებადვე მისაყვანად; და რამდენნიც მიყვანილნი იქნენ მონანიებადვე, იმდენი განდევნეს თავიანთი მიწიდან; მაგრამ მათ აქეთ თავიანთი მემკვიდრეობის მიწები იერშონის მიწაზე და აიღეს იარაღი საკუთარი თავის, ცოლების, შვილებისა და მიწების დასაცავად.

15 ახლა, აღმა, იყო რა დამწუხრებული თავისი ხალხის ურჯულოების გამო, დიახ, ომების, სისხლისღერისა და განხეთქილებების გამო, რომლებიც იყო მათ შორის; და რადგან მას უნდა ეუწყებინა სიტყვა, ან გაგზავნილიყო, რომ სიტყვა განეცხადებინა, ყოველი ქალაქის ყველა ხალხში; და ხედავდა, რომ ადამიანებმა დაიწყეს გულების გაქვავება და დაიწყეს წყენა სიტყვის სიმკაცრის გამო, მისი გული ძალზედ დამწუხრდა.

16 ამიტომ, მან ბრძანა, რომ მისი ვაჟიშვილები ერთად შეკრებილიყვნენ, რათა სათითაოდ მიეცა მათთვის დარიგება იმის შესახებ, რაც შეეხებოდა სამართლიანობას. და ჩვენ გვაქვს ჩანაწერი მისი ბრძანებების, რომლებიც მან მათ მისცა საკუთარი ჩანაწერის მიხედვით.

აღმას ბრძანებები თავისი ვაჟიშვილის, ჰელამანისადმი.

მოიცავს 36-ე და 37-ე თავებს.

თავი 36

აღმა მოწმობს ჰელამანის წინ, ანგელოზის ხილვის შემდგომ საკუთარი მოქცევის შესახებ. მან გადაიტანა განწირული სულის ტკივილი. შეჰღაღადა იესოს სახელს და შემდგომ იშვა ღვთის მიერ. ტკბილმა სიხარულმა აღავსო მისი სული. იხილა ღმერთის მადიდებელ ანგელოზთა თავმოყრა. მრავალმა მოქცეულმა იგემა და იხილა ის, რაც მან თავად იგემა და იხილა. დაახლოებით 74 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 ჩემო შვილო, დაუგდე ყური ჩემს სიტყვებს; რადგან გეფიცები, რამდენადაც დაიცავ ღვთის მცნებებს, იმდენად აყვავდები მიწაზე.

2 მსურს, ისე მოიქცე, როგორც მე მოვიქციე, მახსოვდა რა ჩვენი მამების ტყვეობა; რადგან ისინი იყვნენ მონობაში და ვერავინ ვერ გამოიხსნიდა მათ, გარდა ღმერთი აბრაამისა, ღმერთი ისააკისა და ღმერთი იაკობისა; და მან ნამდვილად გამოიხსნა ისინი თავიანთ გაჭირებაში.

3 და ახლა, ჩემო შვილო, ჰელამან, აჰა, ხარ ყმაწვილი და ამიტომ გევედრები, ყური დაუგდო ჩემს სიტყვებს და ისწავლო ჩემგან; რადგან ვიცი: ვინც ღმერთს მიანდობს საკუთარ სასოებას, მხარს დაუჭერენ მათსავე გამოცდის, მწუხარებისა და გაჭირვების ჟამს. და

ამაღლდებიან ისინი უკანასკნელ დღეს.

4 და არ მსურს იფიქრო, რომ მე ეს ჩემით ვიცი; ჩემი ცოდნა არის არა მიწიერიდან, არამედ სულიერიდან, არა ხორციელი გონებისგან, არამედ ღმერთისაგან.

5 ახლა, აჰა, გეუბნები: რომ არ ვშობილიყავი ღვთისგან, არ მეცოდინებოდა ეს ყველაფერი; მაგრამ ღმერთმა თავისი წმინდა ანგელოზის პირით გამანდო ეს ყველაფერი და არა რაიმე ჩემი ღირსების გამო;

6 რადგან დავდიოდი მოსიას შვილებთან ერთად, ვცდილობდი რა ღმერთის ეკლესიის განადგურებას; მაგრამ, აჰა, ღმერთმა მოავლინა თავისი წმინდა ანგელოზი, რათა შევეჩერებინეთ იმ გზაზე.

7 და აჰა, იგი გველაპარაკა, ვითარცა ჭექა-ქუხილის ხმით და მთელი მიწა ხანზარებდა ჩვენს ფეხქვეშ; და ჩვენ ყველანი მიწაზე დავეცით, რადგან უფლისადმი შიშმა მოგვიცვა.

8 მაგრამ, აჰა, ხმამ მითხრა: აღექი. და ავდექი და ვიხილე ანგელოზი.

9 და მან მითხრა: თუნდაც გინდოდეს, რომ თავად განადგურდე, ნუღარ ეცდები ღმერთის ეკლესიის განადგურებას.

10 და იყო ასე, რომ მე მიწაზე დავეცი; და ეს იყო სამი დღის და ღამის განმავლობაში, რომ პირს ვერ ვადებდი, არც კიდურები არ შემორჩილებოდა.

11 და ანგელოზმა უფრო მეტიც მითხრა, რაც ჩემმა ძმებმა გაიგონეს, მაგრამ მე მათი არ მესმოდა; რადგან როდესაც გავიგონე სიტყვები: თუნდაც მონდომო საკუთარი თავის განადგურება, ნუღარ ეცდები ღმერთის ეკლესიის განადგურებას, – მე ისეთი დიდი შიშითა და გაცოცებით შევერწუნდი იმის გამო, რომ შესაძლებელი იყო ჩემი განადგურება, რომ მიწაზე დავეცი და აღარაფერი არ მესმოდა.

12 მაგრამ ნაწამები ვიყავი მარადიული ტანჯვით, რადგან ჩემი სული იყო ძალზედ აფორიაქებული და ჩემი ცოდვებისგან ნაწამები.

13 დიახ, მახსოვდა ყველა ჩემი ცოდვა და ურჯულოება, რის გამოც გატანჯული ვიყავი ჯოჯოხეთური ტკივილით; დიახ, ვიხილე, რომ აუუჯანყდი ჩემს ღმერთს და რომ არ ვიცავდი მის წმინდა მცნებებს.

14 დიახ, მე დავხოცე მრავალი მისი შვილი ანუ მივიყვანე ისინი განადგურებამდე; დიახ, ბოლოს იმდენად დიდი იყო ჩემი ურჯულოება რომ თვით გაფიქრებაც კი ღმერთის გარემოცვაში შესვლაზე აღუწერელი საშინელებით აწამებდა ჩემს სულს.

15 ვიფიქრე, შესაძლებელი რომ ყოფილიყო, განვდეგნილიყავი და გავმქრალიყავი სულითაც და სხეულითაც, რათა არ წავმსდგარიყავი ჩემი ღმერთის

გარემოცვაში, რათა არ ვყოფილიყავი განკითხული ჩემი საქმეებისთვის.

16 და ახლა, სამი დღის და სამი ღამის განმავლობაში, განწირული სულის ტკივილი მაწამებდა.

17 და იყო ასე, რომ როდესაც ასე წამებით ვიტანჯებოდი, როდესაც აფორიაქებული ვიყავი ჩემი ცოდვების ხსოვნით, აჰა, მე ასევე გამახსენდა, რომ მოვისმინე მამაჩემის წინასწარმეტყველება ამ ხალხისადმი, ვინმე იესო ქრისტეს მოსვლის შესახებ, ღვთის ძისა, ამა ქვეყნის ცოდვების გამოსასყიდად.

18 ახლა, როდესაც ჩემი გონება ამ ფიქრს ჩაეჭიდა, მე გულში შეველაღადე: იესო, ძეო ღვთისაო, შემიწყალე, რომელიც ვარ მწარე ნაღველში და სიკვდილის მარადიული ჯაჭვებით შებოჭილი.

19 და ახლა, აჰა, როდესაც ეს გავიფიქრე, მე აღარ მახსოვდა ტკივილი; დიახ, აღარ ვიყავი აფორიაქებული ჩემი ცოდვების მოგონებებით.

20 და რა სიხარული, რა საოცარი სინათლე ვიხილე მე; დიახ, სული აღივსო სიხარულით, ისეთივე ძლიერით, როგორც იყო ჩემი ტკივილი!

21 დიახ, გუებნები, ჩემო შვილო, ვერაფერი ვერ იქნებოდა ისეთი მწვავე და ისეთი მწარე, როგორც იყო ჩემი ტკივილი. დიახ, მე კიდევ გუებნები, ჩემო შვილო, რომ მეორე მხრივ, ვერაფერი ვერ

იქნებოდა ისეთი ჩინებული და ტკბილი, როგორც იყო ჩემი სიხარული.

22 დიახ, მეგონა დავინახე, ისე როგორც ჩვენმა მამამ, ლეხიმ, დაინახა ღმერთი თავის ტახტზე მჯდომარე, უთვალავ ანგელოზთა ჯგუფებით გარშემორტყმული, რომლებიც გალობდნენ და აღიდებდნენ თავიანთ ღმერთს; დიახ, ჩემს სულს სურდა იქ ყოფნა.

23 მაგრამ, აჰა, ჩემს კიდურებს დაუბრუნდა ძალა და კვლავ ფეხზე წამოვდექი და გამოვუცხადე ხალხს, რომ ღვთისგან დავიბადე.

24 დიახ, იმ დროიდან დღემდე მე განუწყვეტლივ ვშრომობ, რათა სულები მივიყვანო მონიებად; შევძლო მივიყვანო, რათა იგემონ განსაკუთრებული სიხარული, რომელიც მე ვიგემე; რომ ისინიც ასევე იშვან ღვთისგან და აღივსონ სულიწმინდით.

25 დიახ, ახლა, აჰა, ჩემო შვილო, უფალი მაძლევს ძალხედ დიდ სიხარულს ჩემი შრომის ნაყოფში;

26 ვინაიდან სიტყვით, რომელიც მან მიბოძა, აჰა, მრავალნი იშვნენ ღვთისგან და იგემეს, რაც მე ვიგემე და იხილეს საკუთარი თვალებით, რაც მე ვიხილე; ამიტომ, მათ იციან იმის შესახებ, რაც ვილაპარაკე ისე, როგორც მე ვიცო; და ცოდნა, რომელიც მაქვს, არის ღმერთისგან.

27 და მქონდა მხარდაჭერა,

ყოველგვარი გამოცდისა და მწუხარების ჟამს, დიახ, ყველანაირი გაჭირვებებისას; დიახ, ღმერთმა საპყრობილიდან გამომიხსნა, ჯაჭვებიდან და სიკვდილისგან; დიახ, და მე მას ვანდობ ჩემს სასოებას და ის კვლავ გამომიხსნის.

28 და მე ვიცი, რომ იგი ამამაღლებს უკანასკნელ დღეს, რათა ვიცხოვრო მასთან ერთად დიდებაში; დიახ, მე ვადიდებ მას სამუდამოდ, რადგან მან გამოიყვანა ჩვენი მამები ეგვიპტიდან და შთანთქა ეგვიპტელები წითელ ზღვაში; და მიუძღვოდა მათ საკუთარი ძალით აღთქმული მიწისაკენ; დიახ, და იგი დროდადრო გამოიხსნიდა მათ მონობიდან და ტყვეობიდან.

29 დიახ, მან ასევე გამოიყვანა ჩვენი მამები იერუსალიმის მიწიდან; და მან ასევე, საკუთარი მარადიული ძალით, გამოიხსნა ისინი მონობიდან და ტყვეობიდან, დროდადრო, დღევანდელ დღემდეც კი; და მე მუდამ მახსოვდა მათი ტყვეობა; დიახ, თქვენც, ისევე, როგორც მე, უნდა გახსოვდეთ მათი ტყვეობის შესახებ.

30 მაგრამ, აჰა, ჩემო შვილო, ეს არ არის ყველაფერი, რადგან უნდა იცოდეთ ისევე, როგორც მე ვიცი, რომ რამდენადაც დაიცავ ღმერთის მცნებებს, იმდენად აყვავდები მიწაზე; და ასევე უნდა იცოდეთ, რომ რამდენადაც არ დაიცავ ღმერთის მცნებებს,

იმდენად იქნები მისი გარემოცვიდან მოკვეთილი. ახლა, ეს არის მისი სიტყვის შესაბამისად.

თავი 37

სპილენძის ფირფიტები და სხვა წმინდა წერილები ინახება, რათა სულები ხსნამდე მიიყვანონ. იარედიელები განადგურდნენ თავიანთი სიბოროტის გამო. მათი საიდუმლო ფიცი და აღთქმები უნდა იყოს ხალხისგან დაფარული. ყოველ თქვენს საქმეში უფალს რჩევა სთხოვეთ. როგორც მიუძღოდა ლიახონა ნეფიელებს, ისე უძღვება ქრისტეს სიტყვა ადამიანებს მარადიული სიცოცხლისაკენ. დაახლოებით 74 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და ახლა, ჩემო შვილო, ჰელამან, მე გიბრძანებ, აიღო ჩანაწერები, რომლებიც მე მომანდეს;

2 ასევე გიბრძანებ, გააკეთო ჩანაწერები ამ ხალხზე, იმის შესაბამისად, როგორც მე გავაკეთე ნეფის ფირფიტებზე და წმინდად შეინახე ყოველივე ის, რასაც მე ვინახავდი ისე, როგორც მე ვინახავდი; რადგან ისინი ინახება ბრძნული მიზნით.

3 და ეს სპილენძის ფირფიტები, რომლებიც შეიცავს ამ გრავირებს, რომლებშიც არის ჩანაწერები წმინდა წერილებზე, რომლებიც მოიცავს ჩვენი წინაპრების გვარტომობას, თვით დასაწყისიდანაც კი.

4 აჰა, ეს იწინასწარმეტყველეს ჩვენმა მამებმა, რომ ჩანაწერები უნდა შენახულ იქნას და გადაეცეს ერთი თაობიდან მეორეს, უფლის ხელით იქნება შენახული და დაცული მანამ, სანამ არ მიადწევს ყოველ ერს, ტომს, ენასა და ხალხს, რათა მათ შეიტყონ საიდუმლოებანი, რომლებიც ინახება ფირფიტებში.

5 და ახლა, აჰა, თუ ფირფიტები შეინახება, მათ უნდა შეინარჩუნონ სიკაშკაშე; დიახ, და ისინი შეინარჩუნებენ სიკაშკაშეს უდავოდ; დიახ, ასევე ყველა ფირფიტა, რომლებიც შეიცავს იმას, რაც არის წმინდა წერილი.

6 ახლა, შენ შეიძლება იფიქრო, რომ ეს ჩემი უგუნურებაა; მაგრამ, აჰა, მე გეუბნები, რომ პატარა და უბრალო საქმეებით ხდება დიდი საქმეების კეთება; და პატარა საშუალებებით ხშირად შეიმუსრება ბრძენი.

7 და უფალი ღმერთი ასე აღასრულებს თავის დიდ და მარადიულ მიზნებს; და ძალიან პატარა საშუალებებით უფალი მუსრავს ბრძენთ და მოაქვს ხსნა მრავალი სულისათვის.

8 და ახლა, აქამდე ღმერთის სიბრძნით იყო, რომ ეს ყველაფერი შენახულიყო; რადგან, აჰა, ამან გაზარდა ამ ხალხის მესხიერება და დაარწმუნა მრავალნი საკუთარი გზების სიმცდარეში და წაიყვანა თავიანთი ღმერთის ცოდნისკენ, მათი სულების ხსნისათვის.

9 დიახ, მე გეუბნები, რომ არა ის, რაც ჩაწერილია ამ ჩანაწერებში, რომლებიც ამ ფირფიტებზეა, ამონი და მისი ძმები ვერ დაარწმუნებდნენ ამდენ ათას ლამანიელს თავიანთი მამების ჩვეულებების სიმცდარეში; დიახ, ამ ჩანაწერებმა და მათ სიტყვებმა მიიყვანეს ისინი მონანიებამდე ანუ მათ მიიყვანეს ისინი უფლის, თავიანთი ღმერთის, ცოდნამდე და მათი გამომსყიდველის, იესო ქრისტეს სიხარულამდე.

10 და ვინ იცის, შესაძლოა ისინი გახდნენ მრავალი ათასი მათგანის, დიახ, ასევე, მრავალი ათასი ჩვენი ქედგიცხელი ძმების, ნეფიელების, რომლებიც ამჟამად გულს იქვავენენ ცოდვასა და ურჯულოებაში, მათი გამომსყიდველის ცოდნამდე მიყვანის საშუალება.

11 ახლა, ეს საიდუმლოებანი მთლად ბოლომდე არ არის ჩემთვის ცნობილი; ამიტომ, მე თავს შევიკავებ.

12 და შეიძლება საკმარისია, თუ მხოლოდ ვიტყვი, რომ ისინი ბრძნული მიზნისთვის ინახება, რომელი მიზანიც ცნობილია ღმერთისათვის; რადგან იგი სიბრძნეში ასწავლის ყველა თავის საქმეს; და მისი ბილიკები არის სწორი და მისი გეზი ერთი მარადიული წრეა.

13 გახსოვდეს, გახსოვდეს, ჩემო შვილო, ჰელამან, როგორი მკაცრია ღმერთის მცნებები. და მან

თქვა: თუ დაიცავთ ჩემს მცნებებს, ამ მიწაზე აყვავდებით. მაგრამ თუ არ დაიცავთ მის მცნებებს, მოკვეთილნი იქნებით მისი გარემოცვიდან.

14 და ახლა დაიმახსოვრე, ჩემო შვილო, რომ ღმერთმა მოგანდო ეს საგნები, რომლებიც არის წმინდა, რომლებსაც იგი წმინდად ინახავდა და რომლებსაც იგი ასევე შეინახავს და დაიცავს საკუთარი ბრძნული მიზნისათვის, რათა შეძლოს საკუთარი ძალის გამოვლენა მომავალი თაობებისათვის.

15 და ახლა, აჰა, მე გეუბნები წინასწარმეტყველების სულით, რომ თუ დაარღვევ ღმერთის მცნებებს, აჰა, ეს საგნები, რომლებიც არის წმინდა, ღმერთის ძალით წაგერთმევა და გადაეცემა სატანას, რათა მან ბზესავით ქარში გაგცრას.

16 მაგრამ, თუ დაიცავ ღმერთის მცნებებს და მოეპყრობი ამ საგნებს, რომლებიც არის წმინდა, იმისდა მიხედვით, როგორც უფალი გიბრძანებს (რადგან შენ უნდა მიმართო უფალს ყველაფრისთვის, რასაც არ უნდა აკეთებდე მათ მიმართ) აჰა, ვერანაირი ძალა, ვერც დედამიწის და ვერც ჯოჯოხეთის, ვერ წაგართმევს მათ, რადგან ღმერთი ძლევამოსილია თავისი ყოველი სიტყვის აღსრულებაში.

17 რადგან იგი აღასრულებს ყველა თავის დანაპირებს, რომლებსაც დაგპირდება, რადგან

მან აღასრულა ყველა დაპირება, რაც ჩვენს მამებს მისცა.

18 რადგან იგი დაპირდა მათ, რომ დაიცავს ამ საგნებს თავისი ბრძნული მიზნისათვის, რათა შეძლოს საკუთარი ძალის გამოვლენა მომავალი თაობებისათვის.

19 და ახლა, აჰა, ერთი მიზანი მან აღასრულა, მრავალი ათასი ლამანიელის ჭეშმარიტების ცოდნისკენ დაბრუნებით; და მათში გამოავლინა საკუთარი ძალა და კვლავ გამოავლენს საკუთარ ძალას მათში მომავალი თაობებისთვის; ამიტომ, ისინი უნდა გადარჩნენ.

20 ამიტომ, მე გიბრძანებ, ჩემო შვილო, ჰელამან, რომ იყო ბეჯითი ყველა ჩემი სიტყვის შესრულებაში, რათა იყო ბეჯითი ღმერთის მცნებების დაცვაში ისე, როგორც დაწერილია ისინი.

21 და ახლა, გეტყვი იმ ოცდაოთხი ფირფიტის შესახებ, რომ ისინი შეინახო, რათა იმ ხალხის საიდუმლოებანი და ბნელეთის საქმენი და მათი ფარული საქმენი ანუ ფარული საქმენი იმ ხალხისა, რომელიც განადგურდა, გამოცხადებულ იქნეს ამ ხალხისათვის; დიახ, ყველა მათი მკვლელობა და ძარცვა და მათი ყაჩაღობა და ყოველი მათი სიბოროტე და სისაძაგლე, გამოცხადებულ იქნას ამ ხალხისათვის; დიახ, რომ შეინახო ეს მთარგმნელი ხელსაწყოები.

22 რადგან, აჰა, უფალმა იხილა, რომ მისმა ხალხმა დაიწყო

ბნელეთის საქმეების კეთება, დიახ, საიდუმლო მკვლევლობისა და სისაძაგლის ჩადენა; ამიტომ, უფალმა თქვა: თუ არ მოინანიებენ, ისინი დედამიწის პირიდან განადგურდებიან.

23 და უფალმა თქვა: მე ჩემს მსახურს, გაზელეშს, მოვუმზადებ ქვას, რომელიც ბნელეთში სინათლისკენ გაანათებს, რათა გავეშუქავო ჩემს ხალხს, რომელიც მე მემსახურება, რომ შევძლო მათი ძმების საქმეების მათთვის გამჟღავნება, დიახ, მათი ფარული საქმეების, მათი ბნელეთის საქმეების, მათი სიბოროტისა და სისაძაგლის.

24 და ახლა, ჩემო შვილო, ეს მთარგმნელი ხელსაწყოები იყო მომზადებული, რათა აღსრულდეს ღვთის სიტყვა, რომელიც მან თქვა:

25 მე გამოვიტან ბნელეთიდან სინათლეზე ყველა მათ საიდუმლო საქმეებსა და სისაძაგლეს; და თუ არ მოინანიებენ – გავანადგურებ მათ დედამიწის პირიდან; და სინათლეზე გამოვიტან ყველა მათ საიდუმლოებასა და სისაძაგლეს ყველა ერისათვის, რომელიც მომავალში დაეუფლება ამ მიწას.

26 და ახლა, ჩემო შვილო, ჩვენ ვხედავთ, რომ მათ არ მოინანიეს; ამიტომ, განადგურდნენ და აქამდე ღვთის სიტყვა სრულდებოდა; დიახ, მათი საიდუმლო სისაძაგლენი გამოტანილ იქნა

წყვდიადიდან და ჩვენ გაგვემხილა.

27 და ახლა, ჩემო შვილო, მე გიბრძანებ, რომ დაფარო ყველა მათი ფიცი და აღთქმა; და მათი შეთანხმებები თავიანთ საიდუმლო სისაძაგლეში; დიახ, ყველა მათი ნიშანი და საოცრება შენ უნდა დამალო ამ ხალხისგან, რომ მათ ეს არ გაიგონ, რათა არ მოხდეს ისე, რომ ისინიც ჩაცვივდნენ ბნელეთში და განადგურდნენ.

28 რადგან, აჰა, წყველა ადევს მთლიანად ამ მიწას, რომ განადგურება მოეკლინება ბნელეთის საქმის ყველა მკეთებელს, ღმერთის ძალის შესაბამისად, როდესაც ისინი ბოლომდე მომწიფდებიან; ამიტომ, მსურს, რომ ეს ხალხი არ განადგურდეს.

29 ამიტომ, შენ დამალავ ამ ხალხისგან ამ საიდუმლო გეგმებს მათი ფიცისას და აღთქმებისას და მხოლოდ მათ სიბოროტეზე და მათ მკვლევლობებზე და მათ სისაძაგლეზე აცნობებ მათ; და ასწავლი მათ, სძულდეთ ასეთი ბოროტება და სისაძაგლე და მკვლევლობები; ასევე ასწავლი მათ, რომ ეს ხალხი განადგურდა საკუთარი ბოროტების და სისაძაგლისა და მათი მკვლევლობებისათვის.

30 რადგან, აჰა, მათ დახოცეს უფლის ყველა წინასწარმეტყველი, რომელიც მივიდა მათ შორის, რათა მათთვის ეუწყებინათ მათი ურჯულოება და

ამ დახოცილთა სისხლი შეკლადადებდა შურისძიებისათვის უფალს, მათ ღმერთს, თავიანთი მკვლელების მიმართ; და ასე მოველინა ღმერთის განაჩენი მათ, რომლებიც ჩადიან ბნელეთის საქმეებს და აწყობენ საიდუმლო შეთქმულებებს.

31 დიახ, წყეული იქნება მიწა, უკუნისიდან უკუნისამდე, მათთვის, ვინც ჩადის ბნელეთის საქმეებს და აწყობს საიდუმლო შეთქმულებებს, განადგურებამდეც კი, მათ გარდა, რომლებიც მოინანიებენ, სანამ ბოლომდე არ მომწიფდებიან.

32 და ახლა, ჩემო შვილო, დაიმახსოვრე სიტყვები, რომლებიც გითხარი; არ ანდო ეს საიდუმლო გეგმები ამ ხალხს, არამედ ასწავლე მათ ცოდვისა და ურჯულოების მიმართ მარადიული სიძულვილი.

33 უქადაგე მათ მონანიება და უფალში, იესო ქრისტეში, რწმენა; ასწავლე მათ, დაიმდაბლონ თავი და გულში იყვნენ თვინიერნი და მორიდებულნი; ასწავლე მათ, წინააღმდეგობა გაუწიონ ეშმაკის ყველა ცდუნებას თავიანთი რწმენით უფალ იესო ქრისტეში.

34 ასწავლე მათ, რომ არასდროს არ დაიდალონ კეთილი საქმეებით, არამედ იყვნენ გულში თვინიერნი და მორიდებულნი; რადგან ასეთნი ჰპოვებენ სიმშვიდეს თავიანთ სულეებში.

35 გახსოვდეს, ჩემო შვილო, და

ისწავლე სიბრძნე შენს სიყმაწვილეში; დიახ, ისწავლე ყმაწვილობისას ღმერთის მცნებების დაცვა.

36 დიახ, შეჰვალადე ღმერთს ყოველგვარი დახმარებისათვის; დაე, ყველა შენი საქმე იყოს უფლისათვის, სადაც არ უნდა წახვიდე, დაე, ეს იყოს უფლისათვის; დიახ, დაე, ყოველი შენი ფიქრი უფლისკენ იყოს მიმართული; დიახ, დაე, შენი გულის სიყვარული უფლისაკენ იყოს მიმართული უკუნისამდე.

37 განიხილე უფალთან ყოველი შენი საქმე და ის გაგიძღვება კეთილისკენ; დიახ, როდესაც დამე დაწვები, დაწეკი უფალში, რათა ძილში დაგიცვას; და როდესაც დილით აღგები, დაე, გული შენი აღსავსე იყოს ღმერთისადმი მადლიერებით; და თუ შენ ამ ყველაფერს შეასრულებ, უკანასკნელ დღეს ამალდები.

38 და ახლა, შვილო ჩემო, მე რადაც უნდა გითხრა იმ საგანზე, რომელსაც ჩვენი მამები უწოდებენ ბირთვის ანუ მაჩვენებელს ანუ ჩვენი მამები მას უწოდებდნენ ლიახონას, რაც განმარტებულია, როგორც კომპასი; და იგი უფალმა მოამზადა.

39 და აჰა, არ შეუძლია არცერთ ადამიანს ასეთი ნატიფი ნაკეთობის გაკეთება. და აჰა, ის დამზადდა, რათა ეჩვენებინა ჩვენი მამებისათვის მიმართულება, რომლისკენაც მათ უდაბნოში უნდა ემოგზაურათ.

40 და ის მათთვის მუშაობდა, ღმერთში მათი რწმენის შესაბამისად; ამიტომ, როდესაც მათ ჰქონდათ რწმენა იმისა, რომ ღმერთს შეეძლო ისე მოეხდინა, რომ ისრებს ეჩვენებინა გზა, საითაც უნდა წასულიყვნენ, აჰა, ასეც ხდებოდა; ამიტომ, მათ ჰქონდათ ეს სასწაული და ასევე მრავალი სხვა სასწაული ყოველ დღე, ღმერთის ძალით მოვლენილი.

41 ამისდა მიუხედავად, იმის გამო, რომ ეს სასწაულები ხდებოდა მცირე შესაძლებლობებით, ის უჩვენებდა მათ საოცარ საქმეებს. ისინი ზარმაცნი იყვნენ და ავიწყდებოდათ საკუთარი რწმენის და სიბეჯითის გამოვლენა; და მაშინ ეს საოცარი საქმეები შეწყდა და ისინი ვეღარ აგრძელებდნენ მოგზაურობას;

42 ამიტომ, ისინი ყოვნდებოდნენ უდაბნოში ანუ არ მიდიოდნენ სწორი მიმართულებით და იტანჯებოდნენ შიმშილითა და წყურვილით საკუთარ შეცოდებათა გამო.

43 და ახლა, ჩემო შვილო, მე მინდა, გაიგო: ეს ყველაფერი არ არის მიმსგავსების გარეშე; რადგან ჩვენს მამებს ეზარებოდათ ამ კომპასზე ყურადღების გამახვილება (ეს ყველაფერი მიწიერი იყო) ისინი ვერ აღწევდნენ წარმატებებს; იგივე ხდება სულიერ საქმეებში.

44 რადგან, აჰა, ისევე ადვილია

ყური დაუგდო ქრისტეს სიტყვას, რომელიც მიგითითებს სწორ მიმართულებას მარადიული ნეტარებისაკენ, როგორც ადვილი იყო ჩვენი მამებისთვის ყურადღების გამახვილება კომპასზე, რომელიც უჩვენებდა მათ სწორ მიმართულებას აღთქმული მიწისკენ.

45 და ახლა, მე გეუბნები: ნუთუ არ არის ამაში რაიმე სიმბოლო? რადგან ისევე, როგორც ნამდვილია ის, რომ ამ მაჩვენებელმა მიიყვანა ჩვენი მამები აღთქმულ მიწაზე, მიჰყვებოდნენ რა მის მიმართულებას, ასევე ქრისტეს სიტყვები, თუ ჩვენ მივყვებით მათ მიმართულებას, გაგვიყვანენ ამ მწუხარების ველიდან ბევრად უკეთეს აღთქმულ მიწაზე.

46 შვილო ჩემო, ნუ ვიქნებით ზანტნი გზის სიადვილის გამო; რადგან ასე დაემართათ ჩვენს მამებს, რადგან ისე იყო მათთვის მომზადებული, რომ თუ შეხედავდნენ, ცოცხლები დარჩებოდნენ; ასევე არის ჩვენთვისაც. გზა არის მომზადებული და თუ შევხედავთ, მარადიულად ვიცოცხლებთ.

47 და ახლა, შვილო ჩემო, მიაქციე ყურადღება იმას, რომ მოუფრთხილდე ამ წმინდა საგნებს, დიახ, მიაქციე ყურადღება იმას, რომ უმზირო ღმერთს და იცოცხლო. წადი ამ ხალხთან და აუწყე სიტყვა; და იყავი ფხიზლად. მშვიდობით, შვილო ჩემო.

აღმას ბრძანებები თავისი ვაჟი-
შვილის, შიბლონისადმი.

მოიცავს 38-ე თავს.

თავი 38

*შიბლონს დევნიდნენ სამართ-
ლიანობისათვის. ხსნა არის
ქრისტეში, რომელიც არის ამა
ქვეყნის სიცოცხლე და სი-
ნათლე. მოთოკეთ თქვენი ყო-
ველი ვნება. დაახლოებით 74 წ.
ჩვენს წელთაღრიცხვამდე.*

1 შვილო ჩემო, ყური დაუ-
გდე ჩემს სიტყვებს, რადგან
გეუბნები ისე, როგორც ჰელა-
მანს ვუთხარი, რომ რამდენა-
დაც დაიცავ ღვთის მცნებებს,
იმდენად აყვავდები მიწაზე; და
რამდენადაც არ დაიცავ ღვთის
მცნებებს, იმდენად მოკვეთილი
იქნები მისი გარემოცვიდან.

2 და ახლა, შვილო ჩემო, იმედი
მაქვს, რომ შექნება დიდი სიხა-
რული შენში, შენი სიმტკიცისა
და ღმერთის მიმართ ერთგულე-
ბისათვის; რადგან შენ ყმაწვი-
ლობიდანვე უმზერდი უფალს,
შენს ღმერთს, ამიტომ იმედი
მაქვს, რომ გააგრძელებ მისი
მცნებების დაცვას; რადგან
კურთხეულია ის, რომელიც ბო-
ლომდე გაუძღვება.

3 მე გეუბნები, შვილო ჩემო,
რომ უკვე მქონდა დიდი სიხა-
რული შენში, შენი ერთგულე-
ბისა და შენი სიბეჯითის და
შენი მოთმინებისა და სულ-

გრძელობის გამო, ზორამიელთა
ხალხს შორის.

4 რადგან მე ვიცი, რომ შენ
იყავი ბორკილებში; დიახ, ასევე
ვიცი, რომ გქოლავდნენ სიტყვი-
სათვის; და შენ ყოველივე ეს
მოთმინებით გადაიტანე, რადგან
უფალი იყო შენთან; და ახლა
შენ იცი, რომ შენ უფალმა გა-
მოგიხსნა.

5 და ახლა, შვილო ჩემო, შიბ-
ლონ, მსურს, დაიმახსოვრო, რომ
რამდენადაც მიანდობ ღმერთს
შენს სასოებას, იმდენად გამო-
ხსნილი იქნები განსაცდელიდან
და მწუხარებიდან და გაჭირვე-
ბიდან და უკანასკნელ დღეს
ამაღლდები.

6 ახლა, ჩემო შვილო, არ მინდა
იფიქრო, რომ მე ეს ყველაფერი
ჩემით ვიცი, მაგრამ ეს არის
ღმერთის სული, რომელიც ჩემ-
შია, რომელიც შთამაგონებს;
რადგან, რომ არ ვყოფილიყავი
ღვთისაგან შობილი, არ მეცო-
დინებოდა ყოველივე ეს.

7 მაგრამ, აჰა, უფალმა, თავისი
დიდი წყალობით, მოავლინა ან-
გელოზი, რათა გამოეცხადებინა
ჩემთვის, რომ შემეწყვიტა განად-
გურების საქმე მის ხალხში; და
მე ანგელოზი ვიხილე პირისპირ
და იგი დამელაპარაკა და ხმა
მისი იყო ვითარცა ჭექა-ქუხილი
და მთელ დედამიწას აზანზა-
რებდა.

8 და იყო ასე, რომ სამი დღის
და სამი ღამის განმავლობაში
ვიმყოფებოდი სულის ყველაზე

მწარე ტკივილში და ტანჯვაში; და სანამ არ შევღაღადე უფალს, იესო ქრისტეს, წყალობისთვის, არ მივიღე ცოდვების მიტევება. მაგრამ, აჰა, შევღაღადე მას და სულის სიმშვიდე მოვიპოვე.

9 და ახლა, შვილო ჩემო, მე ეს გითხარი, რომ ისწავლო სიბრძნე, რათა ისწავლო ჩემგან, რომ არ არსებობს სხვა გზა ან საშუალება, რითაც შესაძლებელია ადამიანისათვის გადარჩენა, თუ არა ქრისტეში და მისი მეშვეობით. აჰა, ის არის ამა ქვეყნის სიცოცხლე და სინათლე. აჰა, ის არის ჭეშმარიტებისა და სიმართლის სიტყვა.

10 და ახლა, დაიწყე რა სიტყვის სწავლება, მსურს, გააგრძელო სწავლება; და მსურს, რომ იყო ბეჯითი და ზომიერი ყველაფერში.

11 მიაქციე ყურადღება, რომ არ აღზევდე ამპარტავნობაში, დიახ, რომ არ იტრაბახო არც შენი სიბრძნით და არც დიდი ძალით.

12 გამოიჩინე სიმამაცე, მაგრამ არა მბრძანებლობა; ასევე მიაქციე ყურადღება, რომ მოთოკო შენი ყოველი ვნება, რომ აღსავსე იყო სიყვარულით; რათა თავი აარიდო სიზარმაცეს.

13 არ ილოცო ზორამიელებით, რადგან შენ იხილე, რომ ისინი ლოცულობენ ხალხის გასაგონად და საკუთარი სიბრძნის სადიდებლად.

14 არ თქვა: ღმერთო, მე მადლობელი ვარ იმისათვის, რომ

ვართ ჩვენს ძმებზე უკეთესნი; არამედ თქვი: უფალო, შემიძნე უღირსობა და წყალობით გაიხსენე ჩემი ძმები. დიახ, ყოველთვის აღიარე საკუთარი უღირსობა ღმერთის წინაშე.

15 დაე, უფალმა აკურთხოს შენი სული და უკანასკნელ დღეს მიგიღოს თავის სასუფეველში, რათა დაბრძანდე მშვიდად. ახლა, წადი, შვილო ჩემო, და ასწავლე სიტყვა ამ ხალხს. იყავი ფხიზლად, შვილო ჩემო, მშვიდობით.

აღმას ბრძანებები თავისი ვაჟი-შვილის, კორიანტონისადმი.

შეიცავს 39-დან 42-ე თავის ჩათვლით.

თავი 39

სქესობრივი ცოდვა არის სისაძაგლე. კორიანტონის ცოდვები აყოვნებდა ზორამიელებს სიტყვის მიღებაში. ქრისტეს გამოსყიდვა მოქმედებს წარსულ დროზეც, გადაარჩენს იმ ერთგულებს, რომლებიც ადრე გარდაიცვალნენ. დაახლოებით 74 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და ახლა, შვილო ჩემო, მე შენთვის მაქვს იმაზე მეტი სათქმელი, რაც შენს ძმას ვუთხარი; რადგან, აჰა, ნუთუ ვერ შენიშნე შენი ძმის სიმტკიცე, მისი ერთგულება და სიბეჯითე

ღმერთის მცნებების დაცვაში? აჰა, ნუთუ არ გაჩვენა მან კარგი მაგალითი?

2 რადგან შენ არ უთმობდი იმდენ ყურადღებას ჩემს სიტყვებს, როგორც შენი ძმა, ზორამიელთა ხალხს შორის. და ახლა რა მაქვს შენს წინააღმდეგ; შენ აგრძელებდი ტრაბახს ძალითა და სიბრძნით.

3 და ეს არ არის ყველაფერი, შვილო ჩემო. შენ ჩაიდინე ის, რამაც დამადონა; მიატოვე მსახურება და წახვედი სირონის მიწაზე, ლამანიელების საზღვრებთან, უკან გაყევი მეძავ იზაბელს.

4 დიახ, მან გაიტაცა მრავალთა გული; მაგრამ, ეს შენ არ გამართლებს, შვილო ჩემო. შენ უნდა თავი მიგეძღვნა მსახურებისათვის, რომელიც შენ მოგანდეს.

5 ნუთუ არ იცი, შვილო ჩემო, რომ ეს ყველაფერი არის სისაძაგლე უფლის თვალში; დიახ, ყველა ცოდვაზე უფრო ბილწი, უდანაშაულო სისხლის დაღვრისა და სულიწმინდის უარყოფის გარდა?

6 რადგან, აჰა, თუ უარყოფ სულიწმინდას, რომელმაც შენში ერთხელ დაიმკვიდრა და იცი, რომ მას უარყოფ, აჰა, ეს არის მიუტევებელი ცოდვა; დიახ, ადამიანი, რომელიც ღმერთის სინათლისა და ცოდნის წინააღმდეგ კლავს, მისთვის არ იქნება ადვილი შეწყალების მიღება; დიახ, მე გეუბნები, შვილო

ჩემო, არ იქნება ადვილი მისთვის შეწყალების მიღება.

7 და ახლა, შვილო ჩემო, არ მინდა, რომ ღმერთმა დაგადანაშაულოს ასეთ დიდ დანაშაულში. მე არ ვისაუბრებდი შენს დანაშაულებებზე შენი სულის ასაფორიაქებლად, რომ არ ყოფილიყო ეს შენთვის სასარგებლო.

8 მაგრამ, აჰა, ვერ დაფარავ შენს დანაშაულებს ღმერთისგან; და თუ არ მოინანიებ, ესენი იქნება, როგორც მოწმობა შენ წინააღმდეგ, უკანასკნელ დღეს.

9 ახლა, შვილო ჩემო, მსურს, მოინანიო და მიატოვო ცოდვები; და აღარ აჰყვე თვალის ვნებას; არამედ შეიკავე თავი ყოველივე ამაში; რადგან თუ ასე არ მოიქცევი, ვერავითარ შემთხვევაში ვერ დაიმკვიდრებ ღვთის სასუფეველს. გახსოვდეს და მიიღე საკუთარ თავზე და შეიკავე თავი ყოველივე ამაში.

10 და მე გიბრძანებ, რომ მომავალში რჩევა სთხოვო უფროს ძმებს შენს წამოწყებებში; რადგან, აჰა, შენ ხარ სიყმაწვილეში და გჭირდება შენი ძმებისაგან სულიერი დახმარება. და ყური დაუგდე მათ რჩევებს.

11 ნუ მისცემ ნებას საკუთარ თავს, გაგიტაცოს რაიმე ამომი და უგუნურმა; ნუ დაუშვებ იმას, რომ ეშმაკმა გაიტაცოს შენი გული იმ ბოროტი მეძავებისაკენ. აჰა, ჩემო შვილო, როდენ დიდი ურჯულოება მოუტანე შენ ზორამიელებს, რადგან,

როდესაც ისინი ხედავდნენ შენს ქცევას, აღარ სურდათ, ერწმუნათ ჩემი სიტყვები.

12 და ახლა, უფლის სული მეუბნება: უბრძანე შენს შვილებს, აკეთონ სიკეთე, რომ არ ააცდინონ გზას მრავალთა გულები და არ წაიყვანონ განადგურებისკენ; ამიტომ, მე გიბრძანებ, შვილო ჩემო, რომ ღმერთის შიშით, თავი შეიკავო შენი ურჯულოებისგან.

13 რომ მობრუნდე უფლისკენ მთელი შენი გონებით, შესაძლებლობებითა და ძალით; რომ მეტი აღარ შეაცდინო გულები სიბოროტის ჩასადენად; მაგრამ დაბრუნდი მათთან და სცნე საკუთარი შეცდომები და ის ცუდი, რაც გააკეთე.

14 არ ეძებო არც სიმდიდრე, არც ამქვეყნიური ამაოებანი; რადგან, აჰა, თან ვერ წაიღებ მათ.

15 და ახლა, ჩემო შვილო, მინდა ცოტაოდენი რამ გითხრა ქრისტეს მოსვლის შესახებ. აჰა, მე გეუბნები, რომ ეს არის ის, რომელიც მოვა, რათა აიღოს ამა ქვეყნის ცოდვები; დიახ, იგი მოდის, რათა თავის ხალხს აუწყოს ხსნის სასიხარულო ამბავი.

16 და ახლა, ჩემო შვილო, ეს არის ის მსახურება, რომლისთვისაც იყავი მოწოდებული – გეუწყებინა ამ ხალხისთვის სასიხარულო ამბები, რათა მოგემზადებინა მათი გონება; უფრო სწორად, ხსნა რომ მოსულიყო მათთან, რათა მოემზადებინათ

შვილების გონება მისი მოსვლის ჟამს სიტყვის მოსასმენად.

17 და ახლა, მე ოდნავ დაგიმშვიდებ გონებას ამის შესახებ. აჰა, შენ გიკვირს, თუ რატომ უნდა იყოს ეს ყველაფერი ცნობილი ამდენი ხნით ადრე. აჰა, მე შენ გეუბნები, ნუთუ ისევე ძვირფასი არ არის ღმერთისთვის სული ახლა, როგორც ის ძვირფასი იქნება მისთვის მისი მოსვლის ჟამს?

18 ნუთუ არ არის აუცილებელი, რომ გამოსციდვის გეგმა ეცნობოს ამ ხალხს ისევე, როგორც მათ შვილებს?

19 ნუთუ ისევე ადვილი არ არის უფლისთვის ამჯერად მოავლინოს ანგელოზი, რათა ჩვენთვის გამოაცხადოს ეს სასიხარულო ამბები, როგორც ჩვენი შვილებისთვის ან თავისი მოსვლის შემდეგ?

თავი 40

ქრისტე ახორციელებს ყოველი ადამიანის აღდგომას. გარდაცვლილი სამართლიანი ადამიანები მიდიან სამოთხეში და ბოროტნი გარესენელ ბნელეთში, რათა დაელოდონ თავიანთი აღდგომის დღეს. ყველაფერი აღდგება საკუთარ სწორ და სრულყოფილ ფორმაში აღდგომის დროს. დაახლოებით 74 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 ახლა, შვილო ჩემო, აი, კიდევ ცოტაოდენი რამ, რისი

თქმაც მინდა შენთვის; რადგან ვგრძნობ, რომ შენი გონება შეშფოთებულია გარდაცვლილთა აღდგომით.

2 აჰა, მე გეუბნები, რომ არ იქნება აღდგომა, ან ვიტყვი სხვა სიტყვებით, რომ ეს მოკვდავი არ შეიმოსება უკვდავებით, რომ ეს ხრწნადი არ გახდება უხრწნელი, ქრისტეს მეორედ მოსვლამდე.

3 აჰა, იგი ახორციელებს მკვდართა აღდგომას. მაგრამ, აჰა, შევილო ჩემო, აღდგომა ჯერ არ არის. ახლა, მე გაგანდობ ერთ საიდუმლოს; თუმცა არსებობს მრავალი საიდუმლო, რომელიც ინახება, ამიტომ არავინ არ იცის მათზე, თვით ღმერთის გარდა. მაგრამ მე გასწავლი იმას, რასაც ღმერთს ბეჯითად ვთხოვდი, რომ მცოდნოდა, და ეს არის, რაც აღდგომას ეხება.

4 აჰა, დანიშნულია დრო, როდესაც ყველა მკვდრეთით აღდგება. ახლა, როდის მოვა ეს დრო – არავინ იცის; მაგრამ ღმერთმა იცის ეს დანიშნული დრო.

5 ახლა, არ არის მნიშვნელოვანი, იქნება თუ არა ერთი დრო ან მეორე ან მესამე, რომ ადამიანები მკვდრეთით აღდგნენ; რადგან ეს ყველაფერი ღმერთმა იცის; და ჩემთვის საკმარისია იმის ცოდნა, რომ ეს ასეა – დანიშნულია დრო, როდესაც ყველა მკვდრეთით აღდგება.

6 ახლა, აუცილებელია, რომ სიკვდილის დროისა და აღდგომის დროს შორის იყოს შუალედი.

7 და ახლა, მე დავსვამდი შეკითხვას: რა ემართებათ ადამიანების სულებს გარდაცვალების დროიდან მათი აღდგომისათვის დანიშნულ დრომდე?

8 ახლა, თუ ადამიანების აღდგომისთვის დანიშნულია ერთ დროზე მეტი – ამას არ აქვს მნიშვნელობა; ვინაიდან ყველა არ გარდაიცვლება ერთ დროს; და ამასაც არ აქვს მნიშვნელობა; ღმერთისთვის ყველაფერი არის როგორც ერთი დღე და დრო ითვლება მხოლოდ ადამიანებისთვის.

9 ამიტომ, ადამიანებისთვის დანიშნულია დრო, მათი მკვდრეთით აღდგომისთვის; და არის შუალედი სიკვდილისა და აღდგომის დროს შორის. და ახლა, ამ დროის შესახებ გულდასმით ვეკითხებოდი უფალს, რათა მცოდნოდა, რა ემართება ადამიანთა სულებს; და ეს არის ის, რაც ვიცი.

10 და როდესაც მოვა დრო, რომ ყველა აღდგება, მაშინ ისინი გაიგებენ, რომ ღმერთმა იცის ყველა დრო, რომლებიც დანიშნულია ადამიანისთვის.

11 ახლა, სიკვდილსა და აღდგომას შორის მყოფი სულის შესახებ: აჰა, ეს გამენდო ანგელოზის მიერ, რომ ყოველი ადამიანის სული, როგორც კი დატოვებს მოკვდავ სხეულს, ღიახ, ყოველი ადამიანის სული, არის კეთილი თუ ბოროტი, ბრუნდება სახლში, იმ

ღმერთთან, რომელმაც მათ სიცოცხლე უბოძა.

12 და მაშინ იქნება ასე, რომ მათ სულებს, რომლებიც არიან მართალნი, მიიღებენ ბედნიერების მდგომარეობაში, რასაც უწოდებენ სამოთხეს, განსვენების, მშვიდობის მდგომარეობას, სადაც ისინი დაისვენებენ ყოველი უბედურების და ყოველი საზრუნავისა და დარდისაგან.

13 და მაშინ იქნება ასე, რომ ბოროტთა სულები, დიახ, რომლებიც არიან ბოროტნი, რადგან, აჰა, მათ არ აქვთ უფლის სულის არც ნაწილი და არც ნაწილაკი; მათ არჩიეს ბოროტი საქმენი კეთილის მაგივრად; ამიტომ, ეშმაკის სული შევიდა მათში და დაეუფლა მათ სახლს; და ესენი გაძევებულნი იქნებიან გარესკნელ ბნელეთში; იქ იქნება ტირილი და კვნესა და კბილების ღრჭენა და ეს ყველაფერი თავიანთი ურჯულოების გამო, არიან რა ეშმაკის ნებით ტყვედ წაყვანილნი.

14 ახლა, ეს არის ბოროტთა სულების მდგომარეობა, დიახ, ბნელეთში და საშინელ მდგომარეობაში, შეშინებულნი, მოლოდინში, ღმერთის რისხვის ცეცხლოვანი გულისწყრომისა მათზე; ამგვარად, რჩებიან ასეთ მდგომარეობაში, ისევე როგორც მართალნი სამოთხეში, მათი აღდგომის დრომდე.

15 ახლა, ზოგიერთებს ესმოდათ, რომ ეს მდგომარეობა

ბედნიერებისა და მდგომარეობა სულის უბედურებისა აღდგომამდე პირველი აღდგომაა. დიახ, მე ვუწვებ, რომ მას ეწოდოს აღდგომა, სულის ამაღლება და გადასვლა ბედნიერებაში ან უბედურებაში, იმ სიტყვების შესაბამისად, რაც ითქვა.

16 და აჰა, კიდევ ეს ითქვა, რომ არსებობს პირველი აღდგომა, ყველა მათი აღდგომა, რომლებიც იყვნენ, არიან და იქნებიან ქრისტეს მკვდრეთით აღდგომამდეც კი.

17 ახლა, ჩვენ არ ვგულისხმობთ, რომ ეს პირველი აღდგომა, რომელზეც ასე ითქმის, შეიძლება იყოს სულების აღდგომა და მათი ბედნიერებაში ან უბედურებაში გადასვლა. შენ არ უნდა იფიქრო, რომ ეს ზუსტად ამას ნიშნავს.

18 აჰა, მე გეუბნები – არა, არამედ ნიშნავს მათი სულისა და სხეულის გაერთიანებას, ადამის დღეებიდან ქრისტეს აღდგომამდე.

19 ახლა, იქნებიან თუ არა რომლებზეც ითქვა, მათი სულები და სხეულები ერთბაშად გაერთიანებულნი, როგორც ბოროტთა ასევე მართალთა – მე ამას არ ვამბობ; საკმარისია ვთქვა, რომ ისინი ყველანი წინ გამოვლენ; ანუ სხვა სიტყვებით, მათი აღდგომა მოხდება უფრო ადრე, ვიდრე მათი, რომლებიც გარდაიცვლებიან ქრისტეს აღდგომის შემდეგ.

20 ახლა, შვილო ჩემო, მე არ ვამბობ, რომ მათი აღდგომა მოვა ქრისტეს აღდგომასთან ერთად; მაგრამ, აჰა, მე ვამბობ ამას, როგორც ჩემს მოსაზრებას, რომ მართალთა სულები და სხეულები გაერთიანდებიან ქრისტეს აღდგომისა და ზეცაში ამადლუბის ჟამს.

21 მაგრამ, იქნება ეს მის აღდგომამდე თუ შემდეგ – ამას არ ვამბობ; მაგრამ ვიტყვი იმას, რომ არის მონაკვეთი სხეულის სიკვდილსა და აღდგომას შორის და სულის მდგომარეობა ბედნიერებაში ან უბედურებაში იმ დრომდე, რომელიც დანიშნულია ღმერთის მიერ, როდესაც გარდაცვლილები აღდგებიან და გაერთიანდება სული და სხეული და მიყვანილი იქნებიან ღმერთის წინაშე წარსადგენად და თავიანთი საქმეების შესაბამისად განსაკითხავად.

22 დიახ, ასე ხორციელდება აღდგენა იმ ყველაფრის, რაც ითქვა წინასწარმეტყველების პირით.

23 სული დაუბრუნდება სხეულს და სხეული სულს; დიახ, ყოველი კიდური და სახსარი აღდგება საკუთარ სხეულში; დიახ, თავზე თმაც კი არ დაიკარგება, არამედ ყველაფერი აღდგება თავის სწორ და სრულყოფილ ფორმაში.

24 და ახლა, შვილო ჩემო, ეს არის ის აღდგენა, რაც ითქვა წინასწარმეტყველთა პირით –

25 და მაშინ მართალნი გამოანათებენ ღვთის სასუფეველში.

26 მაგრამ, აჰა, საშინელი სიკვდილი მოვლით ბოროტთ, რადგან ისინი კვდებიან იმასთან მიმართებით, რაც ეხება სამართლიანობას; რადგან ისინი არიან უწმინდურნი და არაფერ უწმინდურს არ შეუძლია დაიმკვიდროს ღვთის სასუფეველი; არამედ გაძევებული არიან და განწირულნი არიან, მიიღონ თავიანთი შრომისა და ჩადენილის ნაყოფი, რომელიც იყო ბოროტი; და სვამენ მწარე ფიალის ნალექს.

თავი 41

აღდგომისას ადამიანები გადადიან უსასრულო ბედნიერების ან უსასრულო უბედურების მდგომარეობაში. სიბოროტე არასდროს ყოფილა ბედნიერება. ხორციელი ადამიანი ამკვეყნად უღმერთოა. ყოველი პიროვნება აღდგომის შემდეგ კვლავ მიიღებს მოკვდავი ცხოვრებისას მიღებულ ხასიათსა და თვისებებს. დაახლოებით 74 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და ახლა, შვილო ჩემო, მე მაქვს რაღაც სათქმელი აღდგენის შესახებ, რომელზეც უკვე ითქვა; რადგან, აჰა, ზოგიერთებმა დაამახინჯეს წმინდა წერილი და ამის გამო ძალზედ შეცდნენ. და მე ვგრძნობ, რომ შენი გონებაც შეშფოთებულია ამის გამო. მაგრამ, აჰა, მე ავიხსნი ამას.

2 გეუბნები, შვილო ჩემო, რომ აღდგენის გეგმა აუცილებელია ღმერთის სამართალისათვის, რადგან აუცილებელია, რომ ყველაფერი აღდგეს თავის შესაბამის მდგომარეობაში. აჰა, აუცილებელია და სამართლიანი, ქრისტეს ძალისა და აღდგომის შესაბამისად, რომ ადამიანის სული აღდგეს საკუთარ სხეულში და სხეულის ყოველი ნაწილი უნდა აღდგეს მისთვის.

3 და აუცილებელია ღმერთის სამართლიანობისთვის, რომ ადამიანები განიკითხონ თავიანთი საქმეების შესაბამისად; და თუ მათი საქმენი იყო კარგი ამ ცხოვრებაში და მათი გულის საწადელი იყო კარგი, მაშინ ისინი, უკანასკნელ დღეს, უნდა აღდგნენ იმისათვის, რაც კარგია.

4 და თუ მათი საქმენი არის ბოროტი, ისინი აღდგებიან მათთვის ბოროტად. ამიტომ, ყველაფერი აღდგება შესაბამისი წესრიგით, ყველაფერი საკუთარ ბუნებრივ ფორმაში: მოკვდავი აღდგება უკვდავად, ხრწნადი – უხრწნელად, აღდგებიან უსასრულო ბედნიერებისთვის, რათა დაიმკვიდრონ ღვთის სასუფეველი ან უსასრულო უბედურებისთვის, რათა დაიმკვიდრონ ეშმაკის სამეფო; ერთი – ერთი მხრიდან, მეორე – მეორედან –

5 ერთი აღდგება ბედნიერებისათვის, თავისი ბედნიერი სურვილების შესაბამისად ან სიკეთისათვის, საკუთარი კეთილი

სურვილების შესაბამისად; და მეორე – ბოროტებისათვის, მისი ბოროტი სურვილების შესაბამისად, რადგან როდესაც მან ისურვა სიბოროტე აკეთოს მთელი დღე, ასევე ბოროტებით მიეზღება, როდესაც ღამე მოვა.

6 და ასე არის მეორე მხარესაც. თუ მან მოინანია საკუთარი ცოდვები და ისურვა სამართლიანობა თავისი დღეების ბოლომდე, ზუსტად ასე მიეზღვება მას სამართლიანობით.

7 ესენი არიან, რომლებიც გამოისყიდა უფალმა; დიახ, ესენი არიან, რომლებიც გამოიყვანეს, რომლებიც გამოიხსნეს უკუნეთის უსასრულო ღამიდან; ამგვარად, ისინი დგანან ან ეცემიან; რადგან, აჰა, ისინი არიან საკუთარი თავის მოსამართლენი, სწადიან რა სიკეთესა თუ ბოროტებას.

8 ახლა, ღმერთის ბრძანებულებები უცვლელია; ამიტომ, გზა არის მომზადებული, რომ ყოველმა მსურველმა მასზე გაიაროს და გადარჩეს.

9 და ახლა, აჰა, შვილო ჩემო, მეტი არ ვაბელო შენი ღმერთის წინააღმდეგ გამოსვლა მოძღვრების იმ წესებთან მიმართებაში, რომლებზეც აქამდე ცოდვის ჩადენას ცდილობდი.

10 ნუ გგონია, იმის გამო, რაც ითქვა აღდგენაზე, რომ ბედნიერებაში ცოდვიდან აღდგები. აჰა, მე გეუბნები: სიბოროტე არასდროს ყოფილა ბედნიერება.

11 და ახლა, შვილო ჩემო, ყოველი ადამიანი, რომელიც არის ბუნებრივ მდგომარეობაში, ან ვიტყოდი, ხორციელ მდგომარეობაში, იმყოფება მწარე ნაღველში და ურჯულოების ბორკილებში; ისინი არიან უღმერთონი ამქვეყნად და მიდიან ღმერთის ბუნების საწინააღმდეგოდ; ამიტომ, ისინი არიან ბედნიერების ბუნების საწინააღმდეგო მდგომარეობაში.

12 და ახლა, აჰა, არის თუ არა სიტყვა აღდგენის მნიშვნელობა, რომ აიღო რაიმე, რაც არის ბუნებრივ მდგომარეობაში და მოათავსო მისთვის არაბუნებრივ მდგომარეობაში ან მდგომარეობაში, რომელიც მის ბუნებას ეწინააღმდეგება?

13 შვილო ჩემო, ეს არ არის ასე; არამედ აღდგენის სიტყვის მნიშვნელობა არის იმაში, რომ ბოროტი ბოროტს დაუბრუნდეს, ან ხორციელი – ხორციელს, ეშმაკისეული – ეშმაკისეულს; კეთილი რაც არის – კეთილს, სამართლიანი რაც არის – სამართლიანს, მართალი რაც არის – მართალს, მოწყალე რაც არის – მოწყალეს.

14 ამიტომ, შვილო ჩემო, ყურადღება მიაქციე, რომ იყო მოწყალე შენი ძმების მიმართ; მოექეცი სამართლიანად, განსაჯე სიმართლით და აკეთე სიკეთე გამუდმებით; და თუ ამას ყველაფერს გააკეთებ – შენ ჯილდოს მიიღებ; დიახ, კვლავ აღვიდგება წყალობა; აღვიდგება

სამართლიანობა, აღვიდგება მართალი გამჭრიახობა; და კვლავ დასაჩუქრდები სიკეთით.

15 რადგან, რასაც აგზავნი, ის კვლავ შენ დაგიბრუნდება და აღვიდგება; ამიტომ, სიტყვა აღდგენა უფრო სრულად განსჯის შემცოდველს და არაფრით არ ამართლებს მას.

თავი 42

მიწიერი ცხოვრება არის გამოცდის ქამი, რათა ადამიანმა მოინანიოს და ღმერთს ემსახუროს. დაცემამ კაცობრიობას მოუტანა ხორციელი და სულიერი სიკვდილი. გამოსყიდვა მოდის მონანიების მეშვეობით. თავად ღმერთი გამოისყიდის ამა ქვეყნის ცოდვებს. წყალობა მათია, ვინც ინანიებს. დანარჩენნი ექვემდებარებიან ღმერთის სამართალს. წყალობა მოდის გამოსყიდვის შედეგად. მხოლოდ ჭეშმარიტად მომნანიებელი გადაარჩება. დაახლოებით 74 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და ახლა, შვილო ჩემო, მე მესმის, რომ კიდევ რაღაც აშფოთებს შენს გონებას, რაც არ შეგიძლია გაიგო; და ეს ეხება ღმერთის სამართალს ცოდვილის დასჯაში; რადგან ცდილობ იფიქრო, რომ ეს არ არის სამართალი, რომ ცოდვილი განწირულია უბედური მდგომარეობისათვის.

2 ახლა, აჰა, შვილო ჩემო, მე

აგისხნი ყოველივე ამას. რადგან, აჰა, მას შემდეგ, რაც უფალმა ღმერთმა გააძევა ჩვენი პირველი მშობლები ედემის ბაღიდან, რათა დაემუშავებინათ მიწა, რომლიდანაც ისინი იყვნენ შექმნილნი; დიახ, მან გააძევა ადამიანი და დააყენა ედემის ბაღის აღმოსავლეთით ქერუბიმები და ცეცხლოვანი მახვილი, რომელიც მიმართულია ყველა მხარეს, რათა დაიცვას სიცოცხლის ხე -

3 ახლა, ჩვენ ვხედავთ, რომ ადამიანი გახდა, როგორც ღმერთი, შეიცნო რა კეთილი და ბოროტი; და რომ არ გაიწოდოს ხელი და არ აიღოს ასევე სიცოცხლის ხიდან და არ იგემოს და არ იცოცხლოს მარად, უფალმა ღმერთმა დააყენა ქერუბიმები და ცეცხლოვანი მახვილი, რომ მან არ იგემოს ნაყოფისგან -

4 და ამგვარად, ვხედავთ, რომ ადამიანს მიეცა დრო მოსანანიებლად, დიახ, გამოცდის ჟამი, დრო მონანიებისა და ღმერთისადმი მსახურების.

5 რადგან, აჰა, ადამს რომ დაუყოვნებლივ ხელი გაეწოდა და ეგემა სიცოცხლის ხისაგან, ის სამუდამოდ იცოცხლებდა ღმერთის სიტყვის შესაბამისად, არ ექნებოდა რა დროის მონაკვეთი მონანიებისათვის; დიახ, ღვთის სიტყვაც იქნებოდა ფუჭი და ხსნის დიადი გეგმაც ჩაიშლებოდა.

6 მაგრამ, აჰა, ადამიანს არგუ-

ნეს სიკვდილი, ამიტომ, როგორც ისინი მოკვეთილ იქნენ სიცოცხლის ხისგან, მოკვეთილნი უნდა ყოფილიყვნენ დედამიწის პირიდანაც და ადამიანი გახდა სამუდამოდ დაკარგული, დიახ, ისინი იქცნენ დაცემულ ადამიანებად.

7 და ახლა, შენ ამით ხელავ, რომ ჩვენი პირველი მშობლები მოკვეთილ იქნენ უფლის გარემოცვიდან, როგორც ფიზიკურად, ასევე სულიერად; და ამგვარად ვხედავთ, რომ ისინი მიჰყვნენ საკუთარი ნების მორჩილებას.

8 ახლა, აჰა, არ იყო საჭირო, რომ ადამიანი დაბრუნებულიყო ამ ხორციელი სიკვდილიდან, რადგან ეს დაანგრევდა ბედნიერების დიად გეგმას.

9 ამიტომ, რადგან სული არასდროს არ კვდება და დაცემამ მთელ კაცობრიობას მოუტანა სულიერი სიკვდილი ისევე, როგორც მიწიერი ანუ მოკვეთილ იქნენ უფლის გარემოცვიდან, საჭირო იყო, რომ კაცობრიობა დაბრუნებულიყო ამ სულიერი სიკვდილიდან.

10 ამიტომ, რადგან ისინი იქცნენ, ბუნებით, ხორციელნი, ავხორცნი და ეშმაკისეულნი, ეს გამოსაცდელი ჟამი მათთვის იქცა მოსამზადებელ დროდ; ის იქცა მოსამზადებელ მდგომარეობად.

11 და ახლა, დაიმახსოვრე, შვილო ჩემო: რომ არ ყოფილიყო გამოსყიდვის გეგმა (გვერდზე გადავდოთ იგი) მაშინ მათი სულები უბედურნი იქნებოდნენ

გარდაცვლისთანავე, იქნებოდნენ რა მოკვეთილნი უფლის გარემოცვიდან.

12 და ახლა, არ იყო არანაირი საშუალება, ადამიანი დაბრუნებულიყო ამ დაცემული მდგომარეობიდან, რომელიც ადამიანმა მოავლინა საკუთარ თავზე თავისი დაუმორჩილებლობით.

13 ამიტომ, სამართალის შესაბამისად, გამოსივდვის გეგმა ვერ აღსრულდებოდა მხოლოდ ამ გამოსაცდელ მდგომარეობაში, ადამიანის მონანიების პირობით, დიახ, ამ მოსამზადებელ მდგომარეობაში; ვინაიდან, რომ არ ყოფილიყო ეს პირობები, წყალობას არ ექნებოდა შედეგი გარდა იმისა, რომ გაანადგურებდა სამართლის საქმეს. ახლა, სამართლის საქმე ვერ განადგურდება; ასე რომ იყოს, ღმერთი აღარ იქნებოდა ღმერთი.

14 და ამგვარად ვხედავთ, რომ მთელი კაცობრიობა იყო დაცემული და სამართალის მიერ შეპყრობილი; დიახ, ღმერთის სამართლის, რომელმაც განწირა ისინი, მოკვეთილნი ყოფილიყვნენ სამუდამოდ მისი გარემოცვიდან.

15 და ახლა, წყალობის გეგმა ვერ აღსრულდებოდა, რომ არ მომხდარიყო გამოსივდა; ამიტომ, თავად ღმერთი გამოისყიდის ამა ქვეყნის ცოდვებს, რათა აღსრულდეს მოწყალების გეგმა, რათა დააკმაყოფილოს სამართლის მოთხოვნა, რათა ღმერთი

იყოს სრულყოფილი მართალი ღმერთი და ასევე მოწყალებ ღმერთი.

16 ახლა, მონანიება არ მოვიდოდა ადამიანებში, რომ არ ყოფილიყო სასჯელი, რომელიც ასევე იყო მარადიული, როგორც სულის სიცოცხლე, ბედნიერების გეგმის საწინააღმდეგოდ დანიშნული, რომელიც ასევე იყო მარადიული, როგორც სულის სიცოცხლე.

17 ახლა, როგორ უნდა მოენანიებინა ადამიანს, რომ არ შეეცოდა? როგორ შესცოდავდა, რომ არ ყოფილიყო კანონი? როგორ იქნებოდა კანონი, რომ არ ყოფილიყო სასჯელი?

18 ახლა, დაინიშნა სასჯელი და მოცემულ იქნა მართალი კანონი, რომელმაც ადამიანს სინდისის ქეჯნა მოუტანა.

19 ახლა, რომ არ ყოფილიყო მოცემული კანონი – თუ ადამიანი მოკლავს, ის უნდა მოკვდეს – შეეშინებოდა მას სიკვდილის, თუ მკვლელობას ჩაიდენდა?

20 და ასევე, რომ არ ყოფილიყო მოცემული კანონი ცოდვის წინააღმდეგ, ადამიანს არ შეეშინებოდა ცოდვის.

21 და რომ არ ყოფილიყო მოცემული კანონი ადამიანის შეცოდების შემთხვევაში, რა უნდა ექნა სამართალს ან წყალობას, რადგან სარჩელს ვერ წაუყენებდნენ ადამიანს?

22 მაგრამ მოცემულია კანონი და დანიშნულია სასჯელი და

ნაბოძებია მონანიება; მონანიება, რომელიც წყალობით მიიღება; სხვაგვარად, სამართალი მოითხოვს თავისას ადამიანის მიმართ და ასრულებს კანონს; და კანონი აღასრულებს სასჯელს; რომ არა ეს, სამართალის საქმენი იქნებოდა განადგურებული და ღმერთი აღარ იქნებოდა ღმერთი.

23 მაგრამ ღმერთი არ წყვეტს ღმერთად ყოფნას, წყალობა თავისას მოითხოვს მომნანიებლის მიმართ; და მოწყალება მოდის გამოსყიდვის გამო და გამოსყიდვას მოაქვს მკვდართა აღდგომა; და მკვდართა აღდგომა ადამიანებს აბრუნებს ღმერთის გარემოცვაში; და ასე ბრუნდებიან მის გარემოცვაში, რათა განკითხულნი იქნენ თავიანთი საქმეების შესაბამისად, კანონისა და სამართლის მიხედვით.

24 რადგან, აჰა, სამართალი აღასრულებს თავის ყველა მოთხოვნას; და ასევე წყალობა მოითხოვს, რაც მას ეკუთვნის; და ამგვარად, ჭეშმარიტად მომნანიებლის გარდა, არავინ გადაარჩება.

25 როგორ, ნუთუ გგონია, რომ წყალობას შეუძლია ძარცვოს სამართალი? მე გეუბნები: არა, არაფრით. ასე რომ იყოს, ღმერთი აღარ იქნებოდა ღმერთი.

26 და ასე აღასრულებს ღმერთი თავის დიდ და მარადიულ მიზნებს, რომლებიც მომზადებული იყო ამა ქვეყნის დასაბამიდან.

ასე მოდის ადამიანთა ხსნა და გამოსყიდვა და ასევე მათი განადგურება და უბედურება.

27 ამიტომ, შვილო ჩემო, ყოველი, ვინც მოვა, შეუძლია მოვიდეს და თავისუფლად შესვას სიცოცხლის წყლებიდან; და ვინც არ მოვა, არ აიძულებენ, რომ მოვიდეს, მაგრამ უკანასკნელ დღეს მას მიუხდევება საკუთარი საქმეების შესაბამისად.

28 თუ მას სურდა სიბოროტის კეთება და არ მონანია თავის დღეებში, აჰა, სიბოროტე მოეკლინება მას, ღმერთის აღდგენის შესაბამისად.

29 და ახლა, შვილო ჩემო, მე მსურს, აღარ დაუშვა, რომ ყოველივე ამან კიდევ აგაღელვოს; დაე, მხოლოდ შენი ცოდვები გაღელვებდეს იმ მღელვარებით, რომელიც მონანიებამდე მიგიყვანს.

30 ჩემო შვილო, მე მსურს, რომ აღარ უარყო ღმერთის სამართალი. არ შეეცადო თავი გაიმართლო შენი ცოდვების ყველაზე მცირედშიც კი, ღმერთის სამართალის უარყოფით; არამედ დაუშვი შენს გულში, მთელი ძალით იმოქმედოს ღმერთის სამართალმა, მისმა წყალობამ და სულგრძელობამ; დაე, მტვრამდე დაგამდაბლოს ამან თავმდაბლობაში.

31 და ახლა, შვილო ჩემო, ღმერთისგან ხარ მოწოდებული, სიტყვა უქადაგო ამ ხალხს. და ახლა, შვილო ჩემო, იარე შენი

გზით, გამოაცხადე სიტყვა ჭეშმარიტებითა და სიფიხილით, რათა შექმლო სულების მონანიება მდე მიყვანა, რომ წყალობის დიადმა გეგმამ მათზე იქონიოს ძალა, დაე, ღმერთმა გიბოდოს ჩემი სიტყვების შესაბამისად. ამინ.

თავი 43

აღმა და მისი შვილები სიტყვას ქადაგებენ. ზორამიელნი და ნეფიელთა სხვა განდგომილები ხდებიან ლამანიელები. ლამანიელები მოდიან ნეფიელების წინააღმდეგ საომრად. მორონი აიარაღებს ნეფიელებს თავდაცვის ჯავშნით. უფალი აღმას გაუმხელს ლამანიელთა სტრატეგიას. ნეფიელები იცავენ საკუთარ სახლებს, თავისუფლებასა და სარწმუნოებას. მორონისა და ლეხის ჯარები ალყაში მოაქცევენ ლამანიელებს. დაახლოებით 74 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და ახლა, აღმას შვილები მივიდნენ ხალხში, რათა მათთვის სიტყვა ეუწყებინათ და აღმამ ვერ მოისვენა და ასევე თვითონ მივიდა.

2 ახლა, ჩვენ მეტს აღარ ვიტყვით მათ ქადაგებაზე, გარდა იმისა, რომ ისინი ქადაგებდნენ სიტყვასა და ჭეშმარიტებას, წინასწარმეტყველებისა და გაცხადების სულის მიხედვით; და ისინი ქადაგებდნენ ღმერთის

წმინდა წესის შესაბამისად, რომლითაც იყვნენ მოწოდებულნი.

3 და ახლა, დაეუბრუნდეთ ჩანაწერებს ომების შესახებ ლამანიელებსა და ნეფიელებს შორის, მოსამართლეთა მმართველობის მეთვრამეტე წელს.

4 რადგან, აჰა, იყო ასე, რომ ზორამიელები გახდნენ ლამანიელები; ამიტომ, მეთვრამეტე წლის დასაწყისში, ნეფიელთა ხალხმა იხილა, რომ ლამანიელები მათზე მოდიოდნენ; ამიტომ, მათ დაიწყეს ომისათვის მზადება; დიახ, მათ შეკრიბეს თავიანთი ჯარები იერშონის მიწაზე.

5 და იყო ასე, რომ ლამანიელები მოვიდნენ თავიანთი ათასეულებით; და ისინი შემოვიდნენ ანტიონუმის მიწაზე, რომელიც ზორამიელთა მიწა იყო; და კაცი, სახელად ზერაჰუმნა, იყო მათი წინამძღვარი.

6 და ახლა, რადგან ამაღეკიელები ლამანიელებზე მეტად ბოროტნი და მკვლელობების მოსურნენი იყვნენ, ზერაჰუმნამ დანიშნა მთავარსარდლები ლამანიელებთან და ისინი ყველანი ამაღეკიელები და ზორამიელები იყვნენ.

7 ახლა, ის ასე მოიქცა, რათა შეენარჩუნებინა მათი სიძულვილი ნეფიელების მიმართ, რომ დაემორჩილებინა ისინი საკუთარი მიზნების განსახორციელებლად.

8 რადგან, აჰა, მისი მიზანი იყო, გაეღვივებინა წყრომა

ლამანიელებში ნეფიელების წინააღმდეგ და ეს მან გააკეთა, რათა დიდი ძალით მიიტაცოს მათზე ხელისუფლება; და ასევე, რათა მოეპოვებინა ძალაუფლება ნეფიელებზე, მათი მონობაში ჩაგლებით.

9 და ახლა, ნეფიელთა მიზანი იყო, დაეცვათ საკუთარი მიწები, სახლები, ცოლები და შვილები, რათა ისინი გადაერჩინათ მტრის ხელიდან; ასევე, რომ შეენარჩუნებინათ უფლებები და უპირატესობები, დიახ, ასევე თავისუფლება, რომ თავყანი ეცათ ღმერთისათვის თავიანთი სურვილის შესაბამისად.

10 რადგან მათ იცოდნენ: ლამანიელთა ხელში თუ ჩავარდებოდნენ, ყველას, ვინც ღმერთს ეთაყვანება სულითა და ჭეშმარიტებით, ჭეშმარიტსა და ცოცხალ ღმერთს, ლამანიელები გაანადგურებდნენ.

11 დიახ, მათ ასევე იცოდნენ ლამანიელების განსაკუთრებული სიძულვილის შესახებ მათი ძმების, ანტი-ნეფი-ლების ხალხის მიმართ, რომელსაც ეწოდებოდა ამონის ხალხი; და ისინი არ აიღებდნენ იარაღს, დიახ, მათ დადეს აღთქმა და ისინი მას არ დაარღვევდნენ. ამიტომ, ლამანიელთა ხელში თუ ჩავარდებოდნენ, განადგურდებოდნენ.

12 და ნეფიელები ვერ დაუშვებდნენ, რომ ისინი განადგურებულიყვნენ; ამიტომ,

მისცეს მათ თავიანთი მემკვიდრეობის მიწა.

13 და ამონის ხალხმა მისცა ნეფიელებს საკუთარი ქონების დიდი ნაწილი, რათა დახმარებოდნენ მათ ჯარებს; და ამგვარად, ნეფიელები იძულებულები იყვნენ, მარტოდ გაეწიათ წინააღმდეგობა ლამანიელთათვის, რომლებიც შედგებოდნენ ლამანის, ლემუელის და ისმაელის შვილების შთამომავლებისგან და მათგან, რომლებიც ნეფიელებს განუდგნენ, რომლებიც იყვნენ ამაღეკიელები და ზორამიელები და ნოეს მღვდლების შთამომავლები.

14 ეს შთამომავლები ისევე მრავალრიცხოვანნი იყვნენ, როგორც ნეფიელნი; და ამგვარად, ნეფიელები იძულებულნი იყვნენ, თავიანთ ძმებს დაპირისპირებოდნენ, სისხლისღვრითაც კი.

15 და იყო ასე: როდესაც ლამანიელთა ჯარები შეიკრიბნენ ერთად ანტიონუმის მიწაზე, აჰა, ნეფიელთა ჯარები მზად იყვნენ მათ დასახვედრად იერშონის მიწაზე.

16 ახლა, ნეფიელთა წინამძღვარი ანუ კაცი, რომელიც დანიშნული იყო ნეფიელების მთავარსარდლად - ახლა, ნეფიელთა ჯარებზე მეთაურობა აიღო მთავარსარდალმა - და მისი სახელი იყო მორონი;

17 და მორონიმ აიღო მთელი მეთაურობა და მათ ომებზე მმართველობა. და ის იყო მხოლოდ

ოცდახუთი წლის, როდესაც და-
ინიშნა ნეფიელთა ჯარების მთა-
ვარსარდლად.

18 და იყო ასე, რომ იგი შე-
ხვდა ლამანიელებს იერშონის
სახლვრებთან და მისი ხალხი
იყო შეიარაღებული ხმლებით,
მახვილებითა და ყველანაირი
საომარი იარაღით.

19 და როდესაც ლამანიელთა
ჯარებმა დაინახეს, რომ ნეფის
ხალხმა ანუ მორონიმ, მოამზადა
საკუთარი ხალხი სამკერდუ-
ლებითა და საომარი ფარებით,
ღიახ, ასევე თავის დამცავი
ჩაჩქანები და იყვნენ სქელი
ტანსაცმლით შემოსილები -

20 ახლა, ზერაჰემნას ჯარებს
მსგავსი არაფერი არ გააჩნდათ,
მათ ჰქონდათ მხოლოდ ხმლები
და მახვილები, მშვილდები და
ისრები, ქვები და შურდულები
და იყვნენ შიშველნი, ტყა-
ვის გარდა, რომელიც წელზე
ერთყათ; ღიახ, ყველანი შიშ-
ვლები იყვნენ, ზორამიელებისა
და ამაღეკიელების გარდა;

21 მაგრამ არ იყვნენ შეიარა-
ღებულნი სამკერდულებით, არც
ფარებით, ამიტომ მათ ძალზედ
ეშინოდათ ნეფიელთა ჯარების,
მათი ჯავშნების გამო, იმისდა
მიუხედავად, რომ რაოდენობით
ბევრად აღემატებოდნენ ნეფიე-
ლებს.

22 აჰა, იყო ასე, რომ მათ ვერ
გაბედეს ნეფიელების წინააღ-
მდეგ გამოსვლა იერშონის სა-
ხლვრებთან; ამიტომ, ისინი

გავიდნენ ანტიონუმის მიწიდან
უდაბნოში და გაემართნენ შემო-
ვლითი გზით უდაბნოში, შორს,
მდინარე სიდონის სათავისკენ,
რათა შეძლებოდათ მანტის მი-
წაზე მისვლა და მიწის დაუფ-
ლება; რადგან მათ არ ეგონათ,
რომ მორონის ჯარებს ეცოდი-
ნებოდათ, სად წავიდნენ ისინი.

23 მაგრამ იყო ასე, რომ, რო-
გორც კი ისინი წავიდნენ უდაბ-
ნოში, მორონიმ უდაბნოში
გააგზავნა მზვერავები, რათა
თვალყური ედევნებინათ მათი ბა-
ნაკისათვის; და მორონიმ, იცოდა
რა აღმას წინასწარმეტყველე-
ბები, მასთანაც გააგზავნა რამ-
დენიმე კაცი სურვილით, რომ
მას ეკითხა უფლისათვის, საით
უნდა წასულიყვნენ ნეფიელთა
ჯარები, რათა ლამანიელების-
გან დაეცვათ თავი.

24 და იყო ასე, რომ უფლის ხმა
მოვიდა აღმასთან და აღმამ
აცნობა მორონის წარგზავნი-
ლებს, რომ ლამანიელთა ჯარები
შემოვლითი გზით მოდიოდნენ
უდაბნოში, რათა მანტის მიწაზე
მოსულიყვნენ, რათა ხალხის
სუსტი ნაწილისთვის შეეციათ.
და ეს წარგზავნილები წავიდ-
ნენ და ეს შეტყობინება მორო-
ნის მიუტანეს.

25 ახლა, მორონიმ, დატოვა რა
თავისი ჯარის ნაწილი იერშო-
ნის მიწაზე და ლამანიელთა
ნაწილი როგორღაც რომ არ მო-
სულიყო და არ აელო ქალაქი,
მან თავისი ჯარის დარჩენილი

ნაწილი წაიყვანა და მანტის მიწისკენ გაემართა.

26 და მან ბრძანა, რომ მიწის იმ ნაწილში ყველა ადამიანი ერთად შეკრებილიყო, რათა ლამანიელების წინააღმდეგებრძოლათ, დაეცვათ საკუთარი მიწა და სამშობლო, თავიანთი უფლებები და თავისუფლება; ამიტომ, ისინი მომზადდებულნი იყვნენ ლამანიელთა მოსვლის დროისთვის.

27 და იყო ასე: მორონიმ ბრძანა, რომ მისი ჯარები ხეობაში დამალულიყვნენ მდინარე სიდონის ნაპირის შორიახლოს, რომელიც მდებარეობდა მდინარე სიდონის დასავლეთით უდაბნოში.

28 და მორონიმ გარშემო მზვერავები დააყენა, რათა შეეტყო, როდის ჩამოდგებოდა ლამანიელთა ბანაკი.

29 და ახლა, მორონიმ იცოდა რა ლამანიელთა ჩანაფიქრი, რომ მათ სურდათ თავიანთი ძმების განადგურება ან დაქვემდებარება და მათი მონობაში ჩაგდება, რათა მთელს მიწაზე ჩამოეყალიბებინათ თავიანთი სამეფო;

30 და მან ასევე იცოდა, რომ ნეფიელების ერთადერთი სურვილი იყო თავიანთი მიწის, თავისუფლებისა და ეკლესიის დაცვა, ამიტომ ცოდვად არ თვლიდა სამხედრო ფანდით მათ დაცვას, ამიტომ მან შეიტყო თავისი მზვერავების მეშვეობით, საით მიდიოდნენ ლამანიელები.

31 ამიტომ, მან გაყო თავისი

ჯარი და ერთი ნაწილი მიიყვანა ხეობაში და დამალა მთა რიპლას აღმოსავლეთითა და სამხრეთით;

32 და დანარჩენები დამალა დასავლეთ ხეობაში, მდინარე სიდონის დასავლეთით და ქვევით მანტის მიწის საზღვრებთან.

33 და ამგვარად, განათავსა რა თავისი ჯარი საკუთარი სურვილის შესაბამისად, იგი მზად იყო მათ დასახვედრად.

34 და იყო ასე, რომ ლამანიელები მოვიდნენ მთის ჩრდილოეთიდან, სადაც მორონის ჯარის ნაწილი იმალებოდა.

35 და როგორც კი ლამანიელები გასცდნენ რიპლას მთას და ხეობაში შემოვიდნენ და დაიწყეს მდინარე სიდონის გადალახვა, ჯარი, რომელიც იმალებოდა მთის სამხრეთით, რომელსაც მიუძღოდა კაცი სახელად ლეხი და მან გამოიყვანა თავისი ჯარი და ლამანიელებს ალყა შემოარტყა აღმოსავლეთიდან და ზურგიდან.

36 და იყო ასე, რომ როდესაც ლამანიელებმა დაინახეს, რომ ნეფიელები მოდიოდნენ მათზე ზურგიდან, მოტრიალდნენ და დაიწყეს ლეხის ჯართან ბრძოლა.

37 და სასიკვდილო საქმე დაიწყო ორთავე მხარეს, მაგრამ ლამანიელთა მხარეს უფრო საზარელი იყო, რადგან მათი სიშიშველე დაუცველი იყო ნეფიელთა მძიმე დარტყმებისგან,

მათი ხმლებისგან და მახვილებისგან, რომლებსაც, თითქმის ყოველ დარტყმისას, სიკვდილი მოჰქონდა.

38 იმ დროს, როდესაც მეორე მხარეს მხოლოდ ხანდახან ეცემოდა კაცი ნეფიელთა შორის, მათი ხმლებისგან და სისხლის დაკარგვისგან, რადგან დაცული ჰქონდათ სხეულის უფრო მნიშვნელოვანი ნაწილები ლამანიელთა დარტყმებისგან, თავიანთი სამკერდულებით და ფარებითა და ჩაჩქანებით; და ამგვარად, ნეფიელნი აგრძელებდნენ სასიკვდილო საქმეს ლამანიელთა შორის.

39 და იყო ასე, რომ ლამანიელებს შეეშინდათ მათ შორის დიდი განადგურების გამო, იქამდეც კი, რომ დაიწყეს მდინარე სიდონისკენ გაქცევა.

40 და მათ მისდევდნენ ლეხი და მისი ხალხი; და ლეხიმ შერეკა ისინი სიდონის წყლებში და მათ გადალახეს სიდონის წყლები. და ლეხიმ შეაჩერა თავისი ჯარები სიდონის ნაპირთან, რომ არ გადაელახათ.

41 და იყო ასე, რომ მორონი და მისი ჯარი ლამანიელებს დახვდნენ ხეობაში, მდინარე სიდონის მეორე მხარეს და დაიწყეს მათზე თავდასხმა და მათი ხოცვა.

42 და ლამანიელები კვლავ გაიქცნენ მათგან, მანტის მიწის მიმართულებით; და მათ კვლავ წინ მორონის ჯარები დახვდათ.

43 ახლა, ამ ჯერზე ლამანიელები ძალზედ გაცხარებულნი იბრძოდნენ; დიახ, არასდროს არ ყოფილა, დასაწყისიდანვე, რომ ლამანიელებს ასეთი დიდი ძალითა და სიმამაცით ეომათ.

44 და ისინი შთაგონებულნი იყვნენ ზორამიელებისა და ამაღლეკიელების მიერ, რომლებიც იყვნენ მათი მთავარსარდლები და წინამძღოლები და ზერაჰუმნას მიერ, რომელიც იყო მათი მთავარსარდალი ანუ მათი მთავარი მეთაური და სარდალი; დიახ, ისინი ურჩხულებივით იბრძოდნენ და მრავალი ნეფიელი დაიხოცა მათი ხელით, დიახ, რადგან მათ შუაზე გადაჭრეს მრავალი მათი ჩაჩქანი და განგმირეს მრავალი მათი სამკერდული; და მრავალს მოჰკვეთეს ხელი; და ასე იბრძოდნენ ლამანიელები თავიანთ საშინელ მრისხანებაში.

45 ამისდა მიუხედავად, ნეფიელები შთაგონებულნი იყვნენ უფრო კეთილშობილური მიზნებით, რადგან ისინი არ იბრძოდნენ არც მონარქიისათვის და არც ძალაუფლებისათვის, არამედ იბრძოდნენ საკუთარი სახლებისთვის და თავისუფლებისთვის, ცოლებისთვის და შვილებისთვის; და ყველაფრისთვის, რაც საკუთარი იყო, დიახ, თავიანთი თავყანისცემის წესჩვეულებებისა და ეკლესიისათვის.

46 და ისინი აკეთებდნენ იმას,

რაც მათი შეგრძნებით ღმერთის წინაშე მოვალეობას წარმოადგენდა; რადგან უფალმა უთხრა მათ, ასევე მათ მამებს: თუ არ ხართ დამნაშავენი არც პირველ თავდასხმაში და არც მეორეში, თქვენ არ დაუშვებთ, რომ მტრის ხელით დაიხოცოთ.

47 და კვლავ, უფალმა თქვა: თქვენ დაიცავთ საკუთარ ოჯახებს სისხლისღვრითაც კი. ამიტომ, ამ მიზეზით, ნეფიელები ებრძოდნენ ლამანიელებს, რათა დაეცვათ საკუთარი თავი და ოჯახები, მიწები და სამშობლო და თავიანთი უფლებები და სარწმუნოება.

48 და იყო ასე, რომ როდესაც მორონის მეომრებმა იხილეს ლამანიელთა მრისხანება და რისხვა, ისინი მზად იყვნენ უკან დაეხიათ და გამოქცეულიყვნენ. და მორონიმ, იგრძნო რა მათი განზრახვა, მიავზავნა მათთან და შთააგონა ისინი გულში ამ ფიქრებით, დიახ, ფიქრებით თავიანთ მიწებზე და თავისუფლებაზე, დიახ, მონობიდან თავისუფლებაზე.

49 და იყო ასე, რომ ისინი მიუბრუნდნენ ლამანიელებს და უფალს, თავიანთ ღმერთს, ერთხმად, შეჰღადადეს დამოუკიდებლობისათვის და მონობისაგან განთავისუფლებისთვის.

50 და მათ დაიწყეს ლამანიელებზე ძალით შეტევა; და იმავე საათს, როდესაც მათ შეჰღადადეს უფალს თავისუფლები-

სათვის, ლამანიელებმა იწყეს მათგან გაქცევა და ისინი სიდონის წყლების იქითაც კი გაიქცნენ.

51 ახლა, ლამანიელები იყვნენ უფრო მრავალნი, დიახ, ნეფიელებზე სიმრავლით ორჯერ მეტნი; ამისდა მიუხედავად, მათ ისე დევნიდნენ, რომ ერთ ჯგუფად შეკრიბეს ხეობაში, მდინარე სიდონის ნაპირზე.

52 ამიტომ, მორონის ჯარებმა მათ ალყა შემოარტყეს, დიახ, მდინარის ორივე მხარეს, რადგან, აჰა, აღმოსავლეთიდან ლეხის ჯარისკაცები იყვნენ.

53 ამიტომ, როდესაც ზერაჰემნამ იხილა ლეხის ჯარისკაცები, მდინარე სიდონის აღმოსავლეთით და მორონის ჯარები მდინარე სიდონის დასავლეთით, რომ გარშემორტყმულები იყვნენ ნეფიელების მიერ, ისინი შეძრწუნებულნი იყვნენ საშინელებით.

54 ახლა, როდესაც მორონიმ იხილა მათი შეძრწუნება, თავის ჯარისკაცებს უბრძანა, შეეწყვიტათ სისხლისღვრა.

თავი 44

მორონი ლამანიელებს უბრძანებს, დაღონ მშვიდობის აღთქმა, თორემ განადგურდებიან. ზერაჰემნა უარს ამბობს ამ შემოთავაზებაზე და ბრძოლა კვლავ განახლდება. მორონის ჯარები ამარცხებენ ლამანიელებს.

დაახლოებით 74-73 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და იყო ასე, რომ ისინი შეჩერდნენ და მათგან მცირედმა უკან დაიხია. და მორონიმ უთხრა ზერაჰემნას: ხედავ, ზერაჰემნა, ჩვენ არ ვართ სისხლმომწყურებულნი. თქვენ იცით, რომ ჩვენს ხელში ხართ, მაგრამ არ გვსურს თქვენი დახოცვა.

2 აჰა, ჩვენ არ გამოვსულვართ თქვენ წინააღმდეგ საომრად, რომ თქვენი სისხლი ძალაუფლებისთვის დაგვეღვარა; არც ის გვსურს, რომ ვინმეს მონობის უღელი დავადგათ, მაგრამ შენ ზუსტად ამ მიზეზით გამოხვედი ჩვენ წინააღმდეგ; დიახ, განრისხებული ხარ ჩვენზე ჩვენი სარწმუნოების გამო.

3 მაგრამ ახლა, შენ ხედავ, რომ უფალი ჩვენთანაა და ხედავ, რომ მან ჩაგაგდოთ ჩვენს ხელში. და ახლა მე მინდა, რომ გაიგო: ეს ჩვენთვის გაკეთდა ჩვენი სარწმუნოებისა და ქრისტეში რწმენის გამო; და ახლა ხედავთ, რომ ვერ გაანადგურებთ ამ ჩვენს რწმენას.

4 ახლა ხედავთ, რომ ეს არის ღმერთის ჭეშმარიტი რწმენა; დიახ, ხედავთ, რომ ღმერთი დაგვეხმარება, დაგვიცავს და გადაგვარჩენს იქამდე, სანამ ვიქნებით ერთგულნი მისადმი და ჩვენი რწმენისა და ჩვენი სარწმუნოების მიმართ; და არასდროს დაუშვებს უფალი, რომ

გაგვანადგურონ, თუკი არ გადავცვივდებით შეცოდებაში და არ უარყოფთ ჩვენს რწმენას.

5 და ახლა, ზერაჰემნა, გიბრძანებ: ყოვლადღოიერი ღმერთის სახელით, რომელმაც ძალა მოგვცა ხელში, ჩვენი რწმენით, ჩვენი სარწმუნოებით და თავგანისცემის წეს-ჩვეულებებით მოვიპოვოთ თქვენზე ძალაუფლება და ჩვენი ეკლესიითა და იმ წმინდა დახმარებით, რომლისთვისაც ჩვენი ცოლებისადმი და შვილებისადმი ვართ დავალებულნი, იმ თავისუფლებით, რომლითაც ჩვენს მიწებზე და სამშობლოზე ვართ მიბმულნი; დიახ, ღმერთის წმინდა სიტყვის დაცვით, რომლისადმი დავალებულნი ვართ მთელი ჩვენი ბედნიერებით; და ყველაფრით, რაც ყველაზე ძვირფასია ჩვენთვის – დიახ, ეს არ არის ყველაფერი; მე გიბრძანებთ, თქვენი სიცოცხლისადმი ყველა სურვილისათვის, რომ გადმოგვცეთ თქვენი საომარი იარაღი და ჩვენ თქვენს სისხლს კი არ დავღვრით, არამედ დავინდობთ თქვენს სიცოცხლეს, თუ წახვალთ თქვენი გზით და აღარ დაბრუნდებით ჩვენ წინააღმდეგ საომრად.

7 და ახლა, თუ ასე არ მოიქცევით, აჰა, ჩვენს ხელში ხართ და მე ვუბრძანებ ჩემს მეომრებს, რომ თავს დაგესხან და სხეულზე მოგაყენონ სასიკვდილო ჭრილობები, რათა ამოწყდეთ; და შემდეგ ვნახავთ, ვის ექნება

ძალაუფლება ამ ხალხზე; დიახ, ვნახავთ, ვინ იქნება მონობაში ჩაგდებული.

8 და ახლა, იყო ასე, როდესაც ზერაჰემნამ მოისმინა ეს სიტყვები, წინ გამოვიდა და თავისი ხმალი, მახვილი და მშვილდი მორონს ხელში გადასცა და უთხრა: აჰა, ჩვენი საომარი იარაღი; ჩვენ მას დაგიტოვებთ, მაგრამ არ დავუშვებთ თქვენთვის ფიცის დადებას, რომელსაც ვიცით, რომ დავარდევთ და ასევე ჩვენი შვილები; მაგრამ აიღე ჩვენი საომარი იარაღი და ნება მოგვეცი, უდაბნოში წავიდეთ; სხვაგვარად ჩვენ დაგიტოვებთ ხმლებს და ან დაგიღუპებით ან გავიშარჯვებთ.

9 აჰა, ჩვენ არ ვართ თქვენი რწმუნის; არ გეწამს, რომ ღმერთმა ჩაგვადლო თქვენს ხელში; არამედ გეწამს, რომ თქვენმა მზაკრობამ დაგიცვათ ჩვენი ხმლებისგან. აჰა, თქვენმა სამკერდულებმა და ფარებმა გადაგარჩინათ.

10 და ახლა, როდესაც ზერაჰემნამ წარმოთქვა ეს სიტყვები, მორონიმ დაუბრუნა ზერაჰემნას მისი მახვილი და საომარი იარაღი, რომლებიც მიიღო, სიტყვებით: აჰა, ჩვენ დავასრულებთ ამ ბრძოლას.

11 ახლა, მე ჩემს სიტყვებს უკან ვერ წავიღებ, ამიტომ ისე, როგორც ცოცხალია უფალი, თქვენ ვერ წახვალთ, თუკი არ დაიფიცებთ, რომ კვლავ აღარ დაბრუნდებით ჩვენ წინააღმდეგ საომრად. ახლა, ხართ რა ჩვენს

ხელში, თქვენს სისხლს დავდვრით მიწაზე ან დაემორჩილებით იმ პირობებს, რომლებიც მე წამოგიყენეთ.

12 და ახლა, როდესაც მორონიმ ეს სიტყვები თქვა, ზერაჰემნამ აიღო თავისი მახვილი და მორონზე განრისხებული იყო, წინ გავარდა მორონის მოსაკლავად; მაგრამ როგორც კი აღმართა თავისი მახვილი, აჰა, მორონის ერთ-ერთმა მეომარმა ის მიწაზე დააგდებინა და იგი ტარში გადატყდა; და მან ასევე ზერაჰემნას ისე დაჰკრა, რომ სკალპი ახადა და იგი მიწაზე დაეცა. და ზერაჰემნამ უკან დაიხია თავისი ჯარისკაცების რიგებში.

13 და იყო ასე, რომ ჯარისკაცი, რომელიც გვერდზე იდგა, რომელმაც ზერაჰემნას სკალპი ახადა, მიწიდან სკალპი თმებით აწია, თავისი მახვილის წვერზე ჩამოაცვა, წინ გაიწოდა და ხმამაღლა მიმართა მათ სიტყვებით:

14 როგორც ეს სკალპი, რომელიც თქვენი ბელადის სკალპია, დაეცა მიწაზე, თქვენც ასევე დაეცემით მიწაზე, თუ არ გადმოგცემთ თქვენს საომარ იარაღს და არ წახვალთ მშვიდობის აღთქმით.

15 ახლა, იქ მრავალნი იყვნენ, რომლებმაც მოისმინეს ეს სიტყვები და იხილეს ხმალზე წამოცმული სკალპი, შიშმა მოიცვა ისინი და ბევრნი წინ გამოვიდნენ და საომარ იარაღს ყრიდნენ მორონის ფეხებთან და

დებდნენ მშვიდობის აღთქმას. და ყველას, რომლებმაც დადეს მშვიდობის აღთქმა, უდაბნოში წასვლის ნება დართეს.

16 ახლა, იყო ასე, რომ ზერაჰემნა ძალზედ განრისხდა და თავის დარჩენილ ჯარისკაცებში გაადვივა წყრომა, რომ უფრო ძლიერად ებრძოლათ ნეფიელთა წინააღმდეგ.

17 და ახლა, მორონი განრისხდა ლამანიელთა სიჯიუტის გამო; ამიტომ, უბრძანა თავის ხალხს, რომ მათ თავს დასხმოდნენ და დაეხოცათ ისინი. და იყო ასე, რომ დაიწყეს მათი ხოცვა; დიახ, ლამანიელები შეებრძოდნენ მათ თავიანთი ხმლებითა და თავიანთი ძალით.

18 მაგრამ, აჰა, მათი შიშველი კანი და დაუფარავი თავები დაუცველი იყო ნეფიელთა ბასრი ხმლებისგან; დიახ, ისინი განგმირეს და სცემეს, დიახ, ძალზედ მალე ეცემოდნენ ნეფიელთა ხმლების წინაშე; და მათ დაიწყეს მათი გამოყრა ისე, როგორც მორონის ჯარისკაცმა იწინასწარმეტყველა.

19 ახლა, ზერაჰემნამ, როდესაც იხილა, რომ ახლოს იყვნენ განადგურებასთან, მძლავრად შეჰკლადადა მორონის დაპირებით, რომ აღთქმას დადებდა და ასევე მასთან ერთად მისი ხალხი, თუ დაინდობდა დანარჩენის სიცოცხლეს, რომ არასდროს აღარ მოვიდოდნენ მათ წინააღმდეგ საომრად.

20 და იყო ასე, რომ მორონიმ ბრძანა, ხალხს შორის სასიკვდილო საქმე კვლავ შეწყვეტილიყო. და ლამანიელთა საომარი იარაღი აიღო; და მას შემდეგ, რაც მათ მასთან მშვიდობის აღთქმა დადეს, მათ ნება დართეს, უდაბნოში წასულიყვნენ.

21 ახლა, მათი დახოცილები არ იქნა დათვლილი, დიდი რაოდენობის გამო; დიახ, მათი დახოცილების რაოდენობა იყო ძალზედ დიდი, ორივე მხარეს – ნეფიელთა და ლამანიელთა შორის.

22 და იყო ასე, რომ მათ ჩაყარეს თავიანთი დახოცილები მდინარე სიდონის წყლებში და ისინი მდინარემ წაიღო და ზღვის სიღრმეში დამარხა.

23 და ნეფიელთა ანუ მორონის ჯარები, დაუბრუნდნენ თავიანთ სახლებსა და თავიანთ მიწებს.

24 და ასე დამთავრდა ნეფის ხალხზე მოსამართლეთა მმართველობის მეთვრამეტე წელი. ასე დასრულდა აღმას ჩანაწერები, რომლებიც დაწერილი იყო ნეფის ფირფიტებზე.

ამბავი ნეფის ხალხის შესახებ, ჰელამანის დროს მათ ომებსა და უთანხმოებებზე, ჰელამანის ჩანაწერების მიხედვით, რომლებსაც იგი აგრძელებდა თავის დღეებში.

შეიცავს 45-დან 62-ე თავის ჩათვლით.

თავი 45

ჰელამანი ირწმუნებს აღმას სიტყვებს. აღმა წინასწარმეტყველებს ნეფიელთა განადგურებას. იგი აკურთხებს და წყევლის იმ მიწას. აღმა, შესაძლებელია, აიტაცა სულმა ისევე, როგორც მოსე. ეკლესიაში იზრდება უთანხმოება. დაახლოებით 73 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 აჰა, ახლა იყო ასე: ნეფის ხალხმა ძალზედ გაიხარა, რადგან უფალმა კვლავ გამოიხსნა ისინი მტრის ხელიდან; ამიტომ, მათ მიაგეს სამადლობელი უფალს, თავიანთ ღმერთს; დიახ, მათ ბევრი იმარხულეს და ილოცეს და ღმერთს ეთაყვანებოდნენ ძალზედ დიდი სიხარულით.

2 და იყო ასე: ნეფის ხალხზე მოსამართლეთა მმართველობის მეცხრამეტე წელს, აღმა მივიდა თავის შვილთან, ჰელამანთან, და უთხრა: გწამს იმ სიტყვების, რაც მე გითხარი იმ ჩანაწერებზე, რომლებიც ინახებოდა?

3 და ჰელამანმა მას უთხრა: დიახ, მწამს.

4 და აღმამ კვლავ უთხრა: გწამს იესო ქრისტესი, რომელიც მოვა?

5 და მან უთხრა: დიახ, მწამს ყველა სიტყვის, რაც შენ თქვი.

6 და აღმამ კვლავ უთხრა მას: დაიცავ ჩემს ბრძანებებს?

7 და მან თქვა: დიახ, დავიცავ შენს ბრძანებებს, მთელი გულით.

8 შემდეგ აღმამ მას უთხრა:

კურთხეული ხარ და უფალი აგაყვავებს ამ მიწაზე.

9 მაგრამ, აჰა, მე რაღაც უნდა გიწინასწარმეტყველო; მაგრამ, რასაც გიწინასწარმეტყველებ, არ უნდა გაამხილო; დიახ, რასაც გიწინასწარმეტყველებ არ იქნება გამხელილი, სანამ არ ახდება ეს წინასწარმეტყველება; ამიტომ, ჩაიწერე სიტყვები, რომლებსაც გეტყვი.

10 და ეს სიტყვებია: აჰა, მე ვხვდები, რომ ზუსტად ეს ხალხი, ნეფიელები, გამოცხადების სულის შესაბამისად, რომელიც ჩემშია, ოთხასი წლის შემდეგ იმ დროიდან, როდესაც მათ იესო ქრისტე თავად გამოეცხადება, გადაშენდებიან ურწმუნობაში.

11 დიახ, მაშინ იხილავენ ისინი ომებსა და ჭირს, დიახ, შიმშილსა და სისხლისღვრას, იქამდეც კი, რომ ნეფის ხალხი ამოწყდება -

12 დიახ, და ეს იმის გამო, რომ გადაშენდებიან ურწმუნობაში და ჩაცვივდებიან ბნელეთის საქმეებში და ავხორცობაში და ყოველნაირ ურჯულოებაში; დიახ, მე გეუბნები; იმის გამო, რომ შესცოდავენ ასეთი დიდი სინათლისა და ცოდნის წინააღმდეგ, დიახ, გეუბნები, იმ დღიდან, მეოთხე თაობაც კი არ იქნება ჩავლილი, როდესაც მოვა ეს დიდი ურჯულოება.

13 და როდესაც ის დიდი დღე მოვა, აჰა, დრო ძალზედ

მალე მოვა, რომ ისინი, რომლებიც ახლა ცხოვრობენ ანუ მათი შთამომავლები, რომლებიც ახლა ითვლებიან ნეფის ხალხად, მეტად აღარ ჩაითვლებიან ნეფის ხალხად.

14 მაგრამ, რომლებიც გადარჩებიან და არ განადგურდებიან იმ დიდ და საშინელ დღეს, ჩაითვლებიან ღამანიელთა შორის და მათ დაემსგავსებიან, გარდა რამდენიმესი, რომლებსაც უფლის მოწაფეები ეწოდებათ; და მათ ღამანიელები გამოედევნებიან იქამდე, სანამ არ ამოწყვეტენ და ახლა, ურჯულოების გამო, ეს წინასწარმეტყველება ახდება.

15 და ახლა, იყო ასე, როდესაც აღმამ უთხრა ეს ყველაფერი ჰელამანს, მან აკურთხა იგი და ასევე თავისი სხვა შვილებიც; და მან ასევე აკურთხა მიწა მართალთა გულისთვის.

16 და მან უთხრა: ასე ამბობს უფალი ღმერთი: წყეული იქნება ეს მიწა, დიახ ეს მიწა, ყოველი ერისთვის, ტომისთვის, ენისთვის და ხალხისთვის მათ განადგურებამდე, რომლებიც სწადიან ბოროტებას, როდესაც ბოლომდე მომწიფდებიან; და როგორც ვთქვი, ისე იქნება; რადგან ეს არის ამ მიწაზე ღმერთის წყევლა და კურთხევა, რადგან უფალი ვერ შეხედავს ცოდვას გერანაირი შემწყნარებლობით.

17 და ახლა, როდესაც აღმამ თქვა ეს სიტყვები, მან აკურთხა ეკლესია, დიახ, ყველანი, ვინც

მყარად იდგებიან რწმენაში იმ დროიდან სამარადისოდ.

18 და როდესაც აღმამ ეს დაასრულა, იგი წავიდა ზარაჰემლას მიწიდან, თითქოს მილექის მიწაზე მიემართებოდა. და იყო ასე, რომ მეტი არავის სმენია მასზე; არც მის სიკვდილზე და არც დამარხვაზე არ ვიცით არაფერი.

19 აჰა, ჩვენ ვიცით ის, რომ ის იყო მართალი კაცი; და სიტყვა გავრცელდა ეკლესიაში, რომ იგი სულმა აიტაცა ანუ უფლის ხელით დაიმარხა, როგორც მოსე. მაგრამ, აჰა, წმინდა წერილი ამბობს, რომ უფალმა მოსე თავისთან წაიყვანა და ჩვენ ვთვლით, რომ აღმაც მიიღო სულში, თავისთან; ამიტომ, ამ მიზეზით, ჩვენ არაფერი არ ვიცით მის სიკვდილზე და დამარხვაზე.

20 და ახლა, ნეფის ხალხზე მოსამართლეთა მმართველობის მეცხრამეტე წლის დასაწყისში, ჰელამანი ხალხში გამოვიდა, რათა მათთვის სიტყვა ეუწყებინა.

21 რადგან, აჰა, ღამანიელებთან მათი ომების და მრავალი მცირე უთანხმოებისა და არეულობის გამო, რაც იყო ხალხში, საჭირო გახდა, რომ ღვთის სიტყვა გამოცხადებულიყო მათში, დიახ, რომ მთელ ეკლესიაში წესრიგი დამყარებულიყო.

22 ამიტომ, ჰელამანი და მისი ძმები გაემართნენ მთელ მიწაზე ეკლესიის კვლავ განსამტკიცებლად, დიახ, ყოველ ქალაქში,

მთელ მიწაზე, რომელსაც ნეფის ხალხი ფლობდა. და იყო ასე, რომ მათ მღვდლები და მასწავლებლები დანიშნეს მთელ მიწაზე, სრულიად ეკლესიაზე.

23 და ახლა, ეს იყო ასე, რომ მას შემდეგ, რაც ჰელამანმა და მისმა ძმებმა დანიშნეს მღვდლები და მასწავლებლები სრულიად ეკლესიაზე, მათ შორის წარმოიშვა უთანხმოება და ყურს აღარ უგდებდნენ ჰელამანისა და მისი ძმების სიტყვებს;

24 თუმცა გახდნენ ამპარტავანნი, აღზევებულნი საკუთარ გულში, თავიანთი ძალზედ დიდი სიმდიდრის გამო; ამიტომ, გამდიდრდნენ საკუთარ თვალში და ყურს აღარ უგდებდნენ მათ სიტყვებს, რომ ღმერთის წინაშე უბიწოდ ევლოთ.

თავი 46

ამალიკიას განზრახული აქვს მეფობა. მორონი აღმართავს თავისუფლების აღამს. იგი ხალხს მოუწოდებს, დაიცვან თავიანთი სარწმუნოება. ჭეშმარიტ მორწმუნეებს ქრისტიანებს უწოდებენ. იოსებისგან დარჩენილნი გადარჩებიან. ამალიკია და განდგომილები ნეფის მიწაზე გაიქცვიან. მათ, ვისაც არ სურთ თავისუფლების დაცვა, დახოცავენ. დაახლოებით 73-72 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და იყო ასე, რომ ყველა, ვინც არ ისურვა ჰელამანისა და მისი

ძმების სიტყვებისთვის ყურის დაგდება, ერთად შეიკრიბა თავიანთი ძმების წინააღმდეგ.

2 და ახლა, აჰა, ისინი ძალზედ განრისხდნენ, იმდენად, რომ გადაწყვიტეს მათი დახოცვა.

3 ახლა, წინამძღვარი მათი, რომლებიც თავიანთ ძმებზე იყვნენ განრისხებულნი, იყო დიდი და ძლიერი კაცი; და მისი სახელი იყო ამალიკია.

4 და ამალიკიამ განიზრახა მეფობა; და იმ აღამიანებსაც, რომლებიც განრისხებულნი იყვნენ, სურდათ, რომ იგი ყოფილიყო მათი მეფე; და მათი უმეტესობა იყო ამ მიწის უმცროსი მოსამართლეთაგანნი და ისინი იღწვოდნენ ძალაუფლებისთვის.

5 და ისინი აჰყვნენ ამალიკიას პირფერობას, რომ თუ მას მხარს დაუჭერდნენ და თავიანთ მეფედ დააყენებდნენ, იგი მათ ხალხის მმართველებად დანიშნავდა.

6 ამგვარად, ჰელამანისა და მისი ძმების ქადაგებების მიუხედავად, ამალიკიამ ისინი განდგომამდე მიიყვანა, დიახ, ეკლესიაზე მათი ძალზედ დიდი ზრუნვის მიუხედავად, რადგან ისინი ეკლესიის მღვდელმთავრები იყვნენ.

7 და ეკლესიაში იყვნენ მრავალნი, რომლებმაც დაიჯერეს ამალიკიას პირფერული სიტყვები, ამიტომ ისინი ეკლესიას განუდგნენ; და ამგვარად, ნეფის ხალხის მდგომარეობა იყო ძალზედ არასაიმედო და

საშიში, მიუხედავად მათი დიდი გამარჯვებისა, რომელიც ლამანიელებზე მოიპოვეს და დიდი სიხარულისა, რომელიც ჰქონდათ უფლის ხელით გამოსხნის გამო.

8 ამგვარად ვხედავთ, როგორ სწრაფად ივიწყებენ უფალს, თავიანთ ღმერთს, ადამიანთა შეილები, დიახ, როგორი სწრაფნი არიან ურჯულოების კეთებაში და იმ ბოროტის უკან ადევნებაში.

9 დიახ, ჩვენ ასევე ვხედავთ, რამხელა სიბოროტე მოაქვს ერთ, ძალზედ ბოროტ ადამიანს, ადამიანთა შეილებს შორის.

10 დიახ, ჩვენ ვხედავთ, რომ ამალიკიამ, რადგან იყო მზაკვრული გეგმების მქონე და მრავალი პირფერი სიტყვის მთქმელი კაცი, შეაცდინა ადამიანთა მრავალი გული, რათა სიბოროტე ჩაედინათ მათ; დიახ, რომ ეცადათ ღმერთის ეკლესიის განადგურება და გაენადგურებინათ თავისუფლების საძირკველი, რომელიც მათ ღმერთმა უბოძა ანუ კურთხევა, რომელიც მოავლინა მართალთათვის მიწის პირზე.

11 და ახლა, იყო ასე, რომ როდესაც მორონიმ, რომელიც იყო ნეფიელთა ჯარების მთავარი მეთაური, გაიგო ამ განდგომილების შესახებ, ამალიკიაზე განრისხდა.

12 და იყო ასე, რომ მან შემოიხია მოსასხამი; აიღო მისი ნაჭერი და მასზედ დაწერა: გვა-

ხსოვდეს ჩვენი ღმერთი, სარწმუნოება, თავისუფლება, მშვიდობა და ცოლ-შვილი. და მიამაგრა იგი ჯოხის წვერზე.

13 და მან დაიხურა ჩაჩქანი, აისხა სამკერდული და ფარები, შეიბა წელზე აბჯარი და აიღო ჯოხი, რომლის წვერზე იყო თავისი მოსასხამის ნაგლეჯი (და მას უწოდა თავისუფლების ალამი) მუხლი მოიყარა მიწაზე და მხურვალედ ილოცა თავისი ღმერთისადმი, რომ თავისუფლების კურთხევები მის ძმებზე ყოფილიყო, სანამ იქნებოდა ქრისტიანების ჯგუფი, რომლებიც მიწის მფლობელები იქნებოდნენ –

14 რადგან ასე უწოდებდნენ ქრისტეს ჭეშმარიტ მორწმუნეებს, რომლებიც ეკლესიას მიეკუთვნებოდნენ, ისინი, რომლებიც ეკლესიას არ მიეკუთვნებოდნენ.

15 და ისინი, რომლებიც ეკლესიას მიეკუთვნებოდნენ, იყვნენ ერთგულნი; დიახ, ყველამ, რომლებიც იყვნენ ქრისტეს ჭეშმარიტი მორწმუნეები, სიხარულით აიღეს საკუთარ თავზე ქრისტეს სახელი ანუ ქრისტიანები, როგორც მათ უწოდებდნენ მათი ქრისტეში რწმენის გამო, ვინც უნდა მოვიდეს.

16 და ამიტომ, ამ დროს მორონი ლოცულობდა, რომ ქრისტიანთა საქმე და მიწის თავისუფლება მადლიანი ყოფილიყო.

17 და იყო ასე, რომ როდესაც მან ღმერთის წინაშე გადმოღვარა სული, მან დაასახელა

მიწა, რომელიც იყო მიწა აოხრებულის სამხრეთით, დიახ, მთელი მიწა, ჩრდილოეთით და სამხრეთით, მიწა რჩეული და მიწა თავისუფლებისა.

18 და მან თქვა: ჭეშმარიტად, ღმერთი არ დაუშვებს, რომ ჩვენ, რომლებსაც აბუჩად გვიგდებენ, რადგან საკუთარ თავზე ავიღეთ ქრისტეს სახელი, ფეხქვეშ გაგვთელონ და გაგვანადგურონ მანამ, სანამ ჩვენ მას შეცოდებებით არ მოვაველეთ ჩვენს თავზედ.

19 და როდესაც მორონმა თქვა ეს სიტყვები, იგი წავიდა ხალხში, თავისი სამოსის ნაგლეჯის პაერში ფრიალით, რომ ყველას დაენახა წარწერები, რომლებიც მან გააკეთა მოსასხამის ნაგლეჯზე და ხმამაღლა დაღაღებდა სიტყვებით:

20 აჰა, ყველა, ვინც ამ აღამს დაიცავს მიწაზე, დაე, წინ გამოვიდეს უფლის ძალით და აღთქმა დადოს, რომ დაიცავს თავის უფლებებსა და სარწმუნოებას, რათა უფალმა ღმერთმა აკურთხოს ისინი.

21 და იყო ასე, როდესაც მორონიმ გამოაცხადა ეს სიტყვები, აჰა, ხალხი მორბოდა ერთად შესაკრებად, წელზე შებმული აბჯრებით, იგლიჯავდნენ ტანისამოსს იმის ნიშნად ანუ აღთქმისათვის, რომ არ მიატოვებენ უფალს, თავიანთ ღმერთს; ანუ სხვა სიტყვებით, თუ დაარღვევდნენ ღმერთის მცნებებს ანუ შეცოდებაში ჩაცვივდებოდნენ და

შერცხვებოდან საკუთარ თავზე ქრისტეს სახელის აღება, უფალი დაგლეჯდა მათ ისევე, როგორც მათ დაიგლიჯეს სამოსი.

22 ახლა, ეს იყო აღთქმა, რომელიც მათ დადეს და თავიანთი ტანისამოსი მორონის ფეხქვეშ დაყარეს, სიტყვებით: ვღებთ აღთქმას ჩვენს ღმერთთან, რომ გავნადგურდებით ისე, როგორც ჩვენი ძმები ჩრდილოეთით მიწაზე, თუ შეცოდებაში ჩავცვივდებით; დიახ, მას შეუძლია მტრის ფეხქვეშ ჩაგვყაროს ისე, როგორც ჩვენ დავყარეთ ჩვენი სამოსი შენს ფეხქვეშ, რათა ვიყოთ ფეხქვეშ გათელილნი, თუ შეცოდებაში ჩავცვივდებით.

23 მორონიმ მათ უთხრა: აჰა, ჩვენ ვართ იაკობის შთამომავალთა ნარჩენი; დიახ, ჩვენ ვართ იოსების შთამომავალთა ნარჩენი, რომლის სამოსი მრავალ ნაწილად დაგლიჯეს მისმა ძმებმა; დიახ, ახლა, აჰა, დაე, გვახსოვდეს, რომ უნდა დავიცვათ ღმერთის მცნებები, თორემ ჩვენი სამოსი დაიგლიჯება ჩვენი ძმების მიერ და ჩვენ საპურობილეში ვიქნებით ჩაყრილნი ან გაგვყიდნიან ან დაგვხოცავენ.

24 დაიხ, მოდით შევინარჩუნოთ თავისუფლება, როგორც იოსების ნარჩენმა; დიახ, მოდით გავიხსენოთ იაკობის მიერ სიკვდილის წინ ნათქვამი სიტყვები, რადგან, აჰა, მან იხილა, რომ იოსების სამოსის ნარჩენი შემოინახა და არ დაღპა; და მან თქვა: როგორც

შემოინახა ჩემი შვილის სამოსის ნარჩენი, ისევე შემოინახება ჩემი შვილის შთამომავლობის ნარჩენი ღვთის ხელით და აყვანილ იქნება მასთან, როდესაც დანარჩენი იოსების შთამომავლები დაიღუპებიან ისე, როგორც მისი სამოსის ნარჩენი.

25 ახლა, აჰა, ეს ამწუხრებს ჩემს სულს; ამისდა მიუხედავად, ჩემი სული ხარობს ჩემს შვილში, მისი შთამომავლობის იმ ნაწილის გამო, რომელიც ღმერთთან იქნება წაყვანილი.

26 ახლა, აჰა, ეს იყო იაკობის სიტყვა.

27 და ახლა, ვინ იცის, იქნებ იოსების შთამომავლობის ნარჩენი, რომელიც დაიღუპება, როგორც მისი სამოსი, არიან ისინი, რომლებიც ჩვენ განგვიდგნენ? დიახ, ჩვენც ასეთები ვიქნებით, თუ არ დავრჩებით ქრისტეს რწმენაში მტკიცენი.

28 და ახლა, იყო ასე, რომ როდესაც მორონიმ ეს სიტყვები თქვა, ის გამოვიდა და ასევე გააგზავნა მიწის ყველა კუთხეში, სადაც უთანხმოება იყო და ერთად შეკრიბა ყველა ხალხი, რომლებსაც სურდათ საკუთარი თავისუფლების დაცვა ამალიკიას და მათ წინააღმდეგ აღსადგომად, რომლებიც განუდგნენ და რომლებსაც ამალიკიელები ეწოდათ.

29 და იყო ასე, რომ როდესაც ამალიკიამ იხილა, რომ მორონის ხალხი იყო ამალიკიელებზე მრავალრიცხოვანი – და მან

ასევე იხილა, რომ მისი ხალხი დაეჭვდა იმ საქმის სამართლიანობაში, რაც მათ წამოიწყეს – ამიტომ, ეშინოდა რა, რომ ვერ მიაღწევდა მიზანს, მან აიყვანა თავისი ხალხისგან ისინი, რომლებმაც მოისურვეს და წავიდა ნეფის მიწაზე.

30 ახლა, მორონიმ იფიქრა, რომ არ იყო საჭირო, ლამანიელებს უფრო მეტი ძალა ჰქონოდათ; ამიტომ, მან იფიქრა, მოეკვთა ამალიკიას ხალხი მათგან ანუ აყვანა ისინი და უკან დაებრუნებინა და ამალიკია მოეკლა; დიახ, რადგან მან იცოდა, რომ გააღვივებდა წყრომას ლამანიელებში და აიძულებდა მათ წინააღმდეგ საბრძოლველად წამოსვლას; და მან იცოდა, რომ ამალიკია ამას გააკეთებდა თავისი მიზნების მისაღწევად.

31 ამიტომ, მორონიმ იფიქრა, რომ საჭირო იყო აყვანა თავისი ჯარები, რომლებიც ერთად შეიკრიბნენ და შეიარაღდნენ და დადეს აღთქმა, რომ დაიცავდნენ მშვიდობას. და იყო ასე, რომ მან აიყვანა თავისი ჯარი და გაემართა უდაბნოსკენ კარვებით, რათა უდაბნოში ამალიკიასათვის გზა გადაეკვთა.

32 და იყო ასე, რომ იგი მოიქცა საკუთარი სურვილების შესაბამისად და შევიდა უდაბნოში და გაასწრო ამალიკიას ჯარებს.

33 და იყო ასე, რომ ამალიკია გაიქცა თავისი ჯარისკაცების პატარა ნაწილით და

დანარჩენები მორონის ხელში იქნენ გადაცემულნი და უკან, ზარაკემლას მიწაზე წამოყვანილნი.

34 ახლა, მორონი, იყო რა კაცი, რომელიც დაინიშნა მთავარი მოსამართლეების მიერ და ხალხის ხმით, ამიტომ მას ჰქონდა თავისი ნების შესაფერისი ძალაუფლება ნეფიელთა ჯარების მიმართ, მათზე უფლებამოსილების დასამყარებლად და გამოსავლენად.

35 და იყო ასე, რომ ამალიკიელებისგან ყოველს, რომელსაც არ სურდა აღთქმის დადება თავისუფლების საქმის დასაცავად, რათა თავისუფალი ხელისუფლება ჰქონოდათ, იგი სიკვდილით სჯიდა; და იყო მხოლოდ რამდენიმე, რომლებმაც უარყვეს თავისუფლების აღთქმა.

36 და ასევე იყო, რომ მან ბრძანა, მთელს მიწაზე თავისუფლების ალაში აღემართათ ყოველი კოშკის თავზე, რომელიც ნეფიელებს ეკუთვნოდათ; და ასე გაამყარა მორონიმ თავისუფლების ალაში ნეფიელთა შორის.

37 და მათ მიწაზე კვლავ მშვიდობამ დაისადგურა; და ასე ინარჩუნებდნენ მშვიდობას მიწაზე, მოსამართლეთა მმართველობის თითქმის მეცხრამეტე წლის ბოლომდე.

38 და ჰელამანი და მღვდელმთავრები ასევე ინარჩუნებდნენ ეკლესიაში წესრიგს; დიახ, ოთხი წლის განმავლობაში მათ

ეკლესიაში საკმარისი მშვიდობა და სიხარული სუფევდა.

39 და იყო ასე, რომ იყვნენ მრავალნი, რომელნიც გარდაიცვალნენ მტკიცე რწმენით, რომ მათი სულები უფალი იესო ქრისტეს მიერ იქნა გამოსყიდული; ასე წავიდნენ ისინი ამ ქვეყნიდან სიხარულით.

40 და იყვნენ ზოგიერთნი, რომლებიც ციებ-ცხელებით გარდაიცვალნენ, რაც იმ მიწაზე ხშირად იყო წელიწადის ზოგიერთ დროში, მაგრამ ციებ-ცხელებისგან არც თუ ისე ბევრი, მრავალი ბალახისა და ფესვის მშვენიერი თვისებების გამო, რაც ღმერთმა მოამზადა, რათა მოეცილებინა დაავადებების მიზეზი, რომლებსკენაც ადამიანები იყვნენ მიდრეკილნი ბუნებრივი კლიმატის გამო -

41 მაგრამ იქ იყვნენ ბევრნი, რომლებიც სიბერით გარდაიცვალნენ; და რომლებიც გარდაიცვალნენ ქრისტეს რწმენით, არიან მასში ბედნიერნი, როგორც ჩვენ უნდა ვიგულისხმოთ.

თავი 47

ამალიკია მიმართავს დალატს, მკვლევლობებსა და ინტრიგებს, რათა გახდეს ლამანიელთა მეფე. ნეფიელთა განდგომილები არიან უფრო ბოროტნი და სასტიკნი, ვიდრე ლამანიელები. დაახლოებით 72 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 ახლა, ჩანაწერებში ჩვენ ვუბრუნდებით ამალიკიას და მათ, რომლებიც მასთან ერთად გაიქცნენ უდაბნოში; რადგან, აჰა, მან აიყვანა ისინი, რომლებიც მასთან ერთად წავიდნენ და მივიდა ნეფის მიწაზე ლამანიელთა შორის და აღვივებდა წყრომას ლამანიელებში ნეფის ხალხის წინააღმდეგ, იმდენად, რომ ლამანიელთა მეფემ მთელს თავის მიწაზე, მთელს თავის ხალხში, გააგზავნა მოწოდება, კვლავ ერთად შეკრებილიყვნენ ნეფიელთა წინააღმდეგ საომრად.

2 და იყო ასე, რომ როდესაც ეს მოწოდება გავრცელდა მათ შორის, მათ ძალზედ შეეშინდათ; დიახ, მათ ეშინოდათ მეფის უკმაყოფილების და ასევე ეშინოდათ ნეფიელთა წინააღმდეგ ბრძოლის იმის გამო, რომ სიცოცხლეს დაკარგავდნენ. და იყო ასე, რომ მათ არ ისურვეს ანუ მათმა უმეტესობამ არ ისურვა, დამორჩილებოდა მეფის ბრძანებებს.

3 და ახლა, იყო ასე, რომ მათი დაუმორჩილებლობის გამო, მეფე განრისხდა; ამიტომ, მან თავისი სარდლობა ჯარის იმ ნაწილისა, რომელიც მის ბრძანებებს ემორჩილებოდა, გადასცა ამალიკიას და უბრძანა მას, რომ წინ წავიდეს და აიძულოს მათ იარაღის აღება.

4 ახლა, აჰა, ეს იყო ამალიკიას სურვილი, რადგან იყო ძალზედ ვერაგი კაცი სიბოროტის

ჩადენაში, ამიტომ, მან გულში ჩაიდო ლამანიელთა მეფის ტახტიდან ჩამოგდება.

5 და ახლა, მან მიიღო სარდლობა ლამანიელთა იმ ნაწილზე, რომელიც მეფეს მხარს უჭერდა და მან მოისურვა მოეპოვებინა იმათი კეთილგანწყობა, რომლებიც არ ემორჩილებოდნენ; ამიტომ, იგი მივიდა ადგილზე, რომელსაც ეწოდებოდა ონიდა, რადგან იქ გაიქცა ყველა ლამანიელი; გაიგეს რა ჯარის მოსვლის შესახებ და ეგონათ, რომ ის მოდიოდა მათ გასანადგურებლად, ისინი ონიდაში გაიქცნენ, შეიარაღების ადგილზე.

6 და დანიშნეს კაცი, რომ ყოფილიყო მათი მეფე და წინამძღვარი, ჰქონდათ რა მტკიცედ გადაწყვეტილი, არ დამორჩილებოდნენ ნეფიელთა წინააღმდეგ საომრად წასვლას.

7 და იყო ასე, რომ ისინი ერთად შეიკრიბნენ მთის წვერზე, რომელსაც ეწოდებოდა ანტიპასი, ბრძოლისათვის მოსამზადებლად.

8 ახლა, ამალიკია არ აპირებდა მათ წინააღმდეგ ბრძოლას მეფის ბრძანების მიხედვით; არამედ აჰა, იგი აპირებდა ლამანიელთა ჯარისგან მოეპოვებინა კეთილგანწყობა, რომ გამხდარიყო მათი მეტაური, მეფე ჩამოეგდო ტახტიდან და სამეფოს დაუფლებოდა.

9 და აჰა, იყო ასე, რომ მან თავის ჯარს უბრძანა, რომ კარგები

გაეშალათ ველზე, რომელიც იყო ანტიპას მთასთან ახლოს.

10 და იყო ასე, როდესაც დაღამდა, მან მიაგზავნა საიდუმლო ელჩები ანტიპას მთაზე სურვილით, რომ წინამძღვარი მათი, რომელიც მთაზე იმყოფებოდა, რომლის სახელიც იყო ლეჰონტი, ჩამოსულიყო მთის ძირში, რადგან მასთან საუბარი სურდა.

11 და იყო ასე, როდესაც ლეჰონტი მიიღო ეს შეტყობინება, მან ვერ გაბედა მთის ძირში ჩასვლა. და იყო ასე, რომ ამალიკიამ მეორეჯერ გაუგზავნა, სურდა რა მისი დაბლა ჩამოსვლა. და იყო ასე, რომ ლეჰონტის არ სურდა; და მან მესამედ გაუგზავნა.

12 და იყო ასე, რომ როდესაც ამალიკია მიხვდა, რომ ვერ ჩამოიყვანდა მთიდან ლეჰონტის, იგი ავიდა მთაზე, ლეჰონტის ბანაკთან ახლოს; და ლეჰონტის მეოთხეჯერ გაუგზავნა შეტყობინება, სურდა რა, რომ იგი ქვევით ჩამოსულიყო და თან მოეყვანა თავისი გუშაგები.

13 და იყო ასე, როდესაც ლეჰონტი თავისი გუშაგებით ჩამოვიდა ამალიკიასთან, ამალიკიამ მოისურვა, რომ იგი ჩამოსულიყო დამე თავისი ჯარით და ალყაში მოაქცია ის ჯარისკაცები თავიანთ კარგებში, რომლებზეც მეფემ სარდლობა მისცა; და მაშინ იგი გადასცემდა მათ ლეჰონტის ხელში, თუ იგი მას (ამალიკიას)

დანიშნავდა მთელი ჯარის მეორე წინამძღვრად.

14 და იყო ასე, რომ ლეჰონტი ჩამოვიდა თავისი ჯარისკაცებით და ალყაში მოაქცია ამალიკიას ჯარისკაცები, ამგვარად, სანამ გაიღვიძებდნენ გამთენიისას, ისინი გარშემორტყმულნი იყვნენ ლეჰონტის ჯარებით.

15 და იყო ასე, როდესაც იხილეს, რომ იყვნენ ალყაში მოქცეულები, მათ შეჰღადადეს ამალიკიას, რომ ნება დაერთო მათთვის თავიანთ ძმებს შეერთებოდნენ, რათა არ განადგურებულიყვნენ. ახლა, ეს ზუსტად ის იყო, რაც ამალიკიას სურდა.

16 და ეს იყო ასე, რომ მან გასცა თავისი ჯარისკაცები მეფის ბრძანებების მიუხედავად. ახლა, ეს იყო ის, რაც ამალიკიას სურდა, რათა შეესრულებინა თავისი ჩანაფიქრი მეფის ტახტიდან ჩამოგდებასთან დაკავშირებით.

17 ახლა, ასეთი ჩვეულება იყო ლამანიელთა შორის, თუ მათი ბელადი მოკვდებოდა, მეორე წინამძღვარი ინიშნებოდა ბელადად.

18 და იყო ასე, რომ ამალიკიამ ბრძანა, რომ ერთ-ერთ მის მსახურს ლეჰონტისათვის ნელნელა შხამი მიეცა, რათა იგი მომკვდარიყო.

19 ახლა, როდესაც ლეჰონტი მოკვდა, ლამანიელებმა ამალიკია თავის ბელადად და მთავარ მეთაურად დანიშნეს.

20 და იყო ასე, რომ ამალიკიამ შეაბიჯა თავისი ჯარებით (აიხდინა რა თავისი სურვილი) ნეფის მიწაზე, ნეფის ქალაქში, რომელიც იყო მთავარი ქალაქი.

21 და მეფე გამოვიდა თავისი გუშაგებით მის დასახვედრად, რადგან ეგონა, რომ ამალიკიამ შეასრულა მისი ბრძანებები, რომ ამალიკიამ ერთად შეკრიბა იმხელა ჯარი, რომ ნეფიელთა წინააღმდეგ ბრძოლისათვის წასულიყო.

22 მაგრამ, აჰა, როდესაც მეფე გამოვიდა მის დასახვედრად, ამალიკიამ ბრძანა, რომ მისი მსახურები წინ წასულიყვნენ მეფის შესახვედრად. და ისინი მივიდნენ და ქედი მოიხარეს მეფის წინაშე, ვითომდა მისი დიდებულების პატივსაცემად.

23 და იყო ასე, რომ მეფემ წინ გამოიწოდა ხელი, რომ ისინი წამოეყენებინა, ლამანიელთა წესისამებრ, მშვიდობის ნიშნად, რომელი ნიშანიც ნეფიელებისგან გადაიღეს.

24 და იყო ასე, რომ როდესაც მან პირველივე მიწიდან წამოაყენა, აჰა, მან გულში განგმირა მეფე; და იგი მიწაზე დაეცა.

25 ახლა, მეფის მსახურები გაიქცნენ და ამალიკიას მსახურებმა ხმამაღლა შესძახეს სიტყვები:

26 აჰა, მეფის მსახურებმა იგი განგმირეს გულში და იგი დაეცა და ისინი გაიქცნენ; აჰა, მოდით და ნახეთ.

27 და იყო ასე, რომ ამალიკიამ

უბრძანა თავის ჯარს, მისულიყვნენ და ენახათ, რა მოუვიდა მეფეს; და როდესაც ისინი მივიდნენ იმ ადგილზე და იხილეს სისხლში მწოლიარე მეფე, ამალიკიამ თავი მრისხანედ მოაჩვენა და თქვა: ვისაც უყვარდა მეფე, წავიდეს და დაედევნოს მის მსახურებს, მათ დასახოცად.

28 და იყო ასე, რომ ყველანი, ვისაც მეფე უყვარდა, როდესაც ეს სიტყვები გაიგეს, წინ გამოვიდნენ და მეფის მსახურებს გამოედევნენ.

29 ახლა, როდესაც მეფის მსახურებმა დაინახეს მათ უკან მიმდევარი ჯარი, კვლავ შეეშინდათ და უდაბნოში გაიქცნენ და მივიდნენ ზარაჰემლას მიწაზე და შეუერთდნენ ამონის ხალხს.

30 და ჯარი, რომელიც მათ მისდევდა, უკან დაბრუნდა ამაოდ დევნის შემდეგ; და ამგვარად ამალიკიამ, თავისი გაიძვერობით, ხალხის გული მოიგო.

31 და იყო ასე, რომ მომდევნო დღეს იგი შევიდა თავისი ჯარებით ქალაქ ნეფიში და ქალაქს დაეუფლა.

32 და ახლა, იყო ასე, რომ დედოფალმა, როდესაც გაიგო მეფის მკვლელობის შესახებ – რადგან ამალიკიამ მიუგზავნა ელჩი დედოფალს ამბავით, რომ მეფე მოკლეს თავისმა მსახურებმა, რომ იგი მათ მისდევს თავისი ჯარით, მაგრამ ამაოდ, რადგან მათ მოახერხეს გაქცევა –

33 ამიტომ, როდესაც დედოფალმა მიიღო ეს გზავნილი, მან ამალიკიას შემოუთვალა, რომ სურდა, მას დაენდო ქალაქის ხალხი; ასევე სურდა, რომ ამალიკია მასთან მოსულიყო; ასევე დედოფალმა ისურვა, რომ მას თან მოეყვანა მოწმეები, რომლებიც დაამოწმებდნენ მეფის სიკვდილის შესახებ.

34 და იყო ასე, რომ ამალიკიამ აიყვანა იგივე მსახური, რომელმაც მეფე მოკლა და ყველა, ვინც მასთან იყვნენ და დედოფალთან მივიდა, იქ, სადაც იგი იჯდა; და ყველამ დაამოწმა დედოფლის წინაშე, რომ მეფე მოკლეს საკუთარმა მსახურებმა; და ასევე თქვეს: ისინი გაიქცნენ, ნუთუ არ მოწმობს ეს მათ წინააღმდეგ? და ამგვარად, მათ დაარწმუნეს დედოფალი იმაში, რაც მეფის სიკვდილს შეეხებოდა.

35 და იყო ასე, რომ ამალიკიამ მოიპოვა დედოფლის კეთილგანწყობა და იგი ცოლად მოიყვანა; და ასე, თავისი გაიძევრობითა და თავისი მზაკვარი მსახურების დახმარებით, მან მიიღო სამეფო, დიახ, იგი მეფედ სცნეს მთელ მიწაზე, მთლიანად ლამანიელ ხალხს შორის, რომელიც შედგებოდა ლამანიელების, ლემუელიელებისა და ისმაელიელებისგან და ნეფიელთა ყველა განდგომილებისგან, ნეფის მმართველობის დროიდან დღემდე.

36 ახლა, ამ განდგომილებს,

ჰქონდათ რა იგივე სწავლებები და იგივე ცოდნა ნეფიელებისგან, დიახ, იყვნენ ისევე განსწავლულნი უფლის შესახებ, მიუხედავად ამისა, უცნაურია სათქმელად, რომ განდგომიდან ცოტა ხნის შემდეგ, გახდნენ უფრო გულგაქვავებულნი, მოუნანიებელნი და ლამანიელებზე უფრო ველურნი, ბოროტნი და სასტიკნი, ღრეობდნენ ლამანიელთა ჩვეულებებით; სიზარმაცეში და ყოველგვარ ახსოვრობაში ატარებდნენ დროს; დიახ, სრულიად ივიწყებდნენ უფალს, თავიანთ ღმერთს.

თავი 48

ამალიკია შუღლს აღვივებს ლამანიელებში ნეფიელთა წინააღმდეგ. მორონი ამზადებს თავის ხალხს, რათა დაიცვან ქრისტიანთა საქმე. იგი ხარობს თავისუფლებით და დამოუკიდებლობით და არის ღვთის ძლიერი კაცი. დაახლოებით 72 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და ახლა, იყო ასე, რომ როგორც კი ამალიკიამ მიიღო მეფობა, მან დაიწყო ლამანიელთა გულების მომართვა ნეფის ხალხის წინააღმდეგ; დიახ, მან დანიშნა ადამიანები, რათა მათ მიემართათ ლამანიელთათვის თავიანთი კოშკებიდან ნეფიელების წინააღმდეგ.

2 და ასე, შთააგონა მათი გულები ნეფიელთა წინააღმდეგ

იმდენად, რომ მოსამართლეთა მმართველობის მეცხრამეტე წლის დასასრულს, მან შეასრულა თავისი ჩანაფიქრები, დიახ, გახდა რა ლამანიელთა მეფე, იგი ცდილობდა მთელი იმ მიწის მმართველობას, დიახ, მთელი ხალხის იმ მიწაზე, ნეფიელების და ასევე ლამანიელებისა.

3 ამიტომ, მან შეასრულა ჩანაფიქრი, რადგან გააქვავა ლამანიელთა გულები და დაუბრმავა გონება, გაადვივა მათში წყრომა იმდენად, რომ ერთად შეკრიბა უთვალავი მხედრობა ნეფიელების წინააღმდეგ საბრძოლველად.

4 რადგან გადაწყვეტილი ჰქონდა, მისი ხალხის დიდი რაოდენობის გამო, ნეფიელების დაძლევა და მონობაში ჩაგდება.

5 და ამგვარად, მან დანიშნა მთავარსარდლებად ზორამიელები, რადგან მათ ყველაზე კარგად იცოდნენ ნეფიელთა ძალის შესახებ, მათ თავშესაფრებზე და მათი ქალაქების ყველაზე სუსტ ადგილებზე; ამიტომ, მან ისინი თავისი ჯარების მთავარსარდლებად დანიშნა.

6 და იყო ასე, რომ მათ თავიანთი ბანაკი აკრიფეს და უდაბნოში, ზარაკემლას მიწისკენ გაემართნენ.

7 და იყო ასე, რომ იმ დროს, როდესაც ამალიკია ამგვარი გაიძვერობითა და სიცრუით იღებდა ძალაუფლებას, მეორე

მხრივ მორონი ამზადებდა ხალხის შეგნებას, რათა ერთგულნი ყოფილიყვნენ უფლის, თავიანთი ღმერთის, მიმართ.

8 დიახ, იგი აძლიერებდა ნეფიელთა ჯარებს და აშენებდა მცირე ციხე-სიმაგრეებს ანუ თავშესაფრებს; მიწაყრილებს, რათა შემოეფარგლა თავისი ჯარები და ასევე აშენებდა ქვის კედლებს მათ შემოსაფარგლავად მათი ქალაქებისა და მიწების საზღვრების გარშემო; დიახ, მთელი მიწის გარშემო.

9 და ყველაზე სუსტ სიმაგრეებში იგი განათავსებდა ჯარისკაცების დიდ რაოდენობას; და ასე ამაგრებდა და განამტკიცებდა მიწას, რომელსაც ნეფიელები ფლობდნენ.

10 და ასე ემზადებოდა იგი, რათა დაეცვა თავისუფლება, მიწები, ცოლები და შვილები და მათი მშვიდობა და რომ შეძლებოდათ ცხოვრება უფლისათვის, თავიანთი ღმერთისთვის, და შეძლებოდათ ეკეთებინათ ის, რასაც მათი მტრები ქრისტიანების საქმეს უწოდებდნენ.

11 და მორონი იყო ძლიერი და ძლევაამოსილი კაცი; იგი იყო სრულყოფილი შეგნების ადამიანი; დიახ, ადამიანი, რომელიც არ ხარობდა სისხლისღვრით; კაცი, რომლის სული ხარობდა თავისი ქვეყნის თავისუფლებითა და დამოუკიდებლობით და თავისი ძმების ტყვეობისა და მონობისგან თავისუფლებით.

12 დიახ, ადამიანი, რომლის გული ივსებოდა თავისი ღმერთისადმი მადლიერებით, იმ მრავალი უპირატესობებისა და კურთხევებისათვის, რომლებიც მოავლინა მან მის ხალხზე; კაცი, რომელიც დაუღალავად შრომობდა თავისი ხალხის კეთილდღეობისა და უსაფრთხოებისთვის.

13 დიახ, იგი იყო ადამიანი, რომელიც მტკიცე იყო ქრისტეს რწმენაში და ფიცით დაიფიცა, რომ დაიცავდა თავის ხალხს, თავის უფლებებს და თავის ქვეყანას და თავის სარწმუნოებას, საკუთარი სისხლის ფასადაც კი.

14 ახლა, ნეფიელები განსწავლულნი იყვნენ, როგორ დაცვათ თავი მტრებისგან, თუ საჭირო იქნებოდა, სისხლისღვრითაც კი; დიახ, ასევე განსწავლულნი იყვნენ, არასდროს არ დასხმოდნენ თავს, დიახ, არასდროს არ აღემართათ მახვილი, მხოლოდ მტრების წინააღმდეგ საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად.

15 და მათ სწამდათ, რომ ასეთი ქცევისთვის ღმერთი მათ ააყვავებდა ამ მიწაზე ანუ სხვა სიტყვებით, თუ ერთგულნი იქნებოდნენ ღმერთის მცნებების დაცვაში, იგი მათ ააყვავებდა ამ მიწაზე; დიახ, გააფრთხილებდა, როდის უნდა გაქცეულიყვნენ ან ომისთვის მომზადებულიყვნენ, მოსალოდნელი საფრთხის შესაბამისად.

16 და ასევე, რომ ღმერთი მათ აცნობებს, საით უნდა წავიდნენ,

რათა თავი დაიცვან მტრებისგან და ამგვარად უფალი მათ გამოიხსნიდა; და ასეთი იყო მორონის რწმენა და მისი გული ბრწყინავდა ამით; არა სისხლისღვრით, არამედ სიკეთის კეთებით, თავისი ხალხის დაცვით, დიახ, ღმერთის მცნებების დაცვით, დიახ, სისაძაგლისადმი წინააღმდეგობით.

17 დიახ, ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით: ყველა ადამიანი რომ ყოფილიყო და იყო და გამხდარიყო მორონის მაგვარი, აჰა, ჯოჯოხეთის ძალებიც კი დაინგროდა სამუდამოდ; დიახ, ეშმაკს არასდროს ექნებოდა ძალა ადამიანთა შვილების გულებზე.

18 აჰა, იგი იყო კაცი, როგორც ამონი, მოსიას შვილი, დიახ, მოსიას სხვა შვილებივითაც კი, დიახ, ასევე აღმას და მისი შვილებივით, რადგან ისინი ყველანი იყვნენ ღვთის ადამიანები.

19 ახლა, აჰა, ჰელამანი და მისი ძმები იყვნენ მორონიზე არანაკლებ სასარგებლონი ხალხისათვის; რადგან ღვთის სიტყვას ქადაგებდნენ და მოსანანიებლად ნათლავდნენ ყველა ადამიანს, რომელიც მათ სიტყვებს ყურს დაუგდებდა.

20 და ასე, ისინი მივიდნენ და ხალხმა თავი დაიმდაბლა მათი სიტყვების გამო იმდენად, რომ ისინი უფლისგან იყვნენ მადლით მოსილნი და ამგვარად თავისუფალნი იყვნენ ერთმანეთში ომებსა და განხეთქილებებისგან,

დიახ, ოთხი წლის განმავლობაშიც კი.

21 მაგრამ, როგორც ვთქვი, მეცხრამეტე წლის დასასრულს, დიახ, მიუხედავად ერთმანეთში მშვიდობიანობისა, იძულებულნი იყვნენ მათი ნების გარეშე, ებრძოლათ თავიანთი ძმების, ლამანიელების, წინააღმდეგ.

22 დიახ, საბოლოო ჯამში, მათი ომები ლამანიელებთან არასდროს შეწყვეტილა მრავალი წლის განმავლობაში, მიუხედავად მათი სურვილის არქონისა.

23 ახლა, ისინი წუხდნენ, რომ იარაღი უნდა აეღოთ ლამანიელთა წინააღმდეგ, რადგან არ ხარობდნენ სისხლისღვრით; დიახ, ამის გარდა, ისინი წუხდნენ, რომ მათი მეშვეობით თავიანთი ამდენი ძმა, ამ ქვეყნიდან მარადიულ სამყაროში მოუმზადებელი წავიდა, თავიანთ ღმერთთან შესახვედრად.

24 ამისდა მიუხედავად, ისინი არ დაუშვებდნენ, რომ სიცოცხლე დაეთმოთ, რომ თავიანთი ცოლები და შვილები ბარბაროსული სისასტიკით ამოეულიათ იმათ, რომლებიც ოდესღაც მათი ძმები იყვნენ, დიახ, განუდგნენ მათ ეკლესიას და მიატოვეს ისინი და ლამანიელებთან გაერთიანებით წავიდნენ მათ გასანადგურებლად.

25 დიახ, ვერ აიტანდნენ, რომ მათი ძმები ნეფიელთა სისხლით გახარებულიყვნენ, სანამ ვინმე იყო დარჩენილი, რომელიც

იცავდა ღმერთის მცნებებს, რადგან უფლის დაპირებაში ითქვა: თუ ისინი დაიცავენ მის მცნებებს, აყვავდებიან ამ მიწაზე.

თავი 49

შემოჭრილი ლამანიელები ვერ იღებენ გამაგრებულ ქალაქებს ამონიჰას და ნოეს. ამალიკია ღმერთს წყევლის და იფიცება, რომ მორონის სისხლს დაღვეს. პელამანი და მისი ძმები აგრძელებენ ეკლესიის განმტკიცებას. დაახლოებით 72 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და ახლა, ეს იყო ასე, რომ მეცხრამეტე წლის მეთერთმეტე თვეს, თვის მეათე დღეს, ამონიჰას მიწისკენ მომავალი ლამანიელთა ჯარები დაინახეს.

2 და აჰა, ქალაქი აღდგენილი იყო და მორონიმ ჯარი განალაგა ქალაქის საზღვრებთან და გარშემო მიწაყრილი გააკეთეს, რომ ლამანიელთა ისრებისგან და ქვებისგან დაეცვათ თავი; რადგან, აჰა, ისინი იბრძოდნენ ქვებითა და ისრებით.

3 აჰა, მე ვთქვი, რომ ქალაქი ამონიჰა აღადგინეს. მე გეუბნებით, დიახ, ნაწილობრივ აღადგინეს; რადგან ლამანიელებმა იგი ერთხელ უკვე დაანგრიეს, მისი ხალხის ურჯულოების გამო, მათ ეგონათ, რომ იგი კვლავ ადვილი ნადავლი იქნებოდა მათთვის.

4 მაგრამ, აჰა, რამდენად დიდი იყო მათი იმედის გაცრუება;

რადგან, აჰა, ნეფიელებმა გარ-
შემო გააკეთეს მიწაყრილი, რო-
მელიც იმდენად მაღალი იყო,
რომ ლამანიელთა ქვეები და ის-
რები ვერ ავებდნენ მათ, ვერც
თავდასხმას ახერხებდნენ მათზე,
გარდა შემოსასვლელი ადგი-
ლისა.

5 ახლა, ამავე დროს, ლა-
მანიელთა მთავარსარდლები
ძალზედ გაოცებულნი იყვნენ ნე-
ფიელთა სიბრძნით, მათი თავდა-
ცვის ადგილების მომზადებით.

6 ახლა, ლამანიელთა წინა-
მძღვრებმა იფიქრეს, თავიანთი
დიდი სიმრავლის გამო, დიახ,
მათ ეგონათ, რომ უპირატესობა
უნდა გამოეყენებინათ მათზე
თავდასხმისათვის, როგორც
აქამდე აკეთებდნენ; დიახ, მათ
ასევე გაიმზადეს ფარები და
სამკერდულები და მათ ასევე
მოამზადეს ტყავის სამოსელი,
დიახ, ძალზედ სქელი ტანისა-
მოსი, რათა დაეფარათ თავი-
ანთი სიშიშვლე.

7 და იყვნენ რა ასე მომზადე-
ბულნი, მათ ეგონათ, რომ ად-
ვილად სძლევენ და მონობის
უღლის ქვეშ მოაქცევდნენ თავი-
ანთ ძმებს ან დახოცავდნენ და
ამოუღებდნენ მათ, საკუთარი
სურვილის შესაბამისად.

8 მაგრამ, აჰა, მათ ძალზედ გა-
საოცად, ისინი მომზადებულნი
იყვნენ ისე, როგორც ლეხის შვი-
ლებში არასდროს იყო ცნობილი.
ახლა, ისინი იყვნენ მომზადე-
ბულნი ლამანიელთათვის, რომ

ებრძოლათ მორონის მითითებე-
ბის მიხედვით.

9 და იყო ასე, რომ ლამანიე-
ლები ანუ ამალიკიელები, იყვნენ
ძალზედ გაოცებულნი იმაზედ,
თუ როგორ იყვნენ ისინი ომის-
თვის მომზადებულნი.

10 ახლა, მეფე ამალიკია რომ
წამოსულიყო ნეფის მიწიდან თა-
ვისი ჯარის თავში, შეიძლება
ებრძანებინა ლამანიელთათვის,
რომ შეეციათ ნეფიელთათვის
ქალაქ ამონიჰაში; რადგან, აჰა,
მას არ ადარდებდა თავისი ხალ-
ხის სისხლი.

11 მაგრამ, აჰა, ამალიკია თა-
ვად არ მოვიდა საბრძოლველად.
და აჰა, მისმა მთავარსარ-
დლებმა ვერ გაბედეს შეეციათ
ნეფიელთათვის ქალაქ ამონი-
ჰაში, რადგან მორონიმ იმდენად
შეცვალა საქმეთა მართვა ნე-
ფიელებში, რომ ლამანიელები
დაბნეულები იყვნენ მათი თავ-
შესაფრის ადგილებით და თავს
ველარ ესხმოდნენ.

12 ამიტომ, ისინი უკან უდაბ-
ნოში დაბრუნდნენ, გადაიტანეს
ბანაკი და გაემართნენ ნოეს მი-
წის მიმართულებით, ეგონათ,
რომ იქ იქნებოდა მათთვის სა-
უკეთესო ადგილი, შემდგომში
ნეფიელებზე თავდასხმისათვის.

13 რადგან არ იცოდნენ, რომ
მორონიმ გაამაგრა ან ააშენა
დამცავი სიმაგრეები ყოველი
ქალაქისთვის, მთელი მიწის
გარშემო; ამიტომ, ისინი მიდი-
ოდნენ პირდაპირ ნოეს მიწისკენ,

მტკიცე გადაწყვეტილებით; დიახ, მათი მთავარსარდლები წინ გამოვიდნენ და ფიცი დადეს, რომ ქალაქის მოსახლეობას გაანადგურებდნენ.

14 მაგრამ, აჰა, მათ გასაოცრად, ქალაქი ნოე, რომელიც აქამდე იყო სუსტი ადგილი, მორონის მეშვეობით გაძლიერდა, დიახ, ქალაქ ამონიჰასაც გადააჭარბა სიძლიერით.

15 და ახლა, აჰა, ეს იყო მორონის სიბრძნე; რადგან იგი მიხვდა, რომ მათ შეეშინებოდათ ქალაქ ამონიჰასთან; და ვინაიდან წარსულში ქალაქი ნოე იყო მიწის ყველაზე სუსტი ადგილი, ამიტომ ისინი ბრძოლისათვის იქ გაემართებოდნენ; და ასეც მოხდა, მისი სურვილის შესაბამისად.

16 და აჰა, მორონიმ დანიშნა ლეხი იმ ქალაქის ჯარისკაცების მთავარსარდლად; და ეს იყო ის ლეხი, რომელიც ლამანიელებს ებრძოდა ხეობაში, მდინარე სიდონის აღმოსავლეთით.

17 და ახლა, აჰა, იყო ასე, რომ, როდესაც ლამანიელებმა აღმოაჩინეს, რომ ლეხი მეთაურობდა ქალაქს, მათ კვლავ იმედი გაუცრუვდათ, რადგან მათ ლეხის ძალზედ ეშინოდათ; ამისდა მიუხედავად, მთავარსარდლებმა ფიცი დადეს, რომ ქალაქს შეუტევდნენ; ამიტომ, წინ წამოსწიეს თავიანთი ჯარები.

18 ახლა, აჰა, ლამანიელები ვერ აღწევდნენ მათ დამცავ სიმაგრეებში ვერანაირი სხვა

გზით, გარდა შესასვლელისა, მაღალი მიწაყრილის და გარს-შემოვლებული ღრმა თხრილის გამო – მხოლოდ შესასვლელით.

19 და ასე, იყვნენ ნეფიელები მომზადებულნი, რომ გაენადგურებინათ ყველა, ვინც შეეცდებოდა გადაძვრომას სიმაგრეში შესასვლელად რაიმე სხვა გზით, მათთვის კვებისა და ისრების სროლით.

20 ასე იყვნენ ისინი მომზადებულები, დიახ, ყველაზე ძლიერი ჯარისკაცების ჯგუფით, თავიანთი ხმლებითა და შურდულეობით, რომ განეგმირათ ყველა, ვინც შეეცდებოდა მათი თავდაცვის ადგილზე შეღწევას; და ასე იყვნენ მომზადებულნი ლამანიელებისგან თავის დასაცავად.

21 და იყო ასე, რომ ლამანიელთა მხედართმთავრებმა მიიყვანეს თავიანთი ჯარები შესასვლელი ადგილის წინ და ნეფიელებს დაუპირისპირდნენ მათი თავდაცვის ადგილში შესასვლელად, მაგრამ, აჰა, დროდადრო, მათ უკან აგდებდნენ, ასე რომ ისინი დახოცეს ძლიერ ჟლეტაში.

22 ახლა, როდესაც ისინი მიხვდნენ, რომ ვერ დასძლევდნენ ნეფიელებს შესასვლელთან, მათ დაიწყეს მათი მიწაყრილების გადათხრა, რომ თავიანთი ჯარებისთვის შესასვლელები გაეკეთებინათ, რათა თანაბარ პირობებში ებრძოლათ, მაგრამ, აჰა, ამ მცდელობებში ისინი

აღვავეს ქვებითა და ისრებით, რომლებსაც მათ ესროდნენ და იმის მაგივრად, რომ მიწათხრილები ამოვსებულყო მიწის გროვებით, ისინი თითქმის ამოავსეს თავიანთი მოკლულებისა და დაჭრილების სხეულებით.

23 ამგვარად, ნეფიელებს ჰქონდათ სრული უპირატესობა თავიანთ მტრებზე; და ამგვარად, ლამანიელები ცდილობდნენ ნეფიელთა განადგურებას, სანამ არ დაიხოცა ყველა მათი მთავარსარდალი; დიახ, ათასზე მეტი ლამანიელი დაიხოცა; ამ დროს მეორე მხარეს, ნეფიელთა შორის არც ერთი სული არ იქნა მოკლული.

24 იყო დაახლოებით ორმოცდაათი, რომლებიც დაიჭრნენ, რომლებამდეც ლამანიელთა ისრებმა მიაღწია შესასვლელიდან, მაგრამ ნეფიელები დაცულები იყვნენ თავიანთი ფარებითა და სამკერდულებით და ჩაჩქანებით, ამიტომ მათ ჭრილობები ჰქონდათ ფეხებზე, მრავალი მათგანი იყო საკმაოდ მძიმე.

25 და იყო ასე, რომ როდესაც ლამანიელებმა იხილეს, რომ ყველა მათი მთავარსარდალი იყო დახოცილი, ისინი უდაბნოში გაიქცნენ. და იყო ასე, რომ ისინი ნეფის მიწაზე დაბრუნდნენ, რომ მეფისთვის, ამალიკიასთვის, რომელიც ნეფიელი იყო დაბადებით, შეეცყობინებინათ მათი დიდი დანაკარგის შესახებ.

26 და იყო ასე, რომ ის ძალზედ

განრისხდა თავის ხალხზე, რადგან ვერ აისრულა თავისი სურვილი ნეფიელებზე; ვერ შეძლო მათი დამორჩილება მონობის უღელით.

27 დიახ, ის ძალზედ განრისხდა და წყევლიდა ღმერთს, ასევე მორონის, და ფიცი დადო, რომ მის სისხლს დალევდა; და ეს იმიტომ, რომ მორონი ღმერთის მცნებებს იცავდა, თავის ხალხის დასაცავად მზადებისას.

28 და იყო ასე, რომ მეორე მხრივ, ნეფის ხალხი მადლობას უხდიდა უფალს, თავის ღმერთს, მისი უბადლო ძალისათვის, რომელმაც გამოიხსნა ისინი თავიანთი მტრების ხელიდან.

29 და ასე დასრულდა ნეფის ხალხზე მოსამართლეთა მმართველობის მეცხრამეტე წელი.

30 და მათ შორის იყო უწყვეტი მშვიდობა და ძალზედ დიდი აყვავება იყო ეკლესიაში, ღმერთის სიტყვისადმი მათი ყურადღებისა და სიბეჯითის გამო, რომელსაც მათ უცხადებდნენ ჰელამანი, შიბლონი, კორიანტონი და ამონი და მისი ძმები, დიახ, და ყველანი, რომლებმაც მიიღეს კურთხევა ღმერთის წმინდა წესით, მოსანანიებლად მონათლულნი და ხალხში ქადაგებისთვის გაგზავნილნი.

თავი 50

მორონი აშენებს გამაგრებებს ნეფიელთა მიწებზე. ისინი მრავ

ვალ ახალ ქალაქს აშენებენ. ომები და განადგურება თავს დაატყდათ ნეფიელებს, თავიანთი სიბოროტისა და სისაძაგლის უამს. ტეანკუმი ამარცხებს მორიანტონს და მის განდგომილებს. ნეფიჰა კვდება და მისი შვილი პახორანი იკავებს მოსამართლის სავარძელს. დაახლოებით 72-67 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და იყო ასე, რომ მორონიმ არ შეწყვიტა ომისათვის მზადება ანუ თავისი ხალხის ლამანიელებისაგან დაცვა; რადგან მან ბრძანა, რომ მის ჯარებს დაეწყო მუშაობა, მოსამართლეთა მმართველობის მეოცე წელს, რომ დაეწყოთ მიწაყრილების დაყრა ყველა ქალაქის გარშემო, მთელს მიწაზე, რომელსაც ნეფიელები ფლობდნენ.

2 და მან ბრძანა, რომ ამ მიწაყრილების თავებზე დაედგათ ხის მორები, დიახ, ქალაქების გარშემო ხის მორებისგან აშენებულყო ადამიანის სიმაღლის ნაგებობები.

3 და მან ბრძანა, რომ ამ ხის მორების ნაგებობებზე გარშემო გაეკეთებინათ წაწვეტებული პალელების ზღუდე; და ის მაგარი და მაღალი იყო.

4 და მან ბრძანა, აეგოთ კოშკები, რომლებიც გადმოჰყურებდნენ წაწვეტებულ პალეების ზღუდეებს და მან ბრძანა, რომ აეგოთ თავშესაფრები ამ კოშკე-

ბის წვერობზე, რათა მათთვის ვერ ევნოთ ლამანიელთა ქვებსა და ისრებს.

5 და ისინი ისე იყო მომზადებული, რომ შესაძლებელი იყო ზემოდან ქვების სროლა, თავიანთი სურვილისა და ძალის შესაბამისად და მათი დახოცვა, ვინც ქალაქის კედლებთან მიახლოებას შეეცდებოდა.

6 ამგვარად, მორონიმ გამაგრებები მოამზადა მტრების შემოტევებისთვის, მთელ მიწაზე, ყოველი ქალაქის გარშემო.

7 და იყო ასე, რომ მორონიმ უბრძანა თავის ჯარებს, წასულიყვნენ აღმოსავლეთ უდაბნოში; დიახ, ისინი წავიდნენ და ყველა ლამანიელი, რომლიც აღმოსავლეთ უდაბნოში იყო, გაყარეს თავიანთ საკუთარ მიწებზე, რომლებიც იყო ზარაჰქმლას მიწის სამხრეთით.

8 და ნეფის მიწა გადიოდა აღმოსავლეთი ზღვიდან პირდაპირ დასავლეთ ზღვამდე.

9 და იყო ასე: როდესაც მორონიმ განდევნა ყველა ლამანიელი აღმოსავლეთ უდაბნოდან, რომელიც იყო მათ მფლობელობაში მყოფი მიწების ჩრდილოეთით, მან ბრძანა, რომ ზარაჰქმლას მიწისა და გარშემო მიწების მცხოვრებნი წასულიყვნენ აღმოსავლეთ უდაბნოში, ზღვის ნაპირებამდეც კი და მიწას დაუფლებოდნენ.

10 და მან ასევე ჯარები განაღვა სამხრეთით, სამფლობე-

ლოების საზღვრებთან და მათ უბრძანა, აეშენებინათ სიმაგრეები, მტრის ხელისგან თავისი ჯარებისა და ხალხის დასაცავად.

11 ამგვარად, მან მოკვეთა ლამანიელთა ყველა გამაგრება აღმოსავლეთ უდაბნოში, დიახ, ასევე დასავლეთით, გაამაგრა საზღვარი ნეფიელებსა და ლამანიელებს შორის, ხარაჰემლას მიწისა და ნეფის მიწის შორის, დასავლეთ ზღვიდან მდინარე სიდონის სათავემდე – ნეფიელებმა დაიკავეს მთელი მიწა ჩრდილოეთით, დიახ, მთელი მიწა, რომელიც იყო მიწა ბარაქიანის ჩრდილოეთით.

12 ამგვარად, მორონიმ, თავის ჯარებით, რომლებიც ყოველდღიურად იზრდებოდა, ვინაიდან დარწმუნებულნი იყვნენ დაცვაში, რომელსაც მათთვის უზრუნველყოფდა მისი ნაგებობები, ცდილობდა მოეკვეთა ლამანიელთა ძალა და უფლებამოსილებანი მათი სამფლობელოს მიწებიდან, რომ აღარ ჰქონოდათ უფლებამოსილებანი თავიანთი სამფლობელოს მიწებზე.

13 და იყო ასე, რომ ნეფიელებმა დაიწყეს ქალაქისათვის საძირკვლის ჩაყრა და ქალაქს უწოდეს მორონი; და ის იყო აღმოსავლეთ ზღვასთან; და ის იყო სამხრეთით ლამანიელთა სამფლობელოების საზღვართან ახლოს.

14 და მათ დაიწყეს ქალაქის საძირკვლის ჩაყრა ქალაქ

მორონისა და ქალაქ აარონს შორის, აერთიანებდნენ რა ქალაქ აარონისა და მორონის საზღვრებს; და ქალაქს ანუ მიწას, სახელად უწოდეს ნეფიჰა.

15 და იმავე წელს მათ ასევე დაიწყეს მრავალი ქალაქის შენება ჩრდილოეთით, ერთი მათგანი განსაკუთრებული წესით, რომელსაც უწოდეს ლეხი, რომელიც იყო ჩრდილოეთით, ზღვის სანაპიროს საზღვართან ახლოს.

16 და ასე დასრულდა მეოცე წელი.

17 და ასეთ აყვავებულ პირობებში იმყოფებოდა ნეფის ხალხი, ნეფის ხალხზე მოსამართლეთა მმართველობის ოცდამეერთე წელს.

18 და ისინი ძალზედ აყვავდნენ და ძალზედ გამდიდრდნენ; დიახ, გამრავლდნენ და განმტკიცდნენ იმ მიწაზე.

19 და ამგვარად ვხედავთ, თუ როგორი მოწყალე და მართალია უფლის საქმენი ადამიანთა შვილებისათვის მიცემული ყოველი თავისი სიტყვის აღსრულებაში; დიახ, ჩვენ შეგვიძლია ვიხილოთ, რომ მისი სიტყვები დამოწმდა, ამ დროშიც კი, როდესაც მან ლეხის უთხრა:

20 კურთხეულნი ხართ შენ და შენი შვილები; და ისინი იქნებიან კურთხეულნი და რამდენადაც დაიცავენ ჩემს მცნებებს, იმდენად აყვავდებიან ამ მიწაზე. მაგრამ გახსოვდეს, რამდენადაც არ დაიცავენ ჩემს მცნებებს,

იმდენად იქნებიან უფლის გარემოცვიდან მოკვეთილნი.

21 და ჩვენ ვხედავთ, რომ ეს დაპირებები შეუსრულდა ნეფის ხალხს; რადგან ეს იყო მათი კინკლაობა და განხეთქილებანი, დიახ, მათი მკვლელობები და ძარცვები, მათი კერპთაყვანისმცემლობა, მრუშობა და სისაბაგლე, რომლებიც მათ შორის იყო, რომლებმაც მოავლინა მათზე ომები და განადგურება.

22 და ისინი, რომლებიც ერთგულნი იყვნენ უფლის მცნებების დაცვაში, ყოველ დროში გამოხსნილები იყვნენ, როდესაც მათი ბოროტი ძმები ათასობით მიჰყავდათ მონობაში ან იღუპებოდნენ მახვილისგან ან ურწმუნოებაში გადაშენდებოდნენ და ლამანიელებში ირეოდნენ.

23 მაგრამ, აჰა, ნეფის დღეებიდან არ ყოფილა ნეფის ხალხისთვის უფრო ბედნიერი ჟამი, ვიდრე ეს იყო მორონის დღეებისას, დიახ, ამ დროს, მოსამართლეთა მმართველობის ოცდამეერთე წელს.

24 და იყო ასე, რომ მოსამართლეთა მმართველობის ოცდამეორე წელი მშვიდობაში დასრულდა; დიახ, ასევე ოცდამესამე წელიც.

25 და იყო ასე, რომ მოსამართლეთა მმართველობის ოცდამეოთხე წლის დასაწყისში, ნეფის ხალხში მშვიდობა იქნებოდა, რომ არა განხეთქილება, რომელიც დაიწყო მათში, ლეხის

მიწის და მორიანტონის მიწის გამო, რომლებიც ესაზღვრებოდნენ ლეხის მიწას და ორივე იმყოფებოდა ზღვის სანაპიროს საზღვრებთან.

26 რადგან, აჰა, ადამიანებმა, რომლებიც ფლობდნენ მორიანტონის მიწას, მოითხოვეს ლეხის მიწიდან ნაწილი; ამიტომ, მათ შორის განხეთქილება გაღვივდა, იმდენად, რომ მორიანტონის ხალხმა იარაღი აიღო თავიანთი ძმების წინააღმდეგ და მახვილით გადაწყვიტა მათი დახოცვა.

27 მაგრამ, აჰა, ხალხი, რომელიც ლეხის მიწას ფლობდა, მორონის ბანაკში გაიქცა და მიმართა მას დახმარებისთვის; რადგან, აჰა, არ იყვნენ მტყუნანი.

28 და იყო ასე, რომ, როდესაც მორიანტონის ხალხმა, რომელსაც წინ მიუძღოდა კაცი სახელად მორიანტონი, აღმოაჩინა, რომ ლეხის ხალხი მორონის ბანაკში გაიქცა, მათ ძალზედ შეეშინდათ, რომ მორონის ჯარი თავს არ დასხმოდა და არ გაენადგურებინა ისინი.

29 ამიტომ, მორიანტონმა გულში ჩაუდო მათ, რომ უნდა გაქცეულიყვნენ მიწისკენ, რომელიც ჩრდილოეთით მდებარეობდა, რომელიც დიდი წყლებით იყო დაფარული და დაუფლებოდნენ იმ მიწას, რომელიც მდებარეობდა ჩრდილოეთით.

30 და აჰა, ისინი შეასრულებდნენ ამ გეგმას (რაც გახდებოდა

გოდების მიზეზი) მაგრამ, აჰა, მორიანტონი იყო მეტად ფიცხი კაცი, ამიტომ, განრისხდა თავის ერთ-ერთ მოსამსახურე ქალზე, ეცა მას და ძლიერად სცემა.

31 და იყო ასე, რომ ქალი გაიქცა და მორონის ბანაკში მოვიდა და მორონის მოუყვა ყველაფერი ამ საკითხის შესახებ, ასევე მათ ჩანაფიქრზე, რომ ჩრდილოეთის მიწისკენ გაქცეულიყვნენ.

32 ახლა, აჰა, ხალხს, რომელიც იმყოფებოდა მიწა ბარაქიანზე ანუ მორონის, ეშინოდა, რომ ისინი ყურს დაუგდებდნენ მორიანტონის სიტყვებს და შეუერთდებოდნენ მის ხალხს; და ამგვარად, იგი დაეუფლებოდა მიწის იმ ნაწილს, რაც სერიოზულ შედეგებს მოიტანდა ნეფის ხალხისათვის და ეს შედეგები მათი თავისუფლების დამხობას გამოიწვევდა.

33 ამიტომ, მორონიმ გააგზავნა ჯარი ბანაკთან ერთად, რომ მიესწროთ მორიანტონის ხალხისათვის, რომ შეეჩერებინათ მათი ჩრდილოეთ მიწისკენ გაქცევა.

34 და იყო ასე, რომ ვერ გაასწრეს მათ, სანამ არ მივიდნენ მიწა აოხრებულის საზღვრებთან; და იქ მიუსწრეს მათ, სადაც იყო ზღვასთან ვიწრო გასასვლელი ჩრდილოეთ მიწისკენ, დიახ, ზღვასთან, დასავლეთსა და აღმოსავლეთით.

35 და იყო ასე, რომ ჯარი, რომელიც მორონიმ გააგზავნა, რომელსაც უძღვებოდა კაცი

სახელად ტეანკუმი, შეხვდა მორიანტონის ხალხს; და იმდენად გაჯიუტებული იყო მორიანტონის ხალხი (იყო რა შთაგონებული მისი სიბოროტით და პირფერი სიტყვებით) რომ მათთან ატყდა ბრძოლა, სადაც ტეანკუმმა მოკლა მორიანტონი და დაამარცხა მისი ჯარი და აიყვანა ტყვეები და უკან, მორონის ბანაკში დაბრუნდა. და ასე დასრულდა ნეფის ხალხზე მოსამართლეთა მმართველობის ოცდამეოთხე წელი.

36 და ასე დააბრუნეს მორიანტონის ხალხი უკან. და მას შემდეგ, რაც მათ მშვიდობის აღთქმა დადეს, ისინი გაუშვეს უკან მორიანტონის მიწაზე და დამყარდა კავშირი მათსა და ლეხის ხალხს შორის; და ისინიც დაუბრუნდნენ თავიანთ მიწებს.

37 და იყო ასე, რომ იმავე წელს, როდესაც ნეფის ხალხში აღდგა მშვიდობა, გარდაიცვალა ნეფიჰა, მეორე მთავარი მოსამართლე, რომელიც იკავებდა მოსამართლის სავარძელს ღმერთის წინაშე სრულყოფილი სამართლიანობით.

38 ამისდა მიუხედავად, მან უარი უთხრა აღმას, გამოერთვა ის ჩანაწერები და ის საგნები, რომლებსაც აღმა და მისი მამები ყველაზე წმინდად თვლიდნენ, ამიტომ აღმამ ისინი თავის შვილს, ჰელამანს, გადასცა.

39 აჰა, იყო ასე, რომ ნეფიჰას

შეილი დაინიშნა, რათა დაეკავებინა მოსამართლის სავარძელი მამამისის ნაცვლად; დიახ, იგი დაინიშნა მთავარ მოსამართლედ და ხალხის მმართველად, ფიცითა და წმინდა წეს-ჩვეულებით, რომ სამართლიანად განსჯიდა და დაიცავდა ხალხის მშვიდობასა და თავისუფლებას და უბოძებდა თავიანთ წმინდა უპირატესობებს, რომ თაყვანი ეცათ უფლისათვის, თავიანთი ღმერთისათვის, დიახ, ღვთის საქმის დასახმარებლად და დასაცავად მთელი თავისი დღეი და განსჯიდა ბოროტ თავიანთი დანაშაულის შესაბამისად.

40 ახლა, აჰა, მისი სახელი იყო პახორანი და მან დაიკავა მამამისის სავარძელი და დაიწყო თავისი მმართველობა ნეფის ხალხზე ოცდამეოთხე წლის დასასრულს.

თავი 51

მეფის მომხრეები ცდილობენ კანონის შეცვლას და მეფის დანიშვნას. პახორანს და თავისუფლების მომხრეებს მხარს უჭერს ხალხი. მორონი მეფის მომხრეებს აიძულებს, დაიცვან საკუთარი სამშობლო, თუ არა სიკვდილი არ ასცდებათ. ამალიკია და ლამანიელები მრავალ გამაგრებულ ქალაქს იპყრობენ. ტეანკუმი იგერიებს ლამანიელთა შემოტევას და ამალიკიას კარავში კლავს.

დაახლოებით 67-66 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და ახლა, იყო ასე, რომ ნეფის ხალხზე მოსამართლეთა მმართველობის ოცდამეხუთე წელს, მათ ღვთის ხალხსა და მორიანტონის ხალხს შორის მშვიდობა დაამყარეს მიწების საკითხზე და მშვიდობიანად დაიწყეს ოცდამეხუთე წელი;

2 ამისდა მიუხედავად, მათ დიდხანს ვერ შეინარჩუნეს მიწაზე სრული მშვიდობა, რადგან ხალხს შორის დაიწყო განხეთქილება მთავარი მოსამართლის, პახორანის, გამო; რადგან, აჰა, იქ იყო ნაწილი ადამიანებისა, რომლებსაც სურდათ, რომ კანონის რამდენიმე ნაწილი შეცვლილიყო.

3 მაგრამ, აჰა, პახორანს არ სურდა კანონის შეცვლა და არც სხვებს რთავდა იმის ნებას, რომ შეეცვალათ; ამიტომ, მან არ დაუგდო ყური მათ, ვინც ხმები გააგზავნა მოთხოვნებით კანონის შეცვლის შესახებ.

4 ამიტომ, ისინი, რომლებსაც სურდათ, რომ კანონი შეცვლილიყო, მასზე განრისხებულნი იყვნენ და სურდათ, რომ იგი აღარ ყოფილიყო მიწის მთავარი მოსამართლე; ამიტომ, წამოიჭრა ცხარე კამათი ამის შესახებ, მაგრამ სისხლისღვრამდე არ მივიდა.

5 და იყო ასე, რომ ვისაც სურდა პახორანის მოსამართლის სავარძლიდან ჩამოგდება,

ეწოდათ მეფის მომხრეები, რადგან მათ სურდათ, რომ კანონი შეცვლილიყო, რათა თავისუფალი მთავრობა ჩამოგდებულიყო და მიწაზე მეფე დანიშნულიყო.

6 და ვისაც სურდა პახორანის დარჩენა მიწის მთავარ მოსამართლედ, სახელად დაირქვეს თავისუფლების მომხრეები; და ასე მოხდა მათ შორის გაყოფა, რადგან თავისუფლების მომხრეებმა დაიფიცეს ანუ დადეს აღთქმა, რომ თავიანთ უფლებებს და სარწმუნოების უპირატესობებს თავისუფალი ხელისუფლებით დაიცავდნენ.

7 და იყო ასე, რომ ეს მათი დაპირისპირების საკითხი მოგვარდა ხალხის ხმის მეშვეობით. და იყო ასე, რომ ხალხმა ხმა მისცა თავისუფლების მომხრეებს და პახორანმა შეინარჩუნა მოსამართლის სავარძელი, რამაც დიდი სიხარული გამოიწვია პახორანის ძმებს შორის, ასევე თავისუფლების მრავალ მომხრეებში, რომლებმაც აიძულეს მეფის მომხრეები გაჩუმებულიყვნენ ისე, რომ ისინი ვერ ბედავდნენ შედავებას და იძულებულები იყვნენ, მხარი დაეჭირათ თავისუფლების საქმისათვის.

8 ახლა ისინი, რომლებიც მეფობის მომხრენი იყვნენ, იყვნენ მაღალი წარმოშობის და სურდათ მეფობა; და მათ მხარს უჭერდნენ ისინი, რომლებიც ხალხზე ძალაუფლებისა და

უფლებამოსილებისკენ ისწრაფოდნენ.

9 მაგრამ, აჰა, ეს იყო მძიმე დრო, ნეფის ხალხში ასეთი დაპირისპირებისათვის; რადგან ამალიკიამ კვლავ გაადვივა წყრომა ლამანიელთა ხალხის გულში ნეფიელთა ხალხის წინააღმდეგ და იგი კრიბავდა ჯარისკაცებს მთელი თავისი მიწიდან და აიარაღებდა მათ, მთელი სიბეჯითით ამზადებდა ომისთვის; რადგან დაიფიცა, რომ მორონის სისხლს შესვავდა.

10 მაგრამ, აჰა, ჩვენ დავინახავთ, რომ დაპირება, რომელიც მან დადო, უგუნური იყო; ამისდა მიუხედავად, იგი თავად მოემზადა და თავისი ჯარიც მოამზადა ნეფიელთა წინააღმდეგ საბრძოლველად.

11 ახლა, მისი ჯარები აღარ იყო ისე მრავალრიცხოვანი, როგორც აქამდე, ნეფიელთა ხელით მრავალ ათასობით დახოცილთა გამო; მაგრამ, მიუხედავად ამ დიდი დანაკარგისა, ამალიკიამ ერთად შეკრიბა საოცრად დიდი ჯარი, ასე რომ ზარაპკემლას მიწაზე წასვლის აღარ ეშინოდა.

12 დიახ, თავად ამალიკიაც გაუძღვა წინ ლამანიელებს. და ეს იყო მოსამართლეთა მმართველობის ოცდამეხუთე წელს; იმ დროს, როდესაც მათ დაიწყეს მთავარი მოსამართლის, პახორანის, გამო განხეთქილების საკითხის გარკვევა.

13 და იყო ასე, რომ როდესაც

იმ ადამიანებმა, რომლებსაც მეფის მომხრეები უწოდეს, გაიგეს, რომ ლამანიელები მოდიოდნენ მათ წინააღმდეგ საბრძოლველად, გულში გაუხარდათ და უარი თქვეს იარაღის აღებაზე, რადგან იმდენად განრისხებულნი იყვნენ მთავარ მოსამართლეზე და ასევე თავისუფლების ხალხზე, რომ არ იღებდნენ ხელში იარაღს თავიანთი სამშობლოს დასაცავად.

14 და იყო ასე, რომ როდესაც მორონიმ იხილა ეს და ასევე ქვეყნის საზღვრებში შემოშვებული ლამანიელები, იგი ძალზედ განრისხდა იმ ხალხის სიჯიუტის გამო, რომელთა გადასარჩენად იგი ასე ბეჯითად იღწვოდა; დიახ, იგი ძალზედ განრისხდა; მისი სული მათ წინააღმდეგ რისხვით აღივსო.

15 და იყო ასე, რომ მან მიწის მმართველს გაუგზავნა თხოვნა, ხალხის ხმის მხარდაჭერით, რომ მას წაეკითხა და მიეცა მისთვის (მორონისთვის) ძალაუფლება, იძულებული გაეხადა ის განდგომილები ან დაეცვათ სამშობლო ან სიკვდილი მიესჯებოდათ.

16 რადგან მისი უპირველესი საზრუნავი იყო, ბოლო მოეღო განხეთქილებებისა და განდგომისათვის მის ხალხში; რადგან, აჰა, ეს იყო წარსულში მათი ყოველი განადგურების მიზეზი. და იყო ასე, რომ მას ეს ებოძა, ხალხის ხმის შესაბამისად.

17 და იყო ასე, რომ მორონიმ უბრძანა, რომ მისი ჯარი წასულიყო მეფის მომხრეების წინააღმდეგ, რათა დაემხოთ ამპარტავნობა და ქედმაღლობა, მიწასთან გაესწორებინათ ისინი ანუ მათ უნდა აეღოთ იარაღი თავისუფლების საქმისათვის მხარდასაჭერად.

18 და იყო ასე, რომ ჯარები წამოვიდნენ მათ წინააღმდეგ; და მათ დათმეს თავიანთი ამპარტავნობა და ქედმაღლობა ისე, რომ როდესაც აიღეს თავიანთი საომარი იარაღი მორონის ჯარისკაცების წინააღმდეგ საბრძოლველად, ისინი მიწასთან გაასწორეს.

19 და იყო ასე, რომ განდგომილთა რიცხვი, რომლებიც ხმლებით აკუწვეს, იყო ოთხი ათასი; და მათი წინამძღვრები, რომლებიც არ დახოცეს ბრძოლაში, აიყვანეს და საპყრობილეში ჩაყარეს, რადგან იმუამად არ იყო დრო მათი გასამართლებისთვის.

20 და დანარჩენი განდგომილები, რათა არ აეკუწათ მახვილით მიწაზე, თავისუფლების ალამს დაემორჩილნენ და იძულებულნი იყვნენ, აღემართათ თავისუფლების ალაში თავიანთ კოშკებსა და ქალაქებზე და იარაღი აესხათ სამშობლოს დასაცავად.

21 და ასე მოუღო ბოლო მორონიმ იმ მეფის მომხრეებს, რომ არცერთი აღარ დარჩა, რომელიც

ცნობილი იყო მეფის ხალხის სახელით; და ასე მოულო ბოლო იმ ხალხის სიჯიუტეს და ამპარტავნობას, რომელიც აცხადებდა თავისი სისხლის კეთილშობილებას, მაგრამ ისინი იძულებულნი იყვნენ თავიანთი ძმებივით თავი დაემდაბლებინათ და მამაცად ებრძოლათ მონობისგან თავისუფლებისთვის.

22 აჰა, იყო ასე, რომ სანამ მორონი სპობდა თავის ხალხში ომსა და განხეთქილებას, უბიძგებდა რა მათ მშვიდობისკენ და განვითარებისკენ და ამყარებდა წესრიგს ლამანიელებთან ომისათვის მოსამზადებლად, აჰა, ლამანიელები შემოვიდნენ მორონის მიწაზე, რომელიც იყო ზღვის სანაპიროს საზღვრებთან.

23 და იყო ასე, რომ ნეფიელები არ იყვნენ საკმარისად ძლიერნი ქალაქ მორონიში; ამიტომ, ამალიკიამ გამოდევნა ისინი, დახოცა რა მრავალი. და იყო ასე, რომ ამალიკია ქალაქს დაეუფლა, დიახ, დაეუფლა მთელ მათ გამაგრებებს.

24 და ისინი, რომლებიც გამოიქცნენ ქალაქ მორონიდან, მივიდნენ ქალაქ ნეფიჰაში; ასევე ქალაქ ლეხის ხალხი ერთად შეიკრიბა და ემზადებოდა და მოემზადა ბრძოლით დახვედროდა ლამანიელებს.

25 მაგრამ, იყო ასე, რომ ამალიკიამ არ დაუშვა, რომ ლამანიელები წასულიყვნენ ქალაქ ნეფიჰას წინააღმდეგ საბრძოლ-

ველად, არამედ შეაჩერა ისინი ზღვის სანაპიროსთან, ტოვებდა რა ჯარისკაცებს ყოველ ქალაქში, გასამაგრებლად და დასაცავად.

26 და ასე მიიწევდა წინ, იპყრობდა რა მრავალ ქალაქს; ქალაქ ნეფიჰას და ქალაქ ლეხის, ქალაქ მორიანტონსა და ქალაქ ომნერს, ქალაქ გიდსა და ქალაქ მულეკს, ყველას, რომლებიც მდებარეობდა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე.

27 და ასე დაიპყრეს ლამანიელებმა, ამალიკიას მზაკვრობით, ამდენი ქალაქი, თავიანთი უამრავი ურდოებით, რომელთაგან თითოეული ძლიერად იყო გამაგრებული მორონის აგებული გამაგრებების მაგვარად; სათითაოდ ყოველი ლამანიელთა სიმაგრე.

28 და იყო ასე, რომ ისინი წავიდნენ მიწა ბარაქიანის საზღვრებისკენ, მიერეკებოდნენ რა ნეფიელებს წინ და მრავალს ხოცავდნენ.

29 მაგრამ, იყო ასე, რომ ისინი შეხვდნენ ტეანკუმს, რომელმაც მორიანტონი მოკლა და მის ხალხს მიუსწრო გაქცევისას.

30 და იყო ასე, რომ მან ამალიკიასაც მიუსწრო, როდესაც იგი მიემართებოდა თავისი უამრავი ჯარით, მიწა ბარაქიანისა და ჩრდილოეთისკენ მყოფი მიწის დასაპყრობად.

31 მაგრამ, აჰა, მას ელოდა იმედის გაცრუება, როდესაც იგი

უკუაგლო ტეანკუმმა თავისი ჯარისკაცებით, რადგან ისინი იყვნენ დიადი მეომრები; რადგან ტეანკუმის ყოველი ჯარისკაცი აღემატებოდა ლამანიელს თავიანთი ძალითა და საომარი მოხერხებულობით იმდენად, რომ მათ ლამანიელებზე უპირატესობას მიაღწიეს.

32 და იყო ასე, რომ ისინი თავს ესხმოდნენ, იმგვარად, რომ ხოცავდნენ დაბნელებამდე და იყო ასე, რომ ტეანკუმმა და მისმა ჯარისკაცებმა გაშალეს თავიანთი კარვები მიწა ბარაქიანის საზღვრებთან; და ამალიკიამ გაშალა თავისი კარვები ზღვის სანაპიროს საზღვრებთან და ამგვარად ისინი განდევნეს.

33 და იყო ასე, რომ როდესაც დაღამდა, ტეანკუმი და მისი მსახური ჩუმად გავიდნენ და ღამით წავიდნენ და შეიპარნენ ამალიკიას ბანაკში; და აჰა, ძლიერი დაღლილობისგან მათ ძიღმა სძლია, რაც დღის სიციხით და მუშაობით იყო გამოწვეული.

34 და იყო ასე, რომ ტეანკუმი ფარულად შეიპარა მეფის კარავში და გულში სატყორცნი შუბი ჩაარჭო; და მეფე სწრაფი სიკვდილით მოკლა, რომ არ გელვიძებინა მისი მსახურები.

35 და იგი ჩუმად საკუთარ ბანაკში დაბრუნდა და აჰა, მის ჯარისკაცებს ეძინათ და მან გააღვიძა ისინი და უთხრა ყველაფერი, რაც გააკეთა.

36 და უბრძანა, რომ მისი

ჯარები მზადყოფნაში ყოფილიყვნენ, ეშინოდა რა, რომ ლამანიელებმა უკვე გაიღვიძეს და თავდასხმას აპირებდნენ.

37 და ასე დასრულდა ნეფის ხალხზე მოსამართლეთა მმართველობის ოცდამეხუთე წელი; და ასე მთავრდება ამალიკიას დღეები.

თავი 52

ამორონი ცვლის ამალიკიას და გამეფდება ლამანიელებზე. მორონი, ტეანკუმი და ლეხი წინ მიუძღვებიან ნეფიელებს გამარჯვების მომტან ომში ლამანიელების წინააღმდეგ. ქალაქი მულეკი ხელახლა აღებულია, ზორამიელი იაკობი კი მოკლული. დაახლოებით 66-64 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და ახლა, იყო ასე, რომ ნეფის ხალხზე მოსამართლეთა მმართველობის ოცდამეექვსე წელს, აჰა, როდესაც ლამანიელებმა გაიღვიძეს პირველი თვის პირველ დილას, აჰა, მათ ამალიკია მკვდარი იპოვეს საკუთარ კარავში; და ასევე იხილეს, რომ ტეანკუმი იმ დღეს უკვე მზად იყო მათ წინააღმდეგ საბრძოლველად.

2 და ახლა, როდესაც ლამანიელებმა ეს იხილეს, ძალზედ შეეშინდათ; და დათმეს თავიანთი ჩანაფიქრი ჩრდილოეთით წასვლასთან დაკავშირებით და უკან ქალაქ მულეკში დაიხიეს

მთელი ჯარით და თავი შეაფარეს თავიანთ გამაგრებებს.

3 და იყო ასე, რომ ამალიკიას ძმა დაინიშნა ხალხის მეფედ; და მისი სახელი იყო ამორონი; ამგვარად, მეფე ამორონი, მეფე ამალიკიას ძმა, მის მაგივრად მმართველად დაინიშნა.

4 და იყო ასე, რომ მან უბრძანა თავის ხალხს, შეენარჩუნებინათ ის ქალაქები, რომლებიც სისხლისღვრით დაიპყრეს; რადგან ვერცერთ ქალაქს ვერ იპყრობდნენ თავიანთი დიდი სისხლისღვრის გარეშე.

5 და ახლა, ტეანკუმმა იხილა, რომ ლამანიელებს გადაწყვეტილი ჰქონდათ იმ ქალაქების შენარჩუნება, რომლებიც დაპყრობილი ჰქონდათ და მიწის ის ნაწილები, რომლებსაც დაეუფლნენ; ასევე ხედავდა რა მათ დიდ რაოდენობას, ტეანკუმმა იფიქრა, რომ არ იყო მიზანშეწონილი მათსავე სიმაგრეებზე შეტევა.

6 მაგრამ მან გარშემო განაღება ჯარისკაცები, თითქოსდა ომისთვის ემზადებოდნენ; დიახ, ის მართლა აპირებდა თავდაცვას, მათ წინააღმდეგ გარშემო მიწაყრილებს ყრიდა და თავშესაფრებს ამზადებდა.

7 და იყო ასე, რომ ის აგრძელებდა ომისთვის მზადებას, სანამ მორონიმ არ გამოუგზავნა ჯარისკაცების დიდი რაოდენობა მისი ჯარის გასაძლიერებლად.

8 და მორონიმ ასევე გაუგზავნა

მას ბრძანებები, შეენახა ყოველი ტყვე, ვინც მას ხელში ჩაუვარდა; რადგან ლამანიელებმა მრავალი ტყვე შეიპყრეს, მას ყველა დატყვევებული ლამანიელი უნდა შეენარჩუნებინა, ლამანიელების მიერ დატყვევებულთა გამოსასყიდად.

9 მან ასევე გამოუგზავნა მას ბრძანება - გაემაგრებინა მიწა ბარაქიანი და დაეცვა ის ვიწრო გასასვლელი, რომელიც მიდის ჩრდილოეთ მიწისკენ, რომ ლამანიელებს არ დაეპყროთ ის ადგილი და არ ჰქონოდათ ყოველი მხრიდან შემოტევის შესაძლებლობა.

10 და მორონიმ მას ასევე შემოუთვალა სურვილით, ერთგული ყოფილიყო მიწის იმ ნაწილის დაცვისას და გამოეყენებინა ყოველი შესაძლებლობა ლამანიელთა იმ მონაკვეთზე დასასჯელად ისე, რისი ძალაც შესწევდა, რომ იქნებ შეძლებოდა ფანდით ან რაიმე სხვა გზით აეღო ის ქალაქები, რომლებიც მათ დაპყრობილი ჰქონდათ; და ასევე, გაემაგრებინა და განემტკიცებინა გარშემო მყოფი ქალაქები, რომლებიც ლამანიელთა ხელში არ იყო ჩავარდნილი.

11 და მან ასევე უთხრა: მოვიდოდი შენთან, მაგრამ, აჰა, ლამანიელები მიწის საზღვრებზე მოგვადგნენ დასავლეთ ზღვასთან; და აჰა, მე მივდივარ მათ წინააღმდეგ, ამიტომ შენთან ვერ მოვალ.

12 ახლა, მეფე (ამორონი) წავიდა ზარაპემლას მიწიდან და დედოფალს აუწყა თავისი ძმის სიკვდილი და ერთად შეკრიბა დიდი რაოდენობით ადამიანები და წამოვიდა ნეფიელებზე, დასავლეთ ზღვის საზღვრებისკენ.

13 და ასე, იგი აპირებდა ნეფიელებზე თავდასხმებს და მათი ძალების ნაწილის შემოტყუებას იმ მიწის ნაწილზე, იმავე დროს მან უბრძანა ლამანიელებს, რომლებიც დაპყრობილ ქალაქებს ფლობდნენ, რომ ისინიც დასხმოდნენ ნეფიელებს აღმოსავლეთ ზღვასთან და დაეპყროთ იმდენი მიწა, რამდენსაც შეძლებდნენ, თავიანთი ჯარების ძალთა შესაბამისად.

14 და ასეთ საშიშ პირობებში იყვნენ ნეფიელები, ნეფის ხალხზე მოსამართლეთა მმართველობის ოცდამეექვსე წლის ბოლოს.

15 მაგრამ, აჰა, იყო ასე, მოსამართლეთა მმართველობის ოცდამეშვიდე წელს, ტეანკუმმა, მორონის ბრძანებით, რომელმაც ჩამოაყალიბა ჯარები მიწის სამხრეთისა და დასავლეთის საზღვრების დასაცავად და დაიწყო სვლა მიწა ბარაქიანისკენ, რათა დახმარება გაეწია ტეანკუმისათვის თავისი ჯარისკაცებით, იმ ქალაქების ხელახლა ასაღებად, რომლებიც დაკარგეს –

16 და იყო ასე, რომ ტეანკუმმა მიიღო ბრძანებები, რომ ქალაქ

მულეკზე განეხორციელებინა შეტევა და თუ შესაძლებელი იქნებოდა, იგი ხელახლა აეღო.

17 და იყო ასე, რომ ტეანკუმმა მოემზადა ქალაქ მულეკზე შეტევის განსახორციელებლად და თავისი ჯარით გაემართა ლამანიელებისკენ; მაგრამ დაინახა, რომ მათ ვერ სძლევა სანამ ისინი იქნებოდნენ თავიანთ გამაგრებებში; ამიტომ, დათმო თავისი ჩანაფიქრი და კვლავ უკან დაბრუნდა ქალაქ ბარაქიანში, რათა მორონის მოსვლას დალოდებოდა, რომ მის ჯარს ძალა შემატებოდა.

18 და იყო ასე, რომ მორონი მოვიდა თავისი ჯარით მიწა ბარაქიანზე, ნეფის ხალხზე მოსამართლეთა მმართველობის ოცდამეშვიდე წლის ბოლოს.

19 და ოცდამეგრევე წლის დასაწყისში, მორონი, ტეანკუმმა და მრავალი მათი მთავარსადალი სამხედრო თათბირზე შეიკრიბნენ – თუ რა უნდა გაეკეთებინათ, რომ გამოეწვიათ ლამანიელები მათ წინააღმდეგ საბრძოლველად ან როგორმე გამოეტყუებინათ თავიანთი გამაგრებებიდან, მათზე უპირატესობის მისაღწევად და ქალაქ მულეკის ხელახლა ასაღებად.

20 და იყო ასე, მათ ელჩები გაუგზავნეს ლამანიელთა ჯარს, რომელიც ქალაქ მულეკს იცავდა, მათ წინამძღვართან, რომლის სახელი იყო იაკობი, სურდათ რა, რომ იგი

გამოსულიყო თავისი ჯარებით, რათა ორ ქალაქს შორის მდებარე ვაკეზე შეხვედროდა. მაგრამ, აჰა, იაკობმა, რომელიც იყო ზორამიელი, არ მოისურვა თავისი ჯარით ვაკეზე მათთან შეხვედრა.

21 და იყო ასე, რომ მორონის აღარ ჰქონდა იმედი, რომ მათ თანაბარ პირობებში შეხვედებოდა, ამიტომ გეგმა დასახა ლამანიელთა გამაგრებებიდან გამოსატყუებლად.

22 ამიტომ, მან ბრძანა, რომ ტეანკუმს აეყვანა ჯარისკაცების მცირე ჯგუფი და მისულიყო ზღვის სანაპიროსთან ახლოს; და მორონი და მისი ჯარი ღამით გაემართნენ უდაბნოში, ქალაქ მულეკის დასავლეთით; და ამგვარად, მომდევნო დღეს, როდესაც ლამანიელთა გუშაგებმა ტეანკუმი აღმოაჩინეს, გაიქცნენ და ეს თავიანთ წინამძღვარს, იაკობს მოახსენეს.

23 და იყო ასე, რომ ლამანიელთა ჯარები წავიდნენ ტეანკუმის წინააღმდეგ, ეგონათ, თავიანთი სიმრავლით დაძლევენ ტეანკუმს, მისი რიცხობრივი სიმცირის გამო. და როდესაც ტეანკუმმა იხილა მის წინააღმდეგ მომავალი ლამანიელთა ჯარები, მან დაიწყო ზღვის სანაპიროსკენ, ჩრდილოეთით, უკან დახევა.

24 და იყო ასე, რომ როდესაც ლამანიელებმა დაინახეს, რომ იგი გარბოდა, ისინი გათამამ-

დნენ და გამხნეებულნი უკან გამოედევნენ და იმ დროს, როდესაც ტეანკუმს ასე მიჰყავდა ლამანიელები, რომლებიც მას ამოდ მისდევდნენ, აჰა, მორონიმ ბრძანა, რომ მასთან მყოფი ჯარების ნაწილი წასულიყო ქალაქში და მას დაუფლებოდა.

25 და ასეც მოიქცნენ და დახოცეს ისინი, რომლებიც ქალაქის დასაცავად იყვნენ დატოვებულნი, დიახ, ყველანი, რომლებმაც არ დათმეს საომარი იარაღი.

26 და ასე დაიპყრო მორონიმ ქალაქი მულეკი თავისი ჯარის ნაწილით, როდესაც დანარჩენი ნაწილით გაემართა ლამანიელთა დასახვედრად, როდესაც ისინი ტეანკუმის დევნის შემდეგ უკან დაბრუნდებოდნენ.

27 და იყო ასე, რომ ლამანიელებმა სდიეს ტეანკუმს, სანამ არ მიუახლოვდნენ ქალაქ ბარაქიანს, სადაც მათ დახვდათ ლეხი და მცირე ჯარი, რომელიც ქალაქ ბარაქიანის დასაცავად იყო დატოვებული.

28 და ახლა, აჰა, როდესაც ლამანიელთა მთავარსარდლებმა იხილეს მათ წინააღმდეგ მომავალი ლეხი თავისი ჯარით, დიდად შეშინებულები უკან გაიქცნენ, ეშინოდათ რა, რომ ქალაქ მულეკის მიღწევამდე ლეხი დაეწეოდა მათ; ვინაიდან ლაშქრობისგან დაქანცულები იყვნენ, ლეხის ჯარისკაცები კი დასვენებულნი.

29 ახლა, ლამანიელებმა არ

იცოდნენ, რომ მათ უკან მორონი იმყოფებოდა თავისი ჯარით; და ყველაფერი, რისიც მათ ეშინოდათ, იყო ლეხი და მისი ჯარისკაცები.

30 ახლა, ლეხის არ სურდა მათი დაწვევა მანამდე, სანამ ისინი არ შეხვდებოდნენ მორონისა და მის ჯარს.

31 და იყო ასე, რომ სანამ ღამანიელები დიდი მანძილით უკან დახევას მოასწრებდნენ, ნეფიელებმა ისინი ალყაში მოაქციეს, ერთი მხრიდან მორონის და მეორე მხრიდან ლეხის ჯარისკაცებმა, რომლებიც ყველანი დასვენებულნი და ძალით საესენი იყვნენ; ღამანიელები კი დაქანცულები იყვნენ თავიანთი ხანგრძლივი ლაშქრობის გამო.

32 და მორონიმ უბრძანა თავის ჯარისკაცებს, რომ თავს დასხმოდნენ, სანამ ისინი არ დათმობდნენ საომარ იარაღს.

33 და იყო ასე, რომ იაკობი, იყო რა მათი წინამძღვარი, ასევე ზორამიელი და ჰქონდა უძღვევი სული, წინ მიუძღვოდა ღამანიელებს ბრძოლაში, მორონის მიმართ განსაკუთრებული მძვინვარებით.

34 მორონი იყო მათ გეზზე, ამიტომ იაკობმა გადაწყვიტა მათი დახოცვა და ქალაქ მულეკისკენ გზის გაკაფვა. მაგრამ, აჰა, მორონი და მისი ჯარისკაცები უფრო ძლიერნი იყვნენ; ამიტომ, ღამანიელებისგან უკან არ დაიხიეს.

35 და იყო ასე, რომ ისინი ორივე ხელით იბრძოდნენ, განსაკუთრებული მძვინვარებით და ორივე მხარეს ბევრი დაიხოცა; დიახ, მორონი დაიჭრა და იაკობი მოკლეს.

36 და ლეხი ზურგიდან უტევდა თავისი ძლიერი ჯარისკაცებით ისეთი გამძვინვარებული, რომ ღამანიელებმა ზურგში თავიანთი საომარი იარაღი დაყარეს; და დანარჩენებმა, იყვნენ რა ძალზედ დაბნეულნი, არ იცოდნენ, საით წასულიყვნენ ან ვის შებრძოლებოდნენ.

37 ახლა, მორონიმ, იხილა რა მათი დაბნეულობა, მიმართა მათ: თუ მოიტანთ თქვენს საომარ იარაღს და მას დაყრით, აჰა, თქვენი სისხლისღვრისგან თავს შეეკავებთ.

38 და იყო ასე, რომ როდესაც ღამანიელებმა ეს სიტყვები მოისმინეს, მათმა მთავარსარდლებმა, ყველამ, რომლებიც არ იყვნენ მოკლულნი, წინ გამოვიდნენ და დაყარეს საომარი იარაღი მორონის ფეხებთან და ასევე უბრძანეს თავიანთ ჯარისკაცებს, რომ იგივე გაეკეთებინათ.

39 მაგრამ, აჰა, იქ იყვნენ მრავალნი, რომლებმაც ეს არ მოისურვეს, რომლებმაც არ დათმეს ხმლები, შეიპყრეს და შებოჭეს და ჩამოართვეს საომარი იარაღები და აიძულეს, წასულიყვნენ თავიანთ ძმებთან ერთად მიწა ბარაქიანში.

40 და ახლა, შეპყრობილი

ტყვეები უფრო მეტნი იყვნენ, ვიდრე ორივე მხრიდან დახოცილთა რაოდენობა.

თავი 53

ლამანიელ ტყვეებს იყენებენ ქალაქ ბარაქიანის გამაგრებაში. ნეფიელთა შორის დაპირისპირებებმა ლამანიელებს გამარჯვებები მოუტანა. ჰელამანი იღებს სარდლობას ორიათას ახალგაზრდა ამონის ხალხის შვილზე. დაახლოებით 64-63 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და იყო ასე, რომ მათ ლამანიელთა ტყვეებს გუშაგები დაუყენეს და აიძულეს, რომ მისულიყვნენ და საკუთარი დახოცილები დაემარხათ, დიახ, ასევე ნეფიელები, რომლებიც დაიხოცნენ; და მორონიმ ჯარისკაცები მიუჩინა მათ სადარაჯოდ, სანამ ისინი ამ სამუშაოებს ასრულებდნენ.

2 და მორონი წავიდა ქალაქ მულეკში ლეხისთან ერთად და აიღო ქალაქის მმართველობა და ლეხის გადასცა. ახლა, აჰა, ლეხი იყო კაცი, რომელიც მორონისთან ერთად იყო უმეტეს ბრძოლაში; და იგი მორონით კაცი იყო და მათ უხაროდათ ერთმანეთის სიკეთე; დიახ, მათ უყვარდათ ერთმანეთი და ისინი ასევე მთელ ნეფის ხალხს უყვარდა.

3 და იყო ასე: მას შემდეგ, რაც ლამანიელებმა დაამთავრეს

თავიანთი და ასევე ნეფიელთა დახოცილების დამარხვა, ისინი წაიყვანეს მიწა ბარაქიანში; და ტეანკუმმა, მორონის ბრძანების შესაბამისად, მათ უბრძანა, დაეწყოთ მუშაობა თხრილის გასათხრელად, იმ მიწის ანუ ქალაქ ბარაქიანის გარშემო.

4 და მან უბრძანა, რომ აეშენებინათ მორებისაგან მესერი, მიწათხრილის შიდა მხარეს; და თხრილიდან მიწას მესერის მორებს აყრიდნენ; და ამგვარად აიძულეს ლამანიელები, ეშრომათ სანამ არ ააგებდნენ ქალაქ ბარაქიანის გარშემო მაგარ კედელს მორებისა და მიწისგან, ძალზედ დიდი სიმაღლის.

5 და ეს ქალაქი ამიერიდან იქცა ძლიერ სიმაგრედ და ამ ქალაქში დარაჯობდნენ ლამანიელ ტყვეებს; დიახ, იმ კედლის შიგნით, რომელიც მათ აიძულეს, რომ საკუთარი ხელით აეშენებინათ. ახლა, მორონი იძულებული იყო, ლამანიელთათვის მუშაობა ებრძანებინა, რადგან მუშაობის დროს ადვილი იყო მათი დაცვა; და მას სურდა მთელი თავისი ძალების მოკრება იმ დროისთვის, როდესაც ლამანიელებზე შეტევას განახორციელებდა.

6 და იყო ასე, რომ მორონიმ ამგვარად მიაღწია გამარჯვებას ლამანიელთა ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ ჯარზე და დაიპყრო ქალაქი მულეკი, რომელიც ნეფის მიწაზე ლამანიელთა ყველაზე გამაგრებული ქალაქი იყო; და

ასე ააგო სიმაგრე, რათა თავისი ტყვეები შეენახა.

7 და იყო ასე, რომ იმ წელს აღარ შეეცადა ლამანიელებთან ბრძოლას, მაგრამ დაასაქმა თავისი ჯარისკაცები ომისათვის სამზადისში, დიახ, სიმაგრეების მშენებლობაზე, ლამანიელთაგან თავდაცვისათვის, დიახ, ასევე თავისი ქალებისა და ბავშვების შიმშილისა და გაჭირვებისგან გამოსახსნელად და საკვებით თავისი ჯარების უზრუნველსაყოფად.

8 და ახლა, იყო ასე, რომ ლამანიელთა ჯარებმა დასაველეთ ზღვის მხარეს, სამხრეთით, მორონის არყოფნის დროს, ნეფიელთა მიწები დაიკავეს, ნეფიელთა შორის შეთქმულების გამო, რამაც მათ შორის უთანხმოება გამოიწვია, დიახ, იმდენად, რომ ლამანიელებმა, მიწის ამ ნაწილში, მათი რამდენიმე ქალაქი დაიკავეს.

9 და ამგვარად, თავიანთი ურჯულოების გამო, დიახ, მათ შორის უთანხმოებისა და შეთქმულების გამო, ყველაზე საშიშ ვითარებაში ჩაცვივდნენ.

10 და ახლა, აჰა, ცოტაოდენი უნდა ვთქვა ამონის ხალხის შესახებ, რომლებიც თავიდან ლამანიელები იყვნენ, მაგრამ ამონისა და მისი ძმებით ანუ დვთის ძალითა და სიტყვით, ისინი უფლის რწმენაში მოიქცნენ; და ზარაჰემლას მიწაზე იქნენ მოყვანილნი და

იმ დროიდან მათ ნეფიელები იცავდნენ.

11 და თავიანთი ფიციდან გამომდინარე, თავს იკავებდნენ, რომ იარაღი არ აეღოთ ძმების წინააღმდეგ, რადგან ფიცი ჰქონდათ დადებული, რომ სისხლს აღარასდროს დაღვრიდნენ; და მათი ფიცის მიხედვით, უნდა დადუჰულიყვნენ; დიახ, ნებას მისცემდნენ საკუთარ თავს, თავიანთი ძმების ხელში ჩავარდნილიყვნენ, რომ არა ის თანაგრძნობა და განსაკუთრებული სიყვარული, რომელსაც ამონი და მისი ძმები განიცდიდნენ მათ მიმართ.

12 და ამ მიზეზის გამო, ისინი ზარაჰემლას მიწაზე მოიყვანეს და ნეფიელების მიერ იყვნენ დაცულნი.

13 მაგრამ, იყო ასე, რომ როდესაც იხილეს საშიშროება, მრავალი განსაცდელი და უბედურება, რასაც ნეფიელები მათ გამო იტანდნენ, ისინი შეძრა სიბრალულმა და მათ მოისურვეს იარაღის აღება ქვეყნის დასაცავად.

14 მაგრამ, აჰა, როდესაც ლამის იყო აიღეს თავიანთი საომარი იარაღი, ჰელამანისა და მისი ძმების დარწმუნებამ სძლია მათ, ვინაიდან მზად იყვნენ თავიანთი ფიცის გასატეხად.

15 და ჰელამანი შიშობდა, რომ ამით ისინი დაკარგავდნენ თავიანთ სულებს; ამიტომ, ყველას, ვინც დადო ეს აღთქმა, უნდა

ეცქირა თავიანთი ძმებისათვის, რომლებიც იმუამად გაჭირვებას იტანდნენ სახიფათო პირობებში.

16 მაგრამ, აჰა, იყო ასე, რომ მათ ჰყავდათ მრავალი შვილი, რომლებსაც არ ჰქონდათ აღთქმა დადებული, რომ თავიანთ საომარ იარაღს არ აიღებდნენ მტრებისაგან თავის დასაცავად; ამიტომ, ამუამად ისინი ერთად შეიკრიბნენ, იმდენნი, რამდენსაც იარაღის ტარება შეეძლო და მათ თავიანთ თავს ნეფიელები უწოდეს.

17 და მათ დადეს აღთქმა, რომ ნეფიელთა თავისუფლებისთვის იბრძოლებდნენ, დიახ, რომ დაცავდნენ იმ მიწას სიცოცხლის ფასად; დიახ, აღთქმაც კი დადეს, რომ არ დათმობდნენ თავისუფლებას, არამედ, იბრძოლებდნენ ყველანი პირობებში, რათა ნეფიელები და თავი მონობისაგან დაეცვათ.

18 ახლა, აჰა, იყო ორი ათასი ახალგაზრდა კაცი, რომელმაც ეს აღთქმა დადო და საომარი იარაღი აიღო თავიანთი ქვეყნის დასაცავად.

19 და ახლა, აჰა, რადგან მანამდე ისინი არასდროს არ ყოფილან ნეფიელთათვის უსარგებლონი, ახლაც, ამ დროს, ისინი დიდად დაეხმარნენ, რადგან აიღეს თავიანთი საომარი იარაღი და სურდათ, რომ ჰელამანი ყოფილიყო მათი წინამძღოლი.

20 და ისინი ყველანი იყვნენ ახალგაზრდა კაცები და ძალ-

ზედ სახელგანთქმულნი სიმაძაცით და ასევე ძალითა და ენერგიულობით; მაგრამ, აჰა, ეს არ იყო ყველაფერი. ისინი იყვნენ კაცები, რომლებიც ყოველთვის და ყველაფერში ერთგულები იყვნენ, რასაც კი მიანდობდნენ.

21 დიახ, ისინი იყვნენ ჭეშმარიტებისა და კეთილგონიერების ადამიანები, რადგან ისწავლეს ღვთის მცნებების დაცვა, რათა მის წინაშე უბიწოდ ევლოთ.

22 და ახლა, იყო ასე, რომ ჰელამანი წინ გაუძღვა ამ ორიათას ახალგაზრდა მეომარს, რათა დახმარებოდა ხალხს მიწის საზღვრებთან სამხრეთით, დასავლეთ ზღვასთან.

23 და ასე დასრულდა ნეფის ხალხზე მოსამართლეთა მმართველობის ოცდამეცხე წელი.

თავი 54

ამორონი და მორონი ტყვეების გაცვლაზე აწარმოებენ მოლაპარაკებებს. მორონი მოითხოვს, რომ ლამანიელებმა უკან დაიხიონ და შეწყვიტონ სასიკვდილო თავდასხმები. ამორონი მოითხოვს, რომ ნეფიელებმა იარაღი დაყარონ და ლამანიელებს დაემორჩილონ. დაახლოებით 63 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და ახლა, იყო ასე: მოსამართლეთა ოცდამეცხრე წლის დასაწყისში, ამორონმა შემოუთვალა მორონის, რომ ტყვეების გაცვლა სურდა.

2 და იყო ასე, რომ მორონის ძალზედ გაუხარდა ამ მოთხოვნის გამო, რადგან სურდა, რომ ის სურსათი, რაც ლამანიელთა ტყვეების შესანახად იხარჯებოდა, საკუთარი ხალხის დასახმარებლად გამოეყენებინა; ასევე სურდა თავისი ხალხის დაბრუნება საკუთარი ჯარის გასამაგრებლად.

3 ახლა, ლამანიელებს წაყვანილი ჰყავდათ მრავალი ბავშვი და ქალი და მორონის ტყვეებში ანუ მათ შორის, ვინც მორონიმ დააპატიმრა, არც ქალები იყვნენ და არც ბავშვები, ამიტომ, მორონიმ გადაწყვიტა, გამოეყენებინა სამხედრო ფანდი, რომ ლამანიელებისგან მიეღო რაც შეიძლება მეტი დატყვევებული ნეფიელი.

4 ამიტომ, მან მისწერა წერილი და ამორონის მსახურს გაატანა, იმავეს, რომელმაც მორონის მოუტანა წერილი. ახლა, ეს არის ის სიტყვები, რომლებიც მან ამორონს მისწერა:

5 აჰა, ამორონ, მე მოგწერე ცოტაოდენი რამ ამ ომის შესახებ, რომელსაც თქვენ ჩემი ხალხის წინააღმდეგ აწარმოებთ ანუ რომელსაც შენი ძმა აწარმოებდა მათ წინააღმდეგ, რომლის გაგრძელებასაც კიდევ აპირებთ მისი სიკვდილის შემდეგ.

6 აჰა, მე მსურს გითხრა ცოტაოდენი რამ ღმერთის სამართალზე და მისი ყოვლადძლიერი რისხვის ხმლის შესახებ, რომელიც

თქვენზე არის აღმართული, თუ არ მოინანიებთ და არ დააბრუნებთ ჯარებს უკან თქვენს მიწაზე ანუ თქვენს მამულზე, რომელიც არის ნეფის მიწა.

7 დიახ, მე გეტყობდი ყველაფერს, რომ შეგძლებოდა ყოველივე ამის გაგება; დიახ, გეტყობდი იმ საშინელ ჯოჯოხეთზე, რომელიც მზად არის მიიღოს ისეთი მკვლევები, როგორც ხარ შენ და იყო შენი ძმა, თუ არ მოინანიებთ და უარს არ იტყვით მომაკვდინებელ მიზნებზე და არ დაუბრუნდებით თქვენი ჯარებით თქვენს მიწებს.

8 მაგრამ, ვინაიდან უარი თქვით ამ ყველაფერზე და იბრძოდით უფლის ხალხის წინააღმდეგ, მე თქვენგან მოველი, რომ ამას კვლავ გააკეთებთ.

9 და ახლა, აჰა, ჩვენ მზად ვართ თქვენ დასახვედრად; დიახ, თუ არ შეცვლით თქვენს მიზნებს, აჰა, თავზე რისხვას იწვნევთ ღმერთისგან, რომელიც უარყავით, დიახ, თქვენი სრული განადგურებით.

10 მაგრამ, ისე, როგორც ცოცხალია უფალი, ჩვენი ჯარები დაგესხმიან თავს, თუ არ წახვალთ და მალე სიკვდილი მოგვევლინებათ, რადგან ჩვენ დავიცავთ ჩვენს ქალაქებს და მიწებს; დიახ, დავიცავთ ჩვენს სარწმუნოებასა და ღმერთის საქმეს.

11 მაგრამ, აჰა, ვფიქრობ, რომ ყოველივე ამაზე ამაოდ გელაპარაკები; ვფიქრობ, რომ ხარ

ჯოჯოხეთის შვილი; ამიტომ, მე ვასრულებ ჩემს წერილს და გეუბნები, რომ არ გაგიცვლი ტყვეებს, გარდა იმ პირობისა, რომ ერთ ტყვეში მოგვცემთ კაცს თავისი ცოლითა და შვილებით; თუ ასე მოიქცევით, მე გაგიცვლით.

12 და აჰა, თუ ასე არ მოიქცევით, წამოვალ თქვენ წინააღმდეგ ჩემი ჯარებით; დიახ, შევიაარაღებ ჩემს ქალებსა და ბავშვებსაც კი და თქვენ წინააღმდეგ წამოვალ და დაგედევნებით თქვენს მიწამდე, რომელიც არის ჩვენი პირველი მემკვიდრეობის მიწა; დიახ, და ეს იქნება სისხლი სისხლისთვის, დიახ, სიცოცხლე სიცოცხლისთვის; და შეგებრძოლებით, სანამ მიწის პირიდან არ განადგურდებით.

13 აჰა, მე ვარ განრისხებული, ასევე ჩემი ხალხიც; თქვენ ცდილობდით ჩვენს დახოცვას და ჩვენ ვცდილობდით მხოლოდ თავის დაცვას. მაგრამ, აჰა, თუ კიდევ ეცდებით ჩვენს განადგურებას, ჩვენ შევეცდებით თქვენს განადგურებას; დიახ, ჩვენი მიწისათვის ვიღწვით, ჩვენი პირველი მემკვიდრეობის მიწისთვის.

14 ახლა, ვასრულებ ჩემს წერილს. მე ვარ მორონი, ნეფიელთა ხალხის წინამძღოლი.

15 ახლა, იყო ასე, რომ ამორონმა, როდესაც მიიღო ეს წერილი, განრისხდა; და მისწერა კიდევ ერთი წერილი მორონის და ეს არის სიტყვები, რომლებიც მან დაწერა:

16 მე ვარ ამორონი, ლამანიელთა მეფე; ვარ ამალიკიას ძმა, რომელიც შენ მოკალი. აჰა, მისი სისხლისთვის შურს ვიძიებ შენზე, დიახ, თავს დაგესხმები ჩემი ჯარებით, რადგან არ შეშინია შენი მუქარის.

17 რადგან, აჰა, თქვენმა მამებმა სიბოროტე ჩაიდინეს თავიანთი ძმების მიმართ, ისე, რომ მოპარეს მათ მმართველობის უფლება, როდესაც, წესით, ის მათ ეკუთვნოდათ.

18 და ახლა, აჰა, თუ დაყრით იარაღს და დაემორჩილებით მათ მმართველობას, ვისაც ეს წესით ეკუთვნის, მაშინ მე ვუბრძანებ ჩემს ხალხს, დათმონ საკუთარი იარაღი და აღარ გებრძოლონ.

19 აჰა, შენ გადმოაფრქვიე მრავალი მუქარა ჩემსა და ჩემი ხალხის წინააღმდეგ; მაგრამ, აჰა, ჩვენ არ გვეშინია შენი მუქარის.

20 ამისდა მიუხედავად, მე სიხარულით გაგიცვლი ტყვეებს შენი მოთხოვნის შესაბამისად, რომ შევინარჩუნო საკვები ჩემი ჯარისკაცებისთვის; და წამოვიწყებთ ომს, რომელიც იქნება მარადიული; ნეფიელებს ან დავიმორჩილებთ ან მათ მთლიანად გავანადგურებთ.

21 და რაც ეხება იმ ღმერთს, რომელიც, როგორც ამბობ, ჩვენ უარყვავით, ჩვენ არ ვიცით ასეთი არსება; არც თქვენ იცით; მაგრამ, რომც იყოს ასეთი არსება, ჩვენ ეს არ ვიცით, იქნებ მან შეგვექმნა ისევე, როგორც თქვენ.

22 და თუ ასეა, რომ არსებობს ეშმაკი და ჯოჯოხეთი, ნუთუ არ გაგაგზავნის იქ ჩემს ძმასთან ერთად, რომელიც მოკალით, რომელიც, შენი სიტყვებით, ასეთ ადგილში წავიდა? მაგრამ, აჰა, ამ ყველაფერს არ აქვს მნიშვნელობა.

23 მე ვარ ამორონი, ზორამის შთამომავალი, რომელიც შენმა მამებმა აიყვანეს და იძულებით გამოიყვანეს იერუსალიმიდან.

24 და ახლა, აჰა, მე ვარ თამამი ლამანიელი; აჰა, ამ ომს ვაწარმოებთ, რომ შური ვიძიოთ მათ დანაშაულებზე და აღვასრულოთ და მივიღოთ მმართველობის უფლება; და მე ვასრულებ ჩემს წერილს მორონისადმი.

თავი 55

მორონი უარს ამბობს ტყვეების გაცვლაზე. ლამანიელ გუშაგებს ათრობენ და ნეფიელ ტყვეებს ათავისუფლებენ. ქალაქ გიდს ათავისუფლებენ სისხლისღვრის გარეშე. დაახლოებით 63-62 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და იყო ასე, რომ როდესაც მორონიმ მიიღო ეს წერილი, იგი უფრო მეტად განრისხდა, რადგან იცოდა, რომ ამორონს მშვენივრად ჰქონდა გააზრებული საკუთარი ტყუილი; დიახ, მან იცოდა, რომ ამორონისთვის ცნობილი იყო: მიზეზი, რის გამოც მან ნეფის ხალხის წინააღმდეგ ომი წამოიწყო – უსამართლო იყო.

2 და მან თქვა: აჰა, ამორონს არ გაეუცვლი ტყვეებს, თუ უარს არ იტყვის თავის მიზანზე, როგორც მე წერილში მივუთითე; რადგან არ დავუშვებ, რომ მან იმაზე მეტი ძალა მიიღოს, რაც აქვს.

3 აჰა, ჩემთვის ცნობილია ადგილი, სადაც ლამანიელები ინახავენ ჩემს ხალხს, რომელიც ტყვედ წაიყვანეს; და რადგან ამორონმა არ მიიღო ჩემი მოთხოვნა, აჰა, მე მას მივუზღავ ჩემი სიტყვების შესაბამისად; დიახ, მე მათში სიკვდილს დავთესავ მანამ, სანამ მშვიდობას არ მოითხოვენ.

4 და ახლა, იყო ასე, რომ როდესაც მორონიმ თქვა ეს ყველაფერი, მან ბრძანა, რომ მის ხალხში მოეძებნათ ვინმე, რომელიც ლამანის შთამომავალი იყო.

5 და იყო ასე, რომ მათ იპოვეს ერთი, რომელსაც ერქვა ლამანი; და ის იყო ერთ-ერთი მსახური მეფისა, რომელიც ამალიკიამ მოკლა.

6 ახლა, მორონიმ ბრძანა, რომ ლამანი და მისი ჯარისკაცების მცირე ჯგუფი მისულიყო გუშაგებთან, რომლებიც ნეფიელებს დარაჯობდნენ.

7 ახლა, ნეფიელები დამწყვდელი ჰყავდათ ქალაქ გიდში; ამიტომ, მორონიმ ლამანი გაამწესა და ჯარისკაცების მცირე რაოდენობას უბრძანა, რომ მასთან ერთად წასულიყვნენ.

8 და როდესაც საღამო დადგა, ლამანი მივიდა გუშაგებთან, რომლებიც ნეფიელებს დარაჯობდნენ და აჰა, გუშაგებმა დაინახეს იგი, მათკენ მიმავალი და შეაჩერეს; მაგრამ მან უთხრა: ნუ გეშინიათ, ლამანიელი ვარ. აჰა, ნეფიელებისგან გამოვიქეცი და მათ სძინავთ; და აჰა, მათი ღვინო გვაქვს თან წამოღებული.

9 ახლა, როდესაც ლამანიელებმა ეს სიტყვები გაიგეს, მათ იგი სიხარულით მიიღეს; და უთხრეს: მოგვეცი შენი ღვინო, რათა შევსვათ; გვიხარია, რომ ღვინო მოიტანე, რადგან ძალიან დაღლილები ვართ.

10 მაგრამ ლამანმა უთხრა: მოდით შევინახოთ ჩვენი ღვინო, სანამ ნეფიელებთან საბრძოლველად არ წავალთ. მაგრამ ამ სიტყვებმა მათში ღვინის დაღვევის უფრო დიდი სურვილი გამოიწვია;

11 რადგან მათ თქვეს: დაღლილები ვართ, ამიტომ მოდით შევსვათ ეს ღვინო და მოგვიანებით ღვინოს მოგვცემენ უღუფად, რომელიც გაგვაძლიერებს ნეფიელთა წინააღმდეგ საბრძოლველად.

12 და ლამანმა მათ უთხრა: როგორც გსურთ, ისე მოიქეცით.

13 და იყო ასე, რომ მათ უხვად ღვინო დალიეს; და საამო იყო მათთვის მისი გემო, ამიტომ, უფრო უხვად მიიღეს; და ის იყო მაგარი, იყო რა დამზადებული სიმაგრით.

14 და იყო ასე, ისინი სვამდნენ და მხიარულობდნენ და ნელ-ნელა ყველანი დათვრნენ.

15 და ახლა, როდესაც ლამანმა და მისმა ჯარისკაცებმა ნახეს, რომ ყველანი დათვრნენ და დაიძინეს, დაბრუნდნენ მორონისთან და უთხრეს ყველაფერი, რაც მოხდა.

16 და ახლა, ეს იყო მორონის ჩანაფიქრის მიხედვით. და მორონიმ მოამზადა თავისი ჯარისკაცები საომარი იარაღით; და ქალაქ გიდში შევიდა იმ დროს, როდესაც მთვრალ ლამანიელებს ღრმად ეძინათ და ტყვეებს იმდენი საომარი იარაღი მიაწოდეს, რომ ყველა შეიარაღდა;

17 დიახ, მათი ქალებიც და ყველა ბავშვი, ვისაც საომარი იარაღის ტარება შეეძლოთ, მორონი ყველა დატყვევებულს აიარაღებდა; და ეს ყველაფერი მოხდა სრულ სიჩუმეში.

18 მაგრამ ლამანიელები თუნდაც რომ გაედვიძებინათ, აჰა, მთვრალეები იყვნენ და ნეფიელებს მათი მოკვლა შეეძლოთ.

19 მაგრამ, აჰა, ეს არ სურდა მორონის; იგი არ ხარობდა მკველობებითა და სისხლისღვრით, არამედ ხარობდა თავისი ხალხის განადგურებისგან გადაარჩენით; და რადგან არ სურდა უსამართლობის თავის თავზე აღება, არ ესხმოდა ლამანიელებს და არ ანადგურებდა მათ სიმთვრალის დროს.

20 მაგრამ, მაინც მიადწია

საკუთარ საწადელს; რადგან შეიარაღა ის დატყვევებული ნეფიელები, რომლებიც ქალაქის კედლებს შიგნით იყვნენ და მისცა ძალა, დაუფლებოდნენ ქალაქის იმ ნაწილებს, რომლებიც კედლებს შიგნით მდებარეობდა.

21 და შემდეგ მან უბრძანა ჯარისკაცებს, რომლებიც მასთან ერთად იყვნენ, უკან დაეხიათ და ლამანიელებისთვის ალყა შემოერთყათ.

22 ახლა, აჰა, ეს გაკეთდა ღამით, ასე რომ, როდესაც ლამანიელებმა დილით გაიღვიძეს, დაინახეს, რომ ნეფიელების ალყაში იყვნენ გარედან და მათი ტყვეები შეიარაღებულნი იყვნენ შიგნით.

23 და ასე მათ იხილეს, რომ ნეფიელებს მათზე უპირატესობა ჰქონდათ; და ასეთ პირობებში მიხვდნენ, რომ არ იყო მიზანშეწონილი ნეფიელებთან ბრძოლა; ამიტომ, მათმა მთავარსარდლებმა ამოიღეს საომარი იარაღი, წინ გამოვიდნენ და დაყარეს ის ნეფიელთა ფეხებთან, ევედრებოდნენ რა შეწყალებას.

24 ახლა, აჰა, ეს სურდა მორონის. მან ისინი დაატყვევა და ქალაქს დაეუფლა და ბრძანა, რომ ყველა დატყვევებული ნეფიელი განთავისუფლებულიყო და ისინი მორონის ჯარს შეუერთდნენ და მისი ჯარისთვის დიდ ძალას წარმოადგენდნენ.

25 და იყო ასე, რომ მან

უბრძანა დატყვევებულ ლამანიელებს, რომ დაეწყით მუშაობა ქალაქ გიდის გარშემო გამაგრებების გასამტკიცებლად.

26 და იყო ასე, რომ, როდესაც გაამაგრა ქალაქი გიდი, თავისი სურვილისამებრ, მან ბრძანა, ტყვეები წაეყვანათ ქალაქ ბარაქიანში; და იმ ქალაქსაც იგი იცავდა განსაკუთრებით დიდი ძალებით.

27 და იყო ასე, რომ მათ მოახერხეს, ლამანიელთა ყველა ინტრიგის მიუხედავად, შეენახათ და დაეცვათ ყოველი ტყვე, რომელიც აიყვანეს, ასევე მთელი მიწა და უპირატესობა, რომელიც დაიბრუნეს.

28 და იყო ასე, რომ ნეფიელებმა კვლავ იწყეს გამარჯვება და უკან დაიბრუნეს თავიანთი უფლებები და უპირატესობები.

29 მრავალჯერ შეეცადნენ ლამანიელები ღამით მათი ალყაში მოქცევას, მაგრამ ამ მცდელობებისას მრავალი ტყვედ დაკარგეს.

30 და მრავალჯერ შეეცადნენ ნეფიელებისთვის ღვინის შეთავაზებას, რათა ისინი შხამით ან სიმთვრალით გაენადგურებინათ.

31 მაგრამ, აჰა, ნეფიელები არ იყვნენ ზანტნი უფლის, თავიანთი ღმერთის, გახსენებაში გაჭირვების ჟამს. შეუძლებელი იყო მათი მახეებში შეტყუება; დიახ, არ იგემებდნენ მათ ღვინოს, სანამ მას რომელიმე ლამანიელ ტყვეს არ მისცემდნენ.

32 და ასეთი წინდახედულები იყვნენ, რომ მათ შორის რაიმე შხამი არ გავრცელებულიყო; რადგან, თუ ლამანიელს მოწამლავდა მათი ღვინო, ის ნეფიელებსაც მოწამლავდა; და ასე ამოწმებდნენ ისინი ყოველგვარ თავიანთ სასმელს.

33 და ახლა, იყო ასე, რომ მორონის უნდა დაეწყო ქალაქ მორიანტონის შეტევისთვის მზადება; რადგან, აჰა, ლამანიელებმა, თავიანთი შრომით, გაამაგრეს ქალაქი მორიანტონი და ის ძალზედ ძლიერ სიმაგრედ იქცა.

34 და მათ განუწყვეტლივ მოჰყავდათ იმ ქალაქში ახალი ძალები, ასევე სურსათ-სანოვავის ახალი მარაგი.

35 და ასე დასრულდა ნეფის ხალხზე მოსამართლეთა მმართველობის ოცდამეცხრე წელი.

თავი 56

ჰელამანი მორონის უგზავნის წერილს, რომელშიც მოუთხრობს ლამანიელებთან ომის მდგომარეობის შესახებ. ანტიპუსი და ჰელამანი მოიპოვებენ დიდ გამარჯვებას ლამანიელებზე. ჰელამანის ორი ათასი ახალგაზრდა შვილი იბრძვის სასწაული ძალით და არცერთი მათგანი არ კვდება. მუხლი 1 დაახლოებით 62 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე; მუხლი 2-19 დაახლოებით 66 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე; მუხლი 20-57

დაახლოებით 65-64 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და ახლა, იყო ასე, რომ მოსამართლეთა მმართველობის ოცდამეათე წლისთავზე, პირველი თვის მეორე დღეს, მორონიმ ჰელამანისგან წერილი მიიღო მიწის იმ ნაწილში ხალხის მდგომარეობის შესახებ.

2 და ეს არის ის სიტყვები, რომლებიც მან დაწერა; მორონ, ჩემო საყვარელო ძმაო, როგორც უფალში, ასევე ომის განსაცდელში; აჰა, ჩემო საყვარელო ძმაო, შენთვის მაქვს რაღაც სათქმელი მიწის ამ ნაწილში ომის შესახებ.

3 აჰა, ორი ათასი შვილი იმ ადამიანებისა, რომლებიც ამონმა ნეფის მიწაზე მოიყვანა - შენ იცი, რომ ესენი იყვნენ ლამანის შთამომავლები, რომელიც ჩვენი მამის, ლეხის, უფროსი შვილი იყო.

4 ახლა, არ არის საჭირო შეგახსენო მათი ტრადიციები, რადგან შენთვის ცნობილია ყოველივე ამის შესახებ -

5 ამიტომ, საკმარისია გითხრა, რომ ამ ორი ათასმა ახალგაზრდა კაცმა აიღო თავისი საომარი იარაღი და სურთ, ვიყო მათი წინამძღოლი და გამოვიდეთ ჩვენი ქვეყნის დასაცავად.

6 და შენ ასევე იცი მათი მამების მიერ დადებული აღთქმის შესახებ, რომ არ აიღებდნენ საომარ იარაღს თავიანთი ძმების სისხლის დასადგურელად.

7 მაგრამ ოცდამეექვსე წელს, როდესაც იხილეს მათ გამო ჩვენი გაჭირვება და განსაცდელი, მზად იყვნენ გაეტეხათ მათ მიერ დადებული აღთქმა და აეღოთ საომარი იარაღი ჩვენ დასაცავად.

8 მაგრამ არ დავეშვი, რომ მათ დაერღვიათ ეს აღთქმა, რომელიც მათ დადეს, ვფიქრობ, რომ ღმერთი ჩვენ გაგვამტკიცებს იმდენად, რომ აღარ გაგვიჭირდება მათ მიერ დადებული ფიცის გამო.

9 მაგრამ, აჰა, არის რაღაც, რითაც შეიძლება დიდად გავიხაროთ. რადგან, აჰა, ოცდამეექვსე წელს მე, ჰელამანმა, ამ ორი ათას ახალგაზრდა კაცს, ქალაქ იუდეისკენ წინ გავუძეხი, რათა ანტიპუსს დავხმარებოდი, რომელიც მიწის იმ ნაწილში ხალხის წინამძღოლად გყავს დანიშნული.

10 და მე შეგვერთდი ჩემი ორი ათასი შვილით (რადგან ღირსეულნი არიან, შვილები ვუწოდო) ანტიპუსის ჯარს და ამ ძალის გამო ძალზედ გაუხარდა ანტიპუსს; რადგან, აჰა, მისი ჯარი ლამანიელებმა შეამცირეს, ვინაიდან მათმა ძალებმა დახოცეს დიდი რაოდენობის ჩვენი ჯარისკაცები, რის გამოც ჩვენ იძულებულნი ვართ ვიგლოვოთ.

11 მიუხედავად ამისა, ჩვენ შეგვიძლია თავი ვინუგეშოთ, რომ ისინი დაიდუპნენ სამშობლოს საქმისათვის და ღმერთისთვის,

ღიას, და ისინი არიან ბედნიერნი.

12 ასევე ლამანიელებმაც მრავალი ტყვე აიყვანეს, რომელთაგანაც ყველანი მთავარსარდლები იყვნენ, რადგან მეტს არავის არ ტოვებდნენ ცოცხლად. და ვფიქრობთ, რომ ამჟამად ისინი იმყოფებიან ნეფის მიწაზე; ეს ასეა, თუ უკვე არ დახოცეს.

13 და ახლა, ეს არის ქალაქები, რომლებიც ლამანიელებმა დაიპყრეს, მრავალი ჩვენი გმირი ჯარისკაცის სისხლისღვრის გზით.

14 მიწა მანტი ანუ ქალაქი მანტი და ქალაქი ზიზრომი და ქალაქი კუმენი და ქალაქი ანტიპარა.

15 და ეს ის ქალაქებია, რომლებსაც ისინი ფლობდნენ, როდესაც იუდეას ქალაქში ჩამოვედი; და ვნახე ანტიპუსი და მისი ჯარისკაცები, მთელი ძალ-ღონით ჩართულნი ქალაქის გასამაგრებელ სამუშაოებში.

16 დიას, ისინი დაუძღვრებულნი იყვნენ სხეულით ისევე, როგორც სულით, რადგან გმირულად იბრძოდნენ, დღისით და ღამით შრომობდნენ, რათა დაეცვათ თავიანთი ქალაქები; და ამგვარად იტანდნენ ისინი ყველანი იმდენად გაჭირვებას.

17 და ახლა, მათ გადაწყვეტილი ჰქონდათ ამ აღგილზე გამარჯვებამ ან მომკვდარიყვნენ; ამიტომ, შენ შეიძლება იფიქრო, რომ ამ მცირეოდენი ძალით, რომელიც მოვიყვანე, დიას, ამ ჩემმა

შვილებმა, მოუტანეს მათ იმედი და დიდი სიხარული.

18 და იყო ასე, რომ, როდესაც ლამანიელებმა იხილეს, რომ ანტიპუსმა მიიღო დიდი ძალა თავისი ჯარისთვის, ამორონმა მათ უბრძანა, არ წამოსულიყვნენ არც ქალაქ იუდეაზე, არც ჩვენ წინააღმდეგ საბრძოლველად.

19 და ამგვარად, უფლის მიერ ვიყავით მადლით მოსილნი; რადგან ჩვენ წინააღმდეგ რომ წამოსულიყვნენ, ასეთ დასუსტებულ, ჩვენს პატარა ჯარს ალბათ განადგურებდნენ; მაგრამ, დაცულები ვიყავით.

20 მათ ამორონმა უბრძანა, შეენარჩუნებინათ ის ქალაქები, რომლებიც დაპყრობილი ჰქონდათ. და ასე დასრულდა ოცდამეექვსე წელი. და ოცდამეშვიდე წლის დასაწყისში ჩვენი ქალაქი და თავად ჩვენც, მომზადებულნი ვიყავით თავდაცვისთვის.

21 ახლა, ჩვენ გვსურდა, რომ ლამანიელები ჩვენზე წამოსულიყვნენ; რადგან არ გვსურდა მათზე მათსავე გამაგრებებში შეტევა.

22 და იყო ასე, რომ ჩვენ გარშემო გვყავდა მზევრავები, რომ ეთვალთვალათ ლამანიელთა გადაადგილებებისთვის, რათა მათ ვერ ჩაევლოთ ჩვენს გვერდზე არც ღამით და არც დღისით, ჩრდილოეთით მდებარე სხვა ქალაქებზე შეტევის განსახორციელებლად.

23 რადგან ვიცოდით, რომ არ

იყვნენ საკმარისად ძლიერი იმ ქალაქში მათ დასახვედრად; ამიტომ, ჩვენ გვსურდა, თუ ისინი გვერდზე ჩაგვივლიდნენ, უკნიდან თავს დავსხმოდით; და ამგვარად, შეეუტევედით ზურგიდან იმავე დროს, როდესაც წინიდან სხვები დახვდებოდნენ. გვეგონა, რომ დავძლევდით მათ; მაგრამ, აჰა, ამაში არ გაგვიმართლა.

24 ისინი ვერ ბედავდნენ ჩვენ გვერდით ჩავლას მთელი თავიანთი ჯარებით, ვერც მისი ნაწილით, რათა არ აღმოჩენილიყვნენ არასაკმარისად ძლიერი და არ დამარცხებულიყვნენ.

25 ვერც იმას ბედავდნენ, რომ წამოსულიყვნენ ქალაქ ზარაჰემლაზე; ვერც ქალაქ ნეფიჰას, მდინარე სიდონის სათავის გადმოლახვას.

26 და ამგვარად, გადაწყვეტილი ჰქონდათ, თავიანთი ძალებით შეენარჩუნებინათ ის ქალაქები, რომლებიც ჰქონდათ აღებული.

27 და ახლა, იყო ასე, რომ ამ წლის მეორე თვეს ჩემი ორი ათასი შვილის მამებმა ბევრი სურსათ-სანოვაგე მოგვიტანეს.

28 ასევე გამოგვიგზავნეს ორი ათასი კაცი ზარაჰემლას მიწიდან. და ამგვარად, მომზადებულები ვიყავით ათი ათასი კაცითა და სურსათ-სანოვაგით მათთვის და ასევე მათი ცოლებისა და შვილებისთვის.

29 და ლამანიელებს, ხედავდნენ რა, რომ ჩვენი ძალები

დღითი დღე იზრდებოდა და დასახმარებლად სურსათ-სანოვაგე მოგვედიოდა, შეეშინდათ და წამოიწყეს მცირე შეტევები, რომ შეძლებისდაგვარად ბოლო მოეღოთ ჩვენთვის სურსათ-სანოვაგისა და ძალების მოწოდებისათვის.

30 ახლა, როდესაც ვიხილეთ, რომ ლამანიელები ამის გამო აფორიაქდნენ, ჩვენ გადავწყვიტეთ მათ წინააღმდეგ სამხედრო ფანდის გამოყენება; ამიტომ, ანტიპუსმა ბრძანა, რომ გამოვსულიყავი მეზობელი ქალაქისკენ ჩემი ახალგაზრდა შვილებით, თითქოს სურსათ-სანოვაგე მიგეკონდა მეზობელი ქალაქისკენ.

31 და უნდა ჩაგვევლო ქალაქ ანტიპარას ახლოს, თითქოს მივემართებოდით მის იქით მდებარე ქალაქისკენ, ზღვის სანაპიროს საზღვრებში.

32 და იყო ასე, რომ წინ წავედით, თითქოს იმ ქალაქისკენ სურსათ-სანოვაგით მივემართებოდით.

33 და იყო ასე, რომ ანტიპუსი წინ გამოვიდა თავისი ჯარის ნაწილით, დატოვა რა დანარჩენნი ქალაქის დასაცავად. მაგრამ წინ არ წავიდა, სანამ ჩემი პატარა ჯარით არ წავედი და არ მივუახლოვდი ქალაქ ანტიპარას.

34 და ახლა, ქალაქ ანტიპარაში, განლაგებული იყო ლამანიელთა ყველაზე ძლიერი ჯარი; დიახ, ყველაზე მრავალრიცხოვანი.

35 და იყო ასე, რომ როდესაც

მზვერავეებმა მათ ეს შეატყობინეს, ისინი გამოვიდნენ თავიანთი ჯარით და ჩვენს წინააღმდეგ წამოვიდნენ.

36 და იყო ასე, ჩვენ მათ გამოვექცით ჩრდილოეთისკენ. და ამგვარად, გამოვიტყუეთ ლამანიელთა ყველაზე ძლიერი ჯარი;

37 დიახ, მნიშვნელოვან მანძილზეც კი, ისე, რომ როდესაც მათ იხილეს უკან მომდევარი ანტიპუსის ჯარი მთელი თავისი სიძლიერით, მათ არც მარჯვნივ მოუხვიეს და არც მარცხნივ, არამედ ზუსტად ჩვენ უკან გააგრძელეს სვლა; და როგორც ვფიქრობთ, ჩაფიქრებული ჰქონდათ ჩვენი დახოცვა, სანამ ანტიპუსი მათ დაეწოდა, ამგვარად, არ იქნებოდნენ ჩვენი ხალხით ალყაში მოქცეულნი.

38 ახლა, ანტიპუსმა, იხილარა ჩვენი საშიში მდგომარეობა, ააჩქარა თავისი ჯარის სვლა. მაგრამ, აჰა, დაღამდა; ამიტომ, ისინი ვერ დაგვეწვივნენ, ვერც ანტიპუსი დაეწია მათ, ამიტომ, ღამით დავებნაკდით.

39 და იყო ასე, რომ გათენებამდე, აჰა, ლამანიელები უკვე მოგვედევდნენ. ახლა, ჩვენ არ ვიყავით საკმარისად ძლიერნი, რომ მათ შევბრძოლებოდით; დიახ, არ დავუშვებდი, რომ ჩემი ახალგაზრდა შვილები მათ ხელში ჩაცვენილიყვნენ, ამიტომ, გავაგრძელეთ სვლა და უდაბნოსკენ გავემართეთ.

40 ახლა, ისინი ვერ ბედავდნენ

ვერც მარჯვნივ მოხვევას, ვერც მარცხნივ, რომ ალყაში არ მოქცეულიყვნენ; არც მე არ მოგუხვევდი მარჯვნივ ან მარცხნივ, რათა არ დამწეოდნენ და მათ წინ ვერ დაუდგებოდით, რადგან დაგვხოცავდნენ და გაქცევას მოახერხებდნენ; ამიტომ, მთელი დღე გავრბოდით უდაბნოში, დაღამებამდეც კი.

41 და იყო ასე, რომ კვლავ, როდესაც დილის შუქმა გამოანათა, ვიხილეთ მომდევარი ლამანიელები და ჩვენ მათ გავექეცით.

42 მაგრამ, იყო ასე, რომ მათ დიდხანს არ გვდიეს, რადგან გაჩერდნენ; და ეს იყო მეშვიდე თვის მესამე დღის დილით.

43 და ახლა, არ ვიცოდით, დაეწია თუ არა მათ ანტიპუსი, მაგრამ მე ჩემ ჯარისკაცებს ვუთხარი: აჰა, ჩვენ არ ვიცით, მაგრამ ისინი შეიძლება შეჩერდნენ იმისათვის, რომ ჩვენ მათ თავს დავესხათ, რათა თავიანთ მახეში გაგვაბან;

44 ამიტომ, რას იტყვით, ჩემო შვილებო, წახვალთ მათ წინააღმდეგ საბრძოლველად?

45 და ახლა, მე გეუბნები, ჩემო საყვარელო ძმავ, მორონ, რომ არასდროს მინახავს ასეთი დიდი სიმამაცე ნეფიელთა შორის.

46 რადგან მე ყოველთვის ვუწოდებდი მათ ჩემს შვილებს (რადგან ყოველი მათგანი ძალზედ ახალგაზრდა იყო) მიუხედავად ამისა, მათ მითხრეს: მამა, აჰა, ჩვენი ღმერთი არის

ჩვენთან და იგი არ დაუშვებს, რომ დავეცეთ; ამიტომ, მოდი წინ წავიდეთ; ჩვენ ძმებს არ დავხოცავდით, მათ ჩვენთვის თავი რომ დაენებებინათ; ამიტომ, მოდი წავიდეთ, რათა მათ ანტიპუსის ჯარს არ სძლიონ.

47 ახლა, მათ არასდროს არ ეომათ, მაგრამ სიკვდილის არ ეშინოდათ; და თავისი მამების თავისუფლებახე უფრო ფიქრობდნენ, ვიდრე საკუთარ სიცოცხლეზე; დიახ, დედებმა ასწავლეს, რომ, თუ არ დაექვედებიან, ღმერთი მათ გამოიხსნის.

48 და მათ გამიმეორეს თავიანთი დედების სიტყვები და თქვეს: ეჭვი არ გვეპარება, ჩვენმა დედებმა ეს იცოდნენ.

49 და იყო ასე, რომ შემოვტრიადი, ჩემი ორი ათასით, ლამანიელთა წინააღმდეგ, რომლებიც ჩვენ მოგვდევენ. და ახლა, აჰა, ანტიპუსის ჯარი მათ დაეწია და დაიწყო საშინელი ბრძოლა.

50 ანტიპუსის ჯარი დადლილი იყო მცირე დროის განმავლობაში გრძელი ლაშქრობის გამო, ლამის ლამანიელთა ხელში ჩაცვინილიყვნენ; და რომ არ დავბრუნებუდიყავი ჩემი ორი ათასით, ისინი მიზანს მიადწევდნენ.

51 რადგან ანტიპუსი მახვილით დაეცა და მრავალი მათი წინამძღოლიც, დადლილობის გამო, რაც გამოწვეული იყო მათი ლაშქრობის სიჩქარით; ამიტომ, ანტიპუსის ჯარისკაცები

დაბნეულები იყვნენ რა თავიანთი წინამძღოლების დაცემით, იწყებდნენ ლამანიელებისაგან უკან დახევას.

52 და იყო ასე, რომ ლამანიელები გამხნევდნენ და მათ დაედევნენ; და ამგვარად, ლამანიელები მათ მთელი ძალით მისდევდნენ, როდესაც ჰელამანი დაესხა თავს ზურგიდან თავისი ორი ათასით და დაიწყო მათი დიდი ოდენობით ხოცვა ისე, რომ ლამანიელთა მთელი ჯარი გაჩერდა და ჰელამანისკენ შემობრუნდა.

53 ახლა, როდესაც ანტიპუსის ჯარისკაცებმა იხილეს, რომ ლამანიელებმა მათ ზურგი აქციეს, შეაგროვეს თავიანთი ადამიანები და კვლავ დაესხნენ ლამანიელებს ზურგიდან.

54 და ახლა, იყო ასე, რომ ჩვენ, ნეფის ხალხმა, ანტიპუსის ხალხმა და მე ჩემი ორი ათასით, ალყაში მოვაქციეთ ლამანიელები და დავხოცეთ; დიახ, ისე, რომ იძულებულები იყვნენ საომარი იარაღი დაეყარათ და ტყვეებად ჩაგვბარებოდნენ.

55 და ახლა, იყო ასე, რომ როდესაც დაგვენებდნენ, აჰა, მე დავითვალე ეს ახალგაზრდა კაცები, რომლებიც ჩემთან ერთად იბრძოდნენ, მეშინოდა რა, რომ მრავალი მათგანი იყო მოკლული.

56 მაგრამ, აჰა, ჩემდა გასახარად, არცერთი მათი სული არ იყო მიწაზე დაცემული; დიახ,

ისინი იბრძოდნენ, ვითარცა ღვთის ძალით; დიახ, არასდროს არ ყოფილა ცნობილი, რომ ადამიანი იბრძოდეს ასეთი სასწაულებრივი ძალით; და ისეთი სასწაულებრივი ძალით დაესხნენ ისინი ლამანიელებს, რომ მათ შეეშინდათ; და ამის გამო ლამანიელები ტყვეებად ჩაგვბარდნენ.

57 და რადგან ტყვეებისთვის არ გვქონდა ადგილი, რომ მათთვის გვეუშაგა და დაგვეცვა ლამანიელთა ჯარებისგან, ისინი გავავ ზავნეთ ზარაჰემლას მიწაზე და მათთან ერთად ანტიპუსის ადამიანების ის ნაწილი, რომლებიც არ დაიხოცნენ; და დანარჩენები ავიყვანე და ჩემს ახალგაზრდა ამონიელებს შევუერთე და უკან, ქალაქ იუდეისკენ გავემართეთ.

თავი 57

ჰელამანი აღწერს ქალაქ ანტიპარას აღებას, ქალაქ კუმენის დათმობას და მოგვიანებით მის დაცვას. მისი ამონიელი ახალგაზრდები მამაცურად იბრძვიან; ყველა დაიჭრება, მაგრამ არცერთი არ მოკვდება. გიდი ატყობინებს ლამანიელი ტყვეების დახოცვისა და გაქცევის შესახებ. დაახლოებით 63 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და ახლა, იყო ასე, რომ ამორონისგან წერილი მივიღე. მეფე აცხადებდა, რომ თუ გადავცემდი

იმ სამხედრო ტყვეებს, რომლებიც ჩვენ დავატყვევეთ, მაშინ იგი ქალაქ ანტიპარას გადაგვცემდა.

2 მაგრამ, მეფეს წერილში მივწერე, რომ დარწმუნებულნი ვიყავით, ჩვენს ძალებს ჰქონდა შესაძლებლობა, ქალაქი ანტიპარა აეღო საკუთარი ძალებით; და ტყვეების გადაცემით იმ ქალაქის სანაცვლოდ, ჩვენ უგუნურად მოვიქცეოდით და რომ მხოლოდ გაცვლის პირობით გადავცემდით ჩვენს ტყვეებს.

3 და ამორონმა უარყო ჩემი წერილი, რადგან არ სურდა ტყვეების გაცვლა; ამიტომ, დავიწყეთ მზადება ქალაქ ანტიპარაზე თავდასხმისთვის.

4 მაგრამ ქალაქ ანტიპარას ხალხმა დატოვა ქალაქი და თავიანთ სხვა ქალაქებში გაიხიზნა, რომლებიც მათ მფლობელობაში იყო, რათა ის ქალაქები გაემარებინათ; და ამგვარად, ქალაქი ანტიპარა ჩვენ ხელში ჩავარდა.

5 და ასე დამთავრდა მოსამართლეთა მმართველობის ოცდამეგრე წელი.

6 და იყო ასე, რომ ოცდამეცხრე წლის დასაწყისში ჩვენ მივიღეთ სურსათ-სანოვავის მარაგი და ასევე ჩვენი ჯარისათვის დამატებითი ძალები ზარაჰემლას მიწიდან და მის გარშემო მიწებიდან, ექვსი ათასი კაცის როდენობით, ამონიელთა სამოცი შვილის გარდა, რომლებიც

მოვიდნენ, რომ შეერთებოდნენ თავიანთ ძმებს, ჩემს პატარა ორათასიან რაზმს. და ახლა, აჰა, ჩვენ ვიყავით ძლიერნი, დიახ, ჩვენ ასევე უხვად სურსათ-სანოვავე გვექონდა მიღებული.

7 და იყო ასე, რომ ჩვენი სურვილი იყო, დაგვეწყო ბრძოლა ჯართან, რომელიც განლაგებული იყო ქალაქ კუმენის დასაცავად.

8 და ახლა, აჰა, მე გაჩვენებ, რომ მალე ავისრულეთ ჩვენი სურვილი; დიახ, ჩვენი ძლიერი ძალებით ანუ ჩვენი ძლიერი ძალების ნაწილით, დამე, ალყაში მოვაქციეთ ქალაქი კუმენი, სურსათ-სანოვავის მარაგის მიღებამდე ცოტა ხნით ადრე.

9 და იყო ასე, რომ დავბანაკდით ქალაქის გარშემო მრავალი დამის განმავლობაში; მაგრამ, გვეძინა ჩვენს ხმლებზე და გვეყავდა გუშაგები, რომ ლამანიელები არ დაგვსხმოდნენ თავს დამით და არ დავეხოცეთ, რაც მათ ბევრჯერ სცადეს; მაგრამ, რამდენჯერაც სცადეს, იმდენჯერ დაიღვარა მათი სისხლი.

10 მოგვიანებით მათი სურსათ-სანოვავის მარაგი მოიტანეს და აპირებდნენ ქალაქში დამე შესვლას. მაგრამ ჩვენ, ლამანიელების ნაცვლად, ნეფიელები აღმოვჩნდით; ამიტომ, შევიპყართ ისინი და მათი სურსათ-სანოვავე.

11 მიუხედავად იმისა, რომ ლამანიელები ამგვარად მოკვე-

თილნი იყვნენ დახმარებისგან, მაინც გადაწყვეტილი ჰქონდათ ქალაქის დაცვა; ამიტომ, საჭირო გახდა, აგველო ეს სურსათ-სანოვაგე და გაგვეზავნა იუდეაში და ტყვეები – ზარაჰემლას მიწაზე.

12 და იყო ასე, რომ არ გასულა მრავალი დღე, როდესაც დახმარების ყველა იმედი გაქარწყლდა ლამანიელთათვის; ამიტომ, ქალაქი ხელში გადმოგვცეს; და ასე აღვასრულეთ ჩვენი ჩანაფიქრი ქალაქ კუმენის ასაღებად.

13 და იყო ასე, რომ ჩვენი ტყვეები იმდენად მრავალრიცხოვანნი იყვნენ, რომ დიდი სიმრავლის მიუხედავად, იძულებულები ვიყავით მთელი ძალები გამოგვეყენებინა მათ დასაცავად ან უნდა დაგვეხოცა ისინი.

14 რადგან, აჰა, გარბოდნენ დიდი ჯგუფებით და ქვებითა და ჯოხებით ან ყველაფრით, რაც ხელში მოხვდებოდათ, იბრძოდნენ, ამგვარად, ორ ათასამდე მათგანი დავხოცეთ მას შემდეგ, რაც სამხედრო ტყვეებად ჩავგვბარდნენ.

15 ამიტომ, ჩვენთვის საჭირო გახდა მათთვის ან სიცოცხლე მოგვესწრაფებინა ან მახვილით ხელში დაგვეცვა ისინი ზარაჰემლას მიწამდე; და ასევე ჩვენი სურსათ-სანოვაგე იყო საკმარისი მხოლოდ ჩვენი ადამიანებისთვის, იმისდა მიუხედავად, რაც ლამანიელებს წავართვით.

16 და ახლა, ასეთ უმძიმეს პირობებში, ეს იქცა ძალზედ სერიოზულ საქმედ, რათა გადაწყვეტილება მიგველო ამ სამხედრო ტყვეების შესახებ; ამისდა მიუხედავად, გადავწყვიტეთ, ზარაჰემლას მიწაზე გაგვეზავნა ისინი; ამიტომ, გამოვეყავით ჯარისკაცების ნაწილი და ტყვეებზე მეთვალყურეობა გადავეცით, რათა ზარაჰემლას მიწაზე ჩაეყვანათ.

17 მაგრამ, იყო ასე, რომ მომდევნო დღეს ისინი დაბრუნდნენ. ახლა, აჰა, არ გამოგვითხეთ ტყვეების შესახებ; რადგან, აჰა, ლამანიელები მოდიოდნენ ჩვენზე და ისინი კარგ დროს მობრუნდნენ, რათა მათ ხელში ჩავარდნისგან გადავერჩინეთ. რადგან, აჰა, ამორონმა გამუგზავნა მათ დახმარება, სურსათ-სანოვაგის ახალი მარაგი და ასევე მრავალრიცხოვანი ჯარი.

18 და იყო ასე, რომ ის ჯარისკაცები, რომლებიც ტყვეებთან ერთად გავაგზავნეთ, დროულად მოვიდნენ მათ შესაჩერებლად, რადგან მათ ლამის იყო დაგვძლიეს.

19 მაგრამ, აჰა, ჩემი პატარა ორი ათას სამოციანი რაზმი იბრძოდა ყველაზე სასოწარკვეთილად; დიახ, ისინი მტკიცენი იყვნენ ლამანიელთა წინაშე და ხოცავდნენ ყველას, ვინც მათ ეწინააღმდეგებოდა.

20 და იმ დროს, როდესაც ჩვენი ჯარის დანარჩენი ნაწილი უკვე

მზად იყო ლამანიელებისგან უკან დაეხია, აჰა, ეს ორი ათას სამოცი იყო მტკიცე და შეუპოვარი.

21 დიახ, მემორჩილებოდნენ და ზუსტად ასრულებდნენ ბრძანების ყოველ სიტყვას; დიახ, მათ მიეცათ რწმენის შესაბამისად და მე გამახსენდა ის სიტყვები, რაც მათ მითხრეს, რომ დედებმა ასწავლეს.

22 და ახლა, აჰა, ამ ჩემი შვილებისადმი და იმ ჯარისკაცებისადმი, რომლებიც ამოვარჩიეთ ტყვეების გადასაცვანად, ვართ დავალებულნი ამ დიდი გამარჯვებისათვის; რადგან ეს მათ დაამარცხეს ლამანიელები; ამიტომაც ისინი უკან, ქალაქ მანტისკენ განდევნეს.

23 და ჩვენ ქალაქი კუმენი შევინარჩუნეთ და მახვილით ყველანი არ გავნადგურდით; ამისდა მიუხედავად, დიდი დანაკარგი ვიწვინეთ.

24 და იყო ასე, რომ მას შემდეგ, რაც ლამანიელები გაიქცნენ, მე დაუყოვნებლივ გავეცი ბრძანება, რომ ჩემი ჯარისკაცები, რომლებიც დაიჭრნენ, გამოერჩიათ მოკლულებიდან და ვბრძანე, რომ მათთვის ჭრილობები გადაეხვიათ.

25 და იყო ასე, რომ ასეთი იყო ორასი, ჩემი ორი ათას სამოციდან, რომლებიც სისხლის დაკარგვის გამო დაუძღურებულნი იყვნენ; ამისდა მიუხედავად, ღვთის სიკეთითა და ჩვენდა გასაოცრად, ასევე მთელი ჯარის

გასახარად, მათგან არცერთი სული არ დაღუპულა; დიახ, და არ იყო მათ შორის არცერთი სული, რომელსაც არ ჰქონდა მრავალი ჭრილობა მიღებული.

26 და ახლა, მათი გადარჩენა გასაოცარი იყო მთელი ჩვენი ჯარისათვის, დიახ, რადგან ცოცხლები გადარჩნენ, როდესაც მათი ათასობით ძმა დახოცეს. და ჩვენ სამართლიანად ვთლით, რომ ეს მოხდა ღვთის სასწაულებრივი ძალით, მათი ღრმა რწმენის გამო იმაში, რისი რწმენაც ასწავლეს – რომ არსებობს მართალი ღმერთი და ის, ვინც არ დაეჭვდება, მისი საოცარი ძალით იქნება დაცული.

27 ახლა, ასეთი იყო მათი რწმენა, ვისზეც ვლაპარაკობ; ისინი არიან ახალგაზრდები და მტკიცე გონება აქვთ და სასოება მუდამ ღმერთისთვის აქვთ მინდობილი.

28 და ახლა, იყო ასე, რომ როდესაც ამგვარად მოვრჩით დაჭრილებზე ზრუნვას და დავმარხეთ ჩვენი დახოცილები, ასევე ლამანიელთა დახოცილებიც, რომლებიც მრავალნი იყვნენ, აჰა, ჩვენ გიდს ვკითხეთ იმ ტყვეების შესახებ, რომლებიც ზარაჰემლას მიწაზე მათთან ერთად გაემართნენ.

29 ახლა, გიდი იყო მთავარსარდალი იმ რაზმისა, რომელიც დანიშნული იყო, რათა ისინი დაეცვათ გზაში იმ მიწისაკენ.

30 და ახლა, ეს არის სიტყვები,

რომლებიც გიღმა მითხრა: აჰა, ჩვენ დავიწყეთ სვლა ზარაჰემლას მიწისკენ, ჩვენს ტყვეებთან ერთად. და იყო ასე, რომ შევხვდით ჩვენი ჯარების მზვერავებით, რომლებიც ლამანიელთა ბანაკის სათვალთვალოდ იყვნენ გაგზავნილები.

31 და მათ შემოგვღაღადეს სიტყვებით: აჰა, ლამანიელთა ჯარები გაემართებიან ქალაქ კუმენისკენ და აჰა, ისინი მას თავს დაესხმიან, დიახ, და ჩვენს ხალხს გაანადგურებენ.

32 და იყო ასე, რომ ჩვენმა ტყვეებმა გაიგეს მათი ღაღადი, რის გამოც გათამამდნენ და წამოიწყეს ჩვენ წინააღმდეგ ჯახყი.

33 და იყო ასე: მათი აჯანყების გამო ჩვენ მათზედ ხმლები ავწიეთ. და იყო ასე, რომ ერთად გამოიქცნენ ჩვენს ხმლებზე, რითაც მათი უმეტესობა დაიხოცა; დანარჩენები გამოეხსნენ და გაიქცნენ.

34 და აჰა, როდესაც გარბოდნენ, ვერ ვეწოდით, ჩვენ სწრაფად გავემართეთ ქალაქ კუმენისკენ; და აჰა, დროზე მივედით, რომ დაგხმარებოდით ჩვენს ძმებს ქალაქის დაცვაში.

35 და აჰა, კვლავ გავთავისუფლდით მტრის ხელიდან. და კურთხეულია ჩვენი ღმერთის სახელი; რადგან, აჰა, ეს მან გამოგვიხსნა, დიახ, გააკეთა რა ეს დიდი საქმე ჩვენთვის.

36 ახლა, იყო ასე, რომ, როდესაც მე, ჰელამანმა, გიდის

სიტყვები მოვისმინე, აღვივსე ძალზედ დიდი სიხარულით ღვთის სიკეთისათვის, დაგვიცვარა, რომ ყველანი არ დავღუპულიყავით; დიახ, მე მწამს, რომ დახოცილთა სულები შევიდნენ ღვთის სავანეში.

თავი 58

ჰელამანი, გიდი და ტომნერი სამხედრო ფანდით იღებენ ქალაქ მანტის. ლამანიელები უკან იხევენ. ამონის ხალხის შვილები არიან დაცულნი, როდესაც მტკიცედ დგანან თავისუფლებისა და სარწმუნოების სადარაჯოზე. დაახლოებით 63-62 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და აჰა, ჩვენი შემდეგი მიზანი იყო ქალაქ მანტის აღება; მაგრამ, აჰა, არანაირი საშუალება არ იყო, რომ ისინი ქალაქიდან გამოგვეყვანა ჩვენი პატარა რაზმებით. რადგან, აჰა, მათ ახსოვდათ, რაც მანამდე გავაკეთეთ; ამიტომ, ვერ შევძელით გამაგრებებიდან მათი გამოტყუება.

2 და ისინი იმდენად აღემატებოდნენ ჩვენს ჯარს რიცხოვნობად, რომ ვერ ვებდავდით წინ გამოსვლას და მათზე მათსავე გამაგრებებზე თავდასხმას.

3 დიახ, საჭირო გახდა, რომ ჩვენი ხალხი გამოგვეყენებინა მიწის იმ ნაწილების დასაცავად, რომლებიც დავიბრუნეთ მფლობელობაში; ამიტომ, საჭირო

გახდა, რომ დავლოდებოდით, რათა მიგველო მეტი ძალები ზარაკემლას მიწიდან, ასევე სურსათ-სანოვაგის ახალი მარაგი.

4 და იყო ასე, რომ ამის გამო ჩვენი მიწის მმართველთან ელჩი გავაგზავნე, რათა შეგვეტყობინებინა მისთვის ჩვენი ხალხის მდგომარეობა. და იყო ასე, რომ ზარაკემლას მიწიდან სურსათ-სანოვაგესა და ძალებს დაველოდეთ.

5 მაგრამ, აჰა, ამან მხოლოდ მცირეოდენი სარგებელი მოგვიტანა; რადგან ლამანიელებიც ასევე ყოველდღიურად დიდ ძალებს იღებდნენ, ასევე ბევრ სურსათ-სანოვაგეს; და ასეთი იყო იმჟამად ჩვენი მდგომარეობა.

6 და ლამანიელები ხანდახან გვიტყვებდნენ, ჰქონდათ რა გადაწყვეტილი სამხედრო ფანდით ჩვენი განადგურება; ამისდა მიუხედავად, მათი თავშესაფრებისა და გამაგრებების გამო, ვერ ვახერხებდით მათთან ბრძოლის დაწყებას.

7 და იყო ასე, რომ ასეთ მძიმე პირობებში მოგვიწია ლოდინი მრავალი თვის განმავლობაში, სანამ ლამის არ დავიდუპეთ საკვების უკმარისობის გამო.

8 მაგრამ, იყო ასე, რომ მივიღეთ საკვები, რომელიც ჩვენ დასახმარებლად ორი ათასი ჯარისკაცის დაცვით მოგვიტანეს; და ეს იყო მთელი დახმარება, რაც მივიღეთ, რათა მტრის ხელში

ჩავარდნისგან გადაგვერჩინათავე და სამშობლო, დიახ, რომ დავპირისპირებოდით მტერს, რომელიც უთვალავი იყო.

9 და ახლა, ჩვენი სირთულეების მიზეზი ანუ მიზეზი იმისა, რომ არ გამოგვიგზავნეს მეტი ძალა, ჩვენთვის არ იყო ცნობილი; ამიტომ, ვიყავით დამწუხრებულნი და შიშით აღვისილნი, რომ ჩვენს მიწას არ მოვლენოდა ღვთის განაჩენი ჩვენს დასაქცევად და მთლიანად გასანადგურებლად.

10 ამიტომ, ღმერთისადმი ლოცვაში იღვრებოდა ჩვენი სული, რათა განვემტკიცებინეთ და გამოვეხსენით მტრის ხელიდან, დიახ, ასევე მოეცა ძალა, რათა შეგვენარჩუნებინა ქალაქები და მიწები და ქონება ჩვენი ხალხის მხარდასაჭერად.

11 დიახ, იყო ასე, რომ უფალმა, ჩვენმა ღმერთმა, ჩაგვისახა იმედი, რომ გამოგვიხსნიდა; დიახ, მშვიდობა აუწყა ჩვენს სულებს და გვიბოძა დიდი რწმენა და გვიბრძანა, რომ მასში გვექონოდა ჩვენი გამოხსნის იმედი.

12 და გავმხნევედით იმ მცირე ძალით, რომელიც მივიღეთ და გამბედაობით აღვივსეთ, რათა დაგვეძლია მტერი და შეგვენარჩუნებინა მიწები, ქონება და ცოლ-შვილი და ჩვენი თავისუფლების საქმე.

13 და ასე გამოვედით წინ, მთელი ჩვენი ძალით, ლამანიელთა წინააღმდეგ, რომლებიც

ქალაქ მანტიში იყვნენ; და კარვები გაეშალეთ უდაბნოს ნაპირთან, რომელიც იყო ქალაქთან ახლოს.

14 და იყო ასე, რომ მომდევნო დღეს, როდესაც ლამანიელებმა იხილეს, რომ უდაბნოს საზღვრებთან ვიმყოფებოდით, რომლებიც ქალაქთან ახლოს იყო, მათ მოაგზავნეს მხვერავები ჩვენ გარშემო, რათა გაეგოთ ჩვენი ჯარის რაოდენობა და სიძლიერე.

15 და იყო ასე, რომ, როდესაც იხილეს, რომ არ ვიყავით ძლიერი რიცხოვრივად და ეშინოდათ რა, რომ მოგკეთდით მათი დახმარებიდან, თუ არ გამოვიდოდნენ ჩვენ წინააღმდეგ საბრძოლველად და არ დაგეხოცავდნენ და ასევე ეგონათ რა, რომ ადვილად გაგვანადგურებდნენ თავიანთი უთვალავი ჯარით, ამიტომ დაიწყეს მზადება ჩვენ წინააღმდეგ საბრძოლველად.

16 და როდესაც ვიხილეთ, რომ ამზადებდნენ სამზადისს, რათა ჩვენ წინააღმდეგ გამოსულიყვნენ, აჰა, მე გიდს ვუბრძანე, ჯარისკაცების მცირე რაზმით დამალულიყო უდაბნოში, ასევე ტომნერიც მცირე რაზმით უნდა დამალულიყო უდაბნოში.

17 ახლა გიდი და მისი ჯარისკაცები იყვნენ მარჯვნივ და დანარჩენები მარცხნივ; და როდესაც ისინი ამგვარად დაიმალნენ, აჰა, დავრჩი ჩემი ჯარის

ნაწილით იმავე ადგილზე, სადაც თავდაპირველად კარვები გაეშალეთ, ველოდებოდით რა, როდის გამოვიდოდნენ ლამანიელები საბრძოლველად.

18 და იყო ასე, რომ ლამანიელები გამოვიდნენ თავიანთი უთვალავი ჯარით ჩვენ წინააღმდეგ. და როდესაც ისინი მოგვიახლოვდნენ და ლამის ხმლებით თავს დაგვესხნენ, მე ვუბრძანე ჯარისკაცებს, რომლებიც ჩემთან იყვნენ, რომ დაეხიათ უკან უდაბნოსკენ.

19 და იყო ასე, რომ ლამანიელები უკან დიდი სისწრაფით დაგვედევნენ, რადგან ძალზედ დიდი სურვილი ჰქონდათ, რომ დასახოცად შევეპყარით; ამიტომ, უდაბნოში გამოგვეყენენ და ჩვენ გიდისა და ტომნერის შუაში გავიარეთ, იმგვარად, რომ ლამანიელებს ისინი ვერ შეენიშნათ.

20 და იყო ასე, რომ როდესაც ლამანიელებმა ჩაიარეს ანუ როდესაც მათმა ჯარმა ჩაიარა, გიდი და ტომნერი გამოვიდნენ თავიანთი სამალავებიდან და გზა გადაუჭრეს ლამანიელთა მხვერავებს, რათა უკან ქალაქში ვერ დაბრუნებულიყვნენ.

21 და იყო ასე, რომ როდესაც გზა გადაუჭრეს, შემდეგ გაიქცნენ ქალაქისკენ და თავს დაესხნენ გუშაგებს, რომლებიც ქალაქის დასაცავად იყვნენ დატოვებულნი, ისე, რომ გაანადგურეს გუშაგები და ქალაქი აიღეს.

22 ახლა, ასე მოხდა იმის გამო, რომ ლამანიელებმა დაუშვეს, რომ მთელი მათი ჯარი, გარდა რამდენიმე გუშაგისა, უდაბნოში გაიტყუეს.

23 და იყო ასე, რომ გიდი და ტომნერი ასეთი ხერხით დაეუფლნენ მათ გამაგრებებს. და იყო ასე, რომ უდაბნოში დიდი ხნის მოგზაურობის შემდეგ, გეზი ავიღეთ ზარაჰემლას მიწისკენ.

24 და როდესაც ლამანიელებმა იხილეს, რომ ზარაჰემლას მიწისკენ მიემართებოდნენ, მათ ძალზედ შეეშინდათ, რათა ამგვარად არ ყოფილიყო დაგეგმილი მათი განადგურება; ამიტომ, მათ უკან უდაბნოსკენ დაიწყეს დახევვა, დიახ, იმავე გზით, რომლითაც მოვიდნენ.

25 და აჰა, დაღამდა და მათ გაშალეს კარვები, რადგან ლამანიელთა მთავარსარდლებს ეგონათ, რომ ნეფიელები დაიღალნენ ლაშქრობით; და ეგონათ, რომ მისდევდნენ მათ მთელ ჯარს, ამიტომ ქალაქ მანტიზე აღარ ფიქრობდნენ.

26 ახლა, იყო ასე, რომ, როდესაც დაღამდა, მე ვუბრძანე ჩემს ჯარისკაცებს, არ დაეძინათ და მიწა მანტისკენ სხვა გზით წავსულიყავით.

27 და ჩვენი ღამის ლაშქრობის გამო, აჰა, მომდევნო დღეს, ლამანიელებს გავცდით, ისე რომ ქალაქ მანტიში მათზე ადრე მივედით.

28 და იყო ასე, რომ ამ სა-

მხედრო ფანდით ჩვენ ავიღეთ ქალაქი მანტი სისხლისღვრის გარეშე.

29 და იყო ასე, რომ როდესაც ლამანიელთა ჯარები ქალაქთან მივიდნენ და იხილეს, რომ მომზადებულები ვიყავით მათ დასახვედრად, ისინი ძალზედ გაოცდნენ და შიშის თავზარი დაეცათ, ისე, რომ უდაბნოში გაიქცნენ.

30 და იყო ასე, რომ ლამანიელთა ჯარები გაიქცნენ მთელი მიწის ამ ნაწილიდან. მაგრამ, აჰა, მიწიდან მათ თან წაიყვანეს მრავალი ქალი და ბავშვი.

31 და ის ქალაქები, რომლებიც აღებულნი ჰქონდათ ლამანიელებს, ყოველი მათგანი, ამაჟამად ჩვენს მფლობელობაშია; და ჩვენი მამები, ქალები და ბავშვები უბრუნდებიან თავიანთ სახლებს – ყველანი, მათ გარდა, რომლებიც ლამანიელებმა დაატყვევეს და თან წაიყვანეს.

32 მაგრამ, აჰა, ჩვენი ჯარები იყო მცირერიცხოვანი, რათა დაგვეცვა ასეთი დიდი რაოდენობის ქალაქი და მამული.

33 მაგრამ, აჰა, ჩვენ ვანდობთ სასოებას ჩვენს ღმერთს, რომელმაც ამ მიწებზე გვიბოძა გამარჯვება, ასე რომ, დავიბრუნეთ ის ქალაქები და ის მიწები, რომლებიც ჩვენი საკუთრება იყო.

34 ახლა, ჩვენ არ ვიცით, რა მიზეზით არ გვაძლევს მეტ ძალას ხელისუფლება; არც იმ ადამიანებმა, რომლებიც ჩვენთან

მოვიდნენ, არ იციან, რატომ არ ვიღებთ მეტ ძალას.

35 აჰა, არ ვიცით, მაგრამ შეიძლება წარუმატებლები ხართ და მიიზიდეთ ძალები მიწის იმ ნაწილში; თუ ეს ასეა, მაშინ ჩვენ არ გვაქვს სურვილი ბუზღუნისა.

36 და თუ ეს ასე არ არის, აჰა, ჩვენ ვშიშობთ, რომ ხელისუფლებაში არის რაღაც განხეთქილება, რადგან არ გვიგზავნიან მეტ ჯარისკაცებს დასახმარებლად; ვინაიდან ვიცით, რომ არიან მათზე უფრო მრავალრიცხოვანნი, რომლებიც გამოგვიგზავნენ.

37 მაგრამ, აჰა, ამას არ აქვს მნიშვნელობა – ჩვენ გვწამს, რომ ღმერთი გამოგვიხსნის ჩვენი ჯარების სისუსტის მიუხედავად. დიახ, გამოგვიხსნის მტრის ხელიდან.

38 აჰა, ეს არის ოცდამეცხრე წლის დასასრული და ჩვენს მიწებს დავეუფლეთ; და ლამანიელები ნეფის მიწისკენ გაიქცნენ.

39 და ამონის ხალხის ის შეილები, რომლებიც ასე დიდებულად მოვიხსენიე, ჩემთან არიან ქალაქ მანტიში და უფალი დაეხმარა მათ, დიახ, დაიცვა ისინი მახვილისაგან დაცემისგან ისე, რომ არცერთი სული არ დაღუპულა.

40 მაგრამ, აჰა, მათ მიიღეს მრავალი ჭრილობა, მიუხედავად ამისა მტკიცედ დგანან იმ თავისუფლებაში, რომლითაც ღმერთმა ისინი განათავისუფლა;

დიახ, ყოველდღიურად ბეჯითად იხსენებენ უფალს, თავიანთ ღმერთს, დიახ, გამუდმებით იცავენ მის წესებს, განაჩენებსა და მცნებებს; და მათი რწმენა მომავლის შესახებ წინასწარმეტყველებებში მტკიცეა.

41 და ახლა, ჩემო საყვარელო ძმაო მორონი, დაე, დაგიცვას უფალმა, ჩვენმა ღმერთმა, რომელმაც გამოგვისყიდა და გაგვანათავისუფლა, მარად გამოყოფოს თავის გარემოცვაში; დიახ, დაე, მოიწონოს ეს ხალხი, დიახ, რათა წარმატება გქონდეთ ყველაფრის დაუფლებაში, რაც ლამანიელებმა წაგვართვეს, რაც ჩვენს სარჩენად იყო. და ახლა, აჰა, მე ვასრულებ ჩემს წერილს. მე ვარ ჰელამანი, აღმას შვილი.

თავი 59

მორონი სთხოვს პახორანს, ჰელამანი გაამაგროს ძალებით. ლამანიელები იღებენ ქალაქ ნეფიპას. მორონი განრისხებულია ხელისუფლებაზე. დაახლოებით 62 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 ახლა, იყო ასე, ნეფის ხალხზე მოსამართლეთა მმართველობის ოცდამეათე წელს, მას შემდეგ, რაც მორონიმ მიიღო და წაიკითხა ჰელამანის წერილი, მას ძალზედ გაუხარდა ჰელამანის კეთილდღეობა, დიახ, დიდი წარმატება, რასაც ჰელამანმა მიადწია იმ მიწების დაბრუნებაში, რომლებიც დაკარგული იყო.

2 დიახ, მან მთელ თავის ხალხს აუწყა, მთელი მიწის შემოგარენში, იმ ნაწილის შესახებ, სადაც იგი იმყოფებოდა, რათა მათაც გახარებოდათ.

3 და იყო ასე, რომ დაუყოვნებლივ გაუგზავნა წერილი პახორანს, სურდა რა, რომ მას ებრძანა, შეეკრიბათ ჯარისკაცები ჰელამანის გასამაგრებლად ანუ ჰელამანის ჯარების, ისე, რომ მას ადვილად დაეცვა მიწის ის ნაწილი, რომლის დაბრუნებაც მან ასე საოცრად მოახერხა.

4 და იყო ასე, როდესაც მორონიმ გააგზავნა ეს წერილი ზარაკემლას მიწაზე, მან კვლავ დაიწყო გეგმის შედგენა, რათა შექმნებოდა იმ მამულებისა და ქალაქების დაუფლება, რომლებიც მათ ლამანიელებმა წაართვეს.

5 და იყო ასე, რომ იმ დროს, როდესაც მორონი ამგვარად ემზადებოდა ლამანიელთა წინააღმდეგ საბრძოლველად, აჰა, ნეფიჰას ხალხს, რომელიც ქალაქ მორონიდან და ქალაქ ლეხიდან და ქალაქ მორიანტონიდან იყო შეკრებილი, ლამანიელებმა შეუტყეს.

6 დიახ, ისინიც, რომლებიც იძულებულნი იყვნენ მანტის და გარშემო მდებარე მიწებიდან გამოქცეულიყვნენ, მოვიდნენ და ლამანიელებს შეუერთდნენ მიწის ამ ნაწილში.

7 და იყვნენ რა მეტისმეტად

მრავალრიცხოვანნი, დიახ, და ამორონის ბრძანებით იღებდნენ რა ყოველდღიურად ძალებს, გამოვიდნენ ნეფიჰას ხალხის წინააღმდეგ და დაიწყეს მათი ხოცვა, განსაკუთრებული სისასტიკით უღეტა.

8 და მათი ჯარები იმდენად მრავალრიცხოვანი იყო, რომ ნეფიჰას ხალხის დანარჩენი ნაწილი იძულებული იყო, გაქცეულიყო მათგან; და ისინი მოვიდნენ და მორონის ჯარს შეუერთდნენ.

9 და ახლა, რადგან მორონი თვლიდა, რომ უნდა გაეგზავნათ ჯარისკაცები ნეფიჰას ქალაქში, რათა ხალხს დახმარებოდნენ ქალაქის შესანარჩუნებლად და იცოდა რა, რომ ლამანიელთა ხელში ჩავარდნისაგან ქალაქის დაცვა უფრო ადვილი იყო, ვიდრე მისი მათგან განთავისუფლება, იგი თვლიდა, რომ ისინი ადვილად დაიცავდნენ ქალაქს.

10 ამიტომ, დაიტოვა მთელი თავისი ძალები, რათა დაეცვა ის ადგილები, რომლებიც დაიბრუნა.

11 და ახლა, როდესაც მორონიმ იხილა, რომ ქალაქი ნეფიჰა დაკარგულ იქნა, იგი ძალზედ დაღონდა და ჭოჭმანი დაიწყო, რომ თავისი ხალხის სიბოროტის გამო, ხომ არ ჩავარდებიან თავიანთი ძმების ხელში.

12 ახლა, იმავე დღეში იყო ყველა მისი მთავარსარდალი. ისინიც ჭოჭმანობდნენ და გაო-

ცებულნი იყვნენ საკუთარი ხალხის სიბოროტით; და ეს მათზე ლამანიელთა წარმატების გამო.

13 და იყო ასე, რომ მორონი ძალზედ განრისხდა ხელისუფლებაზე, საკუთარი ქვეყნის თავისუფლებისადმი მათი გულგრილობის გამო.

თავი 60

მორონი ჩივის პახორანთან, ჯარის მიმართ ხელისუფლების უგულვებელყოფაზე. უფალი უშვებს მართალთა ხოცვას. ნეფიელებმა უნდა გამოიყენონ მთელი ძალა და სახსრები, რათა განთავისუფლდნენ მტრისგან. მორონი იმუქრება ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლით, თუ მის ჯარებს არ აღმოუჩენენ დახმარებას. დაახლოებით 62 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და იყო ასე, რომ მან კვლავ მისწერა მიწის მმართველს, რომელიც იყო პახორანი; და ეს არის ის სიტყვები, რომლებიც მან მისწერა: აჰა, მე მივმართავ წერილით პახორანს, რომელიც არის მიწის მთავარი მოსამართლე და მმართველი ქალაქ ზარაჰემლაში, ასევე ყველას, რომლებიც არიან არჩეულნი ამ ხალხის მიერ, რათა უხელმძღვანელონ და მართონ ამ მიწის საქმენი.

2 რადგან, აჰა, მე მაქვს რაღაც სათქმელი მათ განსასჯელად; რადგან, აჰა, თავად იცით, რომ

დაგნიშნეს ხალხის შესაკრებად და მათი ხმლებითა და მახვილებით და ყოველგვარი საომარი იარაღით შესაიარაღებლად და ლამანიელთა წინააღმდეგ გასაგზავნად, სადაც არ უნდა შემოიჭრნენ ისინი ჩვენს მიწაზე.

3 და ახლა, აჰა, მე გეუბნებით, რომ თავად მე, ასევე ჩემმა ჯარისკაცებმა და ჰელამანმა და ასევე მისმა ჯარისკაცებმა, განსაკუთრებულად მძიმე ტანჯვა გადავიტანეთ; დიახ, შიმშილი, წყურვილი და დაქანცულობა და ყველანაირი გაჭირვება.

4 რადგან, აჰა, ეს რომ ყოფილიყო ყველაფერი, რაც გადავიტანეთ, არ ვიბუზღუნებდით და არც დავიჩივლებდით.

5 მაგრამ, აჰა, დიდი იყო ხოცვა-ჟლეტა ჩვენს ხალხში; დიახ, მახვილისგან ათასობით ადამიანი დაეცა, როდესაც შეიძლებოდა ყველაფერი სხვანაირად ყოფილიყო, თქვენ რომ მოგემარაგებინათ ჩვენი ჯარები საკმარისი ძალითა და დახმარებით. დიახ, დიდი იყო თქვენი უგულვებელყოფა ჩვენ მიმართ.

6 და ახლა, აჰა, ჩვენ გვსურს, რომ ვიცოდეთ ამ დიდი უგულვებელყოფის მიზეზი; დიახ, გვსურს, რომ ვიცოდეთ თქვენი უდარდელი მდგომარეობის მიზეზი.

7 ნუთუ ფიქრობთ, თქვენს ტახტზე დასხდებით, უდარდელად გაშეშებულნი, იმ დროს, როდესაც თქვენი მტერი თქვენ

გარშემო სასიკვდილო საქმეს ავრცელებს? დიახ, იმ დროს, როდესაც ისინი ათასობით თქვენს ძმას ხოცავენ –

8 დიახ, მათაც კი, რომლებიც შემოგყურებენ დასაცავად, დიახ, დაგნიშნეს რა ამ თანამდებობაზე, რათა მათთვის დახმარება შეძლოთ, დიახ, თქვენ შეგეძლოთ მათთვის ჯარების გაგზავნა, რათა გაგემარებინათ და გადაგერჩინათ ათასობით მათგანი, რომ არ დაცემულიყვნენ მახვილისგან.

9 მაგრამ, აჰა, ეს არ არის ყველაფერი, თქვენ შეუჩერეთ სურსათი ისე, რომ მრავალი იბრძოდა, სისხლისღვრით სიცოცხლეს სწირავდა თავიანთი დიდი სურვილის – ამ ხალხის კეთილდღეობისათვის; დიახ, და ასე მოიქცნენ მაშინ, როდესაც ლამის შიმშილისგან დაიღუპნენ, თქვენი მეტისმეტი უგულბეღყოფის გამო მათ მიმართ.

10 და ახლა, ჩემო საყვარელო ძმებო – რადგან გმართებთ, იყოთ საყვარელნი; დიახ, უფრო მეტი სიბეჯითე უნდა გამოგჩინათ ამ ხალხის კეთილდღეობისა და თავისუფლებისათვის; მაგრამ, აჰა, თქვენ ისინი უგულბეღყოფით, ისე, რომ ათასების სისხლი დაგაწვებათ თავზე შურისგებისათვის; დიახ, რადგან ღმერთისათვის ცნობილია მათი დაღადი და ყველა მათი გაჭირვება –

11 აჰა, ნუთუ გეგონათ, რომ ისხდებით თქვენს ტახტებზე

და ღმერთის დიდი სიკეთის გამო არაფერს არ მოიმოქმედებდით და იგი გამოგიხსნიდათ? აჰა, თუ ასე ფიქრობდით, მაშინ ამოდ ფიქრობდით ასე.

12 ნუთუ გეგონათ, რომ ამდენი თქვენი ძმა საკუთარი სიბოროტის გამო იქნა მოკლული? მე გეუბნებით, თუ ასე ფიქრობდით, მაშინ ამოდ ფიქრობდით ასე, რადგან გეუბნებით, მრავალი დაეცა მახვილისგან და აჰა, ეს არის თქვენს განსასჯელად;

13 რადგან უფალი დაუშვებს, რომ მართალნი იქნენ დახოცილნი, რათა მისი სამართალი და სასჯელი მოეგლინოს ბოროტთ; ამიტომ, ნუ გგონიათ, რომ მართალნი დაიკარგნენ, რადგან დახოცეს; არამედ, აჰა, ისინი შედიან უფლის, თავიანთი ღმერთის, სავანეში.

14 და ახლა, აჰა, გეუბნებით, ძალზედ ვშიშობ, რომ ღმერთის სასჯელი მოეგლინება ამ ხალხს, მათი მეტისმეტი სიზარმაცის გამო, დიახ, ჩვენი ხელისუფლების სიზარმაცისა და მის მიერ საკუთარი ძმების უგულბეღყოფისთვის, დიახ, მათი, რომლებიც დახოცილ იქნენ.

15 რადგან, რომ არა ის სიბოროტე, რომელიც თავდაპირველად დაიწყო ჩვენს მიწაზე, ჩვენ შევძლებდით მტრის დამარცხებას ისე, რომ ის ვერ შეძლებდა ჩვენზე ძალაუფლების მოპოვებას.

16 დიახ, რომ არ დაწყებულიყო

ჩვენ შორის ომი; დიახ, რომ არ ყოფილიყვნენ ეს მეფის მომხრენი, რომლებმაც ჩვენ შორის ამდენი სისხლისღვრა გამოიწვიეს; დიახ, იმ დროს, როდესაც ერთმანეთში ვბჭობდით ჩვენი ძალების გაერთიანებაზე ისე, როგორც მანამდე ვაკეთებდით; დიახ, რომ არ ყოფილიყო სწრაფვა ძალისა და უფლებამოსილებისათვის, რაც მეფის მომხრეებს სურდათ, რათა ყოფილიყვნენ ერთგულნი ჩვენი თავისუფლების საქმისა და გაერთიანებულიყვნენ ჩვენთან და ჩვენი მტრის წინააღმდეგ წამოსულიყვნენ, ნაცვლად იმისა, რომ ჩვენ წინააღმდეგ აღმართეს ხმლები, რაც გახდა ჩვენ შორის ასეთი დიდი სისხლისღვრის მიზეზი; დიახ, მათ წინააღმდეგ რომ წავსულიყავით უფლის ძალით, მტერს გავფანტავდით, რადგან ეს მოხდებოდა მისი სიტყვის შესასრულებლად.

17 რადგან, აჰა, ახლა ლამანიელები მოდიან ჩვენზე, იპყრობენ ჩვენს მიწებს და მახვილით ხოცავენ ჩვენს ხალხს, დიახ, ქალებსა და ბავშვებს, ასევე ტყვეებად მიჰყავთ და აიძულებენ ყველანაირი გაჭირვების ატანას და ყოველივე ეს მათი დიდი სიბოროტის გამო, რომლებიც ისწრაფიან ძალისა და უფლებამოსილებისკენ, დიახ, მეფის მომხრეები.

18 მაგრამ, რატომ უნდა ვილაპარაკო ამაზე? ვინაიდან ჩვენ

არ ვიცით, იქნებ თქვენ თვითონ ისწრაფით ხელისუფლებისკენ. რა ვიცით, იქნებ თქვენც ასევე ხართ თქვენი სამშობლოს მოღალატენი.

19 ან იქნებ ყურადღებას არ გვაქცევთ, რადგან ჩვენი ქვეყნის შუაგულში ხართ, უსაფრთხო გარემოცვაში, იქნებ მაგის გამო არ ბრძანებთ ჩვენთვის საკვებისა და ჯარისკაცების გამოგზავნას ჩვენი ჯარების გასამაგრებლად?

20 ნუთუ დაგავიწყდათ უფლის, თქვენი ღმერთის, მცნებები? დიახ, ნუთუ დაგავიწყდათ ჩვენი მამების ტყვეობა? ნუთუ დაგავიწყდათ, რამდენჯერ ვიყავით გამოხსნილნი მტრის ხელიდან?

21 ნუთუ გგონიათ, რომ უფალი მაინც გამოგვიხსნის იმ დროს, როდესაც ტახტზე ვსხედვართ და არ ვიყენებთ საშუალებებს, რომლებიც უფალმა გვიბოძა?

22 დიახ, ნუთუ დასხდებით უსაქმურად, ათასობით გარშემორტყმულნი, დიახ, და ათობით ათასები, რომლებიც ასევე უსაქმურად სხედან, იმ დროს, როდესაც გარშემო მიწის საზღვრებზე ათასები ეცემიან მახვილისგან, დიახ, დაჭრილები და სისხლისგან დაცლილნი?

23 ნუთუ გგონიათ, რომ ღმერთი შემოგხედავთ, როგორც უდანაშაულოებს, იმ დროს, როდესაც წყნარად სხედხართ და უყურებთ ამ ყველაფერს? აჰა, მე თქვენ გუბნებით: არა. ახლა, მე მსურს,

რომ გაიხსენოთ ღმერთის ნათქვამი, რომ ჭურჭელი გაირეცხება ჯერ შიგნიდან და შემდეგ ასევე გაირეცხება გარედან.

24 და ახლა, თუ არ მოინანიებთ იმას, რაც ჩაიდინეთ, თუ არ წამოღებთ და არ დაიწყებთ მოქმედებას და არ გამოაგზავნით საკვებსა და ჯარისკაცებს ჩვენთვის, ასევე ჰელამანისთვის, რათა დაიცვას ჩვენი ქვეყნის ის მხარეები, რომლებიც დაიბრუნა; რომ ჩვენც ასევე დავიბრუნოთ ამ მხარეში ჩვენი სამფლობელოების ნარჩენები, აჰა, საჭიროა, რომ აღარ დაუჟიროსპირდეთ ღამანიელებს, სანამ არ გავრეცხავთ ჩვენს ჭურჭელს შიგნიდან, დიახ, ჩვენი ხელისუფლების დიად მთავრობას.

25 და თუ არ დააკმაყოფილებთ ჩემი წერილის მოთხოვნას, არ გამოხვალთ და არ მჩვენებთ თავისუფლების ჭეშმარიტ სულისკვეთებას და არ შეეცდებით ჩვენი ჯარების გაძლიერებასა და გამაგრებას და არ უბოძებთ საკვებს მათ დასახმარებლად, აჰა, მე დავტოვებ ჩემს თავისუფლების მომხრეების ნაწილს, რათა დაიცვან მიწის ეს ნაწილი და დავტოვებ მათზე ღმერთის ძალას და კურთხევას, რომ ვერანაირმა ძალამ ვერ იმოქმედოს მათ წინააღმდეგ -

26 და ეს მათი ღრმა რწმენისა და მოთმინების გამო, თავიანთი განსაცდელისას -

27 და მოვალ თქვენთან და

თუ იქნება თქვენ შორის ვინმე, ვისაც აქვს თავისუფლების სურვილი, დიახ, თუ იქნება თავისუფლების ნაპერწკალიც კი დარჩენილი, აჰა, მე გავადვივებ აჯანყებას თქვენში, სანამ არ ამოწყდებიან ისინი, რომლებსაც სურთ ძალისა და უფლებამოსილების მიტაცება.

28 აჰა, არ მეშინია არც თქვენი ძალის და არც თქვენი უფლებამოსილების, მაგრამ ვისიც მეშინია, არის ჩემი ღმერთი; და ეს არის მისი მცნებების შესაბამისად, რომ ვიღებ ხმალს და ვიცავ ჩემი სამშობლოს საქმეს, ეს თქვენი ურჯულოების გამო ვიწვინეთ ასეთი დიდი დანაკარგი.

29 აჰა, დადგა დრო, დიახ, ახლა არის ჟამი, რომ თუ თავს ძალას არ დაატანთ, არ დადგებით თქვენი სამშობლოსა და ბავშვების დასაცავად, სამართლის მახვილი აღმართულია თქვენზე; დიახ, იგი დაგეცემათ და სრული განადგურებითა ცმოგველინებათ.

30 აჰა, თქვენგან დახმარებას ველოდები და თუ არ გაგვიწევთ დახმარებას, აჰა, მოვალ თქვენთან, ზარაჰემლას მიწაზე და მახვილით დაგამარცხებთ ისე, რომ აღარ გექნებათ ძალა, წინააღმდეგობა გაუწიოთ ამ ხალხის წინსვლას ჩვენი თავისუფლების საქმეში.

31 რადგან, აჰა, უფალი არ დაუშვებს, რომ იცოცხლოთ და ჩაეფლოთ თქვენს ურჯულოებაში,

რათა გაანადგუროთ მისი მართალი ხალხი.

32 აჰა, ნუთუ ფიქრობთ, რომ უფალი დაგინდობთ და გამოვა ღამანიელთა წინააღმდეგ განსასჯელად, როდესაც ეს სიძულვილი თავიანთი მამების ჩვეულებებისგან არის გამოწვეული, დიახ, და ის გააღრმავებს მათ, ვინც ჩვენ განგვიდგა, იმ დროს, როდესაც თქვენი ურჯულოების მიზეზი არის თქვენს სიყვარულში დიდებისა და ამოუსაქმეებისადმი?

33 თქვენ იცით, რომ არღვევთ ღვთის კანონებს და იცით, რომ მათ ფეხქვეშ თელავთ. აჰა, უფალი მეუბნება: თუ ისინი, რომლებიც მმართველებად დანიშნეთ, არ მონიანიებენ თავიანთ ცოდვებსა და ურჯულოებას, უნდა წახვიდეთ მათ წინააღმდეგ საბრძოლველად.

34 და ახლა, აჰა, მე, მორონი, იძულებული ვარ მოვიქცე იმ აღთქმის შესაბამისად, რომელიც დავდე, რომ დავიცავ ჩემი ღმერთის მცნებებს; ამიტომ, მსურს, უერთგულთ ღვთის სიტყვას და სწრაფად გამომიგზავნოთ მე, ასევე ჰელამანს, სურსათი და ჯარისკაცები.

35 და აჰა, თუ ასე არ მოიქცევით, მე დაუყოვნებლივ მოვალ თქვენთან; რადგან, აჰა, ღმერთი არ დაუშვებს, რომ შიმშილისგან დავიღუპოთ, ამიტომ, იგი ჩვენ მოგვცემს საკვებს, მახვილითაც რომ მოუწიოს ამის გაკეთება.

ახლა, თქვენ იცით - ღვთის სიტყვა უნდა აღასრულოთ.

36 აჰა, მე ვარ მორონი, თქვენი მთავარსარდალი. ძალაუფლებისთვის კი არ ვიღწვი, არამედ მის დასამხობად. ვიღწვი არა ამ ქვეყნის პატივისცემისთვის, არამედ ჩემი ღმერთის დიდების, ჩემი სამშობლოს თავისუფლებისა და კეთილდღეობისთვის. და ასე ვასრულებ ჩემს წერილს.

თავი 61

პახორანი მორონის მოუთხრობს ხელისუფლების წინააღმდეგ ამბოხებისა და აჯანყების შესახებ. მეფის მომხრეები იპყრობენ ზარაჰმელას და ხდებიან ღამანიელთა მოკავშირეები. პახორანი ითხოვს სამხედრო დახმარებას აჯანყებულების წინააღმდეგ. დაახლოებით 62 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 აჰა, იყო ასე, რომ მალე, მას შემდეგ, რაც მორონიმ გაუგზავნა წერილი მთავარ მმართველს, მან მიიღო წერილი პახორანისგან, მთავარი მმართველისაგან. და ეს არის სიტყვები, რომლებიც მან მისწერა:

2 მე, პახორანი, ვარ რა ამ მიწის მთავარი მმართველი, ვუგზავნი ამ წერილს მორონის, ჯარის მთავარსარდალს. აჰა, გეუბნები, მორონ, რომ არ მიხარია თქვენი დიდი გაჭირვება, დიახ, ეს ამწუხრებს ჩემს სულს.

3 მაგრამ, აჰა, არიან ისეთნი, რომლებიც ხარობენ თქვენი გაჭირვებით, დიახ, იმდენად, რომ ჩემ წინააღმდეგ აჯანყდნენ და ასევე ჩემი ხალხის წინააღმდეგაც, რომლებიც თავისუფლების მომხრენი არიან, დიახ, და რომლებიც აჯანყდნენ, არიან ძალზედ მრავალრიცხოვანნი.

4 და ისინი, რომლებიც ცდილობდნენ ჩემთვის მოსამართლის სავარძლის ჩამორთმევას, იყვნენ მიზეზი ამ დიდი ურჯულობისა; რადგან იყენებდნენ დიდ პირფერობას და მრავალი ადამიანის გული შეიყვანეს შეცდომაში, რაც გახდება ჩვენში მწარე გაჭირვების მიზეზი; მათ შეაჩერეს სურსათის მოწოდება და დააშინეს თავისუფლების მომხრენი, რომ თქვენთან არ მოსულიყვნენ.

5 და აჰა, ისინი მდევნიდნენ და გიდუნის მიწაზე გავიქეცი, თან წავიყვანე იმდენი ადამიანი, რამდენის შეკრებაც შეუძელი.

6 და აჰა, მთელი მიწის ამ ნაწილზე გავავრცელე მოწოდება; და აჰა, ისინი ჩვენკენ იკრიბებიან ყოველდღიურად, რათა შეიარაღდნენ სამშობლოსა და თავისუფლების დასაცავად და უსამართლობისთვის შურის მისაგებად.

7 და ჩვენთან იმდენნი მოვიდნენ, რომ ისინი, რომლებიც ჩვენ წინააღმდეგ აჯანყდნენ, ბრძოლაში გამოვიწვიეთ, დიახ, ასე რომ მათ ჩვენი ეშინიათ და ვერ

ბედავენ წამოსვლას ჩვენ წინააღმდეგ საბრძოლველად.

8 ისინი დაეუფლნენ მიწას ანუ ქალაქ ზარაჰემლას; მეფე დაინიშნეს და მან ლამანიელთა მეფეს მისწერა და იმ წერილში იგი მასთან კავშირში გაერთიანდა; იმ კავშირში იგი შეუთანხმდა ქალაქ ზარაჰემლას დაკავებაზე და მას ჰგონია, რომ ეს ლამანიელებს მისცემს დანარჩენი მიწის დაპყრობის საშუალებას და თვითონ მეფედ დაინიშნება ამ ხალხზე, როდესაც მათ ლამანიელები დაიპყრობენ.

9 და ახლა, შენ წერილში გამიციხე, მაგრამ ეს არ არის მნიშვნელოვანი; განაწყენებული არ ვარ, არამედ მიხარია შენი გულის სიდიადე. მე, პახორანი, არ ვისწრაფი ძალაუფლებისკენ, მხოლოდ მსურს მოსამართლის სავარძლის შენარჩუნება ჩემი ხალხის უფლებებისა და თავისუფლების დასაცავად. ჩემი სული ურყევია იმ თავისუფლებაში, რომელშიც დმერთმა გავანთავისუფლა.

10 და ახლა, აჰა, ჩვენ წინ აღვუდგებით სიბოროტეს, სისხლისღვრითაც კი. ლამანიელთა სისხლს არ დავღვრიდით, თუ თავიანთ მიწაზე დარჩებოდნენ.

11 არ დავღვრიდით ჩვენი ძმების სისხლს, რომ არ აჯანყებულიყვნენ და არ აღეპართათ მახვილი ჩვენ წინააღმდეგ.

12 დავემორჩილებოდით მონობის უღელს, ეს თუ აუცილებელი

იქნებოდა ღმერთის სამართლი-
ანობისთვის ან თავად გვიბრძა-
ნებდა ამის გაკეთებას.

13 მაგრამ, აჰა, მან არ გვი-
ბრძანა, დავემორჩილოთ მტერს,
მაგრამ უნდა მივანდოთ მას სა-
სოება და იგი გამოგვიხსნის.

14 ამიტომ, ჩემო საყვარელო
ძმაო, მორონ, მოდი, შევეწინა-
აღმდეგოთ ბოროტს და ყველა-
ნაირ ბოროტებას, რომელსაც
ვერ შევეწინააღმდეგებით ჩვენი
სიტყვებით, დიახ, აჯანყებებსა
და უთანხმოებებს, მოდით წინ
აღვუდგეთ ხმლებით, რათა და-
ვიცვათ თავისუფლება, რომ გა-
ვიხაროთ ჩვენი ეკლესიის დიდი
მადლით, ჩვენი გამომსყიდვე-
ლისა და ღმერთის საქმისა-
თვის.

15 ამიტომ, მოდი ჩემთან სწრა-
ვად შენი რამდენიმე ჯარის-
კაცით და დანარჩენი დატოვე
ლეხისა და ტეანკუმის ხელ-
მძღვანელობის ქვეშ; მიეცი
ძალაუფლება, აწარმოონ ომი
მიწის იმ ნაწილში, ღმერთის
სულის შესაბამისად, რომელიც
არის ასევე მათში მყოფი თავის-
უფლების სული.

16 აჰა, მე გაეუგზავნე ცოტაო-
დენი სურსათი, რათა არ დაი-
ღუპონ, სანამ თქვენ ჩემთან არ
მოხვალთ.

17 ჩვენკენ წამოსვლისას ერთად
შეკრიბეთ ყველა ძალა, რასაც
შეძლებთ და წავალთ დაუყო-
ვნებლივ იმ განდგომილთა წინა-
აღმდეგ, ჩვენი ღმერთის ძალით,

რწმენის შესაბამისად, რომელიც
არის ჩვენში.

18 და ავიღებთ ქალაქ ზარა-
ჰემლას, რათა ვიშოვოთ უფრო
მეტი საკვები, რომ გაეუგზავ-
ნოთ ჩვენს ძმებს, ლეხისა და
ტეანკუმს; დიახ, ჩვენ წავალთ
მათ წინააღმდეგ უფლის ძალით
და ბოლოს მოვუღებთ ამ დიდ
ურჯულოებას.

19 და ახლა, მორონ, მე მი-
ხარია შენი წერილის მიღება,
რადგან ვწუხდი, რა უნდა გა-
გვეკეთებინა, იქნებოდა თუ არა
სამართლიანი ჩვენი ძმების წი-
ნააღმდეგ წასვლა.

20 მაგრამ, შენ თქვი, თუ არ
მოინანიებენ, უფალმა გიბრძანა,
წახვიდე მათ წინააღმდეგ.

21 თვალ-ყური ადევნე, რომ
უფალში განამტკიცო ლეხი და
ტეანკუმი; უთხარი, რომ არ ეში-
ნოდეთ, რადგან ღმერთი გამოი-
ხსნის მათ, დიახ, და ყველას,
რომლებიც მტკიცედ არიან თა-
ვისუფლებაში, რომლითაც
ღმერთმა ისინი გაანთავისუფლა.
და ახლა მე ვასრულებ ჩემს წე-
რილს, ჩემო საყვარელო ძმაო,
მორონ.

თავი 62

*მორონი მიემართება გიდეონის
მიწაზე პახორანის დასახმარებ-
ლად. მეფის მომხრეებს, რომლე-
ბიც უარს ამბობენ თავიანთი
სამშობლოს დაცვაზე, ხოცავენ.
პახორანი და მორონი ხელახლა*

იპყრობენ ნეფიჰას. მრავალი ლამანიელი უერთდება ამონის ხალხს. ტეანკუმი კლავს ამორონს და შემდეგ თავად კვდება. ლამანიელებს აძევენ მიწიდან და მშვიდობა მყარდება. ჰელამანი უბრუნდება მსახურებას და ეკლესიას ამტკიცებს. დაახლოებით 62-57 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და ახლა, იყო ასე, როდესაც მორონიმ მიიღო ეს წერილი, მისი გული გამხნედა და აღივსო ძალზედ დიდი სიხარულით პახორანის ერთგულების გამო, რომ იგი არ იყო თავისუფლებისა და თავისი სამშობლოს საქმის მოღალატე.

2 მაგრამ ასევე ძალზედ დაღონდა მათი ურჯულოების გამო, რომლებმაც განდევნეს პახორანი მოსამართლის სავარძლიდან ანუ მათ გამო, რომლებიც აჯანყდნენ თავიანთ სამშობლოსა და ასევე თავიანთი ღმერთის წინააღმდეგ.

3 და იყო ასე, რომ მორონიმ აიყვანა ჯარისკაცების მცირე ჯგუფი, პახორანის სურვილისამებრ, და დანარჩენი თავისი ჯარის მეთაურობა გადასცა ლეხისა და ტეანკუმს და გიდეონის მიწისკენ გაილაშქრა.

4 და მან აღმართა თავისუფლების აღამი ყველა ქალაქში, რომელშიც შევიდა; და აგროვებდა ყოველგვარ ძალას, რასაც შეძლებდა, გიდეონის მიწისკენ ლაშქრობისას.

5 და იყო ასე, რომ ათასობით შეიკრიბნენ მისი აღმის ქვეშ, აიღეს ხმლები თავიანთი თავისუფლების დასაცავად, რათა მონობაში არ ჩაცვნილიყვნენ.

6 და ასე, როდესაც მორონიმ ერთად შეკრიბა ჯარისკაცები, რომელთა შეგროვებაც ლაშქრობისას შეძლო, იგი მივიდა გიდეონის მიწაზე და შეუერთდა თავისი ძალებით პახორანის ძალებს და ისინი ძალზედ გაძლიერდნენ, გახდნენ პაქუსის ჯარისკაცებზე უფრო ძლიერნი, რომელიც იყო იმ განდგომილთა მეფე, რომლებმაც თავისუფლების მომხრეები განდევნეს ზარაჰემლას მიწიდან და მიწას დაეუფლნენ.

7 და იყო ასე, რომ მორონი და პახორანი ჩავიდნენ საკუთარი ჯარებით ზარაჰემლას მიწაზე და ქალაქის წინააღმდეგ გამოვიდნენ და პაქუსის ჯარისკაცებს შეხვდნენ ისე, რომ დაიწყეს ბრძოლა.

8 და აჰა, პაქუსი მოკლეს და მისი ჯარისკაცები დაატყვევეს და პახორანი აღადგინეს თავის მოსამართლის სავარძელზე.

9 და პაქუსის ჯარისკაცები გაასამართლეს კანონის შესაბამისად, ასევე მეფის ის მომხრეები, რომლებიც შეიპყრეს, საპყრობილეში ჩაყარეს და კანონის შესაბამისად სიკვდილით დასაჯეს; დიახ, პაქუსის ის ჯარისკაცები და მეფის მომხრეები, რომლებმაც უარყვეს იარაღის აღება

თავიანთი სამშობლოს დასაცავად და ისურვეს მის წინააღმდეგ ბრძოლა, სიკვდილით დასაჯეს.

10 და ამგვარად, გახდა აუცილებელი, რომ ეს კანონი მკაცრად დაეცვათ საკუთარი სამშობლოს უსაფრთხოებისთვის; დიახ, ნებისმიერს, რომელსაც იპოვიდნენ თავიანთი თავისუფლების მოწინააღმდეგეს, კანონის შესაბამისად, დაუყოვნებლივ სიკვდილით სჯიდნენ.

11 და ასე დასრულდა ნეფის ხალხზე მოსამართლეთა მმართველობის ოცდამეათე წელი; მორონიმ და პახორანმა ზარაკემლას მიწაზე მშვიდობა აღადგინეს თავიანთ საკუთარ ხალხში და სიკვდილით დასაჯეს ყველა, ვინც არ იყო თავისუფლების საქმის ერთგული.

12 და იყო ასე, ნეფის ხალხზე მოსამართლეთა მმართველობის ოცდამეთერთმეტე წლის დასაწყისში, მორონიმ უმაღლ ბრძანა, რომ სურსათი და ექვსი ათასი ჯარისკაცისგან შემდგარი ჯარი ჰელამანისთვის გაეგზავნათ, მიწის იმ ნაწილის დაცვაში დასახმარებლად.

13 და ასევე ბრძანა, რომ ექვსი ათასი ჯარისკაცისგან შემდგარი ჯარი, სურსათის საკმარისი მარაგით, გაეგზავნათ ლეხისა და ტეანკუმის ჯარებისთვის. და იყო ასე, რომ ეს მოიმოქმედეს ლამანიელთა წინააღმდეგ მიწის გასამაგრებლად.

14 და იყო ასე, რომ მორონიმ და პახორანმა ჯარისკაცების დიდი ნაწილი დატოვეს ზარაკემლას მიწაზე და ჯარისკაცების ასევე დიდი ნაწილით გაემართნენ ნეფიჰას მიწისკენ, ჰქონდათ რა გადაწყვეტილი ლამანიელების ქალაქიდან გაძევება.

15 და იყო ასე, რომ იმ დროს, როდესაც მიწისკენ მიემართებოდნენ, ლამანიელთა დიდი ჯგუფი შეიპყრეს, მრავალი მათგანი დახოცეს და მათი სანოვაგე და საომარი იარაღი აიღეს.

16 და იყო ასე, რომ მას შემდეგ, რაც ისინი შეიპყრეს, აიძულეს, აღთქმა დაედოთ, რომ აღარ აიღებდნენ საომარ იარაღს ნეფიელთა წინააღმდეგ.

17 და როდესაც ეს აღთქმა დაედეს, მათ გაუშვეს ისინი, რათა ეცხოვრათ ამონის ხალხთან და რომლებიც არ დახოცეს, რაოდენობით ოთხი ათასნი იყვნენ.

18 და იყო ასე, რომ როდესაც ისინი გაუშვეს, მათ გააგრძელეს ლაშქრობა ნეფიჰას მიწისკენ. და იყო ასე, რომ როდესაც ქალაქ ნეფიჰასთან მივიდნენ, მათ გაშალეს კარვები ნეფიჰას ველებზე, რომელიც ქალაქ ნეფიჰასთან ახლოს მდებარეობდა.

19 ახლა, მორონის სურდა, რომ ლამანიელები გამოსულიყვნენ ველებზე საბრძოლველად; მაგრამ ლამანიელებმა იცოდნენ რა მათი დიდი გამბედაობის შესახებ და ხედავდნენ რა მათ დიდ სიმრავლეს, ვერ ბედავდნენ მათ

წინააღმდეგ გამოსვლას; ამის გამო, ისინი იმ დღეს საბრძოლველად არ გამოსულან.

20 და როდესაც დადამდა, მორონი გამოვიდა ღამის წყვილადში და ქალაქის გალავანზე აძვრა სათვალთვალოდ, რათა გაეგო, ქალაქის რომელ ნაწილში იყვნენ ლამანიელები თავიანთი ჯარით დაბანაკებულნი.

21 და იყო ასე, რომ ისინი აღმოსავლეთით, შესასვლელთან იყვნენ და ყველას ეძინა. და ახლა, მორონი დაუბრუნდა თავის ჯარს და უბრძანა, სასწრაფოდ მოემზადებინათ მაგარი თოკები და კიბეები, რათა ზემოდან ჩამოეშვათ გალავნის შიდა მხარეს.

22 და იყო ასე, რომ მორონიმ თავის ჯარისკაცებს უბრძანა, რომ წინ წასულიყვნენ და გალავნის თავზე ამძვრალიყვნენ და ჩასულიყვნენ ქალაქის იმ ნაწილში, დიახ, დასავლეთით, სადაც ლამანიელები არ იყვნენ თავიანთი ჯარებით დაბანაკებულნი.

23 და იყო ასე, რომ ღამით ყველანი გადაძვრნენ, თავიანთი მაგარი თოკებისა და კიბეების მეშვეობით; ამგვარად, როდესაც გათენდა, ყოველი მათგანი ქალაქის გალავნის შიგნით იმყოფებოდა.

24 და ახლა, როდესაც ლამანიელებმა გაიღვიძეს და იხილეს, რომ მორონის ჯარები ქალაქის გალავნის შიგნით იმყოფებოდნენ, ძალზედ შეშინდნენ,

იმდენად, რომ გასასვლელიდან გარეთ გაიქცნენ.

25 და ახლა, როდესაც მორონიმ იხილა, რომ ისინი მისგან გარბოდნენ, მან უბრძანა თავის ჯარისკაცებს, გამოსულიყვნენ მათ წინააღმდეგ და მრავალი დახოცეს და ბევრიც ალყაში მოაქციეს და დაატყვევეს; დანარჩენნი გაიქცნენ მორონის მიწაზე, რომელიც ზღვის სანაპიროს საზღვრებთან მდებარეობდა.

26 ამგვარად, მორონიმ და პახორანმა აიღეს ქალაქი ნეფიჰა და არ დაკარგეს არც ერთი სული; და იქ იყო მრავალი ლამანიელი, რომლებიც დახოცეს.

27 ახლა, იყო ასე, რომ მრავალ დატყვევებულ ლამანიელს სურდა, ამონის ხალხს შეერთებოდა და თავისუფალი ხალხი ყოფილიყო.

28 და იყო ასე, რომ ყოველივეს, ვინც ასე მოისურვა, მიეცა სურვილისამებრ მოქცევის საშუალება.

29 ამიტომ, ყველა ლამანიელი ტყვე შეუერთდა ამონის ხალხს და დაიწყეს ბეჯითად შრომა, მიწის დამუშავება, ყველანაირი მარცვლეულის მოყვანა და ყოველნაირი წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონლის მოშენება; და ამგვარად, ნეფიელები განთავისუფლდნენ მძიმე ტვირთისგან; დიახ, ამგვარად ისინი განთავისუფლდნენ ყოველი ტყვე ლამანიელისგან.

30 ახლა, იყო ასე, რომ მორონიმ,

მას შემდეგ, რაც აიღო ქალაქი ნეფიჰა, დაატყვევა რა მრავალი ტყვე, რამაც ლამანიელთა ჯარები ძალზედ დაასუსტა და დაიბრუნა რა მრავალი ნეფიელი, რომელიც დატყვევებული იყო, რამაც მორონის ჯარი ძალზედ განამტკიცა; ამიტომ მორონი ნეფიჰას მიწიდან ლეხის მიწისკენ წავიდა.

31 და იყო ასე, რომ როდესაც ლამანიელებმა იხილეს, რომ მორონი მათ წინააღმდეგ მოდიოდა, მათ კვლავ შეეშინდათ და მორონის ჯარს გაექცნენ.

32 და იყო ასე, რომ მორონი და მისი ჯარი მათ მისდევდნენ ქალაქიდან ქალაქში, სანამ მათ არ შეხვდნენ ლეხი და ტეანკუმი; და ლამანიელები გაექცნენ ლეხისა და ტეანკუმს, თვით ზღვის სანაპიროს საზღვრებთან, სანამ მორონის მიწაზე არ მოვიდნენ.

33 და ლამანიელთა ჯარები ერთად შეიკრიბნენ, ამგვარად, ისინი გაერთიანდნენ მორონის მიწაზე. ახლა, მათთან ერთად იყო ამორონი, ლამანიელთა მეფე.

34 და იყო ასე, რომ მორონი, ლეხი და ტეანკუმი დაბანაკდნენ თავიანთი ჯარებით მორონის მიწის საზღვრების გარშემო, იმგვარად, რომ ლამანიელები გარშემორტყმულნი იყვნენ სამხრეთით უდაბნოს საზღვრებთან და აღმოსავლეთით უდაბნოს საზღვრებთან.

35 ამგვარად, ისინი ღამისთვის

დაბანაკდნენ. რადგან, აჰა, ნეფიელებიც და ასევე ლამანიელებიც ძალზედ დაქანცულები იყვნენ ლაშქრობის სიმძიმისგან; ამიტომ, ღამის განმავლობაში ვერაინ, ტეანკუმის გარდა, ვერანაირი სამხედრო ფანდის გამოყენება ვერ მოახერხა; რადგან იგი ძალზედ განრისხებული იყო ამორონზე, იმდენად, რომ თვლიდა, რომ ამორონი და მისი ძმა ამალიკია, იყვნენ ამ დიდი და ხანგრძლივი ომის მიზეზი მათსა და ლამანიელთა შორის, რამაც მოიტანა ამდენი ომი და სისხლისღვრა, ღიახ, და ასეთი დიდი შიმშილი.

36 და იყო ასე, რომ ტეანკუმი, თავის მრისხანებაში, მივიდა ლამანიელთა ბანაკში და გადაძვრა ქალაქის კედლებზე და გადადიოდა თოკით ერთი ადგილიდან მეორეზე, ისე, რომ მეფეს მიაგნო და შუბი სტყორცნა, რომელიც გულთან ახლოს ჩაერჭო. მაგრამ, აჰა, მეფემ გაიღვიძა და სანამ მოკვდებოდა, თავისი მსახურებიც გააღვიძა, ისე რომ ისინი ტეანკუმს გამოედევნენ და მოკლეს იგი.

37 ახლა, იყო ასე, რომ როდესაც ლეხიმ და მორონიმ გაიგეს, რომ ტეანკუმი მოკვდა, ისინი ძალზედ დაღონდნენ; რადგან, აჰა, იგი იყო კაცი, რომელიც მამაცად იბრძოდა თავის სამშობლოსთვის, ღიახ, თავისუფლების ჭკუშმარიტი ქომაგი; და მან გადაიტანა ძალზედ ბევრი

მძიმე გაჭირვება. მაგრამ, აჰა, იგი მოკვდა და წავიდა ყველა მიწიერის გზით.

38 ახლა, იყო ასე, რომ მორონი მომდევნო დღეს წინ წავიდა და თავს დაესხა ლამანიელებს ისე, რომ ისინი დიდი ხოცვა-ჟლეტით ამოხოცეს; და მიწიდან გააძევეს; და ისინი გაიქცნენ ისე, რომ ამჯერად ნეფიელების წინააღმდეგ აღარც მობრუნებულან.

39 და ასე დასრულდა ნეფის ხალხზე მოსამართლეთა მმართველობის ოცდამეთერთმეტე წელი; ამგვარად, მათ მრავალი წლის განმავლობაში ჰქონდათ ომები და სისხლისღვრა, შიმშილი და გაჭირვება.

40 და იყო მკვლევლობები, განხეთქილებები და განდგომა და ყოველნაირი ურჯულოება ნეფის ხალხს შორის; მიუხედავად ამისა, მართალთა გულისთვის, დიახ, მართალთა ღოცვების გამო, ისინი დაინდეს.

41 მაგრამ, აჰა, ნეფიელებსა და ლამანიელებს შორის მეტისმეტად ხანგრძლივი ომის გამო, მრავალთ გაიქვავეს გული მეტისმეტად ხანგრძლივი ომის გამო; და მრავალთ მოუღბათ გული, თავიანთი გაჭირვების გამო, იმდენად, რომ მათ ღმერთის წინაშე თავი დაიმდაბლეს, ღრმა თავმდაბლობითაც კი.

42 და იყო ასე, რომ მას შემდეგ, რაც მორონიმ გაამაგრა მიწის ის მხარეები, რომლებიც ყველაზე დაუცველი იყო ლა-

მანიელებისგან, სანამ ისინი საკმაოდ გაძლიერდნენ, იგი დაბრუნდა ქალაქ ზარაჰემლაში და ასევე ჰელამანი დაუბრუნდა თავის მეძკვიდრეობის ადგილს და ნეფის ხალხში კვლავ მშვიდობამ დაისადგურა.

43 და მორონიმ თავისი ჯარის მეთაურობა შვილს გადასცა, რომლის სახელი იყო მორონიჰა; და იგი განმარტოვდა საკუთარ სახლში, რათა დარჩენილი დღეები მშვიდად გაეტარებინა.

44 და პახორანი დაუბრუნდა მოსამართლის სავარძელს და ჰელამანმა კვლავ აიღო თავის თავზე ხალხისათვის ღმერთის სიტყვის ქადაგება; რადგან ამდენი ომისა და განხეთქილების გამო კვლავ აუცილებელი გახდა ეკლესიაში წესრიგის დამყარება.

45 ამიტომ, ჰელამანი და მისი ძმები დადიოდნენ და აუწყებდნენ ღვთის სიტყვას დიდი ძალით, მრავალი ადამიანის თავისავე სიბოროტეში დასარწმუნებლად, რაც მათ აიძულებდა საკუთარი ცოდვების მონანიებას და უფლისათვის, თავიანთი ღმერთისთვის, ნათლობას.

46 და იყო ასე, რომ მათ კვლავ განამტკიცეს ღმერთის ეკლესია მთელს მიწაზე.

47 დიახ, წესრიგი დამყარდა კანონთან დაკავშირებით. და არჩეულ იქნენ მათი მოსამართლეები და მთავარი მოსამართლეები.

48 და ნეფის ხალხმა კვლავ

დაიწყო აყვავება და გამრავლება მიწაზე და კვლავ ძალზედ განმტკიცდა იმ მიწაზე. და დაიწყეს მეტისმეტად გამდიდრება.

49 მაგრამ, მიუხედავად თავიანთი სიმდიდრის ან თავიანთი ძაღლის ან წარმატებისა, არ იყვნენ ამპარტავნობით აღზევებულნი საკუთარ თვალში; არც ზანტნი იყვნენ უფლის, თავიანთი ღმერთის, გახსენებაში; არამედ თავს უსახლვროდ იმდაბლებდნენ მის წინაშე.

50 დიახ, მათ ახსოვდათ, რა დიდი რამ გააკეთა მათთვის უფალმა, რომ გამოიხსნა სიკვდილისგან და მონობისგან, საპყრობილეებიდან და ყველანაირი გაჭირვებიდან და გამოიხსნა ისინი თავიანთი მტრის ხელიდან.

51 და ისინი გამუდმებით ღოცულობდნენ უფლისადმი, საკუთარი ღმერთისადმი, ისე, რომ უფალმა აკურთხა ისინი საკუთარი სიტყვის შესაბამისად, ამგვარად, ისინი მიწაზე აყვავდნენ და განმტკიცდნენ.

52 და იყო ასე, რომ ყოველივე ეს მოხდა. და ნეფის ხალხზე მოსამართლეთა მმართველობის ოცდამეთხუთმეტე წელს გარდაიცვალა ჰელამანი.

თავი 63

შიბლონი და მოგვიანებით ჰელამანი ეუფლებიან წმინდა ჩანაწერებს. მრავალი ნეფიელი გაემგზავრება ჩრდილოეთ

მიწისკენ. ჰაგოთი გემებს აშენებს, რომლებიც დასავლეთ ზღვაში ივლიან. მორონიჰა ბრძოლაში ამარცხებს ლამანიელებს. დაახლოებით 56-52 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და იყო ასე, რომ ნეფის ხალხზე მოსამართლეთა მმართველობის ოცდამეთექვსმეტე წელს, შიბლონი დაეუფლა იმ წმინდა საგნებს, რომლებიც აღმას მიერ ჰელამანს გადაეცა.

2 და იგი იყო მართალი კაცი და უბიწოდ დადიოდა ღმერთის წინაშე და მუდამ ცდილობდა სიკეთე ეკეთებინა, რათა უფლის, თავისი ღმერთის, მცნებები დაეცვა; და ასე იქცეოდა მისი ძმაც.

3 და იყო ასე, რომ მორონიც გარდაიცვალა. და ასე დასრულდა მოსამართლეთა მმართველობის ოცდამეთექვსმეტე წელი.

4 და იყო ასე, მოსამართლეთა მმართველობის ოცდამეჩვიდმეტე წელს, ადამიანთა დიდი ჯგუფი, რომელთა რაოდენობა აღწევდა ხუთი ათას ოთხას კაცს თავიანთი ცოლებითა და შვილებით, გაემგზავრა ზარაჰემლას მიწიდან მიწისკენ, რომელიც მდებარეობდა ჩრდილოეთით.

5 და იყო ასე, რომ ჰაგოთი, იყო რა ძალზედ ცნობისმოყვარე კაცი, წავიდა და ააშენა ძალზედ დიდი გემი მიწა ბარაქიანის საზღვრებთან, მიწა აოხრებულთან და ჩაუშვა იგი დასავლეთ

ზღვაში, ხმელეთის იმ ვიწრო ყელთან, რომელიც გადიოდა ჩრდილოეთ მიწისკენ.

6 და აჰა, იყო მრავალი ნეფიელი, რომელიც ავიდა მასზე და გაემგზავრა სურსათის დიდი მარაგით, ასევე მრავალი ქალი და ბავშვი; და მათ გეზი აიღეს ჩრდილოეთისკენ. და ასე დასრულდა ოცდამეფრამეტე წელი.

7 და ოცდამეთვრამეტე წელს ამ კაცმა ააშენა კიდევ სხვა გემები. და ასევე დაბრუნდა პირველი გემი და უფრო მეტი ხალხი ავიდა მასზე; და მათაც ასევე აიღეს ბევრი სურსათი და კვლავ ჩრდილოეთისკენ გაემგზავრნენ.

8 და იყო ასე, რომ მათ შესახებ მეტი აღარავის სმენია. და ჩვენ ვფიქრობთ, რომ ისინი ზღვის სიღრმეებში ჩაიძირნენ. და იყო ასე, რომ კიდევ ერთი გემი გაემგზავრა და საით წავიდა ის, ჩვენ არ ვიცით.

9 და იყო ასე, რომ ამ წელს მრავალი ადამიანი ჩრდილოეთ მიწისკენ წავიდა. და ასე დასრულდა ოცდამეთვრამეტე წელი.

10 და იყო ასე, რომ მოსამართლეთა მმართველობის ოცდამეცხრამეტე წელს, შიბლონიც გარდაიცვალა და კორიანტონი წასული იყო ჩრდილოეთ მიწისკენ გემით, რათა სურსათი მიეტანა იმ ხალხისთვის, რომელიც იმ მიწაზე იყო წასული.

11 ამიტომ, შიბლონისთვის აუცილებელი გახდა, რომ წმინდა საგნები დაემტკიცებინა

ჰელამანის შვილზე, რომელსაც ერქვა ჰელამანი, ერქვა რა მამამისის სახელი.

12 ახლა, აჰა, ყველა ის გრავიურა, რომელიც ჰელამანის მფლობელობაში იყო, გადაიწერა და გაემგზავრა ადამიანთა შვილებს მთელ მიწაზე, გარდა მიწის იმ ნაწილებისა, სადაც, აღმას ბრძანებით, არ უნდა გაემგზავნათ.

13 მიუხედავად ამისა, ეს საგნები წმინდად უნდა შენახულიყო და გადაცემულიყო ერთი თაობიდან მეორეზე; ამიტომ, ამ წელს, შიბლონის გარდაცვალების წინ, ისინი დამტკიცდა ჰელამანზე.

14 და იყო ასე, ამ წელს ასევე იყვნენ ზოგიერთი განდგომილები, რომლებიც ლამანიელებისკენ გადავიდნენ. და მათში კვლავ გაღვივდა წყრომა ნეფიელთა წინააღმდეგ.

15 და ასევე, ამავე წელს, ისინი მოვიდნენ მრავალრიცხოვანი ჯარით მორონიჰას ხალხის წინააღმდეგ საომრად ანუ მორონიჰას ჯარის წინააღმდეგ, რის შედეგადაც ისინი დაამარცხეს, მიაყენეს დიდი დანაკარგი და უკუაგდეს საკუთარი მიწებისკენ.

16 და ასე დასრულდა ნეფის ხალხზე მოსამართლეთა მმართველობის ოცდამეცხრამეტე წელი.

17 და ასე დასრულდა აღმას ამბავი და მისი შვილის, ჰელამანის, და ასევე შიბლონის, რომელიც მისი შვილი იყო.

ჰელამანის წიგნი

ამბავი ნეფიელების შესახებ, მათ ომებზე, განხეთქილებებსა და განდგომაზე. ასევე მრავალი წმინდა წინასწარმეტყველის წინასწარმეტყველებები ქრისტეს მოსვლამდე ჰელამანის ჩანაწერების შესაბამისად, რომელიც იყო ჰელამანის შვილი და ასევე, მისი შვილების ჩანაწერების შესაბამისად, თვით ქრისტეს მოსვლამდეც კი. და ასევე მრავალი ლამანიელი იქნა მოქცეული. ამბავი მათი მოქცევის შესახებ. ამბავი ლამანიელთა სამართლიანობის და ნეფიელთა სიბოროტისა და სისაძაგლის შესახებ, ჰელამანისა და მისი შვილების ჩანაწერების მიხედვით, თვით ქრისტეს მოსვლამდეც კი, რასაც ეწოდება ჰელამანის წიგნი და ასე შემდეგ.

თავი 1

პახორანი მეორე ხდება მთავარი მოსამართლე და მას კლავს კიშკუმენი. პაკუმენი იკავებს მოსამართლის სავარძელს. კორიანტუმრი მიუძღვება ლამანიელთა ჯარებს, იღებს ზარაპემლას და კლავს პაკუმენს. მორონიპა ლამანიელებს ამარცხებს და იღებს ზარაპემლას; კორიანტუმრს კლავენ. დაახლოებით 52-50 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და ახლა, აჰა, იყო ასე: ნეფის ხალხზე მოსამართლეთა მმართველობის მეორმოცე წლის დასაწყისში, ნეფიელთა ხალხში დაიწყო სერიოზული სირთულეები.

2 რადგან, აჰა, პახორანი გარდაიცვალა და წავიდა ყველა მიწიერის გზით; ამიტომ, იქ დაიწყო სერიოზული კამათი იმაზე, თუ ვინ დაიკავებდა მოსამართლის

სავარძელს იმ ძმებისგან, რომლებიც იყვნენ პახორანის შვილები.

3 ახლა, ეს არის მათი სახელები, რომლებიც იბრძოდნენ მოსამართლის სავარძლისათვის: პახორანი, პაანჩი და პაკუმენი.

4 ახლა, ესენი არ არიან პახორანის ყველა შვილთაგანნი (რადგან მას ბევრი ჰყავდა) მაგრამ ესენი არიან, რომლებიც მოსამართლის სავარძლისთვის დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, ამიტომ, მათ გამო ხალხი სამ ნაწილად გაიყო.

5 ამისდა მიუხედავად, იყო ასე, რომ პახორანი ხალხის ხმით დაინიშნა მთავარ მოსამართლედ და მმართველად ნეფის ხალხზე.

6 და იყო ასე, რომ როდესაც პაკუმენმა იხილა, რომ ვერ მიიღებდა მოსამართლის სავარძელს, იგი ხალხის ხმას მიემხრო.

7 მაგრამ, აჰა, პაანჩი და

ხალხის ის ნაწილი, რომელსაც სურდა, რომ იგი ყოფილიყო მათი მმართველი, ძალზედ განრისხდა; ამიტომ, იგი ემზადებოდა, პირფერობით შეეცდინა ის ხალხი, რათა აჯანყებულიყვნენ თავიანთი ძმების წინააღმდეგ.

8 და იყო ასე: როდესაც იგი თითქმის მზად იყო ამის გასაკეთებლად, ის შეიპყრეს და გაასამართლეს ხალხის ხმის შესაბამისად და სიკვდილით დასაჯეს, რადგან იგი აჯანყდა და სურდა ადამიანთა თავისუფლების განადგურება.

9 ახლა, როდესაც იმ ადამიანებმა, რომლებსაც სურდათ, რომ იგი ყოფილიყო მათი მმართველი, იხილეს, რომ იგი სიკვდილით დაისაჯა, ამის გამო ძალზედ განრისხდნენ და, აჰა, მიაგზავნეს კიშკუმენი, თვით პახორანის მოსამართლის სავარძელთან, და მან მოკლა პახორანი, როდესაც იგი იჯდა მოსამართლის სავარძელზე.

10 და მას გამოედევნენ პახორანის მოსამსახურეები; მაგრამ, აჰა, იმდენად სწრაფად გარბოდა კიშკუმენი, რომ ვერავინ ვერ დაეწია.

11 და იგი მივიდა მათთან, რომლებმაც მიაგზავნეს და მათ ყველამ დადეს აღთქმა, თავიანთი მარადიული შემქმნელისადმი ფიცით, რომ არავის ეტყოდნენ, რომ კიშკუმენმა მოკლა პახორანი.

12 ამიტომ, კიშკუმენი ვერ იცნეს ნეფის ხალხში, რადგან

იგი გადაცმული იყო იმ დროს, როდესაც პახორანი მოკლა. და კიშკუმენი და მისი დაჯგუფება, რომელმაც მასთან დადო აღთქმა, ხალხს შეერია ისე, რომ ვერცერთ მათგანს ვერ იპოვიდნენ; მაგრამ, ვისაც პოულობდნენ, სიკვდილით სჯიდნენ.

13 და ახლა, აჰა, პაკუმენი დაინიშნა ხალხის ხმის შესაბამისად, რათა ყოფილიყო ხალხის მთავარი მოსამართლე და მმართველი, რათა თავისი ძმის, პახორანის მაგივრად ყოფილიყო მმართველი; და ეს იყო მისი უფლების შესაბამისად. და ეს ყველაფერი მოხდა მოსამართლეთა მმართველობის მეორმოცე წელს; და ეს წელი დასრულდა.

14 და იყო ასე: მოსამართლეთა მმართველობის ორმოცდამეერთე წელს, ლამანიელებმა შეკრიბეს ჯარისკაცთა უთვალავი ჯარი და შეაიარაღეს ხმლებით, მახვილებითა და მშვიდლებით, ისრებით, ჩაჩქანებითა და სამკერდულებით და ყველა სახის ყველანაირი ფარებით.

15 და ისინი კვლავ მოვიდნენ, რათა დაეწყოთ ბრძოლა ნეფიელთა წინააღმდეგ. და მათ წინ მოუძღოდათ ადამიანი, რომლის სახელი იყო კორიანტუმერი; და იგი იყო ზარაჰემლას შთამომავალი, ნეფიელთაგან განდგომილი და იყო დიდი და ძლიერი კაცი.

16 ამიტომ, ლამანიელთა მეფე, რომლის სახელი იყო ტუბალოსი,

რომელიც იყო ამორონის შვილი, ფიქრობდა, რომ კორიანტუმრი, იყო რა ძლიერი კაცი, შეძლებდა ნეფიელების წინააღმდეგ დადგომას თავისი ძალითა და დიდი სიბრძნით, ამგვარად, მისი გამოგზავნით, იგი მოიპოვებდა ნეფიელებზე ძალაუფლებას –

17 ამიტომ, მან გაადვივა წყრომა და შეკრიბა თავისი ჯარები და დანიშნა კორიანტუმრი მათ წინამძღოლად; და უბრძანა, რომ ჩამოსულიყვნენ ზარაჰემლას მიწაზე, ნეფიელთა წინააღმდეგ საომრად.

18 და იყო ასე, რომ ამდენი დაპირისპირებისა და ხელისუფლებაში ამდენი სირთულეების გამო, ისინი არ ინახავდნენ საკმარის გუშაგებს ზარაჰემლას მიწაზე; რადგან ფიქრობდნენ, რომ ღამანიელები ვერ გაბედავდნენ მათი მიწის შუაგულში შემოსვლას ამ დიდ ქალაქ ზარაჰემლაზე შესატყვად.

19 მაგრამ, იყო ასე, რომ კორიანტუმრი წამოვიდა თავისი უამრავი ჯარის მეთაურობით და ქალაქის მცხოვრებთ თავს დაესხა; და მათი შეტევა ისეთი სწრაფი იყო, რომ ნეფიელებს აღარ ჰქონდათ ჯარების შეკრებისთვის დრო.

20 ამიტომ, კორიანტუმრმა ქალაქის შესასვლელთან დახოცა გუშაგები და მთელი თავისი ჯარით პირდაპირ ქალაქში შევიდა და დახოცეს ყველა, ვინც მათ წინააღმდეგობა გაუწია, ასე

რომ, ისინი მთელ ქალაქს დაეუფლნენ.

21 და იყო ასე: პაკუმენი, რომელიც იყო მთავარი მოსამართლე, გაექცა კორიანტუმრს, ქალაქის გალავნებამდეც კი. და იყო ასე, რომ კორიანტუმრმა იგი ქალაქის გალავანზე მიანარცხა ისე, რომ ის მოკვდა; და ასე დასრულდა პაკუმენის დღეები.

22 და ახლა, როდესაც კორიანტუმრმა იხილა, რომ დაეუფლა ქალაქ ზარაჰემლას და დაინახა, რომ ნეფიელები მას გაუბრუნდნენ და ისინი დახოცეს, დაატყვევეს და საპყრობილეში ჩაყარეს და რომ მან დაიპყრო მთელ მიწაზე ყველაზე ძლიერი გამაგრება, მას იმდენად გაუხარდა გულში, რომ მზად იყო მთელი მიწის წინააღმდეგ გაელაშქრა.

23 ახლა, იგი არ დარჩა ზარაჰემლას მიწაზე, არამედ თავისი დიდი ჯარით წინ გაემართა თვით ქალაქ ბარაქიანისკენ; რადგან გადაწყვეტილი ჰქონდა, წინ წასულიყო და მახვილით გზა გაეკაფა, რათა მიწის ჩრდილოეთ ნაწილი დაეპყრო.

24 და ფიქრობდა, რომ მათი მთავარი ძალა მიწის შუა ნაწილში იმყოფებოდა, ამიტომ წინ მიიწევდა, არ აძლევდა მათ დროს, შეკრებილიყვნენ, პატარა რაზმების შეკრებას თუ ასწრებდნენ; და ამგვარად, თავს ესხმოდნენ მათ და მიწაზე ჰკვეთდნენ.

25 მაგრამ, აჰა, კორიანტუმრის ამ ლაშქრობამ მიწის შუა

ნაწილისკენ მორონიჰას მათზე დიდი უპირატესობა მისცა, დახოცილ ნეფიელთა დიდი რაოდენობის მიუხედავად.

26 რადგან, აჰა, მორონიჰა ფიქრობდა, რომ ლამანიელები ვერ გაბედავდნენ მიწის შუა ნაწილში შემოჭრას, არამედ შეუტევდნენ საზღვრის გარშემო ქალაქებს, როგორც ისინი აქამდე აკეთებდნენ; ამიტომ, მორონიჰამ ბრძანა, რომ მის ძლიერ ჯარებს დაეცვათ მიწის საზღვრების გარშემო მხარეები.

27 მაგრამ, აჰა, ლამანიელებს კი არ შეეშინდათ, როგორც ეს მას სურდა, არამედ მიწის შუა ნაწილში შემოიჭრნენ და აიღეს დედაქალაქი, რომელიც იყო ქალაქი ზარაჰემლა და მიემართებოდნენ მიწის მთავარი ნაწილისკენ, ხოცავდნენ ხალხს დიდი ხოცვა-ჟლეტით – კაცებს, ქალებსა და ბავშვებს, იპყრობდნენ რა ბევრ ქალაქსა და სიმაგრეს.

28 მაგრამ, როდესაც მორონიჰამ ეს აღმოაჩინა, მან დაუყოვნებლივ გააგზავნა ლეხი ჯარით, შემოვლითი გზით, რათა გაესწროთ მათთვის და მისულიყვნენ მიწა ბარაქიანზე, სანამ ისინი მოვიდოდნენ.

29 და ასეც გააკეთა; გაასწრო მათ, სანამ მიწა ბარაქიანზე მოვიდოდნენ და დახვდა ბრძოლით ისე, რომ მათ უკან დაიწყეს დახევა, ზარაჰემლას მიწის მიმართულებით.

30 და იყო ასე, რომ მორონიჰა

დახვდა მათ უკან დახევისას და ბრძოლით შეუტია, რაც ძალზედ სისხლიან ბრძოლაში გადაიზარდა; დიახ, მრავალი დაიხოცა და დახოცილთა შორის ასევე კორიანტუმრიც იპოვეს.

31 და ახლა, აჰა, ლამანიელებს აღარ დარჩათ უკან დასახევი გზა, არც ჩრდილოეთით, არც სამხრეთით, არც აღმოსავლეთით და არც დასავლეთით, რადგან ყოველი მხრიდან ნეფიელების მიერ იყვნენ გარშემორტყმულნი.

32 და ამგვარად ჩააგდო კორიანტუმრმა ლამანიელები ნეფიელთა გარემოცვაში, ისე რომ ისინი აღმოჩნდნენ ნეფიელების ძალაუფლების ქვეშ, თავად იგი კი მოკლეს და ლამანიელები ნეფიელებს ხელში ჩაბარდნენ.

33 და იყო ასე, რომ მორონიჰამ კვლავ აიღო ქალაქი ზარაჰემლა და ბრძანა, რომ ლამანიელები, რომლებიც იყვნენ დატყვევებული, მიწიდან მშვიდობიანად წასულიყვნენ.

34 და ასე დასრულდა მოსამართლეთა მმართველობის ორმოცდა მეერთე წელი.

თავი 2

პელამანის შვილი, პელამანი, ხდება მთავარი მოსამართლე. გადიანტონი მეთაურობს კიშკუმენის რაზმს. პელამანის მსახური კლავს კიშკუმენს და გადიანტონის რაზმი უდაბნოში

გარბის. დაახლოებით 50-49 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და იყო ასე: მოსამართლეთა მმართველობის ორმოცდამეორე წელს, მას შემდეგ, რაც მორონი-ჰამ კვლავ დაამყარა მშვიდობა ნეფიელებსა და ლამანიელებს შორის, აჰა, არავინ იყო, ვინც დაიკავებდა მოსამართლის სავარძელს; ამის გამო ხალხში კვლავ დაიწყო დაპირისპირება, თუ ვის უნდა დაეკავებინა მოსამართლის სავარძელი.

2 და იყო ასე, რომ ჰელამანი, რომელიც იყო ჰელამანის შვილი, ხალხის ხმით დაინიშნა მოსამართლის სავარძლის დასაკავებლად.

3 მაგრამ, აჰა, კიშკუმენი, რომელმაც მოკლა პახორანი, ასევე ჰელამანსაც ჩაუსაფრდა მოსაკლავად; და მას მხარს უჭერდა თავისი რაზმი, რომელმაც დადო აღთქმა, რომ ვერავინ გაიგებდა მისი სიბოროტის შესახებ.

4 ვინაიდან იქ იმყოფებოდა ვინმე გადიანტონი, რომელიც ძალზედ მარჯვე იყო ყოველგვარი სიტყვით, ასევე თავისი მზაკვრობით, რათა ეკეთებინა საიდუმლო მკვლევლობისა და ძარცვის საქმე; ამიტომ, იგი გახდა კიშკუმენის რაზმის მეთაური.

5 ამიტომ მან ისინი პირფერობით მოთაფლა და ასევე კიშკუმენიც, რომ, თუ მას მოსამართლის სავარძელს დააკავებინებდნენ,

იგი უბოძებდა თავის რაზმელებს, დანიშნულიყვნენ ხალხში ძალაუფლებისა და უფლებამოსილების თანამდებობებზე; ამიტომ, კიშკუმენს სურდა ჰელამანის განადგურება.

6 და იყო ასე, რომ, როდესაც იგი მოსამართლის სავარძლისკენ მიდიოდა ჰელამანის გასანადგურებლად, აჰა, ჰელამანის ერთ-ერთი მსახური, იყო რა გადაცმული და ღამით გარეთ გამოსული, შეიტყო იმ გეგმების შესახებ, რომელნიც დაიგეგმა ამ რაზმის მიერ ჰელამანის გასანადგურებლად.

7 და იყო ასე, რომ იგი შეხვდა კიშკუმენს და აჩვენა პირობითი ნიშანი; ამიტომ, კიშკუმენმა გაანდო თავისი ჩანაფიქრი, სთხოვდა რა მიეყვანა მოსამართლის სავარძელთან, რომ ჰელამანის მოკვლა მოეხერხებინა.

8 და როდესაც ჰელამანის მსახურმა გაიგო ყველაფერი, რაც კიშკუმენს გულში ჰქონდა, რომ მისი მიზანი იყო მკვლევლობა და იგივე მიზანი ჰქონდა ყველა მათგანს, რომლებიც მის რაზმს მიეკუთვნებოდნენ, რომ დაეხოცათ, ეძარცვათ და ძალაუფლება მოეპოვებინათ (და ეს იყო მათი საიდუმლო გეგმა და შეთქმულება) ჰელამანის მსახურმა კიშკუმენს უთხრა: მოდი, წავიდეთ მოსამართლის სავარძლისკენ.

9 ახლა, ეს ძალზედ მოეწონა კიშკუმენს, რადგან ეგონა, რომ შეასრულებდა თავის

ჩანაფიქრს; მაგრამ, აჰა, ჰელამანის მსახურმა, როდესაც მიემართებოდნენ მოსამართლის სავარძლისკენ, კიშკუმენი შიგ გულში განგმირა, ასე რომ იგი უხმოდ დაეცა მოკლული. და იგი გაიქცა და უთხრა ჰელამანს ის, რაც მან იხილა, მოისმინა და გააკეთა.

10 და იყო ასე, რომ ჰელამანმა გააგზავნა, რათა შეეპყრათ მძარცველებისა და საიდუმლო მკვლელების ეს რაზმი, რათა კანონის შესაბამისად სიკვდილით დაესაჯათ.

11 მაგრამ, აჰა, როდესაც გადიანტონმა აღმოაჩინა, რომ კიშკუმენი არ დაბრუნდა, მას შეეშინდა, რომ გაანადგურებდნენ, ამიტომ თავის რაზმს უბრძანა, უკან მიჰყოლოდნენ; და უდაბნოში გაიქცნენ იმ მიწიდან საიდუმლო გზით და ამიტომ, როდესაც ჰელამანმა მათ შესაპყრობად გააგზავნა, ისინი ვერსად ვერ იპოვეს.

12 და ამ გადიანტონზე მოგვიანებით კიდევ იქნება საუბარი. და ასე დასრულდა ნეფის ხალხზე მოსამართლეთა მმართველობის ორმოცდამეორე წელი.

13 და აჰა, ამ წიგნის დასასრულს იხილავთ, რომ ამ გადიანტონმა მოახერხა გადატრიალება, დიახ, ნეფის ხალხის თითქმის სრული განადგურება.

14 აჰა, მე არ ვგულისხმობ ჰელამანის წიგნის დასასრულს, არამედ ვგულისხმობ ნეფის

წიგნისას, რომლიდანაც ავიღე მთელი ეს ამბავი, რაც დაეწერე.

თავი 3

მრავალი ნეფიელი ჩრდილოეთ მიწაზე გადასახლდება. ისინი აშენებენ ცემენტის სახლებს და აკეთებენ მრავალ ჩანაწერს. ათობით ათასი მოიქცევა და მოინათლება. ღვთის სიტყვას ადამიანი მიჰყავს ხსნისკენ. ჰელამანის შვილი, ნეფი, იკავებს მოსამართლის სავარძელს. დაახლოებით 49-39 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და ახლა, იყო ასე: მოსამართლეთა მმართველობის ორმოცდამესამე წელს, ნეფის ხალხში არ იყო დაპირისპირება, გარდა ეკლესიაში მცირეოდენი ამპარტავნობისა, რამაც ხალხში გამოიწვია მცირე უთანხმოებანი, რაც მოგვარდა ორმოცდამესამე წლის ბოლოს.

2 და არ იყო დაპირისპირება ხალხში ორმოცდამეოთხე წელს; არც ორმოცდამეხუთე წელს არ ყოფილა დიდი დაპირისპირება.

3 და იყო ასე: ორმოცდამეექვსე წელს, დიახ, მოხდა დიდი დაპირისპირება და მრავალი უთანხმოება; რომლის გამოც იყვნენ ძალზედ ბევრნი, რომლებიც ზარაპემლას მიწიდან წავიდნენ და გაემართნენ ჩრდილოეთ მიწისკენ, რათა ის მიწა დაემკვიდრებინათ.

4 და ისინი მოგზაურობდნენ ძალზედ შორ მანძილზე ისე,

რომ მივიდნენ დიდ წყლებთან და მრავალ მდინარესთან.

5 დიახ, მიწის ყველა მხარეშიც კი დასახლდნენ, ყველა მხარეში, სადაც ის არ იყო გაპარტახებული და არ იყო ტყის გარეშე დარჩენილი მრავალრიცხოვანი მაცხოვრებლების გამო, რომლებიც მანამდე ამ მიწაზე მკვიდრობდნენ.

6 და ახლა, მიწის არცერთი მხარე არ იყო გაპარტახებული, ტყის გარდა; მაგრამ იმ ხალხის დიდი განადგურების გამო, რომელიც მიწაზე აქამდე მკვიდრობდა, ამ მიწას ეწოდებოდა გაპარტახებული.

7 და რადგან ამ მიწის პირზე ტყე ძალზედ ცოტა იყო, ადამიანები, რომლებიც იქ წავიდნენ, ძალზედ დახელოვდნენ ცემენტის კეთებაში; ამიტომ, აშენებდნენ ცემენტის სახლებს, რომლებშიც თვითონ ცხოვრობდნენ.

8 და იყო ასე, რომ ისინი გამრავლდნენ და დასახლდნენ და სამხრეთ მიწიდან ჩრდილოეთ მიწისკენ მიიწვედნენ და იმდენად გაფართოვდნენ, რომ დაიწყეს მთლიანად იმ მიწის პირის დაფარვა, სამხრეთ ზღვიდან ჩრდილოეთ ზღვამდე, დასავლეთ ზღვიდან აღმოსავლეთ ზღვამდე.

9 და ხალხი, რომელიც იყო ჩრდილოეთ მიწაზე, კარგებში და ცემენტის სახლებში ცხოვრობდა და ყველანი ხეს, რომელიც მიწის პირზე აღმოცენდებოდა, საშუალებას აძლევდა, გაზრდი-

ლიყო, რათა საჭირო დროს ტყე ჰქონოდათ თავიანთი სახლების ასაშენებლად, დიახ, თავიანთი ქალაქებისა და ტაძრებისთვის, სინაგოგებისთვისა და სამლოცველოებისთვის და ყველანი იგი თავიანთი შენობებისთვის.

10 და იყო ასე: ვინაიდან ტყე ძალზედ ცოტა იყო ჩრდილოეთ მიწაზე, ისინი ბევრ რამეს აგზავნიდნენ საზღვაო გზით.

11 და ასე აძლევდნენ ჩრდილოეთ მიწის ხალხს საშუალებას, ეშენებინათ მრავალი ქალაქი, როგორც ხისაგან, ასევე ცემენტისაგან.

12 და იყო ასე: იყვნენ ბევრი ამონის ხალხიდან, რომლებიც წარმოშობით ლამანიელები იყვნენ, რომლებიც ასევე გაემართნენ ამ მიწისკენ.

13 და ახლა, ამ ხალხის საქმიანობაზე, თავად ამ ხალხის მიერ, მრავალი დაწვრილებითი და ვრცელი ჩანაწერია შემონახული, მათ შესახებ.

14 მაგრამ, აჰა, ამ ხალხის საქმიანობის მესამე ნაწილიც, დიახ, ამბავი ლამანიელებისა და ნეფიელების, მათი ომების, განხეთქილებებისა და უთანხმოებების და მათი ქადაგებების და წინასწარმეტყველებების და მათი ზღვაოსნობისა და გემთ მშენებლობების, მათი ტაძრების, სინაგოგებისა და სამლოცველოების მშენებლობების და მათი სამართალის და სიბოროტისა და მკვლელობების, მათი ძარცვებისა

და ყაჩაღობების და ყოველგვარ სისაძაგლისა და მრუშობის, ამ ნაშრომში ვერ შევა.

15 მაგრამ, აჰა, არის მრავალი წიგნი და ყველანაირი ჩანაწერი და მათ მეტწილად ნეფიელები აწარმოებდნენ.

16 და მათ ნეფიელები გადასცემდნენ ერთი თაობიდან მეორეს, იმ დრომდეც კი, როდესაც შეცოდებაში ჩაცვივდნენ და როდესაც მათ ხოცავდნენ, ძარცვავდნენ, დევნიდნენ, აძევებდნენ და ანადგურებდნენ, მიწის პირზე ფანტავდნენ და ლამანიელთა შორის აცხოვრებდნენ იქამდე, სანამ აღარ იწოდებოდნენ ნეფიელებად, ხდებოდნენ ბოროტნი, ველურნი და სასტიკნი, დიახ, ლამანიელუბადაც კი იქნენ.

17 და ახლა, მე კვლავ ვუბრუნდები ჩემს ამბავს; რადგან ის, რაც ვთქვი, იყო მას შემდეგ, რაც ნეფის ხალხში მოხდა დიდი დაპირისპირება და არეულობა, ომები და უთანხმოებანი.

18 მოსამართლეთა მმართველობის ორმოცდამეექვსე წელი დასრულდა;

19 და იყო ასე, რომ მიწაზე კვლავ გრძელდებოდა დიდი დაპირისპირება, დიახ, ორმოცდამეშვიდე წელს და ასევე ორმოცდამერვე წელს.

20 ამისდა მიუხედავად, ჰელამანიმა დაიკავა მოსამართლის სავარძელი სამართლიანობითა და მიუკერძოებლობით; დიახ, იგი იცავდა ღმერთის წესებს,

განაჩენებსა და მცნებებს და მუდამ აკეთებდა იმას, რაც სწორი იყო ღმერთის თვალში და დადიოდა თავისი მამის გზით, ასე რომ აყვავდა იმ მიწაზე.

21 და იყო ასე, რომ მას ორი შვილი ჰყავდა. უფროსს უწოდა სახელი ნეფი და უმცროსს – სახელი ლეხი. და მათ უფლისათვის იწვეს გაზრდა.

22 და იყო ასე, რომ ომებმა და განხეთქილებებმა ცოტათი იკლო ნეფიელთა ხალხში, ნეფის ხალხზე მოსამართლეთა მმართველობის ორმოცდამერვე წლის მიწურულს.

23 და იყო ასე: მოსამართლეთა მმართველობის ორმოცდამეცხრე წელს, მიწაზე დამყარდა ხანგრძლივი მშვიდობა ყველგან, გარდა საიდუმლო კავშირებისა, რომლებიც მძარცველმა გადიანტონმა მიწაზე ჩამოაყალიბა უფრო დასახლებულ ნაწილში, რომლის შესახებაც იმ დროში არ იყო ცნობილი მათთვის, ვინც მთავრობის სათავეში იმყოფებოდა; ამიტომ, ისინი იმ მიწაზე არ გაანადგურეს.

24 და იყო ასე, რომ იმავე წელს, ეკლესია ძალზედ განვითარდა, ისე, რომ იყვნენ ათასობით, რომლებიც უერთდებოდნენ ეკლესიას და ინათლებოდნენ მოსანანიებლად.

25 და იმდენად დიდად აყვავდა ეკლესია და იმდენი კურთხევა გადმოიღვარა ხალხზე, რომ თავად მღვდელმთავრები და

მასწავლებლებიც უსაზღვროდ გაოცებულნი იყვნენ.

26 და იყო ასე, რომ უფლის საქმე ყვოდა ღმერთის ეკლესიაში მრავალი სულის ნათლობითა და გაერთიანებით, დიახ, ათი ათასობითაც კი.

27 ამგვარად, ჩვენ ვხედავთ, რომ უფალი არის მოწყალე ყველა მათგანისადმი, რომელნიც გულის გულწრფელობით შეჰკლადადებენ მის წმინდა სახელს.

28 დიახ, ამგვარად ვხედავთ, რომ ზეციური კარიბჭე ღიაა ყველასთვის, მათთვის, ვინც იწამებს იესო ქრისტეს სახელით, რომელიც არის ძე ღვთისა.

29 დიახ, ჩვენ ვხედავთ, რომ ის, ვინც მოისურვებს, შეძლებს ღვთის სიტყვაზე ჩაჭიდებას, რომელიც არის ცოცხალი და ძლიერი, რომელიც დაამსხვრევს ეშმაკის ყოველ მზაკვრობას, მახესა და ეშმაკობას, გაუძღვება ქრისტეს ადამიანს რთულ და ვიწრო ბილიკზე, იმ მარადიული უბედურების უფსკრულის გაღმა, რომელიც მომზადებულია, რათა შთანთქოს ბოროტნი –

30 და მიიყვანს მათ სულელებს, დიახ, მათ უკვდავ სულელებს, ცათა სასუფეველში, ღმერთის მარჯვენა ხელისკენ, რათა დასხდნენ აბრაამთან და ისაკთან და იაკობთან და ყველა ჩვენს წმინდა მამასთან, რათა აღარასოდეს არ დატოვონ იქაურობა.

31 და ამ წელს, ზარაკემლას მიწაზე განუწყვეტილად სიხარული

სუფევდა და გარშემო მხარეებშიც, ნეფიელთა მფლობელობაში მყოფ მთელ მიწაზეც კი.

32 და იყო ასე, რომ, ორმოცდამეცხრე წლის დასასრულს იქ იყო მშვიდობა და ძალზედ დიდი სიხარული, დიახ, მოსამართლეთა მმართველობის ორმოცდამეთე წელშიც ასევე სუფევდა უწყვეტი მშვიდობა და დიდი სიხარული.

33 და მოსამართლეთა მმართველობის ორმოცდამეთერთმეტე წელსაც ასევე მშვიდობა იყო, გარდა მცირე ამპარტავნობისა, რომელიც შემოიჭრა ეკლესიაში – არა თავად ღმერთის ეკლესიაში, არამედ იმ ადამიანთა გულებშიც, რომლებიც აცხადებდნენ, რომ ღვთის ეკლესიას მიეკუთვნებოდნენ –

34 და ისინი აღზევდნენ ამპარტავნობით, მრავალი თავიანთი ძმების დევნამდეც კი მივიდნენ. ახლა, ეს იყო დიდი სიბოროტე, რამაც მოუტანა ხალხის თავმდაბალ ნაწილს დიდი დევნისა და მრავალი ტანჯვის გადატანა.

35 მიუხედავად ამისა, ისინი ხშირად მარხულობდნენ და ლოცულობდნენ და სულ უფრო ძლიერდებოდნენ და ძლიერდებოდნენ თავიანთ თავმდაბლობაში და მტკიცდებოდნენ და მტკიცდებოდნენ ქრისტეს რწმენაში, ავსებდნენ რა თავიანთ სულებს სიხარულითა და ნუგეშით, დიახ, გულის განწმენდამდე და კურთხევამდე, იმ კურთხევით,

რომელიც მოდის ღმერთისადმი საკუთარი გულის დათმობით.

36 და იყო ასე, რომ ორმოცდამეთორმეტე წელიც ასევე მშვიდობით დასრულდა, თუ არ ჩავთვლით ძალზედ დიდ ამპარტავნობას, რაც შეიჭრა ადამიანთა გულებში; და ეს იყო მიწაზე მათი დიდძალი სიმდიდრისა და აყვავების გამო; და ეს იზრდებოდა მათში დღითი დღე.

37 და იყო ასე, რომ მოსამართლეთა მმართველობის ორმოცდამეცამეტე წელს ჰელამანი მოკვდა და მის მაგივრად მმართველობა დაიწყო მისმა უფროსმა შვილმა, ნეფიმ. და იყო ასე, რომ მან დაიკავა მოსამართლის სავარძელი სამართალითა და მიუკერძოებლობით; დიახ, იგი იცავდა ღმერთის მცნებებს და დადიოდა მამამისის გზით.

თავი 4

ნეფიელი განდგომილები და ლამანიელები ძალებს აერთიანებენ და იღებენ მიწა ზარაჰემლას. ნეფიელები მარცხდებიან თავიანთი სიბოროტის გამო. ეკლესია იწყებს გადაშენებას და ადამიანები ხდებიან ლამანიელეზივით უძლურნი. დაახლოებით 38-30 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და იყო ასე, რომ ორმოცდამეთოთხმეტე წელს ეკლესიაში იყო მრავალი განდგომა და

ადამიანებს შორისაც იყო განხეთქილება, ისეთი, რომ მოხდა დიდი სისხლისღვრა.

2 და აჯანყებულთა მხარე დახოცეს და მიწიდან განდევნეს და ისინი ლამანიელთა მეფესთან მივიდნენ.

3 და იყო ასე, რომ ისინი შეეცადნენ, ლამანიელები დაეყოლიებინათ ნეფიელების საწინააღმდეგოდ საომრად; მაგრამ, აჰა, ლამანიელები ძალზედ შეშინებულნი იყვნენ, იმდენად, რომ არ უგდებდნენ ყურს განდგომილთა სიტყვებს.

4 მაგრამ, იყო ასე; მოსამართლეთა მმართველობის ორმოცდამეთექვსმეტე წელს იქ იყვნენ განდგომილები, რომლებიც ნეფიელებისგან წავიდნენ ლამანიელებთან და სხვა განდგომილებთან ერთად წარმატებას მიაღწიეს ნეფიელთა წინააღმდეგ წყრომის გაღვივებაში; და ისინი, მთელი იმ წლის განმავლობაში, ომისთვის ემზადებოდნენ.

5 და ორმოცდამეჩვიდმეტე წელს ისინი ჩამოვიდნენ ნეფიელთა წინააღმდეგ საბრძოლველად და დაიწყეს სასიკვდილო საქმის კეთება; დიახ, ისე, რომ მოსამართლეთა მმართველობის ორმოცდამეთვრამეტე წელს მათ წარმატებას მიაღწიეს ზარაჰემლას მიწის დაპყრობაში და ასევე ყველა მიწისაც, იმ მიწამდეც კი, რომელიც იყო მიწა ბარაჰიანთან.

6 და ნეფიელები და მორონიჰას

ჯარებიც მიწა ბარაქიანში გააძევეს;

7 და იქ გამაგრდნენ ლამანიელთა წინააღმდეგ, დასავლეთ ზღვიდან აღმოსავლეთ ზღვამდეც კი; ნეფიელებისთვის ეს იყო ერთი დღის სავალი მანძილი, საზღვრამდე, რომელზეც ისინი გამაგრდნენ და დააყენეს ჯარები ჩრდილოეთ მხარის დასაცავად.

8 და ამგვარად, იმ განდგომილმა ნეფიელებმა, ლამანიელთა უთვალავი ჯარის დახმარებით, დაიპყრეს ნეფიელთა ყველა სამფლობელო, რაც სამხრეთ მიწაზე მდებარეობდა. და ეს ყველაფერი მოხდა მოსამართლეთა მმართველობის ორმოცდამეთერთმეტე – მეცხრამეტე წლებში.

9 და იყო ასე, რომ მოსამართლეთა მმართველობის მესამოცე წელს მორონიჰამ საკუთარი ჯარებით წარმატებას მიაღწია მიწის მრავალი მხარის დაპყრობაში; დიახ, მათ დაიბრუნეს მრავალი ქალაქი, რომელიც ლამანიელთა ხელში იყო ჩავარდნილი.

10 და იყო ასე, რომ მოსამართლეთა მმართველობის სამოცდამეერთე წელს მათ წარმატებას მიაღწიეს, თავიანთი მამულების ნახევარიც კი დაიბრუნეს.

11 ახლა, ნეფიელების ეს დიდი დანაკარგი და ხოცვა-ჟლეტა, რაც მათში იყო, არ მოხდებოდა, რომ არა ის სიბოროტე და სისაძაგლე, რომელიც იყო მათ

შორის; დიახ, ეს იყო მათ შორის, რომლებიც აცხადებდნენ, რომ ღმერთის ეკლესიას მიეკუთვნებოდნენ.

12 და ეს იყო მათი გულის ამპარტავნობის, მათი მეტისმეტი სიმდიდრის გამო, დიახ, რადგან ღარიბებს ჩაგრავენენ, მშვიერთათვის არ გაჰქონდათ საჭმელი, შიშველთათვის არ გაჰქონდათ საკუთარი ტანსაცმელი და სილასაც აწნავდნენ თავიანთ თავმდაბალ ძმებს, დასცინოდნენ რა იმას, რაც იყო წმინდა, უარყოფდნენ წინასწარმეტყველებისა და გამოცხადების სულს, ხოცავდნენ, ძარცვავდნენ, ცრუობდნენ, იპარავდნენ, მრუშობდნენ, აწყობდნენ დიდ აჯანყებებს და ნეფის მიწაზე გარბოდნენ ლამანიელებთან –

13 და მათი დიდი სიბოროტისა და თავიანთი ძალით სიყუყუჩის გამო, ისინი საკუთარი ძალის ამარად იყვნენ დარჩენილნი; ამიტომ, ვეღარ ყვოდნენ, არამედ იყვნენ გაჭირვებულნი, ნაცემნი და ლამანიელების მიერ გაძევებულნი, სანამ მთლიანად არ დაკარგეს მამულები თითქმის ყველა თავიანთ მიწაზე.

14 მაგრამ, აჰა, მორონიჰა ამ ხალხისათვის ბევრს ქადაგებდა მათი ურჯულოების გამო, ასევე ნეფი და ლეხიც, რომლებიც იყვნენ ჰელამანის შვილები, ქადაგებდნენ ამ ხალხისადმი, დიახ, მათ ბევრი უწინასწარმეტყველეს მათსავე ურჯულოებაზე და იმის

შესახებ, თუ რა მოუვიდოდათ, ცოდვებს თუ არ მოინანიებდნენ.

15 და იყო ასე, რომ ისინი ინანიებდნენ და იმისდა მიხედვით, თუ როგორ ინანიებდნენ, შესაბამისად იწყებდნენ აყვავებას.

16 როდესაც მორონიჰამ იხილა, რომ მათ მოინანიეს, მან გადაწყვიტა გაძლოდა მათ ადგილიდან ადგილზე და ქალაქიდან ქალაქში, იქამდე, სანამ არ დაიბრუნეს თავიანთი ქონებისა და ყველა თავიანთი მიწის ნახევარი.

17 და ასე დასრულდა მოსამართლეთა მმართველობის სამოცდამეერთე წელი.

18 და იყო ასე: მოსამართლეთა მმართველობის სამოცდამეორე წელს, მორონიჰამ ვერ შეძლო ლამანიელებისგან უფრო მეტი მიწის უკან დაბრუნება.

19 ამიტომ, მათ დათმეს თავიანთი ჩანაფიქრი, დაებრუნებინათ დანარჩენი თავიანთი მიწები, რადგან ლამანიელები იმდენად მრავალრიცხოვანნი იყვნენ, რომ ნეფიელებისთვის შეუძლებელი გახდა მათზე უფრო მეტი ძალის მიღწევა; ამიტომ, მორონიჰამ მთელი თავისი ჯარები განაღობა იმ მხარეების დასაცავად, რომლებიც აღებული ჰქონდა.

20 და იყო ასე, რომ ლამანიელთა დიდი სიმრავლის გამო, ნეფიელები ძალზედ შიშობდნენ, რომ მათ დაძლევენ და ფეხქვეშ გათელავდნენ, დახოცავდნენ და გაანადგურებდნენ.

21 დიახ, მათ დაიწყეს აღმასწინასწარმეტყველებების გახსენება, ასევე მოსიას სიტყვებისა და იხილეს, რომ იყვნენ ქედვიცხელი ხალხი და ღმერთის მცნებებს არაფრად არ აგდებდნენ;

22 და მათ შეცვალეს და ფეხით გათელეს მოსიას რჯული ანუ ის, რაც უფალმა უბრძანა მას, გადაეცა ხალხისათვის; და მათ იხილეს, რომ მათი კანონები გაიხრწნა და თვითონ იქცნენ ბოროტ ხალხად, იმდენად, რომ ისეთივე ბოროტნი იყვნენ, როგორც ლამანიელები.

23 და მათი ურჯულოების გამო ეკლესია გადაშენდა; და მათ დაიწყეს წინასწარმეტყველებისა და გამოცხადების სულში რწმენის დაკარგვა; და ღმერთის სამსჯავრომ ჩახედა მათ თვალებში.

24 და მათ იხილეს, რომ დასუსტდნენ, როგორც თავიანთი ძმები – ლამანიელები და მათ უფლის სული უკვე აღარ იცავდა; დიახ, მან მიატოვა ისინი, რადგან უფლის სული არ ცხოვრობს უწმინდურ ტაძრებში –

25 ამიტომ, უფალი მათ აღარ იცავდა თავისი სასწაულებრივი და უბადლო ძალით, რადგან ჩაცვივდნენ ურწმუნობაში და საშინელ სიბოროტეში და მათ იხილეს, რომ ლამანიელები ძალზედ უფრო მეტნი იყვნენ რიცხობრივად, ვიდრე თვითონ ისინი; და თუ არ ელტვიან უფალს, თავიანთ ღმერთს, მაშინ აუცილებლად უნდა დაიდუპონ.

26 რადგან, აჰა, მათ იხილეს, რომ ლამანიელებს ისეთივე დიდი ძალა ჰქონდათ, როგორიც იყო მათი, ადამიანი ადამიანის წინააღმდეგაც კი; და ამგვარად, ისინი ჩაცვივდნენ ამ დიდ შეცოდებაში; დიახ, რამდენიმე წელიც არ იყო გასული, რაც ისინი დასუსტდნენ თავიანთი შეცოდების გამო.

თავი 5

ნეფი და ლეხი ქადაგებას უძღვნიან საკუთარ თავს. მათი სახელები ავალდებულებს მათ, იცხოვრონ თავიანთი წინაპრებივით. ქრისტე გამოისყიდის მათ, ვინც მოინანიებს. ნეფი და ლეხი მრავალს მოაქცევენ, საპყრობილეში ხვდებიან და მათ ცეცხლი გარშემოერტყმება. ბნელეთის ღრუბელი მოეფინება სამას ადამიანს. დედამიწა შეზანზარდება და ხმა ადამიანებს მონანიებას უბრძანებს. ნეფი და ლეხი ანგელოზებს ესაუბრებიან, შეკრებილ ხალხს კი ცეცხლი გარშემოერტყმება. დაახლოებით 30 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და იყო ასე, რომ იმავე წელს, აჰა, ნეფიმ გადასცა მოსამართლის სავარძელი კაცს, რომელსაც ერქვა ცეზორამი.

2 რადგან მათი კანონები და ხელისუფლება ხალხის ხმით მტკიცდებოდა და ისინი, ვინც ბოროტი აირჩიეს, უფრო მრავალრიცხოვანნი იყვნენ მათზე,

რომლებმაც აირჩიეს კეთილი, ამიტომ, ისინი მწიფდებოდნენ განადგურებისთვის, რადგან გაიხრწნა კანონები.

3 დიახ, და ეს არ იყო ყველაფერი; ისინი იყვნენ ქედვიცხელი ხალხი, ისეთი, რომ შეუძლებელი იყო მათი მართვა კანონით ან სამართალით, მხოლოდ მათი განადგურებით.

4 და იყო ასე, რომ ნეფი შეწუხდა მათი ურჯულოების გამო; და მან გადასცა მოსამართლის სავარძელი და თავის თავზე აიღო ღმერთის სიტყვის ქადაგება, მთელი თავისი დარჩენილი დღეები, ასევე მისმა ძმამ, ლეხიმ, მთელი თავისი დარჩენილი დღეები;

5 რადგან მათ ახსოვდათ სიტყვები, რომლებიც თავიანთმა ძმამ, ჰელამანმა, უთხრა მათ. და ეს არის ის სიტყვები, რომლებიც მან თქვა:

ნაჰა, ჩემო შვილებო, მსურს გახსოვდეთ, რომ უნდა დაიცვათ ღმერთის მცნებები; და მსურს, რომ ეს სიტყვები ხალხს აუწყოთ. აჰა, მე გიბოძეთ ჩვენი პირველი მშობლების სახელები, რომლებიც იერუსალიმის მიწიდან წამოვიდნენ; და მე ასე მოვიქეცი, რომ თქვენი სახელების გახსენებით, გაიხსენოთ ისინიც და მათი საქმენიც გაიხსენოთ; და მათი საქმეების გახსენებით ასევე გაიხსენოთ, რაც ითქვა და დაიწერა, რომ ისინი კეთილი იყო.

7 ამიტომ, ჩემო შვილებო, მე

მსურს, რომ სიკეთე აკეთოთ, რათა თქვენზე ითქვას და ასევე დაიწეროს ისე, როგორც ითქვა და დაიწერა მათზე.

8 და ახლა, ჩემო შვილებო, აჰა, მე კიდევ რაღაც მსურს თქვენგან და ეს სურვილია – არ აკეთოთ ყოველივე ეს სატრაბახოდ, არამედ აკეთოთ ყოველივე ეს, რათა ზეცაში დაიდოთ საგანძური, დიახ, რომელიც მარადიულია და არასოდეს ჭკნება; დიახ, რომ მიიღოთ მარადიული სიცოცხლის ის ძვირფასი ძღვენი, რომელიც, მიზეზი გვაქვს რომ ვივარაუდოთ, ჩვენს მამებს მიეცათ.

9 გახსოვდეთ, გახსოვდეთ, ჩემო შვილებო, სიტყვები, რომლებიც მეფე ბენიამინმა უთხრა თავის ხალხს: დიახ, გახსოვდეთ, რომ არ არსებობს რაიმე სხვა გზა, არც საშუალება, რითიც ადამიანი გადაარჩება, მხოლოდ იესო ქრისტეს გამომსყიდველი სისხლის მეშვეობით, რომელიც მოვა; დიახ, გახსოვდეთ, რომ ის მოვა, რათა ქვეყანა გამოისყიდოს.

10 და ასევე გახსოვდეთ სიტყვები, რომლებიც ამულეკმა ზიზრომს უთხრა ქალაქ ამონიჰაში; რადგან მან უთხრა, რომ უფალი აუცილებლად მოვა, რათა გამოისხნას თავისი ხალხი, მაგრამ იგი არ მოვა მათ საკუთარ ცოდვებში გამოსახსნელად, არამედ მოვა მათი ცოდვებისგან გამოსასყიდად.

11 და მას აქვს თავისი მამისაგან ნაბოძები ძალა, რათა ისინი

გამოისყიდოს საკუთარი ცოდვებისგან, მონანიების გამო; ამიტომ, მან გამოაგზავნა თავისი ანგელოზები, რათა აუწყონ პირობები მონანიების შესახებ, რომელიც გაუძღვება გამომსყიდველის ძალისკენ, მათი სულების გადასარჩენად.

12 და ახლა, ჩემო შვილებო, გახსოვდეთ, გახსოვდეთ, რომ ჩვენი გამომსყიდველის კლდეზე, რომელიც არის ქრისტე, ძე ღვთისა, უნდა აავოთ საძირკველი; რომ როდესაც ეშმაკი მოავლენს თავის ძლიერ ქარებს, დიახ, გრიგალში თავის ისრებს, დიახ, როდესაც მთელი მისი სეტყვა და ძლიერი ქარიშხალი თავს დაგატყდებათ, მას არ ექნება ძალა თქვენზედ, ჩაგითრიოთ უბედურებისა და მარადიული ვარამის უფსკრულში, იმ კლდის მადლით, რომელზეც აგებულნი ხართ, რომელიც არის მყარი საძირკველი, რომელზეც, თუ ადამიანი ააგებს, არ წაიქცევა.

13 და იყო ასე, რომ ამ სიტყვებით ასწავლიდა ჰელამანი თავის შვილებს; დიახ, მათ ბევრი რამ ასწავლა, რაც არ არის დაწერილი, ასევე ბევრი რამ, რაც დაიწერა.

14 და მათ დაიმახსოვრეს მისი სიტყვები; ამიტომ, წავიდნენ, იცავდნენ რა ღმერთის მცნებებს, რათა ესწავლებინათ ღვთის სიტყვა ნეფის მთელ ხალხში, დაწყებული ქალაქ ბარაქიანიდან.

15 და იქიდან გადავიდნენ ქა-

ლაქ გიდში; და ქალაქ გიდიდან ქალაქ მულეკში;

16 და ერთი ქალაქიდან მეორეშიც კი, სანამ მთელ ნეფის ხალხში არ გაიარეს, რომელიც სამხრეთ მიწაზე იყო; და იქიდან ზარაჰემლას მიწაზე, ლამანიელებს შორის.

17 და იყო ასე, რომ ისინი ქადაგებდნენ დიდი ძალით ისე, რომ უსაყვედურეს მრავალ განდგომილს, რომლებიც ნეფიელებისგან წავიდნენ, ისე რომ გამოდიოდნენ და ცოდვებს აღიარებდნენ და ინათლებოდნენ მოსანანიებლად და დაუყოვნებლივ ბრუნდებოდნენ ნეფიელებთან, რათა ეცადათ მათთვის იმ ზარალის ანაზღაურება, რომელიც თვითონ მიაყენეს.

18 და იყო ასე, რომ ნეფიმ და ლეხიმ უქადაგეს ლამანიელებს ასეთი დიდი ძალითა და უფლებამოსილებით, რადგან მათ ებოძათ ძალა და უფლებამოსილება, რომ ელაპარაკათ და მათ ასევე მიეცათ ის, რაც უნდა ეთქვათ –

19 ამიტომ ისინი, ლამანიელებისათვის ძალზედ გასაოცრად, ლაპარაკობდნენ მათ დასარწმუნებლად ისე, რომ რვა ათასი ლამანიელი, ზარაჰემლას მიწაზე და მის გარშემო, მოინათლა მოსანანიებლად და დარწმუნდა თავიანთი მამების ჩვეულებების სიბოროტეში.

20 და იყო ასე, რომ ნეფიმ და ლეხიმ თავიანთი გზა გააგრძე-

ლეს, რათა იქიდან წასულიყვნენ ნეფის მიწაზე.

21 და იყო ასე, რომ ისინი შეიპყრო ლამანიელთა ჯარმა და საპყრობილეში ჩაყარეს; დიახ, იმავე საპყრობილეში, რომელიც ლიმისის მსახურებმა ამონი და მისი ძმები ჩაყარეს.

22 და მას შემდეგ, რაც საპყრობილეში ჩაყარეს, მრავალი დღის განმავლობაში საკვების გარეშე, აჰა, ისინი მივიდნენ საპყრობილეში მათ გამოსაყვანად და მოსაკლავად.

23 და იყო ასე, რომ ნეფის და ლეხის ცეცხლი გარშემოურტყათ, ისეთი, რომ მათზე ვეღარ აღმართეს ხელი იმის შიშით, რომ დაიწვებოდნენ. ამისდა მიუხედავად, ნეფი და ლეხი არ დაიწვენენ, არამედ იდგნენ ცეცხლის შუაში და არ იწვოდნენ.

24 და როდესაც იხილეს, რომ გარშემორტყმულნი იყვნენ ცეცხლის სვეტით და ის მათ არ წვადა, მათ გული გაუმხნევდათ.

25 რადგან იხილეს, რომ ლამანიელები ვერ ბედავდნენ მათზე ხელის აღმართვას; ვერც ახლო მოსვლას ვერ ბედავდნენ, არამედ იდგნენ, თითქოს გოცებისგან დამუჯჯებულნი.

26 და იყო ასე: ნეფი და ლეხი წინ გამოვიდნენ და მიმართეს მათ სიტყვებით: ნუ გეშინიათ, რადგან, აჰა, ღმერთმა მოგიგლინათ ეს საოცარი რამ, რითაც დაგანახათ, რომ ვერ შეძლებთ ჩვენზე ხელის აღმართვას ჩვენს დასახოცად.

27 და აჰა, როდესაც ეს უთხრეს, დედამიწა საშინლად შეზანზარდა და საპყრობილის კედლები შეირყა, ლამის იყო მიწაზე უნდა დაცემულიყო; მაგრამ, აჰა, არ დაეცა. და აჰა, ისინი, რომლებიც იმყოფებოდნენ საპყრობილეში, იყვნენ ლამანიელები და განდგომილი ნეფიელები.

28 და იყო ასე, რომ ისინი დაჩრდილა ბნელეთის ღრუბელმა და მოეფინათ საშინელი ღრმა შიში.

29 და იყო ასე, რომ თითქოს ბნელეთის ღრუბლის ზემოდან მოესმათ ხმა, სიტყვებით: მონანიეთ, მონანიეთ და ნუღარ შეეცდებით ჩემს მსახურთა განადგურებას, რომლებიც გამოვიგზავნეთ, რათა კეთილი ამბები გაუწყონ.

30 და იყო ასე, რომ, როდესაც მათ ეს ხმა მოესმათ და იხილეს, რომ ეს არ იყო ჭექა-ქუხილის ხმა, არც ხმა დიდი მღელვარებისა, არამედ, აჰა, ეს იყო წყნარი ხმა, სრულყოფილი სიმშვიდის, ვითარცა ჩურჩული და იყო თვით სულში ჩამწვდომი.

31 და მიუხედავად ხმის სიმშვიდისა, აჰა, დედამიწა საშინლად შეზანზარდა და კვლავ შეირყა საპყრობილის კედლები, ლამის იყო მიწაზე უნდა დაცემულიყო; და აჰა, ბნელეთის ღრუბელი, რომელიც მათ ეფინებოდათ, არ გაიფანტა –

32 და აჰა, კვლავ მოესმათ ხმა, სიტყვებით: მონანიეთ, მონი-

ნიეთ, რადგან ცათა სასუფეველი მოახლოვდა; და ნუღარ შეეცდებით ჩემს მსახურთა განადგურებას. და იყო ასე, რომ დედამიწა კვლავ შეზანზარდა და კედლები შეირყა.

33 და კვლავ, მესამეჯერ მოესმათ ხმა და უთხრა საოცარი სიტყვები, რომლებიც ადამიანის მიერ გამოუთქმელია; და კედლები კვლავ შეირყა და დედამიწა შეზანზარდა, თითქოს შუაზე გაპობას ლამობდა.

34 და იყო ასე, რომ ლამანიელებს გაქცევა არ შეეძლოთ ბნელეთის ღრუბელის გამო, რომელიც მათზე იყო მოფენილი; დიახ, და ვერ იძროდნენ შიშისგან, რომელიც მათ მოევიწინათ.

35 ახლა, მათ შორის იყო ერთი, რომელიც წარმოშობით ნეფიელი იყო, რომელიც ოდესღაც ღმერთის ეკლესიას მიეკუთვნებოდა, მაგრამ მისგან განდგომილი იყო.

36 და იყო ასე, რომ იგი მოტრიალდა და აჰა, იხილა ბნელეთის ღრუბლის მიღმა ნეფისა და ღების სახეები; და აჰა, ისინი ძალზედ ბრწყინავდნენ, როგორც ანგელოზთა სახეები. და მან იხილა, რომ მათ აღმართეს თავიანთი მზერა ზეცისკენ; და იყვნენ ისე, თითქოს ელაპარაკებოდნენ ან აწვდენდნენ ხმას არსებას, რომელსაც ისინი უცქერდნენ.

37 და იყო ასე, რომ ამ კაცმა ხალხს შეჰდაღადა, რომ მოტრი-ალეზულიყვნენ და ეცქირათ. და აჰა, მათ ძალა მიეცათ, რომ

მოტრიალებულიყვნენ და შეეხედათ; და მათ იხილეს ნეფისა და ლეხის სახეები.

38 და მათ ამ კაცს უთხრეს: აჰა, რას ნიშნავს ყოველივე ეს და ვინ არის ის, ვისაც ეს ადამიანები ელაპარაკებიან?

39 ახლა, ამ კაცის სახელი იყო ამინადაბი. და ამინადაბმა მათ უთხრა: ისინი ესაუბრებიან ღმერთის ანგელოზებს.

40 და იყო ასე, რომ ლამანი-ელებმა მას უთხრეს: რა გავაკეთოთ, რომ ეს ბნელეთის ღრუბელი, რომელიც ჩვენ მოგვეფინა, გაიფანტოს?

41 და ამინადაბმა მათ უთხრა: უნდა მოინანიოთ და შეჰღაღადოთ ხმას იქამდე, სანამ არ იწამებთ ქრისტეს, რომლის შესახებაც გასწავლიდნენ აღმა, ამულეკი და ზიზრომი; და როდესაც ასე მოიქცევით, ბნელეთის ღრუბელი, რომელიც თქვენ მოგეფინათ, გაიფანტება.

42 და იყო ასე, რომ დაიწყეს ღაღადი მისი ხმისადმი, რომელიც დედამიწას აზანზარებდა; დიახ, შეჰღაღადეს იქამდე, სანამ ბნელეთის ღრუბელი არ გაიფანტა.

43 და იყო ასე: როდესაც მათ მიმოიხედეს და იხილეს, რომ მათზე მოფენილი ბნელეთის ღრუბელი გაიფანტა, აჰა, მათ იხილეს, რომ ცეცხლის სვეტი იყვნენ გარშემორტყმულნი, დიახ, ყოველი სული.

44 და მათ შორის იყვნენ ნეფი და ლეხი; დიახ, იყვნენ გარშემო-

რტყმულნი, დიახ, ვითარცა მოგიზგიზე ცეცხლის შუაგულში, მაგრამ ის მათ არ ავნებდა და არც საპყრობილის კედლებს არ ეკიდებოდა; და ისინი აღივსნენ სიხარულით, რომელიც აღუწერელია და დიდებით სავსე.

45 და აჰა, ღმერთის სულიწმინდა მოველინათ ზეციდან და შეაღწია მათ გულებში და აღივსნენ ისინი, ვითარცა ცეცხლით და საოცარი სიტყვებით შეძლეს ლაპარაკი.

46 და იყო ასე, რომ მოესმათ ხმა, დიახ, სასიამოვნო ხმა, რომელიც ვითარცა ჩურჩულით ეუბნებოდა:

47 მშვიდობა, მშვიდობა თქვენდა, თქვენი რწმენის გამო ჩემს საყვარელ ძეში, რომელიც იყო ქვეყნის დასაბამიდან.

48 და ახლა, როდესაც ეს მოისმინეს, მათ აღაპყრეს მზერა, თითქოს სურდათ ეხილათ, საიდან მოდიოდა ხმა; და აჰა, იხილეს, რომ ზეცა გაიხსნა; და ანგელოზები გადმოვიდნენ ზეციდან და მათ ემსახურნენ.

49 და იქ იყო სამასამდე სული, რომელმაც ყოველივე ეს იხილა და მოისმინა; და მათგან მოითხოვეს, რომ წასულიყვნენ და არ გაოცებულიყვნენ, არც დაეჭვებულიყვნენ.

50 და იყო ასე, რომ ისინი წავიდნენ და ხალხს ემსახურნენ, გამოაცხადეს რა მთელ გარშემო მხარეებში ყველაფერი, რაც მოისმინეს და იხილეს, ასე რომ

ლამანიელთა უმეტესი ნაწილი დაარწმუნეს იმ მტკიცებულებების სიდიადით, რომლებიც მათ მიიღეს.

51 და რომლებიც დაარწმუნეს, ყველა მათგანმა დათმო საომარი იარაღი, ასევე სიძულვილი და თავიანთი მამების ჩვეულებანი.

52 და იყო ასე, რომ მათ ნეფიელებს მისცეს თავიანთი მამულების მიწები.

თავი 6

მართალი ლამანიელები ექადაგებენ ბოროტ ნეფიელებს. ორივე ხალხი აყვავდება მშვიდობისა და სიუხვის ხანაში. ლუციფერი, ცოდვის შემქმნელი, უბიძგებს ბოროტთა და გადიანტონის მძარცველების გულებს მკვლელობისა და სიბოროტისკენ. მძარცველები ამხობენ ნეფიელთა ხელისუფლებას. დაახლოებით 29-23 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და იყო ასე, რომ ყოველივე ეს მოხდა, როდესაც დასრულდა მოსამართლეთა მმართველობის სამოცდამეორე წელი და ლამანიელები, მათი უმეტესი ნაწილი, მართალ ხალხად იქცა ისე, რომ მათი სამართლიანობა ნეფიელებისას აღემატებოდა, რწმენაში თავიანთი სიმტკიცითა და ურყეობით.

2 რადგან, აჰა, იყო მრავალი ნეფიელი, რომლებიც გულქვანი, მოუნანიებელნი და ძალზედ ბოროტნი გახდნენ, ისე, რომ

უარყეს ღვთის სიტყვა და ყველა ქადაგება და წინასწარმეტყველება, რაც კი მათში იყო.

3 ამისდა მიუხედავად, ეკლესიის ხალხი ძალზედ ხარობდა ლამანიელთა მოქცევის გამო, დიახ, ღმერთის ეკლესიის შემწეობით, რომელიც მათ შორის ჩამოყალიბდა. და მათ ერთმანეთში ძმური ურთიერთობა ჰქონდათ და ერთმანეთში ხარობდნენ და დიდი სიხარული ჰქონდათ.

4 და იყო ასე, რომ მრავალი ლამანიელი ჩამოვიდა ზარაჰემლას მიწაზე და ნეფიელთა ხალხს აუწყებდა მოქცევის წესის შესახებ და მოუწოდებდა რწმენისა და მონანიებისკენ.

5 დიახ, და მრავალნი ქადაგებდნენ, დიდი ძალითა და უფლებამოსილებით, მიჰყავდათ რა მრავალი მათგანი ღრმა თავმდაბლობისკენ, რათა ყოფილიყვნენ ღმერთისა და კრავის თავმდაბალი მიმდევრები.

6 და იყო ასე, რომ მრავალი ლამანიელი წავიდა ჩრდილოეთ მიწაზე; და ასევე ნეფი და ლეხი წავიდნენ ჩრდილოეთ მიწაზე, რათა ხალხისათვის ექადაგათ. და ასე დასრულდა სამოცდამესამე წელი.

7 და აჰა, იქ მთელ მიწაზე იყო მშვიდობა, ისეთი, რომ ნეფიელებს შეეძლოთ წასულიყვნენ ნებისმიერ მხარეში, სადაც მოესურვებოდათ, თუნდაც ნეფიელებს ან ლამანიელებს შორის.

8 და იყო ასე, რომ ლამანიელებ-

საც ასევე შეეძლოთ წასულიყვნენ იქ, სადაც მოესურვებოდათ, თუნდაც ლამანიელებს ან ნეფიელებს შორის; და ამგვარად, მათ ჰქონდათ ერთმანეთში თავისუფალი საქმიანობა, რომ გაეყიდათ ან ეყიდათ და თავიანთი სურვილისამებრ მიეღოთ შემოსავალი.

9 და იყო ასე, რომ ისინი ძალზედ გამდიდრდნენ, როგორც ლამანიელები, ისე ნეფიელები; და ძალზედ უხვად ჰქონდათ ოქრო და ვერცხლი და ყველანაირი ძვირფასი ლითონი, როგორც სამხრეთ, ასევე ჩრდილოეთ მიწებზე.

10 ახლა, სამხრეთ მიწას ეწოდებოდა ლეხი და ჩრდილოეთ მიწას მულეკი, ციდეიაჰუს შვილის სახელი, რადგან უფალმა მულეკი მოიყვანა ჩრდილოეთ მიწაზე და ლეხი – სამხრეთ მიწაზე.

11 და აჰა, იქ იყო ყველანაირი ოქრო, ორივე მიწაზე, ვერცხლი და ყველანაირი ძვირფასი მადანი; და იქ იყვნენ ნატიფი ხელოსნები, რომლებიც ყველანაირ მადანს ამუშავებდნენ და ხვეწდნენ; და ამგვარად ისინი მდიდრდებოდნენ.

12 მათ უხვად მოჰყავდათ ხორბალი, ჩრდილოეთითა და სამხრეთით; და ძალზედ ყვაოდნენ, როგორც ჩრდილოეთით, ასევე სამხრეთით. და მიწაზე მრავლდებოდნენ და მყარდებოდნენ ძალზედ ძლიერად. და მათ გაამრავლეს მრავალი წვრილფეხა

და მსხვილფეხა საქონელი, დიახ, მრავალი ნასუქალი პირუტყვი.

13 აჰა, მათი ქალები მუშაობდნენ და რთავდნენ და კერავდნენ ყველანაირ თეთრეულს, გრეხილ ბისონსა და ყველანაირ თეთრეულს, რათა დაეფარათ თავიანთი სიშიშველე. და ასე მშვიდობიანად ჩაიარა სამოცდამეოთხე წელმა.

14 და სამოცდამეხუთე წელს ასევე ჰქონდათ დიდი სიხარული და მშვიდობა, დიახ, მრავალი ქადაგება და წინასწარმეტყველებანი იმის შესახებ, რაც უნდა მომხდარიყო. და ასე ჩაიარა სამოცდამეხუთე წელმა.

15 და იყო ასე, რომ მოსამართლეთა მმართველობის სამოცდამეექვსე წელს, აჰა, ცეზორამი მოკლეს უცნობის ხელით, როდესაც იჯდა მოსამართლის სავარძელზე. და იყო ასე, რომ იმავე წელს მისი შვილი, რომელიც მის ადგილზე ხალხის მიერ იყო დანიშნული, ასევე იქნა მოკლული. და ასე დასრულდა სამოცდამეექვსე წელი.

16 და სამოცდამეშვიდე წლის დასაწყისში ხალხი კვლავ მეტისმეტად გაბოროტდა.

17 რადგან, აჰა, უფალმა ისე დიდი ხნით აკურთხა ამქვეყნიური სიმიდრით, რომ არ ღვივდებოდა მათში რისხვა, ომი და არც სისხლისღვრა; ამიტომ, მათ გულებში იწყო გაღვივება ლტოლვამ სიმიდრისადმი; დიახ, მათ იწყეს სარგებლის ძიება, რათა

ერთი-მეორეზე მაღლა დამდგარიყვნენ; ამიტომ, დაიწყეს საიდუმლო მკვლევლობების ჩადენა, ძარცვა და ქურდობა, რათა სარგებელი მიეღოთ.

18 და ახლა, აჰა, ეს მკვლევლები და მძარცველები იყვნენ რაზმიდან, რომელიც ჩამოაყალიბეს კიშკუმენმა და გადიანტონმა. და ახლა, იყო ასე, რომ ნეფიელებს შორისაც ბევრი იყო გადიანტონის რაზმიდან. მაგრამ, აჰა, ლამანიელთა ბოროტი ნაწილიდან ისინი იყვნენ უფრო მრავალრიცხოვანნი. და მათ უწოდებდნენ გადიანტონის მძარცველებსა და მკვლევებს.

19 და მათ მოკლეს მთავარი მოსამართლე ცეზორამი და მისი შვილი მოსამართლის სავარძელზე; და აჰა, ისინი ვერ იპოვეს.

20 და ახლა, იყო ასე, რომ როდესაც ლამანიელებმა აღმოაჩინეს, რომ მათ შორის იყვნენ მძარცველები, ისინი ძალზედ დაღონდნენ; და ყველაფერი იღონეს, რაც კი შეეძლოთ, მათი მიწის პირიდან გასანადგურებლად.

21 მაგრამ, აჰა, სატანამ უბიძგა ნეფიელთა უმეტესობის გულებს, ისე რომ ისინი გაერთიანდნენ იმ მძარცველების რაზმთან და დადეს მათთან ალთქმები და ფიცი, რომ ერთმანეთს დაიცავდნენ და გადაარჩენდნენ, როგორ რთულ პირობებშიც არ უნდა ჩავარდნილიყვნენ, რათა არ დატანჯულიყვნენ თავიანთი

მკვლევლობებისთვის, ჩადენილი ძარცვებისა და ქურდობებისთვის.

22 და იყო ასე, რომ მათ ჰქონდათ თავიანთი ნიშნები, ღიახ, საიდუმლო ნიშნები, თავიანთი საიდუმლო სიტყვები; და ეს იმისათვის, რათა გამოერჩიათ თავიანთი ძმები, რომლებმაც ალთქმა დადეს, რომ, როგორც სიბოროტეც არ უნდა ჩაედინა მათ ძმას, იგი არ დაიტანჯებოდა თავისი ძმის მიერ, არც მათი მხრიდან, რომლებიც მიეკუთვნებოდნენ მის რაზმს, დადეს რა ეს ალთქმა.

23 და ამგვარად, მათ შეეძლოთ დაეხცათ, ეძარცვათ და ექურდათ, ჩაედინათ მრუშობანი და ყველანაირი სიბოროტე, თავიანთი ქვეყნის და ასევე თავიანთი ღმერთის კანონების წინააღმდეგ.

24 და ის, რომელიც მიეკუთვნებოდა მათ რაზმს და გაუმხელდა ქვეყანას მათ ბოროტებასა და სისაძაგლეებს, უნდა განეკიცხათ, არა საკუთარი ქვეყნის კანონების მიხედვით, არამედ თავიანთი სიბოროტის კანონებით, რომელნიც გადიანტონის და კიშკუმენის მიერ იყო მოცემული.

25 ახლა, აჰა, ამ საიდუმლო ფიცსა და ალთქმებზე აღმამ უბრძანა თავის შვილს, რომ არ გავრცელებულიყო ქვეყანაზე, რათა არ ქცეულიყვნენ ისინი ადამიანთა განადგურების გამომწვევ მიზეზად.

26 ახლა, აჰა, ეს საიდუმლო ფიცი და ალთქმები გადიანტონამდე არ

მისულა იმ ჩანაწერებიდან, რომლებიც ჰელამანს გადაეცა; არამედ ისინი გადიანტონის გულში იქნა ჩადებული იმავე არსების მიერ, რომელმაც ჩვენი პირველი მშობლები შეაცდინა, რათა ეგემათ აკრძალული ხილი –

27 დიახ, იმავე არსებამ, რომელმაც კაენთან დადო შეთქმულება, რომ, თუ მოკლავდა საკუთარ ძმას, აბელს, ეს მთელი ქვეყნისთვის ცნობილი არ გახდებოდა. და იმ დროიდან, მან კაენთან და თავის მიმდევრებთან შეთქმულება მოაწყო.

28 და ასევე ეს არის იგივე არსება, რომელმაც ადამიანთა გულებში ჩადო, რომ კოშკი აუშენებინათ, იმდენად მაღალი, რომ ზეცას მისწვდომოდნენ. და ეს იყო იგივე არსება, რომელიც იმ კოშკიდან ამ მიწაზე ჩამოსულ ადამიანებს აცდუნებდა; რომელიც ავრცელებდა ბნელეთის საქმეს და სისაძაგლეებს მთელი მიწის პირზე, სანამ არ ჩაითრია ხალხი სრულ განადგურებასა და მარადიულ ჯოჯოხეთში.

29 დიახ, ეს არის იგივე არსება, რომელმაც გადიანტონს გულში ჩაუდო, კვლავ გაეგრძელებინა ბნელეთის და საიდუმლო მკვლელობების საქმეები; და ეს მან მოიტანა ადამიანის დასაბამიდან ამ დრომდე.

30 და აჰა, ეს არის ის, რომელიც ყოველი ცოდვის შემქმნელია. და აჰა, იგი ასრულებს

თავის ბნელეთისა და საიდუმლო მკვლელობების საქმეებს და გადასცემს მათ საიდუმლო შეთქმულებებს, მათ ფიცსა და აღთქმებს, მათ საშინელი სიბოროტის გეგმებს, თაობიდან თაობაზე, იმისდა მიხედვით, თუ როგორ შეძლებს ადამიანთა შვილების გულების დაუფლებას.

31 და ახლა, აჰა, იგი დიდად დაეუფლა ნეფიელთა გულებს, დიახ, ისე, რომ ისინი ძალზედ გაბოროტდნენ, დიახ, მათმა უმეტესობამ გადაუხვია სამართლიანობის გზიდან და ფეხქვეშ გათელა ღმერთის მცნებები, გადაუხვიეს საკუთარ გზებზე და თავიანთი ოქროთი და ვერცხლით აიგეს კერპები.

32 და იყო ასე, რომ ყველა ეს ურჯულოება მათ მოევლინათ არც თუ ისე მრავალი წლის განმავლობაში, ისე რომ ამის დიდი ნაწილი მათ მოევლინა ნეფის ხალხზე მოსამართლეთა მმართველობის სამოცდამეშვიდე წელს.

33 და ისინი გაღრმავდნენ თავიანთ ურჯულოებაში სამოცდამერვე წელშიც, მართალთა დიდ სამწუხაროდ და საგოდებლად.

34 და ამგვარად ვხედავთ, რომ ნეფიელებმა იწყეს ურწმუნოებაში გადაშენება და სიბოროტისა და სისაძაგლის გაღრმავება იმ დროს, როდესაც ლამანიელებმა იწყეს ძლიერად ზრდა თავიანთი ღმერთის ცოდნაში; დიახ, მათ იწყეს მისი

წესებისა და მცნებების დაცვა და მის წინაშე იყვნენ ჭეშმარიტნი და კეთილშობილნი.

35 და ამგვარად, ვხედავთ, რომ უფლის სულმა დაიწყო ნეფიელებისგან დაშორება, მათი სიბოროტისა და გულქვაობის გამო.

36 და ამგვარად, ვხედავთ, რომ უფალმა იწყო თავისი სულის გამომღვრა ლამანიელებზე მათი მიდრეკილებისა და მზადყოფნისათვის, იწამონ მისი სიტყვები.

37 და იყო ასე, რომ ლამანიელები დევნიდნენ გადიანტონის მძარცველების რაზმს; და ასევე ქადაგებდნენ ღვთის სიტყვას მათ უფრო ბოროტ ნაწილში, ისე რომ ეს მძარცველების რაზმი მთლიანად განადგურდა ლამანიელთა შორის.

38 და იყო ასე: მეორე მხრივ, ნეფიელები აყალიბებდნენ მათ და მხარს უჭერდნენ, იწყებდნენ რა მათი ყველაზე ბოროტი ნაწილიდან, სანამ არ გავრცელდნენ მთელ ნეფიელთა მიწაზე და მართალთა უმეტესობა იქამდე შეაცდინეს, რომ დაიყოლიეს, ერწმუნათ მათი საქმენი და მიეღოთ მათგან ნადავლი და ჩართულიყვნენ მათ საიდუმლო მკვლევლობებსა და შეთქმულებებში.

39 და ასე დაამყარეს ხელისუფლებაზე მმართველობა, ისე რომ ფეხქვეშ თელავდნენ, სცემდნენ, ჩაგრაგდნენ და ზურგს აქცევდნენ ღარიბს, თვინიერსა

და ღმერთის თავმდაბალ მიმდევრებს.

40 და ამგვარად ვხედავთ, რომ იყვნენ საშინელ მდგომარეობაში და მარადიული განადგურებისთვის მწიფდებოდნენ.

41 და იყო ასე, რომ ასე დასრულდა ნეფის ხალხზე მოსამართლეთა მმართველობის სამოცდამეორე წელი.

ჰელამანის შვილის, ნეფის, წინასწარმეტყველება. ღმერთი ემუქრება ნეფის ხალხს, რომ მოევლინება მათ თავისი რისხვით, სრულ გასანადგურებლად, თუ არ მოინანიებენ სიბოროტეს. ღმერთი ჭირით სჯის ნეფის ხალხს; ისინი მოინანიებენ და მისკენ მობრუნდებიან. ლამანიელი სამუელი უწინასწარმეტყველებს ნეფიელებს.

შეიცავს მე-7-დან მე-16 თავის ჩათვლით.

თავი 7

ნეფის უარყოფენ ჩრდილოეთში და ის ბრუნდება ზარაჰემლაში. იგი ლოცულობს საკუთარი ბაღის კოშკზე და შემდეგ მოუწოდებს ხალხს მოინანიონ, თორემ დაიღუპებიან. დაახლოებით 23-21 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 აჰა, ახლა, ნეფიელთა ხალხზე მოსამართლეთა მმართველობის

სამოცდამეცხრე წელს, ნეფი, ჰელამანის შვილი, დაბრუნდა ზარაჰემლას მიწაზე ჩრდილოეთ მიწიდან.

2 რამეთუ იგი წასული იყო ხალხთან ჩრდილოეთით მიწაზე და ქადაგებდა მათთვის ღვთის სიტყვას და ბევრი რამ უწინასწარმეტყველა;

3 და მათ უარყვეს ყველა მისი სიტყვა, ასე რომ, მას აღარ შეეძლო მათ შორის დარჩენა და იგი კვლავ დაბრუნდა თავის მშობლიურ მიწაზე.

4 და იხილა რა ხალხი ასეთ საშინელ სიბოროტეში და გადიანტონის ის მძარცველები, რომლებმაც დაიკავეს მოსამართლის სავარძლები, იმ მიწის ძალისა და უფლებამოსილების უკანონოდ მიტაცებით; გვერდზე გადადეს ღმერთის მცნებები და არ იყვნენ მის წინაშე არაფრით მართალნი; არ ამუღავნებდნენ ადამიანთა შვილების მიმართ არანაირ სამართალს;

5 კიცხავდნენ რა მართალთ მათ სამართლიანობისათვის; ნებას რთავდნენ დამნაშავესა და ბოროტს დაუსჯელად ევლოთ თავიანთი ფულის გამო; და გარდა ამისა, მათ თანამდებობებზე ნიშნავდნენ ხელისუფლებაში, რათა ემართათ და მოქცეულიყვნენ თავიანთი სურვილისამებრ, რომ მიეღოთ სარგებელი და ამქვეყნიური ქება-დიდება და უფრო მეტიც – რათა უფრო ადვილად ემრუშათ, ექურდათ და

ჩაედინათ მკვლელობები და ეკეთებინათ ყველაფერი საკუთარი სურვილისამებრ –

6 ახლა, ეს დიდი ურჯულოება დაატყდათ ნეფიელებს რამდენიმე წელში; და როდესაც ნეფიმ ეს იხილა, მას გულმკერდი მწუხარებით აევსო და მან სულის აგონიაში შესტირა:

7 ო, რომ შემძლებოდა მეცხოვრა იმ დღეებში, როდესაც მამაჩემი, ნეფი, პირველად გამოვიდა იერუსალიმის მიწიდან, რათა მასთან ერთად გამეხარა აღთქმულ მიწაზე; როდესაც მისი ხალხი იყო გულისხმიერი სწავლებისადმი, მტკიცე ღმერთის მცნებების დაცვაში და ზანტი ურჯულოებისადმი; და იყვნენ სწრაფნი უფლის სიტყვის ყურადღებაში –

8 დიახ, ჩემი დღეები რომ ყოფილიყო იმ ჟამს, ჩემი სული გაიხარებდა ჩემი ძმების სამართლიანობით.

9 მაგრამ, აჰა, განწირული ვარ, ეს არის ჩემი დღეები და სული დარდით ამევსება ჩემი ძმების სიბოროტის გამო.

10 და აჰა, იყო ასე, რომ ეს ხდებოდა კოშკზე, ნეფის ბაღში, რომელიც იყო ქალაქ ზარაჰემლაში ბაზრისკენ მიმავალ მთავარ შარაგზასთან; ამიტომ, ნეფიმ მუხლი მოიყარა თავის ბაღში მდებარე კოშკში, რომელიც ახლოს იყო ბაღის ჭიმკართან, რომელიც შარაგზაზე გადიოდა.

11 და იყო ასე, რომ ზოგიერთმა ადამიანმა შორიახლოს ჩაიარა და იხილა კოშკზე ნეფი, როდესაც იგი სულს ღვრიდა ღმერთის წინაშე; და გაიქცნენ და ხალხს უამბეს ის, რაც იხილეს. და მრავალნი შეიკრიბნენ, რათა შეეტყუთ ხალხის სიბოროტის გამო ასეთი დიდი გლოვის მიზეზი.

12 და ახლა, როდესაც ნეფი წამოდგა, მან იხილა ერთად შეკრებილი უამრავი ხალხი.

13 და იყო ასე, რომ მან გახსნა ბაგე და მიმართა მათ: აჰა, რატომ შეიკრიბეთ ერთად? იმისთვის, რომ გითხრათ თქვენი ურჯულოების შესახებ?

14 დიახ, რადგან ავედი ჩემს კოშკზე, რათა ღმერთისთვის სული გადმომეღვარა გულის ძალზედ დიდი დარდისათვის, რომელიც მაქვს თქვენი ურჯულოების გამო!

15 და ჩემი გლოვისა და გოდების გამო თქვენ ერთად შეიკრიბეთ და გიკვიროთ, დიახ, გაოცებისთვის გაქვთ დიდი მიზეზი, დიახ, უნდა გაოცდეთ, რადგან იმ ეშმაკმა შეგიპყროთ, რომელმაც ასე დიდად მოიცვა თქვენი გულები.

16 დიახ, როგორ დაუთმეთ მის ცდუნებებს, რომელიც ცდილობს თქვენი სულების მარადიულ უბედურებასა და უსასრულო ვარამში ჩათრევას?

17 მოინანიეთ, მოინანიეთ, თქვენ! რატომ უნდა მოკვდეთ?

მობრუნდით, მობრუნდით უფლისკენ, თქვენი ღმერთისკენ. რატომ მიგატოვათ მან?

18 რადგან გული გაიქვავეთ; დიახ, ყურს არ უგდებთ კეთილი მწყემსის ხმას; დიახ, თქვენ განარისხეთ იგი თქვენ წინააღმდეგ.

19 და აჰა, იმის მაგივრად, რომ ერთად შეგკრიბოთ, თუ არ მოინანიებთ, აჰა, გაგვანტავთ, რათა გახდეთ ძაღლებისა და გარეული მხეცების საჭმელი.

20 როგორ შეძელით თქვენი ღმერთის დავიწყება იმავე დღეს, როდესაც მან გამოგიხსნათ?

21 მაგრამ, აჰა, ეს იმისათვის, რომ მიიღოთ სარგებელი, შეგაქონ ადამიანებმა, დიახ, და მოიხვეჭოთ ოქრო და ვერცხლი. და მიუძღვენით გული სიმდიდრესა და ამქვეყნიურ ამაოებას, რისთვისაც კლავთ და ძარცვავთ, იპარავთ და ცრუმოწმობთ თქვენი მოყვასის წინააღმდეგ და სწადიხართ ყოველგვარ ურჯულოებას.

22 და ამის გამო, თუ არ მოინანიებთ, ვარამი მოვა თქვენზედ. რადგან, თუ არ მოინანიებთ, აჰა, ეს დიდი ქალაქი და გარშემო მდებარე ყველა დიდი ქალაქი, რომელიც ჩვენ მიერ დაუფლებულ მიწაზეა, წაგვერთმევა, ისე რომ მათში აღარ გექნებათ ადგილი; რადგან, აჰა, უფალი არ გიბოძებთ ძალას მტრისთვის წინააღმდეგობის გასაწევად, როგორც იგი აქამდე აკეთებდა.

23 რადგან, აჰა, ასე ამბობს უფალი: არ დავანახებ ბოროტთა ჩემს ძალას, ერთს მეორეზე მეტად, გარდა მათი, რომლებიც ცოდვებს ინანიებენ და ყურს უგდებენ ჩემს სიტყვებს. ამიტომ, ახლა მსურს, გაიგოთ, ჩემო ძმებო, რომ თუ არ მოინანიებთ, ლამანიელები თქვენზე უკეთესად იქნებიან.

24 რადგან, აჰა, ისინი თქვენზე სამართლიანნი არიან, რადგან არ შესცოდეს იმ დიდი ცოდვის წინაშე, რომელიც მიღებული გაქვთ; ამიტომ, უფალი მათ მართლად იქნება მოწყალე; დიახ, ის მათ დღეებს გაუგრძელებს და ამრავლებს მათ შთამომავლობას, მაშინაც კი, როდესაც თქვენ მთლიანად განადგურდებით, თუ არ მოინანიებთ.

25 დიახ, ვარამი იქნება თქვენზედ, იმ დიდი სისაძაგლისათვის, რომელიც თქვენში მოვიდა; და თქვენ მას შეუერთდით; დიახ, იმ საიდუმლო რაზმს, რომელიც გადიანტონმა შექმნა!

26 დიახ, ვარამი მოვა თქვენზედ, იმ ამპარტავნობისთვის, რომელსაც ნება დართეთ, თქვენს გულებში შემოსულიყო, რომლითაც აღზევდით იმაზე, რაც არის კეთილი, თქვენი მეტისმეტი სიმდიდრის გამო!

27 დიახ, ვარამი თქვენზედ, თქვენი სიბოროტისა და სისაძაგლისთვის!

28 და თუ არ მოინანიებთ – დაიღუპებით; დიახ, თქვენი მიწებიც

წაგერთმევათ და დედამიწის პირიდან განადგურდებით.

29 აჰა, ახლა, ჩემით არ ვამბობ, რომ ეს მოხდება, ვინაიდან ყველაფერი, რაც ვიცი, არ არის ჩემით; არამედ, აჰა, მე ვიცი, რომ ყოველივე ეს არის ჭეშმარიტი, რადგან ეს უფალმა ღმერთმა გამანდო, ამიტომ, ვმოწმობ, რომ ყოველივე ეს იქნება.

თავი 8

გარყვნილი მოსამართლეები ხალხს ნეფის წინააღმდეგ აქეზებენ. აბრაამი, მოსე, ზენოსი, ზენოქი, ეზიასი, ესაია, იერემია, ლეხი და ნეფი, ყველა მოწმობდა ქრისტეს შესახებ. ზეშთაგონების შედეგად ნეფი აცხადებს მთავარი მოსამართლის მკვლელობის შესახებ. დაახლოებით 23–21 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და ახლა, იყო ასე, რომ როდესაც ნეფიმ წარმოთქვა ეს სიტყვები, აჰა, იქ იმყოფებოდნენ ადამიანები, რომლებიც იყვნენ მოსამართლეები, რომლებიც ასევე მიეკუთვნებოდნენ გადიანტონის საიდუმლო დაჯგუფებას და ძალზედ განრისხებულნი იყვნენ და მის წინააღმდეგ დადართ, ხალხს ეუბნებოდნენ: რატომ არ იტერთ ამ ადამიანს და არ მოგყავთ, რათა განსჯილ იქნას ჩადენილი დანაშაულისთვის?

2 რატომ უყურებთ და უსმენთ

ამ კაცის მიერ ამ ხალხისა და ჩვენი კანონის ლანძღვას?

3 რადგან, აჰა, ნეფი ელაპარაკებოდა მათ მათი კანონების გარყვნილობაზე; დიახ, ბევრ რამეზე ილაპარაკა ნეფიმ, რაც ვერ დაიწერება; და არაფერი უთქვამს, რაც იყო ღმერთის მცნებების წინააღმდეგ.

4 და ის მოსამართლეები იყვნენ განრისხებულნი მასზე, რადგან ნათლად ელაპარაკებოდა მათი საიდუმლო ბნელეთის საქმეებზე; ამისდა მიუხედავად, ისინი ვერ ბედავდნენ მასზე ხელის აღმართვას, რადგან ხალხის ეშინოდათ, რომ არ დაეწყოთ მათ წინააღმდეგ ღალადი.

5 ამიტომ, მათ ხალხს შეჰკლადადეს სიტყვებით: რატომ დაუშვით, რომ ეს ადამიანი გვლანძღავს? რადგან, აჰა, განსჯის მთელ ამ ხალხს, განადგურებამდეც კი, დიახ, ეს დიდი ქალაქებიც ასევე წაგვერთმევა და აღარ იქნება იქ ჩვენი ადგილი.

6 და ახლა ჩვენ ვიცით, რომ ეს შეუძლებელია, რადგან, აჰა, ვართ ძლიერნი და ჩვენი ქალაქები არის დიდი, ამიტომ მტერს არ აქვს ჩვენზე ძალაუფლება.

7 და იყო ასე: ამგვარად, მათ ხალხში გაადვივეს წყრომა ნეფის წინააღმდეგ და მათ შორის გამოიწვიეს უთანხმოება; რადგან იქ იყვნენ ზოგიერთები, რომლებიც იძახდნენ: თავი დაანებეთ, რადგან იგი კარგი ადამიანია და თუ არ მოვინანიებთ, ყველაფერი,

რასაც იგი ამბობს, აუცილებლად აღსრულდება.

8 დიახ, აჰა, ჩვენზედ მოვა ყველა განაჩენი, რომელზეც იგი მოწმობს; რადგან ვიცით, რომ მან სწორად დაამოწმა ჩვენი ურჯულოების შესახებ. და ისინი არიან მრავალნი და მან ასევე ყველაფერი იცის, თუ რა დაგვატყდება თავს, ისევე, როგორც იცის ჩვენს ურჯულობაზე.

9 დიახ, და აჰა, რომ არ ყოფილიყო წინასწარმეტყველი, ვერ დაამოწმებდა ყოველივე ამის შესახებ.

10 და იყო ასე, რომ ის ადამიანები, რომლებიც ცდილობდნენ ნეფის განადგურებას, თავიანთი შიშის გამო იძულებულნი იყვნენ, არ აღეშინებინათ მასზე ხელი; ამიტომ, მან კვლავ მიმართა მათ, ხედავდა რა, რომ კეთილგანწყობა მოიპოვა ზოგიერთი მათგანის თვალში, ასე რომ დანარჩენებს ეშინოდათ.

11 ამიტომ, იძულებული იყო მათთვის უფრო მეტი ეთქვა სიტყვებით: აჰა, ჩემო ძმებო, ნუთუ არ წაგიკითხავთ, რომ ღმერთმა ერთ ადამიანს მისცა ძალა, თავად მოსეს, რათა წითელი ზღვის წყალზედ კვერთხი დაეკრა და იგი გაიყო აქეთ-იქეთ ისე, რომ ისრაელიელებმა, რომლებიც ჩვენი მამები იყვნენ, მშრალ მიწაზე გამოიარეს, და წყალმა დახურა პირი ეგვიპტელთა ჯარებზე და ისინი შთანთქა?

12 და ახლა, აჰა, თუ ღმერთმა

ამ ადამიანს მისცა ასეთი ძალა, მაშინ რატომ უნდა დაეობდეთ ერთმანეთში და ლაპარაკობდეთ, რომ მას ჩემთვის არ მოუცია არანაირი ძალა, რითაც შემოდლია ვიცოდე იმ განაჩენების შესახებ, რომლებიც თქვენზედ მოვა, თუ არ მოინანიებთ?

13 მაგრამ, აჰა, თქვენ არა მარტო უარყოფთ ჩემს სიტყვებს, არამედ უარყოფთ ყველა სიტყვას, რაც ჩვენმა მამებმა თქვეს, ასევე სიტყვებს, რომლებიც ამ ადამიანმა, მოსემ, თქვა, რომელსაც ისეთი დიდი ძალა ჰქონდა ნაბოძები, დიახ, იმ სიტყვებს, რომლებიც მან მესიის მოსვლაზე ილაპარაკა.

14 დიახ, ნუთუ არ დაამოწმა, რომ ძე ღვთისა მოვა? და როგორც აღმართა უდაბნოში ბრინჯაოს გველი, ასევე აღმართება იგი, რომელიც უნდა მოვიდეს.

15 და როგორც ყველა, ვინც იმ გველს შეხედავდა, ცოცხალი გადარჩებოდა, ასევე ყოველი, ვინც რწმენით და მომნანიებელი სულის შესცქერის ძეს ღვთისა, იცოცხლებს იმ სიცოცხლით, რომელიც მარადიულია.

16 და ახლა, აჰა, არა მარტო მოსემ დაამოწმა ამის შესახებ, არამედ ყველა წმინდა წინასწარმეტყველმა, მისი დღეებიდან აბრაამის დღეებამდე კი.

17 დიახ, და აჰა, აბრაამმა იხილა მისი მოსვლა და სავსე იყო ბედნიერებით და ხარობდა.

18 დიახ, და აჰა, გეუბნებით,

რომ მარტო აბრაამმა არ იცოდა ყოველივე ეს, არამედ აბრაამის დღეებამდე ბევრნი იყვნენ, რომლებიც ღმერთის წესისამებრ მოწოდებულნი იყვნენ; დიახ, მისი ძის წესისამებრ; და ეს, რათა ხალხს დაანახონ მის მოსვლამდე მრავალი ათასი წლით ადრე, რომ მათთვისაც მოვა გამოსყიდვა.

19 და ახლა, მე მსურს, რომ იცოდეთ, აბრაამის დღეების დროიდან, მრავალი წინასწარმეტყველი მოწმობდა ამის შესახებ; დიახ, აჰა, წინასწარმეტყველი ზენოსი თამამად მოწმობდა; რის გამოც იგი მოკლეს.

20 და აჰა, ასევე ზენოქი და ასევე ეზიასი; და ასევე ესაია და იერემია (იერემია იყო ის წინასწარმეტყველი, რომელიც იერუსალიმის განადგურების შესახებ მოწმობდა) და ახლა ჩვენ ვიცით, რომ იერუსალიმი განადგურდა იერემიას სიტყვების შესაბამისად. და მაშინ, რატომ არ უნდა მოვიდეს ძე ღვთისა, მისი წინასწარმეტყველების შესაბამისად?

21 და ახლა, შემედავებით იერუსალიმის განადგურებაზე? იტყვით, რომ ციდეკიაჰუს შვილები არ დახოცეს, მუღლეკის გარდა? დიახ, და ნუთუ ვერ ხედავთ, რომ ციდეკიაჰუს შთამომავლობა არის ჩვენთან და ისინი გაძევებულ იქნენ იერუსალიმიდან? მაგრამ, აჰა, ეს არ არის ყველაფერი -

22 ჩვენი მამა, ლეხი, იერუსალიმიდან გააძევეს, რადგან მოწმობდა ყოველივე ამაზე. ნეფი ასევე მოწმობდა ყოველივე ამაზე და ასევე თითქმის ყველა ჩვენი მამა, ამ დრომდეც კი, დიახ, ქრისტეს მოსვლაზე მოწმობდნენ და მოელოდნენ და ხარობდნენ მისი დღით, რომელიც მოვა.

23 და აჰა, ის არის ღმერთი და არის მათთან და იგი მათ თავად გამოეცხადა, რათა გამოეცხადებინათ იქნენ მის მიერ; და მათ იგი აღიდგეს იმისათვის, რაც მოხდება.

24 და ახლა, რადგან თქვენ იცით ყოველივე ეს და თუ არ იცნობთ, ამას ვერ უარყოფთ, რადგან შესცოდეთ იმით, რომ უარი თქვით ამ ყველაფერზე, მიუხედავად ამდენი დამოწმებებისა, რომლებიც მიიღეთ; დიახ, თქვენ გებოძათ ყველაფერი, რაც ზეცაშია და ყველაფერი, რაც არის დედამიწაზე, იმისდა დასამოწმებლად, რომ ეს არის ჭეშმარიტება.

25 მაგრამ, აჰა, თქვენ ჭეშმარიტება უარყავით და აუჯანყდით თქვენს წმინდა ღმერთს და ახლაც კი, იმის მაგივრად, რომ ეძიოთ ზეციური საგანძური, სადაც არაფერი არ იხრწნება და სადაც ვერ შევა, რაც არის უწმინდური, თქვენ აგროვებთ განსჯის დღის მრისხანებას თქვენთვის.

26 დიახ, ახლაც კი მწიფდებით, მკვლელობებით, სიძვითა

და სიბოროტით, მარადიული განადგურებისთვის; დიახ, და თუ არ მოინანიებთ, ის მალე მოვა თქვენზედ.

27 დიახ, აჰა, ის კარზეც მოგადგათ; დიახ, მიდით მოსამართლის სავარძელთან და მოძებნეთ; და აჰა, თქვენი მოსამართლე მოკლეს და წვეს იგი საკუთარ სისხლში; და იგი მოკლა თავისმა ძმამ, რომელსაც მოსამართლის სავარძლის დაკავება სურს.

28 და აჰა, ისინი ორივე თქვენი საიდუმლო რაზმის წევრები არიან, რომლის შემქმნელია გადიანტონი და ის ბოროტი, რომელიც ცდილობს ადამიანების სულის განადგურებას.

თავი 9

მაცნეები პოულობენ მთავარ მოსამართლეს, მოკლულს, თავის სავარძელთან. მათ ატყვევებენ და მოგვიანებით ათავისუფლებენ. ნეფი შთაგონებით ამოიცნობს სეანტუმს, როგორც მკვლელს. ზოგიერთნი ნეფის აღიქვამენ, როგორც წინასწარმეტყველს. დაახლოებით 23-21 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 აჰა, იყო ასე: როდესაც ნეფიმ ეს სიტყვები წარმოთქვა, ზოგიერთნი, რომლებიც იყვნენ მათ შორის, გაიქცნენ მოსამართლის სავარძლისკენ; დიახ, ხუთნი იყვნენ, რომლებიც წავიდნენ და მიმავალნი, ერთმანეთში ლაპარაკობდნენ:

2 აჰა, ახლა ნამდვილად გავიგებთ, არის თუ არა ეს კაცი წინასწარმეტყველი და თუ აქვს ღმერთისგან ნაბრძანები, რომ გვიწინასწარმეტყველოს ასეთი საოცრებანი. აჰა, არ გვჯერა, რომ მას ნაბრძანები აქვს; დიახ, არ გვჯერა, რომ იგი არის წინასწარმეტყველი; მიუხედავად ამისა, თუ მართალი აღმოჩნდა ყველაფერი, რაც მან ილაპარაკა მთავარ მოსამართლეზე, რომ იგი მოკლეს, მაშინ დავიჯერებთ, რომ მის მიერ ნათქვამი დანარჩენი სიტყვებიც ჭეშმარიტია.

3 და იყო ასე: ისინი მთელი ძალით გარბოდნენ და მოსამართლის სავარძელთან მიიბრუნეს; და აჰა, მთავარი მოსამართლე მიწაზე დაცემულიყო და საკუთარ სისხლში იწვა.

4 და ახლა, აჰა, როდესაც ეს იხილეს, ისინი ძალზედ გაოცდნენ, იმდენად, რომ მიწაზე დაეცნენ; რადგან არ სწამდათ იმ სიტყვების, რომლებიც ნეფიმ მთავარი მოსამართლის შესახებ თქვა.

5 მაგრამ ახლა, როდესაც იხილეს, დაიჯერეს და ისინი შიშმა მოიცვა, რომ ყველა განაჩენი, რომელზეც ნეფი ლაპარაკობდა, არ მოსულიყო ხალხზე; ამიტომ აკანკალდნენ და მიწაზე დაეცნენ.

6 ახლა, დაუყოვნებლივ, მოსამართლის მკვლელობის შემდეგ, იყო რა იგი მოკლული საიდუმლოდ გადაცმული საკუთარი

ძმის მიერ, რომელიც გაიქცა, მოსამსახურეები კი გაიქცნენ და ხალხს უთხრეს და დაიწყეს მათ შორის გოდება მკვლელობის შესახებ;

7 და აჰა, ხალხი შეიკრიბა მოსამართლის სავარძელთან და აჰა, მათდა გასაოცრად, იხილეს ხუთი ადამიანი, რომელნიც მიწაზე გათხმულიყვნენ.

8 და ახლა, ხალხმა არაფერი იცოდა იმ მრავალ ადამიანზე, რომელნიც ნეფის ბაღთან შეიკრიბნენ; ამიტომ, ერთმანეთში ამბობდნენ: ესენი არიან, რომლებმაც მოსამართლე მოკლეს და ღმერთმა განგმირა, რათა ჩვენგან ვერ გაქცეულიყვნენ.

9 და იყო ასე, რომ მათ შეიპყრეს ისინი, შებოჭეს და საპყრობილეში ჩაყარეს. და შემოგარენში გაავრცელეს ამბავი, რომ მოსამართლე მოკლული იყო და რომ მკვლელები შეიპყრეს და საპყრობილეში ჩაყარეს.

10 და იყო ასე: მომდევნო დღეს ხალხი ერთად შეიკრიბა, რათა ეგლოვათ და ემარხულათ დიდი მთავარი მოსამართლის დასაფლავებაზე, რომელიც მოკლულ იქნა.

11 და ის მოსამართლეები, რომლებიც იყვნენ ნეფის ბაღში და მოისმინეს მისი სიტყვები, ასევე შეიკრიბნენ ერთად დასაფლავებაზე.

12 და იყო ასე, რომ მათ ხალხში შეკითხვა დასვეს: სად არიან ის ხუთნი, რომლებიც

გამოვაგზავნეთ, რათა გაეგოთ, იყო თუ არა მთავარი მოსამართლე მკვდარი? და მათ უპასუხეს და უთხრეს: არ ვიცით იმ ხუთის შესახებ, რომლებზეც თქვით, რომ გამოავაგზავნეთ; მაგრამ, იქ არიან ხუთნი, რომლებიც არიან მკვლელები და რომლებიც ჩავეარეთ საპყრობილეში.

13 და იყო ასე, რომ მოსამართლეებმა მოისურვეს, რომ ისინი მოეყვანათ; და ისინი მოიყვანეს და აჰა, აღმოჩნდნენ ის ხუთნი, რომლებიც გაავაგზავნეს; და აჰა, მოსამართლეებმა გამოკითხეს მათ, რათა გაეგოთ ამ საქმის შესახებ და ისინი მოუყვინენ მათ ყველაფრის შესახებ, რაც ჩაიდინეს, სიტყვებით:

14 ჩვენ გამოვიქცით მოსამართლის სავარძლის ადგილისკენ და როდესაც ვიხილეთ ყველაფერი ისე, როგორც ნეფი მოწმობდა, ისე გავოცდით, რომ მიწაზე დავვეცით; და როდესაც გაოცებისგან გონს მოვედით, აჰა, მათ საპყრობილეში ჩაგვეარეს.

15 ახლა, რაც ეხება ამ კაცის მკვლელობას, არ ვიცით, ეს ვინ ჩაიდინა; ვიცით მხოლოდ, რომ მოვირბინეთ თქვენი სურვილისამებრ და აჰა, იგი იყო მკვდარი, ნეფის სიტყვებისამებრ.

16 და ახლა, იყო ასე, რომ მოსამართლეებმა ხალხს განუმარტეს მომხდარი და ნეფის წინააღმდეგ წამოიძახეს: აჰა, ჩვენ ვიცით, რომ ნეფი ვიდაცას შეუთანხმდა, რათა მოსამართლე

მოეკლა და შემდეგ ეს ეუწყებინა ჩვენთვის, რათა თავის სარწმუნოებაში მოვექცით, რათა განდიდდეს დიდებულ ადამიანად, ღმერთის რჩეულად და წინასწარმეტყველად.

17 და ახლა, აჰა, ჩვენ მოვიძიებთ ჭეშმარიტებას ამ კაცზე და იგი აღიარებს თავის დანაშაულს და შეგვატყობინებს, თუ ვინ არის მოსამართლის ნამდვილი მკვლელი.

18 და იყო ასე, რომ დასაფლავების დღეს ხუთივე გაანთავისუფლეს. ამისდა მიუხედავად, მათ უსაყვედურეს მოსამართლეებს იმ სიტყვების გამო, რაც მათ ნეფის წინააღმდეგ თქვეს და სათითაოდ დაუპირისპირდნენ ისე, რომ შეარცხვინეს.

19 ამისდა მიუხედავად, მათ ბრძანეს, ნეფი შეეპყროთ და შეეპოჭათ და შეკრებილთა წინაშე მოეყვანათ; და დაუწყეს სხვადასხვა გზებით დაკითხვა, რათა ემხილებინათ იგი, რათა ბრალი დაედოთ მისთვის და სიკვდილი მიესაჯათ –

20 ეუბნებოდნენ მას: შენ ხარ თანამონაწილე; ვინ არის ის კაცი, რომელმაც მკვლელობა ჩაიდინა? გვითხარი ახლა და აღიარე საკუთარი დანაშაული; აი ფული; და ასევე სიცოცხლეს გიბოძებთ, თუ გვეტყვი და აღიარებ იმ შეთანხმებას, რომელიც მასთან დადგ.

21 მაგრამ ნეფიმ მათ უთხრა: თქვენ, უგუნურნო, გულით წინ-

დაუცვეთელნო, ბრმა და ქედ-ფიცხელო ხალხო, იცით, რამდენ ხანს მოგითმენთ უფალი, თქვენი ღმერთი, რომ ამ ცოდვის გზაზე გააგრძელოთ სიარული?

22 უნდა იკენესოთ და იგლოვოთ იმ დიდი განადგურების გამო, რაც ამჟამად მოგელოთ, თუ არ მოინანიებთ.

23 აჰა, შენ ამბობ, რომ მე ვინმეს შევეუთანხმდი, რომ მას მოეკლა სიზორამი, ჩვენი მთავარი მოსამართლე. მაგრამ, აჰა, მე გეუბნებით, იმისათვის ვმოწმობდი, რომ თქვენ ეს გცოდნოდათ, დიახ, თქვენთვის დასამოწმებლად, რომ მე ვიცოდი თქვენ შორის სიბოროტისა და სისაძაგლის შესახებ.

24 და ვინაიდან ასე მოვიქეცი თქვენ ამბობთ, რომ ვინმეს შევეუთანხმდი, რომ ეს ჩაედინა; დიახ, რადგან დაგანახეთ ეს ნიშანი, თქვენ განრისხდით ჩემზე და ცდილობთ ჩემი სიცოცხლის განადგურებას.

25 და ახლა, აჰა, დაგანახებთ კიდევ ერთ ნიშანს და ვნახავ, ამითაც თუ შეეცდებით ჩემს განადგურებას.

26 აჰა, გეუბნებით: მიდით სუანტუმის სახლში, რომელიც არის სიზორამის ძმა და მას უთხარით:

27 შეგითანხმდა ნეფი, თვითმარქვია წინასწარმეტყველი, რომელიც ამდენ ბოროტებას წინასწარმეტყველებს ხალხზე, რომ მოგეკლა საკუთარი ძმა, სიზორამი?

28 და აჰა, იგი გეტყვით: არა.

29 და თქვენ მას ეტყვით: შენ მოკალი საკუთარი ძმა?

30 და იგი შეშინებული დადგება და არ ეცოდინება, რა გიპასუხოთ. და აჰა, იგი უარყოფს; და თავს გაოცებულად მოგაჩვენებთ; ამასთან ერთად იგი განიცხადებთ, რომ უდანაშაულოა.

31 მაგრამ, აჰა, თქვენ მას განხრიკავთ და მისი ლაბადის კალთებზე სისხლს იპოვით.

32 და როდესაც ამას იხილავთ, თქვენ იტყვით: საიდან არის ეს სისხლი? ნუთუ არ ვიცით, რომ ეს შენი ძმის სისხლია?

33 და მაშინ იგი აკანკალდება და გაფითრდება, თითქოს სიკვდილი სწევოდა.

34 და მაშინ თქვენ ეტყვით: ამ შიშის და გაფითრების გამო, რომელიც სახეზე მოგეფინა, აჰა, ჩვენ ვიცით, რომ დამნაშავე ხარ.

35 და შემდეგ უფრო მეტად შეეშინდება; და შემდეგ აღიარებს თქვენთან და აღარ უარყოფს იმას, რომ მკვლელობა ჩაიდინა.

36 და შემდეგ იგი გეტყვით, რომ მე, ნეფიმ, არაფერი ვიცი ამის შესახებ, თუ ღმერთის ძალით არ მექნებოდა ეს ნაბოძები და მაშინ გაიგებთ, რომ ვარ პატროსანი კაცი და ღმერთისგან ვარ მოვლენილი თქვენთან.

37 და იყო ასე, რომ ისინი წავიდნენ და ისე მოიქცნენ, როგორც ნეფიმ უთხრა მათ. და აჰა, სიტყვები, რომლებიც მან უთხრა, ჭეშმარიტი იყო; რადგან მისი სიტყვებისამებრ, იგი

უარყოფდა; და ასევე მისი სიტყვებისამებრ, მან დანაშაული აღიარა.

38 და იგი მტკიცებულებამდე მიიყვანეს, რომ თვითონ იყო ნამდვილი მკვლელი, ასე რომ ხუთივე გაანთავისუფლეს და ასევე ნეფი.

39 და იქ იყვნენ ზოგიერთი ნეფიელები, რომლებმაც იწამეს ნეფის სიტყვები; და ასევე იყვნენ ზოგიერთნი, რომლებმაც იწამეს ხუთი მოწმის დამოწმების გამო, რადგან მოქცეულ იქნენ, როდესაც ისინი საპყრობილეში იმყოფებოდნენ.

40 და ახლა, ხალხში იყვნენ ზოგიერთნი, რომლებმაც თქვეს, რომ ნეფი იყო წინასწარმეტყველი.

41 და იყვნენ სხვები, რომლებმაც თქვეს: აჰა, იგი არის ღმერთი, რადგან ღმერთი რომ არ ყოფილიყო, არ ეცოდინებოდა ყველაფერი. რადგან, აჰა, მან გვითხრა ჩვენი გულის სურვილების შესახებ, ასევე მოგვიყვა სხვა რამ და გვაცნობა ჩვენი მთავარი მოსამართლის ნამდვილი მკვლელის შესახებ.

თავი 10

უფალი უბოძებს ნეფის ჩაბეჭდვის ძალაუფლებას. მას ეძლევა ძალაუფლება ჩაბეჭდოს და გახსნას დედამიწაზე და ზეცაში. იგი უბრძანებს ხალხს, ან მოინანიონ ან დაიდუპონ. სული მიუძღვება მას ხალხის ერთი

ჯგუფიდან მეორეში. დაახლოებით 21-20 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და იყო ასე, რომ ხალხში წამოიჭრა დაპირისპირება, ისეთი, რომ ისინი გაიყვნენ და წავიდნენ თავიანთი გზით, მიატოვეს რა ნეფი მარტო, როდესაც მათ შორის იდგა.

2 და იყო ასე, რომ ნეფი წავიდა თავისი გზით საკუთარი სახლისკენ, მსჯელობდა რა იმაზე, რაც უფალმა მას დაანახა.

3 და იყო ასე, რომ ამაზე მსჯელობისას, იყო ძალზედ დამძიმებული ნეფიელთა ხალხის სიბოროტით, მათი ბნელეთის საიდუმლო საქმეებითა და მკვლელობებით, მათი ძარცვებითა და ყველანაირი ურჯულოებით. და იყო ასე, რომ როდესაც გულში ამაზე მსჯელობდა, აჰა, ჩაესმა სიტყვები:

4 კურთხეული ხარ, ნეფი, ყოველივე იმისათვის, რაც გააკეთე; რადგან ვიხილე, როგორ დაუღალავად აუწყებ სიტყვას, რომელიც შენ მოგეცი, ამ ხალხს. და შენ მათი არ გეშინია და არ უფრთხილდები საკუთარ სიცოცხლეს, არამედ ასრულებ ჩემს ნებას და იცავ ჩემს მცნებებს.

5 და ახლა, ვინაიდან ამას აკეთებ ასე დაუღალავად, აჰა, გაკურთხებ სამუდამოდ; და ძლიერად გაქცევ, სიტყვითა და საქმით, რწმენითა და შრომით; დიახ, ასე რომ ყველაფერი გე-

ქნება შენი სიტყვის შესაბამისად, რადგან არ მომთხოვ იმას, რაც იქნება ჩემი ნების საწინააღმდეგო.

6 აჰა, შენ ხარ ნეფი და მე ვარ ღმერთი. აჰა, მე გიცხადებ ჩემი ანგელოზების წინაშე, რომ გექნება ძალაუფლება ამ ხალხზე და მოაელენ მიწაზე შიმშილს, ჭირსა და განადგურებას, ამ ხალხის სიბოროტის შესაბამისად.

7 აჰა, მე გიბოძებ ძალას, რომ რასაც დედამიწაზე ჩაბეჭდავ, იგივე ჩაიბეჭდება ზეცაში; და რასაც გახსნი დედამიწაზე, გახსნილი იქნება ზეცაშიც; და ასე გექნება ძალა ამ ხალხს შორის.

8 და ასე, თუ ამ ტამარს ეტყვი, რომ შუაზე გაიპოს, ასეც მოხდება.

9 და თუ ამ მთას ეტყვი: დაიშალე და მიწასთან გასწორდი, ასეც მოხდება.

10 და აჰა, თუ იტყვი, რომ ღმერთი დასჯის ამ ხალხს, ეს ასეც იქნება.

11 და ახლა, აჰა, მე გიბრძანებ, რომ წახვიდე და აუწყო ამ ხალხს, რომ ასე ამბობს უფალი ღმერთი, რომელიც არის ყოვლადძლიერი: თუ არ მოინანიებთ – დაისჯებით, თვით განადგურებითაც კი.

12 და აჰა, ეს იყო ასე, რომ როდესაც უფალმა უთხრა ნეფის ეს სიტყვები, იგი გაჩერდა და სახლში კი არ წავიდა, არამედ მოუბრუნდა ხალხის ჯგუფებს, რომლებიც გაფანტულნი

იყვნენ მიწის პირზე და დაიწყო მათთვის უფლის სიტყვის გამოცხადება, რომელიც მას უფალმა უთხრა, მათი განადგურების შესახებ, თუ არ მოინანიებდნენ.

13 და აჰა, მიუხედავად იმ დიდი სასწაულისა, ნეფიმ აუწყარა მათ მთავარი მოსამართლის სიკვდილის შესახებ, მათ გული გაიქვავეს და ყურს არ უგდებდნენ უფლის სიტყვებს.

14 ამიტომ, ნეფიმ მათ უფლის სიტყვა აუწყარა შემდეგი სიტყვებით: თუ არ მოინანიებთ, – ასე ამბობს უფალი, თქვენ დაისჯებით, თვით განადგურებითაც კი.

15 და იყო ასე, რომ როდესაც ნეფიმ მათ განუცხადა სიტყვა, აჰა, მათ უფრო მეტად გაიქვავეს გული და ყურს არ უგდებდნენ მის სიტყვებს; ამიტომ, ისინი ლანძღავდნენ მას და ცდილობდნენ მასზე ხელი აღემართათ, რათა ციხეში ჩაეგდოთ.

16 მაგრამ, აჰა, ღმერთის ძალა იყო მასთან და ვერ იპყრობდნენ მას საპყრობილეში ჩასაგდებად, რადგან იგი აიყვანა სულმა და მათი გარემოცვიდან გამოიყვანა.

17 და იყო ასე: მიდიოდა იგი სულით, ჯგუფიდან ჯგუფში, უცხადებდა რა ღვთის სიტყვას იქამდე, სანამ მათ ყველას არ გამოუცხადა ანუ გაავრცელა მთელ ხალხში.

18 და იყო ასე, რომ ისინი ყურს არ უგდებდნენ მის სიტყვას; და დაიწყო განხეთქილებები, ისეთი, რომ გაიყვნენ ერთმანეთის წინა-

აღმდეგ და ხმლებით დაიწყეს ერთმანეთის ხოცვა.

19 და ასე დასრულდა ნეფის ხალხზე მოსამართლეთა მმართველობის სამოცდამეთერთმეტე წელი.

თავი 11

ნეფი სთხოვს უფალს, შეცვალოს ომი შიმშილით. იღუპება მრავალი ადამიანი. ისინი ინანიებენ და ნეფი უფალს წვიმის მოსვლას სთხოვს. ნეფი და ღეხი მიიღებენ მრავალ გამოცხადებას. მიწაზე მძლავრებიან გადიანტონის მძარცველები. დაახლოებით 20–6 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და ახლა, იყო ასე: მოსამართლეთა მმართველობის სამოცდამეთერთმეტე წელს განხეთქილებები იმდენად გამწვავდა, რომ მთელ მიწაზე, ნეფის მთელ ხალხში, ომები იყო.

2 და ეს იყო მძარცველების საიდუმლო დაჯგუფება, რომელიც ეწეოდა ამ განადგურებისა და სიბოროტის საქმიანობას. და ეს ომი გრძელდებოდა მთელი წლის განმავლობაში; და სამოცდამეცამეტე წელსაც გრძელდებოდა.

3 და იყო ასე, რომ იმ წელს ნეფიმ უფალს შეჰღაღადა სიტყვებით:

4 უფალო, ნუ დაუშვებ, რომ ეს ხალხი მახვილით განადგურდეს; თუმცა, უფალო, ჯობია, მიწაზე იყოს შიმშილობა,

რათა გაღვივდეს მათში თავიანთი უფლის, ღმერთის, ხსოვნა და ეგებ მოინანიონ და შენკენ მობრუნდნენ.

5 და ასეც მოხდა, ნეფის სიტყვების შესაბამისად. და მიწას მოედო დიდი შიმშილობა, ნეფის მთელ ხალხს. და ამგვარად, სამოცდამეთოთხმეტე წელსაც შიმშილობა გრძელდებოდა და მახვილით განადგურება შეწყდა, მაგრამ გამწვავდა შიმშილობით.

6 და განადგურების ეს საქმე გრძელდებოდა სამოცდამეთხუთმეტე წელს. რადგან მიწას სასჯელი დაატყდა და იყო გვაღვა და ხორბლის მკის ჟამს არ მოდიოდა მოსავალი; დიახ, მთელი მიწა იყო დასჯილი, როგორც ლამანიელებს შორის, ასევე ნეფიელებთან, ისე იყვნენ დასჯილნი, რომ ათასობით იღუპებოდნენ მიწის ბოროტ მხარეებში.

7 და იყო ასე: ხალხმა იხილა, რომ ლამის შიმშილისგან იღუპებოდნენ და იწყეს უფლის, თავიანთი ღმერთის, გახსენება; და დაიწყეს ნეფის სიტყვების გახსენება.

8 და ხალხმა ვედრება დაუწყო თავის მთავარ მოსამართლეებსა და წინამძღვრებს, რომ ნეფისთვის ეთქვათ: აჰა, ჩვენ ვიცით, რომ ღმერთის კაცი ხარ და ამიტომ შეჰღაღადე უფალს, ჩვენს ღმერთს, რომ აგვაცილოს ეს შიმშილი, რათა არ ახდეს ყოველი ის სიტყვა, რომელიც შენ

ილაპარაკე ჩვენი განადგურების შესახებ.

9 და იყო ასე: მოსამართლეებმა ნეფის მიმართეს, იმ სასურველი სიტყვებისამებრ; და იყო ასე, რომ როდესაც ნეფიმ იხილა, რომ ხალხმა მოინანია და თავი დაიმდაბლა ძაძებში, კვლავ შეჰკლადადა უფალს სიტყვებით:

10 უფალო, აჰა, ეს ხალხი იხანებს; და მათ თავიანთი წილიდან გააძევეს გადიანტონის რაზმი ისე, რომ ისინი ამოწყდნენ და მიწაში წაიდეს თავიანთი საიდუმლო გეგმები.

11 ახლა, უფალო, მათი თავმდაბლობის გამო, შენი რისხვა აარიდე მათ, დაე, დაშოშმინდეს შენი რისხვა იმ ბოროტ ადამიანთა მოსპობით, რომლებიც უკვე გაანადგურე.

12 უფალო, აარიდე შენი რისხვა, დიახ, შენი საშინელი რისხვა და ბრძანე, რომ მიწაზე ეს შიმშილი შეწყდეს.

13 უფალო, შეისმინე ჩემი და ბრძანე, მოხდეს ჩემი სიტყვებისამებრ და მიწის პირზე წვიმა მოავლინე, რათა მოისხას ნაყოფი და ხორბლის მკის ჟამს – ხორბლის მოსავალი.

14 უფალო, შენ შეისმინე ჩემი სიტყვები, როდესაც ვთქვი: დაე, იყოს შიმშილი, რათა მახვილით მოვლენილი ჭირი შეწყვეტილიყო; და ვიცი, რომ ახლაც, ამ დროსაც კი, შეისმენ ჩემს სიტყვებს, რადგან ნათქვამი გაქვს:

თუ ეს ხალხი მოინანიებს, მე მათ დავინდობ.

15 დიახ, უფალო, შენ ხედავ, რომ მოინანიეს შიმშილის, ჭირისა და განადგურების გამო, რომელიც მათ დაატყდათ.

16 და ახლა, უფალო, აარიდე შენი რისხვა და კვლავ გამოსცადე ისინი, კვლავ თუ გემსახურებიან; და თუ ასე იქნება, უფალო, შეგიძლია აკურთხო ისინი შენი სიტყვებისამებრ, როგორც გაქვს ნაბრძანები.

17 და იყო ასე: სამოცდამეთექვსმეტე წელს უფალმა აარიდა რისხვა ხალხს და დაუშვა, რომ მიწაზე წვიმა მოსულიყო ისე, რომ მოსავლის ჟამს მათ ნაყოფი მოეწიათ. და იყო ასე, რომ ხორბლის მკის ჟამს ხორბლის მოსავალი მოვიდა.

18 და აჰა, ხალხმა გაიხარა და ღმერთი აღიდა და მთელი მიწის პირი სავსე იყო სიხარულით და აღარ ცდილობდნენ ნეფის განადგურებას, არამედ პატივს სცემდნენ, როგორც დიდ წინასწარმეტყველსა და ღმერთის კაცს, ღმერთისგან ნაბოძები დიდი ძალისა და უფლებამოსილების მქონეს.

19 და აჰა, ღეხი, მისი ძმა, არაფრით არ ჩამორჩებოდა მას იმაში, რაც სამართლიანობას ეხებოდა.

20 და ასე იყო, რომ ნეფის ხალხმა კვლავ იწყო მიწაზე აყვავება და დაიწყო თავისი გაპარტახებული ადგილების აღმშენებლობა, გამრავლება და

გავრცელება, სანამ არ მოიცვეს მთელი მიწის პირი, ჩრდილოეთით და სამხრეთით, დასავლეთ ზღვიდან აღმოსავლეთ ზღვამდე.

21 და იყო ასე: სამოცდამეთექვსმეტე წელი მშვიდობით დასრულდა. და სამოცდამეჩვიდმეტე წელი დაიწყო მშვიდობიანად და ეკლესია გავრცელდა მთელი იმ მიწის პირზე; და ხალხის უმეტესი ნაწილი ნეფიელებისა და ლამანიელების ეკლესიას მიეკუთვნებოდა; და დიდი მშვიდობა ჰქონდათ მიწაზე; და ასე დასრულდა სამოცდამეჩვიდმეტე წელი.

22 და ასევე სამოცდამეთორმეტე წელშიც მათთან მშვიდობა იყო, გარდა რამდენიმე განხეთქილებისა, რომლებიც იყო წინასწარმეტყველთა მოძღვრებების საკითხების შესახებ.

23 და სამოცდამეცხრამეტე წელი დაიწყო დიდი დაპირისპირებით. მაგრამ, იყო ასე, რომ ნეფი, ლეხი და მრავალი მათი ძმა, რომლებმაც იცოდნენ მოძღვრების ჭეშმარიტი დედაარსი, ჰქონდათ რა ყოველდღიურად მრავალი გამოცხადება, უქადაგებდნენ ხალხს, ისე რომ მათ, იმავე წელს, შეწყვიტეს დაპირისპირება.

24 და იყო ასე, რომ ნეფის ხალხზე მოსამართლეთა მმართველობის მეოთხმოცე წელს, იქ იყო ნეფის ხალხის განდგომილთა გარკვეული რაოდენობა, რომელიც რამდენიმე წლით

ადრე ლამანიელებთან გადავიდა და საკუთარ თავზე აიღო ლამანიელთა სახელი და იმ განდგომილებმა ლამანიელთა გარკვეულ რაოდენობაში, რომლებიც იყვნენ ლამანიელთა პირდაპირი შთამომავლები, წყრომა გაადვივეს, ამიტომ, მათ ომი დაიწყო თავიანთ ძმებთან.

25 და ისინი ხოცავდნენ და ძარცვავდნენ; და შემდეგ უკან ბრუნდებოდნენ მთებში, უდაბნოებსა და საიდუმლო ადგილებს აფარებდნენ თავს, რათა შეუძლებელი ყოფილიყო მათი პოვნა და ყოველდღიურად ივსებოდა მათი რიგები, რადგან იყვნენ განდგომილები, რომლებიც მათთან მიდიოდნენ.

26 და ასე, დროთა განმავლობაში, რამდენიმე წელიწადში, ისინი იქცნენ მძარცველების დიდ დაჯგუფებად და შეიტყეს გადიანტონის ყველა საიდუმლო გეგმა და გადიანტონის მძარცველებად იქცნენ.

27 ახლა, აჰა, მძარცველებმა მოახდინეს დიდი აოხრება, დიახ, დიდი განადგურება გამოიწვიეს ნეფის ხალხში და ასევე ლამანიელთა ხალხში.

28 და იყო ასე, რომ საჭირო გახდა, შეეჩერებინათ ეს გამანადგურებელი საქმე; ამიტომ, გააგზავნეს ძლიერი მამაკაცებისგან შემდგარი ჯარი უდაბნოში და მთებში, რათა მოეძებნათ მძარცველების ეს დაჯგუფება და გაენადგურებინათ იგი.

29 მაგრამ, აჰა, იყო ასე, რომ იმავე წელს ისინი უკუაგდეს, საკუთარ მიწებზეც კი. და ასე დასრულდა ნეფის ხალხზე მოსამართლეთა მმართველობის მეოთხმოცე წელი.

30 და იყო ასე, რომ ოთხმოცდამეერთე წლის დასაწყისში მათ კვლავ გაილაშქრეს ამ მძარცველების დაჯგუფების წინააღმდეგ და მრავალი გაანადგურეს; და თავადაც იწვნიეს დიდი განადგურება.

31 და ისინი კვლავ იძულებულნი გახდნენ უკან დაბრუნებულიყვნენ უდაბნოსა და მთებიდან საკუთარ მიწებზე, იმ მძარცველთა ძალზედ დიდი რაოდენობის გამო, რომლებითაც სავსე იყო მთები და უდაბნო.

32 და იყო ასე, რომ ასე დასრულდა ეს წელი. და მძარცველები კვლავ მატულობდნენ და ძლიერდებოდნენ, ისე რომ მათ არაფრად ჩააგდეს ნეფიელთა მთელი ჯარი და არც ლამანიელებისა; და მათ დიდი შიში გამოიწვიეს ადამიანებში მთელი მიწის პირზე.

33 დიახ, ისინი ესხმოდნენ მიწის მრავალ კუთხეს და ანადგურებდნენ მათ; დიახ, ხოცავდნენ მრავალს და დანარჩენებს ტყვედ იტაცებდნენ უდაბნოში, დიახ, განსაკუთრებით მათ ქალებსა და ბავშვებს.

34 ახლა, ამ დიდმა ბოროტებამ, რომელიც ამ ხალხს თავს დაატყდა თავიანთი ურჯულოების-

თვის, მათში გააღვივა უფლის, თავიანთი ღმერთის, ხსოვნა.

35 და ასე დასრულდა მოსამართლეთა მმართველობის ოთხმოცდამეერთე წელი.

36 და ოთხმოცდამეორე წელს მათ კვლავ დაიწყეს უფლის, თავიანთი ღმერთის, დავიწყება. და ოთხმოცდამესამე წელს დაიწყეს ურჯულოებაში ჩაფლობა. და ოთხმოცდამეოთხე წელს არ გამოასწორეს თავიანთი ზნეჩვეულება.

37 და იყო ასე: ოთხმოცდამეხუთე წელს ისინი სულ უფრო მეტად და მეტად ეფლობოდნენ საკუთარ ამპარტავნობაში და სიბოროტეში; და ამგვარად, ისინი მწიფდებოდნენ განადგურებისათვის.

38 და ასე დასრულდა ოთხმოცდამეხუთე წელი.

თავი 12

ადამიანები არიან მერყევი, უგუნური და სწრაფნი ბოროტების ჩადენაში. უფალი განკიცხავს თავის ხალხს. ღმერთის ძალას ადარებენ ადამიანთა არარაობას. განკითხვის დღეს ადამიანები მიიღებენ მარადიულ სიცოცხლეს ან მარადიულ წყევლას. დაახლოებით 6 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და ასე, ჩვენ შეგვიძლია ვიხილოთ, თუ როგორი ყალბი და მერყევი ადამიანის შვილთა გულები; დიახ, ჩვენ შეგვიძლია

ვიხილოთ, რომ უფალი, თავისი დიდი უსაზღვრო სიკეთით, აკურთხებს და ააყვავებს მათ, რომლებიც მას ანდობენ სასოებას.

2 დიახ, და ჩვენ შეგვიძლია ვიხილოთ, იმ დროსაც კი, როდესაც იგი ააყვავებს თავის ხალხს, დიახ, მოუმატებს მათ მინდვრებს, წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონელს, ოქროსა და ვერცხლს და ყველანაირ ძვირფასეულობებს ყოველგვარი სახეობისა და ნიმუშის; ანდობს რა მათ სიცოცლეს, მათ მტრის ხელიდან გამოხსნით; მტრის გულის მოღობით, ომი რომ არ გამოუცხადონ; დიახ, მოკლედ, ყველაფერს აკეთებს თავისი ხალხის კეთილდღეობისათვის და ბედნიერებისთვის; დიახ, და ამ დროსაც კი, ისინი გულს იქვავებენ და ივიწყებენ უფალს, თავიანთ ღმერთს და ფხიქვეშ თელავენ წმინდას; დიახ, ეს მათი სიმშვიდისა და ძალზედ დიდი აყვავების გამო.

3 და ამგვარად ვხედავთ, რომ თუ უფალი არ განკიცხავს თავის ხალხს მრავალი გაჭირვებით, თუ არ მოევიწიება მათ სიკვდილითა და საშინელებით, შიმშილითა და ყველანაირი ჭირით, იგი მათ არ ეხსომებათ.

4 როგორი უგუნურნი, ამაღონი, ბოროტნი და ეშმაკისეულნი და როგორი სწრაფნი არიან ურჯულთა ჩადენაში და როგორი ზანტნი სიკეთის კეთებაში

ადამიანთა შვილები; დიახ, როგორ სწრაფნი არიან ყურის დაგდებაში იმ ბოროტის სიტყვებისადმი და გულის მიმართვაში ამქვეყნიური ამოებისკენ!

5 დიახ, როგორ სწრაფნი არიან ამპარტავნობაში აღზევებით; დიახ, როგორი სწრაფნი არიან კვენაში და ყველაფრის კეთებაში, რაც არის ურჯულოება; და როგორ ზანტნი არიან უფლის, თავიანთი ღმერთის, გახსენებაში და მისი რჩევისადმი ყურის დაგდებაში, დიახ, როგორი ზანტნი იმისთვის, რომ იარონ სიბრძნის ბილიკით!

6 აჰა, მათ არ სურთ, რომ უფალი, მათი ღმერთი, რომელმაც ისინი შექმნა, მათი მმართველი იყოს; მათ მიმართ მისი დიდი სიკეთისა და წყალობის მიუხედავად, მის რჩევას არაფრად აგდებენ და არ სურთ, რომ იგი იყოს მათი წინამძღოლი.

7 რაოდენ დიდია ადამიანთა შვილების არარაობა; დიახ, მიწის მტვერზე ნაკლებიც კი არიან.

8 რადგან, აჰა, მიწის მტვერი მოძრაობს აქეთ-იქეთ, რათა გაიფანტოს გვერდებზე ჩვენი დიდი და მარადიული ღმერთის ბრძანებით.

9 დიახ, აჰა, მისი ხმისგან კანკალებენ და ზანზარებენ გორაკები და მთები.

10 და მისი ხმის ძალით ინგრევიან და მიწასთან სწორდებიან, დიახ, ვითარცა ველი.

11 დიახ, მისი ხმის ძალით მთელი დედამიწა ზანზარებს;

12 დიახ, მისი ხმის ძალით ზანზარებს მისი ფუძე, თვით შუაგულამდეც.

13 დიახ, თუ დედამიწას ეტყვის: დაიძარი – იგი დაიძრება.

14 დიახ, თუ იგი ეტყვის დედამიწას: უკან წადი, რათა დღე გაიზარდოს მრავალი საათით – ასეც მოხდება;

15 და ასე, ამ სიტყვის შესაბამისად, დედამიწა უკან დატრიალდება და ადამიანს მოეჩვენება, რომ მზე გაჩერდა; დიახ, აჰა, ეს არის ასე; ნამდვილად, დედამიწა მოძრაობს და არა მზე.

16 და აჰა, ასევე, თუ ეტყვის დიდი სიღრმის წყლებს: გაშრით – ასეც მოხდება.

17 აჰა, თუ ამ მთას ეტყვის: აიწიე, მოდი და ამ ქალაქს დაეცი, რათა ის დაიმარხოს – აჰა, ასეც მოხდება.

18 და აჰა, თუ ადამიანი მიწაში დამალავს განძს და უფალი იტყვის: – დაე, წყეულ იყოს ის, მისი დამმალავის ურჯულოებისთვის, – აჰა, ის იქნება დაწყევლილი.

19 და თუ უფალი იტყვის: წყეულ იყავ, რომ ვერავინ ვერ გიპოვოს, ამიერიდან უკუნისამდე – აჰა, ვერავინ ვერ მიიღებს მას, ამიერიდან უკუნისამდე.

20 და აჰა, თუ უფალი ადამიანს ეტყვის: შენი ურჯულოებისთვის წყეული იქნები სამუდამოდ – ასეც იქნება.

21 და თუ უფალი იტყვის: შენი ურჯულოებისთვის მოკვეთილ იქნები ჩემი გარემოცვიდან – იგი ასე მოახდენს.

22 და ვარაძი მას, ვისაც ამას ეტყვის, რადგან ეს იქნება მისთვის, რომელიც ურჯულოებას სწადის და ვერ გადარჩება; ამიტომ, იმისათვის, რომ ადამიანი გადარჩეს, გამოცხადდა მონანიება.

23 ამიტომ, კურთხეულნი არიან ისინი, რომლებიც ინანიებენ და ყურს დაუგდებენ უფლის, თავიანთი ღმერთის, ხმას, რადგან ისინი გადარჩებიან.

24 დაე, მოგვცეს ღმერთმა თავისი ღიადი სისავსით, რომ ადამიანები მიყვანილ იქნენ მონანიებამდე და კეთილ საქმეებამდე, რათა მადლისთვის მადლით აღდგნენ, თავიანთი საქმეების შესაბამისად.

25 და მსურს, რომ ყოველი ადამიანი გადარჩეს. მაგრამ ჩვენ ვკითხულობთ, რომ დიდსა და უკანასკნელ დღეს ზოგიერთნი იქნებიან გაძევებულნი, დიახ, უფლის გარემოცვიდან იქნებიან მოკვეთილნი.

26 დიახ, რომლებიც განწირულნი იქნებიან მარადიული უბედურებისთვის, აღასრულებენ სიტყვებს, რომლებიც ამბობენ: რომლებიც სიკეთეს აკეთებდნენ, მიიღებენ მარადიულ სიცოცხლეს; და რომლებიც სწადიოდნენ ბოროტებას, მიიღებენ მარადიულ წყევლას. და ეს არის ასე. ამინ.

ლამანიელი სამუელის წინასწარმეტყველება ნეფიელთათვის.

შეიცავს მე-13-დან მე-15 თავის ჩათვლით.

თავი 13

ლამანიელი სამუელი ნეფიელთა განადგურებას წინასწარმეტყველებს, თუ ისინი არ მოინანიებენ. ნეფიელები და მათი სიმდიდრე დაწყველილია. ისინი უარყოფენ და ჩაქოლავენ წინასწარმეტყველებს, ეშმაკებით არიან გარშემორტყმულნი და ურჯულოების ჩადენაში ეძებენ ბედნიერებას. დაახლოებით 6 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და ახლა, იყო ასე, რომ ოთხმოცდამეექვსე წელს, ნეფიელები კვლავ იყვნენ სიბოროტეში ჩაფლულნი, დიახ, დიდ სიბოროტეში, როდესაც ლამანიელები ბეჯითად ცდილობდნენ ღმერთის მცნებების დაცვას, მოსეს რჯულის შესაბამისად.

2 და იყო ასე, რომ ამ წელს, ვინმე ლამანიელი სამუელი ზარაპემლას მიწაზე მოვიდა და დაიწყო ხალხისთვის ქადაგება. და იყო ასე, რომ მრავალი დღის განმავლობაში მოინანიებას უკადაგებდა ხალხს და იგი გააძევეს და მზად იყო თავის მიწაზე წასასვლელად.

3 მაგრამ, აჰა, ჩაესმა უფლის ხმა, რომ უკან უნდა დაბრუნებულიყო და ხალხისთვის

ეწინასწარმეტყველებინა ყველაფერი, რაც გულში მოუვიდოდა.

4 და იყო ასე, რომ მათ არ დაუშვეს, რომ იგი ქალაქში შესულიყო; ამიტომ, იგი წავიდა და აძვრა გალავანზე, ხელი გაიწოდა და მაღალი ხმით შეჰდადა და ხალხს უწინასწარმეტყველა ყველაფერი, რაც მას უფალმა გულში ჩაუდო.

5 და უთხრა მათ: აჰა, მე, ლამანიელი სამუელი, ვლავარაკობ უფლის სიტყვებს, რომლებიც მან გულში ჩამიდო; და აჰა, ჩამიდო გულში, რომ ამ ხალხისთვის მეთქვა: სამართლის მახვილია აღმართული მათზე; და ოთხასი წელიც არ გავა, რაც ამ ხალხზე სამართლის მახვილი დაეცემა.

6 დიახ, მძიმე განადგურება მოეცა ამ ხალხს და ის ნამდვილად მოველინება ამ ხალხს და ამ ხალხს არაფერი გადაარჩენს, მხოლოდ მოინანიება და რწმენა უფლისა, იესო ქრისტესი, რომელიც ამქვეყნად აუცილებლად მოვა და მოითმენს მრავალს და თავისი ხალხისთვის მოკლული იქნება.

7 და აჰა, უფლის ანგელოზმა გამომიცხადა და სასიხარულო ამბები მომგვარა სულში. და აჰა, მე გამომაგზავნა თქვენთან, რათა ეს თქვენთვისაც გამომეცხადებინა, რომ იქონიოთ სასიხარულო ამბები; მაგრამ, აჰა, თქვენ არ გსურდათ ჩემი მიღება.

8 ამიტომ, ასე ამბობს უფალი:

ნეფიელთა ხალხის გულქვაობის გამო, თუ არ მოინანიებენ, მე წავართმევ მათ ჩემს სიტყვას და მოვაცილებ ჩემს სულს და მეტს აღარ მოვითმენ; და შევაბრუნებ თავიანთი ძმების გულებს მათ წინააღმდეგ.

9 და ოთხასი წელიც არ გავლის, როდესაც ვბრძანებ, რომ ისინი განადგურდნენ; დიახ, მოვევლინები მათ მახვილით, შიმშილითა და ჭირით.

10 დიახ, მოვევლინები მათ ჩემს საშინელ რისხვაში და იქ იქნებიან თქვენი მტრების მეოთხე თაობიდან, რათა იხილონ თქვენი სრული განადგურება და ეს აუცილებლად მოვა, თუ არ მოინანიებთ, – ამბობს უფალი; და მათი მეოთხე თაობა გეწვევათ განადგურებით.

11 მაგრამ, თუ მოინანიებთ და უფალს, თქვენს ღმერთს, დაუბრუნდებით, მე აგაცილებთ ჩემს რისხვას, – ამბობს უფალი; დიახ, – ასე ამბობს უფალი, კურთხეულნი არიან ისინი, რომლებიც მოინანიებენ და ჩემკენ მობრუნდებიან, მაგრამ ვარამი მათ, რომლებიც არ მოინანიებენ.

12 დიახ, ვარამი ამ დიდ ქალაქს, ზარაჰემლას; რადგან, აჰა, იგი გადარჩა მათ გამო, რომლებიც სამართლიანები არიან; დიახ, ვარამი ამ დიდ ქალაქს, რადგან ვხედავ, – ამბობს უფალი, რომ იქ არიან ბევრნი, დიახ, ამ დიდი ქალაქის უმეტესი ნაწილიც კი, რომლებიც

ჩემ წინააღმდეგ გულს გაიქვავენ, – ამბობს უფალი.

13 მაგრამ კურთხეულნი არიან ისინი, რომლებიც მოინანიებენ, რადგან მათ დავინდობ. მაგრამ, აჰა, რომ არა სამართლიანნი, რომლებიც ამ დიდ ქალაქში არიან, აჰა, ვბრძანებდი, რომ ცეცხლი წამოსულიყო ზეციდან და იგი გაენადგურებინა.

14 მაგრამ, აჰა, სამართლიანთა წყალობისათვის დავინდე. მაგრამ, აჰა, მოდის დრო, – ამბობს უფალი, როდესაც სამართლიანებს თქვენგან გააძევებთ, მაშინ მომწიფდებით განადგურებისთვის; დიახ, ვარამი ელის ამ დიდ ქალაქს იმ სიბოროტისთვის და სისაძაგლისათვის, რაც მასშია.

15 დიახ, ვარამი ელის ქალაქ გიდეონს, იმ სიბოროტისა და სისაძაგლისათვის, რაც მასშია.

16 დიახ, და ვარამი ელის ყველა იმ ქალაქს, რომელიც გარშემო მიწებზეა, რომელთაც ნეფიელები ფლობენ, იმ სიბოროტისა და სისაძაგლისათვის, რომელიც არის მათში.

17 და აჰა, წყევლა დაატყდება იმ მიწას, – ამბობს ცაბაოთ უფალი, იმ ხალხის გამო, რომელიც არის იმ მიწაზე, დიახ, მათი სიბოროტისა და სისაძაგლის გამო.

18 და ასე იქნება, – ამბობს ცაბაოთ უფალი, დიახ, ჩვენი დიდი და ჭეშმარიტი ღმერთი, – ყოველი, ვინც მიწაში განძს დამალავს, მას ვედარასდროს

იპოვის მიწის დიდი წყევლის გამო, გარდა სამართლიანი ადამიანისა, რომელიც მას უფლისთვის დამალავს.

19 რადგან მსურს, - ამბობს უფალი, - რომ საგანძური ჩემთვის დამალონ; და წყეულ იქნებიან ისინი, რომლებიც თავიანთ საგანძურს ჩემთვის არ დამალავენ; რადგან მხოლოდ სამართლიანი დამალავს ჩემთვის თავის საგანძურს; და ვინც ჩემთვის არ დამალავს თავის საგანძურს, წყეული არის ისიც და მისი საგანძურიც და მას ვერავინ გამოისყიდის, მიწის წყევლის გამო.

20 და მოვა დღე, როდესაც ისინი დამალავენ თავიანთ საგანძურს, რადგან მათ გული მიუძღვნეს სიმდიდრეს; და ვინაიდან გული სიმდიდრეს მიუძღვნეს და თავიანთ საგანძურს დამალავენ, როდესაც მტრებისგან გაიქცევიან; და ვინაიდან არ დამალავენ მას ჩემთვის, წყეულ იქნენ ისინი და მათი საგანძური და იმ დღეს იქნებიან ნაცემნი, - ამბობს უფალი.

21 აჰა, ამ დიდი ქალაქის ხალხო, ყური დაუგდეთ ჩემს სიტყვებს; დიახ, ყური დაუგდეთ სიტყვებს, რომლებსაც ამბობს უფალი; რადგან, აჰა, ამბობს, რომ დაწყევლილები ხართ თქვენი სიმდიდრის გამო და თქვენი სიმდიდრეც დაწყევლილია, რადგან გული მიუძღვნით მას და ყურს არ უგდებთ მის სიტყვებს, ვინც თქვენ ეს გიბოძათ.

22 თქვენ არ გახსოვთ უფალი, თქვენი ღმერთი, იმით, რითაც გაკურთხათ, მაგრამ ყოველთვის გახსოვთ თქვენი სიმდიდრე, გავიწყდებათ რა ამისთვის მადლობის თქმა უფლისთვის, თქვენი ღმერთისთვის; დიახ, გული არ გაქვთ უფლისკენ მომართული, არამედ ივსებით დიდი ამპარტაყნობით, ტრაბახითა და გულზვაობით, შურით, დაპირისპირებით და ღვარძლით, დევნით, მკვლელობებითა და ყოველგვარი ურჯულოებით.

23 ამ მიზეზის გამო, უფალმა ღმერთმა ბრძანა, რომ წყევლა მოსულიყო მიწაზე და ასევე თქვენს სიმდიდრეზე და ეს თქვენი ურჯულოების გამო.

24 დიახ, ვარამი ამ ხალხს ამ ჟამისათვის, რომელიც მოვიდა, რომ აძევებთ წინასწარმეტყველებს და მათ დასცინით, ესვრით ქვებს და ხოცავთ და სჩადიხართ მათ მიმართ ყველანაირ ურჯულოებას ისე, როგორც იქცეოდნენ ძველ დროში.

25 და ამასობაში ლაპარაკობთ, ამბობთ რა: ჩვენი დღეები რომ ჩვენი ძველი მამების დღეებში ყოფილიყო, არ დავხოცავდით წინასწარმეტყველებს; არ ჩაექოლავდით მათ და არ გავაძევებდით.

26 აჰა, თქვენ ხართ მათზე უარესნი; რადგან როგორც ცოცხალია უფალი, თუ წინასწარმეტყველი მოდის თქვენ შორის და გიცხადებთ უფლის

სიტყვას, რომელიც მოწმობს თქვენს ცოდვებზე და ურჯულოებაზე, თქვენ ბრახდებით მასზე, აძევებთ და ეძებთ ყველანიარ გზას მის განანადგურებლად; დიახ, იტყვით, რომ იგი არის ცრუ წინასწარმეტყველი, რომ არის ცოდვილი და ეშმაკისეული, რადგან მოწმობს, რომ ბოროტია თქვენი საქმენი.

27 მაგრამ, აჰა, თუ ადამიანი მოვა თქვენ შორის და გეტყვით: მოიქეცით ასე და ამაში არ არის ურჯულოება; მოიქეცით ასე და არ დაიტანჯებით; დიახ, იგი გეტყვით: მისდით თქვენს გულთა ამპარტავნობას; დიახ, მისდით თქვენს თვალთა ამპარტავნობას და აკეთეთ ყველაფერი, რაც თქვენს გულს სურს – და თუ ადამიანი მოვა თქვენ შორის და ამას იტყვის, თქვენ მას მიიღებთ და იტყვით, რომ არის წინასწარმეტყველი.

28 დიახ, მას განადიდებთ და თქვენს ქონებას მისცემთ; მისცემთ თქვენს ოქროსა და ვერცხლს, შემოსავთ ძვირფასი ტანსაცმლით; და რადგან გელაპარაკებათ პირფერული სიტყვებით და გეუბნებათ, რომ ყველაფერი არის კარგად, მაშინ თქვენ დამნაშავედ არ სცნობთ მას.

29 თქვენ, ბოროტო, უკუღმართო თაობავ, გაქვავებულო, ქედღიცხელო ხალხო, როგორ ფიქრობთ, რამდენს მოგიტყმენთ უფალი? დიახ, კიდევ რამდენ ხანს

დაუშვებთ იმას, რომ უგუნურმა და ბრმამ გიწინამდღვაროთ? დიახ, კიდევ რამდენ ხანს აირჩევთ ბნელეთს სინათლის მაგივრად?

30 დიახ, აჰა, უფლის რისხვა უკვე აინთო თქვენ წინააღმდეგ; აჰა, მან დაწყევლა მიწა თქვენი ურჯულოების გამო.

31 და აჰა, მოდის დრო, როდესაც დაწყევლის თქვენს სიმდიდრეს, რომ გაგისხლტეთ ხელიდან, რომ ვერ დაეუფლოთ მას; და ვერ შეინარჩუნოთ ის, თქვენი სილატაკის ჟამს.

32 და თქვენი სილატაკის ჟამს, თქვენ შეჰღალადებთ უფალს; და ამოდ იღალადებთ, რადგან თქვენი აოხრება უკვე მოგვევლინათ და განადგურება თქვენი არის გარდაუვალი; და შემდეგ იმ დღეს ატირდებით და იკვნესებთ, – ამბობს ცაბაოთ უფალი. და შემდეგ გოდებით იტყვით:

33 რომ მომენანიებიანა და არ დამეხოცა წინასწარმეტყველნი, არ ჩამექოლა და არ გამექვევებიანა ისინი. დიახ, იმ დღეს იტყვით: რომ გეხსომებოდა უფალი, ჩვენი ღმერთი, იმ დღეს, როდესაც სიმდიდრე გვიბოძა, მაშინ არ გავგისხლტებოდა ხელიდან, არ დაგვეკარგებოდა; რადგან, აჰა, ჩვენი სიმდიდრე წავიდა ჩვენგან.

34 აჰა, აქ ვდებთ სამუშაო იარაღს და მომდევნო დღეს უკვე აღარ არის; და, აჰა, ხმლები იმ დღეს წავგართვეს, როდესაც მათ ბრძოლისთვის ვეძებდით.

35 დიახ, ჩვენი საგანძური დავ-
მალეთ და იგი დაგვეკარება, მი-
წის წყევლის გამო.

36 რომ მოგვენანიებინა იმ
დღეს, როდესაც ჩვენთან უფლის
სიტყვა მოვიდა; რადგან, აჰა, ეს
მიწა დაწყევლილია და ყველა-
ფერი ხელიდან გვისხლტება და
ვერაფერს ვერ ვაკაავებთ.

37 აჰა, ეშმაკებით ვართ გარ-
შემორტყმულნი, დიახ, მისი ან-
გელოზები არიან ჩვენ გარშემო,
რომელსაც სურს ჩვენი სულე-
ბის განადგურება. აჰა, ჩვენი
ურჯულოება დიდია. უფალო,
ნუთუ ვერ შეაბრუნებ შენს რის-
ხვას ჩვენგან? და ასეთი იქნება
თქვენი სიტყვები იმ დღეებში.

38 მაგრამ, აჰა, თქვენი გამო-
ცდის დღეები წარსულში და-
რჩა, თქვენ გადადეთ თქვენი
ხსნის დღე იქამდე, სანამ ძა-
ლიან არ დაგვიანდა და თქვენი
განადგურება გახდა გარდაუ-
ვალი; დიახ, რადგან თქვენს
ცხოვრებაში, ყოველი დღენი,
ექებდით იმას, რასაც ვერ მი-
იღებდით; და ექებდით ბედნიე-
რებას ურჯულოების ჩადენით,
რაც არის იმ სამართლიანობის
ბუნების წინააღმდეგი, რომე-
ლიც არის ჩვენს დიდ და მა-
რადიულ სათავეში.

39 თქვენ, ამ მიწის ხალხნო,
რომ მოგესმინათ ჩემი სიტყვები!
და მე ვლოცულობ, რომ უფლის
რისხვა თქვენგან იქნას აცილე-
ბული, რათა მოინანიოთ და გა-
დარჩეთ.

თავი 14

სამუელი წინასწარმეტყველებს
სინათლეს ღამით და ახალ
ვარსკვლავს ქრისტეს შობისას.
ქრისტე გამოისყიდის ადამი-
ანს მიწიერი და სულიერი სი-
კვდილისგან. მისი სიკვდილის
ნიშანი არის სიბნელე სამი-
დღის განმავლობაში, კლდე-
ბის ნგრევა და დიდი სტიქიური
უბედურებანი. დაახლოებით 6 წ.
ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და იყო ასე, რომ ღამანიელმა
სამუელმა კიდევ მრავალი დიდი
რამ იწინასწარმეტყველა, რაც
ვერ დაიწერება.

2 და აჰა, უთხრა მათ: აჰა, მე
მოგცემთ ნიშანს; გაივლის კი-
დეუ ხუთი წელი და აჰა, მაშინ
მოვა ძე ღვთისა, რათა გამოი-
სყიდოს ყოველი, ვინც მის სა-
ხელს იწამებს.

3 და აჰა, მისი მოსვლის უამს,
ამას მოგცემთ ნიშნად; რადგან,
აჰა, ზეცაში იქნება დიდი მა-
ნათობელი, ისეთი, რომ მისი
მოსვლის წინა ღამეს არ და-
ბნელდება, ისე რომ ადამიანის-
თვის იქნება დღე.

4 ამიტომ, იქნება ერთი დღე,
ღამე და დღე, თითქოს ღამის
გარეშე ყოფილიყოს ერთი მთლი-
ანი დღე; და ეს იქნება თქვენ-
თვის ნიშანი; რადგან თქვენ
გეცოდინებათ მზის ამოსვლისა
და ჩასვლის შესახებ; მაშასა-
ღამე, ნამდვილად ეცოდინებათ,
რომ იქნება ორი დღე და ერთი

ღამე; ამისდა მიუხედავად, ღამე არ დაბნელდება და ეს ღამე იქნება მისი დაბადების წინ.

5 და აჰა, ამოვა ახალი ვარსკვლავი, ისეთი, როგორც არასდროს გინახავთ; და ეს ასევე ნიშანი იქნება თქვენთვის.

6 და აჰა, ეს არ არის ყველაფერი, ზეცაში იქნება მრავალი ნიშანი და საოცრება.

7 და იქნება ასე, რომ ყველანი იქნებით გაკვირვებულნი და გაოცებულნი ისე, რომ მიწაზე დაეცემით.

8 და იქნება ასე: რომელიც იწამებს ძეს ღვთისას – მიიღებს მარადიულ სიცოცხლეს.

9 და აჰა, ეს მიბრძანა უფალმა, თავისი ანგელოზის მეშვეობით, რომ მოვსულიყავი და მეთქვა ეს. დიახ, მან მიბრძანა, რომ ეს გიწინასწარმეტყველოთ; დიახ, მან მითხრა: შეკვდაღდე ამ ხალხს, მონანიეთ და მოამზადეთ გზა უფლისთვის.

10 და ახლა, ვინაიდან ღამანიელი ვარ და გითხარით სიტყვები, რომლებიც უფალმა მიბრძანა და რადგან ისინი თქვენთვის იყო მძიმე, თქვენ ხართ ჩემზე განრისხებულნი და ცდილობთ ჩემ განადგურებას და თქვენი გარემოცივიდან უკვე გამაძევეთ.

11 და თქვენ გაიგებთ ჩემს სიტყვებს, რადგან ამ მიზნით ამოვედი ამ ქალაქის გავლავანზე, რომ მოისმინოთ და გაიგოთ ღმერთის განსასჯელის შესახებ, რომელიც თქვენი

ურჯულოებისთვის მოგელით და ასევე, რათა იცოდეთ მონანიების პირობები;

12 და ასევე, რომ იცოდეთ იესო ქრისტეს, ღვთის ძის, ზეცისა და მიწის მამის, დასაბამიდან ყველაფრის შემქმნელის, შესახებ; და რათა იცოდეთ მისი მოსვლის ნიშნები, იმ მიზნით, რომ იწამოთ მისი სახელი.

13 და თუ იწამებთ მის სახელს, მაშინ მონანიებთ ყველა ცოდვას, რათა ამგვარად მიგეტყვოთ, მისი მადლით.

14 და აჰა, კვლავ, კიდევ ერთ ნიშანს მოგცემთ, დიახ, მისი სიკვდილის ნიშანს.

15 რადგან, აჰა, იგი აუცილებლად უნდა მოკვდეს, რათა მოვიდეს ხსნა; დიახ, მას მოეთხოვება და საჭიროა, რომ იგი მოკვდეს რათა აღასრულოს გარდაცვლილთა აღდგომა, რათა ამის საშუალებით, ადამიანები მიყვანილ იქნენ უფლის გარემოცვაში.

16 დიახ, აჰა, ეს სიკვდილი აღასრულებს აღდგომას და მთელ კაცობრიობას გამოისყიდის პირველი სიკვდილისგან – სულიერი სიკვდილისგან; რადგან მთელი კაცობრიობა იყო რა უფლის გარემოცივიდან მოკვეთილი ადამის დაცემით, ითვლება მკვდრად, როგორც ხორციელად, ასევე სულიერად.

17 მაგრამ, აჰა, ქრისტეს აღდგომა გამოისყიდის კაცობრიობას, დიახ, მთელ კაცობრიობას

და მიიყვანს უკან, უფლის გარემოცვაში.

18 დიახ, და აღასრულებს მონანიების პირობას, რომ ყოველი, რომელიც მონანიებს, არ იქნება მოკვეთილი და ცეცხლში ჩაგდებული; მაგრამ ყოველი, რომელიც არ მონანიებს, იქნება მოკვეთილი და ცეცხლში ჩაგდებული; და იქ კვლავ თავს დაატყდებათ მათ სულიერი სიკვდილი, დიახ, მეორე სიკვდილი, რადგან კვლავ მოკვეთილნი არიან იქიდან, რაც სამართლიანობას ეხება.

19 ამიტომ, მონანიეთ, მოინანიეთ, რათა ყოველივე ამის ცოდნით და არ შესრულებით, თქვენს თავს არ მოეგლინოს სასჯელი და არ ჩაცვივდეთ ამ მეორე სიკვდილში.

20 მაგრამ, აჰა, როგორც მე გითხარით კიდევ ერთ ნიშანზე, მისი სიკვდილის ნიშანზე, აჰა, იმ დღეს, როდესაც იგი სიკვდილს მიიღებს, მზე დაბნელდება და უარს გეტყვით თავისი სინათლის თქვენთვის ბოძებაზე; ასევე მთვარეც და ვარსკვლავებიც; და ამ მიწის პირზე არ იქნება შუქი იმ დროიდან, როდესაც იგი მიიღებს სიკვდილს, სამი დღის განმავლობაში, იმ დრომდე, სანამ მკვდრეთით არ აღსდგება.

21 დიახ, იმ დროს, როდესაც სულს დათმობს, იქნება ჭექა-ქუხილი და ელვა მრავალი საათის განმავლობაში და დედამიწა აზანზარდება და აკანკალდება;

და კლდეები, რომლებიც ამ მიწის პირზეა, რომლებიც მიწის ზევით და მის ქვევით არის, რომლებიც ახლა მთელია ანუ მათი დიდი ნაწილი, რომელიც ერთიანი სხეულია, შუაზე გაიპობა;

22 დიახ, შუაზე გაიპობა და შემდეგ იპოვიან მათ ნაპრალებსა და ბზარებში და ნამსხვრევების სახით მთელი მიწის პირზე, დიახ, მიწის ზევით და მიწის ქვევით.

23 და აჰა, იქნება დიდი ქარიშხლები და ბარივით მიწასთან გასწორდება მრავალი მთა და იქნება მრავალი ადგილი, რომელსაც ველს უწოდებენ, რომელნიც დიდი სიმაღლის მთებად იქცევიან.

24 მრავალი გზადკეცილი დაინგრევა და მრავალი ქალაქი გაპარტახდება.

25 და მრავალი საფლავი გაიხსნება და მრავალი დათმობს საკუთარ გარდაცვლილს და მრავალი წმინდანი გამოეცხადება მრავალს.

26 და, აჰა, ასე მითხრა ანგელოზმა; რადგან მან მითხრა, რომ იქნება ჭექა-ქუხილი და ელვა მრავალი საათის განმავლობაში.

27 და მან მითხრა, რომ ჭექა-ქუხილის, ელვისა და ქარიშხლის დროს გაგრძელდება ეს ყველაფერი და ბნელეთი მოიცავს მთელი დედამიწის პირს სამი დღის განმავლობაში.

28 და ანგელოზმა მითხრა, რომ მრავალნი იხილავენ ამაზე უფრო დიდ მოვლენებს იმ მიზნით, რათა იწამონ, რომ ეს ნიშნები და ეს საოცრებები აღსრულებდა მთელი ამ მიწის პირზე, რათა აღამიანთა შვილებს შორის არ იყოს ურწმუნოების არანაირი მიზეზი –

29 და ეს იმ მიზნით, რათა ყოველმა, რომელიც იწამებს, შეძლოს გადარჩენა და რომელნიც არ იწამებენ, მოევლინოთ სამართლიანი განაჩენი; და ასევე, თუ იქნებიან განსჯილნი, ისინი თავად იწვნევენ საკუთარ თავზე თავიანთ განსასჯელს.

30 და ახლა გასსოვდეთ, გასსოვდეთ, ჩემო ძმებო, რომ ყოველი, ვინც იღუპება, იღუპება საკუთარი თავისთვის; და ყოველი, რომელიც სწადის ურჯულოებას, საკუთარი თავის გამო სწადის, რადგან, აჰა, თქვენ ხართ თავისუფალნი; ნება გაქვთ იმოქმედოთ საკუთარი ნებით, რადგან, აჰა, ღმერთმა გიბოძათ ცოდნა და გაგაჩინათ თავისუფალნი.

31 მან გიბოძათ უნარი – განასხვაოთ კეთილი ბოროტისგან და გიბოძათ, აირჩიოთ სიცოცხლე ან სიკვდილი; და შეგიძლიათ აკეთოთ სიკეთე და აღდგეთ იმისათვის, რაც არის კეთილი ანუ რაც არის კეთილი აღდგეს თქვენთვის; ან შეგიძლიათ აკეთოთ სიბოროტე და თქვენთვის აღსდგება ბოროტი.

თავი 15

უფალი განიციხავს ნეფიელებს, რადგან ისინი უყვარს. მოქცეული ლამანიელები რწმენაში მყარნი და მტკიცენი არიან. უფალი მოწყალე იქნება ლამანიელთა მიმართ უკანასკნელ დღეებში. დაახლოებით 6 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და ახლა, ჩემო საყვარელო ძმებო, აჰა, მე გიცხადებთ, რომ თუ არ მოინანიებთ, თქვენი სახლები დარჩება გაპარტახებული.

2 დიახ, თუ არ მოინანიებთ, თქვენს ქალებს ექნებათ გოდებისთვის დიდი მიზეზი იმ დღეს, როდესაც ძუძუ უნდა აწოვონ; რადგან გაქცევას შეეცდებით, მაგრამ არსად არ გექნებათ თავშესაფრის ადგილი; დიახ, ვარამი მათ, რომლებიც იქნებიან ორსულად, რადგან იქნებიან დამძიმებულნი და ვერ გაიქცევიან, ამიტომ მათ ფეხქვეშ გათელავენ და დასადუჰად მიატოვებენ.

3 დიახ, ვარამი ამ ხალხს, რომელსაც ეწოდება ნეფის ხალხი, თუ არ მოინანიებენ, როდესაც იხილავენ ამ ნიშნებსა და საოცრებებს, რომლებსაც მათ დაანახებენ; რადგან, აჰა, ისინი არიან უფლის რჩეული ხალხი, დიახ, მას უყვარდა ნეფის ხალხი და ასევე განიციხავდა მათ; დიახ, მათი ურჯულოების დღეებში სჯიდა მათ, რადგან ისინი უყვარს.

4 მაგრამ, აჰა, ჩემო ძმებო, მას

სძულდა ლამანიელები, რადგან საქმენი მათი გამუდმებით ბოროტი იყო და ეს თავიანთი მამების ურჯულო ჩვეულებების გამო. მაგრამ, აჰა, ხსნა მოვიდა მათზე, ნუფიელთა ქადაგების მეშვეობით; და ამ მიზნით უფალმა გააგრძელა მათი დღეები.

5 და მსურს, იხილოთ, რომ მათი უმეტესი ნაწილი მოვალეობის გზას ადგას და წინდახედულად დადის ღვთის წინაშე და ყურადღებით იცავს მის მცნებებს, წესებსა და განაჩენს, მოსეს რჯულის შესაბამისად.

6 დიახ, მე გეუბნებით, რომ მათი უმეტესი ნაწილი ამას აკეთებს და დაუღალავი სიბეჯითით ისწრაფის, რომ შეძლოს დანარჩენი ძმების მიყვანა ჭეშმარიტების ცოდნასთან; ამიტომ, იქ არიან ბევრი ისეთნი, რომლებიც ყოველდღიურად მათ დიდი რაოდენობით ემატებიან.

7 და, აჰა, თქვენ თვითონ იცით, რადგან იყავით ამის მოწმენი, რომ ყოველი, ვინც მიყვანილ იქნა ჭეშმარიტების ცოდნამდე და იქამდე, რომ იცოდნენ თავიანთი მამების ბოროტი და ბილწი ჩვეულებების შესახებ და მიიყვანეს იქამდე, რომ იწამონ წმინდა წერილი, დიახ, წმინდა წინასწარმეტყველების წინასწარმეტყველებანი, რომლებიც დაწერილია, რომლებიც მიუძღვება მათ უფლის რწმენისკენ და მონანიებისკენ და ამ რწმენასა და

მონანიებას მათ გულებში მოაქვს ცვლილება –

8 ამიტომ, ყოველი, ვინც აქამდე მივიდა, თქვენ თვითონ იცით, არის მყარი და მტკიცე რწმენაში და იმაში, რამაც ისინი განთავისუფლა.

9 და თქვენ იცით, რომ მათ დამარხეს თავიანთი საომარი იარაღი და აღარ იღებენ მას იმის შიშით, რომ როგორღაც არ შესცოდონ; დიახ, ხედავთ, რომ ეშინიათ ცოდვის, რადგან, აჰა, ისინი დაუშვებენ იმას, რომ ფეხქვეშ იქნენ გათელილნი და დახოცილნი მტრების მიერ, მაგრამ მათზე ხმლებს არ აღმართავენ, ქრისტეში თავიანთი რწმენის გამო.

10 და ახლა, მათი სიმტკიცის გამო, როდესაც მტკიცედ სწამთ ყოველივე ის, რაც სწამთ, მათი ურყეობის გამო, მას შემდეგ, რაც ერთხელ განათლდნენ, აჰა, უფალი აკურთხებს მათ და დღეებს გაუგრძელებს მათი ურჯულოების მიუხედავად –

11 დიახ, თუნდაც ურწმუნოებაში გადაშენდნენ, უფალი მათ დღეებს გაუგრძელებს, იმ დრომდე, რომელზეც ილაპარაკეს ჩვენმა მამებმა, ასევე წინასწარმეტყველმა ზენოსმა და მრავალმა სხვა წინასწარმეტყველმა, ჩვენი ძმების, ლამანიელების, კვლავ ჭეშმარიტების ცოდნისკენ დაბრუნების შესახებ –

12 დიახ, გეუბნებით, რომ უკანასკნელ დროს უფლის

დაპირებები ჩვენს ძმებზე ლამანიელებზეც ვრცელდება; და მიუხედავად მრავალი გაჭირვებისა, რომელსაც ისინი გადაიტანენ და მიუხედავად იმისა, რომ მათ განდევნიან აქეთ-იქეთ მიწის პირზე და მათზე ინადირებენ, იქნებიან ნაცემნი და გარშემო გაფანტულნი, არ ექნებათ რა ადგილი თავშესაფრისთვის, უფალი იქნება მოწყალე მათ მიმართ.

13 და ეს, წინასწარმეტყველებისამებრ, რომ კვლავ იქნებიან ჭეშმარიტ ცოდნამდე მიყვანილნი, რომელიც არის მათი გამომსყიდველის, დიდი და ჭეშმარიტი მწყემსის შესახებ და ჩაითვლებიან მისი ცხვრის ფარაში.

14 ამიტომ, მე გეუბნებით, მათთვის უკეთესი იქნება, ვიდრე თქვენთვის, თუ არ მოინანიებთ.

15 რადგან, აჰა, მათთვის რომ ეჩვენებინათ ის ძლევაშოსილი საქმენი, რომლებიც თქვენ დაგანახეს, დიახ, მათთვის, რომლებიც ურწმუნობაში გადაშენდნენ თავიანთი მამების ჩვეულებების გამო, თავად შეგიძლიათ იხილოთ, რომ ისინი ურწმუნობაში არასდროს გადაშენდებოდნენ.

16 ამიტომ, ასე ამბობს უფალი: მათ მთლიანად არ გავანადგურებ, არამედ დაგუშვებ, რომ ჩემი სიბრძნის დღეს ისინი კვლავ ჩემთან დაბრუნდებიან, – ამბობს უფალი.

17 და ახლა, აჰა, ნეფიელთა

ხალხის შესახებ ამბობს უფალი: თუ არ მოინანიებენ და არ შეასრულებენ გულმოდგინედ ჩემს ნებას, მე მათ მთლიანად გავანადგურებ, – ამბობს უფალი, – მათი ურწმუნოების გამო, იმ მრავალი ძლევაშოსილი საქმის მიუხედავად, რომლებიც მათ შორის გავაკეთე; და ჭეშმარიტად ისევე, როგორც ცოცხალია უფალი, ასე ახდება ყოველივე ეს, – ამბობს უფალი.

თავი 16

ნეფი ნათლავს ნეფიელებს, რომლებმაც დაუჯერეს სამუელს. მოუხანიებელი ნეფიელები სამუელს ვერ კლავენ ისრებითა და ქვებით. ზოგიერთნი გულს იქვავენ, სხვები კი ხელავენ ანგელოზებს. ურწმუნოები ამბობენ, არ არის გონივრული იწამონ ქრისტე და მისი იერუსალიმში მოხვლა. დაახლოებით 6-1 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1 და ახლა, იყო ასე, რომ მრავალმა მოისმინა ლამანიელი სამუელის სიტყვები, რომლებსაც იგი ქალაქის გაღავნიდან აცხადებდა. და რამდენმაც იწამა მისი სიტყვები, წავიდა და ნეფის ეძებდა; და როდესაც მოვიდნენ და იპოვეს იგი, აღიარეს მასთან თავიანთი ცოდვები და არ უარყოფდნენ, სურდათ რა, რომ უფლისათვის მონათლულიყვნენ.

2 მაგრამ, ყველა იქ მყოფნი, რომლებმაც არ იწამეს სამუელის

სიტყვები, განრისხდნენ მასზე; და ქვეს ესროდნენ მას გალავანზე და მრავალმა ისრები დაუშინა, როდესაც იგი გალავანზე იდგა; მაგრამ, უფლის სული მასთან იყო, ასე რომ არ ხვდებოდა მას არც ქვეები და არც ისრები.

3 ახლა, როდესაც მათ იხილეს, რომ ვერ სწვდებოდნენ მას, უფრო მეტმა იწამა მისი სიტყვები, ასე რომ ნეფისთან წავიდნენ, რათა მონათლულიყვნენ.

4 რადგან, აჰა, ნეფი ნათლავდა, წინასწარმეტყველებდა და ქადაგებდა, ხალხისადმი დალაღებდა მონანიებას, ანახებდა ნიშნებსა და საოცრებებს, ხალხში ახდენდა სასწაულებს, რათა მათ სცოდნოდათ, რომ ქრისტე მალე მოვიდოდა -

5 ელაპარაკებოდა მათ ყოველივე იმაზე, რაც მალე დადგება, ვინაიდან იმ დროს, როდესაც ყოველივე ეს მოხდება, სცოდნოდათ და ხსომებოდათ, რომ ეს მანამდე გაანდეს მათ იმ მიზნით, რომ იწამონ; ამიტომ, ყოველმა, ვინც იწამა სამუელის სიტყვები, მივიდა მასთან, რათა მონათლულიყო, რადგან მოდიოდნენ მონანიებითა და თავიანთი ცოდვების აღიარებით.

6 მაგრამ, მათმა უმრავლესობამ არ იწამა სამუელის სიტყვები, ამიტომ, როდესაც იხილეს, რომ მას ვერ სწვდებოდნენ ქვეებითა და ისრებით, მათ შეჰღაღადეს მთავარსარდლებს სიტყვებით:

შეიპყართ ეს კაცი და შებოჭეთ, რადგან ეშმაკი არის მასში; და იმ ეშმაკის ძალის გამო, რომელიც მასშია, ვერ მოვარტყით ქვეები და ისრები, ამიტომ, შეიპყართ, შებოჭეთ და აქედან მოაშორეთ.

7 და ისინი მივიდნენ მასზე ხელის აღსამართავად და, აჰა, იგი გალავნიდან გადმოხტა და მათი მიწიდან გაიქცა, დიახ, თავის საკუთარ ქვეყანაში, და დაიწყო თავის ხალხში ქადაგება და წინასწარმეტყველება.

8 და აჰა, ნეფიელთა შორის აღარავის სმენია მის შესახებ და ასეთი იყო ხალხის საქმიანობა.

9 და ასე დასრულდა ნეფის ხალხზე მოსამართლეთა მმართველობის ოთხმოცდამეექვსე წელი.

10 და ასე დასრულდა მოსამართლეთა მმართველობის ოთხმოცდამეშვიდე წელი, ხალხის უმეტესი ნაწილი იმყოფებოდა საკუთარ ამპარტავნობაში და სიბოროტეში და ხალხის მცირე ნაწილი ღმერთის წინაშე უფრო წინდახედულად მოქმედებდა.

11 და ასეთი პირობები იყო მოსამართლეთა მმართველობის ოთხმოცდამერვე წელს.

12 და მცირეოდენი ცვლილება იყო ხალხის საქმიანობაში, გარდა იმისა, რომ ხალხმა დაიწყო უფრო მეტად გამძვინვარება ურჯულოებაში და უფრო მეტად და მეტად კეთება იმისა, რაც ღმერთის მცნებებს

ეწინააღმდეგებოდა, მოსამართლეთა მმართველობის ოთხმოცდამეცხრე წელს.

13 მაგრამ, იყო ასე: მოსამართლეთა მმართველობის ოთხმოცდამეათე წელს, ხალხს მიეცა დიდი ნიშნები და საოცრებები და წინასწარმეტყველთა სიტყვებმა იწყო აღსრულება.

14 და ანგელოზები გამოეცხადნენ ადამიანებს, ბრძენ ადამიანებს და აუწყეს მათ სასიხარულო ამბები დიდი ბედნიერებისა; ამგვარად, ამ წელიწადს წმინდა წერილმა იწყო აღსრულება.

15 ამისდა მიუხედავად, ხალხმა დაიწყო გულის გაქვავება, ყველამ, გარდა ღრმად მორწმუნეთა ნაწილის, როგორც ნეფიელეებისა, ასევე ლამანიელების; და დაიწყეს საკუთარ ძალასა და საკუთარ სიბრძნეზე დაყრდნობა, სიტყვებით:

16 შესაძლოა, მათ ზოგიერთი რამ სწორად გამოიცნეს მრავალი არსებულისა, მაგრამ, აჰა, ჩვენ ვიცით, რომ ყველა ეს დიდი და საოცარი საქმე, რომელზედაც ილაპარაკეს, ვერ ახდება.

17 და მათ დაიწყეს ბჭობა და ერთმანეთში კამათი, სიტყვებით:

18 არ არის მიზანშეწონილი, რომ ასეთი არსება, როგორც ქრისტე, რომ მოვიდეს; და თუ ეს ასე იქნება და იგი არის ძე ღვთისა, ზეცისა და მიწის მამა, როგორც იყო ნათქვამი, რატომ ჩვენც არ გამოგვეცხადება ისე, როგორც მათ იერუსალიმში?

19 დიახ, ამ მიწაზე რატომ არ გამოგვეცხადება ისე, როგორც იერუსალიმის მიწაზე?

20 მაგრამ, აჰა, ჩვენ ვიცით, რომ ეს არის ბოროტი ჩვეულება, რომელიც ჩვენი მამებისგან გამოგვეცა, რათა გვაიძულოს, ვიწამოთ რაღაც დიდი და საოცარი, რომელიც უნდა მოვიდეს, მაგრამ არა ჩვენთან, არამედ მიწაზე, რომელიც არის ძალზედ შორს, მიწაზე, რომელზეც ჩვენ არაფერი ვიცით, ამიტომ, მათ შეუძლიათ გვამყოფონ უმცირებაში, რადგან ვერ ვიხილავთ ჩვენი თვალებით, რომ ეს არის ჭეშმარიტება.

21 და ისინი, იმ ბოროტის მზაკვრული და საიდუმლო ხელოვნებით, შექმნიან დიდ საიდუმლოებას, რომლის გაგებაც ჩვენ არ შეგვიძლია, რომელიც მათი სიტყვებისა და მათივე მოსამსახურებად გვაქცევს, რადგან მათზე ვიქნებით დამოკიდებულნი, რომ სიტყვა გვასწავლონ; და ამგვარად გვამყოფენ უმცირებაში, თუ მათ მივანდობთ ჩვენს თავს მთელი ჩვენი ცხოვრების დღეებში.

22 და კიდევ მრავალ სხვა უგუნურსა და ამოს იგონებდა ხალხი გულში და იყო დიდად შემოფოთებული, რადგან სატანა მათ განუწყვეტლივ უბიძგებდა ურჯულოების ჩადენისკენ; დიახ, იგი დადიოდა გარშემო, ავრცელებდა რა ჭორებსა და განხეთქილებებს მთელი მიწის პირზე,

რათა ადამიანთა გული გაექვა-
ვებინა იმის საწინააღმდეგოდ
რაც არის კეთილი და იმის სა-
წინააღმდეგოდ, რაც უნდა მო-
სულიყო.

23 და მიუხედავად ნიშნებისა
და საოცრებების, რომლებიც
უფლის ხალხში მოხდა და მრავალი
სასწაულისა, რაც მათ მო-
ახდინეს, სატანას ჰქონდა დიდი

გავლენა ადამიანთა გულზე,
მთელი მიწის პირზე.

24 და ასე დასრულდა ნე-
ფის ხალხზე მოსამართლეთა
მმართველობის ოთხმოცდამე-
ათე წელი.

25 და ასე დასრულდა ჰელამა-
ნის წიგნი, ჰელამანისა და მისი
შვილების ჩანაწერების მიხედ-
ვით.

მესამე ნეფი ნეფის წიგნი

ნეფის შვილისა, რომელიც იყო ძე ჰელამანის

და ჰელამანი იყო შვილი ჰელამანისა, რომელიც იყო ძე ალმასი,
რომელიც იყო ძე ალმასი და ნეფის შთამომავალი, რომელიც იყო
იუდას მეფის ციციანაჰუს მმართველობის პირველ წელს იერუსა-
ლიმიდან წამოსული ლეხის შვილი.

თავი 1

ნეფი, ჰელამანის შვილი, მი-
დის მიწიდან და მისი ძე, ნეფი,
აწარმოებს ჩანაწერებს. მრავალი
ნიშნისა და საოცრების
მიუხედავად, ბოროტნი გეგმა-
ვენ სამართლიანთა დახოცვას.
დგება ქრისტეს შობის დღე. ნი-
შანი მოცემულია და ამოდის
ახალი ვარსკვლავი. მატულობს
ტყუილი და თვალთმაქცობა
და გადიანტონის მძარცვე-
ლები ხოცავენ მრავალ ადამი-
ანს. დაახლოებით 1-4 წწ. ჩვენი
წელთაღრიცხვით.

1 ახლა, იყო ასე, რომ ოთხმოც-
დათერთმეტმა წელმა ჩაიარა და
გავიდა ექვსასი წელი იმ დრო-
იდან, რაც ლეხიმ იერუსალიმი
დატოვა; და ეს იყო წელი, როდესაც
ლაქონეუსი მიწის მთავარი
მოსამართლე და მმართველი
იყო.

2 და ნეფი, ძე ჰელამანისა,
ზარაპემლას მიწიდან წავიდა,
გადასცა რა მეთვალყურეობა
სპილენძის ფირფიტებზე და
ყველა ჩანაწერებზე, რომლებიც
ინახებოდა და ყოველივე იმაზე,
რაც ლეხის იერუსალიმიდან
წამოსვლის შემდეგ წმინდად

ინახებოდა, თავის შვილს, ნეფის, რომელიც იყო მისი უფროსი შვილი.

3 შემდეგ იგი წავიდა იმ მიწიდან და არავინ იცის საით; და მისი შვილი, ნეფი, მის მაგივრად ინახავდა ჩანაწერებს, დიახ, ამ ხალხის ჩანაწერებს.

4 და იყო ასე, რომ ოთხმოცდამეთორმეტე წლის დასაწყისში, აჰა, წინასწარმეტყველთა წინასწარმეტყველებებმა უფრო სრულად იწყეს ახდენა; რადგან ხალხში უფრო დიდი ნიშნები და უფრო დიდი სასწაულები იხენდა თავს.

5 მაგრამ იქ იყვნენ ზოგიერთნი, რომლებიც ამბობდნენ, რომ დრო გავიდა იმ სიტყვების ასახდენად, რომლებიც ლამანიელმა სამუელმა ილაპარაკა.

6 და მათ დაიწყეს თავიანთი ძმების დაცინვა სიტყვებით: აჰა, დრო გავიდა და სამუელის სიტყვები არ აღსრულდა; ამიტომ, ამო იყო ამ ყველაფერში თქვენი სიხარული და რწმენა.

7 და იყო ასე, რომ მათ დიდი ხმაური გამოიწვიეს მთელ მიწაზე; და ადამიანებმა, რომლებსაც სწამდათ, იწყეს ღრმად დაღონება, ეშინოდათ რა, რომ რამენაირად არ ამხდარიყო ყოველივე ის, რაც ითქვა.

8 მაგრამ, აჰა, ისინი მტკიცედ მოელოდნენ იმ დღეს, იმ ღამესა და დღეს, რომელიც უნდა ყოფილიყო, როგორც ერთი დღე, ვითარცა არ ყოფილიყო ღამე,

რათა სცოდნოდათ, რომ მათი რწმენა არ იყო ამაო.

9 ახლა, ეს იყო ასე, რომ ურწმუნოთა მიერ დაინიშნა დღე, როდესაც უნდა მოეკლათ ყოველი, ვისაც ამ ჩვეულებების სწამდა, თუ არ ახდებოდა ის ნიშანი, რომელიც წინასწარმეტყველმა სამუელმა მისცა.

10 ახლა, ეს იყო ასე, რომ როდესაც ნეფის შვილმა, ნეფიმ, იხილა თავისი ხალხის სიბოროტე, მისი გული ძალზედ დამწუხრდა.

11 და იყო ასე: იგი გამოვიდა, მიწამდე ქედი მოიხარა და ძლიერად შეჰღაღადა თავის ღმერთს თავისი ხალხისათვის, დიახ, მათთვის, რომლებიც ღამის უნდა განადგურებულიყვნენ, თავიანთი მამების ჩვეულებებში რწმენის გამო.

12 და იყო ასე, რომ იგი ძლიერად ღაღადებდა უფლისადმი მთელი ის დღე; და აჰა, უფლის ხმა მას მოესმა სიტყვებით:

13 თავი აწიე და გამხნევი; რადგან, აჰა, მოახლოვდა ჟამი და ამაღამ ნიშანი იქნება მოცემული და მომდევნო დღეს ამქვეყნად მოვალ, რათა ქვეყანას ვაჩვენო, რომ აღვასრულებ ყველაფერს, რაც ჩემი ნებით, ჩემი წმინდა წინასწარმეტყველების პირით ითქვა.

14 აჰა, მე ჩემებთან მოვიდვარ, რათა ყველაფერი აღვასრულო, რაც გავანდე ადამიანთა შვილებს ქვეყნის დასაბამიდან და

ადვასრულო ნება, როგორც მამის, ისე შვილის; მამის – ჩემ გამო და შვილის – ჩემი ხორცის გამო. და, აჰა, მოახლოვდა ჟამი, და ამადამ ნიშანი იქნება მოცემული.

15 და იყო ასე, რომ ნეფისადმი ნათქვამი სიტყვები იმგვარად ახდა, როგორც ნათქვამი იყო; რადგან, აჰა, არ დაბნელდა მზის ჩასვლისას და ხალხმა იწყო გაცემა, რადგან როდესაც დაღამდა, არ დაბნელდა.

16 და იქ იყვნენ მრავალნი, რომლებსაც არ სწამდათ წინასწარმეტყველების სიტყვები, რომლებიც მიწაზე დაეცნენ, ვითარცა მკვდრები, რადგან მათ იცოდნენ, რომ ის დიდი განადგურების გეგმა, რომელიც მათ მოამზადეს მათთვის, ვისაც წინასწარმეტყველის სიტყვების სჯეროდა, ჩაიშალა, რადგან ის ნიშანი, რომელიც იყო მოცემული, უკვე აღსრულდა.

17 და მათ იწყეს მიხედვრა იმაზედ, რომ ძე ღვთისა მალე მოეკვლინებოდათ; დიახ, საბოლოო ჯამში, ყველა ხალხი მთელი დედამიწის პირზე, დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ, როგორც ჩრდილოეთ მიწაზე ისე სამხრეთ მიწაზე, ისე ძლიერად იყო გაოგნებული, რომ მიწაზე დაეცა.

18 რადგან იცოდნენ, რომ წინასწარმეტყველები მოწმობდნენ ყოველივე ამაზე მრავალი წლის განმავლობაში და ნიშანი, რომელიც იყო მოცემული, უკვე

აღსრულდა; და ისინი შეშინდნენ, თავიანთი ურჯულოებისა და თავიანთი ურწმუნობების გამო.

19 და იყო ასე, რომ მთელი იმ დამის განმავლობაში არ დაბნელდა, არამედ სინათლე იყო, ვითარცა შუადღეს. და იყო ასე, რომ დილით კვლავ მზე ამოვიდა, საკუთარი წესის შესაბამისად; და მათ იცოდნენ იმ ნიშნის გამო, რომელიც მათ მიეცათ, რომ ეს იყო ის დღე, როდესაც უფალი დაიბადებოდა.

20 და ეს ახდა, დიახ, ყველაფერი, იოტის ოდენიც კი, წინასწარმეტყველთა სიტყვების შესაბამისად.

21 და იყო ასე, რომ ასევე გამოჩნდა ახალი ვარსკვლავი, სიტყვის შესაბამისად.

22 და იყო ასე, რომ ამ დროიდან სატანამ დაიწყო ხალხში სიცრუის გავრცელება, რათა გაექვავებინა მათი გულები იმ მიზნით, რომ მათ არ ეწამათ იმ ნიშნებისა და საოცრებების, რომლებიც მათ იხილეს; მაგრამ, ამ ტყუილებისა და სიცრუის მიუხედავად, ხალხის უმეტესმა ნაწილმა იწამა და უფლის რწმენაში მოიქცა.

23 და იყო ასე, რომ ნეფი წავიდა ხალხში და ასევე სხვა მრავალნიც, ნათლავდნენ რა მოსანანიებლად, რომელშიც იყო ცოდვების დიდი მიტევება. და ამგვარად, ხალხმა კვლავ მიიღო მიწაზე მშვიდობა.

24 და არ იყო დაპირისპირება, გარდა იმისა, რომ ზოგიერთებმა დაიწყეს ქადაგება, ცდილობდნენ რა დაემტკიცებინათ წმინდა წერილებით, რომ აღარ იყო საჭირო მოსეს რჯულის დაცვა. ახლა, ამაში ისინი ცდებოდნენ, არ ესმოდათ რა წმინდა წერილის.

25 მაგრამ, იყო ასე, რომ ისინი მალე მოიქცნენ და დარწმუნდნენ, რა შეცდომაში იყვნენ შეყვანილნი, რადგან მათ გაანდეს, რომ რჯული ჯერ არ იყო აღსრულებული და უნდა აღსრულდეს იოტის ოდენიც კი; დიახ, მათ სიტყვა მიეცათ, რომ უნდა აღსრულდეს; დიახ, რომ არ გადაივლის არც ერთი იოტი ან წერტილი, სანამ იგი სრულიად არ აღსრულდება; ამიტომ, იმავე წელს ისინი მიიყვანეს თავიანთი შეცდომის გააზრებამდე და მათ აღიარეს თავიანთი შეცდომები.

26 და ასე ჩაიარა ოთხმოცდამეთორმეტე წელმა, მოუტანა რა ხალხს სასიხარულო ამბები, ნიშნების ახდენით, წმინდა წინასწარმეტყველთა წინასწარმეტყველების სიტყვების შესაბამისად.

27 და იყო ასე, რომ ოთხმოცდამეცამეტე წელმაც მშვიდობიანად ჩაიარა, თუ არ ჩავთვლით გადიანტონის მძარცველებს, რომლებიც მთებში ცხოვრობდნენ და ავსებდნენ მიწას; რადგან ისეთი ძლიერი იყო მათი გამაგრებები და სამალავი ადგილები, რომ ხალხი ვერ სძლევადა მათ;

ამიტომ, ისინი მრავალ მკვლელობას სწადიოდნენ და ხოცვა-ჟლეტა მოჰქონდათ ხალხში.

28 და იყო ასე, რომ ოთხმოცდამეთოთხმეტე წელს ისინი ძალზედ მომრავლდნენ, რადგან ნეფიელებისგან იყო მრავალი განდგომილი, რომელიც მათთან გაიქცა, რის გამოც მიწაზე დარჩენილი ნეფიელები ძალზედ დამწუხრდნენ.

29 ასევე ლამანიელებს შორისაც იყო დიდი მწუხარების მიზეზი; რადგან, აჰა, მათ ბევრი შვილი ჰყავდათ, რომლებიც გაიზარდნენ, განმტკიცდნენ და წლებიც ემატებოდათ, ასე რომ გახდნენ თავნებები და ზოგიერთებმა, რომლებიც იყვნენ ზორამიელები, ისინი გზას ააცდინეს თავიანთი ტყუილებითა და პირფერი სიტყვებით, რათა გადიანტონის მძარცველებს შეერთებოდნენ.

30 და ამგვარად, ლამანიელებიც ასევე იტანჯებოდნენ და დაიწყეს დასუსტება საკუთარ რწმენაში და სამართლიანობაში, თავიანთი მოზარდი თაობის სიბოროტის გამო.

თავი 2

ხალხში მატულობს სიბოროტე და სისაძაგლე. ნეფიელები და ლამანიელები ერთიანდებიან, რათა თავი დაიცვან გადიანტონის მძარცველებისგან. მოქცეული ლამანიელები თეთრდებიან

და მათ ნეფიელები ეწოდებათ. დაახლოებით 5-16 წწ. ჩვენი წელთაღრიცხვით.

1 და იყო ასე, რომ ასე ჩაიარა ოთხმოცდამეთხუთმეტე წელმაც და ხალხმა იწყო იმ ნიშნებისა და საოცრებების დავიწყება, რომლებიც მოისმინეს და სულ უფრო ნაკლებად და ნაკლებად ანცვიფრებდა მათ ზეციდან მოვლენილი ნიშანი ან საოცრება ისე, რომ იწყეს გულის გაქვავება და გონების დაბინდება და იწყეს რწმენის დაკარგვა ყველაფრის მიმართ, რაც მოისმინეს და იხილეს -

2 წარმოიდგენდნენ რა გულში რაიმე ამას, რაც თითქოს ადამიანის მიერ ან ეშმაკის ძალით ყოფილიყო შექმნილი, რათა გზას აეცდინა და მოეტყუებინა ადამიანთა გული; და ამგვარად, სატანა კვლავ დაეუფლა ადამიანთა გულს, ისე რომ თვალები დაუბრმავა და გზას ააღდინა, რათა დაერწმუნებინა, რომ ქრისტეს მოძღვრება იყო უგუნური და ამას რამ.

3 და იყო ასე, რომ ხალხი ძლიერ ჩაეფლო სიბოროტესა და სისაძაგლეში; და აღარ სწამდათ, რომ კიდევ მიიღებდნენ ნიშნებსა და საოცრებებს და სატანა დაეხეტებოდა ადგილიდან ადგილზე, გზას უბნევდა ადამიანთა გულებს, აცდუნებდა მათ და უბიძგებდა, ჩაედინათ დიდი სიბოროტე იმ მიწაზე.

4 და ასე გავიდა ოთხმოცდამეთექვსმეტე წელი და ასევე ოთხმოცდამეჩვიდმეტე წელი; ასევე ოთხმოცდამეთვრამეტე წელი; და ოთხმოცდამეცხრამეტე წელიც;

5 და ასევე გავიდა ასი წელი მოსიას დღეებიდან, რომელიც იყო ნეფიელთა ხალხის მეფე.

6 და გავიდა ექვსასი და ცხრა წელი იქიდან, რაც ლეხიმ დატოვა იერუსალიმი.

7 და ცხრა წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ნიშანი იქნა მოცემული, რომელზეც ლაპარაკობდნენ წინასწარმეტყველები, რომ ქრისტე მოვიდოდა ამქვეყნად.

8 და ახლა, ნეფიელებმა დაიწყეს თავიანთი დროის ათვლა იმ დროიდან, როდესაც ნიშანი მიეცათ ანუ ქრისტეს მოსვლის დროიდან; ამიტომ, გასული იყო ცხრა წელი.

9 და ნეფი, რომელიც იყო ნეფის მამა, რომელიც მეთვალყურეობდა ჩანაწერებს, არ დაბრუნებულა ზარაჰემლას მიწაზე და ვერსად ვერ იპოვეს იგი მთელ მიწაზე.

10 და იყო ასე, რომ ხალხი კვლავ იმყოფებოდა სიბოროტეში მრავალი ქადაგებისა და წინასწარმეტყველების მიუხედავად, რაც მათში ვრცელდებოდა; და ასე ჩაიარა მეთექვსმეტე წელმაც; და ურჯულოებაში ჩაიარა ასევე მეთერთმეტე წელმაც.

11 და იყო ასე, რომ მეცამეტე წელს, მთელ მიწაზე დაიწყო ომები და განხეთქილებები;

რადგან გადიანტონის მძარცველები იმდენად მრავალრიცხოვანნი გახდნენ და იმდენი ადამიანი დახოცეს და იმდენი ქალაქი გააპარტახეს და მიწაზე იმდენად გაავრცელეს სიკვდილი და სისხლისღვრა, რომ საჭირო გახდა, მთელ ხალხს, ნეფიელებსა და ლამანიელებს, აეღოთ იარაღი მათ წინააღმდეგ.

12 ამიტომ, ყოველი ლამანიელი, რომელიც მოქცეულ იქნა უფლის რწმენაში, გაერთიანდა თავიანთ ძმებთან, ნეფიელებთან და იძულებულნი იყვნენ, თავიანთი სიცოცხლის, ქალებისა და ბავშვების უსაფრთხოებისთვის, იარაღი აეღოთ გადიანტონის მძარცველთა წინააღმდეგ, დიახ, ასევე საკუთარი უფლებების დასაცავად და თავიანთი ეკლესიის უფლებებისა და თავჯანისცემისთვის და თავიანთი დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის.

13 და იყო ასე, რომ სანამ მეცამეტე წელი დამთავრდებოდა, ნეფიელებს დაემუქრა მთლიანი განადგურება ამ ომის გამო, რომელიც მეტისმეტად გამწვავდა.

14 და იყო ასე, რომ ის ლამანიელები, რომლებიც ნეფიელებთან გაერთიანდნენ, ნეფიელთა შორის ჩაითვალნენ.

15 და მათზედ დადებული წყევლა მოეხსნათ და კანი გაუთეთრდათ, როგორც ნეფიელებს;

16 და მათი ყმაწვილკაცები და ქალიშვილები გახდნენ ძალზედ

მშვენიერი და ნეფიელთა შორის ითვლებოდნენ და მათ ნეფიელებს უწოდებდნენ. და ასე დასრულდა მეცამეტე წელი.

17 და იყო ასე: მეთოთხმეტე წლის დასაწყისში ომი მძარცველებსა და ნეფის ხალხს შორის გაგრძელდა და ძალზედ გამწვავდა; ამისდა მიუხედავად, ნეფის ხალხმა მიაღწია მცირედენ უპირატესობას მძარცველებზე, ისე რომ ისინი საკუთარი მიწებიდან უკან გააძევეს მთებსა და თავიანთ სამალავებში.

18 და ასე დასრულდა მეთოთხმეტე წელი. და მეთხუთმეტე წელს ისინი კვლავ გამოვიდნენ ნეფის ხალხის წინააღმდეგ; და ნეფის ხალხის სიბოროტის და მათი მრავალი განხეთქილებისა და უთანხმოების გამო, გადიანტონის მძარცველებმა დიდ უპირატესობას მიაღწიეს მათზე.

19 და ასე დასრულდა მეთხუთმეტე წელი და ამგვარად, ხალხი იმყოფებოდა მრავალნაირ გაჭირვებაში; და განადგურების მახვილი აღიმართა მათზე ისე, რომ ლამის მოცელა ისინი თავიანთი ურჯულოებისათვის.

თავი 3

გიდიანხი, გადიანტონთა წინამძღვარი, მოითხოვს, რომ ლაქონეუსი და ნეფიელები მას დანებდნენ და დაუთმონ თავიანთი მიწები. ლაქონეუსი თავისი

ჯარების მთავარსარდლად ნიშნავს გიდგიდონს. ნეფიელები ხარაჰემლასა და ბარაქიანში იკრიბებიან, რათა თავი დაიცვან. დაახლოებით 16-18 წწ. ჩვენი წელთაღრიცხვით.

1 და ახლა, იყო ასე, რომ ქრისტეს მოსვლიდან მეთექვსმეტე წელს მიწის მმართველმა, ლაქონეუსმა, მიიღო წერილი მძარცველთა რაზმის წინამძღოლისგან; და აი სიტყვები, რომლებიც იქ ეწერა:

2 ლაქონეუს, უკეთილშობილესო და მიწის მთავარო მმართველო, მე გწერ ამ წერილს და გამოგხატავ ქებადიდებას შენი სიმტკიცის გამო, ასევე შენი ხალხის სიმტკიცისათვის იმის დაცვაში, რასაც თქვენ საკუთარ უფლებად და თავისუფლებად მიიჩნევთ; დიახ, თქვენ მტკიცედ დგახართ, ვითარცა ღმერთის ხელი გშველოდეთ თქვენი თავისუფლების დაცვაში და თქვენი ქონებისა და სამშობლოსი ან იმის, რასაც თქვენ ამას უწოდებთ.

3 და მე ძალზედ ვწუხვარ, უკეთილშობილესო ლაქონეუს, რომ იმდენად უგუნურნი და პატივმოყვარენი ხართ, რამეთუ ფიქრობთ, რომ შეგიძლიათ წინააღმდეგობა გაუწიოთ მრავალ მამაც ჯარისკაცს, რომლებიც ჩემი მეთაურობის ქვეშ არიან, რომლებიც ახლა, ამჟამად, შეიარაღებულნი დგანან და

მოუთმენლად ელოდებიან ბრძანებას - თავს დაესხან ნეფიელებს და გაანადგურონ ისინი.

4 და ვიცი რა მათი გაუტყეველი სულის შესახებ, გამომიციდია რა ისინი ბრძოლის ველზე და ვიცი მათი მარადიული სიძულვილის შესახებ თქვენ მიმართ იმ მრავალი უსამართლობის გამო, რომელიც ჩაიდინეთ მათ მიმართ, ამგვარად, თქვენ წინააღმდეგ რომ გამოვიდნენ, ისინი სრული განადგურებით მოგვევლინებიან.

5 ამიტომ მოგწერეთ ეს წერილი, ჩავბეჭდე რა ჩემი საკუთარი ხელით, ვზრუნავ რა თქვენს კეთილდღეობაზე, თქვენი სიმტკიცის გამო იმაში, რასაც თვლით ჭეშმარიტებად და ბრძოლის ველზე თქვენი კეთილშობილი სულისთვის.

6 ამიტომ, მე გწერთ სურვილით, დაუთმოთ ამ ჩემს ხალხს თქვენი ქალაქები, მიწები და თქვენი ქონება იმის სანაცვლოდ, რომ არ მოვიდნენ თქვენზე მახვილით და არ მოგვევლინოთ ეს განადგურება.

7 ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: დაგვნებდით და შემოგვიერთდით, გაეცანით ჩვენს საიდუმლო საქმეებს და დაგვიძმობილდით, რათა ჩვენი მსგავსნი გახდეთ - არა ჩვენი მონები, არამედ ძმები და მთელი ჩვენი ქონების თანამფლობელნი.

8 და აჰა, თუ ასე მოიქცევით, ფიცის დადებით, არ განადგურდებით; მაგრამ თუ ასე არ

მოიქცევით, ფიცით ვფიცავ, მომღევნო თვეში ვბრძანებ, რომ ჩემი ჯარები თქვენზედ მოვიდეს და ხელი არ შეაკავონ და არ დაგინდონ, არამედ დაგხოცონ და ნება მისცენ მახვილის თქვენზედ დასაცემად იქამდეც კი, სანამ არ ამოწყდებით.

9 და აჰა, მე ვარ გიდიანხი; და ვარ გადიანტონის, ამ საიდუმლო საზოგადოების, მმართველი; რომელი საზოგადოებაც და მისი საქმიანობაც, ვიცი, არის კარგი და უძველესი და ისინი ჩვენ გადმოგვეცა.

10 და მე გწერ ამ წერილს, ლაქონეუსს, და ვიმედოვნებ, რომ დათმობთ თქვენს მიწებსა და ქონებას, სისხლისღვრის გარეშე, რომ ამ ჩემმა ხალხმა შეძლოს თავიანთი უფლებებისა და ხელისუფლების აღდგენა, რომლებიც განგიდგნენ თქვენი სიბოროტისათვის, წაართვით რა მათ მმართველობის უფლება და თუ ასე არ მოიქცევით – შურს ვიძიებ მათი წყენისათვის. მე ვარ გიდიანხი.

11 და ახლა, იყო ასე: როდესაც ლაქონეუსმა მიიღო ეს წერილი, იგი ძალზედ გაოცდა გიდიანხის სითამამის გამო, რომელიც მოითხოვდა ნეფიელთა მიწის მფლობელობას, ასევე ემუქრებოდა ხალხს და შურისძიებას ჰპირდებოდა მათი წყენისთვის, რომლებსთვის არაფერი დაუშავებიათ გარდა იმისა, რომ ბოროტ და საძაგელ მმართველებთან

განდგომით, საკუთარ თავს მიაცენეს ზიანი.

12 ახლა, აჰა, მმართველი ლაქონეუსი იყო მართალი კაცი და ვერ შეაშინებდა მას მმართველის მოთხოვნები და მუქარა; ამიტომ, მან გიდიანხის, მმართველთა მმართველის, წერილის არ შეისმინა, არამედ ბრძანა, რომ თავისმა ხალხმა ძალისთვის შეჰღადადოს უფალს იმ დროისთვის, როდესაც მმართველები მათ წინააღმდეგ მოვიდოდნენ.

13 დიახ, მან გააგზავნა განცხადება მთელ ხალხში, რათა ერთად შეკრებილიყვნენ, ერთ ადგილზე, თავიანთი ქალებითა და ბავშვებით, მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლით და მიწის გარდა, მთელი თავიანთი ქონებით.

14 და მან ბრძანა, რომ მათ გარშემო აეგოთ გამაგრებები და მათი სიმტკიცე უნდა ყოფილიყო ძალზედ დიდი. და მან ბრძანა, რომ როგორც ნეფიელთა, ასევე ლამანიელთა ჯარები ანუ ყველასი, ვინც ითვლებოდა ნეფიელებში, უნდა დამდგარიყვნენ გარშემო გუშაგებად, რათა თვალყური ედევნებინათ და დაეცვათ ისინი მმართველებისგან დღისითა და ღამით.

15 დიახ, მან უთხრა მათ: ისე, როგორც ცოცხალია უფალი, თუ არ მოინანიებთ ყოველ თქვენს ურჯულოებას და არ შეჰღადადებთ უფალს, ვერანაირად ვერ

იქნებით გამოხსნილნი გადიან-ტონის მძარცველთა ხელიდან.

16 და იმდენად დიდი და საოცარი იყო ლაქონეუსის სიტყვები და წინასწარმეტყველებანი, რომ მათ შიში მოჰგვარეს მთელ ხალხს; და ისინი მთელი ძაღლონით ცდილობდნენ, შეესრულებინათ ლაქონეუსის სიტყვები.

17 და იყო ასე, რომ ლაქონეუსმა ნეფიელთა ყველა ჯარზე დანიშნა მთავარსარდლები, რათა მეთაურობა გაეწიათ მათთვის, როდესაც უდაბნოდან მძარცველები წამოვიდოდნენ მათ წინააღმდეგ.

18 ახლა, დანიშნულ იქნა ნეფიელთა ჯარების მთავარი მეთაური და მთავარსარდალთა შორის მთავარსარდალი და მისი სახელი იყო გიდგიდონი.

19 ახლა, ნეფიელთა შორის იყო ჩვეულება: თავიანთ მთავარსარდლებად ნიშნავდნენ (თუ არ იყვნენ საკუთარი სიბოროტის ჟამში) ვინმეს, ვისაც ჰქონდა გამოცხადებისა და ასევე წინასწარმეტყველების სული, ამიტომ, ეს გიდგიდონი იყო დიდი წინასწარმეტყველი მათ შორის, ასევე მთავარი მოსამართლეც დიდი წინასწარმეტყველი იყო.

20 ახლა, ხალხმა უთხრა გიდგიდონს: ილოცე უფლისადმი და ნება გვიბოძე წავიდეთ მთებში და უდაბნოში, რათა მძარცველებს თავს დავესხათ და თავიანთივე მიწებზე გავანადგუროთ.

21 მაგრამ, გიდგიდონმა მიუგო:

უფალი კრძალავს; რადგან მათ წინააღმდეგ თუ წავალთ, უფალი მათ ხელში ჩაგვავადებს, ამიტომ მოვემზადებით ჩვენი მიწის შუაგულში და ჩვენს ჯარებს ერთად შევკრებთ და მათ წინააღმდეგ არ წავალთ, თუმცა დაველოდებით, სანამ ისინი არ წამოვლენ ჩვენს წინააღმდეგ; რადგან ისე, როგორც ცოცხალია უფალი, თუ ჩვენ ასე მოვიქცევით, იგი მათ ხელში ჩაგვივადებს.

22 და იყო ასე: მეჩვიდმეტე წლის დასასრულს ლაქონეუსის განცხადება გავრცელდა მთელი მიწის პირზე და მათ აიყვანეს თავიანთი ცხენები და ეტლები, წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონელი, პირუტყვი, თავიანთი ხორბალი და მთელი თავიანთი ქონება და ათასობით და ათი ათასობით გაემართნენ წინ, სანამ არ მიადწიეს იმ ადგილს, რომელიც დათქმული იყო ერთად შეკრებისთვის, მტრისგან თავის დასაცავად.

23 და მიწა, რომელიც დათქვეს, იყო ზარაჰემლას მიწა და ის მიწა, რომელიც მდებარეობდა ზარაჰემლასა და მიწა ბარაქიანს შორის, დიახ, იმ საზღვრამდე, რომელიც იყო მიწა ბარაქიანსა და აოხრებულს შორის.

24 და იყო მრავალი ათასი ადამიანი, რომლებსაც ნეფიელები ეწოდებოდნენ, რომლებიც ერთად შეიკრიბნენ ამ მიწაზე. ახლა, ლაქონეუსმა ბრძანა, რომ

ისინი ერთად შეკრებილიყვნენ სამხრეთ მიწაზე, რადგან ჩრდილოეთი მიწა დაწყევლილი იყო.

25 და ისინი გამაგრდნენ მტრის წინააღმდეგ; და ცხოვრობდნენ ერთ მიწაზე, ერთ ჯგუფად და ეშინოდათ ლაქონეუსის მიერ ნათქვამი სიტყვების, ასე რომ მონინანეს ყველა ცოდვა და ილოცეს უფლის, თავიანთი ღმერთისადმი, რათა გამოეხსნა ისინი იმ ჟამს, როდესაც მტერი მოვიდოდა მათ წინააღმდეგ საბრძოლველად.

26 და ძალზედ დამწუხრებულნი იყვნენ მტრების გამო. და გიდგიდონმა ბრძანა, რომ დაემზადებინათ ყველანაირი საომარი იარაღი და ძლიერად შეიარაღებულიყვნენ ჯავშნით, თავიანთი დიდი და მცირე ფარებით, მისი მითითებების შესაბამისად.

თავი 4

ნეფიელთა ჯარები ამარცხებენ გადიანტონის მძარცველებს. კლავენ გიდიანხის და მის მემკვიდრეს, ზემნარიჰას, ჩამოახრჩობენ. ნეფიელები აღიდებენ უფალს თავიანთი გამარჯვებებისთვის. დაახლოებით 19-22 წწ. ჩვენი წელთაღრიცხვით.

1 და იყო ასე, რომ მეთვრამეტე წლის დასასრულს მძარცველთა ჯარები ბრძოლისთვის მოემზადნენ, დაიწყეს ჩამოსვლა და შემოსევა გორაკებიდან, მთებიდან და უდაბნოდან, თავიანთი

გამაგრებებიდან და სამალაგებიდან; და დაიწყეს მიწების დაპყრობა, ორივე მიწის, რომელიც იყო სამხრეთით და რომელიც იყო ჩრდილოეთით და დაიწყეს ყველა იმ მიწის დაპყრობა, რომელიც ნეფიელების მიერ იყო მიტოვებული და ქალაქებისა, რომლებიც იყო დაცარიელებული.

2 მაგრამ, აჰა, არ იყო ნეფიელების მიტოვებულ მიწებზე არც გარეული მხეცი და არც რაიმე ნადავლი; და იქ მძარცველებისთვის არ იყო რაიმე ნადავლი, გარდა იმისა, რაც უდაბნოში იყო.

3 და საკვების საჭიროების გამო მძარცველებს არსად არ შეეძლოთ არსებობა, გარდა უდაბნოსი; რადგან ნეფიელებმა მიატოვეს თავიანთი მიწა, აოხრებული, და შეკრიბეს თავიანთი წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონელი და მთელი ქონება და ერთ ჯგუფად იყვნენ შეკრებილნი.

4 ამიტომ, მძარცველებს არ ჰქონდათ საშუალება, ეძარცვათ და საკვები მოეპოვებინათ, თუ ნეფიელებთან ღია ბრძოლაში არ გამოვიდოდნენ; და ნეფიელები იყვნენ რა ერთ ჯგუფად შეკრებილნი და იყვნენ ასეთი დიდი რაოდენობით და ჰქონდათ მომარაგებული თავიანთთვის სურსათი, ცხენები და საქონელი და ყველანაირი წვრილფეხა საქონელი, რათა თავი ერჩინათ შვიდი წლის განმავლობაში,

როდესაც იმედოვნებდნენ მძარცველების მიწის პირიდან განადგურებას. და ასე ჩაიარა მეთვრამეტე წელმა.

5 და იყო ასე, რომ მეცხრამეტე წელს გიდიანხიმ საჭიროდ ჩათვალა, გაელაშქრა ნეფიელთა წინააღმდეგ, რადგან ვერანაირად ვერ ახერხებდნენ თავიანთი თავის რჩენას ყაჩაღობის, ძარცვისა და მკვლელობის გარეშე.

6 და ვერ ბედავდნენ მიწის პირზე გაფანტვას ისე, რომ ხორბალი მოეყვანათ, რადგან ნეფიელები მათ თავს დაესხმებოდნენ და დახოცავდნენ; ამიტომ, გიდიანხიმ თავის ჯარებს უბრძანა, რომ ამ წელს წასულიყვნენ ნეფიელთა წინააღმდეგ საბრძოლველად.

7 და იყო ასე, რომ ისინი გამოვიდნენ ბრძოლისთვის; და ეს იყო მეექვსე თვეს; და აჰა, დიდი და საშინელი იყო ის დღე, როდესაც საბრძოლველად გამოვიდნენ; და შემოხვეული ჰქონდათ წელზე მძარცველთა წესისამებრ, ცხვრის ტყავი და სისხლით იყვნენ შეღებილნი, ჰქონდათ გადაპარსული თავები და ზედ ეხურათ ჩაჩქანები; და დიდი და საშინელი იყო გიდიანხის ჯარები შესახედად მათი აბჯარის გამო, რადგან სისხლით იყვნენ შეღებილნი.

8 და იყო ასე, რომ ნეფიელთა ჯარებმა, როდესაც იხილეს გიდიანხის ჯარების შესახედაობა, ყველანი მიწაზე დაეცნენ

და უფალს, თავიანთ ღმერთს, შეჰღალადეს, დაენდო ისინი და მტრის ხელიდან გამოეხსნა.

9 და იყო ასე, რომ როდესაც გიდიანხის ჯარებმა ეს იხილეს, სიხარულისგან ხმამაღლა ყვირილი დაიწყეს, რადგან ეგონათ, რომ ნეფიელები შიშისგან დაეცნენ, მათი ჯარებისგან თავზარდაცემულნი.

10 მაგრამ, ამაში შეცდნენ, რადგან ნეფიელებს მათი არ ეშინოდათ; არამედ ეშინოდათ ღმერთის და მას დაცვას ევედრებოდნენ; ამიტომ, როდესაც მათ გიდიანხის ჯარები თავს დაესხნენ, ისინი მზად იყვნენ მათ დასახვედრად; დიახ, დახვდნენ მათ უფლის ძალით.

11 და ამ მეექვსე თვეს დაიწყო ბრძოლა; და ეს ბრძოლა იყო დიდი და საშინელი, დიახ, იმდენად დიდი და საშინელი იყო ხოცვა-ჟლეტა, რომ მანამდე არასდროს არ ყოფილა ასეთი დიდი ხოცვა-ჟლეტა ლეხის ხალხში მას შემდეგ, რაც იგი იერუსალიმიდან წამოვიდა.

12 და გიდიანხის მუქარებისა და დაღებული მრავალი ფიცის მიუხედავად, აჰა, ნეფიელებმა ისინი დაამარცხეს ისე, რომ უკუავადეს.

13 და იყო ასე, რომ გიდგი-ღონმა უბრძანა თავის ჯარებს, უკან დადევნებოდნენ მათ უდაბნოს საზღვრებამდე და გზად არ დაენდოთ არცერთი, რომელიც ხელში ჩაუვარდებოდათ;

ამგვარად, ისინი მისდევდნენ მათ და ხოცავდნენ უდაბნოს საზღვრებამდე, იქამდე, სანამ არ შეასრულეს გიდგიდონის ბრძანება.

14 და იყო ასე, რომ გიდიანხის, რომელიც იღვა და თამამად იბრძოდა, უკან დაეღევნენ, როდესაც იგი გაიქცა; და იყო რა მძიმე ბრძოლისგან დაქანცული, დაეწივნენ და მოკლეს. და ასეთი იყო გიდიანხის, მძარცველის, დასასრული.

15 და იყო ასე, რომ ნეფიელთა ჯარები კვლავ დაბრუნდნენ თავიანთი თავდაცვის ადგილზე. და იყო ასე: ამ მეცხრამეტე წელმა ჩაიარა და მძარცველები კვლავ აღარ მოდიოდნენ საბრძოლველად; ისინი არც მეოცე წელს არ მოვიდნენ.

16 და ოცდამეერთე წელსაც არ მოვიდნენ ისინი საბრძოლველად, მაგრამ ყოველი მხრიდან მოადგნენ, რათა ნეფის ხალხისთვის ალყა შემოეოტყათ; რადგან ფიქრობდნენ, რომ ნეფის ხალხს თუ თავის მიწებიდან მოკვეთდნენ და ყველა მხრიდან გარს შემოეოტყებოდნენ, მოკვეთდნენ რა ყველა გარე უპირატესობისგან, მაშინ ისინი იძულებულები გახდებოდნენ, რომ დამორჩილებოდნენ მათ სურვილებს.

17 ახლა, მათ დაინიშნეს სხვა წინამძღოლი, რომლის სახელი იყო ზემნარიჰა; მაშასადამე, ეს იყო ზემნარიჰა, რომელმაც ბრძანა, რომ ეს ალყა შემოეოტყათ.

18 მაგრამ, აჰა, ეს ნეფიელთათვის ხელსაყრელი იყო, რადგან მძარცველებს არ შეეძლოთ დიდ ხანს შეენარჩუნებინათ ალყა ნეფიელებზე რაიმე შედეგის მისაღწევად, მათ მიერ მომარაგებული სურსათ-სანოვავის დიდი მარაგის გამო.

19 და მძარცველთა შორის სურსათის სიმწირის გამო; რადგან, აჰა, მათ არაფერი ჰქონდათ ხორცის გარდა, რათა თავი ერჩინათ, იმ ხორცის, რომელსაც უდაბნოში მოიპოვებდნენ.

20 და იყო ასე, რომ უდაბნოში გარეული ნადავლი იმდენად შემცირდა, რომ მძარცველები ღამის შიმშილით დახოცილიყვნენ.

21 და ნეფიელები მუდმივად გამოდიოდნენ ჯარებზე თავდასხმებით, დღისითა და ღამით და კვეთდნენ მათ ათასობით და ათი ათასობით.

22 და ამგვარად, ზემნარიჰას ხალხმა მოისურვა, თავიანთ ჩანაფიქრზე უარი ეთქვათ დიდი განადგურების გამო, რომელიც მათ თავს ატყდებოდათ ღამითა და დღისით.

23 და იყო ასე, რომ ზემნარიჰამ უბრძანა თავის ხალხს, გარიდებოდნენ ალყას და წასულიყვნენ ჩრდილოეთ მიწის ყველაზე შორეულ ნაწილში.

24 და ახლა, გიდგიდონმა, იცოდა რა მათი ჩანაფიქრი და საკვების უკმარისობით მათი სისუსტისა და მათ შორის მომხდარი დიდი ხოცვა-ჟლეტის

შესახებ, თავისი ჯარები ღამით გააგზავნა და უკან დასახევი გზა გადაუჭრა; და თავისი ჯარები მათ უკან დასახევი გზაზე დააყენა.

25 და ეს მათ გააკეთეს ღამით და თავიანთი სვლით მძარცველებს გაასწრეს, ისე რომ მომდევნო დღეს, როდესაც მძარცველებმა დაიწყეს თავიანთი სვლა, მათ დახვდათ ნეფიელთა ჯარები ორივე მხრიდან – როგორც წინიდან, ასევე უკნიდან.

26 და მძარცველები, რომლებიც სამხრეთით იმყოფებოდნენ, ასევე მოკვეთილნი იყვნენ თავშესაფრის ადგილებიდან. და ყოველივე ეს გააკეთდა გიდგიდონის ბრძანებით.

27 და იქ იყო მრავალი ათასი, რომლებიც ნეფიელებს ტყვედ ჩაბარდნენ და დანარჩენები დახოცილ იქნენ.

28 და მათი მეთაური, ზემნარიჰა, შეიპყრეს და ხეზე ჩამოკიდეს, დიახ, თვით ხის წვერზე, სანამ არ მოკვდა. და როდესაც ჩამოახრჩეს და მოკვდა, მათ წააქციეს ხე მიწაზე და ხმამაღლა შესძახეს, სიტყვებით:

29 დაე უფალმა დაიცვას თავისი ხალხი სამართლიანობითა და გულის სიწმინდით, რათა მათ მიწაზე დაეცეს ყველა, ვინც შეეცდება თავიანთი ძალითა და საიდუმლო შეთქმულებებით მათ დახოცვას ისე, როგორც ეს კაცი დაეცა მიწაზე.

30 და მათ გაიხარეს და ერთხმად შეჰღაღადეს, სიტყვებით: დაე, დაიფაროს აბრაამის ღმერთმა და ისააკის ღმერთმა და იაკობის ღმერთმა ეს ხალხი სამართლიანობით, იქამდე, სანამ ისინი ახსენებენ თავიანთი ღმერთის სახელს მფარველობისთვის.

31 და იყო ასე, რომ წამოდგნენ და ერთხმად დაიწყეს საგალობელი თავიანთი ღმერთის სადიდებლად, იმ დიდი საქმისთვის, რომელიც მათთვის გააკეთა, დაიცვა რა ისინი მტრის ხელში ჩავარდნისგან.

32 დიახ, დაღადებდნენ: ოსანა უზენაეს ღმერთს. და დაღადებდნენ: კურთხეული იყოს ყოველადმღიერი უფალი ღმერთის სახელი, უზენაესი ღმერთისა.

33 და გული სავსე ჰქონდათ სიხარულით, ღვრიდნენ რა ბევრ ცრემლს, ღვთის სიკეთისათვის, თავიანთი მტრის ხელიდან გამოსხნისთვის; და მათ იცოდნენ, რომ თავიანთი მონანიებისა და თავმდაბლობისთვის იყვნენ გამოსხნისილნი მარადიული განადგურებიდან.

თავი 5

ნეფიელები მოინანიებენ და მიატოვებენ საკუთარ ცოდვებს. მორმონი წერს თავისი ხალხის ისტორიას და მარადიულ სიტყვას გამოუცხადებს მათ. ხანგრძლივი გაფანტულობის შემდეგ, ისრაელი შეიკრიბება.

დაახლოებით 22-26 წწ. ჩვენი წელთაღრიცხვით.

1 და ახლა, აჰა, ნეფიელთა მთელ ხალხში არ იყო არც ერთი ცოცხალი სული, რომელსაც ეჭვი ეპარებოდა ყოველ წმინდა წინასწარმეტყველთა მიერ ნათქვამ სიტყვებში; რადგან იცოდნენ, რომ საჭირო იყო ამ სიტყვების აღსრულება.

2 და მათ იცოდნენ, რომ საჭირო იყო ქრისტეს მოსვლა მრავალი ნიშნის შესაბამისად, რომელიც მოცემული იყო წინასწარმეტყველთა სიტყვებისამებრ; და იმის გამო, რაც უკვე ახდა, მათ იცოდნენ, რომ ყველაფერი უნდა მომხდარიყო იმისდა შესაბამისად, როგორც ითქვა.

3 ამიტომ, მათ მიატოვეს ყველა თავიანთი ცოდვა, სისაძაგლე და მრუშობა და ბეჯითად ემსახურებოდნენ ღმერთს დღე და ღამე.

4 და ახლა, იყო ასე, რომ როდესაც მათ დაატყვევეს ყველა მძარცველი ისე, რომ არცერთი ცოცხლად არ გაქცეულიყო, მათ ჩაყარეს საპყრობილეში თავიანთი ტყვეები და ბრძანეს, ღვთის სიტყვა ექადაგებინათ მათთვის; და რამდენმაც მოინანია ცოდვები და დადო აღთქმა, რომ აღარასდროს ჩაიდენდა მკვლელობას, იმდენი გაანთავისუფლეს ტყვეობიდან.

5 მაგრამ რამდენმაც არ დადო აღთქმა და კვლავ საიდუმლო მკვლელობები ჰქონდა გულში

ჩაფიქრებული, დიახ, ყველა, ვინც აფრქვევდა მუქარას თავიანთი ძმების წინააღმდეგ, კანონის შესაბამისად განსჯილ იქნა და დაისაჯა.

6 და ამგვარად ბოლო მოუდეს ყოველ ბოროტ, საიდუმლო და ბილწ შეთქმულებას, რომელთა მეშვეობით ჩადენილ იქნა ამდენი სიბოროტე და მკვლელობა.

7 და ასე ჩაიარა ოცდამეორე წელმა და ასევე ოცდამესამე, ოცდამეთხე და ოცდამეხუთე წლებმა; და ასე ჩაიარა ოცდახუთმა წელმა.

8 და ბევრი რამ მოხდა ისეთი, რაც ზოგიერთის თვალში იქნებოდა დიდი და საოცარი; ამისდა მიუხედავად, მათ შესახებ ვერ დაიწერება ამ წიგნში; დიახ, ამ წიგნში ვერ შევა იმის მესაყდის კი, რაც ამდენ ხალხში გაკეთდა ოცდახუთი წლის განმავლობაში.

9 მაგრამ, აჰა, არის ჩანაწერები, რომლებიც მოიცავს ამ ხალხის მთელ საქმიანობას; და ნეფის მიერ არის მოცემული შემოკლებული, მაგრამ ჭეშმარიტი ამბავი.

10 ამიტომ, მე გავაკეთე ეს ჩანაწერები ყოველივე ამის შესახებ, ნეფის ჩანაწერის შესაბამისად, რომელიც ამოტვიფრულია ფირფიტებზე, რომლებსაც ნეფის ფირფიტები ეწოდება.

11 და აჰა, მე ვაკეთებ ჩანაწერს ფირფიტებზე, რომლებიც ჩემი საკუთარი ხელით დავამზადე.

12 და აჰა, მე მქვია მორმონი,

მიწოდეს მიწა მორმონის სახელი, იმ მიწის, რომელზეც აღმამ ადამიანთა შორის დააარსა ეკლესია, დიახ, პირველი ეკლესია, რომელიც მათში დაარსდა, მათი შეცოდების შემდეგ.

13 აჰა, მე ვარ მოწაფე იესო ქრისტესი, ღვთის ძისა. მან მომიწოდა, ვიყო მისი სიტყვის მუწყებელი თავის ხალხში, რათა მიიღონ მარადიული სიცოცხლე.

14 და საჭირო გახდა, რომ მე, ღვთის ნების შესაბამისად, გამეკეთებინა ჩანაწერი ყოველივე იმაზე, რაც მოხდა, რათა აღსრულდეს ლოცვები მათი რწმენის შესაბამისად, რომლებიც ამ ქვეყნიდან წავიდნენ, რომლებიც იყვნენ წმინდანნი –

15 დიახ, მცირე ჩანაწერი იმაზე, რაც მოხდა მას შემდეგ, რაც ღვთისმ მიატოვა იერუსალიმი, დღევანდელ დღემდე.

16 ამგვარად, ვაკეთებ ჩემს ჩანაწერს იმ ამბებიდან, რომლებიც გადმომეცა მათგან, ვინც იყვნენ ჩემამდე, ჩემი დღეების დასაწყისამდე;

17 და შემდეგ მე ვაკეთებ ჩანაწერს იმაზე, რაც ჩემი თვალთ ვიხილე.

18 და მე ვიცი, რომ ჩანაწერი, რომელსაც ვაკეთებ, არის ჩანაწერი მართალი და ჭეშმარიტი; ამისდა მიუხედავად, არის მრავალი რამ, რომელზეც, ჩვენი ენის გამო, არ გვაქვს დაწერის შესაძლებლობა.

19 და ახლა, ვასრულებ ჩემს

თქმულებას, რომელიც არის ჩემ შესახებ და ვაგრძელებ ამბავს, რომელიც იყო ჩემამდე.

20 მე ვარ მორმონი, ღვთის პირდაპირი შთამომავალი. მაქვს მიზეზი, ვადილო ჩემი ღმერთი და ჩემი მხსნელი, იესო ქრისტე, რადგან მან გამოიყვანა ჩვენი მამები იერუსალიმის მიწიდან (და არავინ იცოდა ამის შესახებ, მის გარდა და მათ გარდა, რომლებიც მიწიდან გამოიყვანა) და იმისთვის, რომ ამდენი ცოდნა გვიბოძა მე და ჩემს ხალხს, ჩვენი სულების გადასარჩენად.

21 ჭეშმარიტად, მან აკურთხა იაკობის სახლი და მოწყალე იყო იოსების შთამომავლებისადმი.

22 და რამდენადაც იცავდნენ ღვთის შვილები მის მცნებებს, იმდენად აკურთხებდა იგი და ააყვავებდა მათ საკუთარი სიტყვის შესაბამისად.

23 დიახ, ჭეშმარიტად, იგი კვლავ მიიყვანს იოსების შთამომავლობის ნარჩენს უფლის, თავიანთი ღმერთის, ცოდნასთან.

24 და ჭეშმარიტად, ისე, როგორც ცოცხალია უფალი, იგი შეკრებს დედამიწის ოთხივე კიდიდან იაკობის შთამომავლობის ნარჩენს, რომელიც გაფანტულია მთელი დედამიწის პირზე.

25 და რადგან მან დადო აღთქმა იაკობის მთელ სახლთან, ეს აღთქმა, დადებული იაკობის სახლთან, აღსრულდება

მისთვის შესაფერის დროს, იაკობის მთელი სახლის დასაბრუნებლად, იმ აღთქმის ცოდნისკენ, რომელიც მათთან დადო.

26 და შემდეგ ისინი გამომსყიდველს შეიცნობენ, რომელიც არის იესო ქრისტე, ძე ღვთისა; და შემდეგ შეიკრიბებიან დედამიწის ოთხივე კიდიდან თავიანთ საკუთარ მიწებზე, საიდანაც გაფანტულნი იქნენ; დიახ, ისე, როგორც ცოცხალია უფალი, ისე იქნება ეს. ამინ.

თავი 6

ნეფიელები აყვავდებიან. თავს იჩენს ამპარტავნობა, სიმდიდრე და საზოგადოების ფენებად დაყოფა. ეკლესია გახლეჩილია უთანხმოებების გამო. სატანა შეგნებულად უბიძგებს ხალხს აჯანყებისკენ. მრავალი წინასწარმეტყველი დაღადებს მონაწილობას და მათ ხოცავენ. მათი მკვლელები აწყობენ შეთქმულებას ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად. დაახლოებით 26-30 წწ. ჩვენი წელთაღრიცხვით.

1 და ახლა, იყო ასე, რომ მთელი ნეფიელთა ხალხი დაუბრუნდა საკუთარ მიწებს ოცდამეექვსე წელს, ყოველი ადამიანი საკუთარი ოჯახით, წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონლით, საკუთარი ცხენებით, პირუტყვითა და ყველაფრით, რაც კი მათ გააჩნდათ.

2 და იყო ასე, რომ მათ არ

შეჭამეს მთელი თავიანთი სურსათის მარაგი; მაშასადამე, თან ჰქონდათ ყველაფერი, რაც არ შეჭამეს: ყოველგვარი ხორბალი, საკუთარი ოქრო, ვერცხლი და მთელი თავიანთი ძვირფასეულობა და დაუბრუნდნენ ისინი საკუთარ მიწებსა და მამულებს, ჩრდილოეთსა და სამხრეთს, მიწებს ჩრდილოეთითა და მიწებს სამხრეთით.

3 და იმ მძარცველებს, რომლებმაც აღთქმა დადეს, რომ მიწაზე მშვიდობას დაიცავდნენ, რომლებმაც მოისურვეს ღამანიელებად დარჩენა – მიწები უბოძეს, მათი რაოდენობის შესაბამისად, რათა თავიანთი შრომით ერჩინათ საკუთარი თავი; ამგვარად, მათ მშვიდობა დაამყარეს მთელ მიწაზე.

4 და მათ კვლავ იწყეს აყვავება და გამდიდრება; და ჩაიარა ოცდამეექვსე და ოცდამეშვიდე წლებმა და მიწაზე იყო მკაცრი წესრიგი; მათ დააწესეს თავიანთი კანონები თანასწორობისა და სამართლის შესაბამისად.

5 და ახლა მთელ მიწაზე არ იყო არაფერი, რაც ხელს შეუშლიდა ადამიანებს მუდმივად აყვავებაში, თუ თვითონ არ ჩაცვივდებოდნენ შეცოდებაში.

6 და ახლა, ეს იყო გიდგიდონი და მოსამართლე ლაქონეუსი და მათ მიერ დანიშნული წინამძღოლები, რომლებმაც დაამყარეს მიწაზე ეს დიდი მშვიდობა.

7 და იყო ასე, რომ იქ ააშენეს

მრავალი ახალი ქალაქი და მრავალი ძველი აღადგინეს.

8 და იქ მრავალი შარაგზა გაიყვანეს და გაიყვანეს მრავალი სხვა გზა, რომელიც გადიოდა ქალაქიდან ქალაქში, მიწიდან მიწაზე, ერთი ადგილიდან მეორემდე.

9 და ასე ჩაიარა ოცდამეგრევე წელმა და ადამიანებს განუწყვეტილად ჰქონდათ მშვიდობა.

10 მაგრამ, იყო ასე, რომ ოცდამეცხრე წელს ხალხში წამოიჭრა ზოგიერთი უთანხმოება და ზოგიერთნი აღზევდნენ ამპარტავნობითა და ტრაბახით, თავიანთი დიდძალი სიმდიდრის გამო, დიახ, ძლიერი დევნაც კი დაიწყეს;

11 რადგან მიწაზე იყო მრავალი ვაჭარი, ასევე მრავალი კანონმცოდნე და მოხელე.

12 და ხალხმა იწყო ფენებად დაყოფა, თავიანთი სიმდიდრისა და განათლების მიღების შესაძლებლობების შესაბამისად; დიახ, ზოგიერთნი იყვნენ უმეცარნი თავიანთი სიღარიბის გამო და სხვები, თავიანთი სიმდიდრის გამო იღებდნენ დიდ განათლებას.

13 ზოგიერთნი აღზევდნენ ამპარტავნობით და სხვები იყვნენ ძალზედ თავმდაბლნი; ზოგიერთნი ლანძღვაზე ლანძღვით პასუხობდნენ, ამავე დროს სხვები ითმენდნენ ლანძღვასა და დევნას და ყველანაირ გაჭირვებას და მლანძღველს არ

უბრუნებოდნენ სალანძღავად, არამედ იყვნენ თავმდაბლნი და ღმერთის წინაშე მომნანიებელნი.

14 და ასე დამყარდა დიდი უთანასწორობა მთელ მიწაზე, ისე რომ ეკლესიამ იწყო დაშლა; დიახ, ისე, რომ ოცდამეათე წელს ეკლესია მთელ მიწაზე დაიშალა, გარდა მცირეოდენი ლამანიელისა, რომლებიც მოქცეულნი იყვნენ ჭეშმარიტ რწმენაზე და ისინი არ თმობდნენ მას, რადგან იყვნენ მტკიცენი, მყარნი და ურყევენი, სურდათ რა მთელი სიბეჯითით უფლის მცნებების დაცვა.

15 ახლა, ეს იყო ამ ხალხის ურჯულოების მიზეზი – სატანას ჰქონდა დიდი ძალა, წაექეზებინა ხალხი ყოველგვარი ურჯულოების ჩადენისკენ და იგი ავსებდა მათ ამპარტავნობით, აცდუნებდა რა ძალაუფლებისკენ, უფლებამოსილებისკენ, სიმდიდრისა და ამქვეყნიური ამაოებებისკენ სწრაფვით.

16 და ასე, სატანამ შეაცდინა ადამიანთა გულები, რათა ჩაედინათ ყოველგვარი ურჯულოება; ამიტომ, მათ მხოლოდ რამდენიმე წელი ჰქონდათ მშვიდობა.

17 და ამგვარად, ოცდამეათე წლის დასაწყისში, ხალხი უკვე დიდი ხნის განმავლობაში აყოლილი იყო ეშმაკის ცდუნებებს, მიჰყვებოდა რა ყველგან, სადაც იგი მოისურვებდა მათ ჩათრევას და მისი ნებისამებრ, ჩაიდნდნენ

ყოველგვარ ურჯულოებას – და ამგვარად, ამ ოცდამეათე წლის დასაწყისში, ისინი იმყოფებოდნენ საშინელი სიბოროტის მდგომარეობაში.

18 ახლა, ისინი არ სცოდავდნენ უმეცრებით, რადგან იცოდნენ ღვთის ნება მათ შესახებ, ვინაიდან ეს მათ ასწავლეს; მაშასადამე, ისინი ღმერთის წინაშე შეგნებულად აჯანყდნენ.

19 და ახლა, ეს იყო ლაქონეუსის დღეებისას, ლაქონეუსის შვილისა, რადგან ლაქონეუსმა დაიკავა მამამისის სავარძელი და იმ წელს იყო ხალხის მმართველი.

20 და იქ გამოჩნდნენ ზეციდან შთაგონებული ადამიანები, იდგნენ რა ხალხში მთელ მიწაზე, თამამად ქადაგებდნენ და მოწმობდნენ ხალხის ცოდვებსა და ურჯულოებაზე და მოწმობდნენ მათთან გამოსყიდვის შესახებ, რომელსაც უფალი თავისი ხალხისათვის მოახდენდა ანუ სხვა სიტყვებით, ქრისტეს აღდგომაზე; და ისინი თამამად მოწმობდნენ მის სიკვდილსა და ტანჯვაზე.

21 ახლა, იქ ხალხში მრავალი იყო ძალზედ განრისხებული მათზე, რომლებიც ამის შესახებ მოწმობდნენ; და ეს განრისხებულნი იყვნენ უმეტესად მთავარი მოსამართლენი და ისინი, რომლებიც ადრე იყვნენ მღვდელმთავარნი და კანონმცოდნენი; დიახ, ყველანი,

რომლებიც იყვნენ კანონმცოდნენი, განრისხებულნი იყვნენ მათზე, რომლებიც მოწმობდნენ ყოველივე ამაზე.

22 ახლა, იქ არ იყო კანონმცოდნე მოსამართლე ან მღვდელმთავარი, რომელსაც ჰქონდა უფლებამოსილება, ვინმესთვის სიკვდილი მიესაჯა, თუ მათ განაჩენს მიწის მმართველი არ მოაწერდა ხელს.

23 ახლა მრავალნი, რომლებიც მოწმობდნენ ყოველივე იმის შესახებ, რაც ქრისტესთან იყო დაკავშირებული, რომლებიც თამამად მოწმობდნენ, რომლებიც შეიპყრეს და მოსამართლეებმა ჩუმად დახოცეს; ასე რომ, მათი მკვლელობის ამბავმა მიწის მმართველამდე მათი სიკვდილის შემდეგ მიადღია.

24 ახლა, აჰა, ეს ეწინააღმდეგებოდა მიწის კანონებს, რომ ვინმე სიკვდილით დაესაჯათ, თუ არ ჰქონდათ ამის უფლებამოსილება მიწის მმართველისგან –

25 ამიტომ, ზარაკემლას მიწაზე მოვიდა საჩივარი მიწის მმართველთან იმ მოსამართლეების წინააღმდეგ, რომლებმაც კანონის საწინააღმდეგოდ, უფლის წინასწარმეტყველებს სიკვდილი მიუსაჯეს.

26 ახლა, იყო ასე, რომ ისინი შეიპყრეს და მოსამართლესთან მიიყვანეს, რათა ჩადენილი დანაშაულისთვის გაესამართლებინათ, ხალხის მიერ დაწესებული კანონის შესაბამისად.

27 ახლა, იყო ასე, რომ იმ მოსამართლეებს ჰყავდათ მრავალი მეგობარი და ნათესავი; და დანარჩენი, დიახ, ყველა კანონმცოდნე და მღვდელმთავარი, ერთად შეიკრიბა და შეუერთდა იმ მოსამართლეების ნათესავებს, რომლებიც კანონის შესაბამისად უნდა გაესამართლებინათ.

28 და მათ ერთმანეთში დადეს აღთქმა, დიახ ის აღთქმა, რომელიც ძველად იქნა მოცემული, აღთქმა, რომელიც ეშმაკის ხელშეწყობით იქნა მოცემული, რათა ყოველნაირი სამართლიანობის წინააღმდეგ გაერთიანებულიყვნენ.

29 ამიტომ, ისინი გაერთიანდნენ უფლის ხალხის წინააღმდეგ და აღთქმა დადეს, რომ მათ გაანადგურებდნენ და მკვლელობაში მსჯავრდებულებს გამოიხსნიდნენ მართლმსაჯულების ხელიდან, რომელიც უნდა აღსრულებულიყო კანონის შესაბამისად.

30 და მათ უგულებელყვეს საკუთარი ქვეყნის კანონი და უფლებები; და ერთმანეთს აღუთქვეს, მმართველი გაენადგურებინათ და მიწაზე მეფე დაენიშნათ, რათა მიწა აღარ ყოფილიყო თავისუფალი, არამედ მეფეებს დამორჩილებოდა.

თავი 7

მთავარ მოსამართლეს კლავენ, ხელისუფლება დამხობილი და

ხალხი ტომებად დანაწევრებულია. ანტიქრისტე იაკობი ხდება საიდუმლო შეთქმულების მეფე. ნეფი ქადაგებს მონაწილესა და ქრისტეში რწმენას. ანგელოზები მას ყოველდღიურად ემსახურებიან და იგი თავის ძმას მკვდრეთით აღადგენს. მრავალნი მოინანიებენ და მონათლებიან. დაახლოებით 30-33 წწ. ჩვენი წელთაღრიცხვით.

1 ახლა, აჰა, მე დაგანახებთ, რომ მათ ვერ შეძლეს იმ მიწაზე მეფის დანიშვნა, მაგრამ ამავე წელს, დიახ, ოცდამეათე წელს, მათ გაანადგურეს მოსამართლის სავარძელზე, დიახ, მოკლეს, მიწის მთავარი მოსამართლე.

2 და ხალხი გაიყო ერთიმეორის წინააღმდეგ და ტომებით გაემიჯნენ ერთმანეთს, ყოველი ადამიანი საკუთარი ოჯახის ტომისა და მეგობრების მიხედვით; და ამგვარად, მათ გაანადგურეს იმ მიწის ხელისუფლება.

3 და ყოველმა ტომმა დაინიშნა საკუთარი ბელადი ან წინამძღოლი; და ამგვარად, ისინი ტომებად და ტომების წინამძღოლებად იქცნენ.

4 ახლა, აჰა, იქ არ იყო ისეთი ადამიანი, რომელსაც არ ჰყავდა დიდი ოჯახი, მრავალი ნათესავი და მეგობარი, ამიტომ, მათი ტომები ძალზედ მრავალრიცხოვანნი გახდნენ.

5 ახლა, ყოველივე ეს მოხდა და მათ შორის ჯერჯერობით არ იყო

ომები; და ყოველი ეს ურჯულოება მათ თავს დაატყდათ იმის გამო, რომ საკუთარი თავი სატანის ძალას დაუმორჩილეს.

6 და განადგურდა სახელმწიფო მართვის წესები, იმათი მეგობრებისა და ნათესავების საიდუმლო შეთქმულების გამო, რომლებმაც დახოცეს წინასწარმეტყველები.

7 და მიწაზე მათ დიდი დაპირისპირება გამოიწვიეს, ისეთი, რომ ხალხის უფრო სამართლიანი ნაწილიდან თითქმის ყველა ბოროტად იქცა; დიახ, მათ შორის სულ რამდენიმე სამართლიანი ადამიანი დარჩა.

8 ამგვარად, არ გავიდა ექვსი წელი მას შემდეგ, რაც ხალხის უმეტესმა ნაწილმა ზურგი აქცია საკუთარ სამართლიანობას, ისე, როგორც ძალი უბრუნდება თავის ნარწყევსა და როგორც ღორი – ტალახში გორაობას.

9 ახლა ეს საიდუმლო შეთქმულება, რომელმაც ამდენი ურჯულოება მოავლინა ხალხზე, ერთად შეიკრიბა და წინამძღოლად დანიშნა ადამიანი, რომელსაც სახელად იაკობი ერქვა;

10 და თავიანთი მეფე უწოდა; მაშასადამე, იგი გახდა ამ ბოროტი დაჯგუფების მეფე; და იგი იყო ერთ-ერთი მთავართაგანი, რომელმაც ხმა მისცა იმ წინასწარმეტყველთა საწინააღმდეგოდ, რომლებიც იესოზე მოწმობდნენ.

11 და იყო ასე, რომ ისინი რაოდენობით არ იყვნენ იმდენნი იმ

ხალხთა ტომებივით, რომლებიც გაერთიანებულნი იყვნენ, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ მათმა წინამძღოლებმა საკუთარი წესები დაამყარეს თავიანთი ტომებისთვის; მიუხედავად ამისა, ისინი მტრები იყვნენ; მიუხედავად იმისა, რომ არ იყვნენ სამართლიანი ხალხი, მაინც ერთიანად სძულდათ ისინი, რომლებმაც აღთქმა დადეს ხელისუფლების დასამხობად.

12 ამიტომ, იაკობმა, იხილა რა, რომ მათი მტრები მათზე უფრო მრავალრიცხოვანი იყვნენ, იყო რა დაჯგუფების მეფე, უბრძანა თავის ხალხს, გაქცეულიყვნენ მიწის ჩრდილოეთ ნაწილში და იქ აეშენებინათ თავიანთი სამეფო, სანამ განდგომილები არ შეუერთდებოდნენ (ცინაიდან იგი პირფერი სიტყვით ამხნევებდა მათ, რომ იქნებოდა მრავალი განდგომილი) და საკმარისად არ გაძლიერდებოდნენ ხალხის ტომებთან საბრძოლველად; და ასეც მოიქცნენ.

13 და ისე სწრაფად მიდიოდნენ, რომ შეუძლებელი იყო მათი შეკავება იქამდე, სანამ მიუწვდომელი არ გახდნენ ხალხისთვის. და ასე დასრულდა ოცდამეათე წელი; და ასეთი იყო ნეფის ხალხის საქმენი.

14 და იყო ასე, რომ ოცდამეათერთმეტე წელს ისინი ტომებად იყვნენ დაყოფილნი, ყოველი ადამიანი შესაბამისად საკუთარი ოჯახისა, ნათესავებისა და

მეგობრების მიხედვით; ამისდა მიუხედავად, ისინი შეთანხმდნენ, რომ არ წავიდოდნენ ერთმანეთის წინააღმდეგ საომრად; მაგრამ არ იყვნენ გაერთიანებულინი თავიანთი კანონებითა და მმართველობის წესით, რადგან ჩამოყალიბდნენ მათი მეთაურთა და წინამძღოლთა თვალთახედვის შესაბამისად. მაგრამ, დააწესეს ძალზედ მკაცრი კანონი, რომ ერთი ტომი არ ხელყოფდა მეორეს, ასე რომ, გარკვეულ წილად მათ მშვიდობა ჰქონდათ მიწაზე; ამისდა მიუხედავად, მათი გულები შეტრიალდნენ უფლის, თავიანთი ღმერთისგან და მათ ჩაქოლეს წინასწარმეტყველები და გააძევეს ისინი თავიანთი გარემოცვიდან.

15 და იყო ასე: ნეფიმ, გამოეცხადნენ რა ანგელოზები და უფლის ხმა, იხილა ანგელოზები და იყო თვითმხილველი და მიეცა ძალა, ჩასწვდომოდა ქრისტეს მსახურებას და ასევე იყო მათი სამართლიანობიდან სიბოროტისა და სისაძაგლისკენ სწრაფი უკუსვლის თვითმხილველი;

16 ამიტომ, იყო რა მათი გულქვაობითა და გონების სიბრძავით დამწუხრებული, იმავე წელს მივიდა მათთან და დაიწყო თამამად მოწმობა მონანიებასა და ცოდვების მიტევებაზე უფალ იესო ქრისტეში რწმენის მეშვეობით.

17 და ასწავლა მათ მრავალი რამ; და ყველაფერი ვერ დაი-

წერება და მხოლოდ ნაწილის დაწერა არ იქნებოდა საკმარისი, ამიტომ ეს ამ წიგნში არ ჩაიწერა. და ნეფი ასწავლიდა ძალითა და დიდი უფლებამოსილებით.

18 და იყო ასე, რომ მასზე განრისხდნენ იმის გამო, რომ იგი მათზე უფრო მეტ ძალას ფლობდა, რადგან შეუძლებელი იყო, რომ არ ერწმუნათ მისი სიტყვების, რამეთუ იმდენად დიდი იყო მისი რწმენა უფალ იესო ქრისტეში, რომ ანგელოზები მას ყოველდღიურად ემსახურებოდნენ.

19 და იესოს სახელით იგი აძევებდა ეშმაკებსა და უწმინდურ სულებს; საკუთარი ძმაც კი აღადგინა მკვდრეთით მას შემდეგ, რაც ხალხმა იგი ჩაქოლვით მოკლა.

20 ხალხმა ეს იხილა და გახდა ამის მოწმე და განრისხებულინი იყვნენ მისი ძალის გამო; და მან ასევე მოახდინა მრავალი სხვა სასწაული ხალხის თვალწინ, იესოს სახელით.

21 და იყო ასე, რომ ჩაიარა ოცდამეთერთმეტე წელმა და იყო მხოლოდ რამდენიმე, ვინც უფლის რწმენაში მოიქცა; მაგრამ, რომლებიც მოქცეულ იქნენ, ჭეშმარიტად ავლენდნენ ხალხის წინაშე, რომ მათ მოევიდნათ ღმერთის ძალა და სული – იესო ქრისტეში მყოფი, რომლისაგ მათ სწამდათ.

22 და ისინი, რომელთაგანაც

ემშაკები გააძევეს და განიკურნენ თავიანთი ავადმყოფობისა და უძღურებისგან, ჭეშმარიტად ავლენდნენ ხალხის წინაშე, რომ ღმერთის სულმა მათზე იმოქმედა და ისინი განიკურნენ; ასევე ანახებდნენ ნიშნებსა და ხალხში ახდენდნენ ზოგიერთ სასწაულს.

23 ასე ჩაიარა ოცდამეთორმეტე წელმა. და ნეფი დაღაღებდა ხალხისათვის ოცდამეცამეტე წლის დასაწყისშიც; და იგი ქადაგებდა მონანიებას და ცოდვების მიტევებას.

24 ახლა, მე მსურს, ასევე შეგახსენოთ, რომ იქ არ იყო არცერთი, რომელმაც მოინანია და არ იყო წყლით მონათლული.

25 ამიტომ, ნეფიმ მამაკაცები აკურთხა ამ მსახურებისთვის, რათა ყველანი, რომლებიც მათთან მივლენ, წყლით მონათლონ და ეს, როგორც მაგალითი და მოწმობა ღმერთისა და ხალხის წინაშე, რომ მათ მოინანიეს და მიიღეს თავიანთი ცოდვების მიტევება.

26 და იყვნენ მრავალნი ამ წლის დასაწყისში, რომლებიც მოსანანიებლად მონათლნენ; და ასე ჩაიარა ამ წლის უმეტესმა ნაწილმა.

თავი 8

ქარიშხლები, მიწისძვრები, ხანძრები, გრივალები და ძლიერი სტიქიური უბედურებები

მოწმობენ ქრისტეს ჯვარცმის შესახებ. მრავალი ადამიანი განადგურებულია. სამი დღის განმავლობაში მიწა ბნელეთით დაფარულია. ცოცხლად დარჩენილები დასტირიან საკუთარ ბედს. დაახლოებით 33–34 წწ. ჩვენი წელთაღრიცხვით.

1 და ახლა, იყო ასე, რომ ჩვენი ჩანაწერების შესაბამისად – და ჩვენ ვიცით, რომ ჩვენი ჩანაწერები არის ჭეშმარიტი, რადგან, აჰა, ამ ჩანაწერებს აწარმოებდა მართალი ადამიანი, ვინაიდან მან მრავალი სასწაული ჭეშმარიტად მოახდინა იესოს სახელით; და არ არსებობდა არავინ, რომელიც მოახდენდა სასწაულს იესოს სახელით, თუ არ იქნებოდა მთლიანად განწმენდილი საკუთარი ურჯულოებისგან –

2 და ახლა, იყო ასე, რომ თუ ამ ადამიანმა არ დაუშვა შეცდომა ჩვენი დროის გამოთვლაში, გავიდა ოცდამეცამეტე წელი;

3 და ხალხმა დიდი სიწრფელით დაიწყო ლოდინი იმ ნიშნისა, რომელიც მათ ლამანიელმა წინასწარმეტყველმა, სამუელმა, აუწყა, დიახ, იმ ჟამისთვის, როდესაც მიწის პირს ბნელეთი დაფარავდა სამი დღის განმავლობაში.

4 და ხალხს შორის წამოიჭრა დიდი ეჭვი და კამათი, ამდენი ნიშნის მიუხედავად, რომელიც იყო მოცემული.

5 და იყო ასე: ოცდამეთოთხმეტე წელს, პირველ თვესა და

მეოთხე დღეს, ამოვარდა საშინელი ქარიშხალი, ისეთი, როგორც არასდროს არ ენახათ მთელ მიწაზე.

6 და იყო ასევე დიდი და საშინელი გრიგალი; და საშინელი ჭექა-ქუხილი, ისეთი, რომ შეაზანზარა მთელი დედამიწა, თითქოს ლამობდა შუაზე გაპობას.

7 და იყო ძალზედ მკვეთრი ელვა, ისეთი, როგორც არასდროს ენახათ მთელ მიწაზე.

8 და ქალაქ ზარაჰემლას ცეცხლი გაუჩნდა.

9 და ქალაქი მორონი ჩაიძირა ზღვის სიღრმეებში და მისი მაცხოვრებლები დაიხრჩვნენ.

10 და მიწა დაეყარა ქალაქ მორონიჰას და ქალაქის ადგილზე დიდი მთა წარმოიშვა.

11 და დიდი და საშინელი განადგურება იყო სამხრეთის მიწაზე.

12 მაგრამ, აჰა, უფრო დიდი და საშინელი განადგურება დაატყდა ჩრდილოეთ მიწას; რადგან, აჰა, მთელი მიწის პირი შეიცვალა ქარიშხალისა და გრიგალისგან, ჭექა-ქუხილისა და ელვისგან და მთელ დედამიწაზე მიწისძვრებისგან;

13 და შარავნები დაინგრა და გაფუჭდა სწორი გზები და მრავალი გლუვი ზედაპირი გახდა უხეში.

14 და მრავალი დიდი და თვალსაჩინო ქალაქი ჩაიძირა და მრავალი დაიწვა და მრავალი ზანზარებდა იქამდე, სანამ

შენობები მიწაზე არ დაეცა და არ დაიხოცნენ მაცხოვრებლები და ადგილები დარჩა გაპარტახებული.

15 და იყო გადარჩენილი ქალაქები; მაგრამ ძალზედ მძიმედ დაზიანდა და იქ იყო მრავალი დახოცილი.

16 და ზოგიერთნი გრიგალმა გაიტაცა; საით წაიღო – არავინ იცის, გარდა იმისა, რომ ისინი გატაცებულ იქნენ.

17 ამგვარად, მთელი დედამიწის პირი დამახინჯდა ქარიშხლებისა და ჭექა-ქუხილების, ელვებისა და დედამიწაზე მიწისძვრების გამო.

18 და აჰა, ლოდები შუაზე იყო გაპობილი; ისინი დამსხვრეული იყო მთელი დედამიწის პირზე ისე, რომ მათ ნამტვრევებს პოულობდნენ ნაპრალებსა და ბზარებში მთელი მიწის პირზე.

19 და იყო ასე, რომ როდესაც შეწყდა ჭექა-ქუხილი, ელვა და ქარიშხალი, ქარბუქი და დედამიწაზე მიწისძვრები – რადგან, აჰა, ისინი გრძელდებოდა თითქმის სამი საათის განმავლობაში; და ზოგიერთი ამბობდა, რომ ეს გრძელდებოდა უფრო დიდ ხანს, ამისდა მიუხედავად, ყოველი ეს დიდი და საშინელი რამ მოხდა თითქმის სამი საათის განმავლობაში და შემდეგ, აჰა, მიწის პირზე სიბნელე იყო მოფენილი.

20 და იყო ასე, რომ უკუნი სიბნელე იყო მთელი მიწის პირზე,

ისეთი, რომ მაცხოვრებლები, რომლებიც მიწაზე არ დაეცნენ, ბნელეთის ბურუსს გრძნობდნენ;

21 და სიბნელის გამო ვერ ანათებდა შუქი, ვერც სანთლებითა და ვერც ჩირაღდნებით; ვერც ცეცხლს ანთებდნენ თავიანთი კარგი და ძალზედ გამომშრალი შემთ, ასე რომ ვერანაირი შუქი ვერ ანათებდა.

22 და არ ჩანდა არანაირი შუქი არც ცეცხლისგან, არც რაიმე მკრთალი ნათება, არც მზისა და არც მთვარისა და არც ვარსკვლავების, რადგან ასეთი სქელი იყო ბნელეთის ბურუსი, რომელიც მოეფინა მიწის პირს.

23 და იყო ასე, რომ ეს გრძელდებოდა სამი დღის განმავლობაში, რომ არანაირი შუქი არ ჩანდა და მთელ ხალხში განუწყვეტლივ დიდი გლოვა და კვნესა და ტირილი იყო; დიახ, მწარე იყო ხალხის ტირილი, მათზედ მოვლენილი ბნელეთისა და დიდი განადგურების გამო.

24 ერთ ადგილზე ისმოდა, როგორ ტიროდნენ სიტყვებით: ამ დიდ და საშინელ დღემდე რომ მოგვენანიებინა, ჩვენი ძმები შენდობილნი იქნებოდნენ და არ დაიწვებოდნენ იმ დიდ ქალაქში, ზარაჰემლაში.

25 და მეორე ადგილზე ისმოდა, როგორ ტიროდნენ და გლოვობდნენ სიტყვებით: ამ დიდ და საშინელ დღემდე რომ მოგვენანიებინა და არ დაგვეხოცა და არ ჩაგვექოლა წინასწარმეტყველები

და არ გაგვეძვევებინა, მაშინ შენდობილნი იქნებოდნენ ჩვენი დედები და ჩვენი ლამაზი ქალიშვილები და ჩვენი შვილები გადარჩებოდნენ და არ დაიმარხებოდნენ იმ დიდ ქალაქში, მორონიჰაში. და ასეთი დიდი და საშინელი იყო ხალხის კვნესა.

თავი 9

სიბნელეში ქრისტეს ხმა აუწყებს მრავალი ხალხისა და ქალაქის განადგურების შესახებ, მათი სიბოროტის გამო. იგი ასევე აცხადებს თავისი ღვთიურობის შესახებ, აცხადებს, რომ მოსეს რჯული აღსრულდა და უხმობს ხალხს, მივიდნენ მასთან და გადარჩნენ. დაახლოებით 34 წ. ჩვენი წელთაღრიცხვით.

1 და იყო ასე, რომ ხმა მოესმა დედამიწის ყველა მცხოვრებს, მთელი მიწის პირზე, მღალადუბელი:

2 ვარამი, ვარამი, ვარამი ამ ხალხს, ვარამი მთელი დედამიწის მცხოვრებთ, თუ არ მოინანიებენ; ვინაიდან ეშმაკი იცინის და მისი ანგელოზები ხარობენ, ჩემი ხალხის ლამაზი ვაჟებისა და ქალიშვილების დახოცვის გამო; და ისინი დაეცნენ მათი ურჯულოებისა და სისამაგლის გამო!

3 აჰა, ეს დიდი ქალაქი, ზარაჰემლა, ცეცხლით დაწვევი და ასევე მისი მცხოვრებნიც.

4 და აჰა, მე დავეუში, რომ

ეს დიდი ქალაქი, მორონი, ჩადირულიყო ზღვის სიღრმეებში და რომ მისი მცხოვრებნი ჩამხრჩვალნი იყვნენ.

5 და აჰა, ეს დიდი ქალაქი, მორონიჰა, დაეფარე მიწით და ასევე მისი მცხოვრებნიც, რათა დამეფარა მათი ურჯულოება და სისაძაგლე ჩემი მზერისგან, რათა წინასწარმეტყველთა და წმინდანთა სისხლი მათ წინააღმდეგ ჩემთან მეტად აღარ მოსულიყო.

6 და აჰა, დაეუშვი, რომ ქალაქი გილგალი მიწაში ჩაფლულიყო და მისი მცხოვრებნი ჩამარხულიყვნენ მიწის სიღრმეში;

7 დიახ, ქალაქი ონიჰა და მისი მცხოვრებნი და ქალაქი მოკუმი და ასევე მისი მცხოვრებნიც, ქალაქი იერუსალიმი და ასევე მისი მცხოვრებნიც; და დაეუშვი, რომ წყლები დატბორილიყო მათ ადგილას, რათა დამეფარა მათი სიბოროტენი და სისაძაგლენი ჩემი მზერისგან და წინასწარმეტყველთა და წმინდანთა სისხლი მათ წინააღმდეგ ჩემთან მეტად აღარ მოსულიყო.

8 და აჰა, ქალაქი გადიანდი, ქალაქი გადიომნა, ქალაქი იაკობი და ქალაქი გიმგიმნო – დაეუშვი, რომ ჩადირულიყვნენ ყოველივე ესენი და მათ ადგილზე გორაკები და ველები გადაშლილიყო და მათი მცხოვრებნი მიწისქვეშ დავმარხე, რათა დამეფარა მათი სიბოროტე და სისაძაგლე ჩემი მზერისგან და

წინასწარმეტყველთა და წმინდანთა სისხლი მათ საწინააღმდეგოდ ჩემთან მეტად აღარ მოსულიყო.

9 და აჰა, ეს დიდი ქალაქი, იაკობუგათი, რომელიც დასახლებული იყო მეფე იაკობის ხალხით, დაეუშვი, რომ ცეცხლში დამწვარიყო მათი ცოდვებისა და სიბოროტის გამო, რომელიც აღმატებოდა დედამიწის ყველა სიბოროტეს მათი საიდუმლო მკვლევლობისა და შეთქმულებების გამო; რადგან მათ გაანადგურეს ჩემი ხალხის მშვიდობა და ამ მიწის ხელისუფლება, ამიტომ ვბრძანებ, ცეცხლში დამწვარიყვნენ, რათა გამენადგურებინა ჩემი მზერისგან, რათა წინასწარმეტყველთა და წმინდანთა სისხლი მათ წინააღმდეგ ჩემთან აღარ მოსულიყო.

10 აჰა, ქალაქი ლამანი, ქალაქი იოში, ქალაქი გადი და ქალაქი კიშკუმენი – დაეუშვი, რომ ცეცხლში დამწვარიყო და მათი მცხოვრებნიც, თავიანთი სიბოროტის – წინასწარმეტყველთა გაძევებისა და მათი ჩაქოლების გამო, რომლებიც გამოვავზავნე, რათა მათთვის ეუწყებინათ მათი სიბოროტისა და სისაძაგლის შესახებ.

11 და ვინაიდან მათ ისინი ყველანი გააძევეს, რომ არცერთი სამართლიანი აღარ დარჩა მათ შორის, მე მოვავლინე ცეცხლი და ისინი გავანადგურე, რათა

მათი სიბოროტე და სისაძაგლე ჩემი მზერისგან იყოს დაფარული, რათა წინასწარმეტყველთა და წმინდანთა სისხლმა, რომლებიც მე მათთან გამოვაგზავნე, მიწიდან არ შემომტირონ მათ წინააღმდეგ.

12 და მრავალი ნგრევა დავუშვი ამ მიწაზე და ამ ხალხზე, მათი სიბოროტისა და სისაძაგლის გამო.

13 თქვენ ყველა, ვინც დაგიინდეთ, რადგან უფრო სამართლიანნი იყავით, ვიდრე ისინი, ნუთუ არ მობრუნდებით და არ მოინანიებთ თქვენს ცოდვებს და არ მოიქცევით, რათა შევძლო თქვენი განკურნება?

14 დიახ, ჭეშმარიტად გეუბნებით, თუ მოხვალთ ჩემთან – გექნებათ მარადიული სიცოცხლე. აჰა, ჩემი მოწყალე ხელი გამოწვდილია თქვენკენ და რომელიც მოვა – მივიღებ; და კურთხეულნი არიან ისინი, რომლებიც ჩემთან მოდიან.

15 აჰა, მე ვარ იესო ქრისტე, ძე ღვთისა. მე შევქმენი ზეცა და დედამიწა და ყველაფერი, რაც არის მათზედ. მე ვიყავი მამასთან დასაბამიდანვე. მე ვარ მამაში და მამა არის ჩემში; და თავისი სახელი მამამ განაღოდა ჩემში.

16 მოვედი ჩემიანებთან და ჩემიანებმა არ მიმიღეს. და აღსრულდა წმინდა წერილი ჩემი მოსვლის შესახებ.

17 და რომლებმაც მიმიღეს –

ნება ვუბოძე, იქცნენ ღვთის შვილებად; და ასევე ვუბოძებ ნებას ყოველს, რომელიც ჩემს სახელს იწამებს, რადგან, აჰა, ჩემგან მოდის გამოსყიდვა და ჩემში აღსრულდა მოსეს რჯული.

18 მე ვარ ამა ქვეყნის სინათლე და სიცოცხლე. მე ვარ ალფა და ომეგა, დასაწყისი და დასასრული.

19 და თქვენ, ჩემთვის შესაწირად, აღარ დაღვრით სისხლს; დიახ, თქვენი მსხვერპლშესაწირი და სრულად დასაწველი შეწყდება, რადგან არ მივიღებ თქვენს მსხვერპლშესაწირსა და სრულად დასაწველს.

20 და მომიტანთ მსხვერპლშესაწირად მოდრეკილ გულსა და მომნანიებელ სულს. და ვინც მოვა ჩემთან მოდრეკილი გულითა და მომნანიებელი სულით, მას მოვნათლავ ცეცხლითა და სულიწმინდით, როგორც ღამანიელები, მათი მოქცევის უამს ჩემში რწმენისთვის, მონათლულ იქნენ ცეცხლითა და სულიწმინდით და მათ ეს არ იცოდნენ.

21 აჰა, მე მოვედი ამქვეყნად, რათა მოვუტანო ქვეყანას გამოსყიდვა და გადავარჩინო ქვეყანა ცოდვისგან.

22 ამიტომ, ვინც მოინანიებს და ჩემთან მოვა, როგორც პატარა ბავშვი – მივიღებ, რადგან ასეთებისაა ღვთის სასუფეველი. აჰა, ასეთებისთვის შევწირე სიცოცხლე და კვლავ უკან დავიბრუნე; ამიტომ, მოინანიეთ და

ჩემთან მოდით, დედამიწის კიდენო და გადარჩით.

თავი 10

სიხუმე ჩამოდგება მიწაზე მრავალი საათის განმავლობაში. ქრისტეს ხმა თავის ხალხს ერთად შეკრებას ჰპირდება ისე, როგორც კრუხი თავის წიწილებს. ხალხის უფრო სამართლიანი ნაწილი უვნებელია. დაახლოებით 34-35 წწ. ჩვენი წელთაღრიცხვით.

1 და ახლა, აჰა, იყო ასე: მიწის მთელმა ხალხმა მოისმინა ეს სიტყვები და ამის მოწმე გახდა. და ამ სიტყვების შემდეგ სიხუმე ჩამოდგა მიწაზე მრავალი საათის განმავლობაში;

2 რადგან იმდენად დიდი იყო ხალხის გაოცება, რომ მათ შეწყვიტეს გოდება და მოთქმა ნათესავების დაკარგვის გამო, რომლებიც დახოცილ იქნენ; ამიტომ, სიხუმე ჩამოდგა მთელ მიწაზე მრავალი საათის განმავლობაში.

3 და იყო ასე, რომ ხალხს კვლავ მიმართა ხმამ და მთელმა ხალხმა მოისმინა და იყო მოწმე სიტყვებისა:

4 თქვენ, ხალხო ამ დიდი ქალაქებისა, რომლებიც დაეცა, რომელნიც ხართ იაკობის შთამომავლები, დიახ, რომლებიც მიეკუთვნებით ისრაელის სახლს, რამდენჯერ გკრიბავდით ისე, როგორც კრუხი იკრებს

წიწილებს საკუთარი ფრთების ქვეშ და გკვებავდით.

5 და კვლავ, რამდენჯერ უნდა შემეკრიბეთ ისე, როგორც კრუხი იკრებს თავის წიწილებს საკუთარი ფრთების ქვეშ, დიახ, ისრაელის სახლის ხალხო, რომლებიც დაეცით; დიახ, ისრაელის სახლის ხალხო, იერუსალიმში მცხოვრებნო, ასევე როგორც თქვენ, დაცემულნო; დიახ, რამდენჯერ უნდა შემეკრიბეთ ისე, როგორც კრუხი იკრებს წიწილებს, მაგრამ თქვენ ეს არ ისურვეთ.

6 თქვენ, ისრაელის სახლო, რომლებიც დაგინდეთ, რამდენჯერ უნდა შეგკრიბოთ ისე, როგორც კრუხი იკრებს წიწილებს საკუთარი ფრთების ქვეშ, თუ მოინანიებთ და გულის მთელი მოწადინებით დამიბრუნდებით.

7 მაგრამ თუ არა, ისრაელის სახლო, თქვენი საცხოვრებელი ადგილები გავერანდება იმ დრომდე, სანამ არ აღსრულდება თქვენს მამებთან დადებული აღთქმა.

8 და ახლა, იყო ასე: ხალხის ამ სიტყვების მოსმენის შემდეგ, აჰა, მათ კვლავ დაიწყეს კვნესა და მოთქმა თავიანთი ნათესავებისა და მეგობრების დაკარგვის გამო.

9 და იყო ასე, რომ ამ სამმა დღემ ჩაიარა. და ეს იყო დილით – მიწის პირიდან გაიფანტა ბნელეთი და მიწამ შეწყვიტა კანკალი და კლდეებმა შეწყვიტეს მსხვრევა, შეწყდა საშინელი

კვნესა და ჩაიარა მღელვარების ყველა ხმამ.

10 და კვლავ შეერთდა მიწა, რომ გამყარებულიყო; და შეწყდა გლოვა და ტირილი და კვნესა ხალხისა, რომელთა სიცოცხლე დანდობილ იქნა; და მათი გლოვა შეიცვალა სიხარულით და გოდება – დიდებითა და მადლიერებით უფლის, იესო ქრისტეს, მათი გამომსყიდველის, მიმართ.

11 და ასე აღსრულდა იმ დროისთვის წმინდა წერილი, რომელზეც წმინდა წინასწარმეტყველები ლაპარაკობდნენ.

12 და რომლებიც გადარჩნენ, იყვნენ ხალხის შედარებით სამართლიანი ნაწილი და ესენი იყვნენ, რომლებმაც მიიღეს წინასწარმეტყველები და არ ჩაქოლეს; და არ დაუღვრიათ წმინდანების სისხლი მათ, რომლებიც გადარჩნენ –

13 ისინი დაინდეს და არ ჩაიძირნენ და არ დაიმარხნენ მიწაში; და არ დაიხვრჩნენ ზღვის სიღრმეებში და არ დაიწვნენ ცეცხლში, არც სასიკვდილოდ იქნენ გასრესილნი და არც გრიგალის მიერ გატაცებულნი; ვერც კვამლისა და ბნელეთის ბურუსმა ვერ დასძლია ისინი.

14 და ახლა, ვინც კითხულობს, დაე, ჩასწვდეს; მას, ვისაც აქვს წმინდა წერილი, დაე, შეისწავლოს იგი, იხილოს და განსაჯოს, თუ ეს სიკვდილი და განადგურება ცეცხლით, კვამლითა და ქარიშხლით, გრიგალითა და

მიწის გახლეჩით, რათა შთაენთქა ისინი და ყოველივე ეს იყო იმისთვის, რომ აღსრულებულიყო მრავალი წმინდა წინასწარმეტყველის წინასწარმეტყველებანი.

15 აჰა, მე გეუბნებით: დიახ, მრავალი მოწმობდა ყოველივე ამის შესახებ ქრისტეს მოსვლისას და ისინი დახოცეს, რადგან ამის შესახებ მოწმობდნენ.

16 დიახ, წინასწარმეტყველი ზენოსი მოწმობდა ყოველივე ამაზე და ასევე ზენოქიც ლაპარაკობდა ამ მოვლენების შესახებ, ვინაიდან ისინი მოწმობდნენ კერძოდ ჩვენზე, მათი შთამომავლების ნარჩენზე.

17 აჰა, ჩვენი მამა, იაკობი, ასევე მოწმობდა იოსების შთამომავლობის ნარჩენის შესახებ. და აჰა, ნუთუ არ ვართ იოსების შთამომავლების ნარჩენი? და ყოველივე ეს, რაც მოწმობს ჩვენზე, ნუთუ არ არის ამოტვიფრული სპილენძის ფირფიტებზე, რომლებიც ჩვენმა მამამ, ლეხიმ, წამოიღო იერუსალიმიდან?

18 და იყო ასე, რომ ოცდამეტოთხმეტე წლის ბოლოს, აჰა, მე დაგანახებთ თქვენ ნეფის ხალხს, რომელიც დანდობილ იქნა და ასევე მათ, რომლებსაც ეწოდებოდათ ლამანიელები, რომლებიც დანდობილ იქნენ, იყვნენ რა ყველაზე მეტად გამორჩეულნი და მათზედ მრავალი კურთხევა იქნა მოვლენილი ისე, რომ ზეცაში

ქრისტეს ამაღლებიდან სულ მალე, იგი მათ ჭეშმარიტად გამოეცხადა –

19 დაანახა მათ თავისი სხეული და ემსახურა მათ; და ჩანაწერები მისი მსახურების შესახებ მოცემული იქნება შემდგომში. ამიტომ, ამჟამად მე ვასრულებ ჩემს სიტყვებს.

იესო ქრისტე გამოეცხადა ნეფის ხალხს, როდესაც მიწა ბარაქიანზე მრავალნი შეიკრიბნენ და მათ ემსახურა; ასე რომ, იგი მათ გამოეცხადათ.

შეიცავს მე-11-დან 26-ე თავის ჩათვლით.

თავი 11

მამა მოწმობს თავის საყვარელ ძეზე. ქრისტე განცხადდება და გამოაცხადებს თავისი გამოსყიდვის შესახებ. ხალხი ეხება მის ჭრილობებს ხელებზე, ტერფებსა და ნეკნებზე. ისინი შეჰღალადებენ „ოსანა“. იგი განმარტავს ნათლობის ადათ-წესს. განხეთქილების სული ეშმაკისეულია. ქრისტეს მოძღვრება მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანმა უნდა იწამოს, მოინათლოს და მიიღოს სულიწმინდა. დაახლოებით 34 წ. ჩვენი წელთაღრიცხვით.

1 და ახლა, იყო ასე, რომ ნეფის ხალხთაგან იქ მრავალნი

ერთად შეიკრიბნენ ტადრის გარშემო, რომელიც იყო მიწა ბარაქიანზე; და ისინი გაცეცხლდნენ და გააკვირვებულნი უჩვენებდნენ ერთმანეთს იმ დიდ და საოცარ ცვლილებას, რომელიც მოხდა.

2 და ასევე საუბრობდნენ იესო ქრისტეზე, რომლის სიკვდილის შესახებაც ნიშანი იქნა მოცემული.

3 და იყო ასე, რომ იმ დროს, როდესაც ამგვარად ერთმანეთში საუბრობდნენ, მოესმათ ხმა, თითქოს ზეციდან წამოსული; და მათ გარშემო მიმოიხედეს, რადგან ვერ ჩასწვდნენ ხმას, რომელიც მოესმათ; და ის ხმა არ იყო უხეში, არც ხმამაღალი ხმა არ იყო; მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ეს იყო დაბალი ხმა, იგი მათ სიღრმეში ჩასწვდა ისე, რომ არ დარჩა მათი სხეულის არცერთი ნაწილი, რომ არ აეთრთოლებინა; დიახ, ის სულშიც კი ჩასწვდა მათ და გული დაუნთო.

4 და იყო ასე: მათ კვლავ მოესმათ ხმა, და მას ვერ ჩასწვდნენ.

5 და კვლავ, მესამეჯერ, მოესმათ ხმა და გახსნეს ყურები, რათა ის გაეგონათ; და მზერა ხმისკენ ჰქონდათ მიპყრობილი; და მტკიცედ შესცქეროდნენ ზეცას, საიდანაც ხმა მოდიოდა.

6 და აჰა, მესამე ჯერზე, ჩასწვდნენ ხმას, რომელიც ესმოდათ; და მან უთხრა მათ:

7 აჰა, ჩემი საყვარელი ძე, რომელიც მოვიწონე, რომელშიც

ვადიდე სახელი ჩემი – უსმინეთ მას.

8 და იყო ასე: როგორც კი მათ ეს გაიგეს, კვლავ ზეცისკენ მიაპყრეს მზერა; და აჰა, მათ იხილეს ზეციდან ჩამომავალი ადამიანი; და იგი შემოსილი იყო თეთრი სამოსელით; და იგი დაეშვა და მათ შორის დადგა; და მთელ შეკრებილთა მზერა მისკენ იყო მიპყრობილი და ვერ ბედავდნენ ბაგეთა გახსნას, ერთმანეთის მიმართაც კი და არ იცოდნენ, რას ნიშნავდა ეს, რადგან ეგონათ, რომ მათ ანგელოზი გამოეცხადათ.

9 და იყო ასე, რომ გაიწოდა ხელი და ხალხს მიმართა სიტყვებით:

10 აჰა, მე ვარ იესო ქრისტე, რომლის ამქვეყნად მოსვლაზე წინასწარმეტყველები მოწმობდნენ.

11 და აჰა, მე ვარ ამქვეყნის სინათლე და სიცოცხლე; და შეესვი ის მწარე თასი, რომელიც მამამ მიბოძა და განვადიდე მამა, ავიღე რა ამა ქვეყნის ცოდვები, რითიც აღვასრულე მამის ნება ყოველივე ამაში დასაბამიდან.

12 და იყო ასე, რომ როდესაც იესომ თქვა ეს სიტყვები, ყველა შეკრებილი მიწაზე დაემხო, რადგან გაახსენდათ, რომ ნაწინასწარმეტყველები იყო მათში, რომ ქრისტე გამოეცხადებოდათ ზეცაში ამადლების შემდეგ.

13 და იყო ასე, რომ უფალმა მიმართა მათ სიტყვებით:

14 ადექით და ჩემთან მოდით, რათა შეძლოთ ჩემს ნეკნებზე ხელის შეხება, ასევე, რომ იგრძნოთ ლურსმნების კვალი ჩემს ხელებსა და ტერფებზე, რათა იცოდეთ, რომ ვარ ღმერთი ისრაელისა და ღმერთი მთელი დედამიწის; და მომკლეს ამა ქვეყნის ცოდვებისთვის.

15 და იყო ასე, რომ შეკრებილები წინ მივიდნენ და მას ნეკნებზე შეეხნენ და იგრძნეს ლურსმნების კვალი მის ხელებსა და ტერფებზე; და ასე იქცეოდნენ, მიდიოდნენ რა სათითაოდ, სანამ ყოველმა არ იხილა საკუთარი თვალით და არ იგრძნო საკუთარი ხელით და ნამდვილად სცნო და დაამოწმა, რომ ეს არის ის, რომელზეც წერდნენ წინასწარმეტყველები, რომელიც უნდა მოსულიყო.

16 და როდესაც ყველანი მივიდნენ და საკუთარი თვალით იხილეს, მათ ერთხმად შეჰღაღადეს სიტყვებით:

17 ოსანა! კურთხეული იყოს უხენაესი ღმერთის სახელი! და ისინი იესოს ფერხით დაეცნენ და თაყვანი სცეს მას.

18 და იყო ასე, რომ მან მიმართა ნეფის (რადგან ნეფი იყო შეკრებილთა შორის) და უბრძანა მას, წინ გამოსულიყო.

19 და ნეფი წამოდგა და წინ გამოვიდა, მუხლი მოიყარა უფლის წინაშე და ტერფებზე ეამბორა.

20 და უფალმა უბრძანა, რომ

წამომდგარიყო. და იგი წამოდგა და მის წინაშე დადგა.

21 და უფალმა მას უთხრა: მე გაძღვევ ძალაუფლებას, მონათლო ეს ხალხი, როდესაც მე კვლავ ზეცაში ავალ.

22 და უფალმა კვლავ სხვებს მოუხმო და იგივე უთხრა მათ; და უბოძა მათ ნათლობის ძალაუფლება. და მათ უთხრა: ასე მონათლავთ და არ იქნება თქვენ შორის არანაირი კამათი.

23 ჭეშმარიტად გეუბნებით, რომელიც მონანიებს ცოდვებს თქვენი სიტყვების მეშვეობით და მოისურვებს ჩემი სახელით ნათლობას, თქვენ მას მონათლავთ ამგვარად: აჰა, წყალში ჩახვალთ, დადგებით და ჩემი სახელით მონათლავთ მათ.

24 და ახლა, აჰა, ეს არის სიტყვები, რომლებსაც თქვენ იტყვით, მიმართავთ რა მათ საკუთარი სახელით, იტყვით:

25 იესო ქრისტესგან მონიჭებული უფლებამოსილებით, გნათლავ მამისა და ძისა და სულიწმინდის სახელით. ამინ.

26 და შემდეგ, წყალში ჩაუშვებთ მათ და ამოიყვანთ წყლიდან.

27 და ამგვარად, თქვენ მონათლავთ ჩემი სახელით; რადგან, აჰა, ჭეშმარიტად გეუბნებით, რომ მამა, ძე და სულიწმინდა არის ერთი; და მე ვარ მამაში და მამა არის ჩემში და მამა და მე ვართ ერთნი.

28 და მონათლავთ იმისდა

მიხედვით, როგორც გიბრძანეთ. და თქვენ შორის არ იქნება დაპირისპირება, როგორც ეს იყო აქამდე; თქვენ შორის არ იქნება დაპირისპირება ჩემი მოძღვრების საკითხებზეც, როგორც ეს იყო აქამდე.

29 რადგან ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით, რომ ის, ვისაც აქვს განხეთქილების სული, არ არის ჩემგან, არამედ არის ეშმაკისეული, რომელიც არის მამა განხეთქილებისა და უბიძგებს ადამიანთა გულებს, წყრომით დაუპირისპირდნენ ერთმანეთს.

30 აჰა, ეს არ არის ჩემი მოძღვრება – ვუბიძგო ადამიანთა გულებს ერთმანეთის მიმართ წყრომისკენ, არამედ ჩემი მოძღვრებაა – ასეთი რამ უნდა შეწყდეს.

31 აჰა, ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით, მე გამოგიცხადებთ ჩემს მოძღვრებას.

32 და ეს არის ჩემი მოძღვრება, და ეს არის მოძღვრება, რომელიც მამამ მომცა; და ვმოწმობ მამაზე და ჩემზე მოწმობს მამა და სულიწმინდა მოწმობს მამაზე და ჩემზე; და მე ვმოწმობ, რომ მამა უბრძანებს ყოველ ადამიანს, ყველგან, მონანიოს და იწამოს ჩემი.

33 და გადარჩება, რომელიც მე მიწამებს და მონათლავს; და ესენი არიან, რომლებიც ღვთის სასუფეველს დაიმკვიდრებენ.

34 და რომელიც არ მიწამებს

და არ მოინათლება, იქნება განწირული.

35 ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით, რომ ეს არის ჩემი მოძღვრება და ვმოწმობ: ის არის მამისგან და ვინც მიწამებს, იწამებს ასევე მამას; და მას ჩემზე დაუმოწმებს მამა, რადგან მოევლინება მას ცეცხლითა და სულიწმინდით.

36 და ასე დაამოწმებს მამა ჩემზე და სულიწმინდა დაუმოწმებს მას მამისა და ჩემ შესახებ, რადგან მამა, მე და სულიწმინდა ვართ ერთნი.

37 და კვლავ გეუბნებით: უნდა მოინანიოთ და პატარა ბავშვებად იქცეთ და მოინათლოთ ჩემი სახელით, სხვაგვარად ყოველივე ამას ვერ მიიღებთ.

38 და კვლავ, მე გეუბნებით: უნდა მოინანიოთ და მოინათლოთ ჩემი სახელით და პატარა ბავშვებად იქცეთ, თორემ სხვაგვარად, ვერაფრით ვერ დაიმკვიდრებთ ღვთის სასუფეველს.

39 ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით: ეს არის ჩემი მოძღვრება და რომელიც მასზე ააშენებს, ჩემს კლდეზე ააშენებს და ვერ დასძლევენ მას ჯოჯოხეთის ბჭენი.

40 და ყოველი, ვინც გამოაცხადებს ამაზე მეტს ან ნაკლებს და ჩემს მოძღვრებად წარმოადგენს – ბოროტისგანაა და არ არის ჩემს კლდეზე აშენებული, არამედ აშენებულია ქვიშის საძირკველზე და ჯოჯოხეთის ბჭენი

არის ღია, რათა მიიღოს ასეთი, როდესაც მოვა წყალდიდობა და მათზედ დაჰკრავს ქარი.

41 ამიტომ, მიდით ამ ხალხთან და გამოუცხადეთ სიტყვები, რომლებიც მე გითხარით, დედა-მიწის კიდით კიდემდე.

თავი 12

იესო ირჩევს თორმეტი მოწაფეს და აძლევს მათ ძალაუფლებას. იგი სიტყვას წარმოთქვამს ნეფიელების წინაშე მთაზე ქადაგების მსგავსად. იგი ლაპარაკობს ნეტარებაზე. მისი სწავლება სცდება მოსეს რჯულის ზღვარს და აღემატება მას. ადამიანებს უბრძანებს, იყვნენ სრულყოფილნი, როგორც სრულყოფილიც არის თავად და მისი მამა. შეადარეთ მათე 5. დაახლოებით 34 წ. ჩვენი წელთაღრიცხვით.

1 და იყო ასე, რომ როდესაც იესომ უთხრა ეს სიტყვები ნეფის და მათ, რომლებსაც მოუხმო (მათი რაოდენობა, რომლებსაც მოუხმო და რომლებმაც მიიღეს ნათლობის ძალა და უფლებამოსილება იყო თორმეტი) და აჰა, მან ხელი გაიწოდა შეკრებილებისკენ და შეჰკლადდა მათ სიტყვებით: კურთხეულნი ხართ, თუ ყურს დაუგდებთ ამ თორმეტის სიტყვებს, რომლებიც თქვენგან ამოვირჩიე, რათა გემსახურონ და იყვნენ თქვენი მსახურნი; და მათ ვუბოძე

ძალაუფლება – წყლით მოგნათლონ; და წყლით ნათლობის შემდეგ, აჰა, მე მოგნათლავთ ცეცხლითა და სულიწმინდით, ამიტომ, კურთხეულნი ხართ, თუ მიწამებთ და მოინათლებით მას შემდეგ, რაც მიხილეთ და იცით, რომ ვარსებობ.

2 და კიდევ, მეტად კურთხეულნი არიან, რომლებიც იწამებენ თქვენს სიტყვებს, თქვენი დამოწმების გამო, რომ მე მიხილეთ და იცით, რომ ვარსებობ. დიახ, კურთხეულნი არიან ისინი, რომლებიც იწამებენ თქვენს სიტყვებს და მოიყრიან მუხლს ღრმა თავმდაბლობით და მოინათლებიან, რადგან ეწვევათ ცეცხლი და სულიწმინდა და მიიღებენ ცოდვების მიტევებას.

3 დიახ, ნეტარ არიან ღარიბნი სულით, რომლებიც ჩემთან მოდიან, ვინაიდან მათია ცათა სასუფეველი.

4 და კიდევ: ნეტარ არიან მგლოვიარენი, ვინაიდან ნუგეშცემულნი იქნებიან.

5 და ნეტარ არიან თვინიერნი, ვინაიდან დაიმკვიდრებენ ქვეყანას.

6 და ნეტარ არიან სამართლიანობისთვის მშიერ-მწყურვალნი, ვინაიდან აღივსებიან სულიწმინდით.

7 და ნეტარ არიან მოწყალენი, ვინაიდან წყალობას ჰპოვებენ.

8 და ნეტარ არიან გულთ სუფთანი, ვინაიდან ღმერთს იხილავენ.

9 და ნეტარ არიან მშვიდობისმყოფელნი, ვინაიდან ღვთის შვილებად იწოდებიან.

10 და ნეტარ არიან ჩემი სახელისთვის დევნილნი, ვინაიდან მათია ცათა სასუფეველი.

11 და ნეტარ ხართ თქვენ, როდესაც ადამიანები გაგლანძღავენ, განგდევნიან და ყოველნი ბოროტს იტყვიან თქვენზე, ჩემ გამო.

12 რადგან ძალზედ იხარებთ და დიდად იმხიარულებთ, ვინაიდან დიდი იქნება თქვენი საზღაური ზეცაში; რამეთუ ასევე დევნიდნენ წინასწარმეტყველთ, რომლებიც თქვენამდე იყვნენ.

13 ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით, იყავით მარილი მიწისა; თუ მარილი გამტკნარდა, მიწა რიდათი დამარილდეს? მარილი იმიერიდან აღარაფრად ივარგებს, მხოლოდ გარეთ უნდა გადაიყაროს კაცთაგან ფეხქვეშ გასათელად.

14 ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით, იყავით ამ ხალხის სინათლე. მთის წვერზე მდებარე ქალაქი ვერ დაიმალება.

15 აჰა, სანთელს რომ აანთებენ, ჭურჭელქვეშ დგამენ? არა, არამედ სასანთლეზე, რომ ყველას გაუნათოს სახლში.

16 ამიტომ, დაე, ისე გაანათოს თქვენმა სინათლემ ამ ხალხის წინაშე, რათა ხედავდნენ ისინი თქვენს კეთილ საქმეებს და აღიდებდნენ თქვენს მამას, რომელიც ზეცაშია.

17 არ იფიქროთ, რომ რჯულის ან წინასწარმეტყველთა უარსაყოფად მოვედი. მე არ მოვსულვარ უარსაყოფად, არამედ აღსასრულებლად.

18 რადგან ჭეშმარიტად გეუბნებით, რჯულის არცერთი იოტა, ანდა არცერთი წერტილი არ გადასულა, არამედ ჩემში ყოველივე ეს აღსრულდა.

19 და აჰა, მე გიბოძეთ ჩემი მამის რჯული და მცნებები, რათა ჩემი ირწმუნოთ, რათა მოინანიოთ თქვენი ცოდვები და მოხვიდეთ ჩემთან მოდრეკილი გულითა და მომნანიებელი სულით. აჰა, თქვენ წინაშე მცნებები და რჯული აღსრულდა.

20 ამიტომ, მოდით ჩემთან და გადარჩით; რადგან ჭეშმარიტად გეუბნებით, თუ არ დაიცავთ ჩემს მცნებებს, რომლებიც მე ამჟამად მოგეცით, ვერანაირად ვერ შეხვალთ ცათა სასუფეველში.

21 თქვენ გსმენიათ, რა თქვეს ძველად და ეს ასევე დაიწერა თქვენამდე: არა კლა, – და ვინც მოკლავს – ღმერთის განაჩენის თანამდები იქნება;

22 მე კი გეუბნებით: ვინც განურისხდება საკუთარ ძმას, მისი განაჩენის თანამდები იქნება. და ვინც თავის ძმას ეტყვის: რაკა, – საბჭოს თანამდები იქნება; და ვინც თავის ძმას ეტყვის: სულელო, – ჯოჯოხეთის ცეცხლის თანამდები იქნება.

23 ამიტომ, თუ ჩემთან მოხვალ ან მოისურვებ ჩემთან მოსვლას

და გაგახსენდება, რომ შენს ძმას აქვს რაიმე საწინააღმდეგო შენ მიმართ –

24 წადი შენს ძმასთან და ჯერ შეურიგდი შენს ძმას; და შემდეგ მოდი ჩემთან გულის მთელი მოწადინებით და მე მიგიღებ.

25 შეურიგდი შენს მტერს სასწრაფოდ, სანამ მასთან ერთად გზას ადგახარ, რომ ვერასდროს შეგიპყროს და საპყრობილეში ვერ ჩაგაგდოს.

26 ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნები: იქიდან ვერაფრით გამოხვალ, სანამ უკანასკნელ სენინს არ გადაიხდი. და საპყრობილეში მყოფმა, შეგიძლია გადაიხადო ერთი სენინიც კი? ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნები: არა.

27 აჰა, ძველად დაიწერა: არ იმრუშო;

28 მე კი გეუბნებით, რომ ყოველი, ვინც ქალს ვნებით უყურებს, მან უკვე იმრუშა მასთან გულში.

29 აჰა, მე გაძლევთ მცნებას, არ დაუშვათ, რომ რაიმე აქედან თქვენს გულში შემოვიდეს;

30 ვინაიდან უმჯობესია უარი უთხრათ საკუთარ თავს ყოველივე ამაზე, აიღოთ რა საკუთარი ჯვარი, ვიდრე ჯოჯოხეთში იქნეთ ჩაგდებულნი.

31 ასევე დაიწერა, რომ ვინც ცოლს გაუშვებს, მისცეს მას გაყრილობის მოწმობა.

32 ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით, რომ ყოველი, ვინც ცოლს გაუშვებს, სიძვის

მიზეზის გარეშე, იგი მას მრუ-
შად აქცევს და ყოველი, ვინც
გაშეგებულს შეირთავს, მრუშობს.

33 და კიდევ დაწერილია: არ
დაიფიცო ტყუილად, არამედ შე-
ასრულე შენი ფიცი უფლის წი-
ნაში;

34 მაგრამ, ჭეშმარიტად, ჭეშმა-
რიტად გაუბნებით: სულ არ დაი-
ფიცოთ, არც ცა, რადგან ღვთის
ტახტია იგი;

35 არც ქვეყანა, რადგან მის
ფეხთა კვარცხლბეკია იგი;

36 არც საკუთარი თავი დაი-
ფიცო, რადგან ერთი ღერი თმის
გათეთრება ან გაშავება არ შე-
გიძლია;

37 არამედ, დაე, იყოს თქვენი
სიტყვა: კი, კი; არა, არა; და რაც
ამაზე მეტია, არის ბოროტისგან.

38 და აჰა, დაწერილია, თვალი
თვალისა წილ და კბილი კბი-
ლისა წილ;

39 მაგრამ მე გეუბნებით, წინ
ნუ აღუდგებით ბოროტს, არამედ
თუ ვინმემ მარჯვენა ღოყაში გა-
გაწნას, მეორე ღოყაც მიუშვირე;

40 ვინც მოისურვებს რჯულით
შენს განკითხვას, და შენი მო-
სასხამის წადებას, სამოსელიც
თან გაატანე მას;

41 ვინც ერთ ათას ნაბიჯზე წა-
ყოლა გაიძულოს, ორზე გაყევი.

42 ვინც გთხოვოს – მიეცი და
ზურგს ნუ შეაქცევ მას, ვისაც
შენგან სესხება სურს.

43 და აჰა, ასევე წერია: შე-
იყვარე მოყვასი შენი და შეი-
ძულე მტერი შენი;

44 მაგრამ, აჰა, მე გეუბნებით:
გიყვარდეთ თქვენი მტრები, და-
ლოცეთ თქვენი მაწყევარნი, კე-
თილი უყავით თქვენს მოძულეთ
და ილოცეთ თქვენსა მდევნელთა
და შეურაცმყოფელთათვის;

45 რათა იყოთ თქვენი მამის
შვილები, რომელიც ზეცაშია,
რადგან თავისი მზე ამოჰყავს
ბოროტთა და კეთილთა თავზე.

46 ამიტომ, ყოველივე ის, რაც
არის ძველი დროიდან, რაც
იყო რჯულის ქვეშ, ჩემში აღ-
სრულდა.

47 ძველმა ჩაიარა და ყველა-
ფერი განახლდა.

48 ამიტომ, მსურს, იყოთ
სრულყოფილნი, როგორც მე, ან
სრულყოფილნი, როგორც თქვენი
მამა, რომელიც ზეცაშია.

თავი 13

*იესო ნეფიელებს ასწავლის
უფლის ღოცვას. მათ ზეცაში
უნდა დაიუნჯონ საუნჯე. თორ-
მეტ მოწაფეს უბრძანეს, თავი-
ანთ მსახურებაში არ იზრუნონ
მიწიერზე. შეადარეთ მათე 6.
დაახლოებით 34 წ. ჩვენი წელ-
თაღრიცხვით.*

1 ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გე-
უბნებით: მსურს, ღარიბთათვის
გასცეთ მოწყალება; მაგრამ ყუ-
რადღებით იყავით, ნუ გასცემთ
მოწყალებას ადამიანთა თვალ-
წინ, მათ დასანახად; თორემ ვერ
მიიღებთ საზღაურს თქვენი მა-
მისგან, რომელიც ზეცაშია.

2 ამიტომ, როდესაც მოწყალე-
ბას გასცემთ, ნუ გაახმაურებთ
თქვენ წინაშე, როგორც თვალთ-
მაქცნი აკეთებენ სინაგოგებსა
და ქუჩებში, რათა ხალხმა აქოს
ისინი. ჭეშმარიტად გეუბნებით
თქვენ: მათ უკვე მიიღეს თავი-
ანთი საზღაური.

3 თქვენ კი, როდესაც მოწყალე-
ბას გასცემთ, თქვენს მარცხე-
ნას ნუ ეცოდინება, რას აკეთებს
თქვენი მარჯვენა;

4 რათა მოწყალეობა თქვენი და-
ფარულში იყოს; და მამათქვენი,
რომელიც ხედავს დაფარულში,
მოგიზღავთ ცხადად.

5 და როდესაც ლოცულობთ,
ნუ იქნებით, როგორც თვალთ-
მაქცნი, რომლებსაც უყვართ
სინაგოგებსა და ქუჩის კუთხე-
ებში დგომა და ლოცვა, რათა
ხალხს თავი მოაჩვენონ. ჭეშმა-
რიტად გეუბნებით თქვენ, მათ
უკვე მიიღეს თავიანთი საზღა-
ური.

6 თქვენ კი, როდესაც ლოცუ-
ლობთ, შედით თქვენს ოთახში,
ჩაიკეტეთ კარი და ილოცეთ
თქვენი მამისადმი, დაფარულში
მყოფი; და თქვენი მამა, რომე-
ლიც დაფარულში ხედავს, მო-
გიზღავთ ცხადად.

7 ხოლო ლოცვის დროს ნუ
გამოიყენებთ ამო გაშორებებს
კერპთაყვანისმცემელებივით, ვი-
ნაიდან მათ ჰგონიათ, რომ თავი-
ანთი მრავალსიტყვაობის გამო
შესძენილ იქნებიან.

8 ნუ მიბაძავთ მათ, ვინაიდან

თქვენმა მამამ იცის, რა გიჭირთ
თქვენ, ვიდრე სთხოვდეთ.

9 თქვენ კი ასე ილოცეთ: მამო
ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა,
წმინდა იყოს სახელი შენი.

10 იყოს ნება შენი, ვითარცა
ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა
ზედა.

11 და მოგვიტევე ჩვენ თანანა-
დებნი ჩვენი, ვითარცა ჩვენ მი-
ვუტევეთ თანამდებთა ჩვენთა.

12 და ნუ შეგვიყვან ჩვენ გან-
საცდელში, არამედ გვიხსენ ჩვენ
ბოროტისაგან.

13 რადგან შენია სუფევა და
ძალა და დიდება უკუნისამდე.
ამინ.

14 ვინაიდან, თუ მიუტევეთ
ადამიანებს მათ შეცოდებებს,
თქვენც მოგიტევეთ თქვენი მა-
მაზეციერი.

15 ხოლო თუ თქვენ არ მიუტე-
ვეთ ადამიანებს მათ შეცოდე-
ბებს, არც თქვენს შეცოდებებს
მოგიტევეთ თქვენი მამა.

16 ასევე, როდესაც მარხუ-
ლობთ, ნუ იქნებით თვალთ-
მაქცთა მსგავსად მწუხარენი,
ვინაიდან ისინი იმწუხრებენ სახე-
ებს, რათა ადამიანებს მარხულე-
ბად აჩვენონ თავი. ჭეშმარიტად
გეუბნებით, მათ უკვე მიიღეს თავი-
ვიანთი საზღაური.

17 ხოლო თქვენ, როდესაც მარ-
ხულობთ, იცხეთ თავზე და დაი-
ბანეთ პირი;

18 რათა ადამიანებს კი არ
ეჩვენოთ მარხულად, არამედ
დაფარულში მყოფ შენს მამას;

და მამა თქვენი, რომელიც ხედავს დაფარულში, მოგიზღავთ ცხადად.

19 ნუ დაიუნჯებთ საუნჯეს მიწაზე, სადაც ჩრჩილი და ჟანგი სპობს მას და სადაც ქურდები აღწევენ და იპარავენ;

20 არამედ დაიუნჯეთ საუნჯეცაში, სადაც ვერც ჩრჩილი და ვერც ჟანგი სპობს და სადაც ქურდები ვერ აღწევენ და ვერ იპარავენ.

21 ვინაიდან, სადაც თქვენი საუნჯეა, თქვენი გულიც იქვე იქნება.

22 სხეულის სანთელი არის თვალი. თუ თქვენი თვალი სუფთაა, მთელი თქვენი სხეულიც სინათლით იქნება სავსე.

23 ხოლო თუ თქვენი თვალი ბოროტია, მთელი თქვენი სხეულიც ბნელი იქნება. თუ კი ნათელი, რომელიც თქვენშია, სიბნელეა, რამდენად დიდი იქნება სიბნელე?

24 არავის შეუძლია ორ ბატონს ემსახუროს; ან ერთი უნდა სძულდეს და მეორე უყვარდეს, ანდა იმ ერთს შეეთვისოს და მეორე დაამციროს. ვერ შეძლებთ ღმერთსაც ემსახუროთ და მამონასაც.

25 და ახლა, როდესაც იესომ წარმოთქვა ეს სიტყვები, მან შეხედა თორმეტს, რომელიც ამოირჩია და უთხრა: გახსოვდეთ ჩემ მიერ ნათქვამი სიტყვები. რადგან, აჰა, თქვენ ხართ, რომლებიც ამოგირჩიეთ, რათა ამ

ხალხს ემსახუროთ. ამიტომ, გეუბნებით: არ იზრუნოთ საკუთარ ცხოვრებაზე, თუ რა ჭამოთ ან სვათ, არც თქვენს სხეულზე, თუ რითი შეიმოსოთ. განა ცხოვრება საზრდოზე მეტი არ არის, ან სხეული – სამოსელზე?

26 აჰა, შეხედეთ ცის ფრინველებს, ისინი არც თესავენ, არც მკიან, არც ბელღებში აგროვებენ; და თქვენი მამაზეციური ასაზრდოებს მათ. განა თქვენ მათზე ბევრად უკეთესნი არა ხართ?

27 რომელ თქვენგანს შეუძლია ზრუნვით თავის სიმაღლეს ერთი წყრთა შემატოს?

28 და სამოსელზე რაღას ზრუნავთ? შეხედეთ ველის შროშანებს, როგორ იზრდებიან; არც შრომობენ, არც ართავენ;

29 მაგრამ გეუბნებით მე თქვენ, რომ სოლომონიც კი, მთელ თავის დიდებაში, არ შემოსილა ისე, როგორც ერთი ამათგანი.

30 თუკი მინდვრის ბალახს, რომელიც დღეს არის, ხვალ კი თონეში ჩაიყრება, ღმერთი ასე მოსავს, თქვენ უფრო მეტად შეგმოსავთ, თუ დიდი რწმენა გექნებათ.

31 ამიტომ, ნუ ზრუნავთ და ნუ ამბობთ, რა ვჭამოთ? ან რა ვსვათ? ან რით შევიმოსოთ?

32 ვინაიდან, თქვენმა მამაზეციურმა იცის, რომ თქვენ გჭირდებათ ყოველივე ეს.

33 არამედ თქვენ კი უწინარეს ღვთის სასუფეველი ეძიეთ და

მისი სიმაღლეს და ეს ყოველივე შეგემატებათ.

34 ნუ ზრუნავთ ხვალინდელ დღეზე, ვინაიდან ხვალინდელი დღე თვითონ იზრუნებს თავის თავზე. ყოველ დღეს საკმარისად აქვს თავისი საზრუნავი.

თავი 14

იესო ბრძანებს: არ განიკითხოთ; ღმერთს სთხოვეთ; ერიდეთ ცრუ წინასწარმეტყველებს. იგი ჰპირდება ხსნას მათ, რომლებიც ასრულებენ მამის ნებას. შეადარეთ მათე 7. დაახლოებით 34 წ. ჩვენი წელთაღრიცხვით.

1 და ახლა, იყო ასე, რომ როდესაც იესომ ილაპარაკა ეს სიტყვები, იგი კვლავ მოუბრუნდა შეკრებილთ, გახსნა ბაგე და კვლავ მიმართა სიტყვებით: ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით: ნუ განიკითხავთ, რათა არ განგიკითხოთ.

2 ვინაიდან, რომელი განკითხვითაც განიკითხავთ, იმავეთი განიკითხებით თქვენ; და რომელი საწყაოთიც მიუწყავთ, იმავეთი მოგეწყვებათ თქვენ.

3 რად უყურებ წველს შენი ძმის თვალში, ხოლო საკუთარ თვალში კი ღირესაც ვერ ამჩნევ?

4 ან როგორ ეტყვი შენს ძმას: მიმიშვი, ამოგიღო თვალიდან წველიო, და აჰა, შენს თვალში კი ღირეა?

5 თვალთმაქცო, ჯერ შენი თვალიდან ღირე ამოიღე და მერე

ნათლად დაინახავ, როგორ ამოიღო წველი შენი ძმის თვალიდან.

6 ნუ მისცემთ წმინდას ძაღლებსა და ნურც თქვენ მარგალიტებს დაუყრით წინ ღორებს, რათა ფეხებით არ გათელონ და შემობრუნებისას თქვენც არ დაგლიჯონ.

7 ითხოვეთ და მოგეცემათ; ეძებეთ და იპოვით; დააკაკუნეთ და გაგელებათ.

8 ვინაიდან ყველა, ვინც ითხოვს, ღებულობს; და ვინც ეძებს – ჰპოვებს და ვინც აკაკუნებს – გაელება.

9 ან არის კი თქვენ შორის ისეთი კაცი, საკუთარმა შვილმა პური სთხოვოს, მან კი ქვა მისცეს?

10 ანდა თევი სთხოვოს და გველი მიაწოდოს?

11 თუ თქვენ, ბოროტებმა, იცით კეთილ მისაცემელთა მიცემა თქვენი შვილებისთვის, მეტადრე თქვენი ზეცაში მყოფი მამა არ მისცემს სიკეთეს იმას, ვინც სთხოვს?

12 ამიტომ, ყველაფერში, როგორც გინდათ, რომ მოგექცნენ ადამიანები, თქვენც ასევე მოექცეთ მათ, ვინაიდან ეს არის რჯული და წინასწარმეტყველნი.

13 შედით ვიწრო კარიბჭით; ვინაიდან ფართოა კარიბჭე და განიერია გზა, რომელსაც დაღუპვისკენ მიჰყავს და მრავალნი დადიან მასზე.

14 ვინაიდან ვიწროა კარიბჭე და ვიწროა გზა, რომელსაც

სიცოცხლისკენ მიჰყავს და მცირედნი ჰპოვებენ მას.

15 ერიდეთ ცრუ წინასწარმეტყველებს, რომლებიც ცხვრის სამოსით მოდიან თქვენთან, შინაგანად კი მტაცებელი მგლები არიან.

16 მათი ნაყოფით იცნობთ მათ; განა ეკლიდან კრეფენ ყურძენს, ან კუროს თავიდან – ლედვს?

17 ასე, ყოველი კარგი ხე ნაყოფსაც კარგს იძლევა; ხოლო გახრწნილი ხე ნაყოფსაც ცუდს იძლევა.

18 არ შეუძლია კარგ ხეს ცუდი ნაყოფის გამოღება და არც ცუდ ხეს – კარგი ნაყოფის გამოღება.

19 ყოველ ხეს, რომელსაც კარგი ნაყოფი არ მოაქვს, ჭრიან და ცეცხლში აგდებენ.

20 ასე, მათი ნაყოფით იცნობთ მათ.

21 ყველა, ვინც მეუბნება: უფალო, უფალო! როდი შევატათა სასუფეველში, არამედ ის, ვინც ადასრულებს ჩემი ზეცაში მყოფი მამის ნებას.

22 ბევრი მეტყვის იმ დღეს: უფალო, უფალო, განა შენი სახელით არ ვწინასწარმეტყველებდით? განა შენი სახელით არ ვაძეგვბდით ეშმაკებს და განა შენი სახელით არ ვახდენდით მრავალ სასწაულს?

23 მაშინ მე განვუცხადებ მათ: მე არასოდეს არ გიცნობდით თქვენ; გამშორდით, ურჯულოების ჩამდენო.

24 ამიტომ, ყველას, ვინც ისმენს ამ ჩემს სიტყვებს და ასრულებს მათ, გამსგავსებ გონიერ კაცს, რომელმაც სახლი კლდეზე აიშენა –

25 და მოვიდა წვიმა და მოჰყვა წყალდიდობა, ამოვარდა ქარები და ეკვეთა იმ სახლს; ის კი არ დაეცა, ვინაიდან კლდეზე იყო დაფუძნებული.

26 ხოლო ყველა, ვინც ისმენს ჩემს ამ სიტყვებს და არ ასრულებს, ემსგავსება უგუნურ კაცს, რომელმაც ქვიშაზე აიშენა სახლი –

27 და მოვიდა წვიმა და მოჰყვა წყალდიდობა, ამოვარდა ქარები და ეკვეთა იმ სახლს და ის დაეცა; და ძალზედ დიდი იყო მისი დაცემა.

თავი 15

იესო აცხადებს, რომ მოსეს რჯული აღსრულდა მასში. ნეფიელები არიან ის სხვა ცხვრები, რომელთა შესახებაც მან იერუსალიმში ილაპარაკა. ურჯულოების გამო, უფლის ხალხმა იერუსალიმში არ იცის ისრაელის გაფანტული ცხვრების შესახებ. დაახლოებით 34 წ. ჩვენი წელთაღრიცხვით.

1 და ახლა, იყო ასე, რომ როდესაც იესომ დაასრულა ეს სიტყვები, მან შეკრებილთ თვალი მიმოავლო და მიმართა: აჰა, თქვენ მოისმინეთ ყოველივე, რასაც ვასწავლიდი, მამასთან

ამაღლებამდე; ამიტომ, რომელსაც ახსოვს ეს ჩემი სიტყვები და მათ ასრულებს, მე მას უკანასკნელ დღეს აღვადგენ.

2 და იყო ასე, რომ როდესაც იესომ წარმოთქვა ეს სიტყვები, მან შეამჩნია, რომ ზოგიერთნი იქ გაცოცხლებულნი იყვნენ და სურდათ გაეგოთ, თუ რას იტყოდა იგი მოსეს რჯულის შესახებ; ვინაიდან მათ ვერ გაიგეს ნათქვამი, რომ ძველმა ჩაიარა და ყველაფერი განახლდა.

3 და მან უთხრა მათ: ნუ გაცოდებით იმაზე, რაც გითხარით, რომ ძველმა ჩაიარა და ყველაფერი განახლდა.

4 აჰა, მე გეუბნებით: აღსრულდა რჯული, რომელიც მოსეს მიეცა.

5 აჰა, მე ვარ ის, რომელმაც ეს რჯული გიბოძეთ, მე ვარ ის, რომელმაც ჩემს ისრაელის ხალხთან დავდე აღთქმა; ამიტომ, რჯული ჩემში აღსრულდა, რადგან მე მოვედი ამ რჯულის აღსასრულებლად; ამიტომ იგი დასრულდა.

6 აჰა, მე არ უარყოფ წინასწარმეტყველებს, ვინაიდან ის, რაც არ აღსრულდა ჩემში, ჭეშმარიტად გეუბნებით: ყველაფერი აღსრულებულ იქნება.

7 და რადგან მე გითხარით, რომ ძველმა ჩაიარა, მე არ უარყოფ იმას, რაც ითქვა მომავლის შესახებ.

8 რადგან, აჰა, აღთქმა, რომელიც დავდე ჩემს ხალხთან, არ

აღსრულებულა; თუმცა რჯული, რომელიც მოსეს მიეცა, დასრულდა ჩემში.

9 აჰა, მე ვარ რჯული და სინათლე. მენდეთ, ბოლომდე გაუძეულით და იცოცხლებთ; ვინაიდან მას, რომელიც ბოლომდე გაუძლებს, მარადიულ სიცოცხლეს ვუბოძებ.

10 აჰა, მე მცნებები მოგეცით; ამიტომ, დაიცავით ჩემი მცნებები. და ეს არის რჯული და წინასწარმეტყველნი, ვინაიდან ისინი ჭეშმარიტად მოწმობდნენ ჩემზე.

11 და ახლა, იყო ასე, რომ როდესაც იესომ ეს სიტყვები წარმოთქვა, მან მიმართა თორმეტს, რომლებიც ამოირჩია:

12 თქვენ ხართ ჩემი მოწაფენი და სინათლე ამ ხალხისთვის, რომელიც არის იოსების სახლის ნარჩენი.

13 და აჰა, ეს არის თქვენი მემკვიდრეობის მიწა; და ის მამამ გიბოძათ.

14 და არასდროს უბრძანებია მამას ჩემთვის, რომ ეს მეთქვა თქვენი ძმებისთვის იერუსალიმში.

15 არც არასდროს უბრძანებია მამას ჩემთვის, რომ მათთვის მომეყოლა ისრაელის სხვა ტომების შესახებ, რომლებიც მამამ იმ მიწიდან გამოიყვანა.

16 მამამ მიბრძანა, მხოლოდ ეს მეთქვა მათთვის:

17 სხვა ცხვრებიცა მყავს, რომლებიც არ არიან ამ ფარეხის;

მათი მოყვანაც მმართვეს, და მოისმენენ ჩემს ხმას; და იქნება ერთი ფარა და ერთი მწყემსი.

18 და ახლა, ქედფიცხლობისა და ურწმუნოების გამო, ისინი ვერ ჩასწვდნენ ჩემს სიტყვებს; ამიტომ, მამამ მიბრძანა, მათთვის ამის შესახებ ამაზე მეტი არ მეთქვა.

19 მაგრამ, ჭეშმარიტად გეუბნებით, რომ მამამ მიბრძანა და გეუბნებით, რომ თქვენ ხართ მათგან გამორჩეულნი, მათი ურჯულოების გამო; ამიტომ, თავიანთი ურჯულოების გამო, მათ არ იციან თქვენს შესახებ.

20 და ჭეშმარიტად, მე კვლავ გეუბნებით, რომ სხვა ტომიც გამოარჩია მამამ მათგან; და თავიანთი ურჯულოების გამო არ იციან მათ შესახებ.

21 და ჭეშმარიტად გეუბნებით, რომ ხართ ისინი, რომლებზეც ვთქვი: სხვა ცხვრებიცა მყავს, რომლებიც არ არიან ამ ფარეხის; მათი მოყვანაც მმართვეს, და მოისმენენ ჩემს ხმას; და იქნება ერთი ფარა და ერთი მწყემსი.

22 და მათ ვერ გაიგეს ჩემი, რადგან ეს წარმართები ეგონათ; ვინაიდან ვერ გაიგეს, რომ წარმართები მოქცეულნი უნდა ყოფილიყვნენ მათი ქადაგებით.

23 და მათ ვერ გაიგეს ჩემი ნათქვამი, რომ ჩემს ხმას მოისმენდნენ; და ვერ გაიგეს ჩემი, რომ წარმართნი ვერასდროს ვერ მოისმენდნენ ჩემს ხმას, რომ თავად

არ გამოვეცხადები, არამედ მხოლოდ სულიწმინდით.

24 მაგრამ, აჰა, თქვენ მოისმინეთ კიდევაც ჩემი ხმა და ასევე მიხილეთ; და ხართ ჩემი ცხვრები და ითვლებით მათ შორის, რომლებიც მამამ მიბოძა.

თავი 16

იესო ეწვევა ისრაელის სხვა დაკარგულ ცხვრებს. უკანასკნელ დღეებში სახარება წარმართებთან მივა და შემდეგ ისრაელის სახლთან. უფლის ხალხი თავისი თვალთ იხილავს, როდესაც იგი კვლავ აღადგენს სიონს. დაახლოებით 34 წ. ჩვენი წელთაღრიცხვით.

1 და ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით, რომ მყავს სხვა ცხვრებიც, რომლებიც არ არიან ამ მიწიდან, არც იერუსალიმისა და არც გარშემო არც ერთი სხვა მიწიდან, სადაც მსახურებისთვის ვარ ნამყოფი.

2 ვინაიდან, ვისზეც ვლაპარაკობ, არიან ისინი, რომლებსაც ვერ არ სმენიათ ჩემი ხმა; არც არასდროს მათ არ გამოვეცხადებივარ.

3 მაგრამ მამისგან ბრძანება მივიღე, რომ მათთან წავიდე და ჩემი ხმა მოისმინონ და ჩემს ფარაში ჩაითვალონ, რომ იყოს ერთი ფარა და ერთი მწყემსი; ამიტომ მივდივარ, რათა მათ გამოვეცხადო.

4 და მე გიბრძანებთ, ჩაიწეროთ

ეს სიტყვები ჩემი წასვლის შემდეგ, რათა თუ იქნება ისე, რომ ჩემი ხალხი იერუსალიმში, რომელმაც მიხილა და ჩემთან ერთად იყო მსახურებისას, არ სთხოვს მამას ჩემი სახელით, სულიწმინდის მეშვეობით ცოდნის მიღებას თქვენსა და ასევე სხვა ტომების შესახებ, რომლებზეც მათ არ გაუგიათ, რომ ჩანაწერები, რომლებსაც თქვენ გააკეთებთ, შენახულ იქნას და წარმართებს მოველინოთ, რათა წარმართთა სისავსით, მათი შთამომავლების ნარჩენი, რომელიც თავისი ურწმუნოების გამო გაფანტული იქნება მიწის პირზე, შეიკრიბოს და მოყვანილ იქნას ჩემს, მათი გამომსყიდველის, ცოდნამდე.

5 და შემდეგ, მათ შეეკრიბავ დედამიწის ოთხივე კიდიდან; და მაშინ აღვასრულებ აღთქმას, რომელიც მამამ აღუთქვა ისრაელის სახლის ყოველ ადამიანს.

6 და კურთხეულ არიან წარმართნი, რადგან ჩემი სწამთ სულიწმინდით, რომელიც მათთვის ჩემზე და მამაზე მოწმობს.

7 აჰა, მათი ჩემში რწმენისათვის, – ამბობს მამა, – და თქვენი ურწმუნოების გამო, ისრაელის სახლო, წარმართებთან უკანასკნელ დღეს მივა ჭეშმარიტება, რათა ყოველივე ამის სისავსე მათთვის გახდეს ცნობილი.

8 მაგრამ, ვარამი, – ამბობს მამა, – ურწმუნო წარმართებს,

რადგან მიუხედავად იმისა, რომ მოვიდნენ მიწის პირზე და გაფანტეს ჩემი ხალხი, რომელიც მიეკუთვნება ისრაელის სახლს; და ჩემი ხალხი, რომელიც არის ისრაელის სახლისა, გაძევებულ იქნა მათი გარემოცვიდან და ფეხქვეშ გათელილი.

9 და მამის წარმართებისადმი მოწყალების გამო და ასევე მამის განაჩენის გამო ჩემი ხალხისადმი, რომელიც მიეკუთვნება ისრაელის სახლს, ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით, რომ ყოველივე ამის შემდეგ და იმის შემდეგ, რაც დაუწუში, რომ ჩემი ხალხი, რომელიც არის ისრაელის სახლის, იყოს ნაცემი, გაჭირვებული, დახოცილი და მათი გარემოცვიდან გაძევებული, შეძლებული და მათი დასაცინი და გამასხარავებული –

10 და ასე ბრძანებს მამა, რომ გითხრათ: იმ დღეს, როდესაც წარმართნი ჩემი სახარების წინააღმდეგ შესცოდავენ და უარყოფენ ჩემი სახარების სისრულეს და აღზევებიან გულის ამპარტავნობით მთელ ერებსა და მთელი დედამიწის ხალხზე და აღივსებიან ყოველგვარი სიცრუითა და ტყუილით, სიავითა და ყველანაირი თვალთმაქცობით, მკვლევლობითა და სამღვდლოებაში ვერცხლისმოყვარეობით, მრუშობითა და საიდუმლო სისაძაგლით; და თუ ისინი ყოველივე ამას ჩაიდენენ და უარყოფენ ჩემი სახარების სისრულეს,

აპა, – ამბობს მამა, მათ ჩემი სახარების სისრულეს წავართმევ.

11 და შემდეგ, გავიხსენებ ჩემს აღთქმას, რომელიც დავე ჩემს ხალხთან, ისრაელის სახლო; და შემდეგ მათ მოვუტან ჩემს სახარებას.

12 და მე დაგანახებ, ისრაელის სახლო, რომ წარმართებს არ ექნებათ შენზედ ძალა, არამედ გავიხსენებ ჩემ მიერ თქვენთან დადებულ აღთქმას, ისრაელის სახლო, და შენ ჩემი სახარების სისრულის ცოდნასთან მოხვალ.

13 მაგრამ, თუ წარმართნი მოინანიებენ და ჩემთან დაბრუნდებიან, – ამბობს მამა, – აპა, ჩაითვლებიან ჩემს ხალხში, ისრაელის სახლო.

14 და ჩემს ხალხს, რომელიც ისრაელის სახლს მიეკუთვნება, არ დავრთავ ნებას, გაიაროს მათში და ფეხქვეშ გათელოს ისინი, – ამბობს მამა.

15 მაგრამ, თუ არ მომიბრუნდებიან და ჩემს ხმას ყურს არ დაუგდებენ, მე მათ ნებას დავრთავ, დიახ, ჩემს ხალხს ნებას დავრთავ, ისრაელის სახლო, რომ გაიაროს მათში და ფეხქვეშ გათელოს; და ისინი იქნებიან, როგორც გამტკნარებული მარილი, რომელიც იმიერიდან აღარაფრად ივარგებს, მხოლოდ გარეთ უნდა გადაიყაროს ჩემი ხალხის მიერ ფეხქვეშ გასათეულად, ისრაელის სახლო.

16 ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით, ეს მიბრძანა მამამ,

რომ ამ ხალხს ეს მიწა თავისი მემკვიდრეობისთვის გადაეცე.

17 და მაშინ აღსრულდება წინასწარმეტყველი ესაიას სიტყვები, რომელიც ამბობს:

18 შენი გუშაგები აიმაღლებენ ხმას; ერთად იმღერებენ; რადგან თავიანთი თვალით იხილავენ, როდესაც უფალი კვლავ აღადგენს სიონს.

19 მხიარულად შემოსძახეთ; ერთად იმღერეთ, თქვე იერუსალიმის გაპარტახებულ ადგილებო; რადგან უფალმა ანუგეშა თავისი ხალხი, მან იერუსალიმი გამოიხსიდა.

20 გაიშიშვლა უფალმა წმინდა მკლავი ყველა ერის თვალწინ და დედამიწის ყველა კიდე იხილავს ჩვენი ღმერთის ხსნას.

თავი 17

იესო მიმართავს ხალხს, იმსჯელონ მის სიტყვებზე და ილოცონ, რათა ჩასწვდნენ მათ. იგი განკურნავს მათ ავადმყოფებს. იგი ლოცულობს ხალხისთვის ისეთი სიტყვებით, რომლებიც ვერ დაიწერება. მათ პატარებს ანგელოზები ემსახურებიან და ცეცხლი გარს არტყამთ. დაახლოებით 34 წ. ჩვენი წელთაღრიცხვით.

1 აპა, ახლა იყო ასე, რომ როდესაც იესომ ეს სიტყვები წარმოთქვა, მან გარშემო შეკრებილთ თვალი შეავლო და მათ მიმართა: აპა, ჩემი დრო მოახლოვდა.

2 ვხედავ, რომ ხართ სუსტნი, ვერ ჩასწვდით ჩემს ყოველ სიტყვას, რომელიც ამჟამად მამის ბრძანებით უნდა გითხრათ.

3 ამიტომ, წადით თქვენს სახლებში და იმსჯელეთ ყოველივე იმაზე, რაც გითხარით და სთხოვეთ მამას ჩემი სახელით, ჩასწვდეთ მათ და მოამზადეთ გონება ხვალისთვის და მე კვლავ მოვალ თქვენთან.

4 მაგრამ, ახლა მამასთან მივდივარ და ასევე ისრაელის დაკარგულ ტომებს უნდა გამოგვცხადო, რადგან ისინი არ არიან მამისთვის დაკარგულნი, რამეთუ მან იცის, სად წაიყვანა ისინი.

5 და იყო ასე, რომ როდესაც იესომ ეს ილაპარაკა, მან კვლავ თვალი შეავლო გარშემო შეკრებილთ და იხილა, რომ იყვნენ აცრემლებულნი და დაჟინებით შესცქეროდნენ მას, თითქოს სთხოვდნენ, რომ კიდევ ცოტა ხნით დარჩენილიყო მათთან.

6 და მან უთხრა: აჰა, შიგნეულობა ამევსო სიბრალულით თქვენ მიმართ.

7 არიან თქვენ შორის ავადმყოფნი? აქ მოიყვანეთ. არიან თქვენ შორის ხეიბარნი, ბრმანი ან კოჭლნი, დასახიჩრებულნი, კეთროვანნი ან ჩამომხმარნი, დაყრუებულნი ან რაიმეთი დაავადებულნი? აქ მოიყვანეთ, მე განგკურნავ, რადგან მოწყალეობას ვგრძნობ თქვენ მიმართ, შიგნეულობა ჩემი წყალობით არის ადვსილი.

8 რადგან ვხედავ, რომ გსურთ განახლოთ ის, რაც გაფუკეთე თქვენს ძმებს იერუსალიმში, ვინაიდან ვხედავ, თქვენი რწმენა საკმარისია, რათა განგკურნოთ.

9 და იყო ასე, რომ როდესაც მან ეს წარმოთქვა, შეკრებილებმა ერთად მიიყვანეს თავიანთი ავადმყოფნი, გაჭირვებულნი და ხეიბარნი, თავიანთი ბრმანი და მუნჯნი და ყველანი, ვინც რაიმეთი დაავადებული იყო და მან განგკურნა ყოველი მათგანი, როდესაც მასთან მიიყვანეს.

10 და მათ, რომლებიც განიკურნენ და რომლებიც იყვნენ ჯანმრთელნი, მის ფერხითი მუხლი მოიყარეს და ეთაყვანნენ მას; და ყოველმა, ვინც შეძლო ხალხის ბრბოდან გამოსვლა, ფეხებზე ემთხვია, ისე რომ ცრემლებით ფეხები დაბანეს მას.

11 და იყო ასე, რომ მან ბრძანა, მოეყვანათ პატარა ბავშვები.

12 ასე რომ, მათ მოიყვანეს პატარა ბავშვები და მის გარშემო მიწაზე დასვეს და იესო შუაში იდგა და შეკრებილებმა გზა დაუთმეს, სანამ მასთან ყველა არ მოიყვანეს.

13 და იყო ასე, რომ, როდესაც ყველა მოიყვანეს და იესო იდგა მათ შორის, მან უბრძანა შეკრებილთ, რომ მიწაზე მუხლი მოეყარათ.

14 და იყო ასე, რომ როდესაც მიწაზე მოიყარეს მუხლი, იესომ ამოიოხრა გულში და თქვა:

მამაო, ისრაელის სახლის ხალხის სიბოროტის გამო ვღელავ.

15 და როდესაც წარმოთქვა ეს სიტყვები, თვითონაც მოიყარა მუხელი მიწაზე და აჰა, ილოცა მამისადმი და ის, რაც ილოცა, ვერ დაიწერება და შეკრებილები, რომლებიც მას უსმენდნენ, იყვნენ ამის მოწმენი.

16 და ამგვარად, ისინი მოწმობენ: არც თვალს უნახავს ოდესმე, არც ყურს სმენია მანამდე, ისეთი დიადი და საოცარი რამ, რაც ვიხილეთ და მოვისმინეთ, რასაც იესო მამას ეუბნებოდა;

17 და ვერცერთ ენაზე ვერ ითქმის და ვერცერთი ადამიანი ვერ დაწერს, არც ადამიანთა გულს შეუძლია წარმოიდგინოს ის დიადი და საოცარი რამ, რაც ჩვენ ვიხილეთ და მოვისმინეთ იესოს საუბრისას; და ვერავინ წარმოიდგენს იმ სიხარულს, რომლითაც აღივსო ჩვენი სულები იმ დროს, როდესაც ჩვენ მოვისმინეთ, რასაც იგი ჩვენთვის ლოცულობდა მამისადმი.

18 და იყო ასე, რომ როდესაც იესომ დაასრულა მამისადმი ლოცვა, იგი წამოდგა, მაგრამ იმდენად დიდი იყო შეკრებილთა სიხარული, რომ ძალა გამოეცალათ.

19 და იყო ასე, რომ იესომ მათ მიმართა და უთხრა, წამომდგარიყვნენ.

20 ისინი წამოდგნენ მიწიდან და მან მიმართა: კურთხეულნი

ხართ თქვენი რწმენისთვის და ახლა სრულია ჩემი სიხარული.

21 და ამ სიტყვების თქმისას, მან იტირა და შეკრებილები იყვნენ ამის მოწმენი და სათითაოდ აიყვანა მან მათი პატარა ბავშვები და აკურთხა ისინი და ლოცულობდა მათთვის მამისადმი.

22 და როდესაც მან ეს დაასრულა, კვლავ იტირა;

23 და მან მიმართა შეკრებილთა და უთხრა მათ: შეხედეთ თქვენს პატარებს.

24 და როდესაც მათ შეხედეს, რათა ეხილათ, მათ ზეცისკენ აღაპყრეს თვალები და იხილეს: ზეცა გაიხსნა და ანგელოზები ეშვებოდნენ ზეციდან, ვითარცა ცეცხლის შუაგულში; და დაეშვნენ ისინი და გარს შემოერთყნენ პატარებს და ისინი ცეცხლით იყვნენ გარშემორტყმულნი; და ანგელოზები მათ ემსახურებოდნენ.

25 და შეკრებილებმა იხილეს და მოისმინეს და მოწმენი იყვნენ; და იციან, რომ დამოწმება მათი არის ჭეშმარიტი, ვინაიდან ყოველმა მათგანმა იხილა და მოისმინა, ყოველმა ადამიანმა თავისთვის; და ისინი იყვნენ დაახლოებით, ორი ათას ხუთასი სული და იქ იყვნენ კაცები, ქალები და ბავშვები.

თავი 18

იესო ნეფიელებს შორის აწესებს

ზიარებას. უბრძანა, ყოველთვის ილოცონ მისი სახელით. განწირულნი არიან, რომლებიც მიიერთებენ მის ხორცსა და სვამენ მის სისხლს უღირსად. მოწაფეებს მიეცათ უფლებამოსილება, მიანიჭონ სულიწმინდა. დაახლოებით 34 წ. ჩვენი წელთაღრიცხვით.

1 და იყო ასე, რომ იესომ უბრძანა თავის მოწაფეებს, მოეტანათ მისთვის ცოტაოდენი პური და ღვინო.

2 და იმ დროს, როდესაც პურისა და ღვინის მოსატანად იყვნენ წასულნი, მან შეკრებილთ უბრძანა, მიწაზე დამსხდარიყვნენ.

3 და როდესაც მოწაფეები მოვიდნენ პურითა და ღვინით, მან აიღო პური, გატეხა და აკურთხა; და მისცა იგი მოწაფეებს და უბრძანა, რომ მიერთვათ.

4 და როდესაც მიირთვეს და დანაყრდნენ, მან უბრძანა, რომ შეკრებილთათვის ჩამოერიგებინათ.

5 და როდესაც შეკრებილებმა მიირთვეს და დანაყრდნენ, მან მოწაფეებს უთხრა: აჰა, თქვენ შორის ერთი მიიღებს კურთხევას და მას ვუბოძებ ძალაუფლებას, გატეხოს პური და აკურთხოს იგი და დაურიგოს ჩემი ეკლესიის ხალხს, ყველას, რომელიც იწამებს და ჩემი სახელით მოინათლება.

6 და ეს ყოველთვის უნდა

გააკეთოთ, როგორც მე გავაკეთე, ისე, როგორც გავტეხე პური, ვაკურთხე და თქვენ მოგეცით.

7 და ამას გააკეთებთ ჩემი სხეულის მოსაგონებლად, რომლითაც თქვენ გამოგეცხადეთ. და ეს იქნება მოწმობა მამისადმი, რომ ყოველთვის გახსოვართ. და თუ ყოველთვის გეხსომებით, თქვენთან იქნება ჩემი სული.

8 და იყო ასე, რომ როდესაც ეს სიტყვები წარმოთქვა, მან უბრძანა თავის მოწაფეებს, აეღოთ ღვინო ფიალიდან და შეესვათ იგი, ასევე მიეცათ ის შეკრებილთათვის, რათა მათაც შეესვათ.

9 და იყო ასე: ისინი ასე მოიქცნენ, იქიდან შესვეს და წყურვილი მოიკლეს; და შეკრებილებს ჩამოურიგეს და მათაც შესვეს და მათაც მოიკლეს წყურვილი.

10 და როდესაც მოწაფეები ასე მოიქცნენ, იესომ მათ უთხრა: კურთხეულნი ხართ იმისთვის, რომ ასე მოიქცით, ვინაიდან ეს არის ჩემი მცნებების შესრულება და ეს მოწმობს მამისადმი, რომ მოწადინებულნი ხართ აკეთოთ ის, რაც გიბრძანეთ.

11 და ყოველთვის ასე მოიქცევით მათთვის, რომლებიც მოინანიებენ და მოინათლებიან ჩემი სახელით; და გააკეთებთ ამას ჩემი სისხლის მოსაგონებლად, რომელიც თქვენთვის დავგვარე, რათა მოწმენი იყოთ მამისადმი, რომ ყოველთვის გეხსომებით.

და თუ ყოველთვის გეხსომებით, თქვენთან იქნება ჩემი სული.

12 და მე გაძღვევთ მცნებას, რომ ყოველივე ეს შეასრულოთ; და თუ ყოველთვის ამას შეასრულებთ, კურთხეულნი ხართ, რადგან ჩემს კლდეზე ხართ აგებულნი.

13 მაგრამ ყოველი თქვენ შორის, ვინც ჩაიდენს ამაზე მეტს ან ნაკლებს – არ არის ჩემს კლდეზე აგებული, არამედ არის აგებული ქვიშის საძირკველზე; და როდესაც წვიმა მოვა და წყალდიდობა დაიწყება და ქარები ამოვარდება და ეკვეთება მათ, ისინი დაეცემიან და ჯოჯოხეთის ბჭენი არის ღია მათ მისაღებად.

14 ამიტომ, კურთხეულნი ხართ, თუ დაიცავთ ჩემს მცნებებს, რომლებიც მამამ მიბრძანა, თქვენთვის მომეცა.

15 ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით, უნდა იფხიზლოთ და ილოცოთ, რათა ეშმაკმა არ გაცდუნოთ და ტყვედ არ წაგიყვანოთ.

16 და როგორც მე ვილოცე თქვენ შორის, ისე ილოცებთ თქვენც, ჩემს ეკლესიაში, ჩემს ხალხს შორის, რომელიც მოინანიებს და ჩემი სახელით მოინათლება. აჰა, მე ვარ სინათლე; თვალსაჩინო მაგალითი მოგეცით.

17 და იყო ასე, რომ როდესაც იესომ ეს სიტყვები უთხრა თავის მოწაფეებს, იგი კვლავ

მოუბრუნდა შეკრებილთ და უთხრა:

18 აჰა, ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით, ყოველთვის უნდა იფხიზლოთ და ილოცოთ, რათა ცდუნებაში არ ჩავარდეთ, რადგან სატანას სურს დაგეუფლოთ, რომ ხორბალივით გაგცხრილოთ.

19 ამიტომ, ყოველთვის უნდა ილოცოთ მამისადმი ჩემი სახელით;

20 და რასაც მამას სთხოვთ ჩემი სახელით, რაც არის სწორი, გწამთ რა, რომ მიიღებთ, აჰა, ის თქვენ მოგეცემათ.

21 ყოველთვის ილოცეთ მამისადმი თქვენს ოჯახებში ჩემი სახელით, რათა კურთხეული იყოს თქვენი ცოლ-შვილი.

22 და აჰა, თქვენ ხშირად შეიკრიბებით; და არავის აუკრძალავთ თქვენთან მოსვლას, როდესაც ერთად შეიკრიბებით, არამედ მოუშვებთ მათ თქვენთან და არ აუკრძალავთ თქვენთან მოსვლას;

23 და ილოცებთ მათთვის და არ გააძევეთ; და თუ ასე იქნება, რომ თქვენთან ხშირად მოვლენ, მათთვის ილოცებთ მამისადმი, ჩემი სახელით.

24 ამიტომ, მაღლა აღმართეთ თქვენი სინათლე, რათა მთელი ქვეყანა გაანათოს. აჰა, მე ვარ სინათლე, რომელიც მაღლა უნდა აღმართოთ ჩემი ნამოქმედარის შესაბამისად, რომელიც თავად იხილეთ. აჰა, თქვენ

იხილეთ, რომ მამისადმი ვილოცე და თქვენ ყველანი იყავით ამის მოწმენი.

25 და თქვენ ხედავთ, რომ არცერთ თქვენგანს არ ვუბრძანე, წასულიყო, არამედ გიბრძანეთ, რომ ჩემთან მოსულიყავით, რათა იგრძნოთ და იხილოთ; თქვენც ასე გააკეთებთ ქვეყნისადმი; და ყოველი, ვინც დაარღვევს ამ მცნებას, საკუთარ თავს ცდუნებისკენ უბიძგებს.

26 და ახლა, იყო ასე: როდესაც იესომ წარმოთქვა ეს სიტყვები, მან თვალი შეავლო თავის მოწაფეებს, რომლებიც ამოირჩია და უთხრა:

27 აჰა, ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით: გაძლევთ კიდევ ერთ მცნებას და შემდეგ უნდა წავიდეთ ჩემს მამასთან, რათა აღვასრულო სხვა ბრძანებები, რომლებიც მან მომცა.

28 და ახლა, აჰა, ეს არის მცნება, რომელსაც გაძლევთ: არ დაუშვათ, რომ ვინმე უღირსმა შეგნებულად მიიღოს ჩემი ხორცი და სისხლი, როდესაც ამას ჩამოარიგებთ;

29 რადგან, რომელიც უღირსად მიირთმევს და დაღვეს ჩემს ხორცსა და სისხლს, მიირთმევს და დაღვეს წყევლას საკუთარი სულისთვის; ამიტომ, თუ იცით, რომ ადამიანი არის უღირსი იმისთვის, რომ მიირთვას და შესვას ჩემი ხორცი და სისხლი, თქვენ მას უნდა აუკრძალოთ.

30 ამისდა მიუხედავად, არ

გააძევოთ თქვენგან, არამედ ემსახურეთ და ილოცეთ მისთვის მამისადმი ჩემი სახელით; და თუ იქნება ასე, რომ მოინანიებს და მოინათლება ჩემი სახელით, მაშინ მიიღებთ მას და ჩამოურიგებთ ჩემს ხორცსა და სისხლს.

31 მაგრამ, თუ არ მოინანიებს – არ ჩაითვლება ჩემს ხალხში, რათა არ გაანადგუროს ჩემი ხალხი, რადგან, აჰა, მე ვცნობ ჩემს ცხვრებს და ისინი არიან დათვლილნი.

32 ამისდა მიუხედავად, არ გააძევოთ იგი თქვენი სინაგოგებიდან ანუ თქვენი თაყვანისცემის ადგილებიდან, რადგან ასეთებისთვის უნდა გააგრძელოთ მსახურება, რამეთუ არ იცით, შეიძლება დაბრუნდნენ და მოინანიონ და ჩემთან მოვიდნენ გულის მთელი მოწადინებით და განვკურნავ მათ და თქვენ იქნებით ის წყარო, რომლითაც მათთან ხსნა მივა.

33 ამიტომ, შეინახეთ ეს სიტყვები, რომლებიც მე გიბრძანეთ, რათა არ იქნეთ განსჯილნი; ვინაიდან ვარაძი მას, რომელსაც მამა განსჯის.

34 და მე გაძლევთ ამ მცნებებს იმ კამათის გამო, რომელიც იყო თქვენ შორის. და კურთხეულნი ხართ, თუ არ გაქვთ კამათი ერთმანეთში.

35 და ახლა მივდივარ მამასთან, რადგან საჭიროდ ვთვლი, რომ თქვენი გულისთვის მამასთან უნდა წავიდეთ.

36 და იყო ასე, რომ როდესაც იესომ დაასრულა ეს სიტყვები, იგი ხელით შეეხო მოწაფეებს, რომლებიც ამოირჩია, სათითაოდ, სანამ ყველას არ შეეხო და შეხებისას მათ ესაუბრებოდა.

37 და შეკრებილებს არ ესმოდათ სიტყვები, რომლებსაც იგი ეუბნებოდა, ამიტომ ისინი ვერ დაამოწმებდნენ, მაგრამ მოწაფეები მოწმობდნენ, რომ მან უბოძა მათ სულიწმინდის მინიჭების ძალა. და მე ამიერიდან დაგანახებთ, რომ ეს დამოწმება არის ჭეშმარიტი.

38 და იყო ასე, რომ როდესაც იესო ყოველ მათგანს შეეხო, გამონდა ღრუბელი და დაჩრდილა შეკრებილნი, რომ ვეღარ ეხილათ იესო.

39 და როდესაც ღრუბლით იყვნენ დაფარულნი, მან ისინი დატოვა და ზეცაში ამაღლდა. და მოწაფეებმა იხილეს და მოწმენი იყვნენ, რომ იგი კვლავ ზეცაში ამაღლდა.

თავი 19

თორმეტი მოწაფე ხალხს ემსახურება და სულიწმინდისთვის ღოცულობს. მოწაფეები ინათლებიან და იღებენ სულიწმინდას და ანგელოზები ემსახურებიან მათ. იესო ღოცულობს ისეთი სიტყვებით, რომლებიც ვერ დაიწერება. იგი ადასტურებს ამ ნეფიელთა ძალზედ დიდ რწმენას.

დაახლოებით 34 წ. ჩვენი წელთაღრიცხვით.

1 და ახლა, იყო ასე: როდესაც იესო ამაღლდა, შეკრებილები დაიშალნენ და ყოველმა კაცმა საკუთარ ცოლ-შვილს ხელი მოკიდა და სახლში დაბრუნდა.

2 და ხალხში დაბნელებამდე უმალ ხმა დაირხა, რომ შეკრებილებმა იესო იხილეს და რომ იგი მათ ემსახურა და მომდევნო დღეს შეკრებილებს კვლავ გამოეცხადებოდა.

3 დიახ, მთელი დამე შემოგარენში ვრცელდებოდა ხმა იესოს შესახებ; და იმგვარად გაავრცელეს ის ხალხში, რომ მრავალნი, დიახ, ძალზედ ბევრნი, მთელი დამე მუხლმოუყრელად მუშაობდნენ, რათა მომდევნო დღეს ყოფილიყვნენ იმ ადგილზე, სადაც იესო შეკრებილ ხალხს გამოეცხადებოდა.

4 და იყო ასე, რომ მომდევნო დღეს, როდესაც ბრბო ერთად შეიკრიბა, აჰა, ნეფი და მისი ძმა, რომელიც მან მკვდრეთით აღადგინა და რომელსაც ერქვა ტიმოთე და ასევე მისი შვილი, რომელსაც ერქვა იონასი და ასევე მათონი და მისი ძმა, მათონიჰა, და კუმენი, კუმენონი და იერემია, შემნონი და იონასი, ციდეკიაჰუ და ესაია – ასე ერქვათ მოწაფეებს, რომლებიც იესომ აირჩია; და იყო ასე, რომ ისინი წავიდნენ და შეკრებილთა შორის დადგნენ.

5 და აჰა, შეკრებილნი იყვნენ იმდენად მრავალრიცხოვანნი, რომ მათ ბრძანეს, ისინი თორმეტ ჯგუფად დაყოფილიყვნენ.

6 და თორმეტი ასწავლიდა შეკრებილთ; და აჰა, მათ ბრძანეს, შეკრებილებს მიწაზე მუხლი მოეყარათ და მამისადმი ელოცათ იესოს სახელით.

7 და მოწაფეებმაც ასევე ილოცეს მამისადმი იესოს სახელით. და იყო ასე, რომ ფეხზე წამოდგნენ და ხალხს ემსახურნენ.

8 და როდესაც მათ წარმოთქვეს იგივე სიტყვები, რომლებიც იესომ თქვა, არ შეცვალეს რა არაფერი იესოს მიერ ნათქვამ სიტყვებში, აჰა, მათ კვლავ მუხლი მოიყარეს და იესოს სახელით მამისადმი ილოცეს.

9 და მათ ილოცეს იმისათვის, რაც ყველაზე მეტად სურდათ; და მათ სურდათ, მათთვის სულიწმინდა ებოძებინათ.

10 და როდესაც ამგვარად ღოცულობდნენ, მივიდნენ წყლის პირას და შეკრებილნიც უკან მიჰყვნენ.

11 და იყო ასე, რომ ნეფი ჩავიდა წყალში და მონათლა.

12 და იგი ამოვიდა წყლიდან და დაიწყო ნათვლა. და მონათლა ყველა, რომლებიც იესომ ამოირჩია.

13 და იყო ასე: როდესაც ყველანი მონათლნენ და წყლიდან ამოვიდნენ, მათ სულიწმინდა მოეველინათ და აღივსნენ სულიწმინდითა და ცეცხლით.

14 და აჰა, მათ გარშემო შემოერთყათ ვითარცა ცეცხლი და იგი ზეციდან დაეშვა და შეკრებილნი იყვნენ ამის მოწმენი და მოწმობდნენ ამას; და ანგელოზები ჩამოვიდნენ ზეციდან და მათ ემსახურნენ.

15 და იყო ასე, რომ როდესაც ანგელოზები ემსახურებოდნენ მოწაფეებს, აჰა, იესო მოვიდა და შუაში დადგა და მათ ემსახურა.

16 და იყო ასე, რომ მან მიმართა შეკრებილთ და უბრძანა, კვლავ მოეყარათ მუხლი მიწაზე და ასევე მის მოწაფეებსაც მიწაზე მოეყარათ მუხლი.

17 და იყო ასე, რომ როდესაც ყველამ მიწაზე მუხლი მოიყარა, მან უბრძანა მოწაფეებს, რომ ელოცათ.

18 და აჰა, მათ დაიწყეს ღოცვა; და ღოცულობდნენ იესოსადმი, უწოდებდნენ რა მას თავიანთ უფალსა და თავიანთ ღმერთს.

19 და იყო ასე, რომ იესო მათგან გამოვიდა და შორიახლოს გავიდა, მიწაზე მუხლი მოიყარა და თქვა:

20 მამაო, მაღლობა, რომ სულიწმინდა უბოძე ჩემს რჩეულთ; მათი რწმენისათვის ჩემში, მე ისინი ამ ქვეყნიდან ამოვირჩიე.

21 მამაო, შენსადმი ვლოცულობ, რათა უბოძო სულიწმინდა ყოველ მათგანს, რომელიც იწამებს მათ სიტყვებს.

22 მამაო, შენ უბოძე მათ სულიწმინდა, ვინაიდან სწამთ ჩემი; და შენ ხედავ, რომ მათ სწამთ

ჩემი, ვინაიდან მათი გესმის და ისინი ჩემდამი ლოცულობენ; და ისინი ლოცულობენ ჩემდამი, ვინაიდან მე ვარ მათთან.

23 და ახლა, მამაო, მე მათთვის ვლოცულობ შენდამი და ასევე ყველასათვის, რომლებიც მათ სიტყვებს იწამებენ, რათა ჩემი იწამონ, რათა ვიყო მათში, როგორც შენ, მამაო, ხარ ჩემში, რათა ვიყოთ ერთნი.

24 და იყო ასე: როდესაც იესომ მამისადმი ამგვარად ილოცა, მივიდა მოწაფეებთან და აჰა, ისინი აგრძელებდნენ განუწყვეტლივ ლოცვას მისდამი; და არ იყვნენ სიტყვამრავალნი, რადგან მათ მიეცათ ის, რისთვისაც უნდა ელოცათ და ისინი სურვილით იყვნენ აღვსილნი.

25 და იყო ასე, რომ იესომ აკურთხა ისინი, როდესაც მისდამი ლოცულობდნენ; და მისი სახე მათ უღიმოდა და ანათებდა სინათლე მათზედ მისი იერსახისა; და აჰა, იყვნენ გაქათქათებულნი, ვითარცა იესოს იერსახე და სამოსი; და ეს სიქათქათე აღემატებოდა ყოველ სიქათქათეს, დიახ, არ იქნებოდა მიწაზე არაფერი იმ სიქათქათეზე უფრო თეთრი.

26 და იესომ მათ უთხრა: გააგრძელეთ ლოცვა; თუმცა ლოცვას ისედაც არ წყვეტდნენ.

27 და კვლავ გაბრუნდა მათგან და შორიახლოს გავიდა და მიწაზე მუხლი მოიყარა და კვლავ ილოცა მამისადმი სიტყვებით:

28 მამაო, მადლობა, რომ განწმინდე ისინი, რომლებიც მე ამოვირჩიე მათი რწმენის გამო და მე ვლოცულობ მათთვის, ასევე ვლოცულობ მათთვის, რომლებიც იწამებენ მათ სიტყვებს, რათა ჩემში განიწმინდონ მათი სიტყვების რწმენით, როგორც ჩემი მოწაფეები განიწმინდნენ ჩემში.

29 მამაო, ვლოცულობ არა ამა ქვეყნისთვის, არამედ მათთვის, რომლებიც ამ ქვეყნიდან მიბოძე მათი რწმენის გამო, რათა განიწმინდონ ჩემში, რათა ვიყო მათში, როგორც შენ, მამაო, ხარ ჩემში, რათა ვიყოთ ერთნი, რათა მათში განვდიდე.

30 და როდესაც იესომ ეს სიტყვები წარმოთქვა, იგი კვლავ მივიდა თავის მოწაფეებთან; და აჰა, ისინი მტკიცედ, განუწყვეტლივ ლოცულობდნენ მისდამი და მან კვლავ გაუღიმა მათ; და აჰა, ისინი იყვნენ სპეტაკნი, როგორც იესო.

31 და იყო ასე, რომ იგი კვლავ გავიდა შორიახლოს და მამისადმი ილოცა;

32 და ენით ვერ ითქმის სიტყვები, რომლებითაც იგი ლოცულობდა, ვერც ჩაიწერება ადამიანის მიერ სიტყვები, რომლებითაც იგი ლოცულობდა.

33 და შეკრებილებმა მოისმინეს და იყვნენ ამის მოწმენი; და გულგახსნილები იყვნენ და გულში ჩასწვდათ სიტყვები, რომლებითაც იგი ლოცულობდა.

34 ამისდა მიუხედავად, იმდენად დიდი და საოცარი იყო სიტყვები, რომლებითაც იგი ლოცულობდა, რომ ვერ დაიწერება და ვერ ითქმის ადამიანის მიერ.

35 და იყო ასე: როდესაც იესომ ლოცვა დაასრულა, იგი კვლავ მივიდა მოწაფეებთან და მათ უთხრა: არასდროს მინახავს ამოდენა რწმენა მთელ იუდეველთა შორის; ამიტომ, მათ ვერ დავანახე ესოდენ დიდი სასწაულები, მათი ურწმუნოების გამო.

36 ჭეშმარიტად გეუბნებით: არცერთ მათგანს არ უნახავს ესოდენ დიადი რამ, რაც თქვენ იხილეთ; არც მოუსმენიათ ესოდენ დიადი სიტყვები, რომლებიც თქვენ მოისმინეთ.

თავი 20

იესო სასწაულით უზრუნველყოფს პურსა და ღვინოს და ხალხს კვლავ ჩამოურიგებს ზიარებას. იაკობის ნარჩენი მივა უფლის, თავიანთი ღმერთის, ცოდნამდე და ამერიკის კონტინენტს მემკვიდრეობით მიიღებს. იესო არის წინასწარმეტყველი, როგორც მოსე და ნეფიელები არიან წინასწარმეტყველის შვილები. უფლის დანარჩენი ხალხი იერუსალიმში შეიკრიბება. დაახლოებით 34 წ. ჩვენი წელთაღრიცხვით.

1 და იყო ასე, რომ მან უბრძანა შეკრებილებს, ლოცვა შეეწყვიტათ, ასევე თავის მოწაფეებსაც.

და უბრძანა მათ, გულში არ შეეწყვიტათ ლოცვა.

2 და მათ უბრძანა, რომ წამომდგარიყვნენ და ფეხზე დამდგარიყვნენ. და ისინი წამოდგნენ და ფეხზე დადგნენ.

3 და იყო ასე, რომ მან კვლავ გატეხა და აკურთხა პური და ჩამოურიგა მოწაფეებს, რათა მიერთვათ.

4 და როდესაც მათ მიირთვეს, მან უბრძანა, გაეტეხათ პური და შეკრებილთათვის ჩამოურიგებინათ.

5 და როდესაც მათ შეკრებილებს ჩამოურიგეს, ღვინო მისცა, რომ შეესვათ და უბრძანა, რომ ის შეკრებილთათვისაც მიეცათ.

6 ახლა, იქ პური და ღვინო არ ჰქონდათ მოტანილი არც მოწაფეებს და არც შეკრებილთ;

7 მაგრამ, მან ჭეშმარიტად მისცა მათ პური საჭმელად და ასევე ღვინო დასალევად.

8 და უთხრა მათ: ის, ვინც ამ პურს მიირთმევს, იგემებს ჩემს ხორცს საკუთარი სულისათვის; და ის, ვინც შესვამს ამ ღვინოს, საკუთარი სულისთვის შესვამს ჩემს სისხლს; და მისი სული დანაყრდება, არასდროს იქნება არც მშვიერი, არც მწყურვალი.

9 ახლა, როდესაც შეკრებილებმა ყველამ მიირთვეს და შესვეს, აჰა, აღივსნენ სულით; და ერთხმად შეჰკლადეს და დიდება მიაგეს იესოს, რომელიც იხილეს და რომელსაც მოუსმინეს.

10 და იყო ასე, რომ როდესაც მათ ყველამ დიდება მიაგეს იესოს, მან უთხრა მათ: აჰა, ახლა მე ვასრულებ ბრძანებას, რომელიც მამამ მომცა ამ ხალხის შესახებ, რომელიც არის ისრაელის სახლის ნარჩენი.

11 თქვენ გახსოვთ, რომ მოგმართეთ და გითხარით, რომ როდესაც ახდება ესაიას სიტყვები – აჰა, ისინი დაწერილია, თქვენ წინაშეა ისინი, ამიტომაც შეისწავლეთ –

12 და ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით, როდესაც ისინი ახდება, მაშინ აღსრულდება აღთქმა, რომელიც მამამ დადო თავის ხალხთან, ისრაელის სახლო.

13 და შემდეგ, ნარჩენი, რომელიც გაფანტული იქნება დედამიწის პირზე, შეიკრიბება აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან, სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან და მიყვანილი იქნება უფლის, თავიანთი ღმერთის, ცოდნამდე, რომელმაც ისინი გამოისყიდა.

14 და მამამ მიბრძანა, მომეცა ეს მიწა თქვენთვის, თქვენი მემკვიდრეობისათვის.

15 და მე გეუბნებით, რომ თუ წარმართნი არ მოინანიებენ იმ კურთხევის შემდეგ, რომელსაც მიიღებენ ჩემი ხალხის გაფანტვის შემდეგ –

16 მაშინ თქვენ, რომლებიც ხართ იაკობის სახლის ნარჩენი, წახვალთ მათთან და იქნებით

მათ შორის და ისინი იქნებიან ბევრნი; და იქნებით, ვითარცა ლომი ტყის მხეცვებში და ახალგაზრდა ლომით ცხვრის ფარაში, რომელიც თუ გაივლის მათ შორის – გათელავს და ნაფლეთებად დაგლეჯს და ვერავინ ვერ იხსნის მათ.

17 აღიმართება შენი ხელი შენს მტრებზე და მოკვეთილ იქნება ყოველი შენი მტერი.

18 და მე შეგკრებ ჩემს ხალხს, როგორც ადამიანი აგროვებს თავის ძნას კალოზე.

19 ვინაიდან მე ვაქცევ ჩემს ხალხს, რომელთანაც მამამ დადო აღთქმა, დიახ, რკინად ვაქცევ შენს რქას, სპილენძად ვაქცევ შენს ჩლიქებს. და დაამსხვრევე ნამსხვრევეებად მრავალ ხალხს და მათ მონაპოვარს მივუძღვნი უფალს და მათ ქონებას – მთელი დედამიწის უფალს. და აჰა, მე ვარ ის, რომელიც ამას აკეთებს.

20 და იქნება ასე, – ამბობს მამა, რომ ჩემი სამართლის მახვილი იმ დღეს აღიმართება მათზე; და თუ არ მოინანიებენ, ის მათზე დაეცემა, – ამბობს მამა, დიახ, წარმართთა მთელ ერზე.

21 და იქნება ასე, რომ მე დავაარსებ ჩემს ხალხს, ისრაელის სახლო.

22 და აჰა, ამ ხალხს ამ მიწაზე დავამკვიდრებ, რათა აღვასრულო აღთქმა, რომელიც თქვენს მამასთან, იაკობთან,

დავდე; და ეს იქნება ახალი იერუსალიმი. და ზეციური ძალები იქნება ამ ხალხის შორის; დიახ, მე თავად ვიქნები თქვენ შორის.

23 აჰა, მე ვარ, ვისზეც მოსე ამბობდა სიტყვებით: წინასწარმეტყველს აღგიდგენს უფალი, თქვენი ღმერთი, თქვენი ძმათა წიაღიდან, ჩემს მსგავსს; მას დაუგდებთ ყურს ყველაფერში, რასაც გეტყვით. და იქნება ასე, რომ ყოველი სული, რომელიც არ მოუსმენს იმ წინასწარმეტყველს, მოკვებით იქნება ხალხის წიაღიდან.

24 ჭეშმარიტად გეუბნებით, დიახ, სამუელიდან ყოველი წინასწარმეტყველი და ისინი, რომლებიც იყვნენ მის შემდეგ, რამდენმაც ილაპარაკა, ჩემზე დაამოწმეს.

25 და აჰა, თქვენ ხართ ძენი წინასწარმეტყველთა; და თქვენ ხართ ისრაელის სახლისა; და ხართ იმ აღთქმის, რომელიც მამამ დადო თქვენს მამებთან, ეუბნებოდა რა აბრაამს: შენს შთამომავლებში კურთხეულ იქნება დედამიწის ყოველი ტომი.

26 მამამ, აღმადგინა რა პირველად თქვენთვის და მომავლინა თქვენს საკურთხეველად, რათა განერიდებინა ყოველი თქვენგანი ურჯულოებისგან; და ეს იმიტომ, რომ ხართ აღთქმის შვილები –

27 და მას შემდეგ, რაც კურთხეულ იქნით, მამა აღასრულებს აღთქმას, რომელიც მან აბრაამთან დადო სიტყვებით: შენს

შთამომავლებში კურთხეულ იქნება დედამიწის ყოველი ტომი, წარმართებზე სულიწმინდის ჩემგან გადმოღვრით და ეს კურთხევები, წარმართებს აქცევს ყველაზე ძლევა მოსილებად ჩემი ხალხის გასაფანტად, ისრაელის სახლთ.

28 და ისინი ამ მიწის ხალხისთვის იქნებიან მჩაგვრელნი. ამისდა მიუხედავად, როდესაც ისინი მიიღებენ ჩემი სახარების სისრულეს, მაშინ, თუ გაიქვავებენ გულს ჩემს წინააღმდეგ, თავიანთ ურჯულოებას საკუთარ თავზე დაუბრუნებ, – ამბობს მამა.

29 და გავისხენებ აღთქმას, რომელიც ჩემს ხალხთან დავდე; და მათ აღუთქვი, რომ ჩემთვის შესაფერის დროს მათ შეგკრებ, რომ კვლავ მივცემ შემკვიდრობაში თავიანთი მამების მიწას, რომელიც არის მიწა იერუსალიმისა, რომელიც არის მათი აღთქმული მიწა მარადის, – ამბობს მამა.

30 და იქნება ასე, რომ დადგება უამი, როდესაც ჩემი სახარების სისრულე იქნება მათთვის ნაქადაგები.

31 და ისინი მე მიწამებენ, რომ ვარ იესო ქრისტე, ძე ღვთისა; და ილოცებენ მამისადმი ჩემი სახელით.

32 მაშინ მათი გუშაგები აიმაღლებენ ხმას და ერთხმად იმღერებენ; რადგან თავიანთი თვალთ დაინახავენ.

33 შემდეგ მამა კვლავ შეკრებს მათ ერთად და იერუსალიმს უბოძებს მათი მემკვიდრეობის მიწად.

34 შემდეგ მხიარულად შემოს-
დახებენ: ერთად იმღერეთ, თქვე
იერუსალიმის გაპარტახებულ
ადგილებო; რადგან უფალმა
ანუგეშა თავისი ხალხი, მან იე-
რუსალიმი გამოისყიდა.

35 გაიშოშვლა მამამ წმინდა
მკლავი ყველა ერის თვალწინ;
და დედამიწის ყველა კიდე იხი-
ლავს მამის ხსნას; და მამა და
მე ვართ ერთნი.

36 და შემდეგ ახდება ის, რაც
დაწერილია: გაიღვიძე, კვლავ
გაიღვიძე, შეიმოსე ძალით, სი-
ონო; ჩაიცივი მშვენიერი სამოსი,
იერუსალიმო, წმინდა ქალაქო;
რადგან ამიერიდან ველარ შე-
მოვა შენში წინდაუცკეთავი და
უწმინდური.

37 ჩამოიბერტყე მტვერი, აღ-
სდექ, ამხედრდი, იერუსალიმო;
მოიხსენი ბორკილები კისრიდან,
სიონის დატყვევებულ ასულო.

38 რადგან ასე ამბობს უფალი:
მუქთად გაიყიდეთ და უსასყიდ-
ლოდ გამოისყიდებით.

39 ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად
გეუბნებით, რომ ჩემი ხალხი
სცნობს ჩემს სახელს; დიახ, იმ
დღეს ეცოდინებათ, რომ ვარ ის,
რომელიც ვლაპარაკობ.

40 და შემდეგ ისინი იტყვიან:
რა მშვენიერია მთებზე ფეხი
იმისა, რომელსაც მოაქვს სა-
სიხარულო ამბები, რომელიც

აუწყებს მშვიდობაზე, რო-
მელსაც მოაქვს სასიხარულო
ამბები სიკეთისა, რომელიც აუ-
წყებს ხსნას, რომელიც ეუბნება
სიონს: მეფობს შენი ღმერთი!

41 და შემდეგ გაისმება ღა-
ღადი: გაშორდით, გაშორდით,
გამოდით იქიდან, ნუ შეეხებით
იმას, რაც უწმინდურია; გამო-
დით მისი წიაღიდან; განიწმინ-
დეთ თქვენ, უფლის ჭურჭლის
მატარებელნო.

42 რადგან არც აჩქარებით არ
გამოხვალთ და არც გამოიქცე-
ვით; რადგან თქვენ წინ ივლის
უფალი და თქვენ უკან მცვე-
ლად – ისრაელის ღმერთი.

43 აჰა, წარიმართება ჩემი მსა-
ხური კეთილგონივრულად; აღი-
მართება, აიწვევა და დიდად
ამაღლდება.

44 როგორც განცვიფრდნენ
მრავალნი შენი მნახველნი,
მისი იერსახე იყო დამახინჯე-
ბული ისე, როგორც არავისი და
მისი იერი ადამიანის ძისას არ
ჰგავდა –

45 ასე შეაშფოთებს ის მრავალ
ერს; მეფეები მოკუმავენ მის წი-
ნაზე პირს, რადგან დაინახავენ
იმას, რაც არ უამბიათ მათთვის;
და რაც არ სმენიათ, იმას გა-
იგებენ.

46 ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად
გეუბნებით: ყველაფერი ეს აუ-
ცილებლად ახდება ისე, რო-
გორც მამამ მიბრძანა. მაშინ
აღსრულდება აღთქმა, რომელიც
მამამ დადო თავის ხალხთან;

და მაშინ იერუსალიმში კვლავ დასახლდება ჩემი ხალხი და ის იქნება მათი მემკვიდრეობის მიწა.

თავი 21

ისრაელი გაერთიანდება, როდესაც მორმონის წიგნი იქნება მოვლენილი. წარმართნი თავისუფალ ადამიანებად ჩამოყალიბდებიან ამერიკის კონტინენტზე. ისინი გადარჩებიან, თუ იწამებენ და მორჩილნი იქნებიან; წინააღმდეგ შემთხვევაში მოკვეთილ იქნებიან და განადგურდებიან. ისრაელი ააშენებს ახალ იერუსალიმს და დაკარგული ტომები დაბრუნდებიან. დაახლოებით 34 წ. ჩვენი წელთაღრიცხვით.

1 და ჭეშმარიტად გეუბნებით, მოგცემთ ნიშანს, რათა იცოდეთ ჟამი, როდესაც ეს უნდა ახდეს, როდესაც შეეკრებ ჩემს ხალხს, მრავალწლიანი გაფანტულობის შემდეგ, ისრაელის სახლო და მათ შორის კვლავ დაგაარსებ ჩემს სიონს;

2 და აჰა, ამას მოგცემთ ნიშნად, რადგან ჭეშმარიტად გეუბნებით, როდესაც ყოველივე ეს, რაც მე გამოგიცხადეთ და რასაც გამოგიცხადებთ, პირადად და სულიწმინდის ძალით, რომელიც მამისგან მოგეცემათ, წარმართებსაც გამოეცხადებათ, რათა იცოდნენ ამ ხალხის შესახებ – იაკობის სახლის ნარჩენზე

და ამ ჩემს ხალხზე, რომელიც მათ მიერ იქნება გაფანტული;

3 ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით, როდესაც მამისგან მათ ყოველივე ეს გამოეცხადებათ და მამისგან მიღებული თქვენ გადმოგეცემათ;

4 რადგან ამაშია მამის სიბრძნე, რომ ისინი დამკვიდრდნენ ამ მიწაზე და მამის ძალით, თავისუფალ ადამიანებად ჩამოყალიბდნენ, რომ მათგან ეს გადმოვიდეს თქვენი შთამომავლობის ნარჩენთან, რათა აღსრულდეს მამის აღთქმა, რომელიც მან დადო თავის ხალხთან, ისრაელის სახლო.

5 ამიტომ, როდესაც ეს საქმენი და ის საქმენი, რომლებიც მომავალში თქვენ შორის შესრულდება, წარმართებიდან გადმოვა თქვენს შთამომავლებზე, რომლებიც ურჯულოების გამო გადაშენდებიან ურწმუნობაში;

6 რადგან ასე სურს მამას, რომ ეს გადმოვიდეს წარმართებისგან, რათა წარმართებს დაანახოს საკუთარი ძალა იმ მიზნით, რომ წარმართებმა, თუ გულს არ გაიქვავებენ, შეძლონ მონანიება, ჩემთან მოსვლა და ჩემი სახელით ნათლობა და ჩემი მოძღვრების ჭეშმარიტი დედაარსის წვდომა, რათა ჩემს ხალხში ჩაითვალონ, ისრაელის სახლო;

7 და როდესაც ყოველივე ეს ახდება, რომ შენი შთამომავლობა დაიწყებს ყოველივე ამის წვდომას, ეს მათთვის

იქნება ნიშანი, იცოდნენ, რომ უკვე დაწყებულია მამის საქმე იმ აღთქმის აღსასრულებლად, რომელიც მან დადო ხალხთან, რომელიც ისრაელის სახლს მიეკუთვნება.

8 და როდესაც დადგება ის დღე, იქნება ასე, რომ მეფეები დამეწავენ პირს; რადგან დაინახავენ იმას, რაც არ უამბიათ მათთვის; და რაც არ სმენიათ, იმას გაიგებენ.

9 რადგან იმ დღეს მამა აღასრულებს ჩემ გამო საქმეს, რომელიც მათ შორის იქნება დიადი და საოცარი საქმე; და მათ შორის იქნებიან, რომლებიც ამას არ იწამებენ, თუმცა ამას მათ ადამიანი განუცხადებს.

10 მაგრამ, აჰა, ჩემი მსახურის სიცოცხლე ჩემს ხელში იქნება; ამიტომ, მას ვერაფერს ავნებენ, თუმცა, დამახინჯდება მათ გამო. მაგრამ მას განგკურნავ, ვინაიდან მათ დავანახებ, რომ ჩემი სიბრძნე უფრო ძლიერია, ვიდრე ეშმაკის ცბიერება.

11 ამიტომ, იქნება ასე, რომ რომელიც არ იწამებს ჩემს სიტყვებს ანუ იესო ქრისტეს სიტყვებს, რომლებსაც მამა უბრძანებს, წარმართებთან მიიტანოს და უბოძებს ძალას, მიიტანოს ისინი წარმართებთან (ეს მოხდება ისე, როგორც თქვა მოსემ) ისინი ჩემი ხალხისგან მოიკვეთებიან, იმ ხალხისგან, რომელიც არის აღთქმული.

12 და ჩემი ხალხი, რომელიც

არის იაკობის ნარჩენი, იქნება წარმართებს შორის, დიახ, მათ შორის, ვითარცა ღომი ტყის მხეცვებში და ახალგაზრდა ღომით ცხვრის ფარაში, რომელიც თუ გაივლის მათ შორის – გათელავს და ნაფლეთებად დაგლეჯს და ვერავინ ვერ იხსნის მათ.

13 ხელი მათი აღიმართება მტერზე და ყველა მათი მტერი იქნება მოკვეთილი.

14 დიახ, ვარამი წარმართებს, თუ არ მოინანიებენ; ვინაიდან იმ დღეს იქნება ასე, – ამბობს მამა, რომ მე მოვკვეთ შენგან შენს ცხენებს და გაგინადგურებ ეტლებს;

15 და მოვკვეთ შენი მიწის ქალაქებს და დავამხობ ყოველ შენს გამაგრებას.

16 და მოვკვეთ ჯადოსნობას შენი მიწიდან და აღარ გეყოლება გრძნეულები;

17 ქანდაკებებს მოვკვეთ შენი გარემოდან და შენს სათაყვანო ხატებს; და ველარ ეთაყვანები შენი ხელით ნაკეთს;

18 და ამოვიძირკვავ კორომებს შენი გარემოდან; გაგინადგურებ ქალაქებს.

19 და იქნება ასე, რომ მოისპობა ყოველი ტყუილი და სიცრუე, შური, დაპირისპირება და სამღვდლოების ვერცხლისმოყვარეობა და მრუშობა.

20 რადგან იქნება ასე, – ამბობს მამა, რომ იმ დღეს ყველას, ვინც არ მოინანიებს და არ მოვა ჩემს

საყვარელ ძესთან, მოგვეთხრო ჩემი ხალხისგან, ისრაელის სახლო.

21 და მე მოვაველენ მათზე შურისგებასა და რისხვას, როგორც კერპთაყვანისმცემლებზე, ისეთს, როგორიც არ სმენიათ.

22 მაგრამ თუ მოინანიებენ და ჩემს სიტყვებს ყურს დაუგდებენ და გულს არ გაიქვავებენ, მე დავაარსებ ჩემს ეკლესიას მათ შორის; და დადებენ აღთქმას და ჩაითვლებიან იაკობის იმ ნარჩენში, რომელსაც ეს მიწა ვუბოძე საკუთარი მემკვიდრეობისთვის;

23 და დაეხმარებიან ჩემს ხალხს, იაკობის ნარჩენს, ასევე ყველას ისრაელის სახლიდან, რომლებიც მოვლენ, რათა ააშენონ ქალაქი, რომელსაც სახელად ერქმევა ახალი იერუსალიმი.

24 და შემდეგ, ისინი დაეხმარებიან ჩემს ხალხს, რომელიც მთელ მიწის პირზეა გაფანტული, შეიკრიბოს ახალ იერუსალიმში.

25 და შემდეგ ზეციური ძალა მოვევლინება მათ; და მეც მათ შორის ვიქნები.

26 და შემდეგ, დაიწყება მამის სამუშაო იმ დღეს, როდესაც ამ სახარებას იქადაგებენ ამ ხალხის ნარჩენში. ჭეშმარიტად გუბნებით, იმ დღეს დაიწყება მამის სამუშაო, მთელ ჩემს გაფანტულ ხალხში, დიახ, დაკარგულ ტომებში, რომლებიც მამამ იერუსალიმიდან გამოიყვანა.

27 დიახ, მამის მიერ დაიწყება

სამუშაო ყველა ჩემს გაფანტულ ხალხში, რათა მომზადდეს გზა, რომლითაც ისინი მოვიდოდნენ ჩემთან, რათა ჩემი სახელით მამას მიმართონ.

28 დიახ, შემდეგ მამის მიერ დაიწყება სამუშაო ყველა ერში გზის მოსამზადებლად, რომლითაც მისი ხალხი შეიკრიბება სახლში, საკუთარი მემკვიდრეობის მიწაზე.

29 და გამოვლენ ყველა ერიდან; არც აჩქარებით არ გამოვლენ და არც გამოიტყვევიან, რადგან მათ წინ მე ვივლი, – ამბობს მამა, და ზურგიდანაც მე დავიცავ.

თავი 22

უკანასკნელ დღეს დაარსდება სიონი და მისი პალოები და ისრაელი შეიკრიბება შეწყალებითა და აღურსით. ისინი იხეილებენ. შეადარეთ ესაია 54. დაახლოებით 34 წ. ჩვენი წელთაღრიცხვით.

1 და მაშინ ახდება ის, რაც წერია: გაიხარე, ბერწო; ვისაც არასდროს არ გიშობია, შემოსძახე სიმღერა და ხმამაღლა შეჰლაღადე, უტანჯველო მშობიარობით; რადგან მიტოვებულს მეტი შვილი ეყოლება, ვიდრე გათხოვილს, – ამბობს უფალი.

2 გააფართოვე ადგილი შენი კარვისა და დაჭიმე ფარდები შენი საცხოვრებლისა; ნუ დაინანებ, დააგრძელე შენი საბელები და შენი პალოები გაამაგრე;

3 რადგან მარჯვნივ და მარცხნივ განივრცობი, შენი შთამომავლები წარმართებს დაიპყრობენ და უკაცრიელ ქალაქებს დაასახლებენ.

4 ნუ გეშინია, რადგან არ შერცხვები, არც შეცბები, რადგან აღარ შეგრცხვება, რადგან სიყმაწვილის სირცხვილს დაივიწყებ და არ გაიხსენებ სიყმაწვილის დროინდელ საყვედურსა და შენი ქვრივობის სირცხვილს აღარ გაიხსენებ.

5 რადგან შენი შემქმნელი – შენი ქმარი, ცაბაოთ უფალია მისი სახელი; და შენი გამომსყიდველი – ისრაელის წმინდა – მთელი ქვეყნის ღმერთად იწოდება.

6 რადგან უფალმა მოგიხმო, როგორც მიტოვებული ქალი და სულგამწარებული, როგორც სიყმაწვილის ცოლი, როდესაც შეძლებული იყავი, – ამბობს შენი ღმერთი.

7 წამიერად მყავდი მიტოვებული და დიდი მოწყალებით შეგკრებ შენ.

8 მცირე რისხვისას დაგიმაღე სახე წამიერად, მაგრამ მარადიული წყალობით შეგიწყალებ, – ამბობს უფალი, შენი გამომსყიდველი.

9 რადგან ეს ჩემთვის ნოეს წყლებივით არის, როგორც დავიფიცე, რომ ნოეს წყლები აღარ გადაუვლიან მეტად დედამიწას, ასევე დავიფიცე, რომ არ განვრისხდები შენზე.

10 რადგან მთები დაიძვრება და ბორცვები შეირყევა, ჩემი წყალობა კი არ დაიხვეს უკან შენგან, არც ჩემი მშვიდობის აღთქმა არ შეირყევა, – ამბობს შენი მოწყალე უფალი.

11 გაჭირვებულო, ქარნაცემო და უნუგეშო! აჰა, მე დავაწყობ შენს ქებად ანთრაქსს და შენი საფუძვლები საფირონი იქნება.

12 და გავაკეთებ ბადახშით შენს ქონგურებს და შენს ჭიმკრებს ლალის ქვებით და შენს ყველა ზღუდეს – ძვირფასი ქვებით.

13 შენი ყველა შვილი უფლისგან განსწავლული იქნება; და დიდი იქნება შენს შვილთა მშვიდობა.

14 სიმართლით დაფუძნდები; შორს იქნები ჩაგვრისგან, რადგან არ შეგეშინდება და ძრწოლისაგანაც შორს იქნები, რადგან იგი არ მოგიახლოვდება შენ.

15 აჰა, შეიკრიბებიან ერთად შენ წინააღმდეგ, არა ჩემგან; ვინც შეიკრიბება შენ წინააღმდეგ, შენ წინ დაეცემა.

16 აჰა, მე გავაჩინე მჭედელი, რომელიც აღვივებს ცეცხლში ნახშირს; და გამოჰყავს იარაღი თავისი საქმისთვის; და მე გავაჩინე დამანგრეველი დასაღუპავად.

17 შენ წინააღმდეგ დამზადებული არცერთი იარაღი არ იქნება წარმატებული; და ყოველენას, რომელიც შენ წინააღმდეგ

წარსდგება სამსჯავროზე, შენ დაადანაშაულებ. ეს არის ხვედრი უფლის მსახურთა და მათი გამართლება ჩემგან არის, - ამბობს უვალი.

თავი 23

იესო ადასტურებს ესაიას სიტყვებს. იგი ხალხს უბრძანებს, იკვლიონ წინასწარმეტყველები. ლამანიელი სამუელის სიტყვები აღდგომის შესახებ დაემატა მათ ჩანაწერებს. დაახლოებით 34 წ. ჩვენი წელთაღრიცხვით.

1 და ახლა, აჰა, მე გეუბნებით, იკვლიონ ყოველივე ეს. დიახ, გაძღვეთ მცნებას, რომ ბეჯითად იკვლიონ ისინი; რადგან დიადია ესაიას სიტყვები.

2 ვინაიდან ჭეშმარიტად ლაპარაკობდა ყველაფერს ჩემი ხალხის შესახებ, რომელიც ეკუთვნის ისრაელის სახლს; ამიტომ, აუცილებელია, რომ მან წარმართებსაც მიმართოს.

3 და ყოველივე, რაც ილაპარაკა, ახდა და ახდება იმ სიტყვების შესაბამისად, რაც მან ილაპარაკა.

4 ამიტომ, ყური დაუგდეთ ჩემს სიტყვებს; ჩაიწერეთ ყოველივე ის, რაც გითხარით; და მამის დროისა და ნების შესაბამისად ისინი წარმართებთან მივა.

5 და გადარჩება, ვინც ყურს დაუგდებს ჩემს სიტყვებს, მოინანიებს და მოინათლება. იკვლიეთ წინასწარმეტყველები, რადგან

მრავალნი მოწმობენ ამის შესახებ.

6 და ახლა, იყო ასე, რომ როდესაც იესომ ილაპარაკა ეს სიტყვები, მან კვლავ მიმართა მათ მას შემდეგ, რაც განუმარტა ყოველი წმინდა წერილი, რომელიც მიიღეს და უთხრა მათ: აჰა, მსურს, ჩაიწეროთ სხვა წმინდა წერილები, რომლებიც ჯერ არ ჩაგიწერიათ.

7 და იყო ასე, რომ მან უთხრა ნეფის: მომიტანე ის ჩანაწერები, რომლებსაც ინახავდით.

8 და როდესაც ნეფიმ მოიტანა ჩანაწერები და წინ დაუდო, მან თვალი შეავლო მათ და თქვა:

9 ჭეშმარიტად გეუბნებით, მე ვუბრძანე ჩემს მსახურს, ლამანიელ სამუელს, დაემოწმებინა ამ ხალხისთვის, რომ იმ დღეს, როდესაც მამა განადიდებს თავის სახელს ჩემში, იქნება მრავალი წმინდანი, რომელიც მკვდრეთით აღსდგება და მრავალთ გამოეცხადება და ემსახურება მათ. და მან ჰკითხა: განა ასე არ იყო?

10 და მისმა მოწაფეებმა უპასუხეს მას და უთხრეს: დიახ, უფალო, სამუელმა იწინასწარმეტყველა შენი სიტყვების შესაბამისად და ისინი ყველა ახდა.

11 და იესომ მათ უთხრა: როგორ არ ჩაიწერეთ ეს, რომ მრავალი წმინდანი აღდგა და გამოეცხადა მრავალს და მათ ემსახურა?

12 და იყო ასე, რომ ნეფის

გაახსენდა, რომ ეს არ იყო ჩაწერილი.

13 და იყო ასე, რომ იესომ ბრძანა, რომ ეს ჩაეწერათ; ამიტომ, მისი ბრძანების შესაბამისად, ყოველივე ეს ჩაწერილ იქნა.

14 და ახლა, იყო ასე: როდესაც იესომ ერთბაშად განმარტა ყველა წმინდა წერილი, რომელიც მათ ჩაიწერეს, მან უბრძანა, ესწავლებინათ ის, რაც მან განუმარტა.

თავი 24

უფლის მაცნე მეორედ მოსვლისთვის გზას მოამზადებს. ქრისტე იქნება მსაჯულის ადგილზე. ისრაელს უბრძანეს მეთაუდისა და შესაწირავების გადახდა. ინახება სამახსოვრო წიგნი. შეადარეთ მალაქია 3. დაახლოებით 34 წ. ჩვენი წელთაღრიცხვით.

1 და იყო ასე, რომ მან უბრძანა, ჩაეწერათ სიტყვები, რომლებიც მამამ მალაქიას უბოძა, რომლებსაც იგი მათ ეტყვის. რადგან იყო ასე, რომ მას შემდეგ, რაც ისინი ჩაწერილ იქნა, მან ისინი განმარტა. და ეს არის სიტყვები, რომლებიც მათ უთხრა: მამამ ეს უთხრა მალაქიას: აჰა, მოვავლენ ჩემს მაცნეს და მოამზადებს გზას ჩემ წინაშე და უეცრად მოვა თავის ტაძარში უფალი, რომელსაც თქვენ ეძიებთ და აღთქმის მაცნე, რომელიც გსურთ; აჰა, იგი მოვა, – ამბობს ცაბაოთ უფალი.

2 მაგრამ, ვინ აიტანს მისი მოსვლის დღეს და ვინ გაუძლებს მის გამოცხადებას? რადგან ის გამომდნობელის ცეცხლივით არის და მრეცხავთა ტუტესავით.

3 დაჯდება ვერცხლის გამომდნობელივით და განმწმენდელივით; განმწმენდს ლევიანთა შვილებს და გაასუფთავებს მათ, როგორც ოქროსა და ვერცხლს, რომ სიმართლით მიუძღონ უფალს შესაწირავი.

4 მაშინ საამო იქნება უფლისათვის იუდასა და იერუსალიმის შესაწირავი, როგორც ძველ დროში და გარდასულ წლებში.

5 და მოვალ თქვენთან განსაკითხავად და ვიქნები ფიცხელი მოწმე ჯადოქართა და მრუშთა წინააღმდეგ, ცრუმოფიცართა მოჯამაგირეთა და ქვრივობლების მჩაგვრელთა წინააღმდეგ, ხიზნის გამგდებელთა და ჩემს უშიშთა წინააღმდეგ, – ამბობს ცაბაოთ უფალი.

6 რადგან მე ვარ უფალი, მე არ ვიცვლები; და თქვენც არ დაილევით, იაკობის ძენო.

7 თქვენი მამების დღეებიდან მოყოლებული, არღვევდით ჩემს წეს-ჩვეულებებს და არ იცავდით მათ, მოიქცით ჩემკენ და მეც მოვიქცევი თქვენკენ, – ამბობს ცაბაოთ უფალი. მაგრამ თქვენ ამბობთ: რისთვის მოვიქცეთო?

8 განა ადამიანი მოიპარავს ღმერთისგან? თქვენ კი მპარავთ მე. მაგრამ ამბობთ: სად

გპარავთო? მეათედში და შესაწირავში.

9 წყევლითა ხართ დაწყევლილნი, რადგან მომპარეთ, მთელმა ერმა.

10 მოიტანეთ მთელი მეათედი საგანძურში და იყოს საზრდო ჩემს სახლში; აბა, გამომცადეთ ამით, – ამბობს ცაბაოთ უფალი, თუ არ გაგიხსნათ ცის საქანელნი და არ გადმოგიღვართ კურთხევა ისე, რომ მის მისაღებად საკმარისი ადგილი არ იქნება.

11 შენთვის დავაკავებ მჭამელს, რომ არ წაგიხდინოთ მიწის ნაყოფი და არ გაგიპარტახოთ მინდორში ვაზი, – ამბობს ცაბაოთ უფალი.

12 კურთხეულებად ჩაგთვლით ყოველი ხალხი, რადგან სანუკვარ ქვეყანაში იცხოვრებთ – ამბობს ცაბაოთ უფალი.

13 მძლავრობს ჩემზე თქვენი სიტყვები, – ამბობს უფალი. თქვენ კი ამბობთ: რა გვითქვამს შენზეო?

14 თქვენ ამბობთ: ფუჭია ღვთის მორჩილება, რას გვარგებს მისი წეს-ჩვეულებების დაცვა და მწუხარედ სიარული ცაბაოთ უფლის წინაშე?

15 და ბედნიერები არიან ამპარტავნებიო; აშენდნენ კიდევ ბოროტმოქმედნი, ღმერთიც კი გამოსცადეს და გადარჩნენო.

16 მაშინ უფლის მოშიშნი ხშირად ლაპარაკობდნენ ერთმანეთში და ყურს უგდებდა უფალი

და ესმოდა; და დაიწერა მის წინაშე სამახსოვრო წიგნი უფლის მოშიშთათვის და მისი სახელის მომხსენიებელთათვის.

17 და ჩემი იქნებიან ისინი, – ამბობს ცაბაოთ უფალი, როდესაც უნჯად გავამზადებ მათ; და შევიბრალებ, როგორც კაცი შეიბრალებს თავის შვილს, რომელიც მას მორჩილებს.

18 მაშინ დაბრუნდებით და განასხვავებთ მართალს ბოროტისგან, ღვთის მორჩილს მის ურჩისგან.

თავი 25

მეორედ მოსვლის ჟამს ამპარტავანნი და ბოროტნი ნამჯასავით ცეცხლში დაიწვეებიან. დიდი და საშინელი დღის წინელია დაბრუნდება. შეადარეთ მალაქია 4. დაახლოებით 34 წ. ჩვენი წელთაღრიცხვით.

1 რადგან, აჰა, მოდის დღე, თონესავით ავარვარებული; და ყველა ამპარტავანი, დიახ, და ბოროტმოქმედი იქნება ნამჯა; და გადაბუგავს მათ მომავალი დღე, – ამბობს ცაბაოთ უფალი, ისე, რომ არ შეარჩენს არც ფესვს და არც რტოს.

2 მაგრამ თქვენთვის, ჩემი სახელის მოშიშნო, აღზევდება ძე სამართლიანობისა, კურნება იქნება მის ფრთებზე; თქვენც გამოხვალთ და აკუნტრუმდებით ბავის ხბორებივით.

3 და გათელავთ ბოროტთ,

რადგან უნდა გაცამტვერდნენ ისინი თქვენს ფეხქვეშ იმ დღეს, რომელსაც მე ვამზადებ, ამბობს ცაბაოთ უფალი.

4 გაიხსენეთ მოსეს, ჩემი მსახურის, რჯული, რომელიც ვუბრძანე მას ხორებზე, მთელი ისრაელისთვის, მცნებანთა და სამართალთან ერთად.

5 აჰა, მოგივლენთ ელია წინასწარმეტყველს უფლის დიდი და საშინელი დღის დადგომამდე;

6 და ის დააბრუნებს მამების გულს შვილებთან და შვილების გულს მამებთან, რათა არ მოვიდეს და ქვეყანა არ შევმუსროს წყევლით.

თავი 26

იესო განმარტავს ყველაფერს, დასაბამიდან დასასრულამდე. ჩვილები და ბავშვები ლაპარაკობენ საოცარ სიტყვებს, რომლებიც ვერ ჩაიწერება. მათ, ვინც ქრისტეს ეკლესიაშია, საერთო აქვთ ყველაფერი. დაახლოებით 34 წ. ჩვენი წელთაღრიცხვით.

1 და ახლა, იყო ასე: როდესაც იესომ მოყვა ეს ყველაფერი ამ სწავლებების შესახებ, მან შეკრებილთ ნათქვამი განუმარტა; და მან განუმარტა მათ ყველაფერი: დიდიც და მცირეც.

2 და მან უთხრა: ეს წმინდა წერილები, რომლებიც არ გკონდათ, მამამ ბრძანა, თქვენთვის გადმომეცა; რადგან ეს არის

მისი სიბრძნე, რომ მომავალ თაობებს გადაეცეს.

3 და მან ყველაფერი განმარტა, დასაბამიდან იმ დრომდე, როდესაც იგი მოვა თავისი დიდებით – დიახ, ყოველივე ის, რაც უნდა მოხდეს დედამიწის პირზე, იქამდეც კი, როდესაც სტიქია დადნება მხურვალე სიცხისგან და დედამიწა გრაგნილივით დაიხვევა და ცა და დედამიწა გაქარწყლდება.

4 და იმ დღესა და უკანასკნელ დღეს, როდესაც ყოველი ხალხი, ტომი, ერი და ენა წარსდგება ღმერთის წინაშე, რათა განიკითხონ საკუთარი საქმეებისთვის, თუნდაც იყოს კეთილი ან ბოროტი –

5 თუ იყვნენ კეთილნი – აღდგომისა და მარადიული სიცოცხლისაკენ; და თუ ისინი იყვნენ ბოროტნი – წყევლის აღდგომისკენ; რომლებიც არიან ერთმანეთის გვერდიგვერდ, ერთი – ერთ მხარეს, მეორე კი – მეორე მხარეს, წყალობის, სამართლისა და სიწმინდის შესაბამისად, რომელიც არის ქრისტეში, რომელიც იყო ამა ქვეყნის დასაბამიდან.

6 და ახლა, ვერ დაიწერება ამ წიგნში იმის მესაგედიც კი, რასაც იესო ჭეშმარიტად ასწავლიდა ხალხს;

7 მაგრამ, აჰა, ნეფის ფირფიტები მოიცავს იმის დიდ ნაწილს, რასაც იგი ხალხს ასწავლიდა.

8 და მე ჩავიწერე იმის მცირე ნაწილი, რასაც იგი ხალხს

ასწავლიდა; ჩავიწერე ყოველივე ეს იმ მიზნით, რომ ეს სწავლებები კვლავ გადაეცეს ამ ხალხს წარმართების მიერ, იმ სიტყვების შესაბამისად, რომლებიც იესომ ილაპარაკა.

9 და როდესაც მიიღებენ იმას, რაც საჭიროა უპირველეს ყოვლისა, რათა გამოსცადონ საკუთარი რწმენა და თუ მოხდება ასე, რომ ყოველივე ამას იწამებენ, მაშინ მათთვის უფრო დიდი რამ გახდება ცნობილი.

10 და თუ მოხდება ისე, რომ ამას არ იწამებენ, მაშინ, მათ განსასჯელად, უფრო დიდი რამ იქნება მათგან დაფარული.

11 აჰა, მზად ვიყავი დამეწერა ყოველივე ის, რაც ამოტვიფრული იყო ნეფის ფირფიტებზე, მაგრამ უფალმა ეს ამიკრძალა სიტყვებით: მე ჩემი ხალხის რწმენას გამოვცდი.

12 ამიტომ მე, მორმონი, ვწერ იმას, რაც უფალმა მიბრძანა. და ახლა, მე, მორმონი, ვასრულებ ჩემს სიტყვებს და ვიწყებ ყოველივე იმის წერას, რაც მიბრძანეს.

13 ამიტომ, მსურს, იცოდეთ: უფალი ჭეშმარიტად ასწავლიდა ხალხს სამი დღის განმავლობაში; და ამის შემდეგ ხშირად ეცხადებოდა მათ და უტეხავდა პურს, აკურთხებდა და ურიგებდა მათ.

14 და იყო ასე, რომ იგი ასწავლიდა და ემსახურებოდა შეკრებილთა შვილებს, რომელთა

შესახებ ითქვა და გაუხსნა მათ ენა და ისინი უყვებოდნენ თავიანთ მამებს დიადსა და საოცარზე, იმაზე დიადზეც კი, რაც მან გაანდო ხალხს; და გაუხსნა მათ ენა, რათა ელაპარაკათ.

15 და იყო ასე, რომ მას შემდეგ, რაც იგი ამადლდა ზეცაში, როდესაც მეორეჯერ გამოეცხადა მათ და მამასთან წავიდა, მას შემდეგ, რაც განკურნა ყოველი მათი ავადმყოფი, კოჭლი და თვალი აუხილა მათ ბრძმებს, გაუხსნა ყური მათ დაყრუებულთ, ყველანაირად განკურნა ისინი და მკვდრებით აღადგინა ადამიანი და დაანახა მათ საკუთარი ძალა და ამადლდა მამასთან –

16 აჰა, იყო ასე: მომდევნო დღეს მრავალნი შეიკრიბნენ ერთად და იხილეს და მოუსმინეს ამ ბავშვებს; დიახ, ჩვილებმაც კი გახსნეს პირი და ილაპარაკეს საოცარი სიტყვები; და რასაც ისინი ლაპარაკობდნენ, აკრძალული იყო, ვინმეს ჩაეწერა.

17 და იყო ასე, რომ მოწაფეები, რომლებიც იესომ აირჩია, იმ უამიდან მოყოლებული ნათლავდნენ და ასწავლიდნენ ყველას, ვინც მათთან მოდიოდა; და რომლებიც ინათლებოდნენ იესოს სახელით, სულიწმინდით იყვნენ აღვსილნი.

18 და მრავალმა მათგანმა იხილა და მოისმინა გამოუთქმელი, რისი ჩაწერაც არ შეიძლება.

19 და ისინი ერთმანეთს ასწავლიდნენ და ემსახურებოდნენ და

საერთო ჰქონდათ ყველაფერი ერთმანეთში, ყოველი ადამიანი სამართლიანად ექცეოდა თავის მოყვასს.

20 და იყო ასე, რომ ყველაფერს აკეთებდნენ ისე, როგორც იესომ უბრძანა.

21 და მათ, ვინც იესოს სახელით ინათლებოდა, ქრისტეს ეკლესიას უწოდებდნენ.

თავი 27

იესო ბრძანებს, ეკლესიას უწოდონ მისი სახელი. იესოს მისია და გამომსყიდველი მსხვერპლშეწირვა მოიცავს მის სახარებას. ადამიანებს ნაბრძანები აქვთ, მოინანიონ და მოინათლონ, რათა სულიწმინდით განიწმინდონ. ისინი უნდა იყვნენ ისეთნი, როგორც იესო. დაახლოებით 34–35 წწ. ჩვენი წელთაღრიცხვით.

1 და იყო ასე, რომ იესოს მოწაფეები მოგზაურობდნენ და ქადაგებდნენ ყოველივე იმას, რაც იხილეს და მოისმინეს და ნათლავდნენ იესოს სახელით და იყო ასე, რომ მოწაფეები ერთად იკრიბებოდნენ და იყვნენ ერთსულოვანი მხურვალე ლოცვაში და მარხვაში.

2 და იესო კვლავ გამოეცხადა მათ, რადგან მამისადმი ლოცულობდნენ მისი სახელით; და იესო მოვიდა და მათ შორის დადგა და უთხრა: რა გსურთ, რომ გიბოძოთ?

3 და მათ უთხრეს: უფალო, გვითხარი სახელი, რომელიც უნდა ვუწოდოთ ამ ეკლესიას; ვინაიდან ხალხში კამათობენ ამ საკითხის შესახებ.

4 და უფალმა მიუგო მათ: ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით: რატომ უნდა ბუზღუნებდეს ხალხი და კამათობდეს ამის შესახებ?

5 ნუთუ არ წაიკითხეს წმინდა წერილები, რომლებშიც ნათქვამია, რომ უნდა აიღოთ ქრისტეს სახელი ანუ ჩემი სახელი? ვინაიდან ამ სახელს გიწოდებენ უკანასკნელ დღეს;

6 და რომელიც საკუთარ თავზე აიღებს ჩემს სახელს და ბოლომდე გაძლებს, იგი გადარჩება უკანასკნელ დღეს.

7 ამიტომ, რასაც არ უნდა აკეთებდეთ, ჩემი სახელით აკეთეთ; ამიტომ, ეკლესიას უწოდებთ ჩემს სახელს; და მამას მიმართავთ ჩემი სახელით, რათა აკურთხოთ მან ეკლესია ჩემ გამო.

8 და როგორ იქნება ჩემი ეკლესია, თუ მას ჩემი სახელი არ ეწოდა? ვინაიდან, თუ რომელიმე ეკლესიას უწოდებენ მოსეს სახელს, ის იქნება მოსეს ეკლესია; ან თუ უწოდეს ადამიანის სახელი, ის იქნება ადამიანის ეკლესია; მაგრამ თუ მას უწოდეს ჩემი სახელი, ჩემი ეკლესია იქნება, თუ ისინი ჩემს სახარებაზე იქნებიან დაფუძნებულნი.

9 ჭეშმარიტად გეუბნებით, რომ თქვენ ჩემს სახარებაზე ხართ

დაფუძნებულნი; ამიტომ, რასაც კი რამეს უწოდებდეთ, უწოდეთ ჩემი სახელი; ამიტომ, თუ მიმართავთ მამას ეკლესიის შესახებ, თუ ჩემი სახელით მიმართავთ, მამა მოგისმენთ;

10 და თუ ეკლესია დაფუძნებული იქნება ჩემს სახარებაზე, მაშინ მამა გამოავლენს მასში თავის საქმეს.

11 მაგრამ ის თუ არ იქნება დაფუძნებული ჩემს სახარებაზე, არამედ იქნება ადამიანის ან ეშმაკის საქმეზე დაფუძნებული, ჭეშმარიტად გეუბნებით, რომ თავისი საქმით ცოტა ხანი გაიხარებენ, მაგრამ დასასრული მალე მოვა და ისინი უკვე მოკვეთილნი და ცეცხლში ჩაყრილნი არიან, საიდანაც არ არის უკან დასაბრუნებელი.

12 ვინაიდან მათი საქმენი მათ უკან მიჰყვება, რადგან, კერძოდ თავიანთი საქმისთვის არიან მოკვეთილნი; ამიტომ, დაიმახსოვრეთ ყოველივე ის, რაც გითხარით.

13 აჰა, ჩემი სახარება მოგეცით და ეს არის სახარება, რომელიც თქვენ მოგეცით – რომ მოვედი ამქვეყნად მამის ნების აღსასრულებლად, რადგან მამამ გამომავზავნა.

14 და მამამ გამომავზავნა, რათა აღმმართონ ჯვარზე; და მას შემდეგ, რაც ჯვარზე აღმმართეს, რომ ჩემთან მომეზიდა ყველა ადამიანი, რათა როგორც მე ვიქნე ადამიანების

მიერ აღმართული, ადამიანებიც ასევე ყოფილიყვნენ მამის მიერ აღმართულნი, რათა ჩემ წინაშე წარსდგნენ, რომ განიკითხონ საკუთარი საქმეებისთვის, იყო რა ისინი კეთილი თუ ბოროტი.

15 და ამ მიზეზით მე აღმმართეს; ამიტომ, მამის ძალის შესაბამისად, მე ყველა ადამიანს ჩემთან მოვიზიდავ, რათა ისინი განსჯილ იქნენ თავიანთი საქმეების შესაბამისად.

16 და იქნება ასე, რომ ყოველი, ვინც მოინანიებს და მოინათლება ჩემი სახელით, აღივსება; და თუ ბოლომდე გაძლებს, აჰა, მას წარვადგენ უდანაშაულოდ მამის წინაშე იმ დღეს, როდესაც დავდგები ამ ქვეყნის განსაკითხავად.

17 და ის, ვინც ბოლომდე არ გაძლებს, მოიკვეთება და იმ ცეცხლში იქნება ჩაგდებული, რომლიდანაც არ არის უკან დასაბრუნებელი, მამის სამართლის გამო.

18 და ეს არის სიტყვა, რომელიც მან ადამიანთა შვილებს უბოძა. და ამ მიზნისთვის იგი შეასრულებს მიცემულ სიტყვას და იგი არ ცრუობს, არამედ ასრულებს თავის ყოველ სიტყვას.

19 და ვერცერთი უწმინდური ვერ შევა მის სასუფეველში; ამიტომ, არაფერი შედის მის სავანეში, მათ გარდა, რომლებმაც ჩემი სისხლით გაირეცხეს სამოსელი, საკუთარი რწმენითა

და ყოველი ცოდვის მონანიებით და საკუთარი ბოლომდე ერთგულებით.

20 ახლა, ეს არის მცნება: მოინანიეთ, თქვენ, დედამიწის ყველა კიდენო, მოდით და ჩემი სახელით მოინათლეთ, რათა სულიწმინდის მიღებით განიწმინდოთ, რომ უკანასკნელ დღეს ჩემ წინაშე უმწიკვლოდ წარსდგეთ.

21 ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით: ეს არის ჩემი სახარება; და თქვენ იცით, რა უნდა აკეთოთ ჩემს ეკლესიაში; ვინაიდან უნდა მიბაძოთ ჩემს ნამოქმედარს, რომელიც იხილეთ; რამეთუ იხილეთ ჩემი ნამოქმედარი და უნდა მიბაძოთ მას;

22 ამიტომ, თუ აკეთებთ ყოველივე ამას, კურთხეულნი ხართ, ვინაიდან უკანასკნელ დღეს ამაღლდებით.

23 ჩაიწერეთ ის, რაც იხილეთ და მოისმინეთ, გარდა იმისა, რაც აკრძალულია.

24 ჩაიწერეთ ამ ხალხის მომავალი საქმენი ისევე, როგორც ჩაიწერა წარსული.

25 რადგან, აჰა, ეს ხალხი განიკითხება იმ წიგნების მიხედვით, რომლებიც დაიწერა და დაიწერება, ვინაიდან მათი მეშვეობით ხალხი გაიგებს მათი საქმეების შესახებ.

26 და აჰა, ყოველივე არის მამის მიერ ჩაწერილი; ამიტომ, ქვეყანა განიკითხება იმ წიგნების მიხედვით, რომლებიც დაიწერება.

27 და იცოდეთ, რომ თქვენ იქნებით ამ ხალხის მსაჯულნი, იმ სამართლის შესაბამისად, რომელსაც მე გიბოძებთ, რომელიც იქნება სამართლიანი. ამიტომ, როგორი ხალხი უნდა იყოთ? ჭეშმარიტად გეუბნებით: ისეთი, როგორიც მე ვარ.

28 და ახლა მამასთან მივდივარ. და ჭეშმარიტად გეუბნებით, რაც არ უნდა სთხოვოთ მამას ჩემი სახელით – მოგეცემათ.

29 ამიტომ, ითხოვეთ და მიიღებთ; დააკაკუნეთ და გაგეღებათ. ვინაიდან ის, რომელიც ითხოვს – ღებულობს; და ვინც დააკაკუნებს – გაეღება.

30 და ახლა, აჰა, დიდია ჩემი სიხარული, სისრულემდეც კი, თქვენ გამო, ასევე ამ თაობის გამო; დიახ, თავად მამა ხარობს, ასევე ყველა წმინდა ანგელოზიც, თქვენსა და ამ თაობის გამო; ვინაიდან არცერთი მათგანი არ დაიკარგა.

31 აჰა, მინდა გაიგოთ; ვინაიდან ვგულისხმობ მათ, რომლებიც ამ თაობიდან ცოცხლები არიან და არცერთი მათგანი არ დაიკარგა; და მათში არის სისრულე ჩემი სიხარულისა.

32 მაგრამ, აჰა, მალონებს ამ თაობის მეოთხე თაობა, ვინაიდან იგი მათ ტყვედ წაიყვანს, როგორც წაიყვანა წყეულის შვილი; ვინაიდან გამყიდვიან ვერცხლსა და ოქროზე, იმაზე, რასაც ჩრჩილი სპობს და რისთვისაც ქურდები აღწევენ და

იპარავენ. და იმ დღეს მათ მოვევლინები, თავზე დავანთხევი მათსავე ჩადენილს.

33 და იყო ასე, რომ, როდესაც იესომ დაასრულა ეს სიტყვები, მან უთხრა თავის მოწაფეებს: შედით ვიწრო კარიბჭით; ვინაიდან ვიწროა კარიბჭე და ვიწროა გზა, რომელსაც სიცოცხლისკენ მიჰყავს და მცირედნი ჰპოვებენ მას; მაგრამ ფართოა კარიბჭე და განიერია გზა, რომელსაც სიკვდილისკენ მიჰყავს და მრავალნი დადიან მასზე, სანამ არ დაღამდება, როდესაც ვედარავინ შეძლებს საქმის კეთებას.

თავი 28

თორმეტი მოწაფიდან ცხრას სურს და იღებს ქრისტეს სასუფეველში მემკვიდრეობის დაპირებას გარდაცვალების შემდეგ. სამი ნეფიელი მოისურვებს და მიიღებს სიკვდილზე ძალაუფლებას, რათა დარჩნენ დედამიწაზე იესოს მეორედ მოსვლამდე; ისინი გარდაიქმნენ და მათ იხილეს ის, რისი თქმაც არ შეიძლება და ახლა ადამიანთა შორის მსახურობენ. დაახლოებით 34-35 წწ. ჩვენი წელთაღრიცხვით.

1 და იყო ასე: როდესაც იესომ თქვა ეს სიტყვები, იგი ესაუბრა თავის მოწაფეებს სათითაოდ, ეუბნებოდა მათ: რა გსურთ ჩემგან, მამასთან ჩემი წასვლის შემდეგ?

2 და ყველა მათგანმა, სამის გარდა, უთხრა: ჩვენ გვსურს, რომ მას შემდეგ, რაც მივაღწევთ ადამიანისთვის განსაზღვრულ წლოვანებას, დასრულდეს ჩვენი მსახურება, რომელზეც მოგვიწოდე, რამეთუ დაუყოვნებლივ მოვიდეთ შენთან, შენს სასუფეველში.

3 და მან უთხრა: კურთხეულნი ხართ, ვინაიდან ეს ისურვეთ ჩემგან; ამიტომ, მას შემდეგ, რაც სამოცდათორმეტი წლის გახდებით, ჩემს სასუფეველში მოხვალთ და ჩემთან ჰპოვებთ სიმშვიდეს.

4 და როდესაც მათთან ისაუბრა, იგი მოუბრუნდა დანარჩენ სამს და მიმართა მათ: რა გსურთ ჩემგან, მამასთან ჩემი წასვლის შემდეგ?

5 და ისინი დაღონდნენ თავიანთ გულებში, ვინაიდან ვერ ბედავდნენ იმის თქმას, რაც სურდათ.

6 და მან მიუგო მათ: აჰა, მე ვიცი თქვენი ფიქრები და გსურთ ის, რაც ჩემგან ისურვა იოანემ, ჩემმა საყვარელმა მოწაფემ, რომელიც იყო ჩემთან მსახურობისას, სანამ იუდეველებმა არ აღმმართეს.

7 ამიტომ, უფრო მეტად კურთხეულნი ხართ, ვინაიდან ვერასდროს იგემებთ სიკვდილს; არამედ იცოცხლებთ, რათა იხილოთ მამის ყველა საქმე ადამიანთა შვილებისთვის, იქამდე, სანამ ყველაფერი არ აღსრულდება მამის ნებისამებრ, როდესაც

საც ჩამოვალ ჩემი დიდებით ზეციურ ძალებთან ერთად.

8 და არასდროს გადაიტანთ სიკვდილის ტკივილებს; ხოლო როდესაც მოვალ ჩემი სიდიადით, თქვენ მოკვდავებიდან უკვდავებად შეიცვლებით თვალის დახამხამებაში; და მაშინ კურთხეულნი იქნებით ჩემი მამის სასუფეველში.

9 და კიდევ, არ იგრძნობთ ტკივილს, სანამ იქნებით ხორციელნი, არც დარდს, გარდა ქვეყნის ცოდვებისთვის და ყოველივე ამას გავაკეთებ იმისთვის, რაც მთხოვეთ, ვინაიდან თქვენ მთხოვეთ, რომ ჩემთან ადამიანთა სულების მოყვანა შეძლოთ მანამ, სანამ ქვეყანა იარსებებს.

10 და ამის გამო თქვენ გექნებათ სისრულე სიხარულისა; და ჩემი მამის სასუფეველში დასხდებით; დიახ, სავსე იქნება თქვენი სიხარული, როგორც მე მიბოძა მამამ სისრულე სიხარულისა; თქვენც იქნებით ისეთნი, როგორიც ვარ მე; და მე ვარ, როგორიც არის მამა; და მამა და მე ვართ ერთნი;

11 და სულიწმინდა მოწმობს მამაზე და ჩემზე; და მამა სულიწმინდას უბოძებს ადამიანთა შვილებს, ჩემ გამო.

12 და იყო ასე, რომ როდესაც იესომ წარმოთქვა ეს სიტყვები, იგი ყოველ მათგანს შეეხო თითოთ, გარდა იმ სამისა, რომლებიც უნდა დარჩენილიყვნენ და შემდეგ იგი წავიდა.

13 და აჰა, გაიხსნა ზეცა და ისინი აყვანილ იქნენ ზეცაში და იხილეს და მოისმინეს გამოუთქმელი.

14 და მათ აეკრძალათ, ეს გადმოეცათ სიტყვებით; არც ძალა მიეცათ, რათა მოეთხროთ ის, რაც იხილეს და მოისმინეს.

15 და ვერ იტყოდნენ, იყვნენ სხეულში თუ სხეულის გარეშე, ვინაიდან ეს მოეწვინათ, როგორც მათი გარდაქმნა, რომ გარდაიქმნენ ამ ხორციელი სხეულიდან უკვდავ მდგომარეობაში, რათა იხილონ ღმერთის საქმენი.

16 და იყო ასე, რომ ისინი კვლავ ქადაგებდნენ დედამიწის პირზე; ამისდა მიუხედავად, არ ქადაგებდნენ იმას, რაც მოისმინეს და იხილეს, იმ ბრძანებების გამო, რომლებიც ზეციდან მიიღეს.

17 და ახლა, იყვნენ ისინი მოკვდავნი თუ უკვდავნი, თავიანთი გარდაქმნის დღიდან, მე არ ვიცი;

18 მაგრამ ვიცი, იმ ჩანაწერების მიხედვით, რომლებიც იქნა მოცემული – ისინი დადიოდნენ მიწის პირზე და ხალხს ემსახურებოდნენ, მოჰყავდათ ეკლესიაში იმდენი, რამდენიც იწამებდა მათ ქადაგებას, ნათლავდნენ მათ და რომლებიც მოინათლებოდნენ – სულიწმინდას იღებდნენ.

19 და მათ საპყრობილეში ყრიდნენ ისინი, რომლებიც ეკლესიას

არ მიეკუთვნებოდნენ. და საპყრობილეები ვერ აკავებდა მათ, ვინაიდან შუაზე იპობოდა.

20 და მათ ღრმად მიწაში ყრიდნენ; მაგრამ ისინი ღმერთის სიტყვით მუსრავდნენ მიწას, ისე რომ მიწის სიღრმიდან მისი ძალით თავისუფლდებოდნენ; ამიტომ, შეუძლებელი იყო ისეთი სიღრმის ორმოების ამოთხრა, რომლებიც მათ შეაკავებდა.

21 და სამჯერ ჩაყარეს ღუმელში და ვერაფერი ავნეს.

22 ორჯერ ჩაყარეს გარეული მხეცების ბუნაგში; და აჰა, ვერაფერი ავნეს, ისინი ისი ეთამაშებოდნენ მხეცებს, როგორც ბავშვი ეთამაშება პატარა ბატკანს.

23 და იყო ასე, რომ ასე დადიოდნენ მთელი ნეფის ხალხში და ქრისტეს სახარებას ქადაგებდნენ მთელ ხალხში მიწის პირზე; და ისინი მოიქცეოდნენ უფლის რწმენაში და უერთდებოდნენ ქრისტეს ეკლესიას; და ამგვარად, ამ თაობის ადამიანები კურთხეულნი იყვნენ იესოს სიტყვების შესაბამისად.

24 და ახლა, მე, მორმონი, ცოტა ხნით ვწყვეტ საუბარს ამის შესახებ.

25 აჰა, ვაპირებდი მათი სახელების დაწერას, რომლებიც არასდროს იგემებენ სიკვდილს, მაგრამ უფალმა ამიკრძალა; ამიტომ, მე მათ არ ჩამოვწერ, ვინაიდან ამ ქვეყნისგან არიან დამალულნი.

26 მაგრამ, აჰა, მე ვიხილე ისინი და ისინი მემსახურნენ.

27 და, აჰა, იქნებიან წარმართთა შორის და წარმართებს არ ეცოდინებათ მათ შესახებ.

28 ისინი იქნებიან იუდეველთა შორის და იუდეველებს არ ეცოდინებათ მათ შესახებ.

29 და იქნება ასე: როდესაც უფალი საკუთარი სიბრძნით ჩათვლის შესაფერისად, ემსახურონ ისრაელის გაფანტულ ტომებს და ყველა ერს, ტომს, ენასა და ხალხს და მათგან მრავალ სულს მიიყვანენ იესოსთან, რათა აღსრულდეს მათი სურვილი და ასევე ღმერთის დამარწმუნებელი ძალის გამო, რომელიც არის მათში.

30 და ისინი არიან ღმერთის ანგელოზებივით და თუ ილოცებენ მამისადმი იესოს სახელით, შეუძლიათ გამოეცხადონ ნებისმიერ ადამიანს საკუთარი ნებით.

31 ამიტომ, დიადი და საოცარი საქმენი შესრულდება მათ მიერ, იმ დიდსა და მომავალ დღემდე, როდესაც ყოველი ადამიანი აუცილებლად უნდა წარსდგეს ქრისტეს სამსჯავროს წინაშე;

32 დიახ, წარმართთა შორისაც კი, მათ მიერ შესრულდება დიადი და საოცარი საქმენი, იმ განკითხვის დღემდე.

33 და თქვენ რომ გქონოდათ ყველა წმინდა წერილი, სადაც ქრისტეს ყოველი საოცარი საქმე არის აღწერილი, ქრისტეს

სიტყვებიდან გეცოდინებოდათ, რომ ყოველივე ეს აუცილებლად ახდება.

34 და ვარამი მას, ვინც ყურს არ უგდებს იესოს სიტყვებს, ასევე მათ, რომლებიც მან ამოირჩია და გაგზავნა მათთან; ვინაიდან, რომელიც არ იღებს იესოსა და მის მიერ გაგზავნილ სიტყვებს, არ იღებს მასაც; და ამიტომ, უკანასკნელ დღეს იგი მათ არ მიიღებს;

35 და უკეთესი იქნებოდა მათთვის, რომ არ დაბადებულყვნენ. ვინაიდან, ნუთუ გგონიათ, რომ თავს დააღწევთ სასამართლოს განაწყენებული ღმერთისა, რომელსაც ადამიანები ფეხქვეშ თელავდნენ, რათა ამით ხსნა მოსულიყო?

36 და ახლა, აჰა, ვლავარაკობდი მათ შესახებ, რომლებიც უფალმა ამოირჩია, დიახ, იმ სამის შესახებ, რომლებიც ზეცაში იყვნენ აყვანილნი, რომლებიც არ ვიცოდი, განწმენდილნი იყვნენ თუ არა მოკვდავებიდან უკვდავებში –

37 მაგრამ, აჰა, მას შემდეგ, რაც დავწერე, უფალს ვკითხე და მან გამომიცხადა, რომ საჭირო იყო მოეხდინა ცვლილება მათ სხეულებში, სხვაგვარად, მათ მოუწევდათ ეგემათ სიკვდილი;

38 ამიტომ, რომ არ ეგემათ სიკვდილი, ცვლილება მოხდა მათ სხეულებში, რათა არ გამოეცადათ არც ტკივილი და არც

დარდი, ქვეყნის ცოდვებზე დარდის გარდა.

39 ახლა, ეს ცვლილება არ იყო იმისი ტოლი, რაც უკანასკნელ დღეს მოხდება; მაგრამ ცვლილება მოხდა მათში ისეთი, რომ სატანას არ ჰქონოდა მათზე ძალაუფლება, შეეცდინა ისინი; და განიწმინდნენ ხორცში, რათა წმინდანი ყოფილიყვნენ და მიწიერ ძალებს არ დაებრკოლებინა ისინი.

40 და ამ მდგომარეობაში უნდა იყვნენ ქრისტეს განკითხვის დღემდე; და იმ დღეს უფრო მეტად შეიცვლებიან და მიღებული იქნებიან მამის სასუფეველში, რათა აღარ გამოვიდნენ იქიდან, არამედ სამარადისოდ იცხოვრონ ზეცაში ღმერთთან.

თავი 29

მორმონის წიგნის გამოსვლა იმის ნიშანია, რომ უფალმა დაიწყო ისრაელის შეკრება და საკუთარი აღთქმის აღსრულება. წყეულნი იქნებიან ისინი, რომლებიც უარყოფენ მისი უკანასკნელი დღეების გამოცხადებებსა და ძღვენს. დაახლოებით 34–35 წწ. ჩვენი წელთაღრიცხვით.

1 და ახლა, აჰა, გეუბნებით, რომ როდესაც უფალი საკუთარი სიბრძნით ჩათვლის საჭიროდ, რომ ამ სიტყვებმა წარმართებთან მიადწიოს, მისი სიტყვის შესაბამისად, მაშინ გაიგებთ, რომ

დაიწყო აღსრულება აღთქმისა, რომელიც მან დადო ისრაელის შვილებთან, მათი საკუთარი მეკვიდრეობის მიწებზე დაბრუნების შესახებ.

2 და გაიგებთ, რომ უფლის სიტყვები, რომლებსაც ამბობდნენ წმინდა წინასწარმეტყველები, ყველა აღსრულდება; და არ თქვათ, რომ უფალი აგვიანებს ისრაელის შვილებთან მოსვლას.

3 და გულში არ გაივლოთ, რომ სიტყვები, რომლებიც ითქვა, არის ამაო, ვინაიდან, აჰა, უფალი გაიხსენებს თავის აღთქმას, რომელიც დადო თავის ხალხთან ისრაელის სახლიდან.

4 და როდესაც იხილავთ თქვენ შორის ამ სიტყვების მოსვლას, მაშინ უკვე აბუჩად ვეღარ აიგდებთ უფლის საქმეებს, ვინაიდან მახვილი მისი სამართლისა არის მის მარჯვენა ხელში; და აჰა, იმ დღეს, თუ აბუჩად აიგდებთ მის საქმეებს, იგი მოახდენს ისე, რომ ეს მახვილი მალე განგემირავთ.

5 ვარამი მას, ვინც აბუჩად იგდებს უფლის საქმეებს, დიახ, ვარამი მას, ვინც უარყოფს ქრისტეს და მის საქმეებს!

6 დიახ, ვარამი მას, რომელიც უარყოფს უფლის გამოცხადებებს და იტყვის, რომ უფალი აღარ მოქმედებს გამოცხადებებით, წინასწარმეტყველებებით ან ძღვენით, ენებით, განკურნებით ან სულიწმინდის ძალით!

7 დიახ, ვარამი მას, რომელიც იმ დღეს იტყვის, რათა მიიღოს სარგებელი, რომ იესო ქრისტეს მიერ სასწაული ვეღარ მოხდება, ვინაიდან, ის, რომელიც ამას აკეთებს, წყეულის შვილივით გახდება, რომლისთვისაც არ იყო წყალობა, ქრისტეს სიტყვის შესაბამისად!

8 დიახ, აღარ დასცინოთ, აბუჩად აიგდოთ ან გაამასხარაოთ იუდეველები ან ისრაელის სახლის რომელიმე ნარჩენი; ვინაიდან აჰა, უფალს ახსოვს მათთვის დადებული აღთქმა და გაუკეთებს იმას, რაც დაიფიცა.

9 ამიტომ, ნუ გგონიათ, რომ უფლის მარჯვენა ხელს აქცევთ მარცხენად, რათა არ აღასრულოს განაჩენი იმ აღთქმის აღსასრულებლად, რომელიც მან ისრაელის სახლთან დადო.

თავი 30

უკანასკნელი დღეების წარმართებს უბრძანებენ, მოინანიონ, მოვიდნენ ქრისტესთან და ისრაელის სახლში ჩაითვალონ. დაახლოებით 34-35 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვით.

1 ყური დამიგდეთ, თქვენ, წარმართნო, და მოისმინეთ იესო ქრისტეს სიტყვები, ცოცხალი ღმერთის ძის, რომლებიც მიბრძანა, თქვენს შესახებ მეთქვა, ვინაიდან აჰა, მიბრძანა, დამეწერა, სიტყვებით:

2 მობრუნდით, ყველა წარ-

მართნო, თქვენი ბოროტი გზე-
ბიდან; და მონინანეთ თქვენი
ბოროტი საქმენი, თქვენი ტყუ-
ილი, სიცრუე და მრუშობა,
თქვენი საიდუმლო სისაძაგლენი
და კერპთაყვანისმცემლობა,
თქვენი მკვლევლობები, სამღვდე-
ლოების ვერცხლისმოყვარეობა,

თქვენი შური და დაპირისპი-
რება, მთელი თქვენი სიბოროტე
და სისაძაგლე და ჩემთან მო-
დით, მონათლეთ ჩემი სახელით,
რათა მიიღოთ საკუთარი ცოდვე-
ბის მიტევება და აღივსოთ სუ-
ლიწმინდით, რათა ჩემს ხალხში,
ისრაელის სახლში, ჩაითვალოთ.

მეოთხე ნეფი ნეფის წიგნი

რომელიც არის ძე ნეფისა – იესო ქრისტეს ერთ-ერთი მოწაფე

ნეფის ხალხის ამბავი, მისი ჩანაწერების მიხედვით.

*ყოველი ნეფიელი და ლამანი-
ელი უფლის რწმენაში მოიქცა.
მათ ყველაფერი საერთო აქვთ,
ახდენენ სასწაულებს და არიან
მიწაზე აყვავებულნი. ორასი
წლის შემდეგ წარმოიშვება გან-
ხეთქილებები, ბოროტება, ცრუ
ეკლესიები და დევნა. ნეფიე-
ლები და ლამანიელები სამასი
წლის შემდეგ გაბოროტდებიან.
ამარონი მალავს წმინდა ჩანაწე-
რებს. დაახლოებით 35–321 წწ.
ჩვენი წელთაღრიცხვით.*

და იყო ასე, რომ ჩაიარა ოც-
დამეთოთხმეტე წელმა და ასევე
ოცდამეთოთხმეტემ და აჰა, იე-
სოს მოწაფეებმა გარშემო მთელ
მიწაზე ქრისტეს ეკლესია დაა-
არსეს. და რომლებიც მათთან

მიდიოდნენ და ჭეშმარიტად ინა-
ნიებდნენ საკუთარ ცოდვებს,
ინათლებოდნენ იესოს სახელით
და ასევე იღებდნენ სულიწმინ-
დას.

2 და იყო ასე, რომ ოცდამე-
თექვსმეტე წელს, ყოველი ადა-
მიანი მოიქცა უფლის რწმენაში,
მთელი მიწის პირზე, ნეფიელე-
ბიც და ლამანიელებიც და არ
იყო მათ შორის განხეთქილება
და დავა; და ყოველი ადამიანი
თავის მოყვასს სამართლიანად
ექცეოდა.

3 და მათ ყველაფერი საერთო
ჰქონდათ, ამიტომ არ იყვნენ მდი-
დარნი და ღარიბნი, მონები და
თავისუფალნი, არამედ ყველანი
იყვნენ თავისუფალნი და ზეცი-
ური ძღვენის თანამოზიარნი.

4 და იყო ასე, რომ ოცდამე-
ჩვიდმეტე წელმაც ჩაიარა და მი-
წაზე კვლავ მშვიდობა სუფევდა.

5 და დიდი და საოცარი სა-
ქმეები გაკეთდა იესოს მოწაფე-
ების მიერ, იმდენად დიდი, რომ
კურნავდნენ ავადმყოფებს, ალა-
ღგენდნენ მკვდრეთით და ისე
ახდენდნენ, რომ ხეიბარნი იწყებ-
დნენ სიარულს, ბრძებს მხედ-
ველობა უბრუნდებოდათ და
ყრუებს სმენა ეძლეოდათ; და
ახდენდნენ ყველანიირ სასწაუ-
ლებს ადამიანთა შვილებს შო-
რის; და სასწაულებს ახდენდნენ
მხოლოდ იესოს სახელით.

6 და ასე ჩაიარა ოცდამეთვრა-
მეტე წელმა და ასევე ოცდამე-
ცხრამეტემ, და ორმოცდამეერთემ
და ორმოცდამეორემ, დიახ, სა-
ნამ არ ჩაიარა ორმოცდამეცხრე
წელმა და ასევე ორმოცდამე-
თერთმეტემ, ორმოცდამეთორ-
მეტემ; დიახ, სანამ არ ჩაიარა
ორმოცდამეცხრამეტე წელმაც.

7 და უფალმა ისინი მიწაზე
ძალზედ ააყვავა; დიახ, ისე, რომ
მათ კვლავ ქალაქები ააშენეს იქ,
სადაც ქალაქები დამწვარი იყო.

8 დიახ, ის დიდი ქალაქი ზარა-
ჰემლაც კი კვლავ აშენდა მათ
მიერ.

9 მაგრამ იქ იყო მრავალი ქა-
ლაქი, რომელიც ჩაიძირა და
წყალი იდგა მათ ადგილზე; ამი-
ტომ, ამ ქალაქების აღდგენა ვერ
მოახერხეს.

10 და ახლა, აჰა, იყო ასე, რომ
ნეფის ხალხი მტკიცდებოდა და

მრავლდებოდა ძალზედ სწრა-
ფად და ისინი განსაკუთრებუ-
ლად ლამაზ და მიმზიდველ
ხალხად იქცნენ.

11 და ისინი ქორწინდებოდნენ
და თხოვდებოდნენ და კურთხე-
ულნი იყვნენ მრავალი დაპირე-
ბების შესაბამისად, რომლებიც
უფალმა მათ მისცა.

12 და აღარ მისდევდნენ მოსეს
რჯულის ადათ-წესებსა და წეს-
ჩვეულებებს; არამედ მისდევდნენ
იმ მცნებებს, რომლებიც მიიღეს
თავიანთი უფლისგან და თავი-
ანთი ღმერთისგან, აგრძელებ-
დნენ რა მარხვასა და ლოცვას
და ხშირად იკრიბებოდნენ, რათა
ელოცათ და მოესმინათ უფლის
სიტყვა.

13 და იყო ასე, რომ მთელ
ხალხში, მთელ მიწაზე არ იყო
განხეთქილება, ხოლო იესოს მო-
წაფეებს შორის იქ ძლიერი სა-
სწაულები ხდებოდა.

14 და იყო ასე, რომ ჩაიარა სა-
მოცდამეთერთმეტე წელმა, ასევე
სამოცდამეთორმეტემ, დიახ, ბო-
ლოს ჩაიარა სამოცდამეცხრა-
მეტე წელმა; დიახ, გავიდა ასი
წელიც და იესოს მოწაფეები,
რომლებიც მან აირჩია, ყველანი
გადავიდნენ ღვთის სამოთხეში,
გარდა იმ სამისა, რომლე-
ბიც უნდა დარჩენილიყვნენ; და
მათ მაგივრად სხვა მოწაფეები
აკურთხეს; და ასევე იმ თაობი-
დან მრავალი გარდაიცვალა.

15 და იყო ასე, რომ მიწაზე არ
იყო განხეთქილება ღმერთის

სიყვარულის გამო, რაც ადამიანთა გულებში სუფევდა.

16 და არ იყო იქ არც შური და არც დაპირისპირება, არც უწესრიგობა და არც მრუშობა, არც ტყუილი, არც მკვლელობა, არც რაიმე ავხორცობა; და ჭეშმარიტად, ღვთის ხელით შექმნილ ადამიანთა შორის, არ იქნებოდა უფრო ბედნიერი ხალხი.

17 იქ არ იყვნენ ყაჩაღები, არც მკვლელები, არ იყვნენ იქ ლამაზი ნივთები ან რაიმე სხვა რჯული; არამედ იყვნენ ერთნი, ქრისტეს შვილები და ღვთის სასუფევლის მემკვიდრეები.

18 და რაოდენ კურთხეულნი იყვნენ! ვინაიდან უფალმა აკურთხა ისინი ყოველ მათ საქმეში; დიახ, კურთხეულნი იყვნენ და ყვაოდნენ, სანამ არ გავიდა ას ათი წელი; და ქრისტედან პირველი თაობა გარდაიცვალა და მთელ მიწაზე არ იყო განხეთქილება.

19 და იყო ასე, რომ ნეფი, რომელიც აკეთებდა ამ ბოლო ჩანაწერებს (და მათ ნეფის ფირფიტებზე წერდა) გარდაიცვალა და მისი შვილი, ამოსი, აგრძელებდა მის მაგივრად; და იგიც ასევე ნეფის ფირფიტებზე წერდა.

20 და აკეთებდა ამას ოთხმოცდაოთხი წლის განმავლობაში; და მიწაზე კვლავ მშვიდობა იყო, გარდა ხალხის მცირეოდენი ნაწილისა, რომელიც წავიდა ეკლესიიდან და საკუთარ თავს სახელად ლამანიელები უწოდა,

ამიტომ, იმ მიწაზე კვლავ გაჩნდნენ ლამანიელები.

21 და იყო ასე, რომ ამოსიც გარდაიცვალა (და ეს იყო ქრისტეს მოსვლიდან ას ოთხმოცდა-ოთხმეტი წელი) და მისი შვილი, ამოსი, აგრძელებდა ჩანაწერებს მის მაგივრად; იგი ასევე ნეფის ფირფიტებზე აკეთებდა მათ; და ეს ასევე ჩაწერილი იყო ნეფის წიგნში ანუ ამ წიგნში.

22 და იყო ასე, რომ გავიდა ორასი წელი და მთელი მეორე თაობა გარდაიცვალა, რამდენიმეს გარდა.

23 და ახლა, მე, მორმონს, მსურს, იცოდეთ, რომ ხალხი იმდენად გამრავლდა, რომ მთელი მიწის პირზე გავრცელდა და ძალზედ გამდიდრდა, ქრისტეში წარმატების წყალობით.

24 და ახლა, ამ ორასმეერთე წელს, მათ შორის დაიწყეს გამოჩენა ისეთებმა, რომლებიც აღზევდნენ ამპარტავნობით, ატარებდნენ რა ძვირფას სამოსელსა და ყველანაირ დახვეწილ მარგალიტებს და ამქვეყნიურ ძვირფასეულობას.

25 და იმ ჟამიდან მათი ქონება და დოვლათი აღარ იყო საერთო საკუთრება.

26 და მათ დაიწყეს ფენებად დაყოფა; და დაიწყეს მოგების მიზნით ეკლესიების შენება და ქრისტეს ჭეშმარიტი ეკლესიის უარყოფა.

27 და იყო ასე, რომ როდესაც განვლო ორასმა წელმა,

იმ მიწაზე მრავალი ეკლესია იყო; დიახ, მრავალი ეკლესია იყო, რომელიც აცხადებდა, რომ იცნობდა ქრისტეს და ამასთან ერთად უარყოფდა მისი სახარების უმეტეს ნაწილს, იქამდეც, რომ უშვებდა ყველანაირ სიბოროტეს და იმას, რაც წმინდა იყო, აძლევდა მათ, ვისთვისაც ეს აკრძალული იყო, მათივე უღირსობის გამო.

28 და ეს ეკლესია ძალზედ გავრცელებული ურჯულოების და სატანის ძალის გამო, რომელსაც დაპყრობილი ჰქონდა მათი გულები.

29 და კვლავ, იქ იყო კიდევ ერთი ეკლესია, რომელიც ქრისტეს უარყოფდა და სდევნიდა ქრისტეს ჭეშმარიტ ეკლესიას, მათი თავმდაბლობისა და ქრისტეში რწმენის გამო; და სძულდათ ისინი მრავალი სასწაულების გამო, რომლებიც ხდებოდა მათთან.

30 ამიტომ, იყენებდნენ ძალასა და უფლებამოსილებას იესოს მოწაფეებზე, რომლებიც მათთან დარჩნენ და ისინი საპყრობილეში ჩაყარეს; მაგრამ ღმერთის სიტყვის ძალით, რომელიც მათში იყო, საპყრობილეები შუაზე გაიპო და ისინი გამოვიდნენ, რომ მათში დიდი სასწაულები მოეხდინათ.

31 ამისდა მიუხედავად და ყველა ამ სასწაულის მიუხედავად, ხალხმა გული გაიქვავა და ცდილობდა მათ მოკვლას, ისე

როგორც იუდეველები ცდილობდნენ იერუსალიმში იესოს მოკვლას, მისი სიტყვის მიხედვით.

32 და მათ ყრიდნენ ცეცხლოვან ღუმელებში და იქიდან ისინი უვნებელი გამოდიოდნენ.

33 და ისინი ჩაყარეს გარეული მხეცების ბუნაგში და ისინი ეთამაშებოდნენ გარეულ მხეცებს, როგორც ბავშვი კრავს; და ისინი მათგან უვნებელი გამოვიდნენ.

34 ამისდა მიუხედავად, ხალხმა გული გაიქვავა, ვინაიდან მათ წინ მიუძღოდა მრავალი მღვდელი და ცრუ წინასწარმეტყველი, რათა აეგოთ მრავალი ეკლესია და ჩაედინათ ყოველგვარი ურჯულოება. და ისინი იესოს ხალხს სცემდნენ; მაგრამ იესოს ხალხი მათ ცემით არ პასუხობდა. და ამგვარად, გადაშენდნენ ისინი ურწმუნობასა და სიბოროტეში, წლიდან წლამდე, სანამ არ გავიდა ორას ოცდაათი წელი.

35 და ახლა, იყო ასე: ამ წელს, დიახ, ორას ოცდამეთერთმეტე წელს, ხალხში წარმოიშვა დიდი გაყოფა.

36 და იყო ასე: ამ წელს გამოჩნდა ხალხი, რომელსაც უწოდეს ნეფიელები და ისინი იყვნენ ქრისტეს ჭეშმარიტი მორწმუნენი; და მათ შორის იყვნენ ისინი, რომლებსაც ლამანიელები უწოდებდნენ იაკობიელებს, იოსებიელებსა და ზორამიელებს;

37 ამიტომ, ქრისტეს ჭეშმარიტი

მორწმუნეები და ქრისტეს ჭემ-
მარიტი თაყვანისმცემლები (მათ
შორის იყო იესოს სამი მოწაფე,
რომლებიც უნდა დარჩენილიყუ-
ნენ) ეწოდებოდნენ ნეფიელები,
იაკობიელები, იოსებიელები და
ზორამიელები.

38 და იყო ასე, რომ მათ, რომ-
ლებმაც სახარება უარყვეს,
ეწოდნენ ლამანიელები, ლემუე-
ლიელები და ისმაელიელები; და
ისინი არ გადაშენდნენ ურწმუ-
ნობაში, მაგრამ განზრახ ჯანყ-
დებოდნენ ქრისტეს სახარების
წინააღმდეგ და საკუთარ შვი-
ლებს ასწავლიდნენ, რომ არ
უნდა ეწამათ, ისე როგორც მათი
მამები გადაშენდნენ ურწმუნო-
ბაში დასაბამიდან.

39 და ეს იყო მათი მამების სი-
ბოროტისა და სისაბაგლის გამო
ისე, როგორც დასაბამიდან. და
ასწავლიდნენ მათ ღმერთის შვი-
ლების სიძულვილს ისე, რო-
გორც ლამანიელთ ასწავლიდნენ
ნეფის შვილების სიძულვილს
დასაბამიდან.

40 და იყო ასე, რომ ჩაიარა
ორას ორმოცდაათხმა წელმა
და ასეთი იყო ხალხის საქმენი.
და ხალხის მეტად ბოროტი ნა-
წილი განმტკიცდა და გახდა
უფრო მრავალრიცხოვანი, ვიდრე
ღმერთის ხალხი.

41 და ისინი კვლავ აგრძელებ-
დნენ თავისთვის ეკლესიების
შენებას და თავს იმშვენებ-
დნენ ყველანაირი ძვირფასეუ-
ლობებით. და ასე ჩაიარა ორას

ორმოცდაათმა წელმა და ასევე
ორას სამოცმა წელმაც.

42 და იყო ასე, რომ ხალხის
ბოროტმა ნაწილმა კვლავ და-
იწყო გადიანტონის საიდუმლო
ფიცის დადება და შეთქმულე-
ბების მოწყობა.

43 და ხალხი, რომელსაც ეწო-
დებოდა ნეფის ხალხი, ასევე
გახდა ამპარტავანი გულში,
ძალზედ დიდი სიმდიდრის გამო
და პატივმოყვარე გახდა თავი-
ანთი ძმების, ლამანიელების,
მსგავსად.

44 და ამ უამიდან, მოწაფეებმა
ამა ქვეყნის ცოდვების გამო და-
იწყეს წუხილი.

45 და იყო ასე, რომ როდესაც
გავიდა სამასი წელი, ნეფის
ხალხიცა და ლამანიელებიც,
ერთმანეთის მსგავსად, ძალზედ
გაბოროტდნენ.

46 და იყო ასე, რომ გადიანტო-
ნის მძარცველები გაერცვლდნენ
მთელი მიწის პირზე; და იესოს
მოწაფეების გარდა იქ აღარავინ
იყო სამართლიანი. და ოქროსა
და ვერცხლს უხვად ინახავდნენ
საცავში და ეწეოდნენ ყველა-
ნაირ ვაჭრობას.

47 და იყო ასე, რომ როდესაც
ჩაიარა სამას ხუთმა წელმა (და
ხალხი კვლავ იმყოფებოდა სი-
ბოროტეში) გარდაიცვალა ამოსი
და მისი ძმა, ამარონი, აგრძე-
ლებდა მის ნაცვლად ჩანაწე-
რებს.

48 და იყო ასე: როდესაც გა-
ვიდა სამას ოცი წელი, ამარონმა,

სულიწმინდის კარნახისამებრ, დამალა ჩანაწერები, რომლებიც იყო წმინდა – დიახ, ყველა წმინდა ჩანაწერი, რომელიც გადაეცემოდა თაობიდან თაობას – სამას ოც წლამდე, ქრისტეს მოსვლიდან.

49 და დამალა ისინი უფლისთვის, რათა კვლავ გამოცხადებოდნენ ისინი იაკობის სახლის ნარჩენთ, უფლის წინასწარმეტყველებებისა და დაპირებების შესაბამისად. და ასე მთავრდება ამარონის ჩანაწერები.

მორმონის წიგნი

თავი 1

ამარონი არიგებს მორმონს წმინდა ჩანაწერების შესახებ. ნეფიელთა და ლამანიელთა შორის იწყება ომი. სამი ნეფიელი წაყვანილი იქნა. ვრცელდება სიბოროტე, ურწმუნოება, გრძნეულება და ჯადოქრობა. დაახლოებით 321–326 წწ. ჩვენი წელთაღრიცხვით.

1 და ახლა მე, მორმონი, ჩანაწერს ვაკეთებ იმაზე, რაც ვიხილე და მოვისმინე და ვუწოდებ მას მორმონის წიგნს.

2 დაახლოებით იმ დროს, როდესაც ამარონმა უფლისთვის გადამალა ჩანაწერები, იგი მოვიდა ჩემთან (ვიყავი რა ათი წლის და დავიწყე ჩემი ხალხის ზოგიერთი სწავლების შესწავლა) და ამარონმა მითხრა: ვხედავ, ხარ ფხიზელი ბავშვი და სწრაფად ითვისებ;

3 ამიტომ, როდესაც გახდები დაახლოებით ოცდაოთხი წლის, მსურს გაიხსენო ის, რაც ამ

ხალხის შესახებ აღიქვი; და როდესაც ამ წლოვანების გახდები, წადი ანტუმის მიწაზე, გორაკთან, რომელსაც უწოდებენ შიმს; და იქ შევიწინაზე უფლისთვის ყველა წმინდა გრავიურა ამ ხალხის შესახებ.

4 და აჰა, აიღებ შენთვის ნეფის ფირფიტებს და დანარჩენს დატოვებ იქ, სადაც არის; და ნეფის ფირფიტებზე ამოტვიფრავ ყოველივე იმას, რაც ამ ხალხის შესახებ აღიქვი.

5 და მე, მორმონს, ვარ რა შთამომავალი ნეფისა (და მამაჩემის სახელი იყო მორმონი) მასხოვს ის, რაც ამარონმა მიბრძანა.

6 და იყო ასე, რომ ვიყავი რა თერთმეტი წლის, მამამ წამიყვანა მიწაზე სამხრეთით, ზარაჰემლას მიწაზე.

7 მთელი მიწის პირი შენობებით იყო დაფარული და ხალხი იყო უთვალავი, თითქმის როგორც ზღვის ქვიშა.

8 და იყო ასე, რომ ამ წელს ომი დაიწყო ნეფიელთა შორის,

რომლებიც შედგებოდნენ ნეფიელთა, იაკობიელთა, იოსებიელთა და ზორამიელთაგან; და ომი იყო ნეფიელებსა და ლამანიელთა და ლემუელიელთა და ისმაელიელთა შორის.

9 ახლა, ლამანიელებს, ლემუელიელებსა და ისმაელიელებს ეწოდებოდათ ლამანიელები; და იყო ორი მხარე – ნეფიელები და ლამანიელები.

10 და იყო ასე, რომ მათ შორის ომი დაიწყო ზარაჰემლას საზღვრებთან, სიდონის წყლების მიდამოებში.

11 და იყო ასე: ნეფიელებმა შეკრიბეს დიდი რაოდენობის ჯარისკაცები, ოცდაათ ათასზე მეტიც კი. და იყო ასე, რომ ამავე წელს მათ ჰქონდათ რამდენიმე ბრძოლა, რომელშიც ნეფიელებმა დაამარცხეს ლამანიელები და მრავალი მათგანი დახოცეს.

12 და იყო ასე, რომ ლამანიელებმა დათმეს თავიანთი ჩანაფიქრი და მიწაზე მშვიდობა დამყარდა; და მშვიდობა გრძელდებოდა დაახლოებით ოთხი წელი, ასე რომ, იქ არ იყო სისხლისღვრა.

13 მაგრამ სიბოროტე გავრცელებული იყო მთელი მიწის პირზე ისე, რომ უფალმა წაიყვანა თავისი საყვარელი მოწაფეები და შეწყდა სასწაულებისა და განკურნებების საქმე, ხალხის ურჯულოების გამო.

14 და აღარ იყო უფლისგან ძღვენი და სულიწმინდა არავის

აღარ ევლინებოდა მათი სიბოროტისა და ურწმუნოების გამო.

15 და ვიყავი რა თხუთმეტი წლის და საკმაოდ ფიზიკური გონების, უფალი გამომეცხადა და ვიგემე და გავიგე იესოს სიკეთე.

16 და ცვდილობდი, მექადაგა ამ ხალხისთვის, მაგრამ ბაგენი დამეხურა და ამეკრძალა, მექადაგა მათთვის; ვინაიდან ისინი შეგნებულად ჯანყდებოდნენ თავიანთი ღმერთის წინააღმდეგ; და საყვარელი მოწაფეები იმ მიწიდან იქნენ წაყვანილნი ხალხის ურჯულოების გამო.

17 მე კი დავრჩი მათ შორის, მაგრამ მათთვის ქადაგება აკრძალული მქონდა მათი გულქვაობის გამო; და მათი გულქვაობის გამო დაწყევლილი იყო მიწა მათთვის.

18 და ამ გადიანტონის მძარცველებით, რომლებიც ლამანიელთა შორის იყვნენ, მიწა გაივსო ისე, რომ მისმა მცხოვრებმა დაიწყეს თავიანთი საგანძურების მიწაში დამალვა; და იწყო მან ხელიდან გასხლტომა, ვინაიდან უფალმა დაწყევლა მიწა, რათა ისინი ხელიდან გასხლტომოდათ და უკან ვეღარ დაებრუნებინათ.

19 და იყო ასე, რომ იქ იყვნენ გრძნეულები და ჯადოქრები და ჯადოქრობები; და ბოროტის ძალა მოქმედებდა მთელი მიწის პირზე, აბინადის სიტყვების აღსასრულებლად და ასევე ლამანიელი სამუელისა.

თავი 2

მორმონი ხელმძღვანელობს ნეფიელთა ჯარებს. მიწას წაღეკავს სისხლი და ხოცვა-ჟლეტა. ნეფიელები გოდებენ და გლოვობენ განწირულთა დარდით. მათი კეთილდღეობის უამრავს სრულდა. მორმონი იღებს ნეფის ფირფიტებს. ომები გრძელდება. დაახლოებით 327-350 წწ. ჩვენი წელთაღრიცხვით.

1 და იყო ასე: იმავე წელს იქ დაიწყო ომი ნეფიელთა და ლამანიელთა შორის. და ჩემი ახალგაზრდა ასაკის მიუხედავად, დიდი აღნაგობის ვიყავი; ამიტომ, ნეფის ხალხმა დამინიშნა თავიანთ ხელმძღვანელად ანუ ჯარების მეთაურად.

2 ამიტომ, იყო ასე: თექვსმეტი წლის ასაკში წავედი ნეფიელთა ჯარის ლამანიელთა წინააღმდეგ მეთაურად; ამგვარად, ჩაიარა სამასოცდამეექვსე წელმა.

3 და იყო ასე, რომ სამას ოცდამეშვიდე წელს ლამანიელები ჩვენზე წამოვიდნენ ძალზედ დიდი ძალებით ისე, რომ მათ ჩემი ჯარები შეაშინეს; ამიტომ, არ სურდათ ბრძოლა და დაიწყეს უკან დახევა ჩრდილოეთ ქვეყნებისკენ.

4 და იყო ასე, რომ მივედი ქალაქ ანგოლასთან და ქალაქს დავეუფლეთ და დავიწყეთ მზადება, რათა ლამანიელთაგან თავი დაგვეცვა. და იყო ასე, რომ ჩვენი ძალებით გავამაგრეთ

ქალაქი, მაგრამ ჩვენი გამაგრებების მიუხედავად, ლამანიელებმა შემოგვიტიეს და ქალაქიდან გამოგვადევს.

5 ასევე დავითის მიწიდანაც გავაძევებს.

6 და ჩვენ წავედით და მივადწიეთ იეშუას მიწას, რომელიც დასავლეთ საზღვრების ზღვის სანაპიროსთან მდებარეობდა.

7 და იყო ასე, რომ რაც შეიძლებოდა სწრაფად შევკრიბეთ ჩვენი ხალხი, რათა ერთ დაჯგუფებაში გაგვეერთიანებინა.

8 მაგრამ, აჰა, მიწა სავსე იყო მძარცველებითა და ლამანიელებით; და მიუხედავად დიდი განადგურებისა, რომელიც ემუქრებოდა ჩემს ხალხს, მათ არ მოინანიეს თავიანთი ბოროტი საქმენი; ამიტომ, მთელი მიწის პირს მოედო სისხლი და ხოცვა-ჟლეტა, როგორც ნეფიელთა, ასევე ლამანიელთა მხარეს; და ეს იყო ყოვლისმომცველი აჯანყება მთელი მიწის პირზე.

9 და ლამანიელებს ჰყავდათ მეფე, რომლის სახელი იყო აა-რონი; და იგი ჩვენ წინააღმდეგ მოვიდა ორმოცდაოთხი ათასიანი ჯარით. და აჰა, მას შევეწინააღმდეგე ორმოცდაორი ათასით. და იყო ასე, რომ დავამარცხე იგი ჩემი ჯარით და გაიქცა ჩემგან. და ყოველივე ეს მოხდა და ჩაიარა სამას ოცდამეათე წელმა.

10 და იყო ასე, რომ ნეფიელებმა დაიწყეს თავიანთი ურჯულოების მონანიება და ტირილი

ისე, როგორც ეს სამუელმა, წინასწარმეტყველმა, იწინასწარმეტყველა; ვინაიდან, აჰა, ვერავინ ვერ ინარჩუნებდა იმას, რაც გააჩნდა, ქურდების, მძარცველების და მკვლელების, ჯადოსნობისა და ჯადოქრობის გამო, რაც იმ მიწაზე იყო.

11 ამგვარად, მთელ მიწაზე, ყოველივე ამის გამო, დაიწყო გლოვა და გოდება; და განსაკუთრებით ნეფის ხალხს შორის.

12 და იყო ასე, რომ როდესაც მე, მორმონმა, ვიხილე მათი გოდება, გლოვა და უფლისადმი მწუხარება, ჩემმა გულმა გაიხარა ჩემში; ვიცოდი რა უფლის მოწყალებისა და სულგრძელობის შესახებ, ამიტომ ვთვლიდი, რომ იგი მოწყალე იქნებოდა მათ მიმართ, რომ ისინი კვლავ სამართლიანი ხალხი გახდებოდნენ.

13 მაგრამ, აჰა, ამაო იყო ჩემი სიხარული, ვინაიდან მათი მწუხარება არ იყო მოსანანიებლად ღმერთის სიკეთის გამო; არამედ ეს იყო განწირულთა მწუხარება, ვინაიდან უფალი ყოველთვის არ უშვებდა იმას, რომ ცოდვაში ბედნიერება მიეღოთ.

14 და არ მოვიდნენ იესოსთან მოდრეკილი გულითა და მომნანიებელი სულით, არამედ ღმერთს წყევლიდნენ და სიკვდილი სურდათ. ამისდა მიუხედავად, საკუთარი სიცოცხლისთვის მახვილით იბრძოდნენ.

15 და იყო ასე: მწუხარება კვლავ დამიბრუნდა და ვიხილე, რომ კეთილდღეობის ჟამმა მათთვის ჩაიარა, როგორც ამკვეყნიურმა, ასევე სულიერმა, ვინაიდან ვიხილე, როგორ მოიკვეთა ათასობით მათგანი ღმერთის წინაშე ღიად ჯანყისას, და მიწის პირზე ნაკელის გროვებივით იქნენ დაყრილნი. და ასე ჩაიარა სამას ორმოცდამეოთხე წელმა.

16 და იყო ასე: სამას ორმოცდამეხუთე წელს ნეფიელები გარბოდნენ ლამანიელებისგან; და მათ სდიეს იქამდე, სანამ არ მივიდნენ იაშონის მიწამდე, სანამ შესაძლებელი არ გახდა მათი უკან დახევის შეჩერება.

17 და ახლა, ქალაქი იაშონი იყო იმ მიწასთან ახლოს, სადაც ამარონმა გადამალა ჩანაწერები უფლისთვის, რათა ისინი არ გაენადგურებინათ. და აჰა, მე მოვიქეცი ამარონის სიტყვების შესაბამისად და ავიღე ნეფის ფირფიტები და გავაკეთე ჩანაწერები ამარონის სიტყვების მიხედვით.

18 და ნეფის ფირფიტებზე გავაკეთე სრული ჩანაწერი ყველა სიბოროტისა და სისაძაგლის შესახებ, ხოლო ამ ფირფიტებზე, ყოველ მათ სიბოროტესა და სისაძაგლეზე ჩანაწერების გაკეთებისგან თავი შევიკავე, ვინაიდან, აჰა, უცვლელი სურათი სიბოროტისა და სისაძაგლის ყოველთვის ჩემ თვალწინ იყო მას შემდეგ, რაც შესაძლებლობა

მქონდა ადამიანთა გზებისთვის მეცქირა.

19 ვარამი მე, მათი სიბოროტის გამო; ვინაიდან, მთელი ჩემი დღენი გული მწუხარებით მქონდა აღვსილი მათი სიბოროტის გამო; ამისდა მიუხედავად ვიცი, რომ უკანასკნელ დღეს ავმაღლდები.

20 და იყო ასე: ამ წელს, ნეფის ხალხს კვლავ აძევებდნენ და დევნიდნენ. და იყო ასე, რომ გვლევნიდნენ იქამდე, სანამ არ მივედით ჩრდილოეთის მიწაზე, რომელსაც ეწოდებოდა შემი.

21 და იყო ასე, რომ ქალაქი შემი გავამაგრეთ და ერთად შევეკრიბეთ ჩვენი ხალხი, რამდენიც შევძელით, რათა იქნებ განადგურებისგან გადაგვერჩინა.

22 და იყო ასე, რომ სამას ორმოცდამეექვსე წელს მათ კვლავ დაიწყეს ჩვენზედ შემოტევა.

23 და იყო ასე, რომ მე მივმართე ჩემს ხალხს და ვარწმუნებდი მათ დიდი ძალით, რათა ლამანიელების წინ თამამად დამდგარიყვნენ და ებრძოლათ საკუთარი ცოლ-შვილისათვის, სახლებისა და ოჯახებისთვის.

24 და ჩემმა სიტყვებმა მათ სიმხნევე შემატა ისე, რომ აღარ გაექცნენ ლამანიელებს, არამედ თამამად დადგნენ მათ წინააღმდეგ.

25 და იყო ასე, რომ ოცდაათი ათასიანი ჯარით შევეწინააღმდეგეთ ორმოცდაათი ათასიან ჯარს. და იყო ასე, რომ მათ წინ

დავუდექით ისეთი სიმტკიცით, რომ ისინი ჩვენგან გაიქცნენ.

26 და იყო ასე, რომ როდესაც გაიქცნენ, ჩვენ უკან დავედევნეთ ჩვენი ჯარებით და კვლავ შევეტაკეთ და დავამარცხეთ; ამისდა მიუხედავად, ჩვენთან არ იყო უფლის ძალები; დიახ, ვიყავით ჩვენი თავის იმედად, ამიტომ უფლის სული არ იყო ჩვენთან; ამიტომ დავსუსტდით, როგორც ჩვენი ძმები.

27 და გული დამიღონდა ჩემი ხალხის დიდი უბედურების – მათი სიბოროტისა და სისაძაგლის გამო. მაგრამ, აჰა, ჩვენ გამოვედით ლამანიელთა და გადიანტონის მძარცველების წინააღმდეგ, სანამ კვლავ არ დავეუფლეთ ჩვენი მემკვიდრეობის მიწებს.

28 და ჩაიარა სამას ორმოცდამეცხრე წელმა. და სამას ორმოცდამეათე წელს, ლამანიელებთან და გადიანტონის მძარცველებთან დავდეთ შეთანხმება, რომელშიც გავიყავით ჩვენი მემკვიდრეობის მიწები.

29 და ლამანიელებმა მოგვცეს ჩრდილოეთი მიწა, დიახ, სრუტემდეც კი, რომელიც მიდიოდა სამხრეთ მიწისკენ. და ჩვენ ლამანიელებს მთელი სამხრეთის მიწა მივეცით.

თავი 3

მორმონი ღაღადებს მონანიებას ნეფიელებისთვის. ისინი

დიდ გამარჯვებას აღწევენ და ამაყობენ საკუთარი ძალით. მორმონი უარყოფს მათ წინამძღოლობას და მისი ღოცვები მათზე – რწმენის გარეშეა. მორმონის წიგნი ისრაელის თორმეტ ტომს მოუხმობს, იწამონ სახარება. დაახლოებით 360–362 წწ. ჩვენი წელთაღრიცხვით.

1 და იყო ასე, რომ ლამანიელები აღარ მოდიოდნენ საომრად, სანამ კიდევ ათი წელი არ გავიდა. და აჰა, მე ჩემს ხალხს, ნეფიელებს, დავავალე, მოემზადებინათ თავიანთი მიწები და იარაღი ბრძოლის დღისთვის.

2 და იყო ასე, რომ უფალმა მითხრა: შეჰღადადე ამ ხალხს – მონიანიეთ, ჩემთან მოდიო და მონინათლეთ, განამტკიცეთ კვლავ ჩემი ეკლესია და გადაარჩებით.

3 და ამ ხალხს შევღადადე, მაგრამ ამაოდ; ისინი ვერ მიხვდნენ, რომ ეს იყო უფალი, რომელმაც გადაარჩინა და უბოძა მათ მონიანების საშუალება. და აჰა, მათ გაიქევეს გული თავიანთი უფლის, ღმერთის, მიმართ.

4 და იყო ასე: როდესაც ათი წელი გავიდა, რაც ქრისტეს მოსვლიდან შეადგენდა სამას სამოც წელს, ლამანიელთა მეფემ წერილი გამოემიგზავნა, რომლიდანაც გავიგე, რომ ისინი კვლავ ემზადებოდნენ ჩვენ წინააღმდეგ საბრძოლველად.

5 და იყო ასე, რომ მე ვუბრძანე

ჩემს ხალხს, ერთად შეკრებილიყვნენ მიწა აოხრებულთან, სამხრეთ მიწისკენ მიმავალი, ვიწრო სრუტის საზღვრებში მდებარე ქალაქში.

6 და განვაღაგეთ ჩვენი ჯარები, რათა შეგვეჩერებინა ლამანიელთა ჯარები, რომ ვერ დაეპყროთ ჩვენი მიწებიდან ვერცერთი, ამიტომ მათ წინააღმდეგ ვმაგრდებოდით მთელი ჩვენი ძალით.

7 და იყო ასე: სამას სამოცდაერთ წელს ლამანიელები მოადგნენ ქალაქ აოხრებულს, ჩვენ წინააღმდეგ საბრძოლველად; და იყო ასე, რომ იმ წელს ჩვენ დავამარცხეთ ისინი ისე, რომ კვლავ დაუბრუნდნენ თავიანთ საკუთარ მიწებს.

8 და სამას სამოცდამეორე წელს, კვლავ მოვიდნენ საბრძოლველად. და ჩვენ კვლავ დავამარცხეთ ისინი და დავხოცეთ მრავალი მათგანი და მათი დახოცილები ზღვაში გადავყარეთ.

9 და ახლა, ამ დიდი საქმის გამო, რომელიც ჩემმა ხალხმა, ნეფიელებმა, გააკეთეს, მათ დაიწყეს საკუთარი ძალით ტრაბახი და ზეცის წინაშე ფიცი, რომ შურს იძიებდნენ თავიანთი ძმების სისხლისთვის, რომლებიც მტერმა დაუხოცა.

10 და იფიცებოდნენ ზეცით, ასევე ღმერთის ტახტით, რომ საბრძოლველად წავიდოდნენ მტრის წინააღმდეგ და მათ მიწის პირიდან მოკვეთდნენ.

11 და იყო ასე, რომ მე, მორმონმა, ამ დროიდან მთლიანად უარი ვთქვი ამ ხალხის მეთაურობასა და წინამძღოლობაზე, მათი სიბოროტისა და სისაძაგლის გამო.

12 აჰა, მათ მივეუძღოდი, მიუხედავად მათი სიბოროტისა, მრავალჯერ გავუძეხი ბრძოლაში და მიყვარდა ისინი, ღმერთის სიყვარულისამებრ, რომელიც იყო ჩემში, მთელი ჩემი გულით; და მთელი სული გადმოვღვარე ჩემი ღმერთისადმი მათთვის ლოცვისას მთელი დღის განმავლობაში; ამისდა მიუხედავად, ეს იყო რწმენის გარეშე, მათი გულქვაობის გამო.

13 და სამჯერ გამოვიხსენი ისინი მტრის ხელიდან და არ მოინანიეს ცოდვები.

14 და როდესაც იფიცებოდნენ ყველაფრით, რაც აკრძალული ჰქონდათ ჩვენი უფლისა და მხსნელის, იესო ქრისტეს, მიერ, რომ წავიდოდნენ მტრის წინააღმდეგ და შურს იძიებდნენ თავიანთი ძმების სისხლისთვის, აჰა, უფლის ხმა მომესმა, სიტყვებით:

15 შურისგება ჩემია და მე მივაგებ; და ვინაიდან ამ ხალხმა არ მოინანია მას შემდეგ, რაც გამოვიხსენი, აჰა, ისინი მიწის პირიდან იქნებიან მოკვეთილნი.

16 და იყო ასე, რომ საერთოდ უარი ვთქვი მტრის წინააღმდეგ გამოსვლაზე; და მოვიქეცი ისე, როგორც უფალმა მიბრძანა; და ვიდექი, როგორც უმოქმედო

მოწმე, რათა დამემოწმებინა ამა ქვეყნისთვის ის, რაც ვიხილე და მოვისმინე, სულის გამოცხადებებისამებრ, რაც მოწმობდა ყოველივე იმაზე, რაც უნდა მომხდარიყო.

17 ამიტომ, თქვენ გწერთ, წარმართნო, და ასევე თქვენ, ისრაელის სახლო, როდესაც დაიწყება ეს საქმე, მაშინ იქნებით ახლოს იმისათვის, რომ მოემზადოთ თქვენი მემკვიდრეობის მიწებზე დასაბრუნებლად;

18 დიახ, აჰა, ვწერ დედამიწის ყველა კიდისთვის; დიახ, თქვენთვის, ისრაელის თორმეტო ტომო, რომლებიც განკითხულნი იქნებით საკუთარი საქმეებისამებრ, იმ თორმეტის მიერ, რომლებიც იესომ აირჩია, რათა ყოფილიყვნენ მისი მოწაფენი იერუსალიმის მიწაზე.

19 და ვწერ ასევე ამ ხალხის ნარჩენისთვის, რომელიც ასევე განკითხული იქნება ამ მიწაზე იესოს მიერ არჩეული თორმეტის მიერ; და თავად ისინი განკითხულნი იქნებიან იმ თორმეტის მიერ, რომლებიც იესომ იერუსალიმის მიწაზე აირჩია.

20 და ეს სულმა გამომიცხადა; ამიტომ, ვწერ ყოველი თქვენგანისთვის. და იმ მიზნით გწერთ, რათა იცოდეთ, რომ ყველა უნდა წარსდგეთ ქრისტეს სამსჯავროს წინაშე, დიახ, ყოველი სული, რომელიც მიეკუთვნება ადამის მთელ ადამიანურ ოჯახს; და უნდა წარსდგეთ, რათა

განიკითხოთ საკუთარი საქმეებისთვის, თუნდაც იყოს კეთილი ან ბოროტი;

21 ასევე, რათა იწამოთ იესო ქრისტეს სახარება, რომელიც იქნება თქვენთან; ასევე, რათა იუდეველებმა, უფლის აღთქმულმა ხალხმა, იყოლიონ სხვა მოწმე მის გარდა, რომელიც იხილეს და მოისმინეს, რომ იესო, რომელიც მათ მოკლეს, იყო ჭეშმარიტი ქრისტე და ჭეშმარიტი ღმერთი.

22 და მსურს, დაგარწმუნოთ, დედამიწის ყველა კიდნო, რომ მონიანიოთ და მოემზადოთ ქრისტეს სამსჯავროს წინაშე წარსადგენად.

თავი 4

გრძელდება ომი და ხოცვა-ჟლეტა. ბოროტი სჯის ბოროტს. ვრცელდება იმაზე უფრო დიდი სიბოროტე, ვიდრე ოდესმე ყოფილა მთელ ისრაელში. ქალებსა და ბავშვებს სწირავენ კერპებს. ლამანიელები დევნიან ნეფიელებს. დაახლოებით 363-375 წწ. ჩვენი წელთაღრიცხვით.

1 და ახლა, იყო ასე, რომ სამას სამოცდამესამე წელს, ნეფიელები გამოვიდნენ თავიანთი ჯარებით მიწა აოხრებულიდან, რათა ლამანიელებს შებრძოლებოდნენ.

2 და იყო ასე, რომ ნეფიელთა ჯარები უკან აქციეს მიწა აოხრებისკენ. და იმ დროს, როდესაც

დაქანცულები იყვნენ, ლამანიელები ახალი ჯარებით თავს დაესხნენ; და მწვავე ბრძოლა ჰქონდათ მათ, ისეთი, რომ ლამანიელები დაეუფლნენ ქალაქ აოხრებულს და დახოცეს მრავალი ნეფიელი და მრავალი ტყვე შეიპყრეს.

3 დანარჩენები გაიქცნენ და ქალაქ ტეანკუმის მცხოვრებთ შეუერთდნენ. ახლა, ქალაქი ტეანკუმი მდებარეობდა ზღვის სანაპიროს საზღვრებთან; და იგი ასევე ქალაქ აოხრებულთან ახლოს იყო.

4 და იმის გამო, რომ ნეფიელთა ჯარები გამოვიდნენ ლამანიელთა წინააღმდეგ, მათ იწყეს დამარცხება; ეს რომ არ გაეკეთებინათ, ლამანიელებს მათზე ძალა არ ექნებოდათ.

5 მაგრამ, აჰა, ღმერთის სასჯელი მოევლინება ბოროტს; და ბოროტნი ისჯებიან ბოროტთა ხელით; ვინაიდან ბოროტნი აღვივებენ სისხლისღვრას ადამიანთა შვილების გულში.

6 და იყო ასე, რომ ლამანიელები ქალაქ ტეანკუმზე თავდასხმისთვის ემზადებოდნენ.

7 და იყო ასე, რომ სამას სამოცდამეოთხე წელს, ლამანიელები ქალაქ ტეანკუმზე წამოვიდნენ, რათა ქალაქი ტეანკუმიც დაეპყროთ.

8 და იყო ასე, რომ ნეფიელებმა ისინი მოიგერიეს და უკუაგდეს. და როდესაც ნეფიელებმა იხილეს, რომ ლამანიელები

უკუაგდეს, მათ კვლავ დაიწყეს ტრაბახი საკუთარი ძალით და კვლავ გამოვიდნენ თავიანთი ძალებით და კვლავ დაეუფლნენ ქალაქ აოხრებულს.

9 და ყოველივე ეს გააკეთდა და ათასობით დაიხოცა ორივე მხარეს, ნეფიელებიც და ლამანიელებიც.

10 და იყო ასე, რომ ჩაიარა სამას სამოცდამეექვსე წელმა და ლამანიელები კვლავ წამოვიდნენ ნეფიელებთან საბრძოლველად; და მაინც არ მოინანიეს ნეფიელებმა ჩადენილი ბოროტება და აგრძელებდნენ საკუთარ სიბოროტეში ყოფნას.

11 და შეუძლებელია ენით ითქვას ან ადამიანის მიერ აღიწეროს სრულად ის საშინელი სისხლისა და ხოცვა-ჟლეტის სურათი, რაც ადამიანებს შორის ხდებოდა, ნეფიელებსა და ლამანიელებს შორის; და ყოველი გული იყო გაქვავებული, ასე რომ ისინი გამუდმებით ტკებოდნენ სისხლისღვრით.

12 არასდროს არ ყოფილა ასეთი დიდი სიბოროტე ღების შვილებს შორის, არც მთელი ისრაელის სახლში, უფლის სიტყვების შესაბამისად, როგორც იყო ამ ხალხში.

13 და იყო ასე, რომ ლამანიელები დაეუფლნენ ქალაქ აოხრებულს და ეს იმის გამო, რომ რიცხობრივად ნეფიელებს აღემატებოდნენ.

14 და ისინი გაემართნენ ასევე

ქალაქ ტეანკუმისკენ, გამოაძევეს მისი მცხოვრებნი და შეიპყრეს მრავალი ტყვე – ქალები და ბავშვები და შესწირეს ისინი თავიანთ კერპ-ღმერთებს.

15 და იყო ასე, რომ სამას სამოცდამეშვიდე წელს ნეფიელები, იყვნენ რა განრისხებულნი, ვინაიდან ლამანიელებმა შესწირეს მათი ქალები და ბავშვები, წავიდნენ ლამანიელების წინააღმდეგ ძალზედ დიდი მრისხანებით, ისეთით, რომ კვლავ დაამარცხეს ლამანიელები და გააძევეს საკუთარი მიწებიდან.

16 და ლამანიელები აღარ გამოდიოდნენ ნეფიელების წინააღმდეგ სამას სამოცდათხუთმეტ წლამდე.

17 და ამ წელს ისინი გამოვიდნენ ნეფიელების წინააღმდეგ მთელი თავიანთი ძალებით; და მათი დათვლა შეუძლებელი იყო დიდი რაოდენობის გამო.

18 და ამ ჟამიდან მომავალში, ნეფიელებმა ვეღარ მოიპოვეს ლამანიელებზე ძალაუფლება, ხოლო მათ დაიწყეს ნეფიელთა დევნა და იყვნენ ისინი ვითარცა ცვარი მზის ქვეშ.

19 და იყო ასე, რომ ლამანიელები წამოვიდნენ ქალაქ აოხრებულზე; და ძალზედ მწვავე ბრძოლა გაჩაღდა მიწა აოხრებულზე, რომელზეც მათ დაამარცხეს ნეფიელები.

20 და ისინი კვლავ გაიქცნენ მათგან და მივიდნენ ქალაქ ბოყაზში და იქ შეეწინააღმდეგნენ

ლამანიელებს დიდი სიმამაცით, ისეთით, რომ ლამანიელებმა ვერ დაამარცხეს ისინი სანამ კვლავ, მეორეჯერ არ შეუტყეს.

21 და როდესაც მათ მეორეჯერ შეუტყეს, ნეფიელები გააძევეს და დახოცეს ძალზედ დიდი ხოცვა-ჟლეტით; მათი ქალები და ბავშვები კვლავ შესწირეს კერპებს.

22 და იყო ასე, რომ ნეფიელები კვლავ გაიქცნენ მათგან, თან წაიყვანეს ყველა მცხოვრებნი ქალაქებიდან და სოფლებიდანაც.

23 და ახლა, მე, მორმონი, გხედავდი რა, რომ ლამანიელებმა ლამის დააქციეს მიწა, მივედი გორაკ შიშთან და ავიღე ყველა ჩანაწერი, რომელიც ამარონმა უფლისთვის გადამალა.

თავი 5

მორმონი კვლავ მიუძღვის ნეფიელთა ჯარებს სისხლისა და ხოცვა-ჟლეტის ბრძოლებში. მორმონის წიგნი მოეკლინება, რათა დაარწმუნოს მთელი ისრაელი იმაში, რომ იესო არის ქრისტე. თავიანთი ურწმუნოების გამო ლამანიელები იქნებიან გაფანტულნი და სული აღარ იმოქმედებს მათზედ. სახარებას მიიღებენ უკანასკნელ დღეს წარმართებისგან. დაახლოებით 375-384 წწ. ჩვენი წელთაღრიცხვით.

1 და იყო ასე, რომ მე წავედი ნეფიელებში და მოვინანიე ჩემ მიერ დადებული ფიცი, რომ აღარ დავეხმარებოდი მათ; და

მათ კვლავ მიბოძეს თავიანთი ჯარების მეთაურობა, ვინაიდან ეგონათ, რომ გაჭირვებიდან გამოვიხსნიდი მათ.

2 მაგრამ, აჰა, ვიყავი უიმედო, ვინაიდან ვიცოდი უფლის განაჩენის შესახებ, რომელიც მათზე უნდა მოვლენილიყო; ვინაიდან, კი არ ინანიებდნენ თავიანთ ურჯულოებას, არამედ იბრძოდნენ საკუთარი სიცოცხლისთვის და არ მიმართავდნენ დახმარებისთვის იმ არსებას, რომელმაც ისინი შექმნა.

3 და იყო ასე, რომ ლამანიელები ჩვენ წინააღმდეგ წამოვიდნენ, როდესაც გავიქეციით ქალაქიორდანში; მაგრამ, აჰა, უკუვაქციეთ, ასე რომ იმ ჯერზე ქალაქი ვერ აიღეს.

4 და იყო ასე, რომ ისინი კვლავ წამოვიდნენ ჩვენ წინააღმდეგ და კვლავ შევინარჩუნეთ ქალაქი. და იქ იყო ასევე სხვა ქალაქები, რომლებსაც ინარჩუნებდნენ ნეფიელები, რომელთა გამაგრებები ლამანიელებს გზას უჭრიდნენ, რათა ისინი ვერ შემოსულიყვნენ ქვეყნის სიღრმეში, ჩვენი მიწის მცხოვრებთა გასანადგურებლად.

5 მაგრამ, იყო ასე: ყოველი მიწა, რომელზეც ჩვენ გავიარეთ და მისი მცხოვრებნი არ შემოვიკრიბეთ, განადგურებულ იქნა ლამანიელთა მიერ და მის ქალაქებსა და სოფლებს ცეცხლით წვავენენ; და ასე ჩაიარა სამას სამოცდამეცხრამეტე წელმა.

6 და იყო ასე, რომ სამას ოთხმოც წელს ლამანიელები კვლავ წამოვიდნენ ჩვენ წინააღმდეგ საბრძოლველად და თამამად შევეწინააღმდეგეთ მათ; მაგრამ ამას იყო ყოველივე ეს, ვინაიდან იმდენად ბევრნი იყვნენ რიცხოვრით, რომ ვეხქვეშ თელავდნენ ნეფიელთა ხალხს.

7 და იყო ასე, რომ ჩვენ კვლავ გავიქვეციით და რომლებმაც გაქცევისას გამოასწრეს ლამანიელებს – გადარჩნენ; და ისინი, რომლებმაც ლამანიელებს ვერ გამოასწრეს, აღგავეს და განადგურეს.

8 და აჰა, მე, მორმონს, არ მსურს ადამიანთა სულების აფორიაქება, მათ წინაშე ასეთი საშინელი სისხლისა და ხოცვა-ჟლეტის სურათის აღწერით, რომელიც ჩემ თვალწინ გადაიშალა; მაგრამ ვიცოდი, რომ ეს აუცილებლად უნდა ყოფილიყო ცნობილი, რათა ყველაფერი ფარული უნდა გამოაშკარავდეს სახლების სახურავებზე –

9 და ასევე, ცოდნა ამის შესახებ უნდა მივიდეს ამ ხალხის ნარჩენთან, ასევე წარმართებთან, რომლებმაც, უფლის სიტყვებისამებრ, უნდა გაფანტონ ეს ხალხი და ეს ხალხი არაფრად ჩაითვლება მათ შორის, ამიტომ ვწერ შემოკლებულად, ვერ ვბედავ იმის მთლიანად გადმოცემას, რაც ვიხილე, იმ ბრძანების შესაბამისად, რაც მივიღე, ასევე, რომ არ გქონდეთ

მეტისმეტად დიდი მწუხარება ამ ხალხის ბოროტების გამო.

10 და ახლა, აჰა, მე მივმართავ მათ შთამომავლებს და ასევე წარმართებს, რომლებიც ზრუნავენ ისრაელის სახლზე, რომლებსაც ესმით და იციან, საიდან მოდის მათი კურთხევები.

11 ვინაიდან ვიცი, რომ ასეთები დამწუხრდებიან ისრაელის სახლის უბედურების გამო; დიახ, დამწუხრდებიან ამ ხალხის განადგურების გამო; ისინი დამწუხრდებიან, რომ ამ ხალხმა არ მოინანია, რათა მოხვედრილიყვნენ იესოს მკლავებში.

12 ახლა, ყოველივე ეს დაიწერა იაკობის სახლის ნარჩენისთვის; და ამგვარად არის დაწერილი, ვინაიდან ღმერთისთვის ცნობილია, რომ სიბოროტე ამას არ მიიტანს მათთან; და ჩანაწერები უნდა გადაინახოს უფლისთვის, რათა ისინი მისთვის შესაფერის დროს გამოჩნდეს.

13 და ეს არის ბრძანება, რომელიც მივიღე; და აჰა, ეს აღსრულდება უფლის ბრძანების შესაბამისად, როდესაც ამას ჩათვლის შესაფერისად, საკუთარი სიბრძნისამებრ.

14 და აჰა, ჩანაწერები მიაღწევს იუდეველთა ურწმუნობამდე; და ეს იმისთვის, რათა დარწმუნდნენ, რომ იესო არის ქრისტე, ცოცხალი ძე ღვთისა; რათა მამამ, თავისი საყვარელი ძის მეშვეობით, შეძლოს საკუთარი დიადი და მარადიული მიზნის

აღსრულება, იუდეველთა ანუ ისრაელის მთელი სახლის დაბრუნება საკუთარი მემკვიდრეობის მიწაზე, რომელიც უფალმა ღმერთმა უბოძა მათ საკუთარი აღთქმის აღსასრულებლად;

15 და ასევე, რათა ამ ხალხის შთამომავლებმა უფრო ღრმად იწამონ მისი სახარება, რომელიც მათთან მივა წარმართებისგან; ვინაიდან ეს ხალხი იქნება გაფანტული და იქცევა ბნელ, უწმინდურ და საზიზღარ ხალხად, იმაზე უარესად, ვიდრე ოდესმე აღწერილა ჩვენ შორის, დიახ, ვიდრე ოდესმე აღწერილა ლამანიელებშიც კი; და ეს მათი ურწმუნოებისა და კერპთაყვანისმცემლობის გამო.

16 ვინაიდან აჰა, უფლის სული უკვე აღარ მოქმედებს მათ მამებზე; და არიან ამქვეყნად ქრისტესა და ღმერთის გარეშე; და დევნიან მათ, ვითარცა ბზეს ქარში.

17 ისინი ოდესღაც იყვნენ მომიხიბვლელი ხალხი და ქრისტე ჰყავდათ მწყემსად; დიახ, მათ მამა ღმერთიც კი მიუძღოდა წინ.

18 მაგრამ ახლა, აჰა, მათ სატანა მიუძღვით წინ, ვითარცა ქარი ბზეს ან ტალღებზე გატაცებული ნავივით, აფრისა და ღუზის გარეშე, ან რაიმეთი, რითაც შესაძლებელია მისი მართვა; და როგორიც ის არის, ასეთივე არიან ისინი.

19 და აჰა, უფალმა შეინახა კურთხევები, რომელთა მიღება

მათ შეეძლოთ მიწაზე, იმ წარმართებისთვის, რომლებიც მიწას ფლობენ.

20 მაგრამ, აჰა, იქნება ასე, რომ ისინი იქნებიან წარმართების მიერ გაძევებულნი და გაფანტულნი და მას შემდეგ, რაც წარმართები მათ გააძევენ და გაფანტავენ, გაიხსენებს უფალი თავის აღთქმას, რომელიც დადო აბრაამთან და მთელი ისრაელის სახლთან.

21 და ასევე უფალი გაიხსენებს მართალთა ლოცვებს, რომლებიც მისადმი ადავლინეს მათთვის.

22 და შემდეგ, თქვე წარმართნო, როგორ წარსდგებით ღმერთის ძალის წინაშე, თუ არ მოინანიებთ და თქვენი ბოროტი გზებიდან არ გადაუხვევთ?

23 ნუთუ არ იცით, რომ ღმერთის ხელში ხართ? ნუთუ არ იცით, რომ მას აქვს მთელი ძალა და მისი ბრძანებისამებრ დედამიწა გრაგნილივით დაიხვევა?

24 ამიტომ, მოინანიეთ და თავი დაიმდაბლეთ მის წინაშე, რათა არ მოგვევლინოთ სამართალი სასჯელით, რათა იაკობის შთამომავლობის ნარჩენი არ შემოიჭრას თქვენში, ლომივით არ დაგგლიჯოთ და არავინ არის თქვენი გამომსხნელი.

თავი 6

ნეფიელები იკრიბებიან ქუმორას

მიწაზე საბოლოო ბრძოლისთვის. მორმონი მალაევს წმინდა წერილებს ქუმორას გორაკზე. ლამანიელები იმარჯვებენ და ნეფიელთა ხალხი ნადგურდება. ასობით ათასი იხოცება მახვილით. დაახლოებით 385 წ. ჩვენი წელთაღრიცხვით.

1 და ახლა, მე ვასრულებ ჩანაწერებს ჩემი ხალხის, ნეფიელების, განადგურების შესახებ. და იყო ასე, რომ ჩვენ ლამანიელების წინ მივდიოდით.

2 და მე, მორმონმა, ლამანიელთა მეფეს წერილი მივწერე და ვთხოვე, საშუალება მოეცა ჩვენთვის, რომ ერთად შეგვეკრიბა ჩვენი ხალხი ქუმორას მიწაზე, გორაკთან, რომელსაც ქუმორა ეწოდებოდა და იქ შევძლებდით მათთან შებრძოლებას.

3 და იყო ასე, რომ ლამანიელთა მეფემ მიბოძა ის, რაც მსურდა.

4 და იყო ასე, რომ ჩვენ გავემართეთ ქუმორას მიწისკენ და კარები გავშალეთ ქუმორას გორაკის გარშემო; და ეს იყო მიწა მრავალი წყლით, მდინართა და წყაროთი; და იმედი გვქონდა, რომ აქ ლამანიელებზე წარმატებას მივალწევდით.

5 და როდესაც ჩაიარა სამას ოთხმოცდამეოთხე წელმა, ქუმორას მიწაზე შეგკრიბეთ მთელი ჩვენი დარჩენილი ხალხი.

6 და იყო ასე, რომ როდესაც ჩვენ ერთად შეგკრიბეთ მთელი

ჩვენი ხალხი ქუმორას მიწაზე, აჰა, მე, მორმონმა, ვიგრძენი ჩემი სიბერე; ვიცოდი რა, რომ ეს იქნებოდა ჩემი ხალხის ბოლო ბრძოლა და მიღებული მქონდა ბრძანება უფლისგან, რომ არ დამეშვა ჩანაწერების, რომლებიც ჩვენი მამების მიერ იყო გადმოცემული და წმინდა იყო, ლამანიელთა ხელში ჩავარდნა (ვინაიდან ლამანიელები მათ გაანადგურებდნენ) ამიტომ, ეს ჩანაწერი გავაკეთე ნეფის ფირფიტებიდან და ქუმორას გორაკში დავმალე ყველა ჩანაწერი, რომლებიც ჩემთვის უფლის ხელით იყო მინდობილი, ამ რამდენიმე ფირფიტის გარდა, რომელიც ჩემს შვილს, მორონის, გადავეცი.

7 და იყო ასე, რომ ჩემმა ხალხმა, თავიანთი ცოლებითა და შვილებით, იხილა მათკენ მიმავალი ლამანიელთა ჯარები; და დაიწყეს მათი ლოდინი, სიკვდილის საშინელი შიშით, რომელიც ავსებს ყოველი ბოროტის მკერდს.

8 და იყო ასე, რომ ისინი წამოვიდნენ ჩვენ წინააღმდეგ საბრძოლველად და მათი უზარმაზარი რაოდენობის გამო შიშით აღივსო ყოველი სული.

9 და იყო ასე: ისინი ჩემს ხალხს თავს დაესხნენ მახვილით, მშვილდითა და ისრით, ნაჯახითა და ყოველნაირი საომარი იარაღით.

10 და იყო ასე, რომ მრავალი ჩემი ადამიანი აკუწეს, დიახ,

ჩემთან მყოფი ათი ათასიც კი; და მათ შორის დავეცი დაჭრილი; და მათ გვერდზე ჩამიარეს, მაგრამ სიცოცხლე ვერ მომისწრაფეს.

11 და როდესაც მათ გაიარეს და აკუწეს მთელი ჩემი ხალხი, გარდა ოცდაოთხი ჩვენგანისა (რომელთა შორის იყო ჩემი შვილი, მორონი) და ჩვენი ხალხის სიკვდილისგან გადარჩენილებმა, მომდევნო დღეს, როდესაც ლამანიელები თავიანთ ბანაკებს დაუბრუნდნენ, ქუმორას გორაკის წვერიდან ვიხილეთ ჩემი ხალხის ათი ათასი, რომლებიც მიწაზე იყვნენ მოკვეთილნი, რომლებსაც წინ მივუძღოდ.

12 და ვიხილეთ ასევე ჩემი ხალხის ათი ათასი, რომლებსაც ჩემი შვილი, მორონი, მიუძღოდა.

13 და აჰა, ათი ათასი გიდგიდონას მემომარი დაეცა და ისიც მათ შორის იყო.

14 და ლამაჰი დაეცა თავისი ათი ათასით; და გილგალიც დაეცა თავისი ათი ათასით; და ლიმპა დაეცა თავისი ათი ათასით; და იენეუმი დაეცა თავისი ათი ათასით; და კუმენიჰა და მორონიჰა და ანტიონუმი და შიბლომი და შემი და იოში, ყოველი დაეცა თავისი ათი ათასით.

15 და იყო ასე, რომ იყო კიდევ ათი, რომელიც მახვილისგან დაეცა, ყოველი – თავისი ათი ათასით; დიახ, მთელი ჩემი ხალხი, გარდა იმ ოცდაოთხისა, რომლებიც ჩემთან იყვნენ, ასევე

რამდენიმე, ვინც გაიქცა სამხრეთ ქვეყნებისკენ და რამდენიმე, ვინც ლამანიელთა მხარეს გადავიდა – დაეცა; და მათი ხორცი და ძვლები და სისხლი იყო მიწის პირზე, მიტოვებული მათ მიერ, ვინც ისინი დახოცა, რათა მიწაზე გახრწნილიყვნენ, დაღპობილიყვნენ და თავიანთ მშობლიურ მიწას დაბრუნებოდნენ.

16 და სული მეგლიჯებოდა ტანჯვით, ჩემი ხალხის დაღუპულთა გამო; და შევღაღადე:

17 მშვენიერებო, როგორ მიატოვეთ უფლის გზები! მშვენიერებო, როგორ უარყავით ის იესო, რომელიც ხელგაშლილი იდგა თქვენ მისადებად!

18 აჰა, ასე რომ არ მოქცეულიყავით, არ დაეცემოდით. მაგრამ, აჰა, თქვენ დაეცით და მე ვგლოვობ თქვენ დაკარგვას.

19 თქვენ, მშვენიერო ვაჟებო და ქალიშვილებო, თქვენ, მამებო და დედებო, თქვენ, ქმრებო და ცოლებო, თქვენ, მშვენიერებო, როგორ მოხდა, რომ დაეცით!

20 მაგრამ, აჰა, თქვენ წახვედით და ჩემს მწუხარებას არ შეუძლია თქვენი დაბრუნება.

21 და მალე მოვა დღე, როდესაც თქვენი მოკვდავი შეიმოსება უკვდავით და ეს სხეულები, რომლებიც ახლა ღპება ხრწნით, მალე იქცევა უხრწნელ სხეულებად; და შემდეგ წარსდგებით ქრისტეს სამსჯავროს წინაშე, რათა განიკითხოთ თქვენი საქმეების შესაბამისად; და თუ

აღმოჩნდება, რომ იქნებით სამართლიანნი, მაშინ ხართ კურთხეულნი თქვენს მამებთან ერთად, რომლებიც თქვენამდე წავიდნენ.

22 თქვენ რომ მანამდე მოგენანიებინათ, სანამ მოგვევლინებოდათ ეს დიდი განადგურება. მაგრამ, აჰა, თქვენ წახვედით და მამამ, დიახ, მარადიულმა მამამ ზეცისა, იცის თქვენი მდგომარეობა; და იგი გექცევით საკუთარი სამართლისა და წყალობის შესაბამისად.

თავი 7

მორმონი მოუხმობს უკანასკნელი დღეების ლამანიელებს, იწამონ ქრისტე, მიიღონ მისი სახარება და გადარჩნენ. ყოველი, ვისაც სწამს ბიბლია, ასევე იწამებს მორმონის წიგნს. დაახლოებით 385 წ. ჩვენი წელთაღრიცხვით.

1 და ახლა, აჰა, მე ვიტყვი ცოტადენს ამ ხალხის ნარჩენისადმი, რომლებიც დაინდეს, თუ მოხდება ისე, რომ ღმერთი ჩემს სიტყვებს მათ მიაწვდენს, რათა გაიგონ თავიანთი მამების საქმენი; დიახ, გეუბნებით თქვენ, ისრაელის სახლის ნარჩენო; და ეს არის სიტყვები, რომლებსაც გეუბნებით:

2 იცოდეთ, რომ ისრაელის სახლს მიეკუთვნებით.

3 იცოდეთ, რომ უნდა მიხვიდეთ მონანიებამდე, თორემ ვერ გადარჩებით.

4 იცოდეთ, რომ უნდა დადოთ თქვენი საომარი იარაღი და აღარ დატკბეთ სისხლისღვრით და აღარ აიღოთ იგი, თუკი ამას ღმერთი არ გიბრძანებთ.

5 იცოდეთ, რომ უნდა მიხვიდეთ თქვენი მამების ცოდნამდე და მოინანიოთ ყველა თქვენი ცოდვა და ურჯულოება და იწამოთ იესო ქრისტე, რომ იგი არის ძე ღვთისა, და იუღეველთა მიერ იყო მოკლული და კვლავ აღმდგარი მამის ძალით, რომლითაც მან გაიმარჯვა საფლავზე; და ასევე, მასში შთაინთქა სიკვდილის ნესტარი.

6 და იგი ახორციელებს გარდაცვლილთა აღდგომას, რომლითაც ადამიანი უნდა აღდგეს, რათა წარსდგეს მისი სამსჯავროს წინაშე.

7 და მან აღასრულა ამა ქვეყნის გამოსყიდვა, რომლის მეშვეობითაც მას, ვინც უმწიკვლო აღმოჩნდება განკითხვის დღეს მის წინაშე, ებოძება ღვთის სასუფეველში ყოფნა მის გარემოცვაში, რათა ზეციერ მგალობლებთან ერთად განუწყვეტლივ უგალობონ სადიდებლები მამასა და ძეს და სულიწმინდას ანუ ერთიან ღმერთს, მარადიულ ბედნიერებაში ყოფნით, რომელსაც არ აქვს დასასრული.

8 ამიტომ, მოინანიეთ და მონათლეთ იესოს სახელით და დაეყრდენით ქრისტეს სახარებას, რომელიც თქვენ წინაშე გაიხსნება არა მარტო ამ ჩანაწერში,

არამედ იმ ჩანაწერში, რომელიც წარმართებთან მივა იუდეველებსგან, რომელი ჩანაწერიც წარმართებისგან თქვენთან მოვა.

9 რადგან, აჰა, ეს დაიწერა იმ განზრახვით, რომ იწამოთ იგი; და თუ თქვენ მას იწამებთ, ასევე იწამებთ ამას; და თუ ამას იწამებთ, გეცოდინებათ თქვენი მამების შესახებ და ასევე საოცარ საქმეებზე, რომლებიც ღმერთის ძალით მოხდა მათში.

10 და ასევე გაიგებთ, რომ ხართ იაკობის შთამომავლობის ნარჩენი, ამიტომ ითვლებით პირველი აღთქმის ხალხში; და თუ იქნება ასე, რომ იწამებთ ქრისტეს და მონათლებით ჯერ წყლით, შემდეგ ცეცხლითა და სულიწმინდით, მიჰყვებით რა ჩვენი მხსნელის მაგალითს, იმის შესაბამისად, რაც მან გვიბრძანა, მაშინ მშვიდობა იქნება თქვენგან განკითხვის დღეს. ამინ.

თავი 8

ლამანიელები ეძებენ და ანადგურებენ ნეფიელებს. მორმონის წიგნი მოვევლინება ღმერთის ძალით. ვარაძი უწინასწარმეტყველებს მათ, რომლებიც ანთხევენ რისხვას და უპირისპირდებიან უფლის საქმეს. ნეფიელთა ჩანაწერები მოვევლინება მათი სიბოროტის, გადაგვარებისა და განდგომის ჟამს. დაახლოებით 400-421 წწ. ჩვენი წელთაღრიცხვით.

1 აჰა, მე, მორმონი, ვასრულებ მამაჩემის, მორმონის, ჩანაწერებს. აჰა, მე ცოტაოდენი დამრჩა დასაწერი, რისი დაწერაც მამაჩემმა მიბრძანა.

2 და ახლა, იყო ასე, რომ ქუმორაზე დიდი და საზარელი ბრძოლის შემდეგ, აჰა, ნეფიელებს, რომლებიც გაიქცნენ სამხრეთ ქვეყნისკენ, მისდევდნენ ლამანიელები იქამდე, სანამ ყველა არ გაანადგურეს.

3 და მათ ასევე მოკლეს მამაჩემი და დაურჩი მარტო, რათა დამეწერა ჩემი ხალხის განადგურების სამწუხარო ამბავი. მაგრამ, აჰა, ისინი აღარ არიან და მე ვასრულებ მამაჩემის ბრძანებას. და მომკლავენ თუ არა ისინი - არ ვიცი.

4 ამიტომ, დავწერ და მიწაში დავმალავ ამ ჩანაწერებს; და საით წავალ - არ აქვს მნიშვნელობა.

5 აჰა, მამაჩემმა გააკეთა ეს ჩანაწერი და დაწერა მისი დანიშნულების შესახებ. და აჰა, მეც დავწერდი ამას, ფირფიტებზე ადგილი რომ მქონოდა, მაგრამ არ მაქვს და არც მადანი მაქვს, ვინაიდან ვარ მარტო. მამაჩემი ბრძოლაში მოკლეს და მთელი ჩემი ნათესაობაც, აღარც მეგობრები მყავს, არც ადგილი წასასვლელი; და არ ვიცი, როდემდე მაცოცხლებს უფალი.

6 აჰა, გავიდა ოთხასი წელი ჩვენი უფლისა და მხსნელის მოსვლის შემდეგ.

7 და აჰა, ლამანიელები ნადირობდნენ ჩემს ხალხზე, ნეფიელებზე, ქალაქიდან ქალაქში, ადგილიდან ადგილზე, იქამდე, სანამ აღარავინ დარჩა; და დიდი იყო მათი დაცემა; დიახ, დიდი და საოცარია ჩემი ხალხის, ნეფიელების, განადგურება.

8 აჰა, ეს არის უფლის ხელი, რომელმაც ეს გააკეთა. და ასევე, აჰა, ლამანიელები ომობენ ერთმანეთში; და მთელი ამ მიწის პირი – დაუსრულებელი მკვლევლობებისა და სისხლისღვრის მონაცველობაა; და ომის დასასრული არავინ იცის.

9 და ახლა, აჰა, მე აღარ ვილაპარაკებ მათ შესახებ, ვინაიდან ამ მიწის პირზე აღარავინ არის ლამანიელთა და მძარცველთა გარდა.

10 და აღარავინ იცის ჭეშმარიტი ღმერთის შესახებ, იესოს მოწაფეების გარდა, რომლებიც მიწაზე დარჩნენ, სანამ ხალხის სიბოროტე არ გახდა ისეთი დიდი, რომ უფალმა არ დაუშვა, რომ ისინი ხალხთან დარჩენილიყვნენ და არავინ იცის, არიან თუ არა ისინი კვლავ მიწის პირზე.

11 რადგან, აჰა, ისინი მე და მამაჩემმა ვიხილეთ და ისინი გვემსახურნენ.

12 და ყოველი, რომელიც მიიღებს ამ ჩანაწერს და არ განსჯის მას, იმ ნაკლოვანებების გამო, რაც მასშია, ჩასწვდება უფრო დიადს, ვიდრე მათშია.

აჰა, მე ვარ მორმონი; და შესაძლებელი რომ ყოფილიყო, ყველაფერს გაგანდობდით.

13 აჰა, მე ვასრულებ ლაპარაკს ამ ხალხის შესახებ. მე ვარ მორმონის შვილი და მამაჩემი იყო ნეფის შთამომავალი.

14 და მე ვარ ის, რომელიც დამალავს ამ ჩანაწერებს უფლისთვის; ამიტომ, ფირფიტებს არ აქვს ფასი უფლის ბრძანების გამო. ვინაიდან იგი ჭეშმარიტად ამბობს, რომ მათ ვერავინ ვერ დაეუფლება სარგებლის მისაღებად; მაგრამ დიდად ძვირფასია მათზე ჩანაწერები; და ვინც მათ სინათლეზე გამოიტანს – უფალი აკურთხებს მას.

15 ვინაიდან არავის აქვს მათი სინათლეზე გამოტანის ძალაუფლება, თუ ეს ღმერთისგან არ ექნება მინიჭებული; ვინაიდან ღმერთს სურს, რომ ეს გაკეთდეს მხოლოდ მისი სიდიადისკენ მიმართული მზერით ანუ უძველესი და დიდი ხნის წინ გაფანტული, უფლის აღთქმული ხალხის საკეთილდღეოდ.

16 და კურთხეული იქნება ის, რომელიც ამას სინათლეზე გამოიტანს, ვინაიდან ბნელეთიდან გამოვა სინათლეზე, ღმერთის სიტყვის შესაბამისად; დიახ, იგი იქნება მიწიდან ამოდებული და ბნელეთიდან გამოანათებს და მივა ხალხის ცოდნამდე; და ეს ღმერთის ძალით მოხდება.

17 და თუ მათში იქნება შეცდომები, ეს იქნება ადამიანის

შეცდომები. მაგრამ, აჰა, ჩვენ არაფერი ვიცით შეცდომებზე; ამისდა მიუხედავად, ღმერთმა იცის ყოველივე ეს; ამიტომ, ის, ვინც განსჯის, დაე, იყოს ფრთხილად, რათა არ აღმოჩნდეს ჯოჯოხეთის ცეცხლის ხიფათში.

18 და რომელიც იტყვის: დამანახე, თორემ გცემ – დაე, იყოს ფრთხილად, რათა არ ბრძანოს ის, რაც უფლისგან არის აკრძალული.

19 ვინაიდან, აჰა, რომელიც წინდაუხედავად განიკითხავს, თავად იქნება წინდაუხედავად განიკითხული; ვინაიდან საკუთარი საქმეების შესაბამისად მიეზღვება მას; ამიტომ, ის, ვინც ცემს, თავად იქნება უფლისგან ნაცემი.

20 აჰა, რას ამბობს წმინდა წერილი – კაცმა არ უნდა სცემოს, არც უნდა განიკითხოს; ვინაიდან ჩემია განიკითხვა, – ამბობს უფალი – და შურისგებაც; და მე მივაგებ.

21 ის, რომელიც ანთხევს რისხვასა და დაპირისპირებას უფლის საქმისა და უფლის აღთქმული ხალხის წინააღმდეგ, რომლებიც არიან ისრაელის სახლის და იტყვის: ჩვენ გავანადგურებთ უფლის საქმეს და უფალი არ გაიხსენებს თავის აღთქმას, რომელიც დადო ისრაელის სახლთან, – იგი არის ხიფათში, რომ იქნება მოკვეთილი და ცეცხლში ჩაგდებული;

22 ვინაიდან უფლის მარადიული მიზნები გაგრძელდება, სანამ არ აღსრულდება მისი ყოველი დანაპირები.

23 შეისწავლეთ ესაიას წინასწარმეტყველებანი. აჰა, მე არ შემიძლია მათი დაწერა. დიახ, აჰა, მე გეუბნებით, რომ ის წმინდანები, რომლებიც ჩემამდე წავიდნენ, რომლებიც ამ მიწას ფლობდნენ, შეჰკლადებენ, დიახ, მტვრიდანაც კი ისინი უფალს შეჰკლადებენ და ისე, როგორც ცოცხალია უფალი, იგი გაიხსენებს აღთქმას, რომელიც მათთან დადო.

24 და მისთვის ცნობილია მათი ლოცვები, რომ ლოცულობდნენ თავიანთი ძმების გულისათვის. და იცის მათი რწმენის შესახებ, ვინაიდან მისი მეშვეობით მთებს სძრავდნენ; და მისი სახელით მიწას აზანზარებდნენ და მისი სიტყვის ძალით საპყრობილებს მიწასთან ასწორებდნენ; დიახ, ცეცხლოვანი ღუმელიც ვერ ავნებდა მათ, ვერც გარეული მხეცები და ვერც შხამიანი გველები, მისი სიტყვის ძალის მადლით.

25 და აჰა, მათი ლოცვები იყო მისთვის, რომელსაც უფალი უბრძანებს, რომ ყოველივე ეს მოავლინოს.

26 არავისთვის არ არის საჭირო თქმა, რომ ეს არ მოეკლინება, ვინაიდან ეს აუცილებლად მოვა, ვინაიდან ასე თქვა უფალმა; მიწიდან მოეკლინება ეს უფლის

ხელით და ვერავინ შეეწინააღმდეგება მას; და მოვევლინება იმ დღეს, როდესაც იტყვიან, რომ სასწაულები აღარ მოხდება; და ეს მოვევლინება, როგორც ვინმეს მკვდრეთიდან ნათქვამი.

27 და მოვევლინება იმ დღეს, როდესაც წმინდანთა სისხლი შეკლადადებს უფალს, საიდუმლო შეთქმულებებისა და ბნელეთის საქმეების გამო.

28 დიახ, და ეს მოვევლინება იმ დღეს, როდესაც ღმერთის ძალა იქნება უარყოფილი და ეკლესიები წაიბილწება და თავიანთი გულების ამპარტავნობით აღზევებდება; დიახ, იმ დღეს, როდესაც ეკლესიის წინამძღვარნი და მასწავლებელნი აღზევდებიან გულის ამპარტავნობით, იქამდე, რომ შეშურდებათ თავიანთი ეკლესიის წევრების.

29 დიახ, ეს მოვევლინება იმ დღეს, როდესაც მოაღწევს ცეცხლისა და ქარიშხლების ხმა და უცხო მიწებიდან კვამლის ბურუსი;

30 და ასევე ხმა დაირხევა ომებზე, ამბებზე ომების შესახებ და მიწისძვრებზე სხვადასხვა ადგილებში.

31 დიახ, ეს მოვევლინება მაშინ, როდესაც დედამიწის პირზე იქნება დიდი დაბინძურება; იქნება მკვლელობა და ძარცვა, ტყუილი და სიცრუე, მრუშობა და ყოველგვარი სისაძაგლე; როდესაც იქნება მრავალი ისეთი, რომელიც იტყვის: გააკეთე ეს

ან გააკეთე ის და არ აქვს ამას მნიშვნელობა, ვინაიდან უფალი უკანასკნელ დღეს ამას გაამართლებს. მაგრამ ვარამი ასეთებს, ვინაიდან მწარე ნაღველში იმყოფებიან და ურჯულოების ბორკილებში.

32 დიახ, ეს მოვევლინება იმ დღეს, როდესაც აშენდება ეკლესიები, რომლებიც იტყვიან: მოდით ჩემთან და თქვენი ფულის სანაცვლოდ შეგენდობათ ცოდვეები.

33 თქვენ, ბოროტო, უკუღმართო და ქედფიცხელო ხალხო, რატომ ააშენეთ ეკლესიები სარგებლის მისაღებად? რატომ დაამახინჯეთ ღმერთის წმინდა სიტყვა, რომ საკუთარ სულზე იწვევთ წყევლას? აჰა, შეხედეთ ღმერთის გამოცხადებებს; ვინაიდან, აჰა, მოვა დრო იმ დღეს, რომ ყოველივე ეს უნდა აღსრულდეს.

34 აჰა, უფალმა დამანახა დიდი და საოცარი რამ იმაზე, რაც მალე უნდა მოვიდეს, იმ დღეს, როდესაც ყოველივე ეს მოხდება თქვენ შორის.

35 აჰა, მოგმართავთ ისე, როგორც აქ მყოფთ და აქ არ ხართ. მაგრამ, აჰა, იესო ქრისტემ დამანახა თქვენი თავი და ვიცი თქვენი საქმენი.

36 და ვიცი, რომ დადიხართ გულის ამპარტავნობით და აღარავინ არის, გარდა რამდენიმესი, რომლებიც არ არიან აღზევებულნი საკუთარი გულის ამპარტავნობაში, რათა

შეიმოსონ ძვირფასი სამოსელით, გამოავლინონ შური და დაპირისპირება და ღვარძლი და დეენა და ყოველნაირი ურჯულეობა; და თქვენი ეკლესიები, დიახ, ყველა სათითაოდ, არის წაბილწული, გულის ამპარტავნობის გამო.

37 ვინაიდან, აჰა, გიყვართ ფული, ქონება, ძვირფასი სამოსელი და თქვენი ეკლესიების მორთულობა უფრო მეტად, ვიდრე ღარიბი და ღატაკი, ავადმყოფი და გაჭირვებული.

38 თქვე წაბილწულებო და თვალთმაქცებო, მასწავლებლებო, რომლებიც თავს ყიდით იმაზე, რაც დაღპება, რატომ წაბილწეთ ღმერთის წმინდა ეკლესია? რატომ გრცხვენიათ საკუთარ თავზე ქრისტეს სახელის აღება? რატომ არ ფიქრობთ, რომ მარადიული ბედნიერება უფრო ძვირფასია, ვიდრე ის უბედურება, რომელიც არასდროს დასრულდება – ამა ქვეყნის ქების გამო ხომ არა?

39 რატომ ირთვებით იმით, რასაც არ აქვს სიცოცხლე და უშვებთ, რომ მშიერმა, ღატაკმა და შიშველმა, ავადმყოფმა და გაჭირვებულმა ჩაგიარონ გვერდზე და ვერ ამჩნევთ მათ?

40 დიახ, რატომ აწესებთ საიდუმლო სისაძაგლეს სარგებლის მისაღებად და უშვებთ, რომ ქვრივებმა იგლოვონ უფლის წინაშე, ასევე თბლებმა იგლოვონ უფლის წინაშე, ასევე მათი

მამებისა და ქმრების სისხლმა მიწიდან შეჰღაღადოს უფალს, თქვენს თავზე შურისგებისთვის?

41 აჰა, შურისგების მახვილი აღმართულია თქვენზე და მალე მოვა დრო, როდესაც იგი მოგაგებთ თავზე შურისგებას წმინდანთა სისხლისთვის, ვინაიდან მეტს აღარ დაუშვებს მათ ტირილს.

თავი 9

მორმონი მოუწოდებს მონანიებისკენ მათ, ვისაც არ სწამთ ქრისტე. იგი აცხადებს სასწავლმოქმედი ღმერთის შესახებ, რომელიც ერთგულებს აძლევს გამოცხადებებს და უბოძებს სხვადასხვაგვარ ძღვენსა და ნიშნებს. სასწავლები წყდება ურწმუნოების გამო. რომლებსაც სწამთ, თან სდევთ მინიშნებები. ადამიანებს მოუწოდებენ, იყვნენ ბრძენნი და დაიცვან მცნებები. დაახლოებით 401-421 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვით.

1 და ახლა, მე ვლაპარაკობ მათ შესახებაც, რომლებსაც ქრისტე არ სწამთ.

2 აჰა, თუ იწამებთ მოვლინების დღეს – აჰა, როდესაც უფალი მოგვევლინებათ, დიახ, იმ დიად დღესაც კი, როდესაც დედამიწა გრაგნილივით დაიხვევა და სტიქია დადნება მხურვალე სიცხისგან, დიახ, იმ დიად დღეს, როდესაც მიყვანილნი იქნებით ღვთის კრავის წინაშე

წარსადგენად – მაშინ იტყვი, რომ ღმერთი არ არის?

3 ნუთუ გააგრძელებთ კვლავ ქრისტეს უარყოფას ან შეძლებთ, იხილოთ ღვთის კრავი? ნუთუ გგონიათ, რომ იქნებით მასთან საკუთარი დანაშაულის შეგნებით? ნუთუ გგონიათ, რომ ბედნიერნი იქნებით იმ წმინდა არსებასთან ყოფნით, როდესაც თქვენი სულები წამებით დაიტანჯება, იმ დანაშაულის შეგნებით, რომ ყოველთვის არღვევდით მის კანონებს?

4 აჰა, გეუბნებით, რომ უფრო უბედურნი იქნებოდით წმინდა და სამართლიან ღმერთთან ყოფნით, მის წინაშე საკუთარი სიბინძურის შეგნებით, ვიდრე განწირულ სულებთან ჯოჯოხეთში ყოფნით.

5 ვინაიდან, აჰა, როდესაც მიყვანილნი იქნებით ღმერთის წინაშე, საკუთარი სიშიშვლის დასანახად, ასევე ღმერთის სიდიადისა და იესო ქრისტეს სიწმინდისა, ეს თქვენზე დაათეებს უქრობ ცეცხლს.

6 მაშინ უფალს მიუბრუნდით, ურწმუნოებო; მამას შეჰღაღადეთ ძლიერად იესოს სახელით, რომ იქნებ გცნონ უმწიკვლოდ, წმინდად, მშვენიერად და თეთრად, კრავის სისხლით განწმენდილად დიდსა და უკანასკნელ დღეს.

7 და კვლავ გეუბნებით, თქვენ, რომლებიც უარყოფთ ღმერთის გამოცხადებებს და ამბობთ, რომ ისინი შეწყდა, აღარ არის გამოცხადებები და

წინასწარმეტყველებები, არც არანაირი ძღვენი, განკურნება, არც ენებზე ლაპარაკი და არც ენებიდან თარგმნა;

8 აჰა, გეუბნებით, ვინც ყოველივე ამას უარყოფს, არ იცის ქრისტეს სახარება; დიახ, არ წაუკითხავს წმინდა წერილი; თუ წაუკითხავს, მას ის არ ესმის.

9 ვინაიდან, ნუთუ არ კვითხულობთ, რომ ღმერთი არის უცვლელი გუშინ, დღეს და უკუნისამდე და მასში არ არის გარდაქმნა და არც ცვლილების ჩრდილი?

10 და ახლა, თუ წარმოდგინეთ თქვენთვის ღმერთი, რომელიც იცვლება, რომელშიც არის ცვლილების ჩრდილი, მაშინ წარმოდგენილი გაქვთ ღმერთი, რომელიც არ არის სასწაულმოქმედი ღმერთი.

11 მაგრამ, აჰა, მე დაგანახებთ სასწაულმოქმედ ღმერთს, ღმერთს აბრაამისა და ისააკისა და იაკობის ღმერთს; და იგივე ღმერთმა შექმნა ზეცა და მიწა და ყოველივე, რაც არის მასზედ.

12 აჰა, მან შექმნა ადამი და ადამიანის დაცემა მოხდა ადამის დაცემით. და ადამიანის დაცემის გამო მოვიდა იესო ქრისტე, მამა და ძე; და იესო ქრისტეს მეშვეობით მოვიდა ადამიანის გამოსყიდვა.

13 და ადამიანის გამოსყიდვით, რომელიც მოვიდა იესო ქრისტეს მეშვეობით, ისინი უკან, უფლის გარემოცვაში იქნენ მიყვანილნი;

დიახ, ამგვარად ყველა ადამიანი გამოსყიდულია, რადგან ქრისტეს სიკვდილს მოაქვს აღდგომა, რომელსაც მოაქვს მარადიული ძილისგან გამოსყიდვა, ძილიდან, რომლიდანაც ყველა ადამიანი იქნება გაღვიძებული ღმერთის ძალით, როდესაც გაისმება საყვირის ხმა; და გამოვლენ, როგორც პატარები, ასევე დიდები და ყოველი წარსდგება მისი სამსჯავროს წინაშე, გამოსყიდული და გამოსხნილი სიკვდილის ამ მარადიული ბორკილებისგან, სიკვდილის, რომელიც არის ხორციელი.

14 და შემდეგ მათზე აღსრულდება წმინდის განაჩენი; და მოვა უამი, როდესაც ბინძური დარჩება ბინძურად; და ის, რომელიც სამართლიანია, იქნება სამართლი, რომელიც ბედნიერია, იქნება ბედნიერი; რომელიც უბედურია, უბედურად დარჩება.

15 და ახლა, თქვენ ყველას, რომლებსაც წარმოგიდგენიათ ღმერთი, რომელსაც არ შეუძლია სასწაულების მოხდენა, მსურს გკითხოთ: აღსრულდა ყველაფერი, რაც ვილაპარაკე? მოვიდა დასასრული? აჰა, გეუბნებით: არა; და ღმერთი კვლავ არის სასწაულმოქმედი ღმერთი.

16 აჰა, ნუთუ არ არის საოცარი ჩვენს თვალში ის, რაც ღმერთმა მოახდინა? დიახ, და ვის შეუძლია ჩასწვდეს ღმერთის საოცარ საქმეებს?

17 ვინ იტყვის, რომ არ იყო

სასწაული მისი სიტყვით ზეცისა და დედამიწის შექმნა; და მისი სიტყვის ძალით შეიქმნა მიწის მტვრისგან ადამიანი; და მისი სიტყვის ძალით მოხდა სასწაულები?

18 და ვინ იტყვის, რომ იესო ქრისტემ არ მოახდინა მრავალი დიდი სასწაული? და მრავალი დიდი სასწაული მოხდა მოციქულთა ხელით.

19 და თუ იმ დროს ხდებოდა სასწაულები და არის რა უცვლელი არსება, რატომ შეწყვიტა ღმერთმა სასწაულმოქმედ ღმერთად ყოფნა? და აჰა, გეუბნებით: ღმერთი არ იცვლება; სხვაგვარად იგი აღარ იქნებოდა ღმერთი; და არ წყვეტს იყოს ღმერთი და იგი არის სასწაულების ღმერთი.

20 და მიზეზი, რის გამოც შეწყვიტა მან სასწაულების მოხდენა ადამიანთა შვილებს შორის, არის ის, რომ ისინი გადაშენდნენ ურწმუნობაში და მიატოვეს სწორი გზა და არ იციან ღმერთი, რომელიც უნდა სწამდეთ.

21 აჰა, მე გეუბნებით, რომ ვინაც სწამს ქრისტე და არ ჭოჭმანობს, რაც არ უნდა სთხოვოს ქრისტეს სახელით მამას - მიეცემა; და ეს არის დაპირება ყველასთვის, დედამიწის კიდით კიდემდე.

22 რადგან, აჰა, ასე უთხრა იესო ქრისტემ, ღვთის ძემ, თავის მოწაფეებს, რომლებიც დარჩნენ,

ლიახ, ასევე დანარჩენ მოწაფეებსაც, ყველას გასაგონად: წადით და იქადაგეთ სახარება მთელ ქვეყანაზე ყოველი არსებისთვის;

23 და გადარჩება ის, რომელიც იწამებს და მონათლება, მაგრამ განწირული იქნება ის, რომელიც არ იწამებს;

24 და ასეთი ნიშნები იქნება მორწმუნეთა თანმხლები: ჩემი სახელით ეშმაკებს გააძევენ; ახალ ენებზე ილაპარაკებენ; ხელში გველებს აიყვანენ და, თუნდაც რაიმე სასიკვდილო შესვან – არ ავნებთ; ავადმყოფებს ხელს დაასხამენ და ისინი განიკურნებიან;

25 და ვინც ჩემს სახელს იწამებს და არ იტოტმანებს, მისთვის დავამოწმებ ყოველ ჩემს სიტყვას, დედამიწის კიდით კიდემდეც კი.

26 და ახლა, აჰა, ვინ აღუდგება წინ უფლის საქმეს? ვის შეუძლია უარყოს მისი სიტყვები? ვინ დაუდგება წინ უფლის ყოვლადძლიერ ძალას? ვინ შეიძულებს უფლის საქმეებს? ვინ შეიძულებს ქრისტეს შვილებს? აჰა, თქვენ ყველა, უფლის საქმის მოძულენო, ვინაიდან გაცდებით და დაიღუპებით.

27 მაშინ ნუ შეიძულებთ და ნუ გაცდებით, არამედ დაუგდეთ ყური უფლის სიტყვას და სთხოვეთ მამას იესოს სახელით ყველაფერი, რაც დაგჭირდებათ. ნუ იტოტმანებთ, არამედ იყავით მორწმუნენი და დაიწყეთ, როგორც ძველად და მოდით უფალთან მთელი გულით და მის წინაშე

შიშითა და კანკალით იშრომეთ საკუთარი ხსნისთვის.

28 იყავით ბრძენნი თქვენი გამოცდის ჟამს; თავიდან მოიცილეთ ყველანაირი უწმინდურობა; არ სთხოვოთ არაფერი, რასაც საკუთარი ვნებებისთვის მოიხმართ, არამედ სთხოვეთ ურყევი სიმტკიცით, რომ ცდუნებას არ დანებდეთ, არამედ ემსახუროთ ჭეშმარიტ და ცოცხალ ღმერთს.

29 გაფრთხილდით, რათა უღირსად არ მონათლოთ; გაფრთხილდით, რათა ქრისტეს ზიარება უღირსად არ მიიღოთ; გაფრთხილდით, რათა აკეთებდეთ ყველაფერს ღირსეულად და აკეთებდეთ ამას ცოცხალი ღმერთის ძის, იესო ქრისტეს, სახელით; და ასე თუ მოიქცევით და ბოლომდე გაუძლებთ, თქვენ არანაირად არ იქნებით გაძევებულნი.

30 აჰა, მე მოგმართავთ, ვითარცა გელაპარაკებოდეთ მკვდრეთიდან; ვინაიდან ვიცი, რომ მიიღებთ ჩემს სიტყვებს.

31 არ განმციხვით ჩემი ნაკლოვანებების გამო, არც მამა ჩემი, მისი ნაკლოვანებებისთვის, არც ისინი, რომლებიც მასზე წინ წერდნენ, არამედ მადლობა უთხარით ღმერთს, რომ დაგანახათ ჩვენი ნაკლოვანებები, რათა ისწავლოთ, რომ იყოთ ჩვენზე უფრო ბრძენნი.

32 და ახლა, აჰა, ჩვენ დავწერთ ეს ჩანაწერები ჩვენი ცოდნის შესაბამისად, დამწერლობით,

რომელსაც ჩვენში ეწოდება შეცვლილი ეგვიპტური, რომელიც ჩვენამდე მოვიდა და შევცვალეთ იგი ჩვენი მეტყველების შესაბამისად.

33 და ჩვენი ფირფიტები რომ ყოფილიყო საკმარისად ფართო, დავწერდით ებრაულად; მაგრამ ჩვენ ებრაულად შევცვალეთ; და ჩვენ რომ შეგვძლებოდა ებრაულად წერა, აჰა, თქვენ ვერ იპოვიდით ნაკლოვანებებს ჩვენს ჩანაწერებში.

34 მაგრამ უფალმა იცის ის, რაც ჩვენ დავწერეთ და ასევე, რომ არცერთმა სხვა ხალხმა არ იცის ჩვენი ენა და ვინაიდან არცერთმა სხვა ხალხმა არ იცის ჩვენი ენა, ამის გამო, მან მოამზადა მისი თარგმნის საშუალება.

35 და ყოველივე ეს დაიწერა, რათა განიწმინდოს ჩვენი სამოსი ჩვენი ძმების სისხლისგან, რომლებიც ურწმუნოებაში გადაშენდნენ.

36 და აჰა, ყოველივე ეს, რაც გვსურდა ჩვენი ძმებისთვის, დიახ, მათში ქრისტეს ცოდნის აღდგენა, შეესაბამება ყოველი წმინდანის ლოცვებს, რომლებიც ამ მიწაზე ცხოვრობდნენ.

37 დაე, გვიბოძოს უფალმა იესო ქრისტემ, რათა მათ ლოცვებს პასუხი გაცევს თავიანთი რწმენის შესაბამისად; დაე, მამა ღმერთმა გაიხსენოს ის აღთქმა, რომელიც მან დადო ისრაელის სახლთან; დაე, აკურთხოს ისინი მარად, იესო ქრისტეს სახელის რწმენით. ამინ.

ეფერის წიგნი

იარედიელთა ჩანაწერები, აღებულია მეფე მოსიას დღეების უამს, ლიმხის ხალხის მიერ ნაპოვნი ოცდაოთხი ფირფიტიდან.

თავი 1

მორმონი ამოკლებს ეფერის ჩანაწერებს. მოყვანილია ეფერის გვარტომობა. იარედიელთა ენა არ აირია ბაბილონის გოდოლთან. უფალი ჰპირდება მათ აღთქმულ მიწაზე მიყვანას და დიდ ერად ქცევას.

1 და ახლა, მე, მორმონი, ვიწყებ ჩანაწერს იმ უძველესი

მაცხოვრებლების შესახებ, რომლებიც უფლის ხელით იქნენ განადგურებულნი ამ ჩრდილოეთ ქვეყნის პირზე.

2 და მე ჩემს ჩანაწერებს ვაკეთებ იმ ოცდაოთხი ფირფიტიდან, რომლებიც ლიმხის ხალხის მიერ იყო ნაპოვნი, რასაც ვუწოდებ ეფერის წიგნს.

3 და მე მგონია, რომ ამ ჩანაწერების პირველი ნაწილი,

რომელშიც ლაპარაკია ამა ქვეყნის შექმნაზე, ასევე ადამზე და გვიყვება იმ დროის ამბებზე, დიდი გოდოლის შექმნამდე კი და ყველაფერზე, რაც იქამდე ხდებოდა ადამიანთა შვილებს შორის, იუდეველებში –

4 ამიტომ, არ ვწერ ყოველივე იმას, რაც ხდებოდა ადამის დროიდან იმ უამამდე; მაგრამ ეს მოცემულია ფირფიტებზე; და ვინც მათ იპოვის, ექნება სრული ჩანაწერის მიღების ძალა.

5 მაგრამ, აჰა, არ ვიძლევი სრულ ჩანაწერებს, არამედ ვიძლევი ჩანაწერების ნაწილს, გოდოლის დროიდან მათი განადგურების დღემდე.

6 და ამგვარად მომყავს ეს ჩანაწერები. მას, ვინც გააკეთა ეს ჩანაწერები, ერქვა ეფერი და იგი იყო კორიანტორის შთამომავალი.

7 კორიანტორი იყო ძე მორონისა.

8 და მორონი იყო ძე ეთემისა.

9 და ეთემი იყო ძე აჰაჰისა.

10 და აჰაჰი იყო ძე სეთისა.

11 და სეთი იყო ძე შიბლონისა.

12 და შიბლონი იყო ძე კომისა.

13 და კომი იყო ძე კორიანტუმისა.

14 და კორიანტუმი იყო ძე ამნიგადასი.

15 და ამნიგადა იყო ძე აარონისა.

16 და აარონი იყო ჰეთის შთამომავალი, რომელიც იყო ძე ჰერთომისა.

17 და ჰერთომი იყო ძე ლიბისა.

18 და ლიბი იყო ძე კიშისა.

19 და კიში იყო ძე კორომისა.

20 და კორომი იყო ძე ლევისა.

21 და ლევი იყო ძე კიშისა.

22 და კიში იყო ძე მორიანტონისა.

23 და მორიანტონი იყო რიფლაკიშის შთამომავალი.

24 და რიფლაკიში იყო ძე შეხისა.

25 და შეხი იყო ძე ჰეთისა.

26 და ჰეთი იყო ძე კომისა.

27 და კომი იყო ძე კორიანტუმისა.

28 და კორიანტუმი იყო ძე ემერისა.

29 და ემერი იყო ძე ომერისა.

30 და ომერი იყო ძე შულისა.

31 და შული იყო ძე ქიბისა.

32 და ქიბი იყო ძე ორიპასი, რომელიც იყო ძე იარედისა;

33 იმ იარედის, რომელიც წამოვიდა დიდი გოდოლიდან ძმასთან, თავიანთ ოჯახებთან და სხვებთან ერთად, მათი ოჯახებითურთ, იმ დროს, როდესაც უფალმა არია ადამიანთა ენა და მრისხანებაში დაიფიცა, რომ ისინი მთელი დედამიწის პირზე იქნებიან გაფანტულნი; და უფლის სიტყვისამებრ, ხალხი გაფანტულ იქნა.

34 და იარედის ძმა, იყო რატანმოსული და ძლევა მოსილი კაცი და უფლის მიერ ძალზედ მადლით მოსილი, მისმა ძმამ, იარედმა, უთხრა მას: შეჰკლავდა

უფალს, რათა არ აგვრიოს ისე, რომ ჩვენი სიტყვები აღარ გვესმოდეს.

35 და იყო ასე, რომ იარედის ძმამ უფალს შეჰკლადადა და უფალმა სიბრალული გამოიჩინა იარედის მიმართ, ამიტომ არ არია იარედის ენა; და იარედი და მისი ძმა არ შეიმუხსრენენ.

36 შემდეგ იარედმა თავის ძმას უთხრა: შეჰკლადადე კვლავ უფალს, იქნებ აარიდოს თავისი რისხვა ჩვენს მეგობრებს და არ არიოს მათი ენა.

37 და იყო ასე, რომ იარედის ძმამ შეჰკლადადა უფალს და უფალმა სიბრალული გამოიჩინა მათი მეგობრებისა და ასევე მათი ოჯახების მიმართ, რათა არ ყოფილიყვნენ არეულნი.

38 და იყო ასე, რომ იარედმა კვლავ მიმართა ძმას სიტყვებით: მიდი და ჰკითხე უფალს, გაგვაძეგვებს თუ არა ამ მიწიდან და თუ გაგვაძეგვებს ამ მიწიდან, შეჰკლადადე, საით წავიდეთ. და ვინ იცის, იქნებ უფალმა მიგვიყვანოს მიწაზე, რომელიც იქნება მთელ დედამიწაზე რჩეული? და თუ ეს ასე იქნება, დაე, ვიყოთ უფლისადმი ერთგულნი, რათა მივიღოთ ის ჩვენი შემკვიდრეობისთვის.

39 და იყო ასე, რომ იარედის ძმამ შეჰკლადადა უფალს იმ სიტყვებისამებრ, რაც იარედის პირით ითქვა.

40 და იყო ასე, რომ უფალმა

შეისმინა იარედის ძმის და სიბრალული გამოიჩინა მის მიმართ და უთხრა:

41 წადი და შეკრიბე შენი ფარა, ყოველი მამალი და დედალი, ასევე დედამიწის ყოველი ჯიშის თესლი; და შენი ოჯახები, ასევე შენი ძმა იარედი და მისი ოჯახი, ასევე მეგობრები თავიანთი ოჯახებით; და ასევე იარედის მეგობრები თავიანთი ოჯახებით.

42 და როდესაც ამას აღასრულე, მათ გაუძღვები ველზე, რომელიც მდებარეობს ჩრდილოეთით. და იქ დაგხვდები და წინ გაგიძღვები მიწისკენ, რომელიც არის დედამიწის მიწათა შორის რჩეული.

43 და იქ გააკურთხებ შენ და შენს შთამომავლობას და აღვზრდი ჩემთვის დიად ერს შენი და შენი ძმის შთამომავლობიდან და მათგან, რომლებიც შენთან ერთად წავლენ. და არ იქნება იმაზე უფრო დიადი ერი, რომელსაც შენი შთამომავლობიდან აღვზრდი, მთელი დედამიწის პირზე. და ასე მოვიმოქმედებ, ვინაიდან ესოდენ დიდ ხანს ღაღადებდი ჩემს მიმართ.

თავი 2

იარედიელები ემზადებიან აღთქმული მიწისკენ მგზავრობისთვის. ეს არის გამორჩეული მიწა, სადაც ადამიანები ქრისტეს უნდა ემსახურონ, წინააღმდეგ შემთხვევაში განად-

გურდებიან. უფალი ესაუბრება იარედის ძმას სამი საათის განმავლობაში. იარედიელები აგებენ ბარჟებს. უფალი იარედის ძმას მოსთხოვს მოიფიქროს, როგორი იქნება ბარჟების შიდა განათება.

1 და იყო ასე: იარედი, მისი ძმა და მათი ოჯახები, ასევე იარედისა და მისი ძმის მეგობრები და მათი ოჯახები, წავიდნენ ველზე, რომელიც მდებარეობდა ჩრდილოეთით (და ველს ეწოდებოდა ნიმროდი, ძლიერი მონადირის სახელი) თავიანთი ფარებით, რომლებსაც ერთად აგროვებდნენ, ყოველი ჯიშის მამალსა და დედალს.

2 ასევე მახეები დააგეს და დაიჭირეს ცის ფრინველები; და მათ ასევე მოამზადეს ჭურჭელი, რომლითაც თან წაიღებდნენ წყლის თევზებს.

3 და მათ თან მიჰქონდათ დესერეთი, რაც ითარგმნებოდა, როგორც თაფლის ფუტკარი; და ამგვარად, თან წაიღებდნენ ფუტკრის ნაყარს და რაც იყო იმ მიწის პირზე, ყველაფრის ყოველ სახეობას, ყველანაირ თესლს.

4 და იყო ასე: როდესაც ისინი მივიდნენ ნიმროდის ველზე, უფალი ჩამოვიდა და იარედის ძმას ესაუბრა; და იგი ღრუბლით იყო მოცული და იარედის ძმა მას ვერ ხედავდა.

5 და იყო ასე, რომ უფალმა უბრძანა მათ, უდაბნოში წასუ-

ლიყვნენ, დიახ, იმ ნაწილში, სადაც ადამიანი არ იყო ნამყოფი. და იყო ასე, რომ წინ უფალი გაუძღვათ და მათ ესაუბრებოდა, იყო რა ღრუბლით მოცული და აძლევდა მითითებებს, საით უნდა წასულიყვნენ.

6 და იყო ასე, რომ ისინი მოგზაურობდნენ უდაბნოში და აგებდნენ ბარჟებს, რომელთა მეშვეობით გადადიოდნენ მრავალ წყალზე, უჩვენებდათ რა მათ გეზს უფლის ხელი განუწყვეტლივ.

7 და უფალმა არ დაუშვა, რომ ზღვის იქით გაჩერებულიყვნენ უდაბნოში, არამედ ისურვა, წასულიყვნენ წინ, აღთქმული მიწისკენ, რომელიც იყო ყველა სხვა მიწათა შორის რჩეული, რომელიც უფალს სამართლიანი ხალხისთვის ჰქონდა შენახული.

8 და მან დაიფიცა მრისხანებით იარედის ძმასთან, რომ რომლებიც დაეუფლებიან ამ აღთქმულ მიწას, ამიერიდან და უკუნისამდე უნდა ემსახურონ მას, ჭეშმარიტსა და ერთადერთ ღმერთს, ხოლო სხვაგვარად, იქნებიან განადგურებულნი, როდესაც მისი მრისხანება მთელი სისრულით მოეგვინებათ.

9 და ახლა, ჩვენ შეგვიძლია ვიხილოთ უფლის ბრძანება ამ მიწის შესახებ, რომ ეს არის აღთქმული მიწა; და რომელიც ერიც დაეუფლება მას, უნდა ემსახუროს ღმერთს, წინააღმდეგ შემთხვევაში განადგურდება,

როდესაც მოვევლინებათ მისი მრისხანება მთელი თავისი სისრულით. და მისი მრისხანება მთელი თავისი სისრულით მოვევლინება მათ, როდესაც ურჯულოებაში მომწიფდებიან.

10 ვინაიდან, აჰა, ეს მიწა არის ყველა სხვა მიწათა შორის რჩეული; ამიტომ, ვინც მას დაეუფლება, ემსახურება ღმერთს ან განადგურდება; ვინაიდან, ასეთია ღმერთის მარადიული ბრძანება. და ადამიანები მანამდე არ განადგურდებიან, სანამ მათ შორის ურჯულოება არ დამყარდება.

11 და ეს თქვენამდე მოვა, წარმართნო, რათა იცოდეთ ღმერთის ნაბრძანები, რათა მოინანიოთ და არ დარჩეთ თქვენს ურჯულოებაში სისრულემდე, რათა არ დაგატყდეთ თავზე ღმერთის მრისხანება სისრულით, რაც აქამდე ამ მიწის მცხოვრებლებმა იწვნიეს.

12 აჰა, ეს არის გამორჩეული მიწა და რომელი ერთი დაეუფლება მას, იქნება მონობიდან და ტყვეობიდან განთავისუფლებული და ზეცის ქვეშ ყველა სხვა ერისგან, თუ ის ემსახურება ამ მიწის ღმერთს, რომელიც არის იესო ქრისტე, რომელზეც განცხადებულ იქნა იმ სიტყვებით, რომლებიც ჩავიწერეთ.

13 და ახლა, მე ვაგრძელებ ჩემს ჩანაწერებს; ვინაიდან, აჰა, იყო ასე, რომ უფალმა მიიყვანა იარედი და მისი ძმები იმ დიდ

ზღვასთან, რომელიც ყოფს მიწებს. და როდესაც მივიდნენ ზღვასთან, მათ გაშალეს კარვები; და ადგილს უწოდეს მორიანკუმერი; და ცხოვრობდნენ კარვებში; და კარვებში ცხოვრობდნენ ზღვის სანაპიროზე ოთხი წლის განმავლობაში.

14 და იყო ასე, რომ მეოთხე წლის მიწურულს უფალი კვლავ გამოეცხადა იარედის ძმას და იდგა ღრუბლით გარემოცული და მას ესაუბრებოდა. და სამი საათის განმავლობაში უფალი ესაუბრებოდა იარედის ძმას და განეცხავდა მას, ვინაიდან არ ახსენდებოდა უფლის სახელის მოხმობა.

15 და იარედის ძმამ მოინანია ბოროტება, რომელიც მან ჩაიდინა და შეჰღალადა უფალს თავისი ძმებისთვის, რომლებიც მასთან ერთად იყვნენ. და უფალმა მას უთხრა: შეგინდობ ცოდვებს შენ და შენს ძმებს; მაგრამ, აღარ შესცოდო, ვინაიდან ჩემი სული ყოველთვის არ იმყოფება ადამიანთან; ამიტომ, თუ სრულ მომწიფებამდე შესცოდავთ, მოკვეთილნი იქნებით უფლის გარემოცვიდან. და ასეთია ჩემი ჩანაფიქრი იმ მიწაზე, რომელსაც გიბოძებთ მემკვიდრეობისთვის, ვინაიდან ეს იქნება მიწა, ყველა სხვა მიწათა შორის რჩეული.

16 და უფალმა უთხრა: წადი, იმუშავე და ააგე ბარჟები, ისე,

როგორც აქამდე აგებდი. და იყო ასე, რომ იარედის ძმა წავიდა სამუშაოდ და ასევე მისი ძმებიც და ააგეს ბარუები იმგვარად, როგორც აქამდე აგებდნენ, უფლის მითითებების შესაბამისად. და იყვნენ ისინი მცირე ზომის და იდგნენ წყალში მსუბუქად, წყალზედ მოფარფატე ბუმბულებივით.

17 და იყვნენ ისე აგებულნი, რომ ძალზედ წყალგაუმტარნი იყვნენ, ჯამივით შეეძლოთ წყლის შეკავება; და ძირი ჰქონდათ ჯამივით წყალგაუმტარი; და გვერდები ჰქონდათ ჯამივით წყალგაუმტარი; ბოლოები ჰქონდათ წაწვეტებული და თხემი ჰქონდათ ჯამივით წყალგაუმტარი, სიგრძით იყვნენ ხის სიგრძის; და როდესაც კარები ჰქონდათ ჩაკეტილი, იყვნენ ჯამივით წყალგაუმტარნი.

18 და იყო ასე, რომ იარედის ძმამ შეჰღაღადა უფალს, სიტყვებით: უფალო, შევასრულე სამუშაო, რომელიც მიბრძანე და ავაგე ბარუები შენი მითითებებისამებრ.

19 და აჰა, უფალო, მათში არ არის სინათლე; საითკენ უნდა ავიღოთ გეზი? გარდა ამისა, დავიღუპებით, ვინაიდან შიგნით ვერ ვისუნთქებთ, გარდა იმ ჰაერისა, რაც არის იქ; ამიტომ, დავიღუპებით.

20 და უფალმა უთხრა იარედის ძმას: აჰა, გაუკეთებ ხვრელს ზემოდან და ასევე ძირში; და როდესაც ჰაერი დაგჭირდება, გახსნი

ხვრელს და ჰაერს მიიღებ. და თუ იქნება ასე, რომ წყალი შემოგივა, აჰა, დახურავ ხვრელს, რათა არ დაიღუპოთ ნიაღვარში.

21 და იყო ასე, რომ იარედის ძმა ასეც მოიქცა, უფლის ბრძანების შესაბამისად.

22 და მან კვლავ შეჰღაღადა უფალს სიტყვებით: აჰა, უფალო, ისე მოვიქეცი, როგორც შენ მიბრძანე; და მოვამზადე გემები ჩემი ხალხისთვის და აჰა, მათში არ არის სინათლე. აჰა, უფალო, ნუთუ დაუშვებ, რომ სიბნელეში გადავცურავთ ამ დიდ წყალს?

23 და უფალმა უთხრა იარედის ძმას: რა გსურთ, მოვიმოქმედო, რათა გემებში შექი გქონდეთ? აჰა, ფანჯრები ვერ გექნებათ, ვინაიდან დაიმსხვრევა ნაწილებად; ვერც ცეცხლს ვერ იქონებთ, ვინაიდან ვერ გაცურავთ ცეცხლის შუქზე.

24 ვინაიდან, აჰა, იქნებით, ვითარცა ვეშაპი შუა ზღვაში; ვინაიდან ზემოდან დაგატყდებით მთისხელა ტალღები. ამისდა მიუხედავად, ზღვის სიღრმეებიდან ამოგიყვანთ; ვინაიდან ქარები ჩემი პირიდან წამოვიდა და წვიმები და ნიაღვარებიც ჩემ მიერ არიას მოვლენილი.

25 და აჰა, მე ამისთვის გამზადებთ; ვინაიდან ვერ გადახვალთ ამ დიდ სიღრმეს, თუ არ მოვამზადებთ ზღვის ტალღებისა და ქარებისათვის, რომლებიც მოვლენილან, და ნიაღვარებისთვის, რომლებიც მოვლენ. ამიტომ, რა

გსურთ მოგიზადოთ, რომ სინათლე გქონდეთ, როდესაც გშთანთქავთ ზღვის სიღრმეები?

თავი 3

იარედის ძმა ხედავს უფლის თითს, როდესაც იგი ეხება თექვსმეტ ქვას. იარედის ძმას ქრისტე დაანახებს თავის სულიერ სხეულს. მათ, ვისაც აქვთ სრულყოფილი ცოდნა, ვერ შეაჩერებენ საბურველის მიღმა. იქნება მთარგმნელი ხელსაწყოები, რათა სინათლეზე გამოიტანონ იარედიელთა ჩანაწერები.

1 და იყო ასე, რომ იარედის ძმა (მომზადებული გემების რაოდენობა იყო რვა) ავიდა მთაზე, რომელსაც ისინი უწოდებდნენ შელემის მთას, მისი დიდი სიმაღლის გამო და მან ლოდიდან გამოადნო თექვსმეტი პატარა ქვა; და ისინი იყო თეთრი და ნათელი, გამჭვირვალე შუშასავით; და აიტანა ისინი საკუთარი ხელით მთის წვერზე და კვლავ შეჰღაღადა უფალს სიტყვებით:

2 უფალო, შენ თქვი, რომ ვიქნებით ნიადვრებით გარშემორტყმულნი. ახლა, აჰა, უფალო, ნუ განურისხდები შენს მსახურს შენ წინაშე ამ სისუსტისთვის; ვინაიდან ვიცით, რომ ხარ წმინდა და იმყოფები ზეცაში და შენ წინაშე ვართ უღირსნი; და ჩვენი ბუნება დაცემის გამო არის გამუდმებით ბოროტი; ამისდა მიუხედავად,

უფალო, შენ მოგვეცი მცნება, რათა მოგმართოთ, რომ შენგან მივიღოთ ჩვენი სურვილების შესაბამისად.

3 აჰა, უფალო, შენ შეგვემუსრე ჩვენი ურჯულოების გამო და წინ გაბგვრე და უდაბნოში ვიყავით ეს მრავალი წელი; ამისდა მიუხედავად, შენ მოწყალე იყავი ჩვენ მიმართ. უფალო, გადმოხედე სიბრალულით და აარიდე შენი რისხვა ამ ხალხს და ნუ დაუშვებ, რომ ისინი წავიდნენ სიბნელეში ამ ბობოქარი სიღრმეების გადასალახავად; არამედ, აჰა, იხილე ის, რაც ლოდიდან გამოვადნე.

4 და მე ვიცი, უფალო, რომ გაქვს სრული ძალა და შეგიძლია ადამიანის სასარგებლოდ გააკეთო ყველაფერი, რასაც მოისურვებ; ამიტომ, უფალო, შეეხე ამ ქვებს შენი თითით და მოახდინე ისე, რომ მათ გაანათონ სიბნელეში; და გაგვინათებენ ისინი გემებში, რომლებიც მოვამზადეთ, რათა ზღვაზე გადასვლისას გვქონდეს სინათლე.

5 აჰა, უფალო, შენ ეს შეგიძლია. ჩვენ ვიცით, რომ გძალუძს გამოაჩინო დიდი ძალა, რომელიც ადამიანის გაგებით არის მცირე.

6 და იყო ასე; როდესაც იარედის ძმამ წარმოთქვა ეს სიტყვები, აჰა, უფალმა გამოიწოდა ხელი და სათითაოდ შეეხო ქვებს თითით. და საბურველი აეხადა იარედის ძმას თვალებიდან და

იხილა მან უფლის თითი; და ეს იყო ადამიანის თითი, ვითარცა ხორცი და სისხლი; და იარედის ძმა დაეცა უფლის წინაშე, ვინაიდან იგი შიშმა მოიცვა.

7 და უფალმა იხილა, რომ იარედის ძმა მიწაზე დაეცა; და უფალმა უთხრა მას: წამოდექი, რატომ დაეცი?

8 და მან მიუგო უფალს: მე ვიხილე უფლის თითი და შემეშინდა, რომ არ შევემუსრე მას; ვინაიდან, არ ვიცოდი, რომ უფალს აქვს ხორცი და სისხლი.

9 და უფალმა მას უთხრა: შენი რწმენის წყალობით იხილე, რომ შევიმოსე ხორცითა და სისხლით; და არასდროს მოსულა ჩემთან ასეთი დიდი რწმენის მქონე ადამიანი, როგორც ხარ შენ; ვინაიდან, ასე რომ არ ყოფილიყო, ვერ იხილავდი ჩემს თითს. იხილე მაგაზე მეტი?

10 და მან მიუგო: არა; უფალო, გამომეცხადე.

11 და უფალმა მას უთხრა: იწამებ იმ სიტყვებს, რომლებსაც გეტყვი?

12 და მან მიუგო: დიახ, უფალო, ვიცი, რომ ჭეშმარიტებას ლაპარაკობ, ვინაიდან ხარ ღმერთი ჭეშმარიტებისა და ვერ იცრუებ.

13 და როდესაც მან ეს სიტყვები წარმოთქვა, აჰა, უფალი გამოეცხადა მას და უთხრა: ვინაიდან შენ იცი ყოველივე ეს, გამოსყიდული ხარ დაცემისგან, ამიტომ, ბრუნდები ჩემს გარემოცვაში; ამიტომ, გამოგეცხადები.

14 აჰა, ვარ ის, რომელიც მომზადებული იყო ქვეყნის დასაბამიდან, ჩემი ხალხის გამოსასყიდლად. აჰა, მე ვარ იესო ქრისტე. მე ვარ მამა და ძე. ჩემში ჰპოვებს მთელი კაცობრიობა სიცოცხლეს და ის იქნება მარადიული მათთვის, რომლებიც იწამებენ ჩემს სახელს; და გახდებიან ისინი ჩემი ძენი და ასულები.

15 და არასდროს გამოვცხადებ ვივარ ადამიანს, რომელიც ჩემი შექმნილია, ვინაიდან აქამდე ადამიანს არასდროს არ სწამებია ჩემი ისე, როგორც შენ. იხილე, რომ ხარ ჩემს ხატად შექმნილი? დიახ, ყოველი ადამიანი დასაბამიდანვე არის ჩემს ხატად შექმნილი.

16 აჰა, ეს სხეული, რომელსაც ახლა ხედავ, არის ჩემი სულის სხეული; და ადამიანი შევქმენი ჩემი სულის სხეულის მაგვარად; და როგორც სულში მყოფი გეცხადები, ასევე გამოგეცხადები ჩემს ხალხს ხორცშესხმული.

17 და ახლა, როგორც მე, მორონიმ, ვთქვი, არ შემიძლია გავაკეთო სრული ჩანაწერი იმაზედ, რაც დაწერილია, ამიტომ საკმარისია ვთქვა, რომ იესო გამოეცხადა ამ ადამიანს სულში, იმავენაირად, როგორც ეცხადებოდა ნეფიელებს სხეულით.

18 და ემსახურა მას ისე, როგორც ნეფიელებს ემსახურა; და ყოველივე ეს იმისთვის, რომ ამ ადამიანს სცოდნოდა – იგი იყო

ღმერთი, იმ მრავალი დიადი საქმის გამო, რაც უფალმა მას დაანახა.

19 და ამ ადამიანის ცოდნის გამო შეუძლებელი იყო მისი შეკავება, იმაზედ, რომ ვერ ეხილა მას საბურველს მიღმა; და მან იხილა იესოს თითი და როდესაც მან ის იხილა, დაეცა შეშინებული, ვინაიდან იცოდა, რომ ეს იყო თითი უფლისა; მას აღარ ჰქონდა რწმენა, ვინაიდან იცოდა, აღარ ეჭვობდა.

20 ამიტომ, ჰქონდა რა სრულყოფილი ცოდნა ღმერთის შესახებ, შეუძლებელი იყო საბურველს მიღმა მისი შეკავება; ამიტომ, იხილა იესო და იგი მას ემსახურა.

21 და იყო ასე, რომ უფალმა იარედის ძმას უთხრა: აჰა, შენ არ დაუშვებ, რომ ყოველივე ის, რაც იხილე და მოისმინე, გავრცელდეს ქვეყანაზე, სანამ არ დადგება უამი, როდესაც ხორცში განვადიდებ ჩემს სახელს; ამიტომ, შეინახავ და არავის გაანდობ იმას, რაც იხილე და მოისმინე.

22 და აჰა, როდესაც ჩემთან მოხვალ, ამას ჩაიწერ და ჩაბეჭდავ, რათა ვერაფერს გადათარგმნოს; ვინაიდან ამას ჩაიწერ იმ ენაზე, რომლის წაკითხვაც მათთვის შეუძლებელი იქნება.

23 და აჰა, ამ ორ ქვას მოგცემ და მათაც ასევე ჩაბეჭდავ იმასთან ერთად, რასაც დაწერ.

24 ვინაიდან, აჰა, ენა, რომლითაც შენ დაწერ, მე ავრიე;

ამიტომ, ჩემთვის შესაფერის დროს, დაუშვებ, რომ ეს ქვები ადამიანთა თვალისთვის ნათელს გახდის ყოველივე იმას, რასაც შენ ჩაიწერ.

25 და როდესაც უფალმა თქვა ეს სიტყვები, მან დაანახა იარედის ძმას დედამიწაზე არსებული ყველა მცხოვრები, ასევე, რომლებიც იარსებებდნენ; და არ დაფარა ისინი მისი მზერისგან, დედამიწის კიდით კიდემდეც კი.

26 ვინაიდან მანამდე უთხრა, რომ თუ იწამებდა, რომ შეძლებდა მისთვის ყველაფერი დაენახებინა, მაშინ ამას დაანახებდა; ამიტომ, უფალმა ვერ დაუფარა ვერაფერი, ვინაიდან მან იცოდა, რომ უფალს შეეძლო ყოველივე ეს მისთვის ეჩვენებინა.

27 და უფალმა უთხრა: ჩაიწერე ეს და ჩაბეჭდე; და ჩემთვის შესაფერის დროს ამას ადამიანთა შვილებს დავანახებ.

28 და იყო ასე, რომ უფალმა მას უბრძანა, ჩაებეჭდა ეს ორი ქვა, რომლებიც მიიღო და არ გამოეჩინა მანამ, სანამ უფალი მათ არ დაანახებდა ადამიანთა შვილებს.

თავი 4

მორონის ნაბრძანები აქვს ჩაბეჭდოს იარედის ძმის ჩანაწერები. ისინი არ გამოაშკარავდება, სანამ ადამიანებს არ ექნებათ იარედის ძმის მაგვარი რწმენა. ქრისტე ადამიანებს უბრძანებს,

იწამონ მისი და თავისი მოწაფეების სიტყვები. აღამიანებს ნაბრძანები აქვთ, მოინანიონ, იწამონ სახარება და გადარჩნენ.

1 და უფალმა უბრძანა იარედის ძმას, წასულიყო მთიდან, უფლის გარემოცვიდან და ჩაეწერა ის, რაც იხილა; და ებრძანა მას, არ მისულიყო ეს აღამიანთა შვილებამდე, სანამ იგი ჯვარზე არ იქნებოდა აღმართული; და ამ მიზნით ინახავდა მეფე მოსია ჩანაწერებს, რათა არ მიეღწიათ მათ ქვეყნიერებამდე, სანამ ქრისტე თავად არ გამოეცხადებოდა საკუთარ ხალხს.

2 და მას შემდეგ, რაც ქრისტე საკუთარ ხალხს ჭეშმარიტად გამოეცხადა, მან ბრძანა, გამოეჩინათ ჩანაწერები.

3 და ახლა, მას შემდეგ, ისინი ყველანი ურწმუნობაში გადაშენდნენ და ლამანიელთა გარდა აღარავინ დარჩა და მათ უარყვეს ქრისტეს სახარება; ამიტომ, ნაბრძანები მაქვს, რომ ისინი კვლავ მიწაში დავმალო.

4 აჰა, მე დაწვეურე ამ ფირფიტებზე ის, რაც იარედის ძმას გამოეცხადა; და ამაზე დიდი რამ, რაც იარედის ძმას გამოეცხადა, აქამდე არასდროს არ ყოფილა ცნობილი.

5 ამიტომ, უფალმა მიბრძანა, ჩამეწერა ეს; და მე ჩავიწერე. და მან მიბრძანა, ეს ჩამებეჭდა და ასევე მიბრძანა, ჩამებეჭდა

ამის თარგმანი, ამიტომ, უფლის ბრძანებებისამებრ, მთარგმნელი ხელსაწყოები ჩაგბეჭდე.

6 ვინაიდან, უფალმა მითხრა: ეს არ მივა წარმართებთან იმ დღემდე, სანამ არ მოინანიებენ საკუთარ ურჯულოებას და არ განიწმინდებიან უფლის წინაშე.

7 და იმ დღეს, როდესაც გამოავლენენ ჩემში რწმენას, – ამბობს უფალი, როგორც ეს გააკეთა იარედის ძმამ, რათა იქნენ ჩემში განწმენდილნი, გამოეცხადებ იმას, რაც იხილა იარედის ძმამ, ყოველ ჩემს გამოცხადებასაც გავანდობ, – ამბობს იესო ქრისტე, ძე ღვთისა, მამა ზეცისა და დედამიწის და ყველაფრის, რაც მათზეა.

8 და რომელიც შეეწინააღმდეგება უფლის სიტყვას, დაე, იყოს წყეული; და ასევე ის, რომელიც უარყოფს ყოველივე ამას, დაე, იყოს წყეული; ვინაიდან, მათ არ დავანახებ უფრო დიდ საქმეებს, – ამბობს იესო ქრისტე, ვინაიდან ვარ ის, ვინც ლაპარაკობს.

9 და ჩემი ბრძანებით ზეცა იხსნება და იხურება; და ჩემი სიტყვით იზანზარებს მიწა; და ჩემი ბრძანებით განადგურდებიან მისი მცხოვრებნი ისე, როგორც ცეცხლისგან.

10 და მას, რომელსაც არ სწამს ჩემი სიტყვების – არ სწამს ჩემი მოწაფეების; და თუ ასე იქნება, რომ არ ვილაპარაკებ – განსაჯეთ; ვინაიდან უკანასკნელ

დღეს გაიგებთ, რომ ეს მე ვარ, ვინც ლაპარაკობს.

11 მაგრამ მას, ვისაც სწამს იმის, რაც ვილაპარაკე, ვეწვევი ჩემი სულის გამოცხადებებით და მას ეცოდინება და დაამოწმებს ჩანაწერს. ვინაიდან ჩემი სულის მეშვეობით იგი გაიგებს, რომ ყოველივე ეს არის ჭეშმარიტება; ვინაიდან ეს სიკეთის კეთებისკენ უბიძგებს ადამიანებს.

12 და ყოველივე, რაც უბიძგებს ადამიანს სიკეთის კეთებისკენ, არის ჩემგან; ვინაიდან სიკეთე ჩემ გარდა არავისგან არ მოდის. მე ვარ ის, რომელიც მიუძღვის წინ ადამიანებს ყოველი კეთილისკენ; და რომელიც არ იწამებს ჩემს სიტყვებს – მას არც ჩემი სჯერა, რომ ვარ; და ვისაც არ სჯერა ჩემი, არ დაიჯერებს მამისას, რომელმაც მე მომავლინა. ვინაიდან მე ვარ მამა, მე ვარ ამა ქვეყნის სინათლე და სიცოცხლე და ჭეშმარიტება.

13 მოდით ჩემთან, თქვენ, წარმართნო, და უფრო დიადს დაგანახებთ, იმ ცოდნას, რომელიც დაფარულია ურწმუნოების გამო.

14 მოდი ჩემთან, ისრაელის სახლო, და გამოგეცხადებათ, როგორი დიადია ის, რაც მამამ გადაღო თქვენთვის ქვეყნის დასაბამიდან და რაც ვერ მოვიდა თქვენამდე ურწმუნოების გამო.

15 აჰა, როდესაც გაარღვევთ იმ ურწმუნოების საბურველს, რომელიც გაიძულებთ, იყოთ თქვენს საშინელ სიბოროტესა

და გულქვაობაში და გონებრივ სიბნელეში, მაშინ ის დიადი და საოცარი, რაც დაფარული იყო თქვენგან ამა ქვეყნის დასაბამიდან – დიახ, როდესაც შეჰკლადებთ მამას ჩემი სახელით, მოდრეკილი გულითა და მომნაწიებელი სულით, მაშინ გაიგებთ, რომ მამას ახსოვს აღთქმა, რომელიც დაღო თქვენს მამებთან, ისრაელის სახლო.

16 და მაშინ, ჩემი გამოცხადებები, რომლებიც ვუბრძანე, ჩაეწერა იოანეს, ჩემს მსახურს, გაიხსნება ყველა ხალხის თვალში. გახსოვდეთ, რომ როდესაც ამას იხილავთ, გეცოდინებათ, რომ მოახლოვდა უამი, როდესაც ეს ნამდვილად იქნება გამოცხადებული.

17 ამიტომ, როდესაც ამ ჩანაწერებს მიიღებთ, გაიგებთ, რომ მამის საქმე მთელი მიწის პირზე არის დაწყებული.

18 ამიტომ, მოინანიეთ თქვენ, დედამიწის ყველა კიდენო, და მოდით ჩემთან და იწამეთ ჩემი სახარება და მოინათლეთ ჩემი სახელით; ვინაიდან გადარჩება ის, რომელიც იწამებს და მოინათლება; მაგრამ ის, რომელიც არ იწამებს, იქნება განწირული; და რომლებმაც ჩემი სახელი იწამეს, მათ გაჰყვებათ ნიშნები.

19 და კურთხეულია ის, რომელიც იქნება ჩემი სახელის ერთგული უკანასკნელ დღეს, ვინაიდან ამაღლდება, რათა

იცხოვროს ქვეყნის დასაბამიდან მისთვის მომზადებულ სასუფეველში. და აჰა, მე ვარ ამის მოქმელი. ამინ.

თავი 5

სამი მოწმე და თავად საქმე წარსდგება მორმონის წიგნის ჭეშმარიტების დასამოწმებლად.

1 და ახლა, მე მორონიმ, დავეწერე ეს სიტყვები, რომლებიც ნაბრძანები მქონდა, დამეწერა ჩემი მეხსიერებისამებრ; და გითხარი იმის შესახებ, რაც ჩაგბეჭდვ; ამიტომ, არ შეეხო მას გადათარგმნის მიზნით; ვინაიდან ეს აკრძალულია შენთვის, სანამ არ მოგეცემა ამის ნება ღმერთის სიბრძნით.

2 და აჰა, ალბათ მოგეცემა, რომ დაანახო ფირფიტები მათ, რომლებიც დაგეხმარებიან ამ საქმის განხორციელებაში;

3 და ღმერთის ძალით ისინი ნაჩვენები იქნება სამისთვის; ამიტომ, მათ ნამდვილად ეცოდინებათ, რომ ეს არის ჭეშმარიტება.

4 და ყოველივე ეს სამი მოწმის პირით ჩამოყალიბდება; და სამის დამოწმება და ეს საქმე, რომლითაც ნაჩვენები იქნება ღმერთის ძალა და ასევე მისი სიტყვა, რომელზეც მოწმობენ მამა, ძე და სულიწმინდა – და უკანასკნელ დღეს ყოველივე ეს დადგება, როგორც დამოწმება ამა ქვეყნის საწინააღმდეგოდ.

5 და თუ იქნება ისე, რომ მონანიებენ და მოვლენ მამასთან იესოს სახელით – მიღებულნი იქნებიან ღვთის სასუფეველში.

6 და ახლა, თუ არ მაქვს უფლებამოსილება ამ სიტყვებზე – თქვენ განსაჯეთ; ვინაიდან გაიგებთ, რომ მაქვს უფლებამოსილება, როდესაც მიხილავთ და ჩვენ წარვსდგებით ღმერთის წინაშე უკანასკნელ დღეს. ამინ.

თავი 6

იარედიელთა ბარუებს ქარი აღთქმული მიწისკენ მიაქანებს. ხალხი აღიდებს უფალს მისი სიკეთისთვის. ორიჰა მათ მეფედ დაინიშნა. იარედი და მისი ძმა გარდაიცვლებიან.

1 და ახლა მე, მორონი, ვაგრძელებ იარედისა და მისი ძმის ჩანაწერებს.

2 ვინაიდან, იყო ასე: მას შემდეგ, რაც უფალმა მოამზადა ის ქვები, რომლებიც იარედის ძმამ მთაზე აიტანა, იარედის ძმა ჩამოვიდა მთიდან და ისინი იმ გემებში გაანაწილა, რომლებიც მომზადებული იყო, სათითაოდ, ყოველი მათგანის ბოლოში, და აჰა, მათ გაანათეს გემები.

3 და ამგვარად, უფალმა ბრძანა, რომ ქვებს სიბნელეში გაენათებინა, რათა სინათლე მიეცათ კაცების, ქალებისა და ბავშვებისთვის, რათა სიბნელეში არ გადაელახათ დიდი წყლები.

4 და იყო ასე: როდესაც მო-
იმარაგეს ყველანაირი სა-
კვები, რათა თავი გამოეკვებათ
წყლებზე, ასევე საკვები წვრილ-
ფეხა და მსხვილფეხა საქო-
ნელისთვის და ყველანაირი
მხეცების, ცხოველებისა თუ
ფრინველებისთვის, რომლებიც
მათ უნდა თან წაეყვანათ – და
იყო ასე: როდესაც მათ ყოვე-
ლივე ეს გააკეთეს, ავიდნენ თა-
ვიანთ გემებსა თუ ბარუებზე და
ზღვაში გავიდნენ, მიანდეს რა
საკუთარი თავი უფალს, თავი-
ანთ ღმერთს.

5 და იყო ასე, რომ უფალმა
ღმერთმა ბრძანა, მძვინვარე ქარს
დაებერა წყლებზე აღთქმული
მიწის მიმართულებით; და ასე
მიექანებოდნენ ისინი ზღვის
ტალღებზე ზურგის ქარით.

6 და იყო ასე, რომ ისინი
მრავალჯერ ჩავიდნენ ზღვის
სიღრმეებში მთისხელა ტალღე-
ბის გამო, რომლებიც ზემოდან
აცხრებოდნენ და ასევე მძვინ-
ვარე ქარის მიერ გამოწვეული,
დიდი და საშინელი ქარიშხლე-
ბისგან.

7 და იყო ასე: როდესაც სი-
ღრმეში ჩადიოდნენ, იქ არ იყო
ისეთი წყალი, რომელიც მათ
ავნებდათ, ვინაიდან მათი გე-
მები იყო ჭურჭელივით მკვრივი
და ასევე ნოეს კიდობანივით
მყარი; ამიტომ, როდესაც მრავალ
წყალში ექცეოდნენ, შეკლად-
ადებდნენ უფალს და მას ისინი
წყლის ზედაპირზე ამოჰყავდა.

8 და იყო ასე, რომ არასდროს
ჩამცხრალა ქარი, რომელიც
აღთქმული მიწისკენ უბერავდა,
როდესაც წყალზე იყვნენ და ასე
მიაქანებდა მათ ზურგის ქარი.

9 და ისინი უფლისადმი სადი-
დებელს გალობდნენ; დიახ, იარე-
ლის ძმა გალობდა უფლისადმი
სადიდებელს და მთელი დღე
მადლს სწირავდა და აქებდა
უფალს; და ღამის დადგომისა-
საც, ისინი არ წყვეტდნენ უფ-
ლის ქებას.

10 და ამგვარად, მიექანებოდ-
ნენ წინ და ვერცერთი ზღვის
ურჩხული ვერ ავნებდა მათ,
ვერც ვეშაპი, რომელსაც შეეძლო
ზიანის მიყენება; და სინათლე
ჰქონდათ გამუდმებით, როგორც
წყალზედ, ასევე წყალქვეშ.

11 და ამგვარად, წინ მიექანე-
ბოდნენ წყლებზე სამას ორმოც-
დაოთხი დღე.

12 და ისინი გადმოვიდნენ აღ-
თქმული მიწის ნაპირზე. და რო-
დესაც ფეხი დადგეს აღთქმული
მიწის ზღვის ნაპირზე, ქედი მო-
იხარეს მიწის პირზე და უფლის
წინ თავი დაიმდაბლეს და სი-
ხარულის ცრემლი დაღვარეს
უფლის წინაშე, მის მიერ გამო-
ჩენილი მრავალი დიდსულოვანი
მოწყალებისათვის.

13 და იყო ასე, რომ მივიდნენ
მიწის პირზე და დაიწყეს მისი
დამუშავება.

14 და იარედს ჰყავდა ოთხი
შვილი; და მათ ერქვათ იაკობი,
გილგა, მაჰა და ორიჰა.

15 და იარედის ძმასაც ასევე ჰყავდა ვაჟიშვილები და ქალიშვილები.

16 და იარედისა და მისი ძმის მეგობრები რაოდენობით დაახლოებით ოცდაორი სული იყვნენ; და მათაც ეყოლათ ვაჟიშვილები და ქალიშვილები, სანამ აღთქმულ მიწაზე მოვიდოდნენ, ამიტომ, ისინი გამრავლდნენ.

17 და მათ ასწავლიდნენ, თავმდაბლად ევლოთ უფლის წინაშე და ისინი ასევე ზეციდანაც იღებდნენ დარიგებებს.

18 და იყო ასე: დაიწყეს მათ მიწის პირზე გავრცელება, გამრავლება და მიწის დამუშავება; და განმტკიცდნენ იმ მიწაზე.

19 და იარედის ძმამ იგრძნო თავისი სიბერე და იხილა, რომ მალე სამარეში უნდა ჩასულიყო; ამიტომ, უთხრა იარედს: მოდი, შევეკრიბოთ ჩვენი ხალხი, რათა დავთვალოთ ისინი, რომ მათგან გავიგოთ, რა სურთ ჩვენგან, სანამ სამარეში ჩავალთ.

20 და ამდგვარად, ხალხი ერთად შეიკრიბა. ახლა, იარედის ძმის ვაჟიშვილებისა და ქალიშვილების რაოდენობა იყო ოცდაორი სული; და იარედის ვაჟიშვილებისა და ქალიშვილების რაოდენობა იყო თორმეტი, ჰყავდა რა ოთხი ვაჟიშვილი.

21 და იყო ასე: მათ დათვალეს საკუთარი ხალხი და მას შემდეგ, რაც ისინი დათვალეს, დაუსვეს შეკითხვა, თუ რა სურდათ,

რომ მათ სამარეში ჩასვლამდე გაეკეთებინათ.

22 და იყო ასე, რომ ხალხმა მოისურვა მათგან, რომ ზეთი ეცხოთ ერთ-ერთ თავიანთ ვაჟიშვილისთვის, რათა იგი გამხდარიყო მათი მეფე.

23 და ახლა, აჰა, ამან დაამწუხრა ისინი. და იარედის ძმამ მათ უთხრა: ეს უსათუოდ ტყვეობამდე მიგიყვანთ.

24 მაგრამ იარედმა უთხრა თავის ძმას: დართე ნება, რომ ჰყავდეთ მეფე. და ამიტომ, მან უთხრა მათ: აირჩიეთ მეფე ჩვენი ვაჟიშვილებიდან, რომელიც გსურთ.

25 და იყო ასე, რომ მათ აირჩიეს იარედის ძმის პირველშობილი; და მას სახელად ერქვა პაგაგი. და იყო ასე, რომ მან უარი თქვა მათ მეფობაზე. და ხალხმა მოისურვა, რომ მამამისს დაეძალებინა მისთვის, მაგრამ მამამისმა უარი თქვა; და უბრძანა მათ, რომ არავისთვის არ დაეძალებინათ მათი მეფობა.

26 და იყო ასე, რომ ირჩევდნენ პაგაგის ყოველ ძმას და ისინი უარზე იყვნენ.

27 და იყო ასე, რომ არც იარედის ვაჟიშვილებს არ სურდათ, არცერთს, გარდა ერთისა; და ორიპას სცხეს ზეთი, რათა ყოფილიყო ხალხის მეფე.

28 და მან დაიწყო მმართველობა და ხალხმა დაიწყო აყვავება; და ძალზედ გამდიდრდნენ ისინი.

29 და იყო ასე, რომ გარდაი-
ცვალა იარედი და ასევე მისი ძმა.

30 და იყო ასე, რომ ორიპა უფ-
ლის წინაშე დადიოდა თავმდაბ-
ლურად და ახსოვდა, რაოდენ
დიდი რამ გააკეთა უფალმა მისი
მამისთვის და ასევე ასწავლიდა
თავის ხალხს, რაოდენ დიდი
რამ გააკეთა უფალმა მათი მა-
მებისთვის.

თავი 7

*ორიპა სამართლიანად მმართ-
ველობს. ხელისუფლების და-
მხობის მცდელობასთან ერთად
წარმოიქმნება მეტოქე სამეფო-
ები - შული და კოპორი. წი-
ნასწარმეტყველები გამობენ
აღამიანთა სიბოროტესა და
კერპთაყვანისმცემლობას, რო-
მელნიც მოგვიანებით მოინანი-
ებენ.*

1 და იყო ასე, რომ ორიპა
მთელი თავისი დღენი, რაც
მრავლად იყო, სამართლიანად
აღასრულებდა სასამართლოს
ამ მიწაზე.

2 და მას ჰყავდა ვაჟიშვილები
და ქალიშვილები; დიახ, მას
შექმინა ოცდათერთმეტი, რო-
მელთა შორის იყო ოცდასამი
ვაჟიშვილი.

3 და იყო ასე, რომ სიბერეში
ასევე შეეძინა ქიბი. და იყო ასე,
რომ ქიბი მმართველობდა მის
მაგივრად და ქიბს შეეძინა კო-
რიპორი.

4 და როდესაც კორიპორი გახდა

ოცდათორმეტი წლის, იგი აუ-
ჯანყდა თავის მამას და წავიდა
და ცხოვრობდა ნეპორის მიწაზე;
და მას შეეძინა ვაჟიშვილები და
ქალიშვილები და ისინი გახდნენ
ძალზედ მიმზიდველნი, ამიტომ,
მრავალი აღამიანი კორიპორს
თან გაჰყვა.

5 და როდესაც მან შეკრიბა
ჯარი, იგი წამოვიდა მორონის
მიწაზე, სადაც მეფე იმყოფე-
ბოდა და იგი დაატყვევა, რი-
თაც აღსრულდა იარედის ძმის
სიტყვა, რომ ეს მათ ტყვეობამდე
მიიყვანდა.

6 ახლა, მორონის მიწა, სადაც
მეფე იმყოფებოდა, მდებარეობდა
ახლოს მიწასთან, რომელსაც ნე-
ფიელები აოხრებულს უწოდებ-
დნენ.

7 და იყო ასე: ქიბი და ასევე
მისი ხალხი იმყოფებოდნენ სა-
კუთარი შვილის, კორიპორის,
ტყვეობაში ღრმა სიბერემდე; მი-
უხედავად ამისა, ქიბს სიბერეში
შექმინა შული, იმ დროს, რო-
დესაც ტყვეობაში იმყოფებოდა.

8 და იყო ასე, რომ შული იყო
საკუთარ ძმაზე განრისხებული;
და შული გაიზარდა და გახდა
ძლიერი აღამიანი: და იგი იყო
ასევე ძალზედ გონიერი.

9 ამიტომ, იგი მივიდა ევრემის
გორაკთან და გამოადნო მადანი
გორაკიდან და გააკეთა ფოლა-
დის ხმლები მათთვის, რომ-
ლებიც თან წაიყვანა; და მას
შემდეგ, რაც ისინი ხმლებით
შეაიარაღა, დაბრუნდა ქალაქ

ნეკორში და შეებრძოლა საკუთარ ძმას, კორიპორს, ამგვარად, იგი დაეუფლა სამეფოს და დაუბრუნა ის თავის მამას, ქიბს.

10 და ახლა, იმის გამო, რაც შულმა გააკეთა, მამამისმა მეფობა მას გადაუღოცა, ამიტომ, მან მამამისის მაგივრად დაიწყო მმართველობა.

11 და იყო ასე, რომ იგი გონიერად აღასრულებდა სამართალს; და საკუთარი სამეფო გაავრცელა მთელი მიწის პირზე, ვინაიდან ძალზედ გამრავლდა ხალხი.

12 და იყო ასე, რომ შულს ასევე შეეძინა მრავალი ვაჟი-შვილი და ქალიშვილი.

13 და კორიპორმა მოინანია მის მიერ ჩადენილი მრავალი სიბოროტე; ამიტომ, შულმა მას საკუთარ სამეფოში ძალაუფლება უბოძა.

14 და იყო ასე, რომ კორიპორს ჰყავდა მრავალი ვაჟი-შვილი და ქალიშვილი. და კორიპორის ვაჟი-შვილებს შორის იყო ერთი, რომელსაც ერქვა ნოე.

15 და იყო ასე: ნოე აუჯანყდა შულს, მეფეს და ასევე კორიპორს, თავის მამას, და თან აიყოლია თავისი ძმა, კოპორი, და ასევე ყველა თავისი ძმა და მრავალნი ხალხიდან.

16 და იგი შეებრძოლა შულს, მეფეს, რითიც დაიპყრო მათი პირველი მემკვიდრეობის მიწა; და გახდა მიწის იმ ნაწილის მეფე.

17 და იყო ასე, რომ იგი კვლავ შეებრძოლა შულს, მეფეს; და დაატყვევა შული, მეფე, და წაიყვანა იგი ტყვედ მორონში.

18 და იყო ასე, რომ როდესაც აპირებდა მის მოკვლას, შულის შვილებმა ღამით შეაღწიეს ნოეს სახლში და იგი მოკლეს, გატეხეს ციხის კარები, გამოიყვანეს თავიანთი მამა და მის სამეფოში საკუთარ ტახტზე დასვეს.

19 ამიტომ, ნოეს შვილმა მის მაგივრად ააშენა სამეფო; ამისდა მიუხედავად, მათ ვეღარ დაამყარეს თავიანთი ძალაუფლება მეფე შულზე; და ხალხი, რომელიც იმყოფებოდა მეფე შულის მმართველობის ქვეშ, ძალზედ აყვავდა და გაძლიერდა.

20 და ქვეყანა ორად იყო გაყოფილი; და იყო ორი სამეფო: სამეფო შულის და სამეფო კოპორის, ნოეს ძისა.

21 და კოპორმა, ნოეს შვილმა, ბრძანა, რომ მისი ხალხი შეებრძოლებოდა შულს, სადაც შულმა ისინი დაამარცხა და კოპორი მოკლა.

22 და ახლა, კოპორს ჰყავდა შვილი, რომელსაც ერქვა ნიმროდი; და ნიმროდმა გადასცა კოპორის სამეფო შულს; და მოიპოვა კეთილგანწყობა შულის თვალში, ამიტომ შულმა გამოიჩინა დიდი კეთილგანწყობა მასზედ და იგი შულის სამეფოში იქცეოდა საკუთარი სურვილისამებრ.

23 და შულის მმართველობის

დროს ხალხში ასევე მოვიდნენ წინასწარმეტყველები, რომლებიც უფლის მიერ იყვნენ მოვლენილნი, წინასწარმეტყველებდნენ რა, რომ ხალხის სიბოროტე და კერპთაყვანისმცემლობა მიწაზე მოიტანდა წყევლას და იქნებოდნენ განადგურებულნი, თუ არ მოინანიებდნენ.

24 და იყო ასე, რომ ხალხი ლანძღავდა წინასწარმეტყველებს და დასცინოდა მათ. და იყო ასე, რომ მეფე შულმა აღასრულა მართლმსაჯულება ყველა მათ წინააღმდეგ, რომლებიც ლანძღავდნენ წინასწარმეტყველებს.

25 და მთელ მიწაზე დააწესა კანონი, რომლითაც მისცა ძალაუფლება წინასწარმეტყველებს, რომ შეეძლოთ წასულიყვნენ, სადაც მოისურვებდნენ; და ამგვარად, ხალხი მონანიებამდე იქნა მიყვანილი.

26 და ვინაიდან ხალხმა მოინანია საკუთარი ურჯულოება და კერპთაყვანისმცემლობა, უფალმა დაინდო ისინი და მათ კვლავ იწყეს აყვავება მიწაზე. და იყო ასე, რომ სიბერეში შულს შეეძინა ვაჟიშვილები და ქალიშვილები.

27 და შულის დღეების ჟამს აღარ იყო ომები და მას ახსოვდა ის დიდი საქმენი, რაც უფალმა გააკეთა მისი მამებისთვის, მოიყვანა რა ისინი დიდი სიღრმეების გადაღმა აღთქმულ მიწაზე; ამიტომ, სამართლიანად

აღასრულებდა სამართალს მთელი თავისი დღეები.

თავი 8

სამეფოს გამო წარმოიშვა დაპირისპირება. აკიში მოაწყობს საიდუმლო შეთქმულებას მეფის მოსაკლავად. საიდუმლო შეთქმულებები არის ეშმაკისეული და მოაქვს ერთა განადგურება. თანამედროვე წარმართები იღებენ გაფრთხილებას საიდუმლო შეთქმულების შესახებ, რომელიც შეეცდება თავისუფლების დამხობას ყველა მიწაზე, ერსა და ქვეყნაში.

1 და იყო ასე, რომ მას შეეძინა ომერი და ომერი მმართველობდა მის მაგივრად. და ომერს შეეძინა იარედი; და იარედს შეეძინა ვაჟიშვილები და ქალიშვილები.

2 და იარედი აუჯანყდა საკუთარ მამას; და მოვიდა და ცხოვრობდა ჰეთის მიწაზე. და იყო ასე, რომ მან მზაკვრული სიტყვებით მრავალი ადამიანი შეაცდინა, სანამ არ გადაიბირა ნახევარი სამეფო.

3 და როდესაც ნახევარი სამეფო გადაიბირა, იგი მამამისს შეებრძოლა და დაატყვევა საკუთარი მამა და ტყვეობაში მსახურობა აიძულა;

4 და ახლა, ომერის მმართველობის დღეებისას, მან ტყვეობაში გაატარა საკუთარი დღეების ნახევარი. და იყო ასე,

რომ მას შეეძინა ვაჟიშვილები და ქალიშვილები, რომელთა შორის იყვნენ ესრომი და კორიანტუმრი;

5 და ისინი იყვნენ ძალზედ განრისხებულნი თავიანთი ძმის, იარედის, საქციელით, ისე, რომ ჯარი შეკრიბეს და იარედს შეებრძოლნენ. და იყო ასე, რომ მას ღამით შეებრძოლნენ.

6 და იყო ასე: როდესაც მათ იარედის ჯარი ამოხოცეს, მზად იყვნენ ისიც მოეკლათ; და იგი შეეხვეწა, რომ არ მოეკლათ და სამეფოს თავის მამას დაუთმობდა. და იყო ასე, რომ მას სიცოცხლე უბოძეს.

7 და ახლა, იარედი ძალზედ დაღონდა საკუთარი სამეფოს დაკარგვის გამო, ვინაიდან გული მიძღვნილი ჰქონდა სამეფოსა და ამქვეყნიური დიდებისადმი.

8 ახლა, იარედის ქალიშვილმა, იყო რა ძალზედ გონიერი და ხედავდა მამამისის მწუხარებას, გადაწყვიტა, მოეფიქრებინა გეგმა, რის მეშვეობითაც შეძლებდა თავისი მამისთვის სამეფოს დაბრუნებას.

9 ახლა, იარედის ქალიშვილი იყო ძალზედ მიმზიდველი. და იყო ასე, რომ იგი ესაუბრა საკუთარ მამას და უთხრა: რის გამო არის მამაჩემი ასე დაღონებული? ნუთუ არ წაუკითხავს ის ჩანაწერი, რომელიც გადმოიტანეს ჩვენმა მამებმა დიდ სიღრმეზე, აჰა, ნუთუ არ არის ჩანაწერი ძველი დროის

შესახებ, სადაც ისინი საკუთარი საიდუმლო გეგმებით მოიპოვედნენ სამეფოებსა და დიად დიდებულებას?

10 და ახლა, დაე, მამაჩემმა გააგზავნოს აკიშთან, კიმნორის შვილთან; და აჰა, მე ვარ მიმზიდველი და ვიცეკვებ მის წინაშე და ვასიამოვნებ, რათა მოისურვოს ჩემი ცოლად შერთვა; ამიტომ, თუ მოისურვებს, რომ მას ცოლად მიმათხოვო, შენ ეტყვი: მე გაგატან მას ცოლად, თუ მომიტან მამაჩემის, მეფის, თავს.

11 და ახლა, ომერი იყო აკიშის მეგობარი; ამიტომ, როდესაც იარედმა გააგზავნა აკიშთან, იარედის ქალიშვილმა იცეკვა მის წინაშე და ასიამოვნა ისე, რომ მან მოისურვა იარედის ქალიშვილის ცოლად შერთვა. და იყო ასე, რომ მან იარედს უთხრა: მომათხოვე იგი ცოლად.

12 და იარედმა უთხრა მას: მე მას მოგათხოვებ, თუ მამაჩემის, მეფის, თავს მომიტან.

13 და იყო ასე, რომ აკიშმა შეკრიბა იარედის სახლში ყველა თავისი ნათესავი და მათ უთხრა: შემომფიცავთ, რომ ჩემი ერთგულნი იქნებით იმაში, რასაც მოგთხოვთ?

14 და იყო ასე, რომ მათ ყველამ შეჰვიცეს ზეცის ღმერთითა და ზეცით, ასევე დედამიწითა და საკუთარი თავით, რომ ის, რომელიც ხელს არ შეუწყობს აკიშის სურვილის აღსრულებას, საკუთარ თავს დაკარგავს; და

რომელიც გათქვამს იმას, რასაც აკიში მათ გაანდობს, ისიც დაკარგავს საკუთარ თავს.

15 და იყო ასე, რომ ისინი დაეთანხმდნენ აკიშს. და აკიშმა დადო მათთან ფიცი, რომელსაც ძველად დებდნენ ისინი, რომლებიც ასევე ძალაუფლებისკენ ისწრაფოდნენ, რომელმაც გადმოცემით მოაღწია თავად კაენისგან, რომელიც დასაბამიდანვე იყო მკვლელი.

16 და მათ ამხნევებდა ეშმაკის ძალა, რომ ხალხთან დაედოთ ასეთი ფიცი, რათა ყოფილიყვნენ სიბნელეში, მათ დასახმარებლად, რომლებიც ძალაუფლებისკენ ისწრაფოდნენ, რათა მიეღოთ ძალაუფლება და ჩაედინათ მკვლევრობები, ეძარცვათ და ეცრუათ და ეკეთებიანთ ყოველგვარი სიბოროტე და მრუშობა.

17 და ეს იყო იარედის ქალიშვილი, რომელმაც გულში ჩაუდო მას, მოეძია ეს ძველი საქმენი; და იარედმა აკიშს ჩაუდო ეს გულში; ამგვარად, აკიშმა გადასცა ეს თავის ნათესავეებსა და მეგობრებს, აიყოლია რა მიმზიდველი დაპირებებით, ეკეთებიანთ ის, რასაც იგი მოისურვებდა.

18 და იყო ასე, რომ მათ მოაწყეს საიდუმლო შეთქმულება ისე, როგორც ძველად; შეთქმულება, რომელიც ყველაზე ბილწი და ბოროტია ღმერთის თვალში;

19 ვინაიდან უფალი არ მოქმედებს საიდუმლო შეთქმულებებით

და არ სურს, რომ ადამიანმა ღვაროს სისხლი და ადამიანის დასაბამიდანვე კრძალავს ყოველივე ამას.

20 და ახლა მე, მორონი, არ ვწერ, რანაირი იყო მათი ფიცი და შეთქმულებები, ვინაიდან გამენდო, რომ ისინი არის ყველა ხალხში და ლამანიელეებშიც.

21 და მათ გამოიწვიეს ამ ხალხის განადგურება, რომელზეც ახლა ვლაპარაკობ და ასევე ნეფის ხალხის განადგურება.

22 და ერი, რომელიც მხარს დაუჭერს ასეთ საიდუმლო შეთქმულებებს, რათა მიიღოს ძალაუფლება და სარგებელი, ამის მთელ ერში გავრცელებამდეც კი, აჰა, ის განადგურდება; ვინაიდან უფალი არ დაუშვებს, რომ მისი წმინდანთა სისხლი, რომელსაც ისინი დაღვრიან, შურიისგებისთვის მუდმივად შესტიროდეს მიწიდან და მან არ იძიოს მათთვის შური.

23 ამიტომ, წარმართნო, ასეთია ღმერთის სიბრძნე, რომ ეს თქვენ დაგანახოთ, რათა ამის გამო საკუთარი ცოდვები მოინანიოთ და არ დაუშვათ, რომ დაგძლიონ ამ სასიკვდილო შეთქმულებებმა, რომლებიც იმისთვის არის შექმნილი, რომ მიიღონ ძალაუფლება და სარგებელი – და რომ მოგვევლინოთ ეს საქმე, დიახ, საქმე განადგურებისა, დიახ, თავად მარადიული ღმერთის სამართალის მახვილი დაგეცემათ დასაქცევად და

გასანადგურებლად, თუ თქვენ შორის ამგვარ რამეს დაუშვებთ.

24 ამიტომ, უფალი ბრძანებს: როდესაც იხილავთ, რომ ასეთი რამ ხდება თქვენ შორის, უნდა გამოფხიზლდეთ თქვენი საშინელი მდგომარეობიდან ამ საიდუმლო შეთქმულების გამო, რომელიც იქნება თქვენ შორის; თუ არა და ვარაძი მას, მათი სისხლისთვის, რომლებიც მოკლულნი იქნენ; ვინაიდან მტვრიდან შეჰდალადებენ, მასხედ შურისგებისთვის, ასევე მათხედ, რომლებმაც იგი შექმნეს.

25 ვინაიდან ასეა, რომ მისი შემქმნელი ცდილობს დაამხო ყველა მიწის, ერისა და ქვეყნის თავისუფლება; და მოიტანს მთელი ხალხის განადგურებას, ვინაიდან ეშმაკის მიერ არის შექმნილი, რომელიც არის ყოველი სიცრუის მამა; იმავე მატყუარისა, რომელმაც შეაცდინა ჩვენი პირველი მშობლები, დიახ, იმავე მატყუარისა, რომელმაც დასაბამიდანვე ადამიანს მკვლელობისკენ უბიძგა; რომელიც უკვავებდა ადამიანებს გულს, რათა მათ წინასწარმეტყველები დასაბამიდანვე დაეხოცათ, ჩაქოლათ და გაექვევინათ.

26 ამიტომ, მე, მორონის, მიბრძანეს დამეწერა ყოველივე ეს, რათა ბოლო მოედოს ამ სიბოროტეს, რათა მოვიდეს დრო, როდესაც სატანას აღარ ექნება ძალა ადამიანთა შეილების გულებზე და მოწადინებულნი

იყვნენ მუდამ სიკეთის კეთებისათვის, რათა მივიდნენ სამართლიანობის ყოველ წყარომდე და გადარჩნენ.

თავი 9

სამეფო გადაეცემა ერთიდან მეორეს მემკვიდრეობით, ხრიკებითა და მკვლელობებით. ემერმა იხილა ძე სამართლიანობისა. მრავალი წინასწარმეტყველი დალადებს მონანიებას. შიმშილი და შხამიანი გველები ტანჯავენ ადამიანებს.

1 და ახლა, მე, მორონი, ვაგრძელებ ჩემს ჩანაწერებს. ამიტომ, აჰა, იყო ასე: აკიშისა და მისი მეგობრების საიდუმლო შეთქმულებების შედეგად, აჰა, მათ დაამხეს ომერის სამეფო.

2 ამისდა მიუხედავად, უფალი მოწყალე იყო ომერის მიმართ, ასევე მისი ვაჟიშვილებისა და ქალიშვილებისადმი, რომლებიც არ ცდილობდნენ მის განადგურებას.

3 და უფალმა სიზმარში გააფრთხილა ომერი, წასულიყო იმ მიწიდან; ამიტომ, ომერი თავის ოჯახთან ერთად წავიდა იმ მიწიდან და მრავალი დღის განმავლობაში მოგზაურობდა; მივიდა და გვერდზე ჩაუარა გორაკ შიმს და მივიდა იმ ადგილამდე, სადაც ნუფიელები იქნენ განადგურებულნი და იქიდან გაემართა აღმოსავლეთით და მივიდა მიწაზე

ზღვის სანაპიროსთან, რომელსაც ეწოდებოდა აბლომი და იქ გაშალა კარავი, ასევე მისმა ვაჟიშვილებმა და ქალიშვილებმა და მთელმა მისმა ოჯახმა, გარდა იარედისა და მისი ოჯახისა.

4 და იყო ასე: იარედი სიბოროტის ხელით ზეთცხებულ იქნა, დაინიშნა ხალხის მეფედ და მან თავისი ქალიშვილი აკიშს ცოლად მიათხოვა.

5 და იყო ასე, რომ აკიშს სურდა სიცოცხლე მოესწრაფებინა საკუთარი სიმამრისთვის და მან მიმართა მათ, რომლებმაც დაიფიცეს ძველთა ფიცით და მათ მოჰკვეთეს მის სიმამრს თავი, როდესაც იგი საკუთარ ტახტზე იჯდა და თავის ხალხს იღებდა.

6 ვინაიდან, იმდენად დიდად გავრცელდა ეს ბოროტი და საიდუმლო საზოგადოება, რომ გარყვნა მთელი ხალხის გულები; ამიტომ, იარედი მოკლეს საკუთარ ტახტზე და აკიში მმართველობდა მის მაგივრად.

7 და იყო ასე: აკიშს შემურდა საკუთარი შვილის, ამიტომ იგი საპყრობილეში გამოამწყვდია და აშიმშილებდა, სანამ იგი არ გარდაიცვალა.

8 ახლა, მისი ძმა, რომელიც მოკლულ იქნა (და მას სახელად ერქვა ნიმრა) განრისხებული იყო საკუთარ მამაზე იმის გამო, რაც გაუკეთა მამამისმა მის ძმას.

9 და იყო ასე: ნიმრამ შეკრიბა

პატარა რაზმი და მიწიდან გაიქცა და ომერთან მივიდა და დასახლდა.

10 და იყო ასე, რომ აკიშს შეეძინა სხვა შვილები და მათ მოიგეს ხალხის გული, იმისდა მიუხედავად, რომ მას შეჰფიცეს ყოველგვარი ურჯულოების ჩადენა, მისი სურვილისამებრ.

11 ახლა, აკიშის ხალხს სურდა სარგებელი ისე, როგორც აკიშს სურდა ძალაუფლება, ამიტომ აკიშის შვილებმა მათ ფული შესთავაზეს, რისი მეშვეობითაც აიყოლიეს ხალხის დიდი ნაწილი.

12 და იქ დაიწყო ომი აკიშის შვილებსა და აკიშს შორის, რომელიც გრძელდებოდა მრავალი წლის განმავლობაში, დიახ, სამეფოს ხალხის თითქმის ბოლომდე განადგურებამდე, დიახ, გარდა ოცდაათი სულისა და მათი, რომლებიც ომერის სახლთან ერთად გაიქცნენ.

13 ამიტომ, ომერი კვლავ დაბრუნდა თავისი მემკვიდრეობის მიწაზე.

14 და იყო ასე, რომ ომერმა იგრძნო თავისი სიბერე; ამისდა მიუხედავად, მისი ხანდაზმულობის ჟამს, მას შეეძინა ემერი; და მან ემერს მეფედ სცხო ზეთი, რათა იგი ყოფილიყო მმართველი მის მაგივრად.

15 და მას შემდეგ, რაც ემერი მეფედ იქნა ზეთცხებული, მან მშვიდობა იხილა იმ მიწაზე ორი წლის განმავლობაში და შემდეგ გარდაიცვალა, იხილა

რა მრავალი დღე, რომლებიც სავსე იყო მწუხარებით. და იყო ასე, რომ მის მაგივრად ემერი მმართველობდა და თავისი მამის კვალს მისდევდა.

16 და უფალმა კვლავ მოხსნა წყევლა იმ მიწიდან და ემერის სახლი ძალზედ აყვავდა ემერის მმართველობისას; და სამოცდაორი წლის განმავლობაში ისინი ძალზედ გაძლიერდნენ, ისე, რომ ძალზედ გამდიდრდნენ –

17 ჰქონდათ რა ყოველნაირი ხილი და ხორბალი, აბრეშუმი და ძვირფასი ქსოვილები, ოქრო და ვერცხლი და ძვირფასი ნივთები;

18 ასევე ყოველნაირი პირუტყვი, ხარები და ძროხები, ცხვრები, ღორები და თხები და ასევე სხვა მრავალნაირი ცხოველები, რომლებიც ადამიანის საკვებად სასარგებლო იყო.

19 და მათ ასევე ჰყავდათ ცხენები და ვირები და იქ იყვნენ სპილოები, კურელომები და კუმომები; ყველა მათგანი სასარგებლო იყო ადამიანისთვის და ყველაზე მეტად სპილოები, კურელომები და კუმომები.

20 და ამგვარად, ღვრიდა უფალი კურთხევებს ამ მიწაზე, რომელიც იყო ყველა სხვა მიწათა შორის რჩეული; და მან ბრძანა, რომ ყველა, ვინც დაეუფლება ამ მიწას, დაეუფლება მას უფლისთვის, თორემ იქნებიან განადგურებულნი, როდესაც მომწიფდებიან ურჯულოებაში;

ვინაიდან, ასეთებზე ამბობს უფალი: გადმოვღვრი ჩემი რისხვის სისრულეს.

21 და ემერი სამართლიანად აღასრულებდა სამართალს მთელი თავისი დღენი და შეეძინა მრავალი ვაჟიშვილი და ქალიშვილი; და მას ეყოლა კორიანტუმი და მან კორიანტუმს ზეთი სცხო თავის ნაცვლად მმართველობაზე.

22 და მას შემდეგ, რაც კორიანტუმს ზეთი სცხო, რათა იგი ყოფილიყო მმართველი მის მაგივრად, იცოცხლა ოთხი წელი და იხილა მშვიდობა მიწაზე; და სამართლიანობის ძეც იხილა და უხაროდა და აღიდებდა მის დღეს; და მშვიდობაში გარდაიცვალა.

23 და იყო ასე: კორიანტუმი მამამისის კვალს მისდევდა და ააგო მრავალი დიდი ქალაქი და მთელი თავისი დღენი აძლევდა თავის ხალხს იმას, რაც იყო კარგი. და იყო ასე, რომ ღრმა სიბერემდე არ შეეძინა შვილები.

24 და იყო ასე, რომ გარდაიცვალა მისი ცოლი, იყო რა ასორი წლის. და იყო ასე, რომ სიბერეში კორიანტუმმა ცოლად შეირთო ახალგაზრდა ქალიშვილი და შეეძინა ვაჟიშვილები და ქალიშვილები, ამიტომ მან იცოცხლა, სანამ არ გახდა ასორმოცდაორი წლის.

25 და იყო ასე, რომ მას შეეძინა კომი და კომი მმართველობდა მის მაგივრად; და კომი

მმართველობდა ორმოცდაცხრა წელი და მას შეეძინა პეთი; და მას ასევე შეეძინა სხვა შვილები და ქალიშვილები.

26 და ხალხი კვლავ გამრავლდა მთელი მიწის პირზე და იქ კვლავ დაიწყო დიდი სიბოროტე იმ მიწის პირზე და პეთმა დაიწყო ძველებური საიდუმლო გეგმების მომზადება, რათა გაენადგურებინა მამამისი.

27 და იყო ასე, რომ მან ტახტიდან ჩამოაგდო მამამისი, ვინაიდან საკუთარი მახვილით მოკლა; და იგი მმართველობდა მის მაგივრად.

28 და იმ მიწაზე კვლავ მოვიდნენ წინასწარმეტყველები, დაღადებდნენ რა მონანიებას მათთვის, რომ მოემზადებინათ გზა უფლისთვის, თორემ წყევლა მოვიდოდა იმ მიწის პირზე; დიახ, იქნება დიდი შიმშილიც, რომლითაც ისინი განადგურდებიან, თუ არ მოინანიებენ.

29 მაგრამ ხალხს არ სწამდა წინასწარმეტყველთა სიტყვები და აძევებდნენ მათ; და ზოგიერთი მათგანი ორმოცი კი ჩამწყვდიეს და სასიკვდილოდ დატოვეს. და იყო ასე, რომ ყოველივე ამას აკეთებდნენ მეფე პეთის ბრძანებების შესაბამისად.

30 და იყო ასე, რომ იმ მიწაზე დაიწყო დიდი შიმშილობა და იქ მცხოვრებნი შიმშილის გამო ნადგურდებოდნენ ძალზედ სწრაფად, ვინაიდან დედამიწის პირზე წვიმა აღარ მოდიოდა.

31 და მიწის პირზე გაჩნდნენ შხამიანი გველები და დაგესლეს მრავალი ადამიანი. და იყო ასე, რომ მათი ნახირი გაურბოდა შხამიან გველებს სამხრეთ მიწისკენ, რომელსაც ნეფიელები ზარაპემლას უწოდებდნენ.

32 და იყო ასე, რომ მათ შორის იყვნენ მრავალნი, რომლებიც გზაში გარდაიცვალნენ; მიუხედავად ამისა, მათ შორის ზოგიერთნი სამხრეთ მიწაზე გაიქცნენ.

33 და იყო ასე, რომ უფალმა უბრძანა გველებს, რომ აღარ გამოდევნებოდნენ მათ, არამედ გზა გადაელობათ მათთვის ისე, რომ ადამიანებს ვერ გაევიდოთ და ის, რომელიც შეეცდებოდა გავლას, შხამიანი გველისგან რომ დაცემულიყო.

34 და იყო ასე, რომ ადამიანები მისდევდნენ ცხოველთა ნაკვალევს და ხარბად ჭამდნენ დაცემულ ცხოველთა ლეშს, სანამ სულ არ შთანთქეს; და ახლა, როდესაც ადამიანებმა იხილეს, რომ უნდა დაღუპულიყვნენ, დაიწყეს მონანიება თავიანთი ურჯულოებისა და დაღადი უფლისადმი.

35 და იყო ასე, რომ როდესაც უფლის წინაშე საკმარისად დაიმდაბლეს თავი, უფალმა წვიმა მოავლინა მიწის პირზე; და ხალხმა კვლავ დაიწყო აღორძინება. და ხილი მოისხა ჩრდილოეთ ქვეყნებსა და გარშემო ყველა ქვეყნებში. და უფალმა

დაანახა მათ საკუთარი ძალა, იხსნა რა ისინი შიმშილისგან.

თავი 10

ერთი მეფე ცვლის მეორეს. ზოგი მეფე სამართლიანია; ზოგი - ბოროტი. როდესაც სამართლიანობა ბატონობს, უფალი აკურთხებს ადამიანებს და არიან ისინი აყვავებულნი.

1 და იყო ასე, რომ შეზი, რომელიც იყო ჰეთის შთამომავალი - ჰეთი შიმშილისგან გარდაიცვალა და ასევე მისი ყველა შინაური, შეზის გარდა, ამიტომ შეზმა დაიწყო დაბეჩავებული ხალხის აღორძინება.

2 და იყო ასე, რომ შეზს ახსოვდა თავისი მამების განადგურება და ააგო სამართლიანი სამეფო; ვინაიდან ახსოვდა, რა გააკეთა უფალმა, გადაიყვანა რა იარედი და მისი ძმა ზღვაზე და იგი დადიოდა უფლის გზით; და შეეძინა ვაჟიშვილები და ქალიშვილები.

3 და მისი უფროსი ძე, რომელსაც ერქვა შეზი, მას აუჯანყდა; ამისდა მიუხედავად, შეზი მოკლულ იქნა მძარცველის ხელით, მისი დიდძალი სიმდიდრის გამო, რამაც კვლავ მშვიდობა მოუტანა მამამისს.

4 და იყო ასე: მამამისმა ააგო მრავალი ქალაქი მიწის პირზე და ხალხმა კვლავ იწყო გამრავლება მთელი მიწის პირზე. და შეზმა იცოცხლა

ღრმა სიბერემდე; და მას შეეძინა რიფლაკიში; და თავად გარდაიცვალა; და რიფლაკიში მმართველობდა მის ნაცვლად.

5 და იყო ასე, რომ რიფლაკიში არ აკეთებდა იმას, რაც უფლის თვალში იყო სწორი, ვინაიდან ჰყავდა მრავალი ცოლი და ხარჭა და ხალხს მხრებზე დააწვა ის, რაც მძიმე გასაძლები იყო; დიახ, დაუწესა მძიმე გადასახადები; და გადასახადებით მან ააგო მრავალი ფართო შენობა.

6 და ააგო თავისთვის ძალზედ ღამაზი ტახტი; და მან ააგო მრავალი საპყრობილე; და ვინც უარს ამბობდა გადასახადებზე, იგი მას საპყრობილეში აგდებდა; და ვინც ვერ იხდიდა გადასახადებს, მასაც ასევე საპყრობილეში აგდებდა; და ბრძანა, რომ მათ განუწყვეტლივ უნდა ემრომათ, რათა შეენახათ საკუთარი თავი; და ვინც უარს ამბობდა მუშაობაზე, იგი მას სიკვდილით სჯიდა.

7 ამგვარად, მან მიიღო თავისი ყველა ძვირფასი ნივთი, დიახ, ბრძანა, რომ თავისი ბაჯადლო ოქროც კი, საპყრობილეში გაეწმინდათ; და ბრძანა, რომ ყველანაირი ძვირფასი ნაკეთობა საპყრობილეში გაეკეთებინათ. და იყო ასე, რომ მან დატანჯა ხალხი თავისი მრუშობითა და სისაძაგლით.

8 და როდესაც გავიდა მისი მმართველობის ორმოცდაორი წელი, ხალხი აჯანყდა

მის წინააღმდეგ; და იმ მიწაზე კვლავ დაიწყო ომი, ასე რომ, რიფლაკიში მოკლეს და მისი შთამომავლები მიწიდან გააძევეს.

9 და იყო ასე, რომ მრავალი წლის შემდეგ მორიანტონმა (იყო რა რიფლაკიშის შთამომავალი) ერთად შეკრიბა ჯარი გაძევებულთაგან, მივიდა და ხალხს შეებრძოლა; და მრავალ ქალაქზე მოიპოვა ძალაუფლება; და ომი გახდა მეტისმეტად სასტიკი და გრძელდებოდა მრავალი წლის განმავლობაში და მან მთელ მიწაზე მოიპოვა ძალაუფლება და საკუთარი თავი დაამტკიცა მეფედ მთელ მიწაზე.

10 და მას შემდეგ, რაც საკუთარი თავი მეფედ დაამტკიცა, მან ხალხს ტვირთი შეუმსუბუქა, რითაც ხალხის თვალში კეთილგანწყობა მოიპოვა და მათ საკუთარ მეფედ ზეთი სცხეს მას.

11 და იგი სამართლიანად ეპყრობოდა ხალხს, მაგრამ არა საკუთარ თავს, თავისი მრავალი მრუშობის გამო; ასე რომ, იგი მოკვეთილ იქნა უფლის გარემოცვიდან.

12 და იყო ასე, რომ მორიანტონმა ააგო მრავალი ქალაქი და ხალხი ძალზედ გამდიდრდა მისი მმართველობის ქვეშ, სახლებითა და ოქრო-ვერცხლით, ხორბლით, წვრილფეხა და მსხვილფეხა პირუტყვით და იმით, რაც მათ უკან დაუბრუნეს.

13 და მორიანტონმა იცოცხლა ღრმა სიბერემდე და შემდეგ

შეეძინა კიმი; და კიმი მმართველობდა საკუთარი მამის მაგივრად; და იგი მმართველობდა რვა წლის განმავლობაში და მამამისი მოკვდა. და იყო ასე, რომ კიმი არ მმართველობდა სამართლიანად, ამიტომ, იგი არ იყო უფლის მიერ მადლით მოსილი.

14 და მისი ძმა აჯანყდა მის წინააღმდეგ და ამრიგად იგი დაატყვევა; და იგი იმყოფებოდა ტყვეობაში მთელი თავისი დღენი; და ტყვეობისას მას შეეძინა ვაჟიშვილები და ქალიშვილები და ღრმა სიბერის უამს მას შეეძინა ლევი; და იგი მოკვდა.

15 და იყო ასე, რომ ლევი, მამამისის გარდაცვალების შემდეგ, მსახურობდა ტყვეობაში ორმოცდაორი წლის განმავლობაში. და გაუძღვა ომს მიწის მეფის წინააღმდეგ, რომლის მეშვეობითაც მეფობა მოიპოვა.

16 და მას შემდეგ, რაც მეფობა მოიპოვა, იგი აკეთებდა იმას, რაც უფლის თვალში იყო სამართლიანი; და ხალხი იმ მიწაზე აყვავდა; და მან იცოცხლა ღრმა სიბერემდე და შეეძინა ვაჟიშვილები და ქალიშვილები; ასევე შეეძინა კორომი, რომელსაც მან თავის ნაცვლად მეფედ ზეთი სცხო.

17 და იყო ასე, რომ კორომი მთელი თავისი დღენი აკეთებდა იმას, რაც კარგი იყო უფლის თვალში; და მას შეეძინა მრავალი ვაჟიშვილი და

ქალიშვილი; და იხილა რა მრავალი დღე, იგი გარდაიცვალა, ისე როგორც სხვები დედამიწაზე; და კიში მმართველობდა მის მაგივრად.

18 და იყო ასე, რომ ასევე კიშიც გარდაიცვალა და მის მაგივრად მმართველობდა ლიბი.

19 და იყო ასე, ლიბიც ასევე აკეთებდა იმას, რაც უფლის თვალში იყო კარგი. და ლიბის დღეებისას განადგურდა შხამიანი გველები. ამიტომ, ისინი წავიდნენ სამხრეთ მიწისკენ, რათა მოენადირებინათ საკვები მიწის ხალხისთვის, ვინაიდან ის მიწა სავსე იყო ტყის ცხოველებით; და თავად ლიბიც დიდი მონადირე გახდა.

20 და მათ ააგეს დიდი ქალაქი მიწის ვიწრო ყელთან, ადგილთან, სადაც ზღვა ჰყოფს მიწას.

21 და მათ უდაბნოდ დატოვეს სამხრეთი მიწა, გარეული ცხოველების მოსანადირებლად. და ჩრდილოეთ მიწის მთელი ზედაპირი დაფარული იყო დასახლებებით.

22 და ისინი იყვნენ ძალზედ შრომისმოყვარენი და ყიდულობდნენ და ყიდდნენ და ვაჭრობდნენ ერთმანეთში, რათა მიედოთ სარგებელი.

23 და ამუშავებდნენ ყველანაირ მადანს, აკეთებდნენ ოქროს, ვერცხლს, რკინასა და სპილენძს და ყოველნაირ ლითონს; და ისინი იღებდნენ მას მიწიდან; ამიტომ, ყრიდნენ მიწის

დიდძალ გროვებს, რათა მოეპოვებინათ ოქროს, ვერცხლის, რკინისა და თითბრის მადანი და ასევე ამზადებდნენ ყველანაირ ლამაზ ნაკეთობას.

24 და მათ ჰქონდათ აბრეშუმი და გრეხილი ბისონი; და აკეთებდნენ ყველანაირ სამოსს, რათა შემოსილიყვნენ თავიანთი სიშიშვლის დასაფარად.

25 და ამზადებდნენ მიწის დასამუშავებლად ყველანაირ იარაღს, რათა მოეხნათ, დაეთესათ, მოემკათ და გაეთოხნათ და ასევე გაელეწათ.

26 და ამზადებდნენ ყველანაირ იარაღს, რომლითაც საკუთარ ცხოველებს ამუშავებდნენ.

27 და ისინი ამზადებდნენ ყველანაირ საომარ იარაღს. და აკეთებდნენ ყველანაირ ნატიფ ნაკეთობას.

28 და ვერასოდეს ვერ იქნებოდა უფლის ხელით ამაზე უფრო კურთხეული და აყვავებული ხალხი. და იყვნენ მიწაზე, რომელიც იყო ყველა სხვა მიწათა შორის რჩეული, ვინაიდან ეს თქვა უფალმა.

29 და იყო ასე, რომ ლიბმა იცოცხლა მრავალი წელი და შეეძინა ვაჟიშვილები და ქალიშვილები და ასევე შეეძინა ჰეართომი.

30 და იყო ასე, რომ ჰეართომი მმართველობდა მამამისის მაგივრად. და როდესაც ჰეართომი მმართველობდა ოცდაოთხი წელი, აჰა, მას სამეფო წაართვეს. და

მან მრავალი წელი ტყვეობაში იმსახურა, დიახ, მთელი თავისი დარჩენილი დღენი.

31 და მას შეეძინა ჰეთი და ჰეთი ცხოვრობდა ტყვეობაში მთელი თავისი დღენი. და ჰეთს შეეძინა აარონი და აარონი ცხოვრობდა ტყვეობაში მთელი თავისი დღენი; და მას შეეძინა ამნიგადა და ამნიგადაც ასევე ცხოვრობდა ტყვეობაში მთელი თავისი დღენი; და მას შეეძინა კორიანტუმი; და კორიანტუმი ცხოვრობდა ტყვეობაში მთელი თავისი დღენი; და მას შეეძინა კომი.

32 და იყო ასე: კომმა აიყოლია ნახევარი სამეფო. და იგი მმართველობდა სამეფოს ნახევარზე ორმოცდაორი წელი; და იგი წავიდა მეფე ამგიდის წინააღმდეგ საბრძოლველად; და მათ იბრძოლეს მრავალი წლის განმავლობაში, რომლის დროსაც კომმა სძლია ამგიდს და მიიღო ძალაუფლება დანარჩენ სამეფოზე.

33 და კომის დღეებისას იქ გამოჩნდნენ მძარცველები მიწაზე; და მათ გადმოიღეს ძველი გემები და ფიცს დადებდნენ ძველთა ადათ-წესით; და კვლავ ცდილობდნენ სამეფოს განადგურებას.

34 ახლა, კომი ბევრს იბრძოდა მათ წინააღმდეგ; ამისდა მიუხედავად, მან ისინი ვერ დასძლია.

თავი 11

ომები, უთანხმოებები და სიბოროტე სუფევს იარედიელთა

ცხოვრებაში. წინასწარმეტყველები წინასწარმეტყველებენ იარედიელთა მთლიან განადგურებას, თუ ისინი არ მოინანიებენ. ხალხი უარყოფს წინასწარმეტყველთა სიტყვებს.

1 და კომის დღეების უამს მოვიდა მრავალი წინასწარმეტყველი და ამ დიადი ხალხის განადგურება იწინასწარმეტყველა, თუ არ მოინანიებდნენ და არ მიუბრუნდებოდნენ უფალს და არ დათმობდნენ თავიანთ მკვლელობებსა და სიბოროტეს.

2 და იყო ასე, რომ ხალხმა უარყო წინასწარმეტყველები და ისინი კომთან გაიქცნენ მფარველობისთვის, ვინაიდან ხალხს სურდა მათი განადგურება.

3 და მათ უწინასწარმეტყველეს კომს მრავალი რამ; და იგი კურთხეული იყო მთელი თავისი დარჩენილი დღენი.

4 და მან იცოცხლა ღრმა სიბერემდე და შეეძინა შიბლომი; და შიბლომი მმართველობდა მის მაგივრად. და შიბლომის ძმა აჯანყდა მის წინააღმდეგ და მთელ მიწაზე დაიწყო ძალზედ დიდი ომი.

5 და იყო ასე: შიბლომის ძმამ ბრძანა, რომ ყველა წინასწარმეტყველი, რომელიც ხალხის განადგურებაზე წინასწარმეტყველებდა, სიკვდილით უნდა დასჯილიყო;

6 და მთელ მიწაზე იყო დიდი უბედურება, ვინაიდან ისინი

მოწმობდნენ დიდი წყევლის მოსვლაზე მიწასა და ასევე ხალხზე; და რომ მათ შორის იქნებოდა დიდი განადგურება, როგორც აქამდე დედამიწის პირზე არ ყოფილა; და მათი ძვლები მიწაყრილის გროვებად გადაიქცეოდა მიწის პირზე, თუ არ მოინანიებდნენ საკუთარ სიბოროტეს.

7 და ისინი ყურს არ უგდებდნენ უფლის ხმას, თავიანთი ბოროტი შეთქმულებების გამო, ამიტომ, მთელ მიწაზე დაიწყო ომები და განხეთქილებები, ასევე დიდი შიმშილი და ჭირი, ისეთი, რომ მოიტანა დიდი განადგურება, როგორც დედამიწის პირზე ჯერ არ ენახათ; და ეს ყველაფერი იყო შიბლომის დღეების უამს.

8 და ხალხმა დაიწყო თავიანთი ურჯულოების მონანიება; და რამდენადაც ამას აკეთებდნენ, იმდენად უფალმა მათზე წყალობა გამოიჩინა.

9 და იყო ასე, რომ შიბლომი მოკლეს და სეთი დაატყვევეს და მან მთელი თავისი დღენი ტყვეობაში გაატარა.

10 და იყო ასე, რომ მისმა შვილმა, აჰაჰმა, მიიღო სამეფო; და იგი მმართველობდა ხალხზე მთელი თავისი დღეები. და ყოველგვარ ურჯულოებას სწადიოდა თავის დღეებისას, რამაც მოიტანა მრავალი სისხლისღვრა; და მისი დღეები იყო მცირე.

11 და ეთემმა, იყო რა აჰაჰის შთამომავალი, მიიღო სამეფო; და იგი, თავის დღეებში, აკეთებდა იმას, რაც იყო ბოროტი.

12 და იყო ასე, რომ ეთემის დღეებისას მოვიდა მრავალი წინასწარმეტყველი და კვლავ უწინასწარმეტყველებდა ხალხს; დიახ, ისინი წინასწარმეტყველებდნენ, რომ უფალი მათ მთლიანად განადგურებდა დედამიწის პირზე, თუ არ მოინანიებდნენ თავიანთ ურჯულოებას.

13 და იყო ასე, რომ ადამიანებმა გაიქვავეს გული და არ სურდათ მათთვის ყურის დაგდება; და წინასწარმეტყველები დამწუხრდნენ და ხალხს გაერიდნენ.

14 და იყო ასე, რომ ეთემი, მთელი თავისი დღენი, სამართალს ადასრულებდა სიბოროტით; და მას შეეძინა მორონი. და იყო ასე, რომ მორონი მმართველობდა მის მაგივრად; და მორონი აკეთებდა იმას, რაც ბოროტი იყო უფლის წინაშე.

15 და იყო ასე, რომ ხალხში დაიწყო ჯანყი, საიდუმლო შეთქმულების გამო, რომელიც შეიქმნა ძალაუფლებისა და სარგებლის მოსაპოვებლად; და მათ შორის გამოჩნდა ურჯულოებით ძლევამოსილი კაცი და შეებრძოლა მორონს, რომლითაც დაამხო ნახევარი სამეფო; და მრავალი წლის განმავლობაში დაპყრობილი ჰქონდა სამეფოს ნახევარი.

16 და იყო ასე, რომ მორონმა იგი დაამხო და კვლავ მიიღო სამეფო.

17 და იყო ასე, რომ გამონხდა კიდევ ერთი ძლევაძმოსილი კაცი და იგი იყო იარედის ძმის შთამომავალი.

18 და იყო ასე, რომ მან დაამხო მორონი და მიიღო სამეფო; ამიტომ, მორონი მთელი თავისი დარჩენილი დღენი ტყვეობაში იმყოფებოდა; და მას შეეძინა კორიანტორი.

19 და იყო ასე, რომ კორიანტორი მთელი თავისი დღენი იმყოფებოდა ტყვეობაში.

20 და კორიანტორის დღეების უამს იქ მოვიდა მრავალი წინასწარმეტყველი და იწინასწარმეტყველა დიდი და საოცარი რამ და ილაღადეს ხალხისთვის მონანიება, რომ, თუ არ მოინანიებდნენ, უფალი ღმერთი მათ წინააღმდეგ აღასრულებდა სამართალს, მათი სრული განადგურებით.

21 და უფალი ღმერთი, თავისი ძალით, გამოაგზავნიდა ან მოავლენდა სხვა ხალხს ამ მიწის დასაუფლებლად ისე, როგორც მან მოიყვანა მათი მამები.

22 და მათ უარყვეს წინასწარმეტყველთა ყველა სიტყვა, თავიანთი საიდუმლო საზოგადოებისა და ბოროტი სისაძაგლის გამო.

23 და იყო ასე, რომ კორიანტორს შეეძინა ევერი და გარდაიცვალა, იცხოვრა რა მთელი თავისი დღენი ტყვეობაში.

თავი 12

წინასწარმეტყველი ევერი მოუწოდებს ხალხს, იწამონ ღმერთი. მორონი იხსენებს რწმენით მოკლენილ საოცრებებსა და სასწაულებს. რწმენის მეშვეობით იარედის ძმამ იხილა ქრისტე. უფალი არგუნებს ადამიანს სისუსტეებს, რათა იგი იყოს თავმდაბალი. იარედის ძმამ რწმენის ძალით დაძრა ზერინის მთა. ხსნისთვის აუცილებელია რწმენა, იმედი და გულმომწყალება. მორონიმ პირისპირ იხილა იესო.

1 და იყო ასე, რომ ევერის დღეები გადიოდა კორიანტუმრის დღეების უამს; და კორიანტუმრი იყო მთელი იმ მიწის მეფე.

2 და ევერი იყო უფლის წინასწარმეტყველი; ამიტომ, ევერი მოვიდა კორიანტუმრის დღეებისას და დაიწყო ხალხისთვის წინასწარმეტყველება, რამეთუ ვერ შეაკავებდნენ მას უფლის სულის გამო, რომელიც იყო მასში.

3 ვინაიდან იგი ღაღადებდა დილიდან მზის ჩასვლამდე, მოუწოდებდა ხალხს, ეწამათ ღმერთი მოსანანიებლად, რომ არ ყოფილიყვნენ განადგურებულნი, ეუბნებოდა რა მათ, რომ რწმენით შესაძლებელია ყველაფრის შესრულება -

4 ამიტომ, ვინც ღმერთს იწამებს, შეუძლია ჭეშმარიტად ჰქონდეს იმედი უკეთესი ქვეყნისა, დიახ,

ღმერთის მარჯვენა ხელის მხარეს, და ეს რწმენიდან წამოსული იმედი იქცევა ადამიანთა სულების ღუზად, რომელიც გააძლიერებს და განამტკიცებს მათ, ყოველთვის აღსავსე კეთილი საქმეებით, რომლებიც გაუძღვებათ წინ ღმერთის სადიდებლად.

5 და იყო ასე, რომ ეფერმა ხალხს უწინასწარმეტყველა დიდი და საოცარი რამ, რაც მათ არ იწამეს, ვინაიდან ვერ ხედავდნენ მას.

6 ახლა, მე, მორონიმ, მინდა გითხრათ ცოტაოდენი ყოველივე ამის შესახებ; მსურს დავანახო ქვეყანას, რომ რწმენა არის ის, რისი იმედიც აქვთ და არის უხილავი; ამიტომ, ნუ იკამათებთ იმის გამო, რასაც ვერ ხედავთ, ვინაიდან ვერ მიიღებთ ვერანაირ დამოწმებას, სანამ არ გამოიცდება თქვენი რწმენა.

7 ვინაიდან რწმენის გამო გამოეცხადა ქრისტე ჩვენს მამებს, მას შემდეგ, რაც იგი მკვდრეთით აღდგა; და არ ეცხადებოდა მათ, სანამ არ იწამეს იგი; ამიტომ, აუცილებელია, რომ ზოგიერთს რწმენა ჰქონდეს, ვინაიდან იგი არ გამოეცხადა ქვეყანას.

8 მაგრამ ადამიანების რწმენის წყალობით იგი გამოეცხადა ქვეყანას და განადიდა მამის სახელი და მოამზადა გზა, რომ სხვებმაც შეძლონ ზეციური ძღვენის მიღება, რათა ჰქონდეთ იმედი იმისა, რაც არ უნახავთ.

9 ამიტომ, თქვენც ასევე შეგიძლიათ გქონდეთ იმედი და იყოთ ძღვენის მიმღებნი, ოღონდაც გქონდეთ რწმენა.

10 აჰა, ძველად ადამიანები მოწოდებულნი იყვნენ რწმენის მეშვეობით, ღმერთის წმინდა წესის შესაბამისად.

11 ამიტომ, რწმენის მეშვეობით იქნა მოცემული მოსეს რჯული. მაგრამ თავისი ძის ძღვენის მეშვეობით ღმერთმა მოამზადა უკეთესი გზა; და ის აღსრულდა რწმენით.

12 ვინაიდან, რომ არ ყოფილიყო რწმენა ადამიანთა შვილებს შორის, ღმერთი ვერ მოახდენდა ვერცერთ სასწაულს მათში; ამიტომ, იგი არ გამოეცხადა მათ, სანამ არ იწამეს იგი.

13 აჰა, ეს იყო აღმასა და ამუღეკის რწმენა, რამაც გამოიწვია საპყრობილის მიწაზე დაცემა.

14 აჰა, ეს იყო ნეფისა და ლეხის რწმენა, რის გამოც ცვლილება მოხდა ლამანიელეებში, ისეთი, რომ მონათლნენ ცეცხლითა და სულიწმინდით.

15 აჰა, ეს იყო ამონისა და მისი ძმების რწმენა, რომელმაც მოახდინა ასეთი დიდი სასწაული ლამანიელთა შორის.

16 დიახ, და ყველამ, ვინც სასწაულები მოახდინა – რწმენის მეშვეობით მოახდინა ისინი, მათაც, რომლებიც იყვნენ ქრისტემდე და ასევე რომლებიც იყვნენ შემდეგ.

17 და ეს რწმენის გამო სამმა

მოწაფემ მიიღო დაპირება, რომ ისინი არ იგემებენ სიკვდილს; და ვერ მიიღეს ეს დაპირება, სანამ არ იწამეს.

18 და არავის მოუხდენია სასწაული, სანამ არ იწამეს, ამიტომ მათ ჯერ იწამეს ძე ღვთისა.

19 და იყვნენ მრავალნი, რომელთა რწმენა იყო იმდენად ძლიერი ქრისტეს მოსვლამდეც, რომ შეუძლებელი იყო საბურველს მიღმა მათი შეკავება და ჭეშმარიტად იხილეს საკუთარი თვალით ის, რაც იხილეს რწმენის თვალით და გაიხარეს.

20 და აჰა, ამ ჩანაწერში ჩვენ ვიხილეთ, რომ ერთ-ერთი მათგანი იყო იარედის ძმა; ვინაიდან იმდენად დიდი იყო მისი ღმერთში რწმენა, რომ როდესაც ღმერთმა თითი გაიწოდა, მან ვერ შეძლო მისი დაფარვა იარედის ძმის თვალთახედვიდან, თავისი სიტყვის გამო, რომელიც უთხრა და რომელიც მან მიიღო რწმენით.

21 და მას შემდეგ, რაც იარედის ძმამ იხილა უფლის თითი იმ დაპირების შესაბამისად, რომელიც იარედის ძმამ მიიღო რწმენით, უფალს აღარ შეეძლო მის თვალთაგან რაიმეს დაფარვა; ამიტომ, დაანახა მას ყველაფერი, ვინაიდან ვეღარ შეაკავებდა საბურველს მიღმა.

22 და რწმენის გამო მიიღეს ჩემმა მამებმა დაპირება, რომ ყოველივე ეს მივიდოდა მათ ძმებთან წარმართთა მეშვეობით;

ამიტომაც მიბრძანა უფალმა, დიახ, თავად იესო ქრისტემ.

23 და მას ვუთხარი: უფალო, წარმართები დასცინებენ ამას ჩვენი დამწერლობის სისუსტის გამო; ვინაიდან, უფალო, შენ შეგვქმენი ძლიერი რწმენით მეტყველებაში, მაგრამ არა დამწერლობაში, ვინაიდან შეგვქმენი ისეთი, რომ მთელ ხალხს შეეძლო მრავლის თქმა სულიწმინდით, რომელიც შენ მას უბოძე;

24 და შეგვქმენი ისე, რომ შეგვიძლია დაგწეროთ მხოლოდ მცირედი ჩვენი ხელის მოუქნელობის გამო. აჰა, არ შეგვქმენი ძლიერი წერაში იარედის ძმის მსგავსად, ვინაიდან უბოძე მას ის, რომ მისი ჩანაწერები ყოფილიყო ძლევა მოსილი, ისეთი, როგორიც ხარ შენ და აიძულონ ადამიანები, წაიკითხონ ისინი.

25 შენ ასევე გახადე ჩვენი სიტყვები ძლევა მოსილი და დიადი ისე, რომ არ შეგვიძლია მათი დაწერა; ამიტომ, როდესაც ვწერთ, ჩვენ ვხედავთ ჩვენს სისუსტეს და ვბორძიკობთ ჩვენი სიტყვების დალაგებისას; და ვშიშობ, წარმართებმა არ დასცინონ ჩვენს სიტყვებს.

26 და როდესაც ეს ვთქვი, უფალმა მომმართა სიტყვებით: უგუნური დასცინიან, მაგრამ ისინი იგლოვებენ; და ჩემი მადლი საკმარისია თვინიერთათვის, რათა ვერ ისარგებლონ თქვენი სისუსტით;

27 და თუ ადამიანები ჩემთან

მოვლენ, მე მათ დავანახებ თავიანთ სისუსტეს. მე ვუბოძებ ადამიანს სისუსტეს, რათა იყოს თავმდაბალი; და ჩემი მადლი საკმარისია ყველა ადამიანისთვის, რომელიც ჩემ წინაშე თავს დაიმდაბლებს; ვინაიდან თუ ჩემ წინაშე თავს დაიმდაბლებენ და ექნებათ ჩემში რწმენა, მაშინ სისუსტეს მათთვის სიძლიერედ ვაქცევ.

28 აჰა, მე დავანახებ წარმართებს თავიანთ სისუსტეს და დავანახებ, რომ რწმენას, იმედს და გულმომწყალებას მოჰყავს ჩემთან – ყოველი სამართლიანობის წყაროსთან.

29 და მე, მორონი, მოვისმინე რა ეს სიტყვები, დავმშვიდდი და ვთქვი: უფალო, აღსრულდეს შენი სამართალი, ვინაიდან ვიცი, რომ შენ მიაგებ ადამიანთა შვილებს თავიანთი რწმენისამებრ;

30 ვინაიდან იარედის ძმამ უთხრა მთა ზერინს: დაიძარი, – და იგი დაიძრა. და რომ არ ჰქონოდა რწმენა, იგი არ დაიძვრებოდა; ამიტომ, შენ მოქმედებ მას შემდეგ, რაც ადამიანი იწამებს.

31 ვინაიდან, ამგვარად გამოეცხადე საკუთარ მოწაფეებს; რადგან მას შემდეგ, რაც მათ გამოიჩინეს რწმენა და ლაპარაკობდნენ შენი სახელით, მათ გამოეცხადე შენ, დიადი ძალით.

32 და ასევე მახსოვს, თქვი, რომ ადამიანისთვის მოამზადე

საცხოვრებელი, დიახ, შენი მამის სავანეთა შორის, რის გამოც ადამიანს შეიძლება ჰქონდეს უფრო დიდი იმედი; ამიტომ, ადამიანს უნდა ჰქონდეს იმედი, თორემ ვერ მიიღებს შემკვიდრებას იმ ადგილში, რომელიც შენ მისთვის მოამზადე.

33 და კიდევ მახსოვს, შენ თქვი, რომ შეგიყვარდა ქვეყანა ისე, რომ სიცოცხლე შესწირე ამა ქვეყნისთვის, რათა კვლავ დაიბრუნო იგი ადამიანთა შვილებისთვის ადგილის მოსამზადებლად.

34 და ახლა ვიცი: სიყვარული, რომელსაც განიცდი ადამიანთა შვილების მიმართ, არის გულმომწყალება; ამიტომ, თუ ადამიანებს არ ექნებათ მოწყალება, ისინი ვერ დაიმკვიდრებენ იმ ადგილს, რომელიც მოამზადე შენი მამის სავანეებში.

35 ამიტომ, შენი ნათქვამიდან ვიცი, რომ, თუ წარმართებს არ ექნებათ გულმომწყალება ჩვენი სისუსტისადმი, შენ მათ გამოცდი და წაართმევ ტალანტს, დიახ, ტალანტს, რომელიც მიიღეს და უბოძებ მათ, ვისაც უფრო უხვად ექნება.

36 და იყო ასე, რომ უფლისადმი ვილოცე, რათა წარმართებს უბოძოს მადლი, ჰქონოდათ გულმომწყალება.

37 და იყო ასე, რომ უფალმა მითხრა: თუ მათ არ აქვთ გულმომწყალება, ეს შენ არ გეხება, შენ ერთგული იყავი; ამიტომ,

სამოსელი შენი განიწმინდება. და ვინაიდან საკუთარი სისუსტე იხილე, შენ განმტკიცდები იმდენად, რომ მამაჩემის სავანეში, ჩემ მიერ მომზადებულ ადგილზე დაჯდები.

38 და ახლა, მე, მორონი, ვემშვიდობები წარმართებს, დიახ, ასევე ჩემს ძმებს, რომლებიც მიყვარს, ქრისტეს სამსჯავროს წინაშე შეხვედრამდე, სადაც ყველა ადამიანი გაიგებს, რომ ჩემი სამოსელი არ არის გასვრილი თქვენი სისხლით.

39 და მაშინ გაიგებთ, რომ ვნახე იესო, რომ იგი მელაპარაკა პირისპირ და ყოველივე ამის შესახებ მელაპარაკებოდა აშკარა თავმდაბლობით, როგორც ერთი ადამიანი ელაპარაკება მეორეს, ჩემს მშობლიურ ენაზე;

40 და ჩავიწერე მხოლოდ მცირედენი, წერაში ჩემი სისუსტის გამო.

41 და ახლა მსურს, მოგიწოდოთ, ეძიოთ ის იესო, რომელზეც წერდნენ წინასწარმეტყველები და მოციქულები, რათა მადლი მამა ღმერთისა, ასევე უფალი იესო ქრისტესი და სულიწმინდის, რომელიც მათზე მოწმობს, მარად იყოს თქვენში. ამინ.

თავი 13

ეფერი ღაპარაკობს ახალ იერუსალიმზე, რომელიც უნდა ააშენონ ამერიკაში იოსების შთამომავლებმა. იგი

წინასწარმეტყველებს, მას აძევენ, იგი წერს იარედიელთა ისტორიას და წინასწარმეტყველებს მათ განადგურებას. მთელ მიწაზე ომი მძვინვარებს.

1 და ახლა მე, მორონი, ვასრულებ ჩემს ჩანაწერებს, იმ ხალხის განადგურების შესახებ, რომელზეც ვწერდი.

2 ვინაიდან აპა, მათ უარყვეს ეფერის ყველა სიტყვა; ვინაიდან მან ჭეშმარიტად უთხრა მათ ყოველივე ამის შესახებ, ადამიანის დასაბამიდან; და მას შემდეგ, რაც წყლებმა ამ მიწის პირიდან უკან დაიხია, იგი რჩეულ მიწად იქცა ყველა სხვა მიწათა შორის, უფლის მიერ რჩეულ მიწად; ამიტომ, უფალს სურს, რომ მას ემსახუროს ყოველი ადამიანი, რომელიც ამ მიწის პირზე იმყოფება;

3 და რომ ეს იყოს ადგილი ახალი იერუსალიმისა, რომელიც გადმოვა ზეციდან და წმინდა სამლოცველო უფლისა.

4 აპა, ეფერმა იხილა ქრისტეს დღეები და მან ილაპარაკა ამ მიწაზე ახალი იერუსალიმის შესახებ.

5 და მან ასევე ილაპარაკა ისრაელის სახლის და იერუსალიმის შესახებ, საიდანაც მოვა ლეხი, რომ მას შემდეგ, რაც იგი განადგურდება, იგი კვლავ აშენდება – უფლის წმინდა ქალაქი; ამიტომ, ვერ გახდებოდა ახალი იერუსალიმი, ვინაიდან

იგი არსებობდა ძველად, მაგრამ იგი თავიდან აშენდება და იქცევა უფლის წმინდა ქალაქად; და იგი აშენდება ისრაელის სახლისთვის -

ნ და ახალი იერუსალიმი უნდა აშენდეს ამ მიწაზე, არსებული ნიმუშის მიხედვით, იოსების შთამომავლების ნარჩენისთვის.

7 ვინაიდან, როგორც იოსებმა მოიყვანა თავისი მამა ეგვიპტეს მიწაზე, ისე გარდაიცვალა იგი იქ; ასე რომ, უფალმა იოსების შთამომავლების ნარჩენი გამოიყვანა იერუსალიმის მიწიდან, რათა ყოფილიყო მოწყალე იოსების შთამომავლებზე, რათა იგი არ დადუპულიყო ისევე, როგორც იგი მოწყალე იყო იოსების მამისადმი, რათა იგი არ დადუპულიყო.

8 ამიტომ, იოსების სახლის ნარჩენი აღშენდება ამ მიწაზე და ეს იქნება მათი მემკვიდრეობის მიწა; და ისინი ააგებენ უფლისთვის წმინდა ქალაქს, ძველი იერუსალიმის მაგვარს; და მათ ვეღარ შემუსრავენ, სანამ არ მოვა დასასრული, როდესაც დედამიწა გადავა.

9 და იქნება იქ ახალი ზეცა და ახალი დედამიწა; და ისინი იქნებიან ძველის მაგვარი, მხოლოდ ძველი იქნება გარდაცვლილი და ყველაფერი იქნება ახალი.

10 და მაშინ მოვა ახალი იერუსალიმი; და კურთხეულნი არიან იქ მცხოვრებნი, ვინაიდან არიან ისინი, რომელთა სამოსი

გათეთრდა კრავის სისხლით; და ისინი არიან, რომლებიც ითვლებიან იოსების შთამომავალთა ნარჩენს შორის, რომლებიც ისრაელის სახლს მიეკუთვნებოდნენ.

11 და შემდეგ, ასევე მოდის ძველი იერუსალიმი; და კურთხეულნი არიან მისი მცხოვრებნი, ვინაიდან კრავის სისხლით არიან განწმენდილნი; და ისინი არიან, რომლებიც იყვნენ გაფანტულნი და დედამიწის ოთხივე კიდიდან და ჩრდილოეთ ქვეყნებიდან შეკრებილნი; და არიან მონაწილენი აღთქმის შესრულებისა, რომელიც ღმერთმა დადო მათ მამასთან, აბრაამთან.

12 და როდესაც ყოველივე ეს მოხდება, აღსრულდება წმინდა წერილი, რომელიც ამბობს, რომ არიან ისინი, რომლებიც იყვნენ პირველნი, რომლებიც იქნებიან ბოლონი; და არიან ისინი, რომლებიც იყვნენ ბოლონი, რომელნიც გახდებიან პირველნი.

13 და ვაპირებდი მეტის დაწერას, მაგრამ ამეკრძალა; ხოლო დიადი და საოცარი იყო ევერის წინასწარმეტყველებანი, მაგრამ არაფრად აგდებდნენ მას და გააძევეს; და დღისით კლდის გამოქვაბულში აფარებდა თავს და გამოდიოდა ღამე და უცქერდა ყოველივე იმას, რაც ხალხს თავზე დაატყდებოდა.

14 და როდესაც ცხოვრობდა კლდის გამოქვაბულში, მან

შეადგინა ამ ჩანაწერის დანა-
რჩენი ნაწილი, უყურებდა რა
დამით განადგურებას, რომელიც
ხალხს თავს ატყდებოდა.

15 და იყო ასე, რომ იმავე წელს,
როდესაც იგი ხალხისგან გააძე-
ვეს, იქ დაიწყო დიდი ომი ხალხს
შორის, ვინაიდან იყვნენ ბევრნი,
რომლებიც აჯანყდნენ და იყე-
ნენ რა ძლევა მოსილი ხალხი,
სურდათ კორიანტუმრის განად-
გურება თავიანთი საიდუმლო
ბოროტი გეგმებით, რომლებზეც
უკვე ითქვა.

16 და ახლა, კორიანტუმრს თა-
ვად შესწავლილი ჰქონდა ომის
ყველანაირი ხელოვნება და
ყველა ამქვეყნიური მზაკვრობა,
ამიტომ, შეებრძოლა მათ, რომ-
ლებსაც სურდათ მისი განად-
გურება.

17 მაგრამ მან არ მოინანია,
არც მისმა მიმზიდველმა ვაჟი-
შვილებმა და ქალიშვილებმა;
არც კოჰორის მიმზიდველმა ვა-
ჟიშვილებმა და ქალიშვილებმა;
არც კორიჰორის მიმზიდველმა
ვაჟიშვილებმა და ქალიშვი-
ლებმა; და ბოლოს, არ იყო იმ
მიწის პირზე არცერთი მიმზი-
დველი ვაჟიშვილი და ქალი-
შვილი, რომელმაც მოინანია
საკუთარი ცოდვები.

18 ამიტომ, იყო ასე, რომ პირ-
ველ წელს, როდესაც ეფერი
ცხოვრობდა კლდის გამოქვა-
ბულში, იქ იყო მრავალი ადა-
მიანი, რომელიც საიდუმლო
შეთქმულებების მახვილით

დახოცეს, იბრძოდნენ რა კორი-
ანტუმრის წინააღმდეგ, რომ სა-
მეფოს დაუფლებოდნენ.

19 და იყო ასე: კორიანტუმრის
შვილები ბევრს იბრძოდნენ და
ღვრიდნენ ბევრ სისხლს.

20 და მეორე წელს ეფერამდე
მოვიდა უფლის სიტყვა, რომ
წასულიყო და კორიანტუმრის-
თვის ეწინასწარმეტყველა, რომ
თუ იგი და მისი მთელი ოჯახი
მოინანიებდა, უფალი მას თავის
სამეფოს მისცემდა და ხალხს
დაინდობდა –

21 თუ არა და განადგურდე-
ბოდნენ ისინი და მთელი მისი
ოჯახი, მის გარდა და იგი იცოც-
ხლებდა მხოლოდ იმიტომ, რომ
ეხილა წინასწარმეტყველებების
აღსრულება, რომ ამ მიწას მე-
მკვიდრეობით მიიღებდა სხვა
ხალხი; და ისინი დაასაფლა-
ვებდნენ კორიანტუმრს; და ყო-
ველი სული განადგურდებოდა,
კორიანტუმრის გარდა.

22 და იყო ასე, რომ კორიან-
ტუმრმა არ მოინანია, არც მისმა
ოჯახმა, არც ხალხმა; და ომი
არ შეწყდა და სურდათ ეფერის
მოკვლა, ხოლო იგი გაიქცა მათ-
გან და კვლავ კლდის გამოქვა-
ბულს შეაფარა თავი.

23 და იყო ასე, რომ შარედი
აჯანყდა და ასევე შეებრძოლა
კორიანტუმრს; და დაამარცხა
ისე, რომ იგი მესამე წელს და-
ატყვევა.

24 და მეოთხე წელს კორიან-
ტუმრის შვილებმა დაამარცხეს

შარედი და მამას კვლავ დაუბრუნეს სამეფო.

25 და ახლა მთელი მიწის პირზე ომი დაიწყო, ყოველი ადამიანი საკუთარი დაჯგუფებით იბრძოდა იმისთვის, რაც თავად სურდა.

26 და იყვნენ მძარცველები და ბოლოს, მთელი მიწის პირზე მყოფი ყველანაირი სიბოროტე.

27 და იყო ასე, რომ კორიანტუმრი ძალზედ განრისხდა შარედზე და მის წინააღმდეგ საბრძოლველად წავიდა საკუთარი ჯარებით; და შეეჯახნენ ერთმანეთს დიდი მრისხანებით; და ისინი გილგალის ველზე შეეჯახნენ და ბრძოლა ძალზედ გამწვავდა.

28 და იყო ასე: შარედი იბრძოდა მის წინააღმდეგ სამი დღის განმავლობაში. და იყო ასე, რომ კორიანტუმრმა იგი დაამარცხა და უკან სდია იქამდე, სანამ ჰეშლონის ვაკეებამდე არ მივიდა.

29 და იყო ასე, რომ შარედი მას კვლავ შეებრძოლა ვაკეებზე; და აჰა, მან დაამარცხა კორიანტუმრი და კვლავ უკუაგლო იგი გილგალის ველზე.

30 და კორიანტუმრი კვლავ შეებრძოლა შარედს გილგალის ველზე, სადაც მან დაამარცხა შარედი და მოკლა იგი.

31 ხოლო შარედმა კორიანტუმრი ბარძაყში დაჭრა, ამგვარად, მას ორი წლის განმავლობაში აღარ შეეძლო

კვლავ საბრძოლველად წასვლა იმ დროს, როდესაც იმ მიწის პირზე მთელი ხალხი სისხლს ღვრიდა და არავინ იყო იქ, რომ ისინი შეეხერებინა.

თავი 14

ხალხის ურჯულოებას მიწაზე წყევლა მოაქვს. კორიანტუმრი იწყებს ომს გილგალის წინააღმდეგ, შემდეგ ლიბისა და შემდგომ შიზის წინააღმდეგ. მიწა დაფარა სისხლისღვრამ და ხოცვა-ჟლეტამ.

1 და ახლა, იქ მთელ მიწაზე დიდმა წყევლამ იწყო გავრცელება ხალხის ურჯულოების გამო, ისეთმა, რომ თუ ადამიანი თავის იარაღს ან ხმალს დადებდა თაროზე ან ადგილზე, სადაც მას ინახავდა, აჰა, მომდევნო დღეს მას ვეღარ იპოვიდა, ესოდენ დიდი იყო წყევლა იმ მიწაზე.

2 ამიტომ, ყოველი ადამიანი საკუთარი ხელებით ჩაჭიდებული იყო იმაზე, რაც მას ეკუთვნოდა და არ სურდა არც სესხება და არც გასესხება; და ყოველ ადამიანს მარჯვენა ხელი ედო საკუთარი მახვილის ტარზე, რათა დაეცვა საკუთარი ქონება, სიცოცხლე და თავისი ცოლისა და შვილების სიცოცხლე.

3 და ახლა, შარედის სიკვდილიდან ორი წლის შემდეგ, აჰა, გამოჩნდა შარედის ძმა და შეებრძოლა კორიანტუმრს და

დაამარცხა კორიანტუმრმა ამ ბრძოლაში და სდია მას აკიშის უდაბნომდე.

4 და იყო ასე, რომ შარედის ძმა შეებრძოლა მას აკიშის უდაბნოში; და ბრძოლა ძალზედ გამწვავდა და მრავალი ათასი დაეცა მახვილით განგმირული.

5 და იყო ასე, რომ კორიანტუმრმა უდაბნოში ალყა შემოართყა; და შარედის ძმა გამოვიდა უდაბნოდან ღამით და დახოცა კორიანტუმრის ჯარის ნაწილი, როდესაც ისინი ნასვამები იყვნენ.

6 და იგი მივიდა მორონის მიწაზე და კორიანტუმრის ტახტზე დაჯდა.

7 და იყო ასე, რომ კორიანტუმრი უდაბნოში იმყოფებოდა საკუთარ ჯართან ერთად ორი წლის განმავლობაში, რა დროშიც მიიღო დიდი ძალები თავისი ჯარისთვის.

8 ახლა, შარედის ძმამ, რომლის სახელი იყო გილეადი, საიდუმლო შეთქმულებებით, ასევე მიიღო თავის ჯარისთვის დიდი ძალები.

9 და იყო ასე, რომ მისმა მღვდელმთავარმა იგი მოკლა, როდესაც საკუთარ ტახტზე იჯდა.

10 და იყო ასე, რომ ერთმა ვინმემ, საიდუმლო შეთქმულებებიდან, მოკლა იგი საიდუმლო გასასვლელში და სამეფო თვითონ მიიღო; და მისი სახელი იყო ლიბი; და ლიბი იყო დიდი

აღნაგობის კაცი, მთელ იმ ხალხში ნებისმიერ კაცზე დიდი.

11 და იყო ასე, რომ ლიბის მმართველობის პირველ წელს კორიანტუმრი მოვიდა მორონის მიწაზე და ლიბის შეებრძოლა.

12 და იყო ასე: როდესაც იგი ლიბს ებრძოდა, ლიბმა ხელში დაჰკრა ისე, რომ იგი დაიჭრა; ამისდა მიუხედავად, კორიანტუმრის ჯარი წინ, ლიბისკენ მიიწევა, ისე, რომ იგი ზღვის სანაპიროს საზღვრებისკენ გაიქცა.

13 და იყო ასე, რომ კორიანტუმრი გამოედევნა მას; და ლიბი მას ზღვის სანაპიროზე შეებრძოლა.

14 და იყო ასე, რომ ლიბმა დაამარცხა კორიანტუმრის ჯარი, ასე რომ ისინი კვლავ გაიქცნენ აკიშის უდაბნოში.

15 და იყო ასე, რომ ლიბმა მას სდია, სანამ არ მივიდა აგოშის ვაკეებთან. და კორიანტუმრმა, როდესაც ლიბს გაუბრბოდა, თან წაიყვანა მთელი ხალხი მიწის იმ ნაწილში, საითაც გარბოდა.

16 და როდესაც აგოშის ვაკეებს მიაღწია, იგი ლიბს შეებრძოლა და დაჰკრა ისე, რომ იგი მოკვდა; ამისდა მიუხედავად, ლიბის ძმა გამოვიდა მის ნაცვლად კორიანტუმრის წინააღმდეგ და ბრძოლა ძალზედ გამწვავდა, რომლის დროსაც კორიანტუმრი კვლავ გაიქცა ლიბის ძმის ჯარისგან.

17 ახლა, ლიბის ძმას სახელად

ერქვა შიზი. და იყო ასე, რომ შიზი უკან მისდევდა კორიანტუმრს და მან დაამხო მრავალი ქალაქი, ხოცავდა ქალებსა და ბავშვებს და წვავდა ქალაქებს.

18 და შიში გავრცელდა მთელ იმ მიწაზე შიზის მიმართ; დიახ, დაღადი ისმოდა მთელ იმ მიწაზე – ვინ აღუდგება შიზის ჯარს? აჰა, იგი თავის წინ აღგვის ყველაფერს მიწიდან.

19 და იყო ასე, რომ მთელ იმ მიწაზე ხალხმა დაიწყო ჯარებად დარაზმვა.

20 და ისინი გაიყვნენ; ნაწილი გაიქცა შიზის ჯარში და ნაწილი გაიქცა კორიანტუმრის ჯარში.

21 და ისეთი დიდი და ხანგრძლივი იყო ომი და იმდენად ხანგრძლივი იყო სისხლისღვრისა და ხოცვა-ჟლეტის სურათი, რომ მთელი მიწის პირი მოფენილი იყო დახოცილთა გვამებით.

22 იმდენად სწრაფი და ნახტარევი იყო ომი, რომ აღარავინ დარჩა მოკლულთა დასამარხად და ისინი მიდიოდნენ სისხლისღვრიდან სისხლისღვრამდე, ტოვებდნენ რა მიწის პირზე მიმოფანტულ გვამებს – კაცების, ქალებისა და ბავშვების, რათა მატლების ნადავლად ქცეულიყვნენ.

23 და მათგან წამოსული სუნი გავრცელდა მთელი მიწის პირზე, მთელი იმ მიწის პირზეც კი; ამიტომ, ხალხი შეწუხდა მათგან

წამოსული სუნით დღისითა და ღამით.

24 ამისდა მიუხედავად, შიზმა არ შეწყვიტა კორიანტუმრის დევნა; ვინაიდან დაიფიცა, რომ შურს იძიებდა კორიანტუმრზე საკუთარი ძმის სისხლისათვის, რომელიც მოკლეს და უფლის სიტყვის თანახმად, რომელიც ევერთან მოვიდა, კორიანტუმრი მახვილისგან არ დაეცემოდა.

25 და ამგვარად ვხედავთ, რომ უფალი მათ მოველინა მთელი თავისი რისხვით და მათმა სიბოროტემ და სისაძაგლემ მოამზადა გზა მათი მარადიული განადგურებისთვის.

26 და იყო ასე, რომ შიზი მისდევდა კორიანტუმრს აღმოსავლეთისკენ, ზღვის სანაპიროს საზღვრებამდეც და იქ იგი ებრძოდა შიზს სამი დღის განმავლობაში.

27 და იმდენად დიდი იყო შიზის ჯარებს შორის განადგურება, რომ ხალხს შეეშინდა და ზურგი აქცია კორიანტუმრის ჯარს; და გაიქცნენ კორიპორის მიწისკენ და მოერეკებოდნენ წინ მცხოვრებს, ყველას, ვისაც არ სურდა მათთან შეერთება.

28 და მათ კარვები გაშალეს კორიპორის ველზე და კორიანტუმრმა გაშალა კარვები შურის ველზე. ახლა, შურის ველი მდებარეობდა კომნორის გორაკთან ახლოს; ამიტომ, კორიანტუმრმა ერთად შეკრიბა თავისი ჯარები კომნორის გორაკზე და დაჰყვირა

საყვირით შიზის ჯარებს, რათა ისინი ბრძოლაში გამოეწვია.

29 და იყო ასე, რომ ისინი წინ წამოვიდნენ, მაგრამ კვლავ უკუ-აგდებულ იქნენ; და წამოვიდნენ წინ მეორეჯერ და კვლავ უკუ-აგდეს. და იყო ასე, რომ ისინი კვლავ წინ წამოვიდნენ მესამე-ჯერ და ბრძოლა ძალზედ გამ-წვადა.

30 და იყო ასე, რომ შიზმა შე-მუსრა კორიანტუმრი ისე, რომ მიაყენა მრავალი ღრმა ჭრი-ლობა; და კორიანტუმრმა, და-კარგა რა სისხლი, გონება დაკარგა; და იგი ისე, როგორც მკვდარი გაიყვანეს.

31 ახლა, დანაკარგი ორივე მხრიდან კაცების, ქალებისა და ბავშვების იმდენად დიდი იყო, რომ შიზმა ბრძანა, აღარ გა-მოდევნებოდნენ კორიანტუმრის ჯარებს; ამიტომ, ისინი თავიანთ ბანაკს დაუბრუნდნენ.

თავი 15

ბრძოლაში იხოცება მილი-ონობით იარედიელი. შიზი და კორიანტუმრი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისთვის აგროვებენ ხალხს. უფლის სული აღარ მოქმედებს მათ-ზედ. იარედიელთა ერი მთლი-ანად განადგურდება. გადარჩა მხოლოდ კორიანტუმრი.

1 და იყო ასე, რომ როდესაც კორიანტუმრი თავისი ჭრილობე-ბისგან განიკურნა, მან დაიწყო

იმ სიტყვების გახსენება, რომლე-ბიც მას ეფერმა უთხრა.

2 მან იხილა, რომ მისი ხალ-ხისგან უკვე ორი მილიონი ადა-მიანი დაიხოცა მახვილისგან და დამწუხრდა გულში; დიახ, და-იხოცა ორი მილიონი ძლიერი ადამიანი, ცოლებითა და შვი-ლებით.

3 და დაიწყო იმ სიბოროტის მონანიება, რაც მან ჩაიდინა; დაიწყო გახსენება იმ სიტყვე-ბის, რომლებიც ყველა წინას-წარმეტყველის პირით ითქვა და იხილა, რომ აქამდე ყველაფერი აღსრულდა, ყოველი იოტი; და გლოვობდა მისი სული და ნუ-გეშზე უარს ამბობდა.

4 და იყო ასე, რომ მან შიზს წერილი მისწერა, სურდა რა მისგან, დაენდო ხალხი და სა-მეფო დაეთმო ხალხის სიცოც-ხლის გამო.

5 და იყო ასე, რომ შიზმა, მი-იღო რა მისი წერილი, კორიან-ტუმრს მისწერა, რომ თუ იგი დანებდებოდა, რათა მას საკუ-თარი მახვილით მოეკლა იგი, მაშინ დაინდობდა ხალხის სი-ცოცხლეს.

6 და იყო ასე, რომ ხალხმა არ მოინანია საკუთარი ურჯულო-ება; და კორიანტუმრის ხალხში გაღვივდა წყრომა შიზის ხალ-ხის მიმართ; და შიზის ხალხში გაღვივდა წყრომა კორიანტუმ-რის ხალხის მიმართ; ამიტომ, შიზის ხალხი შეებრძოლა კო-რიანტუმრის ხალხს.

7 და როდესაც კორიანტუმრმა იხილა, რომ მარცხდებოდა, იგი კვლავ გაიქცა შიზის ხალხის-გან.

8 და იყო ასე, რომ იგი მივიდა რიპლიანკუმის წყლებთან, რაც ითარგმნება როგორც ფართე ან ყველაზე უშველებელი; ამიტომ, როდესაც მათ მიაღწიეს ამ წყლებს, გაშალეს კარვები; და ასევე შიზმა გაშალა კარვები მათ შორიახლოს; და ამიტომ, მომდევნო დღეს მათ დაიწყეს ბრძოლა.

9 და იყო ასე, რომ ძალზედ მწვავე ბრძოლაში შეეტაკნენ ერთმანეთს, რომელშიც კორიანტუმრი კვლავ დაიჭრა და სისხლის დაკარგვის გამო დაუძლურდა.

10 და იყო ასე, რომ კორიანტუმრის ჯარებმა შეუტყეს შიზის ჯარებს და დაამარცხეს ისინი, ისე რომ აიძულეს, გაქცეულიყვნენ მათგან; და ისინი გაიქცნენ სამხრეთით და კარვები გაშალეს ადგილზე, რომელსაც ოგათი ეწოდებოდა.

11 და იყო ასე, რომ კორიანტუმრის ჯარმა კარვები გაშალა რამას გორაკზე; და ეს იყო ის გორაკი, სადაც მამაჩემმა, მორმონმა, უფლისთვის ჩანაწერები დამალა, რომლებიც იყო წმინდა.

12 და იყო ასე: მათ მთელი ხალხი შეკრიბეს, ვინც გადარჩა მთელ მიწაზე, გარდა ეფერისა.

13 და იყო ასე, რომ ეფერმა იხილა ხალხის ყველა ქმედება;

და მან იხილა, რომ ხალხი, რომელიც იყო კორიანტუმრის მხარეს, კორიანტუმრის ჯართან ერთად შეიკრიბა; და ხალხი, რომელიც იყო შიზის მხარეს, შიზის ჯართან ერთად შეიკრიბა.

14 ასე რომ, ისინი ოთხი წლის განმავლობაში კრიბავდნენ ხალხს, რათა ყველა წაეყვანათ, ვინც იმყოფებოდა იმ მიწის პირზე და მიეღოთ მთელი ძალა, რომლის მიღებაც შეეძლო.

15 და იყო ასე, რომ როდესაც ისინი შეიკრიბნენ, ყოველი იმ ჯარში, რომელშიც თავად სურდა, ცოლებითა და შვილებით – კაცი, ქალი და ბავშვი საომარი იარაღით შეიარაღებული იყო, ჰქონდათ ფარები, სამკერდულები და ჩანქანები და იყვნენ რა საომარი წესით შემოსილნი, ისინი ერთმანეთის წინააღმდეგ გაემართნენ საბრძოლველად; და მთელი დღე იბრძოლეს და ვერაფერს ვერ გაიმარჯვა.

16 და იყო ასე, რომ როდესაც დაღამდა, ისინი იყვნენ დაქანცულნი და თავიანთ ბანაკებს დაუბრუნდნენ; და მას შემდეგ, რაც ბანაკებს დაუბრუნდნენ, მათ კვნესა და გოდება დაიწყეს, თავიანთი ხალხისგან დახოცილთა დანაკარგის გამო; და იმდენად დიდი იყო მათი ტირილი, კვნესა და გოდება, რომ ცა შეძრეს.

17 და იყო ასე, რომ მომდევნო დღეს კვლავ წავიდნენ საბრძოლველად და დიდი და საშინელი იყო ის დღე; ამისდა მიუხედავად,

ვერავინ ვერ გაიმარჯვა; და როდესაც კვლავ დაღამდა, მათ ცა შეძრეს ტირილით, კვნესითა და გოდებით, თავიანთი ხალხისგან დახოცილთა დანაკარგის გამო.

18 და იყო ასე, რომ კორიანტუმრმა კვლავ მისწერა წერილი შიხს, სურდა რა, იგი აღარ წამოსულიყო საომრად, მაგრამ სამეფო აელო და დაენდო ხალხის სიცოცხლე.

19 მაგრამ, აჰა, უფლის სული აღარ მოქმედებდა მათზე და სატანას ჰქონდა მთელი ძალა-უფლება ხალხის გულებზე; ვინაიდან საკუთარ გულქვაობასა და გონების სიბრმავეს იყვნენ მიცემულნი, რათა განადგურებულიყვნენ; ამიტომ, ისინი კვლავ საბრძოლველად წავიდნენ.

20 და იყო ასე, რომ მთელი დღე იბრძოდნენ და როდესაც დაღამდა, მათ თავიანთ ხმლებზე დაიძინეს.

21 მომდევნო დღეს დაღამებამდეც კი იბრძოლეს.

22 და როდესაც დაღამდა, ისინი მთვრალეები იყვნენ მრისხანებისგან, ღვინით დამთვრალი კაცივით; და მათ კვლავ საკუთარ ხმლებზე დაიძინეს.

23 და მომდევნო დღეს მათ კვლავ იბრძოლეს; და როდესაც დაღამდა, ყველა მახვილისგან იყო დაცემული, კორიანტუმრის ორმოცდათორმეტი ადამიანისა და შიხის სამოცდაცხრა ადამიანის გარდა.

24 და იყო ასე, რომ იმ დამეს

მათ თავიანთ ხმლებზე დაიძინეს და მომდევნო დღეს კვლავ იბრძოლეს და ერთმანეთს მთელი ძალით შეეტაკნენ თავიანთი ხმლებითა და ფარებით, მთელი დღის განმავლობაში.

25 და როდესაც დაღამდა, იყო შიხის ოცდათორმეტი ადამიანი და კორიანტუმრის ადამიანებიდან ოცდაშვიდი.

26 და იყო ასე, რომ დანაყრდნენ და დაიძინეს და მომდევნო დღეს სიკვდილისთვის მოემზადნენ. და ადამიანის ძალის შესაბამისად, ისინი იყვნენ ტანმოსულნი და ძლევა მოსილნი.

27 და იყო ასე, რომ ისინი სამი საათის განმავლობაში იბრძოდნენ და სისხლის დაკარგვისგან დაუძღურდნენ.

28 და იყო ასე, რომ როდესაც კორიანტუმრის ხალხი საკმარისად მოღონიერდა, რათა სიარული შესძლებოდა, დააპირა გაქცევა საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად; მაგრამ, აჰა, შიხი წამოდგა და ასევე მისი ხალხი; და მან დაიფიცა მრისხანებაში, რომ მოკლავდა კორიანტუმრს ან თავად მოკვდებოდა მახვილისგან.

29 ამიტომ, იგი მათ დაედევნა და მომდევნო დღეს დაეწია; და მათ კვლავ ხმლებით იბრძოლეს. და იყო ასე, რომ, როდესაც ყოველი მათგანი მახვილისგან დაცვა, კორიანტუმრისა და შიხის გარდა, აჰა, შიხი დაუძღურდა სისხლის დაკარგვისგან.

30 და იყო ასე, რომ კორიანტუმრი საკუთარ ხმაღს დაეყრდნო, ცოტათი დაისვენა და შიზს თავი მოჰკვეთა.

31 და იყო ასე, რომ მას შემდეგ, რაც შიზს თავი მოჰკვეთა, შიზი ხელეებზე წამოიწია და დაეცა; და როდესაც შეეცადა ჩაესუნთქა, მოკვდა.

32 და იყო ასე, რომ კორიანტუმრი მიწაზე დაეცა; და იქცა იგი ვითარცა უსიცოცხლო.

33 და უფალმა მიმართა ეფერს და მას უთხრა: მიდი. და იგი

მივიდა და იხილა, რომ უფლის სიტყვები ყველა ახდა; და მან დაასრულა თავისი ჩანაწერები (და მე არ დამიწერია მეასედი ნაწილიც); და ისე დამალა, რომ ლიმხის ხალხს ეპოვათ ისინი.

34 ახლა, ეს არის ბოლო სიტყვები, რომლებიც ეფერმა დაწერა: არ აქვს მნიშვნელობა, ისურვებს უფალი, რომ გარდავიცვალო თუ ვიწვნიო უფლის ნება ხორციელად, თუკი მოხდება ისე, რომ ღვთის სასუფეველში ვიქნები გადარჩენილი. ამინ.

მორონის წიგნი

თავი 1

მორონი წერს ლამანიელთა სასარგებლოდ. ხოცავენ ნეფიელებს, რომლებიც ქრისტეს არ უარყოფენ. დაახლოებით 401-421 წწ. ჩვენი წელთაღრიცხვით.

1 ახლა, მე, მორონი, მას შემდეგ, რაც შევამოკლე იარედის ხალხის ამბის ჩანაწერები, აღარ ვაპირებდი მეტის დაწერას, მაგრამ ჯერ არ დავღუპულვარ; და ლამანიელებს არ გუმხელ თავს, რათა არ გამანადგურონ.

2 ვინაიდან, აჰა, მათ შორის ომები ძალზედ სასტიკია; და თავიანთი სიძულვილის გამო, ისინი კლავენ ყოველ ნეფიელს, ვინც არ უარყოფს ქრისტეს.

3 და მე, მორონი, არ ვიტყვი უარს ქრისტეზე; ამიტომ, სადაც კი შემიძლია, დავცხებები საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად.

4 ამიტომ, ვწერ კიდევ ცოტაოდენს, საწინააღმდეგოდ იმისა, რასაც ვვარაუდობდი; ვინაიდან ვფიქრობდი, რომ მეტს აღარ დავწერდი; მაგრამ დავწერ კიდევ ცოტაოდენს, ეგებ ეს გამოადგეთ ჩემს ძმებს, ლამანიელებს, ოდესმე მომავალ დღეებში, უფლის ნების შესაბამისად.

თავი 2

იესომ თორმეტ ნეფიელ მოწაფეს უბოძა სულიწმინდის ძღვენის მინიჭების ძალაუფლება.

დაახლოებით 401-421 წწ. ჩვენი წელთაღრიცხვით.

1 ქრისტეს სიტყვები, რომლებიც მან თავის მოწაფეებს უთხრა, იმ თორმეტს, რომლებიც ამოირჩია, დაასხა რა მათ ხელი -

2 და მიმართა მათ სახელებით და უთხრა: თქვენ მიმართავთ მამას ჩემი სახელით, მხურვალე ლოცვისას; და მას შემდეგ, რაც ამას გააკეთებთ, გექნებათ ძალაუფლება - ვისაც დაასხამთ ხელს, უბოძებთ სულიწმინდას; და ჩემი სახელით უბოძებთ მას, ვინაიდან ასე იქცევიან ჩემი მოციქულები.

3 ახლა, ქრისტემ უთხრა მათ ეს სიტყვები თავისი პირველი გამოცხადების ჟამს; და შეკრებილმა ბრბომ ეს ვერ გაიგო, მაგრამ მისმა მოწაფეებმა გაიგეს; და ყოველს, რომელსაც მან ხელი დაასხა, სულიწმინდა მოეფინა.

თავი 3

უხუცესები აკურთხებენ მღვდლად და მასწავლებლად. დაახლოებით 401-421 წწ. ჩვენი წელთაღრიცხვით.

1 წესი, რომლის მიხედვითაც მოწაფეები, რომლებიც მოწოდებულნი იყვნენ ეკლესიის უხუცესებად, აკურთხებდნენ მღვდლად და მასწავლებლად -

2 მას შემდეგ, რაც მათ ილოცეს

მამისადმი ქრისტეს სახელით, ხელი დაასხეს მათ და თქვეს:

3 იესო ქრისტეს სახელით, გაკურთხებ მღვდლად (თუ უნდა ყოფილიყო მასწავლებელი - გაკურთხებ მასწავლებლად) რათა იქადაგო მონანიება და იესო ქრისტეს მეშვეობით ცოდვების მიტევება, მის სახელში ბოლომდე რწმენის სიმტკიცით. ამინ.

4 და ამგვარად აკურთხებდნენ ისინი მღვდლად და მასწავლებლად, ადამიანებისადმი ღმერთის ძღვენისა და მოწოდებების შესაბამისად; და აკურთხებდნენ სულიწმინდის ძალით, რომელიც მათში იყო.

თავი 4

ახსნილია, როგორ აკურთხებენ უხუცესები და მღვდლები ზიარების პურს. დაახლოებით 401-421 წწ. ჩვენი წელთაღრიცხვით.

1 წესი, რომლის მიხედვით მათი უხუცესები და მღვდლები აკურთხებენ ეკლესიისთვის ქრისტეს ხორცსა და სისხლს; და ისინი აკურთხებდნენ მას ქრისტეს მცნებებისამებრ; ამიტომ, ვიცით, რომ ეს წესი არის ჭეშმარიტი; და უხუცესი ან მღვდელი აკურთხებდა ამათ -

2 და მუხლს იყრიდნენ ეკლესიასთან ერთად და ლოცულობდნენ მამისადმი ქრისტეს სახელით, სიტყვებით:

3 ო, ღმერთო, მარადიულო

მამავ, ჩვენ გთხოვთ, შენი ძის, იესო ქრისტეს სახელით, რომ აკურთხო და განწმინდო ეს პური ყოველი ადამიანის სულისთვის, ვინც მიიღებს მას; რათა მიირთვან შენი ძის სხეულის მოსაგონებლად და მოწმედ დაგიდგნენ ისინი, ო, ღმერთო, მარადიულო მამავ, რომ მზად არიან აიღონ საკუთარ თავზე შენი ძის სახელი, ყოველთვის ახსოვდეთ იგი და დაიცვან მის მიერ მათთვის მოცემული მცნებანი, დაე, მისი სული მარადუამს იყოს მათთან. ამინ.

თავი 5

მოყვანილია ზიარებისა და ღვინის კურთხევის წესი. დაახლოებით 401-421 წწ. ჩვენი წელთაღრიცხვით.

1 ღვინის კურთხევის წესი. აჰა, ისინი იღებდნენ თასს და ამბობდნენ:

2 ო, ღმერთო, მარადიულო მამავ, ჩვენ გთხოვთ, შენი ძის, იესო ქრისტეს სახელით, რომ აკურთხო და განწმინდო ეს ღვინო ყოველი ადამიანის სულისთვის, ვინც შესვამს მას, რათა ეს აკეთონ შენი ძის, მათთვის დაღვრილი სისხლის მოსაგონებლად; რათა მოწმედ დაგიდგნენ ისინი, ო, ღმერთო, მარადიულო მამავ, რომ ყოველთვის ახსოვდეთ იგი, დაე, მისი სული მარადუამს იყოს მათთან. ამინ.

თავი 6

პიროვნებებს, რომლებიც ინანიებენ, ნათლავენ და უძმობილებიან. ეკლესიის წევრები, რომლებიც ინანიებენ, შენდობილნი იქნებიან. შეკრებები იმართება სულიწმინდის ძალით. დაახლოებით 401-421 წწ. ჩვენი წელთაღრიცხვით.

1 და ახლა, მე ვლაპარაკობ ნათლობის შესახებ. აჰა, უხუცესები, მღვდლები და მასწავლებლები მოინათლნენ; და მათ არ ნათლავდნენ, თუ არ გამოიღებდნენ შესაბამის ნაყოფს, რომ მზად იყვნენ ამისთვის.

2 და არავის იღებდნენ მოსანათლად გარდა მათი, რომლებიც მოდიოდნენ მოდრეკილი გულითა და მომნანიებელი სულით და მოწმობდნენ ეკლესიისთვის, რომ ჭეშმარიტად მოინანიეს ყოველი ცოდვა.

3 და არავის იღებდნენ მოსანათლად გარდა მათი, რომლებიც აიღებდნენ საკუთარ თავზე ქრისტეს სახელს გადაწყვეტილებით, ბოლომდე ემსახურონ მას.

4 და მას შემდეგ, რაც მათ ნათლობისთვის მიიღებდნენ და სულიწმინდის ძალით იმოქმედებდნენ მათზე და განწმენდნენ, ისინი ითვლებოდნენ ქრისტეს ეკლესიის ხალხს შორის; და მათ სახელებს იწერდნენ, რომ დაემახსოვრებინათ და ღმერთის კეთილი სიტყვით

გამოეკვებათ, რათა სწორ გზაზე დარჩენილიყვნენ, ყოფილიყვნენ რა მუდამ ფხიზელნი ღოცვით, დაყრდნობილიყვნენ მხოლოდ ქრისტეს მადლს, რომელიც იყო მათი რწმენის შემქმნელი და სრულმყოფი.

5 და ეკლესია ხშირად იკრიბებოდა ერთად, რათა ემარხულათ, ელოცათ და ერთმანეთთან ესაუბრათ თავიანთი სულების კეთილდღეობაზე.

6 და ერთად იკრიბებოდნენ, რათა მიეღოთ პური და ღვინო უფალი იესოს მოსაგონებლად.

7 და მკაცრად თვალყურს ადევნებდნენ, რომ არ ყოფილიყო ურჯულოება მათ შორის და რომლებსაც ამხელდნენ ურჯულოების ჩადენაში და მათ უხუცესთა წინაშე ეკლესიის სამი მოწმე განსჯიდა, თუ არ მინანიებდნენ და არ აღიარებდნენ, მათ სახელებს შლიდნენ და ისინი აღარ ითვლებოდნენ ქრისტეს ხალხში.

8 მაგრამ როდესაც ინანიებდნენ და ითხოვდნენ პატიებას, ნამდვილი მოწადინებით – მათ მიეტევებოდათ.

9 და ეკლესია მათ შეკრებებს ატარებდა სულის მოქმედების შესაბამისად და სულიწმინდის ძალით; ვინაიდან, როგორც კარნახობდა მათ სულიწმინდის ძალა – ექადაგათ, მოეწოდებინათ, ელოცათ, ეთხოვათ ან ემღერათ – იმდაგვარად ასრულებდნენ ამას.

თავი 7

უფლის სავანეში შესასვლელად ბოძებულია მოწვევა. იღოცკეთ ნამდვილი მოწადინებით. ქრისტეს სული ადამიანს აძლევს საშუალებას, გაარჩიოს კეთილი ბოროტისგან. სატანა არწმუნებს ადამიანებს, უარყონ ქრისტე და ჩაიდინონ სიბოროტე. წინასწარმეტყველები აცხადებენ ქრისტეს მოსვლის შესახებ. რწმენით ხდება სასწაულები და ანგელოზების მსახურება. ადამიანს უნდა ჰქონდეს მარადიული სიცოცხლის იმედი და ჩაეჭიდოს გულმოწყალებას. დაახლოებით 401-421 წწ. ჩვენი წელთაღრიცხვით.

1 და ახლა, მე, მორონი, ვწერ მამაჩემის, მორმონის, რამდენიმე სიტყვას, რომლებიც მან წარმოთქვა რწმენაზე, იმედზე და გულმოწყალებაზე; ვინაიდან ხალხს ამგვარად ელაპარაკებოდა, როდესაც ასწავლიდა სინაგოგაში, რომელიც ააშენა თაყვანისცემის ადგილად.

2 და ახლა, მე, მორმონი, მოგმართავთ თქვენ, ჩემო საყვარელო ძმებო; და ეს ხდება მამა ღმერთისა და ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს, მადლით და მისი წმინდა ნებით, მისი ჩემდამი მოწოდების ძღვენის გამო, რომ ნება მებოძა, მოგმართოთ ამ დროს.

3 ამიტომ, მინდა მოგმართოთ, რომლებიც მიეკუთვნებით

ეკლესიას, ქრისტეს მშვიდობიან მიმდევრებს, რომლებმაც მოიპოვეთ საკმარისი იმედი, რომლითაც შეძლებთ უფლის სავანეში შესვლას, ამ ჟამიდან იქამდე, როდესაც განისვენებთ ზეცაში მასთან ერთად.

4 და ახლა, ჩემო ძმებო, მე თქვენზე ასე ვმსჯელობ ადამიანთა შვილების მიმართ თქვენი მშვიდობისმყოფელი ქცევის გამო.

5 ვინაიდან, მახსოვს ღვთის სიტყვა, რომელიც ამბობს: საქმეებით იცნობთ მათ; ვინაიდან თუ მათი საქმენი არის კეთილი, მაშინ თავადაც კეთილნი არიან.

6 ვინაიდან, აჰა, ღმერთმა თქვა, ბოროტი კაცი ვერ გააკეთებს იმას, რაც კეთილია; ვინაიდან თუ ძღვენს შესთავაზებს ან ილოცებს ღმერთისადმი, ეს მას არაფერს მოუტანს, თუ ამას არ გააკეთებს ნამდვილი მოწადინებით.

7 ვინაიდან, აჰა, ეს არ ჩათვლება მას სამართლიანობაში.

8 ვინაიდან, აჰა, თუ ბოროტი ადამიანი ძღვენს იძლევა, იგი ამას უხალისოდ აკეთებს; ამიტომ, ეს მას ეთვლება ისე, როგორც თავისთვის დაეტოვებინოს ძღვენი; ამიტომ, ბოროტად ითვლება იგი ღმერთის წინაშე.

9 ასევე ადამიანს ეთვლება სიბოროტედ, თუ იგი ილოცებს, მაგრამ არა ნამდვილი გულის მოწადინებით; დიახ, ეს

მას არაფერს არგებს, ვინაიდან ღმერთი არ მიიღებს ასეთს.

10 ამიტომ, ბოროტი ადამიანი ვერ გააკეთებს იმას, რაც კარგია; ვერც კარგ ძღვენს ვერ უბოძებს.

11 ვინაიდან, მწარე წყაროს არ მოაქვს კარგი წყალი; ისევე, როგორც კარგ წყაროს არ მოაქვს მწარე წყალი; ამიტომ, ეშმაკის მსახური ადამიანი ვერ გაჰყვება ქრისტეს და ქრისტეს მიმდევარი ვერ იქნება ეშმაკის მსახური.

12 ამიტომ, ყოველივე, რაც კარგია, მოდის ღმერთისგან; და რაც ბოროტია, მოდის ეშმაკისგან; ვინაიდან, ეშმაკი არის ღმერთის მტერი და ებრძვის მას გამუდმებით და მოუხმობს და უბიძგებს ცოდვისკენ და გამუდმებით იმის კეთებისკენ, რაც არის ბოროტი.

13 მაგრამ, აჰა, ის, რაც ღმერთისგან არის, გამუდმებით მოუხმობს და უბიძგებს სიკეთის კეთებისკენ; ამიტომ, ყოველივე, რაც მოუხმობს და უბიძგებს სიკეთის კეთებას, ღმერთისადმი სიყვარულსა და მის მსახურებას, არის ღმერთის მიერ შთაგონებული.

14 ამიტომ, იყავით ყურადღებით, ჩემო საყვარელო ძმებო, რათა არ განსაჯოთ ბოროტად ის, რაც არის ღმერთისგან, ან სიკეთედ და ღმერთისგან ის, რაც არის ეშმაკისეული.

15 ვინაიდან, აჰა, ჩემო ძმებო, თქვენთვის არის მოცემული განსაჯოთ, რათა განასხვავოთ

კეთილი ბოროტისგან და განკითხვის წესი არის ნათელი, რათა სრულყოფილი ცოდნით იცოდეთ, ისე, როგორც დღის სინათლე განსხვავდება ბნელი ღამისგან.

16 ვინაიდან, აჰა, ქრისტეს სული ნაბოძებია ყოველი ადამიანისთვის, რათა განასხვავოს მან კეთილი ბოროტისგან; ამიტომ, გაჩვენებთ განკითხვის წესს; ვინაიდან, რაც მოუხმობს სიკეთის კეთებისკენ და არწმუნებს, იწამოს ქრისტე, მოვლენილია ქრისტეს ძალითა და ძღვენით; ამიტომ, შეგიძლიათ სრულყოფილი ცოდნით იცოდეთ: ეს არის ღმერთისგან.

17 მაგრამ ყოველივე, რაც არწმუნებს ადამიანს აკეთოს სიბოროტე და არ იწამოს ქრისტე, უარყოს იგი და არ ემსახუროს ღმერთს, შეგიძლიათ სრულყოფილი ცოდნით იცოდეთ – ეს არის ეშმაკისეული; ვინაიდან ამგვარად მუშაობს ეშმაკი, ვინაიდან იგი არავის არწმუნებს სიკეთის კეთებასკენ, არა, არცერთს; არც მისი ანგელოზები, არც ისინი, რომლებიც მას ემორჩილებიან.

18 და ახლა, ჩემო ძმებო, ხედავთ რა სინათლეს, რომლითაც შეგიძლიათ განიკითხოთ, სინათლეს, რომელიც არის ქრისტეს სინათლე, თვალი ადევნეთ, რომ არასამართლიანად არ განიკითხოთ; ვინაიდან, როგორი განკითხვითაც განიკითხავთ,

ისეთივე განკითხვით განიკითხებით.

19 ამიტომ, გვედრებით, ძმებო, ბეჯითად ეძიოთ ქრისტეს სინათლით, რომ განასხვავოთ კეთილი ბოროტისგან; და თუ ჩაეჭიდებით ყოველივე კეთილს და მას არ დაგმობთ, მაშინ უდავოდ იქნებით ქრისტეს შვილები.

20 და ახლა, ჩემო ძმებო, როგორ შეიძლება, რომ ჩაეჭიდოთ ყოველივეს, რაც არის კეთილი?

21 და ახლა, მივდივარ იმ რწმუნასთან, რომელზეც გითხარით, რომ ვილაპარაკებ; და გაცნობებთ გზას, რომლითაც შეძლებთ ჩაეჭიდოთ ყოველ კეთილს.

22 ვინაიდან, აჰა, ღმერთმა, არის რა მარადისობიდან მარადისობამდე, იცის ყოველივე, აჰა, მან მოავლინა ანგელოზები, რათა ემსახურონ ადამიანთა შვილებს, რათა აცნობონ ქრისტეს მოსვლის შესახებ; და ყოველი კეთილი ქრისტეში მოვა.

23 და ღმერთმა ასევე აუწყა წინასწარმეტყველებს საკუთარი პირით, რომ ქრისტე მოვიდოდა.

24 და აჰა, სხვადასხვა გზებით, ადამიანთა შვილებს აუწყებდა კეთილ ამბებს; და ყოველივე, რაც არის კეთილი, მოდის ქრისტესგან; სხვაგვარად ადამიანები იქნებოდნენ დაცემულნი და ვერაფერი კეთილი ვეღარ მოვიდოდა მათთან.

25 ამიტომ, ანგელოზების მსახურებითა და ყოველი სიტყვით, რომელიც მოდის ღმერთის

პირიდან, ხალხმა დაიწყო ქრისტეში თავიანთი რწმენის გამოვლენა; და ასე, რწმენით, ისინი ჩაჭიდებულნი იყვნენ ყოველივე კეთილს; და ეს ასე იყო ქრისტეს მოსვლამდე.

26 და მას შემდეგ, რაც იგი მოვიდა, ადამიანები კვლავ გადაარჩნენ მის სახელში რწმენით; და რწმენის მეშვეობით იქცნენ ღვთის შვილებად. და როგორც ცოცხალია ქრისტე, მან ჩვენს მამებს ეს სიტყვები უთხრა: ყველაფერს, რასაც სთხოვთ მამას რწმენით, ჩემი სახელით, რაც არის კარგი და იწამებთ, რომ მას მიიღებთ, აჰა, ეს თქვენ მოგეცემათ.

27 ამიტომ, ჩემო საყვარელო ძმებო, ნუთუ შეწყდა სასწაულები იმის გამო, რომ ქრისტე ზეცაში ამაღლდა და ღმერთის მარჯვენა ხელის მხარეს დაჯდა, რათა მამისგან მოითხოვოს თავისი უფლება წყალობისა, რომელიც აქვს ადამიანთა შვილებისათვის?

28 ვინაიდან, მან აღასრულა კანონის მიზანი და მოითხოვს ყოველ მათგანს, ვისაც აქვს მასში რწმენა; და ისინი, ვისაც რწმენა აქვთ, ჩაეჭიდებიან ყოველ კეთილს; ამიტომ, იგი ქომაგობს ადამიანთა შვილებს და ზეცაში იმყოფება სამარადისოდ.

29 და ვინაიდან ეს გააკეთა, ჩემო საყვარელო ძმებო, ნუთუ შეწყდა სასწაულები? აჰა,

გეუბნებით: არა, და ანგელოზებმაც არ შეწყვიტეს ადამიანთა შვილებისთვის მსახურება.

30 ვინაიდან, აჰა, ისინი მას ემორჩილებიან, რათა იმსახურონ მისი ბრძანების სიტყვით, ეცხადებიან რა ღრმად რწმენისა და საღი გონების მქონეთ, ღვთისმოსაობის ყოველი გამოვლინებით.

31 და მათი მსახურების წოდებაა – მოუწოდონ ადამიანს მონანიებისკენ და აღასრულონ და აკეთონ საქმე მამის აღთქმებისა, რომლებიც მან დადო ადამიანთა შვილებთან და გზის მომზადება ადამიანთა შვილებს შორის, ქრისტეს სიტყვის გამოცხადებით უფლის ამორჩეულ მსახურთათვის, რათა მათ დაამოწმონ მასზე.

32 და ამის კეთებით, უფალი ღმერთი ამზადებს გზას, რათა დანარჩენმა ადამიანებმა იქონიონ ქრისტეში რწმენა, რათა სულიწმინდას ჰქონდეს მათ გულში ადგილი, მისი ძალის შესაბამისად; და ასე ასრულებს მამა აღთქმებს, რომლებიც მან დადო ადამიანთა შვილებთან.

33 და ქრისტემ თქვა: თუ გექნებათ ჩემში რწმენა – გექნებათ ძალა, აკეთოთ ყოველივე ის, რაც ჩემთვის საჭიროა.

34 და მან თქვა: მოინანიეთ თქვენ, დედამიწის ყველა კიდენო, და მოდით ჩემთან და მოინათლეთ ჩემი სახელით და გქონდეთ ჩემში რწმენა, რათა გადარჩეთ.

35 და ახლა, ჩემო საყვარელო ძმებო, თუ ყოველივე ის, რაც მე გითხარით არის ჭეშმარიტი და ღმერთი დაგანახებთ ძალითა და დიადი დიდებულებით უკანასკნელ დღეს, რომ ეს არის ჭეშმარიტი და თუ ეს არის ჭეშმარიტი, ნუთუ დასრულდა სასწაულების დღე?

36 ნუთუ შეწყვიტეს ანგელოზებმა ადამიანთა შვილებისთვის გამოცხადება? ნუთუ შეაკავეს მათთვის სულიწმინდის ძალა? ან შეაკავეს იგი მას, სანამ გაგრძელდება ჟამთახვლა, ან იღგება დედამიწა ან მის ზედაპირზე იქნება ერთი ადამიანი, რომელიც უნდა გადარჩეს?

37 აჰა, მე გეუბნებით: არა; ვინაიდან, რწმენით ხდება სასწაულები; რწმენით ხდება ანგელოზების გამოცხადება და მათი ადამიანებისადმი მსახურება; ამიტომ, თუ ყოველივე ეს შეწყდება, ვარამი ადამიანთა შვილებს, ვინაიდან ეს არის ურწმუნოების გამო და ამაოა ყველაფერი.

38 ვინაიდან ვერცერთი ადამიანი ვერ გადარჩება, ქრისტეს სიტყვების შესაბამისად, თუ არ იწამებს მის სახელს; ამიტომ, თუ ყოველივე ეს შეწყდა, მაშინ ასევე რწმენაც შეწყდა; და საშინელია ადამიანის მდგომარეობა, ვინაიდან იგი არის ისე, თითქოს არ მომხდარა გამოცხადება.

39 მაგრამ, აჰა, ჩემო საყვარელო ძმებო, უკეთესად ვიმსჯელებ თქვენზე, ვინაიდან განვსჯი, რომ გაქვთ ქრისტეში რწმენა, თქვენი თვინიერების გამო; ვინაიდან თუ არ გაქვთ მასში რწმენა, მაშინ არ შეესაბამებით იმას, რომ ითვლებოდეთ მისი ეკლესიის ხალხს შორის.

40 და კიდევ, ჩემო საყვარელო ძმებო, მინდა გითხრათ იმედის შესახებ. როგორ შეგიძლიათ მოიპოვოთ რწმენა, თუ არ გექნებათ იმედი?

41 და რა არის ის, რისი იმედიც უნდა გქონდეთ? აჰა, გეუბნებით: გექნებათ იმედი, რომ ქრისტეს გამოსყიდვით და მისი აღდგომის ძალით აღდგებით მარადიული სიცოცხლისთვის, მასში თქვენი რწმენის გამო, დაპირების შესაბამისად.

42 ამიტომ, თუ ადამიანს აქვს რწმენა, მას უნდა ჰქონდეს იმედი; ვინაიდან რწმენის გარეშე შეუძლებელია რაიმე იმედი.

43 და კვლავ, აჰა, მე გეუბნებით: მას ვერ ექნება რწმენა და იმედი, თუ არ იქნება თვინიერი და გულთ მდაბალი.

44 თუ ასეა, ამაოა მისი რწმენა და იმედი, ვინაიდან არავინ არ არის ღმერთის წინაშე მისაღები, გარდა გულში თვინიერისა და მდაბლისა; და თუ ადამიანი გულში თვინიერი და მდაბალია და აღიარებს სულიწმინდის ძალით, რომ იესო არის ქრისტე – უნდა ჰქონდეს გულმოწყალება;

ვინაიდან თუ არ აქვს გულმოწყალება, იგი არის არარაობა; ამიტომ, მას უნდა ჰქონდეს გულმოწყალება.

45 და გულმოწყალება სულგრძელია და კეთილი, არ შურს და არ ყოყნობს და არ ეძებს თავისას, არ მრისხანებს, არ განიზრახავს ბოროტს, არ ხარობს ურჯულოებით, არამედ ჭეშმარიტებით ხარობს, ყველაფერს ითმენს, ყველაფერი სწამს, ყველაფრის იმედი აქვს, ყველაფერს იტანს.

46 ამიტომ, ჩემო საყვარელო ძმებო, თუ არ გაქვთ გულმოწყალება, ხართ არარაობა, ვინაიდან, გულმოწყალება არასდროს ქრება. ამიტომ, ჩაეჭიდეთ გულმოწყალებას, რომელიც არის ყველაზე დიადი, ვინაიდან ყოველივე უნდა გაქარწყლდეს –

47 მაგრამ, გულმოწყალება არის ქრისტეს წმინდა სიყვარული და გრძელდება მარად; და ვისაც ექნება ის უკანასკნელ დღეს, კეთილი იქნება მასთან.

48 ამიტომ, ჩემო საყვარელო ძმებო, ილოცეთ მამისადმი მთელი გულის ძალით, რათა აღივსოთ ამ სიყვარულით, რომელიც მან უბოძა თავისი ძის, იესო ქრისტეს, ყოველ ჭეშმარიტ მიმდევარს; რომ იქცეთ ღვთის შვილებად; რათა მისი გამოცხადებისას ჩვენ ვიყოთ მისი მსგავსნი, ვინაიდან მას ვიხილავთ, როგორიც არის; დაე, გვქონდეს ეს იმედი; დაე,

განვიწმინდოთ ისე, როგორი წმინდაც არის იგი. ამინ.

თავი 8

პატარა ბავშვების ნათლობა არის ბოროტი სისაძაგლე. პატარა ბავშვები ქრისტეში ცხოვრობენ გამოსყიდვის გამო. რწმენა, მონანიება, თვინიერება და გულით დამდაბლება, სულიწმინდის მიღება და ბოლომდე გაძლება მიუძღვის ხსნისკენ. დაახლოებით 401-421 წწ. ჩვენი წელთაღრიცხვით.

1 მამაჩემის, მორმონის, მიერ, ჩემთვის, მორონისთვის, მოწერილი წერილი; და ის დაწერილ იქნა ჩემი მსახურებისთვის გაწვევიდან ცოტა ხნის შემდეგ. და ასე მომწერა მან შემდეგი სიტყვები:

2 მორონ, ჩემო საყვარელო შვილო, ძალზედ გამიხარდა, რომ შენს უფალს, იესო ქრისტეს, ახსოვხარ და მოგიწოდა ემსახურო მას და აკეთო მისი წმინდა საქმე.

3 ყოველთვის მახსოვხარ ჩემს ლოცვებში, ვლოცულობ რა განუწყვეტლივ მამა ღმერთისადმი, მისი წმინდა ძის, იესოს სახელით, რათა მან საკუთარი უსასრულო სიკეთითა და მადლით ბოლომდე დაგიფაროს მისი სახელისადმი რწმენის სიმტკიცით.

4 და ახლა, ჩემო შვილო, მე გუბნები იმას, რაც ძალზედ მაღონებს; ვინაიდან მაღონებს ის, რომ თქვენ შორის წამოიჭრა დავა.

5 ვინაიდან, თუ მართალია ის, რაც გავიგე, თქვენ შორის წამოიჭრა დავა თქვენი პატარა ბავშვების ნათლობის შესახებ.

6 და ახლა, ჩემო შვილო, მსურს, იშრომო ბეჯითად, რათა ეს დიდი შეცდომა აღმოიფხვრას თქვენი გარემოცვიდან, ვინაიდან ამ მიზნით მოგწერე ეს წერილი.

7 ვინაიდან, როგორც კი გავიგე ყოველივე ეს, დაუყოვნებლივ ვკითხე უფალს ამ საკითხის შესახებ. და სულიწმინდის ძალით მოვიდა ჩემთან უფლის სიტყვა, რომელიც მეუბნებოდა:

8 მოუსმინე ქრისტეს, შენი გამომსყიდველის, შენი უფლისა და ღმერთის, სიტყვებს. აჰა, ამქვეყნად მოვედი არა მართალთა მოსაწოდებლად, არამედ ცოდვილთა მონანიებისკენ მოსახმობად; მკურნალი ჯანმრთელებს კი არა, სნეულებს სჭირდებათ; ასე რომ, პატარა ბავშვები არიან უბიწონი, ვინაიდან არ შეუძლიათ ცოდვის ჩადენა; ამიტომ, ადამის წყევლა მოცილებულია მათგან ჩემში, რომ მას არ აქვს ძალა მათზე; და ჩემში დასრულდა წინდაცვეთის რჯული.

9 და ამგვარად, გამანდო სულიწმინდამ ღვთის სიტყვა; ამიტომ, ჩემო საყვარელო შვილო, მე ვიცი, რომ პატარა ბავშვების ნათლობა არის ღმერთის აბუჩად აგდება.

10 აჰა, მე გეუბნები, რომ ეს უნდა ასწავლოთ - მათი

მონანიება და ნათლობა, რომელნიც პასუხისმგებელი არიან და შეუძლიათ ცოდვის ჩადენა; დიახ, ასწავლეთ მშობლებს, რომ მოინანიონ და მოინათლონ და თავი დაიმდაბლონ პატარა ბავშვებით; და ყველანი გადარჩებიან პატარა ბავშვებთან ერთად.

11 და მათ პატარა ბავშვებს არ სჭირდებათ არც მონანიება და არც ნათლობა. აჰა, ნათლობა არის მოსანანიებლად, ცოდვების მისატყვებელი მცნებების აღსასრულებლად.

12 ხოლო პატარა ბავშვები ცოცხლობენ ქრისტეში, ამა ქვეყნის დასაბამიდანვე; თუ ეს ასე არ არის, მაშინ ღმერთი არის მიკერძოებული ღმერთი და ასევე ღმერთი ცვალებადია და მოკრძალებული; ვინაიდან რამდენი პატარა ბავშვი გარდაიცვალა ნათლობის გარეშე!

13 ამიტომ, თუ პატარა ბავშვები ვერ გადარჩებოდნენ ნათლობის გარეშე, ასეთნი უნდა წასულიყვნენ უსასრულო ჯოჯოხეთში.

14 აჰა, გეუბნები, ვისაც ჰგონია, რომ პატარა ბავშვებისთვის საჭიროა ნათლობა, იმყოფება მწარე ნაღველისა და ურჯულოების ბორკილებში; ვინაიდან არ აქვს მას არც რწმენა, არც იმედი და არც გულმოწყალება; ამიტომ, ამ მოსაზრებით რომ მომკვდარიყო, იგი აუცილებლად უნდა მოხვედრილიყო ჯოჯოხეთში.

15 ვინაიდან, საშინელი სიბოროტეა იმაზე ფიქრი, რომ ღმერთი ერთ ბავშვს ნათლობის გამო გადაარჩენს, ხოლო მეორეს, რადგან ნათლობა არ მიუღია, დაღუპავს.

16 ვარაძი მათ, რომლებიც ასე გაამრუდებენ უფლის გზებს, ვინაიდან დაიდუპებიან, თუ არ მოინანიებენ. აჰა, ვლასპარაკობ თამამად, მაქვს რა ღმერთისგან უფლებამოსილება; და არ მაშინებს ის, რისი გაკეთებაც შეუძლია ადამიანს; ვინაიდან, სრულყოფილი სიყვარული განღვენის ყოველგვარ შიშს.

17 და სავსე ვარ გულმოწყალებით, რომელიც არის მარადიული სიყვარული; ამიტომ, ყველა ბავშვი ჩემთვის თანაბარია; ამიტომ, სრულყოფილი სიყვარულით მიყვარს პატარა ბავშვები; და ყოველი მათგანი არის თანაბარი და ხსნის თანამონაწილე.

18 ვინაიდან ვიცი: ღმერთი არ არის მიკერძოებული, არც ცვალებადი; არამედ არის უცვლელი, სრული მარადიულობიდან სრულ მარადიულობამდე.

19 პატარა ბავშვებს მონანიება არ შეუძლიათ; ამიტომ, მათთვის ღმერთის წმინდა მოწყალებაზე უარის თქმა საშინელი სიბოროტეა, ვინაიდან ყოველი მათგანი მასში ცოცხლობს - მისი წყალობით.

20 და ის, რომელიც ამბობს, რომ პატარა ბავშვებს

სჭირდებათ ნათლობა, უარყოფს ქრისტეს მოწყალებას და არად აგდებს მის გამოსყიდვასა და გამოსყიდვის ძალას.

21 ვარაძი ასეთებს, ვინაიდან მათ მოელით სიკვდილი, ჯოჯოხეთი და უსასრულო წამება. ამას ვამბობ თამამად; ღმერთმა მიბრძანა. მოუსმინეთ ჩემს სიტყვებს და ყური დამიგდეთ, თორემ ისინი თქვენ წინააღმდეგ წარდგება ქრისტეს სამსჯავროს წინაშე.

22 ვინაიდან, აჰა, ყველა პატარა ბავშვი ცოცხლობს ქრისტეში და ასევე ყველანი, რომლებიც კანონის გარეშე არიან. ვინაიდან გამოსყიდვის ძალა წვდება ყოველ მათგანს, რომელსაც არ აქვს კანონი; ამიტომ ის, რომელიც არ არის განსჯილი ან ის, რომელიც განსჯას არ ექვემდებარება, ვერ მოინანიებს და ასეთს ნათლობა არაფერს აძლევს -

23 არამედ ეს არის ღმერთის აბუჩად აგდება - უარყოფა ქრისტეს მოწყალებისა და მისი სულიწმინდის ძალისა და არის მკვდარი საქმეებისადმი სასოების მინდობა.

24 აჰა, ჩემო შვილო, ეს ასე არ უნდა იყოს; ვინაიდან მონანიება არის მათთვის, რომლებიც არიან განსჯის ქვეშ და დარღვეული კანონის წყველის ქვეშ მოქცეულნი.

25 და მონანიების პირველი ნაყოფი არის ნათლობა; და

ნათლობა მოდის მცნებების აღსრულების რწმენით; და მცნებების აღსრულებას მოაქვს ცოდვების მიტევება;

26 ხოლო ცოდვების მიტევებას მოაქვს თვინიერება და გულით დამდაბლება; და თვინიერებისა და გულით დამდაბლების გამო მოდის გამოცხადება სულიწმინდისა, ნუგეშისმცემლისა, რომელიც ავსებს იმედითა და სრულყოფილი სიყვარულით, ხოლო ეს სიყვარული გრძელდება ლოცვაში სიბეჯითით, სანამ არ მოვა დასასრული, როდესაც ყოველი წმინდანი იცხოვრებს ღმერთთან.

27 აჰა, ჩემო შვილო, მე კვლავ მოგწერ, თუ არ წავედი მალე ლამანიელთა წინააღმდეგ. აჰა, ამ ერის ამპარტავნობა ანუ ნეფიელთა ხალხის ამპარტავნობა, გახდა მათი განადგურების მიზეზი, თუ არ მონანიებენ.

28 ილოცე მათთვის, ჩემო შვილო, რათა მონანიება მივიდეს მათთან. მაგრამ, აჰა, ვშიშობ, სული აღარ მოქმედებს მათზედ; და მიწის ამ ნაწილში ისინიც ცდილობენ, დათრგუნონ ღმერთისგან წამოსული ყოველი ძალა და უფლებამოსილება და ისინი უარყოფენ სულიწმინდას.

29 და ასეთი დიდი ცოდნის უარყოფის შემდეგ, ჩემო შვილო, ისინი მალე უნდა დაიღუპონ იმ წინასწარმეტყველებების, რომლებზეც წინასწარმეტყველებმა ილაპარაკეს, ისევე, როგორც

თავად ჩვენი მხსნელის სიტყვების, აღსასრულებლად.

30 მშვიდობით, ჩემო შვილო, სანამ არ მოგწერ ან კვლავ არ შეგხვდები. ამინ.

მორმონის მეორე წერილი თავისი შვილის, მორონისადმი.

მოიცავს მე-9 თავს.

თავი 9

ნეფიელებიც და ლამანიელებიც გაირყვნენ და გადაგვარდნენ. ისინი ერთმანეთს აწამებენ და ხოცავენ. მორმონი ლოცულობს, რათა მადლი და სიკეთე ყოფილიყო მარად მორონისთან. დაახლოებით 401 წ. ჩვენი წელთაღრიცხვით.

1 ჩემო საყვარელო შვილო, მე კვლავ გწერ, რათა იცოდე, რომ ცოცხალი ვარ, მაგრამ ასევე გწერ ცოტაოდენს იმაზე, რაც არის სამწუხარო.

2 ვინაიდან, აჰა, ლამანიელებთან მქონდა ცხარე ბრძოლა, რომელშიც ჩვენ ვერ გავიმარჯვეთ; და არქეანტუსი მახვილისგან დაეცა, ასევე ლურამი და ემრონი; დიახ, რჩეული ვაჟკაცები დაგვკარგეთ დიდი რაოდენობით.

3 და ახლა, აჰა, ჩემო შვილო, ვშიშობ, რომ ლამანიელები განადგურებენ ამ ხალხს; ვინაიდან არ ინანიებენ და სატანა

მუდმივად აღვივებს მათში ერთ-მანეთის მიმართ წყრომას.

4 აჰა, მე მუდამ მათთან ვშრომობ; და როდესაც ღვთის სიტყვას მკაცრად ვეუბნები, ისინი კანკალებენ და ჩემზე ბრაზობენ; და როდესაც მკაცრად არ ვეუბნები, ისინი მის წინააღმდეგ გულს იქვავებენ; ამიტომ, ვშიშობ, რომ უფლის სული აღარ მოქმედებს მათზე.

5 რამეთუ იმდენად ძლიერად მრისხანებენ, რომ მგონია, არ ეშინიათ სიკვდილის და დაკარგული აქვთ სიყვარული ერთ-მანეთის მიმართ; და მუდამ სწყურიათ სისხლი და შურისძიება.

6 და ახლა, ჩემო საყვარელო შვილო, მათი გულქვაობის მიუხედავად, მოდი, ბეჯითად ვიშრომით; თუ შრომას შევწყვეტთ, ჩვენ თავზე ვიწვნევთ განაჩენს; ვინაიდან გვაქვს სამუშაო, რომელიც უნდა შევასრულოთ, სანამ ვიმყოფებით ამ თიხის სამლოცველოში, რათა გავიმარჯვოთ მთელი სიმათლის მტერზე და დავიმშვიდოთ სული ღვთის სასუფეველში.

7 და ახლა, ვწერ ცოტაოდნს ამ ხალხის ტანჯვის შესახებ. ვინაიდან, იმისდა მიხედვით, რაც ამორონისგან ვიცი, აჰა, ლამანიელებს ჰყავთ მრავალი ტყვე, რომელიც შერიზას კომიდან წაიყვანეს; და იყვნენ კაცები, ქალები და ბავშვები.

8 და მათ დახოცეს იმ ქალებისა

და ბავშვების ქმრები და მამები და ქალებს საჭმელად აძლევენ თავიანთი ქმრების ხორცს და ბავშვებს – თავიანთი მამებისას; და აძლევენ მხოლოდ ცოტაოდნ წყალს.

9 და ლამანიელთა ამ დიდი სისაძაგლის მიუხედავად, ეს არ აღემატება იმას, რასაც ჩვენი ხალხი სჩადის მორიანტუმში. ვინაიდან, მრავალი ლამანიელის ქალიშვილი ტყვედ შეიპყრეს; და მას შემდეგ, რაც მათ წაართვეს მათთვის ყველაზე საყვარელი და ძვირფასი, რაც არის უბიწობა და სათნოება –

10 და მას შემდეგ, რაც ეს ჩაიდინეს, მათ ისინი დახოცეს ყველაზე სასტიკი წესით, აწამებდნენ რა სიკვდილამდე მათ სხეულებს; და მას შემდეგ, რაც ეს ჩაიდინეს, ისინი ჭამენ მათ ხორცს ველური მხეცებივით, თავიანთი გულქვაობის გამო და ამას სიმამაცის ნიშნად სჩადიან.

11 ჩემო საყვარელო შვილო, როგორ შეუძლია ასეთ ხალხს, რომელსაც არ აქვს განათლება –

12 (და სულ რამდენიმე წელი გავიდა მას შემდეგ, რაც იყვნენ განათლებული და მიმზიდველი ხალხი)

13 მაგრამ, შვილო ჩემო, როგორ შეუძლია ასეთ ხალხს, რომელიც ამ დიდი სისაძაგლით ხარობს –

14 როგორ შეგვიძლია ლოდინი

იმისა, რომ ღმერთი ჩვენი განსჯისგან ხელს შეიკავებს?

15 აჰა, ჩემი გული დადადებს: ვარამი ამ ხალხს. ღმერთო, გამოდი სამსჯავროთი და შენი სახისგან დაფარე მათი ცოდვები, სიბოროტე და სისაძაგლე!

16 და კიდევ, ჩემო შვილო, იქ არის მრავალი ქვრივი და მათი ქალიშვილები, რომლებიც რჩებიან შერიზაში; და სურსათის ნაწილი, რომელიც ლამანიელებმა არ წაიდეს, აჰა, ზენეფის ჯარმა წაიღო და მიატოვეს ისინი საკვების ძებნაში სახეტილოდ; და ამასობაში, მრავალი მოხუცებული ქალი უძღურდება და კვდება.

17 და ჯარი, რომელიც არის ჩემთან, დაუძღურებულია; და ლამანიელთა ჯარები იმყოფება შერიზასა და ჩემს შორის; და რომლებიც გაიქცნენ აარონის ჯარის მხარეზე, დაეცნენ მათი საშინელი სისასტიკის მსხვერპლად.

18 ო, უზნეობა ჩემი ხალხისა! არც წესრიგი აქვთ და არც წყალობა. აჰა, მე უბრალოდ ადამიანი ვარ და მაქვს უბრალო ადამიანის ძალა; და აღარ შემწევს ძალა ჩემი ბრძანებების აღსასრულებლად.

19 და ისინი მომძღავრდნენ თავიანთ უზნეობაში; არიან ერთნაირად სასტიკნი, არ ინდობენ არავის – არც მოხუცსა და არც ახალგაზრდას; და ხარობენ ყველაფრით, გარდა კეთილისა; და

ჩვენი ქალებისა და შვილების ტანჯვა აღემატება ყველაფერს ამ მიწის პირზე; დიახ, ეს ვერცენით ითქმის, ვერც დაიწერება.

20 და ახლა, შვილო ჩემო, აღარ გაგჩერდები ამ საშინელ ამბავზე. აჰა, შენ იცი ამ ხალხის სიბოროტის შესახებ; შენ იცი, რომ არ აქვთ წესად პატიოსნება და გრძნობა; და მათმა ბოროტებამ გადააჭარბა ლამანიელებისას.

21 აჰა, შვილო ჩემო, ვერ ვუქომაგებ მათ ღმერთის წინაშე, რათა მის მიერ არ შევიმუხრო.

22 მაგრამ, აჰა, შვილო ჩემო, შენ გიქომაგებ ღმერთის წინაშე და ვენდობი ქრისტეს, რომ გადარჩები; და ვლოცულობ ღმერთისადმი, რომ დაინდოს შენი სიცოცხლე, რათა იხილო მისი ხალხის მასთან დაბრუნება ან მათი სრული განადგურება; ვინაიდან ვიცი, რომ უნდა დაიღუპონ, თუ არ მოინანიებენ და მასთან არ დაბრუნდებიან.

23 და თუ დაიღუპებიან, ეს იქნება იარედიელთა მაგვარად, მათი გულების თვითნებობის გამო, ეძებდნენ რა სისხლსა და შურისძიებას.

24 და თუ იქნება ისე, რომ ისინი დაიღუპებიან, ვიცით, რომ მრავალი ჩვენი ძმა გადავიდა ლამანიელთა მხარეს და კიდევ მრავალი გადავა; ამიტომ, დაწერე კიდევ ცოტაოდენი, თუ შენ დაგინდეს, მე კი დავიღუპე და ველარ გნახე; მაგრამ ვიმედოვნებ, რომ მალე გიხილავ,

ვინაიდან მაქვს წმინდა ჩანაწერები, რომლებიც მინდა გადმოგცე.

25 ჩემო შვილო, იყავი ქრისტეში ერთგული; და არ დაგალონოს ყოველივე იმან, რაც დაგწერე, არ მიგიყვანოს სიკვდილამდე; არამედ ქრისტემ აგამაღლოს, დაე, მისი ტანჯვა, სიკვდილი და ჩვენი მამებისადმი გამოცხადება, მისი წყალობა და სულგრძელობა, იმედი მისი სიდიადისა და მარადიული სიცოცხლისა, მარად იყოს შენს ხსოვნაში.

26 დაე, მამა ღმერთის მადლი, რომლის ტახტი მადლა ზეცაშია და ჩვენი უფლის, იესო ქრისტესი, რომელიც ზის მისი ძლევა მოსილუბის მარჯვენა მხარეს, სანამ ყოველივე არ დაემორჩილება მას, დაე, უკუნისამდე იყოს შენთან. ამინ.

თავი 10

მორმონის წიგნზე დამოწმება მიიღება სულიწმინდის ძალით. სულის ძღვენი ებოძება ერთგულებს. სულიერი ძღვენი ყოველთვის თან სდევს რწმენას. მორმონის სიტყვები ისმის, ვითარცა მტერიდან მოღადადე. მოდით ქრისტესთან, გახდით მასში სრულყოფილი და განიწმინდეთ სული. დაახლოებით 421 წ. ჩვენი წელთაღრიცხვით.

1 ახლა, მე, მორონი, ვწერ ცოტაოდენს, რასაც სასარგებლოდ

ვთვლი; და მე ვწერ ჩემი ძმებისთვის, ლამანიელებისთვის; და მინდა, მათ იცოდნენ, რომ ოთხას ოც წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც ნიშანი იქნა მოცემული ქრისტეს მოსვლის შესახებ.

2 და მე ჩავბუჭდავ ამ ჩანაწერებს მას შემდეგ, რაც გეტყვით რამდენიმე სიტყვას მოწოდების სახით.

3 აჰა, მოგიწოდებთ, როდესაც ყოველივე ამას წაიკითხავთ, თუ ღვთის სიბრძნით მოგიწევთ ამის წაკითხვა, გახსოვდეთ, როგორი მოწყალე იყო უფალი ადამიანთა შვილების მიმართ ადამის შექმნიდან იმ დრომდე, როდესაც მიიღებთ ამას და გულში იმსჯელებთ.

4 და როდესაც ყოველივე ამას მიიღებთ, მე მოგიწოდებთ, ჰკითხოთ ღმერთს, მარადიულ მამას, ქრისტეს სახელით, ჭეშმარიტია თუ არა ყოველივე ეს; და თუ ჰკითხავთ გულწრფელად, ნამდვილი მოწადინებითა და ქრისტეში რწმენით, იგი გამოგიცხადებთ ამის ჭეშმარიტებას სულიწმინდის ძალით.

5 და სულიწმინდის ძალით თქვენ ჩაწვდებით ჭეშმარიტებას ყოველივეს შესახებ.

6 და ყველაფერი, რაც არის კეთილი, არის სამართლიანი და ჭეშმარიტი; ამიტომ, რაც კეთილია, არ უარყოფს ქრისტეს, არამედ სცნობს, რომ ის არსებობს.

7 და სულიწმინდის ძალით შეძლებთ გაიგოთ, რომ იგი არსებობს; ამიტომ, მოგიწოდებთ, არ უარყოთ ღმერთის ძალა; ვინაიდან იგი მოქმედებს ძალით, ადამიანთა შვილების რწმენის შესაბამისად, ღღეს, ხვალ და მარადის.

8 და კიდევ, მოგიწოდებთ, ჩემო ძმებო, რომ არ უარყოთ ღვთის ძღვენი, ვინაიდან ისინი მრავალია და მოდის იმავე ღმერთისგან. და არსებობს ამ ძღვენთა მიღების სხვადასხვა გზები; მაგრამ ეს არის იგივე ღმერთი, რომელიც ამოქმედებს ყველას ყველაში; და ისინი ეძლევათ ადამიანებს ღმერთის სულის გამოცხადებით, მათსავე სასარგებლოდ.

9 ვინაიდან, აჰა, ერთს ეძლევა ღვთის სულით, ასწავლოს სიბრძნის სიტყვა;

10 და სხვას – რომ იგივე სულით ასწავლოს ცოდნის სიტყვა;

11 კიდევ სხვას – ძალზედ დიდ რწმენას; და სხვას – იგივე სულით განკურნების ძღვენს;

12 და კიდევ სხვას – შეძლოს ძღვევამოსილი სასწაულების მოხდენა;

13 და კიდევ სხვას – შეძლოს ყველაფრის შესახებ წინასწარმეტყველება;

14 და კიდევ სხვას – ანგელოზებისა და მსახურებაში მყოფ სულთა ხილვა;

15 და კიდევ სხვას – ყოველგვარი ენა;

16 და კიდევ სხვას – ენებისა და სხვადასხვა მეტყველებების განმარტება.

17 და ყველა ეს ძღვენი მიიღება ქრისტეს სულით; და ისინი მიიღება მისი ნების შესაბამისად, თითოეული ადამიანის მიერ.

18 და მე მოგიწოდებთ, ჩემო საყვარელო ძმებო, გახსოვდეთ, რომ ყოველი კეთილი ძღვენი ქრისტესგან მოდის.

19 და მე მოგიწოდებთ, ჩემო საყვარელო ძმებო, გახსოვდეთ, რომ იგი არის უცვლელი გუშინ, ღღეს და უკუნისამდე და რომ ყოველი ძღვენი, რომელზეც ვლაპარაკობდი, რომელიც არის სულიერი, არასდროს შეწყდება, სანამ ქვეყანა იარსებებს, გარდა ადამიანთა შვილების ურწმუნოების გამო.

20 ამიტომ, უნდა იყოს რწმენა; და თუ უნდა იყოს რწმენა, ასევე უნდა იყოს იმედი; და თუ უნდა იყოს იმედი, ასევე უნდა იყოს გულმოდრინება.

21 და თუ არ გაქვთ გულმოდრინება, ვერანაირად ვერ გადარჩებით ღვთის სასუფეველში; და ვერ გადარჩებით ღვთის სასუფეველში, თუ არ გაქვთ რწმენა; ვერც მაშინ გადარჩებით, თუ არ გექნებათ იმედი.

22 და თუ არ გაქვთ იმედი, მაშინ უნდა იყოთ სასოწარკვეთილნი; და სასოწარკვეთილება მოდის ურჯულოებიდან.

23 და ქრისტემ ჭეშმარიტად უთხრა ჩვენს მამებს: თუ რწმენა გაქვთ, ყველაფრის გაკეთებას შეძლებთ, რაც ჩემთვის საჭიროა.

24 და ახლა, მივმართავ დედამიწის ყოველ კიდეს: თუ მოვა ისეთი დღე, როდესაც თქვენ შორის აღარ იქნება ღმერთის ძალა და ძღვენი, ეს მოხდება თქვენი ურწმუნობის გამო.

25 და ვარამი ადამიანთა შვილებს, თუ ასე მოხდება; ვინაიდან არავინ იქნება თქვენ შორის სიკეთის მკეთებელი – არცერთი. რამეთუ თქვენ შორის სიკეთის მკეთებელი თუ იქნება, იგი სიკეთეს გააკეთებს ღმერთის ძალითა და ძღვენით.

26 და ვარამი მათ, რომლებიც ყოველივე ამას შეწყვეტენ და მოკვდებიან, ვინაიდან ისინი მოკვდებიან თავიანთ ცოდვებში და ვერ გადარჩებიან ღვთის სასუფეველში; და ვამბობ ამას ქრისტეს სიტყვების შესაბამისად; და არ ვცრუობ.

27 და მოგიწოდებთ, დაიმახსოვროთ ყოველივე ეს; ვინაიდან ძალე მოვა დრო, როდესაც გაიგებთ, რომ არ ვცრუობ, ვინაიდან მიხილავთ ღმერთის სამსჯავროსთან; და უფალი ღმერთი გეტყვით: ნუთუ არ გაუწყეთ ჩემი სიტყვები, რომლებიც დაწერილ იქნა ამ ადამიანის მიერ, ვითარცა მკვდრეთიდან მოღადადე, დიახ, როგორც მტვრიდან მოლაპარაკე.

28 მე ვაცხადებ ყოველივე ამას წინასწარმეტყველებების ასახდენად. და აჰა, ისინი მოვა მარადიული ღმერთის პირიდან; და მისი სიტყვა გადავა თაობიდან თაობაზე.

29 და ღმერთი დაგანახებთ, რომ რაც დავწერე არის ჭეშმარიტება.

30 და კიდევ, მოგიწოდებთ, მოხვიდეთ ქრისტესთან და ჩაეჭიდეთ ყოველ კეთილ ძღვენს და არ შეეხთ ბოროტ ძღვენს, არც რაიმე უწმინდურს.

31 და გაიღვიძე და აღსდექი მტვრიდან, იერუსალიმო; ჩაიცვი მშვენიერი სამოსი, სიონის ქალიშვილო; გაამაგრე შენი პალოები და გააფართოვე შენი საზღვრები მარად, რომ აღარ იყო შერცხვენილი, რათა ახდეს მარადიული მამის აღთქმები, რომლებიც მან შენთან დადო, ისრაელის სახლო.

32 დიახ, მოდით ქრისტესთან და გახდით მასში სრულყოფილნი; და უარყავით ყოველივე უღმერთო; და თუ უარყოფთ ყოველივე უღმერთოს და შეიყვარებთ ღმერთს მთელი თქვენი ძალით, გონებითა და სიძლიერით, მაშინ საკმარისი იქნება მისი მადლი თქვენთვის, რათა მისი მადლით შეგიძლიათ სრულყოფილნი იყოთ ქრისტეში; და თუ ღმერთის მადლით სრულყოფილნი გახდებით ქრისტეში, ვერანაირად ვერ შეძლებთ ღმერთის ძალის უარყოფას.

33 და კიდევ: თუ ღმერთის მადლით იქნებით სრულყოფილი ქრისტეში და არ უარყოფთ მის ძალას, მაშინ ღვთის მადლით ქრისტეში იქნებით განწმენდილი, ქრისტეს სისხლის დაღვრით, თქვენი ცოდვების მისატყვევებლად, რაც არის მამის აღთქმაში, რათა გახდეთ წმინდანი, უმწიკლონი.

34 და ახლა, მე ვემშვიდობები ყველას. მალე წავალ ღვთის სამოთხეში დასასვენებლად, სანამ კვლავ არ გაერთიანდება ჩემი სული და სხეული და არ ავმადლდები ცაში საზეიმოდ, რათა შეგხვდეთ დიდი იეჰოვას საამო სამსჯავროს წინაშე, ცოცხალთა და მკვდართა მარადიული მოსამართლისა. ამინ.

დასასრული

თემატური სარჩევი მორმონის წიგნში

მორმონის წიგნი, უპირველეს ყოვლისა, მოწმობს იესო ქრისტეს ღვთაებრიობაზე და მოიცავს იესო ქრისტეს სახარების მოძღვრებას. მოყვანილი თემები და მითითებები იძლევა წარმოდგენას მორმონის წიგნში აღწერილ ხალხზე, ადგილმდებარეობებზე, მოძღვრებებსა და მოვლენებზე.

იესო ქრისტე

ამერიკის კონტინენტის მაცხოვრებლებთან გამოცხადება და მსახურება. 3 ნეფი 11–27. იგი აცხადებს საკუთარი თავის ღვთაებრიობაზე: 9:1, 12–15. არიგებს ნეფის ნათლობის შესახებ: 11:18–30. ასწავლის ქრისტეს მოძღვრებას: 11:31–41. თორმეტ მოწავეს აძლევს დავალებებს: 12:1–2. ასწავლის ნეტარებას: 12:3–12. იძლევა ღოცვის ნიმუშს: 13:9–13. აფრთხილებს ცრუ წინასწარმეტყველების შესახებ: 14:15–20. ასწავლის სხვა ცხვრების შესახებ: 15:11–24. განკურნავს ავადმყოფებს: 17:5–10. აკურთხებს ბავშვებს: 17:10–12, 21–25. ღოცულობს ხალხისთვის: 17:13–20. აწესებს ზიარებას: 18:1–14. თორმეტს აძლევს სულიწმინდის მინიჭების ძალაუფლებას: 18:26–39. ღოცულობს მამისადმი: 19:16–34. უზრუნველყოფს ზიარებას: 20:1–9. ასწავლის ესაიას სიტყვების შესახებ: 22:1–23:3. ასწავლის წმინდა წერილების მნიშვნელობას: 23:1–6, 14. არიგებს თორმეტს ეკლესიის სახელის შესახებ: 27:1–12. ასწავლის საკუთარი მისიის შესახებ და გამოსყიდვაზე: 27:13–22.

აღდგომა. 2 ნეფი 2:8; 9:6–13, 22; მოსია 15:21–26; ალმა 11:41–45; 40:1–6, 11–24; 3 ნეფი 23:9–11.

გამომსყიდველი. 2 ნეფი 2:6–7, 26; მოსია 15:6–27; ალმა 9:26–27; 11:40–41; 42:13–26; ჰელამანი

5:9–12; 14:12–17; 3 ნეფი 9:17; ეფერი 3:13–14.

გამოსყიდვა. 1 ნეფი 11:32–33; 2 ნეფი 2:3–10, 25–27; 9:5–27; იაკობი 4:11–12; მოსია 3:11–18; 4:6–8; 13:27–35; ალმა 34:8–16; 42:11–30; 3 ნეფი 11:14.

განეთხვა. 2 ნეფი 2:10; ალმა 5:15; 12:12–15; 33:22; 3 ნეფი 27:14–16; მორმონი 3:20; 7:6; ეფერი 12:38.

ეკლესია. მოსია 25:18–22; 27:13; 3 ნეფი 27:1–12; მორმონი 6:4–9.

იესო ქრისტე. 1 ნეფი 11:14–33; 22:24; 2 ნეფი 9:5; 11:2–8; მოსია 3:5–13; 5:6–12; ალმა 5:50; 7:7–13; 46:15; ჰელამანი 3:28; 14; 3 ნეფი 1:12–21; 9; 11–26; 27:3–21, 27; მორმონი 1:15; ეფერი 3:14–17; მორმონი 7:48.

იეჰოვა. მოსია 3:4–11; 15:1; 3 ნეფი 15:1–5; ეფერი 3:13–15; მორმონი 10:27–34.

მესია. 1 ნეფი 10:4, 17; 2 ნეფი 2:6, 26; 25:14.

მსხნელი. 1 ნეფი 10:4; 13:40; 2 ნეფი 25:20; მოსია 3:17–20; 5:7–15; ჰელამანი 14:15–17.

სრულყოფა. იხილეთ მოძღვრებები: სრულყოფა.

უფალი. 1 ნეფი 3:7; 17:13–15; ალმა 29:11; ჰელამანი 13:6.

ქომაგი. 2 ნეფი 2:9, 27–28.

ქრისტეზე დამოწმება. 2 ნეფი 25:26; 26:12; იაკობი 7:11, 19; ალმა 6:8; ეფერი 12:41; მორმონი 7:31.

ადამიანები

ქრისტეს მეორედ მოსვლა. 3 ნეფი 24:1-2.

ქრისტეს მოძღვრება. 2 ნეფი 31:10-32:6; 3 ნეფი 11:31-41.

ღვთის კრავი. 1 ნეფი 13:40; ალმა 7:14; მორმონი 9:6.

ღვთის სიტყვა. 1 ნეფი 11:25; 15:23-25; 17:45-46; 2 ნეფი 27:14; 31:20; მოსია 26:3; ალმა 17:2; 31:5; 32:28-43.

შექმნა. მოსია 3:8; ალმა 30:43-44; 3 ნეფი 9:15; ეფერი 3:15.

შობა და გარდაცვალება. ჰელამანი 14:2-6, 20-27; 3 ნეფი 1:15-21; 8:5-23.

წინასწარმეტყველებანი ქრისტეს შესახებ. 1 ნეფი 10:4-11; 11:1-3, 12-33; 19:8-17; 2 ნეფი 10:3; 25:19; მოსია 3:5-12; 13:33-35; ალმა 7:9-13; ჰელამანი 8:22; 14:1-8, 14-27; ეფერი 3:13-20.

ჯვარცმა. 1 ნეფი 11:32-33; 19:9-14; 2 ნეფი 6:9; მოსია 15:1-7; 3 ნეფი 27:14-15.

ადამიანები

აბინადი. მოსია 11-17.

აბრაამი. იაკობი 4:5; ალმა 13:15; ჰელამანი 8:16-19.

ადამი. 2 ნეფი 2:14-29; ალმა 12:21-26.

ალმა, ალმას შვილი. მოსია 27:8-27; ალმა 4:11-20; 36:6-27.

ამონი, მოსიას შვილი. მოსია 27:8-28:8; ალმა 17-20; 26-27.

ამულეკი. ალმა 8:21-27; 10; 11:20-46; 14:9-29; 34.

ანტი-ნეფი-ღვთიელები. ალმა 23-24; 27:20-27; 53:16-19; 56-58.

ბენიამინი. მოსია 2-6.

გიდეონი. მოსია 19:4-8; 20:17-22; 22:3-9; ალმა 1:8-10.

ევა. 2 ნეფი 2:15-20.

ენოსი. ენოსი 1.

ეფერი. ეფერი 12:1-5; 13:2-14.

ზენოსი. 1 ნეფი 19:10, 12, 16; იაკობი 5; ალმა 33:3-11; 34:7; ჰელამანი 8:19; 3 ნეფი 10:15-16.

ზენოქი. 1 ნეფი 19:10; ალმა 33:15, 17; ჰელამანი 8:20.

იაკობი, ლეხის შვილი. 2 ნეფი 6-11; იაკობი 1-7.

იარედი. ეფერი 1:33-2:1; 2:13.

იარედიელები. ეფერი 1:33-43; 2-3; 6:1-18; 14-15.

იარედის ძმა. ეფერი 1:34-43; 2-3; 4:4; 12:20-21, 24, 30.

იესო ქრისტე. *იხილეთ* თავი იესო ქრისტე.

ისმაელი. 1 ნეფი 7:2-5; 16:7, 34.

ლაბანი. 1 ნეფი 3:1-27; 4:1-26.

ლამანი. 1 ნეფი 2:5, 11-12; 3:9-31; 7:6; 8:34-38.

ლამანიელები. 2 ნეფი 5:14; იაკობი 1:13-14; მოსია 10:11-17; ჰელამანი 6:34-37.

ლამანიელი სამუელი. ჰელამანი 13-16.

ლამონი. ალმა 17-19.

ლემუელი. 1 ნეფი 2:10; 3:28; იაკობი 1:13-14.

ლეხი, ნეფის მამა. 1 ნეფი 2:1-4; 5:14; 8:2-38; 16-18; 2 ნეფი 1-3; 4:1-12.

მარიამი; იესოს დედა. 1 ნეფი 11:13-20; მოსია 3:8; ალმა 7:10.

მორმონი. მორმონი 1:1–6; 2:1–2, 17–18; 3:8–12; 5:1–2; 6:5–6; 8:2–3.

მორონი, მორმონის შვილი. მორმონის სიტყვები 1:1; მორმონი 8:1–3, 14; ევერი 1:1–2; მორონი 1; 10:1–2.

მორონი, სარდალი. ალმა 43:16–17, 47–50; 46:12–13; 48:11–18.

მოსია, ბენიამინის შვილი. მოსია 6:4–7; 28:17; 29.

მოსიას შვილები. მოსია 27:8–20, 34; 28:1–7; ალმა 17–26.

ნეფი, ლეხის შვილი. 1 ნეფი 1:1–4; 3–4; 7; 10:17–22; 15:21–36; 16:18–32; 17–18; 2 ნეფი 33.

ნეფი, ნეფის შვილი, შვილი ჰელამანისა. 3 ნეფი 1:2–3; 7:15–19; 19:4.

ნეფი, ჰელამანის შვილი. ჰელამანი 3:37; 5:18–52; 7–9; 10:3–11; 11:3–18.

ნეფიელები. 2 ნეფი 5:5–17; ალმა 50:23; ჰელამანი 6:34–35; 3 ნეფი 11–28; 4 ნეფი 1:2–3, 15–16; მორმონი 3:9–11; მორონი 1:2.

სემი. 1 ნეფი 2:5, 17; 2 ნეფი 5:5–6; ალმა 3:6.

უფროსი ალმა. მოსია 17–18; 25–26.

ჰაგოთი. ალმა 63:5–8.

ჰელამანი, ალმას შვილი. ალმა 45:22–23; 53:19, 22; 57:19–27.

ჰელამანი, შვილები (ახალგაზრდა მქომრები). ალმა 53:16–22; 56:10, 47, 52–56; 57:26.

მოძღვრებები

ადამიანი. 2 ნეფი 2:25; მოსია 7:27; 3 ნეფი 12:48; 27:27; მორონი 7:48.

ადამისა და ევას დაცემა (კაცობრიობის დაცემა). 1 ნეფი 10:6; 2 ნეფი 2; ალმა 22:12–14; 34:9; 42:2–15.

ავადმყოფობა. მოსია 3:5; ალმა 7:10–12; 3 ნეფი 26:15.

ათასწლეული. 1 ნეფი 22:26; 2 ნეფი 12:4; 30:18.

ამპარტავნობა. 1 ნეფი 11:36; იაკობი 2:13, 16; ალმა 5:28; ჰელამანი 3:33–36; მორონი 8:27.

ანგელოზები. მოსია 27:11–16; ალმა 36:22; 3 ნეფი 17:24; მორონი 7:25–32.

ანტიქრისტეები. იაკობი 7; ალმა 1; 30.

არჩევანის თავისუფლება. 2 ნეფი 2:15–16, 27; ჰელამანი 14:30–31.

აღიქმა. 1 ნეფი 15:18; 2 ნეფი 31:13, 16; მოსია 5:5; 18:8–16; 3 ნეფი 20:25–26; მორონი 7:31; 10:32–33.

ბავშვები. 2 ნეფი 2:22–23; მოსია 4:14–15; 3 ნეფი 17:21–24; მორონი 8:8–24.

ბედნიერების გეგმა. *იხილეთ* გამოსყიდვის გეგმა.

ბიბლია. 1 ნეფი 13:38–41; 2 ნეფი 3:12; 29:3–14; მორმონი 7:8–10.

ბოროტება. 2 ნეფი 32:8; ომნი 1:25; მოსია 2:32; ალმა 19:33; მორონი 7:8–17.

გამართლება. 2 ნეფი 2:5; მოსია 14:11.

გამოსყიდვა. *იხილეთ* გამოსყიდვის გეგმა.

გამოსყიდვის გეგმა. 2 ნეფი 2; 9; ალმა 12:25–34; 22:12–14; 34:8–16; 42:5–26, 31.

გამოცხადება. 2 ნეფი 28:30; 30:17; 32:5; იაკობი 4:8; ალმა 5:46; 26:22; მორმონი 9:7–8; ევერი 12:6; მორონი 10:4–5.

განდგომა. *ადრინდელი ქრისტიანული ეკლესია:* 1 ნეფი 13:26;

მოძღვრებები

2 ნეფი 26:20. პირადი: 1 ნეფი 8:23, 28. 12:17. ალმა 4:6–12. ჰელამანი 3:33–34. 4:11–13. 5:2–3. 12:2. 13:38. 3 ნეფი 2:1–3. მორმონი 8:28–41.

განკითხვა. 1 ნეფი 12:9; 2 ნეფი 9:15, 46; 28:23; ალმა 41:3, 14; 3 ნეფი 27:16, 23–26; მორმონი 3:18–20.

განწმენდა. ალმა 13:10–12; ჰელამანი 3:33–35; 3 ნეფი 27:20.

განხეთქილება. 2 ნეფი 26:32; მოსია 4:14; 3 ნეფი 11:29.

გაძლება. 1 ნეფი 22:31; 2 ნეფი 31:16, 20; 3 ნეფი 27:6.

გულმოწყალება. 2 ნეფი 26:30; ალმა 7:24; ეფერი 12:33–34; მორმონი 7.

დამახსოვრება. 1 ნეფი 14:8; 17:45; მოსია 1:2–7; ჰელამანი 12:3; 3 ნეფი 18:7, 11; მორმონი 5:21; მორმონი 4:3; 5:2; 10:27.

დამოწმება. 2 ნეფი 33:1; იაკობი 7:10–11; ალმა 5:45–48.

დანაშაული. 1 ნეფი 16:2; 2 ნეფი 9:14; ენოსი 1:6; ალმა 42:18, 29.

დედა. ალმა 56:47; 57:21.

ეკლესია. 1 ნეფი 14:8–17; ალმა 6:1–6; მორმონი 8:32–33; მორმონი 6:5.

ეკლესიის ხელმძღვანელის მხარდაჭერა. 3 ნეფი 10:12–13; 12:1.

ეშმაკი. 2 ნეფი 2:17–18, 27; 28:19–23; ომნი 1:25; ალმა 30:60; 34:39; ჰელამანი 5:12; 3 ნეფი 18:15, 18.

ენება, გულისთქმა. ალმა 39:3–4, 9; 3 ნეფი 12:28.

ზიარება. 3 ნეფი 18:1–11, 28–29; მორმონი 4–5.

თავმდაბლობა. 2 ნეფი 9:42; მოსია 4:11; ალმა 5:27–28; ჰელამანი 3:33–35; 3 ნეფი 12:2; ეფერი 12:27.

თაყვანისცემა. 2 ნეფი 25:29; იაკობი 4:5; ალმა 34:38; 3 ნეფი 11:17.

თვინიერება. მოსია 3:19; 3 ნეფი 12:5; მორმონი 7:44; 8:26.

თხოვნა. 1 ნეფი 15:11; 2 ნეფი 32:4; მოსია 4:10, 21; მორმონი 10:4.

იმედი. 2 ნეფი 31:20; ალმა 7:24; 13:27–29; ეფერი 12:4; მორმონი 7:1, 40–43.

ისრაელი. შეკრება: 1 ნეფი 15:12–17; 22:3–12; 2 ნეფი 10:3–9; იაკობი 5–6; 3 ნეფი 16:4; 17:4. **გაფანტვა:** 1 ნეფი 22:3–9; 2 ნეფი 10:3–9; იაკობი 5–6; 3 ნეფი 21:26–29. **ათი დაკარგული ტომი:** 1 ნეფი 22:3–4. 2 ნეფი 29:12–14. 3 ნეფი 17:4. 21:26–29.

იაცობრობის აღდგომა. ალმა 40.

კურთხევები. 1 ნეფი 15:18; 17:35; 2 ნეფი 1:28; 4:9; მოსია 2:24; ჰელამანი 12:1; 3 ნეფი 12:1–12; 24:10.

ლოცვა. 2 ნეფი 32:8–9; ენოსი 1:4; ალმა 5:45–46; 17:3; 26:22; 34:17–28; 37:37; 3 ნეფი 18:16, 19–21; 19:31–34; 20:1; მორმონი 7:6–9; 10:4.

მადლი. 2 ნეფი 2:8; 10:24; 25:23; იაკობი 4:7; ეფერი 12:26–27.

მადლიერება. მოსია 2:19–21; ალმა 34:38; 37:37.

მამა. ზეციერი: მოსია 2:34; 3 ნეფი 13:14, 26–33; ეფერი 12:8. **ამქვეყნიერი:** 1 ნეფი 1:1. ენოსი 1:1. მოსია 27:14. ალმა 36–42. ჰელამანი 5:5–12.

მარადიული სიცოცხლე. 2 ნეფი 2:27; 9:39; 31:17–20; 33:4; 3 ნეფი 15:9.

მარხვა. მოსია 27:22–23; ალმა 5:46; 6:6; 17:3, 9; 45:1.

მეათედი. ალმა 13:15; 3 ნეფი 24:8–11.

მისიონერული სამუშაო. იაკობი 1:19; ალმა 17-26; 29:8; მორმონი 9:22.

მიტევება. 1 ნეფი 7:21; მოსია 4:2; 26:29-31; ალმა 39:6; 3 ნეფი 13:11.

მიძღვნა. 4 ნეფი 1:3.

მოკვდავება. 2 ნეფი 2:21, 25; ალმა 12:24; 34:32; 42:10.

მონანიება. მოსია 5:2; 26:29; ალმა 14:1; 34:33-36; 36; 42:16, 29; 3 ნეფი 9:20-22; 27:20; მორმონი 6:8.

მორმონის წიგნი. 2 ნეფი 3:12-21; მორმონი 7:9; ევერი 5:1-4; მორმონი 10:4.

მორჩილება. 1 ნეფი 3:7; 17:3; მოსია 2:37; ალმა 3:26-27; 3 ნეფი 14:21.

მოქცევა. მოსია 5:2, 12-14; 27:33-35; ალმა 22:15-18; ჰელამანი 15:7; 3 ნეფი 7:21.

მოციქული. 1 ნეფი 1:10; 11:34; მორმონი 3:18.

მოდერება. *იხილეთ* იესო ქრისტე; ქრისტეს მოძღვრება.

მოწმობა. მოსია 18:9; ალმა 4:19-20; 5:45-48; 30:41-44.

მოწყალება. ალმა 32:22; 42:13-25; მორმონი 8:19-20.

მრუშობა და სიძვა. იაკობი 3:12; ალმა 39:3-5; ჰელამანი 8:26.

მსხვერპლშეწირვა. 2 ნეფი 2:6-7; ალმა 34:8-14; 3 ნეფი 9:19-20.

მღვდლად კურთხევა. მოსია 18:18; 3 ნეფი 12:1; მორმონი 3.

მღვდლობა. ალმა 6:1; 13:1-12; 17:3; 3 ნეფი 11:21-22; მორმონი 2:2.

მშვიდობა. მოსია 4:3; ალმა 38:8; 40:12.

მშობლები. 1 ნეფი 1:1; 5:11; 8:37; მოსია 4:14-15; მორმონი 8:10.

მცნებები. 1 ნეფი 2:10; 3:7; იარომი 1:9; ალმა 37:35.

ნათლობა. 2 ნეფი 9:23-24; მოსია 18:8-16; 21:33-35; ალმა 7:14; 3 ნეფი 11:19-40; 12:1-2; მორმონი 8:4-25.

ნიშანი. მოსია 3:15; ალმა 30:48-60; ჰელამანი 14; 3 ნეფი 1:13-16; მორმონი 9:24; ევერი 4:18.

ოჯახი. 1 ნეფი 8:37; 2 ნეფი 2:20; 25:26; იაკობი 3:7; მოსია 4:14-15; 3 ნეფი 17:2-3; 18:21; მორმონი 2:23.

პასუხისმგებლობა. ალმა 12:14; 41:3-7; ჰელამანი 14:29-31; მორმონი 8:10.

რისხვა. 2 ნეფი 4:28-29; 28:19-20, 28; 33:4-5; 3 ნეფი 11:30; მორმონი 9:3-4.

რწმენა. 1 ნეფი 3:7; 7:12; 2 ნეფი 9:23; 6:14; 26:13; ენოსი 1:3-8; მოსია 3:12; 4:10; 5:7; ალმა 11:40; 14:26; 22:16; 32; 57:25-27; ჰელამანი 8:15; 14:13; 3 ნეფი 11:35; 17:8; ევერი 12:6-31; მორმონი 7:1, 20-48; 10:4.

სამართალი. 1 ნეფი 15:30; 2 ნეფი 9:26; ალმა 34:16; 42:13-25; 54:6.

სამართლიანობა. 1 ნეფი 17:35; 2 ნეფი 2:13; 9:18, 40; ალმა 5:58; ჰელამანი 13:38.

სამოთხე. ალმა 40:11-12; 4 ნეფი 1:14.

სამსახური. 2 ნეფი 2:3; მოსია 2:17; ევერი 2:8-12.

სასწავლებლები. 2 ნეფი 27:23; ალმა 23:6; მორმონი 9:10-20; ევერი 12:12-21.

სახარება. 3 ნეფი 27:13-22.

სახარების აღდგენა. 1 ნეფი 15:13-18; 2 ნეფი 3:6-15; 27:6-26; 3 ნეფი 16:7.

მოდღერებები

სიბეჯითი. იაკობი 1:19; ალმა 17:2; 3 ნეფი 6:14; მორონი 9:6.

სიბრალული. მოსია 15:9; 3 ნეფი 17:6.

სიბრძნე. 2 ნეფი 9:28; 27:26; მოსია 2:17; ალმა 37:35.

სიკვდილი. *ფიზიკური:* 2 ნეფი 2:22; 9:6, 11; ალმა 12:24; 40:11. *სული-ერი:* 2 ნეფი 2:27. 9:4–9. იაკობი 3:11. ალმა 13:30. 42:9. ჰელამანი 14:16–19.

სიმდიდრე. 2 ნეფი 9:30, 50–51; 26:31; იაკობი 2:18–19; ალმა 1:30–31; 4:6–8; 3 ნეფი 6:12.

სინდისი. მოსია 4:3; ალმა 29:5; მორონი 7:16.

სისუსტე. 1 ნეფი 19:6; იაკობი 4:6–7; ეფერი 12:27–28, 37.

სიყვარული. 1 ნეფი 19:9; 2 ნეფი 31:20; მოსია 4:15; ალმა 5:26; 13:28; 38:12; მორონი 7:47–48; 8:16.

სიცოცხლის ხე. 1 ნეფი 8; 11:8–9, 21–22, 25; 15:36; ალმა 5:34, 62; 32:40.

სიცრუე. 2 ნეფი 2:18; 9:34; 28:8–9; ალმა 5:17; 12:3; ეფერი 3:12.

სიხარული. 1 ნეფი 8:12; 2 ნეფი 2:22–25; 9:18; ალმა 22:15; 36:20.

სრულყოფა. ალმა 42:15; 3 ნეფი 12:48; მორონი 10:32.

სულის ძღვენი. 3 ნეფი 29:6; მორონი 9:7; მორონი 10:8–18.

სულიწმინდა. 1 ნეფი 10:17–19; 2 ნეფი 32:5; 3 ნეფი 27:20; 28:11; მორონი 10:5.

სულიწმინდის ძღვენი. 2 ნეფი 31:17; მორონი 2.

ტკივილი. 2 ნეფი 9:21; იაკობი 3:11; მოსია 2:36–38; 3:5–8; 25:11; 27:28–29; ალმა 7:10–11; 36:16–21.

უბედურება. 2 ნეფი 2:11.

უბიწოება. 2 ნეფი 9:36; იაკობი 2:28; ალმა 39:1–13; 3 ნეფი 12:27–28; მორონი 9:9.

უკვდავება. 2 ნეფი 9:13; ალმა 11:45.

ურწმუნობა. 1 ნეფი 4:13; მოსია 26:1–5; 3 ნეფი 19:35.

უფლებამოსილება. ჰელამანი 5:18; 11:18; 3 ნეფი 7:17; 12:1–2.

უფლი. *იხილეთ* სიმდიდრე.

ქალი. იაკობი 2:28; ალმა 32:23; 56:47–48.

ქველმოქმედება, მოწყალების გაცემა. მოსია 4:26; 18:27; 3 ნეფი 13:1–4.

ქორწინება. 1 ნეფი 7:1; 16:7; 4 ნეფი 1:11.

ღარიბი. 2 ნეფი 9:30; მოსია 4:26; ალმა 1:27; 34:28; 4 ნეფი 1:3.

ღვთაება. 2 ნეფი 31:21; მოსია 15:1–4; 3 ნეფი 11:3–7, 27, 36.

ღვთის შეილება. მოსია 5:7; 27:25; 3 ნეფი 9:17; ეფერი 3:14; მორონი 7:19.

ღმერთის მოწმენი. მოსია 18:8–9; 3 ნეფი 18:10–11; მორონი 4–5.

შაბათი დღე. იარომი 1:5; მოსია 13:16–19; 18:23–25.

ცღუნება. 1 ნეფი 15:24; 2 ნეფი 2:11–16; ალმა 13:28; 37:33; 3 ნეფი 18:15, 18.

ცოდვა. 2 ნეფი 4:31; 9:38; ალმა 13:12; 41:9–10; 45:16; მორონი 8:8.

ცოდნა. 2 ნეფი 9:14; ალმა 18:35; 32:34; ჰელამანი 15:13; მორონი 7:15–17.

წესჩვეულებები. მოსია 13:30; ალმა 30:3.

წინამიწიერი ცხოვრება. ალმა 13:3; ეფერი 3:16.

წინასწარმეტყველება. იაკობი 4:6, 13; მოსია 5:3; ალმა 12:7; 3 ნეფი 29:6; მორმონი 8:23.

წინასწარმეტყველები. 1 ნეფი 3:17–18; 22:1–2; იაკობი 7:11; მოსია 8:16; 3 ნეფი 1:13.

წმინდა წერილები. 1 ნეფი 19:23; 2 ნეფი 25:21–23; 29:10–14; 32:3; იაკობი 7:23; მოსია 1:2–7; ალმა 17:2; 37:1–19; ჰელამანი 15:7–8; მორმონი 7:8–9.

ჭეშმარიტება. 1 ნეფი 16:2; 2 ნეფი 9:40; იაკობი 4:13; მორმონი 10:5.

ხელახლა შობილი. მოსია 5:2–15; 27:23–30.

ხელდასხმა. ალმა 6:1; 3 ნეფი 18:36–37; მორმონი 2:2.

ხორციელი ადამიანი. მოსია 3:19; 16:5; ალმა 26:19–22; 41:11; 42:7–24.

ხსნა. 2 ნეფი 2:3–6; მოსია 15:24–28; მორმონი 8:8–24.

ჯოჯოხეთი. 1 ნეფი 15:35; 2 ნეფი 9:10–12; 28:21; იაკობი 3:11; მორმონი 9:4.

მოვლენები და ადგილები

ამონიჰა. ალმა 8–14; 16:1–3, 9, 11; 49:1–4.

აღთქმული მიწა. 1 ნეფი 2:20; 2 ნეფი 1:5–9; ეფერი 2:9–12.

ზარაჰემლა. ომნი 1:12–13; მოსია 1:18; ალმა 5:2; ჰელამანი 13:12; 3 ნეფი 8:8, 24.

იარედიელთა ფირფიტები. მოსია 8:9–12; 21:25–28; ეფერი 1:1–4; 15:33.

იარედის ძმის ხილვა. ეფერი 3.

იერუსალიმი. 1 ნეფი 1:4, 13, 18; 3 ნეფი 20:46; ეფერი 13:5.

ლემის აღთქმული მიწისკენ მოგზაურობა. 1 ნეფი 2–18.

ლიახონა ანუ კომპასი. 1 ნეფი 16:10, 28–29; ალმა 37:38, 43–45.

მდინარე სიდონი. ალმა 3:3; 22:29.

მთარგმნელი ხელსაწყოები. მოსია 8:13–18.

მიწა აოხრებული. ალმა 22:30–32; მორმონი 3:5; ეფერი 7:6.

მიწა ბარაქიანი. ალმა 22:29–33; 52:9; 63:5; 3 ნეფი 11:1.

მიწა იერშონი. ალმა 27:22–23; 28:1; 30:19–21; 35:1–2, 13; 43:4.

მიწა ნეფი. 2 ნეფი 5:6–9; ომნი 1:12–13; მორმონის სიტყვები 1:13; მოსია 28:1; ალმა 22:32.

მიწა ჩრდილოეთით. ალმა 22:30–33; 46:22; 50:11, 29–34; 63:4–10; ჰელამანი 3:3, 8–11; მორმონი 2:20, 29.

მორმონის წყლები. მოსია 18:7–8; 25:18; ალმა 5:3.

მორმონისა და მორმონის ფირფიტებზე ზედამხედველობა. მორმონის სიტყვები 1; მორმონი 1:1–5; 2:17–18; 8:1–17.

მოსიას შვილების მისია. ალმა 17–27.

მოქცეულთა გამოცდილება. მოსია 17–18 (უფროსი ალმა); მოსია 27, ალმა 36 (ალმა, ალმას შვილი); მოსია 27–28 (მოსიას შვილები); ალმა 8:18–32 (ამულეკი); ალმა 17 (მეფე ლამონი); ალმა 19:16–17 (აბიში); ალმა 22 (მეფე ლამონის მამა); ალმა 23–24 (ამონის ხალხი).

ნეფიელთა განადგურება. მორმონი 1–6.

ნეფის გემი. 1 ნეფი 17–18.

ნეფის ფირფიტები. 1 ნეფი 9; 19:1–6.

მოვლენები და ადგილები

სიცოცხლის ხის ხილვა. 1 ნეფი 8; 11; 15.

სპილენძის ფირფიტები. 1 ნეფი 3–4; 5:10–16; 19:21–24; ომნი 1:14; მოსია 1:1–14; ალმა 37:1–7; 3 ნეფი 1:2.

ქრისტეს მსახურება ამერიკის კონტინენტზე. *იხილეთ* იესო ქრისტე: ამერიკის კონტინენტის მაცხოვრებლებთან გამოცხადება და მსახურება.

ქრისტეს მსახურების შემდგომ დამყარებული მშვიდობა. 4 ნეფი 1:1–20.

ქუმორა. მორმონი 6:2, 6–11; 8:2; ეფერი 15:11.

ხმელეთის ვიწრო ყელი. ალმა 22:32; 63:5; მორმონი 2:29; 3:5; ეფერი 10:20.

ჰელამანის ჯარი. ალმა 53:10–23; 56–57.

ISBN: 978-1-59297-638-6

